# „ვინ ვინ არის საქართველოში 2009"
ბიოგრაფიული ცნობარი

© გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"

# Who's Who in Georgia 2009
Biographical Dictionary
© Georgian Biographical Centre Publishing

| | |
|---|---|
| სარედაქციო ჯგუფი: | ხათუნა თოდუა<br>მანანა მიქაბერიძე<br>ხათუნა მიქაბერიძე<br>რუსუდან სულაკაური<br>ნანუკა ჩხეიძე<br>დიმიტრი ხვთისიაშვილი |
| კოორდინატორები: | ნინო აბესაძე<br>ირმა ფერიაშვილი |
| ყდის დიზაინი: | ალექსანდრე ბერდიშევი |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა: | ნუგზარ არჩემაშვილი |

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი

ბაკურიანის 2, თბილისი 0176
ტელ: 33 49 14; 22 66 52..
ელ-ფოსტა: whoiswhogeorgia@yahoo.com

ISBN 978-9941-9070-8-1

# ვინ ვინ არის საქართველოში

# WHO IS WHO IN GEORGIA

## 2009

# წინასიტყვაობა

„ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" გთავაზობთ ბიოგრაფიული ცნობარის „ვინ ვინ არის საქართველოში" 2009 წლის გამოცემას.

წიგნში შესულია 1000-ზე მეტი ბიოგრაფია, იმ პიროვნებებისა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში. რაც ცნობარს განსაკუთრებული ინტერესის საგნად აქცევს. (ცალკეული პიროვნების სურვილი, ეხილა თავისი ბიოგრაფია ცნობარში, გათვალისწინებული არ ყოფილა).

იმისათვის, რომ ბიოგრაფიები მაქსიმალურად სანდო ყოფილიყო, რესპოდენტებს დაეგზავნათ სპეციალური კითხვარი, რომელიც თავად შეავსეს და გამომცემლობას მათი გამოქვეყნების ნება დართეს. ასე რომ, ყველა ბიოგრაფია პირველწყაროდან მომდინარეობს. წიგნში გამოქვეყნებული ფოტოებიც (გამონაკლისია თავად რესპოდენტების სურვილით ვებ-გვერდებიდან გადმოტანილი ფოტოები) მათ მიერვეა შერჩეული. მუქი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი — ე.წ. „კრედო", უცვლელად, ყოველგვარი სტილისტური ჩასწორების გარეშე ქვეყნდება.

„ვინ ვინ არის საქართველოში" პერიოდული გამოცემაა და მის ყოველ მომდევნო წიგნს (იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი მოცულობა არ იზრდება) ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის დამახასიათებელი უამრავი ცვლილება ერთვის თან. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ცვლილებების მითითება და გასული პერიოდის შეძლებისდაგვარად სრული სურათის ასახვაა. ამ ცვლილებებს, ბუნებრივია, ვერ ავცდით ვერც უშუალოდ წიგნზე მუშაობისა და ვერც დასტამბვის პროცესში; ამის გამო გვსურს აღვნიშნოთ, რომ ცნობარი 2009 წლის დეკემბრის მდგომარეობას ასახავს.

სამწუხაროდ, წიგნის გამოქვეყნებამდე რამდენიმე პიროვნება გარდაიცვალა, მიუხედავად ამისა მათი ბიოგრაფიები უცვლელი სახით იბეჭდება.

ცნობარში ბიოგრაფიები ანბანურად, გვარების მიხედვითაა დალაგებული, მაგრამ ჯერ პიროვნების სახელია მითითებული და შემდეგ — გვარი; გამონაკლისს წარმოადგენს სამღვდელოება: მათი მოძებნა ცნობარში საეკლესიო სახელების მიხედვით არის შესაძლებელი.

როგორც ყველა ცნობარი, არც ეს გამოცემაა დაზღვეული ხარვეზებისაგან, რისთვისაც მკითხველს წინასწარ ვუხდით ბოდიშს.

ბიოგრაფიები ცნობარში ორგვარი კრიტერიუმით არის შერჩეული:

1. ფორმალური — თანამდებობრივ-წოდებრივი;
2. არაფორმალური — განსაკუთრებული წარმატება, წვლილი, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებამ ამა თუ იმ სფეროში შეიტანა საკუთარი ცხოვრების მანძილზე.

ფორმალური (ანუ თანამდებობრივ-წოდებრივი) კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ბიოგრაფია შევიდა ცნობარში:

• საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები. ამ ჯგუფში შედიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს წევრები და ა.შ.

• უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები;

• მნიშვნელოვანი მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, შემოქმედებითი კოლექტივებისა და ა.შ. ხელმძღვანელები;

• საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები, ასევე აკადემიის სისტემაში შემავალი ს/კ ინსტიტუტების დირექტორები;
• მნიშვნელოვანი ეროვნული და საერთაშორისო პრემიების ლაურეატები;
• სასულიერო პირები;
• წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელები;
• წამყვანი ტელეკომპანიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთების, ჟურნალების, რადიოკომპანიების ხელმძღვანელები;
• ევროპისა და მსოფლიო პირველობათა პრიზიორები და რეკორდსმენები, საქართველოში სპორტის ძირითად სახეობათა ფედერაციების ხელმძღვანელები და მწვრთნელები;
• არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები;
• მსხვილი კომპანიების, ბანკების და ა.შ. ხელმძღვანელები.

არაფორმალური კრიტერიუმით წიგნში შევიდა ლიტერატურისა და ხელოვნების, შოუ-ბიზნესის, მედიცინის წარმომადგენლები, ცნობილი ადვოკატები და ჟურნალისტები.

**„ქართული ბიოგრაფიული ცენტრის" სარედაქციო ჯგუფი**

## შემოკლებები

| | |
|---|---|
| აკად. | აკადემია, აკადემიური |
| ა/რ | ავტონომიური რესპუბლიკა |
| ასოც. | ასოციაცია, ასოცირებული |
| აღმ. | აღმოსავლეთი |
| ბსუ | ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| გაზ. | გაზეთი |
| გამომ. | გამომცემლობა |
| განყ-ბა | განყოფილება |
| დამს. | დამსახურებული |
| დას. | დასავლეთი |
| დეპ-ტი | დეპარტამენტი |
| ექსპ. | ექსპერიმენტული |
| თავ-რე | თავმჯდომარე |
| თსთი | თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი |
| თსკ | თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია |
| თსსა | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| თსსი | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი |
| თსსუ | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი |
| თსუ | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ინ-ტი | ინსტიტუტი |
| კ/თ | კინოთეატრი |
| კ/ს | კინოსტუდია |
| კ/ფ | კინოფესტივალი |
| კლ. | კლინიკური, კლასიკური |
| მეცნ. | მეცნიერი, მეცნიერებათა |
| მხ. | მხატვრული |
| ჟურ. | ჟურნალი |
| რ-ნი | რაიონი |
| რესპ. | რესპუბლიკა, რესპუბლიკური |
| საქ. | საქართველო |
| საზ-ბა | საზოგადოება |
| სამეცნ. | სამეცნიერო |
| საერთაშ. | საერთაშორისო |
| სამხ. | სამხატვრო |
| სახ. | სახელობის |
| სახელმწ. | სახელმწიფო |
| ს/გ | სანარმოო გაერთიანება |
| სეგ | სურათების ეროვნული გალარეა |
| ს/კ | სამეცნიერო კვლევითი |
| სმკ | საქართველოს მოქალაქეთა კავშირი |
| სოფ. | სოფელი |
| სპი | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი |
| სს | სააქციო საზოგადოება |
| ს/ს | სასოფლო-სამეურნეო |
| სსრკ | საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი |
| სტუ | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| სფფ | საქ. ფეხბურთის ფედერაცია |
| უმც. | უმცროსი |
| უნ-ტი | უნივერსიტეტი |
| უფრ. | უფროსი |
| ფაკ-ტი | ფაკულტეტი |
| ფედ. | ფედერაცია |
| ქსე | ქართული საბჭოთა ენციკლოპედია |
| ქტუ | ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი |
| შპს | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| შსს | შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| ნამყვ. | ნამყვანი |
| ხელმძღვ. | ხელმძღვანელი |
| ABI | ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი |
| IBC | საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი |

## ზურაბ აბაშიძე



ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორი. დიპლომატი.

დაიბადა თბილისში 1951 წ. 11 ივნისს. მშობლები: ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე; მეუღლე — ნინო ფალიაშვილი (1956); შვილები: თამარი (1976), ირინე (1986). დაამთავრა მოსკოვის უცხო ენათა ინ-ტი (1973). იყო საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი (1974-78); საბჭოთა საკონსულოს ატაშე ბომბეიში (1978-80); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განყ-ბის გამგე (1980-84); საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველი ესპანეთში (1984-88); საქ. უცხოეთთან მეგობრობის საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე (1988-93); საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან და ნატოსთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი (1993-2000); საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2000); რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (2000-04). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ესპანისტიკაში (1983); არის პოლიტოლოგიის მეცნ. დოქტორი (2001). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. სტატიები ესპანისტიკასა და პოლიტოლოგიაში. არის ავტორი მრავალი პუბლიკაციისა და მონოგრაფიისა. მათ შორის: „ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისაკენ“ (2000); „ცივი ომი — წარსული თუ დღევანდელობა?" (2009). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებშიში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში".
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი, ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი. ტელ: 99 84 64. (ბინის) ჭონქაძის 7, თბილისი. ტელ: 99 60 67.
**უნდა იყო ოპტიმისტი მაშინაც კი, როდესაც ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებადაა.**

## ლეილა აბაშიძე



კინომსახიობი.

დაიბადა თბილისში 1929 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: მარიამ ბახტაძე, მიხეილ აბაშიძე; მეუღლე — გიორგი დანელია (1923); შვილი – რამაზი (1952). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1951). 1940 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში". გადაღებულია მხ. ფილმებში: „ქაჯანა" (1940), „ოქროს ბილიკი" (1944), „აკაკის აკვანი" (1948), „ქეთო და კოტე" (1949), „გაზაფხული საკენში" (1950), „ჭრიჭინა" (1953), „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" (1954), „აბეზარა" (1956), „ჩვენი ეზო" (1956), „მაია წყნეთელი" (1958), „სად არის შენი ბედნიერება, მზია?" (1960), „მე ვიცეკვებ" (1963), „ხევისბერი გოჩა" (1964), „შეხვედრა წარსულთან" (1966), „შეხვედრა მთაში" (1966), „მოლოდინი" (1969), „დიდოსტატის მარჯვენა" (1970), „გასეირნება თბილისში" (1977), „სინემა" (1977), „ტიფლისი, პარიზი, ტიფლისი", „ორომტრიალი". არის სცენარის ავტორი მხ. ფილმებისა: „მოლოდინი" (1969) და „კოშკები სდუმან" (1978); სცენარის ავტორი და რეჟისორი ფილმისა — „ტიფლისი, პარიზი, ტიფლისი". არის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1958 წლიდან); შრომის წითელი დროშისა (1961) და ღირსების (1999) ორდენების კავალერი; ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის მიღებული აქვს: საკავშირო ფესტივალის I ხარისხის დიპლომი (ლენინგრადი, 1967); II საერთაშ. ფესტივალის I პრიზი (ტოკიო, 1997). 2009 წელს კინოთეატრ „რუსთაველის " წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკლელავი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ქუჩიშვილის 9/30. თბილისი ტელ: 22 65 97.
**შრომა და შემოქმედება ჩემი ერისა და ხალხის სასარგებლოდ.**

## დავით აბესაძე



მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი. არქიტექტორი.

დაიბადა თბილისში 1951 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: ლამარა და ნოდარ აბესაძეები. მეუღლე — ნინო აბესაძე (1953); შვილები: ნოდარი (1976), გრიგოლი (1980). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1973), უცხო ენათა ინ-ტი (1980). იყო საქქალაქმშენსახპროექტის არქიტექტორი (1973-84), საქ.ცეკავშირის სარეკლამო კომბინატის მთ. მხატვარი (1984-90). 1990 წლიდან არის საპროექტო ფირმა „თამარინას" არქიტექტორი. იყო ანსამბლების: „ცისფერი ტრიო" (1972-1992), „ქართული ხმები" (1985-2000) წევრი. არის ანსამბლ „სიმის" წევრი (2004 წლიდან). მისი მონაწილეობით გამოცემულია: გრამფირფიტა – „ცისფერი ტრიო" (1975); კომპაქტ-დისკები: „ქართული ხმები" (1991), „ხსოვნა" და „წლები" (1997), „ცისფერი ტრიო" (2000), „სიმი" (2006). არის საქ. დამს. (1980) და სახალხო (1989) არტისტი. კომკავშირისა (1980) და სახელმწ. (1996) პრემიების ლაურეატი; არქიტექტორთა კავშირის წევრი (1980 წლიდან). 2009 წელს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა „ცისფერი ტრიოს" ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა, მუსიკა, ფეხბურთი, კინო.
მისამართი: (სამსახურის) ვერცხლის ქ. 20, თბილისი. ტელ: 98 82 10 (ბინის) ვაჟა ფშაველას IV კვ, კორპ. 22, ბ.21, თბილისი. ტელ: 32 68 31
**ჩემი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული. სიკეთე, ოპტიმიზმი, ჩემი საქმის სიყვარული და ოჯახი.**

## ზაზა აბზიანიძე



კრიტიკოსი. მწერალი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები: ანა ნიკოლაძე, გიორგი აბზიანიძე; მეუღლე — ლესია თავაძე (1944); შვილები: მაია (1962), ლევანი (1965). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963); შ.რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტის ასპირანტურა. არის ლიტერატურის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1967 წლიდან); ჟურნ. „Литературная Грузия"-ს რედაქტორი (1996 წლიდან). იყო მარჯანიშვილის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე; თსუ ფილოლოგიის კათედრის გამგე; საქ. რადიოს პირველი არხის ყოველკვირეული გადაცემის — „ლიტერატურული პორტრეტი" წამყვანი (1994-98). არის საქ. საეკლესიო ენციკლოპედიის პასუხისმგებელი რედაქტორი (2006 წლიდან); საქ. მეცნ. აკად-ის ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და რელიგიის კომისიის თავ-რის მოადგილე (2007 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ადამიანის კონცეფცია თანამედროვე ქართულ ლირიკაში" (1973 — გამოიცა წიგნად 1975); სადოქტორო — „XIX-XX ს.ს. ქართული პროზის ჰუმანისტური იდეალი" (1993). წერს ლიტერატურულ ზღაპრებსა და ლექსებს, რომელთაც თვითონვე ასურათებს. არის ავტორი წიგნებისა: „ლიტერატურული დიალოგები" (1983), „ამბავი დე ლა მელასი" (1997), „ბაბთა" (2000), „Homo Bellator" (2001), „მეგობრები და კოლეგები" (2002), „გალაკტიონი" (2004), „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია" (თანაავტორი ქეთევან ელაშვილი, 2006), ლიტერატურული ზღაპრების კრებული „წითელკუდა" (2006). არის არაერთი ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ფორუმის მონაწილე; ჩატარებული აქვს მასტერ-კლასები; არის ავტორი ეუთოს მიერ გამოცემული კრებულისა "The Caucasus – Defence of the Future" (ვენა, 2000). მისი პუბლიცისტური წერილები თარგმნილია რუსულ და ევროპულ ენებზე. არის საქ. განათლების სამინისტროს შეფასებათა ცენტრის ლიტერატურული კონკურსისა (2003) და 2001 წლის მხატვართა კონკურსის გამარჯვებული; „იუნისეფის" ლიტერატურული კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი (2000); მწერალთა საერთაშ. ასოც. „ევროპული ფორუმის" (1998 წლიდან), „ქართული აკადემიის" (2007 წლიდან), საზ-ბრივი ორგ. „საზოგადოების დარბაზის" გამგეობის (2009 წლიდან) წევრი; ნობელის კომიტეტის ექსპერტი ლიტერატურის დარგში (1999 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიებში: „საქართველო" (1997), „თბილისი"(2003); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეფუტკრეობა.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 5, თბილისი 0108. ტელ: 99 06 59. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ბ. 67, თბილისი 0109. ტელ: 22 47 37. ელ-ფოსტა: abzianidze@hotmail.com

## აბრაამი (ამირან გარმელია)



დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი.

დაიბადა სოხუმში 1948 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: ეკატერინე და მამია გარმელიები; დაამთავრა თბილისის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1971), მცხეთის სასულიერო სემინარია (1988). ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნ. მოღვაწეობას (1971-86). იყო საქ. ფილარმონიის ინჟინერი (1973-75); საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპ. კვლევითი ცენტრის სოციოლოგი ( 1975-77); სამეცნ.-ტექნიკური ინფორმაციის განყ-ბის გამგე (1977-86). ალიკვეცა ბერად, ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად (1988); აკურთხეს მღვდელ-მონოზვნად; მსახურობდა დმანისის სიონის, შემდეგ — გელათის მონასტრის წინამძღვრად (1988-89); იმყოფებოდა რეგენსბურგის აღმოსავლეთ ეკლესიათა ინ-ტში (1989-90); მსახურობდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში (1990-91); აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად (1991); დადგენილ და ხელდასხმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად (1992). იყო საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყ-ბის თავ-რე (1995-2002); გადაყვანილ იქნა საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის მმართველად (1996); აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (1996); იყო ჭიათურის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი (1998 წლიდან); აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (2000); იყო ჭიათურის ეპარქიის მმართველი (2000-02). იყო თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი (1993-2003); 2002 წლიდან დაინიშნა ახლად შექმნილი დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველად. მიღებული აქვს კონსტანტინოპოლის, რუსეთის, რუმინეთის ეკლესიების ჯილდოები. 2008 წელს დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. 2008 წელსვე უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) პარიზი. ელ-ფოსტა: metropolitanabraham@yahoo.com

## ნუგზარ აბულაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. სამართალმცოდნე.

დაიბადა სიღნაღის რ-ნის სოფ. ჯუგაანში 1973 წ. 13 სექტემბერს. მშობლები: ლეილა ასანიშვილი, რობერტ აბულაშვილი; მეუღლე — ლელა მხარგრძელი (1974); შვილები: ვანო (1995), ირაკლი (1997). დაამთავრა თსუ სიღნაღის ფილიალი (2001). იყო სიღნაღის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მძღოლი (1991-96); სიღნაღის მონადირეთა და მეთევზეთა საზ-ბის ეგერ-ინსპექტორი (1996-99); საქ. ადვოკატთა ეროვნ. ასოც-ის სიღნაღის ბიუროს ადვოკატი (2002-03); ჯუგაანის თემის საკრებულოს თავ-რე (2004). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სიღნაღის რ-ნული ორგ-ის თავ-რე (2002 წლიდან). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2008); მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 91. (ბინის) სოფ. ჯუგაანი, სიღნაღი. ტელ: 899 38 09 90.
**სიმართლის მოყვარული.**

## დავით აბულაძე



არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე. არქიტექტორი.

დაიბადა თერჯოლის რ-ნის სოფ. ჩხარში 1959წ. 11 თებერვალს. მშობლები: რუსუდან მარტაძე, გურამ აბულაძე; მეუღლე — ნინო აფხაიძე (1960); შვილები: გურამი (1982), ანი (1990). დაამთავრა თსსა არქიტექტურის

ფაკ-ტი (1983). იყო თბილისის ალმასკომის საპროექტოს არქიტექტორი (1983-87); არქ. სახელოსნოს უფროსი (1987-88), დირექტორის მოადგილე, მთ. არქიტექტორი (1988-90); არქ. კავშირების საერთაშ. ასოც-ის — MASA ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი (2003-05). არის კულტურისა და ხელოვნების საერთაშ. ლიგის პრეზიდენტი (1991 წლიდან); შავი ზღვის ქვეყნების კულტურისა და ხელოვნების საერთაშ. ფონდის პრეზიდენტი (1994 წლიდან). დააარსა პირველი ქართული არქიტექტურული ჟურ. „არქიტექტურა და დიზაინი" (1994) და გაზ. „ჩემი სახლი" (1996). დააფუძნა საპროექტო სამშენებლო ფირმა „დევიდ ენდ კომპანი" და იყო მისი პრეზიდენტი (1998-2000). 2001 წლიდან არის საქ. არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის თავ-რე. გამართული აქვს სამი პერსონალური გამოფენა. მიღებული აქვს საქ. არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის პრემია წლის საუკეთესო განხორციელებული არქ. პროექტისათვის (1999- 2001); დიპლომი და ლაურეატის წოდება საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის კონკურსზე "Зодчество" (2002) "MASA"-ს კონკურსის II ხარისხის დიპლომი რეალიზებული პროექტისათვის (თბილისი, 2003); ხარისხის საერთაშ. პრიზები: ნიუ-იორკის საერთაშ. სამიტზე — ხარიხის სერტიფიკატი და ოქროს პრიზი (2002), პლატინის პრიზი (ლონდონი, 2004). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1984 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი"; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრობა.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24, თბილისი 0102. ტელ: 22 74 02; ფაქსი: 95 99 87.
(ბინის) ი.ჭავჭავაძის გამზ. 33ა, ბ.5, თბილისი. ტელ: 25 22 32. ელ-ფოსტა: archunion_geo@yahoo.com
**პასუხისმგებლობა, პროფესიული ეთიკა.**

## ივანე (ვანო) აბულაძე

მხატვარი



დაიბადა 1959 წ. 6 მარტს ბაღდათში. მშობლები: მერი თავხელიძე, გალა აბულაძე; მეუღლე — ქეთევან მონონელიძე (1962); შვილები: გაგა (1986), თორნიკე (1987). სწავლობდა თსსა გრაფიკის ფაკ-ტზე (1978-84), სსრკ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1984-86). იყო სახვითი ხელოვნების პედაგოგი ბაღდათის რ-ნის სოფ. ფერსათის საშ. სკოლაში (1984-85); მხატვართა კლუბის — „ფიროსმანი" დირექტორის მოადგილე (1988). 1995 წლიდან ძირითადად მუშაობს გერმანიაში (მიუნჰენში). გამოფენებში მონაწილეობს 1976 წლიდან. საქ. მხატვართა კავშირის წევრია 1985 წლიდან. მისი ძირითადი ნამუშევრებია: ლითოგრაფიების სერიები — „სვანეთის ცის ქვეშ" (1987); ოფორტები — „კაცია-ადამიანი?!" (1987); „ადამიანი და კოსმოსი", „მიქელანჯელოს და ლეონარდოს ნაწარმოებების მიხედვით", „ნატურმორტები" (1988), ტრიპტიქი „ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში" (აკაკის ლექსის მიხედვით, 1990); სერია „ჩემი ეზო" (1996); ფერწერა — სერია „ქართული მოტივები" (1999). არის წიგნის ილუსტრატორი; 1982 წლიდან დასურათებული აქვს წიგნები: „რაფაელო ჯიოვანელი", „სპარტაკი", „თანამედროვე რუსი პოეტები", თ.აბულაძის ლექსების კრებულები და სხვა. თანამშრომლობდა ჟურნ. „ომეგასთან". მონაწილეობდა გამოფენებში: პეტერბურგი (1983), ბონი, ბერლინი (1985), პრაღა, ბრატისლავა (1986), ბუდაპეშტი (1987), მოსკოვი (1987); ესტამპის მე-7 საკავშირო გამოფენა (მოსკოვი, თბილისი, 1989); 2008-09 წლებში მუშაობს „პოპ-არტში". მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა და უნგრეთის ხელოვნების მუზეუმებში; გერმანიის, რუსეთის, იტალიის კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კულინარია.
მისამართი: (სახელოსნო) დიდი დიღომი, III მ/რ, კ.15. თბილისი. ტელ: 53 47 79.
**ნებისმიერი დასახული მიზნისადმი ერთგულება და ნებისმიერი პრობლემის ობიექტური შეფასება.**

## ემელიანე (რეზო) ადამია



მხატვარი.

დაიბადა სენაკში 1938 წ. 21 თებერვალს. მშობლები: მინადორა ხორავა, მიხეილ ადამია; მეუღლე — ნანი კვარაცხელია (1950); შვილები: მედეა (1980), მაია (1985). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1970). მუშაობდა თბილისის 50-ე საშ. სკოლის ხატვის მასწავლებლად (1969-71); სხსმ უფრ. რესტავრატორად (1974-88); მეცნ. თანამშრომლად. გამოფენებში მონაწილეობს 1966 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „მეთევზის ოჯახი", „მევენახეები" (1970), „ვაზო ქართულო" (1971), „მეცხვარეები" (1972-73), „ჩემი სოფელი" (1973), „მუსიკის წყარო", „ექსკურსია მუზეუმში" (1975), „მაწვნის გამყიდველი", „ჭირნახული", „უკანასკნელი ომის საშიშროება" (1976); პეიზაჟების სერიისა „სამეგრელო" (1975-98); ხელოვნების მოღვაწეთა და მწერალთა პორტრეტების სერიისა და სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში შეწირული ხატებისა. გამოფენები: პერსონალური – სენაკი (1986), თბილისი (1987,1997), საფრანგეთი, პარიზი, ნორმანდია, ქ. პორტ ბაი (1997), აზერბაიჯანში, იაპონიაში, ინგლისში, პოლონეთში, რუსეთში, სომხეთში (1970-97), საერთაშ. – ქ. დიჟონი (1997); პარიზი – გალ. „ნატალი"; „კავკასიის სახლი", გალ. „სტელა" (2003, 2004); თბილისი – საჯარო ბიბლიოთეკა, „მზე და პარიზული დღესასწაული" (2005); პარიზი (2005, 2006); თბილისი – საჯარო ბიბლიოთეკა, „მზე ნათელი პარიზი" (2006), აშშ-ს საელჩო (2007, 2008), დიუმას ცენტრის სეზონის გახსნა (2008, 2009). მისი ნამუშევრები დაცულია სხსმ, სეგ, თკმსმ, ფიროსმანის (მირზაანი), ი.ნონეშვილის (გურჯაანის რ-ნი), ზ.ფალიაშვილის (თბილისი) სახლ-მუზეუმებში; სენაკის, თერჯოლის სურათების გალერეებში; კერძო კოლექციებში. ხელმძღვანელობდა ძველი სენაკის მაცხოვრის და მარტვილის ღვთისმშობლის სახ., სალხინოს (დადიანისეული) ეკლესიების საქველმოქმედო აღდგენის ორგანიზაციას. ფოთის, ხობის, სენაკის ეპარქიის დავალებით მუშაობს ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა ეკლესიის აღდგენის ორგანიზებაზე. არის ესეებისა და ნოველების ავტორი: „სისხლიდან ცრემლი" – ტ.გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (2008); ესეები გალაკტიონზე, ნ.სამადაშვილზე, თ.მღვდლიაშვილზე, ფ.ხალვაშზე. ამ ესეებისათვის მიენიჭა გ.ტაბიძის სახ. პრემია (2009). მის შესახებ 2009 წელს გამოიცა ნ.ტაბიძის წიგნი „ხელოვნება და მარადიულობა". არის ეგრისის, კავკასიის ხალხთა და ეროვნ. აკად-ის აკადემიკოსი; საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1980 წლიდან); საქ. მხატვართა კავშირის სენაკის განყ-ბის ხელმძღვანელი. თავადაზნაურთა საზ-ბის საორგანიზაციო კომისიის წინამძღოლი; ქ. დიჟონის საერთაშ. გამოფენის საპატიო დიპლომის მფლობელი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კლასიკური მუსიკა, მებაღეობა-მებოსტნეობა.

მისამართი: (ბინის) დავითაშვილის 2, თბილისი. ტელ: 98 73 34.

## რევაზ ადამია



გ. ელიავას სახელობის „ბაქტერიოფაგის" ინსტიტუტის დირექტორი. ბიოლოგი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 20 ივლისს. მშობლები: ციცინო ქიშმარეიშვილი, შოთა ადამია; მეუღლე — ნინო ჩაჩუა; შვილები: ლევანი (1972), ალექსანდრე (1978), მარიამი (1988). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1974). იყო საქ. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მდივანი (1992-95); ამავე კომიტეტის თავ-რე (1995-2001); საქ. პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე ორმხრივი მოლაპარაკებებისას (1997-99); ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქ. დელეგაციის თავ-რე (1998-2001); ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქ. დელეგაციის თავ-რე (2000-02); ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი (2000-02); საქ. პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავ-რე (2001); გაეროს განიარაღების მსოფლიო კომისიის თავ-რე (2004-05); საქ. მუდმივი წარმომადგენელი გაეროში (2002-06). არის „ბაქტერიოფაგის" ინტ-ის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი (1973 წლიდან), დირექტორი — 2006 წლიდან. არის ფონდის „2020" ვიცე-პრეზიდენტი 2007 წლიდან; ასოც. „სქიჯორჯიას" პრეზიდენტი — 2008 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი ბაქტერიული ვირუსის მოლეკულურ-ბიოლოგიური თვისებები" (1986), სადოქტორო — „ბაქტერიოფაგებისა და პატრონი

ბაქტერიული უჯრედების გენომების ურთიერთქმედების ზოგადი მექანიზმები" (1999). არის 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს ჯორჯ სოროსის პრემია. იყო საქ. სამთო-სათხილამურო ასოც-ის პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" 2006.
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი (2006).
მისამართი: (სამსახურის) გოთუას 3, თბილისი. ტელ: 38 16 04.

## რობერტ ადამია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. მეტალურგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 6 აპრილს. მშობლები: თამარ კანდელაკი, შალვა ადამია; მეუღლე — ნათელა თავხელიძე (1940); შვილი — მარიკა (1967-96). დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1956), მეტალურგიის ინ-ტის ასპირანტურა (1961). იყო მეტალურგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1961-72); სპი ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის გამგე (1972-83); ქუთაისის სამეცნ. ცენტრის დირექტორი (1983-98); მანქანათა მექანიკის ინ-ტის დირექტორი (1998-2006). 2006 წლიდან არის მანქანათა მექანიკის ინ-ტის მანქანათმშენებლობის პრობლემათა განყ-ის ხელმძღ. და სამეცნ. საბჭოს თავ-რე; ქუთაისის სამეცნ. ცენტრის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საგლინი დგანების ოპტიმალური დინამიკის გაანგარიშების მეცნიერული საფუძვლები" (1970). არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომის, გამოგონების და 12 მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის: "Оптимизация динамических нагрузок, проходных станов" (1978), "Основы рационального проектирования металлургических машин" (1984), "Основы рационального проектирования газовоздушного тракта дизельных двигателей" (1993), "Динамика машин" (1999), „მრავალძარღვიანი ავტომატიზირებული ელექტროამძრავების დინამიკა" (2003). მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია მრავალ ქვეყანაში (რუსეთში, უკრაინაში, აშშ-ში, გერმანიაში, ესპანეთში, რუმინეთში და სხვა). არის საქ. და უცხოეთის სამეცნ. ჟურნალებისა და გამოცემების მთ. რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე და რედკოლეგიის წევრი; საერთაშ. კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილე; საქ. საინჟინრო აკად-ის ნამდვილი წევრი (1994); ქუთაისის საპატიო მოქალაქე (1993); ღირსების ორდენის კავალერი (1998); გ. ნიკოლაძის სახ. (1994) და სახელმწ. პრემიების ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიებში: „საქართველო"(1997), „ჩვენი ღირსეული მამულიშვილები" (2007); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მსოფლიო პოეზია. სამსახიობო ხელოვნება, მხატვრული სიტყვის ოსტატობა. ჭადრაკი.
მისამართი: (სამსახურის) მინდელის 10. თბილისი. ტელ: 32 30 62. (ბინის) საბურთალოს 67ა, ბ. 22. თბილისი 0177. ტელ: 39 16 67.
**შრომისმოყვარეობა, მრავალმხრივი განვითარების დაუოკებელი სურვილი, მუდმივად ახლის ძიება, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა, ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, სიკეთის თესვა და კაცთმოყვარეობა, სამართლიანობისთვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში მოპოვებული წარმატების სასიხარულო განცდა, მინდობილი საქმის შესრულებისთვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.**

## ზურაბ ადეიშვილი



საქართველოს იუსტიციის მინისტრი. იურისტი.

დაიბადა ყვარლის რ-ნის სოფ. მთისძირში 1972 წ. 27 ივლისს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994); სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1999); გრონინგენის სამეფო უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტის მაგისტრატურა (ნიდერლანდები, 1999). იყო საქ. პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1996-99); სამართლებრივი განათლებისა და ინფორმატიზაციის ალმას. დირექტორი (1999); იურიდიული ფირმის

— „ოქრუაშვილი და პარტნიორები" იურისტი (1999); საქ. პარლამენტის წევრი; იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის ქვეკომიტეტის თავ-რე, ამავე კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე, კომიტეტის თავ-რე (1999-2002); საქ. პარლამენტის წევრი (2002-03); საქ. იუსტიციის მინისტრი (2003-04); საქ. სახელმწიფო უშიშროების მინისტრი (2004); საქ. გენერალური პროკურორი (2004-08); პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი (2008). 2008 წლიდან არის საქ. იუსტიციის მინისტრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის ქ. 30, თბილისი. ტელ: 75 82 21; ელ.ფოსტა: pres-center@justice.gov.ge

## ვაკო ავალიანი



პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები" პრეს-მდივანი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1980 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: თამარ გოგსაძე, ალექსანდრე ავალიანი; მეუღლე — თამარ ქაფიანიძე (1979); შვილი — ეკატერინე (2006). დაამთავრა სტუ სატრანსპორტო ფაკ-ტი (2001). იყო ტელეკომპანიების: „მე-9 არხი" — ჟურნალისტი (1999-2002); „მზე" — საინფორმაციო გადაცემის წამყვანი (2002-06); „რუსთავი 2"-ის გადაცემის — „კურიერის" წამყვანი, კორესპონდენტი (2006-09). არის რეპორტიორ-ჟურნალისტთა საერთაშ. ფედ-ის კონკურსის გამარჯვებული — „რეპორტაჟი ცხელი წერტილიდან" (2004). პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები" წევრი და პრეს-მდივანია 2009 წლიდან.
ჰობი: ცურვა, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ჩერქეზიშვილის 4, თბილისი 0108. ტელ.: 37 70 08; ელ-ფოსტა: vakoavaliani@gmail.com
**პრინციპულობა და თავისუფლების სიყვარული, პროფესიონალიზმი, ოჯახური ტრადიციები.**

## ვაჟა აზარაშვილი



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1936 წ. 13 ივლისს. მშობლები: ოლღა მიქანაძე, შალვა აზარაშვილი; მეუღლე — მანანა დანგაძე (1950); შვილი — ნათია (1974). დაამთავრა თსკ საკომპოზიციო ფაკ-ტი (1961). იყო III სამუსიკო სასწავლებლის მუსიკის თეორიის დისციპლინების (1961-74) და II სამუსიკო სასწავლების (1974) მასწავლებელი; არის თსკ პედაგოგი (1971 წლიდან), დოცენტი (1981 წლიდან), პროფესორი (1988-2008). საქ. სახელმწ. ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვ. (1994 წლიდან); კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1997-2008). დაწერილი აქვს ბალეტი „ხევისბერი" (1982); სამი სიმფონია (1966, 1986, 2006). 7 ოპერეტა: „მეცხრე ტალღა" (1969), „შვიდნი ძმანი გურჯანელნი" (1973), „ბიჭუნა" (1979), „ცეკვის მასწავლებელი" (1982), „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" (1983), „კახელები ბამზე" (1985), „მეჩექმე გაბო" (1995); ინსტრუმენტული კონცერტები ორკესტრის თანხლებით: ფლეიტისთვის (1968), ჩელოსთვის (1969), ვიოლინოსთვის (I - 1972, II – 1973 , III - 2001) და სხვა; „ნოქტიურნი" დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის (1964), „რეტრო" ფორტეპიანოსთვის ორკესტრის თანხლებით (1996), „მოგონება", „რახმანინოვის ხსოვნას", „განშორება" – კამერული ორკესტრისათვის; ვოკალურ-სიმფონიური: „საქართველოვ, გამარჯობა შენ", „პოეტის ალსარება" (1996); კამერულ-ინსტრუმენტული: საფორტეპიანო ტრიო (1959), სონატები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1961), კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის (1976), ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის (1961), კვინტეტი სასულე საკრავებისთვის (1978), სონატა ორი ალტისთვის (1979); საფორტეპიანო კვინტეტი (2007), სიმებიანი კვარტეტი (1988-1999); მუსიკა 40-ზე მეტი სპექტაკლისთვის; კინოფილმებისთვის — „მზე შემოდგომისა", „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს"; აღდგენილი ფილმებისთვის — „ხანუმა", „ტარიელ მკლავაძის საქმე"; სატელევიზიო ფილმისთვის — „მე თვითონ"; საესტრადო სიმღერები: „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება", „პატარა გოგო", „დაუბერებელი ტანგო", „მზე ჩემი მეგობარია", „ისევ წვიმს", „დინამო",

„მუსიკა" და სხვ. არის საქარ. სახალხო არტისტი (1988); საქ. კომკავშირის (1974), საქ. მინისტრთა საბჭოს (1982), ი.გოგებაშვილისა (1998) და ზ.ფალიაშვილის (2003) პრემიების ლაურეატი. ღირსების ორდენის კავალერი (1996); ბორჯომის (1996), თბილისის (1996), ხობისა (1999) და იყალთოს (1999) საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"(ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა და ლიტერატურა; ფეხბურთი, კალათბურთი.
მისამართი: (ბინის) თბილისი 0177, ყაზბეგის გამზ. 20 ა, ბ. 33. ტელ: 39 80 62.
**მიმაჩნია, რომ ადამიანი მთელი არსებით უნდა ემსახურებოდეს თავის ერსა და ქვეყანას. იგი უნდა იყოს პატიოსანი, შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე. მთელი ცხოვრება ვცდილობდი მეცხოვრა ამ პრინციპით. ხალხთან შეხვედრისას ვგრძნობ მათ კეთილგანწყობასა და სიყვარულს ჩემი მოკრძალებული შემოქმედებისადმი, რაც უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ ტყუილად არ მილევანია. ამიტომაა, რომ ჩემი ცხოვრება არ წარმომიდგენია ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის გარეშე.**

## ზაზა აზმაიფარაშვილი



დირიჟორი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 16 ივნისს. მშობლები: ლიანა გომელაური, გივი აზმაიფარაშვილი; დაამთავრა თსკ საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1985), სანკტ-პეტერბურგის სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო-სიმფონიური დირიჟორობის ფაკ-ტი (1991). იყო საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი (1985-2004); ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხ. ხელმძღ. და მთ. დირიჟორი (2004-09). არის თსკ საოპერო მომზადების კათედრის დოცენტი. გამართული აქვს კონცერტები: მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, სტამბოლში (1992), ვალენსიაში (1994), პალერმოში (1995); ლეიდაში დადგმული აქვს მასკანის „სოფლის ღირსება". იყო დირიჟორი მოსკოვის დიდი თეატრის სპექტაკლებისა „ტრუბადური" და „ტრავიატა". თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული აქვს ვერდის ოპერები: „მაკბეტი", „აიდა", „რექვიემი", „ტრუბადური"; ო.თაქთაქიშვილის „მინდია"; ლეონკავალოს „ჯამბაზები". არის პროკოფიევის სახ. დირიჟორთა საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (სანკტ-პეტერბურგი, 1995). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში "International Who`s Who in classical music" (ინგლისი), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ი. აბაშიძის 68, თბილისი 0179. ტელ: 23 20 85. ელ-ფოსტა: azmaiparashvili@opera.ge

## ზურაბ აზმაიფარაშვილი



მოჭადრაკე. საერთაშორისო დიდოსტატი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 16 მარტს. მშობლები: ელენე ბეროზაშვილი, ალექსი აზმაიფარაშვილი; მეუღლე — მარინა მილორავა (1954); შვილები: თეა (1978), ელენე (1982), ზურაბი (1983). დაამთავრა სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტი (1981). იყო სსრკ ჩემპიონი მოსწავლეთა შორის (1978), ევროპის ჩემპიონატის II მფლობელი (1979), საქ. ჩემპიონი ვაჟთა შორის (1980), სსრკ ჩემპიონატის ნახევარფინალის გამარჯვებული (1982), ახალგაზრდული თამაშების ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1983, 1985); ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული (1993); „კრემლის ვარსკვლავების" ფინალური გათამაშებების (1994, 1995) და მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის (1996) მონაწილე; მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირის გამარჯვებული (1995); მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (1998); ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული (პერფორმანსით, 1998); ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (2001); ევროპის ჩემპიონი (2003 – საქ. ჭადრაკის ისტორიაში პირველი ჩემპიონი); ევროპის გუნდური ჩემპიონატის (2003) და ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (2003 – კლუბი „კისილიაკი", კლუბი „სარაევო"); საქ. ჭადრაკის ისტორიაში პირველმა დაიპყრო „საჭადრაკო ევერესტი" (პირადი რეიტინგი 2700-ზე მეტი); სხვადასხვა წლებში იყო მაკედონიის, აზერბაიჯანის და სინგაპურის

საჭადრაკო ნაკრებების მწვრთნელი. არის საბერძნეთის საკლუბო ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებული და თასის მფლობელი (ლეგიონერი); ლიტვის, ამერიკის, არგენტინის, გერმანიის, სლოვენიის, ესპანეთის, ჩინეთის, თბილისის, ჰავანის, ამსტერდამის, ლონდონის, მოსკოვის, ჰარარესა და სხვა საერთაშ. ტურნირების მონაწილე და გამარჯვებული; ყველა ნოკაუტსისტემით გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მონაწილე; საქ. ნაკრების ლიდერი; 7 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე (1992, 1994, 1996, 1998, 2000, 2002, 2004). მინიჭებული აქვს წოდებები: საერთაშ. ოსტატი (1984); საერთაშ. დიდოსტატი (1988); საერთაშ. ორგანიზატორი (2002); „სენიორ მწვრთნელი" (2004). იყო გარი კასპაროვის სეკუნდანტი (1987-94); იუდით პოლგარის (1995-96), ედიეტ ბაკროს (1998-99), თემურ რაჯაბოვის (2000-04) მწვრთნელი; საქ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (1998-2000); თანაპრეზიდენტი (2000-04); შავი ზღვის საჭადრაკო ასოც-ის პრეზიდენტი (1999-2005); ევროპის საჭადრაკო კავშირის გამგეობისა (2000-04) და ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატის კომიტეტის წევრია 2002 წლიდან. არის ფიდეს მოთამაშეთა კომიტეტის თავ-რე (2004 წლიდან). 2002 წლიდან არის ჭადრაკის საერთაშ. ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი. მისი ინიციატივითა და ორგანიზებით საქართველოში ჩატარდა: ბლიც-შოუ ჭადრაკში ელექტრონული დაფებისა და კომპიუტერების გამოყენებით (თბილისი, 1999); მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი (თბილისი, 1999); ევროპის გუნდური ჩემპიონატი (ბათუმი, 1999); ევროპის ქალთა პირველი საჭადრაკო ჩემპიონატი (ბათუმი, 2001); ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი (ბათუმი, 2002); მსოფლიოში პირველი საკონტინენტთაშორისო მატჩი „ევროპა-აზია" (ბათუმი, 2001); შავი ზღვის საჭადრაკო ფესტივალები (ბათუმი, 2000, 2001, 2002, 2003); მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატი (ელისტა, რუსეთი, 2004). არის ღირსებისა (2000) და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის (2003) ორდენების კავალერი. 2003 წელს მიენიჭა სპორტის რაინდის წოდება. მისი ბიოგრაფია შესულია ფიდეს ოქროს წიგნში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფორმულა 1.
მისამართი: (ბინის) ყიფშიძის ქ. 10, ბ. 21, თბილისი. ტელ: 25 07 70.
**დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრებისეული საწყისია სიკეთე. ერთადერთი ადგილი, სადაც მინდა, ვინმე დავთრგუნო, საჭადრაკო დაფაა. ადამიანებთან ურთიერთობაში არასოდეს ვეძებ რაიმე ანგარებას. ყოველთვის მაქვს სურვილი, შეძლებისდაგვარად, დავეხმარო სხვებს. მინდა, ისე ვიცხოვრო, რომ ჩემი სახელის გამო ჩემს შვილებს კარი არავინ მიუხუროს. ამავე დროს, შეძლებისდაგვარად, ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე უარს არ ვამბობ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, კარგი მუსიკა და ოჯახური სიმყუდროვე.**

## ათანასე (ანზორ ჩახვაშვილი)

რუსთავისა და მარნეულის მმართველი მიტროპოლიტი.



დაიბადა გურჯაანის რ-ნის სოფ. კარდენახში 1936 წ. 4 თებერვალს. მშობლები: სონია ტეტელოშვილი, იორამ ჩახვაშვილი. დაამთავრა ქვემო მაჩხაანის ზოოვეტ. ტექნიკუმი (1959), მცხეთის სასულიერო სემინარია (1967). აკურთხეს დიაკვნად (1967); თელავის ღვთაების წმინდა ტაძარში აკურთხეს მღვდლად და გაამწესეს სიღნაღის რ-ნის წმინდა ნინოს ეკლესიაში (1968); იყო თელავის ღვთაების ეკლესიის II მღვდელი (1970); გურჯაანის რ-ნის სოფ. ველისციხის მღვდელი (1971); დეკანოზი (1978); აღიკვეცა ბერად (1978); ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1978); იყო ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსი (1979-86); ბოდბელი მთავარეპისკოპოსი (1986-96); აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (1989); რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის მიტროპოლიტია 1996 წლიდან. დაჯილდოებულია წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენით (1980). 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმინდა გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) წმ. ვახტანგ გორგასლის მონასტერი, წმ. ნინოს ქუჩა, რუსთავი 3700. ტელ: 74 60 20.

## ალექსანდრე ალადაშვილი

ადვოკატი.



დაიბადა თბილისში 1943 წ. 1 მარტს. მშობლები: თამარ ჭედია, ვახტანგ ალადაშვილი; მეუღლე — მარინე კობახიძე; შვილები: მარინე (1964), თამარი (1972). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1967). იყო საქ. პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე (1969-74); იუსტიციის სამინისტროს უფრ. კონსულტანტი (1974-75); თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (1975-91); უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (1991-2001). არის დიდუბის რაიონის ადვოკატურის ადვოკატი 2001 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი, კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) წინამძღვრიშვილის 200, თბილისი. (ბინის) კოსტავას 75ა, I სად. თბილისი. ტელ: 44 55 17; 899 10 80 43.
**სამართლიანობა, პროფესიონალიზმი.**

## ალექსანდრე ალადაშვილი

ინტერვენციული კარდიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.
ექიმი. პროფესორი.



დაიბადა თელავში 1952 წ. 24 იანვარს. მშობლები: მუზა და ვახტანგ ალადაშვილები; მეუღლე — მარიამ ჭეიშვილი (1967); შვილები: ანა და ნანა (1997), ელენე (1998). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974); ბაკულევის სახ. გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინ-ტის ორდინატურა, ასპირანტურა (1978-83); დოქტორანტურა (1985-89); გაიარა სტაჟირებები გერმანიის კარდიოლოგიურ კლინიკებში ინტერვენციული კარდიოლოგიის დარგში (1998-2004). იყო თელავის რ-ნის ექიმი-თერაპევტი (1975-77); თსსი თერაპიის კათედრის პროფესორი (1989-94); თსუ თერაპიის კათედრის გამგე (1995-97). 1997 წლიდან არის ინტერვენციული კარდიოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი, პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია 1983 წელს, სადოქტორო — 1990 წელს. არის 60-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი. საქ. კლინიკურ პრაქტიკაში პირველმა ჩაატარა და ფართოდ დანერგა კორონაროგრაფიის, კორონარული ანგიოპლასტიკის და სტენტირების მეთოდი. დაჯილდოებულია საქ. სახელმწ. პრემიით (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ლუბლიანას 4, თბილისი. ტელ: 52 66 31.
**ოჯახის სიყვარული, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი.**

## ანდრო ალავიძე

თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე. იურისტ-ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1983 წ. 8 თებერვალს. მშობლები: ირინა კუროვსკაია, თენგიზ ალავიძე; მეუღლე — ნინო ბოჭორიძე (1986); შვილი — მარიამი (2008). დაამთავრა თბილისის ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწ. ინ-ტი ბიზნესის სამართლის სპეციალობით (2005); არის ამავე ინ-ტის დოქტორანტურის III კურსის სტუდენტი. არის თბილისის საკრებულოს წევრი და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავ-რე. 2001 წლიდან არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი. დაჯილდოებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მადლობის სიგელით (2002).

ჰობი: ცურვა, ჭადრაკის თამაში და კალათბურთი.
მისამართი: (სამსახური) თავისუფლების მოედანი 2. თბილისი. ტელ: 98 48 07. (ბინის) წმ. ნიკოლოზის ქ. 5, თბილისი 0102. ტელ: 95 18 60.
**ვიყო: სამართლიანი, თავმდაბალი, უბრალო და ზომიერი ადამიანი, ხოლო მიზანი ამ პრინციპების დამკვიდრებაა ჩვენს ყოფაში; ამ მიზნის განხორციელების მიზანი კი არის „რაა სიმდიდრე? ერთ საათში შეიძლება გაქრეს, რაა ტიტული? მაცდურ ბურანში გაჰხვევს, მე ხომ მხოლოდ ვეძიებ სახელს" , ხოლო იდეალი არის დავით აღმაშენებელი.**

## ირაკლი ალასანია



პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები" თავმჯდომარე. პოლიტიკური გაერთიანების — „ალიანსი საქართველოსთვის" თავმჯდომარე. იურისტი.

დაიბადა ბათუმში 1973 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: დოდო ანდღულაძე, მამია ალასანია; მეუღლე — ნათია ფანჯიკიძე (1971); შვილები: ნიკოლოზი (1992), ეკატერინე (1996). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1995); საქ. სახელმწიფო უშიშროების აკადემია (1996). იყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (1993-98) და საგარეო საქმეთა სამინისტროს (1998-2001) თანამშრომელი; სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე (2002-04); საქ. თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (2004); აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავ-რე, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში (2005-06); გაეროში საქ. მუდმივი წარმომადგენელი (2006-08). 2009 წლიდან არის პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები" თავ-რე. პ/გ „ალიანსი საქართველოსთვის" თავ-რე. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი (2006); არის თადარიგის პოლკოვნიკი (2003); ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი (2002).
ჰობი: მეცვლება ასაკთან ერთად. ვეცნობი ისტორიულ გამოცდილებას, წარსულის შეცდომები რომ აღარ გავიმეორო.
მისამართი: (სამსახურის) ჩერქეზიშვილის 4, თბილისი 0108. ტელ. 37 70 08; ელ-ფოსტა: i-alasania@ag.ge
**დაადგინო სიმართლე, მოძებნო სწორი გამოსავალი ყველაზე რთული ვითარებიდან, იმედით იარო მომავლისკენ.**

## ნანა ალექსანდრია



მოჭადრაკე. საერთაშორისო დიდოსტატი.

დაიბადა ფოთში 1949 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: შურა და გიორგი ალექსანდრიები; მეუღლე — ლევან ბოკერია (1944); შვილი — გიორგი (1972). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1972). იყო საქ. ტელევიზიის სპორტული პროგრამების და პროგრამა „ალიონის" სპორტული კომენტატორი (1976-95); ფიდეს ქალთა კომიტეტის წევრი (1986-2002); დიდოსტატთა საერთაშ. ასოც-ის ქალთა საბჭოს წევრი (1991-93); საქ. ჭადრაკის ფედ-ის ვიცე-პრეზიდენტი (1994-97); ფიდეს ცენტრ. კომიტეტის წევრი (1994-98). არის საქართველო-იუგოსლავიის მეგობრობის საზ-ბის თავ-რე (1995 წლიდან). იყო თბილისის საკრებულოს სპორტის ქვეკომიტეტის თავ-რე (1998-2002). არის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლის ვ.ქარსელაძის სახ. საჭადრაკო სკოლის დირექტორი. ევროსაბჭოში საქ. ელჩი სპორტში (2000 წლიდან). არის საერთაშ. დიდოსტატი ქალებში (1976), სსრკ დიდოსტატი (1983), ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1970); მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1975-78, 1981-84); მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1971, 1986); მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების 9 ოქროს მედლის მფლობელი (1969, 1974, 1978, 1980, 1982, 1986; ქალთა ნაკრები გუნდის კაპიტნის რანგში 3-ჯერ — 1992, 1994, 1996); საქ. და სსრკ მრავალგზის ჩემპიონი, საქ. ვიცე-ჩემპიონი ვაჟთა შორის (1980); დამფუძნებელი და პრეზიდენტი კლუბისა — „მერანი" (მოთამაშე კაპიტანი — I-II ადგილები ევროპის ქალთა I საკლუბო თასის გათამაშებაში, 1996) და ევროპის თასის ორგზის მფლობელი (2004, 2005); კლუბის — „ნტნ" (ნონა გაფრინდაშვილი, ტიგრან პეტროსიანი, ნანა

ალექსანდრია). დაჯილდოებულია საქ. უმაღლესი საბჭოს „საპატიო სიგელით" (1975), სსრკ ორდენით „Знак почета" (1981); არის ღირსების (1994, 2001), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2001) ორდენების კავალერი. გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი „ქართული გამბიტი" (1991). აქვეყნებს საჭადრაკო სტატიებს ქართულ და უცხოურ ჟურნალებში. არის ავტორი წიგნისა "8:8 — победа и порожение" („უგვირგვინო ყაიმი", 2005).
მისამართი:(სამსახურის) რუსთაველის გამზ. 6, თბილისი 0118. ტელ: 98 78 69; ფაქსი: (995 32) 98 78 84. (ბინის) ი.აბაშიძის 24ა. თბილისი 0179. ტელ: 22 41 61. ელ-ფოსტა: nana_chess@mail.ru

## გიორგი (გოგი) ალექსი-მესხიშვილი



საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 2 მარტს. მშობლები: თინათინ ფანიაშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი; მეუღლე — მაკა მიქაძე (1947); შვილი — ქეთევანი (1979). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბის თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების სახელოსნო (1967). იყო თსსა პედაგოგი, რუსთაველის თეატრის მხატვარი (1971-76), მთ. მხატვარი (1976); თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. მხატვარი; არის დორთმუნდის (აშშ) კოლეჯის პროფესორი; რუსთაველის, მარჯანიშვილის, თბილისის ოპერისა და ბალეტის, ახალციხის დრამატული თეატრების სპექტაკლების დამდგმელი მხატვარი. მისი საუკეთესო ნამუშევრებია: „კავკასიური ცარცის წრე", „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „ქალი-გველი", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „როგორც გენებოთ, ანუ შობის მეთორმეტე ღამე", „დონ ჟუანი", „და არს მუსიკა", „კარმენი", „ცეცხლოვანი ანგელოზი", „პიკის ქალი", „ოტელო" და სხვ. გამართული აქვს გამოფენები: თბილისში, ლენინგრადში, მოსკოვში (1982), (1994), ნიუ-იორკში, ერევანში — ფარაჯანოვის მუზეუმი (1993); სანტიაგოში — გალერეა „ნევსკი პეტერბურგი", „ბონინო გალერეაში" — ნიუ-იორკი (1994). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: საქ. თეატრის და კინოს მხატვართა, საქ. სახვითი ხელოვნების (მოსკოვი, 1987). მისი ნამუშევრები დაცულია ბახრუშინის თეატრალურ მუზეუმში (მოსკოვი), ი.გლინკას სახ. მუსიკალურ მუზეუმში (მოსკოვი), სეგ-ში, რუსულ მუზეუმში (პეტერბურგი); აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის კერძო კოლექციებში. არის საქ. დამს. მხატვარი (1981), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1979). მიღებული აქვს თეატრალური საზ-ბის პრემია წლის საუკეთესო თეატრალურ-დეკორაციული ნამუშევრისთვის (1973); საქ. მხატვართა კავშირის მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1981). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1968 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო"; ცნობარებში: „საქართველოს თეატრალური მხატვრები" (1997), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) თარხნიშვილის 13, თბილისი 0179. ტელ.: 23 15 91.

## ზაზა ალექსიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
ისტორიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თელავში 1935 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: ევგენია არჯევანიძე-ალექსიძე, ნიკოლოზ ალექსიძე; მეუღლე — მარინა გვეტაძე-ალექსიძე (1956); შვილები: ლელა (1960), ნიკოლოზი (1987), გიორგი (1989). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1958). იყო ხელნაწერთა ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1958-68); ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1968-79); თსუ არმენოლოგიის კათედრის გამგე (1979-2006) და ხელნაწერთა ინ-ტის დირექტორი (1989-2006). 2006 წლიდან არის ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის კოდიკოლოგიის დეპ-ტის ხელმძღვანელი, თსუ სრული პროფესორი და არმენოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი. არის გელათის მეცნ. აკადემიის დამფუძნებელი წევრი (1995). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ეპისტოლეთა წიგნი" (1968), სადოქტორო — „ადრეული შუასაუკუნეების კავკასიისა და საქართველოს კულტურისა და იდეოლოგიის პრობლემები"

(1984). არის 130 სამეცნ. ნაშრომისა და 15 წიგნის ავტორი, მათ შორის: „უხტანესის ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (1975); „არსენი საფარელის განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ (1979); „ატენის სიონის სომხური წარწერები“ (1978); „ატენის სიონის ოთხი წარწერა“ (1983); „ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები“ (1985); „ფრესკული წარწერები“ I, (1989); „ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე“ (1998), „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“ (2003); „მოქცევაი ქართლისაის ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები (თბილისი, 2007); "The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai. Monumenta Paleographica Medii aevi: Seria Ibero-Caucasica. Brepols" (2008. ტ2. თანაავტორები: ი. გიპერტი. ჟ.-პ. მაჰე, ვ. შულცი). არის ღირსების ორდენის კავალერი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1, თბილისი. ტელ.: 36 41 62. (ბინის) ვაჟა-ფშაველას III კვ. IX კორპ. ბ. 56. ტელ.: 32 20 26, 53 60 66. ელ-ფოსტა: zaza_alexidze@hotmail.com
**თუ კარგად გავაცნობიერებთ, აღმოჩნდება, რომ ყოველი ჩვენგანი ესწრაფვის მრავალი საუკუნის წინ ბიბლიაში იდეალურად ჩამოყალიბებული ათი მცნების მიხედვით ცხოვრებას. კონკრეტულად მე, რამდენადაც შემეძლო, ყველა ასაკსა და პირობებში ვცდილობდი შემენარჩუნებინა ჩემი პიროვნული ინდივიდუალობა და ღირსება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მეცნიერებაში.**

## ლევან ალექსიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. იურისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1926 წ. 5 ივლისს. მშობლები: თამარ და ანდრო ალექსიძეები; მეუღლე — თინათინ ქართველიშვილი (1926); შვილები: ანდრო (1954), გიორგი (1962). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1946). იყო თსუ ასისტენტი, უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1950-70); გაეროს ადამიანის უფლებათა დეპ-ტის ხელმძღვ. მუშაკი, განყ-ბის გამგე, ეროვნ. უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის მდივანი (1970-77); თსუ იურიდიული ფაკ-ტის პროფესორი (1977-92); საქ. პარლამენტის წევრი (1990-92); საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტის საერთაშ. სამართლის კათედრის გამგე (1992-2005); საქ. პრეზიდენტის მთ. მრჩეველი საერთაშ. სამართლის საკითხებში (1994-2003). 2005 წლიდან არის თსუ იურიდიული ფაკ-ტის საერთაშ. სამართლის ინ-ტის პროფესორი. არის რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიის წევრი (1999 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გაეროს უშიშროების საბჭო“ (1950), სადოქტორო — „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი XV-XVIII საუკუნეებში“ (1964). არის 120 სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის, 20 მონოგრაფიის და 2 სახელმძღვანელოს ავტორი; საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1986); მრავალი საერთაშ. კონფერენციის მონაწილე. კითხულობდა ლექციებს აშშ, ჟენევის, ტოკიოს, ბერლინის უნ-ტებში; ჰააგის საერთაშ. სამართლის აკადემიაში; მოსკოვში, კიევში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში. მონაწილეობდა აფხაზეთის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებებში ჟენევაში, ნიუ-იორკსა და მოსკოვში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ფრენბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 3, კორპ.2, ოთ.134, თბილისი 0128. ტელ./ფაქსი: 22 23 93. (ბინის) დოლიძის 19, ბ.16, თბილისი. ტელ.: 33 52 11. ელ-ფ.: llalexidze@yhoo.com
**გულწრფელობა, არჩეული საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულება, პრინციპულობა მოკამათე მხარის თანამდებობისა და რანგის მიუხედავად. ადამიანური დამოკიდებულება ყველას მიმართ, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა და რანგისა.**

## ნუგზარ ალექსიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბიოლოგი. პროფესორი.

დაიბადა სენაკში 1935 წ. 9 ივნისს. მშობლები: ქეთო და გიორგი ალექსიძეები; მეუღლე — დარეჯან ფხაკაძე (1943); შვილი — დავითი (1966). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1959). იყო ი.თარხნიშვილის სახ. სტიპენდიანტი. იყო თსუ ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე (1973-2007). არის თსუ მედიცინისა და ბიოლოგიის სპეციალობების სამეცნ. და სასწავლო საქმიანობის კოორდინაციის კონსულტანტი (2000 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თავის ტვინის ინტეგრალური მოქმედების მოლეკულური და უჯრედული მექანიზმები" (1978). მიენიჭა პროფესორის წოდება (1979). გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის 8 სახელმძღვანელო, 4 მეთოდური მითითება და მონოგრაფიები: „ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია სტომატოლოგებისათვის" (2005), „ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები" (2006), „მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლების შესახებ" (თანაავტორი პ.ქომეთიანი, 1966), „თავის ტვინის ინტეგრალური მოქმედების მოლეკულური და უჯრედული მექანიზმები" (1988), „ნეიროქიმიის საფუძვლები" (1993), „ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები" (1994), „ეკოლოგიური კატასტროფები" (1997), „ეკოლოგიური ბიოქიმიის საფუძვლები" (1999) და სხვა. არის 18 გამოგონების ავტორი. 1988 წლიდან არის საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის წევრი; იყო სსრკ ბიოქიმიკოსთა საზ-ბის პრეზიდიუმისა და ეროვნ. კომიტეტის წევრი. არის მედიკო-ბიოლოგიის (1994), ეკოლოგიის (1995), ეგრისის (1996) აკად-ების აკადემიკოსი; ევროპის ნეიროქიმიკოსთა საერთაშ. საზ-ების წევრი (1994); საერთაშ. ჟურნალების „Neqroxim", „Georgian Neuroscience" და საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის ჟურ. „მაცნეს" სარედაქციო კოლეგიის წევრი; თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშ. ორგანიზაციის წევრი (IBRO, 1996); სოროსის ფონდის პროფესორი (1995); საქ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის წევრი (1999); საქ. ბიოქიმიკოსთა საზ-ების პრეზიდენტი (1992); საქ. ბიოქიმიკოსთა არასამთავრობო ასოც-ის პრეზიდენტია 2002 წლიდან. იყო საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის ბიოლოგიის განყ-ბის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე (1999 წლიდან); 2008 წლიდან არის ბიოლოგიის განყ-ბის ბიუროს წევრი. 2001 წელს არჩეული იქნა ევროპის მეცნ. საერთაშ. ასოც-ის ნამდვილ წევრად. არის საქ. ეროვნ. აკად-თან არსებული ბიოტერორიზმთან ბრძოლის (2005 წლიდან); ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის (2007 წლიდან) და თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი; 2008 წლიდან — საპატრიარქოსთან არსებული სამეცნ. ინოვაციური საბჭოს დამფუძნებელი. ნაშრომისთვის „ნეიროქიმიის საფუძვლები" მიენიჭა თსუ სახელმწ. სამეცნ. პრემია (1997). დაჯილდოებულია ივ.ჯავახიშვილის მედლით (1976, 1995), ორდენით "Знак почета" (1986), გამომგონებლის (1988), შრომის ვეტერანის (1990), ევროპის ბიოქიმიკოსთა საზ-ების ფედერაციის (1984), ა.პალადინის სახ. (1984) მედლებით; აკად. პ.ქომეთიანის სახ. პრემიით (2002); საქ. საპატრიარქოს სიგელით (2007); არის ღირსების ორდენის კავალერი (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში "Who's Who" (აშშ, 1996), „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" 92006); ენციკლოპედიაში „საქართველო" (1997). ABI-ის მიერ აღიარებული იყო „წლის ადამიანად" (1997, 2005). კემბრიჯის ინტერნაციონალური ბიოგრაფიული ცენტრის მიერ — „საუკუნის ადამიანად" (1999); შეყვანილია მსოფლიოს 500 გამოჩენილ მეცნიერთა სიაში.

ჰობი: მუსიკა, ნადირობა, თევზაობა.

მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი 0128. ტელ: 30 39 97. (ბინის) აბანოს 23. თბილისი 0105. ტელ: 72 26 07 ელ-ფოსტა: nugzar_alcksidze@yahoo.com

**შრომა, პატიოსნება და სინდისი.**

## ლელა ალიბეგაშვილი



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები: ნინო გივიშვილი, როდენ ალიბეგაშვილი; მეუღლე — პაატა სიამაშვილი (1961); შვილი — თამაზი (2002). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). 1986 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „საშობაო სიზმარი",

„სამგვარი სიყვარული", „მერი პოპინსი", „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", „შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ", „სისხლიანი ქორწილი", „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი" და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „სურამის ციხე", „ფიროსმანი". მიღებული აქვს პრემიები: „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოები", ლილიენის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „საშობაო სიზმარი" (1994) და ნიას როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი" (1997); რუსთავის საერთაშ. თეატრალური ფესტივალ „ოქროს ნიღაბის" პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1999). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. კითხვა. ცეკვა. ყვავილების შეგროვება და მოვლა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. (ბინის) ყაზბეგის 20ა. ტელ: 39 57 13; 39 88 98.
**გულისხმიერება, პრინციპულობა, გულწრფელობა, სიკეთისადმი სწრაფვა. პრინციპულად მიუღებელია: მლიქვნელობა, თვალთმაქცობა, ფანატიზმი. მაქსიმალურად ვცდილობ, ვიყო ობიექტური ანუ სამართლიანი, რადგანაც თავად სრულიად ვერ ვეგუები უსამართლობას. ვოცნებობ, ჩემი შვილი და მისი თაობა გაიზარდოს ჩვენზე გაცილებით გონიერი — ღვთის მოშიში და მოყვარული და აქედან გამომდინარე უფრო ბედნიერიც, რადგანაც რწმენა არის საფუძველი ზნეობისა, კაცთმოყვარებისა და ჭეშმარიტი განათლებისა.**

## ნუკრი (ნუგზარ) ალხაზაშვილი



არქიტექტორი. არქიტექტურის რესტავრატორი. ხელოვნებათმცოდნე. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1936 წ. 10 აპრილს. მშობლები: კალერია ცქიტიშვილი, ნიკოლოზ ალხაზაშვილი; შვილები: დაჩი (1982-2008), მარიამი (1990). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1961), გ.ჩუბინაშვილის სახ. ინ-ტის ასპირანტურა (1972); მუსიკალური სასწავლებელი; მოსკოვის „ლუმუმბას ინ-ტი" (გერმანული, 1981). იყო „საქქალაქმშენსახპროექტის" და „თბილზნიიეპის" არქიტექტორი (1962-65); „რესტავრაციის სამმართველოს" არქიტექტურის რესტავრატორი (1965-78). 1967 წლიდან არის გ.ჩუბინაშვილის სახ. ინ-ტის მეცნ-მუშაკი. ხელმძღვანელობდა „დავით გარეჯას სახელმწიფო კომისიას" (1968-72). იყო მეცნ. აკად-ის პრეზიდიუმის სამეცნ.-მეთოდური საბჭოს სწავლული მდივანი (1973-78); მისივე კონცეფციით შექმნილი „მცხეთის ისტორიული ნაკრძალის" გენ. დირექტორი (1975-76); ძეგლთა რესტავრაციისა და ადაპტაციის სამმართველოს უფროსი და საქ. საპატრიარქოს მთ. არქიტექტორი (1978-82); კულტურის უნ-ტში მისივე კონცეფციით შექმნილი სამეცნ.-კვლევითი განყ-ბის ხელმძღვანელი (1995-2005); თბილისის არქიტექტურის სამმართველოს კვლევის ცენტრის წამყ. სპეციალისტი (2000-02). არის 3 მონოგრაფიის, 21 კონცეფციის, „ძეგლთა დაცვის" შესახებ კანონპროექტის, 35 მოხსენების, 63 სტატიისა და 14 რეცენზიის ავტორი, მათ შორის: „ბოლნისის სიონის თავდაპირველი არქიტექტონიკა". ავტორია რამდენიმე ათეული ძეგლის რესტავრაციისა, მათ შორის: ვაჩნაძიანის გუმბათიანი „ყველა წმიდის", „კაზრეთის სამების", „რუხის ციხის", „შატილის", ხირსის „სტეფანწმინდის" და სხვ.; არქიტექტურული პროექტებისა: სულხან-საბა ორბელიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი (სოფ. ტანძია), კაფე კლუბი „არგო" (ქუთაისი), მემორიალი „უსაფლავო მთაწმინდელები" და სხვ. მისი „თბილისის სინაგოგის" მაკეტი დაცულია იერუსალიმის მუზეუმში. 1965 წელს პირველმა დაიწყო დავით გარეჯას სამონასტრო კომპლექსების განმენდა-გამაგრება და აღდგენა. ხელოვნების მუზეუმში დაცულია მის მიერ ჩამოტანილი მეფე თამარის, ლაშა გიორგის, ღვთისმშობლის და სვიმონ მესვეტის „დავით გარეჯას კომპლექსის" ფრესკები (1971). გამართული აქვს გამოფენები; არის დოკ. ფილმის სცენარისა და ჰერალდიკის სიმბოლიკის ავტორი; შესრულებული აქვს მთ. როლები კ/ფ-ებში: „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" (ვეფხია) და „ნინო" (ვახტანგი); არის არქიტექტორთა გამოფენა-კონკურსების, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშ. და ადგილობრივი სიმპოზიუმების და სესიების, ევროპის საერთაშ. საუნივერსიტეტო ცენტრის სემინარების მონაწილე. არის განათლების მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი; სპორტის ოსტატი (კალათბურთი); მოსწავლეთა სასახლის საპატიო წევრი; სოფ. ტანძიის საპატიო მოქალაქე; სხვადასხვა კავშირების, სამეცნ-მეთოდური და სამხატვრო საბჭოების, საზ-ბების წევრი. არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი. იყო უზენაესი საბჭოს არჩევნების მონაწილე (1991).
მისამართი: (ბინის) თბილისი, ნუცუბიძის 127.

## გივი ალხაზიშვილი



მწერალი.

დაიბადა თელავში 1944 წ. 26 მაისს. მშობლები: იზა კაპანაძე, ივანე ალხაზიშვილი; მეუღლე — ქეთევან მასხარაშვილი (1948); შვილები: მარიამი (1969), ლაშა (1976). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1969). იყო ჟურ. „ცისკრის" კრიტიკისა და პუბლიცისტიკის, პოეზიის განყ-ზების გამგე; გამომც. „მერანის" მთ. რედაქტორი (1989-99); დირექტორ-გამომცემელი (1999-2003). არის გამომც. „ლომისის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (1990 წლიდან); კულტურის სახელმწ. ინ-ტის ლიტ. დაოსტატების სახელოსნოს ხელმძღვანელი (1997 წლიდან); „რჩეულთა ბიბლიოთეკის" დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (რ.ჩხეიძესთან ერთად). იყო გამომცემლობა „მერანის" ალმ. დირექტორი (2004-06). არის ავტორი წიგნებისა: „დიალოგი ფიქრში" (1981), „შენ ყოველივეს ხედავ, ცაო" (1985), „გული ანათებს" (1989), „სინათლე წვეთში" (1996), „გამოსვლა უდროობიდან" (1998), „ერთტომეული" (1998), „ამოდის თუ ჩადის მზე?!" (რომანი, 1999), „სოდომიდან სოდომამდე" (რომანი, 1999), „რკინის კარს აქეთ და იქით" (2003), „სიტყვებში გახიზნული ფიქრები" (ესსები, 2004); ლექსების კრებულებისა: „გაღწევის სურვილი" (2005), „ქორონიკონი" (2006), „ქორონიკონი 2007 წ." (2008); მხატვრულ-დოკუმენტური რომანისა „მომავალი-წარსული" (2009). თარგმნილი აქვს ფეტის, სოლოვიოვის, ბელის, ბლოკის, რილკეს, შიმბორსკას, არგეზის და სხვათა ლექსები. აქვეყნებს ლიტერატურულ-ესეისტურ ოპუსებს. არის აკ.წერეთლის სახ. და საქ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა, მცენარეების მოვლა.

მისამართი: (ბინის) გიორგი ბრწყინვალეს 41, ბ. 65. თბილისი. ტელ: 53 46 99, 899 320404.

**„სამყარო გაშლილი წიგნია" (მალარმეს მეტაფორაა), რაც თავი მახსოვს, ამ უმთავრეს წიგნს ვკითხულობ და ვსწავლობ. თუ უფრო ჩავწვდებით ამ მოსაზრებას, იგი ამავე დროს გულისხმობს საკუთარი სულისა და სისხლის კითხვასაც, თამაშსაც, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი შემოქმედება, მეტადრე მწერლობა. ყოველი ახალი წიგნი განვლილი ეტაპია, ახლის ძიებას მუდამ სხვაგან მივყავარ, ყველაფერს ნულიდან ვიწყებ.**

## რატი ამაღლობელი



პოეტი.

დაიბადა თბილისში 1977 წ. 30 მარტს. მშობლები: ნანა ორახელაშვილი, ბორის ამაღლობელი; მეუღლე — ლელა ცისკარიშვილი (1979); შვილი — დაჩი (2004). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (2000). იყო თბილისის მე-6 გერმანული გიმნაზიის რელიგიის ისტორიის პედაგოგი (1998-2000); საქ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (მენეჯერი). არის ავტორი წიგნებისა: „ზმნა" (2000), „თუ" (2003), „წრე" (2005); ლიტერატურული პრემია — „საბა"-ს ლაურეატი (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ფეხბურთი, სამთო-სათხილამურო სპორტი.

ელ-ფოსტა: ratiama@yahoo.com

**„კეისარს კეისრისა, ღმერთს ღმრთისა".**

## ამირან ამირანაშვილი



მსახიობი.

დაიბადა ქ. ბათუმში 1955 წ. 19 მაისს. მშობლები: მარიამ ზოიძე-ამირანაშვილი, ნოდარ ამირანაშვილი; მეუღლე — ნატა უთმელიძე (1953); შვილები: სოფო (1989), ანა (1991). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1976). მუშაობდა კინომსახიობთა თეატრში (რეჟისორი-პედაგოგი მ.თუმანიშვილი, 1975-93); 1993-2002 წლებში პიტერ ბრუკის მიწვევით მუშაობდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში: სარა ბერნარის თეატრი (პარიზი), თეატრი „შაიო" (პარიზი), ბრეტონის ნაციონალური თეატრი (ქ. რენი); კომედი დე ჟენევი (შვეიცარია), კლებერ მელო-ლოზანა (შვეიცარია); ბრიუსელის ნაციონალური თეატრი (ბელგია). მუშაობდა რუსთაველისა (2002) და მარჯანიშვილის (2008) თეატრებში. ითამაშა შემდეგ სპექტაკლებში: კინომსახიობთა თეატრი — მოლიერი, „დონ ჟუანი" (1981-90); ა.ცაგარელი, „ჭკუისა მჭირს" (1990); დ.კლდიაშვილი, „დარისპანის გასაჭირი" (1991); შექსპირი, „ზაფხულის ღამის სიზმარი" (1992) და სხვა. რუსთაველის თეატრი — ს.ბეკეტი, „გოდოს მოლოდინში" (2003); მარჯანიშვილის თეატრი — მოლიერი, „ძალად ექიმი" (2008); საფრანგეთში: რ.გაბრიაძე, „ქუთაისი" (1994); ჰ.მიულერი, „ფილოქტეტი" (1995); ფ.კაფკა, „გამოსასწორებელ კოლონიაში" (1997); გოგოლი, „რევიზორი" (1998); ვოლიერ დრომესკო, „ბარაკი" (2000); შექსპირი, „ოტელო" (2002). გადაღებულია ფილმებში: „ბელურების გადაფრენა" (1976); „სიყვარული ყველას უნდა" (1978); „მონანიება" (1983); „ყაჩაღები –თავი VII" (1996); „ინ ვინო ვერიტას" (1999); „ორშაბათი დილა" (2001); „მეშვიდე დღე" (2005). არის მადრიდის, ედინბურგის, პერტის, ადელაიდას, კარაკასის, ბოგოტას ფესტივალების ლაურეატი (სპექტაკლი „დონ-ჟუანი", 1981-90) . დაჯილდოებულია პრიზით მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დანკერკის (საფრანგეთი) კინოფესტივალზე; ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის დიდი პრიზით (1996) ფილმისათვის „ყაჩაღები-თავი VII -- (რეჟ. ო. იოსელიანი). არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ატენის ქ. 6/8, თბილისი. ტელ: 22 07 21.
**რეჟისორები, ვისთანაც ვითანამშრომლე და ვინც კვალი დატოვა ჩემს შემოქმედებაში: მ.თუმანიშვილი, პ.ბრუკი, ო.იოსელიანი, რ.გაბრიაძე, მ.ლანგჰოფი, თ.აბულაძე, რ.სტურუა. შევქმნა მხატვრული სახე და მისი საშუალებით გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ადამიანის, საზოგადოების და სამყაროს მიმართ.**

## მედეა ამირანაშვილი



საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი

დაიბადა თბილისში 1930წ. 14 მაისს. მშობლები: ნადეჟდა ცომაია, პეტრე ამირანაშვილი; მეუღლე — ოთარ ფარულავა; შვილი — მარინა (1964). დაამთავრა თსკ (სოლო-სიმღერა). იყო ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი (1954-92); არის ქუთაისის მ.ბალანჩივაძის სახ. ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1991 წლიდან); თსკ პროფესორი. შესრულებული აქვს მთავარი პარტიები ოპერებში: „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „აიდა", „ოტელო", „ტრავიატა", „ტრუბადური" და სხვა. გახმოვანებული აქვს ფილმები: „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ჭრიჭინა". არის საქ. და სსრკ სახალხო არტისტი, ფალიაშვილის, გლინკას (მოსკოვი) სახ. საერთაშ. პრემიების ლაურეატი; თეატრალური საზ-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია საქართველოსა და სსრკ ენციკლოპედიებში; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მანქანის ტარება. ასტრონომია.
მისამართი: (სამსახურის) თსკ, თბილისი; ქუთაისის ოპერის თეატრი. (ბინის) კოსტავას 63, თბილისი.
**საქმის პროფესიონალიზმი, მეგობრებთან და საზოგადოებასთან კეთილი, სინდისიერი, სამართლიანი დამოკიდებულება.**

## თენგიზ ამირეჯიბი



მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი.
საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1927 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: ნინო ავალიშვილი, კონსტანტინე ამირეჯიბი; მეუღლე — გამერა გოგია (1938); შვილები: დავითი (1954), კონსტანტინე (1964). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორია (1951); თსკ ასპირანტურა. არის თსკ პროფესორი. იყო თსკ ფორტეპიანოს კათედრის გამგე (1957-2006). გამართული აქვს კონცერტები აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და სსრკ თითქმის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქში. მისმა მოწაფეებმა — მ.დოიჯაშვილი, ე.ბოლქვაძე, ალ.კორსანტია, თ.გურევიჩი, ხ.ბუნიათიშვილი, ნ.ასტახიშვილი, გ.ნადირაძე, დ.დავლიანიძე, ა.ყანჩაველი, ქ.ქართველიშვილი, მ.ჯაჯანიძე, თ.ლიჩელი — 12 საერთაშ. კონკურსზე მიიღეს ლაურეატის წოდება. არის საქ. სახალხო არტისტი, საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი.
ჰობი: ძველებური ნივთების, ხელოვნების ნიმუშების აღდგენა-შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) თბილისი. გრიბოედოვის 8, 0108. ტელ: 93 52 80. (ბინის) ნინოშვილის 20, თბილისი 0112. ტელ: 95 67 09.
**ხელოვნება მწამს ღრმა და შინაარსიანი. ვაფასებ ბუნებრიობას, სისადავეს, უშუალობას. ვფიქრობ, რომ ხელოვანი არ უნდა იყოს გატაცებული თვითწარმოჩენის სურვილით, მხოლოდ პროფესიის ღრმად ფლობა ნიჭიერებასთან ერთად ქმნის შემოქმედის ინდივიდუალურ სახეს.**

## მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი



მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1921 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მარიამ ნაკაშიძე-ამირეჯიბისა, ირაკლი ამირეჯიბი; მეუღლე — თამარ ჯავახიშვილი (1937); შვილები: მანანა (1946), ლეილა (1949), ირაკლი (1963-92), ლაშა (1964), ქუცნა (1967), შალვა (1970). დაამთავრა თბილისის პედ. ინ-ტის სამი კურსი. იყო არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია„თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. 1944 წ. შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით მიესაჯა პატიმრობის 25 წელი. ექვსჯერ გაიქცა პატიმრობიდან, ორჯერ მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. გათავისუფლდა 1959 წელს. პატიმრობის 16 წლის მანძილზე იყო ტყის მჭრელი, ჩრდ. ოსეთის სატყეო კომბინატისა (1945-47) და ბელორუსიის სატყეო მრეწვ. სამინისტროს ტყის გადამამუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი (1947-50). გათავისუფლების შემდეგ იყო საქართველო-აშშ ერთობლივი საწარმოს „ამსაქფილმის" დამაარსებელი და დირექტორი (1970-74); ალმანახ „კინოს" დამაარსებელი და რედაქტორი; საქ. სახკინოს სარეკლამო-საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი (1969-72), კ/ს „ქართული ფილმის" მეორე გაერთიანების მთ. რედაქტორი (1972-76), კ/ს „მემატიანეს" დირექტორი (1983-89); საქ. სახელმწ. საბჭოსა და პარლამენტის წევრი (1991-95); საქ. თავდაცვის ფონდის თავ-რე (1992-95); ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოც. „ივერიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავ-რე (1999); გაზ. „განახლებული ივერიის" დამაარსებელი და მთ. რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული პუბლიცისტური სტატია (1976-98), მოთხრობების სამი კრებული (1965-68), საბავშვო იგავ-არაკების კრებული „თაფლის წვეთი" (1967); რომანები: „დათა თუთაშხია" (1972), „გორა მბორგალი" (1996), „გიორგი ბრწყინვალე" (2003). 2007 წელს გამოიცა მისი ლიტერატურული, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებისა და მოგონებების კრებული „ნაფიქრალიდან", 2008 წელს — კრებული მოზარდთათვის „საწყისი". მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 30-მდე ენაზე. არის სსრკ სახელმწ. (1979), რუსთაველის (1995), ჟურნ. „ზნამიას" (რომანისათვის „გორა მბორგალი" 1996), რუსეთის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის („ნაწარმოებისათვის, რომელიც აახლოვებს ხალხებს", 1996) პრემიების, „თბილისის გაზაფხულის" დიდი პრიზის (1997), საქ. სახელმწ. (1999), დ.გურამიშვილის სახ. (2008) პრემიების ლაურეატი; ხელოვნების დამს. მოღვაწე (1985); ღირსების ორდენის კავალერი (1995); არის საქ. მწერალთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი (1965 წლიდან), მსოფლიოს ნამყვან „ინტელექტუალთა საზ-ბის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი

(1998). მისი ბიოგრაფია შესულია კემბრიჯის (IBC, 1997) და აშშ (ABI. 1998) ბიოგრაფიულ ცნობარებში, ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"(ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); არის ნობელის პრემიის სამგზის ნომინანტი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხისა და დიდგორის ორდენების კავალერი; ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა ლიტ. პრემია „საბა" (2009); 2009 წლის 10 მაისს საქართველოს საპატრიარქომ გადასცა „წმინდა გიორგის" ორდენი.
მისამართი: (ბინის) თამარაშვილის ქ. VIII კ., ბ.44, თბილისი. ტელ: 23 00 83. ფაქსი: 23 06 75.
**„ღმერთო არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მიჭირდეს მხოლოდ მე". („გორა მბორგალი"). „ზნეობრივი იდეალი შეიცავს სახარების ათ მცნებას, ოთხ სათნოებას: ვაჟკაცობას, სამართლიანობას, თავშეკავებასა და გონიერებას". („გორა მბორგალი").**

## ნათია ამირეჯიბი

კინომცოდნე.



დაიბადა თბილისში 1934 წ. 29 იანვარს. მშობლები: მარიამ ნაკაშიძე, ირაკლი ამირეჯიბი; მეუღლე – ზურაბ კაკაბაძე (1926); შვილები: ირაკლი (1969), ნინია (1974). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1957), მოსკოვის ხელოვნების სამეცნ. ინ-ტის ასპირანტურა (1965). იყო ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კ/ს რედაქტორი (1958-61); საქ. კინემატოგრაფიის კომიტეტის უფრ. რედაქტორი (1966-70). 1970 წლიდან მუშაობს თსთ-ში. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული უხმო კინოხელოვნების ძირითადი შემოქმედებითი ტენდენციები" (1978). სადოქტორო — „ადამიანის მრავალსახეობა ეკრანზე" (2005). არის ავტორი წიგნებისა: "На экране Грузинского кино" (1978), „დროთა ეკრანი" (1990), „სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე", „კინორეჟისორი — ოთარ იოსელიანი" (2003), „ადამიანის მრავალსახეობა ეკრანზე"(2009), „კინორეჟისორი — თენგიზ აბულაძე" (2009). არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1965 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. ტელ: 99 07 40. (ბინის) ტელ: 93 65 62.
**ცხოვრების მიზანია დედობა, ადამიანისადმი უანგარო სიყვარული და თანაგრძნობა, მიყვარს ჩემი პროფესია, მომავალ თაობასთან ურთიერთობა, ვცდილობ საკუთარი თავისადმი და სხვისადმი სამართლიანი კრიტიკოსი ვიყო. არ მიყვარს კარიერისტები და დიქტატორები.**

## ანანია (თენგიზ ჯაფარიძე)

მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი.



დაიბადა ტყიბულში 1949 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: პისტი ხორხომელიძე, ანატოლი ჯაფარიძე; დაამთავრა სპი ელექტრომექანიკისა და კავშირგაბმულობის ფაკ-ტი (1974). ალიკვეცა ბერად (1979), კურთხეულ იქნა მღვდლად და თბილისის წმ. სამების ტაძრის წინამძღვრად. მიენიჭა იღუმენის (1980), არქიმანდრიტის (1981) ხარისხი. აკურთხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველად (1981). მართავდა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიას (1982-92); იყო საფინანსო განყ-ბის თავ-რე (1988-92); ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი (1983-92); ახალციხის სასულიერო სემინარიის რექტორი (1990-92); მანგლისის ეპისკოპოსი (1992-96); მთავარეპისკოპოსი (1996-2002); სტუ თეოლოგიის კათედრის (2002-07) და 2007 წლიდან — სტუ თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის — გამგე. 2002 წლიდან არის მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტი. არის ისტორიის მეცნ. კანდიდატი (1999) და დოქტორი, პროფესორი — 2003 წლიდან; რამდენიმე წიგნისა და სამეცნ. გამოკვლევის ავტორი, მათ შორის: „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე" (1994), „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია"(1996-2003), „ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად"(2001), „სიბრძნის ხიდი მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის"(2002), „მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ

ეპისკოპოსთა მონაწილეობით" (2003), „წმინდა ნინოს ცხოვრება" (2004), „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია"(2007), „ლევან II დადიანი „ხელმწიფე ივერიისა" (2008). ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა დარგში ორი სადოქტორო დისერტაციის მომზადებას თემებზე: „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია VI-XI საუკუნეებში", „საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ჩამოყალიბების კვლევა". არის ქართული ენისა და დიალექტების შემსწავლელი სამეცნ. საბჭოს თავ-რე (2005); რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის უცხოელი წევრი (2005). დაჯილდოებულია წმ. მარკოზისა და წმ. სინოდის ორდენებით; არის გიორგი შერვაშიძის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2001). 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
ანგელოზის დღე — 1 (14) ოქტომბერი (ანანია მოციქულის ხსენება).
მისამართი: მანგლისის საკათედრო ტაძარი, მანგლისი 2309. ტელ: (995)32 33 24 73, (995)32 34 21 50; (995) 99181097.

## ნინო ანანიაშვილი



ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი. ვ.ჭაბუკიანის სახ. საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი. ბალერინა.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 19 მარტს. მშობლები: ლია გოგოლაშვილი, გედევან (ვახტანგ) ანანიაშვილი; მეუღლე — გრიგოლ (გია) ვაშაძე (1958); შვილი — ელენე (2006). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. ქორეოგრაფიული აკადემია (1981). იყო საზ-ბრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2005-07). იყო მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი (1981-83) და ამავე თეატრის პრიმა-ბალერინა (1985-2004). დიდი თეატრის სცენაზე შესრულებული აქვს 60-ზე მეტი პარტია, მათ შორის, მთ. პარტიები ბალეტებში: „გედების ტბა", „მძინარე მზეთუნახავი", „ჟიზელი", „რომეო და ჯულიეტა", „რაიმონდა", „დონ კიხოტი", „კორსარი", „მაკნატუნა", „ბაიადერა", „ოქროს საუკუნე", „სილფიდა", „შოპენიანა", „პატარა პრინცი" და სხვა. მონაწილეობდა დიდი თეატრის შემდეგ პრემიერებში: „ჟიზელი"; „მოცარტიანა" და „სიმფონია დო მაჟორი"; „დონ კიხოტი"; „ფარაონის ასული" და „ოპუს X" (1996-2002). 1993 წლიდან არის ამერიკული თეატრის (ABT) მიწვეული პრიმა-ბალერინა. მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე შესრულებული აქვს წამყვანი პარტიები, მათ შორის: ჯორჯ ბალანჩინის, ენტონ ტუდორის, მარკ მორისის და სხვათა წარმოდგენებში. მისთვის შეიქმნა წამყვანი საბალეტო პარტია ოპერაში „მლადა". მისთვის დაიდგა შემდეგი ბალეტები: ალექსეი რატმანსკის „მანიერიზმის მშვენიერებანი", „სიზმრები იაპონიაზე" და „ლეა"; სტენტონ უელშის "Green" და თრეი მაკინტაირის „ნამი გარდასახვამდე". მის შესახებ გადაღებულია ფილმები: "Такой короткий век" (სსრკ, 1989); "Все проходит как миг" (რუსეთი, 1992); „მოკლე დრო" (საქ., 1992); „ანანიაშვილი დიდ თეატრში" (დიდი ბრიტანეთი, BBC. 1986,) და სხვა; მონაწილეობდა მხ. ფილმში „აურზაური სალხინეთში" (1974); ფილმ-ბალეტში „ფასკუნჯი" (1993). სხვადასხვა დროს იყო დიდი ბრიტანეთის და დანიის სამეფო თეატრების მიწვეული პრიმა-ბალერინა. დღემდე ერთადერთი ქართველი მოცეკვავეა, რომელიც მიწვეული იყო „ნიუ-იორკ ბალეტში", დიდი ბრიტანეთისა („კოვენტ-გარდენში") და დანიის სამეფო თეატრებში. ჰქონდა გასტროლები აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, არგენტინაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ბელგიაში, რუსეთის მრავალ ქალაქში, საქართველოში და სხვა. არის საქართველოს (1988) და რუსეთის (1995) სახალხო არტისტი; ზ.ანჯაფარიძისა და რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი; ვარნისა (1980) და მოსკოვის (1985) საბალეტო კონკურსების ოქროს მედლისა და „გრან პრის" მფლობელი (მოსკოვი, 1981); ჯექსონის (აშშ) საბალეტო კონკურსის „გრან პრის" მფლობელი (1987). არის რუსეთის ეროვნ. პრიზის „ტრიუმფისა" (1992) და საფრანგეთის პრინცესა მარია დე ბურბონის მიერ დაწესებული პრემიის — „ოქროს ქალღმერთი" ლაურეატი (1999). არის ჟურ. "Dance Magazine"-ის პრიზის მფლობელი (2002). 2004 წლიდან არის ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სამხ. ხელმძღვანელი და ვ.ჭაბუკიანის სახ. საბალეტო ხელოვნების სახელმწ. სასწავლებლის სამხ. ხელმძღვანელი. 2004 წლიდან დადგა 28 საბალეტო სპექტაკლი და 5 საბალეტო მინიატურა; 2007 წელს არჩეულ იქნა გაეროს კეთილი ნების ელჩად საქ-ში ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევისათვის. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიებში: „ბრიტანიკა" და „საქართველო" (1997), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006), ABI-ის მიერ აღიარებული იყო „წლის საუკეთესო ქალბატონად" (1997).
ჰობი: სანკტ-პეტერბურგის მარინის საიმპერატორო თეატრის ბალეტის ვარსკვლავებზე წიგნების, ღია ბარათების და სურათების შეგროვება.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25, თბილისი 0108.
**ჩემი ოცნებაა, ენახო საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი, დემოკრატიული და ბედნიერი. ჩემი ნატვრაა საქართველო იქცეს უმაღლესი დონის ხელოვანთა მოზიდვის ცენტრად. დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება მხოლოდ პროფესიისადმი ფანატიკური სიყვარულით, უდიდესი შრომით და, რასაკვირველია, ღმერთის წყალობით.**

## ვადიმ ანასტასიადი

გაზეთების — „ვეჩერნი ტბილისის" და „ელინიკი დიასპორას" მთავარი რედაქტორი. ჟურნალისტი.



დაიბადა ბაქოში 1940 წ. 4 იანვარს. მშობლები: ანა და გიორგი ანასტასიადები; მეუღლე — გალინა ანასტასიადი (1952); შვილი — ანა (1991). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1964), სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დაუსწრ. უმაღლესი პარტ. სკოლის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (მოსკოვი, 1978). იყო გაზ. „მოლოდიოჟ გრუზიის" კორესპონდენტი, განყ-ბის გამგე, პასუხისმგებელი მდივანი (1964-77), მთ. რედაქტორის მოადგილე (1977-78), მთ. რედაქტორი (1978-85); ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის პრესცენტრის ხელმძღვ. (მოსკოვი, 1985). არის გაზ. „ვეჩერნი ტბილისის" მთ. რედაქტორი (1985 წლიდან); საქ-ში ბერძნული გაზ. „ელინიკი დიასპორას" დამაარსებელი და მთ. რედაქტორი (1992 წლიდან); 1993 წელს რედაქტორობდა თბილისში გაზ. „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას". არის საქ. დამს. ჟურნალისტი. მიღებული აქვს სსრკ საპატიო ნიშნის (1981, 1986), საქ. ღირსების (1997), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2002) ორდენები. იყო საქ. კომკავშირის ცკ ბიუროს (1979-85), საქ. სახელმწ. მეთაურის საბჭოს (1992-95), სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის (1995) წევრი. არის საქ. ბერძენთა სათვისტომოების კავშირის პრეზიდიუმის (1994 წლიდან), უცხოელ ბერძენ ჟურნალისტთა მსოფლიო ორგ-ის (OLLOME) ადმინისტრაციული საბჭოს (1995 წლიდან), დსთ-ის ჟურნალისტთა საერთ. კონფედერაციის საბჭოს (1998 წლიდან) წევრი; უცხოელ ბერძენ ჟურნალისტთა პერიფერია-ევროპის ორგ-ის მდივანი (1999 წლიდან). იყო უცხოელ ბერძენთა ხუთი მსოფლიო ყრილობის (1995, 1997, 1999, 2000, 2003) დელეგატი საქ. ბერძნული დიასპორიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს ღირსეული ბერძნები" (1995), „ვინ ვინაა საქართველოში", „თბილისი" (2002), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნების კითხვა. მებაღეობა-მებოსტნეობა.
მისამართი: (სამსახურის) ჩუბინაშვილის 50. თბილისი. ტელ: 95 16 30. ფაქსი: 93 47 69. (ბინის) შარტავას 35, ბ.3. თბილისი. ტელ: 37 30 89. ელ-ფოსტა: lidia1991@mail.ru
**თანხმობისა და თანამშრომლობისათვის, მამულის აღორძინებისათვის.**

## ანდრია (ამირან გვაზავა)

სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსი.



დაიბადა სოხუმში 1968 წ. 24 აპრილს. მშობლები: ნინო არახამია, ანატოლი გვაზავა. დაამთავრა სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწ. ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1988). იყო მარტყოფის მამათა მონასტრის მორჩილი (1994); აღიკვეცა ბერად (1995); იყო მარტყოფის, სოფ. კორცხელის (ზუგდიდის რ-ნი) მამათა მონასტრის ბერი, აკურთხეს ბერ-დიაკვნად (1996); გახდა მღვდელ-მონაზონი (1996); იყო სამხედრო აკადემიის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი (1997), იღუმენი; წმ. დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი (1997-98); აკურთხეს ეპისკოპოსად (1998); იყო საგარეჯოს ეპისკოპოსი (1998-2001); სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოსი (2002-06). 2006 წლიდან არის სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
ჰობი: წიგნების კითხვა.
მისამართი: (რეზიდენციის) გორის საკათედრო ტაძარი, ლომოურის 7. ტელ: 899 531014.

**ჩემი ცხოვრებისათვის ვმადლობ ღმერთს და ყველა ადამიანს, ვინც რწმენის გზაზე მამტკიცებდა. მჯერა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ღმერთთან მისვლა. მთავარია, თქვას გულწრფელად თავის გულში: „ღმერთო, შენდამი მსურს" და შემოქმედი, რომელიც ყველა ჩვენთაგანს ელოდება, ხელში აიტაცებს კაცს და უფლისაკენ მიმავალ გზაზე თავად იქნება მეგზური.**

## თენგიზ ანდრონიკაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაიბადა თბილისში 1928 წ. 23 ივლისს. მშობლები: მარიამ მესხიშვილი, გიორგი ანდრონიკაშვილი; მეუღლე — ნათელა ოკუჯავა (1932); შვილები: გიორგი (1961), ირინე (1963). დაამთავრა სპი ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1953). იყო ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1958-75); დირექტორის მოადგილე (1977-89); ქრომატოგრაფიის ლაბორატორიის გამგე (1975-2005), დირექტორი (1989-2005); ქტუ მეცნ. კონსულტანტი (1997-2005). არის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მთავარი კონსულტანტი სამეცნიერო საკითხებში. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტუტე და ტუტემიწათა ლითონების კათიონების შემცველ X ტიპის ცეოლითების თვისებების შესწავლა გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენებით" (1972). არის 700-მდე სტატიისა და 9 მონოგრაფიის ავტორი (რუსულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე); ექვსი, მათ შორის 3 საერთაშ., ჟურნალის რედკოლეგიის წევრი; ჟურ. „მაცნეს" ქიმიის სერიის მთ. რედაქტორი (1990 წლიდან); საქ. მეცნ. აკადემიის მოამბის რედკოლეგიის წევრი (1994 წლიდან). არის პ. მელიქიშვილის (1965), ა. თვალჭრელიძის (1987) სახ. და სსრკ მინისტრთა საბჭოს (1990) პრემიების ლაურეატი; საქ. რესპუბლიკის დამს. მოღვაწე (1987); ქიმიური საზ-ბის გამგეობის წევრი (1988 წლიდან). იყო სკკპ წევრი (1966-90). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (1997); ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); წიგნში „Князья царства Грузинского".
ჰობი: ბიბლიოფილია, ისტორიული და მემუარული ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ჯიქიას 5. თბილისი 0186. ტელ: 32 17 62. (ბინის) ფურცელაძის 8. თბილისი 0107. ტელ: 93 30 60.

**ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ დავიცვა ქრისტიანული მცნებანი. მიმაჩნია, რომ მხოლოდ შემოქმედებითი შრომისმოყვარეობა და პატიოსნება უნდა ედოს საფუძვლად ჩვენს სახელმწიფოებრიობას. სიცრუე, ცბიერება, მოვალეობის გრძნობის უქონლობა, მორალურად დაუშვებელი მეთოდებით გამდიდრებისკენ სწრაფვა ჩემთვის მიუღებელია. რევოლუციური კატაკლიზმების მოწინააღმდეგე ვარ.**

## დავით ანდღულაძე



რეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 11 იანვარს. მშობლები: გულიკო კავსაძე, ალექსანდრე ანდღულაძე; მეუღლე — მაია ზედგინიძე (1959); შვილები: ანა (1985), ალექსანდრე (1994). დაამთავრა თსთი დრამის სარეჟისორო ფაკ-ტი (1982). იყო საქ. ტელევიზიის (1982-85), მარჯანიშვილის თეატრის (1984-97) რეჟისორი. ახმეტელის სახ. თეატრის რეჟისორი და სამხ. ხელმძღვანელი (1998-2009). 2004 წლიდან არის თეატრისა და კინოს უნ-ტის ასოც. პროფესორი. არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „თათვალი" (ს.ს.ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" მიხედვით, 1983); ი.ჭავჭავაძის „განდეგილი"(1984); ნ.ბარათაშვილის „ბედი ქართლისა"(1984); „სტელა და ავი სული" (ბ.შოუს „პიგმალიონის" მიხედვით, 1987); გ.რობაქიძის „გრაალის მცველნი" (1989); „დიდოსტატი" (კ.გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას" მიხედვით, 1991); „ოცდამეთერთმეტე" (შექსპირის „ჰამლეტისა" და სტოპარდის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან" — მოტივებზე, 1996); აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" (1999); ფ.დიურენმატის „მეორედ მოსვლა ანუ მილიარდერის ვიზიტი" (2001) და სხვ. არის კ.მარჯანიშვილის

(1990) და ს.ახმეტელის (2000) სახ. პრემიების ლაურეატი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი (2002 წლიდან); „რეჟისორთა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და არჩეული ხელმძღვანელი (1993 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ძაღლები. ცურვა. ფრენა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთველის 19. თბილისი. (ბინის) მარჯანიშვილის 19. თბილისი. ტელ: 95 70 30.
**ცხოვრების ყველა შემოთავაზებულ ვითარებაში ადამიანად და შემოქმედად დარჩენა.**

## ნოდარ ანდღულაძე



საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი. ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1927 წ. 13 დეკემბერს. მშობლები: ბარბალე მამამთავრიშვილი, დავით ანდღულაძე; დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (1953), თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის ვოკალის ფაკ-ტი (1963). იყო თსუ კავკასიურ ენათა კათედრის უფრ. მასწავლებელი (1954-59); თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1956-96); „ლა სკალას" ოპერის თეატრის სტაჟიორი (1961-62); ბერლინის „კომიშე-ოპერას" სოლისტი (1968-69). არის თსკ პედაგოგი 1968 წლიდან; თსკ სოლო სიმღერის კათედრის დოცენტი (1967 წლიდან) და კათედრის გამგე (1974 წლიდან); პროფესორი (1982 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გრამატიკული კლასკატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენებში" (1954). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორია იბერიულ-კავკასიურ ენებში" (1968); „ვოკალური ხელოვნების ზოგადი თეორიის მეთოდოლოგიური საკითხები" (1979); "Homo Cantor" (1997) და სხვა. 2003 წ. მიენიჭა დოქტორის წოდება (honoris causa). შესრულებული აქვს მრავალი საოპერო პარტია სპექტაკლებში: ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" და „დაისი"; მშველიძის „ამბავი ტარიელისა"; ბუკიას „არსენა"; ო.თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება", „მინდია" და „პირველი სიყვარული"; ცინცაძის „განდეგილი"; ვერდის „ოტელო", „აიდა", „ტრუბადური", „რიგოლეტო"; დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური"; მასკანის „სოფლის პატიოსნება"; ლეონკოვალოს „ჯამბაზები"; ბიზეს „კარმენი"; პუჩინის „ტოსკა"; ვაგნერის „ლოენგრინი'; რ.შტრაუსის „სალომე". არის საქ. სახალხო არტისტი (1965); მსოფლიო ახალგაზრდობის VII ფესტივალის (1957), საქ. სახელმწ. (1998) და ზ.ფალიაშვილის სახ. (1978) პრემიების ლაურეატი. ი.არხიპოვას ფონდის ოქროს მედლის მფლობელი (2004); შრომის წითელი დროშის ორდენოსანი (1980); ორდენის "Знак почёта" (1958; 1971) მფლობელი. არის მილანის ენრიკო კარუზოს მუზეუმის ასოც-ის უცხოელი წევრი (1993 წლიდან); დ.ანდღულაძის სახ. ქართული ვოკალური კულტურის ფონდის დამაარსებელი და პრეზიდენტი (1994 წლიდან); 2009 წელს გამოიცა კრებული "Canto ergo sum", რომელსაც ახლავს დისკი მომღერლის საუკეთესო ჩანაწერებით. არის საქ. პედაგოგიური აკადემიისა და ჰუმანიტარულ მეცნ. აკადემიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ბიოგრაფიულ ცნობარებში: „Словарь вокального искуства" (1976), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბიბლიოფილია.
მისამართი: (სამსახური) გრიბოედოვის 12. (ბინის) კოსტავას 63, თბილისი 0171. ტელ: 33 07 51; 899 33 07 51.
**საქართველოს სამსახური. ქართული მუსიკისა და ვოკალური ხელოვნების გატანა მსოფლიოს სცენებზე. ქართული და იტალიური ვოკალური სკოლის სინთეზი, ვოკალური ხელოვნებისა და პედაგოგიკის პრობლემების მეცნიერული დამუშავება. ცნება Homo cantor –ის შემოტანა საერთაშორისო ლიტერატურაში.**

## ია ანთაძე



ჟურნალისტი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 9 აგვისტოს. დედა — ირინე ჭოტორლიშვილი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის კლასიკური ფილოლოგიის განყ-ბა. იყო „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენელი კომისიის წევრი (1984-92); შ.რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1992-2007); თბილისის მე-6 საშ. საავტორო სკოლის მასწავლებელი (1987-97); გაზ. „კავკასიონის" ჟურნალისტი (1994-99); სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი (2005-06). არის რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტი (1998 წლიდან); სამოქალაქო განვითარების ინ-ტის გამგეობის თავ-რე, თსუ მიწვეული პედაგოგი (2005 წლიდან).არის ფილოლოგიაში 4 სამეცნ. ნაშრომის, სტატიებისა და რადიორეპორტაჟების ავტორი. დასახელებულია 2007 წლის საუკეთესო ჟურნალისტად საქართველოში.
ჰობი: წიგნების კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ტელ: 37 94 13; ფაქსი: 37 97 00. (ბინის) გურამიშვილის გამზ. 35, ბ. 9. თბილისი 0178. ტელ: 61 21 87. ელ-ფოსტა: iaantadze@yahoo.com
**ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი ფუფუნებაა ამქვეყნად.**

## ლეო ანთაძე



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 12 ნოემბერს. მშობლები: მარიამ სიდამონ-ერისთავი, დიომინდე ანთაძე; მეუღლე — მარინა კობალავა (1940-2006); შვილები: ნინო (1954), გიორგი (1957), მაკა (1972), რევაზი (1974). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1955). 1955 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი; 1967-75 წლებში იყო რუსთავის სახელმწ. თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „ლამანჩელი", „საბრალდებულო დასკვნა", „ეზოში ავი ძაღლია", „ლურჯი ურჩხული", „ურიელ აკოსტა", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ფალსტაფი" და სხვა. დადგმული აქვს მილერის „ყველა ჩემი შვილია" და რამდენიმე საავტორო მონოსპექტაკლი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქვიშხური ესკიზები". შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ყვავილი თოვლზე" (კახაბერი,1959); „წკიპურტები" (სახემრგვალი, 1974); „ერთი ნახვით შეყვარება" (მარტოხელა მეზობელი,1977), „დათა თუთაშხია" (ბუდარა, 1979), „თეთრი ბაირაღები" (ჭეიშვილი, 1990), „ჩემი ძვირფასი, სანატრელი ბაბუ" (ისაკი, 1995). არის საქ. სახალხო არტისტი (1978), კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1982 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 40 01 (ბინის) ბალანჩივაძის 40/33, თბილისი. ტელ: 36 44 80. 895 463705.

## მანანა ანთაძე



მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: ციალა და აკაკი ანთაძეები; მეუღლე — ელდარ ციციშვილი (1936); შვილები: დავითი (1965), თამარი (1971). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1967). იყო თსუ საზღვარგარეთის ლიტერატურული პროცესების ლაბორატორიის მეცნ-თანამშრომელი (1981-89). არის კინომსახიობთა თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე (1981 წლიდან);

მ.თუმანიშვილის სახ. თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის დამფუძნებელი და თავ-რე (1998); 2008 წლიდან არის ESU-georgia-ს ვიცე-პრეზიდენტი. ქართულ ენაზე თარგმნა: ი.სტოუნის „წყურვილი სიცოცხლისა" (1974), ჰერბერტ უელსის „რუსეთი წყვდიადში" (1978), მოლიერის „დონ ჟუანი" (1980), ო' ნილის „სიყვარული თელებქვეშ" (1983), ტ.უილიამსის „ცუდი ვახშამი" (1996), როულინგის „ჰარი პოტერი", I წიგნი (2002), დარიო ფოს „თავისუფალი წყვილი" (2004), ჩეხოვის „ალუბლის ბაღი" (2004), საიმონის „ვთამაშობთ პოკერს" (2006), გოგოლის „რევიზორი" (2007), ბრეხტის „დედა კურაჟი" (2007), შექსპირის „მაკბეტი" (2008) და სხვა. არის ავტორი წიგნისა — „ჟან ჟიროდუ, ედუარდ ოლბი, ედუარდ ბონდი" (ი.ღოღობერიძის და ლ. კერესელიძის თანაავტორობით, 1989). არის მწერალთა (1981 წლიდან) და თეატრის მოღვაწეთა (1982 წლიდან) კავშირების წევრი; ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის გამგეობის წევრი (2006 წლიდან).
ჰობი: თეატრი.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164, თბილისი 0112. ტელ: 35 02 03. (ბინის) გუდაურის 8 ბ.17 თბილისი 0179. ტელ: 23 30 07, 899 233007 ელ-ფოსტა: manana_antadze@yahoo.co.uk
**მიყვარს ჩემი ქვეყანა, ყველაზე საოცარი ადგილი დედამიწის ზურგზე!**

## მიხეილ ანთაძე



ნ. დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის მმართველი რეჟისორი. მწერალი.

დაიბადა თბილისში 1956 წლის 10 ივლისს. მშობლები: მედეა მგალობლიშვილი, კონსტანტინე ანთაძე; მეუღლე — მანანა გუნია; შვილები: ნოდარი, ანდრო, ნიკუშა. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1978), თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1987). იყო სახკინოს რედაქტორი (1979-86); კინოკომპანია „შემოქმედის" გენ. დირექტორი (1991-95); „ზღაპრის თეატრის" ხელმძღ. (1995-2004); „ზღაპრის ჟურნალისა" (2001) და „ზღაპრის გაზეთის" გამომცემელი და რედაქტორი (2002-04). განათლების სამინისტროს ბავშვთა ესთეტიკური ცენტრის დირექტორი (2004-07). 1986 წლიდან არის კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორი. არის ავტორი სასწავლო მეთოდისა „თეატრალიზებული სწავლა/სწავლება"; რომანებისა: „პურის მარცვალი" (1984), „კომენდანტის საათი" (1991), „ცოფი" (2005); პროზაული კრებულებისა: „უსიამოვნებები" (1988), „ცოფი" (1994), „დუეტი" (2006), „მთვარე „ფინჯანში" (2006), „გვირილა ქარში" (2006). გადაღებული აქვს ფილმები: „მეჯლისი გაყიდულ სახლში" (1986), „ფაქტები რეჟისორის ცხოვრებიდან" (1988), „30 სანტიმეტრი ზღვის დონიდან" (1989), „ოქროს ობობა" (1992), და სხვა. დადგმული აქვს 40-მდე ზღაპარ-სპექტაკლი, მათ შორის: „ნაცარქექია", „ორი ცრუპენტელა", „ტელეფონი", „კონკია", „ფიფქია", „კომბლე", „თოვლის ბაბუს არჩევნები", „ჰარი პოტერი და მისი მეგობრები", „ზღაპარი მუსიკის შესახებ" და სხვა. არის მონტე-კარლოს საერთაშ. ფესტივალის გრან-პრის მფლობელი („მთვარის გლობუსი", 1987); მწერალთა კავშირის წევრი (1990 წლიდან).
ჰობი: ზუსტი მეცნიერებები (ფიზიკა, მათემატიკა). რელიგიის ისტორია. ინტერდისციპლინარიზმი.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის გამზირი 99/1. ტელ: 95 36 81 ფაქსი: 96 32 89.
(ბინის) პეკინის ქ. 31, ბ. ბინა 26. ტელ: 895 90 80 90. ელ-ფოსტა: childrentheatre@caucasus.net
**ვისაც ჰგონია, რომ დონ კიხოტი გიჟი იყო და სულელი, მე იმასთან საქმე არა მაქვს. მე მინდა, რომ რამე კეთილი ვქმნა. უნდა გწამდეს, ბოლომდე უნდა გწამდეს, უნდა ეცადო, მოინდომო და მიზანს მიაღწევ. წამო, სანჩო. ცხოვრება ზღაპარია. წარმატება — ილუზია. ხელნაწერები არ იწვიან. ჭეშმარიტება უფლისკენ სავალი ინფორმაციაა.**

## მაგდა ანიკაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ჟურნალისტი.

დაიბადა 1981 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: მირანდა ჩხაიძე, გიორგი ანიკაშვილი; მეუღლე — დავით გოგოლაშვილი (1975). დაამთავრა შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტი (2004). იყო ტ/კ

„მეცხრე არხის“ (2003-04) და ტ/კ „რუსთავი-2“-ის (2005-06) დილის პროგრამების წამყვანი; ტ/კ „იმედის“ პროგრამების — „ქრონიკისა“ და „ღია ეთერის“ წამყვანი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი. არის საპარლამენტო უმცირესობის მდივანი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი.
ჰობი: მუსიკა. თეატრი. კინო. ლიტერატურა. ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 06; ფაქსი: 28 17 20.
ელ-ფოსტა: anikashvili@parliament.ge
**რაც არ გკლავს, გაძლიერებს.**

## ანტონი (მარკოზ ბულუხია)

ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსი.



დაიბადა ქობულეთის რ-ნის დაბა ოჩხამურში 1956 წ. 7 მაისს. მშობლები: თამარ და სოლომონ ბულუხიები. სწავლობდა მოსკოვის მინათმოქმედების ინ-ტში (1976-82), საკავშირო იურიდიულ ინ-ტში (მოსკოვი, 1980-82). დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია (1990). გახდა ბეთანიის მონასტრის მორჩილი (1987); ხელდასხმულ იქნა დიაკვნად და მღვდლად, დადგინებულ იქნა სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად (1989); აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1995); აღიკვეცა ბერად, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1996); აკურთხეს ეპისკოპოსად (1996); იყო მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყ-ბის თავ-რე (1999-2000); 2004 წელს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. მინიჭებული აქვს მიტრისა და გამშვენებული ჯვრის ტარების უფლება (1996); 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ვანის საკათედრო ტაძარი, თავისუფლების 186, ვანი 1000. ტელ: 899 947 100.

## კახაბერ ანჯაფარიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.



დაიბადა 1976 წ. 9 აპრილს. მშობლები: ცისანა ბენდიანიშვილი, დემნა ანჯაფარიძე; მეუღლე — მაია ნიკოლეიშვილი (1982); შვილი — მარიამი (2007). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). იყო საადვოკატო კომპანია „სანდოს“ ადვოკატი (2001-04); იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (2004) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის (2004-05) თანაშემწე; საქ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახურის მთ. მრჩეველი (2005), მთ. კონსულტანტი (2005-06); კანონშემოქმედებითი და სამართლებრივი ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი (2006-07); კანონშემოქმედებითი და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (2007-08); საქ. იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპ-ტის უფროსის მ/შ (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი; საპროცედურო საკითხთა და წესების და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: მოგზაურობა
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 59.
ელ-ფოსტა: anjapharidze@gol.ge

## ავთანდილ არაბული



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ენათმეცნიერი.

დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. ჯუთაში 1953 წ. 24 მარტს. მშობლები: ნინო ნაროზაული, ირაკლი არაბული; მეუღლე — ნაზი ფიცხელაური (1957); შვილები: მანგია (1978), თათია (1983). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1976). იყო არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბის გამგე (1988-98, 2005-09), დირექტორის მოადგილე (2000-05); თსუ ახალი ქართული ენის კათედრის გამგე (2004-05). 2006 წლიდან არის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო (1980) და სადოქტორო (1998) დისერტაციები. არის სამეცნ. ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მათ შორის: „მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში" (1984); „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში" (2001); „ქართული ენის სამყარო" — სახელმძღ. — V კლ. (2001), VI კლ. (2002); „ქართული მეტყველების კულტურა" (2004); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია. ტ. I, 2007). არის საზ-ბა „ქართული აკადემიის" წევრი (2007 წლიდან).
ჰობი: ბუნების წიაღში ყოფნა, ქვების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 8. თბილისი 0108. ტელ: 99 96 13. (ბინის) ვარკეთილი-3, კ. 403, ბ. 114. თბილისი. ტელ: 79 35 97. ელ-ფოსტა: arabuli_avto@posta.ge
**სიმართლე და სინათლე.**

## ნინო არაზაშვილი



სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემის — „დილა მშვიდობისა საქართველო" მთავარი პროდიუსერი და წამყვანი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 20 დეკემბერს. მშობლები: ნელი ბესელიძე, ონისე (ბიჭი) არაზაშვილი; შვილები: გიორგი (1998) და ნატა (1999) კიკაბიძეები. დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი ტელეჟურნალისტიკის სპეციალობით (1995). იყო ტელეკომპანია „მე-2 არხის" გადაცემების ავტორი (1991-93); სტუდია „მაესტროს" კორესპონდენტი და რედაქტორი (1993-2002); სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის კორესპონდენტი (2001-04). 2004 წლიდან არის სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის პროგრამის — „დილა მშვიდობისა საქართველო" მთ. პროდიუსერი და წამყვანი. ავტორია მხატვრულ-დოკუმენტური ფილმისა „დილის ზღაპარი" (დუშეთის ბავშვთა სახლზე, 2007). ჩაწერილი აქვს ექსკლუზიური ინტერვიუები მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავებთან (ე.რიაზანოვი, პ.ბურჭულაძე, რ.სტურუა, ლ.ისაკაძე, ი.ნიორაძე, მ.ლაუდრუპი, ვ.შენდეროვიჩი, თ.კანდელაკი და სხვ. (2006-09). არის ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსის „რომანსიადა" გამარჯვებული (მოსკოვი, 1999); ჟურ. „კოსმოპოლიტენის" (2006-08), ჯომარდობის ფედერაციის (2007), ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების „ნიამორი" (2008), ჟურ. „ფოკუსის" (2008), საქ. პაერნაოსნობის ფედერაციის (2008), სპორტული ცეკვების ფედერაციის (2009) ჯილდოების მფლობელი.
ჰობი: სიმღერა. შვილებთან ერთად წიგნების კითხვა და მსჯელობა. კულინარია. ცურვა, ბილიარდი, ჯომარდობა.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45. თბილისი. ტელ: 20 11 11. (ბინის) გოთუას 7, კ. 1, თბილისი. ტელ: 893 30 80 50. ელ-ფოსტა: arazashvili@gmail.com
**მუდმივად გავილო მოწყალება, არ ჩამოვრჩე მაღალ ტექნოლოგიებს, ვიკითხო თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, ვუსმინო თანამედროვე მუსიკას, მაქსიმალურად შევუქმნა პირობები შვილებს, რომ მიიღონ კარგი განათლება. დღე-ღამეში ვიმუშავო მაქსიმალურად მეტი, მაგრამ დამრჩეს დრო ჩემი შვილებისთვის. გავიღიმო მაშინაც კი, როცა არ მეღიმება.**

## მამუკა არეშიძე



„თავისუფალი აზრის სახლის" აღმასრულებელი დირექტორი. ჟურნალისტი. რეჟისორი. პოლიტოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 27 ნოემბერს. მშობლები: ლამარა გამსახურდია, გურამ არეშიძე; მეუღლე — მარინა სალუქვაძე (1961); შვილი — გიორგი (1978). დაამთავრა თსუ სარეჟისორო ფაკ-ტი (1980). იყო ტელევიზიის ახალგაზრდული პროგრამების მთ. რედაქციის რეჟისორი (1981-87); კინორედაქციის მთ. რეჟისორი (1987-89); გაერთიანება „სალამო მშვიდობის" რეჟ. და გადაცემის წამყვანი (1988-93); ინფორმაციის მთ. რედაქციის („მოამბე") მთ. რედაქტორი (1993-95); საქ. პარლამენტის წევრი, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი (1995-99). 2008 წლიდან არის „თავისუფალი აზრის სახლის" აღმას. დირექტორი; „სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის" ხელმძღვანელი (2002 წლიდან). 1999 წლიდან მუშაობს არასამთავრობო სექტორში. გადაღებული აქვს 3 დოკუმენტური ფილმი: „სამაჩაბლო ცეცხლში" (1991), „დრაკონის სინდრომი" (1992), „ჩეჩნეთის ტრაგედია" (1995). არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის მფლობელი (2001); ჟურნალისტთა საერთაშ. კავშირის „ოქროს ფრთის" ლაურეატი (2003). არის ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1991); სახალხო მოძრაობა „კავკასიელის" თავ-რე (2002 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) გ. ახვლედიანის 12, თბილისი. ელ-ფოსტა: mareshidze@gmail.com
ორიენტირებული გამარჯვებაზე.

## არჩილ არველაძე



ფეხბურთელი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თამარ დოლიძე, იუსტინე (კიჟა) არველაძე; მეუღლე — თინათინ კობალაძე (1976); შვილები: რევაზი (1996), სალომე (2001), ელისაბედი (2008). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიური ფაკ-ტი (1997). იყო თბილისის „დინამოს", თურქეთის „ტრაბზონსპორის", ჰოლანდიის „ბრედას", გერმანიის გუნდ „კიოლნის" ფეხბურთელი. არის 35-ე საჯარო სკოლის დირექტორი 2004 წლიდან. არის საქ. ორგზის ჩემპიონი; საქ. თასის ორგზის მფლობელი; თურქეთის თასის, სუპერთასის, თურქეთის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი; თურქეთის 1993-94 წლების საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი. მონაწილეობდა ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „კუკარაჩა", „ძროხა", „მარტოხელა მონადირე". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ქართული ფილმების ყურება. მუსიკა. წყლის მოტოციკლეტი.
მისამართი: (სამსახურის) ქავთარაძის 16ა, თბილისი. ტელ: 30 29 44.

## ნათელა არველაძე

თეატრმცოდნე. პროფესორი

დაიბადა თბილისში 1940 წ. 22 იანვარს. მშობლები: ირინე ახმეტელი, დავით არველაძე. დაამთავრა თსუ თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1963); იყო რუსთაველის თეატრის მუზეუმის გამგე (1965-70); ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყ-ის გამგე (1974-80); ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნების" და გამომცემლობების —

„საბჭოთა საქართველო" და „ხელოვნება" რედაქტორი (1962-70); თსთი უფრ. მეცნ. მუშაკი (1970-80), ამავე ინ-ტის კინოფაკულტეტის დეკანი (1980-92). 1980 წლიდან არის თსთ-ის პედაგოგი. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, პოლიტექნიკურ უნ-ტში და თსსა-ში. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქმედითი ანალიზის მეთოდის ქართულ თეატრში გამოყენების საკითხისათვის" (1973); სადოქტორო — „თეატრმცოდნეობითი კვლევის ფორმები" (1998). არის ავტორი წიგნებისა: „მსახიობი, რეჟისორი, რეპეტიცია" (1978), „სანდრო ახმეტელი" (1980), „თეატრმცოდნეობითი კვლევის ფორმები (სპექტაკლ „სამშობლოს" შესწავლა რეკონსტრუქციის მეთოდით)" (1998), „თეატრის ისტორიის სწავლების საკითხისათვის" (2002), „ცის ბინადარი ბერიკები" (2005), „თეატრზე და არა მხოლოდ" (2006), „ახმეტელები ასწლიან ომში" (2006), „მომაელის გადასარჩენად" (2008). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1965 წლიდან).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 19, თბილისი 0108. ტელ: (995 32) 99 05 79; ფაქსი: 99 05 79 (ბინის) თამარ მეფის გამზ. 5. ბინა 45, თბილისი 0012. ტელ: 96 53 47. ელ.ფოსტა: info@tafu.edu.ge; www.tafu.edu.ge

**1.ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა; 2. ბილწთ არ შევეკვერი ფიცითა; 3. პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მაღალია; 4. ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად. 5. ვემსახურო ჩემს ერს და არა მის ხელისუფლებას. 6. სახელმწიფო ძალაუფლების მინიმუმის პირობებში მსურს ვიცხოვრო. ძირითადად ამ პრინციპებით ვხელმძღვანელობ და ასე ვემსახურები თეატრს, ჩემს ერს.**

## რევაზ არველაძე



ფეხბურთელი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი.

დაიბადა 1969 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: თამარ დოლიძე, იუსტინე (კიჟა) არველაძე: მეუღლე — თეონა თავართქილაძე (1973); შვილები: ნიკოლოზი (1994), ვატო (1998). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი. თამაშობდა თბილისის „დინამოში" (სსრკ, 1989-1990); თბილისის „დინამოს" (საქ. 1990-94, 1994-95), კიოლნის (გერმანია, 1994), ბერლინის „ტენის-ბორუსიას" (გერმანია,1995), ჰომბურგის (1995-96,1997-08), მეხელენის (1996-97, 1998-99), „როტ-ვაის ობერჰაუზენის" (გერმანია, 1999-2000), თბილისის „დინამოს"(2000-06) გუნდებში; იყო თბილისის „დინამოს" მთ. მწვრთნელი (2000-01), პრეზიდენტი (2001); 21 წლამდე ასაკის ეროვნ. ნაკრების (2002-03) და თბილისის „ლოკომოტივის" (2003) მთ. მწვრთნელი; სფფ ვიცე-პრეზიდენტი (2004-08). 2009 წლიდან არის საქ. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი.
ჰობი: პატარების ფეხბურთის ყურება.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 76ა, თბილისი 0162. ტელ: 91 26 70; ფაქსი: 91 59 95. (ბინის) ი.აბაშიძის 14ა, თბილისი. ტელ: 22 40 40.
**ადამიანების დახმარება.**

## შოთა არველაძე



ფეხბურთელი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თამარ დოლიძე, იუსტინე არველაძე; მეუღლე — თამუნა მელაძე (1973), შვილები: გიორგი (1997), ელენე (2003). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1997). იყო თბილისის „მართვეს" (1990-91), „იბერიის" (1991-92) „დინამოს" (1992-93, 1994-95); თურქეთის „ტრაბზონსპორის" (1993-94, 1995-97) ფეხბურთელი; ჰოლანდიის გუნდ „აიაქსის" ბომბარდირი (1997-2001); შოტლანდიის გუნდ „გლაზგო რეინჯერსის" (2001-05), ჰოლანდიის გუნდ „ალკმაარის" (2005-07), საფეხბურთო კლუბ „ლევანტეს" (2007-08) ფეხბურთელი. 2008 წელს დაასრულა ფეხბურთელის კარიერა. აგრძელებს მუშაობას, როგორც მწვრთნელი. არის საქ. სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასის

მფლობელი (1992-93); თურქეთის თასისა და სუპერთასის მფლობელი (1995), ვერცხლის პრიზიორი (1995-96); საქ. საუკეთესო ფეხბურთელი (1994, 1998, 2007); თურქეთის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი (1995-96); პოლანდიის ჩემპიონი, ვიცე-ბომბარდირი (1998); ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელი (2006); საუკეთესო თავდამსხმელი (2006); საქ. ნაკრების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლისა და ჰეთ-თრიკის ავტორი. მონაწილეობდა ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „ძროხა", „კუკარაჩა", „მარტოხელა მონადირე".
ჰობი: წყლის მოტოციკლეტი.
მისამართი: (ბინის) პლ.იოსელიანის 37, ბ.97. თბილისი. ტელ: 99 83 07.
**ადამიანობა, კაცთმოყვარეობა, სიმართლე.**

## გიორგი არსენიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.
პროფესორი.

დაიბადა 1942 წ. 5 იანვარს. მშობლები: ნინო ბეგიაშვილი, ლონგინოზ არსენიშვილი; მეუღლე — ელენე სტურუა (1942); შვილები: ნინო (1967), ვანო (1972). დაამთავრა თსუ. იყო თსუ გამოყენებითი ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1969-71); თსუ მათემატიკის ინ-ტის ფაკ-ტის დოცენტი (1971-77); გაიარა სამეცნ. სტაჟირება ჰაიდელბერგის უნ-ტში (1973-74). იყო თსუ გამოყენებითი მათემატიკის ფაკ-ტის დეკანი (1977-82); მის მიერ დაარსებული მათემატიკური მეთოდების გამოყენების კათედრის გამგე (1981-97); საქ. პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში (1995-2000); საქ. სახელმწიფო მინისტრი (2000-01); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიაში, უნგრეთში, სლოვენიაში, სლოვაკიაში, ჩეხეთში (2001-04); საქ. გაერთიანებული ტელეკომის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2004-06); საქ. რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2006-07). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რე. არის ტექნიკურ მეცნ. დოქტორი, 54 სამეცნ. ნაშრომის ავტორი, პროფესორი; საქ. საინჟინრო და კავშირგაბმულობის საერთაშ. აკადემიების ნამდვილი წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში".
ჰობი: ბუნებაში ყოფნა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 78. (ბინის) ქიაჩელის 5-7, თბილისი. ტელ: 92 19 39.
**სიმართლე.**

## ია არსენიშვილი



მხატვარი. პედაგოგი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 3 მარტს. მშობლები: ნელი აფციაური, მიხეილ არსენიშვილი; მეუღლე – მამუკა გოგოლაძე (1971-2007); შვილები: გვანცა (1993), ბაია (1996), გიორგი (2007). დაამთავრა თსუ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკ-ტი (1994); თსსა დეკორატიულ-გამოყენებითი ფაკ-ტი (1995). იყო კ/ს „ქართული ფილმის" მხატვარი-მულტიპლიკატორი (1990-91), სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" ადმინისტრაციის თანამშრომელი (1992-94); გიმნაზია „მოძღვარის" მასწავლებელი (2000); გიმნაზია „სხივის" სასწავლო ნაწილის გამგე (2001-03). 2006 წლიდან არის მ. თოიძის სახ. სამხატვრო ლიცეუმის პედაგოგი. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: „ქარვასლა" (თბილისი, 1997); სეგ (თბილისი, 1998); შერატონ მეტეხი პალასი (თბილისი, 1999); თსსა (2000); საქ. სამედალიერო ხელოვნების მუზეუმი (2001), სახელმწ. ხელოვნების მუზეუმი (თბილისი, 2002); შერატონ მეტეხი პალასი (ბაქო, 2004), სტამბოლი (2004); პერისია პალასი (კაბადოკია, 2004); არტ კავკასია (2005), თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ილიადა" (სტამბოლი, 2006); საქ. ეროვნ. ბიბლიოთეკა (2006); ჯგუფური გამოფენები: მოსკოვი (რუსეთი), მონპელიე

(საფრანგეთი); ჩიკაგო (აშშ), კიოლნი (გერმანია). მონაწილეობდა ტექსტილის II და III საერთაშ. სიმპოზიუმებში. მიღებული აქვს საქ. მხატვართა კავშირის მედალი და დიპლომი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (2000), თბილისის მერიის კულტურის სამსახურის პრემია „წლის საუკეთესო პროფესიონალი" (2003). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1999 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ჭონქაძის 29, თბილისი. (ბინის) ბ. ხმელნიცკის 149, ბ. 49, თბილისი. ტელ: 79 13 77.
ელ-ფოსტა: ia-arsenishvili@posta.ge; www.welcome.ge/art_iaarsenishvili
**რწმენა.**

## ზურაბ არსოშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსი. იურისტი. ისტორიკოსი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 21 იანვარს. მშობლები: მარინა გიგუაშვილი, გიორგი არსოშვილი; მეუღლე — თათა ქართველიშვილი (1986); შვილი — მარიამი (2008). დაამთავრა თსუ ისტორიისა და იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინ-ტის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტები. იყო შსს თანამშრომელი (2000-04); ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის სამმართველოს უფროსი, დეპ-ტის უფროსის მოადგილე (2004-07); ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სამმართველოს უფროსი (2007-08); თბილისის მერის მოადგილე (2008); საქ. პარლამენტის წევრი (2008). 2009 წლიდან არის საქ. თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსი.
ჰობი: ფეხბურთის თამაში. კითხვა.
მისამართი: (ბინის) კოტე მესხის 2, თბილისი.
**პირველ რიგში სიმართლე და ერთგულება. ღვთის რწმენა და იმ საქმის კეთება, რომელიც ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს გამოადგება. არ იფიქრო, რას მოგცემს ქვეყანა, არამედ — შენ რას შესძენ ქვეყანას.**

## თენგიზ არჩვაძე

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თბილისში 1932 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: კლავდია სხირტლაძე, გრიგოლ არჩვაძე; მეუღლე — ნელი ფილიაშვილი; შვილები: ნატო (1957), ნათია (1962). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1955). იყო მარჯანიშვილის (1954-67) და რუსთაველის (1967-72) თეატრების მსახიობი. 1972 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი; 1960 წლიდან — კ/ს „ქართული ფილმის" მსახიობი. გადაღებულია ფილმებში: „კეთილი ადამიანები", „ერთი ცის ქვეშ", „ხევისბერი გოჩა", „ხევსურული ბალადა", „მე ვხედავ მზეს", „ვედრება", „ჯვარცმული კუნძული", „დიდოსტატის მარჯვენა", „დათა თუთაშხია", „წიგნი ფიცისა", „პრემიერა" და სხვ. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „მოკვეთილი", „დედა", „ღალატი", „ფსკერზე", „თვალი პატიოსანი", „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ძველი ვალსი", „ასის წლის წინათ", „სახლის ანგელოზები" და სხვ. არის საქ. სახალხო არტისტი (1978); სსრკ, რუსთაველისა და კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი; საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენების კავალერი; მიღებული აქვს იურიდიული საზ-ბის სიგელი — „ქართული კინოსა და თეატრის ღირსება" (2008); ი.ჭავჭავაძის ფონდის პრემია „საგურამო" (2009); მართლმადიდებლური ფილმების საერთაშ. ფესტივალის მთ. პრიზი — „წმინდა ანდრიას ჯვარი" (2009); საქ. თეატრალური საზ-ბის ჯილდო — „ქართულ თეატრში ნაყოფიერი და ღირსეული მოღვაწეობისათვის" (2009). არის თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 952425. (ბინის) თამარაშვილის 7, თბილისი. ტელ: 23 11 50.
**ცხოვრებისეულ კრედოს ჩემი თეატრალური და ეკრანული შემოქმედება უნდა ამხელდეს.**

## აკაკი ასათიანი



ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე.
პოლიტიკოსი. აღმოსავლეთმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1953 წ. 22 ოქტომბერს. მშობლები: ციალა სვანიძე, თორნიკე ასათიანი; მეუღლე — ირინე აბულაძე (1954); შვილები: თორნიკე (1974), რატი (1989); დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1977). იყო სამხატვრო-პედაგოგიური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1978-79); საქინფორმის მთარგმნელი (1980-82, 1984-89); კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის რედაქტორი (1983-84); საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე (1990-91), თავ-რე (1991-92); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95; 1999-2004). მონაწილეობდა საქართველოში პირველი (1918-1921 წლების შემდეგ) დემოკრატიული მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასა და ჩატარებაში; საქ. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში (1991 წ. 9 აპრილი); საქ. კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებაში (1995). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები ჟურ. „ცისკარში" (1986. 4). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საქართველოს ძველი ისტორია. ქართული ნუმიზმატიკა.
მისამართი: (სამსახურის) ვირსალაძის 10. თბილისი. ტელ.: 98 39 55. (ბინის) აკოფიანის 1, თბილისი. ტელ.: 92 37 33; 899 95 22 88.
**რწმენა, როგორც ზნეობის საფუძველი; სამშობლოს სიყვარული, მისი მსახურება; თავისუფლება, როგორც პიროვნებისა და ერის ღირსეული არსებობის, მათი შესაძლებლობების განხორციელების პირობა; მემკვიდრეობითობა, როგორც თავისუფალი განვითარების საწინდარი; საკუთრება, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება.**

## დავით ასათიანი



სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

დაიბადა ქუთაისში 1974 წ. 12 აპრილს. დაამთავრა თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინ-ტი (1995); თსუ საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი (1997), ასპირანტურა (2001). 1998 წლიდან ეწევა კერძო საადვოკატო პრაქტიკას; არის იურიდიული ფირმა „ასათიანი და ადვოკატების" მმართველი პარტნიორი 2005 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) შანიძის 8, თბილისი. ტელ/ფაქსი: 91 27 53; ელ-ფოსტა: david@asatiani-law.ge

## ლიანა ასათიანი



კინომსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1925 წ. 6 დეკემბერს. მშობლები: მერი ბურდული, გიორგი ასათიანი; მეუღლე — დავით თორაძე (1922); შვილები: ლექსო (1952), ნინო (1959). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1949). მუშაობდა ოფთალმოლოგად თბილისის კურორტოლოგიის ინ-ტში (1965-75). 40-იანი წლებიდან თანამშრომლობს კ/ს „ქართულ ფილმთან". გადაღებულია ფილმებში: „გიორგი სააკაძე" (1943), „ჭირვეული მეზობლები" (1945), „გაზაფხული საკენში" (1949), „მწვერვალთა დამპყრობნი" (1951), „ჭრიჭინა" (1953), „ეთერის სიმღერა" (1956), „ერთი ცის ქვეშ" (1961), „მაცი ხვიტია" (1964), „სინათლე ჩვენს ფანჯრებში" (1969), „დიდოსტატის მარჯვენა" (1970), „ლევან ხიდაშელი" (1975), „ომი ყველასათვის ომია" (1990) და სხვ. არის საქ. დამსახურებული არტისტი (1962); კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1959 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) დ. თორაძის ჩიხი 3, თბილისი. ტელ: 99 08 43.

## მაია ასათიანი



სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის თოქ-შოუ „პროფილის" ავტორი და წამყვანი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1977 წ. 4 მაისს. მშობლები: ნინო ზაალიშვილი, დავით ასათიანი; შვილი — ნუცა მახვილაძე (1998). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (2000). იყო საქ. ტელევიზიისა და რადიოს საბავშვო-საყმაწვილო პროგრამების (1992), საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის „ალიონი"-ს ჟურნალისტი და წამყვანი (1997-2002); სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერის" ჟურნალისტი (2002-04); ტელეკომპანია „იმედის" კვირის ანალიტიკური პროგრამა „დროების" ჟურნალისტი (2004-07); ტელეკომპანია „მზის" თოქ-შოუ „პროფილის" ავტორი და წამყვანი (2008). 2008 წლის სექტემბრიდან არის სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის თოქ-შოუ „პროფილის" ავტორი და წამყვანი. მიენიჭა წლის საუკეთესო ჟურნალისტის წოდება (2006); არის „ოქროს ფრთის" მფლობელი (2008).
მისამართი: (სამსახურის) ჩიქოვანის 2. თბილისი. ტელ: 20 53 30. ელ-ფოსტა: masatiani@rustavi2.com
**იოცნებე და ბევრი იშრომე და ოცნებაც აუცილებლად ახდება.**

## გიორგი ასანიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე. მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში. ეკონომისტი.

დაიბადა საჩხერეში 1975 წ. 30 აგვისტოს. მშობლები: გოგუცა და ჯემალ ასანიძეები; მეუღლე — თეა კოტუა (1977); შვილები: მარიამი (1996), კახი (2000), საბა და სალი (2003). დაამთავრა საქ. სახელმწ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემია (1996), თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (2007). მუშაობდა საქ. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში (1997-2004); იყო არმიის სპორტული ნაწილის უფროსი (2003). არის საქ. პარლამენტის წევრი 2004 წლიდან. 2008 წლიდან — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავ-რე. არის მსოფლიო თასის პირველი ეტაპის ბრინჯაოს პრიზიორი (1993); ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1994-95); მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1995); ექვსგზის მსოფლიო რეკორდსმენი ახალგაზრდებს შორის (1994-95); ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1998); მსოფლიო რეკორდსმენი და ჩემპიონი (1998); მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (ათენი, 1999); ევროპის ჩემპიონი (2000); მსოფლიო რეკორდსმენი ატაცში (181კგ, სოფია, 2000); სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (2000); ევროპის ჩემპიონატის სამგზის ოქროს პრიზიორი (2001). არის პრეზიდენტის სტიპენდიანტი; დაჯილდოებულია ღირსების (1999), ვახტანგ გორგასლის III და II ხარისხის (2000) ორდენებით; მინიჭებული აქვს რაინდის წოდება. აღიარებულია საქ. წლის საუკეთესო სპორტსმენად (1998). არის საქ. სპორტის განვითარების კავშირის თავ-რე; ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „მილო" (აშშ, 2005); „საქართველოს გამოჩენილი ადამიანები" (2004); „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ავტომანქანა და სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 33. (ბინის) ჭავჭავაძის 75, კ. 3ა, თბილისი. ტელ: 29 29 06.
**„გიყვარდეს მოყვასი შენი". სიყვარული საქმისადმი, რომელშიც გიწევს მოღვაწეობა, ერთგულება და მიზნის ბოლომდე მიყვანა, პრინციპულობა და იღბალი და რა თქმა უნდა გარემო. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ საქართველო ყველა ჩვენგანის სამშობლოა.**

## ირაკლი ასლანიშვილი



სს ბანკის „რესპუბლიკა" დირექტორთა საბჭოს წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1977 წ. 11 ივნისს. მშობლები: ნელი და როლანდ ასლანიშვილები; მეუღლე — ლიკა ქარდავა (1978); შვილი — ანასტასია (2009). დაამთავრა თსუ იურიდიული და ეკონომიკის (მაკროეკონომიკა) ფაკ-ტები (2000). იყო სს „თიბისი" ბანკის ანგარიშების მენეჯერი (1998-99), დეპოზიტების მენეჯერი (1999-2000); მუშაობდა საკრედიტო ადმინისტრაციაში (2000); იყო საკრედიტო მენეჯერი (2000-01), ხაზინის მენეჯერი (2001-03); ნაძალადევის ფილიალის მთ. ბუღალტერი (2003); სს ბანკის „რესპუბლიკა" ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი (2003-04), ცენტრალური ფილიალის დირექტორი (2004), მე-6 სერვის ცენტრის მმართველი (2004). არის ბანკის „რესპუბლიკა" კლიენტთა მომსახურების დირექტორი და დირექტორთა საბჭოს წევრი (2003 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. კითხვა. ექსტრემალური სპორტი. თხილამურები.
მისამართი: (სამსახურის) გრ.აბაშიძის 2, თბილისი. ტელ: 92 55 55; 92 55 44.
ელ-ფოსტა: irakli.aslanishvili@republik.ge
**გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ემსახურები, აკეთე ყველაფერი ისე, რომ სანანებელი არ გახდეს. ეცადე არ შეიქმნა შენი წარმატება სხვისი უბედურების ხარჯზე.**

## ჯონი აფაქიძე



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. არქეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა ზუგდიდში 1960 წ. 11 ივნისს. მშობლები: ვენერა ლუბელაძე, ბორის აფაქიძე; მეუღლე — მანანა კუპრავა (1961); შვილები: თამარი (1989), ელენე (2004). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1983), ასპირანტურა (1987); თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1996). იყო აფხაზეთის მ.გორკის სახ. სახელმწ. უნ-ტის არქეოლოგიის მასწავლებელი (1983-89); თსუ სოხუმის ფილიალის საქ. ისტორიის კათედრის მასწავლებელი, უფრ. მასწავლებელი (1989-92); ძველი მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგის მოადგილე (1993-2004); არქეოლოგიის კათედრის გამგე (2004-05); სოხუმის ფილიალის არქეოლოგიის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის დირექტორი (საზ-ბრივ საწყისებზე), ისტორიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი (2005-06); თსუ სოხუმის ფილიალის ჰუმანიტარული ფაკ-ტის ისტორიის მიმართულების სრული პროფესორი (2006-07). 2007 წლიდან არის სოხუმის სახელმწ. უნ-ტის რექტორის მ/შ და სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ცენტრალური კოლხეთი გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში" (1989); სადოქტორო — „კოლხური კულტურის ქრონოლოგია" (2002). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „Центральная Колхида в эпоху поздней бронзы – раннего железа" (თბილისი, 1991); „Towards the study of Late Bronze and Early Iron Age settlements and Settlement Systems of Colchian Culture in Western Georgia" (2005); „კოლხური კულტურის გავრცელების საკითხისათვის" (2007); „New Excavations at Troia" (2008); „დასავლეთი და ცენტრალური კავკასიის რეგიონული იდენტობის საკითხი კოლხური კულტურის მაგალითზე" (თბილისი, 2008); „Die Spätbronze und Früheisenzeit in West- und Zentralkaukasien. Chronologische Studien zur Kolchis-Kultur" (2009). არის DAAD-ის (1993), DAI-ს (1996, 2007), ჰუმბოლდტის (AvH, 1998-99, 2003, 2006) სამეცნ. სტიპენდიანტი; მონაწილეობდა გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის ძეგლთა დაცვის მიერ ორგანიზებულ არქეოლოგიურ სამუშაოებში ტიუბინგენში; ტროას საერთაშ. არქეოლოგიურ (1995, 1996, 1997, 2000) და უდაბნოს ცივილიზაციის (კახეთი) შემსწავლელი საერთაშ. ექსპედიციის (2001-05) გათხრებში. იყო საქ. მეცნ. აკად-ის არქეოლოგიური კომისიის წევრი (2002-06). არის სოხუმის სახელმწ. უნ-ტის აკადემიური საბჭოს თავ-რე; აფხაზეთის მეცნ. აკად-ისა და საქ. პედაგოგიურ მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი; გერმანიის ტიუბინგენის უნ-ტის „Alumni"-ს წევრი; გერმანიის არქეოლოგიის ინ-ტის (DAI) წევრ-კორესპონდენტი (2007 წლიდან); ევროპის არქეო-

ლოგთა ასოც-ის წევრი (2007 წლიდან); რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნ. ჟურ. „აფხაზეთის მოამბის" რედკოლეგიის წევრი და სამეცნ. კრებულის — „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების" სარედაქციო საბჭოს თავ-რე; სამეცნ. გამოცემის „პრეისტორიული არქეოლოგია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში" — 25-ე ტომის თანარედაქტორი.
ჰობი: ცურვა და ბუნებაში სეირნობა.
მისამართი: (სამსახურის) ჯიქიას 9, თბილისი 0186. ტელ: 54 14 05. (ბინის) დროებითი მისამართი: ნუცუბიძის II მ/რ, IIIკვ, IVკ, ბ. 44. თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე: სოხუმი, კომკავშირის გზატკეცილი 2, ბინა 58. ტელ: 21 82 98; 899 762207. ელ-ფოსტა: joni_apakidze@sou.edu.ge
**პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და სისტემატიური მუშაობა; თვითკრიტიკულობა და თავმდაბლობა; ადამიანი არ უნდა ეძებდეს განდიდებას და არ უნდა იყოს ამბიციებით დაავადებული, მითუმეტეს — დაუსაბუთებელი ამბიციებით! ადამიანებში დადებითი თვისებების ძებნა და მათი განვითარება; პატიოსნება, სახელმწიფოს ანუ ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის უანგარო სამსახური. ყველაფერი მიიღწევა დემოკრატიული გზით და ზნეობრიობის პრინციპების დაცვით! საჭიროა კიდევ ცოტა იღბალიც ანუ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენაც.**

## დავით აქუბარდია

ტელეკომპანია „კავკასიის" პრეზიდენტი. პოლიტოლოგი.



დაიბადა თბილისში 1953 წ. 12 ივლისს. მშობლები: ლამარა გეგეჭკორი, ლუღუნი აქუბარდია; მეუღლე — ნინო ჯანგირაშვილი; შვილები: თეონა (1977), თამუნა (1980), ნიკუშა (2003). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1976); ეკონომიკის ინ-ტის ასპირანტურა პოლიტოლოგიის სპეციალობით. მუშაობდა საგეგმო კომიტეტში (1976-80); საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმში (1980); ეკონომიკის ინ-ტში (1988).1994 წლიდან მუშაობს ტელეკომპანია „კავკასიაში".
**არ ვიცი, ვარ თუ არა წარმატებული.**

## ნოდარ ახალკაცი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი 2005 წლიდან 2009 წლამდე. იურისტი.



დაიბადა თბილისში 1976 წ. 14 იანვარს. მშობლები: ნელი და ნოდარ ახალკაცები; მეუღლე — ქეთევან მეგრელიშვილი (1976); შვილები: ანასტასია (1998), გიორგი (2006). დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლისა და ურთიერთობის ფაკ-ტი (1996); რეგენსბურგისა (1997) და ჰაიდელბერგის (2002) უნ-ტების იურიდიული ფაკ-ტი. იყო საქ. ფეხბურთის ფედერაციის საერთაშ. განყ-ბის თავ-რის მოადგილე (1994-96); სფფ-ს წარმომადგენელი ევროპის ქვეყნებში (1996-98); გაიარა პრაქტიკა უეფას პროფესიული ფეხბურთისა და გერმანიის ფეხბურთის კავშირის იურიდიული განყოფილებებში (1999); იყო ბადენ-ვიურტემბერგის მინის იურიდიული სამსახურის მოხელე (2002-05); სკ თბილისის „ამერის" მენეჯერი (2002-03); საადვოკატო კომპანია „Schäfer & Partner – Wirtschaftsprüfer – Steuerberater - Rechtsanwälte" იურისტი (2003-05); გაიარა საადვოკატო პრაქტიკა გერმანიის საფეხბურთო კავშირში (DFB, 2004-05); სფფ-ს პრეზიდენტი (2005-09); უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის წევრი (2006-07). არის უეფას დელეგატი უეფას საკლუბო შეჯიბრებებში (2006 წლიდან); უეფას ნაკრები გუნდების შეჯიბრებათა კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე (2007 წლიდან); ფიფას 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგ. კომიტეტის წევრი (2007 წლიდან); თსუ იურიდიული ფაკ-ტის ლექტორი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 75ა, თბილისი. ტელ: 23 17 15.

## იოსებ ახალბედაშვილი



სპორტსმენი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი სამბოში.

დაიბადა გორში 1974 წ. 29 მარტს. მშობლები: ნანა ბერიძე, მერაბ ახალბედაშვილი. მეუღლე — თამარ ახალბედაშვილი (1974). შვილები: ნანა (2000), მერაბი (2006). დაამთავრა ცხინვალის პედ. ინ-ტის ფიზაღზრდის ფაკ-ტი (1995); საქ. შსს აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი. არის მსოფლიო თასის 3-გზის პრიზიორი; ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის 2-გზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი; მსოფლიო (1997) და ევროპის (1998) ჩემპიონი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); სპორტის ენციკლოპედიაში.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (ბინის) შარტავას 34, გორი. ტელ: 7 88 88.
**სპორტში ჩემი წარმატება პირველ რიგში განაპირობა ოჯახურმა ტრადიციამ. ალბათ, შრომისმოყვარეობამ და ცოტა იღბალმაც. ბედნიერი ვარ, რომ ვეზიარე სპორტული ცხოვრების ავ-კარგს.**

## ერლომ ახვლედიანი



მწერალი. კინოდრამატურგი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: ბარბარე დადიანი, სერგო ახვლედიანი; შვილები: ანა (1970), ბაქარი (1987). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1957); უმაღლესი სასცენარო კურსები (მოსკოვი, 1964). იყო კულტურის ძეგლთა დაცვის საზ-ბის ინსპექტორი (1959-60); საქ. ტელე-რადიოკომიტეტის მხ. ტელეფილმების სტუდიის უფრ. რედაქტორი (1967-68); კ/ს „ქართულ ფილმთან" არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1971-72); სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფრ. რედაქტორი (1979-87); თსთი სასცენარო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი (1982-87, 1995-99). არის ავტორი წიგნებისა: „ზარმაცი თაგუნას ამბავი" (1971); „ვანო და ნიკო" (თარგმნილია და გამოქვეყნებული რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე); „ძველი და ახალი" (2003); 15 ფილმის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის: „აპრილი", „ფიროსმანი", „ივანე კოტორაშვილის ამბავი", „ამაღლება", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „არასერიოზული კაცი", „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „ძნელი დასაწყისი", „გზა შინისაკენ", „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" და სხვა. არის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: შინ ყოფნა.
მისამართი: (ბინის) რაზმაძის ქ. 64ა. თბილისი. ტელ: 29 03 92.
**ვცდილობ ვიცხოვრო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცხოვრების წესით.**

## ლევან ახვლედიანი



საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. პოლიტოლოგი. ეკონომისტი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 10 მარტს; მშობლები: ინეზა გორგოძე, შილა ახვლედიანი; მეუღლე — დონწრო ლაბაძე (1981); შვილი — ქეთი (2008). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი პოლიტოლოგიის სპეციალობით (1993); უილიამსთაუნის კოლეჯის (აშშ) ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკ-ტი სამარ-

თალმცოდნეობის სპეციალობით (1993); თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით (1997). არის საქ. ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი 2001 წლიდან; ფრენბურთის საერთაშ. ფედერაციაში მსოფლიოში ფრენბურთის განვითარების კომისიის წევრი (2002 წლიდან).
ჰობი: მოგზაურობა. უცხო ენების შესწავლა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა, თბილისი 0 163. ტელ: 23 50 63; ფაქსი: 52 13 96. ელ-ფოსტა: VOLLFED@GMAIL.C
**მთავარია, გიყვარდეს შრომისმოყვარეობა და აუცილებლად მიაღწევ დასახულ მიზანს. მიყვარს სამართლიანობა და სიმართლის თქმა. არაფერი არ უნდა გაყიდო სიმართლეზე, თორემ დროებითი მოვლენა იქნები ამ წუთისოფელში.**

## ლომერ ახვლედიანი



კინოოპერატორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1934 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: ოლიმპიადა წულუკიძე, ბიძინა ახვლედიანი; მეუღლე — ნანა ავალიშვილი; შვილები: ნინო (1960), არჩილი (1964). დაამთავრა სპი გეოლოგიის ფაკ-ტი (1958); კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1975). სხვადასხვა დროს (1957 წლიდან) მუშაობდა ტელეფილმების სტუდიისა და კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელ ოპერატორად. გადაღებული აქვს მხ. ფილმები: „ქვევრი", „სამკაული სატრფოსათვის", „მზე შემოდგომისა", „სალხინეთში", „ნატვრის ხე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „მშობლიურო ჩემო მიწავ!", „დონ კიხოტი", „ბესამე", „ექსპრეს-ინფორმაცია", „თეთრი დღესასწაული", „რიჩარდის, მილორდის და შესანიშნავი სამოთხის ჩიტის შესახებ", „სამოთხის ვაშლი", „თვითმარქვიები", „ბებერი ჯაგლაგები" და სხვ. დოკუმენტური ფილმები: „დღესასწაული კონფოლანში", „სერვანტინო", „შექსპირის სამშობლოში". არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის და კინემატოგრაფისტთა კონფედერაციის წევრი; დაღესტნის ხელოვნების დამს. მოღვაწე; საქ. სახალხო არტისტი; რუსთაველის (1979) და ლენინური პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (1997); კინოენციკლოპედიაში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა და სპორტი.
მისამართი: (ბინის) ხორავას 22 , თბილისი. ტელ: 23 21 95.
**საქმის სიყვარული, ნესიერება, კაცთმოყვარეობა.**

## ზაზა ახობაძე



ჟურნალ „თბილისელების" დამფუძნებელი. გაზეთების — „ეს საინტერესოა", „მედიცინა ყველასათვის", „აშკარა დაუჯერებელი" — მთავარი რედაქტორი.

დაიბადა 1963 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: ლინა ბახტაძე, გურამ ახობაძე; მეუღლე — ელენე კარანაძე (1962); შვილები: აკაკი (1988), გუგა (1990). დაამთავრა სტუ სატრანსპორტო მშენებლობის ფაკ-ტი. არის გაზეთების მთ. რედაქტორი; გ.მანველიძის წიგნების: „სარანგი", „მგლები", „მწვანეთვალება ანგელოზი" და სხვ. — გამომცემელი.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რევაზ თაბუკაშვილის 46. თბილისი. ტელ: 92 38 33. (ბინის) კ.გამსახურდიას გამზ. IIკვ. VI კ., ბ. 107, თბილისი. ტელ: 38 21 20. 899 567585. ელ-ფოსტა: tbiliselebi2001@yahoo.com
**გაეარკვიო, თუ რისთვის არის მოვლენილი ადამიანი დედამიწაზე. ადამიანმა ყოველდღე რაღაც უნდა გააკეთოს, თუნდაც უმნიშვნელო და უფასო. აუცილებელია გიყვარდეს ადამიანი, მაგრამ ასევე აუცილებელია, თუ ადამიანი გიყვარს, დაუნდობლად აკრიტიკო იგი, დიპლომატიურად, მისი კეთილდღეობისათვის.**

## ნინო ახობაძე



მომღერალი. ანსამბლ „ფორტეს" სოლისტი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 16 მარტს. მშობლები: გულნარა და ნოდარ ახობაძეები; მეუღლე — ჯაბა ჯაიანი (1971); შვილი — გიორგი (2005). დაამთავრა III სამუსიკო სასწავლებელი (1994); თსკ საფორტეპიანო კლასი (1995); გაიარა მედეა ფანიაშვილის სახ. მუსიკალური ინ-ტის არასრული კურსი (1995-96). 1991 წლიდან არის ესტრადის მომღერალი. არის ანსამბლ „ფორტეს" წევრი. ანსამბლ „ფორტეს" გამართული აქვს კონცერტები ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, თბილისსა და მოსკოვში. ანსამბლი მუშაობდა მოსკოვში არჩილ გომიაშვილის კლუბში „ოქროს ოსტაპი" (1996-99); მონაწილეობდა „ქართული კულტურის კვირეულში" (შვეცია, ავსტრია, ესპანეთი, 2000-06); სტამბოლის კულტურის დღეებში (2006). გამოსულია ანსამბლის ორი ალბომი: „ალიონზე გამიღიმა თბილისმა" (2000), „თბილისის მზე" (2005). არის ღირსების ორდენის კავალერი (2001). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეგობრებთან ურთიერთობა.
მისამართი: (ბინის) ქეთევან წამებულის 84/86, ბ.20. თბილისი. ტელ: 77 26 25.

## ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილი



ისრაელში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი.
მწერალი. მთარგმნელი. პროფესორი.

დაიბადა სენაკში 1944 წ. 23 მარტს. მშობლები: მალქა მიხელაშვილი, დავით აჯიაშვილი; მეუღლე — მანანა აჯიაშვილი (1950); შვილები: დიმიტრი (1974), ლევანი (1978); შვილიშვილი — ანა (2002). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1967). იყო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწ. კომიტეტის სისტემის სპარსული ენის თარჯიმანი (ირანი, 1968-71); საქ. კულტურის სამინისტროს მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი (1972-73); მწერალთა კავშირის მთ. მთარგმნელობითი კოლეგიის უფრ. მეცნიერ-რედაქტორი (1974-90); თსუ უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1990-2003); თბილისის სახელმწ. პედაგოგიური უნ-ტის აღმოსავლური ენების კათედრის გამგე (1993-2005); საქ. სამი მოწვევის პარლამენტის წევრი (1992-2004); ისრაელში საქ. საქმეთა დროებითი რწმუნებული (2005-06). არის ავტორი წიგნებისა: „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია" (თარგმანები, წინასიტყვაობა, შენიშვნები 1979, 1998); „ამბავი ნართებისა" (1980); მონძაემონ ჩიკამაცუ, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" (1980, 1991); „შროშანი ღელეთა" (1993); „ორი ქალაქი" (1985); „გამოიღვიძე ქნარო" (ისტორიული ესსე, 1992); მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები — „ასე გამწნდო უფალი ჩემი" (3 ტომად, 1996), „ვარსკვლავთა ჩრდილში, მაღალთა თანა" (2004), „რჩეული თარგმანები" (სამტომეული) და სხვა. არის დოკ. ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების თანაავტორი. მისი ორიგინალური და თარგმნილი პიესები იდგმებოდა კ.მარჯანიშვილის, ვ.ანჯაფარიძის სახ. და თბილისის მუნიციპალური თეატრების სცენაზე. ასევე წარმოდგენილი იყო უცხოეთის ქვეყნებში (ისრაელი, იაპონია, მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი). არის თბილისის საპატიო მოქალაქე; საქ. სახელმწიფო, პარიზის ქართულ-ევროპული ინ-ტის, ი.ჭავჭავაძის, ივ.მაჩაბლისა და „საბას" პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; ისრაელში გამომავალი მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურ. „დეგელის" პრემიის ლაურეატი (1995); ისრაელის პრეზიდენტის ღირსების სიგელის მფლობელი (1998); დაჯილდოებულია თსუ ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით. არის საქ. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის (1977), საქ. მწერალთა კავშირის (1980), მსოფლიო ებრაული კონგრესის, ებრაულ სათვისტომოთა ევროპული საბჭოს, მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის გამგეობათა წევრი; ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი; ამერიკის ებრაული კომიტეტის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (1997); „რუსეთის ებრაელობის ენციკლოპედიაში"; „მოკლე ებრაულ ენციკლოპედიაში" (იერუსალიმი). ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი", „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. მხატვრობა. თეატრი. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) დანიელ ფრიშის 3, თელ-ავივი-64731, ისრაელი, საქართველოს საელჩო. ტელ: 97236023207, ფაქსი: 6023205. (ბინის) ბარნოვის 19. თბილისი 0144. ტელ: 98 43 81.
ელ-ფოსტა: levan_ajiashvili@msn.com
**მუდმივი სწრაფვა შემოქმედებითი სრულყოფისაკენ, შემოქმედებითი პრინციპების ერთგულება, ყოველგვარი კონიუნქტურის მიმართ გულგრილობა, მიმტევებლობა.**

## გელა ბაბლუანი



კინორეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 19 დეკემბერს. მშობლები: ლიანა და თემურ ბაბლუანები; მეუღლე — პატრიცია ბაბლუანი (1978). დაამთავრა სორბონის უნ-ტის კინოფაკულტეტი. გადაღებული აქვს ფილმები: „ცამეტი" (საქართველო-საფრანგეთი, 2005), „მემკვიდრეობა" (საქართველო-საფრანგეთი, 2006), „ყველას თავისი კინო აქვს" (საფრანგეთი, 2007). ფილმმა „ცამეტი" მიიღო ვენეციის კინოფესტივალის პრიზი „ოქროს ლომი" (2005) და სანდენსის კინოფესტივალის ჟიურის გრან-პრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
**პასუხისმგებლობის გრძნობა.**

## თემურ ბაბლუანი



კინორეჟისორი. კინოსტუდია „ვენსან-13"-ის სამხატვრო ხელმძღვანელი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა ლენტეხის რ-ნის სოფ. ჩოლურში 1948 წელს. მშობლები: ნინო ჟვანია, გელა ბაბლუანი; მეუღლე — ლიანა ბაბლუანი (1953); შვილები: ოლღა, გელა, სოფიკო, გიორგი, ლიანა. დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1979). იყო კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორი (1979-91). შესრულებული აქვს როლები კინოფილმებში: „მშობლიურო ჩემო მიწავ" (არნივის მომთვინიერებელი, 1950), „ღიმილის ბიჭები" (მალხაზი, 1969), სატელევიზიო ფილმი „კუკარაჩა" (მურტალო). არის რეჟისორი ფილმებისა: „მოტაცება" (1975) „ბეღურების გადაფრენა" (1979), „ძმა" (1981), „უძინართა მზე" (1990), „მემკვიდრეობა" (საქართველო-საფრანგეთი, 2006). დაჯილდოებულია საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზებით: „საუკეთესო ფილმისათვის" (კიევი, 1980); „საუკეთესო დებიუტისათვის" (ტალინი, 1982); „საუკეთესო რეჟისურისათვის" (ისრაელი, 1990); მიღებული აქვს სოჭის „კინოტავრის" გრან-პრი (1992); მოსკოვის „ინტერფესტ 92"-ის მთ. პრიზი (1992); კინოფესტივალ „ოქროს არნივის" მთ. პრიზი (თბილისი, 1992); იპრესცი-ს პრიზი; ბერლინის კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი" (1993); რუსეთის კინოაკადემიის „ოქროს ნიკე" (1994); მოსკოვის კინოფესტივალ "Созвездие"-ს 5 პრიზი (1994). არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1995). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ლუბლიანას 20.
**ყველაფერზე მაღლა ვაყენებ საქმეს.**

## ლიზა ბაგრატიონი



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 21 ივლისს. მშობლები: ეთერ ბაქრაძე, გიორგი ბაგრატიონი; მეუღლე — დავით ნოზაძე (1977); შვილი — ირაკლი სინაურიძე (2002). დაამთავრა ი.ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინ-ტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1996). იყო გაზ. „The Georgian Times"-ის პასუხისმგებელი რედაქტორი; კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დეპ-ტის მრჩეველი; მუშობდა სახელმ. კანცელარიაში. 2006 წლიდან არის ღვინის კომპანია „ბადაგონის" საზ-ბასთან ურთიერთობის დეპ-ტის ხელმძღვანელი. არის საზოგადოება „დაიცავი საქართველოს" წევრი (2009). მონაწილეობს კლიპში „სიყვარული დაფრინავს" (2001). 2006 წელს მუსიკისა და დრამის თეატრის ბაღში გამართა სოლო კონცერტი „ისევ ის ბაღი". არის ფესტივალის — „სიმღერა თბილისზე" გრან-პრის მფლობელი; დასახელებულია 1998 წლის საუკეთესო

მომღერალ ქალად. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
**„მიზანი ერთია, დიადი, ნათელი" — სიყვარული.**

## ჯანსუღ ბაგრატიონი



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი. ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 4 აპრილს. მშობლები: ქეთევან მგალობლიშვილი, ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი; მეუღლე — მანანა მგალობლიშვილი (1944); შვილები: ნინო (1968), ეკატერინე (1972). დაამთავრა სპი (1963); საქ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტი (1976). იყო თბილისის საერთაშ. საქველმოქმედო კლუბ „პანატლონის" პრეზიდენტი; შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; სპი ფიზაღზრდის კათედრის გამგე, დოცენტი (1973-84); თბილისის სპორტკომიტეტის თავ-რე (1984-87); საქ. სახელმწ. სპორტკომიტეტის თავ-რის მოადგილე (1987-91); საქ. სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე (1991-94); სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი; საქ. სპორტის სახელმწ. დეპ-ტის თავ-რის პირველი მოადგილე (1994 წლიდან); სეოკის პრეზიდენტი (1996-2004). არის 30 სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის და ერთი მონოგრაფიის ავტორი; საქ. და სსრკ დამს. მწვრთნელი (1977); თბილისის საპატიო მოქალაქე (1998). დაჯილდოებულია ღირსების (1998), საერთაშ. ოლიმპიური კომიტეტის საპატიო (1998), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (2003) ორდენებით: იყო საქ. პარლამენტის წევრი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ქვეკომიტეტის თავ-რე (1998-2001); მოქ. კავშირის წევრი (1998-2003); საქ. პარლამენტის წევრი (1999-2003). არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დაიცავი საქართველო" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სიმღერა.
მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის I ჩიხი 4. თბილისი 0171. ტელ: 25 00 56.
**ჩემი ცხოვრების უმეტესი პერიოდი ქართული სპორტის სამსახურში გავატარე და ერთგულად ვემსახურე. თუ როგორ გამომივიდა, ამის მსაჯული ხალხია. მთელი ცხოვრება ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი სიკეთე დამეთესა. ხელი გამემართა გაჭირვებულთათვის. ვცდილობდი ვყოფილიყავი მიმტევებელი. გამომდის? ბედნიერი ვარ. პოპულარობა კი... ალბათ, თავისით მოდის.**

## კობა ბადაგაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ეკონომისტი.

დაიბადა დუშეთში 1969 წ. 29 მარტს. მშობლები: მერი ლალიაშვილი, ნოდარ ბადაგაძე; მეუღლე — ნატალია ვარსიმაშვილი (1970); შვილები: ნოდარი (1991), ნინო (1994). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1994). იყო მრავალდარგოვანი ფირმა „ბაბილონის" პრეზიდენტი (1994-96); სახელმწ. უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის დეპ-ტის მცხეთა-მთიანეთის განყ-ბის უფროსი (1996-2004); შსს დაზვერვის მთ. სამმართველოს განყ-ბის უფროსის მოადგილე (2004-07); დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, თავდაცვისა და უშიშროების და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი.
ჰობი: მოგზაურობა. კითხვა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 74. (ბინის) ნუცუბიძის IV მ/რ, კ. VI, ბ. 116, თბილისი. ელ-ფოსტა: badakoba@parliament.ge

## თეიმურაზ ბადრიაშვილი



გ.მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. რეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 30 მარტს. მშობლები: ლიუდმილა ჯაფარიძე, ნოდარ ბადრიაშვილი; მეუღლე — რუსუდან ფეტვიაშვილი (1968). დაამთავრა თსთი (1984). იყო თბილისის თოჯინების სახელმწ. რუსული თეატრის რეჟისორი (1984-90); საქ. ტელე-რადიო დეპ-ტის საბავშვო და საყმაწვილო გადაცემათა რედაქციის გადაცემის — „ბასტი-ბუბუ" რეჟისორი (1992-94, 1997-99). 1999 წლიდან არის გ.მიქელაძის სახ. თოჯინების სახელმწ. თეატრის სამხ. ხელმძღვანელი და დირექტორი. დადგმული აქვს სპექტაკლები: დ.ურბანი, „თაგვი ყველა თაგუნას უყვარს" (თოჯინების რუსული თეატრი, 1984); ა.პოპესკუ, „მზის სხივი" (1986). მხატვრულად გაფორმებული აქვს შემდეგი სპექტაკლები: „ბრიყვი და ხელმწიფე" (რუსთავის თოჯინების თეატრი); „ერთი სურათი საგვარეულო ალბომიდან" (თოჯინების სახელმწ. თეატრი, 1999). არის საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1985 წლიდან); მეთოჯინეთა საერთაშ. ასოც. (უნიმას) საქ. ცენტრის გენ. მდივანი.

ჰობი: ცხენოსნობა. სამთო-სათხილამურო სპორტი.

მისამართი: (სამსახურის), ალმაშენებლის გამზ. 103, თბილისი 0164. ტელ/ფაქსი: 95 17 13. (ბინის) ნუცუბიძის 209, თბილისი 0186. ელ-ფოსტა: temobad@gmx.net

**ადამიანური, ზნეობრივი ღირსებების დაფასება. მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვა. ამ მხრივ თოჯინების თეატრის საშუალებების მაქსიმალური გამოყენება.**

## გიორგი (გიგა) ბათიაშვილი



არქიტექტორი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1934 წ. 29 მარტს. მშობლები: ემა სხირტლაძე, ირაკლი ბათიაშვილი; მეუღლე — ლალი კეკელია; შვილები: ნინო (1959), ქეთევანი (1967). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1958), ასპირანტურა (1966). იყო „თბილქალაქპროექტის" არქიტექტორი, მთ. არქიტექტორი (1959-73); ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო ს/კ ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში და მთ. მხატვარი (1973-78); ისტორიული თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის არქ. სახელოსნოს ხელმძღვანელი (1978 წლიდან). მუშაობს თსსა არქიტექტურის ფაკ-ზე (1968 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქალაქი და სატრანსპორტო პრობლემები" (1967). არის პროექტების ავტორი: ისტორიული თბილისის, შარდენის ქუჩის, რკინის რიგის, ბამბის რიგის, ლვინის აღმართის, დუტუ მეგრელის ქუჩის, სიონის, სანაპიროს, ქარვასლების, ლესელიძის ქუჩის, ორბელიანთა უბნის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია; მეიდნის, ხარფუხის უბნის, ქეთევან წამებულის მოედნის, „კლდის უბნის", მეტროპოლიტენის სადგურ „300 არაგველის", თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგურის; იტალიის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა მემორიალის (ქ. არონა, იტალია); ასტრახანის მიძინების ტაძარში ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის მემორიალების; ფარავნის ტბასთან საპატრიარქოს კომპლექსის; თავისუფლების მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის (1992); სასტუმროსი ბარათაშვილის აღმართზე (1996); იპოდრომის და მისი გარემოს რეკონსტრუქციის (2003); „თეთრი ქალაქის"კულტურულ-ეკონომიკური კომპლექსის (1976); „ავლაბრის ბიზნეს კომპლექსის" (1997); რიყის ტერიტორიის დაგეგმარების კონცეფციის (1997); „მეიდან პალასის" (2002); „ავლაბრისა" და „აბო თბილელის" ხიდების განაშენიანების (2004); პროექტი „ხიდების" (2004), „მირზა შაფის" ქუჩის (2006); „თეთრი ქალაქის" სავაჭრო კომპლექსის I რიგის (2006). გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნ. ნაშრომი ქალაქის ურბანისტიკის პრობლემებზე. გამართული აქვს გამოფენები თბილისში (1963, 1988), მოსკოვში (1980,1981,1984,1985,1989), სოფიაში (1981), ბრაიტონში (1987), ბერლინში (1988), დელიში და ბომბეიში (1986), ჰანოიში და პარიზში (1987) ლოს-ანჯელესში, ვაშინგტონსა და სანკტ-პეტერბურგში (1988) და სხვა. არის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1982), საქ. კომკავშირისა (1984) და სსრკ სახელმწ. (1987) პრემიების ლაურეატი; არქიტექტურის საერთაშ. აკად-ის პროფესორი (1991) და ნამდვილი წევრი (1992); რუსეთის არქიტექტურისა და საინჟინრო აკად-ის აკადემიკოსი (უცხოელი წევრი, 1995); საქ.

საინჟინრო (1996), ალმ. ქვეყნების არქიტექტურის საერთაშ. (2001), ამერიკულ-ქართული მეცნ. და საქ. პედაგოგიურ მეცნ. (1997) აკადემიების ნამდვილი წევრი; თბილისის საპატიო მოქალაქე (1996); ევროპის კულტურის ასოც-ის საბჭოს წევრი (1992); საქ. ავტოკეფალური ეკლესიის ჯილდოს „სამკერდე ჯვრის" მფლობელი (1985); ღირსების ორდენის კავალერი (2002). იყო საქ. არქიტექტორთა კავშირის თავრ-ის მოადგილე (1983-91); საქ. და სსრკ დიზაინერთა კავშირის, სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი (1987-91). არის საქ. არქიტექტორთა კავშირის კოლეგიის წევრი (1991 წლიდან); სსრკ არქიტექტურის სახელმწ. კომიტეტთან არსებული სახელმწ. არქიტექტურული საბჭოს (1988-92), თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოს (1985-98), თსსა სამეცნ. საბჭოს (1985 წლიდან), თბილისის მთ. არქიტექტურული საბჭოს (1980 წლიდან) წევრი. იყო თბილისის საკრებულოს წევრი (1998-2002), თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს თავ-რე (2006-07). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (1997); ცნობარებში: „თბილისი"; „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბუნებაში ყოფნა. ისტორიულ ძეგლებზე სიარული. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი ტელ: 93 69 51. (ბინის) თავისუფლების მოედანი 4ა, თბილისი. ტელ: 33 56 91.
**სჭირდებოდე ქვეყანას.**

## გურამ ბათიაშვილი



ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება" მთავარი რედაქტორი. ებრაული გაზეთის „მენორა" გამომცემელი და რედაქტორი. მწერალი. დრამატურგი.

დაიბადა სამტრედიის რ-ნის სოფ. კულაშში 1938 წ. 10 იანვარს. მშობლები: მარიამ აჯიაშვილი, აბრამ ბათიაშვილი; მეუღლე — ციალა მიხელაშვილი-ბათიაშვილისა (1943); შვილი – ლანა (1962). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით (1962). იყო გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" ლიტ. მუშაკი (1965-67); საქ. თეატრალური საზ-ბის რედაქტორი (1967-72); ჟურ. „თეატრალური მოამბის" პასუხისმგებელი მდივანი (1972-84). 1985 წლიდან არის ჟურნალის — „თეატრი და ცხოვრება" მთ. რედაქტორი; რუსთაველის თეატრისა და კინოს უნ-ტის პედაგოგი (2004 წლიდან). არის ავტორი პიესებისა: „ვალი" (1979), „1832 წელი" („შეთქმულება", 1982), „ლალი, სიყვარული და სხვები" (1976), „სიყვარულის თამაში" (1994), „დაე, თუნდ მოვკვდე..." (1987), „სამშობლო მცირეთა და მრავალთა" (2002), „მე გუშინ გარდავიცვალე" (2003), „დასაბამი" (2005), „მოქმედი პირნი და შემსრულებელნი" (2008) და სხვა; რომანებისა: „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ..." (1991), „მეათე კაცი" (2002), „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა" (2004); ესსეებისა — „სახეები და სიტუაციები" (2003); თარგმნილი აქვს: „ეშმაკი ჩვენს სულში" (საბაჰატინ ალი), „ფეხბურთის მეფე" (აზიზ ნესინი), „ცხოვრება კარგი რამ არის, ძმაო", „პიესები" (ნაზიმ ჰიქმეთი). გამოცემულია მისი პიესების რამდენიმე კრებული. მისი რომანები თარგმნილია ებრაულ და რუსულ ენებზე; პიესები განხორციელებულია რუსთაველის, გრიბოედოვის, მოზარდ მაყურებელთა სახელმწ. თეატრებში, თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე; მოსკოვის ნ.გოგოლის სახ. სახელმწ. თეატრში. არის ავტორი თეატრზე დაწერილი პუბლიცისტური წერილებისა, რეჟისორების პორტრეტებისა; დოკუმენტური ფილმების იდეისა და სცენარის ავტორი (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი), მათ შორის: „დაგვიანებული კადიში" (ისრაელის პრემიერ-მინისტრის, გენ. არიელ შარონის თბილისურ ძირებზე), „იმ ეშქახეხ, იერუშალაიმ!" (ქართველ ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაციისათვის ბრძოლაზე). არის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1987); საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს (1990), საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1999); ღირსების ორდენის კავალერი (1998); ისრაელის პრეზიდენტის „თეუდათ ო კარას" (1998) მფლობელი. არის მწერალთა (1975), ჟურნალისტთა (1973), თეატრის მოღვაწეთა (1968) კავშირების წევრი; მსოფლიოს ებრაული კონგრესის (ნიუ-იორკი), აშშ ებრაული კომიტეტის (ვაშინგტონი), საერთაშ. სიონისტური ორგ-ის (იერუსალიმი) გამგეობის წევრი; ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენ. საბჭოს წევრი (ალმა-ათა, მოსკოვი, კიევი). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო", „რუსეთის ებრაელთა ენციკლოპედიაში" (იერუსალიმი), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: დიდი ტენისი. მოგზაურობა, როგორც შეცნობის საშუალება.
მისამართი: (სამსახურის) გ. ლეონიძის 11ა, თბილისი. ტელ: 99 90 96; ფაქსი: 32 75 25.
ელ-ფოსტა: guram_bat@hotmail.com
**შრომა, სიკეთის და სხვათა ნიჭიერების წინ წამოწევა. არსებობს ებრაული სენტენცია: „არასოდეს არ გაუკეთო ადამიანს ის, რაც, შენ რომ გაგიკეთონ, გულს გატკენს". მომწონს და მივდევ.**

## თამაზ ბათიაშვილი



მუსიკოს-შემსრულებელი — მევიოლინე.
საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 18 მარტს. მშობლები: ალექსანდრა გულივერდაშვილი, ალექსი ბათიაშვილი; მეუღლე — თინათინ (მარიკა) ლორთქიფანიძე (1954); შვილები: გიორგი (1974), შოთა (1977), ლიზიკო (1979). დაამთავრა თსკ (1963). იყო მუსიკალური სასწავლებლის ვიოლინოს მასწავლებელი (1959-70); თსკ მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1967-92); მოსკოვის სახელმწ. ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე (1970-72); საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის მევიოლინე (1992-2000). 1963 წლიდან ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოსა და მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საკონცერტო დარბაზებში. არის სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის მევიოლინე (1966 წლიდან). არის ზ.ფალიაშვილის (1981) და რუსთაველის (1991) პრემიების ლაურეატი; საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბუნების წიაღში განმარტოებით ყოფნა.
მისამართი: (ბინის) ლაღიძის 6. თბილისი. ტელ: 99 00 56.

## ირაკლი ბათიაშვილი



საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.
ფილოსოფოსი.

დაიბადა თბილისში 1961 წ. 8 ივლისს. მშობლები: ირინე კუჭუხიძე, დიმიტრი ბათიაშვილი; მეუღლე — მარიამ ბათიაშვილი-ფანჩულიძე (1969); შვილები: ნუცა (1982), ირინა (1990). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1983); ჯორჯ მარშალის ევროპული ცენტრის საერთაშ. და უსაფრთხოების სპეციალური ინ-ტის უმაღლესი კურსი (2002). გაიარა შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამა ჰარვარდის უნ-ტში (2003). არის ფილოსოფიის დოქტორი (2004). იყო ფილოსოფიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1983-90); ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი (1987-91); საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რე (1992-93); ანალიზის და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი (1994-95); საქ. პარლამენტის წევრი (1995-99); საქ. პარლამენტის წევრი, თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავ-რე (1999-2003); თსუ უფრ. მეცნ. თანამშრომელი (2004-06); პოლიტიკური პატიმარი (2006-08). არის IB – ევრო-კავკასიური უნ-ტის ასოც. პროფესორი (2008 წლიდან). არის მრავალი სამეცნიერო სტატიისა და წიგნის — „დანაღმული ველი" ავტორი.

## არმენაკ ბაიანდურიანი



საქართველოს პარლამენტის წევრი. თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაიბადა თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. დღეთში 1953 წ. 12 სექტემბერს. მშობლები: აშხენ შატეირიანი, სერგო ბაიანდურიანი; მეუღლე — ლეილა მკრტიჩიანი (1961); შვილი — ნარეკი (1982). დაამთავრა ერევნის სახელმწ. უნ-ტის ფსიქოლოგიის ფაკ-ტი და ერევნის თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. იყო ერევნის თეატრის მსახიობი (1974-90); სტუდია „ავლაბრის" ხელმძღვანელი (1992-93); თბილისის პეტროს ადამიანის სახ. სომხური დრამატული თეატრის მსახიობი (1974), სამხ. ხელმძღვანელი (1995) და დირექტორი (2004 წლიდან). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; განათლების, მეცნიერების და კულტურის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქა-

ლაქო ინტეგრაციის კომიტეტების წევრი. არის 5 პიესის ავტორი. მონაწილეობდა ფილმში „შვიდკაცა" (რეჟ. სოსო ჩხაიძე). დადგმული აქვს შემდეგი სპექტაკლები: შირვან-ზადეს „ნამუსი", შექსპირის „ოტელო", ნ.დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა", ვ.საროიანის „ჩემი გული მთებში", ა.ეოლოდინის „იესოს დედა", ა.პარონიანის „ძია ბაგდასარი", გ.სუნდუკიანის „პეპო" და სხვა. დაჯილდოებულია საქ. ღირსების ორდენით (1998); ერევნის თეატრალური ინ-ტის ჯილდოთი „ოქროს ნიღაბი" (1999); „მოვსეს ხორენაცის" მედლით (1999). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და საბჭოს წევრი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 95. (ბინის) ქიქოძის 13. თბილისი 0108. ტელ: 98 72 16.
**მშვიდობა და კიდევ ერთხელ მშვიდობა. ჩემი სურვილია, რომ სომეხი და ქართველი ახალგაზრდები იყვნენ ისეთები, როგორნიც ჩვენი წინაპრები სუნდუკიანი და წერეთელი.**

## ვან ბაიბურთი

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი. ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 11 ივლისს. მშობლები: არაკსია და ვაღარშაკ ბაიბურთები; მეუღლე — ირინე ვართანოვა (1944); შვილები: იგორი (1966), გრიგორი (1978). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1966). იყო გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტი" (1961-62), „მოლოდიოჟ გრუზიი" (1962-64), „კომსომოლსკაია პრავდა" (1965-67) კორესპონდენტი; გაზ. „სოვეტსკი სპორტის" საკუთარი კორესპონდენტი სომხეთში (1967-75); „საქინფორმის" საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყ-ბის რედაქტორი (1975-78); მოსკოვის ახალი ამბების სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1978-86); გაზ. „ვრასტანის" მთ. რედაქტორი (1986-2000); საქ. ჟურნალისტთა ფედერაციის მდივანი (1988-90) და გამგეობის წევრი; საქ. პარლამენტის წევრი (2004-06). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). არის საქართველოს სომეხთა კავშირის თავ-რის მოადგილე.
ჰობი: ისტორია. მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის 25, ბ. 52. თბილისი.
**არაფერი გაუკეთო ისეთი სხვას, რაც იმის ადგილზე შენც არ მოგეწონებოდა.**

## კახა ბაინდურაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ლიანა მეტრეველი, დავით ბაინდურაშვილი; დაამთავრა თსუ ეკონომიური ფაკ-ტი; აქვს ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი (2000); განვითარებადი ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი (უილიამს კოლეჯი — უილიამსთაუნი, მასაჩუსეტსი, აშშ, 2006). იყო სააგენტო „პრაიმ-ნიუსის" რედაქტორი (1999-2000); საქ. ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი (2000-02); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონსულტანტი (2002-04); საქ. პრემიერ-მინისტრის მრჩეველი (2004-05); საქ. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპ-ტის თავ-რე (2006-07); საქ. ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე (2007-09). 2009 წლიდან არის საქ. ფინანსთა მინისტრი.
ჰობი: ფოტოგრაფია. ჩოგბურთი. სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ვ. გორგასლის 14. თბილისი 0114; ტელ: 2614 44; ფაქსი: 45 74 55.
ელ.ფოსტა: central@mof.ge

## რამინ ბაირამოვი



საქართველოს პარლამენტის წევრი. სამართალმცოდნე.

დაიბადა გარდაბანში 1977 წ. 5 ივლისს. მშობლები: გულსაფა და გამბარ ბაირამოვები; მეუღლე — აიტან ბაირამოვა (1977); შვილები: გამბარ (1998), გულსაფა (2000), აიტაჯ (2008). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2004). იყო არასამთავრობო ორგანიზაციის — კავშირი კულტურათშორისი ურთიერთობა ქვემო ქართლში „ხიდი", სხვადასხვა პროექტის ავტორი (2000-04); გარდაბნის რ-ნის გამგებლის მოადგილე (2004-06); გარდაბნის რ-ნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ-რის მოადგილე (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; ევროპასთან ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების წევრი.
ჰობი: მუსიკა. კითხვა. ინტელექტუალური თამაშები.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 14. (ბინის) აღმაშენებლის 13/21. გარდაბანი. ტელ: 893 21 09 96. ელ-ფოსტა: bayramov@parliament.ge

## იოსებ ბაკურაძე



თეატრ „ვერიკოს" მმართველი.
საქართველოს დამსახურებული არტისტი. მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 11 აპრილს. მშობლები: ელენე ნადირაძე, პავლე ბაკურაძე; მეუღლე — გალინა პატარიძე (1945); შვილები: კახა (1966), ეკა (1971). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1967). იყო მესხეთის (1967-77) და მეტეხის (1977-82) თეატრების მსახიობი; მარჯანიშვილის თეატრის დირექციის თანამშრომელი (1982-88). არის თეატრ „ვერიკოს" მმართველი 1988 წლიდან. არის საქ. დამსახურებული არტისტი (1976); ღირსების ორდენის კავალერი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1963 წლიდან).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ლეონიძის 11ა, თბილისი. ტელ: 99 98 96. ანჯაფარიძის 16, ტელ: 22 13 38. (ბინის) ბახტრიონის 26, ბ.81, თბილისი. ტელ: 36 04 77.
**მსახიობი ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ქვეყნის ერთგულება, პატიოსანი, თავდადებული შრომა, ოჯახის სიყვარული, მეგობრობა, მომავალი თაობის აღზრდა სანიმუშო მოქალაქეებად...**

## კახა ბაკურაძე



მოძრაობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დამაარსებელი.
მსახიობი. რეჟისორი. მხატვარი. ქორეოგრაფი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 2 მარტს. მშობლები: გალინა პატარიძე, იოსებ ბაკურაძე; მეუღლე თამარ — ბაკურაძე (1967); შვილები: იოსები (1985), ანანო (1992). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1987) და სარეჟისორო (2002) ფაკ-ტები. მუშაობდა პანტომიმისა (1983-92) და მიმოდრამის (გერმანია, 1992-2000) თეატრებში. 2001 წლიდან არის მოძრაობის თეატრის ხელმძღვანელი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „კრიმანჭული" (რეჟ. ა. შალიკაშვილი, 1986), „ჰამლეტი" (გერმანია, რეჟ. მ.სვირავა, 1992). არის რეჟისორი სპექტაკლებისა: „ფაუსტი" (გერმანია, 1995), „რიჩარდ III" (კოსტავას. სახ. თეატრი, 2001), „მიმიკრია" (მოძრაობის თეატრი, 2002), „ლაბირინთი" (მოძრაობის თეატრი, 2005).
ჰობი: კედელზე ცოცვა. პარაშუტი. ყვინთვა.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის 164, თბილისი 0102. ტელ: 47 72 44. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 75,

ბ. 141, თბილისი. ტელ: 877 53 86 77; ელ-ფოსტა: movementtheatrepr@gmail.com.
**ერთიანობა, ერთობა, თავისუფლება... „ჩვენ ვართ მოძრაობის თეატრი და იმოძრავეთ თეატრისკენ"...**

## ჯამბულ ბაკურაძე



რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე. ეკონომისტი.

დაიბადა ლენტეხის რაიონში 1944 წ. 24 მარტს. მშობლები: ევა მარგველანი, ვასილ ბაკურაძე; მეუღლე — ტატა ბაკურაძე (1945); შვილები: ვახტანგი (1968), ნანა (1972). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1972). მუშაობდა ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1967-85); იყო თბილისის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის I მოადგილე (1985-92); ასოც. „არაგვის" ვიცე-პრეზიდენტი; სს უნივერმაღ „თბილისის" გენ. დირექტორი (1993-99); საქ. პარლამენტის წევრი (1999-2004); სახელმწ. მინისტრი; კანცელარიის უფროსის მოადგილე; რეგიონალური განვითარების დეპ-ტის უფროსი; რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწ. მინისტრის I მოადგილე (2004-08). 2008 წლიდან არის რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის I მოადგილე.
მისამართი: (ბინის) ირ. უჩანეიშვილის II შესახვ. 9. თბილისი. ტელ: 29 41 01.

## ბენედიქტე ბალავაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. გეოფიზიკოსი. პროფესორი.

დაიბადა სამტრედიის რ-ნის სოფ. ღანირში 1909 წ. 25 ივნისს. მშობლები: სოფიო ჩიმაკაძე, კონსტანტინე ბალავაძე; მეუღლე — დინარა ნაკაშიძე (1921); შვილები: მიხეილი (1946), მარინე (1951). დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1931), სსრკ მეცნ. აკად-ის ასპირანტურა (1933-34). იყო საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წევრი (1930-31); გეოფიზიკის ობსერვატორიის ადიუნქტი (1931-32); გეოფიზიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1934-39), სწავლული მდივანი (1938-39); ფიზიკის და გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1943-50) და დირექტორი (1950-53); სსრკ მეცნ. აკად-ის დოქტორანტი (1953-55); გეოფიზიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1955-72), დირექტორი (1972-87); თსუ ფიზიკის ფაკ-ტის დოცენტი (1938-57), კათედრის გამგე (1968-91), პროფესორი (1957-1999); გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მრჩეველი (1987-2006). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გრავიტაციული ველი და დედამიწის ქერქის აგებულება საქართველოში" (1955). არის 198 სამეცნ. ნაშრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი (3 შესრულებულია თანაავტორთან ერთად); საქ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996). დაჯილდოებულია მედლებით: „შრომითი მამაცობისთვის" (1946), „შრომითი წარჩინებისთვის" (1966), „კავკასიის დაცვისთვის" (1945), „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისათვის" (1985), „შრომის ვეტერანის" (1985); ო. შმიდტის (1979), ივ. ჯავახიშვილის (1988), ს. კოროლიოვის (1988), წ. პოლიუგინის (1991), ა.ნადირაძის (1994) სახელობის ორდენებით; ღირსების ორდენით (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (თბილისი, 1977); ბიბლიოგრაფიულ ცნობარში "Геологи, географы" (1985); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).
ჰობი: მებაღეობა.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის 2/2. ბ.19. თბილისი 0179. ტელ: 22 47 86. ელ-ფოსტა: geophys@hepi.edu.ge.
**ბავშვობაში შთამაგონეს, შინ და სკოლაში ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტისას მეხელმძღვანელა პრინციპით: „წინ გონება გაუშვი, უკან გრძნობა მიაყოლე". ამ პრინციპისათვის არასოდეს მიღალატია და შედეგიც მუდამ სასურველი მქონდა. მეორე პრინციპი: მტერი ვის არ ყოლია, არც მე ვარ უმტერო. გულწრფელად ვიტყვი, რომ არასოდეს მისარგებლია ჩემი უპირატესობით, მტრისთვის სამაგიერო გადამეხადა. პირიქით, თუ ეს გაუგებარი არ არის, მხოლოდ კეთილად ვექცეოდი ან არაფრად ჩამიგდია მისი მტრობა.**

## ვახტანგ ბალავაძე

სპორტსაზოგადოება „მართვეს" თავმჯდომარის მოადგილე.
სპორტის დამსახურებული ოსტატი. მსოფლიო ჩემპიონი.



დაიბადა სამტრედიის რ-ნის სოფ. ღანირში 1927 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: მარიამ გულდედავა, მიხეილ ბალავაძე; მეუღლე — ელენე ღალანიძე (1928); შვილები: ბადრი (1952), თამარი (1955), მამუკა (1961). დაამთავრა საქ. ფიზიკური კულტურის სახელმწ. ინ-ტი (1951); თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1956). მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში (1950-60). იყო საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი (1960); საქ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1967-75); ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი (1975-77); 1981 წლიდან არის სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" თავ-რის მოადგილე; 1992 წლიდან — სპორტსაზოგადოება „მართვეს" თავ-რის მოადგილე. არის ახალგაზრდობის I საერთაშ. სპორტული თამაშების ჩემპიონი (ბუქარესტი, 1953); მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (ტოკიო, 1954, სტამბოლი, 1957); ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (მელბურნი, 1956); მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (თეირანი, 1959); სსრკ ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1952-55, 1957) და სამბოში (1952); ბუდაპეშტის, სტოკჰოლმის, თეირანის, ტოლედოს და სხვა მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული. მას ფრანგებმა „ჭიდაობის პროფესორი", იაპონელებმა კი „ჩემპიონთა ჩემპიონი" უწოდეს. არის ავტორი წიგნებისა: „ქართველი ფალავნები მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე" (1961), „ფალავნები ხალიჩაზე" (1968). არის სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1955), სსრკ დამს. მწვრთნელი (1971); საერთაშ. კლასის არბიტრი; თბილისის საპატიო მოქალაქე (1999); ღირსების (1996), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (2002), საქ. ოლიმპიური (2006) ორდენების მფლობელი; ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოებულია: ჭიდაობის საერთშ. ფედ. FILA-ს ოქროს ორდენით (1997); სსრკ „საპატიო ნიშნის" და „ხალხთა მეგობრობის" ორდენებით. მისი ბიოგრაფია შესულია: „ქსე"-ში (1977), „ოლიმპიურ ენციკლოპედიაში" (1997), „სპორტის ენციკლოპედიაში" (2006), „ქართული სპორტის ფოტოისტორიაში" (2008); ცნობარებში: „Звезды Спорта" (მოსკოვი), ცნობარში: „თბილისის საპატიო მოქალაქეები".

ჰობი: მევენახეობა.

**პატიოსნება ცხოვრებაშიც და სპორტშიც! აკრძალული მეთოდებით არავინ დამიჩაგრავს, თუმცა ქართული — „ხერხი სჯობია ღონესა.." ბევრჯერ გამომდგომია!**

## ვახტანგ ბალავაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 23 აგვისტოს. მშობლები: ნანა დოლიძე, ნოდარ ბალავაძე; მეუღლე — ანა ხომერიკი. დაამთავრა სტუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი და სტუ სამშენებლო ფაკ-ტის ბაკალავრიატი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით; მაგისტრატურა — მშენებლობის მენეჯმენტი. იყო შპს „ალ-ანსის" იურისკონტროლი (1998-2001); „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშ. ასოციაციის" ადვოკატი (2001-03); საქ. პარლამენტის აპარატის უფროსის პირველი მოადგილე (2003-04). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავ-რის მოადგილე (2008). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შედგენილი კონსტრუქციების წრფივი არასიმეტრიული დეფორმაციის ანალიზი" (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: სპორტი — რაგბი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 95. (ბინის) ბუდაპეშტის 11, თბილისი.

**ღმერთო, მომეცი ძალა შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია და მომეცი გამძლეობა გადავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია.**

## ჯარჯი ბალანჩივაძე



მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: პანნა ჯიბლაძე, ანდრია ბალანჩივაძე; მეუღლე — ქეთევან მაჭავარიანი (1955); შვილი — ანტონი (1978). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორია (1964). იყო თსკ პედაგოგი, თსუ ლექტორი (1972-76). არის ა/კ მუსიკოს-შემსრულებელთა I კონკურსის ლაურეატი; ფილარმონიის სოლისტი; საქ. კულტურის სამინისტროს I პრემიის ორგზის ლაურეატი კომპოზიციაში. გამართული აქვს მრავალი სოლო კონცერტი; ნახატების გამოფენები თბილისში, სომხეთში, გერმანიასა და პოლანდიაში. მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლები თბილისსა და გერმანიაში. დაჯილდოებულია „ლისტის მედლით" (უნგრეთი, 1991). არის რადეფორვალდეს საპატიო მოქალაქე (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", "ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). პობი: ხატვა.

მისამართი: (სამსახურის) თბილისი. ალმაშენებლის 8. (ბინის) ყაზბეგის 20ა, თბილისი. ტელ: 39 21 84 .

## რევაზ ბანცური



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მათემატიკოსი მექანიკოსი. პროფესორი.

დაიბადა დუშეთის რ-ნის სოფ. ბანცურებში 1936 წ. 10 ივნისს. მშობლები: თამარ ნიკლაური, დავით ბანცური; მეუღლე — ნათელა ხამარიტაშვილი (1945); შვილები: დავითი (1966), ქეთევანი (1969). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1960). იყო მათემატიკის ინ-ტის უფრ. ტექნიკოსი (1960-62), უმც. (1962-69), უფრ. (1969-83) მეცნ. თანამშრომელი. დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყ-ბის გამგეა 1983 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები და მათთან დაკავშირებულ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები" (1981). არის 45 სამეცნ. ნაშრომის ავტორი; თეორიული და გამოყენებითი მექანიკის სსრკ (1985-92) და თეორიული და გამოყენებითი მექანიკის რუსეთის (1992 წლიდან) ნაც. კომიტეტების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „მათემატიკისა და მექანიკის ისტორია" (კიევი, 1998); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, თბილისი 0193. (ბინის) ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, II კვ. IX კ. ბ. 52. თბილისი. ტელ.: 53 67 64; 893 91 90 53.

## ილია ბარათაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მეტალურგი. პროფესორი.

დაიბადა სოფ. სიმონეთში 1933 წ. 27 ივლისს. მშობლები: ვერა ნიკოლაძე, ბიძინა ბარათაშვილი; მეუღლე — მანანა კანდელაკი (1940); შვილები: ინა (1967), ლია (1969). დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1956). იყო რუსთავის ს/ი „ავტომატმრენვის" ინჟინერი (1956-57); მეტალურგიის ინ-ტის უმც. (1957-64) და უფრ. (1964-80) მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1980-89), დირექტორის მოადგილე (1989-91), დირექტორი (1991-2006). 2006 წლიდან არის მეტალურგიის ინ-ტის მეცნ. კონსულტანტი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მანგანუმის და მანგანუმიანი შენადნობების რაფინირების სამეცნიერო საფუძვლების და სამრეწველო ტექნოლოგიის დამუშავება" (1985). არის 130 სამეცნ. სტატიის, 3 მონოგრაფიისა და 6 გამოგონების ავტორი. მიღებული აქვს გ. ნიკოლაძისა (1984) და პ. მელიქიშვილის სახ. (1990), საქ. სახელმწ. (1993) პრემიები. არის საქ. მეცნ. აკად-ის (1997 წლიდან), რუსეთის საბუნებისმე-

ტყველო აკად-ის უცხოელი (1998 წლიდან), უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების ნაც. აკად-ის (2005 წლიდან) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ყაზბეგის 15. თბილისი 0113. ტელ: 37 02 81. (ბინის) ფალიაშვილის 72. ბ. 39. თბილისი 0179. ტელ: 23 06 79.

## იოსებ ბარათაშვილი



ადვოკატი.

დაიბადა 1960 წ. 19 მაისს. მშობლები: ლილი ახვლედიანი, ზურაბ ბარათაშვილი; მეუღლე — ლაურა გამსახურდია (1960); შვილები: მარიამი (1992), გიორგი (1995). დაამთავრა სპი გეოლოგიის ფაკ-ტი (1983); თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1996). იყო გეოლოგიური ექსპედიციის ინჟინერ-გეოლოგი (1983-89); 80-იანი წლების დასაწყისიდან საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე; საქ. პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი — საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ (1990-91); თბილისის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის პედაგოგი (1996-97). იყო საქ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი (1997-2005); არის ადვოკატი 1997 წლიდან. 2005 წელს დასახელებული იყო წლის საუკეთესო ადვოკატად. არის საქ. ადვოკატთა ასოც-ის წევრი 2006 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ლიტერატურა, მუსიკა, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 4, თბილისი 0110. ტელ: 99 02 35.
ელ-ფოსტა: baratashvili_process@yahoo.com

## მაია ბარათაშვილი



მომღერალი. არქიტექტორი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 3 მარტს. მშობლები: ზეინაბ მგალობლიშვილი, ლევან ბარათაშვილი. დაამთავრა მე-16 სამუსიკო სკოლა, ფორტეპიანოს კლასი (1984); საქ. ტექნ. უნ-ტის არქიტექტურისა და ინგლისური ენის მეორადი ფაკ-ტები (1993). არის ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის ასისტენტი; საქ-ში შვედური კულტურის დღეების ერთ-ერთი ორგანიზატორი (1999 წლიდან). 1995 წლიდან რეგულარულად გამოდის თბილისის ჯაზკლუბში დ. ვირსალაძის ტრიოსთან ერთად. მონაწილეობდა ფესტივალებსა და კონცერტებში, მათ შორის: საქველმოქმედო მუსიკალური ფესტივალი „ხელები“ (1996); მუსიკალური კონკურს-ფესტივალი „მარგარიტა-96“; მოსკოვის საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი „ჯაზური ხმები 98“ (1998); საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი „ჯაზი თბილისში“ (1999); სტამბოლი, ჯაზის საახალწლო საღამოები (2000); კაუნასი, ჯაზ-ფესტივალი „კაუნასი 2000“; პროექტი „ჯოი“, „ჯეოსელის“-ის ჯაზ-ფესტივალი, რიგის საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი „რიგა 2001“; 11 სექტემბერს დატრიალებული ტრაგედიისადმი მიძღვნილი კონცერტი, აშშ; მოსკოვის საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი „ჯაზური ხმები 2001“ (2001); თბილისის საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი (2002); თბილისის ჯაზ-ფესტივალი "ქუულ ჯეზ" (2002); თბილისის საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი (2004); სოლო კონცერტებში: ჰელმუტ ციმერის ტრიოსთან ერთად (კარლსრუე, გერმანია, 2002); კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი (ორგანიზატორი და პროდიუსერი, 2005). ჩაწერილი აქვს: ალბომი "The First Footer" (2000); კომპაქტ-დისკი "Maia Baratashvili and Igor Brill" (2001); რუსული რომანსების დისკი "Of love and more" (О любви, и не только, 2004). საქ-ში რუსული კულტურის პროპაგანდისათვის მიღებული აქვს სპეციალური ჯილდო „ოქროს ნოტი“ (2003). არის „წლის საუკეთესო მომღერალი ქალის“ წოდების მფლობელი (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
მისამართი: (სამსახურის) ნუცუბიძის 1, თბილისი. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 10. თბილისი. ტელ: 8 77 775404.
**„არაფერი ქრება უკვალოდ“. „ყველაფერი უფლის ნებაა“.**

## გიორგი ბარამიძე

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. ვიცე-პრემიერი.



დაიბადა თბილისში 1968 წ. 5 იანვარს. მშობლები: ნარგიზა თოიძე, აივენგო ბარამიძე; მეუღლე — ეკა ჯაფარიძე (1964); შვილი — ანა (1999). დაამთავრა სპი ქიმიური ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1992); აშშ თავდაცვის სამინისტროს ჯორჯ მარშალის სახ. ევროპის უშიშროების საკითხთა და თავდაცვითი ეკონომიკის ცენტრი (1995); ჯორჯ თაუნის უნ-ტის დიპლომატიის სკოლა (1998); გაიარა პრაქტიკა აშშ სენატის სამხედრო სამსახურის კომიტეტში (1999); დაამთავრა შსს აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (2001). იყო მწვანეთა მოძრაობის ერთი-ერთი დამაარსებელი და ცენტრალური საბჭოს წევრი, საქ. მწვანეთა პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და პოლიტიკური კომიტეტის წევრი (1989-90); ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნ. უმცირესობათა დაცვის კომიტეტის სამმართველოს უფროსი (1992); საქ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნ. უმცირესობის საკითხთა კომისიის მდივანი, თავდაცვისა და უშიშროების კომისიის წევრი, NATO-ს პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის " საქ. მონაწილეობის სახელმწ. საკოორდინაციო კომისიის წევრი (1992-95); სმკ გენ. მდივნის მ/შ (1995-96); საქ. პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავ-რე; საქ. პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავ-რე (1996); მისი ინიციატივით ჩამოყალიბებული საქ. მთავრობისა და საქ. „გაეროს" განვითარების პროექტის ერთობლივი პროგრამის „კორუფციის კვლევის ცენტრი" დირექტორი (1997-98); საქ. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავ-რე (2000-02); საქ. პარლამენტის ფრაქცია „გაერთიანებული-დემოკრატები"-ს თავ-რე; NATO-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქ. დელეგაციის ხელმძღვანელი და ბალტიისპირეთში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის თავ-რე (2002); საქ. შინაგან საქმეთა მინისტრი (2003); საქ. თავდაცვის მინისტრი (2004); არის საქ. პარლამენტის 4 მოწვევის დეპუტატი (1992, 1995, 1999, 2003); 2004 წლიდან — საქ. სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; 2006 წლიდან არის საქ. ვიცე პრემიერ-მინისტრი. დაჯილდოებულია ლიტვის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი "The Grand Cross of Commander of the Order for Merits to Lithuania" ლიტვის დამოუკიდებლობისა და საქართველო-ლიტვის ურთიერთობაში შეტანილი წვლილისათვის (2006). არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ფარიკაობაში; საქ. კარატე-დო-ს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა, სპორტი, მუსიკა, ტურიზმი.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7, თბილისი. 0134. ტელ/ფაქსი: 93 28 67.
**პატიოსნება, სიკეთე, ზნეობრიობა, სიყვარული, პრინციპულობა, ერთგულება, რეალიზმი, ოპტიმიზმი, მიზანსწრაფვა, მაქსიმალიზმი, დაუკმაყოფილებლობა გაკეთებული საქმით, მიმტევებლობა — ეს ის პრინციპებია, რომლითაც ვცდილობ ვიხელმძღვანელო და მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრ ევროპულ სახელმწიფოდ. ჩემი აზრით საქართველოში ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს და თუ ჩვენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დაცვით მოვახერხებთ მოქმედებას, მაშინ საქართველოს ხალხი და სახელმწიფო მიაღწევს სასურველ კეთილდღეობას.**

## თამარ ბართაია

დრამატურგი.



დაიბადა თბილისში 1959 წ. 9 თებერვალს. მშობლები: მარიამ ჭიკაიძე, გუჯა ბართაია; შვილი — მარიამ ჩხაიძე (1995). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი, (ე.ახვლედიანის სახელოსნო, 1987), ასპირანტურა (თ.ჩხეიძის სახელოსნო, 2004). გაიარა მასტერ კლასი ტონინო გუერასთან (2000). იყო თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამეცნ-მეთოდური კაბინეტის მთ. რედაქტორი, მსახიობის სახლის ლიტ. ნაწილის გამგე (1987-97); კ/ს „ქართულ ფილმის", სტუდია „აუდიენციის", ტ/კ „იმედის" სცენარისტი; თსთი-ის სას-

ცენარო ჯგუფს ხელმძღვ. (2000-08). არის ს/კ „რუსთავი 2"-ის სცენარისტი და საპატრიარქოს ტელევიზიის — „ერთსულოვნების" მთ. რედაქტორი. არის ავტორი 20-ზე მეტი მხატვრულ-დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის სცენარისა; პიესებისა: „სარკე", „კაბა", „შეხვედრის ადგილი", „პეიზაჟს აკლია სითბო" (მ.თუმანიშვილის პრემია, 2007), „მარგო, ჰასანი, „მოცარტი" და ორი მტკაველი მიწა", „სარდაფი გორში", „მთავარი როლი", „ნატერის ხე" და სხვა; მოთხრობებისა და პიესების კრებულისა „პეიზაჟს აკლია სითბო" (2007). მისი პიესები დაიდგა მარჯანიშვილის, თუმანიშვილის, სამეფო უბნის თეატრებში; ლონდონში რეჟ. ჰილარი ვუდმა დადგა „კაბა" – რივერსაიდის სცენაზე (ედინბურგის საერთაშ. თეატრალურ ფესტივალზე 4 ვარსკვლავი დაიმსახურა, 2007) და „შეხვედრის ადგილი" – ლარჯესრუმის სცენაზე (2007-08). მისი სცენარით გადაღებულმა მულტფილმმა „რა ფრინველია დრაფა", მოსკოვის საერთაშ. კინოფესტივალის I პრემია დაიმსახურა (1999). დოკუმენტურმა ფილმმა „მისალები გამოცდები" – ევრაზიის ტელეფილმების საერთაშ. ფესტივალის გრან-პრი მიიღო (2002). არის წლის საუკეთესო სცენარისტი (2000); ვენეციის საერთაშ. ფესტივალის ნომინანტი (2003); კინოცენტრის პირველი პრემიის (2007) ლაურეატი; მიღებული აქვს ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების საერთაშ. ფესტივალის ჯილდო — „წმ.ანდრიას ჯვარი" (სცენარი დოკ. ფილმისათვის „სტუმრად პატრიარქთან" 2008), ჟურ. „კოსმოპოლიტენის" პრემია (2008).
ჰობი: მოგზაურობა, ხელსაქმე.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45, თბილისი. ტელ: 20 11 11 (ბინის) კ.მესხის 46, თბილისი. ტელ: 93 55 77; 899 515591 ელ-ფოსტა: tamarbartaia@yahoo.co
**ვერ ვეგუები სიყალბეს...**

## ალექსანდრე ბასილაია (1942-2009)



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 11 მარტს. მშობლები ზოია ხოშტარია, ალექსანდრე ბასილაია; მეუღლე — ლუიზა კობალაძე (1938) შვილი — ანრი (1960). დაამთავრა თსკ საორკესტრო ფაკ-ტი (1967). იყო საქ. სახელმწ. ფილარმონიის მუსიკოსი (1963 წლიდან); ანსამბლის „ივერია" დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი (1968 -2009). არის ოთხი მიუზიკლის — „ჩხიკვთა ქორწილი" (1979), „არგონავტები" (1983), „თოვლის ბებოს ზღაპარი" (1986), „ფიროსმანი" (1995) და 100-მდე საესტრადო სიმღერისა და საორკესტრო პიესის ავტორი. მუსიკალურად გაფორმებული აქვს სამი მხ. ფილმი და 13 მულტფილმი. არის საქ. სახალხო არტისტი (1977); სსრკ-ს საკავშირო კონკურსის I პრემიის მფლობელი ანსამბლ „ივერიასთან" ერთად. 1981 წლიდან იყო საქართველოსა და სსრკ კომპოზიტორთა კავშირების და საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საყვარელი ადამიანების კარგად ყოფნა.
**კაცთმოყვარეობა, ადამიანებში მხოლოდ კარგი თვისებების აღმოჩენა და მათი წახალისება. პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა. ნიჭიერ ხალხთან თანამშრომლობა, სიკეთის კეთების სურვილი. საკუთარი გულის ყურისგდება – ის ყოველთვის მართალია.**

## კახა ბასილია



საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი. ეკონომისტი. პოლკოვნიკი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 22 ივლისს. მშობლები: იზოლდა და ომარ ბასილიები. დაამთავრა ქ. ლვოვის სახელმწ. უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1990). იყო საქ. თავდაცვის მინისტრის მრჩეველი (1999-2006); 2006 წლიდან არის საქ. სპორტის დეპ-ტის თავ-რის მრჩეველი; 2009 წლიდან — ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მრჩეველი; მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა აკადემიის აკადემიკოსი (2002 ). არის ავტორი წიგნისა „წარმატების საიდუმლოება" (2008). არის ღირსების ორდენის კავალერი (2001); დაჯილდოებულია მედლით სამხედრო მამაცობისათვის (1992); კარატეს მსოფლიო ფედერაციის ჯილდოთი — „ოქროს

მედალიონი". მისი ბიოგრაფია შესულია კრებულში „სახეები" (2005, 2006).
ჰობი: მუსიკა. მწერლობა. პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) დ. უზნაძის 6, თბილისი. ტელ: 96 31 89. ელ-ფოსტა:info@karate.ge
**შრომა, პრინციპულობა, მიზანსწრაფვა, ამბიციურობა.**

## ბადრი ბასიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.



დაიბადა ცხინვალში 1977 წ. 20 იანვარს. მშობლები: ნინო კახნიაშვილი, აკაკი ბასიშვილი; მეუღლე — ელგა ოქროპირიძე (1977); შვილი — მარიამი (2007). დაამთავრა უნ-ტის „ლეგია და კომპანია" სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (2004). იყო სახელმწ. რწმუნებულის აპარატის მრჩეველი (2004-05); ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ-რე (2006-08). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიახვის ხეობის ორგანიზაციის თავ-რეა 2003 წლიდან. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. იყო ევროსაბჭოს თვითმმართველობის კონგრესის წევრი (2007-08).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 899 97 22 55. (ბინის) გორის რ-ნი სოფ. კევხი.
**ვარ კარგი ორგანიზატორი, მაქვს მეგობრობის, ერთგულების უდიდესი გრძნობა, მიყვარს ჩემი ქვეყნის დროშა, ჰიმნი, პრეზიდენტი. ვცდილობ ყოველთვის ვიყო სამართლიანი, ადამიანში ვაფასებ უბრალოებას. პატივს ვცემ ერთგულებას, მიყვარს ოჯახი და ჩემი მეგობრები.**

## დავით ბაქრაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.



დაიბადა 1972 წ. 1 ივლისს. მშობლები: ლილი და შუქრი ბაქრაძეები; მეუღლე — მაკა მეტრეველი (1974); შვილები: ეკატერინე (1999), ნინო (2004). დაამთავრა სტუ საინჟინრო-ფიზიკური ფაკ-ტი (1989); სტუ ფუნდამენტურ მეცნიერებათა ს/ს ინ-ტი (1994); სახელმწ. მმართველობის ინ-ტი (1996); ასპირანტურა (1994); სახელმწ. მართვის ქართულ-ამერიკული ინ-ტის სახელმწ. მართვის მაგისტრატურა (1995-96); გაიარა პროფესიული მომზადების კურსები: შვეიცარიის საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტში (ჟენევა, 1997); ევროპული უსაფრთხოების საკითხთა კვლევის ცენტრში (გერმანია, 1998); ნატოს თავდაცვის კოლეჯში (იტალია, 2001). იყო საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1997-98) და უფროსი (1998-2000); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო პოლიტიკური დეპ-ტის დირექტორის მოადგილე (2000-02); საქ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს აპარატის უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი (2002-03); საქ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების პრობლემატიკის დეპ-ტის დირექტორი (2003-04); საქ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპ-ტის დირექტორი (2004); ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რე (2004-07); საქ. სახელმწ. მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში (2007-08); საქ. საგარეო საქმეთა მინისტრი (2008). 2008 წ. 5 იანვრის საქ. საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის — მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერი; 2008 წ. 21 მაისს საქ. საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოსათვის" სიის პირველი ნომერი. იყო საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რადიოფიზიკის თეორიული საფუძვლები" (1998). არის 5 სამეცნ. ნაშრომის და 20-მდე ანალიტიკური პუბლიკაციის ავტორი (დაბეჭდილია აშშ, იაპონიის, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის სპეციალიზებულ პერიოდულ გამოცე-

მებში). აქვს უფროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი. მიღებული აქვს საქ. პრეზიდენტის და საგარეო საქმეთა მინისტრის მადლობები „აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობისათვის" (2000); დაჯილდოებულია შვეიცარიის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის პრიზით „საერთაშორისო ურთიერთობებში გამოვლენილი ლიდერობისათვის" (2005); იყო ევროპის სახელმწ. მმართველობის სტუდენტური ასოც-ის დამფუძნებელი წევრი (1996-98); ევროპის სახელმწ. მმართველობის ინ-ტებისა და სკოლების კავშირის ინდივიდუალური წევრი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა, მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ/ფაქსი: 99 08 39.
ელ-ფოსტა: dato_b@yahoo.com
**პასუხისმგებლობა ქვეყნის, ოჯახის და საკუთარი თავის მიმართ.**

## ოთარ ბაღათურია



მსახიობი. რეჟისორი. დრამატურგი.
საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა ოზურგეთის რ-ნის სოფ. ლიხაურში 1941 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: ვალიდა გორგოშიძე, შოთა ბაღათურია; მეუღლე — ლილი ბურბუთაშვილი (1945); შვილები: შოთა (1964), ბაჩი (1968), ირაკლი (1972). დაამთავრა თსუ სამსახიობო ფაკ-ტი (1963). იყო თსთი-ს პედაგოგი, დოცენტი (1980-98). არის ნ.დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა (ცენტრალური საბავშვო) ქართულ თეატრის მსახიობი და რეჟისორი (1963 წლიდან). შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „სადა ხარ, სოფიკო", „სიმონა მაშარის სიზმრები", „დარისპანის გასაჭირი", „გალილეო გალილეი", „მოკვეთილი", „ქამუშაძის გაჭირვება", „რღვევა", „შეაჩერეთ მალახოვი", „ჩვენებურები", „ბედნიერი ბილეთი", „კუკარაჩა" და სხვა; სატელევიზიო სპექტაკლებში: „ირინეს ბედნიერება", „მარადისობის კანონი"; გადაღებულია ფილმებში: „მდგმურები", „ვერსათრიელა". დადგმული აქვს სპექტაკლები მოზარდ მაყურებელთა, ახმეტელის სახ., მესხეთის თეატრებში, ასევე თსთი-ში, მათ შორის: „დარისპანის გასაჭირი", „ქამუშაძის გაჭირვება", „თოლია", „ბანკეტი", „ამიკო", „ავი ლომისგან დღეს, ვინ გადაარჩენს ტყეს", „მეფე ლირი თავშესაფარში". არის ავტორი პიესებისა „ამიკო" და „მეფე ლირი თავშესაფარში". არის სახელმწ. და ს.ახმეტელის სახ. პრემიების ლაურეატი. საქ. დამს. არტისტი (1979), საპატიო ნიშნის (1970) და ღირსების (2002) ორდენების კავალერი. ორგზის დაჯილდოვებულია პრემიით „წლის საუკეთესო აქტიორული ნამუშევარი" („სადა ხარ სოფიკო", „რღვევა"). არის რუსთავის საერთაშ. თეატრალურ ფესტივალის — „ოქროს ნიღაბი" ლაურეატი (პრემია „საუკეთესო დრამატული ნაწარმოებისათვის", 1998). 2009 წელს რიგის დრამატულ თეატრში განახორციელა პიესა „მეფე ლირი თავშესაფარში".
ჰობი: სპორტი. დრამატურგია.
მისამართი: (სამსახურის) თბილისი. ნ.დუმბაძის სახ. ცენტრალური საბაშვო თეატრი. (ბინის) გამრეკელის 53, თბილისი. ტელ: 31 65 95.
**კეთილსინდისიერება, სიმართლე და პატიოსნება.**

## ჯონდი ბაღათურია



საქართველოს პარლამენტის წევრი. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის" თავმჯდომარე. ეკონომისტი.

დაიბადა ბათუმში 1964 წ. 30 მარტს. მშობლები: ლუარა გორდაძე, ალკაზარ (ალექსანდრე) ბაღათურია; მეუღლე — ნათია ფოფხაძე (1969); შვილები: თორნიკე (1989), მაგდა (მარიამი, 1996), თეკლა (2004). დაამთავრა თსუ საინჟინრო ეკონომიკის ფაკ-ტი (1986); ევროსაბჭოს პოლიტიკური სწავლების სკოლა (2001). იყო ქ. ბათუმის მექანიზაციის სამმართველოს მე-3 თანრიგის ზეინკალი (1980-81), სასკოლო კვების კომბინატის მუშა (1987); შულავერის ინერტულ მასალათა ქარხნის უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი (1988-89); ტრესტ „საქსპეცმშენის" სანარმოო დაწესებულებათა კომბინატის ეკონომისტი (1989-91); ტრესტ

„საქსპეცმშენის" სმმკ – 132 ფინანსისტ-ეკონომისტი, ეკონომისტი (1991-95); თბილისის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ედპ"-ს თავ-რე (1998-2006). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქციის „ფრაქციის გარეშე" წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების წევრი; საქ. I პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. 2007 წელს დააფუძნა პ/გ „ქართული დასი". არის აფხაზეთის ომის ვეტერანი.
ჰობი: ცხენოსნობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 281615.
**გნამდეს და გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს ადამიანი, ემსახურებოდე სამშობლოს ანუ გქონდეს სამშობლოს განცდა.**

## გიორგი (გია) ბაღაშვილი



მუსიკოსი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: მანანა პატარაია, ჯემალ ბაღაშვილი; მეუღლე — თამარ ტაბატაძე. დაამთავრა კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის ფაკ-ტი, ასპირანტურა. არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისის" გენ. დირექტორი. კითხულობდა ლექციებს კონსერვატორიასა და კულტურის უნტ-ში. არის შოუ-ბიზნეს ცენტრ „ლომისის" გენ. დირექტორი; ჯგუფის — „ქუჩის მუსიკოსები" ხელმძღვანელი. ტრადიციული საკონცერტო-იუმორისტული პროგრამა „იუმორინას" თანაავტორი (ჯ.ბაღაშვილთან ერთად). არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი.
ჰობი: კარატე (შავი ქამრის მფლობელი, შოტოკან-კარატე-დო).
მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 1. ტელ: 98 78 44; ფაქსი: 98 85 68. (ბინის) თბილისი, ი.აბაშიძის 18 ტელ: 22 35 25.

## ნანა ბაღაშვილი



საქართველოს რკინიგზელთა დარგობრივი პროფკავშირის თავმჯდომარე.

დაიბადა ონის რ-ნის სოფ. გლოლაში 1949 წ. 15 იანვარს. მშობლები: სარა ბაკურაძე, გიორგი ბაღაშვილი; შვილები: მირანდა (1971), მირიანი. დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1970); თსუ (1979). იყო მეფრინველეობის ფაბრიკის ფიზკულტ. მეთოდისტი (1970-72); სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" მწვრთნელი (1972-79); საქალაქო საბჭოს თავ-რე (1980-86); სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქალაქო საბჭოს თავ-რე (1986-91); სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თავ-რე (1991). არის სპორტის ოსტატი სათხილამურო სპორტში (1974), საქ. მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის პრიზიორი სათხილამურო რბოლაში; რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი. არის საპატიო რკინიგზელი; რკინიგზის პროფ. კავშირის პრემიის ლაურეატი; მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობა (1998). არის საერთაშ. სატრანსპორტო კონფედერაციის საბჭოს, საქ. გაერთიანებული პროფკავშირების გამგეობისა და საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „სპორტი საქართველოში" (თბილისი, 1981), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) თამარ მეფის გამზ.15. თბილისი 0112. ტელ: 95 20 30. (ბინის) მეფრინველეობის ქუჩა, ლილოს დასახლება, I კორპ. ბ.46, თბილისი.
**პატიოსნება, კეთილსინდისიერება და თავდაუზოგავი შრომა.**

## ჯემალ ბაღაშვილი

მუსიკოსი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა თბილისში 1941 წ. 12 სექტემბერს. მშობლები: ელისაბედ და ბორის ბაღაშვილები; მეუღლე — მანანა პატარაია (1945) შვილები: გიორგი (1971), თეონა (1974) . დაამთავრა სპი მეტალურგიისა (1968) და ი.ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინ-ტის ინგლისური ენის (1973) ფაკ-ტები. იყო ტრიო „ლილეს" სოლისტი (1964-67); საქ. სახელმწ. ფილარმონიის საესტრადო სამმართველოს უფროსი (1986-90); ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მთ. რეჟისორი (1990-2005). შოუ-ბიზნეს ცენტრ „ლომისი"-ს გენ. დირექტორი (1995 წლიდან); არის ანსამბლ „ივერიის" წევრი (1968 წლიდან); დამდგმელი რეჟისორი მიუზიკლებისა: „ჩხიკვთა ქორწილი", „არგონავტები", „თოვლის ბებოს ზღაპარი", „რქიანეთი". არის 5000-ზე მეტი საესტრადო კონცერტის პროგრამის ავტორი და რეჟისორი; 200-ზე მეტი სიმღერისა და ლექსის ავტორი, მათ შორის: „გული არა ბერდება", „ბალდათი", „ქეიფს ვინყებ დილიდან"; რეჟისორი და ლიბრეტოს ავტორი სპექტაკლისა „ფიროსმანი". არის საქ. დამსახურებული არტისტი (1980); ღირსების ორდენის კავალერი (1994); ანსამბლ „ივერიასთან" ერთად საკავშირო საესტრადო კონკურსის I პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „თბილისი", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბილიარდი, მაგიდის ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 1. ტელ: 98 78 44; ფაქსი: 98 85 68. (ბინის) ი.აბაშიძის 18. თბილისი. ტელ: 22 35 25.
**არასოდეს გაუკეთო სხვას ის, რასაც თავად არ ისურვებდი, რომ გაგიკეთონ.**

## ალექსანდრე ბაჩიაშვილი

ქირურგი. პროფესორი.



დაიბადა თელავში 1949 წ. 28 ივლისს. მშობლები: მარიამ მჭედლიშვილი, კიმო ბაჩიაშვილი; მეუღლე — მარინა რამაზაშვილი (1960); შვილები: ნინო (1984), გიორგი (1985). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1973); თსუ სოხუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (2005); გაიარა მოსკოვის საკავშირო ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის კლინიკური ორდინატურა (1973-75) და ასპირანტურა (1978). იყო მოსკოვის საკავშირო ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის მუცლის ქირურგიის განყ-ბის უმც., უფრ. და წამყვანი მეცნ. თანამშრომელი (1978-91); თბილისის სამედიცინო აკადემიის I ქირურგიის კათედრის პროფესორი (1992-2006); რესპუბლიკის მთ. ქირურგი (1994-98); სამედიცინო აკადემიის კლინიკის დირექტორი (1995-2006). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „არაორგანული სიმსივნეების კომპლექსური დიაგნოსტიკა და მკურნალობა" (1989). არის 55 სამეცნ. ნაშრომის, ერთი გამოგონების და ორი სასარგებლო მოდელის ავტორი; საქ. პროფილაქტიკური მედიცინის მეცნ. აკადემიის, ევროპის ტრავმისა და გადაუდებელი ქირურგიის ასოც-ის, საქ. ქირურგთა ასოც-ის პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია გ.მუხაძის სახ. მედლით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ავტომობილები.
მისამართი: (ბინის) ირ.აბაშიძის 57, თბილისი. ტელ: 21 49 01; 899 55 93 03.
**ყველა საქმეს უნდა უძღვებოდეს და ახორციელებდეს საქმის პროფესიონალი.**

## ნიკოლოზ ბაჩილავა



თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.
ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: ნინო კვესიტაძე, დავით ბაჩილავა; მეუღლე — ხათუნა ჩხეიძე (1970); შვილები: დავითი (1996), ნინო (1997). დაამთავრა სტუ სატრანსპორტო ფაკ-ტი. იყო მცხეთის საგზაო-სამშენებლო სამმართველოს ინჟინერი (1990-96); საქ. ახალგაზრდობის საერთაშ. ფონდის კოორდინატორი (1997-99); წყნეთის გამგებლის მოადგილე (2006); დიდგორის რ-ნის გამგებლის მოადგილე (2007). 2008 წლიდან არის თბილისის საკრებულოს წევრი და საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავ-რე.
ჰობი: ძველებური ნივთების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 2, თბილისი 0117. ტელ/ფაქსი: 93 62 86; ელ-ფოსტა: nbg@sakrebulo.ge
**სამართლიანობა და მოყვასის სიყვარული.**

## გიორგი ბახტაძე



სსიპ ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ბიოლოგი.

დაიბადა თბილისში 1949 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: გალინა და ირაკლი ბახტაძეები; მეუღლე — მარინე ბახტაძე (1947); შვილები: ირაკლი (1974), გიორგი (1979). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1971); ზოოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1974). იყო ზოოლოგიის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1974-80), სწავლული მდივანი (1980-87), ლაბორატორიის გამგე (1987-2005). 2005 წლიდან არის ზოოლოგიის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს კალიასებრთა გენეტიკური ცვალებადობა" (1995). არის 55 სამეცნ. ნაშრომის ავტორი. იყო ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრი (1975-80).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 31, თბილისი 0179. ტელ: 22 01 64; ფაქსი: 91 71 92 . (ბინის) ყაზბეგის 17, ბ. 18, თბილისი 0179. ელ-ფოსტა: gbam@caucasus.net
**სიმართლე, პატიოსნება, ერთგულება.**

## დავით ბახტაძე



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 20 მაისს. მშობლები: იზა ვაშაკიძე, კონსტანტინე ბახტაძე; მეუღლე — ირინა შოთაძე (1970); შვილები: გიორგი (1992), პეტრე (1999). დაამთავრა თსთი-ს სამსახიობო ფაკ-ტი (1987). სწავლობდა აიოვას შტატის უნ-ტში. იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ანა ფრანკის დღიური", „ამაღამ მგონი იქნება ქარი", „ჰამლეტი", „სამანიშვილის დედინაცვალი", „მუსუსი" და სხვა. გადაღებულია ქართულ ფილმებში: "ბრავო, ალბერ ლოლიშ" და "კალმასობა იოანესი". 1993 წლიდან მუშაობს ამერიკაში – ჰოლივუდში. გადაღებულია მრავალ კინოფილმსა თუ ტელესერიალში. მათ შორის: "Night All Day", "LAX", "Crash", "The Handler" , "Alias", "The Beast", "Ghost Recon", "Wanted" , „ბედის ირონია 2" და სხვ.
მისამართი: აშშ. ქ. ლოს-ანჯელესი.

## თამაზ ბეჟანიშვილი



პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე. ინჟინერი.

დაიბადა ხაშურში 1942 წ. 29 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა სახვაძე, გრიგოლ ბეჟანიშვილი; მეუღლე — მარინა ბეჟანიშვილი (1949); შვილი — თინათინი (1983). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1964). იყო სპეცმონტაჟმშენის ინჟინერი, საქმეთა მწარმოებელი (1965-70); საპროექტო ინ-ტის მძიმმრეწველპროექტის პროექტის მთ. ინჟინერი (1970-80); ქარხანა „თბილხელსაწყოს" დირექტორი (1980-99); გენერალური დირექტორი (1999 წლიდან). არის პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავ-რის მოადგილე.
ჰობი: ფეხბურთი. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) მოსკოვის გამზ. 24ა, თბილისი. ტელ: 70 52 54. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 8, თბილისი.
**ჩემი ძირითადი პრინციპებია პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, გაჭირვებულის დახმარება (შესაძლებლობის ფარგლებში) და სწრაფვა სრულყოფისაკენ.**

## დავით ბეჟუაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 19 იანვარს. მშობლები: სვეტლანა და რობერტ ბეჟუაშვილები; მეუღლე — თეა ჭეიშვილი (1977); შვილები: ირაკლი (2002), ნიკოლოზი (2004). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1993). იყო სს „საქტრანსგაზმრეწვი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (1998-99); სს „საქგაზი"-ს დირექტორთა საბჭოს თავ-რე, გენ. დირექტორი (1998-99). 1999 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; 2008 წლიდან — ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტების წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და საბანკო სისტემების განვითარების პერსპექტივები". არის ძალოსნობის ეროვ. ფედერაციის პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 12; 28 12 15.

## ლაშა ბერაია



გამომცემლობა „ლოგოს პრესის" დირექტორი და მთავარი რედაქტორი. ფილოლოგი.

დაიბადა უკრაინაში 1966 წ. 9 იანვარს. მშობლები: ტატიანა პიროგოვა, გივი ბერაია; მეუღლე — მაია ბერაია (1966); შვილი — აია (1989). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1990). იყო თსუ ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის მეცნ-თანამშრომელი (1990-2003); კითხულობდა ანტიკური ლიტერატურის ისტორიას, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიასა და ანტიკური კულტურის ისტორიას. არის „პროგრამა ლოგოსის" (პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური, ფილოლოგიის, ნეოგრეცისტიკისა და ბიზანტინისტიკის სფეროში) დირექტორი და რედაქტორი (1996-2000). 2000 წლიდან არის შპს „ლოგოს პრესის" დირექტორი და მთ. რედაქტორი. ავტორი წიგნისა „ტროას ომი" (სერიიდან „ბერძნული მითების სამყარო, 2004). იყო საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოც-ის გამგეობის წევრი (1997 წლიდან) და გამგეობის თავ-რე (2007-09).

ჰობი: მოგზაურობა. კითხვა. კინო.
მისამართი: (სამსახურის) შპს „ლოგოს პრესი", ილ.ჭავჭავაძის გამზ. 15ა, თბილისი 0179. ტელ: 91 51 01; (ბინის) კეკელიძის 25, ბინა 8, თბილისი 0179. ელ-ფოსტა: info@logospress.ge; www.logospress.ge
**მსურს ვიცხოვრო თავისუფალ საქართველოში თავისუფალ ადამიანებთან ერთად, პირადი თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის, თითოეული ადამიანის განუმეორებლობის აღიარებისა და ამაზე დაფუძნებული ურთიერთპატივისცემის პრინციპების დაცვით. ჩემი პროფესიული საქმიანობითა და საზოგადოებრივი აქტიურობით ვცდილობ ხელი შევუწყო საქართველოში განათლებისა და კულტურის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებას.**

## ივა ბერაძე



შპს „ნიუ ჰოსპიტალი"-ს თვალის სნეულებათა დეპარტამენტის სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობის ხელმძღვანელი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ელენე ბერაძე-დიდია, ნიკოლოზ ბერაძე; მეუღლე — რუსუდან ბერაძე (1947); შვილები: ეკა (1974), ირინა (1977). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1964), ასპირანტურა (1969). იყო ყვარლის რ-ნის ექიმი ოფთალმოლოგი (1964-66); თბილისის სახელმწ. სამედ. აკად-ის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1966-2006), კათედრის გამგე (1988-2006); აკად-ის პრორექტორი სამეცნ. დარგში (1999-2004); მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპ-ტის თავ-რე (2004-06). არის სამედიცინო აკად-ის თვალის სნეულებათა კათედრის გამგე 1990 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო (1969) და სადოქტორო (1978) დისერტაციები. არის 3 მონოგრაფიის ავტორი: „ცალმხრივი ეგზოფთალმის დიაგნოსტიკის თანამედროვე საკითხები" (1978); „მხედველობის გზის კლინიკური ანატომია" (2001); „თვალის მამოძრავებელი აპარატი და მისი დაზიანების სემიოლოგია" (2002). არის ღირსების ორდენის კავალერი (2001); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2003); ახალი ორლეანის საპატიო მოქალაქე (აშშ, 2002); ევროპის ოფთალმოლოგთა საბჭოს წევრი (2000 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინ არის აშშ-ში" (1999), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006) და ქსე-ში.
ჰობი: სპორტი, განსაკუთრებით — ფეხბურთი, კალათბურთი, ტენისი; ქართული ვოკალი.
მისამართი: (სამსახურის) გორგასლის 71, თბილისი 0114. ტელ: 75 37 06. (ბინის) მაჩაბელის 7. თბილისი 0107. ტელ: 99 09 70, 18 44 90.
**სიმართლე, ერთგულება, პასუხისმგებლობა, ქვეყნის, ოჯახის, მეგობრების წინაშე. წესიერება ყველგან, პირადი მაგალითი სამსახურში. შეუნდობლობა უმსგავსოების წინაშე.**

## ალექსანდრე ბერდიშევი



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. მშობლები: მარინა შადური, იური ბერდიშევი; მეუღლე — ნინო კეშელავა (1963); შვილი — ნიკოლოზი (1989). დაამთავრა თსსა გამოყენებითი გრაფიკის ფაკ-ტი (1988). გაიარა სტაჟირება გლაზგოს უმაღლესი ხელოვნების სკოლაში (1990). მუშაობდა სამხატვრო კომბინატში (1971-80); დიზაინ-ფონდში (1988-2000) და სანარმო „დობერაში" (2004-07) მხატვარ-დიზაინერად; არის „ქართული ბიოგრაფიული ცენტრის" დიზაინერ-ილუსტრატორი (2006 წლიდან); მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინ-ტის კლინიკის არტ-თერაპიის ცენტრის კომპიუტერული გრაფიკის პროგრამის კოორდინატორი (2007 წლიდან). გამოფენებში მონაწილეობს 1990 წლიდან; გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: ედინბურგი (ბრიტანეთის საბჭოს დარბაზი 1994, 1995); ედინბურგის ხელოვნების კოლეჯში (ედინბურგის საერთაშ. ფესტივალი, 1997); გალ. „ჰობი" (თბილისი, 1999, 2002, 2008, 2009); გალერეები „ორიენტი" და „კოპალა" (თბილისი, 2003-09); პროექტი „Art Caucasus" (თბილისი, 2004, 2005); გალერეა „TMS" (თბილისი, 2005); მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: ესპანეთი (გალ „Brok", ბარსელონა ,1990); მოსკოვი (ცენტრ. საგამოფენო დარბ., 1991); შოტლანდია (ედინბურგი, 1994, 1995); ლონდონი (1996); შოტლანდიის სამეფო აკადემია (ედინბურგი, 1995, 1997, 1998, 2000); „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში", სეგ

(თბილისი, 1998); „წარმოსახვის ხელოვნება" (ლონდონი, 2000); კულტურის ცენტრი „Kerr" (არიზონა, აშშ, 2000); „ხელოვნება საზღვრებს მიღმა" (ნიდერლანდები, 2001; ავსტრია, გერმანია 2002.); „აქტუალური სიზმრები" (თბილისი, 2002); ჯგუფი „Artlives" (ლონდონი, 2003); „Agora Gallery" (ნიუ-იორკი, 2004); გალერეა „არტ-ლაინი" (თბილისი, 2005-09); „Art Bridge" (ყაზახეთი, 2006). არის დიზაინერთა (1991), და მხატვართა (1997) კავშირების წევრი; 2000 წ. „შოტლანდიის სამეფო აკადემიის" ყოველწლიურ გამოფენაში მიღებული აქვს ჯონ მიურეი ტომპსონის პრემია; 2006 წელს მიიღო პირველი პრემია კოკა-კოლა თბილისის ჯაზის ფესტივალის პლაკატის კონკურსში.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 28, ბ. 21, თბილისი 0177. ტელ: 39 34 07. ელ-ფოსტა: ბერდყსჰეფფ გოლ.გე ვებ-გვერდი:www.alexberdyshelT.dsl.ge

## გივი ბერიკაშვილი



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 15 მაისს. მშობლები: ანა და ზაქარია ბერიკაშვილები; მეუღლე — ლეილა კაპანაძე (1933); შვილები: მანანა (1958), ზაქარია (ზურა, 1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1956). იყო სოხუმის დრამატული (1956-58), რუსთავის (1967-75) და მარჯანიშვილის (1958-1967) თეატრების მსახიობი. 1991 წლიდან მოღვაწეობს ქართულ ესტრადაზე. 1975 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი; შოუ-ბიზნეს ცენტრის — „ლომისი" სამხ. ხელმძღვანელი. შესრულებული აქვს 100-ზე მეტი როლი თეატრსა და კინოში. მათ შორის: მიტუა, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"; ყაჭია, „მკვდრის მზე"; ტიგრანა, „საბრალდებო დასკვნა"; ბონდო, „შთამომავლობა"; მილერი, „ვერაგობა და სიყვარული"; ჯენარო, „მილიონერი ნეაპოლი"; ბარნი, „მგზნებარე შეყვარებული"; ფალსტაფი, „ფალსტაფი"; გრიგოლი, „პიგმალიონი"; ლონდრე, „ლონდრე"; თავმჯდომარე, „სიყვარული ყველას უნდა"; მასწავლებელი, „სამოთხის გერიტები"; სანჩო, „მიჯაჭვული რაინდები" და მრავალი სხვა. არის საქ. სახალხო არტისტი (1978); კ.მარჯანიშვილის (2003) და ი.ხვიჩიას (2001) სახ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. 2008 წელს მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი, დაწესდა მისი სახ. პრემია. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოცემულია წიგნი — „სახალხო არტისტი — გივი ბერიკაშვილი" (ავტ. დ.ხვთისიაშვილი). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); ინტერნეტ ენციკლოპედიაში „ვიკიპედია".
ჰობი: ფეხბურთი. მებაღეობა.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 24 25. (ბინის) თამარაშვილის 19 ა, თბილისი. ტელ: 39 54 56.
**სიკეთე, სიკეთე, სიკეთე! მიყვარს მოსმენა! რაც არ ვიცი, სხვას ვეკითხები. შეკითხვის არ მრცხვენია. ვერ ვიტან ტყუილს, თუნდაც ჩემს სასარგებლოდ იყოს ნათქვამი. მიყვარს, როცა საქმეს მიქებენ – მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები! სიმშვიდე ოჯახში და საქმეში საშუალებას მაძლევს ნაყოფიერად ვიმუშაო. სხვისი წარმატება არ მშურს, პირიქით, მახარებს. ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრს ვმუშაობ. ვოცნებობ ჩემი თვალით ენახო და მოვესწრო, როგორ საქართველოში გააგრძელებენ ცხოვრებას შვილები და შვილიშვილები.**

## მანანა ბერიკაშვილი



რეჟისორი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 27 აპრილს. მშობლები: ლეილა კაპანაძე, გივი ბერიკაშვილი; შვილი — ანო მაისურაძე (1992). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1979); გიტისის ასპირანტურა (1985); თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (2001). იყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის მეტყველების კონსულტანტი (1994-2001); ტელეკომპანია „მზის" სამხ. ხელმძღვანელი (2001-06). არის თსთი პედაგოგი 1985 წლიდან; ხელოვნებათმ-

ცოდნეობის დოქტორი (2005), პროფესორი; სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის მეტყველების კონსულტანტი 2006 წლიდან; ვ.აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (2007 წლიდან); 2008 წლიდან მუშაობს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, 2009 წლიდან — კავკასიის უნ-ტის „მედია სკოლაში". სხვადასხვა წლებში თანამშრომლობდა „ინტერნიუსთან" ტელე და რადიო ჟურნალისტთა მეტყველების კულტურის პროფესიულ დაოსტატებაზე. არის ავტორი წიგნებისა: „მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები" (2001), „მეტყველების ტექნიკა" (2005), „მეტყველების კულტურის ძირითადი პრინციპები" (2005, სადისერტაციო ნაშრომი). დადგმული აქვს სპექტაკლები: „მარკიზა დე სადი", „ბედნიერი ერი", „ჩვენ გველის დიდება", „სიშორით სიახლოვე", „ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება", „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" და სხვა. არის მრავალი საღამოს, ლიტერატურული კომპოზიციის ავტორი. იყო მოსკოვის სასცენო მეტყველების საკავშირო მეთოდოლოგიური ცენტრის წევრი (1983-88). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფსიქოლოგია.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი. ტელ: 99 94 11; 20 11 11; ალმაშენებლის 182. ტელ: 34 80 90. (ბინის) თამარაშვილის 19ა, თბილისი. ტელ: 39 54 56.
**მიმაჩნია, რომ ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესია დათმენისა და მიტევების უნარი. საქმისადმი პრინციპული და პროფესიონალური დამოკიდებულება და რაც მთავარია იმ საქმის უანგარო სიყვარული, რასაც ვემსახურები. ყოველი დღე უნდა იყოს „დღე სასწაული". ხელოვნების მსახურება მხოლოდ ასე შეიძლება.**

## ნოდარ ბერიკაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. მათემატიკოსი.

დაიბადა თბილისში 1929 წ. 25 იანვარს. მშობლები: მარიამ იაშვილი, ალექსი ბერიკაშვილი; მეუღლე — ოლღა ჯანელიძე (1936); შვილები: ნანა (1965), თეა (1969). დაამთავრა თსუ მათემატიკის ფაკ-ტი (1952), თსუ ასპირანტურა (1952-55). იყო მოსკოვის სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1955-59); თბილისის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის უფრ. და მთ. მეცნ. თანამშრომელი (1959-89), გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყ-ბის გამგე (1989-2004); არის ამავე განყ-ბის მთ. მეცნ. თანამშრომელი (2004 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სპექტრების აქსიომატიკური თეორია და ორადობის თეორემები არაჩაკეტილი სიმრავლეებისათვის" (1956), სადოქტორო — „სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები" (1972). არის 40-ზე მეტი სამეცნ. სტატიისა და 1 მონოგრაფიის — „სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები" ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, თბილისი 0193. ტელ: 33 41 54. (ბინის) გოთუას 16, ბ. 16, თბილისი. ტელ: 38 86 59; 871 98 02 48. ელ-ფოსტა: berika@rmi.acnet.ge

## გიორგი ბერიძე



კინოოპერატორი.

დაიბადა თბილისში 1954 წ. 18 ოქტომბერს, მშობლები: ნუნუ დვალი, პავლე ბერიძე; მეუღლე — თამარ მელიქიშვილი (1965). შვილები: ნიკოლოზი (1994), თინა (2001). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1976); თსუ მეორადი ხელოვნების ფაკ-ტის კინოსარეჟისორო განყ-ბა (1975); თსთი კინოფაკ-ტის კინოსაოპერატორო განყ-ბა (1986). იყო სპი უმც. მეცნ. თანამშრომელი (1976-80); თბილისის სახელმწ. თოჯინების თეატრის სცენის მემონტაჟე (1980-81); კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორის თანაშემწე (1981); არის კინოოპერატორი 1986 წლიდან. გადაღებული აქვს 60-ზე მეტი ფილმი, მათ შორის: „ანემია" (1988), „დახატული წრე" (1988), „ტურანდოტი" (1990), „მარტივი პასიანსი" (1990), „ვალსი პეჩორაზე" (1992) „ატრაქციონი" (1992), „იავნანა" (1993), „ატუ ალაბა — (Hotel California)" (1996), „შეყვარებული კულინარის

1001 რეცეპტი" (1995-96), „სულელი ბრონეულის ხე" (1998), „შვიდი დღე ტიბეტში" (1998), „ძვირფასო M" (1999), "Over Net Met Geveren In Dekembers. Lucht" (2002), "Poetin's Mama (ჰოლანდია, 2003), "L'ami Hollandais" (ჰოლანდია, 2005), "The game" (საქართველო-გერმანია, 2005), „ჩემი თვითმფრინავი" (2005), „აბსურდის ტანი" (2007), „რუსული სამკუთხედი" (2007), „ყარაბახი 2 — კონფლიქტის ზონა" (2009) და სხვა. მიღებული აქვს საქ. სახელმწ. და ი.გოგებაშვილის სახ. (1994) პრემიები; ქართული კინოაკადემიის პრიზი „ნატო" და პრემია „ოქროს არწივი" საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის მხ. ფილმში „იავნანა" (1994); პრიზი „ოქროს არწივი" ფილმისთვის „ატუ ალაბა — (Hotel California)" (1996); პრიზი ბუქარესტის საერთაშ. კინოფესტივალზე საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის მხ. ფილმში „აბსურდის ტანი" (2009). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა. კითხვა. მოგზაურობა. ფოტოგრაფია.
მისამართი: უზნაძის 4. თბილისი. ტელ: 91 14 24.

## თენგიზ ბერიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოქიმიის სპეციალისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: რუსუდან როინაშვილი, გიორგი ბერიძე; მეუღლე — მარინა ქეცბა (1946); შვილი — გიორგი (1987). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1962); მოსკოვის ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1966). მუშაობდა ბოტანიკის ინ-ტში (1962-63); იყო პუშჩინოს ცილის ინ-ტის სტაჟიორი (1967-68); თბილისის ბიოქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1968-69). არის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის ლაბორატორიის ხელმძღ. (1969 წლიდან); თსუ პროფესორი (1989 წლიდან); საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის აკადემიკოსი (1993 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მცენარეთა ორგანელების დნმ-ის გამოკვლევა" (1967), სადოქტორო — „უმაღლეს მცენარეთა სატელიტური დნმ" (1980). გამოქვეყნებული აქვს 70 ნაშრომი, მათ შორის წიგნები: "Сателлитные-ДНК" ("Наука" 1982), "Satellite DNA" (Springer Verlag. Berlin-Heidelberg-New-York-Tokio, 1986). მისი ბიოგრაფია შესულია ABI-ისა და IBC-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).
ჰობი: ჩოგბურთი. ფორტეპიანო.
მისამართი: (სამსახურის) დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ, თბილისი. ტელ: 52 80 97. (ბინის) ყაზბეგის 47, ბ.10, თბილისი. ტელ: 39 25 40. ელ-ფოსტა: Tberidze@hotmail.com

## დავით ბერძენიშვილი



საქართველოს რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური მდივანი.
ისტორიკოსი.

დაიბადა ბათუმში 1960 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ვენერა რუხაძე, ვალერიან ბერძენიშვილი; მეუღლე — ნინო ინწკირველი (1962); შვილები: ლევანი (1988), ზურაბი (1991), ანასტასია (2000). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1986). 1983-1985 წლებში იყო პოლიტპატიმარი (სუკის იზოლატორი, მორდოვეთის პოლიტპატიმართა ბანაკი); იყო ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა (1985-86); ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. ს/კ ინ-ტის უფრ. ლაბორანტი, მეცნ. თანამშრომელი (1986-90); საქ. უზენაესი საბჭოს წევრი (1990-92); სახელმწ. საბჭოს წევრი (1992); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95); აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი (1991-96); თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტის" თავ-რე (2002-04); საქ. პარლამენტის წევრი (2004-08), ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" თავ-რე (2006-07). არის საქ. რესპუბლიკური პარტიის წევრი 1978 წლიდან; 2005 წლიდან — საქ. რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური მდივანი. მისი ბიოგრაფია შესულია ბიოგრაფიულ ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); Slownik Dysydentov (ვარშავა, 2007).
ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 13, თბილისი. ტელ.: 92 00 58. (ბინის) საბურთალოს 7, ბ. 16. ელ-ფოსტა: berdzenishvilid@republicans.ge
**რესპუბლიკური პარტიის არალეგალურ ჟურნალ „სამრეკლოს" (1979) დევიზი: „ვიყვეთ არავისი და ვემსახურებდეთ არავის თვინიერ დამბადებლისა" (სიტყვები „ქართლის ცხოვრებიდან"). „პოლიტიკოსისათვის უმნიშვნელოვანესია ზნეობრივი ნრთობა" (გფრ-ის პირველი პრეზიდენტის ხოისის სიტყვები).**

## ელგუჯა ბერძენიშვილი



საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1925 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: თამარ და ისიდორე ბერძენიშვილები; მეუღლე — ნატა ჯანელიძე (1941); შვილი — ზაზა (1956). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ფაკ-ტი. მუშაობს ფერწერისა და თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ჟანრებში. გამოცემული აქვს წიგნები — „ხასანბეგურა" და „მასპინძელი". არის ავტორი პანოებისა „აბესალომ და ეთერი" (ზ.ფალიაშვილის მუზეუმი), „შემოდგომა" (ღვინის ქარხანა ქსნის ხიდთან); ფერწერული ნამუშევრები „მაიკო ჭილაშვილი" (1987), „იტალიელი ქალბატონი" (1992). გაფორმებული აქვს წიგნები: „დიდოსტატის მარჯვენა" (1972), „დედაენა" (1998) და სხვა. არის საქ. დამს. მხატვარი (1966); მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის რამდენიმე მედლის მფლობელი; საქ. მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის 30, თბილისი 0179. ტელ.: 22 50 45.
**სიკეთე და სიმართლე.**

## ლევან ბერძენიშვილი



საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდობის საქმეთა მდივანი.
ფილოლოგი.

დაიბადა ბათუმში 1953 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ვენერა რუხაძე, ვალერიან ბერძენიშვილი; მეუღლე — ინგა შირავა (1954); შვილი — თამარი (1974). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1977). იყო თსუ „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის" უფრ. რედაქტორი (1977-79); აფხაზეთის უნ-ტის უცხო ენათა კათედრის გამგის მოადგილე (1979-80); თსუ ლექტორი (1980-93); პოლიტპატიმარი ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის (სასჯელი მოიხადა მორდოვეთის ასსრ, 1984-87); თსუ ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის თანამშრომელი, ლაბორანტიდან — გამგემდე (1987-93); საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი (1998-2004); საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „არისტოფანეს ლიტერატურული შეხედულებებისა და მხატვრული პრინციპების ერთიანობის პრობლემა" (1990). არის ავტორი 40 სამეცნ. ნაშრომისა; ლათინური ენის სახელმძღვანელოსი (მ. ფხაკაძესთან ერთად); თარგმანებისა: არისტოფანეს 11 კომედია და ევრიპიდეს „ელექტრა"; წიგნების — „ინტერნეტი ჟურნალისტებისათვის"; „ადამიანის უფლებები ქართულ კულტურაში" რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი. არის საქ. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1978) და წევრი; სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრის თავ-რე (1996); რესპუბლიკური ინსტიტუტის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია დისიდენტების ლექსიკონში (ვარშავა, 1995); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კომპიუტერი. კითხვა. მუსიკა. ბრაზილია (ქვეყანა, ფეხბურთი, მუსიკა).
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 13, თბილისი 0108. ტელ/ფაქსი: 92 00 58. (ბინის) ვეძინის 17. თბილისი 0108. ტელ: 93 22 27. ელ-ფოსტა: cdicl@access.sanet.ge
**თავისუფლება, ცნობისმოყვარეობა, იუმორი, ოპტიმიზმი.**

## მერაბ ბერძენიშვილი



მხატვარი-მოქანდაკე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1929 წ. 10 ივნისს. მშობლები: თამარ უსეინაშვილი, ისიდორე ბერძენიშვილი; მეუღლე — კირა მიქელაძე (1930). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1955). არის თსსა პროფესორი (1985 წლიდან); კულტურის ფონდის თავ-რე (1995 წლიდან). იყო მხატვართა კავშირის თავ-რის მოადგილე (1960-72); სსრკ 3 მოწვევის დეპუტატი (1978-90); ქანდაკების საერთაშ. სიმპოზიუმის ორგანიზატორი (თბილისი, 1997). არის ავტორი ქანდაკებებისა: „შოთა რუსთაველი" (მოსკოვი), „დიდგორის მემორიალი" (დიდგორი); „გიორგი სააკაძე" (კასპი, თბილისი); „მედეა" (ბიჭვინთა); „კიდევაც დაიზრდებიან" (მარნეული); „მუზა", „ზ.ფალიაშვილი" (თბილისი); „ჯარისკაცის მამა" (გურჯაანი); „მუსიკის დაბადება" (ბარელიეფი); „ლაოსის მეფე სისვანგ-ვონგი" (ვენტიანი, ლუანგ პრობანგი); „ქუთაისის მემორიალი" (ქუთაისი); „მზეჭაბუკი", „ნოდარ დუმბაძის მემორიალი" (თბილისი); „გამარჯვების მაცნე" (დიდგორი); „ქეთევან წამებული", „დავით აღმაშენებელი" (თბილისი); „მშვიდობა" (სოჭი); „ილია ჭავჭავაძე(?)"

## ეკა ბესელია



პოლიტიკური გაერთიანების — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივანი. ადვოკატი.

დაიბადა 1971 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: გულნარა ორაგველიძე, თამაზ ბესელია; მეუღლე — ზურაბ გუბელაძე; შვილები: რატი მილორავა (1992), ლიზი გუბელაძე (2003). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1996). 1996 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. 1998 წლიდან არის საადვოკატო კომპანიის ხელმძღვანელი; ადვოკატთა ასოც-ის წევრი. იყო ადვოკატთა ასოც-ის ეთიკის კომისიის თავ-რე (2006-07); საქ. პარლამენტის წევრი (2007, უფლებამოსილება შეუწყდა საკუთარი განცხადების საფუძველზე). არის ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის დამფუძნებელი წევრი და 2007 წლიდან — გამგეობის წევრი; პ/გ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წევრი, გენ. მდივანი (2007 წლიდან); არის ასოც. პროფესორი — კავკასიის ბიზნესსკოლის ლექტორი; მიღებული აქვს ჯილდოები: „სისხლის სამართლის დედოფალი" (2001); „წლის ადვოკატი" (2001, 2002, 2003, 2005). აქვს ექსპერტის წოდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციისა და ევროპის სასამართლოს საქმეების წარმოების სწავლებაში, საფრანგეთის საპატიო მედალი სამართლის სფეროში შეტანილი წვლილისათვის (2005); არის საადვოკატო უნარ-ჩვევების ტრენინგის გამარჯვებული (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); „წლის ადამიანები", „წლის სახეები" (2001-06).

ჰობი: კითხვა. ნოველების წერა. სპორტი.

მისამართი: (სამსახურის) გამრეკელის 19, ბიზნეს ცენტრი „პალატი", მე-5 სართ. თბილისი. ტელ: 24 25 96, 24 25 98; 895 95 79 79, 899 55 01 81. ელ-ფოსტა: eka.beselia@gmail.com

**სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა ყველაზე უზენაეს ღირებულებად მიმაჩნია. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა პროფესიამ (ადვოკატობამ) 11 წლის მანძილზე ამის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მომცა. 16 წლიდან ვიბრძვი უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ და არ მიმაჩნია, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ჩემთვის ყოველთვის მიზნამდე მისასვლელი გზის**

**ზნეობრივად გავლა იყო და იქნება ყველაზე ღირებული. პოლიტიკაში მინდა, ეს ფასეულობები და ღირებულებები დავამკვიდრო და ეს იყოს ჩემთვის საშუალება (პოლიტიკა) ადამიანებს სიხარული და ცოტაოდენი შვება მივანიჭო. გულწრფელობა, პროფესიონალიზმი, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ინტელექტი და სულიერება არის ის მთავარი თვისებები, რომელიც ერთობლიობაში ქმნის წარმატების წინაპირობას.**

## ლევან ბექაური



საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. მწვრთნელი. ფსიქოლოგი.

დაიბადა 1973 წ. 22 მაისს. მშობლები: ელზა ბიბილაშვილი, შალვა ბექაური. დაამთავრა თბილისის ვაჭრობისა და ეკონომიკის კოლეჯი მენეჯმენტისა და ეკონომიკის სპეციალობით (1993); თბილისის დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინ-ტი სამედიცინო ფსიქოლოგიის სპეციალობით (1998); უნ-ტი „აჭარა" ასაკობრივი ფსიქოლოგიის სპეციალობით (2005). იყო ქიმიური ქარხნის — „აზოტი" კულტურის სახლის ფსიქოლოგი (1997-99); პარალელურად — ტ/კ „ქვემო ქართლის" სპორტული გადაცემის — „არჩევანი" ავტორი და წამყვანი; რუსთავის ქალთა №2 კონსულტაციის (1998-99) და ბავშვთა ჰარმონიული განვითარების ცენტრის (2001-04) ფსიქოლოგი; საქ. უშუს ფედერაციის (2005-08), 2008 წლიდან — საქ. უშუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

მისამართი: (სამსახურის) კანდელაკის 6,თბილისი. ტელ: 899 28 21 31.
ელ-ფოსტა: georgiawusho@yahoo.com

**მოგებულია ის, ვინც ბრძოლის გარეშე იმარჯვებს.**

## რევაზ ბეშიძე



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 5 ნოემბერს. მშობლები ლეილა გარსიაშვილი, ვიქტორ ბეშიძე; მეუღლე — რუსუდან ბარკალაია (1959); შვილები: გიორგი (1986), ვიქტორი (1987). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1982), ასპირანტურა (1990); გაიარა: ნატო-ს თავდაცვის კოლეჯის უმაღლესი კურსი (რომი, 1999), ჯ. მარშალის სახ. უსაფრთხოების კვლევების ცენტრის უმაღლესი კურსი (გარმიშ-პარტენკირჰენი, გერმანია, 2000); იყო ნატოს სტიპენდიანტი (2000-02); გაიარა დიდი ბრიტანეთის სამეფო თავდაცვის კოლეჯის საერთაშ. ურთიერთობების სრული კურსი (ლონდონი, 2005). იყო ს/კ ინტ-ის — „ატოლის" სოხუმის ფილიალის ინჟინერი (1982-83); აფხაზეთის სახელმწ. უნ-ტის გეოგრაფიის კათედრის ლაბორანტი, მასწავლებელი (1983-89); თსუ სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის კათედრის დოცენტი, კათედრის გამგე (1989-96); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშ. ორგანიზაციების დეპ-ტის ნატოს სამმართველოს III მდივანი; სამხედრო-პოლიტიკური დეპტ-ის III მდივანი; სამხედრო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი; რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1996-2004); უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპ-ტის დირექტორი (2004-06); საქ. მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (2006-09). 2009 წლიდან არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ამტყელის ტბის მიდამოების ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ლანდშაფტურ-გეოფიზიკური ანალიზი" (1990). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა (ჯაზი, კლასიკური). მხატვრული ლიტერატურა. ველოსპორტი.

მისამართი (სამსახურის) 220, 1-11-36 მინატო-კუ, ტოკიო 107-0052, იაპონია. ტელ: +813 5575-6091, ფაქსი: +813 5575-9133. ელ-ფოსტა: tokio.emb@mfa.gov.ge; www. japan.mfa.gov.ge
(ბინის) ახმეტელის 9, მე-III სადარბაზო, ბ. 40. თბილისი 0159; ტელ: (+995 32 ) 51 58 80.
ელ-ფოსტა: revaz_beshidze@hotmail.com

საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და საზოგადოებრივი ურთიერთობების ღრმა ცოდნა. ქვეყნის სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის განმტკიცების ხელშეწყობა. საზღვარგარეთ საქართველოს, როგორც თვითმყოფადი ისტორიული მემკვიდრეობის, ასევე თანამედროვეობის წარმოჩინება-გაცნობა. ეკონომიკის გასამტკიცებლად ინვესტიციების მოზიდვა. მოთმინება.

## გურამ ბიგანიშვილი



აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტი. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1950 წ. 19 მაისს. მშობლები: ელენე ბედოშვილი, სარდიონ ბიგანიშვილი; მეუღლე — მარიკა ლორთქიფანიძე (1965); შვილი — გიორგი (1997). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1976). იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი აფროსნობაში (1974-88); მუშაობდა კონტრაქტით იალქნების კონსტრუქტორ-გამომცდელად აშშ-ში (სან-დიეგო, 1988-93). 1996 წლიდან არის საქ. აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტი. არის საერთაშ. სპორტის ოსტატი (1977); სპორტის დამს. ოსტატი (1984); ოლიმპიური თამაშების ოთხგზის მონაწილე; არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1984). საქართველოში საიალქნო სპორტის განვითარებისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).
მისამართი: (სამსახურის) თბილისის იახტ-კლუბი. ტელ: 877 416803, 35 06 01, 61 68 39. (ბინის) ხორნაბუჯის 58, თბილისი.
**შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, მიზანსწრაფულობა. ჩემი მიზანია საქართველოში საიალქნო სპორტის აღორძინება.**

## აკაკი ბობოხიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე. მათემატიკოსი.

დაიბადა ხონის რ-ნის სოფ. გორდში 1964 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: ნანული თვალთვაძე, ივანე ბობოხიძე; მეუღლე — ნანა გოდერძიშვილი (1973); შვილები: მაგდა (1993), ირაკლი (2000). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1986). იყო წულუკიძის საშ. სკოლის მასწავლებელი (1986-87); ქუთაისის პოლიტექნ. ინ-ტის ასისტენტი (1986-88), უფრ. ლაბორანტი (1988-1990); საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-92); საქ. რესპუბლიკის სახელმწ. საბჭოს წამყვანი სახელმწ. მრჩეველი (1992); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95, 2001-04, 2004-05); საქ. სახალხო დამცველის რწმუნებული, მთ. სპეციალისტი (1998-2001); იმერეთის სახელმწ. რწმუნებული (2005); საქ. თავდაცვის სამინისტროს ეროვნ. გვარდიის დეპ-ტის უფროსი (2006); იმერეთის სახელმწ. რწმუნებული (2006-07); იმერეთის სახელმწ. რწმუნებული-გუბერნატორი (2007-08); ქუთაისის საკრებულოს წევრი (2006, 2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავ-რე.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 13 90. (ბინის) დიღომი 3კვ. კ. 2, ბ. 4, თბილისი.
**შრომისმოყვარეობა.**

## გიგა ბოკერია



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. ისტორიკოსი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 20 აპრილს. მშობლები: ნანა ალექსანდრია, ლევან ბოკერია; მეუღლე — თამარ ჩერგოლეიშვილი (1975); შვილები: ლევანი (1991), კესარია (2006). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1995), ლესტერის უნ-ტის (Leicester University) სამართლის ფაკ-ტი (დიდი ბრიტანეთი, 2002). იყო გაზ. „მიმომხილველის" პოლიტიკური მიმომხილველი, პოლიტიკური განყ-ბის რედაქტორი (1992-93); გაზ. „არგუმენტის" პოლიტიკური განყ-ბის რედაქტორი (1995-96); ტ/კ „რუსთავი 2"-ის ყოველკვირეული პოლიტიკური თოქ-შოუს — „აქცენტის" წამყვანი და თანაპროდიუსერი (1996); რადიო „თავისუფალი ევროპა/რადიოთავისუფლების"პოლიტიკურიმიმომხილველი(1997);კავკასიისმშვიდობის,დემოკრატიისა და განვითარების ინ-ტის სტუდია „რე"-ს მედიასა და არასამთავრობოების თემაზე მრგვალი მაგიდის წამყვანი (1997-2001); საქართველოში (თბილისში) თავისუფლების ინ-ტის დამფუძნებელი, სამოქალაქო უფლებების პროგრამების კოორდინატორი (1996-2004); თავისუფლების ინ-ტის უფრ. იურიდიული მრჩეველი (2001-04); საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატების" წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი (2004-08). არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრი (2005 წლიდან). 2008 წლიდან არის საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ჩიტაძის ქ. 4, თბილისი 0118. (ბინის) პეკინის 2, თბილისი.

## ლევან ბოკერია



შპს „ლებო"-ს დირექტორი. საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 8 დეკემბერს. მშობლები: მერი მაყაშვილი, ალექსანდრე ბოკერია; მეუღლე — ნანა ალექსანდრია (1949); შვილი — გიორგი (1972). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1967). მუშაობდა სსი „თბილქალაქპროექტში"; არქიტექტურულ სახელოსნოში სხვადასხვა თანამდებობაზე, ტექნიკოსიდან — ხელმძღვანელამდე (1965-89); იყო რესპუბლიკური გაერთიანება „საქარქპროექტის" მთ. არქიტექტორი (1989-2006). საქ. არქიტექტორთა კავშირის თავ-რე (1991-95); სტუ არქიტექტურის ინ-ტის დაგეგმარების კათედრის პედაგოგი. არის ავტორი პროექტებისა: საქ. სსრ საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი, ამჟამად საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (1978); მშენბანკის შენობა, ამჟამად VTB ბანკის ცენტრალური ოფისი (1979); დაბის „ნია გრუზინსკაია ბამზე" (1980); ხალხთა მეგობრობის მემორიალური კომპლექსი „წითელ ხიდთან" (1980); საქ. ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული ბლოკის რეკონსტრუქცია (1999); საპაერო მოძრაობის მართვის ცენტრი (2002); საოფისე შენობა თბილისში ლეონიძის ქ. 2/1 – რეკონსტრუქცია და სხვა. მონაწილეობდა ბურსას საერთაშ. სიმპოზიუმში (თურქეთი, 1993). არის საქ. არქიტექტორთა კავშირის წევრი 1977 წლიდან. იყო რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის (1992-99), თბილისის მერიის კოლეგიის (1993-98) და წლების განმავლობაში – თბილისის არქიტექტურის სამსახურის ქალაქდაგეგმარებითი საბჭოს და არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი. არის საქ. კომკავშირის პრემიის (მემორიალი „წითელ ხიდთან", 1982), სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის (დაბა ნია-გრუზინსკაია, 1983) ლაურეატი; საპაერო მოძრაობის მართვის ცენტრის შენობა არქიტექტორთა კავშირის მიერ აღიარებულ იქნა 2003 წლის საუკეთესო ნაგებობად და არქიტექტორთა კავშირების საერთაშ. ასოც-ის კონკურსში მიენიჭა ლაურეატის წოდება (2003). არის საქ. დამსახურებული არქიტექტორი (2004).
მისამართი: (სამსახურის) ზაქარიაძის 8, თბილისი. ტელ/ფაქსი: 25 13 00. (ბინის) ი.აბაშიძის 24 ა, ბ.2, თბილისი 0179. ტელ: 22 41 61.

## ნანა ბოლაშვილი



ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.
გეოგრაფი.

დაიბადა ბორჯომში 1967 წ. 25 ნოემბერს. მშობლები: ლამზირა და როინ ბოლაშვილები. დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1992-2005); გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ექსპერტი ცენტრ. და აღმ. ევროპის ქვეყნებში (2001-02); სკოლა „აკადემიური"-ს პედაგოგი (2003-08); გეოგრაფიის ინ-ტის სწავლული მდივანი (2005-06), დირექტორის მ/შ (2006-07); შეფასებისა და გამოცდების ეროვნ. ცენტრის აბიტურიენტთა ნაშრომების შემფასებელი (ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები, 2006-08). 2007 წლიდან არის გეოგრაფიის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „წყალმოვარდნების პროგნოზირება სახეთა ამოცნობის თეორიის საფუძველზე" (1999). არის მრავალი სტატიისა და სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „წყალმოვარდნების პროგნოზის მცდელობა სახეთა შეცნობის თეორიის საფუძველზე" (1999); „წყალმოვარდნების პროგნოზირების ზოგიერთი ასპექტი", „საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები" (2001); „სიონის წყალსაცავის გავლენა მეტეოროლოგიურ ელემენტებზე" (2006); „Forecast of Mountainous River Floods for Securing Ecological Stability of the Environment" (2006); „The Potential of Transboundary Water Resources in Georgia" (2008); „წყლის რესურსების სააუზო მართვა " (2008). არის პრეზიდენტის სტიპენდიანტი (2002); საქ. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზ-ბის წევრი (1984 წლიდან), ვიცე-პრეზიდენტი (2008 წლიდან).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) მ. ალექსიძის 1/8, თბილისი 0193. ტელ: 33 26 84; 33 14 17.
ელ-ფოსტა: geograf@acnet.ge
**პასუხისმგებლობა, სხვების მიმართ კეთილგანწყობა, სამართლიანობა, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი.**

## ანზორ ბოლქვაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. მშენებელი.

დაიბადა ხულოს რ-ნის სოფ. უჩხოში 1960 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: სენია და ნოდარ ბოლქვაძეები; მეუღლე — თინა აბულაძე-ბოლქვაძე (1965); შვილები: ნაზიბროლა (1985), როლანდი (1986), ნოდარი (1991). დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის (1980), ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინ-ტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტები. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1980-82). იყო ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის" მუშა, ინჟინერი, ოსტატი (1982-85); აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, ხულოს რ-ნის სარემონტო-სამშენებლო ჯგუფის უფროსი (1985-95); ხულოს რ-ნის კომუნალური მეურნეობის მრავალდარგობრივი სამმართველოს უფროსი (1994-2006); ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კეთილმოწყ. სამსახურის უფროსი (2006-07); ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსი (2007). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2006).
ჰობი: ფეხბურთი (ახალგაზრდობაში მქონდა ჩემი გუნდი). ჩემი პროფესია — მშენებლობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი 0118. ტელ: 99 82 24; ფაქსი: 28 17 04.
**ჩემი ცხოვრებისეული კრედოა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა და პატრიოტიზმი. მონდომებით, მიზანდასახულობითა და საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით ადამიანი წარმატებასაც მიაღწევს და ხალხის პატივისცემასაც მოიპოვებს. არც მწამს მათი, რომელთაც ოჯახის, ახლობლებისა და სამშობლოსათვის მსხვერპლის გაღება არ შეუძლიათ. დიდი სიყვარული ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებს.**

## ელისო ბოლქვაძე

მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი.



დაიბადა თბილისში 1967 წ. 2 იანვარს. მშობლები: ნანა დარჩია, ზაურ ბოლქვაძე. დაამთავრა თსკ საფორტეპიანო ფაკ-ტი (1989), ასპირანტურა (1992). ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ევროპასა და აშშ-ში. მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში. გამართული აქვს სოლო-კონცერტები, ღია გაკვეთილები, კონცერტები სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. ამჟამად მოღვაწეობს საფრანგეთში. არის ი.ს.ბახის (1984), ლისაბონის (1987), ვან კლიბერნის (1989), მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს (1995), დუბლინის (1997) პიანისტთა საერთაშ. კონკურსების ლაურეატი; მიღებული აქვს პრიზი ფრანგული მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის (1995); არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი; მიშელ სონის მიერ შექმნილი პიანისტთა საერთაშ. ფონდის — „SOS ტალანტები" წევრი (2004 წლიდან). ჩაწერილი აქვს კომპაქტ-დისკები სოლო-პროგრამით და სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად მაესტრო ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით (ყველა გამოცემულია საზღვარგარეთ). იგი არის პირველი უცხოელი პიანისტი, რომელსაც საფრანგეთში მიანიჭეს სან-ჟენ პოლინიაკის სპეციალური პრიზი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Who's Who (Oxford. 2000); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) კლებერის 18, პარიზი 75116, საფრანგეთი. ტელ: 01 45 00 88 23. (ბინის) ბოლქვაძის 3, ბ.10. თბილისი. ტელ: 38 00 71; 33 46 80. ელ-ფოსტა: e_bolkvadze@yahoo.com
**მიზანდასახულობა, იდეისთვის თავდადება, საკუთარი თავის შეცნობა, ღირსება, თვითკრიტიკა, შემოქმედებითი მიდგომა, ჭეშმარიტების ძიება. მართალია, პროფესიულ მუსიკალურ სამყაროში მთელი მსოფლიო მიცნობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქვეყნოდ ცნობილი პიანისტი ვარ; ცნობილი პიანისტი სულ სხვა რამაა — არსებობს არტისტის კოდი და ამქვეყნად მხოლოდ რამდენიმე პიანისტია, რომელსაც ასეთი კოდი აქვს.**

## ზაურ ბოლქვაძე

მომღერალი.



დაიბადა მახარაძის რ-ნის სოფ. ნაგომარში 1936 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ცაცა სტეფანია, ტარასი ბოლქვაძე; მეუღლე — ჯენარო გეწაძე (1945); შვილები: კახა (1962), დათო (1974), ნინო (1980). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკური ორგანიზაციის ფაკ-ტი (1960), ასპირანტურა. იყო სოფ. ლარშეს აგრონომ-ეკონომისტი (1960); ანსამბლ „შვიდკაცას" წევრი (1960-80); მახარაძის კომკავშირის მდივანი (1964-67); მახარაძის რ-ნის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთ. აგრონომ-ეკონომისტი (1967); არის ანსამბლ „ქართული ხმების" წევრი (1998 წლიდან). გაახმოვანა მრავალი ფილმი, მათ შორის: „რაჭა ჩემი სიყვარული". ანსამბლ „ქართულ ხმებთან" ერთად გამოსცა 7 მუსიკალური ალბომი. არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996), ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხალხური სიმღერა.
მისამართი: (ბინის) თბილისი, თევდორე მღვდლის 6. ტელ.: 34 15 63.
**„ჩემი კრედოა შემოქმედებითი ცხოვრება".**

## რუსუდან ბოლქვაძე

მსახიობი.



დაიბადა თბილისში 1959 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: გურანდა გრიგორაშვილი, გიორგი ბოლქვაძე. დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1980). 1980 წლიდან არის კ/ს „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნოსა და თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს 40-ზე მეტი როლი სპექტაკლებში, მათ შორის: „დონ ჟუანი", „ბნელ ოთახში", „წუთისოფელი ასეა", „ბაკულას ღორები", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ამფიტრიონ 38", „მარიანა პინედა", „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", „ალუბლის ბაღი", „რომეო და ჯულიეტა", „ჭიქა წყალი", „ძია ვანია" და სხვ. ფილმებში: „დონ კიხოტი", „ჩემი ინგლისელი პაპა", „აქედანა და შენამდე", „ლეონარდო", „რაც ოთარი წავიდა" (საქართველო-საფრანგეთი), „ყარაბახი 2", „ფელიჩიტა — ბედნიერება" და სხვ. 2005 წელს გალ. TMS-ში გაიმართა მისი ფოტონამუშევრების გამოფენა. არის ფაზისის აკად-ის წევრი (2002 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ვიოლინო. მოგზაურობა. ფოტოხელოვნება.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის 164, თბილისი 0112. ტელ: 35 01 94. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 50, თბილისი 0162. ტელ: 29 49 82
**„რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია", „გიყვარდეს ხელოვნება შენში და არა – შენი თავი ხელოვნებაში", „იყავ მხნე, მოთმინე და სულგრძელი".**

## შოთა ბოსტანაშვილი

არქიტექტორი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1948 წ. 13 მაისს. მშობლები: თამარ და აბრამ ბოსტანაშვილები; მეუღლე — თინათინ სირბილაძე (1948); შვილი — დავითი (1982). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1972). იყო „საქსახპროექტის" არქიტექტორი-ტექნიკოსი (1966-69); სტუ სტუდენტთა საპროექტო ბიუროს არქიტექტორი (1970-72); არქიტექტორთა ჯგუფის (1973-77) და არქიტექტურის განყ-ბის ხელმძღვანელი (1978-90); არქიტექტურის კათედრის მასწავლებელი (1980-92), დოცენტი (1992-97), პროფესორი — 1998 წლიდან. არის ავტორი პროექტებისა: „ხსოვნის ტაძარი" (სოფ. მუხრანი, 1975-80); „ხსოვნის კლუბი" (სენაკი, 1975-79); „შრომის დიდების მემორიალი" (ქუთაისი, 1977-81); „ნაციონალური პურის ქარხანა" (თბილისი, 1983-87); „XXI ს-ის ცივილიზაციის სივრცე" (ვენეცია, 1988); სახლი-რეზიდენცია (თბილისი, ქობულეთის ქ., 1997-99); „პოეზიის სასახლე" (თბილისი, სოლოლაკი, 1999-2000) და სხვა. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნ. და ესეისტური წერილი, წიგნი — „სინაგოგების და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში" (1999). არის ოთხგზის სსრკ და ორგზის საერთაშ. პრემიების ლაურეატი; საერთაშ. კონკურსის „XXI-ის ცივილიზაციის სივრცე" I პრემიის ლაურეატი (1988); დააარსა თავისუფალ მსმენელთა აუდიტორია და დისციპლინა „არქიტექტურის პოეტიკა" (1990). არის საქ. არქიტექტორთა კავშირის წევრი (1974 წლიდან); არქიტექტურის საერთაშ. აკად-ის პროფესორი (მოსკოვი, 1995, სოფია, 1997); ალმ. ქვეყნების საერთაშ. აკად-ის ნამდვილი წევრი (1999); არის არქიტექტურის დოქტორი (2008). მისი ლიტერატურული ნაწარმოებები 2004 წლიდან იბეჭდება ჟურნალებში: „მნათობი", „აფრა", „ჩვენი მწერლობა". ამერიკული ბიოგრაფიული ცენტრის მიერ დასახელებულია „2005 წლის ადამიანად". მისი ბიოგრაფია შესულია აშშ გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა.
მისამართი: (ბინის ) ჩიქოვანის 24ა, ბ. 78, თბილისი. ტელ: 33 75 02. ელ-ფოსტა: d_bostanashvili@yahoo.com
**ჰაერი მარტო იმისთვის არ არის გაჩენილი, რომ ისუნთქო, არამედ იმისთვის, რომ იფრინო.**

## ლევან ბრეგაძე

ჟურნალისტი. ლიტერატურისმცოდნე. კრიტიკოსი.



დაიბადა ტყიბულში 1947 წ. 11 იანვარს. მშობლები: ცაცა ბოჭორიშვილი, სოლომონ ბრეგაძე; მეუღლე — გულიკო ლეგაშვილი (1950-91); შვილები: რუსუდანი (1975), გიორგი (1978). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1971). იყო ჟურ. „კრიტიკის" პასუხისმგებელი მდივანი (1978-86) და რედაქტორის მოადგილე (1990-91); გაზ. „მამულის" რედაქტორის მოადგილე (1989-90); კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის" უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1998-2000); შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, უფრ. მეცნ. თანამშრომელი. არის ამავე ინ-ტის განყ-ბის გამგე (2000 წლიდან); „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის" სნავლული მდივანი (2003 წლიდან). 2006 წლიდან არის ქართული ლიტერატურის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კავკასიური თემატიკა გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე" (2005). არის ავტორი შემდეგი წიგნებისა: „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს" (1982); „დაკარგული გასაღების ძიებაში" (თ.დოიაშვილის თანაავტორობით, 1985); „სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი" (1988); „ქართული ჟარგონის ლექსიკონი" (1999, 2005); „პოლემიკას რა უნდა" (თ.დოიაშვილის თანაავტორობით, 2001); „საამიკოდ, სალაღობოდ" (უცხოური ეპიგრამების თარგმანები, 2004); „სასკოლო წარმოდგენის" შინაარსს სახელმძღვანელო განსაზღვრავს" (ა.გომართელის თანაავტორობით, 2005); „მოთხრობები ლიტერატურაზე" (2008). არის ვაჟა-ფშაველას სახ. (1993), ლიტერატურული პრემიების — „საბა" (2003, 2009) და „საგურამო" (2007) ლაურეატი; საქ. მწერალთა (1984) და საქ. ჟურნალისტთა (1978) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ჭადრაკი.

მისამართი: (ბინის) გლდანის მასივი, მე-7 მ/რ, 22 კ., ბ. 4, თბილისი 0107. ტელ: 24 75 41.
ელ-ფოსტა: levan1@yahoo.com

**იმაზე მეტი უნდა იყო, ვიდრე ჩანხარ.**

## ბაჩანა ბრეგვაძე

მწერალი. მთარგმნელი.



დაიბადა ამბროლაურის რ-ნის სოფ. სხვავაში 1936 წ. 11 თებერვალს. მშობლები: მარიამ თორდუა, იოველ ბრეგვაძე; მეუღლე — ლია იმერლიშვილი (1938); შვილები: ქეთევანი (1966), ანა (1971). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტი (1961-66); ქართული ენციკლოპედიის სამეცნ. რედაქციის უფრ. მეცნ. რედაქტორი (1966-72); მხატ. თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთ. სარედაქციო განყ-ბის გამგე (1972-80). არის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი (1980 წლიდან); ფილოსოფიის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი (1995 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბლეზ პასკალი" (1995), სადოქტორო — „პლატონის ნატურფილოსოფია" (1996). არის ავტორი თარგმანებისა: „პლატონის 20 დიალოგი"; არისტოტელე, „პოეტიკა"; მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები"; ანატოლ ფრანსი, „ბატონ ჟერომ კუანიარის აზრები"; დანტე ალიგიერი, „ახალი ცხოვრება"; ფსევდო-ლონგინე, „ამაღლებულისათვის"; პლოტინი, „ენნეადები"; პოლ ვალერი, „რჩეული პროზა"; ბლეზ პასკალი, „აზრები"; ჯეიმზ დარმსტეტერი, „სპარსული პოეზიის სათავეებთან"; მიშელ მონტენი, „ცდები"; ართურ შოპენჰაუერი, „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები"; ანრი ბერგსონი, „ცნობიერების უშუალო მონაცემები"; პოლ ვალერი, „სულის კრიზისი"; ხოსე ორტეგა ი გასეტი, „ხელოვნების დეჰუმანიზაცია", „მასების ამბოხი"; ნიკოლოზ ლოსკი, „ბერგსონის ინტუიტური ფილოსოფია"; ჯაკომო ლეოპარდი, „დიალოგები"; „ახალი აღთქმა"; ფრანსუა დე ლა როშფუკო, „მაქსიმები"; ჟან დე ლა ბრიუერი, „ხასიათები"; სერვანტესი, „დონ კიხოტი"; ჰ.იბსენი, „დრამები"; ჰერაკლიტე ეფესელი, „ბუნებისათვის"; ა.შტეკლი, „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია"; ნეტარი ავგუსტინე, „აღსარებანი"; ანტუან დე სენტ ეგზიუპერი, „პატარა უფლისწული"; ნიკოლო მაკიაველი, „მთავარი"; შარლ

დილი, „ბიზანტიის იმპერიის ისტორია"; „წმინდა ოთხთავი" (მინიატურული გამოცემა); ევრიპიდე, „მედეა"; „ლუიჯი პირანდელო,"„ჰენრიხ IV", „იტალიური ზღაპრები"; ნ.ბერდიაევი, „ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში"; ლ.ტოლსტოი, „დღიურებიდან"; ე.ჟებარი, „მისტიური იტალია"; „ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები"; სვამი ვივეკანანდა, „ჯნანა-იოგა"; ვერნერ ფონ ჰაიზენბერგი, „წერილები"; აინშტაინი, „წერილები"; ციცერონი „სციპიონის სიზმარი", კ.გუსტავ იუნგი „იტევისტოკური ლექცია", „მეცნიერები რწმენის შესახებ", „დრო და მარადისობა" და სხვა; სამეცნ. გამოკვლევებისა: „მარკუს ავრელიუსი", „ფსევდო ლონგინე და მისი ტრაქტატი", „სოკრატეს აპოლოგია", „მიქელანჯელოს პოეზია", „ბლეზ პასკალი", „პლატონური პრელუდიები", „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი", „პლატონური დიალექტიკის შედევრი", „პლატონი და რუსთაველი", „ნარმართული სამება", „დრო, სიცოცხლე, ცნობიერება", „მარადისობა", „რელიგია და მეცნიერება" და სხვა. ფართო აღიარება მოიპოვა მისმა „ბოლო წლების ჩანაწერებმა". არის ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1995, 2005); ივ.მაჩაბლის, ილ. ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივ.ჯავახიშვილის, „საბას" პრემიების ლაურეატი; მწერალთა კავშირის წევრი 1973 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.
ტელ: 22 53 22.
**ქართული კულტურის სამსახური.**

## გიორგი ბრეგვაძე

„ალია ჰოლდინგის" დამფუძნებელი და რედკოლეგიის თავმჯდომარე.
ფილოლოგი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 10 დეკემბერს. მშობლები: ნატო ჯოხაძე, ვლადიმერ ბრეგვაძე; მეუღლე — გვანცა ზარიძე (1974); შვილები: ტატა(1991), მარი (1992), საბა (1996), ლიზი (2002). დაამთავრა თბილისის სახელმწ. პედ. ინ-ტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი. იყო საშენ მასალათა კომბინატის ჩამომსხმელი (1980-81); თბილისის 171-ე საშ. სკოლის პედაგოგი (1986-88); გაზ. „დვრიტას" ჟურნალისტი, საზბრივი განყ-ბის რედაქტორი (1990-91); გაზ. „საქართველოს დამოუკიდებლობის" რედაქტორის მოადგილე (1991); საინფორმაციო სააგენტო „პრეს-პრესის" დირექტორი (1991); გაზ. „ალია საქართველოდან" პასუხისმგებელი რედაქტორი (1991-93); გაზ. „ალია"-ს გამომცემელი და მთ. რედაქტორი (1993-2001). არის გაზეთების — „ალიასა" და „ქრონიკის" გამომცემლობის დამფუძნებელი და რედკოლეგიის თავ-რე 2006 წლიდან. შესრულებული აქვს ეპიზოდური როლები ფილმებში: „ვინ არის დამნაშავე", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" და სხვა. გამოქვეყნებული აქვს ნოველები, მოთხრობები, ჩანახატები. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ნადირობა. სროლა. იარაღის კოლექცია. კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, აკადემქალაქი, თბილისი. ტელ: 33 31 70; ფაქსი: 33 54 30.
**იყავი სამართლიანი და სიტყვის ერთგული, იყავი გულუხვი, და ბოლომდე მიყევი დასახულ მიზანს. ერთი დღის თავისუფლება მირჩევნია, მთელი სიცოცხლე მონობას. და ბოლომდე ვიბრძოლებ ერთიანი, მდიდარი, ბედნიერი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის. საყვარელი მეუღლისა და ოჯახის გარეშე ერთი წამითაც არ მაცოცხლოს უფალმა ღმერთმა.**

## ნანი ბრეგვაძე

მომღერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თბილისში 1936 წ. 21 ივლისს. მშობლები: ოლგა (ცაბუ) მიქელაძე, გიორგი ბრეგვაძე; მეუღლე — მერაბ მამალაძე (1936-1996); შვილი — ეკა (1960). დაამთავრა თსკ ფორტეპიანოს ფაკ-ტი (1962). არის საქ. სახელმწ. ფილარმონიის მომღერალი (1959 წლიდან); სსრკ სახალხო არტისტი; რუსთაველის (2000) და საქ. სახელმწ. პრემიების; მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი. მიენიჭა

„საუკუნის მომღერლის" წოდება (1999). არის რუსეთის ტელეფესტივალის — „2005 წლის სიმღერა" — დიპლომის, პეტრე I-ის სახ. პირველი ხარისხის სიგელისა და ორდენის (2005) და მეცენატის ოქროს სიგელის (2000) მფლობელი. 2000 წელს თბილისში დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); ენციკლოპედიაში „საქართველო".
ჰობი: სიმარტოვე.
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის 135. თბილისი. (ბინის) ი. აბაშიძის 18ა. თბილისი. ტელ: 22 37 22.
**ემსახურო შენს საქმეს დიდი სიყვარულითა და მოთმინებით.**

## რომანოზ ბჟალავა

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი. იურისტი.



დაიბადა აბაშის რ-ნში 1959 წ.10 იანვარს. მშობლები: კალენიკა ჯალაღონია, აკაკი ბჟალავა; მეუღლე — ხათუნა შერმადინი (1959); შვილი— თამარი (1986). დაამთავრა თსუ შრომის ეკონომიკის ფაკ-ტი (1982); დამოუკიდებელი უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1997). იყო სხვადასხვა სახელმწ. დაწესებულების მთ. ეკონომისტი, მთ. ბუღალტერი (1982-90); სამეცნ. გაერთიანება „საქსოფლქიმიის" სარევიზიო განყ-ბის უფროსი (1990-93); საქ. კონტროლის პალატის სპეცდავალებათა სამმართველოს უფროსი (1993-2000); საქ. შემოსავლების სამინისტროს გენ. ინსპექციის უფროსის მოადგილე, საბაჟო დეპ-ტის თავ-რის მოადგილე (2000-01); საქ. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სპეციალისტი (2002-04); ვაკე-საბურთალოს გამგებლის მოადგილე, გამგებელი (2004-06); თბილისის საკრებულოს მთ. სპეციალისტი (2007); აბაშის რ-ნის გამგებელი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი , ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 899 54 77 77 (ბინის) ნათიშვილის 7. ტელ: 95 55 54.
**პატრიოტიზმი.**

## ანდრო ბუაჩიძე

მწერალი.



დაიბადა თბილისში 1957 წ. 29 მარტს. მშობლები: ირინე რობაქიძე, თამაზ ბუაჩიძე; მეუღლე— ნატა გუნციკიძე (1960); შვილები: ელენე (2000), კატო (2003). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1979). იყო ალმანახ. „საუნჯის" (უცხოური ლიტერატურა) უფრ. რედაქტორი (1979-86); ლიტერატურულ ურთიერთობათა მთ. სარედაქციო კოლეგიის უფრ. რედაქტორი (1986-91); ჟურნალების: „ენა და ლიტერატურა სკოლაში" მთ. რედაქტორის მოადგილე (1993-95); „არილის" რედაქციის, რედკოლეგიის და ასოც-ის წევრი (1995-97); „მნათობის" მთ. რედაქტორის მოადგილე (1998-2006). კითხულობდა ლექციების კურსს უმაღლეს სასწავლებელში (2007-08). 2008 წლიდან არის გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმის განყ-ბის გამგე. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „გარეუბანი" (1991), „საუბარი წყვდიადში" (1997), „ელნათურები" (2004); ლიტერატურული წერილებისა და ესეების კრებული „ილუზიების მსხვრევა" (2006). არის ლექსების, ესეების და პიესების თარგმანის ავტორი. არის მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიის (კრიტიკა,1993), „ილიას ფონდის"(2004) და „საბას" — წლის საუკეთესო პოეტური კრებულისათვის (2005) პრემიების ლაურეატი; პენ-კლუბის წევრი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, II მ/რ., IV კვ., II კ., თბილისი. ტელ: 31 44 62.
**თანაგრძნობა, სხვისი ტკივილის გაზიარება.**

## ელგუჯა ბუბუტეიშვილი



ს.ს. „დავით სარაჯიშვილი და ენისელი"-ს გენერალური დირექტორი.

დაიბადა ქუთაისში 1947 წ. 13 მაისს. მშობლები: ნორა ფორჩხიძე, მირიან ბუბუტეიშვილი; მეუღლე — მარინა მალაზონია; შვილები: თამარი (1977), ზურაბი (1978), გიორგი (1990). დაამთავრა სპი (1972). იყო მრავალდარგობრივი ფირმის — „ოქროს საწმისის" პრეზიდენტი (1989-91); საქ. არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს 1 ტრესტის „საქკომუნრემმშენის" ტრესტის მმართველი(1992); სანარმოო გაერთიანება „თბილთამბაქოს" გენ. დირექტორი (1992-95); შპს „ბემ"-ის დირექტორი (1995-98). არის სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელი"-ის გენ. დირექტორი 1998 წლიდან. კომპანიის პროდუქცია — კონიაკი "X.O." და "VSOP" იალტის სადეგუსტაციო კონკურსზე „ოქროს გრიფონი" დაჯილდოვდა ოქროს მედლებით (2007, 2008, 2009); ლვინის სპირტის საერთაშ. კონკურსზე — "IVSC" (ინგლისი) კონიაკი "VSOP" — ვერცხლის მედლით, "X.O." აღიარეს საუკეთესო კონიაკად; კონიაკს „XX საუკუნე" მიღებული აქვს სუპერ გრან-პრი (2007, 2008, 2009).
ჰობი: ადამიანებთან ურთიერთობა.
მისამართი: (სამსახურის) სარაჯიშვილის გამზ. 4, თბილისი. ტელ./ფაქსი: 65 44 44.
(ბინის) სარაჯიშვილის გამზ. 4. თბილისი. ტელ./ფაქსი: 65 44 44. ელ-ფოსტა: info@saradjishvili.ge.
„შეიცან თავი შენი!"

## გოდერძი ბუკია



საქართველოს პარლამენტის წევრი. არქიტექტორი. ეკონომისტი.

დაიბადა ხობის რ-ნის სოფ. პირველი მაისში 1952 წ. 15 ოქტომბერს. მშობლები: ელეონორა კოდუა, კლიმენტი ბუკია; მეუღლე — მანანა კვირიკაშვილი (1958); შვილები: ნათია (1986), ლალი (1987). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1975); მოსკოვის საგარეო ვაჭრობის ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტის ფილიალი (1983). იყო თსსა კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1975-78); თბილისის კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი (1978-81); საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა განყ-ბის გამგე (1981-83); პარტიის საბურთალოს რაიკომის (1983-85) განყ-ბის გამგე; პარტიის ცკ სექტორის გამგე (1985-90); კერძო კომერციული სტრუქტურების მფლობელი და ხელმძღვანელი (1990-95); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი რუსეთში (1995); საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „იმედის", საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ინვესტიციების ქვეკომიტეტის თავ-რე, ადამიანის უფლებათა და ეროვნ. უმცირესობათა საკითხების კომიტეტისა და ეროვნ. თანხმობის ხელშემწყობი დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი (1995-99); საგანგებო დავალებათა ელჩი (2000-03). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" წევრი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი; განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ხობის" პრეზიდენტი (2001 წლიდან). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1976); ჟურნალისტთა საერთაშ. ფედერაციის ჯილდო „ოქროს ფრთა"; დასახელებულია „ირაო"-ს წლის საუკეთესო ადამიანად (2000).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8,თბილისი 0118. ტელ: 28 15 23 (ბინის) ფალიაშვილის 88, ბ. 13. თბილისი.

## ელგუჯა ბურდული

კინომსახიობი.



დაიბადა თბილისში 1941 წ. 1 აპრილს. მშობლები: ოლღა და ვლადიმერ ბურდულები; მეუღლე — ინეზა აბესაძე (1940); შვილები: ვლადიმერი (1964), მაია (1965), ბაკური (1975). სწავლობდა სპი-ში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: სუხიშვილების სახელმწ. ანსამბლის სტაჟიორად; თბილისის ზღვაზე — მაშველად;ბენზინგასამართ სადგურში — ოპერატორად. არის კ/ს „ქართული ფილმის" მსახიობი. გადაღებულია ფილმებში: „მოცურავე", „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა", „ბეღურების გადაფრენა", „უძინართა მზე", „მოკვეთილი" და მრავალი სხვა. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიღებული აქვს ჯილდოები: „ვერცხლის დათვი", „ნიკა", „ოქროს კამერა" (კანი) და მრავალი სხვა. არის საქ. და საკავშირო კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი; ფაზისის აკადემიის წევრი; ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია რუსეთის კინემატოგრაფისტთა ცნობარებში; ვიკიპედიაში; ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".

მისამართი: (სამსახურის) 0159, ახმეტელის 10ა „ქათული ფილმი", თბილისი 0108; (ბინის) ეკ. გაბაშვილის 6, თბილისი. ტელ: 98 75 98.

**ენა, მამული, სარწმუნოება.**

## პაატა ბურჭულაძე

საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1955 წ. 12 თებერვალს. მშობლები: ნუნუ ჭანტურიძე, შალვა ბურჭულაძე; შვილები: შუქრი (1974), ლექსო (1984). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1977); თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის ვოკალის განყ-ბა (1977). იყო მილანის თეატრ „ლა-სკალას" სტაჟიორი (1978-81). მონაწილეობდა სპექტაკლებში რომის საოპერო, ლონდონის „კოვენტგარდენის", ჰამბურგის საოპერო, მიუნჰენის, მილანის „ლა-სკალას", „არენა დი ვერონას" (იტალია), ვენის „შტადტსოპერნის", ზალცბურგის, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენოპერას", ისრაელის, შტუტგარტის „შტადტთეატერის", ბარსელონას, ლოზანას, სან-ფრანცისკოს, ფილადელფიის, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სცენაზე. შესრულებული აქვს პარტიები ოპერებში: „დონ-ჟუანი", „აიდა", „ნაბუკო", „ლომბარდიელები", „მაკბეტი", „დონ-კარლოსი", „ატილა", „ბორის გოდუნოვი", „ხოვანშჩინა", „ევგენი ონეგინი", „იოლანტა", „სევილიელი დალაქი", „ცეცხლოვანი ანგელოზი", „თავადი იგორი", „მთვარის მოტაცება" და სხვა. არის ბუსეტოს „ვერდის ხმების" (1981), პ.ჩაიკოვსკის (1982), ლ.პავაროტის (1986), მ.კალასის (მიუნჰენი, 1987) კონკურსების ლაურეატი; საფრანგეთის ნაც. აკადემიის პრიზისა (2000) და შტუტგარტის სახელმწ. ოპერის ჯილდოს —"Kammersanger" (2002) მფლობელი. არის საქ. დამს. (1984) და საქ. სახალხო (1986) არტისტი; ი.გოგებაშვილის, ზ.ფალიაშვილის, შ.რუსთაველის პრემიების ლაურეატი; ავსტრიის, გერმანიისა და შვეიცარიის „კამერზინგერი" (სახალხო არტისტი, 1998); ფილადელფიის, ათენის, ოდესის, ქუთაისის, წალკის, რუსთავის საპატიო მოქალაქე; ღირსების ორდენის კავალერი. რუსული მუსიკის პოპულარიზაციისთვის რუსეთის „პიროვნების პალატამ" და მართლმადიდებელმა ეკლესიამ (ალექსეი II-მ) მიანიჭეს თავადის წოდება (1998). არის საერთაშ. საქველმოქმედო ფონდის — „იავნანა" დამაარსებელი და პრეზიდენტი (2004). გაწეული ქველმოქმედებისათვის 2006 წელს მიენიჭა გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Noveau Dictionnaire des Chanteurs D'Opera" (du17-e ciecle a nos jours. Albatros)", „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ნადირობა, თევზაობა.

მისამართი: (ბინის) გამსახურდიას 3, თბილისი. ტელ: 38 21 23.

## თინა ბურჯალიანი



საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.
სამართალმცოდნე.

დაიბადა 1981 წ. 7 თებერვალს. დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი (2003); გაიარა ნოტინგემის უნ-ტის სპეცკურსი ადამიანის უფლებათა საერთაშ. სამართალში (დიდი ბრიტანეთი, 2003); დაამთავრა აშშ-ს ვაშინგტონის სამართლის სკოლა, საერთაშ. სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციით (LLM, Suma cum laude, 2005). იყო ორგანიზაცია „Women Aid International"-ის საერთაშ. სამართლის ექსპერტი (2002-03); ორგანიზაცია „British East-West Center"-ის სამხრეთ კავკასიის მთ. ტრენერი (2003-04); საქ. იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქ. გენ. წარმომადგენლობის სამსახურის უფროსი; ევროსაბჭოში ადამიანის უფლებათა შერეულ კომისიაში საქ. მთავრობის მიერ დანიშნული ექსპერტი (2004); იურიდიული ფირმის — „Hollan and Knight LLP" თანამშრომელი (აშშ, ქ. ატლანტა, 2005); საქ. გენ პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპ-ტის უფროსი (2005-08). 2009 წლიდან არის საქ. იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის ქ. 30, თბილისი. ტელ: 75 82 24.

## გია ბურჯანაძე



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1961 წ. 3 მაისს. მშობლები: მზია პაპელიშვილი, თენგიზ ბურჯანაძე; მეუღლე — ნინო ვაჩნაძე (1959); შვილი — რუსუდანი (1987). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1981) და კინოსარეჟისორო (1995) ფაკ-ტები. იყო კინომსახიობთა თეატრის (1979-81,1997-2000,2005-09), ფოთის ვ.გუნიას სახ.თეატრის (1984-85) მსახიობი. 1981 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ასის წლის წინათ" (1981), „ანა კარენინა" (1982), „შენსკენ სავალი გზები" (1984), „მედეა" (1985), „გრაალის მცველნი" (1989), „დიდოსტატის მარჯვენა" (1991), „მეფე ლირი" (1995), „სამი და" (1997), „სალომეა" (1998), „სასიყვარულო ბარათები" (1999), „ანტიგონე" (2000), „ქაქუცა ჩოლოყაშვილი (2007). გადაღებულია კინოფილმებში: „წიგნი ფიცისა", „თეთრი ბაირაღები", „დუბროვსკი", „ბრავო, ალბერ ლოლიშ", „ოპერაცია „ეუნდერლანდი", „პრემიერა" და სხვ. არის საქ. დამს. არტისტი (1990); კ.მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი (1990); არის საზ-ბრივი ორგანიზაცია „ქართული აკადემიის" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" ( ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006) და ქსე-ში (1997).
ჰობი: ცხენოსნობა.
მისამართი: (სამსახურის). მარჯანიშვილის 8, თბილისი 0102. ტელ: 95 24 25. (ბინის) თარხნიშვილის 18, თბილისი 0179.

**გუშინ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ დღეს. ყოველ როლზე ისე უნდა დაიწყო მუშაობა, თითქოს პირველია შენს ცხოვრებაში, ხოლო ყოველი გასვლა სცენაზე, მნიშვნელოვანია როლი, თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი, ისე უნდა იყოს შესრულებული, თითქოს უკანასკნელ სპექტაკლს თამაშობ ცხოვრებაში. თითოეული მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ სპექტაკლი მას მიუძღვენი...**

## ნინო ბურჯანაძე



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე. იურისტი.

დაიბადა 1964 წ. 16 ივლისს. მშობლები: თინა მორჩაძე, ანზორ ბურჯანაძე; მეუღლე — ბადრი ბიწაძე (1960); შვილები: ანზორი (1985), რევაზი (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981); მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის საერთაშ. სამართლის კათედრის ასპირანტურა (1986). იყო თბილისის სახელმწ. უნ-ტის საერთაშ. სამართლის კათედრის დოცენტი (1991); საქ. გარემოს დაცვის სამინისტროსა (1991-92) და საქ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის (1992-95) ექსპერტ-კონსულტანტი; საქ. პარლამენტის წევრი (1995-2008); საქ. პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე (1995-98), თავ-რე (1998-99); ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების კომიტეტის მომხსენებელი (1998-2000); ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი (2000-08); ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის თანათავ-რე (1999-2002); საქ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რე (2000-01); ეუთოს შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი (2001-08); საქ. მეხუთე მოწვევის პარლამენტის თავ-რე (2001-04); საქ. პრეზიდენტის მ/შ (2003 ნოემბერი - 2004 იანვარი); საქ. პრეზიდენტის მ/შ (2007- ნოემბერი –2008 იანვარი); საქ. მეექვსე მოწვევის პარლამენტის თავ-რე (2004-08); „დემოკრატიული განვითარების ფონდის" პრეზიდენტი (2008). 2008 წლიდან არის პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" თავ-რე. გამოქვეყნებული აქვს ოცამდე სამეცნ. ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მათ შორის მონოგრაფია — „ახალი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივი საკითხები". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ყვავილები. სამთო-სათხილამურო სპორტი.

## გიორგი (გია) ბუღაძე



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი. მხატვარი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: დალი ჭანტურია, უშანგი ბუღაძე; მეუღლე — ანა კლდიაშვილი (1956); შვილები: ლაშა (1977), ნინო (1988). დაამთავრა ი.ნიკოლაძის სახ. სამხ. სასწავლებელი (1975); თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1981); საკავშირო სამხ. აკადემიის ასპირანტურა (1984). იყო სოფ. გლდანის საშუალო სკოლის ხატვა-ხაზვის მასწავლებელი (1981-85); თბილისის ი.ნიკოლაძის სახ. სამხ. სასწავლებლის პედაგოგი (1986-91); თსსა ექსპერიმენტული კურსის ხელმძღვანელი (1991-94); თეატრისა და კინოს სახელმწ. ინ-ტის სცენოგრაფიის კურსის დოცენტი (1993-96); საქ. მხატ. კავშირის მდივანი და ახალგაზრდული გაერთიანების თავ-რე (1987-96); თსსა პრორექტორი (2000-03); იყო წამყვანი I არხის სატელევიზიო საავტორო გადაცემებისა: „იეროგლიფი" (1998-99), „ღამის საუბრები" (2007-08). 2004 წლიდან არის თსსა რექტორი, პროფესორი. არის ავტორი წიგნებისა: „ფიქრები წარმავალზე" (1994), „დიალოგები მონოლოგიდან" (2000). გააფორმა მხ. ფილმები: „სარკმელი" (1986), „ქრისტეს სამსჭვალი" (1989), „იავნანა" (1992). მოხატა მარტინ ლუთერ კინგის სახ. ლუთერანული ეკლესია ბერლინში (1989), წმ. ნინოს სახ. ქართული ეკლესია პარიზში (1990); გააფორმა GIOC-ის ოფისი თბილისში (1998); გააფორმა და მოხატა იტალიური სახლი თბილისში (2000), თსუ სამკითხველო დარბაზის გუმბათი, თბილისის მერიის ფოიე, თსუ საკონფერენციო დარბაზი, პარლამენტის მეფეთა დარბაზი (2001), ლუიზიანას უნ-ტის „თავისუფალი სიტყვის დარბაზი", თბილისის საერთაშ. აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, საქაერონავიგაციის ცენტრი, საქართველოს ბანკის ოვალური დარბაზი და სხვა. არის მრავალი საერთაშ. სიმპოზიუმისა და გამოფენის მონაწილე, მათ შორის: „რომანტიული ალუზიები" (თბილისი, 1983); „ქართლის ცხოვრება" (თბილისი, 1985); ქართველ ნეორომანტიკოსთა გამოფენა (პალერმო, 1987; ბერლინი,1989); პარიზი, კანი, ბარსელონა, მოსკოვი (1990); ციურიხი, კიოლნი, დენვერი (1991); ინგოლშტატი, ბრიზაგო, კიოლნი (1993);

„მე და ბიოკლინი" (ბაზელი, 1994); „აპოლონური ტრაგედიები", „ანამორფოზები" (თბილისი, 1995); „პარაკლეტოსი" (თბილისი, 1998); ერევანი (1999); თბილისი (2001); რომი, ვატიკანი (2002); თბილისი (2003, 2004); ოდესა (2005); ანკარა (2007); თბილისი, ლონდონი, ჰამბურგი (2008); თბილისი, მადრიდი (2009). არის საერთაშ. პროექტის — „ხატი და შემეცნება" ავტორი (შვეიცარია-საქართველო, 1997); საქ. მხატვართა კავშირის (1985), ი.გოგებაშვილის (1994) პრემიების ლაურეატი; მიღებული აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი (კანი,1990); ანტონ I-ის სახ. ოქროს მედალი (1996); ივ.ჯავახიშვილის სახ. (2001), საქ. პედაგოგიური საზ-ბის (1997), ვატიკანის კარლოს დიდის სამახსოვრო (2004) მედლები. არის მხატვართა კავშირისა (1983 წლიდან) და ვილნიუსის ჯგუფის (2005 წლიდან) წევრი; რიჰარდ ვაგნერის საზ-ბის თავ-რე (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Who's Who in the World (IBC), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში".
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ატენის 18ბ. თბილისი. ტელ: 29 16 29, 93 59 69. (ბინის) ინგოროყვას 14. თბილისი 0108. ტელ: 93 34 50; 899 51 01 99.

## ვახტანგ ბუცხრიკიძე

„თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი.



დაიბადა თბილისში 1970 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: როენა ელბაქიძე, თენგიზ ბუცხრიკიძე; მეუღლე – რუსუდან მაისურაძე; შვილები: ანა (2003), ნიკოლოზი (2004), მარიამი და თორნიკე (2009). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1992); ESM (თბილისი, 2003), ჰარვარდის ინ-ტი (2001); ჰარვარდის ბიზნეს სკოლა (2003); იყო ეკონომიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1992-95); საქ. ფინანსთა მინისტრის თანაშემწე (1993); „თიბისი ბანკის" საკრედიტო მენეჯერი (1993-95). 1995 წლიდან არის „თიბისი ბანკის" გენ. დირექტორი. არის საქ. საფონდო ბირჟის, საბანკო-საფინანსო აკადემიის, საქ. ბანკების ასოც-ის და გაერთიანებული ფინანსური კორპორაციის დირექტორთა საბჭოების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 7, თბილისი. ტელ: 27 27 27; ფაქსი: 77 27 74.

## დავით ბუხრიკიძე

ჟურნალისტი. ფსიქოლოგი. კრიტიკოსი.



დაიბადა ბორჯომში 1962 წ. 25 თებერვალს. მშობლები: ჯულიეტა ნოზაძე, გიორგი ბუხრიკიძე. დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის, კინომცოდნეობის, საზოგადოებრივი ფაკ-ტები. იყო კინოპროპაგანდის ბიუროს თანამშრომელი (1986-88), გაზ. „7 დღის" მიმომხილველი, კრიტიკოსი (1992-97); გაზეთების — „რეზონანსისა" და „მერიდიანის" (1998-2002), „24 საათი"-სა და „ახალი გაზეთი"-ს (2002-04) მიმომხილველი; ჟურნ. „პირველის" კულტურის რედაქტორი. ჟურნალების — „ანაბეჭდი" და „ცხელი შოკოლადი" მიმომხილველი, საინფორმაციო სააგენტო GHN- ის ანალიტიკოსი (2005-08). პერიოდულ პრესაში იბეჭდება მისი სტატიები, ესეები და ანალიტიკური მასალები. არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირისა და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წევრი.
ჰობი: ფიგურული სრიალი. ჩოგბურთი. ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის ქ. 108, თბილისი 0106; (ბინის) ფერისცვალების ქ. 6, თბილისი. ტელ: 8 93 625317.
**მე ძალიან არასერიოზულად ვუყურებ ჩემს თავს, და ძალიან სერიოზულად ჩემს აზრებს.**

## თამარ გაბარაშვილი



მუსიკოს-შემსრულებელი — ჩელო.
საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 22 ივლისს. მშობლები: ბუდა და ბორის გაბარაშვილები; მეუღლე — ირაკლი ხომერიკი (1936); დაამთავრა პ.ჩაიკოვსკის სახ. მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორია (1962), ასპირანტურა ვიოლონჩელოს სპეციალობით (ხელმძღვანელი მ. როსტროპოვიჩი, 1966). იყო მოსკონცერტის სოლისტი (1966-90); თსკ პედაგოგი, დოცენტი (1986-91), პროფესორი (1991 წლიდან), კათედრის გამგე — 1986 წლიდან. არის მუსიკოს-შემსრულებელთა ჰელსინკის საერთაშ. კონკურსის გამარჯვებული, ოქროს მედლის მფლობელი (1962); ბუდაპეშტის პაბლო კაზალსის საერთაშ. კონკურსის ლაურეატი, ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1963); პ.ჩაიკოვსკის სახ. მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1966); საქ. დამსახურებული (1968) და სახალხო (1981) არტისტი; სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1995); ღირსების ორდენის კავალერი (1999); ლაიფციგის უნ-ტის სენატის საპატიო წევრი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „The Professional Women's Adrisory Board"(2004); "The International Pease Prize" (აშშ, 2005); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ქსოვა. კულინარია.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი. ტელ: 99 91 44. ფაქსი: (99532)98 71 87. (ბინის) ლარსის 2, ბ.6, თბილისი. ტელ: 22 64 20. ელ-ფოსტა: buniaga@fable7.ge
**დავიბადე მუსიკოსის ოჯახში, რამაც განაპირობა ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში — მუსიკის უდიდესი სიყვარული და ყოველდღიური შრომა თვითგამოხატვისათვის... მუსიკა და მუსიკა, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ჩემი მუდმივი მიზანი გახლდათ — სრული გულწრფელობა შესრულებაში. ასევე იქნება მუდამ.**

## გიორგი გაბაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. განათლების, მეცნიერების და
კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 9 იანვარს. მშობლები: მანანა ხელაია-გაბაშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი; მეუღლე — ირინე კლდიაშვილი (1976); შვილი — თინათინი (1998). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1994); ზაარბრუკენის უნ-ტის გერმანისტიკისა და ფილოლოგიის ფაკ-ტი (1994). იყო საქ. განათლების სამინისტროს საზ-ბასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი (1997); ქ. ბონის საგარეო პოლიტიკის ინ-ტის თანამშრომელი (გერმანია, 1998); ფონდის — „ღია საზოგადოება საქართველო"-ს სასკოლო სახელმძღვანელოების, გამომცემლობათა, მთარგმნელობითი, მასმედიისა და საზ-ბასთან ურთიერთობის პროგრამების კოორდინატორი (1998-2002); სატელევიზიო პროგრამა „აზრის" ავტორი და წამყვანი (2002); პარტია „გაერთიანებული დემოკრატების" გენ. მდივანი (2002-04); საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი (2004-08). საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი, მუსიკა, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 43. (ბინის) წყნეთის 4ა, თბილისი ტელ: 23 17 99.
**სიმართლე და სიკეთე უძლეველია.**

## კონსტანტინე გაბაშვილი



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში, მალტასა და სან-მარინოში. ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1948 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ზეინაბ მოდებაძე-გაბაშვილი, ვლადიმერ გაბაშვილი; მეუღლე — მანანა ხელაია-გაბაშვილი (1950); შვილები: ვლადიმერი (ლადო, 1972), გიორგი (1973). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის სემიტოლოგიის განყ-ბა (1971). იყო თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ასპირანტი, მასწავლებელი, უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, უფრ. მეცნ. მუშაკი; ფილოლოგიის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე სამეცნ. დარგში (1971-93); საქ. განათლების მინისტრის მოადგილე; თსუ-ს დოცენტი; გერმანული სკოლის დამფუძნებელი (გურამ რამიშვილთან ერთად) და მეცნ. თანახელმძღვანელი; განათლების მინისტრის მოადგილე (1989-91); სახელმწიფო საბჭოს წევრი; პარლამენტის წევრი და მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავ-რე (1992); განათლების მინისტრი (1992-93); თბილისის მერი (1993); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში (1993-2004; 2001 წლიდან — პოლონეთშიც); საქ. პარლამენტის წევრი და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რე (2006-09). 2009 წლიდან არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში, მალტასა და სან-მარინოში. არის ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი (1975). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. და პუბლიცისტური ნაშრომები. არის აკ. წერეთლის პრემიის ლაურეატი (1994); აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „საპატიო სიგელისა" (1998) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „დამსახურების დიდი ჯვრის" ორდენის (2004) მფლობელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Who's Who in der Bundesrepublik Deutschland (5 Ausgabe, 1998, Schweiz), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ლიტერატურა, მუსიკა, სპორტი.

მისამართი: (სამსახურის) Corso Vittorio Emanuele II,21 Scala A, Italia. (ბინის) გაბაშვილის 2. ტელ: 23 52 92.
ელ-ფოსტა: kotegab@yahoo.de

**სამშობლოს უანგარო სიყვარული, საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიული განვითარების სამსახური, ქართული თვითმყოფადობის განვითარების, საქართველოს დასავლურ სამყაროში ინტეგრაციის, ევროპული საქართველოს აღმშენებლობის, უმაღლესი ეთიკური კატეგორიების სამსახური; ადამიანური ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.**

## რევაზ გაბრიაძე



დრამატურგი. მწერალი. რეჟისორი. მხატვარი. მოქანდაკე. თბილისის მარიონეტების თეატრის დამაარსებელი და უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ქუთაისში 1936წ. 21 ივლისს. მშობლები: სოფიო გურეშიძე, ლევან გაბრიაძე; მეუღლე — ელენე ჯაფარიძე; შვილები: ლევანი, ანა. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1964); მოსკოვის უმაღლესი სასცენარო-სარეჟისორო კურსები (1968). მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში" (1974-80); იყო რუსეთის ცენტრ. თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი (1995). 1981 წლიდან არის თბილისის მარიონეტების თეატრის დამაარსებელი და სამხ. ხელმძღვანელი. მისი კინოსცენარების მიხედვით გადაღებულია 35 მხ. ფილმი, მათ შორის: „არაჩვეულებრივი გამოფენა" (1968), „არ დაიდარდო" (1968), „ბურთი, ხელთათმანი და კაპიტანი" (გ. ჩარკვიანთან ერთად, 1969), „თეთრი ქვები" (1972), „ქვევრი" (1970), „შერეკილები" (1973), „სიყვარულო, ძალსა შენსა" (1975), „ხანძარი, სიყვარული და პომპიერო" (გ.პატარაიასთან ერთად, 1976), „მიმინო" (1977), „ქინ-ძაძა", „პასპორტი". მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმების ციკლი „გზა" (1974-78). რეჟ. დარსაველიძესთან ერთად გადაიღო ფილმები: „კავკასიური რომანსი" (1975), „ლიმონის ტორტი" (1977), „მწვერვალთა დამპყრობნი" (1977); რეჟ. თოფურიასთან ერთად თოჯინური ფილმი „კოჯრის ტყის სიზმრები" (1978). არის ავტორი პიესებისა: „ფეოლა", „ხანუმა პარიზში". საკუთარი პიესების მიხედვით მარიონეტების თაეტრში დადგმული აქვს სპექტაკლები: „ალფრედი და ვიოლეტა" (1981), „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი" (1982), „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა" (1983),

„სტალინგრადის ბრძოლა" (1996). არის საერთაშ. კინოფესტივალების ლაურეატი. მიღებული აქვს სსრკ სახელმწ. პრემია; პრემიები: „ნიკა" და „ცარსკოსელსკაია პრემია". არის საქ. სახალხო არტისტი (1987); სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემაში), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) შავთელის 26, თბილისი 0126.

## გურამ გაბრიჩიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ინჟინერი-მშენებელი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1931 წ. 6 ივნისს. მშობლები: მარიამ და კონსტანტინე გაბრიჩიძეები; მეუღლე — ლალი იზაშვილი (1933); შვილები: კონსტანტინე (1965), მიხეილი (1968). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1955), ასპირანტურა (1958). 1959 წლიდან მუშაობს საქ. მეცნ. აკად-ის კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტში: იყო უმც. მეცნ. თანამშრომელი, ინჟინერი, უფრ. ინჟინერი, უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1959-78); ამავე ინ-ტის სამშენებლო მექანიკისა და კონსტრუქციების განყ-ბის გამგე (1978-91); ინ-ტის დირექტორი (1991-2005). არის სეისმომედეგი მშენებლობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის განყ-ბის გამგე (1991 წლიდან); სეისმომედეგი მშენებლობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის საქ. ეროვნ. კომიტეტის წევრი (2002 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თაღოვანი კაშხლების ანგარიში ღეროვანი სქემით გადაადგილებათა მეთოდით" (1968); სადოქტორო — „საინჟინრო ნაგებობათა და გეოლოგიური გარემოს ურთიერთქმედების ზოგიერთი არატრადიციული ამოცანა" (1991). გამოქვეყნებული აქვს 120 სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის, 2 მონოგრაფია (1982, 1990). არის პროფესორი (1995 წლიდან); საქ. მეცნ აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2001 წლიდან); საქ. საინჟინრო აკად-ის ნამდვილი წევრი (1995 წლიდან); აშშ მეცნიერების, მრეწველობის, განათლებისა და ხელოვნების აკად-ის წევრი (1995); ღირსების ორდენის კავალერი (2001). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 8, თბილისი 0193. ტელ: 36 45 63. ფაქსი: 33 56 13. (ბინის) მ.ჯავახიშვილის 21, ბ. 6, თბილისი 0108. ტელ: 99 96 49. ელ-ფოსტა: gabrich@gw.acnet.ge

## გურანდა გაბუნია

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა თბილისში 1938 წ. 26 აგვისტოს. მშობლები: თამარ მაკარაშვილი, გიორგი გაბუნია; მეუღლე — ოთარ მეღვინეთუხუცესი (1932); შვილი — მარიამი (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1961). იყო რუსთაველის (1961-62, 1967-70), სანკულტურის (1962-64), რუსთავის დრამატული (1970-75) თეატრების მსახიობი; სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავე (1964-67). 1975 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებსა და კინოფილმებში: „სირანო დე ბერჟერაკი", „100 წლის შემდეგ", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „ფიროსმანი", „პროვინციული ამბავი", „პრემიერა", „რომულუს დიდი", „ყბედი თუთიყუში", „ხელშეკრულება", „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე", „ოტელო", „ანა კარენინა" „ანტონიოსი და კლეოპატრა", „მეფე ლირი", „მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია", „შიში", „ანტიგონე", „ბოშები", „ერთი ცის ქვეშ", „დრო იწურება განთიადზე", „შემთხვევა ავტობუსში", „მე ვხედავ მზეს", „გზის დასწყისი", „დღეს ღამე უთენებია", „ორომტრიალი", „აურზაური სალხინეთში", „მზე შემოდგომისა", „ეკიპაჟი", „ძეირფასო"; ტელესერიალში „ძილის წინ" და სხვა. დასახელებულია წლის საუკეთესო ქალის როლის შემსრულებლად (სამგზის). აღიარებულია წლის საუკეთესო მსახიობად (ორგზის, — „პროვინციული ამბავი", „შიში"). არის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ვერცხლის მედლის მფლობელი (ცეკვა, 1975); კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი; მოძრაობა „თეთრი მანდილის" თავ-რის მოადგილე; ფოთის საპატიო მოქალაქე (1997); ღირსების ორდენის კავალერი (1998); მარჯანიშვილისა და პუშკინის სახ. პრემიების ლაურეატი.

2008 წელს მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცეკვა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი 0102. ტელ: 95 24 25. (ბინის) ალმაშენებლის 86/90, ბ. 27, თბილისი. ტელ: 95 57 51.
**ორივე მშობელი მსახიობი იყო (მამა რეჟისორი) და ალბათ ამან განაპირობა ჩემი უსაზღვრო სიყვარული თეატრის მიმართ. სადაც სიყვარულია, იქ ერთგულებაც არის — ეს პროფესიონალიზმის ძირითად ნიშნად მიმაჩნია და ეს თვისება ამშვენებს ადამიანს ნებისმიერი მიმართულებით. გაჭირვებულ ადამიანს გულგრილად ვერ ვუყურებ, რალაც მიბიძგებს მის გვერდით ვიყო და გასაჭირი შევუმსუბუქო. ამაში იუმორი ძალიან მეხმარება. მიყვარს ადამიანები და მათთან ყოფნა. მარტოობას ვერ ვიტან. არ მიყვარს ჩემი უბედურების სხვისთვის თავზე მოხვევა. ქვეყნის საფიქრალი და დარდი მეც მეხება და სოხუმი კი ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია.**

## დიმიტრი გაბუნია



ადვოკატი. საადვოკატო ბიუროს — „გაბუნია და პარტნიორები" ხელმძღვანელი.

დაიბადა სოხუმში 1877 წ. 10 თებერვალს. მშობლები: მზია ბიგვავა, თემურ გაბუნია; მეუღლე — ნინო ხუნდაძე (1979); შვილი — ნიკოლოზი (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1999). იყო სახელმწ. ქონების მართვის სამინისტროს თანამშრომელი (1999-2000); საადვოკატო ბიუროს „კორძაძე, სვანიძე და ადვოკატები" ადვოკატი (2000-03); „კორძაძის საადვოკატო ბიუროს" ადვოკატი (2003-05). საადვოკატო ბიუროს „გაბუნია და პარტნიორები" ხელმძღვანელი და ადვოკატია 2005 წლიდან. დასახელებულია წლის ყველაზე ძვირი საქმის ადვოკატად (2001) და 2006 წლის წარმატებულ ადვოკატად. არის საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის წევრი (1996 წლიდან).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა. გოლფი.
მისამართი: (სამსახურის) შიო მღვიმელის 4, თბილისი. ტელ: 44 19 71, ფაქსი: 91 71 44. (ბინის) საირმის გორა 15, თბილისი. ელ-ფოსტა: office@gap.ge
**უზომო პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისმოყვარეობა და ფორტუნა, უზომო ოპტიმიზმი. მთავარია გჯეროდეს, ყველაფერი გამოვა.**

## ზაზა გაბუნია



ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეს-სპიკერი. იურისტი. თეოლოგი.

დაიბადა 1984 წ. 23 აპრილს. მშობლები: მთვარისა ხელაძე, ავთანდილ გაბუნია; მეუღლე — ნუცა შავლაძე (1988). დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ინ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (2004); თბილისის სასულიერო სემინარიის საღვთისმეტყველო ფაკ-ტი; ლიტვის საპარლამენტო ურთიერთობათა ცენტრი (2009); თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა (2009). იყო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (2004-05); ფშავის ბაჩანა რაზიკაშვილის სახ. სკოლის პედაგოგი (2005-06); არასამთავრობო კოალიცია „ზნეობრივი საქართველოსთვის" თავ-რე (2005-06); საპატრიარქოს რადიო „ივერიის" გადაცემის წამყვანი (2005-07); არასამთავრობო ორგ. „ქართული აზრის" დამფუძნებელი და თავ-რე (2006-07); პარტია „თავისუფლების" ახალგაზრდული ორგ-ის თავ-რე (2007-08); ერთიანი ეროვნ. საბჭოს ახალგაზრდული შტაბის თავ-რე (2007-08); ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატების თავ-რე, (2008-09). არის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეს-სპიკერი, კომუნიკაციების დირექტორი; მთავარი კომიტეტის წევრი. არის ევროპის ქრისტიან პოლიტიკოსთა კავშირის საპატიო წევრი.
ჰობი: ნადირობა. თევზაობა. ფეხბურთი. წიგნების კითხვა. ლაშქრობა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის 63, თბილისი 0162. (ბინის) ფანასკერტელის 20, თბილისი 0194.
**რწმენა, ცოდნა და შრომა გახლავთ ის სამი უცვალებელი პოსტულატი და ფასეულობა, რომელთა სა-**

ძირკვლად დადებას ვცდილობ ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობისთვის. სხვა საქმეა რამდენად ხარისხიანად გამომდის, თუმცა კი მუდმივად ვგრძნობ აუცილებლობას ამ პრინციპების ერთგულებისა. ღრმად მწამს, რომ სულიერი სიმაღლის მქონე, ინტელექტუალურად განვითარებულ და შრომისმოყვარე ადამიანთა საზოგადოებას აქვს მხოლოდ შანსი მორალურ-სამართლებრივი, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფოს აშენებისა.

## დავით გაგოშიძე

მხატვარი. რესტავრატორი.



დაიბადა თბილისში 1960 წ. 19 აპრილს. მშობლები: თინათინ ქუთელია, იულონ გაგოშიძე; მეუღლე — მაია ჭითავა (1966); შვილები: გიორგი (1983), დინარა (1991), მარიამი (1993), მიქაელი (1995), თინათინი (1998). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1984), თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1990); სტაჟირება გაიარა მოსკოვის აკად. გრაბარის სამხ. სამეცნიერო-სარესტავრაციო ცენტრში (1984), უ.ჯაფარიძის სახ. ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში (1990-91). მუშაობს ძველი ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრში (1982 წლიდან); მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია სარესტავრაციო სამუშაოები ანანურის, დირბის და კულაშის ეკლესიებში; მიმდინარეობს უბისა და ყინწვისის ეკლესიების კედლის მხატვრობის რესტავრაცია. მიღებული აქვს მონაწილეობა გამოფენებში: ჰამბურგი (გერმანია, 1996); გალ. „ჰობი" (თბილისი, 1998, 1999, 2002, 2003); გალ. „ორიენტი" (თბილისი, 1999, 2000); ჰამბურგი (2002); გალ. „შარდენი" (თბილისი, 2003); "Alberti Gallery" (ლონდონი, 2003); პარიზი (2004); გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (თბილისი, 2005); გალ. "N" (2005); გალ. „ვარაზი" (თბილისი, 2005); პარიზი (2005). გამართული აქვს გამოფენები: ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების ასლების (თბილისი, 1989, 1995); პერსონალური — ჰამბურგი (გერმანია, 1997, 1999); გალ. „ჰობი" (1998); აშშ საელჩო (თბილისი, 2000); გალ. „ვერნისაჟი" (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (ბინის) კეკელიძის 25, ბ.172, თბილისი 0179. ტელ: 29 28 10; 29 04 14; 8(99) 25 82 59.
ელ-ფოსტა: kokosag@yahoo.com; datogagoshidze@rambler.ru

## იულონ გაგოშიძე

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
არქეოლოგი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



დაიბადა თბილისში 1935 წ. 17 ივლისს. მშობლები: დინარა ყიფშიძე, მიხეილ გაგოშიძე; მეუღლე — თინათინ ქუთელია (1934); შვილები: გიორგი (1959), დათო (1960). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1958). საქ. მეცნიერებათა აკად-ის ასპირანტურა არქეოლოგიის სპეციალობით (1961). იყო ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1961-65), სწავლული მდივანი (1966-70), უფრ. (1971-85) და მთ. (1985-88) მეცნ. თანამშრომელი, არქეოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი (1989-91); მცხეთის პრეფექტი (1991); თბილისის საკრებულოს წევრი (2004-06); საქ. ეროვნული მუზეუმის მთ. მეცნ. თანამშრომელი (2004-08), მეცნიერ -კონსულტანტია 2008 წლიდან. არის დიასპორის საკითხებში საქ. სახელმწ. მინისტრი (2008 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ადრეანტიკური ხანის საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლები" (1965); სადოქტორო — „საქართველო ქრისტეშობამდე V-I საუკუნეებში" (1984). გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი (8 მონოგრაფია) ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე. მათ შორის: „ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან" (1964); "Самадло. Археологические раскопки" (1979); "Самадло. Каталог". (1981); „ქართველი ქალის სამკაული" (1981, ქართ., რუს. და ფრანგ. ენებზე); „თრიალეთის სამაროვნები" (1982, ქართ. და რუს. ენებზე); „ფული საქართველოში" (2000, ქართ. და ინგლ. ენებზე, თანაავტორი); "Iberia and Rome" (2008). არის გელათის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1996). კითხულობდა ლექციებს საქართველოს, გერმანიის და დანიის უნ-ტებში (1978-2003). დაჯილდოებულია მედლებით:

„ბრიტანეთის ომის მედალი — 1914-18", „გამარჯვების მედალი" (მართმადიდებელ ჰოსპიტალიერთა უწმინდესმა ორდენმა დააჯილდოვა იმის აღსანიშნავად, რომ საქართველომ მოიპოვა მორალური გამარჯვება დამოუკიდებლობისა და ტერიტორიებისათვის რუსეთის წინააღმდეგ, 2009); არის ღირსების ორდენის კავალერი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ექსკურსიების მძღოლობა (გიდი).
მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 15ა. თბილისი 0177. ტელ: (+99532), 39 71 45, ტელ./ფაქსი: (+99532) 39 71 24. (ბინის) კეკელიძის 25, ბ.171. თბილისი 0179. ტელ. 22 08 86. ელ-ფოსტა: iulongagoshidze@yahoo.com.
**ყოველთვის ვცდილობ, მოვახმარო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ნებისმიერ საქმეს, რომელსაც ვაკეთებ.**

## რევაზ გაგუა

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი. ექიმი. ქირურგი-ონკოლოგი.



დაიბადა ფოთში 1944 წ. 3 ნოემბერს. მშობლები: ბაბილინა დოლბაია, ოლიფანტე გაგუა; მეუღლე — რუსუდან შალამბერიძე (1954); შვილები: ირინა (1979), ნინო (1985). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1969); ორდინატურა (მოსკოვი,1972), ასპირანტურა (მოსკოვი,1975), დოქტორანტურა (1991). იყო ფოთის საავადმყოფოს ქირურგი (1969-70); თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1975-79); საქ. ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის თორაკალური ონკოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1989). არის ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ონკოლოგი (1989 წლიდან); ონკოლოგიის ნაც. ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2002 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რეთორაკოტომია ფილტვებისა და შუასაყარის ქირურგიაში" (1975), სადოქტორო — „ადგილობრივად გავრცელებული ფილტვის კიბო" (1991). არის 200-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, რომლებშიც გაშუქებულია ქირურგიისა და ონკოლოგიის აქტუალური საკითხები. ეკუთვნის 7 გამოგონება საავტორო უფლებით, 14 რაციონალიზატორული წინადადება. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია: „რეთორაკოტომია ფილტვებისა და შუასაყარის ქირურგიაში"(1982). არის ა.ღვამიჩავას სახ. პრემიის სამგზის (1993; 1994; 1995) და სახელმწ. პრემიის (1997) ლაურეატი; ღირსების მედლისა (1998) და ორდენის (2000) კავალერი; დაჯილდოებულია ოქროს მედლით სამამულო მედიცინის განვითარებისათვის (ერევანი, 2004). არის ფოთის საპატიო მოქალაქე (1998); სამედ. მეცნ., მედიკო-ბიოლოგიური და ნიუიორკის აკადემიების წევრი; საქ. ქირურგთა და ონკოლოგთა სამეცნ. საზ-ბის, ქირურგთა საერთაშ. ასოც-ის, ქირურგთა საერთაშ. კოლეჯის წევრი; საქ. ონკოლოგთა ასოც-ის პრეზიდენტი; სადისერტაციო საბჭოს თავ-რის მოადგილე (1989 წლიდან); ონკოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რის მოადგილე; სამეცნ. საზ-ბის ასოც-ის თავ-რე, ერევნის სახელმწ. სამედ. უნ-ტის საპატიო დოქტორი; რუსეთის ბუნებათმცოდნეობის აკად-ის აკადემიკოსი (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში " (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. კულტურის გაცნობა. ხელოვნება. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ონკოცენტრი, ლისის ტბა, თბილისი 0177. ტელ: 39 86 51. (ბინის) ბახტრიონის 29. ბ. 88, თბილისი 0191. ტელ: 38 74 48.
**სიკეთის კეთება, ახალგაზრდობის აღზრდა.**

## გიორგი გალდავა

კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ინსტიტუტის გენერალური დირექტორი. ექიმი. სამართალმცოდნე. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1970 წ. 19 მარტს. მშობლები: დალი დანელია, გურამ გალდავა; მეუღლე — ლიზი გადელია (1971); შვილები: ელენე (1991), მარიამი (1993). დაამთავრა თსსუ (1993); თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიური უნ-ტი (2005). იყო ინფექციური საავადმყოფოს სეფსისის ცენტრის ქირურგიული განყ-ბის

სანიტარი (1986-88). არის კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ინ-ტის თანამშრომელი (1991 წლიდან); შპს „ჯანმრთელობის სახლის" კონსულტანტი (2002 წლიდან); უმაღლესი სამედ. სკოლა „აიეტის" პედაგოგი (2000 წლიდან); თსუ სამედ. ფაკ-ტის ხელმძღვანელი (2003 წლიდან). არის სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შარდ-სასქესო სისტემის ინფექციურ-ანთებითი პროცესები და პათოსპერმია"(2002). არის საქ. დერმატო-ვენეროლოგთა ასოც-ის პრეზიდენტი (2005); ევროპის დერმატო-ვენეროლოგთა (2004), ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და უკრაინის დერმატო-ვენეროლოგთა (2005) ასოც-ების წევრი; ს/ს კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე (2004); თსუ სამედ. ფაკ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი (2004); მსოფლიო დერმატოსკოპისტთა გამგეობის წევრი (2007 წლიდან); მსოფლიო ტერე-დერმატოლოგთა გამგეობის წევრი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა. წერა. სამეცნიერო მოღვაწეობა. პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა.
მისამართი: (სამსახურის) ნინოშვილის 55, თბილისი. ტელ/ფაქსი: (+995 32) 95 35 64. (ბინის) არაყიშვილის 13, თბილისი. ტელ: 899 50 70 65. ელ-ფოსტა: ggaldava@gmail.com
**მართლმადიდებლობა, კაცობა, ვაჟკაცობა, გულთბილობა, კაცთმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება ...**

## კონსტანტინე გამსახურდია



საქართველოს პარლამენტის წევრი. პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების" თავმჯდომარე. აღმოსავლეთმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1961 წ. 24 ივნისს. მშობლები: დალი ლოლუა, ზვიად გამსახურდია; მეუღლე — ნინო ბარდაველიძე (1965); შვილები: დემეტრე (1988), ზვიადი (1992). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1983), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა (1986); დისერტაციის თემა „ადრე ქრისტიანული ქართლის კულტურები III-V ს-ში". მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი. იყო თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1986-92); სახელმწ. მთარგმნელი და ევრაზიის ექსპერტი (შვეიცარია, 1992-2005); გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი (2007); წმ. ილია მართლის საზ-ბის წევრი (1989-1991). პ/მ „თავისუფლების" თავ-რეა 2004 წლიდან. 2009 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; საქ. I პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის თავ-რე. არის ავტორი წიგნებისა: „ადრექრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა" (1994), „ზვიად გამსახურდია, დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე" (1995, გერმ. ენაზე), „დინების საწინააღმდეგოდ" (1997), „პოლიტიკური სცენის მიღმა" (2000), „ვიტრაჟები" (გერმ. პოეზია, 2001), „ხუთი ლექცია" ( 2005), „წერილები უცხოეთიდან" (2006); „ზვიად გამსახურდია ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება" (გერმ. ენაზე); ფილმისა — „დინების საწინააღმდეგოდ". არის ეროვნული კრების საინიციატივო ჯგუფის წევრი (2008-09). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) შანიძის 13, თბილისი. (ბინის) მარჯანიშვილის 4, თბილისი. ტელ: 96 21 27.
**სიმართლით ცხოვრება. სამართლიანობისათვის ბრძოლა.**

## დავით გამყრელიძე



პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე.
პოლიტიკური გაერთიანება — „ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარე.
ექიმი-პედიატრი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 2 აპრილს. მშობლები: ია გობრონიძე, ერეკლე გამყრელიძე; მეუღლე — მარინა მადიჩი (1966); შვილები: ერეკლე (1986), ნინო (1991). დაამთავრა თსსი პედიატრიის ფაკ-ტი (1988, ი.თარხნიშვილის სახ. სტიპენდიანტი). იყო თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყ-ბის სანიტარი (1981-82); ბავშვთა რესპუბ. საავადმყოფოს ახალშობილთა ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციული განყ-ბის მედძმა(1985-86); თსსი პედიატრიის ფაკ-ტის კომკავშირის კომიტეტის გათავისუ-

ფლებული მდივანი (1988-89); ბავშვთა მე-5 საავადმყოფოს რეანიმაციის განყ-ბის ექიმი-ორდინატორი (1988-89); სოფ. არხილოსკარის ბავშვთა ნევროლოგიური სანატორიუმის ექიმი-ნევროლოგი (1989-90); სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" დირექტორი (1991-95), პრეზიდენტი (1995-99), სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (1999); თბილისის საკრებულოს წევრი (1998-99); საქ. პარლამენტის წევრი (1999-2008); ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის (1999-2000) და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის (2000) თავ-რე; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი (2004-08); „ახალი მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2000); საქ. პარლამენტის ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" თავ-რე (2004-08); 2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებში „ახალი მემარჯვენეების" კანდიდატი; 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკის „ეროვნული საბჭო-ახალი მემარჯვენეები" საარჩევნო შტაბის უფროსი; მაჟორიტარი დეპუტატი (ვაკის №2 საარჩ. ოლქი), თუმცა პროტესტის ნიშნად უარი თქვა მანდატზე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: თხილამურები. ჩოგბურთი.

მისამართი: (სამსახურის) ჟ. კალანდაძის 3 (ყოფ. ბევრეთის), თბილისი 0114.
ტელ: 72 07 75; ფაქსი: 72 38 58. (ბინის) ჯანაშიას 16, თბილისი 0179.
ელ-ფოსტა: DaviDgamkrelidze@hotmail.com

**კეთილსინდისიერება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და სამართლიანობა.**

## ერეკლე გამყრელიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
გეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 8 მაისს. მშობლები: ნინო იოსელიანი, პეტრე გამყრელიძე; მეუღლე — ია გობრონიძე (1939); შვილები: ნინო (1958), დავითი (1964). დაამთავრა სპი სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1956), გეოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1961). იყო ტრესტ „საქფერლითდაზვერვის" გეოლოგი (1956-57); თსუ გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ლაბორანტი (1957-58); გეოლოგიის ინ-ტის უმც. (1961-66), უფრ. (1966-75) მეცნ. თანამშრომელი, ტექტონიკის განყ-ბის გამგე (1975-2009); სტუ პროფესორი (1979-93). არის მეცნ. აკად-ის დედამიწის შემსწავლელ მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1988 წლიდან). იყო გეოლოგიური საზ-ბის პრეზიდენტი (1996); გეოლოგთა ეროვნ. კომიტეტის თავ-რე (1996). კითხულობდა ლექციების კურსს და გამოდიოდა სამეცნ. მოხსენებებით მიუნჰენის, ვარშავის, ბრატისლავის, სოფიის, ბუქარესტის, პრაღის, ბუდაპეშტის, ვენის, პარიზის, კემბრიჯის, ედინბურგის, მოსკოვის, რომის, პეტერბურგის უნ-ტებსა და სამეცნ. დაწესებულებებში (1976-2005). იყო აღმ. ევროპის ქვეყნების მეცნ. აკად-ების მრავალმხრივი თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის მეცნ. ხელმძღვანელი (1976-90); ორი საერთაშ. კონფერენციის ხელმძღვანელი (თბილისი, 1979, 1990). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რაჭა-ლეჩხუმის სინკლის ჩრდილო ფრთის აგებულება" (1963), სადოქტორო — „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზისის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა" (1984). არის 10 მონოგრაფიის, 200-ზე მეტი სტატიისა და 80-მდე ხელნაწერი შრომის (გეოლოგიური ანგარიშები) ავტორი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არის ა.ჯანელიძის (1986) და ა.თვალჭრელიძის (2008) სახ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); საერთაშ. (NATO, INTAS, ISTC) და ეროვნ. გრანტის მფლობელი; საერთაშ. პლანეტოლოგიური ასოც-ის (1979); რუსეთის უწყებათაშორისი ტექნიკური კომიტეტის (1981), ევროპის საერთაშ. გეოლოგიური რუკის კომისიის (1986), ქართული ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. საბჭოს, საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის მოამბისა და რამდენიმე საერთაშ. ჟურ-ის სარედაქციო საბჭოსა და საზ-ბრივი ორგანიზაცია „ქართული აკადემიის" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).

ჰობი: მრავალგანზომილებიანი სამყაროს შეცნობა. არაერთხელ ფეხით მაქვს შემოვლილი საქართველოს მთა-ბარი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 0108. ტელ: 99 64 45. ფაქსი: 99 88 23. (ბინის) ფალიაშვილის 52, ბ.15, თბილისი 0179. ტელ: 22 32 94. ელ-ფოსტა: elericilas@mail.ru

**სიმართლისა და სამართლიანობის ერთგულება, რის გამოც არაერთი უსიამოვნება შემხვედრია, უახლოეს ადამიანებთანაც კი, ძირითად ჩემს დანიშნულებად ცხოვრებასა და მეცნიერებაში მიმაჩნდა ჭეშმარიტების**

განუწყვეტელი ძიება ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, იმ რწმენით, რომ უმაღლესი ჭეშმარიტება არის ღმერთი. ამ გზაზე არაერთი შეცდომა მომსვლია, რომელთა აღიარება არავითარ სულიერ დისკომფორტს არ მიქმნიდა, ვიყავი ბედნიერი მაშინ, როცა ვიყავი მართალი ჩემს თავთან, თუმცა ერწმუნდები, რომ ცხოვრებაში არის ბევრი რამ, რაც პირად ბედნიერებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

## თამაზ გამყრელიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. აღმოსავლეთმცოდნე- ფილოლოგი.



დაიბადა ქუთაისში 1929 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ოლიმპიადა და ვალერიან გამყრელიძეები; მეუღლე — ნინო ჯავახიშვილი (1946); შვილები: ეკატერინე (1969), ალექსანდრე (1970). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1952). იყო ენათმეცნიერების ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1953-60); აღმოსავლეთმცოდნეობის ინტ-ის მეცნ. თანამშრომელი და განყ-ბის გამგე (1960-73), დირექტორი (1973-2000); თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგე (1960-2006). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1989-2003). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები" (1956), სადოქტორო — „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია" (1960). არის 300-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიებისა: „Хеттский язык и ларингальная теория" (1960), „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი" (1961), „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია" (1965, გ. მაჭავარიანის თანაავტორობით); გერმ: „Sonanten system und Ablaut in den Kartvelsprachen (Günter Narr Verlag, Tübingen, 1982); „Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры (1984, ვ.ივანოვის თანაავტორობით), ინგლ: "Indo-European and the Indo-Europeans". A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and Proto-Culture, 2 vol. (Mouton de Gruyter, Berlin-New York, 1994/95), „დეზაფრიკატიზაცია სვანურში. გადანერის წესები დიაქრონიულ ფონოლოგიაში" (1968), „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა". (1989/1996), ინგლ: „Alphabetic Writing and the Old Georgian Script. A Typology and Provenience of Alphabetic Writing Systems" (Caravan Books, Delmar, New York, 1994). არის რუსეთის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი; ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა (1979), ბრიტანეთის (1980), ავსტრიის და საქსონიის აკადემიების უცხოელი საპატიო წევრი; ამერიკის ლინგვისტური საზ-ბის (1978), ევროპის ლინგვისტური საზ-ბის (1986-87 წლებში იყო ამ საზოგადოების პრეზიდენტი), ინდო-ევროპული საზ-ბის საპატიო წევრი. ბონისა და ჩიკაგოს უნ-ტების საპატიო დოქტორი; ლენინის (1988), ლ. ჰუმბოლტისა (1989) და ივ. ჯავახიშვილის (1930) სახ. პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა და ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 0108. ტელ: 99 88 91.
ელ-ფოსტა: t.gamkrelidze@science.org.ge
**პროფესიონალიზმი და პრინციპულობა.**

## ზაალ (ზაზა) გამცემლიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ბიოლოგი.



დაიბადა თბილისში 1949 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ნუნუ ლეონიძე, გიორგი გამცემლიძე; მეუღლე — ნინო ქიქოძე (1950); შვილები: ქეთევანი (1972), ეკატერინე (1977). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1972). მუშაობდა ბოტანიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე (1969-2008); იყო ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინ-ტის დირექტორი (2006-08); გარემოს დაცვის მინისტრი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია (1978). არის 1 მონოგრაფიის და 50-მდე სამეცნ. შრომის ავტორი.
ჰობი: ადამიანების სიყვარული.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8,თბილისი 0118. ტელ: 28 42 05. (ბინის) ფალიაშვილის 2, თბილისი. ტელ: 22 03 38; 899 55 01 76.
**თავისუფალი საქართველო.**

## ნონა გაფრინდაშვილი



მოჭადრაკე. მრავალგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი.
საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქალებსა და ვაჟებს შორის.
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი.

დაიბადა ზუგდიდში 1941 წ. 3 მაისს. მშობლები: ვერა გრიგოლია, ტერენტი გაფრინდაშვილი; მეუღლე — ანზორ ჭიჭინაძე; შვილი — დავითი (1970). დაამთავრა თბილისის სახელმწ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი ინგლისური ენის სპეციალობით (1973). არის საქ. მრავალგზის ჩემპიონი (1956 წლიდან), ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი (1962-78), თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1963-92), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მფლობელი, ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. იყო სეოკის პირველი პრეზიდენტი (1989-96). არის სეოკის საპატიო პრეზიდენტი. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „ჩემი ცხოვრების არსი". „Я предпочитаю риск" და „რჩეული პარტიები". არის სპორტის დამს. ოსტატი; პირველი საჭადრაკო ოსკარის ლაურეატი; ბათუმის, ზუგდიდის, თბილისის, ახალქალაქის, ბორჯომის საპატიო მოქალაქე. მიღებული აქვს ლენინის (1966), საპატიო ნიშნის (1987) ორდენები; მედალი შრომითი წარმატებისათვის (1963); ღირსების ორდენი (1994); ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა და მსოფლიო ეოკთა ასოც-ის საპატიო ორდენები, სეოკის უმაღლესი ჯილდო — „ოლიმპიური ორდენი" (1996); დასახელებულია XX საუკუნის 1 სპორტსმენ ქალად (2000); დაჯილდოებულია ვ.გორგასლის II (2000) და I ხარისხის ორდენებით; 2001 წელს მისი სახელი ეწოდა ჭადრა-კის სასახლეს; საჭადრაკო ოლიმპიადაზე თამაშდება „ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "The International Who's Who of Women", „ვინ ვინაა საქართველოში" (ყვე-ლა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თეატრი. მუსიკა. კინო. მაგიდის ჩოგბურთი. ბილიარდი. ჩოგბურთი. წიგნები. სპორტული ცეკვები.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის 14, თბილისი 0179. ტელ: 22 78 96.
**უამრავი კომპონენტია საჭირო იმისათვის, რომ იყო ჩემპიონი. ძლიერი ხასიათი, კარგი ნერვული სისტემა ნიჭთან ერთად, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგრადობა. ეს ყველაფერი ერთად საჭიროა იმისთვის, იყო მსოფლიო ჩემპიონი და პირველი ადამიანი.**

## გივი გაჩეჩილაძე



კომპოზიტორი. დირიჟორი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 5 ნოემბერს. მშობლები: თამარ ჭანუყვაძე, გიორგი გაჩეჩილაძე; მეუღლე — თინათინ გაჩეჩილაძე (1953); შვილები: ნინო (1980), თამარი (1983). სწავლობდა კიევის კონსერვატორიაში, დაამთავრა თსკ კომპოზიციის ფაკ-ტი (1973). არის უკრაინის სახელმწ. ორკესტრის („დნიპრო", 1964 წლი-დან), საქტელერადიოს (1968 წლიდან), უკრტელერადიოსა (1972 წლიდან) და თბილისის ორკესტრის სამხ. ხელმძღვანელი (1997 წლიდან); საქ. სახელმწ. ორკესტრის — „რერო"— ხელმძღვანელი (1974 წლიდან); საქტელერადიოს ორკესტრისა (1979 წლიდან) და კ.მარჯანიშვილის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანე-ლი (1981 წლიდან). ჩაწერილი აქვს ფირფიტა ჯაზის ამერიკელ ვარსკვლავებთან ერთად (1962) და 5 შემო-ქმედებითი ფირფიტა ფირმა „მელოდიაში"; ეკუთვნის მუსიკა 40-მდე დრამატული სპექტაკლის, 3 მულტ-ფილმის და მხ. ფილმისა „ბრავო, ალბერ ლოლიშ". არის მონტე-კარლოს ევროპის „გრან-პრის" მფლობელი (2006); ხელოვნების დამს. მოღვაწე ( 1990); ღირსების ორდენის კავალერი (1998); სსრკ და საქ. კომპოზი-ტორთა კავშირების წევრი (1981 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Энциклопедический

Словарь – "Джаз XX Века" (2001) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის გამზ. „ვარდების ბაღი". თბილისი. (ბინის) ევდოშვილის 2/10, კ. VII, ბ. 26, თბილისი. ტელ: 34 18 34; 895 909959.

## გიორგი გაჩეჩილაძე

საქართველოს მწვანეთა პარტიის გენერალური მდივანი.



დაიბადა თბილისში 1954 წ. 24 ივნისს. მშობლები: თამარ წერეთელი-გაჩეჩილაძე, ამბერკი გაჩეჩილაძე; მეუღლე — რუსუდან ცაგარეიშვილი (1961); შვილები: თამარი (1985), ნინო (1989). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1976). იყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის ინჟინერი, უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე, ეკოლოგიის განყ-ბის გამგე; საქ. პარლამენტის წევრი (1992-95, 1995-99); პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე (1995-99); შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის წევრი (1994-99). არის პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის (1994 წლიდან) და ეკოლოგიურ მეცნიერებათა (1995 წლიდან) აკად-ების ნამდვილი წევრი; გეოგრაფიულ მეცნ. დოქტორი; 70-მდე სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის 1 მონოგრაფიის ავტორი. არის საქ. მწვანეთა პარტიის გენ. მდივანი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხელოვნება (ქანდაკება).
მისამართი: (სამსახურის) კანდელაკის 55, თბილისი. ტელ: 38 50 33. (ბინის) ფალიაშვილის 96. თბილისი 0130. ტელ: 22 26 62.
**სამართლიანობა, პატიოსნება, პროფესიონალიზმი; შეიქმნას მდგრადი, ჰუმანური, სამართლიანი და ქართული ტრადიციების მატარებელი სამოქალაქო საზოგადოება, რომელშიც ყველა უზრუნველყოფილი იქნება ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემოთი და რომელიც ჰარმონიულად შეუხამებს ერთმანეთს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებს.**

## გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი)

რადიო „უცნობის", რადიო „ნაცნობის" და ტელეკომპანია „მაესტროს" დამფუძნებელი. მსახიობი.



დაიბადა თბილისში 1966 წ. 13 მარტს. მშობლები: ნანა თევზაძე, ჯონდო გაჩეჩილაძე; მეუღლე — ნინო ძიძავა (1967); შვილი — ირინა (1988). დაამთავრა თსთი (1987). არის რადიო „უცნობის" და რადიო „ნაცნობის" დამფუძნებელი; ტ/კ „მაესტროს" დამფუძნებელი; ტ/კ „მაესტროს" პროექტის — „საკანი №5" ავტორი და წამყვანი. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ბედისწერა"; გამართული აქვს კონცერტები და შოუები; ჩანერილი აქვს კომპაქტდისკი — „ქვეყანაშია ფერები მუქი", „მოდი გავაკეთოთ რამე ერთად", „ვაგონი მიქრის", „ზამთარი ერთად გადავაგოროთ", „ჩვენებური სიმღერა". გადაღებული აქვს: კლიპი „დედა ენა"; დოკ. ფილმები: „აფხაზეთო ჩემო", „26 მაისი". მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები: „ოქროს ფრთა" „საუკეთესო სიმღერა", „საუკეთესო კლიპი", „საუკეთესო ტექსტი", „საუკეთესო რეჟისურა", „ოქროს ნიღაბი", „სახეები". არის დამფუძნებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა „დაიცავი საქართველო". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სიმღერა.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 50. თბილისი. ტელ: 91 50 91.
**მოექეცით ადამიანებს ისე, როგორც გინდა რომ მოგექცნენ შენ.**

## ლევან გაჩეჩილაძე



საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დაიცავი საქართველო"
თანადამფუძნებელი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 20 ივლისს. მშობლები: ნანა თევზაძე-გაჩეჩილაძე, ჯონდო გაჩეჩილაძე; მეუღლე — ნინო მიქელაძე (1964); შვილები: რატი (1986), გიორგი (1989), კონსტანტინე (1996). დაამთავრა თსუ საინჟინრო ფაკ-ტი (1986). იყო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის ლაბორანტი (1986-87); სამრეწველო სავაჭრო ფირმა „ლილოს" კომერციული აგენტი (1988-91); სპორტის დეპ-ტის კომერციული განყ-ბის უფროსის მოადგილე (1991-92); საქ. ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS-ის გენ. დირექტორი (1993-97), პრეზიდენტი (1997-99); საქ. პარლამენტის წევრი (1999-2000); თბილისის საკრებულოს წევრი (2000-04), ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტისა" და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი; პრეზიდენტობის კანდიდატი 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე. საზ-ბრივი ორგანიზაციის — „დაიცავი საქართველო" თანადამფუძნებელი და წევრი (2009 წლიდან). არის გადამხდელთა კავშირის საბჭოსა და ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრი 2001 წლიდან; აღიარებულია 1999 წლის საუკეთესო ბიზნესმენად და 2000 წლის საუკეთესო მეცენატად; მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 50. თბილისი. ტელ: 91 50 91. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 50. თბილისი. ტელ: 22 35 61.
**ჩემი წარმატება განაპირობა ქართულმა ისტორიულმა ფასეულობებმა.**

## რევაზ გაჩეჩილაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი.
გეოგრაფი. დიპლომატი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 4 მაისს. მშობლები: ირინე კანდელაკი, გივი გაჩეჩილაძე; მეუღლე — მზია მარსაგიშვილი (1950); შვილები: გივი (1973), ირინე (1977). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1965). იყო თსუ ეკონომიკური (შემდგომში – სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური) გეოგრაფიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი (1968-91), პროფესორი (1991-98, 2004-05, 2009 წლიდან), კათედრის გამგე (1993-98); საქ. კპ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მეცნ. და განათლების განყ-ბის გამგე (1981-85); ცკ მეცნ. და განათლების განყ-ბის გამგის მოადგილე (1985-87); საზ-ბრივ მეცნიერებათა დარგში ინფორმაციის ცენტრის საზ-ბრივი აზრის კვლევის განყ-ბის გამგე (1987-89); სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი (1989-91); დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე (1991-97); საერთაშ. ორგანიზაციების დეპ-ტის დირექტორი (1997-98); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში (1998-2004) და სომხეთის რესპუბლიკაში (2005-09). 2009 წლიდან არის საგანგებო დავალებათა ელჩი და თბილისის თავისუფალი უნ-ტის პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თურქეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფია" (1969), სადოქტორო — „მოკავშირე რესპუბლიკის სოციალური გეოგრაფია (საქართველოს მასალებზე)" (1990). არის ავტორი წიგნებისა: „დიდი ბრიტანეთი" (1973); „ახლო აღმოსავლეთი" (1977); "Некоторые вопросы географии преступности на примере Грузинской ССР" (თანაავტორთან ერთად, 1982); "Турция" (1984); „ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა" (1994); "The New Georgia: Space, Society, Polititics" (1995); "Human Development Report, Georgia 1995" (ავტორთა კოლექტივთან ერთად, 1995); "Population Migration in Georgia and its Socio-Economic Consequences" (1997); „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა" (2003; II გამოცემა — 2008); „ჩემი მეოცე საუკუნე: წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო ისტორიისა და გეოპოლიტიკის კონტექსტში" (ტ. I,2009). არის სამეფო გეოგრაფიული საზ-ბის (ლონდონი) საპატიო უცხოელი წევრი (1999 წლიდან), საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2002); საქ. გეოგრაფიული საზ-ბის პრეზიდენტი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Who is Who of Intellectuals, Cambridge, 1999 (UK), „ვინ ვინაა საქათველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფოტოგრაფია.
მისამართი: (სამსახურის) ჩიტაძის 6. თბილისი.
**სერიოზული მიდგომა დაკისრებული მოვალეობისადმი; სამშობლოს სიყვარული.**

## შალვა გაწერელია

რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.



დაიბადა ახალციხეში 1931 წ. 19 იანვარს. მშობლები: ქეთევან და ვლადიმერ გაწერელიები; მეუღლე — ლემურა ჯაყელი (1940); შვილი — ვლადიმერი (1964). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1958). იყო ცენტრალური საბავშვო და ახალგაზრდული სახელმწ. თეატრის რეჟისორი, მთ. რეჟისორი, სამხ. ხელმძღვანელი და დირექტორი (1961-94); მუშაობდა საქ. სახელმწ. ტელევიზიაში (1974-77). 1960 წლიდან იყო თსთი პედაგოგი, უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. არის სრული პროფესორი – მიმართულების ლიდერი; მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგე (1997 წლიდან). დადგმული აქვს სპექტაკლები: „მოკვეთილი" (ვაჟა-ფშაველა, 1972); „ქამუშაძის გაჭირვება" (დ.კლდიაშვილი, 1973); „სიმონა მაშარის სიზმრები" (ბ.ბრეხტი, 1976); „მე ვხედავ მზეს" (ნ.დუმბაძე, 1978); „რღვევა" (ბ.ლავრენევი, 1979); „ბაკულას ღორები" (დ.კლდიაშვილი, ტელესპექტაკლი, 1975); „ირინეს ბედნიერება" (დ.კლდიაშვილი, 1981); „ჩვენებურები" (მ.ჯაფარიძე, 1984); „ბედნიერი ბილეთი" (ი.სამსონაძე, 1985); „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" (ი.სამსონაძე, 1991); „ფსკერზე" (მ.გორკი, 1997) და სხვ. არის საქ. სახალხო არტისტი (1987); სახელმწ. (1982,1992) და კ.მარჯანიშვილის (1985) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; მსოფლიო ბავშვთა და ახალგაზრდობის საერთაშ. ორგ-ის პრეზიდიუმის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია საქ. ენციკლოპედიურ კითხვარში.

მისამართი: (სამსახურის) შ.რუსთაველის თეატრისა და კინოს უნ-ტი, თბილისი. (ბინის) ყიფშიძის ქ. 10. ბ.64, თბილისი. ტელ: 23 55 66.

**ადამიანებში ზნეობრიობის განმტკიცება. ჩემი სპექტაკლებით ვცდილობდი და მომავალშიც ვეცდები, რომ მაყურებელში გავაჩინო დადებითი ემოცია, პატრიოტული გრძნობები და კეთილშობილური ზრახვები. პედაგოგიურ მოღვაწეობაში: აღვზარდო პროფესიონალი.**

## არჩილ გეგენავა

საქართველოს პარლამენტის წევრი. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. ეკონომისტი.



დაიბადა 1975 წ. 23 მარტს. მშობლები: ნარგიზი მებუკე, გუგა გეგენავა; მეუღლე — სოფიო ცხვედიანი (1975); შვილები: ლიზი (1998), ნიკოლოზი (2007). დაამთავრა თბილისის საერო ინ-ტი „გაენათი" (1996). მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. იყო სს „საქართველოს ბანკის" ნაძალადევის განყ-ბის სავალუტო განყ-ბის ეკონომისტი, უფრ. სპეციალისტი (1996-97), სათავო ოფისის საკრედიტო დეპ-ტის უფრ. ეკონომისტი, საოპერაციო დეპ-ტის დირექტორის მოადგილე (1997-98), ვაკის ფილიალის მმართველი (1998-2001), ცენტრალური ფილიალის მმართველი (2001-02), გენ. დირექტორის მოადგილე (2002-04); სს „თელიანი ველის" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2004-05), სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფის — "m/group" გენ. დირექტორი (2007-08); საქველმოქმედო ფონდის — „ერთგულება" დამფუძნებელი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავ-რე. დაჯილდოებულია დმანისის აგარა-ტაშირის ეპარქიის მედლით (2004).

ჰობი: ნყალბურთი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 13 70; ფაქსი: 99 00 76. (ბინის) მ. კოსტავას I შეს. 11, ბ. 11, თბილისი 0179.

**მინდა, რომ ჩემი შესაძლებლობებით მაქსიმალურად გამოვადგე ჩემს ქვეყანას და აქტიურად მივიღო მონაწილეობა მის განვითარებაში.**

## ირაკლი გედენიძე



ფოტორეპორტიორი.
საქართველოს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 5 დეკემბერს. მშობლები: მარინა ანდღულაძე, გიორგი გედენიძე; მეუღლე — ნათია გედენიძე; შვილები: ვასილი (1999), მარიამი (2001). დაამთავრა საქ. ტექნიკური უნ-ტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1995); სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საქინფორმში, გაზეთში „ალია", უცხოურ საინფორმაციო სააგენტოებში, ინტერპრესნიუსში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.
ჰობი: ფოტოგრაფია, ნადირობა, თევზაობა— offroad გასვლები.
**კანონი, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი.**

## გელა გელაშვილი



ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.
ფიზიკოსი.

დაიბადა სიღნაღში 1951 წ. 19 მარტს. მშობლები: ნინო ნოზაძე, ვლადიმერ გელაშვილი; მეუღლე — ეკატერინე მოდებაძე; შვილები: ვლადიმერი (1978), გიორგი (1982). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1973). იყო ფიზიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1973-86), მეცნ. თანამშრომელი (1986-89), უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1989-2000). 2006 წლიდან არის ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ელექტრული დენის გენერაცია ლაზერულ პლაზმაში" (1989). არის ღირსების ორდენის კავალერი (2007).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 6, თბილისი. ტელ: 39 87 83; ფაქსი: 39 94 14. (ბინის) თამარაშვილის 3, თბილისი. ტელ: 22 76 83. ელ-ფოსტა: gela@iphac.ge
**მე არ ვთვლი, რომ დიდ წარმატებას მივაღწიე. ჩემი კრედოა — ყველამ უნდა აკეთოს თავისი საქმე. ჩემს გაღიზიანებას იწვევს ხელმოცარული მეცნიერების (მათ შორის განსაკუთრებით ფიზიკოსების) სიმრავლე პოლიტიკაში. მინდა ჩემი წვლილი შევიტანო მეცნიერების სწორად ორგანიზების საქმეში.**

## ემზარ გელაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.

დაიბადა ქარელის რ-ნის სოფ. ბებნისში 1972 წ. 24 მაისს. მშობლები: ნანული და შოთა გელაშვილები; მეუღლე — მანანა ხოსრუაშვილი (1975); შვილები: ვახტანგი (1996), თამილა (1998). დაამთავრა სტუ საავტომობილო-საგზაო ფაკ-ტი (1995). იყო ბებნისის სანერგე მეურნეობის საოჯახო არენდის წევრი (1989-92); სოფ. კეხიჯვრის საკრებულოს სამხედრო მაგიდის გამგე (1996-97); საქ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე (1996-2006); ქარელის რ-ნის გამგებლის მოადგილე (2006); საქ. შსს ინსპექტორ-გამომძიებელი (2006-07); საქ. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპ-ტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების წევრი.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 61. (ბინის) ქარელის რ-ნი სოფ. ბებნისი.

## ზაზა გელაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ტექნოლოგი. იურისტი. პოლკოვნიკი.

დაიბადა ყვარელში 1974 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: თამარ სურამლიშვილი, ანზორ გელაშვილი; მეუღლე — ნანა სეფაშვილი (1977); შვილები: დავითი (2005), თამარი (2007), გიორგი (2008). დაამთავრა საქ. ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინ-ტი (1996) და თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (2005). იყო საქ. შეიარაღებული ძალების დაზვერვის მთ. სამმართველოს სერჟანტი (1998-99); საქ. თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთ. სამმართველოს ჯგუფის მეთაური (1999-2006); საქ. თავდაცვის სამინისტროს „კომანდოს" ბატალიონის მეთაურის მოადგილე (2000-02); საქ. იუსტიციის სამინისტროს სპეც. დანიშნულების სამსახურის უფროსი (2002-04); საქ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს კახეთის რეგიონის სამმართველოს უფროსი (2004-06); საქ. შსს აჭარის კონტრდაზვერვის მთ. სამმართველოს უფროსი (2006-07); საქ. შსს დაცვის პოლიციის დეპ-ტის უფროსი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავ-რის I მოადგილე. არის ღირსების ორდენის კავალერი (2004); მიღებული აქვს საქ. პრეზიდენტის მადლობა (2004).
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 90.
**ჩემი პრინციპია, ვიყო მართალი!**

## ნატო გელაშვილი



კომპოზიტორი. ავტორ-შემსრულებელი.

დაიბადა ბორჯომში 1972 წ. 18 აპრილს. მშობლები: მარიამ ლომსაძე, ომარ გელაშვილი; მეუღლე — ვახტანგ გორგაძე (1966); შვილები: გიორგი (1997) და ლუკა (1999) ჭოხონელიძეები. დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1998). 1991 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ჩაწერილი აქვს ალბომები: „ისევ გიმღერო მინდა" (2000); „ყვავილების დედოფალი" (2000); „ერთი კაცი მიყვარდა" (2001); „გმადლობთ" (2002); „მიყვარხარო ძალიან" (2004); „აყვავდება როცა ნუში" (2006); მისი ყველა სიმღერა დაწერილია მისსავე ლექსებზე. არის ავტორი წიგნისა „სევდისფერი ქალი" (2003) და ლექსების კრებულისა „ერთი ქალის ისტორია" (2007). არის ბათუმზე შექმნილი სიმღერების ფესტივალის გრან-პრის მფლობელი (1995); ბორჯომის საპატიო მოქალაქე (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თეატრი. პოეზია.
**ჩემი ცხოვრებისეული კრედო პირველ რიგში თავისუფლებაა, მიყვარს ყველა და ყველაფერი უბრალო. ვერ ვეგუები ამბიციურ ადამიანებს, არ მიყვარს ზედმეტად აქტიური ცხოვრება. მიყვარს ჩემი სახლი, ქმარ-შვილი და ჩემთვის სახლში სიმღერა.**

## გერასიმე (შარაშენიძე)



ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 20 მაისს. მშობლები: ლეილა ეაშაძე, რევაზ შარაშენიძე; დაამთავრა სპი ელექტროკავშირგაბმულობის ფაკ-ტი (1985). იყო მოსკოვის აღდგომის სახელობის ტაძრის, წმ. გიორგის სახ. ქართული ეკლესიის მრევლის სტიქაროსანი (1992-97); გაგზავნილ იქნა ურბნისის და რუისის ეპარქიაში,

შეიმოსა მორჩილის კაბაში (1997); ალიკვეცა ბერად, ბერ-დიაკვნად (1997); დაინიშნა წრომის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვრად (1997); გადაიყვანეს საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიაში (1998); დაინიშნა პატარძეულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრად, ალყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით (1998). ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად 1998 წელს; აკურთხეს მთავარეპისკოპოსად (2002); ალყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (2007). არის საქ. საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყ-ბის თავ-რე (2002 წლიდან). 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

მისამართი: (რეზიდენციის) ზუგდიდი, კორცხელი. ტელ: 897 907070.

## ელდარ გენაძე

საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.



დაიბადა ზესტაფონში 1945 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: ლენა ყანჩაველი, შალვა გენაძე; მეუღლე — დარეჯან მახაშვილი (1942); შვილები: ირმა (1970), მზია (1975). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (1971). იყო გორის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (1968); თბილისის კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის სოლისტი (1972); 1974 წლიდან არის ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. არის დოცენტი (2001 წლიდან), პროფესორი (2004 წლიდან). შესრულებული აქვს 45 საოპერო პარტია, მათ შორის სპექტაკლებში: „დაისი" (კიაზო), „აბესალომ და ეთერი" (მურმანი), „ლელა" (გელა), „მინდია" (ჩალხია), „მთვარის მოტაცება" (თარაში), „პირველი სიყვარული" (ქრისტეფორე), „პიკის ქალი" (ელეცკი), „ლუჩია დი ლამერმური" (ჰენრიხი), „ოტელო" (იაგო), „ტრავიატა" (ჟერმონი), „ბალ-მასკარადი" (რენატო), „დონ კარლოსი" (დი პოზა), „ნაბუქო" (ნაბუქო), „ტრუბადური" (გრაფ დი ლუნა), „რიგოლეტო", (რიგოლეტო), „მაკბეტი" (მაკბეტი), „დონ ჯოვანი" (დონ ჯოვანი), „ჯამბაზები" (სილვიო), „სოფლის ღირსება" (ალფიო), „ტოსკა" (სკარპია), „ჯანი სკიკი" (სკიკი) და სხვ. არის ვოკალისტთა რესპუბ. (1970,1971), ზ.ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ვოკალისტთა (1972), ა/კ მუსიკალურ შემსრულებელთა IV (1972) კონკურსების ლაურეატი და პირველი ადგილის მფლობელი; გლინკას სახ. ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი და II ადგილის მფლობელი (1975). დაჯილდოებულია „კლასიკური დრამატურგიის I რესპუბლიკური ფესტივალის" საპატიო სიგელით (1981); პრემიებით — წლის საუკეთესო როლისა (1978) და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის (1979); არის ზ.ანჯაფარიძის ოქროს ფონდის მედლის ლაურეატი (2002); საქ. დამს. (1983) და საქ. სახალხო (1985) არტისტი; ღირსების ორდენის კავალერი (1999); მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ბუნების წიაღში საქმიანობა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25, თბილისი 0108. ტელ: 99 65 66; ფაქსი: 93 16 54. (ბინის) ქინძმარაულის შეს. 9, ბ.4, თბილისი. ტელ: 70 67 22; 899 47 46 55.

**მაქსიმუმის გაკეთება საკუთარი მონაცემების სწორი გაანალიზებით. თავდაუზოგავი შრომა.**

## ზურაბ გენაძე

მსახიობი. რეჟისორი. მ.თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მმართველი.



დაიბადა თბილისში 1971 წ. 6 თებერვალს. მშობლები: მანანა ტაბიძე, დავით გენაძე; მეუღლე — ნანა ლითანიშვილი (1970); შვილები: ერეკლე (1991), სალომე (1995), ზურაბი (1997), ნინო-ნუცა (2009). დაამთავრა თსუ-ის სამსახიობო ფაკ-ტი (მ.თუმანიშვილის სახელოსნო, 1992); დრამის მსახიობისა და რეჟისურის ფაკ-ტის მაგისტრატურა (2008). 1992 წლიდან არის მ.თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი და რეჟისორი. შემოქმედებითი კავშირის — „კავკასიური თეატრალური ლაბორატორიის" დამფუძნებელი მენეჯერი, ალმას. დირექტორი (2000 წლიდან). იყო ფოკის დედათა მონასტერთან არსებული ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის სახელოსნო „ფოკანის" პიარ-მენეჯერი (2005-07). 2005 წლიდან არის მ.თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი. 2009 წლიდან — მ. თუმანიშვი-

ლის სახ. კინომსახიობთა თეატრის მმართველი. შსრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", „ცხოვრება იდიოტისა", „ბაკულას ღორები", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „მარიანა პინედა", „ანა კარენინა", „ნეაპოლი-მილიონერთა ქალაქი", „კილი და დუ", „მედეა-მასალა", „ტარტიუფი", „გმირი", „პიპ", „პარალეთი, პარალეთი" და სხვ. მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშ. თეატრალურ ფესტივალში. გადაღებულია ფილმებში: „ანანოს დაბადების დღე", „საქველმოქმედო კონცერტი", „გრაფიტი"; ტელეპროექტებში: „ტელე-პროცესი" (მე-9 არხი 1998-2000), „გვირგვინი" (I არხი, 2000), „იმედის დილა", „ჩვენი ეზო" (ტ/კ „იმედი", 2004-06). არის მუს. კონკურსის — „იმედის ტალღა II"-ის პრიზიორი (ტ/კ „იმედი", 2007); საზეიმო კონცერტებისა და საღამოების წამყვანი; დამდგმელი რეჟისორი და მენეჯერი სპექტაკლისა „გმირი" — ჯონ სინგის მიხედვით (კინომსახიობთა თეატრი, 2004); პროდიუსერი, დამდგმელი რეჟისორი, აღმასრულებელი დირექტორი სპექტაკლისა „მელოტი მომღერალი ქალი" – ეჟენ იონესკოს მიხედვით (კინომსახიობთა თეატრი, 2007); რეჟისორი, პროექტის მენეჯერი სპექტაკლებისა — ბ.ჯანიკაშვილის „მეტრო" და ლ.კეკელიძის „მკვდარი საათი" (2009).
ჰობი: ხატვა. მელვინეობა. სპორტი (ცხენოსნობა, ცურვა).
მისამართი: (სამსახურის) დ. აღმაშენებლის 164, 0112. თბილისი. ტელ/ფაქსი: (+995 32) 35 01 94. (ბინის) დ. გამრეკელის 20, თბილისი 0160. ტელ: (+995 32) 23 39 66.
ელ-ფოსტა: zuragets@yahoo.com ; tumanishvilitheatre@yahoo.com
**სარწმუნოება, მამული, ადამიანი. სიყვარული, სიყვარული, სიყვარული.**

## კახა გეწაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 1 იანვარს. მშობლები: როზა ღიბრაძე, რამაზ გეწაძე; მეუღლე — იანა ვიბლიანი (1977); შვილები: ანა (1999), სალომე (2000). დაამთავრა თბილისის სამედიცინო აკადემიის სამკურნალო ფაკ-ტი (1997). იყო შსს სასჯელაღსრულების დეპ-ტის ქსნის ტუბ. კოლონიის ექიმი-ფტიზიატრი (1997-98); შსს სასჯელაღსრულების დეპ-ტის თბილისის მე-5 იზოლატორის ექიმი-ქირურგი (1998-2000); იუსტიციის სამინისტროს სამედ. დეპ-ტის თანამშრომელი (2001-04). ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრია 2002 წლიდან. 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების წევრი (2008). არის საქ. ჭიდაობის ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2005 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 60. (ბინის) მარაბდის 25, თბილისი. ელ-ფოსტა: kgetsadze@parliament.ge
**საქართველოს წარმატება, მითუმეტეს იმ სფეროებში, რომელშიც მე ვმოღვაწეობ. ქვეყნის გამთლიანება და მისი წარმოჩინება ცივილიზებული მსოფლიოს სივრცეში.**

## ვაჟა გვანცელაძე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 6 აპრილს. მშობლები: ევგენია ნოზაძე, ისიდორე გვანცელაძე; მეუღლე — ლამარა დადუნაშვილი (1933); შვილები: ლალი (1957), ნანა (1959). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1956), ორდინატურა (1959). იყო თსსი პედიატრიული, სტომატოლოგიური და პროფილაქტიკური მედიც. საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტი (1959-70), დოცენტი (1970-89), პროფესორი ( 1989-94); შინაგან სნეულებათა და დიაგნოსტიკის თერაპიის კათედრის გამგე (1994—2001); შინაგანი სნეულებების მე-5 კათედრის პროფესორი (2001-06); სამედ. ინსტიტუტ „დასტაქარის" თერაპიის კათედრის გამგე (2006-08). არის

მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული და კარდიოლოგიური განყ-ბების კონსულტანტი, თსსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პანკრეასის გარე სეკრეციულ ფუნქციაზე ზვარეს მინერალური წყლის მოქმედების კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევა" (1965); სადოქტორო — „ქრონიკული გასტრიტის კლინიკო-მორფო ფუნქციური ფორმები" (მოსკოვი, 1988). არის 68 სამეცნ. ნაშრომის, სახელმძღვანელოებისა და წიგნების ავტორი, მათ შორის: „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია" (2003); „შინაგანი სნეულებები და მედდის მოვალეობა" (2006); „გიორგი მხეიძე 100 წლისაა" (2004). არის საქ. ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი; ღირსების ორდენის კავალერი (2003). იყო თსსუ სამეცნ. საბჭოს, პედიატრიული ფაკ-ტის სამეცნ. საბჭოს, პედაგოგიური და კლინიკური საბჭოების წევრი; ცენტრალური მეთოდკომისიის, ინტერნისტთა და გასტროენტეროლოგიური საზ-ბების გამგეობის წევრი. არის სსრკ ჩემპიონი ჭაბუკთა შორის კალათბურთში (1948). იყო თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრი (1950-59). არის სსრკ-სა (1952-59) და სსრკ ზამთრის თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი; საქ. ჩემპიონი (1950-59); სპორტის ოსტატი (1954). მისი ბიოგრაფია შესულია ზ. და ს. კახიანების წიგნში „მედიცინაში და მის ფარგლებს გარეთ" (1993), ჟურ-ში „ჩვენი ჯანმრთელობა " (2004) და ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კალათბურთი.
მისამართი (სამსახურის) გუდამაყრის 4, ტელ: 61 27 13. (ბინის) ლვოვის 31, თბილისი 0117. ტელ: 37 01 23.
**1.პატიოსანი შრომით საექიმო საქმიანობაში, პედაგოგიურ და სამეცნ. მოღვაწეობაში წარმატებების მიღწევა; 2. ავადმყოფის ნდობის მოპოვება და მკურნალი ექიმის სახელის დამკვიდრება; 3. სტუდენტებს შორის ავტორიტეტის მოპოვება, მაღალი კვალიფიციური ლექციების და პრაქტიკულების ჩატარების ხარჯზე; 4. სამეცნიერო პროდუქციის შექმნა, რომელსაც ექნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა სამედ. მეცნიერებაში; 5. ჭეშმარიტი პატრიოტი მოქალაქის იმიჯის შექმნაზე ზრუნვა; 6. მყარი და საქმიანი ოჯახის შექმნა; შვილების აღზრდა მაღალი მორალური თვისებებით; 7. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება შინ და გარეთ.**

## ვახტანგ გვარამია

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.



დაიბადა ფოთში 1939 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ლიდია შარტავა, ლევან გვარამია; მეუღლე — დალი ცხაკაია (1947); შვილები: ქეთევანი (1971), ლევანი (1974). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1962). იყო ფოთის ნავსადგურის იურისკონსულტი (1962-63); ფოთის შს განყ-ბის გამომძიებელი (1963-66); საქ. შსს უფრ. გამომძიებელი (1966-72); თბილისის შს სამმართველოს საგამოძიებო განყ-ბისა (1972-83) და თბილისის I მაისის შს რ-ნული განყ-ბის უფროსი (1983-87); თბილისის შს სამმართველოსა (1987-89) და საქ. შს საგამოძიებო სამმართველოს (1989-90) უფროსის მოადგილე; გენ. პროკურორის I მოადგილე (1990-94); იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1994-99). მინიჭებული აქვს იუსტიციის სახელმწ. მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდება (1991) და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის ჩინი (2003). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1999-2004); იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავ-რის მოადგილე; ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი; ფრაქცია „ერთიანი საქართველოს" თავ-რის მოადგილე. არის იუსტიციის სახელმწ. მრჩეველი; საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (2003 წლიდან). დაჯილდოებულია 6 მედლით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (1990-2006, 1999-2003), „საქართველო 21-ე საუკუნის დასაწყისი", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნები.
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას 8-10. ბათუმი. (ბინის) ნაფარეულის 14, თბილისი. ტელ: 22 01 93.
**სამშობლოს, ოჯახის სიყვარული, პატიოსნება, ტრადიციისადმი პატივისცემა.**

## გიორგი (გოგი) გვახარია



კინომცოდნე. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 7 მარტს. მშობლები: ივეტა რევაზიშვილი, ნიკოლოზ გვახარია. დაამთავრა თსსა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტი (1979). იყო საქ. ტელევიზიის შტატგარეშე ავტორი (1982-96); თსუ პედაგოგი (1981-2000); საავტორო გადაცემა „ფსიქოს" ავტორი (სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2", 1997-2005); გადაცემა „თავისუფლების თეორემის" ავტორი და წამყვანი (ტ/კ „იმედი", 2006-07). 2008 წლიდან არის ავტორი და წამყვანი გადაცემისა „წითელი ზონა" (საზოგადოებრივი მაუწყებელი). არის თეატრისა და კინოს უნ-ტის დოცენტი, პროფესორი (1989 წლიდან); რადიო „თავისუფლების" კულტურის მიმომხილველი (1995 წლიდან); ავტორი სტატიებისა ჟურნალ-გაზეთებისათვის: „ხელოვნება და კინო", „7 დღე", „დილის გაზეთი"; თანაავტორი წიგნებისა: "Le Cinema Georgien" (1988), „Eizenstein" (Milan, 1990), "Europa. Europa" (Bonn, 1994). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პლასტიკური ხელოვნების ტრადიციები ქართული ფილმების სახვით გადაწყვეტაში" (1987). გაიარა სტაჟირება პარიზის „ადამიანის მეცნიერებათა ინ-ტში"; იყო დ.დიდროს სახ. სტიპენდიანტი (1993-94). არის ობერჰაუზენის, ნიონის კინოფესტივალების ჟიურის, საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის, ლუკინო ვისკონტის საზ-ბის (1993), სერგეი ეიზენშტეინის მსოფლიო ფონდის (1998) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ცურვა. ფიგურული სრიალი. ოპერა. ბალეტი.

მისამართი: (ბინის) უზნაძის 2, ბ. 30. თბილისი. ტელ: 95 04 05.

**არ ვიყო დოგმატური, არ შემეშინდეს ეჭვის საკუთარი აზრების მიმართ, არ შევიქმნა კერპი და ჩემგანაც არავის შევაქმნევინო კერპი. ვებრძოლო სიძულვილს და დავიცვა სიყვარული.**

## ბერდია გველებიანი



თბილისის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე. ჟურნალისტი. სამართალმცოდნე.

დაიბადა ქუთაისში 1969 წ. 28 აპრილს. მშობლები: ელენე გულბიანი, ანზორ გველებიანი. დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკისა და სამართალმცოდნეობის ფაკ-ტები (1995-96). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1987-89). იყო თბილისის „ცენტროლიტის" ქარხნის მუშა (1986-87); გარდაბნის გამგეობის წამყვანი სპეციალისტი (1996-97); თბილისი საკრებულოს ფრაქცია „დედაქალაქის" თავ-რე (2002-03); თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავ-რე (2004-06). 2006 წლიდან არის თბილისის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავ-რე. არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (2002 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ნადირობა. თევზაობა.

მისამართი: (სამსახურის) თავისუფლები მოედანი 2, თბილისი 0117. ტელ: 93 64 44. (ბინის) ტაბიძის I შეს. 6, თბილისი.

## ალექსანდრე გველესიანი



თსსუ ნეირო-ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელი.
ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 21 თებერვალს. მშობლები: თინათინ ნადარაია, ოთარ გველესიანი; მეუღლე — ქეთევან უგულავა (1968); შვილები: თინათინი (1999), ალექსანდრე (2001). დაამთავრა თსუ ხელოვნებათმ-

ცოდნეობის (1978), თსსი სამკურნალო (1979) ფაკ-ტები; ბურდენკოს სახ. ნეირო-ქირურგიის ინ-ტის ორდინატურა, ასპირანტურა (1985). იყო მოსკოვის ნ.ვ.სკლიფასოვსკის სასწრაფო სამედ. დახმარების ინ-ტის ექიმი-ნეიროქირურგი (1986-88); ბურდენკოს სახ. ნეირო-ქირურგიის ინ-ტის ექიმი-ნეიროქირურგი (1988-92); პ.სარაჯიშვილის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ნევროლოგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის ხელმძღვანელი, წამყ. მეცნ. თანამშრომელი (1992-2004). 2004 წლიდან არის თსსუ ნეირო-ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ტრანსლაბირინტული მიდგომა სმენის ნერვის ნევრინომების მკურნალობაში" (1985). არის 21 სამეცნ. ნაშრომის ავტორი. არის მსოფლიო ნეიროქირურგთა ასოც-ის წევრი (2001 წლიდან). გავლილი აქვს კვალიფიკაცია საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ და სხვ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხელოვნება.
მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის 33ა, თბილისი; თსსუ მე-2 კლინიკა, თბილისი 0179. ტელ: 91 23 72, 91 23 04, 899 55 57 25. (ბინის) ყაზბეგის 2ა, ბ. 7, თბილისი. ტელ: 38 90 00. ელ-ფოსტა: aleko_gvelesiani@yahoo.com; www.medacademy.edu.ge

## სულხან გველესიანი



საოპერო მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: ლეილა ბირკაძე, კონსტანტინე გველესიანი; მეუღლე — ნინო ლორთქიფანიძე (1975); შვილები: ელენე (1999), კონსტანტინე (2000), თეკლა (2006). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1993); თსკ ვოკალის ფაკ-ტი (1998). არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი 2002 წლიდან. შესრულებული აქვს პარტიები ოპერებში: „ტრავიატა", „რიგოლეტო", „დონ კარლოსი", „აიდა", „ტრუბადური", „ბალ-მასკარადი", „სოფლის პატიოსნება", „დონ პასკუალე", „მინდია", „დაისი", „აბესალომ და ეთერი". არის ბულ-ბულის საერთაშ. კონკურსის პრიზიორი; 153-ე საოპერო სეზონის წლის საუკეთესო მომღერალი. შესრულებული აქვს ტონიოს პარტია ოპერაში „ჯამბაზები" რიშონლიციონის (ისრაელი) ფესტივალზე და ამონასროს პარტია ოპერაში „აიდა" კაზანის ფ.შალიაპინის სახ. ფესტივალზე (2008).
ჰობი: ფეხბურთი. საოპერო ჩანაწერების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის)რუსთაველის გამზ. 25, თბილისი 0118. ტელ: 20 60 40.
**შრომისმოყვარეობა და დიდი სიყვარული საქმისადმი.**

## გურამ გვერდწითელი



შპს გამომცემლობა „მერანის" დამფუძნებელი და დირექტორი.
მწერალი-კრიტიკოსი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 12 მარტს. მშობლები: სოფიო ბერიძე, ესტატე გვერდწითელი; მეუღლე — ჟუჟუნა რევია (1934); შვილები: ზაზა (1958), რამაზი (მამუკა, 1959). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1953); მოსკოვის მსოფლიო ლიტერატურის ინ-ტი (1957). იყო საქ. კომპარტიის ცკ-ის კულტურის ინსპექტორი (1957-62); საქ. მეცნ. აკად-ის ქართული ლიტერატურის ინ-ტის განყ-ბის ხელმძღვ. (1962-2004), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1964-79); ჟურ. „კრიტიკის" მთ. რედაქტორი (1982-84); გამომცემლობა „მერანის" დირექტორი (1984-2005). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული სახეები" (1961). არის 30 წიგნის ავტორი, მათ შორის, თხზულებათა კრებულისა 4 წიგნად — „მწერლებზე და მწერლობაზე" (1989), „ნაფიქრი-ნაიმედარი" (1991), „თანამედროვენი და თანამედროვეობა" (1994), „ფიქრი და განსჯა" (2002); რჩეულისა 2 წიგნად — „ლიტერატურული ნარკვევები, პრობლემები, პოლემიკა" (2005), „კინოზე და სხვაზეც" (2006). საქ. მწერალთა კავშირის წევრია 1961 წლიდან; იყო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი (1972-2004), პრეზიდიუმის წევრი (1978-2004); კ/ს „ქართული ფილმის" სამხ. საბჭოს წევრი (1968-94); 1990 წელს იყო დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს (პარლამენტის) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ავტოსპორტი.
მისამართი: (ბინის) ყიფშიძის 12, თბილისი. ტელ: 22 09 83.
**ერთგულება და მსახურება ქვეყნის, რწმენის, ენის (კულტურის), ოჯახის, მეგობრების.**

## გიორგი გიგაური



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ინჟინერი-მეტყევე. პროფესორი.

დაიბადა დაბა სტეფანწმინდაში 1924 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: ელისაბედ ხაიკაშვილი, ნიკოლოზ გიგაური; მეუღლე — თინათინ ნებუნიშვილი (1926); შვილები: დავითი (1950), მარინე (1951), ზურაბი (1961). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტი (1948), ასპირანტურა (1950-57). იყო კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანი (1948-50), საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ საქ. საწარმოს მმართველი (1953); საქ. ს/ს ინ-ტის პარტ. კომიტეტის მდივანი (1953-56); საქ. ს/ს ინ-ტის ასისტენტი (1954-57), დოცენტი (1957-78); საქ. სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1970-71); უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1956-70), სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე (1977-80); სამთო მეტყევეობის ინ-ტის დირექტორი (1980-2006). არის საქ. აგრარული უნ-ტის პროფესორი 1978 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა და მათში მეურნეობის პრინციპები“ (1953), სადოქტორო — „საქართველოს მთის ტყეების ზრდის, აღნაგობისა და ფორმირების კანონზომიერებები და მათში მეურნეობის გაძღოლის პრინციპები“ (1973). არის 165 სამეცნ. ნაშრომის, 12 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა“ (1960), „ტყეთმოწყობის პრაქტიკუმი“ (დამხ. სახელმძღვ., 1963), „საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები“ (1980), “Горные леса СССР” (1979), “Сосновые леса Кавказа” (1987), „საქართველოს ნაკრძალები“ (1990), „საქართველოს ტყე“ (ინგლ. ენაზე, 1991), „ბუნება ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში“ (2004), „საქართველოს ხელუხლებელი ტყეები“, „გავუფრთხილდეთ ტყეს — ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს“ (2005). მიღებული აქვს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1974); საქ. სახელმწ. პრემია (1985); სსრკ „საპატიო ნიშნის“, საქ. ღირსების (1996) ორდენები; აშშ-ს ბიოგრაფიის ინ-ტისა და კემბრიჯის უნ-ტის საერთაშ. ღირსების ორდენები (2000). არის მეცნ. აკადემიასთან არსებული მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის თავ-რის მოადგილე; იუნესკოს ხალხთაშორისი ორგანიზაციის — „ადამიანი და ბიოსფერო“ — საქ. ეროვნული კომიტეტის ბიუროს წევრი; საქ. მეტყევეთა საზ-ბის გამგეობის პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია: აშშ-ს ბიოგრაფიის ინ-ტისა და კემბრიჯის უნ-ტის გამოჩენილ პიროვნებათა ცნობარში (1999); ენციკლოპედიებში „საქართველო“, „თბილისი“ (2002); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: მხატვრული, მემუარული და ისტორიული ლიტერატურის კითხვა. ფეხბურთი. ჩოგბურთი. თეატრი.
მისამართი: (სამსახურის) მინდელის 9. თბილისი 0186. ტელ: 31 79 69. (ბინის) ატენის შეს. 11. თბილისი 0179. ტელ: 29 06 42.
**სიმართლე, ერთგულება, კაცთმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე, საქართველოს ბუნების სიყვარული, უმაღლესი განათლების კვალიფიცირებული სპეციალისტების აღზრდა, ადამიანებთან კეთილი და საქმიანი ურთიერთობა.**

## ვაჟა გიგაშვილი



მწერალი. კინოდრამატურგი.

დაიბადა თბილისში 1936 წ 15 ოქტომბერს. მშობლები: ელენე გოგოძე, შალვა გიგაშვილი; მეუღლე — ლია ჯაფარიძე (1936); შვილი — გიორგი (1969). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1961). იყო საპროექტო ინ-ტის „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორი; საქ. სამხ. ფონდის მთ. არქიტექტორი (1970 წლამდე); გაზეთების „მამული“ (1991-94) და „განახლებული ივერია“ (1998-2003) მთ. რედაქტორი. არის კ/ს „ქარ-

თული ფილმის" კინოდრამატურგი (1971 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს პროზაული კრებულები: „ნადირობა ჩონ-ტაშში" (1970), „დღე და ჟამი" (1986), „მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს" (2002). არის ავტორი მხ. ფილმების სცენარებისა: „გაზაფხულის საღამო" (1970), „მწვერვალი" (1973), „იმედის მწვანე კუნძული" (1978), „ნიკა მთაში" (1980), „სურამის ციხე" (1983), „სპირალი" და „ანთიმოზ ივერიელი" (1996); რომანისა — „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი" (2007). მიღებული აქვს „პენ-კლუბის" ჯილდო (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ბიოგრაფიულ ცნობარებში IBC (ბრიტანეთი), „Who's Who " (1998) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. ალპინიზმი.
მისამართი: (ბინის) საირმის ქ. კ.11, ბ. 29. ტელ: 37 07 82; 899 55 72 98.
**თავისუფალი საქმიანობა. აკეთო ის, რისი კეთებაც გიხარია. არ დაამადლო საზოგადოებას შენი გაკეთებული და არ მოითხოვო კომპენსაცია. თუ შენი გაკეთებული ხალხს გამოადგება, შენსას მიიღებ. თუ იმისი კეთება გინდა, რაც შენ გინდა, არ უნდა ელოდო, რომ ის სხვასაც მოუნდება. თუ მოხდება დამთხვევა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია.**

## ია გიგოშვილი



მხატვარი.

დაიბადა მინსკში 1957წ. 28 ნოემბერს. მშობლები: იზა გიგოშვილი, არტურ პროკაპჩუკი; მეუღლე — ოთარ ვეფხვაძე (1953); შვილები: გიორგი (1979), ერეკლე (1983). დაამთავრა თსსა დაზგური გრაფიკის ფაკ-ტი (1980). არის ავტორი ნამუშევრებისა: „სიბრძნე ბალაჰვარისა" (წიგნის გაფორმება, 1980), „ტრადიციების აღორძინება" (1984), „წელიწადის დროები", ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის (ოფორტები, 1983); სერიგრაფია „მთიულური მოტივები" (1986); სერია „ეკლესიასტე" (1992-93); „სოლომონ მეფე", „ქებათა ქება" (1992-94) და სხვა. შექმნა კოსტუმების დიზაინი ფილმისთვის „მაცგი" (1986). გამართული აქვს გამოფენები: თბილისი (1984); City Hall (ჰამბურგი, 1991); Saar Galery „Marline Hanstain Galery" (ზაარბრიუკენი, 1993); European Akademy (ობერპაუზენი, 1993); ); „Dagstul Palace" (ზაარლანდი); „Merwede Hospital" (დორტრეხტი, ჰოლანდია, 1996), Galerie de Dreutenhof "Orvelte" (ჰოლანდია, 1996), Corcoran International Art Institute (ვაშინგტონი, 1996), გალერეა „ორიენტი" (ნ.ფერაძესთან ერთად, 1997), „ქარვასლა" (1998). მისი ნამუშევრები დაცულია: მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდში (მოსკოვი), „ექსპრეს-ავანგარდის" გალერეაში (მოსკოვი), ნოვოსიბირსკის „ხელოვნების მუზეუმში", აშშ კერძო კოლექციაში. მონაწილეობდა კავკასიის რესპუბ. I ბიენალეში (ოქროს მედალი, 1986); მოსკოვის დაზგური გრაფიკის I სართაშ. გამოფენაში (I პრემია, 1987); „ამერიკული გრაფიკის ცენტრში" (მოსკოვი, 1989-97); „Franc Masered Centre"-ში — სიყვარული (ბელგია, 1994, 1996). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1983 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) თელეთის 4, თბილისი 0185. ტელ: 75 11 82.

## გიორგი (შალამბერიძე)



ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი.

დაიბადა მაიაკოვსკის (ახლანდელი ბაღდათის) რ-ნის სოფ. პირველ ფერსათში 1940 წ. 25 თებერვალს. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1959-62). დაამთავრა ლენინგრადის სასულიერო სემინარია-აკადემია I ხარისხის დიპლომით და ღვთისმეტყველების მეცნ. კანდიდატის ხარისხით (1971). იყო სიონის ტაძრის პრესვიტერი (1963-71); ქვაშვეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში ხელდასხმულ იქნა დიაკვნის, შემდგომ მღვდლის ხარისხში (1971); იყო თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახ. ეკლესიის მღვდელი (1971-74); ქუთაისის პეტრე-პავლეს სახ. ეკლესიის მღვდელი (1974-78); მცხეთის სასულიერო სემინარიის

რექტორი; მცხეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე და საქ. საგარეო საქმეთა განყ-ბის თავრის მოადგილე (1978-82). აღიყვანეს პროტოპრესვიტერის ხარისხში და გადაყვანილ იქნა სიონის საკათედრო ტაძარში (1982-88); აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის და შემდგომ მღვდელთმთავრის ხარისხში და დაინიშნა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველად (1988), ჭყონდიდელ ეპისკოპოსად (1988); მიიღო მთავარეპისკოპოსის წოდება (1994), აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (2000); იყო ჭყონდიდიდის მიტროპოლიტი (2000-06). 2006 წლიდან არის ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი. დაჯილდოებულია მკერდის გამშვენებული ჯვრით, მეორე გამშვენებული ჯვრით, მთავარ ელადიმერის III ხარისხისა და წმ. გიორგის II ხარისხის მედლებით. არის ღვთისმეტყველების მეცნიერებათა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

## ნიკა გილაური

საქართველოს პრემიერ-მინისტრი.



დაიბადა თბილისში 1975 წ. 14 თებერვალს. მშობლები: ნინო ფანცხავა, ზურაბ გილაური. დაამთავრა თსუ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკ-ტი; ლიმერიკის (ირლანდია) უნ-ტის ეკონომიკური ფაკ-ტი ფინანსებისა და ეკონომიკის განხრით (1999); ფილადელფიის ტემპლეს უნ-ტი (2000); აქვს ტემპლეს უნ-ტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს-მენეჯმენტში (2000). იყო ფილადელფიის მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრის ენერგოდაზოგვის პროექტების ფინანსური კონსულტანტი (2000); საქ. ტელეკომის ფინანსური კონსულტანტი (2001); ესპანური კონსორციუმის — „იბერდროლას" საქ. ენერგობაზრის მენეჯმენტ-კონტრაქტორი, ფინანსური კონსულტანტი (2002); ირლანდიური კომპანიის (ESBI) საქ. სახელმწ. ელექტროსისტემის მენეჯმენტ-კონტრაქტორი, ფინანსური მაკონტროლებელი (2003-04); საქ. ენერგეტიკის მინისტრი (2004-07); საქ. ფინანსთა მინისტრი (2007). 2009 წლიდან არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

## გიორგი გიორგაძე

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი.
საერთაშორისო დიდოსტატი. იურისტი.



დაიბადა ქუთაისში 1964 წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: ფოთოლა და გელა გიორგაძეები; მეუღლე — მაია გიორგაძე (1965); შვილები: ირაკლი (1987), გელა (1990). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციის სამმართველოს უფროსი (2001-03); თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ (2003-04); ქუთაისის მერის მ/შ (2004-05). 2008 წლიდან არის საქ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი. არის საერთაშ. დიდოსტატი; ღირსების ორდენის კავალერი (2001).
ჰობი: მოგზაურობა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 37ა, თბილისი 0179. ტელ: 98 27 47; ფაქსი: 98 50 73. (ბინის) ვაჟა ფშაველას 35/41, თბილისი. ტელ: 39 24 03. ელ-ფოსტა: giorgadze_g@yahoo.com
**ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. მუდამ უნდა იყო გულწრფელი ურთიერთობებში, როგორც მეგობრებთან და თანამშრომლებთან ისე საკუთარ თავთან. გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს.**

## ირაკლი გიორგობიანი



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ სირაძე, ბიჭია გიორგობიანი. დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1998); თსსუ ასპირანტურა (2000). აქვს სახელმწ. სერტიფიკატები: ზოგადი პროფილის ექიმი (1998), ჯანდაცვის ორგანიზაცია (2002), ზოგადი ჰიგიენა (2003), ნებადართული სპეციალობა ნარკოლოგია (2009); სერტიფიკატები: ჯანდაცვის მენეჯმენტი (ჩეხეთი, 2005), სახელმწ. ფარმაცევტული სისტემის უზრუნველყოფა (ბულგარეთი, 2009). იყო საქ. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპ-ტის მთ. სპეციალისტი (2000-01), მრჩეველი (2001-02); თბილისის მერიის სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამს. უფროსის მოადგილე (2003-04); საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (2004-07). 2007 წლიდან არის საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. არის თსსუ ასოც. პროფესორი — ნარკოლოგია (2009). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შიზოფრენიის პარანოიდული ფორმით დაავადებულთა თავის ტვინის დოფამინერგული სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის დინამიკა ჰალოპერიდოლით მკურნალობის დროს" (2006). არის რამდენიმე სამეცნ. ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია საქ. შსს მედალიონით „განსაკუთრებული დამსახურებისა და გაწეული ღვაწლისათვის"; მიღებული აქვს საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მადლობა (2008). იყო სტუდენტ-მედიკოსთა ასოც-ის პრეზიდენტი (1999-2002).
ჰობი: ნადირობა. თხილამურები.
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას ქ. 30. თბილისი 0160. ტელ: 38 78 40; ფაქსი: 38 15 88. (ბინის) ნავკისის ქ. 14ა. თბილისი 0105. ტელ: 93 68 73.
**პატივს ვცემ როგორც საკუთარ, ისე სხვის ღირსებას, ადამიანში ვაფასებ წიგნიერებას, ინტელექტს და სიყვარულის უნარს. ვერასოდეს ვაპატიებ მეგობარს უმადურობას. იდეალურად მიმაჩნია ადამიანი, რომელიც შრომისმოყვარე, დელიკატური და პრინციპულია. ვარ კონტაქტური, მიზანსწრაფული, არასოდეს ვექცევი სხვისი გავლენის ქვეშ. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, არავის ვახვევ ჩემს აზრებს, თუმცა ყველაფერზე საკუთარი შეხედულება გამაჩნია. მაქვს მოსმენის უნარი და პატივს ვცემ სხვის აზრს. ურთიერთობებში კოლეგიალური ვარ, არ მიყვარს მბრძანებლური ტონი. გაბრაზება ვიცი, მაგრამ არასოდეს ვბრაზდები უმიზეზოდ. ვარ პუნქტუალური, მაღიზიანებს საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. მაწუხებს რწმენადაკარგული ადამიანების ხვედრი. უმწეო მდგომარეობაში მყოფი და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების ბედი.**

## გრიგოლ გობეჯიშვილი



საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 18 სექტემბერს. მშობლები: დალი დარსაველიძე, რამინ გობეჯიშვილი; მეუღლე — ეველინა სულავა (1977); შვილი — გიორგი (2007). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1997); ასპირანტურა (2000); ვილიამსის სახელობის კოლეჯის მაგისტრატურა (2004 ). იყო ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპ-ტის საბიუჯეტო პოლიტიკისა და ანალიზის განყ-ბის სპეციალისტი (1997-99); ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპ-ტის სახელმწ. ბიუჯეტის განყ-ბის კონსულტანტი (1999-2001); ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპ-ტის ნაერთი ბიუჯეტისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყ-ბის უფროსი (2001-03); ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპ-ტის უფროსი (2004); საქ. ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2004-07); საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი (2007-09). 2009 წლიდან არის საქ. ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე. არის ავტორი პუბლიკაციებისა: „საბიუჯეტო პოლიტიკის გარდამავალი პერიოდი" (ჟურ. „ეკონომიკის მიმოხილვა",1993), „ფისკალური პოლიტიკა გარდამავალ ეტაპზე" (სამეცნ. ჟურ. „ეკონომიკა" 2000).
ჰობი: რაგბი, მძლეოსნობა, ფეხბურთი .
მისამართი: (სამსახურის) ჭანტურიას 12, თბილისი 0108. ტელ: 991144, ფაქსი: 920220.
ელ-ფოსტა: g.gobejishvili@economy.ge

უპირველეს ყოვლისა ადამიანს უნდა ქონდეს ღვთის რწმენა, რომელიც ყოველთვის მისცემს ძალას და სტიმულს, რომ გადალახოს ცხოვრების ნებისმიერი სირთულე, შემდეგ მიზანი, რომელისკენაც მუდმივად უნდა ისწრაფოდეს და ამავე დროს იყოს შრომისმოყვარე და სამართლიანი.

## დავით გობეჯიშვილი



ოლიმპიური ჩემპიონი. მოჭიდავე. ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დაიბადა ონის რ-ნის სოფ. ხურუთში 1963 წ. 3 იანვარს. მშობლები: ლალანა და ნიკოლოზ გობეჯიშვილები; მეუღლე — ირმა უძირია (1967); შვილები: სოფიო (1987), მარიამი (1992). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1991). არის სსრკ ჩემპიონი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ორგზის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, სამგზის კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, პრიზიორი. იყო თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორი (1994-2000); ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი (2001-04); სპორტის დეპ-ტის თავ-რის მოადგილე (2007-08); სპორტული კლუბის — „დინამოს" დირექტორი (2008); სპორტის დეპ-ტის თავ-რის მოადგილე (2008-09). არის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. გადაღებულია ფილმში „ჭიდაობას რა უნდა" (მთ. როლი, 1991-95). არის სპორტის დამს. ოსტატი; დიდებისა და ღირსების და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის (2002) ორდენების კავალერი.
მისამართი: (სამსახურის) საქ. ოლიმპიური კომიტეტი, დოლიძის 2, თბილისი. ტელ: 36 57 22, 36 57 20.

## ჯონი გოგაბერიშვილი



მოქანდაკე.

დაიბადა 1953 წ. 15 აპრილს ვანის რ-ნის სოფ. ზედაგორაში. მშობლები: ნინა ბალდავაძე, ლევან გოგაბერიშვილი; მეუღლე – ნინო თვალაძე (1958); შვილი – ნანა (1984). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1976). იყო საქ. მხატ. კავშირის ქანდაკების სექციის თავ-რის მოადგილე (2007 წლამდე). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ბორბალი" (1985), „მარადისობა" (ავსტრალია, 1988); „ვედრება" (გერმანია, 1996); „წმინდა გიორგი" (საფრანგეთი, 2000) და სხვა. მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სიმპოზიუმებსა და გამოფენებში: იაპონია (1968), უზბეკეთი ("Grand Priz", 1984), სომხეთი (1986), ავსტრალია (1988), საქართველო (III პრემია, 1990), რუსთავი (1991), გერმანია (1992), თბილისი (1998), საქ. კულტურის დღეები საფრანგეთში (1999), ესპანეთი და სომხეთი (2001), ესპანეთი და აშშ (2002), ესპანეთი (2 სიმპოზიუმი, 2003), სლოვაკეთი და ესპანეთი (2004), ესპანეთი, თურქეთი, კორეა (2005), სამხრეთ კორეა, თურქეთი, კვიპროსი (2006), სამხრეთ კორეა (2-ჯერ), ავსტრალია (2007), სამხრეთ კორეა (2-ჯერ), თურქეთი (2-ჯერ), ემირატები (2008), სამხრეთ კორეა, აშშ (2009). ჰქონდა პერსონალური გამოფენები: ვარშავაში (1989), ჰინსბეკში (1993), ჰელსინკში (1990). მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის სახელმწ. გალერეაში, ვარშავის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში და ფინეთის Gallery "Russ"-ში; საქართველოს, ინგლისის, ფინეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის, აშშ, კორეის, იაპონიის, ავსტრალიის, პოლონეთის, ნიდერლანდებისა და რუსეთის კერძო კოლექციებში. დაჯილდოებულია პრემიით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1986), ტაშკენტის საერთაშ. სიმპოზიუმის I პრემიით (1986), მცირე ქანდაკებების საერთაშ. გამოფენის I პრემიით (ესპანეთი, 2003), გალ. „უნივერსის" პრემიით (თბილისი, 2006). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1981). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხალხური სიმღერა.
მისამართი: (ბინის) ჭაეჭავაძის 42, ბ.8ა,. თბილისი 0162. ტელ:/ ფაქსი: (+995 32) 29 13 98.
შემოქმედება.

## მამუკა გოგატიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა ჭიათურაში 1972 წ. 3 იანვარს. მშობლები: მედეა ასანიძე, ოთარ გოგატიშვილი; მეუღლე — ნანა კუპატაძე (1973); შვილები: მალხაზი (1998), ცოტნე (2003), ანი (2009). დაამთავრა თსუ ეკონომიკის (1994), კემბრიჯის ინტერნაციონალური კოლეჯის მარკეტინგის დაუსწრებელი (2006) ფაკ-ტები. იყო ს/გ „ჭიათურმანგანუმის" მუშა (1989-90); ჭიათურის სასწავლო-სამეცნ. ცენტრის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინ-ტის პედაგოგი (1994-96); ჭიათურის მერის მრჩეველი, მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი (1995-99), ჭიათურის რ-ნის გამგებლის I მოადგილე (1999-2000); ჭიათურის საგადასახადო ინსპექციის უფროსი (2000-04); ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ჭიათურის განყ-ბის უფროსი (2004); ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრია 2005 წლიდან. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი ; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების წევრი.
ჰობი: წიგნის კითხვა. მანქანის პატარა მოდელების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 40. (ბინის) იაშვილის 4, ჭიათურა. ტელ: 8 (279) 52222, 899 77 51 15, 877 77 51 15.
**სიკეთის კეთება. ვცდილობ დავეხმარო ყველა იმ ადამიანს ვისაც ჩემი იმედი აქვს და მე ეს შემიძლია. ჩემი ლოზუნგია: მოვექცე ყველას ისე, როგორც მე მსურს, რომ მომექცნენ.**

## მიხეილ გოგიშვილი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დაიბადა მცხეთის რ-ნის სოფ. მისაქციელში 1966 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: თამარ მოძმანაშვილი, ვალერიან გოგიშვილი; მეუღლე — ნინო სანაძე (1967); შვილები: ქეთევანი (1997), ანანო (2008). დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობათა ფაკ-ტი (1992). იყო საქ. პარლამენტის იურიდიული განყ-ბის მთ. სპეციალისტი (1992-96). მუშაობდა საქ. სახელმწ. კანცელარიაში საქ. პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობათა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურში (1996-99). საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 0110.

## აკაკი გოგიჩაიშვილი



სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემის — „ბიზნესკურიერი" წამყვანი და მთავარი რედაქტორი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 26 ივლისს. მშობლები: ნანა და ამირან გოგიჩაიშვილები; მეუღლე — ნინო ხაჟომია (1977); შვილი — საბა (2003). დაამთავრა თსუ გეოლოგიის ფაკ-ტი (1991), ასპირანტურა (1993); კოლორადოს (აშშ, 1996), დიუკის (აშშ, 1998), სტენფორდის (აშშ, 2005) უნ-ტების ჟურნალისტიკის ფაკ-ტი. იყო ახალი ამბების სააგენტოს რედაქტორი (1992-93); გაზ. „რეზონანსის" კვლევითი რეპორტიორი (1993-95); ეროვნული უსაფრთხოების ახალი ამბების სერვისის რეპორტიორი (1996-97); სტუდია „აუდიენციის" თანამშრომელი (1997-98); ავტორი და პროდიუსერი გადაცემისა „60 წუთი" (ტ/კ „რუსთავი 2",1998-99);

თსუ მიწვეული ლექტორი — „Basics of Investigative Journalism and Case Study In Investigative Journalizm" (2000-04); ჟურნალისტური სკოლის დირექტორი (2000-04); გადაცემის — „ბიზნესკურიერი" რედაქტორი და წამყვანი (2004-06). არის ავტორი სახელმძღვანელოსი „საგამოძიებო ჟურნალისტიკის საფუძვლები" (გამოიცა ამერიკის საბჭოების მხარდაჭერით). არის მასკისა (აშშ, მთავრობა) და სტენფორდის უნ-ტის სტიპენდიანტი; დაჯილდოებულია სიგელებითა და დიპლომებით საქ-ში საგამოძიებო და ბიზნეს-ჟურნალისტიკის განვითარებისათვის. არის აშშ გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოც-ის; საერთაშ. სატელევიზიო აკადემიის საბჭოსა და ევროპის სამაუწყებლო სტანდარტების კომისიის საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. მთის ტურიზმი.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 45. თბილისი 0177. ტელ: 20 11 11. (ბინის) ატენის 1. თბილისი. ტელ: 22 06 38. ელ-ფოსტა: akaki@rustavi2.com
**პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა და პრინციპების ერთგულება, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, სასარგებლო საქმის სამსახური.**

## გიორგი გოგიჩაიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ინჟინერ-ელექტრიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ბათუმში 1941 წ. 20 იანვარს. მშობლები: ვერა კოტია, გიორგი გოგიჩაიშვილი; მეუღლე — ზინაიდა მაღლაკელიძე (1949); შვილები: ირაკლი (1974), გია (1975-2004), ლევანი (1981). დაამთავრა სპი ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1963). იყო სპი ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1963-1971); მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრის ასისტენტი, პროფესორი, (1971-2007); კათედრის გამგე (1981-2007). 2007 წლიდან არის სტუ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკ-ტის ორგანიზაციული მართვის დეპ-ტის უფროსი; სრული პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გადაწყვეტილებების მიღების სემიოტიკური სისტემა" (მოსკოვი, 1983). არის 100-მდე სამეცნ. ნაშრომის, 6 მონოგრაფიის, 10 სახელმძღვანელოს ავტორი. მათ შორის: წიგნი „მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება" (2001), „შესავალი ხელოვნური ინტელექტის სისტემებში" (2008), „სისტემების ობიექტზე ორიენტირებული ანალიზი და დაპროექტება" (2009); მონოგრაფიისა: „Автоматизация принятия решений в системах управления" (მეცნიერება, 1985). დაჯილდოებულია ღირსების მედლითა (1999) და ღირსების ორდენით (2001).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) სტუ, კოსტავას 77. თბილისი. (ბინის) ვაჟა-ფშაველას I შეს. 3, ბ. 96. თბილისი. ტელ: 39 64 50; 899 70 92 22.
**ინჟინერია, შენება, კონსტრუირება. ცხოვრების პრინციპი კი — სამართლიანობა ნებისმიერ საკითხში, საქმე იქნება ეს თუ ადამიანებთან ურთიერთობა.**

## დავით გოგიჩაიშვილი



ტელეპროგრამების — „ღამის შოუ" და „შუა ქალაქში" გენერალური მენეჯერი.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: ლალი აფხაზავა, თამაზ გოგიჩაიშვილი; მეუღლე — ეკა ასათიანი (1978); შვილი — ნიკოლოზი (2007). დაამთავრა თსუ ფინანსები და საბანკო საქმე (ბაკალავრი,1997); თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (ბაკალავრი, 2001); ოჰაიოს უნ-ტი (მედია მენეჯმენტის დეპ-ტი — მაგისტრის ხარისხი, 2003). იყო სატელიტური კომუნიკაციების ონლაინ ჟურნალის მმართველი საბჭოს წევრი (2002); ვაშინგტონის ჟურნალისტიკის საერთაშ. ცენტრის კავკასიის მედია მენეჯმენტის პროგრამის ასისტენტი (2002); სამაუწყებლო კომპანია „NBC"-ის ნიუ-იორკის სათაო ოფისის პროექტის — „ამერიკული გვიანი საღამოს იუმორისტული ტელე-ფორმატების საქართველოს ტელე-ბაზარზე ადაპტირება" ავტორი (2003); სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის ტელეპროექტების

— „ღამის შოუ", „ცოცხალი შოუ", „კანდიდატი" მენეჯერი (2003-06); კავკასიის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის (I სკოლასთან არსებული) მედია მენეჯმენტის ლექტორი (2004-07). 2007 წლიდან არის თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტის მედია მენეჯმენტის ლექტორი; 2009 წლიდან — სტუდია „ღამის შოუს" გენ. მენეჯერი. არის „1997 წლის სტუდენტური დღეების" გამარჯვებული (ნომინაცია – წლის საუკეთესო პოლიტიკური სატირა); „საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების" მიერ ორგანიზებული ედმუნდ მასკის სახ. 2002 წლის სტიპენდიანტი. 2009 წლიდან არის როტერდამის ერასმუს უნ-ტის მენეჯმენტის სკოლის Executive MBA Program-ის მონაწილე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი : მუსიკა. ლიტერატურა. სპორტი.

## გიორგი გოგნიაშვილი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი. ფიზიკოსი. ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 6 აპრილს. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1987) და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლა (1993). იყო ედპ-ს პრეზიდიუმის წევრი (1989), თბილისის ბიუროს თავ-რე (1988-96); საქ. პარლამენტის წევრი (1995-99), საპროცედურო საკითხთა კომიტეტისა და კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავ-რის მოადგილე (1995-99). ედპ-ს წევრია 1988 წლიდან. 2005 წლიდან არის ედპ-ს პოლიტიკური მდივანი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".
ჰობი: წიგნის კითხვა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 21, თბილისი 0118. ტელ: 93 12 44, 48 44 08;
ელ-ფოსტა: ggogniashvili@yahoo.com
რწმენა და სიყვარული.

## ნანა გოგოლაშვილი

მთარგმნელი. გერმანისტი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1938 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ქეთევან მაისურაძე, გიორგი გოგოლაშვილი; შვილები: ეკატერინე (1972), მარიამი (1972). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1961). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია (1970), სადოქტორო (2006). გერმანული ენიდან ნათარგმნი აქვს რომანები: ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი, „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია" (1981); ჰერმან ჰესე, „ტრამალის მგელი" (1985, 2001, 2008), „დამსვენებელი"(1985) და „ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერა" (1987); ნოვალისი, „ჰაინრიხ ფონ ოპტერდიგენი" (1989); ჰაინც კიუპერი, „რძე და თაფლი" (1984); გიუნთერ გრასი, „დედალი ვირთაგვა" (1997); თომას მანი, „იოსები და ძმანი მისნი" (I ტ., ირაკლი სურგულაძესთან ერთად). მოთხრობები: ფრიდრიხ დიურენმატი, „ბერძენი ეძებს ბერძენს" (1978); იურეკ ბეკერი, „ბოლო სადგური„ (1979); კლაუს შლეზინგერი, „ცხრა წლისა ვარ" (1979); ვალტერ მათიას დიგელმანი, „თვითმკვლელობა" (1979); იანკო ფერკი, „ადამიანის სიკვდილი" (2002); მარიანე გრუბერი, „მედეა" (2003); ჰერბერტ აიზენრაიხი, „შებღალული სახელის სიკეთე" (2003); ჰაიმიტო ფონ დოდერერი, „წამება ნატის ქისებისა" (2003); ჰელმუთ ნიდერლე, „მოთხრობები" (2007); გიუნთერ გრასის ნოველა — „კიბორჩხალას ნაბიჯით" (2008). ესეები: ვალტერ იენსი, „მორალისტის პორტრეტი — ალბერტ აინშტაინი" (1979); თეოდორ ვ.ადორნო, „მთხრობელის პოზიცია თანამედროვე რომანში" (1979); თომას მანი, „იოსები და ძმანი მისნი" (1992) და „გერმანია და გერმანელები" (1998). რაინერ მარია რილკე, „წერილები" (2002); გიუნთერ გრასი, ნობელიანტის მოხსენება „გაგრძელება იქნება" (2002). გერმანულად თარგმნილი და გერმანიაში გამოქვეყნებული აქვს ქართველი მწერლების ნაწარმოებები. არის ავტორი კრიტიკული წერილებისა ქართული ენისა და თარგმანის პრობლემურ საკითხებზე; გერმანიაში პერიოდულად იბეჭდება

მისი წერილები ენის საკითხებზე; მთარგმნელობით სფეროში გაწეული საქმიანობისათვის მინიჭებული აქვს ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიტერატურული პრემია (2003). არის გოეთეს საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია გერმანიის გამომცემლობა "Suhrkamp"-ის მიერ გამოცემულ ანთოლოგიაში (მაინის ფრანკფურტი, 2000), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, ფერწერა.
მისამართი: (ბინის) ანჯაფარიძის ქ. 3დ, ბ. 30, თბილისი 0144. ტელ: 74 65 10; 899 43 51 56.
**„სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს; ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს" (I კორინთელთა, 4-7).**

## როპერტ გოგოლაშვილი



დირიჟორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა ტყიბულის რ-ნის სოფ. კურსებში 1939 წ. 30 ივლისს. მშობლები: თინათინ და ალექსანდრე გოგოლაშვილები; მეუღლე — თინა გოგოლაშვილი (1941); შვილები: ნათია (1969), დათო (1975). დაამთავრა თსკ საშემსრულებლო ფაკ-ტი (1969). იყო ანსამბლ „ქართული ხმების" სამხ. ხელმძღვანელი (1991-2007). არის ქართული ფოლკლორის სახელმწ. ანსამბლ „თბილისის" (1998 წლიდან) და საჩხერის ანსამბლის „სავანე" ხელმძღვანელი. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1981); სახელმწ. პრემიის ლაურეატი („ქართულ ხმებთან" ერთად, 1998); ღირსების ორდენის კავალერი (1999); მიღებული აქვს რაეოს პრიზი „2005 წლის ადამიანი". არის საჩხერის საპატიო მოქალაქე (2005). მისი ბიოგრაფია შესულია „თბილისის ენციკლოპედიაში" და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი. ხალხური სიმღერა.
მისამართი: (ბინის) ბახტრიონის 24, ბ. 67, თბილისი. ტელ: 36 07 94.
**ჩემთვის მთავარია საქმე ვაკეთო არა ყვირილით, არამედ წყნარად და წესიერად. არ გავაკეთო ცუდი, ვაკეთო მხოლოდ კარგი.**

## ხათუნა გოგორიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე. ბიოლოგი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 4 სექტემბერს. მშობლები: დალი გოგიძე, შოველ გოგორიშვილი. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის (1987) და იურიდიული (2001) ფაკ-ტები. იყო განათლების სამინისტროს სპეციალიზირებული საციგურაო სპორტსკოლის ლაბორანტი (1981-82); სოფ. კიკეთის საშ. სკოლის პედაგოგი (1987-90); თბილისის 25-ე გიმნაზიის პედაგოგი (1990-94); საქ. მწვანეთა მოძრაობის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1991-93); საქ. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წამყვანი სპეციალისტი (1993-95); საქ. პარლამენტის აპარატის უფროსი (1995-2003); პ/გ „გაერთიენებული დემოკრატების" საკადრო რესურსების სამსახ. უფროსი (2003-04). არის საქ. მე-6 და მე-7 მოწვევის პარლამენტის (2004, 2008) და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავ-რე — 2004 წლიდან. იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის (1995-2002), საქ. მწვანეთა მოძრაობის (1990-95), სმკ-ს (1995-2001), პ/გ „გაერთიანებული დემოკრატების" (2001-04) წევრი. არის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); საერთაშ. ცნობარში "Europian Parliaments" (1999, 2000, 2001, 2002).
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8. თბილისი 0118. ტელ: 28 16 44. ფაქსი: 92 24 09.
ელ-ფოსტა: khatunag@parliament.ge

## გია გოგუაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.



დაიბადა ლანჩხუთში 1967 წ. 29 იანვარს. მშობლები: ნანული ფირცხალაიშვილი, ნოდარ გოგუაძე; მეუღლე — ხათუნა ჯმუხაძე (1967); შვილი— ელენე (2006). დაამთავრა სტუ მექანიკა- მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1994). იყო ს/ს კონცერნ „საქგეირაბმშენის" ფილიალი „როტორი"-ის N3 კვანძის სუფსის ტერმინალის ოსტატი (1997-2000); შპს „დ.ტ.ს."ალმას. დირექტორი (2000-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" წევრი; აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 08. (ბინის) მცხეთის ქ. 17.
**დაუზოგავი შრომა.**

## გიორგი გოგუაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1973 წ. 20 მარტს. მშობლები: ნანული ჩხაიძე, ვახტანგ გოგუაძე; მეუღლე — ნატალია გურგენიძე (1970); შვილები: ნანა (1997), ვახტანგი (1999). დაამთავრა თსუ (1995); სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნ-ტის საერთაშ. ეკონომიკური ურთიერთობების ფაკ-ტზე (1993-94). იყო აგროსამ-რეწველო ორგ. „სამგორის" მარკეტინგის განყ-ბის უფროსი (1992); „საქართველოს ექსპორტ-იმპორტი" ბანკის პრეზიდენტის თანაშემწე (1994); სს „გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს დილინგის განყ-ბის უფროსი, ბანკის №14 ფილიალის მმართველის მოადგილე (1995-96); საქ. პარლამენტის საფინანსო-საბიუ-ჯეტო კომიტეტის უფრ. სპეციალისტი (1996-99); სს „ინდუსტრიაბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რის მოადგილე (1996-99); სს „აგრომრეწვბანკის" დირექტორი (2000-02); სს „საქართველოს სახალხო ბანკის" დირექტორი (2002-03); სს „საქართველოს სახალხო ბანკის" გენ. დირექტორი (2003-08). 2008 წლი-დან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების წევრი; საქ. უნ-ტის სამეურ-ვეო საბჭოს წევრი; დასახელებულია დსთ-ს მასშტაბით საბანკო სფეროში (2006, 2008) და „ოქროს პერგა-მენტი — 2007"-ის მიერ წლის საუკეთესო მენეჯერად; 2007 წლის საუკეთესო გენ. დირექტორად; „Geor-gian Times"-ის მიერ ჩატარებულ XI ბიზნეს რეიტინგში წლის საუკეთესო ბიზნესმენად. მისი ინიციატივით „სახალხო ბანკმა" დააარსა საქველმოქმედო „სახალხო ფონდი"; დაჯილდოებულია საქართველოს პირვე-ლი ლედის მიერ დაწესებული სპეც. დიპლომით ჯანდაცვის სფეროში შეტანილი წვლილისათვის. არის საქ. ბიზნესმენთა ფედერაციის წევრი (2005 წლიდან); სამბოს ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2007); სამ-თო-სათხილამურო ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი (2007 წლიდან);
ჰობი: სპორტი. ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 30.
**ყოველთვის ხალხის სამსახურში.**

## გიორგი გოდაბრელიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი. ინჟინერი.



დაიბადა თბილისში 1970 წ. 14 მარტს. მშობლები: გულნარა გოგია; ივანე გოდაბრელიძე; მეუღლე — თათია ტუსიაშვილი (1971); შვილი— ნიცა (2002). დაამთავრა სტუ (1993), თსუ ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ფაკ-ტი (1994). იყო საქ. ტელე-რადიო დეპ-ტის საინფორმაციო პროგრამის წამყვანი (1992-93); სააქციო კომერციული „თბილუნივერსალბანკის“ მმართველის მოადგილე (1994-95); მთაწმინდის რ-ნის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწ. დეპ-ტის მთ. რწმუნებული (1997-2000); თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს უფროსი (2000-03); თბილისის საკრებულოს წევრი (2002-03); საქ. ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2003-04); საქ. ფინანსთა სამინისტროს სახელმწ. საქვეუწყებო დაწესებულებისსაბაჟო დეპ-ტის თავ-რე (2004-05); საქ. ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2005-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი.
ჰობი: ფეხბურთი. ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი 0118. ტელ: 28 11 52. (ბინის) მცხეთის ქ. 7, თბილისი.
**დემოკრატია და ადამიანის უფლებები.**

## თამაზ გოდერძიშვილი

მწერალი. დრამატურგი. მთარგმნელი.



დაიბადა თბილისში 1934 წ. 10 ივლისს. მშობლები: ევა ბროლიძე, გრიგოლ გოდერძიშვილი. დაამთავრა სპი გეოლოგიური ფაკ-ტი (1957). იყო საქტელერადიო კომიტეტის სატელევიზიო დადგმების მთ. რედაქციის რედაქტორი, უფრ. რედაქტორი, მთ. რედაქტორის მოადგილე, მთ. რედაქტორი; სატელევიზიო თეატრის რედაქტორი (1968-2000). არის ავტორი პროზაული ნაწარმოებებისა: „ხუთი წითელი მიხაკი“ (1966), „გიგას თავგადასავალი“ (1970), „თეთრი კუნძული“ (1971), „ხელში გამომწყვდეულ ბეღურასავით“ (1973), „Как пойманная птица“ (1978) „Гномики в табачном дыму“ (1985); პიესებისა: „ილია ვარ“ (1987, 1989), „რკინის კარს უკან“ (1987,1988), ამავე პიესის ავტორისეული თარგმანი — „Наследство“; „არ შეგირიგდები“ (1982), „ვირის ჩრდილი“ (1983,1997), „მინისქვეშა სასახლეები“ (1961, 1982); ინსცენირებებისა: მ.ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“ (1994,1998); „Обвал“ (1983), მ.კვესელავა, „ასერგასის დღე“ (1983); ნ.ლორთქიფანიძე, „სოფლის აშიკი“ (1979); ა.გრებნევი, „წარმატება“ (1992); ა.ფლავიანო, „ჯალათი“ ანუ „გაროტა“ (1985, 1986); მ.ჯავახიშვილი, „ბედის მდევარი“ ანუ „ლამბალო და ყაშა“ (1989); ფ.დოსტოევსკი, „მარადი ქმარი“ (1997); პერ ლაგერკვისტი, „ბარაბა“ (1999); ი.ჭავჭავაძე, „კაცია – ადამიანი?!“ (2000); მ.ბულგაკოვი, „პილატე“ (2003). სხვადასხვა თეატრების სცენაზე დაიდგა მის მიერ გადმოქართულებული ი.ჟურავლიოვის, ა.ხოგოგორტიანის, ა.მალიაგინის, მ.ზადორნოვის, იასმინა რეზას, ლ.რაზუმოვსკაიას ნაწარმოებები. არის ავტორი თარგმანებისა: პრისტლის „სახიფათო მოსახვევი“, ჟან ანუის „სარდაფი“, პ.შეფერის „ამადეუსი“, მანლიო სანტანელის „დედა დედოფალი“, ალან გარნეის „სასიყვარულო ბარათები“ და სხვა. არის სატელევიზიო სპექტაკლებისა ინსცენირების ავტორი: ო.უაილდი, „ლედი უინდერმირის მარაო“; ვ. სპივაკი, „ეს არ უნდა მომხდარიყო“; კ.დოილი, „მოცეკვავე კაცუნები“; ა.ბორხესი, „ტურდერში მომხდარი ამბავი“ და სხვა; ავტორი რადიოპიესების: „გიგას თავგადასავალი“, „მინისქვეშა სახლები“, „ზამთრის ზღაპარი“, „ხელში მომწყვდეული ბეღურასავით“. არის ღირსების ორდენის კავალერი (1999); მწერალთა (1974 წლიდან) და ჟურნალისტთა (1974 წლიდან) კავშირებისა და თეატრალური საზოგადოების (1975 წლიდან) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: მუსიკა — ბაღდადურიდან გერშვინამდე. სხვისი, თუნდაც უცნობის, ნიჭისა და წარმატების ძებნა და უპირობო, ხმამაღლა აღიარება.
მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 78ბ, ბ.85, თბილისი 0179. ტელ: 22 15 88.
**მგონი, ჩემი კრედო თქვენს თვალწინაა, იმ ექვსი წიგნისა და ორმოცდაათზე მეტი ნაწარმოების სა-**

ხით, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო თეატრებსა და რადიო-ტელევიზიაში დაიდგა გამოჩენილი და ნაკლებ ცნობილი რეჟისორების მიერ. ყველა ჩუმად და, შეძლებისდაგვარად, პატიოსნად რომ ემსახურებოდეს თავის საქმეს (ნიჭიც თუ ხელს უწყობს, მით უმეტეს), ვინ იცის, რა სიმშვიდე იდგებოდა ჩვენს სამშობლოში და შრომის რა სუფევა მოვიდოდა. რეჟისორი და მსახიობი არა ვარ და პრემიერის შემდეგ სცენაზე თავდასაკვრელად გამოსვლა მიჭირს, სიხარულს არ მანიჭებს. თითქოს ტაშს იმიტომ გიკრავენ, დილით ხელს რომ იბან. მაგრამ ისიც კარგად მომეხსენება — მავანს ამის მეოთხედი რომ გაეკეთებინა და თანაც სტურუა-ჩხეიძეს დაედგა...

## მაყვალა გონაშვილი



საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. პოეტი.

დაიბადა დედოფლისწყაროს რ-ნში 1959 წ. 1 მარტს. მშობლები: იზოლდა ორმოცაძე, კარლო გონაშვილი; მეუღლე — მერაბ კეზუა (1959); შვილები: მარეხი (1992), ივანე (1996). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1981). იყო სახელმწიფო ტელევიზიის საბავშვო რედაქციის რედაქტორი (1977); ასოციაცია „გულანის" პრეზიდენტი (1989); გაზეთ "Hallo baby"-ს დამაარსებელი და რედაქტორი (1995); მწერალთა კავშირის მდივანი (2004); 2004 წლიდან არის საქ. მწერალთა კავშირის თავ-რე. გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები: „ყაყაჩოების კოცონი" (1981); „მზის ცრემლი" (1985); „ძახილი" (1990); „სახეები და სახელები" (1996); „სალოცავო ჩემო, საფიცარო ჩემო" (1997); „გუმბათებიდან მზის მადლი ჟონავს" (2004); „მართალს ვიტყვი" (2005); „აქედანა და თქვენამდე" (2009). 2009 წლიდან არის ჟურ. „გრაალის" რედაქტორი; საქ. მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი (1998 წლიდან); არის გ.ტაბიძის (2005), ა.კალანდაძის (2008), ი.ჭავჭავაძის (2009) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნაჩუქარი ხელნაწერების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) მაჩაბლის ქ. 13, თბილისი. ტელ: 92 10 37. (ბინის) ასათიანის ქ. 14. თბილისი. ტელ: 92 03 68.
**„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა"(ვაჟა-ფშაველა).**

## მარლენ გორდეზიანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბიოქიმიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 29 ივლისს. მშობლები: ნინო ედიშერაშვილი, შალვა გორდეზიანი; მეუღლე — ლიანა დარჩია (1942); შვილები: ანა (1963), შალვა (1967). დაამთავრა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ს/კ ინ-ტის ზოოტექნიკური ფაკ-ტი. იყო ცხოველთა ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზიკის განყ-ბის უფრ. ლაბორანტი (1962-65); მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის უმც. მეცნ. (1965-69) და უფრ. მეცნ. (1969-79) თანამშრომელი. არის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი და ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1979 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გლუკოზისა და გლუტამინმჟავის ჟანგვითი გარდაქმნების ურთიერთკავშირი ვაზში" (1975); სადოქტორო — „მცენარეული მონოოქსიგენეზები და მათი როლი ქსენობიოტიკთა დეტოქსიკაციაში" (1992). თანაავტორია მონოგრაფიებისა: „ნიშანდებული ატომები და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში" (1965), „აკუსტიკური რხევები და სოფლის მეურნეობა" (1966), „სინათლე, სითბო, ნიადაგი, მცენარე" (1968), „ბიოფიზიკური ქიმია და სოფლის მეურნეობა" (1971), „ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები" (2000), „ბიოენერგეტიკა და ჟანგვითი პროცესების რეგულაცია" (2004), „მემბრანული ქსენობიოქიმია" (2005), „ბიოლოგიური ჟანგვა და ქემიოსმოსი" (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: დეტექტიური ჟანრისა და ისტორიული მემუარული ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ. თბილისი 0159. ტელ: 52 82 79. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ. IV კორ. ბ. 61. თბილისი. ტელ: 30 54 44.
**პროფესიონალიზმი, კოლეგიალობა, საქმის ერთგულება, მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ, ტრადიციულობა, სიტუაციის რეალური აღქმა, ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა, სიახლისადმი სწრაფვა.**

## რისმაგ გორდეზიანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი. ფილოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 9 ივნისს. მშობლები: ნანა სილოგავა, ბენო გორდეზიანი; მეუღლე — ლია ჯინორია (1941); შვილი — ლევანი (1962). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963), კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტურა (1963-66). იყო თსუ ასისტენტი (1967-68), დოცენტი (1968-76), პროფესორი (1976 წლიდან), პრორექტორი (1993-97), კათედრის გამგე (1989 -2006). ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინ-ტის დირექტორია — 1997 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ილიადის" ხომალდთა კატალოგი" — ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი" (1966), სადოქტორო —„ჰომეროსის ეპოსის ფორმირებისა და ერთიანობის პრობლემა" (1974). არის 150-მდე სამეცნ. ნაშრომის, მონოგრაფიებისა და 23 წიგნის ავტორი, მათ შორის: „Проблемы гомеровского эпоса; ბერძნული ცივილიზაცია, ტ. I-II; „Kriterien der Schriftlichkeit und Mündlichkeit im homerischen Epos"; „ბერძნული ლიტერატურა I ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა"; „მედიტერანულ-ქართველური მიმართებები", ტ. I-III. არის თსუ პირველი სამეცნიერო, საქართველოს და საკავშირო კომკავშირის პრემიების ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში; ღირსებისა (2003) და საბერძნეთის რესპუბლიკის ღირსების (2008) ორდენების კავალერი; საბერძნეთის არქეოლოგიური საზ-ბის საპატიო და საბერძნეთის მწერალთა კავშირის (2007) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).

ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 13, თბილისი 0162. ტელ/ფაქსი: 22 11 81. (ბინის) ყაზბეგის 29ა, ბ.72. თბილისი. ტელ: 39 08 68. ელ-ფოსტა: greekstudies@caucasus.net

**სწავლა სიკვდილამდე; გულში ბოლმის არჩადება. ჯობს აპატიო, ვიდრე შური იძიო; მზადყოფნა დაეხმარო სხვას და გაუკეთო სიკეთე; სწრაფვა წარმოადგინო შენი სამშობლო რაც შეიძლება ღირსეულად. ლტოლვა დასახული მიზნის აღსრულებისაკენ!**

## თემო გოცაძე



საქართველოს სახალხო მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 25 მარტს. მშობლები: ლუბა გეგია, გიორგი გოცაძე; მეუღლე – მარი ჯანაშია; შვილები: ბექა (1965), ბექა ჯანაშია (1969), თემიკო (1979). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტის ფერწერის განყ-ბა (1964). იყო თბილისის პიონერთა სასახლის ახალგაზრდული თეატრის მხატვარი (1964-66); მხატვრული აღზრდის სახლის სახვითი ხელოვნების განყ-ბის გამგე (1966-68); საქ. ტელევიზიის დამდგმელი მხატვარი (1968-71) და მთ. მხატვარი (1971-83); მხატვრის ცენტრალური სახლის დირექტორი (1983-88); საქ. მხატვართა კავშირის მდივანი (1984-95); კულტურის სახელმწ. ინ-ტის სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე (1994-97); საქ. სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანების გენ. დირექტორი (1988-2005). არის საქ. განათლების მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1996 წლიდან) და თანაპრეზიდენტი (1998 წლიდან), კულტურის სახელმწ. ინ-ტის სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის სამხ. ხელმძღვანელი, საეკლესიო მხატვრობის სახელოსნოს ოსტატი (1997 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ლურჯა ცხენები", „დაბადება", „ერთი ცხოვრების ქრონიკა", „მზის ნარქენი", „ქართლის ცხოვრება", „XX საუკუნე", „ეპოქა დასრულდა დიდი", „ჩემი თბილისი", „ქრისტეს ცხოვრება", „მითოლოგიური პარადიგმები", „ჩემი საუკუნე" და სხვა. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: სეგ-ში (1976), ნიუ-იორკში (1989), სეგ (2003). მოხატა: სან დიეგოს კულტურის სახლი (1989), კულტურის სახელმწ. უნ-ტის სააქტო დარბაზი (2000), ვაკის სამების ეკლესია (2001). არის საქ. სახალხო მხატვარი (1989); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989); ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (ბინის) ირ. აბაშიძის 80, თბილისი. ტელ: 22 31 87.

**ძლიერი, ეროვნული, ტოლერანტული სახელმწიფო; სწრაფვა მშვენიერებისაკენ, საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზება. სიყვარული!**

## გრიგოლი (გურამ ბერბიჭაშვილი)

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი.



დაიბადა 1956 წლის 18 ივლისს. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1990 წ.); აკადემია (1994წ). 1989 წლის 14 ოქტომბერს ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აკურთხა დიაკვნად. 1990 წლის 27 მარტს კი ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში ხელდასხმულ იქნა მღვდლად. იყო ოზურგეთის რ-ნის სოფელ ლიხაურის ღვთისმშობლის შობის (1990 წლის აპრილიდან) და აჭის წმ. გიორგის (1990 წლის ნოემბრიდან) ეკლესიების წინამძღვარი; 1994 წლის 2 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ მიენიჭა დეკანოზის წოდება და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით. ხელმძღვანელობდა ოზურგეთის საღვთო სჯულის პედაგოგების მოსამზადებელ ერთწლიან სადვთისმეტყველო კურსებს (1991-95); გამოსცემდა ჟურნალ „წყაროს" (1991-96). იყო ახლად დაარსებული ოზურგეთის წმ. ნინოს გიმნაზიის რექტორი (1995-96). 1996 წლის 21 მარტს აღიკვეცა ბერად, 23 მარტს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრითა მიტრით, ხოლო 1996 წლის 24 მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმულ იქნა ფოთის ეპისკოპოსად. საქ. საპატრიარქოში ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ძალებსა და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყ-ბას (1996-2003); 2003 წლიდან დღემდე არის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის თავ-რე. დაჯილდოებულია: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმ.გიორგის ოქროს ორდენით; ვახტანგ გორგასლის ოქროს ორდენით.
ანგელოზის დღე — 7 თებერვალი — ხსენება წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა.
მისამართი: (რეზიდენციის) 4400, ფოთი, გურიის ქ. 1, ტელ/ფაქსი: (995) 21000.
თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი 1, ტელ: 92 33 18; ფაქსი: (995) 98 71 14.

## თამარ გრიგოლია

მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 23 იანვარს. მშობლები: ქეთევან ნუცუბიძე, გივი გრიგოლია; მეუღლე — იური გაჩეჩილაძე (1941); შვილები: თამარი (1974), გიორგი (1978). დაამთავრა თსსა გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტი (1976). იყო თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის (1982-83), ლონდონისა და მანჩესტერის City-Kol-lege-ის გამოყენებითი ხელოვნების კათედრის პედაგოგი (1993-95); არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1982 წლიდან); თსსა პედაგოგი (1983 წლიდან); მხატვართა კავშირის მდივანი, გამოყენებითი სექციის თავ-რე (1996 წლიდან). მონაწილეობდა გამოფენებში: ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ (მოსკოვი), „რუსული და საბჭოთა მინა" (ლენინგრადი, ერმიტაჟი); კოსმოსისადმი მიძღვნილ (სეგ; მოსკოვი),; საქ. დღეები (გერმანია, ინდოეთი, იუგოსლავია, ფინეთი); მინის მხატვართა ჯგუფური (თბილისი, მხატვრის სახლი); სპორტი სახვით ხელოვნებაში (სეგ, 1998), გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: „ქართული მინა და ჩემი სამყარო" (ქარვასლა, თბილისი, 1996); სეგ (2003); მალტა (2007); ლონდონის „Gal of Act" (2008); „მხატვარი და ომი" (აშშ, 2009). არის კერამიკოსთა საერთაშ. სიმპოზიუმებისა თანაავტორი: ძინტარის (1984), ლვოვის (1989), გუს-ხრუსტალინის, აზერბაიჯან-საქართველო-სომხეთი (დევიზით „მხატვრები პოლიტიკის გარეშე", 2000); არის ავტორი ნამუშევრებისა: „მთათუშეთი" (1990), „შავი და თეთრი" (1993), „ადამ და ევა" (1995), „ამორძალი" (1997) და სხვა. დაჯილდოებულია ოქროს მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1987); არის I ხარისხის დიპლომის მფლობელი (საშობაო ფესტივალი, 2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა.
მისამართი: (ბინის) მხატვრის ქ. 5. თბილისი.
**სილამაზე, რომელიც გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში.**

## ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი.

დაიბადა სამტრედიაში 1971 წ. 8 მარტს. მშობლები: მარინა და რომან გრიგოლიები; შვილი — მარიამ ჭითანავა (1989). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი. იყო სმაკ-ის წევრი (1995-96); საინფორმაციო სააგენტო „გეას" (1996-97), ტელეკომპანიების: „რუსთავი 2" (1997-99), „I არხი" (1999-2002), „მზე" (2002-03), „იმედი" (2003-07) და თი-ბი-სი სტუდიის (2007) ჟურნალისტი. იყო პოლიტიკური თოქ-შოუს „მოამბე ინგა გრიგოლიასთან ერთად" (ტ/კ „I არხი"), პოლიტიკური შოუების: „ღამის მზერა" (ტ/კ „მზე"), „პირველები" და „რე-აქცია" (ტ/კ „იმედი"), „Prime time" (თი-ბი-სი სტუდია, ტ/კ „რუსთავი 2"), „პოლიტიკური კვირა" (თი-ბი-სი სტუდია, ტ/კ „I არხი") წამყვანი.
ჰობი: მოგზაურობა.
**მივაწოდო მაყურებელს და მსმენელს სიმართლე. მთელი ამ წლების მანძილზე, რასაც კი მოიცავს ჩემი ჟურნალისტური ცხოვრება, ვცდილობდი არ დამერღვია ობიექტურობის ზღვარი და ვფიქრობ ამ სიმართლის შედეგი იყო თითოეული იმ გადაცემის წარმატება, რაც კი გამიკეთებია.**

## ბერდია გუგავა



სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

დაიბადა ლენტეხში 1957 წ. 17 ივლისს. მშობლები: ცაცა ტვილდიანი, დიმიტრი გუგავა; მეუღლე — ნანა ქურდიანი (1957); შვილები: დათო (1979), ლექსო (1980), ჯოკია (1982), ლაშა (1985), ბექა (1997). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1979). იყო ლენტეხის სპორტსკოლის მწვრთნელი (1979-80), დირექტორი (1980-85); ლენტეხის ტურბაზის (1985-90) და ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის (1990) დირექტორი; საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავ-რე (1991-92); სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავ-რის მოადგილე (1992-93) და თავ-რე — 1993 წლიდან. იყო საქ. ოლიმპიური ნაკრების უფრ. მწვრთნელი (ატლანტა, 1996). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000), საქ. დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღსაზრდელი გ.ვაზაგაშვილი სიდნეის ოლიმპიადაზე გახდა ბრინჯაოს პრიზიორი (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) წერეთლის 95ა. თბილისი. ტელ: 34 20 24. ფაქსი: 35 15 95. (ბინის) მუხიანი, I მ/რ. V კორპ. ბ. 49. თბილისი. ტელ: 63 25 25.
**გიყვარდეს მოყვასი შენი. არ უსურვო ის სხვას, რაც შენთვის არ გინდა. გახსოვდეს გარდაცვლილი ახლობლები.**

## გიორგი გუგავა



საქართველოს პარლამენტის წევრი. ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი. სამართალმცოდნე.

დაიბადა დაბა ხონში 1974 წ. 1 ივლისს. მშობლები: ეთერ ქურასბედიანი, ოთარ გუგავა; მეუღლე — თეა ჭანტურია (1975); შვილები: ლილე (2003), ლუკა (2006). დაამთავრა საერო უნ-ტის — „აჭარა" სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1997). იყო საქ. პარლამენტის ფრაქცია „ლეიბორისტის" წამყვ. სპეციალისტი (1997-99); საერთაშ. იურიდიული ბიუროს ადვოკატი (1999-2002); თბილისის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ლეიბორისტის" თავ-რე (2002-06). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია

ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 88, ტელ: 91 16 17, 94 39 22; ფაქსი: 91 04 05.
(ბინის) დიმიტრი თავდადებულის 18, ბ. 99, თბილისი.

## გიორგი (გია) გუგუშვილი

მხატვარი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1952 წ. 16 აგვისტოს. მშობლები: ცისანა და ბონდო გუგუშვილები; მეუღლე — ქეთი მატაბელი (1953); შვილები: მარიამი (1990), ლუკა (1996). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1977). მუშაობდა თბილისის მხატვრის სახლში (1984); იყო ნატიფი ხელოვნების სტუდიის დირექტორი (1989); საქ. მხატვართა კავშირის მდივანი (1987-96), 1996 წლიდან — გამგეობის წევრი; საქ. ფოსტის ფილიალის („ქართული მარკა") დირექტორი (2002-07). 2006 წლიდან არის თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის დეკანი, სრული პროფესორი. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ფლეიტა" (1983), „სამნი" (1986, იაპონიის საერთაშ. გამოფენის ოქროს მედალი), „მუსიკოსი" (1991), „პასტორალი" (1991), „საქსოფონისტის რეპეტიცია" (1997), „თეთრი თემა" (2001). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისი (1983), იაპონია (1987), მოსკოვი (1988, 1997), გერმანია (1989), „ხელოვნების სახლი" (ბაზელი, 1991), ციურიხი (1992), თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ფილადელფია (აშშ, 1997), გალერეა გერცევი (მოსკოვი, 1997 — 2001), ART MESSE Pennazens (გერმანია, 1999), ინგლისი (2002), „უნივერსი" (თბილისი, 2002), „Art Wien" (ავსტრია, 2002), პარიზი (2003), გერმანია (2003, 2004), ვენა (2005, 2008), ჰამბურგი (2009). 2007 წელს გახდა დუბაის საერთაშ. არტსიმპოზიუმის გამარჯვებული. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში; ბაზელის, აშშ მუზეუმების ფონდებსა და მოსკოვის გალერეაში. არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1986 წლიდან), სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1994); მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი, მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) „ქართული მარკა". თბილისი. ტელ: 93 48 64. (ბინის) გაბაშვილის 4, თბილისი. ტელ: 91 29 24.
**„არსებობს რელიგია — არსებობს ხელოვნება".**

## თეიმურაზ გუგუშვილი

საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 7 მარტს. მშობლები: მარიამ მაისურაძე, აკაკი გუგუშვილი; მეუღლე — ლამარა გლოველი-გუგუშვილი (1951); შვილები: გიორგი (1969), მარიამი (1972). დაამთავრა სპი (1970); თსკ სოლო ვოკალის ფაკ-ტი (1975), ასპირანტურა (1984). სტაჟირება გაიარა მილანის თეატრ „ლა სკალაში" (1982-83). 1976 წლიდან არის ზ.ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის სოლისტი; შესრულებული აქვს მთავარი პარტიები ოპერებში: „სევილიელი დალაქი", „სიყვარულის ნექტარი", „რიგოლეტო", „აიდა", „დონ კარლოსი", „ტოსკა", „პიკის ქალი", „ევგენი ონეგინი", „ბორის გოდუნოვი", „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „ქეთო და კოტე", „სამი ფორთოხლის სიყვარული",„ბოჰემა", „მადამ ბატერფლაი", „მთვარის მოტაცება" და მრავალი სხვ. ჰქონდა გასტროლები სხვადასხვა ქვეყანაში: აშშ (1987, 1998, 2001, 2003), თურქეთი (1995,1996, 1997), იაპონია, დანია (1997), პოლანდია (1997-98), ესპანეთი (1995-96), ბელგია, პოლანდია, გერმანია, მალტა, იტალია (1999), საფრანგეთი (2000), დიდი ბრიტანეთი, ირლანდია (2001, 2002, 2003, 2004). არის საქ. სახალხო არტისტი (1989); ზ.ფალიაშვილის (2003), ზ.ანჯაფარიძის (1998), ირინა არხიპოვას (2002) სახ. პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „საქართველო, დრო, ადამიანები" (2006); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კრივი. ფეხბურთი. ავტომობილი.

მისამართი: (ბინის) მგალობლიშვილის 10, თბილისი.
**მთელი ჩემი ცხოვრება არ მიღალატია ჩემი პროფესიისათვის, პირიქით ყოველდღიური მუშაობა პროფესიის გაღრმავებისათვის.**

## მალხაზ გულაშვილი



მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" პრეზიდენტი და მფლობელი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 13 იანვარს. მშობლები: შუქურა ხეცურიანი, ვარლამ გულაშვილი; მეუღლე — ნინო გაგუა (1960); შვილები: დავითი, არჩილი. დაამთავრა სტუ მეტალურგიისა და ჟურნალისტიკის ფაკ-ტები. იყო ახალგაზრდული ცენტრის — „მერანი" არტდირექტორი (1991-92); სს „როიალ ბანკის" გამგეობის თავ-რე (1993-95); კორპორაცია „მამულას" პრეზიდენტი, გამგეობის თავ-რე (1992-96); სს „ინტელექტ-ბანკის" პრეზიდენტი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (1996); საქ. ფედერალიზმის ფონდის ინ-ტის დირექტორი (2005-06); კომპანია „Georgian Business Consulting"-ის დამფუძნებელი და თანამფლობელი (2006). 1993 წლიდან არის მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" მფლობელი და პრეზიდენტი. არის ავტორი კონცეფციებისა: „მშვიდობიანი კავკასია", „ევრაზიული სატრანსპორტო გაერთიანება", „ქართველი ერი", „ნეიტრალური კავკასია"; პროექტებისა: „წინ საქართველო", „დავიბრუნოთ იბერია"; დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი მოძრაობისა „წინ, საქართველო"; კავკასიაში კრიზისის შედეგების დაძლევის შერეული ქართულ-რუსული კომისიის თავ-რე (2008 წლიდან). იყო პარტია „ეროვნული სამართლიანობის" (დისიდენტთა ორგანიზაცია) გენ. მდივანი (1987-90); ეროვნულ ღირებულებათა დაცვის კავშირის (1988-91), ახალგაზრდა ქართველთა კავშირის (1992-93) წევრი; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის რეგიონული კოორდინატორი, პოლიტიკური საბჭოს წევრი (1990-95); ქართველ გამომცემელთა ასოც-ის თავ-რე (2002). არის სტრატეგიულ კვლევათა და მოდელირების ცენტრის — „აზრი" მფლობელი (1993 წლიდან); „ოქროს ფრთის" მფლობელი (წლის საუკეთესო ჟურნალისტი, 2008); მსოფლიო პრესის კონგრესის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. აქტიური ტურიზმი. ლიტერატურა. ხატვა. ჭადრაკი.
მისამართი: (სამსახურის) ქიქოძის 12, თბილისი 0105. ტელ: 93 44 05; ფაქსი: 93 49 63.
(ბინის) არაყიშვილის 14, თბილისი. ელ-ფოსტა: gul@geotimes.ge
**„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". საქმიანი — ვაკეთებ იმას, რაც ვიცი, ვეფუძნები მართლმადიდებლურ პრინციპებს და დოგმებს. „გვიყვარდეს მტერი ჩვენი, ვითარცა მოყვასი ჩვენი", ჯერ ვერ გამოგვდის, მაგრამ...მიზანდასახულობა, პრინციპულობა, ადამიანური ურთიერთობები, სამართლიანობა.**

## აჩიკო გულედანი



მუსიკოსი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 6 სექტემბერს. მშობლები: მარიცა ლორთქიფანიძე, მურთაზ გულედანი; მეუღლე — ნინი ბუკია (1978); შვილები: მარიამი (2004), ალექსანდრე (2006). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1996); ჯაზისა და ხელოვნების აკადემია (1999). იყო გაზეთის „ფაქტი, აზრი, კომენტარი" პასუხისმგებელი მდივანი (1992-93); რადიო „მწვანე ტალღის" არტ-მენეჯერი (1998). 2005 წლიდან არის სტუდია „რეკორდ-რეიბლს სტეპ-რეკორდსის" დამფუძნებელი და არტ-დირექტორი. ჩაწერილი აქვს მუსიკალური ალბომები: „მწვანე ოთახი" (2001), "Shut Down" (2003), „Last minute of terrorist" (2009) . მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისართი: (სამსახურის) მ.გელოვანის 2, თბილისი. ტელ: 37 71 15; (ბინის) დოლიძის 26, ბ.40, თბილისი.
ტელ: 33 49 66; 36 42 32. ელ-ფოსტა: aguledani@steprecords.ge
**იმ საქმის სიყვარული, რასაც აკეთებ.**

## ზაზა გულიკაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ზოოინჟინერი.

დაიბადა საგარეჯოში 1964 წ. 6 ოქტომბერს. მშობლები: ნანა და შალვა გულიკაშვილები; მეუღლე — ლია გოდერძიშვილი (1968); შვილები: ნანუკა (1990), ზაზა (1997). სწავლობდა ცელინოგრადის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის მოსამზადებელი განყ-ბაზე (1982-83); სართიჭალის 85-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში (1983-84); ივანოვოს ს/ს ინ-ტში (1984-86). დაამთავრა საქ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო სამეცნ. ინ-ტის საინჟინრო ფაკ-ტი (1990). იყო საგარეჯოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა (1980); ბერსუაცკის საბჭოთა მეურნეობის სამშენებლო უბნის მუშა (1981-82); გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა (1985-91); გიორგიწმინდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავების კომბინატის ზოოტექნიკოსი (1991-98); შპს მეფრინველეობის ფაბრიკა „საგარეჯოს" დირექტორი (1992-2005); შპს „სათავე პლუსის" დირექტორი (2005-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 16 14. 899 36 20 00 (ბინის) ბარათაშვილის 14, საგარეჯო.
**სამშობლოს სიყვარული.**

## კონსტანტინე (კოკა) გუნცაძე



გართიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. ფილოსოფოსი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 4 სექტემბერს. მშობლები: მარინა ამირანაშვილი, დავით გუნცაძე. მეუღლე — მაიკო მამულაშვილი (1974); შვილები: ქეთევანი (1995), დავითი (1997). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1994), ასპირანტურა (1998). იყო ფილოსოფიის ინ-ტის ანთროპოლოგიის განყ-ბის უმც. მეცნ. თანამშრომელი (2000-04); პ/გ „ახალი მემარჯვენეები"-ს წევრი (2001-06); პ/გ „ახალი მემარჯვენეები"-ის (ახლები) ჩუღურეთის ორგ-ის თავ-რე (2002-03); საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების წევრი (2004-08). გამოქვეყნებული აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის პუბლიკაციები. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი. ოპერა.
მისამართი: (ბინის) ბაქრაძის 4, თბილისი. ტელ: 95 61 10; 899 91 29 24.

## ნოდარ გურაბანიძე

თეატრმცოდნე. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: მარიამ ცაავა, სარდიონ გურაბანიძე; მეუღლე – ივლიტა ყარალაშვილი (1930); შვილები: რატი (1963), მაია (1964), ქეთი (1965), გიორგი (1968). დაამთავრა თსთი თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1954). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რეჟისორი რ. სტურუა" (1997). იყო ჟურ. „საბჭოთა ხელოვნებისა" (1955-63) და გამომცემლობის — „ლიტერატურა და

ხელოვნება" (1963-69) განყ-ბის გამგე. გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი (1969-72); საქ. კულტურის მინისტრის I მოადგილე (1972-81); თეატრისა და კინოს სახ. უნ-ტის პრორექტორი და სალიტერატურო საბჭოს თავ-რე (1995-2000); ჟურ. „ხელოვნების" მთ. რედაქტორი (1981-2003). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია და მონოგრაფია ქართული და უცხოური თეატრალური კულტურის შესახებ. არის კ.მარჯანიშვილის სახ. (1981) და სახელმწ. (1998) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1955 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამთო თხილამურები, ცურვა, ჩოგბურთი.
მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 66, თბილისი 0179. ტელ: 23 27 13.
**ბრძოლა ღირსეული ცხოვრებისათვის.**

## დავით გურგენიძე

საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში.



დაიბადა საგარეჯოში 1953 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან ექვთიმიშვილი, ანტონ გურგენიძე; მეუღლე — იზა თანდილაშვილი (1958); შვილები: თათია (1992), ტატო (1995), თორნიკე (1996). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1975). იყო საქ. ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2004). მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. არის სსრკ ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში (1981, 1985); ორგზის ვერცხლის და სამგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი საერთაშ. დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში (1989); საერთაშ. არბიტრი ჭადრაკში (2000) და საჭადრაკო კომპოზიციაში (1994); მსოფლიოს პირველი და ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (1997-2001; 2002-04); ორგზის მე-3 ადგილის მფლობელი (2004-06; 2007-09); იყო სტამბოლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საქ. ქალთა გუნდის კაპიტანი (ვერცხლის მედალი, 2000). არის 26 წიგნის ავტორი, მათ შორის: "Best Studies" (1993) და "Best Studies-2" (1995) „პანია ეტიუდები" (1999), „ოთარ ტაბიძის საჭადრაკო ფილოსოფია" (1999), „100 მინიატურა" (1999), „სისადავე, სილაღე და სილამაზე" (1999), „Малютки грузинских этюдистов" (2000), „ქართული ჭადრაკი" (გ.მაჭარაშვილთან ერთად, 2000). არის ღირსების ორდენის კავალერი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია გამოცემებში: „Словарь шахматной композиции" (კიევი, 1985), „Mala encyklopedie sachu" (პრაღა, 1989), „Шахматы — энциклопедический словарь" (მოსკოვი, 1990), „The Oxford Companion to Chess" (ნიუ-იორკი, 1992), „ქართული ჭადრაკის მატიანე" (1995); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 6. თბილისი 0179. ტელ: 98 78 69.
**ვიცოდეთ ერთმანეთის ფასი.**

## კუკური (კობა) გურული

მოქანდაკე. ჭედური ხელოვნების ოსტატი. გრაფიკოსი.



დაიბადა ზესტაფონის რ-ნის სოფ. ქვედა საქარაში 1930 წ. 15 ივლისს. გამზრდელები: ნინო ჩარკვიანი, ამბროსი გურული; მეუღლე — ელიზავეტა ჭუმბურიძე (1929-91); შვილები: თამარ გურული-რატიანი (1955), გვანცა (1965). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1956). არის ავტორი ქანდაკებებისა: „აჯანყებული გურული" (1958), „ჯანყი გურიაში" (ბარელიეფი ნასაკირალის ობელისკზე, 1960 — განადგურდა 90-იან წლებში); ჭედური ნამუშევრებისა: „მწიფობის თვე" ( 1962), „გუთნისდედა" (1962), „ტორსები" (1962, ინახება ირვინგ სტოუნის კოლექციაში); თანამედროვე ჭედური ხელოვნებით შესრულებული პირველი წიგნისა — „ვეფხისტყაოსანი" (1963); „ტორსები" (1965), „ცისფერი კავკასია" (1967), „შოთა რუსთაველის პორტრეტი" (1965), „ძეწნა" (პირველი მრავალფერადოვანი ჭედურობა, 1969), „ბრონეულები" (1972) და სხვა. მონაწილეობდა გამოფენებში: რუსეთი (მოსკოვი, 1958), პოლონეთი (1964), თურქეთი (იზმირი,1964), აფ-

რიკა (ალჟირი, 1965,1967), კანადა (1967), იუგოსლავია (1968,1979), გერმანია (1969, 1983), იტალია და საფრანგეთი (1970), აშშ (ვაშინგტონი, ლოს ანჯელესი, მინეაპოლისი, ჩიკაგო, ბოსტონი, ნიუ-იორკი, 1972) და სხვა. პერსონალური გამოფენები: გერმანია (1967), იუგოსლავია (1968), იაპონია (1970), უნგრეთი, კანადა (1971), რუსეთი (1972), კვიპროსი, ბალტიისპირეთი (1973), გერმანია (1974), გამომცემლობაში „მერანი" (თბილისი, 1971), საფრანგეთი (1982), ავსტრია (1983) და სხვა; გაფორმებული აქვს: მუსკომედიის თეატრის ძველი შენობისა (1965) და კინოთეატრ „თბილისის" ფოიე (მოსკოვი, 1968), ლაინერი „შოთა რუსთაველი" (1966), გემი „აჭარა" (1969) და სხვ. მისი ნამუშევრები ინახება მრავალი ქვეყნის მუზეუმებსა, გალერეებში და კერძო კოლექციებში. არის საქ. დამს. მხატვარი (1967), საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1963 წლიდან). 2005 წ. ოქტომბრიდან 2006 წ. იანვრამდე გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მხატვრის საიუბილეო გამოფენა. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1978); ლექსიკონში „სსრკ ხალხთა მხატვრები"; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (ბინა-სახელოსნო) ნუცუბიძის 147. თბილისი 0186. ტელ: 31 49 17.

**კრძალვით მიმართვა სამშობლოსადმი. მართალი სულით მიმართება ხელოვნებისადმი. მხოლოდ შემოქმედებითი წამით საზრდოობა. ჩემი ეროვნულის მიმართ ფაქიზი, მამულიშვილური მიდგომა. ყოველთა უწინარეს კაცობრიული სიყვარულით არსებობა. გაუტეხელი სიმართლე. ფულზე არ გაყიდული მეობა! ყოველგვარ ჯილდოებზე, როგორც სატყუარაზე არ წამოგება. გარემოსაგან გარიყულობასა და გამეტებულობაში, უკიდურეს უყურადღებობასა და დაუფასებლობაში მხოლოდ ღვთისა და ხელოვნების ამარა ცხოვრება.**

## ერეკლე გურჩიანი

მსოფლიო ჩემპიონი. საქართველოს მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. მკლავჭიდის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. იურისტი.

დაიბადა მესტიის რ-ნის სოფ. ეწერში 1967 წ. 7 აპრილს. მშობლები: გოგუცა სუბელიანი, სანდრო გურჩიანი; მეუღლე — ირმა უკლება (1971); შვილები: სანდრო (1994), გიორგი (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). არის საქ. სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი მკლავჭიდში; ევროპის თერთმეტგზის (1991-2004), მსოფლიოს რვაგზის (1991-2005) ჩემპიონი; საფრანგეთის დიდი საერთაშ. ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი; საერთაშ. ტურნირის „ოქროს დათვი" სამგზის გამარჯვებული; მსოფლიო ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის პრიზიორი (ეგვიპტე, 1999); 2005 წლიდან არის საქ. ეროვნ. ნაკრების მთ. მწვრთნელი; SLS — საერთაშ. საადვოკატო საკონსულტაციო ჯგუფის იურისტი-პარტნიორი (2008 წლიდან). არის საქ. დამს. მწვრთნელი (2007 წლიდან); სპორტის ოსტატი ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში. დასახელდა 1997 წლის საქ. საუკეთესო სპორტსმენტთა შორის. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს სახელოვანი სპორტსმენები" (1995), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ნადირობა.

მისამართი (სამსახურის) ალმაშენებლის 164, თბილისი.

**შრომა, დიდი შრომა. მიზანდასახულობა. ნებისმიერი საქმის ბოლომდე მიყვანა.**

## ბიძინა გუჯაბიძე



საქართველოს კონსერვატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი. იურისტი.

დაიბადა ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჯურუყვეთში 1956 წ. 24 თებერვალს. მშობლები: ვენერა აფხაზავა, გივი გუჯაბიძე; მეუღლე — მაკა სახურია (1972); შვილები: კონსტანტინე (1993), გიორგი (1998). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო ლანჩხუთის რ-ნის აგროსამრეწველო გაერთიანების იურისკონსულტი (1983-85), სახალხო კონტროლის ინსპექტორი (1985-86), კომპარტიის რაიკომის ინსტრუქტორი (1986-89), საგადასახადო ინსპექციის იურისტი (1989-90), პრეფექტურის განყ-ბის გამგე (1991); ლანჩხუთის რ-ნის მმართველი (ასრულებდა პრეფექტის ფუნქციას). იყო პოლიტპატიმარი (1994-2000); პ/ო „მერაბ კოსტავას

საზ-ბის" (1990-91), პარტია „კონსტანტინე გამსახურდიას საზ-ბის" (1992-94), პ/ო „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" (2000-06) წევრი; 2005 წლიდან არის საქ. კონსერვატიული პარტიის წევრი და პოლიტიკური მდივანი (2006 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. ტურიზმი. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) არაყიშვილის 15, თბილისი. (ბინის) ბოგდან ხმელნიცკის 169, ბ. 33, თბილისი. ტელ: 895 90 76 78, 77 19 12.
**ჩემი ქვეყნის — საქართველოს სიყვარული, მზადყოფნა მის დასაცავად. მართლმადიდებლობისადმი ერთგულება — უფლის სიყვარული, მოყვასისადმი ერთგულება, ულალატობა. საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სხვა ისტორიული მიწებისა და იქ მცხოვრები მესხების, ლაზების, ჭანების, ჰერების (ინგილო) შემომტკიცება.**



## ვახტანგ დავითაია

არქიტექტორი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა სენაკის რ-ნის სოფ. ძველ სენაკში 1934 წ. 22 დეკემბერს. მშობლები: ნეონილა ნიკურაძე-დავითაია, ვლადიმერ დავითაია; მეუღლე — ნათელა გაჩეჩილაძე (1938); შვილები: მაია (1962), თეა (1965). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1958), ასპირანტურა. იყო „საქქალაქმშენსახპროექტის" არქიტექტორი (1958-62); სპი ასისტენტი, უფრ. მასწავლებელი, დოცენტი; არქიტექტურული გეგმარების კათედრის პროფესორი და კათედრის გამგე; საქ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავ-რე (1995-2000). გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სამეცნ. სტატია; არის წიგნებისა და მონოგრაფიების ავტორი, მათ შორის: „ვახტანგ დავითაია — არქიტექტორი" (1998), „ამერიკული დღიური" (2004), „მონუმენტები, მემორიალები და მცირე არქიტექტურა" (2004), „არქი-ტექტურა, ოცნება და სინამდვილე" (2000). არის 250-მდე პროექტის ავტორი, მათ შორის: საერთაშ. ახალგაზრდული ცენტრი „მზიური ველი" ბაკურიანში (არქ. გ. გეგელიასთან ერთად), საქ. კულტურის ფონდის საგამოფენო დარბაზი თბილისში და სხვა. მემორიალებისა: კავკასიის დამცველთა მემორიალი, „ალგეთის ბაზილიკა" სოფ. ტბისში, მეზღვაურთა მემორიალი ფოთში, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში, ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში (მოქ. ე. ამაშუკელი) და სხვ. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1990); აშშ არქიტექტორთა ინ-ტის (1991) და ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის (1994) საპატიო წევრი; აშშ ინდიანას შტატის ქ. მანსის (1989) და ფოთის (1982) საპატიო მოქალაქე; მარ-დელ პლატას (არგენტინა) სახ. უნ-ტის საპატიო პროფესორი (1987); იყო პრეზიდენტთან არსებული სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი (1995-2008); არის არქიტექტურის საერთაშ. აკად-ის მოსკოვის გან-ბის აკადემიკოსი და აკადემიკოსთა საბჭოს წევრი (1995); რუსეთის არქიტექტურისა და საინჟინრო მეცნ. აკად-ის საზღვარგარეთელი წევრი (1994). საქ. საინჟინრო აკად-ის აკადემიკოსი (1996). „წლის საუკეთესო არქიტექტურული წიგნის" ორი საერთაშ. პრემიის ლაურეატი. არის საქ. კომკავშირის (1972), სსრკ სახელმწ. (1982), საქ. მინისტრთა საბჭოს (1983), არქიტექტურის მსოფლიო ბიენალეს „ინტერარქ-83" და „ინტერარქ-85"-ის, საქ. სახელმწ. (1996) პრემიების ლაურეატი, დასახელებულია 2005 წლის ადამიანად. მისი ბიოგრაფია შესულია ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის ცნობარში ABI, „ვინ ვინაა პროფესიაში" (2005); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: პოეზიისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვა. თავისუფალი დროის შვილიშვილებთან გატარება.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 77, თბილისი 01071. ტელ: 33 50 61; 877 73 42 57 . (ბინის) ჩიქოვანის 24ა, ბ.9. თბილისი 010071. ტელ: 33 36 85; 22 59 87.

**ვცდილობ, არ გავუკეთო სხვას ის, რასაც არ ვუსურვებ საკუთარ თავს. დიდ პატივს ვცემ სიზუსტეს, ჩემთან ურთიერთობაში სხვისგანაც ამას მოვითხოვ. სიმართლეს ვაყენებ ყოველგვარ პირადულ უხერხულობებზე მაღლა. ვაფასებ პირდაპირობას, მაგრამ ვცდილობ ეს გამოვხატო ევფემიზმებით. შემიძლია თანამშრომლობა სხვადასხვა ხასიათის, ჩვევების და მისწრაფების ადამიანებთან, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ადამიანების განსხვავებულობა ბუნებრივია და მისი შენნაირად გადაქცევის (მოქცევის) ყოველგვარი ცდა უშედეგოა. ბუნებით ტოლერანტი ვარ, მყავს სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის მეგობრები.**



## მირზა დავითაია

საქართველოს პარლამენტის წევრი. ფერმწერი. სამართალმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 30 აგვისტოს. მშობლები: ლუიზა და ზაურ დავითაიები; მეუღლე — ნატა თოფურია (1980); შვილი— ლიზა (2007). დაამთავრა თსუ და ნიურნბერგის სამხატვრო აკადემია. იყო საქ. სახელმწ. კინოსტუდიის მხატვარი-მულტიპლიკატორი (1993-94); „Cartoon-Film" (ბერლინი) მხატვარი-მულტიპლიკატორი (1994-95); „Intermedien" (ნიურნბერგი) დამდგმელი მხატვარი-დიზაინერი (1996-99); „Publicis MCD" (ერლანგერი, 1999-2002) დამდგმელი მხატვარი-დიზაინერი; საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და

სპორტის სამინისტროს რეგიონ. დეპ-ტის დირექტორი, მინისტრის მოადგილე, მინისტრის მრჩეველი (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი. გადაღებული აქვს მულტიპლიკაციური ფილმები: „Tobias Totc und seine Lāve" (1995) და „Sieger der Sieger" (1996); არის არაერთი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრის ავტორი. არის ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენის კავალერი.
ჰობი: ისტორიული ძეგლების დალაშქერა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 8 99 94 11 31. (ბინის) ჟღენტის ქ. 47, თბილისი. ტელ: 32 15 65. ელ-ფოსტა: davitaia@parliament.ge

## პაატა დავითაია



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
სამართალმცოდნე. პროფესორი.

დაიბადა გულრიფშში 1974 წ. 16 თებერვალს. მშობლები: ნადია და ოთარ დავითაიები; მეუღლე — მაია შერვაშიძე (1978); შვილი — ოთარი (1998). დაამთავრა თსუ, სოხუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1994). იყო აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს მთ. სახელმწ. მრჩეველი (1996-2001); საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რის მოადგილის თანაშემწე, აპარატის უფროსი (2001-02); აფხაზეთის ა/რ იუსტიციის მინისტრი (2002-03); აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე და I მოადგილე (2003-04). 2004 წლიდან არია გერმანიის ფედერალიზმის ს/კ ინ-ტის დირექტორის მოადგილე კავკასიის საკითხებში (ქ. ჰანოვერი); რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქ. ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი კომისიის თავ-რე (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" წევრი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობა გერმანიის ფედერაციაში და მისი ექსტრაპოლიტიკის შესაძლებლობა საქართველოში" (2000). არის ინფორმატიზაციისა და სოც-ეკონომიკურ ურთიერთობათა აკად-ების ნამდვილი წევრი; საქ. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი; 15 სამეცნ. ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი. 2006 წლიდან არის პოლიტიკური გაერთიანების — „ჩვენ თვითონ" თავ-რე.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 42, ფაქსი: 28 13 91.
ელ-ფოსტა: paatadav@yahoo.com
**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!**

## კობა დავითაშვილი



„ხალხის პარტიის" თავმჯდომარე. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 31 ივლისს. მშობლები: ნელი ჯანეზაშვილი, რომან დავითაშვილი; მეუღლე – ინგა ბინაძე (1974); შვილები: ლუკა (1998), თორნიკე (1999), მათე (2000), ბართლომე (2003), ანდრეა (2008). დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლისა და ურთიერთობების ფაკ-ტი (1993), თსუ ბიზნესის უმაღლესი სკოლა (1993). იყო ცსკ იურიდიული განყ-ბის წევრი (1992-93); სახელმწ. მეთაურის აპარატის სახელმწიფო მრჩეველი (1993); აფხაზეთის I საარტილერიო პოლკის II დივიზიონის მართვის ოცეულის მეთაური (1993); კონტროლის პალატის იურიდიული სამმართველოს იურისტი (1993-94); საქ. პარლამენტის აპარატის წამყვ. სპეციალისტი (1994-95); ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყ-ბის უფროსის მოადგილე (1995-96); პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპ-ტის კანონპროექტთა ექსპერტიზისა და ვიზირების განყ-ბის უფროსი (1996); საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის აპარატის უფროსი (1996); ადვოკატი, აუდიტორული ფირმის დირექტორი (1996-98); თბილისის საკრებულოს წევრი (1998); საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავ-რე (1998); იყო „დასის" (1990-91), სო-

ციალურ-დემოკრატიული პარტიის (1990-92), გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის (1992), ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის გამგეობის (1994) წევრი; პარტია „კონსერვატორების" ლიდერი, თავ-რე (2005). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1999-2006). „ხალხის პარტიის" თავ-რეა 2007 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: გოლფი.
მისამართი: (სამსახურის) კანდელაკის 41, თბილისი. (ბინის) ვ. ბაგრატიონის 73, თბილისი 0154. ტელ: 35 26 36.
**creat mundus, fiat justitia.**

## მერი (მარიამ) დავითაშვილი



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1924 წ. 13 მარტს. მშობლები: მარიამ ბეროზაშვილი, შალვა დავითაშვილი; მეუღლე — გივი დოლიძე (1920); შვილი — მამუკა (1948). დაამთავრა თსკ საკომპოზიციო ფაკ-ტი (1946). არის კონსერვატორიის პედაგოგი (1972 წლიდან), პროფესორი (1994 წლიდან); იყო საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1968-90). ხელმძღვანელობს საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულებს (1972 წლიდან). არის 500-ზე მეტი ნაწარმოების ავტორი, მათ შორის ოპერებისა: „ქაჯანა" (1966) და „ნაცარქექია" (1979); ბალეტისა — „მზის ქორწილი" (1953); სიმფონიური ნაწარმოებებისა: კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის" (1946), „პოემა ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის" (1954), „ფანტაზია ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის" (1956), „კონცერტინო ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისთვის" (1996); 12 სუიტისა სიმფონიური ორკესტრისათვის, მათ შორის ბალეტებიდან „მზის ქორწილი", „იგავი" (1997); ვოკალური და საგუნდო მუსიკისა. შექმნილი აქვს 250-მდე საბავშვო ნაწარმოები; მუსიკა კინოფილმებისათვის: „მანანა", „პაპა გიგია", „დაგვიანებული სასიძო"; მულტფილმებისთვის: „ჩხიკვთა ქორწილი", „მტრობა", „წუნა და წრუწუნა" და სხვა. მუსიკალურად გაფორმებული აქვს მარჯანიშვილის, თოჯინების, ქუთაისისა და ბორჯომის სახელმწ. თეატრების მრავალი წარმოდგენა. არის საქ. რესპუბლიკის დამს. მოღვაწე (1960); საქ. სახალხო არტისტი (1976); რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1981); ი.გოგებაშვილის სახ. მედლის მფლობელი და პრემიის ლაურეატი (1994); ღირსების ორდენის კავალერი (1997); საქ. კომპოზიტორთა კავშირისა (1946) და გამგეობის წევრი (1956). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Композиторы и музыковеды Грузии" (1984), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრობა. ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) კომპოზიტორთა კავშირი. ალმაშენებლის 123. თბილისი 0112. (ბინის) გრიბოედოვის 29. თბილისი,0108. ტელ: 99 82 15.
**თავდაუზოგავად ვემსახურო მუსიკას, მუსიკალურ აღზრდას, ოჯახს, ყველას მათ, ვისაც ჩემი თანადგომა სჭირდება. მოვესწრო იმ დროს, როცა საქართველო გამთლიანდება და როცა სიყვარული, თანადგომა ერთმანეთის მიმართ ისევ იბატონებს.**

## შალვა დავითაშვილი



კომპოზიტორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა თელავში 1934 წ. 1 იანვარს. მშობლები: მარო ქოილაშვილი, გიორგი დავითაშვილი. მეუღლე — ნინო ზაბუკიძე (1935); შვილები: გიორგი (1960), ვიქტორია დავითაშვილი-სირაძე (1964). დაამთავრა თსკ საკომპოზიციო ფაკ-ტი (1962). იყო ახალქალაქის მუს. სკოლის დირექტორი; თბილისის ს.ახმეტელის თეატრის მუს. ნაწილის გამგე; რადიოსა და ტელევიზიის დრამატული რედაქციის მუს. გამფორმებელი; თბილისის II მუს. სასწავლებლის კომპოზიციის პედაგოგი; თსუ და თსთუ ლექტორი. არის ზ.ფალიაშვილის სახლ- მუზეუმის დირექტორი. არის მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, მათ შორის: ორი ბალეტის — „ვეფხი და მოყმე", „ზვიადაური"; ოპერეტის — „ცოლშვილიანი უცოლო"; 2 სიმფონიის — „უშბა"

და „1991 წ."; სამი სიმფონიური პოემის; სამი კანტატის — სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის; ხუთი ინსტრუმენტული კონცერტის; ვოკალურ-სიმფონიური ციკლების; მრავალი კამერული ინსტრუმენტული პიესის, რომანსის, გუნდისა და სიმღერის; მუსიკისა დრამატული და თოჯინური სპექტაკლებისათვის, დოკუმენტური და თოჯინური კინოფილმებისათვის. მისი ნაწარმოებები დაცულია რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალურ ფონდში; გამოშვებულია მისი საავტორო ფირფიტები.მისი ნაწარმოებები სრულდება საქართველოში და უცხოეთში. არის საქ. ხელოვნების დამსახ. მოღვაწე; ვაჟა-ფშაველას, ზ.ანჯაფარიძის და კომპოზიტორთა კავშირის პრემიების ლაურეატი; ფაზისის მეცნ. აკად-ის წევრი; ღირსების ორდენის კავალერი; იყალთოს, ჩარგლისა და ხობის საპატიო მოქალაქე; მიღებული აქვს წოდება „ქართული მუსიკის ამაგდარი" (2009); მისი ბიოგრაფია შესულია საქ. (1981), მოსკოვის საბალეტო (1981) და ინგლისის (1998) მუსიკალურ ენციკლოპედიებში; წიგნებში: „საქართველოს კომპოზიტორები", „საქართველოს კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები", „კახეთის გამოჩენილი ადამიანები"; ცნობარებში: „ვინ ვინა საქართველოში" (2001, 2002), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბალეტი. ქართული ფოლკლორი.
მისამართი: (ბინის) გორგასლის 39, IIსად, ბ. 20, თბილისი. ტელ: 72 30 30; 893 142684.
**ვარ ხელოვანი ადამიანების უდიდესი დამფასებელი, რომელთა ღვაწლიც არასოდეს დამავიწყდება. ეს ადამიანები არიან: ჯ.კახიძე, ლ.კილაძე, ჯ.გოკიელი, ა.ნასიძე, გ.აზმაიფარაშვილი, ზ.აზმაიფარაშვილი, ტ.დუგლაძე, რ.ხურცილავა, ვ.ჟორდანია, ა.მამედოვი, გ.მუნჯიშვილი, გ.ბაბლუმიანი, რ.მარტინოვი, დევიდ დელპინო კლინგე, ი.მიხაილოვი, გრ.შირმა, გ.ოგანეზოვი, ი. ჭიაურელი და კიდევ ბევრი შემიძლია, ჩამოვთვალო.**

## დავითი (ირაკლი მახარაძე)

ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი.



დაიბადა თბილისში 1960 წ. 3 თებერვალს. მშობლები: ელენე ნებიერიძე, რომან მახარაძე; დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1981). მუშაობდა ძეგლთა დაცვის სამმართველოს გაერთიანების IV სარესტავრაციო სახელოსნოში (1982), კ/ს „ქართულ ფილმში" (1982-83); იყო დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნ. თანამშრომელი (1984-88). აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (1988); დაინიშნა დავით გარეჯის მონასტრისა და ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვრად (1988); აღიკვეცა ბერად და დაერქვა დავითი (1991), მიენიჭა იღუმენის ხარისხი (1992); ხელდასხმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად (1992), იყო ბოდბის (1992); ალავერდის (1993) ეპარქიების ეპისკოპოსი. საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყ-ბის თავ-რე (1992-93); ხუროთმოძღვრების ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარეპისკოპოსი (1996); მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი (2000). ალავერდის ეპარქიის მიტროპოლიტია 2000 წლიდან. 2003 წლიდან არის საქ. საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, რესტავრაციისა და ხელოვნების ცენტრის თავ-რის მოადგილე. იყო საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრი; 2006 წლიდან არის ამ ცენტრის თავ-რე. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ვაჟა-ფშაველას 8, თელავი 2200. ტელ: (995) 350 76110; 90208408.
ხუროთმოძღვრების ცენტრი — ტელ: (995) 32 986554; 899 956030.

## დავითი (ტიკარაძე)

ბოდბის მთავარეპისკოპოსი.



დაიბადა ლანჩხუთის რ-ნის სოფ. სუფსაში 1963 წ. 1 მაისს. მშობლები: ცაცა ჩხარტიშვილი, გურამ ტიკარაძე. დაამთავრა სპი (1989). გახდა მორჩილი (1994); აღიკვეცა ბერად (1995); აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად, დაინიშნა ბათუმის წმ. იობ მრავალტანჯულის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად (1996). გადაიყვანეს ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში (1997); აღყვანილ

იქნა იღუმენის ხარისხში (1997); დაინიშნა ქარელის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის წინამძღვრად (1997); ამავე დროს ასრულებდა სამნევრისის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის წინამძღვრის მოვალეობას, მსახურობდა სამნევრისის ჯვრის სახელობის და სოფ. ღელევის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში. 1997 წ. 17 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. 1998 წელს აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და ხელდასხმულ იქნა ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსად; 2001 წლიდან მსახურებას აგრძელებს ბოდბის ეპარქიაში. 2007 წელს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ჭავჭავაძის 15, სიღნაღი 4200. ტელ: (255 3 15 17; მობ. (995) 99 156695.

## ლაშა დამენია



საქართველოს პარლამენტის წევრი. სამართალმცოდნე.

დაიბადა ფოთში 1974 წ 14 აგვისტოს. მშობლები: მილანა არაჩემია, ინვერ დამენია; მეუღლე — ეკა ყოლბაია (1982); შვილები: გიორგი (2002), ნანო (2005). დაამთავრა საქ. ღია ჰუმანიტარული ინ-ტი (1995). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1995-97). იყო თავდაცვის სამინისტროს თბოტექნიკოსი და პასუხისმგებელი შემსრულებელი (1993-94); სამხედრო სამშენებლო რაზმის კადრების ინსპექტორი (1994); სამეგრელოს სმკ-ის თავ-რე და ზუგდიდის სმკ-ის თავ-რე (1997-2001); პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები“-ს ზუგდიდის ორგანიზაციის თავ-რე. 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი“ (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: სპორტი (ფეხბურთი, კალათბურთი).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. (ბინის) პეკინის 20, ბ. 33, თბილისი. ტელ: 37 40 55.
**სიკეთის ქმნა, პრინციპულობა და აქტიურობა თითოეული საკითხის მიმართ.**

## დანიელი (დავით დათუაშვილი)



ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 29 მაისს. მშობლები: მონოზონი ნინო (ნადეჟდა — დოდო) დათუაშვილი, გრიგოლ დათუაშვილი; დაამთავრა თსთი კინომცოდნეობის ფაკ-ტი (1978). იყო სახელმწ. კინოკომიტეტის რედაქტორი (1977-80); საპატრიარქოს საგამომცემლო განყ-ბის თანამშრომელი (1980-83); სიონის საკათედრო ტაძრის დიაკონი, მღვდელი, დეკანოზი (1983-90); აღიკვეცა ბერად, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1991); დაინიშნა ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსად (1992); აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (1992). არის ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი (1993 წლიდან); 1995 წელს — ზუგდიდისა და ცაიშის მთვარეპისკოპოსი (შეთავსებით); 1999 წელს — მარგვეთის მთვარეპისკოპოსი (შეთავსებით); იყო მისიის და ევანგელიზაციის განყ-ბის თავ-რე (1997-2002); არის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი და შეთავსებით — მარგვეთის მიტროპოლიტი (2000 წლიდან); 2002 წლიდან — შეთავსებით ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (დროებითი რეზიდენციის) ანტონ მარტყოფელის ღვთაების მამათა მონასტერი. ტელ: (995) 99 532000.
**მე, ისევე როგორც ჩემი თაობის უმრავლესი წარმომადგენელი, მოკლებული ვიყავი სარწმუნოებრივ ცოდნას, მაგრამ ღრმად მწამდა, რომ სამყარო შექმნილი იყო კეთილი ძალის მიერ სიყვარულისა და მშვენიერებისთვის. ამ რწმენამ ქრისტეს ეკლესიაში მიმიყვანა. ეკლესიაში გავიგე, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების აზრი არის მომზადება მარადიული ნეტარი ცხოვრებისთვის.**

## დავით დარჩია



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 9 დეკემბერს. მშობლები: თანგული სიხარულიძე, ვაჟა დარჩია; მეუღლე — ვიქტორია ბუხნიკაშვილი (1972); შვილები: გიორგი (1998), ელენე (2000). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1991). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: გ.რობაქიძე „ლამარა", კ.გოცი „ქალი გველი", უ.შექსპირი „ჰამლეტი", ი.ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანი?!", თ.ჭილაძე „ნახვის დღე", ხ.ლევინი „პირდაღებული" (ამ სპექტაკლში შესრულებული როლისათვის დასახელდა წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობად, 1995).
ჰობი: მუსიკა. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.17, თბილისი. ტელ: 99 63 73. (ბინის) ა.ყაზბეგის 34ა ბ.18, თბილისი. ტელ: 39 23 42.
**სიყვარული.**

## დავით დარჩიაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. ისტორიკოსი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: ელენე დემურია, შანშე დარჩიაშვილი; მეუღლე — ლელა ცქიტიშვილი (1965); შვილები: მარიამი (1985), გიორგი (1988). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1987); არის ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევის ცენტრის კურსდამთავრებული (გერმანია, 2001). იყო გაზ. „ქართველი ერის" (ტრადიციონალისტთა კავშირის ორგანო) რედაქტორი (1990-91); ტ/კ „იბერვიზიის" თანამშრომელი (1992); მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინ-ტის მკვლევარი (1992 წლიდან), გამგეობის წევრი (1996-2004), ჯგუფის ხელმძღვანელი (1996 წლიდან); თსუ რუსეთის ისტორიის კათედრის მეცნ. თანამშრომელი (1991-2004); საქ. პარლამენტის კვლევითი დეპ-ტის ხელმძღვანელი; ფონდის — „ღია საზოგადოება— საქართველო" აღმას. დირექტორი (2004-08). არის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევის ცენტრის (კავკასიური ინ-ტი) დირექტორი (1997 წლიდან). ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნ-ტის პროფესორი (2006 წლიდან); 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბათუმი რუსეთის პოლიტიკაში" (1991), სადოქტორო —„ეროვნული უსაფრთხოება და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები" (2002). არის ავტორი ნაშრომისა: Georgia: The Search for State Security (USA. 1997); მონოგრაფიისა: „ჯარისკაცები, პოლიტიკოსები, მოქალაქენი" (2000). იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1990-1991). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ისტორია. სათამაშო ჯარისკაცების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118.
**მთავარი ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში პროფესიონალიზმი მგონია. უნდა იცოდე და გიყვარდეს ის საქმე, რაც განგებამ გარგუნა. პროფესიონალიზმი ეთიკასაც გულისხმობს — საქმისა და პიროვნული ინტერესების გამიჯვნა უნდა შეგეძლოს. ყოველივე ეს, პლუს ბედის ღიმილი, არის ცხოვრებისეული წარმატების საწინდარი.**

## დავით დვალიშვილი



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა ტყიბულში 1948 წ. 1 მაისს. მშობლები: ზინაიდა და ალექსანდრე დვალიშვილები; მეუღლე — თინათინ დვალიშვილი (1952); შვილები: მაკა (1971), ალექსანდრე (1973). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1970). იყო ქუთაისის და სანდრო ახმეტელის სახ. თეატრის მსახიობი; 1981 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანა კარენინა" (1982), „ჯაყოს ხიზნები" (1984), „ადამიანი იბადება ერთხელ" (1985), „გრაალის მცველნი" (1989), „კალიგულა" (1991), „მეფე ლირი" (1995), „ანტიგონე" (2000), „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (2007). გადაღებულია კინოფილმებში და სატელევიზიო სპექტაკლებში. არის საქ. დამს. არტისტი (1979).
ჰობი: ვენახის მოვლა-პატრონობა, ახალი ჯიშების მოძიება-გაშენება.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი 0102. ტელ: 95 24 25. (ბინის) ბოგვის ქ. 7, თბილისი. ტელ: 61 14 64.
**არასოდეს დამიცინია ადამიანისათვის. არ მომიტყუებია. მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა. მიყვარს ჩემი ოჯახი და ჩემი ქვეყანა. ვფიქრობ, რომ მართალი კაცი ვარ და ვცდილობ ამ სიმართლით შევქმნა ჩემი სცენური სახეები. ვფიქრობ, ჩემი წარმატებებიც სიმართლიდან მოდის...**

## თამაზ დიასამიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ისტორიკოსი. ფილოლოგი.

დაიბადა შუახევში 1959 წ. 2 ივნისს. მშობლები: ფატი დუმბაძე, ახმედ დიასამიძე. დაამთავრა შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1981), ასპირანტურა (1989). მსახურობდა საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებში (1981-83). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. ს/კ ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1984-85); განსაკუთრებულ საქმეთა რესტავრატორი აჭარის საარქივო სამმართველოში; აჭარის არქიტექტურის მუზეუმის მეთვალყურე და მეცნ. თანამშრომელი (1985-86); საქ. მეცნ. აკად-ის ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის ს/კ ინ-ტის უმც. და მეცნ. თანამშრომელი (1989-95). საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა (1990-92) და საქ. რესპუბლიკის სახელმწ. საბჭოს (1992) წევრი; აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს წევრი და ფრაქცია „აჭარის" თავ-რე (1991-96); საზ.-პოლიტიკური გაზეთების — „საქართველოს კარიბჭისა"და „თავისუფალი სიტყვის" გამომცემელი და რედაქტორი (1993-95); „განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის" რეგიონული კვლევების პროგრამის (1996-2000) და კავშირის — „რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი" (2000-04) ხელმძღვანელი; აჭარის ა/რ დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი და საკანონმდებლო რეფორმების კომისიის თავ-რე (2004). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1992, 2004). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი. არის ავტორი რამდენიმე სამეცნ. სტატიისა და ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე 2002-06 წლებში გამოცემული 6 წიგნისა საქ. რეგიონული კონფლიქტების შესახებ. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (2007). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2 006).
ჰობი: ფეხბურთი, ჭადრაკი.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. (ბინის) გორგასლის 111/19. თბილისი 0114. ლერმონტოვის 8/11, ბათუმი 600. ელ-ფოსტა: tamdias@parliament.ge; tamdias@hotmail.com
**შრომა, საკუთარ ძალებზე დაყრდნობა.**

## ალექსანდრე დიდებულიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: იოლანტა სანიკიძე, კონსტანტინე დიდებულიძე; მეუღლე — თამარ ჭელიძე (1944); შვილი — ნატო (1983). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1966). იყო სპი ასისტენტი (1967-68); სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1968-74); საქ. ს/ს უნ-ტის უფრ. მასწავლებელი (1974-78), დოცენტი (1978-89), კათედრის გამგე, პროფესორი (1989-2005), სრული პროფესორი; საქ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე (2004-08). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სიხშირითმართვადი ასინქრონული ელექტროამძრავი ს/ს აგრეგატებისათვის" (1974), სადოქტორო — „სპეციალური ელექტრიფიცირებული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის" (1991). არის ავტორი 160-მდე სამეცნ. ნაშრომისა, 16 ქვეყნის 36 პატენტისა და წიგნების: „ავტომატიზებული ელექტროამძრავი სოფლის მეურნეობაში" (სახელმძღვ., თანაავტორები ვ.მეტრეველი და შ.ჭელიძე, 1982); „ავტომატიზებული ელექტროამძრავის პროექტირება" (1983); „ელექტრომონყობილობის ექსპლუატაცია" (თანაავტორი ი.წულაძე, 1991); „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში" (1997); „ენერგეტიკის სექტორი საქართველოში" (თანაავტორი მ.ჩაჩხუნაშვილი, 1999). იყო საქ. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავ-რის მოადგილე (1997-2002). არის ეროვნული ენერგეტიკული აკად-ის წევრი (1995 წლიდან); ღირსების ორდენის კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006) და ენციკლოპედიაში „თბილისი" (2003).

ჰობი: ჭადრაკი. სამთო ტურიზმი.

მისამართი: (სამსახურის) დავით ალმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, თბილისი 0131. (ბინის) კოსტავას 44. ბ. 18. თბილისი 0179. ტელ: 93 28 41.

**შრომა და ისევ შრომა; დავალებული საქმის მთელი მონდომებით შესრულება, დემოკრატიულობა.**

## თინათინ დიდებულიძე



შპს „ელფის გამომცემლობის" დირექტორი. ჟურნალისტი.

დაიბადა 1955 წ. 23 აპრილს. მშობლები: ზინაიდა კოკოზაშვილი, გიორგი დიდებულიძე; მეუღლე — გიორგი სებისკვერაძე (1953); შვილები: ზვიადი (1977), ირაკლი (1982). დაამთავრა ი.ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტის გერმანული ენის ფაკ-ტი (1977). იყო თსსი სამეცნ. ინფორმაციის განყ-ბის თანამშრომელი (1977-90); თანამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებთან, მათ შორის: „ერი", „დერიტა", „რუბიკონი", „ალტერ ეგო", გერმანულ გაზეთთან NeuesD (1987-99); აკრედიტებული იყო საქ. პარლამენტის პრესცენტრში (2000-02); იყო გაზ. „ჩვენ გამომცემლები"-ს და ჟურნ. „გამომცემლის" რედაქტორი; თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტის ლექტორი (2003-05). 1996 წლიდან არის შპს „ელფის გამომცემლობის" დირექტორი; 2000 წლიდან აკრედიტებულია ფრანკფურტის წიგნის მსოფლიო ფესტივალის პრესცენტრში. ავტორია წიგნების: ქართულ-გერმანული სასაუბრო (2003); „ცხოვრების 7 საიდუმლო (ფსიქოლოგიური ესსე)" (2007); თარგმანებისა გერმანულიდან: გერმანიის საერთაშ. სამეცნ. საზ-ბის წიგნი „მომავლის გამომცემლები, მარკეტინგი და მენეჯმენტი" (1999); პროფ. ულრიხ ბეკი, „რა არის გლობალიზაცია?" (2004). არის საქ. მოსწავლეთა სპარტაკიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ჭადრაკში (1974-75); დაჯილდოებულია ქართული ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის I ხარისხის დიპლომით თავისუფალ თემებში (1974-76). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: Who is Who in Frankfurt (ფრანკფურტი, 2003).

ჰობი: მოგზაურობა. ჭადრაკი. ფილოსოფიური და მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: (სამსახურის), კოსტავას 24, თბილისი 0108. ტელ: (+99532) 30 84 9; ფაქსი: (+99532)92 35 70. ელ-ფოსტა: adm@elf.ge

**ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ვიცი და რაც მიყვარს. მუდმივად ვსწავლობ სხვებისა და საკუთარ შეცდომებზე. არასოდროს არა ვარ ჩემი თავით კმაყოფილი, ყოველთვის ვითვალისწინებ, რომ დრო არ მუშაობს ჩემზე, რომ მე უნდა ვიმუშაო დროზე!**

## დიმიტრი (შიოლაშვილი)



ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ქართული სამრევლოების მიტროპოლიტი.

დაიბადა მცხეთაში 1961 წ. 16 თებერვალს. მშობლები: ანა და შოთა შიოლაშვილები. დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია (1982), მოსკოვის სასულიერო აკადემია სღვთისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით (1986). ხელდასხმულ იქნა დიაკვნად (1985); აკურთხეს მღვდლად (1986); მსახურობდა ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში (1986), ალავერდის მონასტერში (1987-88), ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში (1988-89); ასწავლიდა ლიტურღიკას თბილისის სასულიერო აკადემიაში; დაინიშნა ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვრად და აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1989); დაინიშნა ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის (1991) და იოანე ღვთისმეტყველის სახ. სემინარიის (1993) რექტორად; ბათუმის წმ. მონამე ეკატერინეს სახ. სათნოების სავანის ხელმძღვანელად (1994); აღიკვეცა ბერად (1996); მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი, აკურთხეს ეპისკოპოსად (1996); იყო ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი (2003-08); ბათუმისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი (2008-09). 2009 წლიდან არის ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ქართული სამრევლოების მიტროპოლიტი. დაჯილდოებულია II გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით (1995); 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
ტელ: (რეზიდენციის) (888) 22276717.

## დავით დოიაშვილი



მუსიკისა და დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მმართველი. რეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: მიმოზა სოსელია, თეიმურაზ დოიაშვილი; მეუღლე — ქეთევან ენდელაძე (1979); შვილები: ანნა (1999), თეიმურაზი (2000). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (მ.თუმანიშვილის სახელოსნო,1993). იყო დ.ალექსიძის სახ. სასწავლო თეატრის, კინომსახიობთა და მარჯანიშვილის თეატრებისა და ლიდსის „ფლეიჰაუზის" დამდგმელი რეჟისორი (1991-96); მარჯანიშვილის თეატრის მთ. რეჟისორი (1998-2000). არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „მადამ ბოვარი", „მარია", „ცხოვრება იდიოტისა", „მეფე ლირი", „სეილემის პროცესი", „მედეა", „სამი და", „პეტერ ვაისი", „მარად-სადი", „სალომეა", „მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია", „ლუჩია დი ლამერმური" (პეტერბურგის მარინის თეატრი), „ქალაქი ალყაში", „მარლენ დიტრიხი", „მაკულატურა", „მერი პოპინსი", „გაყრა", „სახლი საზღვარზე", „იყო და არა იყო რა, ანუ საშობაო ზღაპარი" და სხვ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თეატრის რეჟისურა.
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის გამზ. 182, თბილისი. ტელ: 34 80 90. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ. IV კორპ. ბ.191, თბილისი. ტელ: 53 62 29.
**არანაირი კრედო და პრინციპები არ გამაჩნია!**

## მანანა დოიჯაშვილი



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. პიანისტი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 5 ნოემბერს. მშობლები: თინათინ ნადარეიშვილი, ლევან დოიჯაშვილი; მეუღლე — გიორგი გოთუა (1945); შვილი — ლევანი (1980). დაამთავრა თსკ (1971), ასპირანტურა (1973). იყო თსკ

უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი; თბილისის საკრებულოს წევრი (1998). 2000 წლიდან არის თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის რექტორი; საქ. მუსიკოს-შემსრულებელთა (1995) და პიანისტთა თბილისის საერთაშ. (1997) კონკურსების დამფუძნებელი. მისი გამოშვებულია რამდენიმე დისკი სოლო პროგრამითა და სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. არის ა/კ მუსიკოს-შემსრულებელთა II (1962), ენესკუს სახ. ბუქარესტის (1970), სმეტანას სახ. პიანისტთა (1974), სიდნეის I (1977) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი; საქ. სახალხო არტისტი; 2003 წელს მიღებული აქვს ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია; 2004 წელს საშემსრულებლო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია რუსეთის საშემსრულებლო ხელოვნების ფონდის პრემიით; მიენიჭა საფრანგეთის რესპუბლიკის „ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის რაინდის" საპატიო წოდება (2005). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „თანამედროვე პიანისტები"; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 0104. ტელ: 92 24 46. ფაქსი: 92 24 47. (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ.86. თბილისი. ტელ: 39 80 42.

## იამზე დოლაბერიძე



მოცეკვავე. მხატვარი-მოდელიორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: მარგარიტა შალიკიანი, ვლადიმერ დოლაბერიძე; მეუღლე – რობერტ ციხელაშვილი (1935-1966); შვილები: მაია (1962), ნიკოლოზი (კოკა, 1964). დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და თსსა მოდელირების ფაკ-ტი. იყო საქ. სახელმწ. ანსამბლის (სუხიშვილები, 959-84) და ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მოცეკვავე; ბრიტანული სკოლა „აკადემიურის" მასწავლებელი (2007-09). მონაწილეობდა სპექტაკლებში: „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „გორდა", „ქეთო და კოტე" და სხვა; კინოფილმში „მიხაი ზიჩი"; ასრულებდა ქართული, ხევსურული, აჭარული ცეკვების სოლო პარტიებს, ნესტანის პარტიას „ვეფხისტყაოსნის სცენებში". არის ანსამბლ „რუსთავისა" და ენვერ ხაბაზის ანსამბლის (მ.ციხელაშვილთან ერთად) კოსტუმების მხატვარი-მოდელიორი. არის საქ. სახალხო არტისტი (1966); ღირსების ორდენის კავალერი; მრავალი ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში.
ჰობი: შვილიშვილებისა და შვილთაშვილების გარემოცვაში ყოფნა.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 75. IX კორპუსი, I სადარბაზო, VIII სართ.
**სიმართლე, სიკეთე და ერთგულება.**

## გიორგი (გოგი) დოლიძე



კინომცოდნე. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1934 წ. 20 აპრილს. მშობლები: მარიამ ვაჩეიშვილი, გალაკტიონ დოლიძე; მეუღლე — მაყვალა მაისურაძე (1936); შვილები: ზვიადი (1959), ჯარჯი (1967). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედ. ინ-ტის ინგლისური და ფრანგული ენების ფაკ-ტი (1959); იყო „ინტურისტის" თარჯიმანი (1960-62); საქ. ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი (1962); ჟურ. „საბჭოთა ხელოვნებისა" და გამომცემლობების — „საბჭოთა საქართველო" და „ხელოვნება" რედაქტორი (1962-1970); თსთი უფრ. მეცნ. მუშაკი (1970-80), ამავე ინ-ტის კინოფაკ-ტის დეკანი (1980-92); რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტის პრორექტორი (1992-2005). 2005 წლიდან არის თეატრისა და კინოს უნ-ტის კინოს სამეცნ. სექტორის ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მაიაკოვსკი და კინო" (კიევი, 1969). არის ავტორი წიგნებისა: „მაიაკოვსკი და კინო" (1969), „ქართული კინო გუშინ და დღეს" (1985), „აკაკის მოგზაურობა-90... ფილმი, ეპოქა, ადამიანები" (2002), „ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს" (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე, 2003), „ორი წელი ერთ გაზეთთან" (2004) და სხვ. როგორც კინორეჟისორმა აღადგინა ძველი მხატვრული ფილმები: „ხანუმა", „ორი მონადირე", „ამოკი",

„საბა" და სხვ. გადაიღო დოკუმენტური ფილმები ო.იოსელიანზე და ზ.ლეჟავაზე. არის ნ.ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი (2003); კინემატოგრაფისტთა, თეატრის მოღვაწეთა კავშირებისა და ჟურნალისტთა ფედ-ის წევრი. 2005 წელს ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახ. სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასს; დააარსა, გამოსცა და რედაქტორობს ჟურ-ის „რაინდი" და გაზ. „საქართველოს კარიბჭეს". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, სუფრა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 19, თბილისი 0108. ტელ: 99 04 38. (ბინის) ბუდაპეშტის 30 (ი.მეგრელიძის 1), თბილისი. ტელ: 39 50 82; 8 99 53 80 70.
**შრომით ეძლევაო სულს ნეტარება – ბრძანა აკაკიმ. ასეთ ნეტარებას ვესწრაფვი დღენიადაგ და ამასვე შთავაგონებ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, სტუდენტებს, მეგობრებს, რომლებთანაც სისტემატიური კონტაქტი დიდ ენერგიასა და ხალისს მანიჭებს. ამიტომაც არ მიყვარს მოწუწუნე კაცი – მეგობარს რომ გულს უკლავს თავისი გაუთავებელი წუწუნ-ჩივილით, მტერს კი – ახარებს.**

## ვიქტორ დოლიძე



პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" აღმასრულებელი მდივანი. დიპლომატი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 4 ივლისს. მშობლები: მარინა ჯანჯალავა, გიორგი დოლიძე; მეუღლე — თამარ გიორგაძე (1973); შვილები: გიორგი (2002), ნინო (2008). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი. მუშაობდა საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე (1996-99). იყო ბენილუქსის ქვეყნებსა და ნატოსა და ევროკავშირში საქ. საელჩოს მრჩეველი (1999-2001); ნატოში საქ. საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი (2001-04); ეროვნული უშიშროების საბჭოს საერთაშ. უსაფრთხოების დეპ-ტის დირექტორი (2004-05); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში და ეუთოში (2005-08). 2009 წლიდან არის პ/პ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" აღმასრულებელი მდივანი.
ჰობი: კითხვა. ფეხბურთი. ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) ჩერქეზიშვილის 4. თბილისი 0108. ტელ: 37 70 08. (ბინის) ი. აბაშიძის 26ა. თბილისი. ელ-ფოსტა: v – dolidze@hotmail.com
**სიყვარული, სიკეთე, პროფესიონალიზმი, ერთგულება, პრინციპულობა.**

## ზვიად დოლიძე



კინოისტორიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 25 იანვარს. მშობლები: მაყვალა მაისურაძე, გიორგი დოლიძე; მეუღლე — ირმა აბზიანიძე (1965); შვილები: გიორგი (1984), ნატო (1989). დაამთავრა პუშკინის სახ. თბილისის პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1980). იყო თბილისის 1 ექსპერიმენტული სკოლის ისტორიის მასწავლებელი (1978-81); კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტი (1981-82); კ/ს „მემატიანე"-ს რედაქტორი (1982-88); პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1988-89); საქ. საისტორიო საზ-ბის თავ-რის მოადგილე (1989-91); მცირე საგამომცემლო საწარმო „ტაო-91"-ის დირექტორი (1991-92); თსთი ისტორიის მასწავლებელი (1992-97), უფრ. მასწავლებელი, კათედრის გამგე, დოცენტი (1997-2003), პროფესორი (2003-06); საქ. პარლამენტის დეპუტატი (2004-08). 2006 წლიდან არის თსთუ სრული პროფესორი და მსოფლიო კინოს ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული კულტურის ისტორია, კინემატოგრაფიის განვითარება 1921-1938 წლებში". არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი — „ვესტერნის ისტორიულ-სოციალური წანამძღვრები და განვითარების გზები" (1997). იყო ავტორი და წამყვანი სატელევიზიო პროგრამებისა: „კინოდოკუმენტალისტის თვალით" (I არხი, 1983-85), „ილუზიონი" (I არხი, 1997-99), „ძველი კინოკლასიკა" (ევრიკა, 1999-2001), „ოსკარი" ჩვენს ეკრანზე" (აჭა-

რის ტელევიზია, 2001). არის ავტორი 40 სამეცნ. სტატიისა და წიგნების: „ქართული კინო" (2004), „მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორია, უხმო კინო" (2007), „ვესტერნი: ისტორია და ფილმი" (2008). არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (2001 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (1990-2006), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 19, თბილისი 0108. ტელ: 99 04 38. (ბინის) ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, I კვ. XIII კ. ბ.29. თბილისი 0183. ტელ: 32 83 73. ელ-ფოსტა: eliso27@posta.ge

## თამარ (თათული) დოლიძე



საქართველოს დამსახურებული არტისტი. მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 24 თებერვალს. მშობლები: ცისანა ესებუა, ნარიმან დოლიძე, მეუღლე — ჟანრი ლოლაშვილი (1942); შვილები: სალომე (1973), გიორგი (1983). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1972). 1972 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ქალის ტვირთი", „ბერნარდა ალბას სახლი", „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის", „კავკასიური ცარცის წრე", „ვარიაციები თანამედროვე თემაზე", „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე", „მეფე ლირი", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „ჰამლეტი", „კაცია-ადამიანი?!", „სულიერი არსებები", "PLAY ანუ სიკვდილის როკვა". გადაღებულია მხ. ფილმებში: „მეტოქეები", „ერთანმინდა", „წვრილ ვარსკვლავთა ღამე", „მოლოდინი", „თვალი პატიოსანი", „გაქცევა განთიადისას", „მიიღეთ გამოწვევა სინიორებო", „სასტუმროს დიასახლისი", „დათა თუთაშხია", „დონ ჟუანის დაბადება". არის რესპუბლიკის დამს. არტისტი; საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი; დაჯილდოებულია პრემიით ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სპექტაკლში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის". მისი ბიოგრაფია შესულია ქსესა და ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, თბილისი. (ბინის) ატენის 14, თბილისი 0179.
ტელ: 23 55 55.

**კაცთმოყვარეობა, პატიების უნარი, ოპტიმიზმი, სიცოცხლისა და იმ საქმის სიყვარული, რომელსაც ემსახურები. მშვენიერების აღმოჩენისა და აღქმის უნარი.**

## ქეთევან (ქეთი) დოლიძე



კინოსა და თეატრის რეჟისორი და მსახიობი. მ.თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის კომიტეტის თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: თამარ ბირკაძე, სიკო დოლიძე. მეუღლე — კორნელი ბზიავა (1929); შვილები: თორნიკე (1980), თამარი (1982). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენისა და ლიტერატურის (1967) და თსთი სარეჟისორო (1975) ფაკ-ტები. იყო საქ. ტელევიზიის რეჟისორი (1973-85, 1989-98); 1975 წლიდან არის კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი და მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი. იყო ამავე თეატრის სამხ. ხელმძღვანელი (2008-09). არის რეჟისორი ფილმებისა: „კაცია ადამიანი?!" (1979), „კუკარაჩა" (1983), „ძველი ვალსი" (1985), „მარტოხელა მონადირე" (1989), „ევრიდიკე" (1991), „და სასახლეში ვნახავ სიხარულს" (1993); ტელესპექტაკლებისა: „დღესასწაული" (1973), „გაკვეთილები" (1975), „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" (1978), „თეთრი მანდილი" (1993); თეატრალური დადგმებისა: „სისხლიანი ქორწილი" (1974), „ვეფხვი" (1980), „სერობა" (1996), „კილი და დუ" (1999), „მიტევების დღე" (2000), „პიგმალიონი" (2003), „თავისუფალი წყვილი" (2004), „რამ შემქმნა ადამიანად" (2007); პროდიუსერი მ.მარმარინოსის სპექტაკლებისა „მედეა მასალა" და „ეროვნული ჰიმნი"; ჰილარი ვუდის სპექტაკლისა „კამინო რიალი". შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „სისხლიანი ქორწილი" (1974), „კარებს აჯახუნებენ" (1975), „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" (1975), „შენსკენ სავალი გზები" (1984) „მედეა — გახლეჩილი სამყარო" (1997), „ჩემი თაობის ავტოპორტრეტი" (2000); კინოფილმებში: „ჭრიჭინა" (1954), „ეთერის სიმღერა" (1955), „მშობლიურო ჩემო მინავ" (1979), „ბენზინის გამყ-

იდეელი" (1979), „სანტა კლაუსი" (1980). ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალზე დაჯილდოებულია პრიზით საუკეთესო ეკრანიზაციისათვის („კუკარაჩა", 1993). არის მ.თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და კომიტეტის თავმჯდომარე; ქალთა საერთაშ. მოძრაობის — „თეთრი მანდილი" დამაარსებელი და კომიტეტის თავ-რე (1993); საერთაშ. თეატრალური ფესტივალის — „საჩუქარი" დამფუძნებელი და სამხ. ხელმძღვანელი (1996); თეატრალური ფონდის — "Terra Inkognita" დამაარსებელი და პრეზიდენტი; სიკო დოლიძის სახ. ქართული კინოს განვითარების ფონდის თანადამაარსებელი და გამგეობის თავ-რე; სტუდია „იბერის პროდაქშენ"-ის პრეზიდენტი. არის ღირსების ორდენის კავალერი (1996); კინოსა (1979) და თეატრალური (1980) კავშირების წევრი; მისი ბიოგრაფია შესულია წიგნებში: „100 გმირი ქალი" (როჩესტერი-ნიუ-იორკი, 1998) და „პლანეტის 100 გმირი ქალი"; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის 164, თბილისი 0112. ტელ/ფაქსი: 22 35 91.
ელ-ფოსტა: gifi@caucasus.net
**პროფესიონალიზმი, უკომპრომისობა, საკუთარი ქვეყნის ხელოვნების წარმოჩენა, სამართლისათვის თავგანწირვა, ტრადიციების დაცვა და უახლესი მიღწევების სრული გაზიარება.**

## გურამ დოჩანაშვილი

მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თბილისში 1939 წ. 26 მარტს. მშობლები: გულნარა ემხვარი, პეტრე დოჩანაშვილი; მეუღლე — ნათელა სეფიაშვილი (1842); შვილები: ქეთევანი (1966), ირაკლი (1968-1990). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1962). იყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის ქვის ხანის შემსწავლელი განყ-ბის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1962-75); ჟურ. „მნათობის" პროზის განყ-ბის გამგე (1975-85). 1985 წლიდან არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" მთ. რედაქტორი. არის 30 წიგნის ავტორი, მათ შორის: „მთის გადაღმა" (1966), „ნაბიჯი" (1969), „მხიარული ბორცვი" (1971), „ათასი წვრილმანი" (1972), „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" (1973), „საქმე" (1974), „მოთხრობები" (1976), „სამოსელი პირველი" (1975, 1982, 1990, 2002), „ყველაზე კარგი პაპა" (1976), „მოთხრობები" (1978, 1980), „თავფარავნელი ჭაბუკი" (1981), „განსმდგომი კაცი" (1983), „ორი მოთხრობა" (1984), „მოთხრობები" (1987), „ბაქანი" (1988), „ვატერპოლო ანუ აღდგენითი სამუშაოები", „იქამდე" (1991), „ორი მოთხრობა" (1991), „ლოდი ნასაყდრალი" (2002), „ლუბა, ჩემო სიყვარულო", „გივიზე", „დაეძებდა" (2002), „ხუთი მოთხრობა" (2002), „ძნელი", „მხოლოდ ერთი კაცი" (2002), „ხორუმი ქართული ცეკვაა" (2003), „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი" (2005). მისი ნაწარმოებები თარგმნილია 20-ზე მეტ ენაზე. მისი მოთხრობების მიხედვით გადაღებულია 1 სრულმეტრაჟიანი, რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი და 5 სატელევიზიო სპექტაკლი; განხორციელებულია 15-მდე რადიოდადგმა. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (1983); საქ. სახელმწ. პრემიით (1994); ღირსების ორდენით (1997); საქ. ეკლესიის სიგელით (2001); არის საქ. სახელმწ. პრემიისა და რუსთაველის პრემიის (2003) ლაურეატი. იყო მწერალთა კავშირის წევრი (1968 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" და ცნობარებში: „Краткая литературная энциклопедия", „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ელიავას 12, თბილისი (ბინის) იოსებიძის 59, ბ. 70. თბილისი. ტელ: 37 74 70; 37 79 80.
**როგორც ერთ-ერთი ჩემი მოქმედი გმირი ამბობს: „ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ადამიანი უნდა გახდეს უკეთესი, ვიდრე იყო"; ეს შეეხება ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების გაცნობასაც.**

## ბესარიონ დოჭვირი



მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ნინო ჭანჭალეიშვილი, მიხეილ (შოთა) დოჭვირი; მეუღლე — თინათინ ბიბილაშვილი (1944); შვილები: თეონა (1973), ნინო (1974); შვილიშვილები: ლიზი და ანა. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1964), მოსკოვის ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკური ინ-ტის ასპირანტურა (1968). იყო ბერლინის „უმაღლესი ეკონომიკური სკოლის" დოცენტი (1972-73); იენის ფრიდრიხ-შილერის უნ-ტის პროფესორი (1992-95); შეთავსებით მუშაობდა: თსუ სტოქასტური ანალიზის ს/კ ლაბორატორიაში, თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტის დეკანის მოადგილედ; საქ. ბანკების ასოც-ის მთ. კონსულტანტად. არის თსუ ლექტორი 1968 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით, კერძოდ, შემთხვევით პროცესთა ოპტიმალური გაჩერების თეორიასა და ფინანსურ მათემატიკაში. არის 10 სახელმძღვანელოს ავტორი. მიღებული აქვს მონაწილეობა 40-მდე საერთაშ. კონფერენციაში (გერმანია, ბულგარეთი, რუმინეთი, შვეცია, იაპონია, შვეიცარია, საფრანგეთი და სხვ.); არის აფხაზეთის მეცნიერებათა აკად-ისა და საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკად-ის წევრი; საქ. და ამერიკის მათემატიკური საზ-ბების, საქ. სტატისტიკური ასოც-ის, ბერნულის მსოფლიო საზ-ბის წევრი. იყო თსუ სამთო-სათხილამურო გუნდის კაპიტანი და თსუ ჩემპიონი. მონაწილეობდა ვეტერან სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებებში. დაჯილდოებულია საშუალო სკოლის ოქროს და ივ. ჯავახიშვილის მედლებით.
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი, ცურვა, ჩოგბურთი. გიტარა.
**ღვთისმსახურთა და მეცნიერთა თანამშრომლობა ადამიანისა და ბუნების საკეთილდღეოდ.**

## დავით დუმბაძე



კომპანია „გეოპლანტის" ჯგუფის პრეზიდენტი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 28 თებერვალს. მშობლები: ლეილა სადრაძე, დევი დუმბაძე; მეუღლე — მაია ხუციძე (1965); შვილი — ელენე (1988). დაამთავრა თსუ გეოგრაფიის ფაკ-ტი (1979); მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტის ასპირანტურა (1986). იყო თსუ მეცნ. თანამშრომელი (1979); მუშაობდა საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატაში (1986-87); პარტიულ და სამთავრობო ორგანიზაციებში (1987-91); იყო ფირმა komeg GmBH-ის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პროექტის ხელმძღვანელი (1991-95); კომპანია Martin Bauer GmBH & Co-ს აღმ.ოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყ-ბის ხელმძღვანელი (1995-98). 1998 წლიდან არის „მარტინ ბაუერ გეორგიენის", შემდგომში კომპანია „გეოპლანტის" ჯგუფის (2003 წლიდან) პრეზიდენტი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დარგობრივი სტრუქტურული ცვლილებები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკაში" (1986).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 55. თბილისი 0162. ტელ: 22 74 30. ფაქსი: 22 63 20.
**ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული. პროფესიონალიზმი, მიზანდასახულობა.**

## თამარ ებრალიძე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი. ფილოლოგი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 7 თებერვალს. მშობლები: ცაცა აგლაძე, რეზო ებრალიძე. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1978). იყო საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის თანამშრომელი (1979-91); თსსა ლექტორი (საზღვარგარეთის ლიტ. ისტორიის კურსი, 1980-89); გაზ. „თავისუფალი საქართველოს" მთ. რედაქტორი (1991-95); ტ/კ „იმედისა" და გამომცემლობა „ლიტ-ერას" თანამშრომელი (2002-06). რედაქტორი სატელევიზიო გადაცემებისა: „რაც ვიცი და მიყვარს", „აკა მორჩილაძის უცნობი საქართველო", „ნადიმი ჯანრი კაშიასთან". 2006 წლიდან არის თსუ-ს გამომცემლობის დირექტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კომპიუტერი. ქარგვა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 14. თბილისი. ტელ: 25 14 32. (ბინის) დგებუაძის 4. თბილისი. ტელ: 954820. ელ-ფოსტა: tamar.ebralidze@gmail.com
**უხვად გასცემდე, ზღვათაცა შესდის და გაედინების.**

## ოთარ ეგაძე



რეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 12 მარტს. მშობლები: ნადეჟდა და ელდარ ეგაძეები. მეუღლე — რუსუდან მჭედლიძე (1964); შვილები: ნინო (1984), ირინა (1985). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1984). არის თსთი პედაგოგი 1984 წლიდან; კინომსახიობთა თეატრის (1984 წლიდან), რუსთაველის თეატრისა (1994 წლიდან) და თეატრალური სარდაფის (1997 წლიდან) რეჟისორი. დადგმული აქვს სპექტაკლები: ჟ.კოკტო, „ადამიანის ხმა" (1982); ავ. ცაგარელი, „ჭკუისა მჭირს" ; ჩ.დიკენსი, „საშობაო სიზმარი"; ე.იონესკო, „ორი ბოდვა"; ი.სოლომანაშვილი, „რა-დიო", ა. ჩეხოვის „ძია ვანია", გოგოლის „რევიზორი" და სხვა. არის ღირსების მედლის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
ჰობი: სოკოს შეგროვება.
მისამართი: (ბინის) თბილისი, ჭონქაძის 9. თბილისი. ტელ: 92 11 18.
**საკუთარი არსებობის საჭიროების აღმოჩენა.**

## სოსო ეგუტია



თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა და განათლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: ეთერ ვარდოსანიძე, კონსტანტინე ეგუტია; მეუღლე — მაია იაშვილი (1956); შვილები: კოკა (1977), ეკატერინე (1982). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1979). იყო ბავშვთა I საავადმყოფოს სანიტარი (1972-73); მე-5 კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-რეანიმატოლოგი (1979-80); ბავშვთა რესპ. საავადმყოფოს ექიმი-ანესთეზიოლოგი (1980); შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს" სისხლძარღვთა ქირურგიის განყ-ბის ექიმი-ანგიოლოგი (1980-84); ამავე კლინიკის ქირურგიული განყ-ბის გამგე (1984-2004). იყო პ/გ „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრი. 2002 წლიდან არის თბილისის საკრებულოს წევრი. საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა და განათლების მუდმივმოქმედი კომისიის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია

ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი, ნიგნები.
მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 2, თბილისი 0117. ტელ: 99 81 29. (ბინის) რადიანის 8, თბილისი 0179. ტელ: 22 35 22. ელ-ფოსტა: socialurikomisia@post ge
**კეთილსინდისიერება, ერთგულება საქმისადმი და ახლობლების მიმართ, თანაგრძნობა, პასუხისმგებლობა, სიმართლე.**

## მარლენ ეგუტია

მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა თბილისში 1937 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ და შოთა ეგუტიები; მეუღლე — მზია ქადაგიძე (1950); შვილი — მარიამი (1973) . დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1968). მუშაობდა რუსთაველის თეატრში (1967-70); 1970 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „დონ კარლოსი" (1970). „ურიელ აკოსტა" (1972), „საბრალდებო დასკვნა" (1978), „ოიდიპოს მეფე" (1978), „შთამომავლობა" (1980), „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" (1981), „პაკი აძბა" (1981), „ოტელო" (1982), „დიდოსტატის მარჯვენა" (1991), „ნაცარქექია" (1991), „სტუმარი" (2000), „ღამის სტუმარი" (2002), „გიულიპ" (2005), „ქაქუცა ჩოლოყაშვილი (2007), „ვუნდერკინდი" (2008) და სხვა. არის საქ. დამს. არტისტი.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8; თბილისი 0102. ტელ: 95 24 25; (ბინის) გლინკას ქ. 5 თბილისი. ტელ: 61 51 11; 8 71 61 51 11.
**სიმშვიდე, ქვეყნის მთლიანობა...**

## დათო ევგენიძე

კომპოზიტორი. პიანისტი.



დაიბადა თბილისში 1958 წ. 2 დეკემბერს. მშობლები: დინარა და ნუგზარ ევგენიძეები; მეუღლე — ნინო ჟვანია (1975); შვილები: ანჟელიკა (1984), ლიკა (1986), ლუკა (1988), ნიკოლოზი (2005). დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორიის საკომპოზიციო-თეორიული ფაკ-ტი (1982); ასპირანტურა (1985). არის ავტორი საფორტეპიანო ციკლების, სონატების, სიმებიანი და სასულიერო კვარტეტების, რომანსების, 200-მდე სიმღერის, საგუნდო ნაწარმოებების, 5 საფორტეპიანო პრელუდიის, ასოციაციების ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის, ვოკალურ-ინსტრუმენტული ციკლის „ვარდი სილაში", საბალეტო დივერტისმენტების, ბალეტების: „საფირი", „ჭირვეულის მორჯულება", „ალექსანდრე მაკედონელი", 34 ფილმისა და დრამატული სპექტაკლის მუსიკის და მრავალი სიმფონიური ნაწარმოების. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „რვაათასხუთასერთი სიტყვა" (2000), „პოსტ მოდერნი" (2009). კონტრაქტით მუშაობდა საფრანგეთში, ესპანეთში, აშშ-ში; მონაწილეობდა ჯაზ-ფესტივალებში (1992-94). თბილისში გამართული აქვს 6 საავტორო კონცერტი. არის ღირსების ორდენის კავალერი; მიღებული აქვს სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსის, საერთაშ. კონკურსის „იმპროვიზაცია შეთავაზებულ თემაზე" და ფესტივალ „პრიმა ვერას" (ესპანეთი) I პრემია; საერთაშ. ფესტივალ „მანა"-ს პრიზი საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის (ფილმი „ბალეტმაისტერი"); პრიზები: ოქროს ვერძი, ოქროს არწივი, ნიკა — საუკეთესო მუსიკისთვის (ფილმი „Девятая рота", რუსეთი, 2005); კონცერტისათვის „შაბათი" დასახელდა წლის საუკეთესო მუსიკოსად (1998); არის სსრკ, რუსეთის და საქართველოს (1988) კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა.
**თავისუფლება, სიყვარული, რწმენა, ერთგულება, ხელოვნება, სიცოცხლე, ოჯახი.**

## ლალი ეზუგბაია



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი. ფილოლოგი.

დაიბადა გალში 1965 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: ლამარა ჭედია, ალექსანდრე ეზუგბაია; მეუღლე — დავით გამცემლიძე (1964). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1988). იყო გალის I საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1988-95); არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი, მეცნ. თანამშრომელი და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1995-2006). 2006 წლიდან არის ენათმეცნიერების ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გრამატიკული რიცხვის გამოხატვის სისტემა ზანურში" (1999). დაჯილდოებულია საშუალო განათლების ოქროს მედლით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ქართული ხალხური ცეკვა.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 8, თბილისი 0118. ტელ: 93 12 40; ფაქსი: 93 45 30. (ბინის) ნუცუბიძის 211/4, ბ. 14, თბილისი. ტელ: 32 98 72. ელ-ფოსტა: ikc@gw.acnet.ge
**პატიოსანი შრომა, პასუხისმგებლობა საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე, პრინციპულობა და სამართლიანობა, ადამიანების სიყვარული და დაფასება მათი ნიჭისა და საქმიანობის მიხედვით, მიზანსწრაფულობა და არჩევანის სიმტკიცე.**

## გიორგი ეკიზაშვილი



მთარგმნელი. პოეტი.

დაიბადა ბათუმში 1943 წ. 13 მარტს. მშობლები: შუშანა ჯორბენაძე, კარლო ეკიზაშვილი; შვილები: ეკა (1968), ნინო (1978). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ლიტერატურის და ენის ფაკ-ტი (1964), ასპირანტურა (მოსკოვი, 1968). თსუ ფრანგული ლიტერატურის ისტორიის პედაგოგია1969 წლიდან. არის ავტორი ნაშრომებისა: „დოსტოევსკი და კამიუ" (1963); „აბსურდის ცნება კამიუს შემოქმედებაში" (1968); „კამიუს პიესა „გაუგებრობა" (1971); „პოეზია ჯინსებში – 68-წლიანების თაობა" (1981); „მორის მეტერლინკის „ბრმები" (1973); „აბსურდი და ამბოხი" (1983); თარგმანებისა ფრანგულიდან ქართულად: ალენ რობ-გიე, „სცენა" (1977); მეტერლინკი, „ბრმები" (1979); მოლიერი, „დონ ჟუანი" (1982); შარლ ბოდლერი, „პატარა პოემები პროზად"; ერვე ბაზენი, „შხამი"; ანდრე მორუა , „ნეიის ბაზრობა" (1985); ფრანსუაზ საგანი, „იტალიის ზეცა"; მოპასანი, „ორლა" (1998) და „შოპენჰაუერის ღიმილი" (1999); მოლიერი, „ცრუ ავადმყოფი" (2000); მიშელ უელბეკი, „ბრძოლის ველის განვრცობა" (2000); პატრიკ მოდიანო, „დორა ბრუდერი" (2001); ჟან-პოლ სარტრი, „ცხრაკლიტული" (2002); სამუელ ბეკეტი, „თამაშის დასასრული" (2001); ნატალი საროტი, „ის აქ არის" (2002); ალბერ კამიუ, „სარჩული და პირი", „ქორწინება. ზაფხული", „გადასახლება და სამეფო" (2003); ანტუან დე სენტ ეგზიუპერი, „პატარა პრინცი" (2004); არტურ ნოზისიელი, „ცრუ ავადმყოფი ანუ მადლენ პოკლენის აჩრდილი"; მიშელ უელბეკი, „ელემენტარული ნაწილაკები" (2005); დანიელ პენაკი, „მგლის თვალი" (2006); პიერ პეჟუ „პატარა სარტრეზი" (2007); დანიელ პენაკი „ძაღლი ძაღლი" (2008); ანკე რიზდე „მუდამ ერთად" (2008); ანრი ვილარ „უკან მოუხედავად" (2008); თარგმანებისა ქართულიდან ფრანგულად — სცენარები ფილმებისათვის: „სიმღერა შვიდი ხმისა და ტოროლასათვის" (თ. ბიბილურის რომანის მიხედვით, 1999); „ანგელოზების გადაფრენა" (ავტორი და რეჟ. ნ. მანაგაძე, 2003); პიესა „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა" (ავტორი და რეჟ. რ. გაბრიაძე, 2004), რევაზ გაბრიაძის ნოველები „თეთრი ხიდი" , „რამონა" (2004); გამოქვეყნებული აქვს ლექსების ორი კრებული: „ტრამალები" (2002) და „ბილიკები" (2006); ნოველების ორი კრებული ფრანგულ ენაზე: „თოვლი" და „კითხვა" (2003). ფრანგული კულტურის წინაშე დამსახურებისათვის მიღებული აქვს საფრანგეთის სახელმწ. ორდენი — „აკადემიური პალმის ოფიცერი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა, ფიქრი.
მისამართი: (ბინის) წყნეთის 2 ა, თბილისი. ტელ: 29 32 30.
**აკეთე ის რაც შეგიძლია, აკეთე ისე როგორც შეგიძლია...**

## ირაკლი ელიავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
ზოოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1928 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: ქეთევან მარგველაშვილი, იასონ ელიავა; მეუღლე — ირინე ელიავა (1932); შვილები: ტატიანა (1955), მარინე (1970). დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის ბიოლოგია-ნიადაგმცოდნეობის ფაკ-ტი (1953). იყო ზოოლოგიის ინ-ტის ლაბორანტი (1953-55), უმც. (1958-62), უფრ. (1962-72) მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1972-82); თსუ ზოოლოგიის კათედრის გამგე (1982-89), ბიოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1987-89); ზოოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1989-2005); ამავე ინ-ტის დირექციის მრჩეველი (2005-06). 2006 წლიდან არის ნემატოლოგიის ლაბორატორიის გამგე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დორილაიმიდას რიგის ნემატოდების სისტემატიკა, ფილოგენია და ეკოლოგია" (1984). არის 110 სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის ოთხი მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოსი — „ეკოლოგიის საფუძვლები" (თანაავტორი გ.ნახუცრიშვილი, გ.ქაჯაია, 1992). მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია (1985); დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 31. თბილისი, 0179. ტელ: 29 38 56 (ბინის) ვაჟა-ფშაველას VII კვ. კორპ. 17. ბ. 9, თბილისი 0186. ტელ: 18 92 35.
**შრომა, ოჯახი, ქვეყანა, მეგობრები.**

## ალექსანდრე ელისაშვილი

ტელეკომპანია „კავკასიის" გადაცემა „ბარიერის" წამყვანი.
ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 17 იანვარს. მშობლები: ნაზი და ვალერი ელისაშვილები; მეუღლე — ირინა კილოსანიძე (1978); შვილები: ერეკლე (2005), სანდრო (2006). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი პოლიტოლოგიის სპეციალობით (1999). მუშაობდა „დილის გაზეთში" (1995); იყო „მერიდიანი 44" -ის კორესპონდენტი; 1996 წლიდან იყო I არხის სატელევიზიო გადაცემების: „მოამბის" — კორესპონდენტი, „ალიონის" — წამყვანი; რადიოს I არხის გადაცემის „პიკის საათი" და „რადიო 2"-ის და ტ/კ „მაესტროს" გადაცემის „პროფესია ჟურნალისტის" წამყვანი. არის ტ/კ „კავკასიის" გადაცემის — „ბარიერი" წამყვანი. გადაღებული აქვს დოკ. ფილმი „მივიწყებული სევილიელი" (თბილისში დაღუპული და დაკრძალული ესპანეთის კომპარტიის გენ. მდივნის ხოსე დიასის ისტორია). მიღებული აქვს „ოქროს ფრთა" — „წლის ტელესახის" ნომინაციაში (2009); 2006 წლიდან არის თბილისზე მზრუნველთა გაერთიანების — „ტფილისის ჰამქრის უსტაბაში" თავ-რე.
ჰობი: ფეხით სიარული. საჯაროში კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) გ. ლეონიძის 11ა. თბილისი 0105. ტელ: 98 75 36. (ბინის) ალ. ყაზბეგის გამზ. 8ა. თბილისი. ტელ: 38 27 49.
**ერთიან, სამართლიან, მდიდარ საქართველოში მინდა ვიცხოვრო და ამგვარი საქართველოს აშენებაში ჩემი წვლილიც მსურს შევიტანო.**

## ელისე (ელდარ ჯოხაძე)



ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი.

დაიბადა ონის რ-ნის სოფ. შქმერში 1949 წ. 15 თებერვალს. დაამთავრა სპი (1977), მცხეთის სასულიერო სემინარია. მუშაობდა სამხატვრო ფონდში (1978 წლიდან). იყო საპატრიარქოს სამხატვრო-სარესტავრაციო საქმეთა განყ-ბის ინჟინერი (1982). აკურთხეს დიაკვნად, ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა ნალკის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად (1985); იყო ნიკორწმინდის, გორის ღვთისმშობლის სახელობის, თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის, დიდუბის ეკლესიების წინამძღვარი (1985-94); აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1987); იყო საქ. საპატრიარქოს სახლთუხუცესი (1991-93); სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი (1993); ანჩისხატის, მეტეხის ეკლესიების მოძღვარი (1994-96); აღიკვეცა ბერად (1996); იყო მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (1996); ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1996); მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2002); იყო ნიკორწმინდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი (2002-08). 2008 წლიდან არის ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი. არის საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყ-ბის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის და თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოები. ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარი, ამბროლაური, ზუბალი 0408. ტელ: (995) 58 1826; 899 581826.

## გოჩა ენუქიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 8 აპრილს. მშობლები: ლამარა კეშელავა, ვლადიმერ ენუქიძე; მეუღლე — დეა მელაძე (1971); შვილები: თინათინი (1997), გიორგი (1999). დაამთავრა ქტუ ნარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. იყო თბილისის „ტრიკოტაჟის" თეთრეულის სანარმოო გაერთიანების ზეინკალი (1979-82); რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეჯამბარე (1986-88); მრავალდარგობრივი კოოპერატივ „ალფას" თავ-რე (1989-95); შპს „ივერია-ენსის" დირექტორი (1995-99); შპს „იბერკომპანი ჰოლდინგის" პრეზიდენტი (1999-2008); შპს „ლუკოილ ჯორჯიას" გენ. დირექტორის მოადგილე (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" თავ-რის მოადგილე; საფინანსო-საბიუჯეტო და რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტების წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8. თბილისი. ტელ: 28 10 36; ელ-ფოსტა: g.enuqidze@parliament.ge

## ნუგზარ ერგემლიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. მხატვარი. მუსიკოსი. მწერალი.

დაიბადა ბათუმში 1955 წ. 1 მაისს. მშობლები: ვალენტინა კოპალეიშვილი, ოთარ ერგემლიძე; მეუღლე — ანა ქადეიშვილი; შვილები: ირაკლი (1980), გიორგი (1987), ნიკა (1997). დაამთავრა თსსა დიზაინის ფაკ-ტი (1978). იყო საკონსტრუქტორო ბიუროს მხატვარი-კონსტრუქტორი (1978-80); ანსამბლ „75"-ის წევრი

(1981); საქ. ტელერადიო მაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის რედაქტორი (1982-2004); აჭარის ა/რ ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების პროდიუსერი (2006-07). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" წევრი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის მოადგილე; საქ. I პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. არის ავტორი ასზე მეტი სიმღერისა, მათ შორის: „თუკი გესიზმრები", „ბაკურიანი", „თოვლი მოდის" და სხვა; ორი რომანისა — „ისევ სსრკ-ში"და „მხატვარი და მარგარიტა"; ლექსების კრებულისა და საავტორო ალბომებისა: „ავტოპორტრეტი" (1987), „ქართველი მოსკოვში" (1999), „მუზა" (2008). გამართული აქვს 3 პერსონალური გამოფენა. არის გამარჯვებული კონკურსებისა „წლის საუკეთესო სიმღერა" (2000), „ყველა თაობის საყვარელი მომღერალი" (2006), „წლის საუკეთესო ავტორი შემსრულებელი" (2008); „ოქროს იერუშალაიმი" (I. პრემიის ლაურეატი, 2002). არის ჟურნალისტთა ფედ-ისა და მხატვართა კავშირის წევრი.

ჰობი: მოგზაურობა. ცურვა. სიტყვათა თამაში.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. (ბინის) ბარნოვის 49, ბ. 1. თბილისი.

**მშვენიერებისკენ სწრაფვა ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და ცხოვრებაში. რასაც ვაკეთებ, მსურს, რომ არა მხოლოდ მე, არამედ მეტწილად სხვას მიანიჭოს სიამოვნება. ვმოქმედებ პრინციპით: საუკეთესო არ იკარგება.**

## ქეთევან ერემაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე.



დაიბადა თბილისში 1975 წ. 14 თებერვალს. მშობლები: მაია მიქელაძე, ტელმან ერემაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). იყო საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს წამყვანი სპეციალისტი (1998-99), სასამართლოს თავ-რის მრჩეველი (1999-2001), თავ-რის თანაშემწე (2001-05), სასამართლოს აპარატის უფროსი (2005-06); თსუ მასწავლებელი (2000-05). 2006 წლიდან არის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე; დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები საქართველოში" (2003).

ჰობი: მუსიკა. ვუკრავ ფორტეპიანოზე.

მისამართი: (სამსახურის) კ. გამსახურდიას 10, ბათუმი. ტელ: (99 5) 22 7 00 99; ფაქსი: (+ 99 5) 22 7 61 64. (ბინის) ფანასკერტელის 9, ბ. 37, თბილისი. ტელ: 36 27 83.

**ჩემი ცხოვრების კრედოა საკუთარი პიროვნების მუდმივი განვითარება. ამას ხელს უწყობს შემდეგი პრინციპების დაცვა — შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფულობა, მუდმივი მუშაობა საკუთარი ცოდნისა და განათლების განვითარებაზე, სამართლიანობა, პრინციპულობა, წესიერება, დამოუკიდებლობა, ადამიანების მოსმენის, მათი აზრის გაზიარების უნარი, შეცდომების აღიარების უნარი და ყველა ზემოაღნიშნული პრინციპის ერთგულება.**

## დიმიტრი ერისთავი

საქართველოს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1931 წ. 18 ივნისს. მშობლები: თამარ ქართველიშვილი, ვახტანგ ერისთავი; მეუღლე — ნათელა ერისთავი (1938); შვილი — ზურაბი (სანდრო, 1964). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1956). იყო თსსა გრაფიკის კათედრის პედაგოგი (1967-74); არის პროფესორი 1982 წლიდან; თსსა ილუსტრაციის სახელოსნოს ხელმძღვანელი; კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი მხატვარი (1962 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრების სერიებისა: „ძველი თბილისი", „იების გამყიდველი", „კლასობანა" (1960); „თბილისის ახალგაზრდობა" (1962), „მშრომელები" (1971), „მამაკაცთა გართობანი" (1975), სერიისა მითოლოგიის თემაზე (1977), „ბავშვობის გახსენება" (1980), „გაჩერებული დრო" (1999), „ლანდები" (2000-05); პორტრეტებისა: „მანანა გედევანიშვილი", „მანანა აბაზაძე", „მარინა ქარცივაძე", „ნინო ზაქარიაძე", „ნათელა

ერისთავი", „ნინო სურგულაძე", „კარლო კალაძე", „ვახტანგ გეგელია", „ოთარ ჭილაძე", „გივი გეგეჭკორი" და სხვა; ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების ილუსტრაციებისა: ი.ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!"; შექსპირი, „ჰამლეტი"; შარლ დე კოსტერი, „ტილ-ულენშპიგელი"; დიკენსი, „პიკვიკის კლუბი"; სერგო კლდიაშვილის, ა.სულაკაურის, მ.ელიოზიშვილის, თ.ჭილაძის, რ.ინანიშვილის, რ.ჭეიშვილის, მ.ზოშჩენკოს და სხვათა მოთხრობები (1958-2005). იყო დამდგმელი მხატვარი მხ. ფილმებისა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (რეჟ. თ.აბულაძე); „გიორგობისთვე", „იყო შაშვი მგალობელი", „მთვარის ფავორიტები", „და იქმნა ნათელი" (რეჟ. ო.იოსელიანი); „არაჩვეულებრივი გამოფენა" (რეჟ. ე.შენგელაია); „ყვარყვარე" (რეჟ. დ.აბაშიძე); „გზა მშვიდობისა ჯაყო" , „მწვერვალი" (რეჟ. მ.კოკოჩაშვილი); „კაპიტნები" (რეჟ. თ.გომელაური); „ხვეული კიბით" (რეჟ. მ.თავაძე) და სხვა. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისში (1964; 2002), მოსკოვში (1967; 1975), ბელგრადში (1986), ბათუმში (ს.ერისთავთან ერთად,1995). მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: ა/კ რესპუბლიკების ბიენალე; ქართული ილუსტრაციისა და ესტამპის გამოფენა (სეგ, 1979); საბერძნეთი ქართულ ხელოვნებაში (სეგ, 1998). არის საქ. სახალხო მხატვარი (1985); ახალგაზრდული (1967), სახელმწიფო (1990) და რუსთაველის (2006) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (2000). საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1957 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა (1979) და ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში"(2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); წიგნში — „Грузинское советское искусство".

ჰობი: მეგობრებისა და ცნობილ პიროვნებათა ორეულების სურათების კოლექციონირება.

მისამართი: (სამსახურის) თსსა — გრიბოედოვის 22, თბილისი. (ბინის) ირ. აბაშიძის 17, ბ.9, თბილისი. ტელ: 23 59 11

## ზურაბ ერისთავი



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშემიტურ სამეფოში, ლიბანისა და ერაყის რესპუბლიკებში. დიპლომატი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ზეინაბ კანდელაკი, დავით ერისთავი; მეუღლე — ირინა ერისთავი (1970); შვილები: დავითი (1994), ანა (1996), გიორგი (1999), ნინო (2003). დაამთავრა მოსკოვის საერთაშ. ურთიერთობათა სახელმწ. ინ-ტის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკ-ტი (1989); პარიზის სახელმწ. მართვის საერთაშ. ინ-ტი (1992). მუშაობდა საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე — მეორე მდივნიდან დეპ-ტის დირექტორის მოადგილემდე (1989-95); იყო საქ. სახელმწ. კანცელარიის სახელმწ. მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში (1995-96); ბენილუქსის ქვეყნებში საქ. საელჩოს მრჩეველი, საკონსულო სამსახურის უფროსი (1996-2000); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპ-ტის თურქეთის სამმართველოს უფროსი (2000-01), საერთაშ. ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპ-ტის დირექტორის მოადგილე (2001-04); საფრანგეთში საქ. საელჩოს უფროსი მრჩეველი (2004-07); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშ. ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპ-ტის, კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორებთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსი (2007); საქ. პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში (2007-09). 2009 წლიდან არის საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშემიტურ სამეფოში, ლიბანისა და ერაყის რესპუბლიკებში. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის წოდება. არის საქ. ისტორიულ საგვარეულოთა, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წევრი.

მისამართი: (სამსახურის) Amman 11185, Jordan, P.O.Box 851903, ტელ: + 962 6 5603793; + 962 6 5603819. (ბინის) ნუცუბიძის ფერდობი, V მ/რ, I კორპ. ბ. 17, თბილისი. ტელ: 31 51 20. ელ-ფოსტა: geoemb@orange.jo

**წილად მხვდა, ვიყო ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი. ვცდილობ ღირსეულად ვატარო ღვთისგან ბოძებული ეს მძიმე ჯვარი.**

## ანზორ ერქომაიშვილი



ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი. დირიჟორი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა ბათუმში 1940 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ეთერ და დავით ერქომაიშვილები; მეუღლე — ლალი სეთურიძე (1954); შვილი — დავითი (1984). დაამთავრა თსკ-ს საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1969). იყო საქ. ტელევიზიის ტელეფილმის რედაქციის რედაქტორი, რუსთავის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი; ტელეგადაცემათა ციკლის „100 ქართული ხალხური სიმღერა" წამყვანი; საქ. პარლამენტის წევრი (2008-09). არის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1995). ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ანსამბლებს: „გორდელა" (1961), „რუსთავი", „მართვე" (1976 წლიდან). აღადგინა და ფირფიტებად გამოსცა სხვადასხვა ქვეყნის არქივებში მის მიერ აღმოჩენილი საუკუნის დასაწყისში გრამფირფიტებზე ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები, ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა იშვიათი ნიმუშები. არის ავტორი წიგნებისა: „ბაბუა" (1980), „შავი შაშვი ჩიოდა" (1989), „ხმა უცნაური" (1999); სტატიებისა: „ორი ანსამბლის ისტორია" („ხელოვნება", 1978); „ძველი სიმღერების კვალდაკვალ" („ხელოვნება", 1979); „დომო არიგატო" („ცისკარი", 1989); „უკანასკნელი ინტერვიუ", „ქართული სიმღერის მოამაგე" („ლიტერატურული საქართველო", 1994) და სხვა; სანოტო კრებულებისა: „ქართული ხალხური სიმღერების კრებული" I (1972), II (1980). მუსიკალურად გააფორმა მრავალი კინოფილმი და სპექტაკლი. არის მრავალი საერთაშ. მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი; ზ.ფალიაშვილის, ი.გოგებაშვილის, ა.შვაიცერის („რუსთავთან" ერთად) ე.თაყაიშვილის, ი.ჭავჭავაძის, ივ.ჯავახიშვილის პრემიებისა და სტუდენტთა და ახალგაზრდობის მუსიკალური ფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი. მისი ბიოგრაფია შესულია საქ. თითქმის ყველა ენციკლოპედიურ ცნობარში, ოქსფორდის ბიოგრაფიულ ცნობარში (1994).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (ბინის) აბანოს 21, თბილისი 0105. ტელ: 98 87 60.

## რეზო ესაძე



კინორეჟისორი. მწერალი. მსახიობი. მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა ოზურგეთში 1934 წ. 18 თებერვალს. მშობლები: დარეჯან შავიშვილი (დიასამიძე) ესაძე, პარმენ ესაძე; მეუღლე —ციცინო ესაძე (1946); შვილები: თეიმურაზი (1963), კონსტანტინე (მინდია, 1972), მამუკა (1975). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1956); კინემატოგრაფისტთა საკავშირო ინ-ტის (ВГИК) სარეჟისორო ფაკ-ტი (მიხ.რომის სახელოსნო, მოსკოვი, 1965). იყო XX საუკუნის კინოს და ლენინური სტიპენდიანტი (1961); თსუ ფიზიკის კათედრის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1955-57); თსუ იუმორისტული გაზ. „ჭინჭრაქას" რედაქტორი; თბილისის 23-ე საშ. სკოლის ფიზიკისა და ასტრონომიის მასწავლებელი (1956-58); კ/ს „ქართული ფილმის" (1960; 1974-89) და „ლენფილმის" (1965-74) რეჟისორი; საქ. ტელეფილმების სტუდიის რეჟისორი (1972); გაერთიანება „დებიუტის" მხ. ხელმძღვანელი (1979-89). 1989 წლიდან არის სტუდია „+1"-ის სამხ. ხელმძღვანელი; თსთი — სრული პროფესორი. არის დამდგმელი რეჟ. ფილმებისა: „ფრო" (1964-65), „ერთი ახალგაზრდა ცხოვრების ოთხი ფურცელი" (ლენფილმი, 1967), „წამმზომი" (ლენფილმი — სპეც. პრიზი რიგის საერთაშ. ფესტივალი,1969-70); „წკიპურტები" (1972, წლის საუკეთესო უცხ. ფილმი — უნგრეთი, 1976); „ბებერი მოჭიდავეები" (დოკ/ფ.1972), „ერთი ნახვით შეყვარება" (ლენფილმი,1973-74; როტერდამის საერთაშ. კინოფესტივალის გრან-პრი, 1989); „წისქვილი ქალაქის გარეუბანში" (სც. ავტ. რ. ინანიშვილი, რ. ესაძე, 1981), „ნეილონის ნაძვის ხე" (1984, როტერდამის საერთაშ. კინოფესტივალის გრან-პრი, 1986, აველინოს საერთაშ. კინოფესტივალის გრან-პრი, 1987), „ჭერი" (1991-2003 — ჟიურის პრიზი მომავლის კინოენის ძიებისათვის, რუსეთის კინოკლუბების ფედერაციის დიდი პრიზი კინოფესტივალზე „XXI საუკუნის კინო", 2004). შესრულებული აქვს 15 მთ. და ეპიზოდური როლი ფილმებში: „ერთი წლის 9 დღე" (რომი); „წკიპურტები", (რ.ესაძე); „ქალაქი ანარა" (ი.კვირიკაძე); „ბეღურების გადაფრენა" (თ.ბაბლუანი); „თბილისი-პარიზი-თბილისი" (ლ.აბაშიძე); „დამსვენებლების დღიური"(ნ. გუბენკო); „ერთი ნახვით შეყვარება"( რ.ესაძე) და სხვა. არის რამდენიმე ფილმის სცენარის ავტორი;

გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „ლექსები" (2001), „რაშის მონოლოგი" (2003) და წიგნი-სახელმძღვანელო „ბაილონი" — ფიქრები კინორეჟისურის შესახებ (2008). არის რამდენიმე ასეული გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრის ავტორი; გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისი (1986,1987,1997), მიუნჰენი („ეიზენშტეინიდან ტარკოვსკიმდე",1987); ჟენევა (ლენბახჰაუზი,1987), მოსკოვი (1996), თელ-ავივი (1999). არის საქ. კომკავშირის და საქ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი(1976-77); საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1978); ღირსების ორდენის კავალერი (1995); რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2006); რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშ. ფესტივალების პრიზების მფლობელი. დაჯილდოებულია კემბრიჯისა და ვაშინგტონის საერთაშ. კატალოგების საპატიო ორდენით — „რჩეული"; არის რუსეთისა და საქ. კინემატოგრაფისტთა და მხატვართა კავშირების წევრი (1966, 1986); კემბრიჯის, ვაშინგტონის, მიუნხენის „ლენბახჰაუზის" საერთაშ. კატალოგების საბჭოს საპატიო წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: საერთაშ. ბიოგრაფიული ცენტრი (IBC. კემბრიჯი, ვაშინგტონი), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: შვილიშვილებთან გართობა. ბალის მოვლა.
მისამართი: (ბინის) გოძიაშვილის II შეს., კორპ.143, ბ.19, ვაშლიჯვარი, თბილისი. ტელ: 52 85 39; 899 51 46 38.
**ჰუმანური, უშუალო, მიმტევებელი და პრინციპული. არ არსებობს უინტერესო და უნიჭო ერი. ცხოვრება ამითაა მიმზიდველი და საინტერესო: ცხოვრება ერთად და ცალცალკე. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თავსმოხვეულმა სტანდარტებმა არ ჩაახშოს ერების პიროვნულობა. ქართველი ერის ეზოთერიულობა ვერ იტანს სტანდარტებს, ერთი შეხედვით, რაც არ უნდა ის მიმზიდველი იყოს, მზად ვარ სიცოცხლე ვანაცვალო საქართველოს ნათელ მომავალს. ვცდილობ ყველაფერი რასაც ვაკეთებ, გავაკეთო ღვთისმოსაობის სფეროში.**

## ექვთიმე (ლეჟავა)



გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსი.

დაიბადა 1953 წ. 25 იანვარს. მშობლები ელენე გიორგობიანი, გიორგი ლეჟავა. დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1975). 1975 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა სამსახურში თავისი პროფესიით (არქიტექტურა, დიზაინი). 1990 წელს აღიკვეცა ბერად; აკურთხეს მღვდლად (1991); ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (2003). 2003 წლიდან არის გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსი. დაჯილდოებულია უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს მიერ წმ. გიორგის ორდენით (2008). 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) გურჯაანის საკათედრო ტაძარი, რუსთაველის შეს. 1, გურჯაანი 5100. ტელ: (995) 206 21 44; 899 19 43 03.

## ზურაბ ვადაჭკორია



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი.
ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 16 იანვარს. მშობლები: თამარ სხვიტარიძე, ოთარ ვადაჭკორია; მეუღლე — მარინა მამალაძე (1957); შვილები: დეა (1977), ოთარი (1987). დაამთავრა თსსი სტომატოლოგიის ფაკ-ტი (1979), ასპირანტურა (1982). 1982 წლიდან არის თსსუ ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის დეპ-ტის ხელმძღვანელი, ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. იყო თსსი სტომატოლოგიის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე სამეცნ. დარგში (1985-89), დეკანი (1991-97); საქ. სნავლულ ექსპერტთა საბჭოს საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით თსსუ-სთან შექმნილი ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს სნავლული მდივანი (1997-2000); თსსუ პრორექტორი საერთაშ. ურთიერთობების დარგში (1997-2004); საქ. სტომატოლოგთა ასოც-ის პირველი პრეზიდენტი (1997-2004); თსსუ სადისერტაციო საბჭოს თავ-რე (2001-07). 1994 წლიდან არის სახისა და ყბების განვითარების თანდაყოლილი მანკების ბავშვთა დისპანსერიზაციის, მკურნალობის და რეაბილიტაციის ნაც. ცენტრის ხელმძღვ. (საზ-ბრივ სანყისებზე); 2009 წლიდან არის თსსუ რექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პირის ღრუს ჰემანგიომების მკურნალობა ბავშვებში" (მოსკოვი, 1983); სადოქტორო — „სახის თანდაყოლილი ნაპრალის მქონე ბავშვების სამედიცინო რეაბილიტაციის ძირითადი ასპექტები" (1997). არის 70-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის და 1 მონოგრაფიის ავტორი, სახელმძღვანელოს თანაავტორი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 20-ზე მეტი საერთაშ. კონგრესი, კონფერენცია, „ვორქ-შოფი".
ჰობი: თეატრი
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა ფშაველას გამზ. 33, თბილისი 0177. ლიუბლიანის 21, თბილისი 0159.
ტელ: 54 24 44; 51 73 25; ფაქსი: 54 24 41; ელ-ფოსტა: vadachkoria@tsmu.edu
**ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მიფიქრია, რა იყო ჩემი ცხოვრების მრწამსი და ძირითადი მისწრაფება. სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად ვაყალიბებდი მას, ვფიქრობდი — ასაკთან ერთად ადამიანის ცხოვრებისეული კრედოც იცვლება, რადგან თითოეულ ჯერზე სხვადასხვა სიტყვებით და ფრაზით გამოვხატავთ მას. გავიდა წლები და, როცა ცხოვრების მრწამსის ჩემეული განმარტებების დინამიკას გადავავლე თვალი, ლამაზი სიტყვები ჩამოვაშორე და დავფიქრდი, მივხვდი — თურმე ორმოცდაათი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი პრინციპით მიცხოვრია: — ვყოფილიყავი ჩემი საქმის და პროფესიის სამსახურში, თაყვანი მეცა მისთვის, გამეღო თითქმის ყველაფერი, მაგრამ ისე, რომ შემრჩენოდა სულიერი სილაღე და არ დამეშვა თავისუფლების თვითმკვლელობა.**

## კონსტანტინე ვარდელი



მუსიკოს-შემსრულებელი — მევიოლინე. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ლენინგრადში 1939 წ. 15 მაისს. მშობლები: ლუსია და პეტრე ვარდანიანები; მეუღლე — ნატალია ბადრიძე (1955); შვილები: გიორგი (1966), ირინა (1973), ეკატერინე (1987). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (1963). მუშაობდა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიაში (1963-93). იყო საქ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტისა (1966 წლიდან) და საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის მევიოლინე (ქ.ინგოლშტადტი, გერმანია, 1993 წლიდან). არის ზ.ფალიაშვილის სახ. პრემიისა და ლ. ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (საქართველოს სახელმწ. სიმებიან კვარტეტთან ერთად); რესპუბლიკის სახალხო არტისტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
**ქრისტიანულად იცხოვრო და შეასრულო ბიბლიის კანონები. თუმცა ყველანი ცოდვილები ვართ და მათ შორის მეც. მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი პატიოსანი ქრისტიანი ვყოფილიყავი. ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რა თქმა უნდა მუსიკის შემდეგ, ხალხთან ურთიერთობა, რისი ნაკლებობაც არასოდეს მიგრძვნია.**

## თამაზ ვარვარიძე



მხატვარი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 28 ივლისს. მშობლები: მარიამ კირვალიძე, ირაკლი ვარვარიძე; მეუღლე — სოფიო კინწურაშვილი (1948); შვილები: ალექსანდრე (1974), ირაკლი (კოკო, 1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ბა (1970). იყო ი.ნიკოლაძის სახ. სამხ. სასწავლებლის პედაგოგი (1989-93). 2001 წლიდან არის თსსა გრაფიკის კათედრის პლაკატის სახელოსნოს ხელმძღვანელი; ამავე კათედრის გამგე (2005 წლიდან); 2006 წლიდან — სრული პროფესორი, გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წევრი. 1968 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში: ბრისტოლი (ინგლისი, 1998); კავკასიის რეკლამის საერთაშ. ფესტივალი (თბილისი 2001, 2002); "Through Art To Peace" (ქარვასლა, თბილისი, 2002); "Points of View", 23 ქართველი მხატვარი (ლონდონი, 2004); "Art Caucasus", საერთაშორისო ვიზუალური არტ ექსპო (თბილისი, 2004, 2005); გრაფიკის საერთაშორისო ტრიენალე (კრაკოვი, პოლონეთი, 1991, 1997, 2006); "Artists from Georgia", (GeWoBau Gallery, მარბურგი, ფრანკფურტი, 2008); Gallery Plaza Dali (მადრიდი, 2009). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: ბრნოს გრაფიკის საერთაშორისო ბიენალე (1978, 1980, 1982); ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიენალე "Art of Today II" (უნგრეთი, 1987); ქართული ავანგარდი (სანკტ-პეტერბურგი, 1989); I საერთაშორისო ესტამპის გამოფენა — Junifer Gallery (კალიფორნია, აშშ, 1992); "MEGAUNIVERSE" გალ. "TMS" (თბილისი, 1995); ქართული კულტურის ცენტრი „მზიური" (მოსკოვი, 1992); "Modern Art Centre Tessandra", გალ. TMS (თბილისი, 1996); International Images Art Gallery (სევიკლი, აშშ, 1997). მისი ნამუშევრები დაცულია: სეგ-ში, ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში (ნიუ ჯერსი, აშშ); International. Images გალერეაში (აშშ); ქ.ლისტოუელში — გრაფიკული დიზაინის ნაციონალური კოლექცია (ირლანდია); კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია); ნორტონ დოჯის (აშშ); გერდა ფონ ჰოფის (გერმანია) და სხვ. კერძო კოლექციებში. მიღებული აქვს გრაფიკის საერთაშ. ბიენალეს ბრინჯაოს მედალი (ბრნო, 1980), მედლები წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1984, 1988); არის CIFA — რეკლამის კავკასიის სერთაშ. ფესტივალის ლაურეატი; წიგნის IV ფესტივალის გამარჯვებული (საუკეთესო მხატვრული გაფორმება, 2002). არის მხატვართა კავშირის წევრი (1974 წლიდან); გრაფიკული დიზაინის ასოც-ის პრეზიდენტი (1997 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (1996-97, 1998-99, 2001-02), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის ქ. 39ა, ბ.13. ტელ: 22 22 93.

ელ-ფოსტა: tamaz@varvaridze.com ; www.tamaz.varvaridze.com

## ავთანდილ ვარსიმაშვილი



რეჟისორი. ა.გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი. „თავისუფალი თეატრის" მეპატრონე და სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: რიმა მოსეშვილი, ედუარდ ვარსიმაშვილი; მეუღლე — ელისაბედ ორჯონიკიძე (1967); შვილები: გიორგი (1986), მარიამი (1988). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1981). იყო რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1980-93); „კავკასიის ტელერადიო კომპანიის" გენ. დირექტორი და სამხატ. ხელმძღვ. (1993-95); „თეატრალური სარდაფის" დამფუძნებელი და დირექტორი (1996-98). 1999 წლიდან არის ა.გრიბოედოვის სახ. სახელმწ. დრამატული თეატრის მმართველი და სამხატ. ხელმძღვ. და თეატრის საერთაშ. ინ-ტის (ITI პარიზი, იუნესკო) საქ. ბიუროს ხელმძღვ. არის „თავისუფალი თეატრის" მმართველი და სამხატვრო ხელმძღვ. (2001 წლიდან); საქ. პრეზიდენტის კულტურის საბჭოს თავ-რე (2006 წლიდან); თსთი პროფესორი. დადგმული აქვს სამოცზე მეტი სპექტაკლი, მათ შორის: „მშვენიერი ქართველი ქალი", „ათვინიერებენ მიმინოს", „კვაჭი კვაჭანტირაძე" და სხვა (რუსთაველის თეატრი); „სიკვდილის როკვა", „ჰამლეტი" და სხვა („თეატრალური სარდაფი"); „ტერეზა რაკენი", „რუსული ბლუზი", „ოსტატი და მარგარიტა" და სხვა (გრიბოედოვის თეატრი); „კომედიანტები", „ძმე-

ბი", „კავკასიური ცარცის წრე" და სხვა („თავისუფალი თეატრი"); გადაღებული აქვს მხ. ფილმები: „თვინიერი", „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", „იდიოტოკრატია", „ყველაფერი კარგად იქნება"; სატელევიზიო ოცდაათსერიანი მხ. ფილმი „სახლი ძველ უბანში". არის საქ. სახელმწ. (1999) და მარჯანიშვილის (2001) პრემიების ლაურეატი; რუსეთის „მეგობრობის ორდენის" კავალერი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 2, თბილისი. ტელ: 93 31 15. (ბინის) ი.აბაშიძის 64, თბილისი. ტელ: 22 20 16; ელ-ფოსტა: a.vars@rambler.ru
„ყველაფერი კარგად იქნება"...

## ლევან ვარშალომიძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

დაიბადა ბათუმში 1972 წ. 17 იანვარს. მშობლები: დოდო და გურამ ვარშალომიძეები. დაამთავრა კიევის უნ-ტის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნ. ხარისხით (1994); კიევის უნ-ტის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის ასპირანტურა. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხი სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო საპროცესო სამართლის, საოჯახო სამართლისა და საერთაშ. კერძო სამართლის სპეციალობით (1999). იყო საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივი დეპ-ტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი (1998-2000); საქ. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპ-ტის თავ-რე (2000-02); საქ. ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპ-ტის დირექტორი (2002); საქ. სახელმწ. და სამართლის ინ-ტის საერთაშ. კერძო სამართლის განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი (2002); სოლიდარული პასუხისმგებლობის საზ-ბის — „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე" პარტნიორი (2002-04); შპს „საქართველოს რკინიგზის" გენ. დირექტორი (2004). 2004 წლიდან არის საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული აჭარის ა/რ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავ-რე. არის ავტორი პუბლიკაციებისა: „უნიდრუას როლი საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიკაციაში", „ფაქტორინგული ოპერაციების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები", „საერთაშორისო კერძო სამართალი — აქტუალური პრობლემები". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) კ.გამსახურდიას 9, ბათუმი 6010. ტელ: 888 222 72006; ფაქსი: 888 222 77300; ელ-ფოსტა: Lvarshalomidze@adjara.gov.ge

## აკაკი (კაკო) ვაშალომიძე



მუსიკოსი. კომპოზიტორი. გიტარისტი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: ეთერ ხმალაძე, შალვა ვაშალომიძე; მეუღლე —მარიამ ესიტაშვილი (1970); შვილები: მაია (1978), სალომე (1986), თამარი (1991), შალვა (1998). დაამთავრა სპი; კლასიკური გიტარის სპეც. ათწლიანი სკოლა. არის პროფესიონალი გიტარისტი (ელ. გიტარა, აკუსტიკური კლ. გიტარა, ბანჯო). იყო მუსიკალური ჯგუფების: ვია „ცისკარი" (1968); როკ ჯგუფი „ანტპელიონსი" (1970); სპი ორკესტრი (1974); ვია „კოლხეთი" (1978); ანსამბლი „ენგური" (1982); როკ ტრიო „დელტა" (1984); ჯაზ ტრიო „რეტრო" (1986); როკ ჯგუფი „ოკეანე" (1989); რადიოტელევიზიის ორკესტრი (1992); „თბილისის დიქსილენდი" (2002); ჯაზ კვინტეტი „ნოსტალგია" (2003); „კ. ვაშალომიძის მოდერნ როკ ჯგუფი"(2005) წევრი. არის II მუს. სასწავლებლის, ხელოვნების ინ-ტის, საესტრადო სასწავლებლისა და ინტერნაც. სკოლის — QSI პედაგოგი. ჩაწერილი აქვს სოლო ალბომები: „მე-6 გრძნობა", „ისევ შენ", „რეტროდან როკამდე", „ცხელი გული", „ოქროს კრებული", „რომანტიული გიტარა", „კინო მუსიკა" და სხვა (1983-2009). ავტორია მუსიკისა ფილმებისათვის: „დეზერტირი", „ჩვეულებრივი ამბავი", „თოვლის ბაბუა", „ეს საქართველოა", „ორმაგი სახე", „არის ასეთი ქვეყანა", „მებრძოლთა დღე", „უკანასკნელი მაძიებელი", „გონის სუვერენობა". არის მრავალი ფესტივალის მონაწილე: ნიდერლანდები (1976); I საკავშირო

როკ-ფესტივალი „თბილისი" (1980); ხელოვნების ფესტივალი „კურსკი 81"; ხელოვნების ფესტივალი „ვინიცა 81"; „ლიტვა-ვილნიუსი 91"; თბილისი „ლიგა 96"; გიტარის I საერთაშ. ფესტივალი (1998); საერთაშ. ჯაზ-ფესტივალი (2003) და სხვა. დასახელებულია „ლიგა 96"-ის საუკეთესო როკ-შემსრულებლად. არის ფესტივალის „ეროვნული მადლი-2003" ოქროს მედლის მფლობელი; როკ-ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1993); პროფესიონალთა ლიგის წევრი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ს. ლომაძის წიგნში „ქართული როკის ისტორია"; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ყველაფერს მირჩევნია ჩემს შვილ შაკოსთან ერთად თამაში და მოდელებისა და კონსტრუქტორების აწყობა.
**რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.**

## გრიგოლ ვაშაძე



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 19 ივლისს. მშობლები: ელენე ბაქრაძე, ნოდარ ვაშაძე; მეუღლე — ნინო ანანიაშვილი (1963); შვილები: ნოდარი (1979), ელენე (2006). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. საერთაშორისო ურთიერთობათა ინ-ტის საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი (1981); მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა (1991). იყო სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშ. ორგანიზაციების განყ-ბის, შემდგომში კოსმოსის და ბირთვული შეიარაღების განყ-ბისა (1981-88) თანამშრომელი. დაკავებული იყო კერძო ბიზნესით — ხელმძღვანელობდა კომპანიებს „Georgia Arts Management" და „Gregory Vashadze and BR" (1990-2008); იყო საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2008); საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი (2008-09). 2009 წლიდან არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის წოდება.
ჰობი: თეატრი, თანამედროვე ფერწერა, ბიბლიოფილია, კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ჩიტაძის 4, თბილისი 0118. ტელ: 28 47 47.
**ოჯახი და საქართველო.**

## მაია ვაჩაძე



უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. იუსტიციის მრჩეველი. სამართალმცოდნე.

დაიბადა ამბროლაურში 1962 წ. 29 აპრილს. მშობლები: გუგულა ბედენაშვილი, ბენიამინ ვაჩაძე; მეუღლე — პაატა დათეშიძე (1962); შვილები: შოთა (1994), ნიკა (1996). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). არის თბილისის ეკონ. ურთიერთობათა სახელმწ. უნ-ტის დოქტორანტი; იყო იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს კონსულტანტი; საქ. კანონთა წიგნის რედაქტორი; საზ-ბრივი ორგანიზაციების რეგისტრაციის განყ-ბის უფროსი; საერთაშ. სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი (1984-95); თბილისის გლდანის რ-ნის ადმინისტრაციული მოსამართლე (1995-99); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). არის საპროცესო კოდექსის კომენტარების თანაავტორი (2005); მოსამართლეთა ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ოჯახი და შვილები.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი. ტელ: 92 10 51.
**პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, პუნქტუალობა, ღიმილი და ზომიერება, მოთმინება, პატიოსნება, სამართლიანობა, საკუთარი აზრის გამოთქმა მხოლოდ მაშინ, როცა საკითხზე ღრმა ცოდნა გაგაჩნია, მოსმენის უნარი, ობიექტურობა, პრინციპულობა და შეცდომების აღიარება.**

## ნიკოლოზ ვაჩეიშვილი



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი. ხელოვნებათმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 26 მაისს. მშობლები: ალისა თოლორდავა, გივი ვაჩეიშვილი; მეუღლე — ცისია კილაძე (1975); შვილი — ელენე (2002). დაამთავრა თსსა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტი (1990). იყო გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, უფრ. მეცნ. თანამშრომელი; საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, I მოადგილე, მინისტრი (2004-08). 2009 წლიდან არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჯავახეთის X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრება" (1997). გამოცემული აქვს ნაშრომი „ჯავახეთის ისტორიის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში".
ჰობი: ფოტოგრაფია.
მისამართი: (სამსახურის) ათონელის 2, თბილისი. (ბინის) ყაზბეგის 17, თბილისი. ტელ: 72 91 63.
**„წარსული მომავლისათვის".**

## ნიკოლოზ ვახანია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1930 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: თამარ კვიმსაძე-ვახანია, ნიკოლოზ ვახანია; მეუღლე — ციალა მაისურაძე-ვახანია (1930); შვილები: ზურაბი (1955), ნოდარი (1961). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1954) ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ასპირანტურა (1957). იყო ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტის დირექტორი (1979-2006); თსუ დოცენტი, პროფესორი, ფაკ-ტის დეკანი, შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგე (1964-2006). 1957 წლიდან მუშაობს გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტში, არის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სასაზღვრო ამოცანები სიმის რხევის განტოლებისათვის სწორკუთხოვან არეებში" (1958); სადოქტორო — „წრფივ სივრცეებში ალბათურ განაწილებათა თეორიის საკითხები" (1969). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, რომლებიც ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა „ნორთ ჰოლანდისა" და „რეიდელის" გამომცემლობების მიერ (1981, 1987); კითხულობდა ლექციებს უცხოეთის წამყვან უნ-ტებში; მონაწილეობს სამეცნ. კონფერენციებში (1970 წლიდან). არის საქ. და უცხოეთის სამეცნ. ჟურნალებისა და სხვა სამეცნ. გამოცემების სარედაქციო კოლეგიების, აგრეთვე სამეცნ. საზ-ბების წევრი. არის ენციკლოპედია „საქართველოს" მთ. სამეცნ. საბჭოს წევრი და მათემატიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი ნ.მუსხელიშვილისა (1992) და ა.რაზმაძისა სახ. პრემიების ლაურეატი (1992, 2003); ივ.ჯავახიშვილის ორი მედლის მფლობელი (1976, 2000); ღირსების ორდენის კავალერი (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საცნობარო-ენციკლოპედიური ხასიათის ლიტერატურა. ქართული, რუსული და ინგლისური ენების ლინგვისტური ხასიათის ზოგადი საკითხები. ჭადრაკი.
მისამართი: (სამსახურის) აკურის 8, თბილისი. ტელ: 33 24 38. (ბინის) ყაზბეგის 8ა, ბ. 6. თბილისი.
ტელ: 38 36 23. ელ-ფოსტა: vakhania@acnet.ge; nvakhania@yahoo.com
**დიდი წარმატების მისაღწევად აუცილებელი პირობაა საქმის დიდი სიყვარული, სიამოვნების მიღების უნარი არა მარტო მიღწეული წარმატებითა და მისი შედეგებით, არამედ აგრეთვე თვით მუშაობის პროცესით. მუშაობა კი უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ღმერთი ნიჭსა და უნარს თანაბრად არ უნაწილებს ადამიანებს, მაგრამ იმდენს არავის აძლევს, რომ დიდი შრომის გარეშე დიდი წარმატების მოპოვება შეიძლებოდეს.**

## აბესალომ ვეკუა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გეოლოგი-მინერალოგი.

დაიბადა ფოთში 1925 წ. 1 ნოემბერს. მშობლები: ნადეჟდა ტყებუჩავა, კაპიტონ ვეკუა; მეუღლე — იზოლდა ენუქიძე (1932); შვილები: ლალი (1961), ზაზა (1962). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1956). იყო საქ. მეცნ. აკად-ის პალეობიოლოგიის ინ-ტის მხაზველი (1956-57); უმც., უფრ. მეცნ. თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე (1957-79), ხერხემლიანთა განყ-ბის ხელმძღვანელი (1979 წლიდან); საქ. ეროვნ. მუზეუმის მთ. მეცნ. თანამშრომელი. არის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ახალქალაქის პლეისტოცენურ ძუძუმწოვართა ფაუნა" (1961); სადოქტორო — „Квабебская фауна акчагыльских позвоночных" (1969). გამოქვეყნებული აქვს 229 სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია. არის ღირსების ორდენის კავალერი (2001); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004); ფაზისის აკად-ის აკადემიკოსი; საქ. ტერიოლოგიური საზ-ბის პრეზიდენტი (1995 წლიდან); ფოთის საპატიო მოქალაქე (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).

მისამართი: (სამსახურის) ფურცელაძის 3, თბილისი. ტელ: 899 17 55 00 (ბინის) გოთუას 16, ბ. 4, თბილისი. ტელ: 38 64 08.

**ვაკეთო სამშობლოსა და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე, რაც ძირითადად სამეცნიერო მოღვაწეობით შემოიფარგლება.**

## მარიკა ვერულაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი. ჟურნალისტი.

დაიბადა ყვარლის რ-ნის სოფ. ახალსოფელში 1971 წ. 19 მარტს. მშობლები: გულნაზი და ვალოდია ვერულაშვილები; შვილი — სალომე ცნობილაძე (1993). დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი. იყო საქ. ტელე-რადიო კორპორაციის ინფორმაციის მთ. რედაქციის პროგრამა „მაცნე"-ს კორესპონდენტი (1994-97); საქ. მთ. სამხედრო პროკურატურის პრესცენტრის განყ-ბის პროკურორი (1997-2000); საქ. იუსტიციის სამინისტროს პრესისა და საზ-ბასთან ურთიერთობის დეპ-ტის უფროსი (2000-01); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრესისა და საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (2001); თბილისის საკრებულოს თავ-რის პრეს-მდივანი (2002-03); საქ. პრეზიდენტის თანაშემწე (2003-04). ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები (2000). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა"და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8,თბილისი 0118. ტელ: 28 26 07. (ბინის) ნუცუბიძის III პლატო, 3 მ/რ, კორპ. 5, ბ. 2, თბილისი. ტელ: 32 08 79.

**ერთგული ვიყო ჩემი ქვეყნის და ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისათვის, ვაკეთო სიკეთე და ყოველთვის ვთქვა სიმართლე.**

## ლევან ვეფხვაძე



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
მათემატიკოსი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 4 ოქტომბერს. მშობლები: ნელი ტურძელაძე, თეიმურაზ ვეფხვაძე; მეუღლე — ნათია ჩიქოვანი (1974); შვილები: მარიამი (2000), ვახტანგი (2004). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1996); თსუ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკ-ტი (1997). იყო თსუ სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრეზიდენტი (1995-97); ევრაზიის სტუდენტთა ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი (1996-97); სმკ პრეს-მდივანი (1998-99); საქ. ევროატლანტიკური ასოც-ის აღმას. მდივანი (2000-01); TBC-TV სტუდიის გადაცემის „რას ფიქრობს ხალხი" მთ. კონსულტანტი (2001-02); ტ/კ „მზის" საინფორმაციო გადაცემის — „მზერა" პროდიუსერი (2002-03); ტ/კ „იმედის" საკვირაო გადაცემის — „დროება" პროდიუსერი (2002-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი; საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილე. 2008 წლიდან ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გენ. მდივანია.
ჰობი: სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 50.
**„ჟამი არს ნგრევის, ჟამი შენების".**

## ოთარ ვეფხვაძე



მხატვარი.

დაიბადა ბორჯომში 1953 წ. 13 აპრილს. მშობლები: ნათელა ბუჩუკური, რუბენ ვეფხვაძე; მეუღლე — ია გიგოშვილი (1957); შვილები: გიორგი (1979), ერეკლე (1983). დაამთავრა თსსა კერამიკის განყ-ბა (1975). იყო თსსა პედაგოგი (1990-92); ფენიქსის სამხატვრო უნ-ტის პედაგოგი (არიზონის შტატი, აშშ,1991). 2003 წლიდან მუშაობს ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინერად. არის ავტორი ნამუშევრებისა: „გაზაფხული" (1978), „ჰელლადოს" (პანო მიუსერას სამთავრ. აგარაკისათვის, 1986); „გელათი" (პიკასოს ვერცხლის მედალი ვალორისის კონკურსზე, 1981); დეკორატიული ლარნაკი (პრიზი საუკეთესო კერამიკისთვის, ერფრუტი, 1982); „უკვდავება"(1984); კერამიკული ნაწარმოებები (სასტ. „გუდაური" 1986); მონაწილეობდა მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურის — „პეტროვსკო-რაზუმოვსკის" (1989); „ამბასადორის", „მარკო პოლოს", „ლესელიძის 55", „კაფე გალერის" გაფორმებაში. იყო დამდგმელი მხატვარი ფილმებისა „მაცგი" (რეჟ. მ.თავაძე, 1986), „ხვეული კიბით" (რეჟ. მ.თავაძე, 2000). გამართული აქვს გამოფენები: თბილისი (1984, 1990); ექსპრეს ავანგარდ გალერეა (ნიუ-იორკი, 1990); ევროპის აკადემია ოტცენჰაუზენი (გერმანია, 1993), Dagstul Palace, (საარლანდი, გერმანია, 1993); თეატრი „გრილო", „ბალდენ პალასი" (ესენი, გერმანია, 1994; 1995). არის საერთაშ. კერამიკის სიმპოზიუმის „კლეი ოფისის" მონაწილე (2009); „პირველი ქართული კერამიკის ფესტივალის" ორგანიზატორი (ეროვნ. გალერეა, 2009-10). მისი ნამუშევრები დაცულია: სეგ-ში, ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში, აღმ. ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი), ბუდაპეშტის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, „ექსპრეს-ავანგარდ გალერეაში" (მოსკოვი) და სხვა. არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1976). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მევენახეობა.
მისამართი: (ბინის) თელეთის ქ. 4, თბილისი 0105. ტელ: 75 11 82.
**ხელოვნება და სიყვარული.**

## პაატა ვეშაპიძე



გაზეთ „24 საათის“ გამომცემელი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 14 თებერვალს. მშობლები: ეთერ ირემაშვილი, ოთარ ვეშაპიძე; მეუღლე — ნანა ხომასურიძე (1955); შვილები: დავითი (1980), ოთარი (1983). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო გამომცემლობა „განათლების“ რედაქტორი (1980-84); თბილისის მე-6 გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1984-93); გაზეთ „კავკასიონის“ ჟურნალისტი (1993-95) და მთ. რედაქტორი (1995-97); გაზეთ „ახალი განათლების“ მთ. რედაქტორი (1998-2002); გაზეთ „24 საათის“ მმართველი რედაქტორი (2002-04). 2005 წლიდან არის გაზეთ „24 საათის“ გამომცემელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: შვილიშვილთან თამაში.
მისამართი: (სამსახურის) ი.გამრეკელის 51, თბილისი 0168. ტელ: 20 24 24, ფაქსი: 31 93 86; (ბინის) აგლაძის 26, თბილისი. ტელ: 35 46 28. ელ-ფოსტა: pveshapidze@24hours.ge
**ყველა საქმე სიყვარულით უნდა აკეთო.**

## ელისო ვირსალაძე



მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 14 მარტს. მშობლები: დარეჯან კავკასიძე, კონსტანტინე ვირსალაძე; მეუღლე — იური ბეროზაშვილი (1937); შვილი — დარეჯანი (1978). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის ფორტეპიანოს ფაკ-ტი (ანასტასია ვირსალაძის კლასი, 1965); მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორიის ასპირანტურა (ლევ ობორინის კლასი,1968). 1959 წლიდან იყო თბილისის, 1977 წლიდან — მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი. მუშაობს მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორიაში. იყო იაკობ ზაკის ასისტენტი (1967 წლიდან); პროფესორ ლევ ვლასენკოს კათედრის დოცენტი; არის ამავე კათედრისა (1994 წლიდან) და მიუნჰენის კონსერვატორიის (1995 წლიდან) პროფესორი. რეგულარულად მართავს კონცერტებს მოსკოვის, პეტერბურგის, ლონდონის, მილანის, რომის, პარიზის, ლისაბონის, ბერლინის, ბარსელონისა და სხვა საკონცერტო სცენებზე. არის ახალგაზრდობის საერთაშ. ფესტივალის (ვენა, 1959), პ.ჩაიკოვსკის საერთაშ. (მოსკოვი, 1962) და შუმანის (გერმანია, 1966) კონკურსების ლაურეატი; საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი; რუსეთის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2000); რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია ორდენით "За заслуги перед отечеством IV степени" (2007). არის მრავალი საერთაშ. კონკურსის ჟიურის წევრი. მათ შორის: მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის, თელ-ავივის რუბინშტეინის სახელობის და სხვა. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: უცხო ენების შესწავლა (პოლონური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური). მხატვრული ლიტერატურა.

## ნინო ზაალიშვილი



საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი. ხელოვნების განვითარების ცენტრის — „არტ არსის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მხატვარი. ხელოვნებათმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 1 დეკემბერს. მშობლები: თინათინ დვალი, სოსო ზაალიშვილი; მეუღლე — კარლო ფაჩულია (1942); შვილი — ირაკლი (1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ბა (1970); გაიარა სტაჟირება ხელოვნებათმცოდნეობის განხრით პეტერბურგის ი.რეპინის სახ. ინ-ტში (1975). იყო საქ. ტელევიზიის მხატვარი (1970-72); თსსა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის პედაგოგი, დოცენტი (1972 წლიდან). 2007 წლიდან არის თსსა ბიბლიოთეკის და საგანმანათლებლო პროექტების ხელმძღვანელი. არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი — თემა: „ქართული სახვითი ხელოვნების შექსპირიანა" (2009). დასურათებული აქვს შექსპირის, იაკობ ცურტაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ა.ლინდგრენის, ა.სულაკაურის, ჯ.მ.ბარის, ძმ.გრიმების და სხვათა ნაწარმოებები; ქართული ზღაპრები. არის ავტორი ნაწარმოებებისა: „ანამარიას ფერად ფერადი ამბები"; რადიოპიესა „სიყვარული კონსიერჟერიში"; მოთხრობები. ავტორია დაზგური სერიებისა: „ბიბლიური და ანტიკური მოტივები", „ვარიაციები რენესანსის თემებზე", „მოგონებები სიკვდილის წინ", „როკოკო. გილიოტინის მოლოდინში", „რაღაც საიდუმლოებით დაფარული" (საშობაო ფესტივალის პრემია, 1995); „ინფანტა მარგარიტას გასეირნება". 1970 წლიდან მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, ქუთაისის გალერეაში; საქ. და საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში. არის ბიოგრაფიული ცნობარების „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000) და „ქართული მხატვრობა" (2000-09) შემდგენელი; ავტორი ნაშრომებისა: „საქართველოს რეპრესირებული მხატვრები", „საქართველოს სიძველენი" (2005); ალბომისა „საქართველოს რუსი მხატვრები" (2007); კატალოგებისა: „ა.ბაჟბეუქ-მელიქოვი კერძო კოლექციებიდან" (თბილისი, 2002); „მშვენიერი ქართველი ქალი" (2002). მონაწილეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მრავალ საერთაშ. სიმპოზიუმში; საბავშვო ილუსტრაციის I საერთაშ. ბიენალეში (თეირანი, 1993). არის მრავალი საგამოფენო პროექტის ავტორი და მონაწილე, მათ შორის: „საბერძნეთი თანამედროვე ქართველ მხატვართა შემოქმედებაში" (1997), „ქართული სახვითი შექსპირიანა". არის საქ. (1974 წლიდან) და სსრკ (1974-91) მხატვართა კავშირების წევრი; საქ. კულტურული ოლიმპიადის ეროვნ. კომიტეტის წევრი (1999). 2001 წლიდან — ხელოვნების განვითარების ცენტრის — „არტ-არსი" დამფუძნებელი და პრეზიდენტი.არის ღირსების ორდენის კავალერი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „სსრკ ხალხთა მხატვრები" (1982), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ძველი ღია ბარათებისა და ჟურნალების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი. ტელ: 93 69 59, 39 29 02. (ბინის) ჩიქოვანის 24ა. ბ.33. თბილისი 0171. ტელ: 33 17 91. ელ-ფოსტა: artarsi_ni@yahoo.com
**„იჩქარე ნელა".**

## თენგიზ ზაალიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბიოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1949 წ. 18 ივნისს. მშობლები: შუშანა გველესიანი, მალხაზ ზაალიშვილი; მეუღლე — დინა მარგიანი (1948); შვილები: გიორგი (1977), ნუცა (1982). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1971), მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1974). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმც. (1974-85) და უფრ. (1985-86) მეცნ. თანამშრომელი. 1997 წლიდან არის თსსუ სამედ. ბიოქიმიის კათედრის და თსუ უჯრედის და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის პროფესორი; სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინ-ტის საბჭოს თავ-რე. იყო მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინ-ტის დირექტორი (2000-06). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ABP-რიბოზილირება ვირთაგვის ტვინის ბირთვებში" (1983); სადოქტორო — „ვირთაგვის თავის ტვინის უჯრედების ABP-რიბოზილ ტრანსფერაზა: თვისებები და ბიოლოგიური როლი" (1992). არის 60 სამეცნ. ნაშრომის ავტორი. არის ევრომეცნიერების ასოც-ის, საერთაშ. კვლევითი საზ-ბის (Sigma Xi, Scientific Research Society). ტვი-

ნის კვლევის საერთაშ. ორგანიზაციის (IBRO) ცენტრალური და აღმ. ევროპის რეგიონული კომიტეტის, საქ. ბიოქიმიკოსთა ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) გოთუას 12. თბილისი 0160. ტელ: 37 42 11. ფაქსი: 37 17 33.
(ბინის) გამსახურდიას 39. თბილისი 0160. ტელ: 37 05 87. ელ-ფოსტა: giozaal@.gmail.com

## მალხაზ ზაალიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
აკადემიის კონსულტანტი. ფიზიკო-ქიმიკოსი. პროფესორი.

დაიბადა მცხეთაში 1920 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: რუსუდან გედევანიშვილი, მიხეილ ზაალიშვილი; შვილები: თენგიზი (1948), თამარი (1956). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1941). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1947-51); გორის პედაგოგიური ინ-ტის დოცენტი (1951-57); ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღ. (1962-86); მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინ-ტის დირექტორი (1986-2000); ამავე ინ-ტის ბიოლოგიური ძვრადობის განყ-ბის გამგეა 1986 წლიდან; საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის კონსულტანტია 2006 წლიდან; იყო მეცნ. აკად-ის ბიოლოგიური განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1988-2003); ცენტრალური სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორი (2000-2006); რუსეთის მეცნ. აკად-ის ჟურნალების: "Биофизика" და "Молекульная биология" რედკოლეგიის წევრი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კუნთის შეკუმშვის ფიზიკო-ქიმიური საფუძვლები" (1972). არის 235 სამეცნ. შრომის, 11 გამოგონებისა და 1 მონოგრაფიის ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მებაღეობა.
მისამართი: (სამსახურის) გოთუას 12, კ. 4, თბილისი 0193. ტელ: 37 17 33. (ბინის) ტელ: 38 21 82.
**"Я поклялся перед алтарем божим быть вечным врагом всякого рода тирании над разумом человека" (Джеферсон).**
**მამული, ენა, სარწმუნოება.**

## ნინო ზაბუკიძე



კომპოზიტორი.

დაიბადა ბათუმში 1935 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ოლღა და ვიქტორ ზაბუკიძეები; მეუღლე — შალვა დავითაშვილი (1934); შვილები: გიორგი (1960), ვიქტორია დავითაშვილი-სირაძე (1964). დაამთავრა თსკ საკომპოზიციო ფაკ-ტი (1961). იყო თბილისის რკინიგზელთა სახლის ფორტეპიანოს პედაგოგი (1958-61); თბილისის V საშ. სკოლის მუსიკალური ათწლედის (1962-66); ახალქალაქის (1966-68); თბილისის XI (1968-2008) მუსიკალური სკოლების ფორტეპიანოს პედაგოგი. არის ავტორი: საფორტეპიანო კონცერტის; კამერულ-ინსტრუმენტული პიესების; საბავშვო ბალეტის „ჩიპოლინოს თავგადასავალი"; სიმღერებისა და ოცი რომანსის; საფორტეპიანო ტრიოსი; პიესებისა სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის; საგალობლებისა სოლისტისა და გუნდისათვის; კრებულებისა მუსიკალური სკოლის მოსწავლეთათვის. არის კომპოზიტორთა კავშირის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.
ჰობი: მხატვრობა. სპორტული ტანვარჯიში. პოეზია.
მისამართი: (ბინის) ვახტანგ გორგასლის 39, 4 სადარბაზო, ბ. 20. ტელ: 72 30 30.
**ხანგრძლივი (51წ.) პედაგოგიური მუშაობის გამო, ჩემმა კრედომ მიბიძგა შემექმნა კრებულები მუსიკალური სკოლებისათვის: „პირველი ნაბიჯები", „პიესები და ანსამბლები ფორტეპიანოსათვის", „პოპულარული მელოდიები და ჯაზური მუსიკა".**

## დავით ზალკალიანი

პოლიტიკური პარტიისა „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები" აპარატის უფროსი. დიპლომატი.



დაიბადა თბილისში 1968 წ. 27 თებერვალს. მშობლები: ჰენრიეტა ფრუიძე, მურთაზ ზალკალიანი. მეუღლე — თამარ ქემოკლიძე (1967). შვილები: ნინო (1993), სოფიო (1996). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1992). მუშაობდა საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში (1992-96). იყო ავსტრიასა და ვენის საერთაშ. ორგანიზაციებში საქართველოს ელჩის მოადგილე (1996-2000); აშშ, მექსიკასა და კანადაში საქ. საელჩოს უფრ. მრჩეველი (2002-04); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში (2004-07); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში (2008-09). ავტორია კვლევისა: „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მოგვარებაში"( ლონდონი — „კინგს კოლეჯი", 1995). მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა ეუთო-ს სტამბოლის სამიტის წარმატებით მომზადებისთვის (1999). არის პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები" წევრი 2009 წლიდან. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდება.
ჰობი: ფეხბურთი, სამთო-სათხილამურო სპორტი. მუსიკა. პოლიტიკური ჟანრის ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ჩერქეზიშვილის 4. თბილისი 0108. ტელ: 37 70 08. ელ-ფოსტა: daiozal27@yahoo.com
**ზნეობა, ღირსება, პროფესიონალიზმი არის ის ძირითადი პრინციპები, რითაც ვხელმძღვანელობ ცხოვრების მანძილზე. ვერასდროს შევეგუები კომფორმიზმს, ვფიქრობ, ბრძოლას თავისუფლებისთვის და ამ პრინციპებისთვის ყოველთვის აქვს აზრი.**

## ზაზა ზარქუა

ექიმი-ონკოლოგი.



დაიბადა ბათუმში 1956 წ. 16 ივნისს. მშობლები: ციცინო ვახანია, პარმენ ზარქუა; მეუღლე — ნანა ჩარტია (1963); შვილი — ბაქარი (2007). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1980). იყო თსსი ონკოლოგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი (1980-82); ონკოლოგიური ნაც. ცენტრის აბდომინური განყ-ბის ექიმი-ორდინატორი (1982-89), უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1989-97), დირექტორის მოადგილე სამედ. პროგრამების მართვის დარგში (1997-2000). არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიაში, სახელმწ. ონკოლოგიური პროგრამების კოორდინატორი, სამედ. პროგრამის მართვის დარგის დირექტორი (2000 წლიდან); ონკოლოგიის ნაც. ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავ-რე (2002 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ოპერაციის შემდგომი ჩირქოვან-ანთებითი გართულებების იმუნოპროფილაქტიკა კუჭის კიბოთი დაავადებულ ავადმყოფებში" (1988); 2004 წელს მიენიჭა დოქტორის აკად. ხარისხი. არის 40-მდე სამეცნ. ნაშრომის, 1 გამოგონებისა და 2 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი; გამოქვეყნებული აქვს ბიოგრაფიული ნარკვევი — „კვალი ნათელი"; შედგენილი აქვს სასერტიფიკაციო კითხვარები ონკოლოგიაში (2001); მისი რედაქციით პირველად ქართულ ენაზე გამოიცა ავთვისებიანი სიმსივნეების TNM კლასიფიკაცია (2002). არის ა.ლვამიჩავას (1994), ლ.შარაშიძის (2007) სახ. პრემიების ლაურეატი; საქ. ონკოლოგთა ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ლისის ტბა. თბილისი 0177. ტელ: 39 86 51. (ბინის) დიღმის მასივი მე2კვ., მე-13კ., ბ.58. თბილისი. ტელ: 52 02 06.
**უშრომლად უპატრონო კაცი ვერაფერს ვერ მიაღწევს.**

## გენადი (გენო) ზაქარაია

მოქანდაკე.



დაიბადა მარტვილის რ-ნის სოფ. ნაჯახაოში 1950 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: ნუნუ ბახია, შოთა ზაქარაია; მეუღლე — ნონა შარიქაძე (1962); შვილები: მარიტა (1979), შოთა (1986), გიორგი (1996). სწავლობდა თსსა ქანდაკების განყ-ზე (1974-80); სსრკ სამხატვრო აკად-ის ქანდაკების სახელოსნოში (1984-87). გამოფენებში მონაწილეობს 1980 წლიდან. საქ. მხატვართა კავშირის წევრია 1983 წლიდან. ავტორია ნამუშევრებისა: სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი (ფასანაური,1983); შინმოუსვლელთა მემორიალი (აბაშა, 1985); „არქეოლოგია"(1985); „ვ.მაიაკოვსკის პორტრეტი" (1983); „მედიკოს პორტრეტი" (1984); „სივრცე" (1988); „მთვარეზე ჩრდილი" (მინსკი, 1989); „1937"(თელავი, 1989); „მონარქი I", „მონარქი II" (რუსთავი, 1988,1990); „თეთრი ხსოვნა"(ბელორუსი, 1988); „ურბანიზმი"(საფრანგეთი, 1992); „კორიდა" (საფრანგეთი, 1991); „ქალი ქვიშაში", „ქალის ფიგურა" (1991); „პენელოპე" (1992); „ნოსტალგია", „მენადე"; ზ.ავალიშვილის საფლავი (დიდუბის პანთეონი, 1997); ნ.ჟორდანიას ბიუსტი (საქ. პარლამენტი,1998); „წმ. ნინო" (ბოდბე, 1998). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: — ანდორა, პო, ბიარიცი (1998). მონაწილეობდა გამოფენებში: საქ. სახვითი ხელოვნება (მოსკოვი,1987); ქართ. დაზგური ქანდაკება (თბილისი,1991); საერთაშ. სამხატვრო სალონი (მოსკოვი,1998); საბერძნეთი თანამედროვე ქართ. ხელოვნებაში, (სეგ, თბილისი, 1998); საერთაშ. გამოფენა ნორმანდია "RIVA BELLA"( 2005); რიგის კერამიკის (1985, 1986); გროდნოს (1988), მინსკის (1989), თელავის (1989), რუსთავის (1990), ბიარიცის (1991), უზეს (1992) ქანდაკების სიმპოზიუმებში; დიდგორის (1984), 9 აპრილის (1998, II პრემია) მემორიალების, ა.წერეთლის ძეგლის (II პრემია) რესპუბლიკურ კონკურსებში; მისი ქანდაკება „ქალის ტორსი" აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო ნამუშევრად (1983). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, ქ. გროდნოს რელიგიის მუზეუმში, ბიარიცის, ანდორას გალერეებში. არის მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის თავ-რის მოადგილე; შპს „საქართველოს მხატვრის" გამგეობის წევრი; საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (ბინის) ი.ჭავჭავაძის 48, თბილისი. ტელ. 29 42 16.

**ვიყო ერთგული ჩემი ხელოვნების მიმართ. ხელოვნება არის სასჯელი, რომელსაც პატივს ვცემ და მიყვარს.**

## პაატა ზაქარეიშვილი

ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგი.



დაიბადა თბილისში 1958 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნინო გეაზავა, ქართლოს ზაქარეიშვილი; მეუღლე — ელისო ზაქარეიშვილი (1958); შვილები: ნინო (1986), მიხეილი (1987), საბა (1990), ელენე (1994). დაამთავრა ყაზანის სახელმწ. უნ-ტის ფილოსოფიის (1984); თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო (1992) ფაკ-ტები. იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს სტიქაროსანი (სიონის ტაძარი, 1977-79); ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სახელმწ. კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყ-ბის თანამშრომელი (1992-95); აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ტყვეთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის თავ-რის მოადგილე (1992-97); აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს მრჩეველი დევნილთა საკითხებში (1995); იძულებითი მიგრაციის პროექტის კონსულტანტი (1995-97); საქ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის აპარატის უფროსი (1995-2000); იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალური დეპ-ტის თავ-რის მოადგილე პატიმართა უფლებების დაცვის მიმართულებით (2000-01); თბილისის საკრებულოს წევრი (2002-06). 1995 წლიდან არის კალიფორნიის უნ-ტის „ქართულ-აფხაზური მშვიდობის მშენებლობისა და თანამშრომლობის მრავალმხრივი ინიციატივების პროგრამის" კოორდინატორი (ქართული მხარე); 1998 წლიდან — „შერიგების რესურსების ცენტრის" (ლონდონი) მრჩეველი; 2000

წლიდან — სამოქალაქო საზ-ბის განვითარების და ქართულ-აფხაზური ტრანსფორმაციის კოორდინატორი (ქართული მხარე) და შერიგების რესურსების ცენტრის (ლონდონი) და ბერგჰოფის კონფლიქტის კონსტრუქციული მართვის ცენტრის (ბერლინი) მიერ ორგანიზებული „შლაინინგის“ დიალოგის პროცესის კოორდინატორი. საქ. რესპუბლიკური პარტიის წევრია 1990 წლიდან. 2009 წლიდან არის ა/ო ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინ-ტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.
ჰობი: მუსიკა, პოეზია.
მისამართი: ძმ. კაკაბაძეების 16/2; თბილისი.
ელ-ფოსტა:paatazak@republicans.ge, paatazak@access.sanet.ge www.zakareishvili.com

## ზენონი (იმედა იარაჯული)

დმანისის ეპისკოპოსი.



დაიბადა თბილისში 1972 წლის 17 მაისს. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1992). აღიკვეცა ბერად (1993); აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (1993); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1994); იყო სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის რექტორი (1994); თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პრორექტორი (1995-96); წარგზავნილი იყო რომის ორიენტალისტურ ინ-ტში (1996-97); იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი (1998); საქ. საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური განყ-ბის თავმჯდომარე (1998-2002); მიანიჭეს არქიმანდრიტის ხარისხი (2001); იყო თბილისის მამა-დავითის ტაძრის წინამძღვარი (2000-02); სვეტიცხოვლის წინამძღვარი (2002-03); აკურთხეს ეპისკოპოსად (2003). 2003 წლიდან არის დმანისის ეპარქიის ეპისკოპოსი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) დმანისის საკათედრო ტაძარი, დმანისი 1700.

## ზურაბ ზვიადაური

სპორტსმენი ძიუდოისტი. სპორტის ოსტატი.
ოლიმპიური ჩემპიონი.



დაიბადა ახმეტაში 1981 წ. 2 ივლისს. მშობლები: დარიკო არდოტელი, მამუკა ზვიადაური; მეუღლე — ხათუნა ზვიადაური (1983). დაამთავრა ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემია (2005). არის ათენის ოლიმპიური ჩემპიონი (2004); მსოფლიოს ორგზის ვერცხლის (2001, 2003); ევროპის ბრინჯაოს (2002) პრიზიორი; ღირსების ორდენის კავალერი (2002). დაჯილდოებულია I, II, III ხარისხის დიპლომებით (2002-05). მიღებული აქვს ევრო-სპორტის ჯილდო და რაინდის წოდება (2004). მისი ბიოგრაფია შესულია „სპორტის ენციკლოპედიაში“ (საბერძნეთი, 2004); „სპორტის ენციკლოპედიაში“ (თბილისი, 2006), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ბილიარდი.
მისამართი: (სამსახურის) ბელიაშვილის 5, თბილისი. ტელ: 52 83 70. (ბინის) ორხევის დას., ფიროსმანის 5, თბილისი. ტელ: 899 31 07 31; ელ-ფოსტა: zurab_gold@yahoo.com
**შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, სამშობლოს სიყვარული.**

## დავით ზილფიმიანი



ტელეკომპანია „პირველი სტერეოს" პრეზიდენტი. ფიზიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: ნათელა ქევხიშვილი, ონისე ზილფიმიანი; შვილები: ლაშა (1979), ლევანი (1985); შვილიშვილები: დავითი, ელისაბედი, თათული. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1981). იყო საქ. მეცნ. აკადემიის გეოფიზიკის ინ-ტის მეცნ. მუშაკი (1980), ლაბორატორიის გამგე (1982), განყ-ბის გამგე (1986). გაიარა სტაჟირება ტოკიოს უნტ-ში (1992-93). იყო საქ. სეისმური სამსახურის უფროსის მოადგილე (1991). არის რომის უნ-ტის მიწვეული პროფესორი (1992 წლიდან). დაცული აქვს დისერტაცია თემაზე: „ელექტრომაგნიტური წინამორბედები" (1985). არის ავტორი 96 საერთაშ. სამეცნ. ნაშრომისა და ESA — ევროპის კოსმოსური სააგენტოს და ASI — იტალიის კოსმოსური სააგენტოს, ორი პროექტის: „ESPERIA" და „LAZIO SIRAD" თანაშემსრულებელი (2005-07); ორი საერთაშ. პატენტის მფლობელი (2006, 2008); ტ/კ „პირველი სტერეოსა" და საქართველოში პირველი კერძო მაუწყებლის — „პირველი რადიოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი (1993). იყო საქ. მაუწყებელთა ეროვნ. ასოც-ის პირველი თავმჯდომარე (2002-04).
ჰობი: მეცნიერება. ტრადიციები. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1. თბილისი 0193. ტელ: 33 35 06. (ბინის) გორკის 16. თბილისი. ტელ: 33 34 22.
**„საქართველო ცივილიზებულ სამყაროში".**

## მურთაზ ზოდელავა



საქართველოს მთავარი პროკურორი. იურისტი.

დაიბადა სოხუმში 1976 წ. 18 აგვისტოს. მშობლები: მაყვალა კაკაშვილი, თამაზ ზოდელავა; მეუღლე — მაია მუმლაძე (1980); შვილი— ნიკოლოზი (2008). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). იყო შპს „სანდო, საკაშვილი და კუკავა" საადვოკატო კომპანიის იურისტი (2000-03); საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანაშემწე, უფრ. კონსულტანტი (2004-05); საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის კადრების სამსახურის უფროსის მოადგილე, საქ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახურის ანალიზისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (2005-07); საქ. პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპ-ტის იურიდიული სამმართველოს უფროსი (2007-08); საქ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (2008); საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი; იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი (2008). არის შეწყალების კომისიისა და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსური დავების განმხილველი კომისიის წევრი (2008 წლიდან); საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2009 წელს დაინიშნა საქართველოს მთავარ პროკურორად.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) გორგასლის 24 , თბილისი. ტელ: 40 52 02.
**ერთგულება, შრომისმოყვარეობა.**

## ბესარიონ ზოიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.
იურისტი. პროფესორი.



დაიბადა შუახევის რ-ნის სოფ. დაბაძველში 1953 წ. 27 ივნისს. მშობლები: გული და ინუს ზოიძეები; მეუღლე — ნატო ნიჟარაძე (1957); შვილი — თამარი (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1976), ასპირანტურა (1979). იყო თსუ სამოქალაქო სამართლის ინ-ტის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1982-92); მთ. მეცნ. თანამშრომელი, კერძო სამართლის განყ-ბის გამგე (1992-93), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1993-96), დირექტორი (1996-99). არის თსუ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორი (1994 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა სამოქალაქო სამართალში" (1980), სადოქტორო — „ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი" (1994). არის საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (1999 წლიდან). იყო საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავრის მოადგილე, პირველი კოლეგიის თავ-რე (2001-06). არის თსუ რომის სამართლის და კერძო სასამართლო ისტორიის პროფესორი (2005 წლიდან). მუშაობდა გერმანიის (ჰამბურგი) და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებისა და საერთაშ. კერძო სამართლის ინ-ტებში (1996, 1998, 2001, 2004); ჰაიდელბერგის საჯარო სამართლის ინ-ტში (2006). არის 80-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი ცივილისტიკის, კონსტიტუციური კონტროლისა და ძველი ქართული სამართლის პრობლემებზე. იყო სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო ჯგუფის წევრი. არის ღირსების ორდენის კავალერი; საქ. პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) კ.გამსახურდიას 8-10, ბათუმი. ტელ: 7 42 05. (ბინის) დიდი დიღომი, პეტრინის 8ა, თბილისი. ტელ: 899 25 49 49, 53 49 33. ელ-ფოსტა: const@constcourt.gc

**სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება საქართველოში, სამოქალაქო წესრიგის დამკვიდრება, ადამიანის უფლებათა დაცვა. ჩვენს ქვეყანაში უნდა ჯეროვნად დაფასდეს ინტელექტუალური ცოდნა, ქვეყნის წარმატება უპირატესად დამოკიდებულია ამ ცოდნის გამოყენებაზე.**

## ზოსიმე (შოთა შიოშვილი)

წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოსი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: მანია და გიორგი შიოშვილები. დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1972), მცხეთის სასულიერო სემინარია (1977). იყო სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კანცელარიის მდივანი (1974-76); აკურთხეს დიაკვნად და მთავარდიაკვნად სიონის საკათედრო ტაძარში (1976); ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მღვდლად, აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1977); აღიკვეცა ბერად და აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1981); კურთხეულ იქნა ეპისკოპოსად (1983). იყო ჭყონდიდის ეპისკოპოსი (1983); წილკნის ეპისკოპოსი (1984); მცხეთის სემინარიის რექტორი (1984-89); საპატრიარქოს საგამომცემლო დეპ-ტის თავ-რე (1984-94); მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი. 1996 წლიდან არის წილკნისა და დუშეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

მისამართი: (რეზიდენციის) საეპისკოპოსო სახლი, წილკანი. ტელ: (995) 32 31 47 77; 71 07 11.

## ოთარ ზუმბურიძე



საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი. ტელეკომუნიკაციის ინჟინერი. პროფესორი.

დაიბადა ქლუხორში 1945 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ქეთევან შველიძე-ზუმბურიძე, გრიგოლ ზუმბურიძე; მეუღლე — ლიანა არღანაშვილი (1944). შვილი — სულხანი (1977). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1986). იყო ტელე-რადიო ცენტრის უფრ. ინჟინერი (1968-70); სტუ ასისტენტი (1970-75), დოცენტი (1977-84), სტუ სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსი (1994-2005), რექტორის მრჩეველი (2006-07); საქ. ტელეკომის პრეზიდენტი (2000-04), გენ. დირექტორი (2004-07). არის სტუ პროფესორი 1994 წლიდან. 2009 წლიდან არის საერთაშ. ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სატელევიზიო გამოსახულების ეფექტური ვექტორული კვანტირება" (1993). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „თანამგზავრული ტელევიზია. გადაცემის ახალი მეთოდები" (მოსკოვი, 1992); „ციფრული ტექნიკის საფუძვლები" (1994); „გლობალური საინფორმაციო საზოგადოება და საქართველოს ტელესაკომუნიკაციო ბაზრის დინამიკა" (მოსკოვი, 2006); „მენეჯმენტის საფუძვლები" (2008). არის ღირსების მედლისა (1998) და ღირსების ორდენის (2003) კავალერი; ამერიკის ელექტრო და ელექტროტექნიკური ინ-ტის (IEEE) წევრი (1994); ტელეკომუნიკაციის საერთაშ. აკად-ის აკადემიკოსი (1997); ამერიკის სამეცნ. საზ-ბის SigmaXi-ს წევრი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. წიგნები. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) სტუ, თბილისი 0175. ტელ: 36 51 73; ფაქსი: 44 48 48.
ელ-ფოსტა: o.zumburidze@gtn.ge
**საქმის კეთება უხმაუროდ და აუჩქარებლად. პრინციპული, მართალი პოზიცია და მოქმედება მაშინაც, როცა ეს არ არის მომგებიანი პირადად შენთვის. შეურიგებლობა უპრინციპობის, მლიქვნელობის, მომხვეჭელობისა და მაამებლობისადმი. ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების დანერგვა იმ სფეროში, სადაც მოღვაწეობ. მომავალ თაობას, ახალგაზრდობას მივცეთ ისეთი მაგალითები და ვასწავლოთ ის, რაც ქვეყანას და მის მომავალს სიკეთეს მოუტანს.**

## დავით ზურაბაშვილი



მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის გენერალური დირექტორი. ექიმი ფსიქიატრი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: ლალი კულუმბეგაშვილი, ზურაბ ზურაბაშვილი; მეუღლე — ხათუნა კობახიძე; შვილები: ლუკა (1995), ალექსანდრე (1997). დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1982). 1988 წლიდან მუშაობს ფსიქიატრიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. არის მ.ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინ-ტის გენ. დირექტორი; პროფესორი, მედიცინის მეცნ. დოქტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია ბავშვთა ფსიქიატრიაში (1995). არის რამდენიმე მონოგრაფიისა და სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2005); ჯორჯ შულცის პრემიის სტიპენდიანტი; მრავალი საქველმოქმედო და არასამთავრობო (არაპოლიტიკური) ორგანიზაციის დამფუძნებელი. იყო „როტარი კლუბის" პრეზიდენტი (2007-08).
ჰობი: თხილამურები, ცურვა, ალპინიზმი, იალქნიანი ნავით ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) მ. ასათიანის 20, თბილისი 0177. ტელ/ფაქსი: 39 49 21.
ელ-ფოსტა: david_zur@email.com
**არცერთი წუთი თავისუფალი, ადამიანისთვის დამახასიათებელი და ნამყვანი მორალი და მერე გონიერება.**

## დავით ზურაბიშვილი



საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი. პოლიტიკოსი. ლიტერატორი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 16 მარტს. მშობლები: ნატო ხიდაშელი, ვალერიან ზურაბიშვილი; მეუღლე — ხათუნა კოპალეიშვილი (1958); შვილები: გიორგი (1990), ანასტასია (1991). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1979). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1979-80); მხატვრული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთ. სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი, უფრ. რედაქტორი (1981-91); გამომცემლობა „იანუსის" რედაქტორი (1991-92); გაზ. „საქართველოს" პოლიტ. მიმომხილველი (1993-94); გაზ. „არგუმენტის" რედაქტორი (1995); მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინ-ტის თანამშრომელი (1995-96); ჟურ. „Georgian Profile"-ის რედაქტორი (1996); თავისუფლების ინ-ტის გამგეობის წევრი (1997-2004); საქ. პარლამენტის წევრი (2004-08), ფრაქ-ცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატების" თავ-რის მოადგილე (2004-05), განათლების, მეც-ნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პარლამენტის ბიუროს წევრი (2004-05), ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" წევრი, თავ-რის მოადგილე (2005-08). არის ავტორი წიგნისა: „მოგზაურობა სიზმარეთში, ანუ გიორგის და ანასტასიას საოცარი თავგადასავალი" (1996); მრავალი პუბლიკაციისა (სტატიები, მიმოხილვები) ქართულ და უცხოურ მედიაში. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები და თარგ-მანები სხვადასხვა ჟურნალში. არის კონკურსის „საბავშვო პროზა 96" I პრემიის ლაურეატი. 2007 წლიდან არის საქ. რესპუბლიკური პარტიისა და ეროვნული კომიტეტის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნო-ბარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა, კერძოდ როკი.

მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 13, თბილისი. ტელ: 93 39 56. (ბინის) აღმაშენებლის გამზ.176. თბილისი.

## სალომე ზურაბიშვილი



პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის" ლიდერი. დიპლომატი. პოლიტიკოსი. პროფესორი.

დაიბადა პარიზში 1952 წ. 18 მარტს. მშობლები: ზეინაბ კედია, ლევან ზურაბიშვილი. მეუღლე — ჯანრი (კობა) კაშია (1939); შვილები: თეიმურაზი (1981), ქეთევანი (1984). დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეც-ნიერებათა ინ-ტი (1973), კოლუმბიის უნ-ტი (ნიუ-იორკი,1973). იყო საფრანგეთის საელჩოს III მდივანი (რომი, 1974-77); საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის II მდივანი (გაერო, ნიუ-იორკი, 1977-80); საფრან-გეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის თანამშრომელი (1980-84); საფრანგეთის საელჩოს I მდივანი (ვაშინგტონი, 1984-88); ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის I მდივანი (ვენა, 1988-89); საფრანგეთის საელჩოს II მრჩეველი ჩადის რესპუბლიკაში (1989-92); ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის I მდივანი (ბრიუსელი,1992-93); დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე (ბრიუსელი, 1993-96); საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველი (პარიზი, 1996-98); საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენ. ინსპექციის ინსპექტორი (პარიზი, 1997-98); საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატე-გიის საკითხთა, უშიშროების და განიარაღების სამმართველოს თანამშრომელი (1998-2001); ეროვნ. თავ-დაცვის გენ. სამდივნოს საერთაშ. და სტრატეგიულ საკითხთა ხელმძღვანელი (პარიზი, 2001-03); საფრან-გეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში (2003-04); საქ. საგარეო საქმეთა მინისტრი (2004-05). იყო „სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის" ლიდერი (2005). 2006 წლიდან არის პ/გ „საქართველოს გზის" ლიდერი; საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინ-ტის პროფესორი (2006 წლიდან). ავტორია წიგნებისა: „ქალი ორი ქვეყნისთვის" (პარიზი, 2006), „საქართველოსკენ" (2006), „რო-გორი საზღვრები ევროპისათვის" (პარიზი, 2007), „დემოკრატიზაცია საქართველოში, არჩევნების გამოც-და" (პარიზი, 2007), „დახურული იალტა" (2007), „ერების ჭრილობები" (პარიზი, 2008), „ქართული ტრაგე-დია 2003-2008" (პარიზი, 2009); ფილმებისა: „საგანგებოდ გაგზავნილი" — ტვ „საფრანგეთი1" (2006, ფრანგულ ენაზე), „პერპეტუმ მობილე" (ბიოგრაფიული ფილმი, 2006), „სკივრი" (ბიოგრაფიული ფილმი, 2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) ტელ: 30 94 31, 91 45 46;

ელ-ფოსტა: salomemovement@yahoo.com; www.thewayofgeorgia.org; ბლოგი: http://thewayofgeorgia.blogspot.com/

## ლაშა თაბუკაშვილი



მწერალი. დრამატურგი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1950 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი; მეუღლე — მედეა თაბუკაშვილი (1951); შვილები: რეზო (1971), ოთარი (1974). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1972). იყო ქართული ლიტერატურის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1972-74); მწერალთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყ-ბის რეფერენტი (1974-75); კინომსახიობთა თეატრის ლიტ. ნაწილის გამგე (1975-81); კინოსტუდია „ქართული ფილმის" მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1981-86); მწერალთა კავშირის მდივანი (1986-88); არის ლექსების, მოთხრობების, პიესების, კინოსცენარების ავტორი, მათ შორის: „ჭრილობა" (1973), „ძველი ვალსი"(1975), „დარაბებს მიღმა გაზაფხულია"(1977), „ათევინიერებენ მიმინოს" (1981), „სანამ წვიმა გადაივლიდეს" (1986), „ვამეხი მოდის" (1988), „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი" (1997), „კომოციო" (2000), „თოვლივით თეთრი თოვლი" (2001), „ასტეროიდზე აღარ ინვიმებს". არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი; მიღებული აქვს რამდენიმე პრემია „წლის საუკეთესო პიესისათვის". იყო მწერალთა კავშირის წევრი (1978-98). დააარსა მწერალთა კლუბი „XX საუკუნე" (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: ო'ნილის სახ. დრამატურგთა ცენტრის კატალოგი „100 ყველა დროის ცნობილი დრამატურგი"; „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა); „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ვ. ანჯაფარიძის 9, თბილისი 0109. ტელ: 22 23 55.

**ბუნებით კონსერვატორი ვარ, მაგრამ „ღია კარის" კონსერვატორი. ტაბუს დადება ჩემს ხასიათში არ ზის, სამაგიეროდ ზის მორალში. ტაბუს დადება უფრო უარესსა და საზიანოს ბადებს, ვიდრე გონივრული თავისუფლება. ხრტილის გაძვალება არ ვარგა, თუმცა არც საკუთარი წარსულის თვითმიზნური გადახაზვა და მასაზრდოებელი ძაფების გადაჭრაა უკეთესი. მწერლის გაბედულება თავისუფლებაში როდია. ეპატაჟის დროს გამოვლენილი სითამამე ყალბია. დალვინებულ და ნიჭიერ ხელოვანს თავმდაბლობა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა გამოარჩევს.**

## რევაზ თაბუკაშვილი



მწერალი. ჟურნალ „ახალი საუკუნის" მთავარი რედაქტორი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 13 მაისს. მშობლები: მედეა და ლაშა თაბუკაშვილები. შვილი — ანა. დაამთავრა თსუ. იყო ჟურ. "XX საუკუნის" მთ. რედაქტორის მოადგილე (1994-2000); ჟურ. „New Centure"-ის მთ. რედაქტორი (2000-04). არის ავტორი მოთხრობების კრებულისა: „ავტობიოგრაფია პროფილში" (1999), „არასაფრენი დღეები" (2005), „დაულაგირი, ABC" (2005). „მზეო არ ამოხვიდე" (2009); ორი დოკუმენტური ფილმის სცენარისა: „ქეთევან წამებული" (2003), „კოლაუ ნადირაძე" (2007). არის ქართული პენ კლუბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა.
მისამართი: აბაშიძის 22, თბილისი. ტელ. 22 46 25.
Береги честь с молоду.

## თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსი.

დაიბადა გორის რ-ნის სოფ. ფლავში 1946 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ და გაიოზ იორამაშვილები. დაამთავრა გორის პედ. ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1973). მუშაობდა სოფ. ქვეშის სკოლაში

(1973-74). სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში (1974-77). თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში აღიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად, მთავარ დიაკვნად (1977); აღყვანილ იქნა მღვდელ-მონოზვნის ხარისხში (1977); 1978 წელს აკურთხეს ბოდბის ეპისკოპოსად; იყო წილკნის ეპისკოპოსი (1979); ხელდასხმულ იქნა მთავარეპისკოპოსად (1979); იყო აგარა-წალკის მთავარეპისკოპოსი (1979); მანგლისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი (1984); ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი (1993-95); ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი (1995-2003); ბოლნისის მთავარეპისკოპოსი (2003-05). 2005 წლიდან არის თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) თიანეთი 2500; ტელ: (995) 32 35 04 07, 34 21 86.

## ირაკლი თავართქილაძე



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთისა და ხორვატიის რესპუბლიკებში. ფილოსოფოსი. თეოლოგი.

დაიბადა ბათუმში 1975 წ. 26 ივნისს. მშობლები: ლუიზა ნონონავა, თეიმურაზ თავართქილაძე; მეუღლე — თამარ ლომთაძე (1975); შვილები: ანა-მარია (2001), ელენა (2002), დავითი (2003), ირაკლი (2009). დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1994), კილკიზის კირილესა და მეთოდეს სახ. ლიცეუმი (საბერძნეთი, 1999), თესალონიკის არისტოტელეს სახელმწ. უნ-ტის ბიზანტიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის ფაკ-ტი (საბერძნეთი, 2004). იყო ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. გიმნაზიის პედაგოგი, ინსპექტორი (1993-95); ხულოს სასულიერო სემინარიის პრორექტორი (1995-96); ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მდივანი (1997-98); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპ-ტის მთ. სპეციალისტი (2004-05); აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის რელიგიურ და ა/ო ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მთავრობის თავ-რის თანაშემწე (2005); აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპ-ტის უფროსი (2005-06); ბათუმის მერის I მოადგილე ქალაქის განვითარების საკითხებში (2006); თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს წევრი (2006), ბათუმის მერი (2006-07). 2007 წლიდან არის საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთისა და ხორვატიის რესპუბლიკებში. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის წოდება.
ჰობი: კითხვა. მოგზაურობა. კინო.
ელ-ფოსტა: athens.emb@mfa.gov.ge
**თავისუფალი, ლიბერალური, დემოკრატიული საწყისების მიმდევარი და მომხრე.**

## გიორგი თავაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი. ინჟინერ-მეტალურგი. პროფესორი. პოლკოვნიკი.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 6 იანვარს. მშობლები: ბარბარე ქარუმიძე-თავაძე, ფერდინანდ თავაძე; მეუღლე — მიმოზა მონიავა-თავაძე; შვილები: დავითი (1980), ფერდინანდი (1982), გივი (1991). დაამთავრა სპი მეტალურგიული ფაკ-ტი (1967), ასპირანტურა (1971). იყო საქ. მეცნ. აკად-ის მეტალურგიის ინ-ტის ლაბორანტი (1961-63), უმც. მეცნ., მეცნ. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1967-86); ლაბორატორიის გამგე (1986-2006); საქ. თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის ტექნ. სამმართველოს, სამეცნიერო-ტექნიკური კვლევებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მთ. სამმართველოს, კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი (1992–2004); ნატო-ს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციის და ნატო-ს სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის საქართველოს კოორდინატორი (1997-2005). 2006 წლიდან არის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია 1976 წელს; სადოქტორო — თემაზე: „მაღალტემპერატურული სწრაფადმიმდინარე პროცესებით მიღებული ძნელადდნობადი არაორგანული მასალების სტრუქტურა, თვისებები და გამოყენების არეები" (1995 ). არის 125-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, 35 გამოგონებისა და პატენტის ავტორი; საქ. საინ-

ყინრო აკად-ის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენითა (1996) და სახელმწიფო პრემიით (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" .
მისამართი: (სამსახურის) ალ.ყაზბეგის გამზ. 15, თბილისი 0160. ტელ/ფაქსი: 37 14 48. (ბინის) დ.უზნაძის 4, თბილისი 0102. ტელ/ფაქსი: 95 69 49. ელ-ფოსტა: tavadzeg@yahoo.co.uk
**სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარული; ჩემი პროფესიისა და ზოგადად პროფესიონალიზმის პატივისცემა; მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომა.**

## გიორგი თავაძე



ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 5 მარტს. მშობლები: ირმა გურიელი, მერაბ თავაძე. მეუღლე — ინგა გეგელაშვილი (1963); შვილი — თეა (1998). დაამთავრა თსთი დრამის რეჟისურის ფაკ-ტი. არის რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი; სამეფო უბნის თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და რეჟისორი; საქ. ტელევიზიის სატელევიზიო რედაქცია „თეატრონის" რეჟისორი. დადგმული აქვს სპექტაკლები: „იქ სადაც ლვარად მოედინება", „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე", „ნახვის დღე" (რობერტ სტურუასთან ერთად), „ნუგზარი და მეფისტოფელი", „თეატრი", „საღამოს ბალში, როგორც ფერად სიზმარში", „გარეუბნის მარტო სახლი", „ორი ბატონის მსახური", „ქალას ჩიტი მომკვდარიყო", „იმარინდო". არის სანდრო ახმეტელის პრემიის ლაურეატი. დასახელებულია 2004 წლის საუკეთესო რეჟისორად. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ქეიფი. წიგნების კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 1, ბათუმი. ტელ: 7 06 13, 7 42 80. (ბინის) მაჩაბლის 16, თბილისი. ელ-ფოსტა: batumi-teatri@mail.ru

## მერაბ თავაძე



საქართველოს სახალხო არტისტი. სამეფო უბნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. კინორეჟისორი. კინოდრამატურგი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 29 ივლისს. მშობლები: ელენე კახაია, შალვა თავაძე; მეუღლე – იზა გიგოშვილი; შვილები – გიორგი, ზვიადი, ნიკო, ედუკი. დაამთავრა თსთი სამსახიობო (1963) და კინოსარეჟისორო (1979) ფაკ-ტები. მუშაობდა რუსთაველის (1963-80) და მარჯანიშვილის (1967–69) თეატრებში. 1979 წლიდან მუშაობს კ/ს „ქართული ფილმში"; 1992 წლიდან — სამეფო უბნის თეატრში. შესრულებული აქვს 15 მთ. როლი კინოფილმებში, მათ შორის: „ზღვის ბილიკი" (1961), „თოჯინები იცინიან" (1964), „დრო ინურება განთიადზე" (1965) და სხვა. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „მთვარის მოტაცება", „გუშინდელნი", „მადამ სანჟენი" და სხვა. არის რეჟისორი ფილმებისა: „მაცგი" (1979), „ოკეანე" (1977), „მე დავბრუნდები" (1982), „ბრავო, ალბერ ლოლიშ" (1987), „გზა" (1990), „ფესვები" (1997), „ხვეული კიბით"(2001). არის საქ. დამსახურებული არტისტი (1979); საქ. სახალხო არტისტი (1982); თეატრის მოღვაწეთა (1967) და კინემატოგრაფისტთა (1982) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გ. აბესაძის 10, თბილისი 0105. ტელ: 92 38 70; 99 61 71. ფაქსი: 99 61 71; ელ-ფოსტა: rd_theatre@caucasus.net
**უზომო სიყვარული ჩემი ქვეყნის მიმართ, ოჯახის მიმართ, საქმის მიმართ. ერთგულებამ და დაუღალავმა შრომამ შეიძლება განაპირობოს წარმატება შენს პროფესიაში. ალბათ ასეც იყო.**

## ნიკოლოზ (ნიკა) თავაძე

სამეფო უბნის თეატრის დირექტორი. მსახიობი.



დაიბადა თბილისში 1970 წ. 8 მაისს. მშობლები: იზა გიგოშვილი, მერაბ თავაძე; მეუღლე — ნატა მურვანიძე (1970); შვილები — დათა (1989), მარიამი (2002). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1991). იყო გერმანიის ქ. ესენის „გრილო"-ს სახ. თეატრის მსახიობი (1993-94). 1995 წლიდან არის სამეფო უბნის თეატრის დირექტორი და მსახიობი; 1997 წლიდან — მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. 2008 წელს დააარსა საერთაშ. თეატრალური ფესტივალი „არდი FEST"-ი. მონაწილეობდა კ/ს „ქართული ფილმის" რამდენიმე კინოპროექტში (1985 წლიდან). შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „პრემიერა", „ვოიცეკი", „ორფეოსი ეშვება ჯოჯოხეთში", „მსახიობის ძახილი", „ოიდიპოსი", „ოიდიპოსი კოლონოში", „ორეული", „სახლი საზღვარზე", „ანტიგონე", „დილის საარი", „ის არის აქ", „პილატე", „ნუგზარი და მეფისტოფელი", „აქ, ამ სავანეში", „კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე", „ჩემი მეგობარი ჰიტლერი", „ურიელ აკოსტა", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", „ქალი ძაღლით" და სხვა. გადაღებულია ფილმებში: „მაცგი", „მე დავბრუნდები", „ელზა", „ოჯახი", „იავნანა", „ბლუზი", „ჰარი შავი ვირთხა", „ცარიელი სივრცე", „ხვეული კიბით", „დრონგო", „მონეტა", „ეს დღე, რომ არ ყოფილიყო" და სხვა. აგრეთვე სატელევიზიო სერიალში „მგლების ხორუმი". მისი სარეჟისორო ნამუშევრებია: ფ.ვებერის „კონტრაქტი" (სამეფო უბნის თეატრი) და „აქ, ამ სავანეში" (კ/ს „იბერია ფილმი"). არის ი.გოგებაშვილის სახ. პრემიის (მხ. ფილმი „იავნანა", 1993), საქ. თეატრალური საზ-ბის ყოველწლიური („ნუგზარი და მეფისტოფელი", 2004) და კიევის საერთაშ. კინოფესტივალ „სტოჟარის" („ხვეული კიბით", 2004) პრემიების ლაურეატი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი 0108. ტელ: 95 24 25

**წინაპართა გამოცდილების გათვალისწინება, გააზრება და საკუთარის მომავლისთვის გაზიარება.**

## ასლან თავდგირიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი.



დაიბადა ბათუმის რ-ნის სოფ. ახალშენში 1960 წ. 31 მარტს. მშობლები: მერი ზანაქიძე, ვაჟა თავდგირიძე; მეუღლე — ციური დავითაძე (1969); შვილები: ნანა (1991), მამუკა (1992), ანა (1998). დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (1986). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1978-1980). იყო ბათუმის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშა (1977-78), ბათუმის სარემონტო კანტორის მუშა (1981-85), ხელვაჩაურის მოძრავ-მექანიზებული კოლონა N 45-ის მუშა, ოსტატი (1985-90), ახალშენის საკრებულოს მდივანი (1991-93); ფირმა „ბანა XX"-ს პრეზიდენტი (1993-97), დირექტორი (1997-2008); ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, გამგებელი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი.

ჰობი: წიგნის კითხვა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ: 28 42 17. (ბინის) ნ. დუმბაძის 8, ბათუმი. ტელ: 877 58 88 08.

**ჩემი ცხოვრების წესია — ქართული ადათ-წესების დაცვა.**

## დავით თავხელიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი. ინჟინერ- მექანიკოსი. პროფესორი.

დაიბადა 1946 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: მარიამ ლაფერაშვილი, დავით თავხელიძე; მეუღლე — მაია ჯიბლაძე (1950); შვილი - მანანა (1974). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1967). იყო სტუ ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის ლაბორატორიის გამგე (1985-2003), მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრის გამგე (1987-2005), სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკ-ტის დეკანის მ/შ (2005-2007). 2008 წლიდან არის სტუ-ს მეცნიერების დეპ-ტის უფროსი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კინემატიკური ჯაჭვების დინამიკური ანალიზი და სინთეზი რგოლების დრეკადობის გათვალისწინებით" (1986). არის ავტორი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების: "Исследование и расчет исполнительных механизмов манипуляционных роботов" (1974), „მეთოდური მითითებები საკურსო დაგეგმარების შესასრულებლად მართვის სისტემების მექანიზმებისა რადიოელექტრონული აპარატურისათვის" (1988), "Кинематика и динамика рычажных механизмов" (1989), „მუშტა და კბილანა მექანიზმების სინთეზის მათემატიკური მოდელირება" (1991), „ელექტრონული ბიზნესი და მცირე და საშუალო ზომის სანარმოები" (2003), „ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი გამოყენებით მექანიკაში" (2004), „გამოყენებითი მექანიკა" (2005), „ტრიბოტექნიკა" (23005), „მექანიზმების დინამიკური ანალიზი" (2008), "Математическое моделирование и динамический синтез многосвязных систем приводов промышленных роботов" (2009), „მექანიკური სისტემების შემადგენელი რგოლების რღვევის დინამიკა და მონიტორინგი" (2009). არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1986); ღირსების მედლის მფლობელი (1997). არის მექანიზმებისა და მანქანების თეორიის საერთაშ. ფედ-ის (IFToMM) ნევრი (1997); საქ. საინჟინრო აკად-ის აკადემიკოსი (2000).

ჰობი: ისტორიოგრაფია.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 77. თბილისი 0175. ტელ: 36 33 21. (ბინის) ი.აბაშიძის 21. თბილისი 0179. ტელ: 22 30 07, 25 02 62; ელ-ფოსტა: d.tavkhelidze@gtu.ge

**უპირველეს ყოვლისა მიზანდასახულობა, თავმდაბლობა, ერთგულება პროფესიის მიმართ, პატიოსანი და პატივსცემითი დამოკიდებულება საკუთარი გარემოს ყველა ობიექტთან – ეს იქნება საქმე თუ კოლეგებთან ურთიერთობა. საინჟინრო ამოცანებს შორის მიზანდასახულად იმ პრობლემების ამორჩევა, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ჩვენი ეროვნული ეკონომიკის განვითარება სულ მცირედითადაც კი.**

## მალხაზ თალაკვაძე



მომღერალი. მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1953 წ. 9 მაისს. მშობლები: ციალა იანქოშვილი, ჯიბო თალაკვაძე; შვილი — ჯაბა (1983). დაამთავრა თსსა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტი (1979). იყო სიონის მგალობელთა გუნდის მგალობელი (1973-84); საქ. რადიო-ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური (1982-84) და საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. (1984-87) ანსამბლების ნევრი; ანსამბლების — „ფაზისი", „როველა", „ქართული ხმები" ნევრი. არის ანსამბლ „თბილისის" ნევრი. გამართული აქვს პერსონალური გამოფენა საქ. სახელმწ. ხელოვნების მუზეუმში (1997). არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1997); ღირსების ორდენის კავალერი (2001). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ციგურებით სრიალი.

მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 39ა. თბილისი. (ბინის) გ.ცაბაძის 15, თბილისი. ტელ: 34 65 22.

**„სიყვარული, სიმშვიდე და სათნოება".**

## იაშა თანდილავა

პოეტი. ფილოლოგი.



დაიბადა სოფ. სარფში 1950 წ. 24 თებერვალს. მშობლები: ნათელა ემირიძე, ამირან თანდილავა; მეუღლე — ნათელა ლაზიშვილი (1955); შვილები: დავითი (1980), იათამზე (1983), გიორგი (1986). დაამთავრა თსუ (1974). იყო გონიოს საშ. სკოლის პედაგოგი (1975-88), დირექტორი (1989-96); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ბათუმის წარმომადგენლობის II მდივანი (1996-2004); დიასპორებთან ურთიერთობის საქ. ცენტრის თანამშრომელი (2004-06). არის ავტორი ლექსების ოთხი კრებულისა: „მინისფერი გვირილები" (1986), „სულის ხვეულებიდან" (1988), „მარადი ტკივილი" (1995), „მუზათა საუფლოში" (2003). დაჯილდოებულია პრიზებით: წლის ადამიანი „რაეო" (2005); წლის საუკეთესო ტექსტისთვის (ლაზური სიმღერის ტექსტი, 2005). არის საქ. მწერალთა კავშირის წევრი.
ჰობი: ლექსების მხატვრული კითხვა. რიტორიკა. ტრიბუნა.
მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის 3. ბათუმი, სოფ. სარფი. ტელ: 899 14 42 49.
**ორად გაყოფილმა სოფლის ტკივილმა, ჩემი დედულეთის საზღვრის გაღმა დარჩენამ, ჩემი ოჯახის პოლიტიკურმა რეპრესიებმა, თავისებური და მძიმე კვალი დატოვა ჩემს სულში.., მინდოდა გამეგო ლაზეთის ამ პატარა კუთხის „ზღვისპირა-კლარჯეთის" უცნობი ისტორია, რომელზედაც ჩემი წინაპრების მიერ გადმოცემით ნათქვამი ამბები ფაქტებით მინდოდა დამეზუსტებინა, მის ძებნაში კი ლექსებიც იწერებოდნენ, რასაც განვიცდიდი და მტკიოდა იმას ვწერდი.**

## გიორგი თარგამაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე. ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 ნოემბერს; მშობლები: ჟანა ვაჩეიშვილი, რობერტ თარგამაძე; მეუღლე — თათია თოფურია (1976); შვილები: თეკლა (1998), მაკინე (2001). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1995). იყო საყმაწვილო გადაცემა „თვალსაწიერის" წამყვანი (1987-1991), ტელეკომპანია „იბერვიზიის" საინფორმაციო პროგრამა „მონიტორის", ანალიტიკური გადაცემა „დაიჯესთ-მონიტორის" წამყვანი, მთ. რედაქტორი (1991-93); აჭარის ტელერადიო დეპ-ტის თავ-რე (1993-95), ტელესტუდია „ბათუმის" დირექტორი (1995-97); აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავ-რის პრეს-მდივანი (1997-99); რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის პედაგოგი (2002); ტ/კ „იმედის" საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექტორი, ანალიტიკური პროგრამა „დროების" ავტორი და წამყვანი (2003-08). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1999-2003), ფრაქცია „ერთიანი საქართველოს" თავ-რე. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავ-რე. არის დოქტორანტი, სადისერტაციო ნაშრომის მაძიებელი ფილოსოფიაში. დაჯილდოებულია პრიზებით: მაყურებელთა სიმპათია (1992), წლის საუკეთესო ჟურნალისტი („ოქროს ფრთა", 2004), საუკეთესო საკვირაო გადაცემის ავტორი (2005); დასახელებულია წლის საუკეთესო პოლიტიკოსად (2008); არის ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".
ჰობი: ცურვა. საინტერესო გამონათქვამების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ: 28 12 06. (ბინის) თბილისი, ჭონქაძის 7.
ელ-ფოსტა: targamadze@parliament.ge
**გავაკეთო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც პირადად ჩემზეა დამოკიდებული. ყოველთვის მახსოვდეს, რომ ადამიანი არც ღმერთია და არც ცხოველი. ვიყო ზომიერი მოთმენაშიც და დაპირისპირებაშიც. არასოდეს შევურაცხყო სხვისი ღირსება, რათა ჩრდილი არ მოადგეს ჩემსას. მახსოვდეს, რომ ჩემს მიერ გაცემული სიკეთე უკვალოდ არ იკარგება და ჩემი ცხოვრება ჩემი შვილების ფესვია.**

## გიორგი (გივი) თარგამაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 23 ივლისს. მშობლები: გულნარა კაკუტია, ვასილ თარგამაძე; მეუღლე — ნინო მუშკუდიანი (1979); შვილები: კატო (2002), ნატალია (2006). გაიარა თსსი სამკურნალო ფაკ-ტის ოთხი კურსი (1996); დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1998). იყო გაზ. „The Georgian Times"-ის საზ-ბის განყ-ბის რედაქტორი (1993-94); სტუდია „საღამო მშვიდობისა"-ს გადაცემა „TV-ინფორმის" თანაავტორი (1994-95); „დილის გაზეთის" პოლიტიკის კორესპონდენტი (1996); გაზეთ „არგუმენტის" მთ. რედაქტორის მოადგილე (1996-97); ა/ო „თავისუფლების ინსტიტუტის" ჟურნალისტურ გამოძიებათა პროგრამების მთ. კოორდინატორი (1996-2002); საქ. პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი (2001-02). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავ-რე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, პარლამენტის ბიუროსა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრი, ნდობის ჯგუფის თავ-რე (2008). არის 20-მდე ჟურნალისტური გამოძიებისა და 300-მდე პუბლიკაციის ავტორი; სატელევიზიო ფილმის — „პატრიოტთა თამაშები" — თანაავტორი. იყო საქ. ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის წევრი (1988-94); ახალგაზრდული ქრისტიან-დემოკრატიული ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი (1995-97). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" , „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: რევოლუციების განხორციელება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 99 63 27.
ელ-ფოსტა: geovasilich@gmail.com
**არ დაიხიო და არ დანებდე!**

## ნინო თარხან-მოურავი



მსახიობი.

დაიბადა თბილისში. მშობლები: ლია ტატიშვილი, ნოდარ თარხან-მოურავი; მეუღლე — თეიმურაზ ჭიჭინაძე (1966); შვილი — ელისაბედი (1992). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1986 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანა ფრანკის დღიური", „ამაღამ მგონი იქნება ქარი", „ჰამლეტი", „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", „ჯარისკაცი, პრეზიდენტი, დაცვის ბიჭი და სიყვარული", „სტიქსი", „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ" და სხვა. გადაღებულია ფილმებში:„ხარება და გოგია", „საფეხური", „პრემიერა", „ნინამორბედი", „27 დაკარგული კოცნა" და სხვა. მიენიჭა თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია — „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი" (1987). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინაა საქართველოში".
ჰობი: ცხოველები.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის თეატრი. თბილისი. (ბინის) ჭავჭავაძის 50, თბილისი.
**ყველაფერში ეეძებ დადებითს?!**

## ჩიორა თაქთაქიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.



დაიბადა ქუთაისში 1981 წ. 28 თებერვალს. მშობლები: ლალი გვასალია, დავით თაქთაქიშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2004), უნ-ტის — „პარიზი - VIII" მაგისტრატურა. იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რის თანაშემწე (საზ-ბრივ საწყისებზე,1999-2000); სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების ასოციაციაში ფონდ „ევრაზიის" პროექტის იურისტი (2000-01); სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის სტაჟიორი-მკვლევარი (2003-05); საფრანგეთის საელჩოს ატაშეს თანაშემწე (2003-04); საქ. იუსტიციის სამინისტროს საერთაშ. ურთიერთობების დეპ-ტის მრჩეველი (2002-04); ალ. დიუმას სახ. ფრანგული კულტურის ცენტრის პედაგოგი (2004); სტუ მიწვეული ლექტორი (2004); საქ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი, იურიდიული დეპ-ტის უფროსი (2004-08); ი. ჭავჭავაძის სახ. უნ-ტის კონსულტანტი (2006-08). არის თსუ მიწვეული ლექტორი (2008 წლიდან). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე, განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის წევრი. არის საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის წევრი; საქ. სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების ასოც-ის დამფუძნებელი.
ჰობი: კინო. კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 69.
ელ-ფოსტა: ctaktakishvili@parliament.ge

## გენადი თებიძე

გაზეთ „აჭარა და ადჟარიას" რედაქტორი.
ბათუმის საკრებულოს წევრი. იურისტი.



დაიბადა ბათუმში 1970 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: გუგული თავართქილაძე, შოთა თებიძე; მეუღლე — ინდირა ბერიძე (1974); შვილი — შოთა (2000). დაამთავრა სტუ (1993), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2001). იყო აჭარის ა/რ ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწ. დეპ-ტის სოციალურ ეკონომიკური პროგრამების განყ-ბის გამგე (1995-2003); ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოც-ის თავ-რე (2003-06); აჭარის ა/რ მთავრობის თავ-რის თანაშემწე (2007). 2007 წლიდან არის გაზეთ „აჭარა და ადჟარიას" რედაქტორი; ბათუმის საკრებულოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა. ისტორია. ხატვა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 2ა. ბათუმი 6 64 53. ტელ: 7 48 94, 7 48 93, 7 13 31. (ბინის) კობალაძის 9, ბ. 24. ბათუმი.
**ალბათ ყველაზე მთავარი მაინც შენი ქვეყნის, კუთხის და ქალაქის სიყვარულია. რაც გაძლევს ძალას არ დაზოგო საკუთარი შესაძლებლობები, თუ გინდა, რომ დაიმკვიდრო საკუთარი ადგილი შენს ქალაქში, კუთხეში და რა თქმა უნდა შენს ქვეყანაში.. საქართველოში!**

## ლევან თედიაშვილი

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი. სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი.



დაიბადა საგარეჯოში 1948 წ. 15 მარტს. მშობლები: ალექსანდრა და ქიტესა თედიაშვილები; მეუღლე — ნანა მჭედლიშვილი (1948); შვილები: ვახტანგი (1973-1993), ბესარიონი (1975). დაამთავრა თბილისის სახელმწ. ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1971); თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1978). იყო თბილისის სააველო კომ-

ბინატის მუშა (1968-71); კომკავშირის ცკ-ს სპორტისა და თავდაცვის განყ-ბის გამგე (1980-82); საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის განთავისუფლებული პარტკომი (1982-84); სოფ. კაკაბეთის კოლმეურნეობის თავ-რე (1984-86); თბილისის სპორტკომიტეტის თავ-რე (1986-89); ფირმების „თსბ"-სა და „აბჯრის" პრეზიდენტი (1989-93); კახეთის რეგიონში სახელმწ. მეთაურის რწმუნებული (1993-95); საქ. პარლამენტის წევრი (1995-2003). მოპოვებული აქვს: ოლიმპიური თამაშების 2 ოქროს (მიუნხენი—1972, მონრეალი—1976), მსოფლიო ჩემპიონატის 5 ოქროს (1971, 1972, 1973, 1974, 1975) და 1 ვერცხლის (1978), მსოფლიო თასის გათამაშების 2 ოქროს (1973, 1974), ევროპის ჩემპიონატის 3 ოქროს (1974, 1976, 1978), სსრკ პირადი ჩემპიონატის 3 ოქროს (1971, 1973, 1974), 3 ვერცხლის (1975, 1977, 1980), ახალგაზრდებს შორის სსრკ პირადი ჩემპიონატის 2 ოქროს (1968, 1969), სსრკ სპარტაკიადის 1 ოქროს (1972) და 1 ვერცხლის (1975), ოლიმპიური იმედის ჩემპიონატის 2 ოქროს (1967, 1968), კულონის სახ. ტურნირის 1 ოქროს (1976), ირანის შაჰის სახ. ტურნირის 3 ოქროს (1971, 1972, 1977), იაპონიის ტურნირის 2 ოქროს (1972, 1976), თბილისის საერთაშ. ტურნირის 5 ოქროს (1970, 1971, 1972, 1975, 1978), სტუდენტთა მსოფლიო თამაშების 1 ოქროს (1973), სოც. ქვეყნების საზ-ბა „დინამოს" სპარტაკიადის 1 ოქროს (1976), პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადის 1 ოქროს (1968) და საქ. ჩემპიონატის 2 ოქროს (1968, 1969) მედლები. არის სსრკ სპორტის ოსტატი (1967); სსრკ საერთაშ. სპორტის ოსტატი (1970); სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1971); სსრკ საპატიო რკინიგზელი; ქალაქების: თბილისის, მახაჩკალის, ხასავიურტის, კრასნოიარსკის, ტოკიოს, ოჰაიოს შტატის (აშშ) საპატიო მოქალაქე; საქართველოს 1971, 1972, 1973 წლების №1 სპორტსმენი; სსრკ საუკეთესო სპორტსმენი (1973); კალიფორნიის შტატის (აშშ) საპატიო შერიფი. არის აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების კინოფესტივალის I პრიზის „ოქროს არჩა"-ს მფლობელი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მხ. ფილმში „ხარება და გოგია" (ტაშკენტი, 1988); 1992 წლის საქართველოს №1 მეცენატი, საუკუნის სპორტსმენი, ერთადერთი ქრისტიანი, რომელიც რეზან ტახტის (ირანი) და შამილის (დაღესტანი) ოქროს მედლების კავალერია; საქ. ეროვნ. და სოციალურ ურთიერთობათა აკადის აკადემიკოსი. მის შესახებ დაწერილია წიგნი „ლევან თედიაშვილი ფალავანი და მოქალაქე" (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის პრ. 49ა, თბილისი. (ბინის) ცაბაძის ქ. II კორპ. ბ. 9, თბილისი. ტელ: 34 40 40.

## დავით თედორაძე



საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე. ფილოლოგი.

დაიბადა ბათუმის რ-ნის სოფ. ერგეში 1949 წ. 14 ივლისს. მშობლები: აუმიან ცენტერაძე, რეფიუ თედორაძე; მეუღლე — მადონა ფალავანდიშვილი; შვილები: თეონა, შორენა, ირაკლი. დაამთავრა ბათუმის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი. არის საქ. მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავ-რე. ავტორია წიგნებისა: „ბეწვის ხიდი" (1977), „ორლანი უკრავს" (1979) „მზე ჩუქურთმებში" (1981), „ცეცხლის პერანგი" (1984), „გულის ძახილი" (1987), „შენი ვარ" (1993), „ერთტომეული" (1999), „სამტომეული" (2004). არის საქ. მწერალთა კავშირის წევრი 1981 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით; გ.ლეონიძის, ლ.ასათიანის, მ.აბაშიძის და ი.ჭავჭავაძის პრემიებით. არის ბათუმის საპატიო მოქალაქე.
მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 21. ბათუმი. ტელ: 7 15 30. (ბინის) ჯინჭარაძის 16, ბ. 1. ბათუმი. ტელ: 7 10 06.

**საგამომცემლო საქმიანობა. წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი სს „გამომცემლობა აჭარას". ჩემი დირექტორობის დროს განსაკუთრებით განვითარდა აჭარაში საგამომცემლო საქმიანობა, ყოველწლიურად გამოდიოდა 700 თაბახის მოცულობის 60-მდე წიგნი.**

## რამაზ თედორაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.



დაიბადა ასპინძის რ-ნის სოფ. ხიზაბავრაში 1964 წ. 20 იანვარს. მშობლები: ანა ხაზალაშვილი, კონსტანტინე თედორაძე; შვილი— რუსუდანი (2004). დაამთავრა სტუ საავტომობილო-საგზაო ფაკ-ტი (1986). იყო ახალციხის საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ინჟინერი, უფროსი (1986-1994); საქ. პრეზიდენტის რწმუნებულის მრჩეველი, მთ. მრჩეველი სამცხე-ჯავახეთში (1994-99); შპს. „გონიოს" მენეჯერი (1999-2003). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქციის „ფრაქციის გარეშე" და აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2008); ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა და საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიების წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხორბლის სპირტის ნარჩენებისაგან კომბინირებული საკვების მიღების ტექნოლოგია" (2005). არის საქ. ლეიბორისტული პარტიის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ისტორია. ფეხბურთი, კალათბურთი და ჰოკეი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 64. (ბინის) 9 აპრილის 21. ქ. ახალციხე

**შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, კეთილსინდისიერება.**

## გოჩა თევდორაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. მათემატიკოსი. იურისტი.



დაიბადა ქუთაისში 1963 წ. 21 ივნისს. მშობლები: თამარ გურეშიძე, სულიკო თევდორაძე; მეუღლე — ლალი ლონლაძე (1963); შვილები: გიორგი (1982), თამარი (1986). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1985). იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი (1985-87); თეორიული მექანიკის კათედრის ასისტენტი (1987-89); ქუთაისის 37-ე საშ. სკოლის პედაგოგი (1987-89); ქუთაისის 30-ე საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე (1989-91); ქუთაისის განათლების მთ. სპეციალისტი (1991-93); ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლის პედაგოგი (1991-93); ქუთაისის სახელმწ. უნ-ტის ინფორმატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრის მასწავლებელი (1993-94); ქუთაისის ჰუმანიტარულ-პედაგოგიური ინ-ტის პრორექტორი (1994-95); ქუთაისის ი. ოცხელის სახ. გიმნაზიის დირექტორი (1995-2004); ქუთაისის საკრებულოს თავ-რის მოადგილე (1998-2002). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი (2008). გამოცემული აქვს ნაშრომი „ქართული სულის 120 წლოვანი ხმოვანება" (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ნადირობა, თევზაობა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8,თბილისი, 0118. ტელ: 28 12 82. (ბინის) ვაჟა-ფშაველას IIკვ. კ.16, ბ. 32, თბილისი. ტელ: 32 67 73.

**ქვეყნის სამსახურში დგომა.**

## ელენე თევდორაძე



რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 5 სექტემბერს. მშობლები: სოფიო აშკენაზი, კონსტანტინე უფლისაშვილი; მეუღლე — ილია თევდორაძე (1934); შვილი — კონსტანტინე (1960). დაამთავრა თბილისის სახელმწ. უცხო ენათა ინ-ტი (1960). იყო რუსთავის მე-12 საშ. სკოლის პედაგოგი (1962-65); რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი (1963-65); რუსთავის სკოლის დირექტორის მოადგილე (1965-72); თბილისის მე-3 (1972-74) და 90-ე (1972-75) საშ. სკოლების დირექტორის მოადგილე; განათლების სამინისტროს თანამშრომელი (1975-78); თბილისის 56-ე (1978-82), 121-ე (1982-85) და 64-ე (1985-95) საშ. სკოლების დირექტორი; საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრი, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რე (1995-2008); შეწყალების კომისიის თავ-რე (2004-09); იყო სმკ-ის წევრი (1993). 2009 წლიდან არის რეინტეგრაციის საკითხებში საქ. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. მიღებული აქვს აშშ და გაერო -ს ჯილდო „დემოკრატიისა და სამოქალაქო საზ-ბის მშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის" (1998); არის ღირსების ორდენის კავალერი (2008); მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ასი ქართველი ქალი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7, თბილისი 0134. ტელ: 99 58 34; ფაქსი: 92 16 50. (ბინის) ქიქოძის 3. თბილისი. ელ-ფოსტა: tevdoradze@smr.gov.ge
**სამართლიანობა და სიმართლე.**

## გურამ თევზაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ფილოსოფოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 30 იანვარს. მშობლები: ელენე ჯიბლაძე, ბენიამინ თევზაძე; მეუღლე — რუსუდან ენუქიძე (1933); შვილები: გელა (1966), გიგი (1967). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1954). იყო ფილოსოფიის ინ-ტის უმც. (1957-59) და უფრ. (1959-66) მეცნ. თანამშრომელი, ფილოსოფიის ისტორიის განყ-ბის გამგე (1966-71); საქ. მეცნ. აკად-ის საზ-ბრივი განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი; თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე (1971-2005). 2006 წლიდან არის ი. ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა" (1958), სადოქტორო — „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია" (1963). გამოქვეყნებული აქვს 214 ნაშრომი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩინურ ენებზე, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Философская энциклопедия (1970); Marquis Who's Who in the World (1996); Intrnational Who's Who of Intellectuals (1996), „ვინ ვინაა საქართველოში", (2006). „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მებაღეობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი. ტელ: 99 93 27. ფაქსი: 99 88 23. (ბინის) თამარაშვილის 9, ბ.5. თბილისი ტელ: 22 66 41.
**ეცადე გააკეთო შენთვის შესაძლებლის მაქსიმუმი ოჯახისათვის, ახლობლებისათვის, ერისათვის, მეცნიერებისათვის ისე, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი თავისათვის სასაყვედურო არაფერი გქონდეს.**

## გიგი თევზაძე



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
სოციოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 22 ივნისს. მშობლები: რუსუდან ენუქიძე, გურამ თევზაძე; მეუღლე — ნინო ცინცაძე (1971); შვილები: ანდრო (1996), ნიკოლოზი (2003), ირაკლი (2005). დაამთავრა თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო თსუ დოცენტი, პროფესორი (1991-2001); ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (2001-06); საქ. განათლების სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტის — „ილია ჭავჭავაძე" დირექტორი (2004-06); 2006 წლიდან არის ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნ-ტის რექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ისტორიის ონტოლოგიური დაფუძნება მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიაში" (1992), სადოქტორო — „ყოფიერების და ცნობიერების ესთეტიკა" (1997). ავტორია წიგნებისა: „ჩვენი დრო, სფინქსი და ძენონის ისარი" (1993), „მომავლის ნიშნები" (1995), „საქართველო — ძალაუფლების სიმულაცია" (1993), „ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია" (2002), „საქართველო — ძალაუფლების დაბრუნება" (2003), „აქ და ყველგან" (2006). არის ქართულ-ფრანგული ინ-ტის მერაბ მამარდაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1992); საქ. პრეზიდენტის ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი ხარისხის სტიპენდიანტი (1998-2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცხენოსნობა, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნება, წყალქვეშა ცურვა (diving).
მისამართი: (სამსახურის) ქაქუცა ჩოლოყაშვილის 5, თბილისი 0162. ტელ: 29 41 97; ფაქსი: 22 00 09.
ელ-ფოსტა: gigi@iliauni.edu.ge

## თეოდორე (დიმიტრი ჭუაძე)



ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი.

დაიბადა სიღნაღში 1967 წ. 11 აპრილს. მშობლები: ნელი გოგოსაშვილი, ალექსანდრე ჭუაძე. დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1991), ახალციხის სასულიერო სემინარია (1992). მოღვაწეობდა საფარის მონასტერში (1989); აღიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (1991 ); დაინიშნა საფარის მონასტრის წინამძღვრად (1992), აკურთხეს იღუმენად (1993), აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, შემდეგ ეპისკოპოსის ხარისხში (1996); იყო ბოდბელი ეპისკოპოსი (1996-98); ახალციხის ეპისკოპოსი (1998); ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახ. სასულიერო სემინარიის რექტორი; ხელდასხმულ იქნა მთავარეპისკოპოსად (2003). იყო საქ. საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური განყ-ბის თავ-რე (2003-04); თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორი (2004-05). 2005 წლიდან არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მმართველია 1999 წლიდან. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
ანგელოზის დღე — დიდმარხვის პირველი შაბათი.
მისამართი: ალ. ყაზბეგის 106, ახალციხე 0800. ტელ. (8.265) 2 14 44; მეფე ერეკლე II-ის მოედანი I, თბილისი. ტელ. 98 27 08.

## ლევან თითმერია



გამომცემლობა „საარის" დირექტორი. ისტორიკოსი.

დაიბადა სენაკში 1970 ნ. 8 სექტემბერს. მშობლები: დოდო აბშილავა, ჯუმბერ თითმერია; მეუღლე — ნინო კობერიძე (1972); შვილები: თამარი (1996), ნიკოლოზი (2007). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1994). 1995 წლიდან არის საგამომცემლო-პოლიგრაფიული ფირმა „საარის" დირექტორი; არის საქ. წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წევრი (2001 წლიდან). იყო საქ. წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავ-რე (2004-07). არის წიგნის მაღაზიების ქსელის — „პარნასი" ერთ-ერთი დამფუძნებელი. არის პრემია „ოქროს ფრთის" მფლობელი (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) თევდორე მღვდლის 57, თბილისი. ტელ: 35 12 23; (ბინის) კავსაძის 9, თბილისი. ტელ: 22 15 17. ელ-ფოსტა: saari_ltd@yahoo.com

## გიორგი (გოგი) თოდაძე



რეჟისორი. მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაიბადა თბილისში 1945 ნ. 21 თებერვალს. მშობლები: ეკატერინე კეველიშვილი, ნიკოლოზ თოდაძე; მეუღლე – ნატო ჩიტაია (1941); შვილი — ხათუნა (1966). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1968) და სარეჟისორო (1977) ფაკ-ტები. იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1968-77), დამდგმელი რეჟისორი (1977-97). 1994 წლიდან არის სკოლა-სტუდია „ბერიკების" დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვ. 1978 წლიდან — თსთი-ს პედაგოგი, ასოცირებული პროფესორი (2007 წლიდან). 1992 წლიდან არის მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სამხ. ხელმძღვანელი. დადგმული აქვს სპექტაკლები მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, ნ. დუმბაძის სახ., გორის გ. ერისთავის სახ. თეატრებში, თავისუფალ თეატრში, თეატრში ათონელზე, თსთ-ს თეატრსა და სკოლა-სტუდია „ბერიკებში", მათ შორის სპექტაკლები: „ალუვსებელი სანწყაული", „ეზოში ავი ძაღლია", „გოგო ხოხესია", „ნაცარქექია", „ანა ფრანკის დღიური", „ლილეი", „რვა მოსიყვარულე ქალი", „ფოლსტაფი", „ჩემი ეიფელის კოშკი", „კალიგულა", „ქვრივთა ნუგეშისმცემელი", „ევრიდიკე", „იადონას თეატრი", „ემელიანეს ბედნიერება", „ორი ბატონის მსახური", „ჩიპოლინოს თავგადასავალი", „პატარა უფლისწული", „ჰელადოსი", „ბერიკონი", „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში", „ისევ ვოდევილები", „პრემიერა" და სხვ. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1982); თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1968); მოყვარული თეატრების საერთაშ. ასოც-ის — „აიტა-იატას" პრეზიდენტი. მიღებული აქვს პრემია წლის საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისათვის (1984). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998); მონაკოს, ჩუნ-ჩონის (კორეა), ტოიამას (იაპონია) საერთაშ. თეატრალური ფესტივალების გრან-პრის მფლობელი.
ჰობი: ყვავილები.
მისამართი: (სამსახურის) სკოლა-სტუდია „ბერიკები" ლეონიძის 11 ა. თბილისი. ტელ: 93 67 50. (ბინის)ჯავახიშვილის 84 თბილისი. ტელ: 98 9 39.
**თანამედროვე რეჟისორის ფანტაზიებში მსახიობი უპირველეს ყოვლისა.**

## დავით თოდრაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა თბილისში 1959 წ 28 ივნისს. მშობლები: ეთერ ნაცვლიშვილი, მამია თოდრაძე; მეუღლე — მარინე თავართქილაძე (1960); შვილები: ქეთევანი (1987), ანა (1991). დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (1981).

იყო მშენებლობის სამინისტროს №13 ტრესტის ინჟინერი (1981-83); საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ინჟინერი, სექტორის გამგე, განყ-ბის გამგის მოადგილე (1983-89); კომერციული ფირმა „კვარის" დირექტორი (1990-96); საქ. პარლამენტის სპეციალისტი (1996-99); სმკ დეპ-ტის უფროსი (1999-2000); საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის უფროსი (2000-02); პ/გ „გაერთიანებული დემოკრატების" კოორდინატორი (2002-03); თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის სამმართველოს უფროსი (2003-04); საქ. პარლამენტის წევრია 2004 წლიდან; არის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 01 (ბინის) ნუცუბიძის 26, თბილისი. ტელ: 39 55 08.
**მშვიდობა, მეგობრობა, სიკეთე.**

## თეიმურაზ თოდრია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.



დაიბადა თბილისში 1968 წლის 15 აგვისტოს. მშობლები: თინათინ და გიორგი თოდრიები; მეუღლე — თამარ ლოლაძე (1975); შვილები: ანა (2002), გიორგი (2006). დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედ. ინ-ტის რუსული ენისა და ლიტერატურის (1991) და თსუ იურიდიული (1996) ფაკ-ტები. იყო საქ. გენ. პროკურატურის საქმეთა სამმართველოს უფრ. ინსპექტორი (1993-97); საქ. საზღვრის დაცვის სახელმწ. დეპ-ტის სასაზღვრო პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს იურისტი (1997-98); თბილისის კრწანისი-ისნის რ-ნული სასამართლოს მოსამართლე (1999-2001); საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი (2004-05). 2005 წლიდან არის საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა, მუსიკა, სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32, თბილისი.
**ცოდნის წყურვილი, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, ნებისყოფა.**

## მაგალი თოდუა

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
აღმოსავლეთმცოდნე. მთარგმნელი. პროფესორი.



დაიბადა მარტვილის რ-ნის სოფ. სალხინოში 1927 წ. 19 იანვარს. მშობლები: მაკრინე სხულუხია, არე თოდუა; მეუღლე — იზეა თევზაძე (1929); შვილები: ხათუნა (1955), სოფიო (1962). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1949). იყო თსუ უფრ. ლაბორანტი და უფრ. მასწავლებელი (1950-61); აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1961-66); ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის რექტორი (1991-95); გელათის მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი (1995-2008); „გელათის მეცნიერებათა აკედემიის ჟურნალის" დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი (2002-08). 1968 წლიდან არის სპარსული ფილოლოგიის განყ-ბის გამგე; ჟურ. „ქართველოლოგიის" დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი (2008 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გოლესთანის" მიბაძვანი სპარსულ ლიტერატურაში" (1954); სადოქტორო — „ქილილა და დამანას" საბასეული ვერსია" (1967). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მონოგრაფიისა და თარგმანის ავტორი, მათ შორის: „Тбилисская коллекция персидских фирманов" (IIტ. -1989; Iტ.-1995); „ვეფხის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთაველი შექსპირსა და გოეთეს" (1995); „ფირდოუსი და მისი „შაჰ-ნამე" (1995); „ხუთი სარკმელი, ანუ ფირდოუსი და მისი „შაჰ-ნამე" (სპარსულ ენაზე, 1998); "Isa-Name. The Saviour and the Holy Virgin in persian poetry" (2002); ჰუსეინ იბნ ალი ქაშეფის „ქილილა და დამანა", თარგმანი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის. გამოკვლევა, ტექსტი, კომენტარები და ლექსიკონი (ქუთაისი, 2006); თარგმანები: „შირაზული ვარდები" (1992); ომარ ხაი-

ამი, „55 რობაი“ (2001); „ლეილი და მეჯნუნი“(2003); ჯელალ ედ-დინ რუმი, „ფილოსოფიური ლირიკა“ (2007); „სპარსული პოეზიის შედევრები“ (2008) და სხვა. არის ღირსების ორდენის კავალერი. 2008 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებულ იქნა „მსოფლიოში საუკეთესო ირანისტის“ პრემიით. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
მისამართი: (სამსახურის) გ. წერეთლის 3, ტელ: 23 35 72. (ბინის) საბურთალოს 40. ტელ: 36 25 73; 899 16 44 31.

## ფრიდონ თოდუა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი. სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი. ექიმი.

დაიბადა ზუგდიდში 1944 წ. 9 იანვარს. მშობლები: ნინო ცხადაია, იპოლიტე თოდუა; მეუღლე — თინათინ შენგელაია (1948); შვილი — ნინო (1975). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1968). იყო მოსკოვის ა.ვიშნევსკის სახ. ქირურგიის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი; უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი; კომპიუტერული ტომოგრაფიის განყ-ბის ხელმძღ. (1968-90); თსუ სამედ. რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის კათედრის გამგე; თსსუ სამედ. რადიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. 1991 წლიდან არის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ს/კ ინ-ტის დირექტორი. 2008 წლიდან — საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ცელომური კისტები, პერიკარდიუმის დივერტიკულები და კარდიო-დიაფრაგმული კუთხის ლიპომები“ (1973), სადოქტორო — „ბრონქული სისხლის მიმოქცევის მნიშვნელობა სისხლდენით გართულებული ფილტვის ქრონიკული არასპეციფიური დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში“ (1984). არის 600 სამეცნ. ნაშრომის, 8 მონოგრაფიისა და 15 გამოგონების ავტორი. არის ა.ვიშნევსკის (1979) და ა.ჩაჩავას (1994) პრემიების ლაურეატი. სსრკ (1988) და საქ. (1996) სახელმწ. პრემიების ლაურეატი; საქ.(1996-2006) და ევროპის (1999) „ღირსების ორდენების“ კავალერი; ვახტანგ გორგასლის ორდენის მფლობელი (2009); აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის მიერ დასახელებულ იქნა „2003 წლის საუკეთესო ადამიანად“. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1998); მალტის ორდენის კავალერი (1999); ბელგიის სამეფო კარის შევალიე (1999); ანდრია პირველწოდებულის (2000), ა.შვაიცერის (2003), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის (1993), გ.მუხაძისა (1993) და ივ.ჯავახიშვილის (2004) მედლების მფლობელი. არის მრავალი ასოც-ის, საზ-ბის, ფედერაციისა და საბჭოს წევრი. მათ შორის: საქ. რადიოლოგთა ასოც-ის პრეზიდენტი; ევროპის ინტერვენც. რადიოლოგიის, ბრიტანეთის, ჩრდ. ამერიკისა და ევროპის რადიოლოგთა ასოც-ების; რუსეთის, უკრაინის და ყაზახეთის რადიოლოგთა საზ-ბის; საქ. სწავლულ ექსპერტთა, თსუ აკადემიური საბჭოს; ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს; საქ. პრეზიდენტთან არსებული საპატიო მოქალაქეობისა და სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის საბჭოს წევრი. არის ჟურ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს“ მთ. რედაქტორი; ჟურნალების: "Georgian Medical News", „საქ. სამედიცინო მოამბე“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. საქ. მეცნ. აკად-ის ჟურნალ „მოამბის“ მთ. რედაქტორის მოადგილე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს ექიმები“ (1998), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში“ (2000), „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“; ენციკლოპედიაში — „თბილისი“ (2002).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) თევდორე მღვდლის 13. თბილისი 0112 ტელ: 94 02 89. ფაქსი: 34 49 23. (ბინის) დიღმის საცდელი მეურნეობა 11/14, ტელ: 59 55 59. ელ-ფოსტა: radiag@access.sanet.ge

**უპირველეს ყოვლისა, შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ჩემი აზრით, ყველა ადამიანში ღვივის ღვთიური ნაპერწკალი და, თუ ის შესძლებს თავისი მონაცემების დანახვას და შეფასებას, ეს ორი თვისება არჩეულ ასპარეზზე მას დიდ სიმაღლეებზე აიყვანს.**

## გიორგი თოთიბაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქართველოს სახალხო მხატვარი.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1928 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: ელენე ხუნდაძე, კონსტანტინე თოთიბაძე; მეუღლე — ცისანა ტატიშვილი (1938); შვილები: გიორგი (1967), კონსტანტინე (1969), მარიამი (1972). დაამთავრა თსსა ფერწერის განყოფილება (1953). იყო თბილისის მულტფილმების სტუდიის მთ. მხატვარი (1953-54); თსსა ფერწერის კათედრის პედაგოგი (1954-56, 1957-65), დოცენტი (1965-71), რექტორი (1972-82); საკავშირო სამხატვრო აკადემიის თბილისის ფერწერისა და გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოების ხელმძღვ. (1982-90). თსსა პროფესორია 1971 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „სამგორის ახალ მიწაზე", „ცეკვა", „სტუდენტები-გაზაფხული", „კახელი მევენახეები", „აჯანყება გურიაში", „მრავალჟამიერი", „თამადა", „თელავი, წითელი კრამიტები", „მიხეილ მამულაშვილის პორტრეტი", „ნიკო მუსხელიშვილი", „ივანე ბერიტაშვილი", „ილია ვეკუა", „ნიკო ნიკოლაძე", გრაფიკა — „შოთა რუსთაველი"; ავტორი ილუსტრაციებისა წიგნებისათვის: „დიდი მოურავი" (ა.ანტონოვსკაია), „ლვინია გადაიჩეხა" (ე.გაბაშვილი), „პოემები" (ვაჟა-ფშაველა); ტიპაჟებისა და კადრირებისა მულტფილმებისთვის „ნიკო და ნიკორა", „ჩხიკვთა ქორწილი". არის სსრკ (1976), რუსეთის (1995) სამხატვრო აკადემიების წევრი, საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ტურიზმი. მანქანის ტარება.
მისამართი: (ბინის) ატენის 3. ბ.12. თბილისი 0179. ტელ: 23 22 66.
**საქართველო და მისი წარსული, აწმყო და მომავალი ჩემი შთაგონების, შემოქმედების ძირითადი წყაროა. ქართული ბუნების სილამაზე და მრავალფეროვნება, ქართველი გლეხკაცის სიდარბაისლე და საკუთარი ღირსების გრძნობა, ქართველი ქალის სილამაზე და შრომისმოყვარეობა, ვაჟკაცთა თავდადება სამშობლოსათვის — ამ თვისებებს, ალბათ, ყველა ქვეყნის წარმომადგენელი თავის ხალხს მიაწერს. მიმაჩნია, რომ ეს თვისებები ქართული სულის გაბრწყინებაა და ჩემს ერს ჭეშმარიტად ახასიათებს. აი, ეს არის ჩემი განვლილი, დღევანდელი და მომავალი შემოქმედების ძირითადი თემა.**

## გრიგოლ (გივი) თოიძე



საქართველოს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 18 დეკემბერს. მშობლები: ნინო და ვახტანგ თოიძეები; მეუღლე — ნინო თოიძე (1939); შვილები: ვახტანგი (1961), ნინო (1964), მაია (1969), თეა (1978). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1960). იყო სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1987); საქ. მხატვართა კავშირის მდივანი და პრეზიდიუმ-ის წევრი; თბილისის ი.ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლისა და მცირე აკადემიის პედაგოგი; თსსა პედაგოგი, უფრ. მასწავლებელი, დოცენტი; არის თსსა პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პეიზაჟი ქართულ სახვით ხელოვნებაში" (1998). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ყვითელი მეთევზეები" (1963), „მთის ნაკადი" (1970), „დღესასწაული ხევსურეთში" (1978), ფრესკისა — სსრკ მწერალთა კავშირის შემოქმედებით სახლში (მოსკოვი, 1978), „ჩემს მეხსიერებაში" (1987), „ძველი თბილისი" (1996) და სხვ. არის საქ. სახალხო მხატვარი (1988); საქ. დამს. მხატვარი (1967); რუსთაველის პრემიის ლაურეატი; თბილისის საპატიო მოქალაქე; ჰუმანიტარულ მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი; პედაგოგიურ მეცნ. აკად-ის მრჩეველი (1998). დაჯილდოებულია ა/კ რესპუბლიკების ბიენალეს ვერცხ-ლის მედლით. არის მხატვ. კავშირის წევრი (1963); მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1979); ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქა-რთველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 0108. ტელ: 99 69 59. (ბინის) მირცხულავას 3ა. ბ.76. თბილისი 0119. ტელ: 34 48 48.

**ჩემი ცხოვრების კრედო სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების სიყვარულია. ახლობლების გვერდში ყოფნა, საყვარელი საქმისადმი ღრმა პროფესიონალური მიდგომა, წინაპართა ტრადიციების ხსოვნა და გაგრძელება, ახალგაზრდა თაობასთან სიახლოვე და მათ მომავალზე ზრუნვა, სიკეთის დანახვა და დაფასება, უდროოდ წასული მეგობრების, ახლობლების ხსოვნა, ჩემი ქალაქის, უბნის, ქუჩის სიყვარული, არდავიწყება გამზრდელების, მასწავლებლების, რომლებმაც გზაზე დამაყენეს, კაცობა მასწავლეს.**

## ოთარ თოიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1948 წ. 2 თებერვალს. მშობლები: მარგარიტა გეგეჭკორი, შალვა თოიძე; მეუღლე — ქეთევან ტატიშვილი; შვილები: ირინე, ნინო. დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1972), ნევროლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1975). იყო აკად. პ. სარაჯიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინ-ტის უმც., უფრ., და წამყ. მეცნ-თანამშრომელი (1973-2004). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავ-რე (2008). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ადამიანის თავის ტვინის ბიოელექტრული აქტივობის ასაკობრივი თავისებურებები ძილში" (1978), სადოქტორო — „ლოკალიზაციაზე დამოკიდებული იდიოპათიური ეპილეფსიური სინდრომები" (2003). არის ავტორი წიგნებისა: „ეპილეფსია პირველად ჯანდაცვაში" (2003); „ქალი, ეპილეფსია, რეპროდუქცია" (2001); „ეპილეფსია" (2005). აღიარებულია საუკეთესო ექიმად (2003) და მსოფლიოში ყველაზე მზრუნველ ექიმად (2005). მიღებული აქვს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დიდი მედალი (2003). არის ეპილეფსიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშ. ლიგის საქ. განყ-ის ვიცე-პრეზიდენტი (1996 წლიდან); ევროპის ეპილეფსიის აკად-ის წევრი (1998 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა ქართულ მედიცინაში" (2001); „საქართველოს პარლამენტი" (2006); „Caryng Physicians of the World" 2005; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი 0118. ტელ: 28 17 20; 28 16 37.
ეთიკა, მეცნიერება, მედიცინა.

## კოტე თოლორაია



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1925 წ. 8 ივნისს. მშობლები: ლუკიანე შენგელაია, ანდრო თოლორაია; მეუღლე — თამარ სხირტლაძე (1929); შვილი: თამაზი (1950-2004). დაამთავრა მარჯანიშვილის თეატრთან არსებული თეატრალური სტუდია (1947). იყო მარჯანიშვილის (1947-67) და რუსთაველის (1967-75) თეატრების მსახიობი. 1975 წლიდან კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს დიდი და პატარა როლი 100-ზე მეტ სპექტაკლში. არის საქ. დამსახურებული არტისტი (1968) თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1963) გადაღებულია ფილმებში: „მაცი ხვიტია" (1966), „კარდაკარ" (1960), „წყალდიდობა" (1970), „მოხეტიალე რაინდები" (1975), „ზოგი ჭირი მარგებელია" (1984), „ვინ არის მეოთხე" (1985), „სამოთხის ვერიტები" (1997), „ლუკას სახარება" (1998) და სხვა.
ჰობი: ცხოველები. ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 24 25. (ბინის) ქავთარაძის 17, თბილისი. ტელ: 18 60 75.
**„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია". ნ.ბარათაშვილი.**

## გია თომაძე



საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.
ქირურგი. პროფესორი.

დაიბადა ხაშურში 1955 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: ლეილა ნოზაძე, დავით თომაძე; მეუღლე — ლალი ახმეტელი (1964); შვილები: მარიამი (1997), გიორგი (2004). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1978). იყო რესპ. საავადმყოფოს ქირურგიული განყ-ბის ინტერნი (1978-79); ქირურგიის საკავშირო სამეცნ. ცენტრის კლ. ორდინატორი და ასპირანტი (მოსკოვი,1979-84); მოსკოვის მე-20 საავადმყოფოს ბაზაზე არსებული სანაღვლე გზებისა და პანკრეასის გადაუდებელი ქირურგიისა და პორტული ჰიპერტენზიის კათედრის პასუხისმგებელი ქირურგი (1984); აშშ მინესოტის უნ-ტის ქირურგიული კლინიკის სამეცნ. სტაჟიორი (1988-89). არის თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული თსსუ ქირურგიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი და პროფესორი (1984 წლიდან); თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული ზოგადქირურგიული კლინიკის და სამედ. აკად-ის გადაუდებელი ქირურგიის ცენტრის პროფესორი (1996 -2009); 2009 წლიდან არის თსსუ კერძო ქირურგიის №1 მიმართულების სრული პროფესორი; თსსუ პოსტდიპლომური სწავლების გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე. დაცული აქვს საკანდიდატო (მოსკოვი, 1983); სადოქტორო — შესრულებული კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის შესახებ, რომელიც შეეხებოდა პანკრეასისა და თირკმლის გადანერგვას (აშშ,1993). არის 2 გამოგონების, 7 რაციონალიზატორული წინადადებისა და 130-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს საბრძოლო დიდების მედლები საქ. ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში ქირურგად მონაწილეობის გამო (აფხაზეთი) და გრ. მუხაძის სამახსოვრო მედალი სამამულო ქირურგიის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის. არის ქირურგთა ინტერნაც. კოლეჯის საქ. სექციის პრეზიდენტი (2005 წლიდან); საქ. ტრანსპლანტოლოგთა ასოც-ის დამფუძნებელი პრეზიდენტი (1997 წლიდან); საქ. ქირურგთა, საქ. ექიმთა და ევროპის ტრანსპლანტოლოგთა ასოც-ის წევრი; ევროპაში ტრანსპლანტაციის კოორდინატორთა ორგანიზაციის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფოტოგრაფია. მოგზაურობა. კინოლოგია.
მისამართი: (სამსახური) წინანდლის 9, თბილისი 0144. ტელ./ფაქსი: 7718 19. (ბინის) ფალიაშვილის 6, ბინა 5, თბილისი. ტელ: 23 57 02; 899 55 33 11. ელ- ფოსტა: giatomadze@global-erty.net

## პანტიკო თორდია



სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
ინჟინერ-მექანიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ზუგდიდის რ-ნის სოფ. ზედა ენერში 1935 წ. 22 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა კვარაცხელია, შალვა თორდია; მეუღლე — ტაისა თორდია (1942); შვილი — ნონა (1969). დაამთავრა სარატოვის პოლიტექნიკური ინ-ტის თვითმფრინავმშენებლობის ფაკ-ტი (1967). იყო სარატოვის საავიაციო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი (1959-67); თბილისის საავიაციო ქარხნის განყ-ბის უფროსი, მთ. კონსტრუქტორი და მთ. ინჟინერი (1967-85); თსსგ გენ. დირექტორი (1985-91); საქ. რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის I მოადგილე (1991-95); საქ. რესპუბლიკის სახელმწ. აპარატის მთ. სახელმწ. მრჩეველი (1995-98); თსსგ გენ. დირექტორი (1998-2000); შპს „თბილავიამშენის" გენ. დირექტორი (2000-02); 2002 წლიდან არის სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ტიტანის შენადნობების მოცულობითი კვანძების თერმიული სწორების ხერხები და მოწყობილობა მისი განხორციელებისათვის". არის ავტორი მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და გამოგონებისა, მათ შორის: "Радиационный стереотелевизионный дефектоскоп" (1979); "Метрологическое обеспечение подготовки производства" (1979); "Способ правки изделий из титановых сплавов и устройство для его осуществления" (1985); "Способ вакуумной закалки стальных деталей" (1989); "Легкий гражданский самолет TAM JET" (2006). არის საპატიო ნიშნის (1981), ოქტომბრის რევოლუციის (1986), ღირსების (1990), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (2002) ორდენების მფლობელი; თბილსის საპატიო მოქალაქე (2000).
მისამართი: (სამსახურის) ბ.ხმელნიცკის 181, თბილისი 0136. ტელ: 70 84 12; ფაქსი: 70 88 38. (ბინის) წერეთლის გამზ. 12ა, ბ. 35, თბილისი 0154.
**თუ არა მე, ვინ და თუ არა დღეს, როდის.**

## ვახტანგ თორდია



საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. იურისტი.

დაიბადა სოხუმში 1953 წ. 25 იანვარს. მშობლები: თათუშა შურღაია, ვალერიან თორდია; მეუღლე – მარინა შენგელია-თორდია (1965); შვილები: ვალერი და გიორგი (1986). დაამთავრა კიევის სახელმწ. უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო უკრაინის მეცნ. აკად-ის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის სტაჟიორ-მომკვლევი და მეცნ. მუშაკი (1975-82); აფხაზეთის სახელმწ. უნ-ტის სახელმწიფოსა და სამართლის კათედრის მასწავლებელი (1982-83); საქ. უზენაესი სასამართლოს წევრი და პლენუმის მდივანი (1985-91); საქ. უზენაესი სასამართლოს წევრი (1991-97); სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-95); აფხაზეთის ა/რ უზენაესი სასამართლოს თავ-რე (1993-2005); საქართველოსა და აფხაზეთის იუსტიციის საბჭოს წევრი (1997-2005); სოხუმის საქალაქო და სოხუმის რ-ნული სასამართლოს თავ-რის მ/შ (2006-09); მინიჭებული აქვს მოსამართლის I საკვალიფიკაციო კლასი და თსუ დოცენტის წოდება. არის „საქართველოს მეგობართა საზოგადოების" გენ. მდივანი; საქ. მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი; აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სამეცნ.-საკონსულტაციო საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების დარგობრივი განყოფილებები და სამმართველოები" (1981). არის ავტორი 1 სახელმძღვანელოსი და მონოგრაფიისა: „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი" (2001, 2003); არის ჟურნ. „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე"-ს რედაქტორი და ჟურნ. „რანი ვართ ქართველნი"-ს რედკოლეგიის წევრი.. არის ღირსების ორდენის კავალერი (2003); დაჯილდოებულია უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა და მეგობრობა.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 43, თბილისი.
**სიმართლე, სამართლიანობა და პატიოსნება. მართალი კაცი ქვაზე ძლიერია. ცხოვრების მიზანი — აფხაზებისა და აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს არეალში. რწმენა იმისა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში სიმართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს!**

## ლაშა თორდია



საქართველოს პარლამენტის წევრი. სამართალმცოდნე.

დაიბადა 1980 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: მარინა თარიძე, ვახტანგ თორდია; მეუღლე — მაია ირემაშვილი (1978); შვილები: მარიამ შანიძე (1999), საბა თორდია (2006). დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი. იყო შპს „თბილავიამშენის" იურისტი (2001-02); საქ. პარლამენტის აპარატის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყ. სპეციალისტი (2002-04); ბინის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოც-ის იურისტი (2007-08). საქ. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნ. სააგენტოს იურისტი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე; აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და საქ. I პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი.
ჰობი: კითხვა. მოგზაურობა. მუსიკა. ჩოგბურთი, ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 26 34. (ბინის) რუსთაველის 24/1.
**პასუხისმგებლობა, ერთგულება, პროფესიონალიზმი, კანონმორჩილება, დახმარების გაწევა.**

## რადიშ თორდია



საქართველოს სახალხო მხატვარი. პროფესორი.

დაიბადა აბაშაში 1936 წ. 21 აგვისტოს. მშობლები: ვერა ჩოჩია, ტერენტი თორდია; მეუღლე — მარიამ გველესიანი (1951); შვილები: რატი (1967), თეა (1985). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1962). იყო საქ. მხატვართა კავშირის მდივანი, ფერწერის სექციის თავ-რე და გამგეობის წევრი; სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი და გამგეობის წევრი; საქ. რუსთაველის სახ. და სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი; მრავალი საგამოფენო ჟიურის წევრი და თავ-რე. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: ტუნისში (1980), მოსკოვში (1989), თბილისში (1990), გერმანიაში (1992, 1996). 1962 წლიდან მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშ. გამოფენებში: მოსკოვში (1978, 1981), დამასკოში (1978), პრაღასა და პარიზში (1982), მადრიდში (1986), კიოლნში (1992), დრეზდენში (1996) თბილისში (2000), ჰამბურგში (2003), ნიუ-იორკსა (2004) და ვაშინგტონში (2005). არის საქ. პედაგოგიურ მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი; საქ. დამს. მხატვარი (1979); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1980); საქ. სახალხო მხატვარი (1990); ღირსების ორდენის კავალერი (1996); ნიუ-იორკის ჯოის დათკას ფონდის მხატვართა საერთაშ. კონკურსის და საქ. მინისტრთა საბჭოს პრემიების (1980) ლაურეატი. დაჯილდოებულია საქ. მხატვართა კავშირის პრიზით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (2000). მისი ნამუშევრები დაცულია სანკტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში, კიოლნის ლუდვიგის მუზეუმში, სარდინიის (იტალია) სამხატვრო აკადემიაში, ნიუ-იორკის მუზეუმში; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) საბურთალოს 35, ბ.37ა. თბილისი. ტელ: 38 66 01. 899 56 78 13
**სიწმინდე და მშვენიერება.**

## გია თორთლაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. არქეოლოგი. მთამსვლელი.
მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.

დაიბადა თბილისში 1960 წ 12 ივლისს. მშობლები: ლამარა ნებიერიძე, ოთარ თორთლაძე; მეუღლე — მაია ერისთავი (1954); შვილები: ქეთევან ბაქრაძე (1972), ლევან თორთლაძე (1990). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1983), ასპირანტურა (1986). იყო გერმანული საავტორო სკოლის ისტორიის მასწავლებელი (1983-86); სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი (1989-94); საქ. მთამსვლელთა კავშირის თავ-რე (1993-99); საქ. მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი (1999-2002); არის საქ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნ. თანამშრომელი (1977); მთამსვლელთა საერთაშ. ასოც-ის პრეზიდენტი (2001 წლიდან); 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავ-რე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი (2008); საქ. ანტიკრიზისული საბჭოს თავ-რე (2008). არის დემოკრატიული პარტიის თავ-რე (2008 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს ღია ზედაპალეოლითური ნამოსახლარები". არის ავტორი 12 სამეცნ. ნაშრომისა, მოთხრობების კრებულისა — „13 მოთხრობა" (2005); დოკუმენტური კინოსერიალისა — „საქართველოს მთამსვლელობის ქრონიკები" (1998); დოკუმენტური ფილმებისა: „ნეპალ-ტიბეტი" (1992), „თეთრი მთა დაულაგირი" (1993), „ალასკა"(1994), „კავკასიონი" (1995), „ჩო-ოიუ—შიშა-პანგმა" (1996), „კილიმანჯარო" (1997), „ევერესტი—99" (1999), „ბაი-ჩე-ჩე-კეი" (2000), „ანდები" (1996), „ევერესტი—2001", „პირინეები" (2002), „მანასლუ" (2006); ფოტოგამოფენებისა — თბილისში (1999), ქუთაისში (2000), ბაქოსა (2001) და თელავში (2002). დაპყრობილი აქვს 127 მწვერვალი, მათ შორის: შიშა-პანგმა (1992, 1996), ევერესტი (1999, 2001), ჩო-ოიუ (1996), დაულაგირი (1995). მინიჭებული აქვს წოდება „თოვლის ჯიქი" (1991). არის ღირსების ორდენის კავალერი (1997); ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (1999) და ნეპალის სამეფოს (2003) ორდენების მფლობელი. იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (2003-05) და პარტია „საქართველოს გზის" (2006) წევრი; მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცივი იარაღის კოლექციონერი. ფოტოხელოვნება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 99 57 46. (ბინის) ვახტანგ მოსიძის 4, თბილისი. ტელ: 99 99 78.

**ვცდილობ, ვაკეთო ის საქმე, რაც მიყვარს და, რაც მთავარია, მაქსიმალური ენერგია დავხარჯო ამ საქმისათვის. ვარ ოპტიმისტი. არანაირი დამარცხება არ მოქმედებს ჩემზე, პირიქით, უფრო დიდი ენერგიით ვცდილობ, შევეჭიდო უფრო დიდ საქმეს.**

## გოგი თოფაძე



პოლიტიკური მოძრაობის — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 18 აპრილს. მშობლები: თინათინ მაჭავარიანი, ლევან თოფაძე; მეუღლე — მარინე ბეჟანიშვილი (1945); შვილები: ირაკლი (1969), გიორგი (1977). დაამთავრა სპი კვებისა და ქიმიის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1962); მოსკოვის ორგანული ქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1970). იყო თბილისის საპნის ქარხნის დირექტორი (1970-75); ს/გ „თბილლუდის" გენ. დირექტორი (1975-86); ლილოს ლუდის ქარხნის დირექტორი (1986-94); არის შპს „ყაზბეგის" დამფუძნებელი (1994), პრეზიდენტი — 1999 წლიდან. იყო პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავ-რე (1999-2005); 2005 წლიდან არის პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი. იყო პარლამენტის წევრი, ფრაქცია „მრეწველების" თავ-რე (1999-2004). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კვების მრეწველობის პროდუქტების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა" (1970); სადოქტორო — „მარკეტინგი და ინფორმატიკა" (2003); მინიჭებული აქვს ეკონომიკურ მეცნ. დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. არის 20 სამეცნ. ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს და 3 წიგნის ავტორი; წიგნისათვის „თხილამურებით მთაში" 1999 წელს მიენიჭა სახელმწ. პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. აღიარებული იყო წლის საუკეთესო ბიზნესმენად (1997, 1998); დაჯილდოებულია მეცენატის ოქროს მედლით (2005). არის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი (1995 წლიდან); საქ. ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (1999 წლიდან); იყო ევროპული სავაჭრო პალატის პრეზიდენტი (2005); საქ. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (2007-08). მისი ბიოგრაფია შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარში IBC (2000), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. სამთო თხილამურები. ალპინიზმი.
მისამართი: (სამსახურის) დ.უზნაძის 68 ბ, ტელ/ფაქსი: 94 20 46. (ბინის) მცხეთის 43. ტელ: 25 30 52.
**მენახოს აღორძინებული საქართველო.**

## ნოდარ თოფურია



მხატვარი.

დაიბადა 1942 წ. 2 აპრილს. მშობლები: შუშანა თოფურია, გიორგი ეოიტკევიჩი; მეუღლე — ვიქტორია სხირტლაძე (1945); შვილი — ნატო (1967). დაამთავრა თსსა (1968). 1994 წლიდან არის კულტურის სახელმწ. ინ-ტის პედაგოგი. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ერკინახშა" (1984), „ბერსკილი" (1987), „აღზევება" (1988), „მინოტავრი" და სხვა. მონაწილეობდა გამოფენებში: საქ. სსრ სახვითი ხელოვნება, (მოსკოვი, 1987); საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (სეგ, 1998). მისი ნამუშევრები დაცულია გალერეა TMS-ში, სეგ-ში. მიღებული აქვს პრემია და მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის. არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი; საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1974); ღირსების ორდენის კავალერი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხელოვნება.
მისამართი: (ბინის) კრილოვის 10. თბილისი. ტელ. 893 11 55 32.
**ხელოვნება.**

## მირიან თოფჩიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1935 წ. 10 მარტს. მშობლები: ნატო გოკიელი, ვლადიმერ თოფჩიშვილი; მეუღლე — მანანა დვალი (1937); შვილები: გიორგი (1959), ლევანი (1966-1986). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1958), ასპირანტურა (1967). იყო ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1959), უმც. მეცნ. თანამშრომელი (1959-61), უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1967-92), სექტორის გამგე (1992-95), დირექტორი (1995-2006); ამავე ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელია 2006 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ძირულის მასივის ლიასური ნალექების სტრატიგრაფია და ფაუნა" (1966); სადოქტორო — „საქართველოს ქვედაიურული და აალენური ნალექების სტრატიგრაფია" (1992). არის 140 სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის, ავტორი. არის მინერალური ნედლეულის საერთაშ. აკად-ის და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (2006 წლიდან). საქ. გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავრის მოადგილე (1997); 2001 წლიდან — საქ. სტრატიგრაფიული კომიტეტის თავ-რე; რუსეთის პალეონტოლოგიური საზ-ბის (1967) და საერთაშ. სტრატიგრაფიული კომიტეტის იურული კომისიის წევრი; აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის ს/კ საბჭოს ექსპერტი (2000 წლიდან); სამეცნიერო-ტექნიკური, საინფორმაციო-ანალიტიკური რეფერირებული ჟურ. „საქართველოს ნავთობი და გაზი"-ის სამეცნ. საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიის წევრი; გეოლოგიურ დარგში სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავ-რე (1998-2006); საერთაშორისო სამეცნ. ჟურ. „Стратиграфия и седиментология нефтегазоносных бассейнов" რედკოლეგიის წევრი (2008 წლიდან). მონოგრაფიებისათვის: „Стратиграфия нижнеюрских и ааленских отложений Грузии" (1996) და „Юрские и меловые белемнетиды Грузии"(თანაავტორებთან ერთად, 2002) მიენიჭა ალ. ჯანელიძის სახელობის პრემია. არის ღირსების ორდენის კავალერი (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ჩოგბურთი, კალათბურთი.

მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 9/1, თბილისი 0193. ტელ: 29 39 41. (ბინის) ირ. აბაშიძის 21. თბილისი. ტელ: 23 39 23. ელ-ფოსტა: geolog@gw.acnet.ge

**გულწრფელობა, უღალატო მეგობრობა, სხვისი გაჭირვების გულთან მიტანა, სწრაფვა დასახული მიზნისკენ, პასუხისმგებლობის გრძნობა.**

## ლევან თუთბერიძე



კინორეჟისორი. კინოთეატრ „ამირანისა" და კინოსტუდია „აისის" დამფუძნებელი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: ნინო ხოტივარი, ჯუანშერ თუთბერიძე. მეუღლე — მერი (ბაია) ლორთქიფანიძე (1958); შვილები: ნინო (1982), თამარი (1986). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1982). არის კინორეჟისორი 1982 წლიდან; კ/თ „ამირანისა" (1992) და კინოსტუდია „აისის" (1996) დამფუძნებელი. გადაღებული აქვს ფილმები: „თუშური ყველი" (1978), „უბისა"(1982), „მახარე" (1984), „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" (1989), „წარსულის აჩრდილები" (1995), „მოგზაურობა ყარაბაღში" (2005), „ქაღალდის ტყვია" (18 სერია, 2006); ამჟამად იღებს ფილმს „უშენოდ მგონი მოვკვდები" („I love you baby", 2009-10). შესრულებული აქვს მთ. როლი ფილმში „დიმიტრი II თავდადებული" (1981). მიღებული აქვს ჯილდოები: კიევის საერთაშ. კინოფესტივალის I პრიზი (1980), თბილისის ფესტივალის I პრიზი (1980), მოსკოვის კინოკრიტიკოსთა ფესტივალის პრიზი (1992), ფესტივალის — „კინოშოკი" გრან-პრი (2006), პრიზი — საუკეთესო კინორეჟისორი (მოსკოვი, 2006), საუკეთესო კინოკრიტიკოსთა პრიზი „იპრესცი" (2006), რუსეთის კინოფესტივალ „XXI საუკუნის" პრიზი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის (მხ. ფილმი „მოგზაურობა ყარაბაღში"), ღირსების ორდენი (2005). არის რუსეთის კინოაკადემია „ნიკას" და ევროპული კინოაკადემიის ლაურეატი; მრავალი კინოფესტივალის მონაწილე; EFDO-ს (ევროპული კინოდისტრიბუციის ოფისი) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია სხვადასხვა ქვეყნის კინოენციკლოპედიებში, ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა (ჯაზი, როკი, კლასიკა), გიტარაზე დაკვრა. კითხვა. ცურვა.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 36, თბილისი. ტელ: 95 48 64. (ბინის) უ.ჩხეიძის 33. ბ. 29. თბილისი.

**მიზნის მისაღწევად, ჩემი აზრით, საჭიროა შემდეგი თვისებები: სიმართლე, მოთმინება, პროფესიონალიზმი. შენთვის — მუშაობის პროცესი უნდა სძლევდეს შედეგს.**

## შოთა იათაშვილი



პოეტი. პროზაიკოსი. მთარგმნელი. არტ-კრიტიკოსი.

დაიბადა 1966 წ. 2 სექტემბერს. მშობლები ლეილა რურუა, გოდერძი იათაშვილი; მეუღლე — მაია სარიშვილი (1968); შვილები: ხატია (1998), ნატა (2000), ანასტასია (2002), დიმიტრი (2004). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1988); საზ-ბრივ პროფესიათა ფაკ-ტის კინოსარეჟისორო კურსები (1990). იყო 46-ე საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელი (1989-90); კ/ს რეჟისორის ასისტენტი (1990-91); ტ/კ „იბერვიზიის" რეჟისორი (1992); ლიტ. გაზ. „რუბიკონის" რედაქტორი (1992-94); თბილისის პერფორმანსის თეატრის რეჟისორი და მსახიობი (1994-96); გაზ. „სერაფიმის თეატრის" მთ. რედაქტორი (1995-97); ჟურ. „სტუდიის" ლიტ. ნაწილის გამგე (1997-2000); ლიტ. გაზ. „ალტერნატივას" (შემდგომ ჟურნალი; 1998-2006) მთ. რედაქტორი. 2003 წლიდან არის გამომცემლობა „კავკასიური სახლის" რედაქტორი. ავტორია 8 პოეტური და მოთხრობების 3 კრებულისა: პოეზია —„სიკვდილის ფრთები" (1993), „ანომალიური პოეზია" (ზ.რთველიაშვილთან და გ.ბუნდღოვანთან ერთად, 1993), „სალექი რეზინა" (1994), „მსუბუქი, ძალიან მსუბუქი და არც ისე მსუბუქი" (დ.ვაჩნაძესთან ერთად, 1997); „ბენზინის ყვავილები" (2000), „ლექსები" (2002), „ფანქარი ცაში" (2004), „სანამ დროა" (2006); პროზა — „კონტრაჟური" (1998), „ყვავილთა ყვავილი და ინჟინერი" (2000), „ფოტომამები" (2005); თარგმანები — ს.სონტაგი, „რადიკალური ნების სტილები" (1999); „ამერიკელი პოეტები" (2004). მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, რუმინულ, აზერბაიჯანულ, ჰოლანდიურ, პორტუგალიურ, უკრაინულ, ესტონურ, ლატვიურ და ალბანურ ენებზე. მონაწილეობდა საერთაშ. პოეტურ ფესტივალებში: ORIENT-OCCIDENT (კურტ-დე არჯესი, რუმინეთი, 2006), EST-OUEST (დი, საფრანგეთი,2006), Poetry International (როტერდამი, 2007), V და VI პოეტური ბიენალე (მოსკოვი, 2007, 2009), SOTZIA (ტალინი, 2008), „პოეზიის დღეები" (რიგა, 2008), „Киевские лавры" (კიევი, 2009) და სხვა. არის საერთაშ. პრემიის „Киевские лавры" (2009) და ლიტ. პრემიის „საბა" (წლის საუკეთესო პოეტური კრებული, 2007) ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ხატვა. ჭადრაკი.

მისამართი: (სამსახურის) გალაკტიონის 20, „კავკასიური სახლი", თბილისი 0105. ტელ: 99 83 39.

ფაქსი: 93 14 35. (ბინის) მ.კოსტავას 46/50, თბილისი. ტელ: 98 77 30.

ელ.ფოსტა: iatashvili@gmail.com

**არ აკეთო სულმუდამ ერთი საქმე და ეცადო, აკეთო ის საქმე, რომელიც არ გტანჯავს. პასუხისმგებლობა არ გიკარგავდეს ხალისს და ხალისი არ გიქრობდეს პასუხისმგებლობას.**

## თემურ იაკობაშვილი



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში.
ვიცე პრემიერ-მინისტრი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 3 სექტემბერს. მეუღლე — იანა ფრემერი (1972); ჰყავს ორი შვილი. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი ფიზიკის მაგისტრის ხარისხით (1990); გაიარა კურსები აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების შესახებ (აშშ-ს საინფ. სააგენტო, აშშ, 1995); დიპლომატიური კურსები პროფესიონალებისათვის პოლიტიკურ-დიპლომატიური კვლევების ცენტრში, ოქსფორდის და ბირმინგემის უნ-ტებში (დიდი ბრიტანეთი, 1998); მონაწილეობდა: იელის მსოფლიო მკვლევარების პროგრამაში (იელის უნ-ტი, აშშ, 2002); უმაღლეს აღმას. სემინარში (საერთაშ. და უსაფრთხოების კვლევების კოლეჯი, უსაფრთხოების კვლევების ევროპული ცენტრი, გერმანია, 2003); უსაფრთხოების აღმას. პროგრამაში (კენედის სახ. მთავრობის სკოლა, ჰარვარდის უნ-ტი, აშშ, 2004). იყო საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს: აღმოსავლეთის ქვეყნების სამმართველოს — მეორე მდივანი (1990–92), პირველი მდივანი (1992–93), ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სამმართველოს — ხელმძღვანელის მოადგილე (1993–95), ამერიკის სამმართველოს — ხელმძღვანელის მოადგილე (1995–98), ამერიკის, კანადისა და ლათინური ამერიკის სამმართველოს — ხელმძღვანელი (1998-2001); საქ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS)

ალმას. ვიცე-პრეზიდენტი (2001-08). 2008 წლიდან არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში; 2009 წლიდან — ვიცე პრემიერ-მინისტრი. არის PFP Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes — ადგილობრივი წარმომადგენელი 2004 წლიდან; საქ. საზ-ბრივ საქმეთა ინ-ტის (GIPA) გამგეობის წევრი — 2001 წლიდან. საქ. საგარეო ურთიერთობათა საბჭოსა და საქ. ატლანტიკური საბჭოს თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი — 2007 წლიდან. არის იელის უნ-ტის მსოფლიო ლიდერთა პროგრამის სტიპენდიანტი (აშშ, 2002). იყო მიწვეული მკვლევარი უპსალას უნ-ტის „აზრეშუმის გზის კვლევების ცენტრში" (შვედეთი, 2006). ავტორია მრავალი საგაზეთო პუბლიკაციისა ეროვნული უსაფრთხოების, კონფლიქტებისა და საერთაშ. ურთიერთობების თემებზე. აქვს დიპლომატიური რანგი — საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული.
ჰობი: მხატვრობა. კოლექციონერი.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7, თბილისი 0134.

## თამაზ იამანიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. სამთო-ინჟინერი.

დაიბადა ზესტაფონში 1944 წ. 21 მარტს. მშობლები: თამარ ტოროშელიძე, შალვა იამანიძე; მეუღლე — მანანა გენაძე-იამანიძე (1946); შვილი — ნინა (1968). დაამთავრა საპი სამთო-საინჟინრო ფაკ-ტი (1968); გ.წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინ-ტის ასპირანტურა (1974). იყო საქ. მეცნ. აკად-ის სამთო მექანიკის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი, ინჟინერი, უმც. მეცნ. თანამშრომელი (1968-75); საქ. მეცნ. აკად-ის სამეცნ. საორგანიზაციო განყ-ბის სწავლული მდივანი (1975-80); საქ. ს/კ დაწესებულებების და უმაღლესი სასწავლებლების საკოორდინაციო საბჭოს თავ-რის მოადგილე (1980-88); საქ. მეცნ. აკად-ის აკადემიკოსმდივნის მოადგილე (1988-2006). სამთო-მექანიკის ინტ-ში ჩამოაყალიბა სამეცნ. სექტორი და იყო მისი ხელმძღვანელი (1982-2006); დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბრუნვა-დარტყმითი საბურღი დანადგარების ვიბროდაცვის საკითხების კვლევა" (1975); სადოქტორო — „სანგრევი ინსტრუმენტისა და ქანის ურთიერთქმედების პროცესების ოპტიმიზაცია" (1996). 2001 წლიდან არის საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სამთო მექანიკის დარგში. არის 70-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. იყო სამთო ინ-ტის სამეცნიერო და სამთო მეცნიერებებში სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 52, თბილისი.

## ალექსანდრე იაშვილი



ფეხბურთელი.

დაიბადა თბილისში 1976 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ნანა ტატიშვილი, მამული იაშვილი; მეუღლე — ანა შამათავა (1981); შვილები: თამარი (თამრო, 2004), თომა-იულონი (2007), ბარბარე (2009). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (2001). იყო თბილისის „დინამოს" (1993-97), გერმანიის ქ. ლუბეკის გუნდის (1997), ფრაიბურგის საკლუბო გუნდის (1997-2007) წევრი. 2007 წლიდან არის გერმანიის ქ. კარლსრუეს საკლუბო გუნდის კაპიტანი. აღიარებულია 1994 წლის საქ. ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად; 2004 წლის საქ. საუკეთესო ფეხბურთელად; თბილისის დინამოსა და ფრაიბურგის საუკეთესო ბომბარდირად ბუნდესლიგის ისტორიაში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კინო და კომპიუტერული თამაშები.
**იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიო საჭიროა დიდი სურვილი და თავდადებული შრომა და, რა თქმა უნდა, რწმენა საკუთარი თავისა.**

## ბესიკ იაშვილი



თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური სამედიცინო-პროფილაქტიკური ცენტრის დირექტორი. ექიმი ქირურგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1929 წ. 17 აპრილს. მშობლები: თამარ ჯაფარიძე, პავლე იაშვილი; მეუღლე — ნათელა კაციტაძე (1941); შვილები: არჩილი (1953), ლაშა (1968). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1953). იყო რუსთავის საავადმყოფოს ქირურგიული განყ-ბის ორდინატორი და სისხლის გადასხმის განყ-ბის გამგე; გრ.მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ს/კ ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1953-61); დამწვრობის განყ-ბის გამგე (1970-84). 1984 წლიდან არის დამწვრობის ცენტრის დირექტორი; შპს პლასტიკური ქირურგიისა და დერმატოკოსმეტოლოგიის სამედიცინო ინ-ტის (1994) და კერძო ფირმა შპს „ესთეტიკის" (1997) დამაარსებელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დამწვრობის მკურნალობა სისხლის ადგილობრივი გამოყენებით" (1962); სადოქტორო — „ჰემოსტაზური ჰომეოსტაზის დარღვევის მნიშვნელობა მიკროცირკულაციის პათოლოგიასა და მეორადი ნეკროზების წარმოშობაში დამწვრობითი დაავადების დროს, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა" (1985). არის 150-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი დამწვრობის მკურნალობის ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის საკითხებზე, მათ შორის: „ჰემოსტაზიოლოგიის აქტუალური საკითხები" (მოსკოვი, 1982); „სისხლძარღვთა შიდა შედედების პროფილაქტიკა და მის ნინააღმდეგ ბრძოლა დამწვრობითი დაავადების დროს" (1987). არის აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1981), ოქტომბრის რევოლუციის (1986), ღირსების (1999) ორდენებით; რაციონალიზატორ-გამომგონებლის „ბრინჯაოს" მედლით (1984). არის მედიკო-ბიოლოგიურ მეცნ. აკად-ის (1994), სამხედრო-სამედიცინო აკად-ის და სოციოლოგიური აკად-ის ნამდვილი წევრი; საქ. პლასტიკურ ქირურგთა ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი (2000 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ფოტოგრაფია. სპორტი. ხატვა.

მისამართი: (ბინის) ი. შანიძის 18. თბილისი. ტელ: 22 76 54.

**კრედო იყო საქართველოში შემექმნა და ჩამომეყალიბებინა პლასტიკური ქირურგიის ისეთი წამყვანი დარგი, როგორიცაა კომბუსტიოლოგია, აღმეზარდა სათანადო კადრები ამ მიმართულებით. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობა, დაუღალავი შრომა, უწყვეტი განათლება და იმ თვისებების დანერგვა, სადაც წამყვანი მნიშვნელობა ზნეობას, მორალსა და პროფესიონალიზმს მიენიჭებოდა. ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდა.**

## გიორგი (გია) იაშვილი



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 12 ივნისს. მშობლები: ალდე კაკაბაძე, რევაზ იაშვილი; მეუღლე – ეკატერინე ქავთარაძე; შვილები: ალდე და ანა. დაამთავრა თსსა კერამიკის გან-ყბა (1978); სსრკ სამხატვრო აკად-ის შემოქმედებითი სახელოსნო (1984). სწავლობდა თსთი სამსახიობო (1970-73) და კინოსარეჟისორო (1980) კურსებზე. იყო საქ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მასწავლებელი (1980-82); თბილისის პედ. ინ-ტის სახვითი ხელოვნების კათედრის პედაგოგი (1983-84); საქ. მხატვართა კავშირის სამდივნოს წევრი, გამოყენებითი ხელოვნების სექციის თავ-რე (1987-96); საზ-ბრივი ორგანიზაციის — „საქართველოს კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი" („GACC") გამგეობის წევრი, საერთაშ. პროგრამების ხელმძღვ. (1992-96); საქ. სახელმწ. ეროვნული გალერეის დეკორატიული ხელოვნების სექტორის დირექტორი (1991-98); საერთაშ. ორგანიზაცია LACI-ის (აშშ) წევრი და წარმომადგენელი საქართველოში (1992-99); World Banks-ისა და საქ. მთავრობის პროექტის — „კულტურული მემკვიდრეობა" საბჭოს წევრი (2001-02); საერთაშ. პროექტის „Art Caucasus" დირექტორთა საბჭოს წევრი (2004-06); კულტურის საერთაშ. ცენტრის — „მუზა" გენ. დირექტორი, გამგეობის თავ-რე (2005-07); თსსა კერამიკა-მინის კათედრის გამგე (2004-06); თსსა დიზაინის ფაკ-ტის დეკანი (2005-07), სრული პროფესორი (2007-09); „კენტ უნივერსიტის" (ოჰაიო, აშშ, 1992) მიწვეული პროფესორი; აშშ სახელმწ. დეპ-ტისა და USAID-ის პროგრამის მონაწილე

(ჩიკაგო, აშშ, 2006). არის ავტორი ნამუშევრებისა: კერამიკული ქანდაკებების ციკლი — „ქალდეა", „გარინდული მხედარი", „არმაზის მნუხრი", „ხარის ნახტომი"; მონუმენტური პანო — „კოლხიდა"; ოფორტების სერია — „ნარტაცება ღამეში"; დეკორატიული ჭურჭლის სერიები — „არქაული", „სახიობა" და სხვა. მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში (1977 წლიდან), საერთაშ. პროგრამებსა და შემოქმედებით ჯგუფებში. მისი ნამუშევრები რეგულარულად იფინება მსოფლიო გამოფენაზე „New Art Form" (ჩიკაგო, აშშ) და შეტანილია „Art in America"-ს გამოფენათა კატალოგში; დაცულია იუნესკოს, დემირელის, ATA-ს, „TMS"-ის, „Laikside GRP"-ის, „Bount GLR" გალერეებსა და ფონდებში, სეგ-ში; საქ. და უცხოეთის სახელმწ. და კერძო კოლექციებში. არის ავტორი სტატიებისა, მეთოდური ნაშრომებისა და მონოგრაფიებისა. მიღებული აქვს სსრკ სამხატვრო აკად-ის პრემია (1984); ხელოვნების საერთაშ. ფესტივალის I ხარისხის პრემია კერამიკული ნამუშევრისთვის (1995, 1996); გრან-პრი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (საქ. სახელმწ. ეროვნული გალერეა, 2003); USAID-ის საპროგრამო (თბილისი, 1996) და საერთაშ. ორგანიზაცია „ATA"-ს სახელობითი (აშშ, 1996) გრანტები. არის საქ. ხელოვნების საერთაშ. ცენტრის დირექტორატის (1996), სსრკ და საქ. მხატვართა (1981), სსრკ დიზაინერთა (1984) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 0108. ტელ: 99 93 57. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, თბილისი 0177. ტელ: 39 54 96; 39 41 53.

## ნინო (ნანა) იაშვილი



არასამთავრობო ორგანიზაციის — „ბავშვი და გარემო" პრეზიდენტი. პედაგოგი.

დაიბადა თბილისში 1954 წ. 3 იანვარს. მშობლები: ლეილა გეგეჭკორი, თენგიზ ლაშხი. მეუღლე — მიხეილ იაშვილი (1954); შვილები: ქეთევანი (1975), ნოდარი (1978). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1978). იყო თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის პედაგოგი (1981-2000). 1995 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის — „ბავშვი და გარემო" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. არის საქ. გეოგრაფიული საზ-ბის წევრი (1982 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქრთველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა. მოგზაურობა და წიგნის კითხვა. შვილიშვილებთან ურთიერთობა.

მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას 14, თბილისი. ტელ: 94 37 35. (ბინის) ლ.ასათიანის 60. თბილისი. ტელ: 93 38 70. ელ-ფოსტა:bavshvi@caucasus.net

**ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანმა ბოლომდე უნდა მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. იდეალურ შემთხვევაში პიროვნების ინტერესები უნდა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესებს. ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა მოზარდებთან მუშაობა. ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა პრობლემებით, იმათი პრობლემებით, ვისაც დღეს ყველაზე მეტად უჭირს. ამ მიზნების რეალიზაციაში დამეხმარა ჩემი ენერგიულობა, მიზანსწრაფვა, ორგანიზაციული ნიჭი და რწმენა იმისა, რომ სიკეთე არ იკარგება, ერთი ადამიანიდან მეორეს გადაეცემა.**

## ომარ (ოლეგ) იაძე



საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი სამბოში. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დაიბადა კასპის რ-ნის სოფ. მეტეხში 1961 წ. 29 მარტს. მშობლები: ანა და გიორგი იაძეები; მეუღლე — ნანა ბაზალი-იაძე (1961); შვილები: გიორგი (1988), დავითი (1991). დაამთავრა საქ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტის სპორტის ფაკ-ტი (1986). იყო საქ. ჭაბუკთა (1986-88) და ახალგაზრდული (1988-91) ნაკრებების უფრ. მწვრთნელი; საქ. ეროვნ. ნაკრების უფრ. მწვრთნელი (1991-2004); საქ. სამბოს ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2004-05); ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი და მწვრთნელთა კომიტეტის თავ-რე

(2004); არის საქ. ეროვნ. ნაკრების უფრ. მწვრთნელი 2005 წლიდან; ევროპის ჩემპიონატის მე-3 და მსოფლიო ჩემპიონატის მე-2 (2006), ევროპის ჩემპიონატის მე-2 და მსოფლიო ჩემპიონატის მე-3 ადგილების (2007) მფლობელი. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მე-3 ადგილის მფლობელი. ავტორია 5 ბროშურისა და წიგნის — „მარადისობის ჭაბუკი". არის საქ. დამს. მწვრთნელი (1993); ღირსების ორდენის კავალერი (1997); მსოფლიო სამბოს საერთაშ. ფედერაციის ვერცხლის მედლის მფლობელი (სამბოს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, 2003); დასახელებულია XX ს. საუკეთესო ქართველ მწვრთნელთა ათეულის მე-2 ნომრად (2000); საქ. „ლეიბორისტული" პარტიის წევრია 1997 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველო", „ვინ ვინაა საქართველოში",„ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. პოლიტიკა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა. თბილისი ტელ: 22 72 43. (ბინის) თემქის დასახლება, XI მ/რ. IIკვ. კორპ. 24. ბ.17. თბილისი. ტელ: 60 30 21.
**„სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა" ამ იდეით ვიცხოვრე და ვცხოვრობ, რამაც განაპირობა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბება. ტრადიციების ერთგულება, პრინციპულობა, სიმართლე, სინდის-ნამუსის დაცვა, მეგობრობა, ერთგულება და ა.შ.**

## იეგუდიელი (ტაბატაძე)

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი.



დაიბადა საჩხერის რ-ნის სოფ. ბერეთისაში 1964 წ. 30 იანვარს. მშობლები: მარგალიტა და ბედიამინ ტაბატაძეები. დაამთავრა სპი (1992). 1995 წელს აღიკვეცა ბერად; აკურთხეს დიაკვნად (1995), მღვდლად (1995); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (2000); აკურთხეს ეპისკოპოსად (2003). იყო თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი (2003); ბოლნელი ეპისკოპოსი (2005-06). 2007 წლიდან არის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ყაზბეგი, სნო. მობ. (995) 998 39 53 96.

## მარინა ივანიშვილი

მოქანდაკე.



დაიბადა თბილისში 1952 წ. 17 მაისს. მშობლები: ოლგა კონიაშეილი, დავით ივანიშვილი. დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1976). იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მხატვარი (1976-77); საქ. მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის მდივანი (1987-88); მხატვრის სახლთან არსებული ქანდაკების ბავშვთა ექსპ. სტუდიის ხელმძღ. (1986-89). არის „On-line სტუდიო"-ს ელექტრონული კატალოგის „Art.ge"-ს კონსულტანტი ხელოვნების დარგში (2001 წლიდან); მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ 150-მდე გამოფენაში; დიდგორის მემორიალის კონკურსში (არქიტექტორ თ.ჯორჯაძესთან ერთად, III პრემია, 1985). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: ქალთა კულტურის ცენტრი (ჰამბურგი, 1991); ეროვნ. საჯარო ბიბლიოთეკა (თბილისი, 1997). არის მრავალი სტატიის, 2 რომანის: „ქილერის რვეული" (1998) და „თეთრი სიერცე" (2000), სცენარისა ფილმისთვის — „მოლოდინი"(1985) — ავტორი. თანამშრომლობდა ჟურნალთან „ომეგა". საქ. მხატვართა კავშირის წევრია 1981 წლიდან. მისი ნამუშევრები დაცულია საქ-სა და სსრკ კულტურის ფონდებში, კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცხოველები, განსაკუთრებით ცხენები.
მისამართი: (ბინის) გამსახურდიას 35, თბილისი. ტელ: 96 53 40, 37 51 67.
**კულტურის ისტორია სხეულისადმი დამოკიდებულების ისტორიაა. ჩემი კონცეფციაა: სხეულის საკრალური არსი.**

## თინათინ იზორია



საზოგადოებრივი რადიოს გენერალური პროდიუსერი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ლუიზა და პეტრე იზორიები; მეუღლე — რაჟი სანაია (1962). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1995). მუშაობდა ტელე-რადიოკომპანიაში „საქართველოს ხმა" (1997), გაზეთში „დრონი" (1998-2001), ინტერნეტგაზეთში „კვალი" (1999-2002). იყო რადიო „იმედის" საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი (2001-04), „მთავარი გაზეთის" ჟურნალისტი (2002-03), ტელეკომპანია „მზის" პროგრამის — „არჩევანის ზღვარზე" პროდიუსერი (2004-05). საზ-ბრივი რადიოს გენ. პროდიუსერია 2006 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68, თბილისი 0171. ტელ: 40 92 99. (ბინის) ძეგამის შეს. 2 თბილისი 0132. ელ-ფოსტა: tiniko@gpb.ge.

**ვფიქრობ, წარმატების საწინდარი ორი რამეა — დაუღალავი შრომა და ცოტა იღბალი. მხოლოდ ალალი შრომით მიღწეული მიზნის დაფასება შეიძლება, სხვა გზები მიზანს აფერმკრთალებს. ცხოვრების კრედოდ კი შემდეგი სიტყვები მაქვს ამორჩეული: მთავარია, საკუთარ სინდისთან ვიყო მართალი.**

## ილარიონი (ქიტიაშვილი)



მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსი.

დაიბადა ხაშურში 1957 წ. 22 ნოემბერს. მშობლები: ანა ლომიძე, ნოდარ ქიტიაშვილი. დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი (1985). აკურთხეს დიაკვნად (1998), მღვდლად (1999); აღიკვეცა ბერად (2000); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (2001); ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (2002); 2002 წლიდან არის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის ეპისკოპოსი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

მისამართი: (რეზიდენციის) მესტიის საკათედრო ტაძარი, თეთნულდის 2, მესტია 3200. ტელ: (995) 99 282922.

## ილია II (ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი)



უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი.

დაიბადა ვლადიკავკაზში 1933 წ. 4 იანვარს. მშობლები: ნატალია კობაიძე, გიორგი შიოლაშვილი. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია (1960). 1957 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად წმიდა ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემად ილია ეწოდა. ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად (1957); 1959 წელს — მღვდელმონოზვნად. დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად; აღყვანილ იქნა იღუმენის, შემდეგ — არქიმანდრიტის ხარისხში (1961). 1963 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა შემოქმედის ეპისკოპოსად და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1967 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ეპარქიაში; აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (1969). 1977 წელს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. ამავე წლის 25 დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია. პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია II. იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი

რექტორი (1963-72); 1988 წელს მისი თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია" (1960). არის კრეტის სასულიერო აკადემიის საპატიო და გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი; კვიპროსის სასულიერო აკადემიის საპატიო დოქტორი (1997 წლიდან). ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. ტიხონის სალვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა (1998); იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი (1978-83). დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიატქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პატრიარქების, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით ოცი წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 15-დან 33-მდე გაიზარდა, მონასტრებისა — 53-მდე, სასულიერო პირთა — 1000-მდე. მოხდა კანონიზირება ახალი წმინდანებისა. აშენდა საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესიის — წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.
ჰობი: მუსიკა. ხატვა. მებაღეობა.
მისამართი: (რეზიდენციის) საპატრიარქო, ერეკლე მეორეს მოედანი 1. თბილისი 0105. ტელ: (995) 32 989528. ფაქსი: 98 71 14.
**ღვთისა და ხალხის სამსახური.**

## ლაშა იმედაშვილი



თბილისის საკრებულოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი. მწერალი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 17 მარტს. მშობლები: რუსუდან (დოდო) ჯორბენაძე, კობა იმედაშვილი; მეუღლე — ხათუნა მახარაძე (1964); შვილები: გიორგი (1993), ნიკალა (1995). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1982 ). მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინ-ტში (1985-2000); პრეზიდენტის პრესსამსახურში — საქინფორმი (1997-2000); ტელეკომპანიაში — „იმედი" (2004-06). თბილისის საკრებულოს წევრია 2008 წლიდან; არის საკრებულოს საგარეო ურთიერთობათა განყ-ბის უფროსი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული ლირიკული პოემა" (1985). არის ავტორი წიგნებისა: „ქართული ბესტსელერი" (1999), „იმიტაციური მწერლობა" (2000), „იესოს საქმე" (2001), „ბიოგრაფიები" (2003), „პატრიარქის ზაფხული" (2007); სცენარებისა კინოფილმებისათვის: „გუშინ, დღეს, ხვალ" (1984), „ბარიერი" (1985), „სურათი" (1986), „ვირთხა" (1991), „მიზერერე" (1996), „კიდევ ერთი ქართული ისტორია" (2000), „მატარებელი" (2001), „სკამი" (2004); თანაავტორი სცენარისა სერიალისთვის „მგლების ხორუმი" (2002). არის 1996 წლის საუკეთესო სცენარისტი (საერთაშ. კინოფესტივალი „ოქროს არწივი"); ბავშვთა უფლებათა კონვენციაზე შექმნილი საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებისათვის გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის" I პრემიის ლაურეატი; ლიტერატურულ პრემია „საბას" ლაურეატი (2007). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი
მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 9. ტელ: 99 22 21. (ბინის) მცხეთის 8, თბილისი. ტელ: 23 26 23.
**პროფესიონალიზმი და მხოლოდ პროფესიონალიზმი.**

## ირაკლი იმედაძე



დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ფსიქოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 2 იანვარს. მშობლები: ნინო ჩერქეზიშვილი, ლადო იმედაძე; მეუღლე — ნანა კენჭაძე (1951); შვილი — ვლადიმერი (1981). დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1973). იყო დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინ-ტის უმც. (1977-81) და უფრ. (1981-85) მეცნ. თანამშრომელი, განწყობის

ფსიქოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1985-89), ზოგადი ფსიქოლოგიის განყ-ბის გამგე (1989-90), ფსიქოლოგიის ისტორიის ლაბორატორიის გამგე (1990-2006). 2006 წლიდან არის დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინ-ტის დირექტორი და ი.ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორი. იყო საქ. განათლების სამინისტროსთან არსებული გამოყენებითი ფსიქოლოგიის ცენტრის წამყვ. მეცნ. თანამშრომელი (1990-95); სულხან-საბა ორბელიანი სახ. პედ. უნ-ტის (1978-2006), სოხუმის სახელმწ. უნ-ტის (1997-98), თსსუ (1999-2001), ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტის (1998-2006) მიწვეული ლექტორი. არის სამედიცინო, ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სასწავლო ინ-ტის (1992 წლიდან), სასულიერო აკადემიის (2005 წლიდან), თსუ (2006 წლიდან) მიწვეული ლექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქცევის კატეგორია და განწყობის თეორია" (1989). არის ასამდე სამეცნ. პუბლიკაციისა და ნიგნის ავტორი, მათ შორის: „ქცევის კატეგორია განწყობის თეორიაში" (რუსულ ენაზე, 1991), „XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები" (2004), „ფსიქოლოგიის საფუძვლები" (2005), „ფსიქოლოგიის ისტორია" (2008). არის საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2009); საქ. ჰუმანიტარულ (1999), საქ. განათლების (2004), საქ. ფილოსოფიურ (2007) მეცნ. აკად-ების აკადემიკოსი; საქ. ფსიქოლოგიის საზ-ბის პრეზიდენტი (1995 წლიდან); დ.უზნაძის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2005).

მისამართი: (სამსახურის) პ.იაშვილის 22, თბილისი 0117. ტელ: 99 53 75; ფაქსი: 99 89 41.
ელ-ფოსტა: psinst@uznadzeinstitute.ge

**ცხოვრებისეულ კრედოს პიროვნებისათვის წამყვანი ღირებულებები განსაზღვრავს. ფსიქოლოგიაში მიღებულია ადამიანთა დაყოფა თეორიულ, ესთეტიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ ტიპებად. შესაბამისი ტესტის მიხედვით მე თეორიულ ტიპს მივეკუთვნები, რომელსაც, უპირატესად, შემეცნების სფერო, ჭეშმარიტების ძიება აინტერესებს. ბოლო დროს კიდევ უფრო ფასეული გახდა ოჯახის კეთილდღეობა, რაც, შესაძლოა, ბაბუას ახალ როლთან დაკავშირებულ არაჩვეულებრივ განცდებსაც უკავშირდება.**

## უშანგი იმერლიშვილი



მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 11 ივნისს. მშობლები: ელენე ორჯონიკიძე-იმერლიშვილი, მიხეილ იმერლიშვილი; მეუღლე — დოდო ცომაია (1950); შვილი – ირაკლი (1971). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განყ-ბა (1970). იყო ახალციხის დრამატული (1969-72), თბილისის მუსკომედიის (1974-83) თეატრების მთ. მხატვარი; თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის დამდგმელი მხატვარი (1983-94). გააფორმა 150-მდე სპექტაკლი, მათ შორის: "აბესალომ და ეთერი", "ლელა", "ოტელო", "ყვარყვარე" (ყველა მ. შველიძესთან ერთად); "სამი ფორთოხლის სიყვარული", "დონ კიხოტი", "ქეთო და კოტე" (პოლონეთი); "ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" და სხვა. არის საქ. დამსახურებული მხატვარი (1985), მ.აბაშიძის პრემიის ლაურეატი (1996), მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში"( 2000).

მისამართი: (ბინის) ვლ.ალექსი-მესხიშვილის 49, თბილისი. ტელ: 69 46 90.

**სიკეთე, სიყვარული.**

## გიორგი იმნაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. მეტყევე-ინჟინერი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 17 ივლისს. მშობლები: ლეილა სამადაშვილი, თამაზ იმნაძე. დაამთავრა საქ. აგრარული უნ-ტის სატყეო ფაკ-ტი (1996). მუშაობდა „საქტყეპროექტის" ინჟინერ-ტაქსატორად (1996-97); ინ-ტ „საქსახტყემეურნეობაპროექტის" ინჟინრად (1997-99); „სატყეო სექტორის განვითარების ცენ-

ტრის" კონსულტანტად (1998-2002). იყო საქ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე (2004-05). 2005 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავ-რის მოადგილე (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტული თამაშები. კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 84.
**პატიოსნება, ერთგულება, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, პროფესიონალიზმი.**

## პაატა იმნაძე

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი. ექიმი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1953 წ. 11 თებერვალს. მშობლები: ნუნუ დუმბაძე, გიზო იმნაძე.; მეუღლე — მაკა მეძმარიაშვილი (1960); შვილები: ტატა და ლიზი (1994). დაამთავრა თსსი ინ-ტის პედიატრიის ფაკ-ტი (1976). იყო თსსი ასპირანტი (1976), ასისტენტი (1979), დოცენტი (1991-96); თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის დოცენტი (1997); მერილენდის უნ-ტის მეცნ. მუშაკი (ბალტიმორი, აშშ, 1997-98). 2005 წლიდან არის თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის სრული პროფესორი. არის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი (1992 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა ნაწლავის მიკროფლორა და იმუნური სტატუსი" (1983). არის 105 სამეცნ. ნაშრომის და მიკრობიოლოგიის 2 სახელმძღვანელოს (1993, 1995) ავტორი. მიღებული აქვს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საპატიო მედალი (2002); დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003). იყო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტროპიკულ დაავადებათა კვლევის საკოორდინაციო საბჭოს წევრი (2003-06); ამავე ორგანიზაციის ევროპის რეგიონის იმუნიზაციის ექსპერტთა კომიტეტის წევრია 2004 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში" ( 2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი (სამსახურის) მ.ასათიანის 9, თბილისი 0177. ტელ: 39 89 46, ფაქსი: 43 30 59. (ბინის) უ.ჩხეიძის 33. თბილისი. ელ-ფოსტა: pimnadze@ncdc.ge
**საქმე უნდა აკეთო.**

## შოთა ინანეიშვილი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზოგადოებრივი მდივანი. ექიმი.



დაიბადა ქუთაისში 1953 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: ქეთევან და ნოდარ ინანეიშვილები; მეუღლე — მაია ფოფხაძე (1962); შვილები: ნოდარი (1990), ქეთევანი (1994). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1984). იყო ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ს/კ ინ-ტის (1986-95) და ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაც. ცენტრის (1995-2000) მეცნ. თანამშრომელი; საქ. თავდაცვის სამინისტროს ჯგუფის უფროსი (2000-03). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გიდ — რისკ ფაქტორების გავრცელება და მათი პროფილაქტიკა ახალგაზრდებში" (1993). არის 12 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (1988-93). არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1992 წლიდან, საზოგადოებრივი მდივანი და მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 21, თბილისი. ტელ: 93 12 44. (ბინის) ჯანაშიას 11ა. ტელ: 899 73 49 40.
**უნდა ცხოვრობდე ადამიანური ვალდებულებებით.**

## ხვედრი ინასარიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. მათემატიკოსი.



დაიბადა პარიზში 1932 წ. 6 დეკემბერს. მშობლები: ნინო და ნიკო ინასარიძეები; მეუღლე — ცისანა ფირცხალავა (1942); შვილები: ნიკო (1971), ქეთინო (1972); შვილიშვილი — გაბრიელი (2008). დაამთავრა თსუ მათემატიკის ფაკ-ტი (1958). იყო მათემატიკის ინ-ტის უმც., უფრ. და მთ. მეცნ. თანამშრომელი (1961-89); უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-91). არის მათემატიკის ინ-ტის ალგებრის განყ-ბის გამგე 1989 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ტოპოლოგიური სივრცეების და მათი უწყვეტი ასახვების სასრული რიგის ნაზრდები"(1966); სადოქტორო—„კოჰომოლოგიები მნიშვნელობით ნახევარჯგუფებში" (1970). 1983 წლიდან არის საქ. მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი, 2001 წლიდან — აკადემიის წევრი. ავტორია წიგნებისა: „Algebraic-theory" (1995), „Non-abelian Homological Algebra and its Applications" (1997). არის ახალი საერთაშ. მათემატიკური ელექტრონული ჟურნალების დამაარსებელი, მათ შორის: მათემატიკური ელ. ჟურნალი (1998-2005), „Journal of Homotopy and Related Structures" (2006), „Tbilisi Mathematical Journal" (2008). იყო საქ. მათემატიკოსთა ეროვნ. კომიტეტის თავ-რე (1990-97); ევროპის მათემატიკოსთა საზ-ბის წევრი. არის ა.რაზმაძის სახ. (1998) და ხორეზმის სახ. საერთაშ. პირველი ხარისხის (1999) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა და მუსიკა. ჩოგბურთი და თევზაობა.

მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, თბილისი. ტელ: 33.47.28. (ბინის) ჭავჭავაძის 75, III კორპ. ბ. 35, თბილისი. ტელ: 23.08.52. ელ-ფოსტა: hvedri@rmi.acnet.ge

**ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ჩემს ოჯახს შემოქმედებით მუშაობასთან ერთად გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისათვის. ასე იყო ემიგრაციაში (საფრანგეთში) ყოფნის დროს (იქ დავიბადე და გავიზარდე), ასე იყო საქართველოში ჩამოსვლისას, შემდეგ ყაზახეთის უდაბნოში, სადაც 1951 წელს გადაგვასახლეს და ასეა ახლაც. ამიტომ ასეთ პირობებში რაიმეს რომ მიაღწიო, უნდა გწამდეს საკუთარი ძალების და იყო შენი სამშობლოს ერთგული.**

## თამუნა ინგოროყვა

დიზაინერი. „მოდის სახლი თამუნა ინგოროყვა"-ს მფლობელი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 1 ივნისს. მშობლები: ნინო დარახველიძე, გიორგი ინგოროყვა; მეუღლე— ლევან ენუქიძე (1975); შვილები: გიორგი (2005), ალექსანდრე (2007). სწავლობდა თსსა მოდელირების ფაკ-ტზე; დაამთავრა პარიზის საერთაშ. მოდის აკადემია – ESMOD (2001). 2000 წელს დააარსა შპს „მოდის სახლი თამუნა ინგოროყვა". გამართული აქვს მოდის სეზონური ჩვენებები თბილისში; „საახალწლო ფესტივალი" (თბილისი, 2008); „პარიზის შოუ რუმ TENT" (2009). მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამოში (ბერლინი, 2005); მოსკოვის მოდის კვირეულებში (2004, 2005, 2006). არის ტანსაცმლის რამდენიმე კოლექციის ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: თხილამურები. მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 13, თბილისი. ტელ: 91 28 72.

**გაიხადე ოცნებები რეალობად. მიუღწეველი არაფერია. მონდომება განაპირობებს ყველანაირ წარმატებას.**

## იოანე (გურამ გამრეკელი)

ცურტაველი ეპისკოპოსი.



დაიბადა თბილისში 1946 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ეკატერინე და ვახტანგ გამრეკელები. დაამთავრა ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინ-ტის სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1970), მცხეთის სასულიერო სემინარია (1988). იყო საქ. გეოლოგიური სამმართველოს უფრ. გეოლოგი (1970-85); 1988 წ. ხელდასხმულ იქნა მღვდლად. იყო ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი (1988-89); 1989 წელს მიენიჭა პროტოპრესვიტერის წოდება. იყო თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორი (1989-93). 1993 წელს დაინიშნა საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავ-რედ; სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად (1989). იყო სასულიერო აკადემიის და სემინარიის პრორექტორი (2005-09). არის საქველმოქმედო საზ-ბა „ბეთლემის" თავ-რე (1992 წლიდან); გელათის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1995 წლიდან). 2009 წელს აკურთხეს ეპისკოპოსად და დაერქვა სახელი იოანე. 2009 წლიდან არის ცურტავის ეპისკოპოსი.
ჰობი: სოფლის მეურნეობა.
მისამართი: (სამსახურის) საქართველოს საპატრიარქო, ერეკლე II-ის მოედანი 1. თბილისი. ტელ: 98 89 78.
რეზიდენცია: ქ. რუსთავი, დუმბაძის შესახვევი 12. ტელ: 899 94 52 27.
**პასუხისმგებლობა ყველას წინაშე: „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ" (მთ. VI, 33).**

## იობი (ელგუჯა აქიაშვილი)

ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი.



დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. სნოში 1960 წ. 29 მაისს. მშობლები: ბარბარე ელოშვილი, ზურაბ აქიაშვილი. დაამთავრა საქ. სახელმწ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1983). ალიკვეცა ბერად (1988); აკურთხეს დიაკვნად, მღვდელმონოზვნად (1988); მოღვაწეობდა მცხეთის სემინარიაში (1989); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1989); მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი (1990); იყო მანგლელი ეპისკოპოსი; თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პრორექტორი (1992); ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი (1992-95); ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორი (1993); ბათუმის ეპისკოპოსი (1995-96), მთავარეპისკოპოსი (1996). იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი (1996-2003); ურბნისისა და რუისის ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი (1996-2000); საღმრთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიის თავ-რე (2003). 2000 წლიდან არის ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ლესელიძის 7, ხაშური 5706. ტელ: (995) 26 82 30 52; ტელ: (995) 3298 27 08; (995) 99 57 78 93.

## კოკი იონათამიშვილი

ორგანიზაციის — „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" თავმჯდომარე.
ინჟინერი.



დაიბადა თბილისში 1971 წ. 7 მაისს. მშობლები: ნინო და ჯემალ იონათამიშვილები; მეუღლე — ეკა ჭუმბურიძე (1974); შვილი — ნინო (2003). დაამთავრა სტუ ინფორმატიკის ფაკ-ტი (1994). იყო სტუ სტუდკავშირის დამფუძნებელი, თავ-რე (1989-90); ახალი მოძრაობა „თაობის" თავ-რე (1991-98); მოქალაქეთა ახ-

ალგაზრდული კავშირის თავ-რის მოადგილე (2001-02); ახალი მოძრაობა „ნაციონალური საბჭოს“ თავ-რე (2003). 2003 წელს დააფუძნა ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ და არის მისი თავ-რე. არის სცენარის ავტორი ფილმისა „საქართველო ცეცხლში" (2008).
ჰობი: სპორტი. კინო.
მისამართი: (სამსახურის) თაბუკაშვილის 17, თბილისი. ტელ: 99 01 70; 877 44 17 44. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, ბ. 6, თბილისი. ტელ: 31 16 51.
**მიუხედავად ამბიციებისა, ყოველთვის ვიყო სამართლიანი და ობიექტური.**

## იოსები (გივი, გიორგი კიკვაძე)



შემოქმედელი მიტროპოლიტი.

დაიბადა ჩოხატაურში 1959 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: სულიკო ვაშალომიძე, ვილემ კიკვაძე. დაამთავრა თბილისის ი.ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი (1978), თსსა. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1978-80). იყო დაბა ჩოხატაურის სამხატვრო და საშ. სკოლის ხაზვისა და ხატვის მასწავლებელი (1980-82); დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია; ალიკვეცა ბერად (1991); ხელდასხმულ იქნა დიაკვნად (1991); აკურთხეს სვეტიცხოვლისა და სამთავისის დედათა მონასტრის მწირველ მღვდლად (1991); აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1993); დადგენილ იქნა სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრად (1992); ხელდასხმულ იქნა შემოქმედელ ეპისკოპოსად (1995); მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2000); მიტროპოლიტის ხარისხი — 2007 წელს. 2007 წლიდან არის შემოქმედელი მიტროპოლიტი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: ოზურგეთის საკათედრო ტაძარი, 9 აპრილის 16, ოზურგეთი 3500. ტელ: 8(99) 157767.

## ელენე (ლილი) იოსელიანი



რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1922 წ. 25 მარტს. მშობლები: ალექსანდრა ჟღენტი, კონსტანტინე იოსელიანი. დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1944). იყო მოზარდ მაყურებელთა (1945-48), მარჯანიშვილის (1949-58;1962-63) და რუსთაველის (1969-71) თეატრების რეჟისორი. გორის ერისთავის სახ. (1958-61; 1964-68) და სანკულტურის (1961-62) თეატრების მთ. რეჟისორი. 1946 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრისა და კინოს უნ-ტში. დადგმული აქვს სპექტაკლები: „გაზაფხულის დილა“, „რაიკომის მდივანი“, „ფსკერზე“, „პიგმალიონი“, „ბებერი მეზურნეები“, „თედორე“, „აურზაური არაფრის გამო“, „ჰამლეტი“, „მშვიდობის დღესასწაული“, „რომეო და ჯულიეტა“, „იდიოტი“, „ქარიშხალი“, „სამი და“ და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „ბერნარდა ალბას სახლი“ (ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის საერთაშ. კინოფესტივალის პრემია, 1984), „წყარო“, „ფესვები“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ და სხვ. არის პროფესორი, დრამის ფაკ-ტის კონსულტანტი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის საპატიო თავ-რე; ჰუმანიტარულ მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი; საქ. სახალხო არტისტი (1976); მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და "Театральная энциклопедия"-ში (1965).
ჰობი: ხატვა. მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 19, თბილისი 0108. ტელ: 93 22 52. (ბინის) იოსელიანის 37, თბილისი. ტელ: 33 07 30.
**„არ არსებობს უბადრუკად საშინელი დრო და ცხოვრება, როდესაც ადამიანს თავისი კაცობის გამოჩენა არ შეუძლია“. უილიამ შექსპირი.**

## თეიმურაზ იოსელიანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიოლოგი. პროფესორი.



დაიბადა ქუთაისში 1929 წ. 21 ოქტომბერს. მშობლები: ელენე ყიფიანი-იოსელიანი, კლიმენტი (ჭიჭიკო) იოსელიანი; მეუღლე — ქეთინო ჩოხელი-იოსელიანი (1941). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1955), ფიზიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1958). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმც. (1958-61) და უფრ. (1961-76) მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1976-83); თსუ ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი (1960-70), კათედრის გამგე (1978-2006), პროფესორია 1970 წლიდან; 1983 წელს აირჩიეს (პირდაპირ) საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 2006 წლიდან არის თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჟელატინოზური სუბსტანციის როლი ზურგის ტვინის რეფლექსურ მოქმედებაში" (1959), სადოქტორო — „ზურგის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები" (1968). არის 150-ზე მეტი ნაშრომის — მათ შორის მონოგრაფიის „ზურგის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები" (1970); სახელმძღვანელოების: „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია" (1974), „ზოგადი ნეიროფიზიოლოგია" (1993), „ფიზიოლოგია, ვისცერალური სისტემები" (1996) ავტორი. კითხულობდა ლექციების კურსს იენის (გერმანია, 1974), ლოუელის (აშშ, 1980) და ჰომბურგ-საარის (გერმანია, 1985) უნ-ტებში. არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2003); საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტთან არსებული სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი სპეც. საბჭოს თავ-რე (1976-79). არის თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშ. ორგ-ის წევრი (IBRO, 1974); სოროსის ფონდის პროფესორი; საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის პრეზიდენტი (1994); მედიცინის მეცნ. (1994) ეკოლოგიურ მეცნ. (1995) და ნიუ-იორკის (1995) აკად-ების ნამდვილი წევრი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); მიენიჭა ABI-ის (American Biographical Institute, USA) საპატიო სიგელი „1998 წლის გამოჩენილი ადამიანი" და „ორიათასწლეულის საპატიო ოქროს მედალი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "A World-Wide Union of Neurosciences" (1997), „თბილისი" (2002), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ჭადრაკი, მუსიკა.

მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი. (ბინის) ბახტრიონის 8. ბ. 28. თბილისი 0194.
ტელ: 36 61 15. 899 41 44 58.

## ოთარ იოსელიანი

კინორეჟისორი. სცენარისტი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1934 წ 2 თებერვალს. მშობლები: მარიამ მიქაბერიძე, დავით იოსელიანი; მეუღლე — რიტა სემიონოვა-იოსელიანი (1935); შვილი — ნანა (1958). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწ. ინ-ტი (მოსკოვი, 1961). იყო საქ. ქრონიკულ-დოკუმენტური და სამეცნ-პოპულარული ფილმების სტუდიის II კატეგორიის რეჟისორი (1959-60); რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს მექურე (1963); კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1961-85). 1982 წლიდან მოღვაწეობს საფრანგეთში. არის მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისორი და სცენარისტი, რომელთა უმრავლესობა სპეც. პრიზებით აღინიშნა მსოფლიო კინოფესტივალებზე, მათ შორის: „აკვარელი" (1958); „საპოვნელა" (1959); „აპრილი" (1962); „გიორგობისთვე" (1966; ჟორჟ სადულის პრიზი — 1968, კანის ფესტივალის Fipresci); „ძველი ქართული სიმღერა" (დოკ. ფილმი, 1969); „იყო შაშვი მგალობელი" (1970, იტალიის პრიზი საუკეთესო უცხოური ფილმისათვის); „პასტორალი" (1976, Fipresci ბერლინის ფესტივალზე — 1982); „შვიდი პიესა შავ-თეთრი კინოსათვის" (1982); „უსკადი — 1982" („ბასკეთი", დოკ. ფილმი, 1983); „მთვარის ფავორიტები" (1984, ვენეციის 41-ე ფესტივალის ჟიურის სპეც. გრან-პრი; ვატიკანის პრიზი OCIC; ევროპული კინემატოგრაფიის პრიზი CICAE, ბერლინი — 1985); „პატარა მონასტერი ტოსკანაში" (1988, „SCAM"-ის გრან-პრი — წლის საუკეთესო დოკ. ფილმი, 1989); „და იქმნა ნათელი" (1989; ვენეციის 46-ე კინოფესტივალის ჟიურის სპეც. გრან-პრი); „ნადირობა პეპლებზე" (1992, ევროპის პრიზი C.I.C A —

ვენეცია — 1992; იტალიური კონოკრიტიკის სპეც. პრიზი; ბერლინის ხელოვნების აკადემიის გრან-პრი; რუსეთის „ტრიუმფი" საუკეთესო უცხოური ფილმისათვის); „მარტოდმარტო საქართველო" (1993-94; სატელევიზიო ფილმი); „ყაჩაღები, თავი VII" (1996, ვენეციის 53-ე ფესტივალის ჟიურის სპეც. გრან-პრი); „Adieu, plancher des vashes!" (1999, ევროპული კინემატოგრაფიის პრიზი წლის საუკეთესო ფილმისათვის; ლუი დელუკის პრიზი წლის საუკეთესო ფრანგული ფილმისათვის; მოსკოვის საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი „ოქროს ვერძი" საუკეთესო უცხოური ფილმისათვის — 2000); „ორშაბათის დილა" (2002, ბერლინის 2002 წ. კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი" — საუკეთესო რეჟისურისათვის, Fipresci); „Jardins en automne" — „ბაღები შემოდგომით" (2006). დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის ქ. კორპ. 1, ბ. 38, თბილისი. ტელ: 38 50 58; 38 08 60.

## ოტია იოსელიანი

მწერალი-ნოველისტი. დრამატურგი. კინოსცენარისტი.



დაიბადა წყალტუბოს რ-ნის სოფ. გეიშტიბში 1930 წ. 16 ივნისს. მშობლები: ლიზა ალაშვილი, შალვა იოსელიანი. მეუღლე — ქეთევან ფანცხავა (1930). შვილები: რამაზი (ბაჩო, 1951), მანანა (1953), დაჩი (1964). დაამთავრა საკავშირო მწერალთა კავშირის უმაღლესი ლიტერატურული კურსები მოსკოვში (1961). არის ავტორი რომანებისა: „ვარსკვლავთცვენა", „შავი და ცისფერი მდინარე", „ტყვეთა ტყვე", „იყო ერთი ქალი", „ქალი გამოვიდა სალალატოდ"; პიესებისა: „სანამ ურემი გადაბრუნდება", „ადამიანი იბადება ერთხელ", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „მოჯადოებული მწევრვალი" — დაიდგა საქ. და საზღვარგარეთის ქვეყნების 150-ზე მეტ თეატრში; საბავშვო წიგნების — „დაჩის ზღაპრები" (1973), „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები", „ხელისგულისხელა ზღაპრები"; პოეტური კრებულის „სიშორით სიახლოვე" და ნოველების კრებულისა. იბეჭდება მისი ნაწარმოებების რჩეული ათტომეული (დაბეჭდილია 9 ტომი). მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია სრულმეტრაჟიანი მხ. ფილმები: „მალე გაზაფხული მოვა", „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი" და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი. არის საქ. მწერალთა კავშირის წევრი (1959 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ხელოვნების 1, წყალტუბო. ტელ: 899 98 25 26.
**ჩემი გაჩენის დღიდან დღემდე დიდი ტკივილის გარეშე ნამცეცი სიხარული არ მღირსებია. ყველა ჩემი ნოველა, მოთხრობა, რომანი, პიესა თუ სცენარი, სიყვარული თუ სიხარული, გაგანია ცეცხლიდან მაქვს შიშველი ხელებით გამოღებული და დამდუღრულზე სულის შებერვასავითაა. თუ ვინმე ჩემს ნაწერს კითხულობს და თუ მოსწონს, ხომ დამწვრის მალამოა და მალამო!**

## ისაია (ზურაბ ჭანტურია)

ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი.



დაიბადა წალენჯიხაში 1961 წ. 17 აპრილს. მშობლები: ნინო (გუგუშა) ფიფია, მირდატი ჭანტურია. დაამთავრა სამხატვრო ტექნიკუმი (1979), თსთი კინოს ფაკ-ტი (1993). იყო მორჩილი (1993); წმ. ანტონ მარტყოფელის მონასტერში ალიკვეცა ბერად (1994); ხელდასხმულ იქნა დიაკვნად (1994); აკურთხეს მღვდლად, იყო მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი (1994-95); ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1995); იყო საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური განყ-ბის თავმჯდომარე (1995-96); მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2000). იყო ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი (2000-05). 2005 წლიდან არის ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: ნიქოზის საკათედრო ტაძარი, ნიქოზი 1417.

## გიორგი ისაკაძე



ბიზნესმენი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: თამარ ნიჟარაძე, შალვა ისაკაძე; დაამთავრა თსუ საერთაშ. ეკონომიკის ფაკ-ტი საერთაშ. ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით (1997). იყო საქ. საფონდო-საპრივატიზაციო ბირჟის საორგანიზაციო ჯგუფის მენეჯერი; TBC-ბანკის საერთაშ. დეპ-ტის მენეჯერი; გაზეთ „ბანკები და ფინანსები"-ს რედაქტორი; ტელეპროგრამა „საქმე"-ს (საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, „თი-ბი-სი ტვ სტუდიო") ავტორი და წამყვანი; დოკუმენტური ფილმების ციკლის — „თბილისის დროით" ავტორი (1994-99); საქ. სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ სფეროში რეფორმების ხელშეწყობის განყ-ბის რეფერენტი; სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანაშემწე; საქ. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს აპარატის უფროსი; საქ. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი (1999-2001); საქ. პრეზიდენტის თანაშემწე საბიუჯეტო და ფისკალურ საკითხებში; საქ. პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული საბჭოს წევრი (2001-03); საქ. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; საქ. ბიზნესმენთა ფედერაციის აღმას. დირექტორი; საქ. პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ბიზნეს საბჭოს კოორდინატორი (2004-08). არის საინვესტიციო კომპანია „ლოგოს"-ის დამფუძნებელი (2006); 2007 წლიდან — კომპანიის — „ქართული შაქარი" გენ. დირექტორი; საერთაშ. სავაჭრო პალატის დამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს წევრი; შპს „თაჩ მედია"-ს დამფუძნებელი, მმართველი დირექტორი (2008); შპს „აგარა შუგარ მენეჯმენტი"-ს გენ. დირექტორი; შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის" გენ. დირექტორი (2009). 2009 წლის ივლისიდან „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის" დამფუძნებელი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 3, თბილისი 0171. ტელ: 18 06 72/74, ფაქსი: 822 33 41 02;
ელ-ფოსტა: giorgi@isakadze.com

## ლიანა ისაკაძე



მევიოლინე. დირიჟორი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1946 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: გალინა კვირიკაშვილი, ალექსანდრე ისაკაძე; მეუღლე — თამაზ ჩაჩავა (1940). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორია (1970), ასპირანტურა. იყო მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი (1970-92); საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის სამხ. ხელმძღვ. და მთ. დირიჟორი (1981-96); 1990 წელს თავის ორკესტრთან ერთად გადავიდა ინგოლშტადტში (გერმანია). არის მრავალი საინტერესო პროექტის ინიციატორი, მათ შორისაა: ბიჭვინთის მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები", ამავე სახელწოდების საერთაშ. ფესტივალი გერმანიის ქ. აიხშტადტში, მუსიკალური ფესტივალი „მუსიკოსები ხუმრობენ" თბილისსა და მოსკოვში, ფესტივალები ვენაში, ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ფესტივალი ლიხტენშტეინში, საახალწლო კონცერტების სერია თბილისში, უნიკალური საკონცერტო მომლოცველობა „პილიგრიმობა ევროპასა და იერუსალიმში" (2000), ბორჯომის საერთაშ. ფესტივალი „ხელოვნების ზეიმი". გამართული აქვს კონცერტები: კარნეგი ჰოლში (აშშ, 1995), ლა-სკალაში (მილანი, 1996), საკონცერტო დარბაზში „პლიელი" (პარიზი, 1996); ბელგიის სამეფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (ლოკარნოს ფესტივალი, 1997), მოსკოვის სახელმწ. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (მოსკოვი, 1997, 1998); 5 სავიოლინო კონცერტი ორ საღამოში (მიუნჰენი, 1996, 1997), კაზალსის სახ. ფესტივალზე (კანი, 1997), სტრასბურგში (1996), ამსტერდამის „კონცერტ გებაუ"-ში (1996, 1997), ივო პოგორელიჩის ფესტივალზე (1997), ჰელსინკის ფესტივალზე (1997), „ტოკიო სითი ორკესტრა"-სთან ერთად (2001). არის გერმანიის „ქართულ-გერმანული კულტურის ცენტრის" (1994), საქართველოში ლიანა ისაკაძის ფონდის — „ხელოვნების კაპიტალი" (2002), გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრის (2005) დამაარსებელი. სანკტ-პეტერბურგში 2003 წელს პირველად ჩატარდა ლიანა ისაკაძის სახ. მევიოლინეთა საერთაშ. კონკურსი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება. ახალგაზრდა ქართველი ინსტრუმენტალისტების მხარდასაჭერად მან დააწესა სპეციალური სტიპენდიები. არის სსრკ სახალხო არტისტი

(1984); პ. ჩაიკოვსკის, ჟაკ ტიბოს, სიბელიუსის საერთაშ. კონკურსების ლაურეატი; ზ.ფალიაშვილის, რუსთაველის (1983) და საქ. სახელმწიფო (2000) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1999, 2002); საქ. საპატიო მოქალაქე; კემბრიჯის ბიბლიოგრაფიული ცენტრის მიერ დაჯილდოებულია ოქროს მედლით (2001). თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი (2001). დასახელებულია XX ს. ერთ-ერთ საუკეთესო მევიოლინედ. მასზე გადაღებულია მრავალი ფილმი გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოში. მისი ბიოგრაფია შესულია გერმანიის მუსიკალურ ენციკლოპედიაში, ABI-ისა (1997) და IBC-ის (1999) ენციკლოპედიებში; კემბრიჯის საერთაშ. ბიბლიოგრაფიული ცენტრის ენციკლოპედიაში „XX საუკუნის 2000 საუკეთესო მუსიკოსი"; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

**ჩემი მოვალეობის ღმერთის და ხალხის წინაშე პატიოსნად და სიყვარულით შესრულება.**

## შალვა ისაკაძე



ლანდშაფტის დეკორატორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა თბილისში 1936 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: თინა კოკოჩაშვილი, გიორგი ისაკაძე; მეუღლე — თამარ ნიჟარაძე; შვილები: გიორგი (1975), ლაშა (1976); შვილიშვილები: სალომე (2002), გიორგი (2005). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტი დეკორატიული მებაღეობის და ლანდშაფტური არქიტექტურის განხრით (1959). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის უფრ. დეკორატორი, უმც. მეცნ. თანამშრომელი, უფრ. მეცნ. თანამშრომელი, მთ. დეკორატორი, ლანდშაფტური არქიტექტურის განყ-ბის გამგე (1959-76); იყო ბოტანიკური ბაღის სამეცნ. საბჭოს წევრი (1967-89); თბილისის საქალაქო საბჭოს გამწვანების მეურნეობის ტრესტის მმართველი (1969-74); თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი (1971-74); საქ. მეცნ. აკადემიის ბიოლოგიური განყ-ბის სწავლული მდივანი (1874-78); თსუ დოცენტი და გამწვანების სამსახურის უფროსი (1990-97); საქ. აგრარული უნ-ტის დოცენტი (1995-2002); ლანდშაფტის არქიტექტურისა და გარემოს დაცვის კომისიის თავ-რე (1999-2003); მცხეთის რ-ნისა (1982-90) და თბილისის მთ. დეკორატორი (1995 წლიდან); საქ. აგრარული უნ-ტის დეკორატიული მებაღეობის და ლანდშაფტური არქიტექტურის კათედრის გამგე (2003-05). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია (1964). არის მწვანე მშენებლობაში ქართული ჩუქურთმის დანერგვის ავტორი (1956-63); ყვავილების საკავშირო, რესპუბლიკური და საქალაქო გამოფენების ავტორი (1959-94). ლანდშაფტურად გაფორმებული აქვს მრავალი ობიექტი, მათ შორის: საქართველოს ბაღი მამაის ყორღანზე (ვოლგოგრადი, 1966); თსუ მთ. კორპუსის პარკი (1968); ადმინისტრაციული ცენტრი (სამტრედია, 1981); საქ. ექსპოზიცია (ვერცხლის მედალი, მოსკოვი, 1982-83); სანატორიუმი „საქართველო" (წყალტუბო, 1982-83); ი.სტალინის სახლ-მუზეუმი (გორი, 1985); ისტორიული ბაღი „ბულვარი" (ქუთაისი, 1986); პარკი „თეატრონი" (მცხეთა, 1984-85); სკვერი „არმაზი" და „არსენას ბაღი" (მცხეთა, 1987); მალთაყვის სანყლოსნო კომპლექსი (ფოთი,1993); ალექსანდრეს (9 აპრილის) ბაღი (2000); თბილისის I გიმნაზიის პარტერი (2001); საქ. ერთიანობისათვის დაღუპულ ჯარისკაცთა მემორიალი (თბილისი, 2002-03). არის მრავალი საერთაშ., საკავშირო, რესპუბლიკური სიმპოზიუმის, კონფერენციის მონაწილე, მათ შორის: მწვანე მშენებლობისა და დეკორაციული მებაღეობის კონფერენცია (უნგრეთი,1973), ლანდშაფტის არქიტექტორთა საერთაშ. ფედერაციის (IFLA, ბუდაპეშტი,1984), დენდროლოგებისა და დეკორატორების VII საერთაშ. (თბილისი,1982) და მსოფლიო ბოტანიკოსთა (ავსტრია, 2005) კონგრესი. არის 100-მდე პუბლიკაციისა და 6 მონოგრაფიის ავტორი; იყო სსრკ. არქიტექტორთა კავშირის წევრი (1983-93); საქ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი (1998); არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1983); ღირსების მედლის (1996) და ორდენის (2000) კავალერი; საქ. ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის საქ. ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო", თანამედროვე ქართული არქიტექტურისა (1999) და ენციკლოპედიურ ცნობარში „თბილისი" (2002), საქ. ეროვნ. და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ცნობარში (2005).
ჰობი: ფერწერა. მუსიკა. ესთეტიკური სამყარო.
მისამართი: (ბინის) ნ.ნიკოლაძის 5, ბ.8. თბილისი 0108. ტელ: 99 70 80, 899 50 70 80, 93 24 25.

**ვცდილობ ბალახზე დაბალი ვიყო და რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვთესო.**

## კახი კავსაძე

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა თბილისში 1935 წ. 5 ივნისს. მშობლები: თამარ ცაგარეიშვილი, დავით კავსაძე; მეუღლე — ბელა მირიანაშვილი; შვილები: ნანა ხუსკივაძე (1965), ირაკლი კავსაძე (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1959). 1957 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლსა თუ კინოფილმში, მათ შორის: „ჭინჭრაქა", „ღვთაებრივი კომედია", „ღალატი", „საბრალდებო დასკვნა", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „გუშინდელნი", „კავკასიური ცარცის წრე", „ვარიაციები თანამედროვე თემაზე", „რიჩარდ III", „ასერგასის დღე", „სამიდან ექვსამდე", „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", „მოხუცი ჯამბაზები", „ჩიტები", „ნკიპურტები", „ქალაქი ანარა", „ყვარყვარე", „ლვინის ქურდები", „ნატვრის ხე", „სიყვარული ყველას უნდა", „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „დიუმა კავკასიაში", „მეფე ივანე მრისხანე", „მონანიება", „მიდიოდა მატარებელი", „მიჯაჭვული რაინდები", „სამოთხის გვრიტები", „უდაბნოს თეთრი მზე", „მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო", „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი" (9 ფილმად), „ლაზარე", „თბილისი-პარიზი-თბილისი", „იავნანა" და მრავალი სხვ. მონაწილეობდა ვაშინგტონის სტანისლავსკის სახ. თეატრის სპექტაკლში „სტუმარ-მასპინძელი". დაჯილდოებულია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმებში: "Золотой овень" (1995), „სამოთხის გვრიტები" (2000), „მიჯაჭვული რაინდები" (2000). არის საქ. სახალხო არტისტი (1981); ღირსების ორდენის კავალერი; კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (2009); სსრკ კინემატოგრაფისტთა და საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირების წევრი. 2008 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ენციკლოპედიაში „თბილისი", ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში"; ინტერნეტ ენციკლოპედიაში „ვიკიპედია" და სხვ.
ჰობი: ხალხური სიმღერა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი. ტელ: 99 63 73. (ბინის) მაჩაბლის 7, თბილისი. ტელ: 96 96 65; 95 33 65; 99 50 44.
**რადგან უმამოდ გავიზარდე (1941 წელს ჯარში გაიწვიეს, ტყვედ ჩავარდა, დააპატიმრეს და ციმბირში დაიღუპა), მძიმე ბავშვობა მქონდა, ოჯახს ეკონომიურად უჭირდა. მერე, როცა მსახიობი გავხდი, არც მაშინ მქონდა დალხენილი ცხოვრება. არასოდეს არავისი არაფერი შემშურებია, არც ახლა მშურს და ასე დავამთავრებ ცხოვრებას. მიზანი – რაც შეიძლება მეტი სიხარული და ბედნიერება მოვუტანო ხალხს. ჩემი პროფესია ამის საშუალებას მაძლევს. მე არტისტი ვარ!**

## ალდე კაკაბაძე

მხატვარი-კერამიკოსი. საქართველოს სახალხო მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1932 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: მაყვალა მრევლიშვილი, გრიგოლ კაკაბაძე; მეუღლე — რევაზ იაშვილი (1929-1996); შვილი — გიორგი (1956). დაამთავრა თსსა კერამიკის ფაკ-ტი (1957), ასპირანტურა (1963). იყო მცხეთის კერამიკული სკოლისა და თბილისის 57-ე სკოლის მასწავლებელი; თბილისის სარეწაო კავშირის საკონსტრუქტორო ბიუროს მხატვარი (1957-60); თსსა კერამიკის სახელოსნოს გამომწველი (1983-84). არის თსსა კერამიკის კათედრის პედაგოგი (1964 წლიდან), პროფესორი (1980 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: კერამიკული ქანდაკებები ქართული ხალხური ზღაპრების თემებზე (1957), მარანი „ორნი" (1966), „ძველებური სიმღერა" (1969), კერამიკული პორტრეტი „კახელი" (1975), „მიტოვებული სოფელი" (1970), მარანი „საქართველო" (1977) და სხვ. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისში (1974), მოსკოვში (1977), კოპენჰაგენში (1980), ნანტში (1982), ვლადიმირში (1983); მონაწილეობდა საქ. და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში, მათ შორის: პოლონეთში (1960), იზმირში (1965), ჟენევაში (1966), ალჟირში (1967), მონრეალში (1967, 1975), ბულგარეთში (1970), შვედეთში (1967, 1976), შვეიცარიაში (1971, 1978), გერმანიაში (1969, 1986), საფრანგეთში (1970, 1972, 1980), იტალიაში (1967, 1970), პორტუგალიაში (1981, 1988), ავსტრიაში (1979), იაპონიაში (1980), ირლანდიაში (1980), საბერძნეთში (1977, 1989) და სხვ. არის წიგნის — „ქართული თანამედროვე კერამიკა"

(მოსკოვი, 1984) და თანამედროვე კერამიკის შესახებ სტატიების ავტორი. მისი ნამუშევრები დაცულია ბერლინში მსოფლიოს ხალხთა კერამიკის მუზეუმში, ნანტის (საფრანგეთი) ეთნოგრაფიულ მუზეუმში, პრაღის, ბეხინის (ჩეხოსლოვაკია) და შიკლოშის (უნგრეთი) თანამედროვე კერამიკის, ალმ. ხალხთა ხელოვნების (მოსკოვი), კუსკოვოს (რუსეთი) და ჩიკაგოს ლეიკსაიდის კერამიკის მუზეუმებში; საქ. და უცხოეთის კერძო კოლექციებში. არის საქ. დამს. მხატვარი (1976); საქ. სახალხო მხატვარი (1987); ღირსების ორდენის კავალერი. დაჯილდოებულია ვალორისის (საფრანგეთი, 1966, 1970), ფაიენცას (იტალია, 1972), ჟენევის (1977) საერთაშ. გამოფენების I ხარისხის დიპლომებით; სსრკ სამხატვრო აკად-ის საპატიო დიპლომით (1972); საქ. მხატვართა კავშირის მედლით (1977). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1963 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კერამიკ. პოეზია. მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 0108. ტელ: 99 93 57. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, თბილისი 0177. ტელ: 39 54 96.
**დაუღალავად ეცადე დახვეწო შენი ხელოვნება, დანარჩენი თავისით მოვა.**

## ამირ კაკაბაძე

საქართველოს დამსახურებული მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1941 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ეთერ ანდრონიკაშვილი, დავით კაკაბაძე; მეუღლე — ია კვირიკაძე (1945); შვილები: დავითი (1970), მარიამი (1985). დაამთავრა თსსა ფერწერისა და თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ფაკ-ტები (1967), ასპირანტურა (1972). იყო მარჯანიშვილის (1967-85), რუსთაველის (1974), ქუთაისის (1968-75) დრამატული თეატრების, კ/ს „ქართული ფილმის" (1968-75), მოსკოვის ტ/ს (1982-83) დამდგმელი მხატვარი. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ავტოპორტრეტი" (1985), „წმინდა პეტრეს ტაძარი" (1999), „აბსტრაქტული სერია" (1987), „დრო და სივრცე" (1997), სერიისა „პარიზი" (პარიზი, 1994-95) და სხვ. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: გალერეაში „კოპალა" (თბილისი, 2007), ლონდონში (2008), ბადრაპენაუში (გერმანია, 2008). არის გერმანიის (ფილმისთვის „XIX ს. საქართველოს ქრონიკა", 1970) და მოსკოვის (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლისათვის „მთვარის მოტაცება", 1971) საერთაშ. ფესტივალების I პრემიის ლაურეატი; საქ. დამსახურებული მხატვარი (1990); სსრკ მხატვართა კავშირის წევრი (1968). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა, კითხვა.
მისამართი: ბორჯომის 14, თბილისი. ტელ. 35 41 63.

## ნანა კაკაბაძე

არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარე. უფლებადამცველი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 23 თებერვალს. მშობლები: ნათელა ბორჯაძე, რევაზ კაკაბაძე; შვილი — ანა ჭანტურია (1987). დაამთავრა სპი ქიმიის ფაკ-ტი (1987). იყო სპი ქიმიის ფაკ-ტის მეცნ. თანამშრომელი. 1996 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარე. არის ავტორი და თანაავტორი წიგნებისა და შრომების: „როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები", „თავისუფლების აღკვეთა — საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები", „ადამიანის უფლებები საქართველოში — 2005-2006 წლებში", „შევაჩეროთ წამება", „სასამართლოს საუკეთესო გადაწყვეტილებები" (2001-02), „ფასადური დემოკრატია საქართველოში" (2008), „დემოკრატიის შუქურა" (მითი და რეალობა)" (2009). 1981 და 1983 წლებში ორჯერ იქნა გასამართლებული ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის. 1983-84 წლებში იყო პოლიტპატიმარი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქრთველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 14. თბილისი. ტელ: 93 14 28. (ბინის) ჭავჭავაძის 37, თბილისი. ტელ: 25 80 33. ელ-ფოსტა: nanakakabadze2005@yahoo.com
**ვცდილობ სიმართლით ვაკეთო საქმე.**

## მიხეილ კაკაბაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 2 აპრილს. მშობლები: ვერა ხასია-კაკაბაძე, ვლადიმერ კაკაბაძე; მეუღლე — მარინა ტატიშვილი (1947); შვილები: ეკატერინე (1974), ირაკლი (1975). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1962), გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ასპირანტურა (1965). იყო საქ. მეცნ. აკად-ის გეოლოგიის ინ-ტის უმც., უფრ. და მთ. მეცნ. თანამშრომელი (1966-88), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1989-95); ა.ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი (1995-2003). 2004 წლიდან არის ა.ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინ-ტის სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის განყ-ბის ხელმძღ. ჩატარებული აქვს კვლევითი და სამეცნ. სამუშაოები ქ. ტუბინგენის უნ-ტში (გფრ, 1980-81); ლეიდენის ბუნების ისტორიის ნაც. მუზეუმში (ჰოლანდია, 1994-96, 1999-2005). იყო თსუ პედაგოგი, 1999 წლიდან არის თსუ პროფესორი. მიწვეული იყო ქ. გრენობლის უნ-ტში (საფრანგეთი, 1990); ჰაიდელბერგის უნ-ტში (გფრ, 1996-97,1999). 1978 წლიდან მონაწილეობს სამეცნ. ფორუმებში, მათ შორის: ნიცის (საფრანგეთი, 1976); მიუნსტერის (გფრ, 1978); მიუნხენის (გფრ, 1983); ტუბინგენის (გფრ, 1985, 1996); ურბინოს (იტალია, 1989); ლიონის (საფრანგეთი, 1990); ჰამბურგის (გფრ, 1992); პერგოლას (1993, იტალია); პიობიკოს (იტალია, 1994); მაასტრიხტის (ჰოლანდია, 1995); ბრიუსელის (ბელგია, 1995); ადანას (თურქეთი, 2001); მოსკოვის (რუსეთი, 2002); არაკაჯუს (ბრაზილია, 2006); პარიზის (საფრანგეთი, 2007); უპსალას (შვედეთი, 2007); ბელემის (ბრაზილია, 2009) და სხვ. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის სამხრული ზოლის ადრეცარცული ჰეტერომორფული ამონიტები (ანცილოცერატიდები და ჰეტეროცერატიდები) და მათი სტრატიგრაფიული მნიშვნელობა" (1982). არის 130-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის წიგნებისა და მონოგრაფიებისა: "Колхидиты и их стратиграфическое значение" (1971), "Нижнемеловые гетероцератины Грузии и смежных регионов" (1975), „Анцилоцератиды Юга СССР и их стратиграфическое значение" (1981), „Зоны меловой системы в СССР" (თანაავტორებთან ერთად, 1989), „New and less known Barremian-Albian ammonites from Colombia" (თანაავტორებთან ერთად, 1997), „Early Cretaceous ammonites from Colombia" (თანაავტორებთან ერთად, 2004), „Fossilium Catalogus I: Animalia. Pars 144. Lower Cretaceous Ammonites III. Bochianitoidea, Protancyloceratoidea, Ancyloceratoidea, Ptychoceratoidea" (თანაავტორებთან ერთად, 2007). არის საქ. ახალგაზრდული პრემიის ლაურეატი (1973); ა.ჰუმბოლდტის საერთაშ. სტიპენდიანტი (1979); გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშ. კავშირის (IUGS) წევრი ხმის უფლებით (1991-2004); საქ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (2001 წლიდან); საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის წევრ-კორესპოდენტი (2009 წლიდან); იყო სსრკ პალეონტოლოგიური საზ-ბის წევრი (1983-90); სსრკ სტატიგრაფიული კომიტეტის ცარცული კომისიის ბიუროს წევრი (ხმის უფლებით, 1981-90). არის საქ. სტრატიგრაფიული კომიტეტის თავ-რის მოადგილე და ცარცული კომისიის თავ-რე 1989 წლიდან.
ჰობი: ფორტეპიანო (ჯაზი). ჩოგბურთი.
მისამართი (სამსახურის) მ. ალექსიძის 1/9, თბილისი 1093. (ბინის) ბახტრიონის 1, ბ. 172; თბილისი 1094. ტელ: 36 24 76; ელ-ფოსტა: mishakakab@hotmail.com.
**ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველთვის ვხელმძღვანელობდი სამართლიანობის და მიმტევებლობის პრინციპით. ნათესავების, მეგობრების და კოლეგების წრეში ჩემი შეძლების ფარგლებში ყოველთვის ვცდილობ მხარში ამოვუდგე (ფინანსურად, მორალურად, რჩევებით) ყველა გაჭირვებულს. როგორც წესი ვცდილობ წინ აღვუდგე სიყალბის და უსამართლობის ყოველნაირ გამოვლინებას. ვერ ვიტან ამპარტავნობას და მივესალმები თავმდაბლობას. განსაკუთრებით დიდ პატივს ვცემ შრომისმოყვარე, მართალ ადამიანებს.**

## ზურაბ კაკალაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი

დაიბადა თბილისში 1965 წ. 22 მარტს. მშობლები: ლიანა კოკილაშვილი, ბახვა კაკალაშვილი. მეუღლე — ქეთევან ბრეგვაძე (1965). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1989). იყო ლაგოდეხის საცდელი სადგურის — „თამბაქო"-ს ინჟინერ-მექანიზატორი (1989-96); ლაგოდეხის სამომხმარებლო კოოპერატივის თანამშრომელი (1996-2003); ლაგოდეხის რ-ნის გამგებლის მოადგილე (2004); 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; აგრარულ საკითხთა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. წიგნების კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი, 0118. ტელ: 28 12 85. (ბინის) წმინდა ნინოს 42, ლაგოდეხი. ტელ: 82 542 23 81.

## ალექსანდრე (გიზო) კაკაურიძე



ქუთაისის სატირისა და იუმორის თეატრის დირექტორი. მსახიობი.

დაიბადა ხონის რ-ნის სოფ. ბესიაურში 1948 წ. 9 მაისს. მშობლები: თალიკო ჯაჯაია, ივანე კაკაურიძე; მეუღლე — ციცო მონონელიძე (1950); შვილები: გიორგი (1984), მათე (1986). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1971). არის ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი (1971 წლიდან); ქუთაისის სატირისა და იუმორის თეატრის დირექტორი — 1996 წლიდან. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „აქედანა და შენამდე"; „ბაკულას ღორები"; „სოფლის აშიკი" და სხვ. 2007-08 წწ. სატირისა და იუმორის თეატრთან ერთად მიწვეული იყო ისრაელში. არის რესპუბლიკის დამს. არტისტი (1988); ფესტივალის — „თეატრალური იმერეთი" გამარჯვებული (2003); ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშ. წევრი (1972). მისი ბიოგრაფია შესულია დავით კვიცარიძის ცნობარში „მოგონებები ქუთაისზე" (1997); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა მთებში.
მისამართი: (სამსახურის) მესხიშვილის სახ. თეატრი. ქუთაისი. ტელ: 899 11 81 12. (ბინის) დები იშხნელების 40, ქუთაისი. ტელ: 4 68 89.
**რწმენა, ერთგულება, სიმართლე, იუმორი და ოპტიმიზმი, ხალხთან სისტემატური ურთიერთობა. ყოველივე ამან განაპირობა ჩემი წარმატებები ცხოვრებაში.**

## ეთერ კაკულია



მომღერალი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 29 ნოემბერს. მშობლები: ლოლა ჩაჩავა, ირაკლი კაკულია; მეუღლე — რევაზ ვაჩნაძე... 

ვაჩიბერიძე (1934); შვილი — ალექსანდრე (1980). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1968). იყო სტუ ლექტორი (1970-77); სახელმწ. ორკესტრ „რეროს" სოლისტი (1977-82); რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრის სოლისტი (1985-92). არის სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი; ჩაწერილი აქვს 8 კომპაქტდისკი, მათ შორის: „მე შენ მიყვარხარ", „რუსთავ ქალაქს გიმღერ", „ავლაბარო, ავლაბარო", „მე შენი სიყვარული მათბობდა", „ქართველებო შევიყვაროთ", „მზე ჩემი კარგი მეგობარია",

„სიმღერა ჩემი ფრთებია" და სხვ. არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975); რიგის საკავშირო ფესტივალის — „რიგის ხმა"; ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის („კოპანე") ფესტივალების ლაურეატი; საქ. დამსახურებული არტისტი (1980); ღირსების ორდენის კავალერი (2000); მეგას ყოველწლიური პრიზის — „ყველა დროის საუკეთესო მომღერალი" — 2009 წლის გამარჯვებული; საქ. თეატრალური საზ-ბის წევრი (1980 წლიდან); ფოთის საპატიო მოქალაქე (1979).
ჰობი: მოგზაურობა და კითხვა. შოპინგი.
მისამართი: (ბინის) დოლიძის 41, ბ.10. თბილისი. ტელ: 33 06 72.
**გვიყვარდეს ერთმანეთი, ადამიანის სიყვარული, ენთუზიაზმი, ხალისიანი ცხოვრება, თავმდაბლობა, ოპტიმიზმი, შრომისმოყვარეობა, მიზანმიმართულება, მაყურებლის და მსმენელის დიდი სიყვარული.**

## ნელი კაკულია

ექიმი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 11 ივლისს. მშობლები: ციალა ფურცელაძე, აკაკი კაკულია; მეუღლე — ვაჟა ალადაშვილი (1942); შვილი — აკაკი (1978). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). იყო კურორტ „მენჯი"-ს ექიმი ნევროლოგი (1975-78); თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ნერვულ სნეულებათა კათედრის კლინიკური ორდინატორი (1978-80); ამავე ინ-ტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრის უფრ. ლაბორანტი (1980-87), ასისტენტი (1987-95), კათედრის პროფესორი (1995-2005). კათედრის გამგეა 2005 წლიდან. 2006 წლიდან არის თსსუ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დეპ-ტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მიკროელემენტების (Cu, Co, Mn) ელექტროფორეზით და მაგნიტური ველით ნევრასთენიით დაავადებულთა დიფერენცირებული მკურნალობა და ამ ელემენტების როლი დაავადების პათოგენეზში" (1995). არის 43 სამეცნ. ნაშრომის, 1 მონოგრაფიის — „ნევრასთენიით დაავადებულთა მკურნალობა მიკროელემენტების ელექტროფორეზით" (1994) და 1 გამოგონების (1989) ავტორი; საქ. ფიზიოთერაპევტთა ასოც-ის პრეზიდენტი (2003 წლიდან); ევროპის ფიზიკური და სარეაბილიტაციო მედიცინის ასოც-ის წევრი (2009 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა ფშაველას გამზ. 33, თბილისი. ტელ: 54 24 15.
ელ-ფოსტა: nelly_kakulia@yahoo.com
**კაცთმოყვარეობა, კეთილგანწყობა, სამართლიანობა, ორგანიზებულობა; პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სამსახურეობრივი მოვალეობების მიმართ.**

## ბესარიონ კალანდაძე

მომღერალი.



დაიბადა 1956 წ. 8 დეკემბერს. მშობლები: მერი ციცქიშვილი, დიმიტრი კალანდაძე; მეუღლე — მედეა კალანდაძე (1964); შვილები: მარიამი და არჩილი (1994). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1981). არის ეკონომისტი და მომღერალი. იყო სახელმწ. ანსამბლების — „რერო" (1974-78) და „75" (1978-86) — წევრი. შესრულებული აქვს კომპოზიტორების — ვ.დურგლიშვილის, ზ.მანაგაძის, ი.მარდანაშვილის, გ.მაჭარაშვილის, ნ.დაუშვილის, ა.ბასილაიას სიმღერები: „ენძელა" (არანჟირება ბ.კალანდაძის, 1978), „ტირიფები" (1978), „ათინათი" (1979), „თეთრი ღამე", „გიორგობისთვე", „რამ შემქმნა ადამიანად" (1981), „საღამო ზღვასთან" (1982-83), „მენატრება ბავშვობა" (1984), „ლურჯთვალება ია" (1985), „ელეგია", (1984), „არ უხდება თვალებს ცრემლები" (2002). არის საკავშირო და საერთაშ. კონკურსების ლაურეატი (1978-86); 2008 წლის გამარჯვებული ნომინაციაში „ყველა თაობის საყვარელი მომღერალი"; დაჯილდოებულია დიპლომით „მეგა".
ჰობი: მუსიკა, სპორტი, კინო, თეატრი.
**საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა, პედანტურობა. ღვთისგან ბოძებული ნიჭი.**

## გიორგი კალანდია



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. ისტორიკოსი.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 31 მარტს. მშობლები: ნანი ნანავა, ბორის კალანდია. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1996). იყო ჟურ. „არტანუჯის" რედკოლეგიის წევრი (1993); სტუდია „აუდიენციის" ჟურნალისტი (1997); რადიო „აუდიენციის" საინფ. სამსახურის უფროსი (2001); რადიო „იმედის" ახალი ამბების პროდიუსერი (2002); ტ/კ „მზის" ჟურნალისტი (2002); „მასმედიის განვითარებისა და დემოკრატიზაციის ასოციაციის" თავ-რე (2002). ტ/კ „იმედის" გადაცემა „ჩვენებურების" ავტორი (2005); ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის დირექტორის მოადგილე (2006-08); სტუდია "TBC TV"-ის გადაცემა „ჩვენებურების" ავტორი (2008). არის „დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის" თავ-რე (2002 წლიდან); მსოფლიო მუზეუმთა გაერთიანება ICOM-ის წევრი (2006 წლიდან); საქართველოს მუზეუმთა ასოც-ის დამფუძნებელი (2006). 2009 წლიდან არის საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე: „ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორია" — ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი (2003). არის ისტორიულ მეცნ. დოქტორი; ავტორი წიგნებისა: „მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეები და საქართველო" (1999), „ზუგდიდის დადიანების სასახლე" (2001), „ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი" (2002), „დადიანების სასახლეების საგანძური". (2003), „ოდიშის საეპისკოპოსოები" (2004), „გაძარცული საგანძური" (2006), „ფერადი ნარსული" (2007), „დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი" (გზამკვლევი); დოკუმენტური ფილმებისა: „საქართველოს სული ვარ", „ფერიანი სიზმრები", „ქვათა ღაღადი", „ერთი ჭორობის შვილები", „გელინო", „მონატრებული ლაზეთი", „საქართველოს მნათობი", „ჰერეთი", „მისრეთის მხედრები", „ლაზეთის ბულბული", „შენი გულის ჭირიმე", „ბალკანეთის გმირები", „აღმოსავლეთის მზე" და „ახმედ მელაშვილი". დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1996), საქ. პრეზიდენტის პრემიით (1996), მედლით სტუდენტური მოღვაწეობისათვის (1997); საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საპატიო სიგელით (1999); აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრემიით და სიგელით (2004); არის სახალხო კინოფესტივალის — „მზე" — I ადგილის მფლობელი (2005); საერთაშ. მართლმადიდებლური ფესტივალის მედლის (საუკეთესო დოკ. ფილმისათვის) და I ადგილის მფლობელი (2006, 2007); ტ/კ „იმედის" პრემიის (საუკეთესო ეროვნ. გადაცემისათვის, 2006) და პრემია „პარნასის" (2007) მფლობელი; ჟურნალისტთა საერთაშ. ფონდის — „ოქროს ფრთის" გამარჯვებული (2009). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „სახელები" (2004-2005).

ჰობი ნუმიზმატიკა. ბუკინისტური წიგნები.

მისამართი: (სამსახურის) ია კარგარეთელის 6. თბილისი 0112. ტელ: 95 65 53. (ბინის) გ.ბრწყინვალის 31, ბ.38. თბილისი 0101. ელ-ფოსტა: mail@artpalace.ge

**უნდა იცხოვრო საკუთარი ხალხისთვის და არა უკვდავებისთვის.**

## ლაშა კალანდაძე



თბილისის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე. სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

დაიბადა ქუთაისში 1974 წ. 21 მარტს. მეუღლე — თამარ ჩიხლაძე (1978); შვილი — დავითი (2005). დაამთავრა სამართლისა და ეკონომიკის ინ-ტი (1995); თსუ საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობათა ფაკ-ტი (1997); ასპირანტურა (2001). იყო საქ. იუსტიციის საბჭოს წევრის რეფერენტი, კონსულტანტი, უფრ. კონსულტანტი; იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწე (1998-2001); საქ. უზენაესი სასამართლოს თავ-რის თანაშემწე (2001-04); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე; სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის თავ-რე (2004-05); თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (2005-06). 2006 წლიდან არის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და სამოქალაქო საქმეთა პალატის თავ-რე; საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრი. ამავე კოლეგიის თავ-რეა 2007 წლიდან.

ჰობი: სპორტი (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი). კითხვა.

მისამართი: (სამსახურის) გრ. რობაქიძის გამზ. 7, თბილისი. ტელ: 53 09 11, 54 04 10. (ბინის) ბარნოვის 1

ჩიხი 8, თბილისი. ელ-ფოსტა: kalandadze_lasha@mail.ru; kalandadze_lasha@yahoo.com
„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი,
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი".

## ანა კალატოზიშვილი

მხატვარი.



დაიბადა თბილისში1967 წ. 23 მაისს. მშობლები: მარინე (ჯინა) მიქაძე-კალატოზიშვილი, გიორგი (ტიტო) კალატოზიშვილი; შვილი — ელენე ჩიგოგიძე (1991). დაამთავრა თსსა თეატრის მხატვრობის ფაკ-ტი (1991); არის ვენის გამოყენებითი ხელოვნების აკად-ის მაგისტრი სცენოგრაფიასა და ვიდეოარტში (ავსტრია, 1995). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლების — „ბალ-მასკარადი" (1986) და „ცეცხლოვანი ანგელოზი" (1987) მხატვრის ასისტენტი; მხატვარი ბალეტებისა: „კოპელია" ( 2002), „ლურჯი ფრინველი" (2003); „დიდი ვალსი", „მატა ჰარი" (2004), „მძინარე მზეთუნახავი" (2004); სპექტაკლებისა: „თავადის ქალი მაია" (ზუგდიდის თეატრი, 1987); „წეროს ფრთები" (კინომსახიობთა თეატრი, 1988); „სახლი საზღვარზე" (სამეფო უბნის თეატრი, 2001); „პატარა უფლისწული" (ვ.ანჯაფარიძის სახ. თეატრი, 2005), „კავკასიური ცარცის წრე" (იტალია, 2005); „სამგროშიანი ოპერა", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ჩიტი", „მორფი", „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (მარჯანიშვილის თეატრი, 2006-09); სატ. სპექტაკლისა „პატარა უფლისწული" (1991-99); თოჯინური ფილმისა „დიდების ზღაპარი" (1999); მხ. ფილმებისა: „მისტერიები" (2000), „სანტროპე" (2009). არის ტელეკომპანია „იმედის" რამდენიმე გადაცემის დამდგმელი მხატვარი; გაფორმებული აქვს საცხენოსნო შოუ (ჰოლანდია, 1989). კითხულობდა ლექციებს თსსა-სა (1998-2000) და თსსი-ში (2000-03); მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ ჯგუფურ გამოფენაში; მისი პერსონალური გამოფენები გაიმართა: ეროვნ. ბიბლიოთეკაში (თბილისი, 2000) და გალერეა „მარდენში" (თბილისი, 2003). არის მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მშვიდ გარემოცვაში ყოფნა. სპორტი.
მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის I კორპ., ბ.34, თბილისი. ტელ: 38 78 38.
Я думаю сегодня, когда история настолько богата гениальными именами, важно найти себя, что тебе больно и волнует. И конечно перенести свои мысли и поиски во временное пространство.

## კალისტრატე (შოთა მარგალიტაშვილი)

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი.



დაიბადა თელავის რ-ნის სოფ. ვარდისუბანში 1938 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: მარგალიტა და ილია მარგალიტაშვილები. სწავლობდა მინსკის პოლიტექნიკურ ინ-ტში; დაამთავრა ვორონეჟის პოლიტექნიკური ინ-ტი და თელავის სახელმწ. უნ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი. იყო ბეთანიის მონასტრის მორჩილი, აღიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად; იყო საპატრიარქოს მშენებლობა-მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი; აკურთხეს მღვდელ-მონოზვნად, აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1982); დაინიშნა ალავერდის ჯვართამაღლების სახ. ტაძრის წინამძღვრად, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, აკურთხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად (1983); აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (1989), მიტროპოლიტის ხარისხში — 1992 წელს. იყო გელათის სასულიერო აკადემიის რექტორი (1990-95); 1995 წლიდან — წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და წმ. დავით აღმაშენებლის სახ. საღვთისმეტყველო ინ-ტის რექტორი. დაჯილდოებულია: რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმ. დანიელის; ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებლური ეკლესიის წმ. კირილესა და მეთოდეს სახ. ორდენებით; რუმინეთის მართლმადიდე-

ბლური ეკლესიის ანთიმოზ ივერიელის დიპლომით; სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით (2000). 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ოქროს ორდენით. არის ღირსების ორდენის კავალერი; საქ. ეროვნული აკადემიის, ეკოლოგიისა და აგრარულ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი. 2008 წელს მიენიჭა აკ.წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის საპატიო დოქტორის წოდება და გადაეცა დიპლომი.
მისამართი: (რეზიდენციის) ჯავახიშვილის II შეს., ქუთაისი 4600.
ტელ: (995) 231 70105; 60105, 58863; ფაქსი: (995) 33 101028; (995) 32923454; 250313.

## ზაზა კალმახელიძე



დირიჟორი.

დაიბადა თბილისში 1966 წლის 26 ივნისს. მშობლები: მზია ახალშენიშვილი, კუკური კალმახელიძე; მეუღლე — ლია ჭონიშვილი (1966); შვილები: დავითი (1989), თეა (1996). დაამთავრა თსკ საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1990), ასპირანტურა (1993). იყო საქ. სახალხო კაპელის დირიჟორის ასისტენტი (1987-89); თბილისის ი.გოგებაშვილის სახ. პედ. ინ-ტის პედაგოგი (1992-96); თსკ საოპერო სტუდიისა და სტუდენტური ორკესტრის დირიჟორი (2003-05); თანამშრომლობდა ქუთაისის საოპერო თეატრთან (1994-96); თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და ერევნის საოპერო თეატრთან (2003). 1993 წლიდან არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი. მისი დირიჟორობით შესრულებულია: მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი"; გლუკის „ჩაკონა"; დონიცეტის „ვარიაციები"; გოტჩოკის „ტარანტელა"; კეის „სიმფონიური ვესტერნი"; ჰეროლდის „ამაო სიფრთხილე"; ბერსტაინის „ლეა"; პუჩინის „ჯანი სკიკი"; ვერდის „რიგოლეტო"; როსინის „სევილიელი დალაქი"; მოცარტის „დონ ჟუანი"; მინკუსის „დონ კიხოტი"; ადანის „ჟიზელი"; ჩაიკოვსკის „სერენადა", „მოცარტიანა" და „პა დე დე". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი. ტექნიკური აპარატურა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25.
**ჭეშმარიტი ქრისტიანული ფასეულობები, მოყვასის, ქვეყნის სიყვარული, ოჯახის ერთგულება, ეროვნული ტრადიციების დაცვა, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, ერთგულება.**

## ლიანა კალმახელიძე



საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 25 ოქტომბერს. მშობლები: ნადეჟდა ციბაძე, მიხეილ კალმახელიძე; მეუღლე — ჯემალ კახნიაშვილი (1943); შვილი — კახაბერი (1998). დაამთავრა თსკ ვოკალის ფაკ-ტი (1973). არის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკად. თეატრის სოლისტი (1975 წლიდან); თსთუ პროფესორი (2004 წლიდან). მის რეპერტუარშია პარტიები ოპერებიდან: „დონ ჯოვანი" - ცერლინა; „სევილიელი დალაქი" - როზინა; „ტრავიატა" - ვიოლეტა; „რიგოლეტო" - ჯილდა; „ბალ-მასკარადი" - ოსკარი; „ჩიო-ჩიო-სანი" - მადამ ბატერფლაი; „ბოჰემა" - მიუზეტა; „ლუჩია დი ლამერმური" - ლუჩია დი ლამერმური; „დონ პასკუალე" - ნორინა; „სიყვარულის ნექტარი" - ადინა; „აბესალომ და ეთერი" - მარეხი; „დაისი" - მარო; „მინდია" - მზია; „ქეთო და კოტე" - ქეთო და სხვ. არის საქ. სახალხო არტისტი (1989); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989); ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ენციკლოპედიაში „თბილისი", ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, თეატრი.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ. 25. თბილისი. ტელ: 99 65 66 (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ., IV კ., ბ. 73. თბილისი.
**უპირველესი- თვითკრიტიკა, დაუკმაყოფილებლობა მიღწეულით, მუდმივი ძიება, ვოკალში ოლიმპი მიუღწეველია. სიმართლე საკუთარ თავთან და აგრეთვე კოლეგებთან.**

## გელა კანდელაკი



კინოსტუდიების — „კვალი", „კვალი XXI" და ჩრდილების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. კინორეჟისორი. დრამატურგი. პროდიუსერი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 27 მაისს. მშობლები: მარიამ მჭედლიშვილი-კანდელაკი, ირაკლი კანდელაკი; მეუღლე — ელენე სკოტი (1937); შვილი — მარიამი (1969). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1962); მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტი (1966). იყო რეჟისორის ასისტენტი (1957-59); „ქართული ფილმის" მულტგაერთიანების სამხ. ხელმძღვ. (1981-86). 1966 წლიდან არის დოკუმენტური ფილმების სტუდიისა და „ქართული ტელეფილმის" რეჟისორი; თსთი სახელოსნოს ხელმძღვ. (1975 წლიდან); კინოსტუდია „კვალის" და ხელის ჩრდილების თეატრ „ბუდრუგანას" დამაარსებელი და სამხ. ხელმძღვ. (1986 წლიდან); კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1979); კინოცენტრ „აფხაზეთის" და კ/ს „კვალი XXI"-ის სამხ. ხელმძღვ. (2005 წლიდან). არის რეჟისორი მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა: „დღეს", „გრძელი ღიღინი", „საქართველოს მუზეუმი", „ბავშვთა ნახატების გამოფენა", „ვარძია", „ფეხბურთი უბურთოდ" და სხვ.; სცენარის ავტორი და რეჟისორი მხ. ფილმისა „უბედურება"; ჩრდილების თეატრის პიესების ავტორი და რეჟისორი სპექტაკლებისა: „დათუნია ლაზარეს თავგადასავალი", „მეფე ორმოში", „სოფლის მაშენებელნი?", „წელიწადის დრონი". 2008 წელს გადაიღო დოკ. ფილმი „ხმელეთი 0,047". შეასრულებული აქვს მთ. როლი ო.იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი". არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე, პროფესორი; სხვადასხვა ფესტივალის პრიზიორი; კინემატოგრაფისტთა კავშირისა და ეროვნული ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი (1969 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ისევ ჩემი პროფესია.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის 169. თბილისი 0112. ტელ: 32 00 12. (ბინის) ჩიქოვანის 16, თბილისი 0171. ტელ: 33 79 09.
**„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს..."**

## ზურაბ კანდელაკი



საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოთეატრის მთავარი რეჟისორი. დრამატურგი. პროდიუსერი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 25 თებერვალს. მშობლები: თამარ და კონსტანტინე კანდელაკები. მეუღლე — ზეინაბ გზირიშვილი (1944). შვილი — კონსტანტინე (1966). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1965). იყო სოხუმის დრამ. თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1965-67); ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის რეჟისორი (1967-73). არის რადიოთეატრის მთ. რეჟისორი (1973 წლიდან); რეჟისორი რადიოდადგმებისა: „მთვარის მოტაცება" (1968), „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი" (1982), „ომი და მშვიდობა", „მზიანი ღამე" (1984), „ვატერპოლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები" (1992), „ჩაკლული სული" (1993), „დარისპანის გასაჭირი" (1998), „რეპეტიცია", „კურდღლები", „მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლი", „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო" და სხვ.; ტელესპექტაკლებისა: „გამარჯობათ, ჩვენო მამებო" (1971), „ეს არ უნდა მომხდარიყო" (1973), „დავიწყებული ამბავი" (1975), „ენერგიული ადამიანები" (1976), „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" (1978) და სხვ.; რადიოპიესებისა: „რეპეტიცია", „კურდღლები", „დავიწყებული ამბავი", „გამარჯობა, სენიორ პირანდელო", „მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლი" (დადგმულია გერმანიაში სლოვენიაში, სლოვაკეთში, იუგოსლავიაში, ისლანდიაში, პოლონეთში). რადიოპიესები — „გამარჯობა, სენიორ პირანდელო" და „მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლი" მოხვდა ევროპის საუკეთესო ათეულში (1998, 2002). გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული (1992). არის რადიოპიესების ორი კრებულის შემდგენელი; მიღებული აქვს რადიოდადგმების I საკავშირო ფესტივალისა (1990) და საერთაშ. ფესტივალის „ოსტანკინოს პრიზის" (1994) გრან-პრი; არის დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ფესტივალისა (1991) და ბერლინის რადიოფესტივალის „Prix Europa"-ს ჟიურის სპეციალური პრიზის (2005) მფლობელი; ღირსების ორდენის კავალერი (1995). იყო საქ. პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-92). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი, მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68, თბილისი 0171. ტელ: 33 50 78 (ბინის) ფანასკერტელის ქ., 12, ბ. 47 .თბილისი 0194. ტელ: 36 25 76. ელ-ფოსტა: zkandelaki@hotmail.com
**ვიყო შეძლებისგვარად სამართლიანი.**

## გიორგი (გივი) კასრაძე

საქართველოს დამსახურებული მხატვარი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1929 წ. 27 თებერვალს. მშობლები: თამარ და ამირან კასრაძეები; მეუღლე — ლუცია კასრაძე (1937); შვილი — დიმიტრი (1973). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1955). მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში" და ნახატი ფილმების სტუდიებში დამდგმელ მხატვრად, რეჟისორად. თსსა პედაგოგია 1997 წლიდან. 1955 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში: საგაზაფხულო და საშემოდგომო; „100 ნახატი" (სეგ, 1996); გალ. TMS (1996); ქართველ მხატვართა (დიჟონი, 1996); ქართველი მხატვრების (მოსკოვი, 1997). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: პორტრეტები (თანამ. ხელოვნ. გალ., 1996); გალ. „ჰობი" (2003). ძირითადი ნამუშევრები: ფერწერა — ნატურმორტების სერია „ფერწერული პრობლემები", „თეთრი ნატურმორტი", „თეთრი ქილა ბროწეულით", „ჩაიდანი", „სამი განზომილება", „თუნგი თეთრი ხალიჩის ფონზე" და სხვ. (1955-99); პეიზაჟები: „ზამთარი", „თოვლი", „მთვარიანი დღე" და სხვ. (1960-70); პორტრეტები: „თუში ქალი", „თუში მამაკაცი", „კოსტა", „ლუხუმი", „ვახტანგ დავითაია", „მაკა I", „მაკა II", „თეა", „ლუიზა", „ზურაბ ქაფიანიძე", „შადიმან ჭავჭავაძე", „ბესო ხიდაშელი", „ეთერ მითაგვარია", „ლიანა ლობჟანიძე", მეუღლის პორტრეტები, ავტოპორტრეტები (1960-1970); სერიები — „შიშველი ფიგურები " (1955-98). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, აშშ, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, რუსეთისა და საქართველოს კერძო კოლექციებში. არის დამდგმელი მხატვარი ნახატი და თოჯინური ფილმებისა: „სიკო და ნიკო" (1960), „ვეფხვი და ვირი" (1960), „ძილისგუდა" (1962), „აბეზარა" (1964), „ჩემო ტკბილო სალამურო" (1965); რეჟ. და დამდგმელი მხატვარი თოჯინური ფილმებისა: „ცნობისმოყვარე" (1970), „ზღვაოსნური" (1971), „მეკობრეები" (1972), „გამოქვაბულში" (1974), „მგელი და კრავი", „კომბლე", „ტრაპეზა"; მხ. ფილმისა — „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება" (1960). გაფორმებული აქვს წიგნები: „ნიალის საგა", „რამაიანა", „გილგამეში". არის თბილისის საშობაო საერთაშ. ფესტივალის II პრემიის მფლობელი (1997); საქ. დამს. მხატვარი; საქ. მხატვართა კავშირისა (1962 წლიდან) და კინემატოგრაფისტთა (1966 წლიდან) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: დიღმის მასივი, ახმეტელის 8, თბილისი. ტელ: 52 77 66; 8 55 453583.

## გოჩა კაპანაძე

რუსთავის მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
რეჟისორი. მსახიობი.



დაიბადა ზესტაფონში 1966 წ. 29 ნოემბერს. მშობლები: აზა ასათიანი, სევერიან კაპანაძე. დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986), პარიზის პ. ბრუკის საერთაშ. თეატრალური ცენტრი. არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1986 წლიდან), თსთი პედაგოგი (1993 წლიდან), მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და რეჟისორი (2006 წლიდან). 2009 წლიდან არის ქ. რუსთავის მუნიციპალური თეატრის სამხ. ხელმძღვანელი. დადგმული აქვს სპექტაკლები: „ბერნარდა ალბას სახლი", „მარიამ სტიუარტი", „ღალატი", „მოხუცი ჯამბაზები" და სხვ. „ჰამლეტის" როლის შესრულებისათვის მიენიჭა სახელმწიფო პრემია; სპექტაკლისათვის „მარიამ სტიუარტი" — შილერის XV საერთაშ. თეატრალური ფესტივალის (ვაიმარი) გრან პრი.

ჰობი: კითხვა. მუსიკის მოსმენა. ანტიკვარული ნივთების შეძენა.

მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 24 25; ქ. რუსთავის მუნიციპალური თეატრი. (ბინის)შ. დადიანის 16, თბილისი. ტელ: 99 09 84.

**შეგეძლოს ადამიანში დაინახო სიკეთის მარცვალი, არ დაიმახსოვრო წყენა და სამაგიერო არ გადაუხადო შენს მტერს. მიტევება, სიყვარული, სიკეთის კეთება და შეძლებისდაგვარად ეკლესიური ცხოვრება. ეს არის ამ ეტაპზე ჩემი ცხოვრების მიზანი – ხაზს ვუსვამ, ამ ეტაპზე...**

## ნუკრი კაპანაძე



მომღერალი.

დაიბადა ზესტაფონში 1964 წ. 19 სექტემბერს. მშობლები: მერი ჩაჩიბაია, დავით კაპანაძე. დაამთავრა სტუ ქიმიის ფაკ-ტი (1985). იყო ანსამბლ „თაიგულის" და ტექნიკური უნ-ტის ტრიოს წევრი. აგრძელებს სოლო კარიერას. გამოცემული აქვს სამი ალბომი: „ნუშების თოვლი", „არეული" და „ნუკრი ლექსთა საკრავით". შესრულებული აქვს სიმღერები ქართულ ფილმებში. გადაღებულია სატელევიზიო მოკლემეტრაჟიან ფილმში „ოტელო კახეთში". არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2000); დაჯილდოებულია ღირსების ორდენით სიმღერისათვის „გამარჯობა აფხაზეთო შენი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საკუთარი ფოტოების შეგროვება. სპორტი.
მისამართი: (ბინის) გოგებაშვილის მე-2 შეს. 4, თბილისი. ტელ: 25 34 54.
**ჩემი წარმატების გარანტი, პრინციპები: მოთმინება, არ დაბოღმვა, იუმორი, პირველ რიგში საკუთარ თავზე სიცილი, თვითკრიტიკა, ფიქრი, სიფრთხილე ურთიერთობებში, მადლიერების გრძნობა. მიზანდასახულობას+ პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული + ექსცენტრულობა.**

## მამუკა კაციტაძე



პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე. ინჟინერ-მშენებელი. სამართალმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 9 თებერვალს. მშობლები: ციალა ისაკაძე-კაციტაძე, გურამ კაციტაძე; მეუღლე — მარიამ (მეგი) ჭეიშვილი (1972); შვილები: სოფო (1995), გურამი (2007). დაამთავრა სტუ საავტომობილო-საგზაო (1990), ჰუმანიტარულ-ტექნიკური (2002) ფაკ-ტები. იყო სტუ-ს სტუდკავშირის პრეზიდენტი (1990-92), პროფკავშირის თავ-რის მოადგილე (1992-95); სტუ-ს სამმართველოს უფროსი (1996-2002); თბილისის საკრებულოს წევრი (2002-04); საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი (2002-08). არის პ/გ „ახალი მემარჯვენეები-ახლები"-ს და საზ. ორგანიზაციების — „თაობა", „ძლევაი", „პოლიტიკური კლუბი" — წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: პოეზია, კალათბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ჟ.კალანდაძის 3, თბილისი. ტელ: 72 22 46. (ბინის) მ.კოსტავას 71, I სად. ბ. 8, თბილისი. ტელ: 33 33 09. ელ-ფოსტა: mamukagk@gmail.ge
**სიკეთის კეთება, მაქსიმალური თვითრეალიზაცია. ადამიანი არ უნდა ეკუთვნოდეს მარტო საკუთარ თავს, ის უნდა აცნობიერებდეს, რომ არის საზოგადოების, სამშობლოს და ღმერთის სამსახურში. ამ იდეით უნდა იცხოვროს კაცმა.**

## მერაბ კაჭახიძე



საქართველოს კონსერვატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი. ინჟინერი. სამართალმცოდნე.

დაიბადა ბათუმში 1966 წ. 8 ივნისს. მშობლები: ლეილა კვირკველია, დავით კაჭახიძე; მეუღლე — ნინო უძილაური (1967); შვილები: დავითი (1990), თამთა (1992), ქეთევანი (2002). დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (1990). იყო საქ. სპეც. მშენტრესტის ინჟინერი, საქმეთა მწარმოებელი, ტრესტის მოძრავ მექანიზირებული კოლონის მთ. ინჟინერი (1990-93). არის კერძო დაცვის სამსახურის დამფუძნებელი (1996).

იყო პ/გ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" (1995-2000), „ეროვნულ ძალთა გაერთიანება — კონსერვატორების" პოლიტ. საბჭოს (2000-03) წევრი; საქ. კონსერვატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, საორგანიზაციო სამსახურის უფროსი (2003 წლიდან).
ჰობი: თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) არაყიშვილის 15, თბილისი. ტელ: 22 61 23. (ბინის) ვარკეთილი 3 IVმ/რ, ბ. 44. თბილისი. ტელ: 79 83 84. ელ-ფოსტა: kachaxidze@conservators.ge
**ჩემი ცხოვრების კრედოც და იდეალებიც საქართველოსთან, მის უკეთეს მომავალთან არის დაკავშირებული. მერგო ბედნიერება, გავჩნდი ქართველად და მინდა ვიცხოვრო ისე, რომ ღირსეული ხიდი ვიყო ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალს შორის. დევიზი — ემსახურე ქვეყანას.**

## კობა (ჯანრი) კაშია



მწერალი. ისტორიკოსი. ფილოსოფოსი. ჟურნალისტი. პროფესორი.

დაიბადა ბათუმში 1939 წ. 8 მაისს. მშობლები: ქეთევან თავართქილაძე, ილია კაშია; მეუღლე — სალომე ზურაბიშვილი (1952); შვილები: ნანა (1965), მარიამი (1981). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1964). იყო საქ. ტელერადიო მაუწყებლობის ლიტ. დრამ. გადაცემათა რედაქტორი (1964-66); თსსა ფილოსოფიის უფრ. მასწავლებელი (1968-77), ხელოვნების ისტორიის, ესთეტიკისა და პედაგოგიკის ფაკ-ტის დეკანი (1969-75); რადიო „თავისუფლების" (მიუნხენი) ჟურნალისტი (1983-92); რადიო „თავისუფლების" ქართული მაუწყებლობის მთ. რედაქტორი (1984-86); დამოუკიდებელი ჟურნალისტი (1992-2003). არის ქართულ-ევროპული ინ-ტის დირექტორი (პარიზი, 1988 წლიდან); ჟურ-ის — „ივერია" მთ. რედაქტორი და გამომცემელი (1992 წლიდან); აიბი ევრო-კავკასიური უნ-ტის სრული პროფესორი (2008 წლიდან). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, თარგმანის, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოების ავტორი. მათ შორის: „გველისმჭამელი" — გაგების ცდა (I გამ. 1966, 1989-90); „თავისუფლება და ფედერალიზმი" (1997); „კარები" — რუსოფობისა და გულუბრყვილოს მოგზაურობა რუსეთში (რუსულ ენაზე — 1965-70, I გამ. 2002, გრევინი); „ადამიანი ძაღლი არ არის — ყველაფერს ეჩვევა" — რუსეთისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის ანალიზი (რუსულ ენაზე, „თვითგამოცემა", 1970); „ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია" (1985-90); „ენა, საზრისი, ყოფიერება. ქართველურ ენათა ტოპოლოგია" (2002); „უბისი. რენესანსი „ურენესანსოდ" — ქართული კულტურისა და ისტორიის ფილოსოფია. (წიგნი I, ნაწ. I — 2004; წიგნი I, ნაწ II – 2007; წიგნი II — 2009); „პუბლიცისტური წერილები — 1965-2008" (2009); მხატვრული ტექსტები: „შენობა" (1964); „შესაქმე" (1967); „პარისიკონი" (1991). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ელ-ფოსტა: janrika@msn.com

## ეკა კახიანი



მსახიობი. მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 16 იანვარს. მშობლები: ნინო და იმედა კახიანები; მეუღლე — ნიკო თოფურიძე (1967); შვილები: ნინი ბადურაშვილი (1985), ანასტასია (1992) და ქეთევან (1999) თოფურიძეები. დაამთავრა თბილისის II მუსიკალური სასწავლებლის ფორტეპიანოს განყ-ბა (1981), თსთუ კინოსა და დრამის ფაკ-ტი (1988). იყო გოგონათა ანსამბლ „მზიური"-ს წევრი (1971-80); მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1988-2004); საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმედი"-ს მსახიობი (2002-04). 2006 წლიდან არის ვ.აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი. არის 20 პოპულარული სიმღერის ავტორი, მათ შორის, — „ზაფხულის საღამო" (1996) და „მე ვიმღერებ" (2003) აღიარებულია წლის საუკეთესო სიმღერებად. შესრულებული აქვს როლები ფილმებსა და ტელესერიალებში: „მზიური" (1973), „მარტივი პასიანსი" (1990), „დიდების ზღაპარი" (2000), „ძილის წინ" (2000-03), „კექსი დიდ ქალაქში " (2005); სპექტაკლებში: „ჭკუისა მჭირს" (1989), „ზაფხულის ღამის სიზმარი" (1992), „ცხოვრება იდიოტისა" (1993), „ამფიტრიონი 38" (1994); „მარლენ დიტრიხი" (2006). არის სსრკ კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1977),

ღირსების ორდენის კავალერი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის 182, თბილისი. ტელ: 34 80 90.
**წარმატება რა თქმა უნდა დიდი შრომის შედეგად მოდის. მე ბავშვობიდან ძალიან ბევრს ვშრომობ და სწორედ ეს არის ჩემი წარმატების მიზეზი. მე მიყვარს ჩემი საქმე და მჯერა ჩემი თავის, ეს ყველაფერი, ჩემი უსაყვარლესი პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის დიდი დამსახურებაა. მე მისი მადლიერი ვარ.**

## იმედა კახიანი

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა სამტრედიის რ-ნის სოფ ენერაში 1937 წ. 12 მაისს. მშობლები: ეკატერინე მიქელაძე, ლადო კახიანი; მეუღლე — ნინო კახიანი (1938); შვილი — ეკა (1964). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1956). 1956 წლიდან მუშაობს კ/ს „ქართულ ფილმში". შესრულებული აქვს როლები მხ. ფილმებში: „საბუდარელი ჭაბუკი" (1957), „განაჩენი" (1959), „პაპა გოგია" (1960), „დედის ხელი" (1960), „თეთრი ქარავანი" (1963), „პიერი, მილიციის თანამშრომელი" (1964), „უყაიმო თამაში" (1967), „აფეთქებული ჯოჯოხეთი" (1967), „24-25 არ ბრუნდება" (1968), „ჯვარცმული კუნძული" (1968), „სიყვარული, ხანჯალი და ღალატი" (1968), „ცხელი ბილიკები" (1971), „მთვარის მოტაცება" (1972), „ჩაძირულ ქალაქთა მაძიებელნი" (1972), „აკაციის ყვავილობა" (1974), „ღამის ვიზიტი" (1974), „სამანიშვილის დედინაცვალი" (1976), „მიზანი" (1980), „სახლი ლესნაიაზე" (1980), „რაიკომის მდივანი" (1980), „მარადისობის კანონი" (1981), „სკაპენის ოინები" (1983), „მოცურავე" (1985); ტელესერიალებში: „ძილის წინ" (2000-03), „კექსი დიდ ქალაქში" (2005). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998); კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1965 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეგობრებთან ურთიერთობა.
**ოჯახის ერთგულება, ოჯახის სიყვარული. სიკეთის კეთება, გაჭირვებულის დახმარება, სამშობლოს სიყვარული.**

## მარინა კახიანი

მსახიობი.



დაიბადა თბილისში 1959 წ. 19 სექტემბერს. მშობლები: ალექსანდრა ყუფუნია, გიორგი კახიანი; მეუღლე — გია მატარაძე (1940); შვილი — ვახტანგი (1981). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1980). იყო ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მსახიობი (1975-76). 1981 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე"(1980); „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის"; „დაკრძალვა კალიფორნიაში" (1984); „მეფე ლირი" (1987); „ტიტუს ანდრონიკუს I" (1992); „მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ" (2001); „ასერგასის დღე", „რომაული კომედია" (1985); „კვაჭი კვაჭანტირაძე" (1990); „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" (1991); „იქ სადაც ღვარად მიედინება" (1995); „ბერნარდა ალბას სახლი"(1993); „კავკასიური ცარცის წრე" (1994), „სეჩუანელი კეთილი ადამიანი" (1994); „ქალი გველი" (1998); „მარიამ სტიუარტი" (1997); „ნახვის დღე" (1999); „კაცია-ადამიანი?!" (2000); „მედეა" (2001); „თავისუფალი სიყვარული" (2003); „მამურე" (ბათუმის თეატრი); „სულიერი არსებები" (2008); „კეერცხი" (2008); „მოხუცი ჯამბაზები" (2008) და სხვ.; მხ. ფილმებში: „უმცროსი და", „ყვითელი ჩიტი", „მონანიება", „ქართველები ცაში", „დონ კიხოტი", „მოდი ვილაპარაკოთ", „პირველი სიყვარული", „გალაქტიონი"; „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი", „27 კოცნა", „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე", „ბანდიტი აგურის ქარხნიდან", „გამოცხადება", „მოკვეთილი" და სხვ.; ტელეფილმებში: „სახლი ძველ უბანში", „უჩინარი", „ცხელი ძაღლი", „ოტელო კახეთში", „დრონგო", „მტერის გემო" და სხვ. არის თეატრალური საზ-ბის პრემიის ლაურეატი (1984; 1991); საქ. კრიტიკოსთა ასოც-ის

პრიზის მფლობელი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „საქართველოს საქმიანი და გამოჩენილი ადამიანები" ( 2005); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა, ძვირფასი სუნამოების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0118. (ბინის) რუსთაველის 1, ბ. 81, თბილისი.
ტელ: 99 07 60.
**არ მივაყენო ადამიანებს ისეთი სულიერი ტკივილი, რომელიც ჩემთვის ძნელი ასატანი იქნებოდა. მოვექცე ადამიანებს ისე, როგორც მინდა, რომ მომექცნენ მე. მე ვფიქრობ, თუ ჩვენ, ადამიანები, ამ პრინციპით ვიცხოვრებთ, ქვეყანაზე ბოროტება აღარ იქნება.**

## ვახტანგ კახიძე

კომპოზიტორი. დირიჟორი. პიანისტი.



დაიბადა თბილისში 1959 წ. 23 მარტს. მშობლები: ჯანდა და ჯანსუღ კახიძეები; მეუღლე — თამარ ბერიძე; შვილები: ანა (1981), ნატო (1984). დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (1981). არის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუსიკალური ხელმძღვ. (1984); თბილისის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი (1993); ჯანსუღ კახიძის სახ. თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის პრეზიდენტი და სამხატ. ხელმძღვ. (2002 წლიდან); თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი. არის სიმღერების, სიმფონიური და კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებების, ჯაზ-კომპოზიციების, კინოფილმებისა და სპექტაკლების მუსიკის ავტორი; თანამშრომლობს ისეთ სახელგანთქმულ შემსრულებლებთან, როგორებიც არიან: ელისო ვირსალაძე, ალექსანდრე კორსანტია, იური ბაშმეტი, გიდონ კრემერი, ვიქტორ ტრეტიაკოვი, ნატალია გუტმანი, ლექსო თორაძე, ფრანსუა ლულუ, ალექსანდრე კნიაზევი, მიშელ ლეგრანი, დიდიე ლოკვუდი, გარი ჰოფმანი, იან გარბარეკი; კამერული ორკესტრებთან: „მოსკოვის სოლისტები" და „რემერატა ალტიცა"; სიმფონიურ ორკესტრთან „ახალი რუსეთი" და სხვ. მიღებული აქვს თბილისის მერიის სპეც. პრიზი „გაზაფხული" (1997); საქ. კინოაკადემიის პრიზი „ნატო"; კ.მარჯანიშვილის სახ. პრემია (1997); სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორების საკავშირო კონკურსის I პრემია (1981); საქ. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის პრიზი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" პრიზი „წლის ყველაზე წარმატებული ხელოვანი" (2002); ალბერტ შვაიცერის სახ. საპატიო მედალი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2000); ევროპის საერთაშ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის ნამდვილი წევრი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ასტროლოგია.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის 125. თბილისი 0164. ტელ: 96 06 20. ფაქსი: 95 89 96. (ბინის) აღმაშენებლის 86/90. თბილისი 0164. ტელ: 95 14 37.

## ირინე კახნიაშვილი

მომღერალი. ანსამბლ „ფორტეს" სოლისტი.



დაიბადა თბილისში 1977 წ. 6 აგვისტოს. მშობლები: მანანა კობახიძე, ჯიმშერ კახნიაშვილი; მეუღლე — გიორგი ზირაქაშვილი (1977); შვილები: ანა (2004), კესო (2006). დაამთავრა თბილისის საესტრადო სასწავლებლის სამსახიობო ფაკ-ტი. არის ანსამბლ „ფორტეს" წევრი. ანსამბლ „ფორტეს" გამართული აქვს კონცერტები ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, თბილისსა და მოსკოვში. ანსამბლი მუშაობდა მოსკოვში არჩილ გომიაშვილის კლუბში „ოქროს ოსტაპი" (1996-99); მონაწილეობდა „ქართული კულტურის კვირეულში" (შვეცია, ავსტრია, ესპანეთი, 2000-06); კულტურის დღეებში (სტამბოლი, 2006). გამოსულია ანსამბლის ორი ალბომი: „ალიონზე გამიღიმა თბილისმა" (2000), „თბილისის მზე" (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: შვილების მოვლა.
მისამართი: (ბინის) ა. წერეთლის 65, თბილისი. ტელ. 34 81 12, 35 32 51.
**ვიცხოვრო სწორად.**

## დავით კეზელი

ექიმი ენდოკრინოლოგი.



დაიბადა თბილისში 1948 წ. 28 აპრილს. მშობლები: ელენე დევდარიანი, დურმიშხან კეზელი; მეუღლე — თამარ ჩხეიძე (1953); შვილები: ბეჟანი (1978), ელენე (1981). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). იყო საქ. თერაპიის ინ-ტის ასპირანტი, ლაბორატორიის ხელმძღ. (1974-82); თსსი ენდოკრინოლოგიის კათედრის დოცენტი (1982-96). 1999 წლიდან არის სამედ. ფირმის — „ტესტი ექიმთა სახლი" ენდოკრინოლოგიისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების კორექციის ბიუროს ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ინსულინი და მისი ზოგიერთი ჰორმონალური ანტაგონისტი გულის იშემიური დაავადებების დროს" (1980). გამოქვეყნებული აქვს 55 სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია. არის საქ. ენდოკრინოლოგთა საზ-ბის (1974 წლიდან), საქ. ოსტეოპოროზის (2002 წლიდან), ევროპის დიაბეტოლოგთა (2002 წლიდან) და ევრო თიროლოგთა (2008 წლიდან) ასოციაციების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: უსაქმურობა.
მისამართი: (სამსახურის) ონიაშვილის 19, სამედიცინო ფირმა „ტესტი ექიმთა სახლი", თბილისი. ტელ: 39 01 70. ელ-ფოსტა: dkezeli@mail.ru
**რაც შეიძლება ცოტა დრო დამრჩეს ჰობისათვის.**

## ირაკლი კენჭოშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. ფილოლოგი.



დაიბადა ქუთაისში 1936 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ბერძენიშვილი, აკაკი კენჭოშვილი; მეუღლე — თამარ ნუცუბიძე (1948); შვილები: კაკი (1971), სალომე (1983). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენების ფაკ-ტი (1960). იყო შ.რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყ-ბის ხელმძღ. (1966-2006), ჟურნალ „კრიტერიუმის" რედაქტორი (1999-2006). 2006 წლიდან არის ამავე ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი. არის ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (2000). გამოქვეყნებული აქვს ოთხი წიგნი და 200-მდე სამეცნ. ნაშრომი. იყო თბილისის საკრებულოს წევრი (2004). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე (2008).
ჰობი. მთამსვლელობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 03. (ბინის) ნუცუბიძის ქ. 71, თბილისი. ელ-ფოსტა: tomisa@yahoo.com
**გამუდმებით ორი უკიდურესობა ემუქრება კაცობრიობას: წესრიგი და უწესრიგობა.**

## დავით კერესელიძე

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი. იურისტი.



დაიბადა თბილისში 1972 წ. 23 იანვარს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994), ასპირანტურა (2001), დოქტორანტურა (2007). 1993-95 წლებში ეწეოდა კერძო იურიდიულ პრაქტიკას; იყო საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი საწარმოს იურისტი; საქ. იუსტიციის სამინისტროს სტაჟიორ-კონსულტანტი, საკანონმდებლო დეპ-ტის კონსულტანტი, წამყვანი კონსულტანტი, იუსტიციის

სამინისტროს მთ. კონსულტანტი სახელმწ. სამართლებრივ საკითხებში; საქ. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი (1995-98); საქართველოს სამართლებრივი რეფორმის სახელმწ. კომისიის წევრი (1996-98); საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილის თანაშემწე იურიდიულ საკითხებში, პირველი მოადგილის თანაშემწე — სამდივნოს უფროსი (2001); საქართველოს სახელმწ. კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი (2001-04); საქ. მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპ-ტის კანონშემოქმედებითი განყ-ბის უფროსი (2004); საქ. მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპ-ტის უფროსი — პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, კანცელარიის უფროსის მოადგილე (2004-08); საქ. მთავრობის კანცელარიის უფროსის I მოადგილე, იურიდიული დეპ-ტის უფროსი (2008). 2009 წლიდან არის საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი. აქვს სახელმწ. მრჩევლის საკლასო ჩინი (2003); იუსტიციის სახელმწ. მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდება (2004). არის მრავალი მოქმედი კანონის, კანონპროექტისა და რამდენიმე სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

## რუსუდან კერვალიშვილი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 25 ივლისს. მშობლები: ლამარა ჭიპაშვილი ოთარ კერვალიშვილი; მეუღლე — ზაზა დარასელი; შვილი — ნინო. დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1978); რესპუბლიკური საავადმყოფოს ჩირქოვანი ქირურგიის განყ-ბის ინტერნატურა (1979). იყო საქ. რკინიგზის დეპ-ტის თბილისის საგანყოფილებო პოლიკლინიკის ექიმი-გინეკოლოგი (1979-84); თბილისის ნ.კახიანის სახ. რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს მიმღები განყ-ბის ექიმი-გინეკოლოგი (1984-95); შპს „ლაფორტუნადოს" ექიმი-გინეკოლოგი (1995-98). 1998 წლიდან არის უძრავი ქონების სააგენტოს — „ცენტრ-პოინტის", სასტუმროების ქსელის, შპს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის" დამფუძნებელი პარტნიორი და სამეურვეო საბჭოს წევრი; 2003 წლიდან — დამფუძნებელი საქველმოქმედო ფონდებისა: „ბავშვები ჩვენი მომავალია", „ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის ფონდი" და „ცენტრ-პოინტის" საქველმოქმედო ფონდი". 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, პარლამენტის თავ-რის მოადგილე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი. ტელ: 28 12 51.

## იოსებ კეჭაყმაძე



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა ოზურგეთში 1939 წ. 27 მარტს. მშობლები: ელენე ორაგველიძე, ილია კეჭაყმაძე; მეუღლე — ოლღა კეჭაყმაძე (1942); შვილები: ილია (1963), არჩილი (1969), ეკატერინე (1975). დაამთავრა თსკ კომპოზიციის ფაკ-ტი (1968). იყო საქ. მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზ-ბის კონსულტანტი, განყ-ბის უფროსი, თავ-რის პირველი მოადგილე (1966-74); კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი (1972-82); თსკ საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე (1980); სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგიის მთ. რედაქტორი (1991-2001). არის საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მრჩეველი (2001 წლიდან); საგუნდო და კამერული მუსიკის, კინოფილმებისა და სპექტაკლების მუსიკის ავტორი; ხელოვნების დამს. მოღვაწე (1981); საქ. სახალხო არტისტი; ზ.ფალიაშვილის (1976), რუსთაველისა (1995) და სახელმწ. (2005) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1996); კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1972 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „Музыкальная Энциклопедия" (მოსკოვი, 1991), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: უჰობობა.
მისამართი: (სამსახურის) სანაპიროს 4, თბილისი. ტელ: 93 14 33, ფაქსი: 21 21 02. (ბინის) ი.აბაშიძის 30. თბილისი. ტელ: 22 43 40
**ჩინური მაქსიმა: ყველაზე კარგად იმან იცხოვრა, ვინც ყველაზე კარგად დაიმალა.**

## ეკა კვალიაშვილი



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 26 მარტს. მშობლები: მზია და ფირან კვალიაშვილები; შვილი — ნუკა გვალია (1992). დაამთავრა I სამუსიკო სასწავლებელი, ფორტეპიანოს კლასი (1984); სპი ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკ-ტი (1988). იყო სპი-ს და ტელევიზიის დიდი საესტრადო ორკესტრების, ანსამბლ „ჯორჯიასა" და ვია „შანსის" სოლისტი. გამოცემული აქვს ალბომები: „დამივიწყე" (1997), „ფერისცვალება" (2001), „როგორ მიყვარხარ" (2005). ჩატარებული აქვს — საქველმოქმედო სოლო კონცერტი უდედმამო ბავშვების დასახმარებლად (1999); სოლო კონცერტი (2002). მიღებული აქვს მონაწილეობა პროექტში „იმპერია" (2004); გადაღებული აქვს კლიპი „სოფელო" (2004). არის მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, მათ შორის: „მის-როკ ევროპა-92"; ფესტივალის — „ბათუმის ტრუბადურები" — გრან-პრი (1995); „ლიგა"-96; „მეგა" (2006); „ოქროს დისკი". აღიარებულია 2000 წლის საუკეთესო ვოკალისტად, 2000 წლის ბოლო ათწლეულის საუკეთესო შემსრულებლად. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა.
მისამართი: ელ-ფოსტა: eKvaliashvili@yandex.ru
**10 მცნება.**

## მარიკა კვალიაშვილი



კომპოზიტორი.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 7 მაისს. მშობლები: თამარ თარხან-მოურავი, კონსტანტინე კვალიაშვილი; მეუღლე — ფრიდონ (ფერბენქს) ნავერიანი (1930); შვილი — ნუკრი (1961). დაამთავრა თსკ საკომპოზიციო ფაკ-ტი (1961). გახსნა მუსიკალური სკოლა ზემო სვანეთში და იყო მისი დირექტორი (1961-62); იყო თბილისის I სამუსიკო სკოლის პედაგოგი (1962-2004). არის ავტორი ხალხური სიმღერების კრებულისა ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის მარო თარხნიშვილის სასიმღერო რეპერტუარიდან. გამართული აქვს სამი საავტორო კონცერტი. მისი სიმღერებიდან განსაკუთრებით პოპულარულია: „ვაი შენ, ნუთისოფელო", „ცოტა კიდევ მოითმინე, გულო", „იყო არა იყო რა", „ირემო, მთასა მყვირალო", „ალილო" და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი; კომპოზიტორთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კარგი მუსიკა, ყვავილები და ყოველგვარი სილამაზე.
მისამართი: (ბინის) მაჩაბლის 4ა, თბილისი. ტელ: 99 79 83; 877 99 79 83.
**მთელი ცხოვრება ვემსახურები ქართული ტრადიციული მუსიკის პროპაგანდას. ქართული სიმღერა ჩემი სიხარული და ჩემი ტკივილია. განვიცდი და ყველა მომღერალს ხელს ვუწყობ, იმღერონ მხოლოდ ღირსეული სიმღერა.**

## გუჩა კვარაცხელია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ენათმეცნიერი. პოეტი. დრამატურგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ჩარკვიანი, შალვა კვარაცხელია; მეუღლე — თენგიზ ომიაძე (1940-1983); შვილები: თამარი (1961), დარეჯანი (1962), სალომე (1969), გვანცა (1971), შალვა (1973). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბა. იყო არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის უმც. (1967), უფრ. (1970), წამყ. (1989) და მთ. (1994) მეცნ. თანამშრომელი, დირექტორი (1994-2006); სახელმწ. პედაგოგიური უნ-ტის ქართული ენის კათედრის უფრ. მასწავლებელი (1970),

დოცენტი (1978), პროფესორი (1988), კათედრის გამგე (1989-94); არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების სამეცნ. ლაბორატორიის გამგე (1993); თსუ პროფესორი (1999); საქ. განათლების მინისტრი (1992). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მეტყველების სტილის სტატისტიკური ანალიზი" (1968); სადოქტორო — „სამეცნიერო და საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილთა ფუნქციური სისტემები" (1986). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „ენის ფონეტიკური სტილისტიკა" (1990), „მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები" (1995); მხატვრული თხზულებებისა: „საით მიემართება დრო" (1981), „უფრო მაღალი ცა" (1987), „მართალთა და ულმრთოთა გზები" (2000), „ჩვენ, ძილში გაპარულები" (2000), „დაქერივებული სიერცე" (2003), „პოემები" (2003), „ქალაქი ქალაქში" (2005); განხორციელებული პიესებისა და სცენარებისა: „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან" (მეტეხის თეატრი, 1975), „დედაენა" (ქუთაისის თეატრი,1976), „დიდოსტატის მარჯვენა" (ქუთაისის თეატრი, 1977, სოხუმის ქართ. თეატრი,1982); „ვაჟა-ფშაველას ორი პოემა" (ქუთაისის თეატრი, 1978); „ილია ჭავჭავაძე" (ქუთაისის თეატრი, 1978); „ჩემი კუთხნილი მყუდროება" (სოხუმის თეატრი,1982); „წინამძღვრის გზა" (სოხუმის თეატრი,1987); „მოვალე ვარ ქართველთათვის" (რუსთაველის თეატრი, 2002). საქ. ტელევიზიაში მიჰყავდა საავტორო ტელეგადაცემა „ათი ათასი ზრდილობა". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 8, თბილისი. ტელ: 93 29 21, ფაქსი: 93 45 30.
**ვისწავლო, რაც შეიძლება, მეტი და, რაც შეიძლება, სრულად განვახორციელო ჩემი შესაძლებლობები; ვემსახურო ქართულ ენასა და საქართველოს, რათა ორივემ მიაღწიოს კულტურულად ყველაზე წარმატებული ენებისა და ქვეყნების სიმაღლეებს.**

## ვახტანგ კვარაცხელია



სსიპ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი. მათემატიკოსი.

დაიბადა დაბა ჩხოროწყუში 1950 წ. 15 ივლისს. მშობლები: ზინა სართანია (კვარაცხელია), ვარლამ კვარაცხელია; მეუღლე — მარინე მენთეშაშვილი (1963); შვილები: ვასილი (1988), ლაშა (1998). დაამთავრა თსუ კიბერნეტიკისა და გამოყ. მათემატიკის ფაკ-ტი (1971), ასპირანტურა (1974). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ნ.მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტის უმც. (1975), უფრ. (1980) და წამყვ. (2002) მეცნ. თანამშრომელი, სწავლული მდივანი (1994), დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში (2005), დირექტორის მ/შ (2005) და მეცნ. თანამშრომელი (2006). 2008 წლიდან არის ნ.მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი და დირექტორი. არის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ტის წმინდა მათემატიკის ლაბორატორიის გამგე (2007 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ალბათური განაწილებები ზოგიერთ მიმდევრობათა სივრცეში" (1978), სადოქტორო — „ფუნქციონალური მწკრივების უპირობო კრებადობა უსასრულოგანზომილებიანი ალბათობის თეორიის ამოცანებში" (2002). არის 30-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი; საქ. მეცნ. აკად-ის ნ.მუსხელიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (2003); საქ. მათემატიკოსთა კავშირის; საქ. სტატისტიკური საზ-ბის; ამერიკის მათემატიკური საზ-ბის წევრი; ჟურ-ების: „Georgian Mathematical Journal" — რეცენზენტი, „Zentralblatt fur Mathematiks" — რეფერენტი.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) აკურის 8, თბილისი 0193. ტელ: 33 27 05, 33 24 38. (ბინის) მუხიანი, მე-4ბ მ/რ, კორპ. 28, ბ. 24, თბილისი 0172. ელ-ფოსტა: vvk@gw.acnet.ge; v_kvaratskhelia@yahoo.com
**პასუხისმგებლობა, სიყვარული და ერთგულება.**

## თამაზ კვაჭანტირაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 7 ივნისს. მშობლები: ალექსანდრა ქარსელაძე, კასიანე კვაჭანტირაძე; მეუღლე — ნანა კვარაცხელია (1948); შვილები: თამარი (1967), ანი (1969), სალომე (1975). დაამთავრა თსუ

ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო ახალი ქართული ენის კათედრის თანამშრომელი (1963-2006); ჟურ-ის — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" („ბალავერი") რედაქტორი (1978-90); ავტორი და წამყვანი ორი საავტორო ტელეციკლისა — „ტელეკურსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში" (1975-90), „მოგზაურობა სასიტყვეთში" (2002-04); განათლების მინისტრი (1993-98); საქ. პარლამენტის სასწავლო ცენტრის უფროსი (2000-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავ-რის მოადგილე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მსგავსებითი შედარება ქართულში" (1978). არის ავტორი წიგნებისა: „მსგავსებითი შედარება ქართულში" (1977), ისააკ ბაზელი „მარია" (პიესისა და მოთხრობების თარგმანი, 1978); „პა, ბურთი, პა მოედანი" (2002); „მოგზაურობა სასიტყვეთში" (2002). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი პუბლიცისტიკის დარგში (2004); საქ. მწერალთა ეროვნული (1977 წლიდან) და საქ. ჟურნალისტთა კავშირების (1980 წლიდან) წევრი.
ჰობი: სპორტი — ფეხბურთი, ჭადრაკი, სნუკერი, სუმო.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 77. (ბინის) ს.ჩიქოვანის 18, ბ. 56, თბილისი. ტელ: 36 44 36.
**სამართლიანობა — უპირველეს ყოვლისა; ეროვნება ბედისწერაა; პატრიოტი არ შეიძლება იყოს არც უვიცი და არც გარეწარი; სიკეთეს ვინც გიზამს, აუცილებლად მიაგე სანაცვლო, ბოროტებას ვინც გიზამს, სანაცვლოს მიგება აუცილებელი არ არის.**

## ბაკურ კვეზერელი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

დაიბადა თბილისში 1981 წ. 5 იანვარს. მშობლები: ნინო და გიორგი კვეზერლები; მეუღლე — ნათია ვერულაშვილი (1980); შვილი — ელისაბედი (2008). დაამთავრა სტუ მართვის სისტემების ფაკ-ტი (2002), მაგისტრატურა (საბანკო საქმე, 2005); გაიარა მოკლე კურსი თემაზე: „საერთაშორისო დახმარების ეფექტური გამოყენება" ტოკიოს ტოკასიუკუს უნ-ტში (2005). იყო სახელმწ. ქონების მართვის მინისტრის თანაშემწე (2002-03); ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის აპარატის სპეციალისტი (2003-04); მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში სახელმწ. მინისტრის აპარატის თანამშრომელი (2004-05); საქ. მთავრობის კანცელარიის რეგიონ. ეკონომიკის განყ-ბის თანამშრომელი (2005-06); საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე (2006), პირველი მოადგილე (2007). 2008 წლიდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.
მისამართი: (სამსახურის) მარშალ გელოვანის 6. თბილისი. ტელ: 37 00 09, 37 80 27;
ელ-ფოსტა: ministry@maf.ge

## ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე



ექიმი. პროფესორი.

დაიბადა 1925 წ. 1 აპრილს თბილისში. მშობლები: ევგენია და ნიკოლოზ კვეზერელი-კოპაძეები; მეუღლე — ელენე მანჯგალაძე (1927); შვილები: მარინე (1950), მაია (1957). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1949); მოსკოვის საერთშ. სამედიცინო აკადემიის პედიატრიის ინ-ტის კლინ. ორდინატურა (1957). იყო სოხუმის სანეპიდ სადგურის სანიტარული ექიმი (1950); სოხუმის ჩვილ ბავშვთა სახლის ექიმი-ორდინატორი (1950-53); აფხაზეთის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს მთ. პედიატრი და სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოს განყ-ბის გამგე (1957-60); საქ. ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის ს/კ ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1960-61), სწავლული მდივანი და დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1962-66). 1966 წლიდან არის ჰემატოლოგიური განყ-ბის ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ყივანახველის კლინიკის ჰემატოლოგიური მაჩვენებლები" (1962); სადოქტორო — „ჯანმრთელ ბავშვთა და მოზარდთა პერიფერიული სისხლის ასაკობრივი თავისებურებანი საქართველოს

რესპუბლიკაში" (1979). გამოქვეყნებული აქვს 160 სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია. 2002 წლიდან არის საქ. პედიატრთა ასოც-ის პრეზიდენტი; საქ. მედიკო-სოციალური და მედიკო-ბიოლოგიური აკად-ის ნამდვილი წევრი; საქ. ბავშვთა ანემიების ცენტრის სამეცნიერო-პრაქტიკული ხელმძღვანელი; საქ. პედიატრთა და საქ. პერინატალოგთა და ნეონატოლოგთა ასოც-ების გამგეობის წევრი; თსსუ ხარისხების (პედიატრია, ჰემატოლოგია) მიმნიჭებელი საბჭოს წევრი; ონკო-ჰემატოლოგთა ასოც-ის ნამდვილი წევრი; მედიკო-სოციალური აკად-ის ვიცე-პრეზიდენტი; ღირსების ორდენის კავალერი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); საქ. სამედიცინო კალენდარში (2000).
ჰობი: ავტომობილები.
მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 5. თბილისი. ტელ: 22 16 53. ბავშვთა II კლინიკური ბაზა, ტელ: 51 71 05; 899 517070. (ბინის) ქეთევან წამებულის გამზირი 20, თბილისი 0103. ტელ: 77 08 82; 74 63 01.
**ოჯახური ტრადიციებიდან გამომდინარე ჩემი კრედო იყო, ყოფილიყავი პროფესიონალი ექიმი, დიდი სიყვარულით ჩემი პროფესიის მიმართ. მემსახურა პატიოსნად, ანგარების გარეშე.**

## ბიძინა კვერნაძე



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის
ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა სიღნაღში 1928 წ. 29 ივლისს. მეუღლე — ნესტან მესხი (1938); შვილები: გიორგი (1965), თამარი (1968). დაამთავრა თსკ (1953). იყო თსკ კომპოზიციის კათედრის გამგე (1995-2006). არის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1996 წლიდან). არის სამი ოპერის, ორი სიმფონიის, სამი ვოკალურ-სიმფონიური პოემის, ორი საფორტეპიანო კონცერტის, ერთი სავიოლინო კონცერტის, მიუზიკლის — „თეთრი ხიდი" (2006), პატრიარქისადმი მიძღვნილი კანტატის (ტექსტის ავტორი დედა ქეთევანი), საფორტეპიანო პიესების, ფილმებისა და სპექტაკლებისათვის მუსიკის ავტორი. არის საქ. სახალხო არტისტი; ზ. ფალიაშვილისა და რუსთაველის პრემიების ლაურეატი; თბილისის საპატიო მოქალაქე. 2004 წლის ნოემბერში გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: პოეზია და ნამდვილი ჯაზი.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის 123, თბილისი. ტელ: 95 95 13. (ბინის) აბანოს 23, თბილისი. ტელ: 72 42 84.
**დღემდე და, ალბათ, მომავალშიც ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიპოვო ხელოვნების და კერძოდ, მუსიკის შესახებ. შემოქმედებაში ჩემი კრედოა სულიერის და გონებრივის ჰარმონიულობა.**

## ელდარ კვერნაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა ზესტაფონში 1944 წ. 13 ივლისს. მშობლები: ვენერა სვანიშვილი-კვერნაძე, სიმონ კვერნაძე; მეუღლე — ნანა კალანდია (1949); შვილები: გიორგი (1977), ირაკლი (1978). დაამთავრა ს/ს ინ-ტი (1972); თსუ ასპირანტურა (1980). იყო საქ. პროფსაბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყ-ბის უფროსი (1972-77); საქ. მეცნ. და ტექნიკის სახელმწ. კომიტეტის დაგეგმვისა და დაფინანსების მთ. სპეციალისტი (1977-81); შრომისა და სოციალურ საკითხთა საკავშირო კვლევითი ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი (1981-85); თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი და დეკანის მოადგილე (1985-97); შპს „კეს"-ის გენ. დირექტორი (1997-2003); თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე (2003-04). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავ-რის მოადგილე (2008), საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების

კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე; საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილე. არის ეკონომიკურ მეცნ. კანდიდატი; რამდენიმე წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. საეკლესიო- სასულიერო ცხოვრებაში მონაწილეობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი, 0118. ტელ: 92 15 72. (ბინის) წერეთლის გამზ. 55, თბილისი. ტელ: 34 17 13.
**სამშობლოს სიყვარული.**

## გიორგი (ოთარ) კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ბიოქიმიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1942 წ. 30 მაისს. მშობლები: მარიამ გამილაღდიშვილი, ივანე კვესიტაძე; მეუღლე — ანა კვესიტაძე (1942); შვილები: ედიშერი (1962), თამარი (1968). დაამთავრა ს/ს ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1964); მოსკოვის ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1969). იყო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ზეინკალი (1962-64); ახმეტის ჰიდროლის საფუარის ქარხნის ცვლის უფროსი, მთ. საამქროს უფროსი (1964-66); საქ. მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვ., დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1970-87); პენსილვანიის (აშშ) უნ-ტის ქიმიური ინჟინერიის კოლეჯის მიწვეული პროფესორი (1977-78); მეცნ. და ტექნოლოგიის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1985-87); სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი (1992-94); სახელმწ. მეთაურის მთ. სახელმწ. მრჩეველი (1994-96); მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის დირექტორი (1996-2006). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ალფა ამილაზის ბიოსინთეზი ასპერგილების სიღრმულ კულტურაში" (1969), სადოქტორო — „ასპერგილების ამილოლიზური ფერმენტები" (1979). არის 280-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, 5 მონოგრაფიის, 11 სახელმძღვანელოსა და 35 გამოგონების ავტორი. არის პენინსულას (აშშ, კალიფორნია) ინ-ტის საპატიო პროფესორი; სან-ფრანცისკოს მეცნიერების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშ. აკად-ის (1995) და საქ. ეკოლოგიური აკად-ის (1995) აკადემიკოსი; სოროსის ფონდის პროფესორი (1998); ნატოს ექსპერტი სამეცნ. გრანტების განაწილების სფეროში (2000); ისრაელისა და საფრანგეთის უმაღლესი ტექნოლოგიების ასოც-ის წევრი (2000); აშშ-ს, შვეიცარიის, რუსეთისა და საქ. საერთაშ. სამეცნ. ჟურ-ების რედკოლეგიის წევრი; სპორტის ოსტატი. ჩატარებული აქვს 90-ზე მეტი საერთაშ. სემინარი მსოფლიოს 15-ზე მეტ ქვეყანაში. იყო 67 მეცნ. კანდიდატისა და 11 მეცნ. დოქტორის ხელმძღვანელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Marquis Who's Who in the World" (1992, 1993, 1994), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კ. თბილისი 0139. ტელ: 52 80 26. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 10/20, თბილისი. ტელ: 22 25 83.
**შრომა, პატიოსნება.**

## ალექსანდრე კვინიხიძე

საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი.
ფიზიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1946 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ელენე ტერ-ავაქოვა, ნიკოლოზ კვინიხიძე. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1967), ასპირანტურა (JINR, ქ. დუბნა, 1972). 1972 წლიდან არის ა.რაზმაძის მათემატიკის ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი. იყო სხვადასხვა ქვეყნის უნ-ტების მიწვეული პროფესორი, მათ შორის: Erlangen University (გერმანია, 1993-94), Physics Department, Flinders University (ავსტრალია, 1996-2000, 2002-03), Department of Physics and Astronomy, The University of Manchester (ინგლისი, 2001-02), Physics Department, University of Washington (აშშ, 2005), Institut für Kernphysik and Juelich Center for Hadron Physics Forschungszentrum-Jülich, (გერმანია, 2008). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემა-

ზე: „სამი ნაწილაკის რელატივისტური პრობლემა" (1973), სადოქტორო — „დინამიკური განტოლებები ველის კვანტურ თეორიაში" (2002). არის სხვადასხვა ჟურნალებში (ამერიკულ, იაპონურ) გამოქვეყნებული 70-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათ შორის: "On the three-particle relativistic problem and the glauber type representation" (Theoretical and Mathematical Physics,1970), "Unitary π NN model with full dressing" (Physics Letters, 1993), "Covariant three-body equations in $\varphi^3$ field theory", (Nuclear Physics, 1994), "Gauging the three nucleon spectator equation" (Physical Review, 1997), "Gauging of equations method" (Physical Review, 1999), "Equivalence of light front and conventional thermal field theory" (Physical Review 2004).
ჰობი: ტენისი.
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1, თბილისი 0093. ტელ: 33 45 95. (ბინის) ყაზბეგის 19, ბ. 20, თბილისი 0179. ტელ: 29 32 19; ელ-ფოსტა: sasha_kvinikhidze@hotmail.com

## ბაჩო კვირტია



მწერალი.

დაიბადა ზუგდიდში, 1974 წ. 8 ნოემბერს. მშობლები: ელენე მოდებაძე, ბადრი კვირტია; მეუღლე — ანა ქათარაშვილი (1979), შვილები: სანდრო (2005), ლევანი (2007). დაამთავრა თსთი დრამატურგიის ხელოვნების ფაკ-ტი. (თ.ჭილაძის სახელოსნო, 1996). იყო ტელეკომპანია „მე-9 არხის" გადაცემის — „დილის" რედაქტორი (2002-03). გაზეთ „ახალი ვერსიის" კულტურისა და საზოგადოების განყ-ბის რედაქტორი (2003-05); 2005 წლიდან არის რადიო „უცნობის" და რადიო „ნაცნობის" სცენარისტი. მისი ნაწარმოებები 1994 წლიდან იბეჭდება ქართულ ლიტ. ჟურნალ-გაზეთებში. არის ავტორი პროზაული კრებულისა „მატარებლის მოსვლამდე". მიღებული აქვს ლიტ. კონკურსების: „პენმარათონი" (წინანდალი, 2007) და „წერო" (2007) პირველი პრემია. ლიტერატურული პრემია „საბა" წიგნისთვის „მატარებლის მოსვლამდე" (2008).
ჰობი: ფერწერა, მუსიკა, კინოხელოვნება.
მისამართი (სამსახურის) მ. კოსტავას 68, თბილისი. ტელ: 21 24 70. (ბინის) საირმის ქ. 9-1, თბილისი. ტელ: 38 93 49.
**ღირსება, კეთილგონიერება, მოთმინება.**

## ალექსანდრე კვიტაშვილი



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. სახელმწიფო მართვის სპეციალისტი. ისტორიკოსი.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: მაია მესხია, მერაბ კვიტაშვილი. ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი. დაამთავრა თსუ ევროპისა და აშშ-ს უახლესი ისტორიის სპეციალობით (1992); ნიუ-იორკის უნ-ტის რობერტ ფ.ვაგნერის სახ. სახელმწ. მართვის სკოლა, მიიღო სახელმწ. მართვის მაგისტრის ხარისხი (1993). იყო ატლანტის გრეიდის სამედიცინო ცენტრის ფინანსური და ადმინისტრაციული დეპ-ტის თანამშრომელი; გაეროს განვითარების პროგრამის საქ. წარმომადგენლობის ადმინისტრაციისა და ფინანსების ოფიცერი (1993); გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის დახმარების კომიტეტის (ამქორ) საქ. მისიის უფროსის მოადგილე და მისიის ხელმძღვანელის მ/შ (1995-97); ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის — „კურაციო" — საერთაშ. ფონდის პრეზიდენტი (1997); საქ. სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ჯანდაცვის, სოციალური და განათლების სექტორების ქვეკომიტეტის ეროვნ. ექსპერტი-კოორდინატორი (2002); საერთაშ. ოგანიზაციების კონსულტანტი აზერბაიჯანში, ლიტვაში, უკრაინაში, სომხეთსა და სერბეთში (1995-2002); აღმოსავლეთ-დასავლეთის ინ-ტის და შიდსის წინააღმდეგ ტრანსატლანტიკური პარტნიორობის ინ-ტის კონსულტანტი (ნიუ-იორკი, 2002-03), აღმოსავლეთ-დასავლეთის ინ-ტის ადმინისტრაციის დირექტორი (2004), ადმინისტრაციის უფრ. დირექტორი და ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი (2005). 2008 წლიდან არის საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. არის ავტორი რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომისა ჯანდაცვის სფეროს რეფორმებისა და სოციალური დაცვის სისტემის ანალიზის საკითხებზე.
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას 30, თბილისი. ტელ: 38 70 71.

## კანდიდ კვიციანი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა მესტიაში 1949 წ. 1 მაისს. მშობლები: ლილი ონიანი, აკაკი კვიციანი; მეუღლე — ნანა შუკვანი (1964); შვილები: მაკა (1984), ხათუნა (1986), აკაკი (1989). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1975). იყო მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეთვალყურე (1964-70); „პიდროთევზპროექტის"ამიერკავკასიის განყ-ბის ტექნიკოსი (1971); საქ. საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო-საკვლევაძიებო კანტორის საგზაო განყ-ბის ინჟინერი (1976-78), ცხინვალის საგზაო-სარემონტო სამშ. სამმართველო №13-ის სამუშაოთა მწარმოებელი (1978-79), №5 საგზაო საექსპლოატაციო უბნის უფროსი (1979-86); ხაშურის №5 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსი (1986-89); ს/გ „ქუთაისავტოგზის" უფროსი (1989-92); საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991-92); მესტიის რ-ნის გამგებელი (1992); სახელმწ. კონცერნ „საქავტოგზის" გზების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი, საგადასახადო სამმართველოს უფროსი, თავ-რის მოადგილე (1992-97); საქ. საავტომობილო გზების დეპ-ტის თავ-რის მოადგილე, თავ-რე, თავ-რის მოადგილე (1997- 2004); სამშენებლო ორგანიზაციების ასოც-ის — „მანკაბ-XXI"-ის პრეზიდენტი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები – მაჟორიტარების" ნევრი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (1997) და ღირსების (1999) ორდენებით.
პობი: სპორტი, ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 66. (ბინის) მოსაშვილის 18, თბილისი.
**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ევროპული ტიპის ლიბერალური სახელმწიფოს აშენება, მართლმადიდებლური ტრადიციების შენარჩუნებით. პრინციპულობა და შემწყნარებლობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.**

## ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე



მომღერალი. მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 19 ივლისს. მშობლები: მანანა ბაგრატიონი, კონსტანტინე კიკაბიძე; მეუღლე — ირინე ქებაძე; შვილები: მარინე, კოკა. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინ-ტი. არის ფილარმონიის სოლისტი (1959 წლიდან); კ/ს „ქართული ფილმის" მსახიობი, სცენარისტი და რეჟისორი (1975 წლიდან). გადაღებულია ფილმებში: „შეხვედრა მთაში" (1966), „არ დაიდარდო" (1968), „მე — გამომძიებელი" (1970), „ვერის უბნის მელოდიები" (1975), „მიმინო" (1978), „იცოცხლე, გენაცვალე", „მამაკაცები და სხვები" (1985) და სხვ. არის საერთაშ. კინოფესტივალების ლაურეატი; სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1980, 1982); საქ. სახალხო არტისტი (1980); დაჯილდოებულია ღირსების, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (1997), ნიკოლოზ სასწაულმოქმედის საერთაშ. (უკრაინა, 1997), წმინდა კონსტანტინეს რაინდული ოქროს ჯვრის საერთაშ. (რუსეთი, 1998) და პეტრე დიდის (სანკტ-პეტერბურგი) ორდენებით; ლეონიდ უტიოსოვის სახ. პრემიით (1999); პრიზით "Золотой Граммофон" (1998); იმამ შამილის საერთაშ. ოქროს მედლით (დაღესტანი, 2006). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1998). მისი სახ. ვარსკვლავი გახსნილია მოსკოვის „ვარსკვლავების მოედანზე" (1999) და თბილისში (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „The International Who's Who" (1994), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
პობი: თევზაობა.
მისამართი: (ბინის) ტ.ტაბიძის 19. ტელ: 23 08 67.
**სამშობლო, ურთიერთგაგება, შენება, აღორძინება, ოჯახი, მეგობრები, სტუმარი, სიმღერა, შრომა და მშვიდობა თავისუფალ საქართველოში. წარმატებას განაპირობებს ნიჭი.**

## ზურაბ კიკალეიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერი.



დაიბადა მარტვილის რ-ნში 1950 წ. 22 ივნისს. მშობლები: მედეა კიკალეიშვილი (სურმავა), ივანე კიკალეიშვილი; მეუღლე — ზოია ბერძენიშვილი (1950); შვილები: დავითი (1977), თამარი (1981). დაამთავრა ს/ს აკადემია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობით (1974). იყო წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის მთ. ინჟინერ-მექანიკოსი (1974-2004); კანონიერების დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი (2004-05); შპს „თბილისის მეტროპოლიტენი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე, გენ. დირექტორი (2005-06); თბილისის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის უფროსი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი. ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 66.
**შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და ვცდილობ ვიყო სამართლიანი.**

## დავით კიკალიშვილი



ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემის — „P.S." ავტორი და წამყვანი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 16 მარტს. მშობლები: გალინა ქეიშვილი, მურმან კიკალიშვილი. მეუღლე — თამარ ციციშვილი (1971); შვილები: ელენე (1992), გიორგი (1996). მიღებული აქვს არასრული უმაღლესი განათლება. იყო საქ. ტელევიზიის მეორე არხის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი (1993-96); ინტერნიუს საქართველოს გადაცემის — „კვირის" წამყვანი (1996-99). 1999 წლიდან არის ტ/კ „რუსთავი 2"-ის გადაცემის — „P.S." ავტორი და წამყვანი.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45. თბილისი. ტელ: 20 11 11; ფაქსი: 20 00 13.

## თენგიზ კიკალიშვილი

მოქანდაკე. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1938 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ნატალია და მაკარ კიკალიშვილები; მეუღლე — მედეა ლელინა (1950); შვილები: ანა (1979), ელენე (1986). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1963). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ვაჟას ქანდაკება" (1963), „შურისმაძიებელი" (1964), „დეიდა ანა", „არაქელას პორტრეტი", (1967), „გედი" (1968), „ადამიანი კოსმოსში" (1969), „ვეტერანის პორტრეტი" (1970), „მამაკაცის პორტრეტი", (ბრინჯაო, 1974), „ომის ვეტერანი", „ქიმიკოსის პორტრეტი" (1975), „ლოლა", „ა.ხორავას პორტრეტი" (1976), „სვანი გოგონას პორტრეტი", „არქეოლოგია — დიდებული რაინდის სამაროვანი — ეგზერსისი" (1977), „შ.ამირანაშვილის პორტრეტი" (1978), „ეზოს გუნდის კაპიტანი", „ქალის პორტრეტი", „ბალადა სიყვარულზე" (1979), ფარდაგი „ვახტანგური", „გ.ჯაფარიძის პორტრეტი", (1980), „ბიჭის პორტრეტი" (1981); ძეგლებისა: „დ.სარაჯიშვილი", „გედი" (ე.ჭაბუკიანის საფლავის ქანდ., მარმარილო, 1982); „კ.გამსახურდია" (თბილისი, 1983); „ტ.გრანელი" (1999); „შ.ყაველაშვილი" (1999); „ცეკვა" (კერამიკული რელიეფი, მოსკოვი, 1981); „ქორწინების სახლის გაფორმება" (ქუთაისი, 1982); „გორგასლის ნადირობა თბილისის მიდამოებში" (პანო, 1986); „სერაფიტა" (გორელიეფი, დიღომი, 1987) და სხვ. მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: თბილისი (1977), „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში"

(თბილისი,1979), „ქართული დაზგური ქანდაკება" (თბილისი,1991); საქ. სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი,1987). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-სა და ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში. არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1976 წლიდან). მიღებული აქვს პრემიები ნამუშევრებისათვის: გალაკტიონის პორტრეტი (1974), კ. გამსახურდიას პორტრეტი (I პრემია, 1976), დიდგორის გმირთა მემორიალი (1985).
ჰობი: მოგზაურობა საქართველოს მთებში.
**დროის, მეხსიერებისა და ღირსების პატივისცემა.**

## ვაჟა კიკნაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ისტორიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1952 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ირინე საყვარელიძე, ივანე კიკნაძე; მეუღლე — ეთერ მოხევიშვილი (1956); შვილები: გიორგი (1986), დავითი (1988). დაამთავრა თსუ (1976). იყო ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1976), უმც. მეცნ. (1980-86), მეცნ. (1986-88) და უფრ. მეცნ. (1988-2005) თანამშრომელი, დირექტორის მ/შ (2006). 2007 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის არჩეული დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIVს I ნახევარში"(1986), სადოქტორო — „ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა მე-19 ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში" (კირიონ საძაგლიშვილი, გაბრიელ ქიქოძე, პეტრე კონჭოშვილი, მიხეილ საბინინი, 2005). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „საქართველო XIV საუკუნეში" (1989); „ალექსანდრე ამილახვარი — ბრძენი აღმოსავლეთისა" (1997); „ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა" (2003) და სტატიისა „ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს ისტორიის შესახებ" (1983). მიღებული აქვს გამომცემლობა „ლომისის" პრემია. (1998). არის დიასპორის საკითხებში საქ. სახელმწ. მინისტრის სათათბირო ორგანოს საზ-ბის წევრი.
ჰობი: კლასიკური მუსიკის მოსმენა. ფილატელია.
მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 10, თბილისი 0171. ტელ: 99 53 42; 99 06 82. (ბინის) ახმეტელის 11, ბ. 58. თბილისი 0159. ელ-ფოსტა: histend55@yahoo.com
**საქართველოს რეალური, ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა. ნიჰილიზმის და ურაპატრიოტიზმის მიუღებლობა. მიზანმიმართული ქმედებები საქართველოში ცივილური ურთიერთობების და საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.**

## ვასილ კიკნაძე

თეატრმცოდნე.



დაიბადა ხონის რ-ნის სოფ. ახალშენში 1929 წ. 24 დეკემბერს. მშობლები: შუშანა და პავლე კიკნაძეები; მეუღლე თინა ჭანკვეტაძე (1934); შვილები: მაია (1967), ბექარი (1969). დაამთავრა თსთი თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1954). იყო რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე (1954-64), საქ. კულტურის სამინისტროს თეატრალური განყ-ბის უფროსი და რედაქტორი (1964-73). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სანდრო ახმეტელის შემოქმედება" (1993). გამოქვეყნებული აქვს 40-მდე წიგნი, მათ შორის მონოგრაფიები: „სანდრო ახმეტელი", „სანდრო ახმეტელის ცხოვრება", „დ. კლდიაშვილის თეატრი", „ჩვენი ეროსი", „სივრცე თეატრისა", „რუსთაველიდან გალაკტიონამდე", „ნარკვევები რეჟისურის ისტორიიდან", „გამოთხოვება მოგონებებთან", „ქართული თეატრის ისტორია" (ტ.I, ტ.II) არის თეატრის მოღვაწეთა (1954) და კინემატოგრაფისტთა (1980) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მწერლობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ, 19. თბილისი. ტელ: 93 22 52. (ბინის) თამარაშვილის 19ა. თბილისი. ტელ: 39 54 48.
**სიკეთის თესვა, მოვალეობის გრძნობა და შრომისმოყვარეობა.**

## ზურაბ კიკნაძე

ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1933 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: ნინო წულუკიძე, გიორგი კიკნაძე; მეუღლე — ლამარა გვარამაძე (1927); შვილი — რევაზი (1960). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის სემიტოლოგიის განყ-ბა (1956). იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1959-73), 1973 წლიდან არის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. იყო თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე (1977-2006). არის ქუთაისის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (1994 წლიდან). 2007 წლიდან — ილ. ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გილგამეშის ეპოსი" (1965), სადოქტორო — „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა" (1985). არის ავტორი წიგნებისა: „გილგამეშის ეპოსი" (1963), „თამუზის სიზმარი" (1969), „გილგამეშიანი" (1984), „ძველი შუამდინარული პოეზია" (1987), „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი" (1984), „ხამურაბის კანონები" (1988), „საუბრები ბიბლიაზე" (1989), „ქართული მითოლოგია" (I ტ.,1996), „შობიდან შობამდე" (1998), „ავთანდილის ანდერძი" (2001), „ქართული ხალხური ეპოსი" (2002), „ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ" (2002), „ხუთწიგნეულის თარგმანები" (2004), „ქართული ფოლკლორი" (2008), „ანდრეზები" (2009). არის „ქართული პენ-ცენტრის" წევრი (1991 წლიდან); გაერთიანებული ბიბლიური საზ-ბის საქ. წარმომადგენლობის თავმჯდომარე... რე (1996 წლიდან); ივ.მაჩაბლის, თსუ (1986) და სახელმწ. (2005) პრემიების ლაურეატი; ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლისა და აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის ღირსების მედლის (1999) მფლობელი. კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ აღიარებულია 1999 წლის ადამიანად (The International Man of the Year); მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნები. სოფელი.
მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის სახ. უნ-ტი. თბილისი. ტელ: 29 08 35. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 51. კორპ.9. ბ.29. თბილისი 0177. ტელ: 39 60 37; ელ-ფოსტა: zurabkiknadze@gmail.com
**ჭეშმარიტების ძიება, ავტორიტეტებისადმი ქედმოუხრელობა („პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ...") სიყვარული და ერთგულება არჩეული პროფესიისადმი. დევიზი: სწავლებით ესწავლობთ! ჩემი ინტერესების სფეროებია: შუამდინარული კულტურა, ქართული მწერლობა, ფოლკლორი, მითოლოგია, რელიგიის ისტორია, ბიბლეისტიკა, ქრისტიანული კულტურა.**

## ქეთევან კიკნაძე

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა ბორჯომში 1939 წ. 10 მაისს. მშობლები: ბაბილინა კობახიძე, გაბრიელ კიკნაძე; მეუღლე გიგა ლორთქიფანიძე (1927); შვილები: ნინო (1959), ნანა (1962), მაია (1973). დაამთავრა თსთი-ს სამსახიობო ფაკ-ტი (1959). იყო მარჯანიშვილის (1959-67) და რუსთავის (1967-75) თეატრების მსახიობი. არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი 1975 წლიდან. გადაღებულია 14 ფილმში, მათ შორის: „ტარიელ გოლუა", „შეხვედრა წარსულთან", „დათა თუთაშხია", „წიგნი ფიცისა", „თეთრი ბაირაღები", „პრემიერა", „ერთ პატარა ქალაქში", „აღსარება" და სხვ. მონაწილეობდა 100-მდე სპექტაკლში, მათ შორის: „მე ვხედავ მზეს", „სირანო დე ბერჟერაკი", „მარადისობის კანონი", „ბუდე მეცხრე სართულზე", „ფალსტაფი", „შიში", „ყვედი თუთიყუში", „ამბავი სიყვარულისა", „მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია" და სხვ. არის ავტორი 2 პოეტური კრებულისა და წიგნისა — „ჩემი გამოცდილებიდან". არის საქ. სახალხო არტისტი (1990); რუსთაველის და კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. საზ-ბის – „ქალები მშვიდობისათვის" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა, დიზაინი.
მისამართი: (სამსახურის) თბილისი. მარჯანიშვილის 8. ტელ: 95 24 25. (ბინის) პ.იაშვილის 7. თბილისი.
**მიყვარს როლზე ფიქრი და მუშაობა. მინდა ვემსახურო თეატრსა და კინოს უანგაროდ. ჩემი ოცნებაა,**

**ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა იცხოვრონ ბედნიერად თავისუფალ, ერთიან საქართველოში. მინდა ვუყვარდე ჩემს მეგობრებს ისე, როგორც მე მიყვარს ისინი. ვცდილობ ადამიანებთან ვიყო მართალი. არ მიყვარს მოშურნე თვალი და ვერიდები მათ. გულწრფელობა მეგობრობის საწინდარია. მინდა ვთესო სიკეთე.**

## ლაშა კილაძე



ინტელექტ-კლუბის — „რა? სად? როდის?" ვიცე-პრეზიდენტი. ექიმი-ფსიქიატრი.

დაიბადა ქუთაისში 1972 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: ლიანა ლილუაშვილი, ნიკოლოზ კილაძე; მეუღლე — სალომე ხუხუნაიშვილი (1982); შვილი — ელენე (2006). დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1995). იყო ქუთაისის სამხედრო საგარნიზონო ჰოსპიტლის ექიმი-ორდინატორი (1997-2001); ქუთაისის მერიის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროგრამული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყ-ბის უფროსი (2001-02); ქუთაისის თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყ-ბის უფროსი (2002-04); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრორს იმერეთის რეგიონული დეპ-ტის უფროსი (2004-06); სამედიცინო საქმიანობის სახელმწ. რეგულირების სააგენტოს სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის განყ-ბის უფროსი (2006-08). 2008 წლიდან არის იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე. არის ავტორი ნაშრომებისა: „ისტერიული გენეზის სომატოფორმული აშლილობანი" (2000), „ისტერიული აშლილობის თავისებურებანი ბავშვთა ასაკში" (2001), „პიროვნებისა და მასის კონფლიქტების თავისებურებანი ზიგმუნდ ფროიდისა და ხოსე ორტეგა-ი-გასეტის შრომებში" (2002). არის საქ. ინტელექტ-კლუბის — „რა? სად? როდის?" ვიცე-პრეზიდენტი (1994 წლიდან), ტელეგადაცემის — „რა? სად? როდის?" (ტ/კ „რუსთავი 2") მთ. რედაქტორი (2008 წლიდან). დასახელებულია 1997 და 2002 წლების საქართველოს „მოაზროვნედ" (ინტელექტ-კლუბი „რა? სად? როდის?").

ჰობი: ინტელექტუალური თამაშები. ფეხბურთი. ლიტერატურა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის პრ. 3, ქუთაისი. ტელ. 231 4 72 27. (ბინის) ნიკოლაძის 9, ქუთაისი. ტელ. 231 4 37 87; ელ-ფოსტა: l.kiladze@imereti.ge

**არსებობს ასეთი ლათინური გამონათქვამი Dubitando ad veritatem pervenimus — და კიდევ ერთი: — Duo cum faciunt idem, non est idem**

## როლან კილაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ასტრონომი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1931 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ოლღა ჯაყელი, ილია კილაძე; მეუღლე — ლელი ბინაძე (1934); შვილი — დარეჯანი (1960). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1955). იყო აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფრ. ლაბორანტი (1955), უმც. (1958-62), უფრ. (1962-86) და ნამყვ. (1986-89) მეცნ. თანამშრომელი; 1989 წლიდან არის განყ-ბის გამგე. იყო ობსერვატორიის დირექტორი (2002-06); თსუ ასტრონომიის კათედრის დოცენტი (1986-91), პროფესორია 1991 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პლანეტების დღეღამური ბრუნვის წარმოშობა" (1982). არის 120-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „თეორიული ასტროფიზიკის კურსი", (სახელმძღვ., 1979); „პლანეტების თანამედროვე ბრუნვა, როგორც მცირე ნაწილაკთა პლანეტის მახლობელი გროვების განვითარების შედეგი" (1986), „Суточное вращение планет, как результат развития околопланетных роев мелких частиц" (1986), „უმართავი გეოსტაციონარული ობიექტების გაუმჯობესებული კატალოგი" (1996), „Теорiя движення геостационарных спутников" (2009) და სხვა. გამოიყვანა უნივერსალური ფორმულა, რომლითაც შეიძლება წინასწარ გამოვიცნოთ შორეული პლანეტების დღეღამის ხანგრძლივობა (1965); პირველმა შეაფასა პლუტონის მასა (1966); გაზომა სატურნის რგოლის სისქე (1967, 2000); მერკურზე აღმოაჩინა ატმოსფეროს არსებობის ნიშნები (1974); გედის თანავარსკვლავედში

— ახალი ვარსკვლავი (1975); თეორიულად გამოთვალა პლუტონის თანამგზავრის არსებობა (1977); იპოვა პირველი ინტეგრალი გეოსტაციონარული თანამგზავრების მოძრაობის თეორიაში (2001); დაადგინა, რომ გეოსტაციონარული თანამგზავრების მატარებელი რაკეტები დროდადრო ფეთქდება და აღმოაჩინა მათი ნამსხვრევების ორბიტების რეგულარიზაციის მოვლენა (2003). მიღებული აქვს მედალი „მამაცური შრომისათვის" (1970), სსრკ სახელმწ. პრემია (1971), გაგარინის სახ. დიპლომი (1981, 1986), საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1982); მედლები: შრომის ვეტერანის (1986), „კოსმოსში ადამიანის გაფრენის 25 წელი" (1986), „კოსმოსური ერის 30 წლისთავი" (1987), აკად. კოროლიოვის სახ. 2 მედალი (1987), აკად. ჩელომეის სახ. (1988), ღირსების (დიდი ბრიტანეთი, 1997-98); ციოლკოვსკის სახ. (1991), გაგარინის კოსმოსში გაფრენის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით (1991); საპატიო სიგელი დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვებაში აქტიური მონაწილეობისთვის. არის ღირსების ორდენის კავალერი (2001); საერთაშ. ასტრონომიული კავშირის (1964) და ევროპული ასტრონომიული საზ-ბის (1982) წევრი; საქ. კოსმონავტიკის კომიტეტის თავ-რის მოადგილე; საქ. ასტრონომიული საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1997). მცირე პლანეტათა საერთაშ. კატალოგში 4737 ნომრით რეგისტრირებულ მცირე პლანეტას მის საპატივცემულოდ ეწოდა „კილაძე" (1996). მის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „წითელი ვარსკვლავები" (1980). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: International Who's Who of Intellectuals (კემბრიჯი, 1997); „მე-20 საუკუნის გამოჩენილი ადამიანები" (კემბრიჯი, 1998); Dictionary of International Biography (კემბრიჯი. 1997-98), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა. პორტუგალიური ენა.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას VI კვ. კორ. 17. ბ. 52. თბილისი 0186. ტელ: 30 28 41.
ელ-ფოსტა: ROKI@ILIAUNT.EDU.GE

**წარმატებას განაპირობებს ტალანტი და შეუპოვრობა. ყოველთვის ვცდილობდი საინტერესო (და არა სარფიანი) საქმე მეკეთებინა. ძალიან მეხმარება ინტუიცია და იუმორი. ადამიანს იმდენად წლები არ აბერებს, რამდენადაც სიხარბე.**

## გურამ კინწურაშვილი



თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურის ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. ექიმი.

დაიბადა თელავში 1982 წ. 19 მარტს. მშობლები: ნათელა მელიქიშვილი, გურამ კინწურაშვილი; შვილი — სოფიკო (2004). დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. კოლეჯი (2000), თსსუ. იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთაწმინდის ახალგაზრდული ორგ-ის თავ-რე (2002-03); თბილისის მერიის სანიტარული ზედამხედველობის უფროსის თანაშემწე (2003-04); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთაწმინდის რ-ნის ორგანიზაციის თავ-რე (2003-04); სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპ-ტის საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტის" ხელმძღვანელი (2005-06), თბილისის კოორდინატორი (2006). 2005 წლიდან არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ორგ-ის აღმას. მდივანი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურის ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავ-რე.

ჰობი: ცხენით სეირნობა, ნადირობა, ცურვა, თევზაობა, მოგზაურობა, ლაშქრობა.

მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი, თბილისი 0105. ტელ: 99 86 38.
ელ-ფოსტა: g.kintsurashvili@yahoo.com

**ცხოვრებისეული კრედო სამშობლოსა და ქვეყნის სიყვარულია. ჩემი სულიც და გონებაც ჩემს სამშობლოს, საქართველოს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე ჩემი მიზანიც და იდეალიც საქართველოს გაერთიანება და კეთილდღეობაა. მსურს ვიყო ჩემი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესების თანამონაწილე და ვიქნები ბედნიერი, თუკი შევძლებ შევიტანო გარკვეული წვლილი მისი მომავლის მშენებლობაში. ყოველთვის ვიბრძოლებ საქართველოს ტერიტორიების მთლიანობის აღსადგენად.**

## სოფიო კინწურაშვილი

მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1948 წ. 16 ივლისს. მშობლები: ნინო ჩერქეზიშვილი, კონსტანტინე კინწურაშვილი; მეუღლე — თამაზ ვარვარიძე (1945); შვილები: ალექსანდრე (1974), ირაკლი (კოკო, 1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1972). არის „ვარვარიძე დიზაინ ჯგუფის" წევრი. გაფორმებული და ილუსტრირებული აქვს მრავალი საბავშვო წიგნი, ჟურნალი, სახელმძღვანელო და სხვ. თანამშრომლობდა ჟურ. „დილასთან" (1971-88). 1998 წლიდან თანამშრომლობს: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან"; ილუსტრირებული და გაფორმებული აქვს — „ახალი დედაენა", სერია „ყველა დროის საუკეთესო ქართული რომანი" (8 ტომი); „ქართული საბავშვო ლექსები" და სხვ.; „კავკასიური სახლი"-ს გამომცემლობასთან (2004 წლიდან) — ილუსტრირებული და გაფორმებული აქვს: ნ.გელაშვილის საბავშვო წიგნების სერიიდან „აკამუკის გზები" და „ტროლეიბუსი ასტარიონი და მისი მგზავრები"; შესრულებული აქვს ნაც. ავიახაზების საბორტო ჟურ. „line"-ის I ნომრის დიზაინი და გაფორმება. გამოფენებში მონაწილეობს 1974 წლიდან, მათ შორის: გრაფიკის ბრნოს საერთაშ. ბიენალე (ჩეხოსლოვაკია, 1978, 1980); კულ-დე სარტსის V საერთაშ. გამოფენა (ბელგია, 1989); ბუდაპეშტის საერთაშ. ბიენალე „Art of Today" (1987, 1990); ქართული ავანგარდი (ლენინგრადი, 1989); თანამედროვე ქართული ხელოვნება (ბუდაპეშტი, 1990); კანაგავას თანამედროვე ხელოვნების საერთაშ. ბიენალე (იაპონია, 1990); მცირე ფორმების I საერთაშ. გამოფენა (ნაპას არტ-ცენტრი, Juniper Gallery, აშშ, 1992); „მინიატურა 6" (ნორვეგია, 1991); MEGAUNIVERS (TMS, თბილისი, 1995); „ხატი და შემეცნება" (თბილისი, 1996); არტ-ცენტრი Georgienne (ჰააგა, 1997); Spike Island (ბრისტოლი, 1998); გრაფიკის ტრიენალე „ფერი გრაფიკაში" (კრაკოვი, 1998) და სხვ. გამართული აქვს პერსონალური გამოფენა აშშ-ში — Int. Images Gallery (სევიკლი, 1997). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში (თბილისი), ნიუ ჯერსის ზიმერლის ხელოვნების, მოსკოვის პუშკინის სახ., ფრიდრიკსტადის თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების (ნორვეგია), კულ-დე-სარტსის მცირე ფორმების (ბელგია), კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების (იაპონია) მუზეუმებში. არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1974); გრაფიკული დიზაინის ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი. ამჟამად მუშაობს პროექტზე „ქართული შრიფტი, ისტორია და თანამედროვეობა". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ჩინური საბრძოლო ხელოვნება ჩიგუნი და თაი ძი

მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 39ა, ბ.13. თბილისი 0179. ტელ. 22 22 93. www.varvaridze.com

## ქეთევან კინწურაშვილი

ხელოვნებათმცოდნე. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1956 წ. 16 მაისს. მშობლები: ცისანა დოლაბერიძე, სიმონ კინწურაშვილი; მეუღლე — დიმიტრი ჯანიაშვილი (1954); შვილები: დავითი (1981), გიორგი (1989). დაამთავრა თსსა ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკ-ტი (1978). იყო გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის თანამშრომელი (1978-2006); თსსა პედაგოგი (1998-2004). 2005 წლიდან არის შ.რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტის პედაგოგი; 1995 წლიდან — მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის (აშშ, მასაჩუსეტი) მიწვეული პედაგოგი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბრეხტი და ქართული სცენოგრაფია" (1987). არის ავტორი წიგნებისა: "Давид Какабадзе. Классик 20-го века" (Санкт-Петербург, 2002), „მეოცე საუკუნის ხელოვნება" (თბილისი, 2005), "David Kakabadze, a 20ht Century classic" (თბილისი, 2006) „კოკა იგნატოვი: მონოლოგიდან ერთ სიტყვამდე". (ქართ.-ინგლ. გამოცემა, მოსკოვი, 2008). არის ამერიკის საერთაშ. სამეცნ. გაცვლის (1998), ოქსფორდის კოლეჯთა სამასპინძლო პროგრამის (2001), ზალცბურგის გლობალური სემინარების (1999,2006), აშშ ფულბრაიტის სამეცნიერო გაცვლის (2004-05) და სხვ. სამეცნ.-საგანმანათლებლო პროგრამების სტიპენდიანტი. მიღებული აქვს კემბრიჯის ბიოგრაფიის საერთაშ. ცენტრის ინტელექტის მედალი (2007). არის საქ. მხატვართა კავშირის (1981 წლიდან), ამერიკის საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა ასოც-ის (1999 წლიდან) და მუზეუმების საერთაშ. კავშირის (2008 წლიდან) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000),

Empire Who is Who america, 2004 (აშშ), Marguis Who is Who in the World (აშშ, 2007,2008, 2009).
ჰობი: ფოტოგრაფია.
მისამართი: (სამსახურის) შ.რუსთაველის გამზ 19, თბილისი 0108. ტელ: 99 75 41. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 51. ბ. 15, თბილისი 0162. ტელ: 22 27 01. ელ-ფოსტა: ketskin@hotmail.com
**მწამს, რომ ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ ცოდნას მოაქვს. თავისუფლება განუყოფელია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობიდან, რაც განაპირობებს როგორც პროფესიისადმი, ისე ოჯახისადმი ერთგულებას. ნამდვილი პატრიოტი, სადაც არ უნდა იყოს, საკუთარ ქვეყანას წარმოაჩენს, მაგრამ პატივისცემით არის განმსჭვალული სხვა ხალხების კულტურათა და ტრადიციების მიმართ. სამყარო ამოუწურავი ცოდნის საცავია, და სწავლა ადამიანს ახალგაზრდობას უნარჩუნებს. ყველაფრის საფუძველი რწმენაა...**

## ნესტან (ელისაბედ) კირთაძე



ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანი. ისტორიკოსი. პროფესორი.

დაიბადა 1959 წ. 8 ივნისს. მშობლები: ქეთევან და ლეონიდე (ლევან) კირთაძეები; მეუღლე — ზურაბ რეხვიაშვილი (1956); შვილი — ანნა (1978). დაამთავრა ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1981), თსუ ასპირანტურა (1990). მუშაობდა თსუ ისტორიის ფაკ-ტზე სხვადასხვა თანამდებობაზე — ასისტენტიდან პროფესორამდე (1991-2006); 2006 წელს პროტესტის ნიშნად დატოვა თსუ. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დამოუკიდებელი საქართველო და ევროდასავლური ურთიერთობები" (1997), სადოქტორო — „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორია"— XIX-XXსს (1999). არის 100-მდე სამეცნ. სტატიის, მონოგრაფიების და წიგნების ავტორი, მათ შორის:„ნათელი ქრისტესი საქართველო" (ტეტრალოგია). არის „სახალხო-დემოკრატიული კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (1997); 2003 წლიდან — ლეიბორისტული პარტიის წევრი.
ჰობი: ცურვა, მხატვრული ტანვარჯიში. ბევრი ფიქრი.
მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 88, თბილისი 0164. ტელ: 91 16 17, 91 04 05. (ბინის) ძმ. ზუბალაშვილების 15, თბილისი. ტელ: 92 08 34, 899 57 01 99. ელ-ფოსტა: nestan- kirtadze@hotmail.com
**დაუღალავი შრომა და ბრძოლა ეროვნული იდეალებისათვის, სამართლიანობისათვის.**

## ივანე კიღურაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ხიდისთავში 1937 წ. 12 იანვარს. მშობლები: ვალენტინა ლომთათიძე, ტარიელ კიღურაძე; მეუღლე — მზია გრიგოლია (1939); შვილები: მაია (1964), ტარიელი (1967). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ დიფერენციალური განტოლებების კათედრის ასისტენტი (1963-65), უფრ. მასწავლებელი (1965-66), დოცენტი (1966-73), პროფესორი (1973-2006); თსუ ი.ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1966-73) და დიფერენციალური განტოლებების განყ-ბის გამგე (1973-89); საქ. მეცნ. აკად-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის დირექტორი (1989-2006). 2001 წლიდან არის ა.რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის დიფერენციალური განტოლებების განყ-ბის გამგე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი სინგულარული სასაზღვრო ამოცანა ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის" (1972). გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: „Некоторые сингулярные краевые задачи для обыкновенных дифференциальных уравнений" (1975), „Asymptotic properties of solutions of nonautonomous ordinary differential equations" (თ.ჭანტურიასთან ერთად, 1993), „Начальная и краевые задачи для систем обыкновенных уравнений. Линейная теория" (1997), „Boundary value problems for systems of linear functional differential equations" (ბ.პუჟასთან ერთად, 2003). არის ა.რაზმაძის სახ. პრემიის ლაურეატი (1976); დაჯილდოებულია: პურკინეს უნ-ტის ვერცხლის (ბრნო, ჩეხეთი, 1978), პურკინეს უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის

ოქროს (1988), თსუ ივ. ჯავახიშვილის სახ. (1987), ჩეხოსლოვაკიის მათემატიკოსთა და ფიზიკოსთა კავშირის (1990), ჩეხეთის მეცნ. აკადემიის ბოლცანოს სახ. საპატიო (2006) მედლებით. არის ღირსების ორდენის კავალერი (1997); მთ. რედაქტორი სამეცნ. ჟურ-ებისა: „Georgian Mathematical Journal" და „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics". მისი ბიოგრაფია შესულია: ქსე-ში (1980; ცნობარებში: А.И.Бородин, А.С.Бугай, "Биографический словарь деятелей в области математики" (Киев, Радианская школа, 1979), А.Н.Боголюбов, "Математики механики, биографический справочник" (Киев, Наукова думка, 1983), А.И.Бородин, А.С.Бугай, "Выдающиеся математики, биографический словарь-справочник" (Киев, Радианская школа, 1987), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); სამეცნ. ჟურ-ში "Differential Equations" (1997, 2007).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, თბილისი 0193. ტელ: 36 31 90, ფაქსი: 36 31 80. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 75, კ. 4, ბ. 3, თბილისი 0162, ტელ: 23 08 47; ელ-ფოსტა: kig@rmi.acnet.ge
**„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს: იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს".**

## ეროსი კინმარიშვილი



ფონდ „2020"-ის პრეზიდენტი.
ტელეკომპანია „მაესტროს" მმართველი.

დაიბადა ხაშურში 1964 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: გულიკო მაჭავარიანი, იოსებ კინმარიშვილი; მეუღლე — ია კინმარიშვილი; შვილები: ლუკა (1992), ანნა (1994), თეკლე (1995). დაამთავრა თსსი პედიატრიის ფაკ-ტი (1988). იყო რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმი-ინტერნი (1988-89); ონის რ-ნის სოფ. უნერის ამბულატორიის ექიმი (1989-91); რუსთავის ჯანმრთელობის განყ-ბის გამგე (1991-93), გამგის მოადგილე (1993). არის ტ/კ „რუსთავი 2"-ის დამფუძნებელი და იყო მისი გენ. დირექტორი (1994-2004). იყო საგანგებო დავალებათა ელჩი (ნიუ-იორკი, 2004-07); საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსულტანტი (2007); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში (2008). 2008 წლიდან არის ფონდ „2020"-ის პრეზიდენტი; 2009 წლიდან — ტ/კ „მაესტროს" მმართველი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".
ჰობი: ალპინიზმი, ჩოგბურთი, ცხენოსნობა, თხილამურები.
მისამართი: (სამსახურის)კოსტავას 47/57, თბილისი 0175. ტელ: 98 33 09. ელ-ფოსტა: erosi@georgia2020.ge

## ანა კლდიაშვილი



ხელოვნებათმცოდნე. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ვენერა შენგელია, გია კლდიაშვილი, მეუღლე — გია ბულაძე (1956); შვილები: გია კერესელიძე (1977), ნინო ბულაძე (1988). დაამთავრა თსსა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტი (1978). 1979 წლიდან არის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი. იყო თბილისის ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1979-87); სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ლექტორი (1995-99); თბილისის დასავლეთ ევროპის ენებისა და კულტურათა უნ-ტის ლექტორი (2000-04); სამეც. ჟურ. "ACADEMIA"-ს მთ. რედაქტორი (2000-06); თსსა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტის ლექტორი (2001-2004); 2006 წლიდან არის ამავე ფაკ-ტის ასოც. პროფესორი; რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე. არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი („ვარძიის ანანაურის ეკლესიის მოხატულობანი", 1994). არის ავტორი 40-მდე სამეცნ. ნაშრომის, წიგნების სერიიდან „ხელოვნების ისტორია" — „ძველი ეგვიპტე" (თბილისი, 2000); „საქართველო", უძველესი დროიდან გვიანბრინჯაოადრერკინის ხანამდე (ტ.I, თანაავტორი მ.იზორია, 2001); სახელმძღვანელოსი „ხელოვნება" ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ათივე კლასისათვის (თანაავტორები ნ. ღალანიძე, თ. ჯაყელი, 2006-09). მონაწილ-

ეობდა საერთაშ. კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში: ათენი (2003), ზაარბრიუკენი (2005), ნიუ-იორკი (2007) და სხვ. არის მუზეუმების საერთაშ. ასოც-ის (ICOM) წევრი 2007 წლიდან.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი. ტელ: 99 92 16. (ბინის) ატენის 18ბ, ბ. 33. თბილისი. ტელ: 29 16 29. ელ-ფოსტა: anikld@yahoo.com

## ოთარ კობერიძე

მსახიობი. რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა თბილისში 1924 წ. 17 დეკემბერს. მშობლები: თამარ მეტრეველი, ლეო კობერიძე; მეუღლე – ლია ელიავა (1934-98); შვილები: გიორგი (1949), ნანა (1958). დაამთავრა თსთი კინო-სამსახიობო ფაკ-ტი (1948). მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში" (1941-43; 1955 წლიდან); სოხუმის თეატრში (1949-55). შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „შავი მთები" (1941), „ქეთო და კოტე" (1948), „ბაში-აჩუკი" (1958), „მე ვიტყვი სიმართლეს" (1957), „ქალის ტვირთი" (1958), „მამლუქი" (1958), „სხვისი შვილები" (1958), „დღე პირველი — დღე უკანასკნელი"(1959), „ღრუბლების დამჭერნი" (1960), „შეწყვეტილი სიმღერა" (1960), „გენერალი და ზიზილები" (1962), „ჩაძირული ქალაქის საიდუმლოება" (1962), „713 ითხოვს დაჯდომას" (1962), „ზღვის შვილები" (1963), „დღეს ახალი ატრაქციონია" (1966), „მახე" (1966), „ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ". იტალია (1968), „მეფის საცოლე" (1967), „პატარა უფლისწული" (1967), „ალადინის ჯადოსნური ლამპარი" (1967), „თქმულება რუსტამზე" (1969), „წითელი კარავი" (1969), „რუსტამი და სუხრაბი" (1970), „შევარდენის კვალი" (1970), „ქალაქი ადრე იღვიძებს" (1971), „დაისი" (1972), „მისია ქაბულში" (1972), „თქმულება სიავუშზე" (1974), „დათა თუთაშხია" (1975), „გაქცევა განთიადისას" (1976), „ცხოვრება მშვენიერია" (1980), „დამნაშავე ანგელოზები" (2002) და სხვ. იყო რეჟისორი ფილმებისა: „გალაქტიკა" (1961), „გამსვლელი პაიკი" (1970), „ელოდეთ მეკავშირეს" (1980), „სიბრძნის კარავი" (1981), „ვინ არის მეოთხე" (1985), „ვუნდერლანდი" (1988), „საბედისწერო გასროლა" (1990). მონაწილეობდა ტელესპექტაკლებში: „აღმოსავლეთის ექსპრესი", „მოცეკვავე კაცუნები", „სურათი". არის საქ. სახალხო არტისტი (1967); კინემატოგრაფისტთა კავშირის (1958 წლიდან); „GIFA"-ს გამგეობის (1998 წლიდან) წევრი. მიღებული აქვს მომთვინიერებლის დიპლომი (მხ.ფ. „დღეს ახალი ატრაქციონია"); დიპლომები არქტიკაში 82-ე პარალელზე ყოფნისა და თურქმენეთის უდაბნოში გადაღებისათვის (მხ.ფ. „პატარა უფლისწული"); II მსოფლიო ომის მონაწილის ორდენი საბრძოლო მამაცობისათვის (1944); ორდენი ბუდაპეშტისა (1945) და ვენის (1945) განთავისუფლებისათვის; ბულგარეთის საპატიო; სამშობლოს განთავისუფლებისათვის უკრაინის სახელმწ. (2002) მედლები. მიღებული აქვს „ქართველი რაინდის" წოდება (2004). არის კინოხელოვნების აკად-ის საპატიო აკადემიკოსი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). 2009 წელს კინოთეატრ „რუსთაველის" წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.
ჰობი: რეჟისურა.
მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის 10. ტელ: 23 37 75.
**ჩემი სიცოცხლე ეკუთვნის სამშობლოს, გული — ლიას, მოდგმას ჩემსას, ღირსება — მე! ამის დასამტკიცებლად ღირსების ორდენი არ მჭირდება.**

## ვახტანგ კოკილაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მათემატიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1938 წ. 1 მაისს. მშობლები: ანა კოზმავა, მიხეილ კოკილაშვილი; მეუღლე — ლოლიტა მაღრაძე (1941); შვილები: თამარი (1967), ლაშა (1969). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1959). იყო ა.რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1962-66), უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1966-89), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1989-2006). არის ა.რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე (2006 წლიდან); თსუ (1985 წლიდან) და შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტის (1995 წლიდან) პროფესორი. დაცუ-

ლი აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სინგულარული ინტეგრალები, ფურიეს მულტიპლიკატორები და ფუნქციურ სივრცეთა ჩართვის საკითხები" (1981). არის 200-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის და 6 მონოგრაფიის (4 მონოგრაფია გამოცემულია საზღვარგარეთ) ავტორი, მათ შორის: „მაქსიმალური ფუნქციები და სინგულარული ინტეგრალები წონიან ფუნქციურ სივრცეებში" (1985), „წონიანი უტოლობები ლორენცისა და ორლიჩის სივრცეებში" (1991), „წონების თეორია ერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული ინტეგრალური გარდაქმნებისთვის" (1998), „შემოსაზღვრული და კომპაქტური ოპერატორები" (2002), „წონიანი უტოლობები ინტეგრალური ოპერატორებისათვის ნამრავლიანი გულებით" (2009). არის ა.რაზმაძის სახ. პრემიის ლაურეატი (1985); ამერიკის მათემატიკური საზ-ბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის ცნობარში (ABI, 1997); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, თეატრი.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1. თბილისი 0193. ტელ: 33 35 12. (ბინის) ნუცუბიძის 60. ბ. 15. თბილისი 0177. ტელ: 39 77 13. ელ-ფოსტა: kokil@rmi.acnet.ge
**ჩემი ქვეყნის სამსახური პატიოსანი შრომით მეცნიერების სფეროში და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ჩემი კრედოა: „მეცნიერების მთავარი მიზანია, პატივი მიაგოს ადამიანის სულიერებას" (გ.იაკობი).**

## მერაბ კოკოჩაშვილი



კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1935 წ. 21 მარტს. მშობლები: მარინე ჯორჯაძე, არჩილ კოკოჩაშვილი; მეუღლე — მანანა მეძმარიაშვილი (1942); შვილები: მაია (1962), ხათუნა (1966). დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1960). იყო კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტი (1957-60); საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი (1976-99); სატელევიზიო ფილმების სტუდიის სამხ. ხელმძღვ. (1976-2004); თსუ კინოს, ენისა და სტრუქტურის შემსწავლელი ს/კ ლაბორატორიის ხელმძღვ. (1993-2005). არის კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1960 წლიდან), რეჟისორი (1961 წლიდან). გადაღებული აქვს მხ. ფილმები: „ხმელი წიფელი" (1958), „არდადეგები" (1961), „მიხა" (1963), „დიდი მწვანე ველი" (1967), „გზა მშვიდობისა, ჯაყო" (1973), „მწვერვალი" (1976), „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (1981), „ნუცას სკოლა" (2000); „ვარიაცია ოტელოს თემაზე" (2003), „უსუი" (2005); დოკ. ფილმები: „გზა" (1986), „ფენომენი" (1992), „საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია" (1995), „დაგეიანებული კადიში" (2002), „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ" (2004), „გადადექი ფაშა", „ეკლესია დედისთვის" (2007); მხატვ.-დოკ. ფილმი — „სახლი სიხარულისა" (2008). არის საქ. სახალხო არტისტი (1983); რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1987); ფილმი „დიდი მწვანე ველი" კინოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ პეზარის ფესტივალზე დაასახელეს 100 ნოვატორულ და საუკეთესო ფილმს შორის (1996), ქართველმა კინომცოდნეებმა საუკუნის საუკეთესო ფილმად აღიარეს (2007). მიღებული აქვს საერთაშ. კინოფესტივალების პრემიები: ვენაში, ობერჰაუზენში, ლა-როშელში, ერევანში, პეზაროში, მინსკში, რიაზანში და სხვ. არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1966 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "American Biographical Institute" (2004), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის პრ. კორპ. IV, თბილისი. ტელ: 29 08 47 (ბინის) იოსელიანის 37. ბ.109.
**მოვიშველიებ სიტყვებს ჩემი ფილმიდან „ცხელი ზაფხულის სამი დღე": „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს".**

## ვახტანგ კომახიძე



კავშირ „სტუდია რეპორტიორი"-ს დირექტორი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 18 დეკემბერს. მშობლები: დოდო ედიშერაშვილი, ტარიელ კომახიძე; მეუღლე — ქეთევან ფოფხაძე; შვილები: კონსტანტინე (1985), მაია და ხატია (1987), ლაზარე (1989), ივანე (1991),

ქრისტინე (1993), ილია (1997), ლევანი (2001). დაამთავრა თსთი (1990). იყო კ/ს „ქართული ფილმის" (1987-99); გაზეთების: „თავისუფლება" (1987), „საქართველო" (1990-93), „კავკასიონი" (1996-2000); ტ/კ „რუსთავი 2"-ის (2000-03) თანამშრომელი. 2004 წლიდან არის კავშირის — „სტუდია რეპორტიორი" დირექტორი. არის ავტორი მოთხრობებისა: „ლაფი და ჩექმა", „ადამიანები და ფრინველები", „ლიანდაგებზე", „თოვლიანი დილა", „სასაფლაოზე", „ბებრუხანა ენურეზა"; ჟურნალისტური საგამოძიებო ფილმებისა: „ტყვიის გარეშე", „შეთქმულების მისტიფიკაცია", „დეპუტატის ვალი", „მადლობა პატრულს". არის გაზეთების — „არილი" და „მამული" ლიტ. პრემიების მფლობელი; დაჯილდოებულია თანასწორობის ინტისა და „ნედის" პრემიით საუკეთესო დოკ. ფილმისა და საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიებისათვის. იყო მწერალთა კავშირის წევრი.

ჰობი: ჩრდილების თეატრი, მუსიკა, ფოტოგრაფია.

მისამართი: (სამსახურის) ქიქოძის 6. თბილისი. ელ-ფოსტა: vahocom@gmail.com

**თქვენ შეგიძლიათ მოსპოთ ადამიანი, მაგრამ მისი დამორჩილება შეუძლებელია. (ჰემინგუეი)**

## თეიმურაზ კოპალეიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიკოს-თეორეტიკოსი. პროფესორი.

დაიბადა სამტრედიაში 1930 წ. 30 იანვარს. მშობლები: სონია გეგეშიძე, ისაკო კოპალეიშვილი; მეუღლე — მარინა კოპალეიშვილი (ირინა ბატანოვა, 1935); შვილები: ქეთევანი (1963), ლიანა (1967). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1953), ასპირანტურა (1956). იყო სპი ასისტენტი (1956-57); საქ. მეცნ. აკად-ის ფიზიკის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1958-61); თსუ თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტი (1961); ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის თეორიული განყ-ბის გამგე (1964); თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის თეორიული განყ-ბის გამგე (1979-2006), მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე (1974-87). არის ჟურ. „თსუ შრომების" რედაქტორი (1975 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „Исследование реакций на некоторых легких ядрах с участием дейтронов и тритонов" (1958); სადოქტორო—„Структура легких ядер и процессы поглащения π±-мезонов и γ-квантов" (1968). გამოცემული აქვს წიგნები: „დაჯახებათა თეორიის საფუძვლები" (1975); „Вопросы теории взаимодействия π±-мезонов с ядрами" (1980); Collision theory (A short course), World Scientific Singapore, New jersey, London, Hongkong (1995 — გამოცხადებული იყო 2000-01წწ. ბესტსელერად); „დაჯახებათა თეორიის მოკლე კურსი" (1999); „მომავლის იმედით" (1999). იყო სტალინის სახ. სტიპენდიანტი; პ.მელიქიშვილის სახ. (1973), სსრკ სახელმწ. (ჯგუფური, 1977), საქ. უმაღლესი განათლების I (1983), ნ.მუსხელიშვილის სახ. (1988) პრემიების ლაურეატი; აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის მიერ დასახელებული იყო „Man of the year" („წლის ადამიანი", 1997). არის საქ. მეცნ. აკად-ის ნამდვილი წევრი (1993 წლიდან); საქ. მეცნ. აკად-ის მოამბის რედკოლეგიისა და საქ. სნავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი; საქართველოს წარმომადგენელი ევროპულ სამეცნ. პროგრამაში; მეცნიერების — სიტენკოსა და მიტრას წიგნის მე-8 გამოცემის რედაქტორთა მმართველი საბჭოს წევრი (1998). არის თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიკის ინ-ტის დირექტორის მრჩეველი სამეცნ. დარგში; სოროსის პროფესორის გრანტების მფლობელი. მონაწილეობდა საერთაშ. სამეცნ. კონფერენციებში (დუბნა, აშშ, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, ისრაელი, ჰოლანდია, ესპანეთი, ავსტრია, შვეიცარია). არის საპატიო ნიშნისა (1987) და ღირსების (1998) ორდენების კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); კრებულებში: „თანაკურსელები 70" (2000), „თანაკურსელები 50" (2003).

ჰობი: პოლიტიკა.

მისამართი: (სამსახურის) უნივერსიტეტის 9, თბილისი 0186. ტელ: 54 52 47, 18 98 52. (ბინის) ყიფშიძის 12, ბ. 37, თბილისი. ტელ: 23 36 72.

**სამართლიანობა, ობიექტურობა, თანმიმდევრული მოქმედება და სინდისთან უკომპრომისობა. ერთგულება მეცნიერებისადმი, უწყვეტი შემოქმედებითი მუშაობა, არმონაწილეობა ადმინისტრაციულ საქმიანობაში.**

## ავთანდილ კორახაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1949 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ნათელა ბუაძე, არჩილ კორახაშვილი; მეუღლე — ნინო ღუდუშაური; შვილები: ნათია (1994), ლუკა (1996); დაამთავრა საქ. სახელმწ. აგრარული უნ-ტი (1973). იყო მცხეთის საბაზისო სანერგის უბნის უფროსი (1973-76); საქ. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მთ. სპეციალისტი (1976-79); საქ. სახელმწ. აგრარული უნ-ტის კათედრის გამგე (1989-2007); საქ. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეც. გამოკვლევათა ცენტრის ექსპერტი (1999-2002); უფროსი ანალიტიკოსი USAID-ის პროექტებში (2001-06); კომპანია BP-ს ექსპერტი (2002-05); საქ. ს/კ დანესებულებების საატესტაციო დარგობრივი კომისიის თავ-რე (2005-06); საქ. საზ-ბრივ ურთიერთობათა ინ-ტის კონსულტანტი (2005-08); საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და აგრობიზნესის აშშ-საქართველოს ინ-ტის პროფესორი (1990-95); საქ. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი (2001-04). არის საერთაშ. ორგანიზაციების — TACIS, GTZ, CGIAR, ICARDA, IPGRI, WB, IFAD, DAI-ის სამეცნ. საბჭოების წევრი, ექსპერტი, მრჩეველი, კოორდინატორი, კონსულტანტი და ანალიტიკოსი (1994 წლიდან); ევროპის გენეტიკური რესურსების საკვები და პარკოსანი კულტურების (ECP/GR); ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფედერაციის (EFITA) ასოც-ების ნამდვილი წევრი და მუშა ჯგუფების წარმომადგენელი საქართველოში (1996 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია (1984), სადოქტორო (1994); არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის, 8 მეთოდ. მითითების, 9 ახალი მცენარის ჯიშის, 2 პატენტის, 2 მონოგრაფიის, 9 სახელმძღვანელოს, საქართველოს 4 ადაპტირებული კანონისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 3 ეროვნ. სტრატეგიის ავტორი და თანაავტორი; საკვებწარმოების ინგლისურ-რუსულ-ქართული გლოსარიუმის, ექვსენოვანი აგრარული ლექსიკონის, კომპიუტერული პროგრამისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორი. დაჯილდოებულია საშ. სკოლის დამთავრების ოქროს (1966), კვების მრეწველობის ნარჩინებულის ვერცხლის (1979), UNESCO-ს კომფუცის ოქროს (1995) და მალაიზიის HACCP–ის ოქროს (2005) მედლებით; საქ. ღირსების ორდენით (1999). არის საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის აგრობიომრავალფეროვნების სამეცნ. საბჭოსა (2003) და არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს მესოიეთა ასოც-ის (1996); სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს (2008) თავ-რე; საქ. ეროვნ. სამეცნ. ფონდის სამეცნ. საბჭოს წევრი (2006 წლიდან).

ჰობი: ორნამენტალური მცენარეების გამრავლება. ცურვა.

მისამართი (სამსახურის) დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კმ, თბილისი. ტელ: (+995 32) 52 93 33. (ბინის) პეტრიაშვილის 19/68, თბილისი 0179. ტელ: (+995 32) 22 67 51 ელ-ფოსტა: akorakhashvili@yahoo.com

**მეცნიერისათვის პატრიოტიზმი არის მაღალი პროფესიონალიზმი და პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესი.**

## დავით კორკოტაშვილი



ადვოკატი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 16 ივლისს. მშობლები: დარეჯან კვირიკაძე, მერაბ კორკოტაშვილი; მეუღლე — მარიამ მჭედლიშვილი (1966); შვილები: ნინო (1987), თორნიკე (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო „საქატრაქციონის" იურისტი (1985-89); აგროსამრეწველო-სამშენებლო კომპლექსის I კატეგორიის იურისტი (1989-90); თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყ-ბის მთ. ინსპექტორი (1990-93). 1995 წლიდან არის საქ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი; 2004 წლიდან — საადვოკატო ბიუროს — „სვანიძე და პარტნიორები" ადვოკატი. ჟურნ. „ადვოკატ-მეოხის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დასახელებული იყო 10 საუკეთესო ადვოკატს შორის (2000); გაზ. „ივერია ექსპრესის" გამოკითხვით დასახელდა „წლის სკანდალურ ადვოკატად" (2002). არის საქ. ადვოკატთა ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ფსიქოლოგია.

მისამართი: (სამსახურის) ძმები კიკნაველიძეების 12, თბილისი. ტელ: (+995 32) 91 25 46; 22 22 86, ტელ/ფაქსი: (+995 32) 29 33 47. ელ-ფოსტა: dkorkotashvili@mail.ru

**ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. ვცდილობ მუდამ დავიცვა ის მორალურ-ზნეობრივი ფასეულობები, რაზედაც დაფუძნებულია იდეა „ენა, მამული, სარწმუნოება". სრულიად ვიზიარებ შემდეგ პრინციპს — „სჯობს განთავისუფლდეს ათი დამნაშავე, ვიდრე დაისაჯოს ერთი უდანაშაულო".**

## ალექსანდრე კორსანტია

მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1965 წლის 18 აპრილს. მშობლები: სვეტლანა კორსანტია, ვალერი ჟიდკო; მეუღლე – ნეია კორსანტია (1965); შვილი — ნიკოლოზი (1987). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (1989), ასპირანტურა (1992). იყო საუნდბენდის უნ-ტის პროფესორი (აშშ, ინდიანას შტატი, 1998-2001); კანადა-ბრიტანეთის კოლუმბიის შტატის უნ-ტის პროფესორ-ასისტენტი (ვანკუვერი, 2001-03). არის აშშ-ს ბოსტონ-ნიუ ინგლანდ კონსერვატორიის პროფესორი (2003 წლიდან). გამართული აქვს კონცერტები ისრაელის ფილარმონიულ, იერუსალიმის სიმფონიურ, ოსლოს ფილარმონიულ, ისრაელის კამერულ ორკესტრებთან ერთად; ტურნე იტალიის გარშემო — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (2004-06); მიღებული აქვს მონაწილეობა სანკტ-პეტრბურგის „თეთრი ღამეების" ფესტივალსა და ფესტივალში „სტრესა" (იტალია), ნიუპორტის, ვანკუვერის, გილმორის ფესტივალებში ლუისვილის, ბრაზილიის, ბოგოტას, იერუსალიმის, ქ. ბირმინგჰემის, საქ. სახელმწიფო სიმფონიურ, ქ. კიროვის, ისრაელის კამერულ ორკესტრებთან ერთად. იყო აშშ ტურნეში სოლო კონცერტებით; ჩაატარა 9 კონცერტი ისრაელის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად მსოფლიოს სხვადსხვა ქალაქში და ტურნე ევროპის გარშემო ტულუზის ნაციონალურ ორკესტრთან ერთად (2007-08). მიღებული აქვს საქ. სახელმწ. პრემია (1997); ღირსების ორდენი (2000); არის ა/კ მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის I პრემიის ლაურეატი (1981); შოპენის კონკურსის დიპლომანტი (ვარშავა,1985); პიანისტთა საერთაშ. კონკურსის I პრემიის ლაურეატი (ავსტრალია, 1988); აშშ-ს პალმ ბიჩის კონკურსის I პრემიის ლაურეატი; ა.რუბინშტეინის სახ. საერთაშ. კონკურსის I პრემიისა და ოქროს მედლის მფლობელი (ისრაელი, 1995). მის შესახებ გადაღებულია სრულმეტრაჟიანი დოკ. ფილმი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: რკინიგზების მოდელირება.

**ჩემი მუსიკით ადამიანებს მივანიჭო ბედნიერება.**

## გიორგი (გუგა) კოტეტიშვილი

მხატვარი. დიზაინერი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 11 ოქტომბერს. მშობლები: ლია ძაძამიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი; შვილი — ვახტანგი (1987). სწავლობდა თსსა გრაფიკისა (1981-83) და ფერწერის (1984-87) განყ-ებზე. იყო თსსა პედაგოგი (1987-90). მისი ძირითადი ნამუშევრებია: ფერწერა — „ვარდისფერი ნატურმორტი" (1992), სერიები: „ოთახები" (1990-91), „ნიუ" (1985-90); გრაფიკა — სერია „ანტიკური მოტივები" (1990-98). იყო დამდგმელი მხატვარი ფილმებისა: „ია, ვარდი და ზამბახი" (რეჟ. ტ.კოტეტიშვილი, ი.სმიტსი,1990-91); „ტბა" (რეჟ. კ.კიკაბიძე, 1990-95); გააფორმა ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის მორალიტე „იედერმანი" (რეჟ. მ.ნინიძე, 1998). მუშაობს ავეჯისა და ინტერიერის დიზაინში: 1993 წლიდან ქმნის ავეჯს რესტორნებისთვის, მაღაზიებისთვის, ოფისებისა და საელჩოებისთვის; შექმნა ინტერიერი და ავეჯი თბილისის კაფეებისთვის: „პიგმალიონი" (1993), „ედელვაისი" (1994), „სანტა ფე" (1994); რესტორნებისთვის — „ამარკორდი" (1995), „პურ-პური" (2007). ქმნის აქსესუარებს (ჩანთები, ქამრები და ა.შ.). 1985 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში: მოსკოვი, ოსლო (1990), როტერდამი (1992), ხელოვნების საერთაშ. ცენტრი (თბილისი,

1997); „თბილისელი მხატვრები" (მოსკოვი, 1992); დიზაინის საერთაშ. (ЦДХ. მოსკოვი, 1992); დიზაინის საერთაშ. (პარიზი, 1998). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: გალერეა „TMS", თბილისი (1997); ს.ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმი, ერევანი (1997); ფოტოგამოფენა — „ინდოეთი კვადრატში" (TMS, 2002); ავეჯის გამოფენა (TMS, 2005). რ.ერაძესთან და პ.შარიონთან ერთად დააფუძნა ავეჯის და ინტერიერის დიზაინის კომპანია „გუგა" (1987); გახსნა რესტორანი „კალა" (2005). არის საქ. მხატვართა კავშირისა (1987) და ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: უსაქმურობა (მაგრამ ხშირად არ გამომდის).
მისამართი: (ბინის) ვ.კოტეტიშვილის 7, თბილისი. ტელ: 92 29 71.

## ანა კორძაია-სამადაშვილი

ჟურნალისტი. მწერალი.



დაიბადა თბილისში 1968 წ. 26 თებერვალს. მშობლები: ნანული კორძაია-სამადაშვილი, არსენ კორძაია. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო გამომცემლობების: „BBT" (1989-93), „სომაპრეს" (1993-99) რედაქტორი; ბერლინის საერთაშ. წიგნის სააგენტო IBA-ისა (1998) და გაზ. „24 საათის" ჟურნალისტი (2001-04). 2005 წლიდან არის ჟურ. „ცხელი შოკოლადის" ჟურნალისტი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი" (1997). მიღებულია აქვს ლიტ. პრემია „საბა" ნომინაციებში — „დებიუტი" (2004) და „ბესტსელერი" (2005). არის ავტორი მოთხრობებისა: „ბერიკაობა" (2004), „მე, მარგარიტა" (2005). თარგმანისათვის — ელფრიდე იელინეკის „საყვარლები" დაჯილდოებულია გოეთეს ინ-ტის მიერ (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის 108, თბილისი. ტელ: 23 37 31 (ბინის) თამარაშვილის 11-71 თბილისი. ტელ: 23 55 07, 899 30 77 21.
მე ვიყო კარგად.

## ზვიად კორძაძე

„კორძაძის საადვოკატო ბიუროს" ხელმძღვანელი. ადვოკატი.



დაიბადა 1972 წ. 30 აპრილს. მშობლები: მედეა ჩაკვეტაძე, ომარ კორძაძე; მეუღლე — ქეთი ასათიანი; შვილი — ნიკა (2002). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994). იყო საადვოკატო ბიუროს — „კორძაძე და სვანიძე — ადვოკატები" ადვოკატი (1996-2002); ჰოლდინგ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი"-ს გენ. დირექტორი (2007-08). 2002 წლიდან არის „კორძაძის საადვოკატო ბიუროს" ხელმძღვანელი. არის „საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრი (1996 წლიდან); საქ. ადვოკატთა ასოციაციის ალმას. საბჭოს წევრი (2005 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) ალ. ყაზბეგის გამზ. 14, მე-3 სართ., თბილისი. ტელ: 38 03 22/32; ფაქსი: 37 02 58. (ბინის) ბულაჩაურის 7/11, თბილისი. ელ-ფოსტა: zviad@kordzadzelawoffice.ge

## კარლო კოპალიანი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი.

დაიბადა ცაგერის რ-ნის სოფ. ჭალისთავში 1959 წ. 14 აგვისტოს. მშობლები: ნაზიკო და ვახტანგ კოპალიანები; მეუღლე — ლალი ჩიქოვანი (1962-2008); შვილები: ლევანი (1993), ალექსანდრე (1995). დაამთავრა საპი ჰიდროტექნიკის ფაკ-ტი (1982). იყო ვოლგა-ვიატკის საკადრო ინ-ტის თავისუფალი მსმენელი (1988-90). იყო ცაგერის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი, საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1982-87); ცაგერის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი (1987-88); ქვედა ცაგერის საკრებულოსა და რაიონული საკრებულოს წევრი (1990-95); ცაგერის საგზაო სამმართველოს უფროსის მოადგილე (1995-2002); ქვედა ცაგერის საკრებულოს თავ-რე (2002-06); ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქციის — „ფრაქციის გარეშე" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავ-რის მოადგილე; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი; საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი.
ჰობი: კითხვა. ტრადიციული ქართული მაგიდა. მეგობრებთან ყოფნა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 85; 899 15 87 99. (ბინის) ყიფშიძის 8, ბ. 37, თბილისი.
**ვარ მიმტევებელი, ვცხოვრობ პრინციპით „ვინც ითმენს ის იგებს", არ ვარ შურისმაძიებელი, მიყვარს განათლებულ ხალხთან საქმიანი საუბარი, ვკითხულობ ბევრს, ვოცნებობ აყვავებულ, გაერთიანებულ და გაღიმებულ საქართველოზე. ვარ კომუნიკაბელური. დიდ პატივს ვცემ დაკოჟრილ, მადლიან გლეხის მარჯვენას. ამან განაპირობა ჩემი გამარჯვება.**

## თემურ კოხოძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერი.

დაიბადა მაიაკოვსკში 1959 წ. 2 მარტს. მშობლები: ბელონა და კუკური კოხოძეები; მეუღლე — ლია წაქაძე (1962); შვილები: ბელა (1988), თეონა (1991), ნიკა (2000). დაამთავრა საპი (1988). იყო №2 ტრესტის №4 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშა (1978); „სოვავტო-ფოთის" ექსპლუატაციის უფრ. დისპეჩერი (1989), ნამყვანი ინჟინერი, დირექტორის მოადგილე (1990); სამშენებლო-სარემონტო ფირმის — „ეკოლოგია" სამუშაოთა მწარმოებელი (1991); შპს „იკარუსის" დირექტორი (1996); შპს „ავტოექსპრესის" დირექტორი (1996-2003); შპს „თეგეტა-მოტორსის" გენ. დირექტორი (2003-07). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; იურიდიულ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 92.
(ბინის) ვაჟა ფშაველას 51, კ. 12, ბ. 7, თბილისი. ტელ: 31 18 40. ელ-ფოსტა: t.kokhodze@parliament.ge

## კონსტანტინე კუბლაშვილი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

დაიბადა ტყიბულში 1973 წ. 30 მარტს. მეუღლე — მარინე მესხი (1969); შვილი ანა-მარია (2002). დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტი; დოქტორანტურა (გერმანია,

2000). იყო საქ. პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპ-ტის მთ. სპეციალისტი (1996-98); იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (2000); საქ. იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე (2000-03); იურიდიული ფირმის — „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის" იურისტი (2002-04); საქ. პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის გამგეობის წევრი და დირექტორი (2004). 2005 წლიდან არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავ-რე. გერმანიაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტერიტორიული დანაწილება და ეროვნული ინტეგრაცია. ესპანეთის, გერმანიის და საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების შედარება". არის 40-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „საქართველოს კონსტიტუციური გადასინჯვის მექანიზმი" (1992); „საქართველოს 1995 წ. კონსტიტუცია და ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა" (1995); „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები" (1996); „მოსაზრებები საქართველოს მომავალი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის თაობაზე" (1999); „რელიგიის თავისუფლება" (2003) და სხვ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32, თბილისი 0110. ტელ: 98 21 01; 92 08 76.
**დაუღალავი შრომა და სწავლა საკუთარი საქმის პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის. პატიოსნება, პრინციპულობა და სამართლიანობა.**

## პაატა კუბლაშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. იურისტი.



დაიბადა ტყიბულში 1976 წ. 31 იანვარს. მშობლები: ნატო რობაქიძე, თამაზ კუბლაშვილი; მეუღლე — თამილა აბუთიძე (1974); შვილები: ნუცა (2002), ალექსანდრე (2004). დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი. იყო საქ. იუსტიციის საბჭოს აპარატის კანცელარიის კონსულტანტი (1997); საქ. იუსტიციის საბჭოს სასამართლო პერსონალის სექტორის უფრ. კონსულტანტი (1998); საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ცენტრ. აპარატის იურიდიულ საკითხთა სამმართველოს უფროსი (2000); საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი (2000); საქ. ანტიკორუფციული ბიუროს სამართლის ექსპერტი (2001); საქ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდაცვის ორგანოებთან და სპეც. სამსახურებთან ურთიერთობის დეპ-ტის დირექტორის მოადგილე (2004); საქ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს აპარატის ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციის დეპ-ტის დირექტორი (2004); სახელმწ. უშიშროების სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპ-ტის თავ-რე (2004); საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და მდივანი (2004); საქ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (2005); 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; 2008 წლიდან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რე; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ანტიკრიზისული საბჭოს, საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. არის ავსტრიის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 17 05; 877 50 00 54.

## ბუბა კუდავა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი. ისტორიკოსი.



დაიბადა თბილისში 1972 წ. 25 ოქტომბერს. მშობლები: დალი გვიჩიანი, კახმეგ კუდავა; მეუღლე — ნინო მინიშვილი (1972); შვილი — კახა (1998). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1995). არის ჟურ. „არტანუჯის" დამფუძნებელი და რედაქტორ-გამომცემელი (1993 წლიდან); თსუ ქართული დიპლომატიის ისტორიის ს/კ ცენტრის ლაბორანტი, მეცნ. თანამშრომელი (1994 წლიდან); გამომც. „არტანუჯის" დამფუძნებელი (2000), იყო დირექტორი (2000-06). იყო თსუ საქ. ისტორიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი

(2000-06); ისტორიის ფაკ-ტის დეკანი (2005); ჰუმანიტარული ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (2005). ასოც. პროფესორია 2006 წლიდან. არის სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი და წევრი (2003 წლიდან). იყო ხელნაწერთა ინ-ტის (დღეს — ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დირექტორის მოადგილე (2006). 2006 წლიდან არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი. კითხულობდა ლექციების კურსს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში (2003-05). არის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, დისერტაციის თემა: „დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.)" (2003). არის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს „ჩვენი სამშობლოს მატიანე" (V კლასი) თანაავტორი (2003-08).
ჰობი: მოგზაურობა. ფოტოგრაფია.
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1/3, თბილისი 0193. ტელ: 36 41 85, ფაქსი: 36 32 41.
ელ-ფოსტა: kudava@manuscript.ge; www. manuscript.ge
**არასოდეს დაკარგო რწმენა.**

## უშანგი კუზანაშვილი

ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში.



დაიბადა საგარეჯოში 1984 წ. 9 ივლისს. მშობლები: მზია კერებიშვილი, მალხაზ კუზანაშვილი; მეუღლე — ვერიკო ჭიკაძე (1989); შვილი — მახო (2006). დაამთავრა საქ. სპორტის აკადემია (2008). არის 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მე-3 ადგილის მფლობელი; 2007 წლის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი (I ადგილი, ოქროს მედალი); 2008 წლის ევროპის მე-2 ადგილის მფლობელი.
ჰობი: ჭიდაობა. ცეკვა. მანქანა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 49ა, თბილისი. (ბინის) საგარეჯოს რ-ნი სოფ. კაკაბეთი. ტელ: 897 00 52 00.
**გახდე ჩემპიონი.**

## ივანე (ივა) კუზანოვი

შპს „ესტა" კუზანოვის კლინიკის ხელმძღვანელი. ექიმი-ქირურგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1948 წ. 21 აპრილს. მშობლები: ნორა ყურალაშვილი, გიორგი კუზანოვი; მეუღლე — ალა ალავერდოვა (1948); შვილები: ალი (1975), იგორი (1970). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). იყო სამედიცინო აკად-ის რეკონსტრუქციულ-პლასტიკური მიკროქირურგიის კათედრის გამგე (1999-2006); შპს კლინიკა „კარაპს მედლაინის" ხელმძღ. სამკურნალო დარგში (1998-2004); შპს „ესტა" კუზანოვის კლინიკის ხელმძღვანელია 2004 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზედა კიდურის დაზიანების მიკროქირურგია" (1985). ჩატარებული აქვს ოპერაციები: „სქესის შეცვლა ტრანსსექსუალებში", „ნეოფალის შექმნა", „მტევნის მიკერება — ამპუტაცია" და სხვ. არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი. არის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982); ღირსების ორდენის კავალერი (2000); მიღებული აქვს პრიზები: IPRAS-ი (1999), „ოქროს მარჯვენა" (2002). არის საქ. ანგიოლოგთა ასოც-ის წევრი; ანგიოლოგთა საერთაშ. ასოც-ის — GeoPRAS-ის პრეზიდენტი (1999 წლიდან); საქ. პლასტიკური ქირურგიის ასოც-ის პრეზიდენტი (2003 წლიდან); „იპრასის" საერთაშ. პლასტიკური ქირურგიის ასოც-ის წევრი (2005 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა ქართულ მედიცინაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბუნება, მთაში სიარული.
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას გამზ.5, თბილისი. ტელ: 42 40 09; ფაქსი: 42 40 07. (ბინის) მარჯანიშვილის 42, თბილისი. ტელ: 95 86 31; www.kuzanov.com
**პროფესიონალიზმი.**

## კახა კუკავა



კონსერვატიული პარტიის გენერალური მდივანი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1976 წ. 12 ივლისს. მშობლები: დალი შენგელია, როლანდ კუკავა; მეუღლე — თეა ოქროპირიძე (1978); შვილები — ნინო (2005), ნიკოლოზი (2007). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). იყო იუსტიციის საბჭოს სექტორის უფროსი (1997-99); სახელმწ. დაცვის სამსახურის უფროსი (1999-2001); საადვოკატო კომპანია „სანდოს“ მმართველი პარტნიორი (2001-04). იყო საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). 2003 წლიდან არის კონსერვატიული პარტიის წევრი; ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ტურიზმი.
მისამართი: (სამსახურის) არაყიშვილის 15, თბილისი 0179. ტელ: 22 61 23. (ბინის) წყნეთის გზატკეცილი 4. ელ-ფოსტა: kukava@conservatives. ge
**დემოკრატიული რეფორმების გატარება საქართველოში. თავისუფალი და ერთიანი საქართველოს მიღწევა.**

## კორნელი კუკულავა



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი ვეტერინარი.

დაიბადა ჩოხატაურში 1949 წ. 16 ივნისს. მშობლები: ლუბა კილასონია, სოკრატ კუკულავა; მეუღლე — ლამარა ჩხაიძე (1949); შვილები: ნინო (1981), თამარი (1982), სოფია (1991). დაამთავრა საქ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინ-ტის ვეტერინარული ფაკ-ტი (1971). იყო მახარაძის მეფრინველეობის ფერმის ვეტექიმი (1971-81); ჩოხატაურის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის ვეტექიმი (1981-82); მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი (1983-86); ჩოხატაურის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1986-2005); ჩოხატაურის გამგეობის მთ. სპეციალისტი (2006-07); საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (2007-08); ჩოხატაურის გამგებლის მოადგილე (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნისა (1986) და ღირსების (1999) ორდენებით.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 899 15 11 95. (ბინის) თემქა X კვ., 43 კ., ბ. 41, თბილისი. ელ-ფოსტა: korneli-k@mail.ru
**ადამიანების სიყვარული, მათ გვერდით დგომა, პრობლემების გაზიარება. ზრუნვა მათ მოსაგვარებლად, თავმდაბლობა, დისციპლინირებულობა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ოჯახის სიყვარული.**

## კობა კურდღელაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა კასპის რაიონში 1966 წ. 13 ივნისს. დაამთავრა საქართველოს აგრარული უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი. იყო საქართველოს „სამბოს“ ფედერაციის პრეზიდენტი (1998-2007); 1992-2008 წლებში მუშაობდა სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურაში. 2008 წლიდან არის საქართველოს პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 26 15.

## ლუკა კურტანიძე

ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი. მოჭიდავე.



დაიბადა 1972 წ. 16 აპრილს. მშობლები: ნაირა ნულაია-კურტანიძე, ნოდარ კურტანიძე; მეუღლე — ნანა კურტანიძე (1972); შვილები: ნინო (1991), ნოდარი (1994). დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალი (1996). არის თსუ იურიდიული ფაკ-ტის სტუდენტი. არის ევროპის ჩემპიონი (1992; 1997; 1998; 2001; 2005); ატლანტის (1996) და სიდნეის (2000) ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი; მსოფლიო ჩემპიონი (2002; 2003). არის საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი. მიღებული აქვს მსოფლიოს 1 მოჭიდავის (1993) და საქართველოს 1 სპორტსმენის (1996) წოდებები; არის ღირსებისა (1999) და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენების მფლობელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, მთლიანად ხელოვნება. უძველესი ქვეყნების ისტორი. ასტროლოგია.
მისამართი: (სამსახურის) ილ. ჭავჭავაძის 49ა, თბილისი. ტელ: 23 51 65.
**ბავშვობიდან მქონდა მიზანი გავმხდარიყავი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რასაც განვახორციელებ, და საერთოდ, ყველა საქმეში უნდა ჰქონდეს ადამიანს მიზანი. ჩემი იდეალია ღმერთი, უფალი, სამშობლო და ერთი ჩემი მიზანია ვაკეთო ის საქმე, რითაც მე შემეძლება დავიმსახურო ნდობა და სიყვარული ჩემი იდეალისაგან. და ბოლოს, მე მინდა ვიცხოვრო ისე, ცხოვრების ბოლოს რომ მოვიხედავ და გადავხედავ ჩემს წარსულ ცხოვრებას, მეთქვას, მე გავაკეთე ის, რაც შემეძლო ჩემი ქვეყნისათვის.**

## გოჩა კუპრავა

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი.



დაიბადა აბაშის რ-ნის სოფ. ძველ აბაშაში 1970 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: ციალა ძაგანია, მურმან კუპრავა; მეუღლე — ნათია ფორჩხიძე (1976); შვილი — ნიკოლოზი (2007). დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (1993). იყო აბაშის რ-ნის სოფ. ძველი აბაშის მეცხოველეობის საწარმოს შემკეთებელი მუშა (1987-88); კ. გამსახურდიას სახლ-მუზეუმის დირექტორი (1995-96); აბაშის რ-ნის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავ-რის მოადგილე (1996-2000); პ/გ „ერთიანი ნაც. მოძრაობის" საორგანიზაციო მდივანი (2001-03). არის საქართველოს პარლამენტის წევრი 2004 წლიდან; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", საფინანსო-საბიუჯეტო და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების წევრი. პ/გ ერთიანი ნაც. მოძრაობის აღმასრულებელი მდივანია 2006 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006); „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნების კითხვა. ფეხბურთი. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 39. 877 55 79 57. (ბინის) ნულაძის 4, თბილისი. ტელ: 77 05 10.
**ერთიანი და ძლიერი საქართველო.**

## დავით კუპრეიშვილი



„მერაბ კოსტავას საზოგადოების“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. იურისტი.

დაიბადა სენაკში 1959 წ. 6 ივნისს. მშობლები: ნათელა და ბიჭიკო კუპრეიშვილები. დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1983). იყო რუსთავის № 1 ტრესტის ზეინკალი (1976-78); უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1983-84); საქ. მეცნ. აკად-ის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის მეცნ. მუშაკი (1983-90); უზენაესი საბჭოს დეპუტატი, კანონმდებლობისა და კანონის დაცვის კომისიის თავ-რის მოადგილე (1990-91); საქ. პარლამენტის წევრი, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1992-95); მერაბ კოსტავას სახ. საადგილმამულო ფონდის იურისტი (1995-98); სახალხო დამცველის აპარატის მთ. სპეციალისტი (1998-2005). 2005 წლიდან არის „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ და მერაბ კოსტავას სახ. საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლების და დახმარების ფონდის თავ-რის მოვალეობის შემსრულებელი. არის 4 სამეცნ. ნაშრომის ავტორი და თანაავტორი წიგნისა „მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სამართლებრივი პრობლემები“ (1986). არის „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ წევრი 1990 წლიდან; საქ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი (1989). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ საქართველოს პარლამენტი“ (2004).
ჰობი: კითხვა. ქართული და კავკასიური ჯიშის ძაღლების მოვლა.
მისამართი: (სამსახურის) გ. ტაბიძის 17, თბილისი. ტელ: 98 39 34, 98 39 01. (ბინის) გლდანის მე-4 მ/რ, კ. 97, ბ. 4, თბილისი. ტელ: 57 59 92.
**სიმართლე ყველგან და ყოველთვის.**

## ირინა კუჭუხიძე



კინომცოდნე. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 8 მარტს. მშობლები: ნინო ალშიბაია, შალვა კუჭუხიძე; შვილი — ირაკლი ბათიაშვილი (1961). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინ-ტის კინომცოდნეობის ფაკ-ტი (1975). იყო თსთი ს/კ სექტორის მეცნ. (1976-82), უფრ. მეცნ. (1982-90), წამყვ. მეცნ. თანამშრომელი და სექტორის ხელმძღვანელი (1990-95); ტელეფილმების სტუდიის კოლეგიის წევრი (1976-2003). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული კინოს მხატვრულ-სტილური მრავალსახეობა“ (1982). 1978 წლიდან გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებში: „საბჭოთა ხელოვნება“, „კინო“, „ლიტერატურული საქართველო“, „კინოხელოვნება“ და სხვ. ავტორია წიგნისა: „ეკრანი და დრო“ (კინოს ისტორიისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე, 2009). არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1979). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: სახლის მცენარეები.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 19, თბილისი. (ბინის) ყიფშიძის 6, თბილისი 0162. ტელ: 23 19 27.
**ქალურობა, შვილის კარგ პიროვნებად აღზრდა-ჩამოყალიბება, განათლება, პროფესიონალიზმი, ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანური ღირსების შენარჩუნება, მეგობრობა; არასოდეს ვზრუნავდი თანამდებობრივ კარიერაზე. ვცდილობ არ ვიცხოვრო ინერციით, არ ვიყო გულგრილი ყოველივეს მიმართ, რაც ჩემს გარშემო ხდება. მიყვარს ახალგაზრდები და მათთან ურთიერთობა.**

## მედეა კუჭუხიძე

რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა თბილისში 1937 წ. 10 ივლისს. მშობლები: ნინო ალშიბაია, შალვა კუჭუხიძე; შვილი — რუსუდანი (1958). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1961). იყო თბილისის სანკულტურის (1960-61), სოხუმის დრამატული (1961-63) თეატრების რეჟისორი; თსთი პედაგოგი (1964-1971); თსთუ პროფესორი (1999-2007). 1964 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი. დადგმული აქვს 70 სპექტაკლი, მათ შორის: „ანა ფრანკის დღიური" (1964); კ.ჩაპეკის „დედა"; გ.ხუხაშვილის „მთანმინდის მთვარე"; დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება"; ა.მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის"; პ.კაკაბაძის „სამი ასული და ტყის ქალები" და „პორტოპოლოს ტუსაღები"; ნ.ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე"; ლ.თაბუკაშვილის „ძველი ვალსი"; ლ.როსებას „პრემიერა" და „პროვინციული ამბავი"; კ.გოცის „ლურჯი ურჩხული"; მ.ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" და „სიყვარულის მზე"; ლ.ტოლსტოის „ანა კარენინა", კ.ვოიტილას „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ"; ტ.უილიამსის „შუშის სამხეცე", რ.კლდიაშვილის „საპოვნელა" და „შორაპნელი ქალბატონები", ძი იუნის „დიადი მცირეში" და სხვ. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „სიყვარული სახუმარო არ არის", „იუპიტერი იცინის". არის ავტორი პიესებისა: „ყბედი თუთიყუში" და „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო..."; გამოქვეყნებული აქვს სტატიები გაზ. „ქართულ ფილმში". არის ავტორი სამეცნ. შრომებისა: „მსახიობის ინდივიდუალობა" „თანამედროვე თეატრის სტანდარტიზაცია", „ანტიშექსპირიზმის" პრობლემა", „კაბუკის თეატრი", „ევდემონოლოგია, ტანჯვის აზრი"; „წესრიგი ქაოსიდან". არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1958 წლიდან); საქ. სახალხო არტისტი; კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1981). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სინერგეტიკა.
მისამართი: (ბინის) მარჯანიშვილის 2, თბილისი ტელ: 96 53 57.
**მჯერა რუსთაველის შეგონების: „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა". ვცდილობ, ვიყო პატიოსანი (ვიწრო და ფართო გაგებით); ვაფასებ სიკეთეს და ერთგულებას — არა როგორც მხოლოდ ზოგად ცნებებს. მიყვარს პროფესიონალიზმი და თანამშრომელი. მეშინია ცალმხრივობის. ვოცნებობ, რომ ჩემი ხალხი სულიერად და გონებრივად განათლებული იყოს, ყოველნაირი სიყალბე და ზედაპირულობა დაძლიოს. მეშინია — ვესტერნიზაციამ ეროვნული არ ამოძირკვოს და ქართველებმა მემკვიდრეობითობა და ფესვები სამუდამოდ არ გაწყვიტონ. მჯერა: ქართული თეატრი უპირველესად ქართული დრამატურგიაა. მძულს ეპიგონობა.**

## ჯემალ კუხალაშვილი

მხატვარი.



დაიბადა ხონში 1952 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: ჟუჟუნა იობიძე, ოთარ კუხალაშვილი; მეუღლე — მანანა კუხალაშვილი (1958); შვილები: ოთარი (1980), ლაშა (1981), გიორგი (1982), ბექა (1987), კახა (1990). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1984). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ფიროსმანის მაგიდა" (1982), „ქართლის ცხოვრების ისტორიული ქრონიკები" (1983), „ექვთიმე თაყაიშვილი" (1985), „სტუმრობა აიეტთან" (1997), „ოქროს საწმისის გატაცება" (1997) და სხვ. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისში (1987, 1994, 1997, 2007); სამების ტაძარში (2009), მოსკოვში (1989, 1990, 1994); აშშ-ში (1991); მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში: პოლონეთში (1985), ბელგრადში (1988), ფლორენციაში, ვენაში, ტორონტოში; ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტივა (თაობათა გამოფენა, 1987); საქ. სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987); საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (1988). მონაწილეობდა ქუთაისის ფერმწერთა საერთაშ. პლენერში. მიღებული აქვს მხატვართა კავშირის პრემია (1987). არის საერთაშ. საშობაო გამოფენის ლაურეატი (1997); საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1981 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ჭოველიძის 50. თბილისი 0108; ვაზისუბანი, მხატვრების 51-ე დასახლება, I მ/რ. ტელ: 79 91 80, 18 20 05, 8 55 15 16 27.

## გოგი ლაზარაშვილი



მხატვარი. მხატვართა კავშირის მდივანი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1946 წ. 11 ივნისს. მშობლები: ოლგა გურასპაშვილი, ივანე ლაზარაშვილი; მეუღლე — მანანა კოპაძე (1958); შვილი — ნატალია (1983); შვილიშვილი — ანასტასია გეგეჭკორი. დაამთავრა სპი ავტომატიკის ფაკ-ტი (1969); თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1976). იყო ტნიისა-ს ინჟინერი და მწვრთნელი საიალქნო სპორტში (1969-70); არის თსსა პედაგოგი (1985 წლიდან); საქ. მხატვართა კავშირის მდივანი, ფერწერის სექციის თავ-რე (1998 წლიდან). იყო მხატვართა კავშირის თანათავ-რე, თსსა დოცენტი (2002-06). 2006 წლიდან არის თსსა სრული პროფესორი, ხატვის მიმართულების ხელმძღვანელი; 2008 წლიდან — თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს თავ-რე (სპიკერი). გამოფენებში მონაწილეობს 1976 წლიდან. მონაწილეობდა მრავალ გამოფენაში, მათ შორის: თბილისი, მოსკოვი (1976-87), „80-იანელები" (თბილისი, 1987); „ქართველი მხატვრები დას. ბერლინში" (1989); ზაგრები, ლოზანა, ჰელსინკი, ტორონტო (1990); „ქართველი მხატვრები პარიზში" (1992), კუვეიტი (1995), International Art Forum (ანკარა, 1996); ვაშინგტონი (გაერო, 1996); International Art Messe (ბერლინი, 1997-98); International Art Salon (მოსკოვი, 1998-2002). UNESCO "Exhibition of 21 Georgian Artists" (პარიზი, 2001); "Georgian Modern Pannitings" (ანკარა, თბილისი, 2002); მხატვართა საერთაშ. ფესტ. მაგდებურგში (2002-03), მხატვართა საერთაშ. გამოფენა ლას-ვეგასში (აშშ, 2004), International Art Festival (თბილისი, 2004); საერთაშ. ფესტ. „არტ-კავკასია" (თბილისი, 2004-05); ონლაინ გამოფენაში — www.artlondon.com (2007 წლიდან). საქ. სახ. სამხატვრო აკად. პროფესორთა გამოფენები ანკარაში და თეირანში (2007), „The Royal Academy of Arts" (ლონდონი, 2008); გალ. "Dali" (მადრიდი, 2009); გალ. „Shembers" (ლონდონი, 2009), „OPA Arts and Culture Center" (საქ. კულტურის დღეები, ფლორენცია, 2009). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: მირზაანში (1985), თბილისსა და მოსკოვში (1989); ჰუნგენში (1991), ჰანოვერსა და თბილისში (1994), მიუნჰენში (ბოდო შნიდსის გალ., 1996); მინდენში (გერმანია, გალ. „შპიგელ", 2002); პეტერს-ჰაგენში (გერმანია, 2006, 2009), თბილისში („თი ბი სი" ბაკის საგ. დარბაზი, 2009). მიღებული აქვს თბილისის მხატვართა საერთაშ. არტფესტივალის ორი I პრემია (2004). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალ-ში, აშშ, საქართველოს, რუსეთის, კანადის, ფინეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, ესპანეთის და სხვ. მუზეუმებსა, გალერეებსა და კერძო კოლექციებში. იყო სსრკ მხატვართა კავშირის წევრი (1981 წლიდან). არის საიალქნო სპორტის ოსტატი, საქ. მრავალგზის ჩემპიონი (1966-75), მწვრთნელი (1970 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ნადირობა. იახტა, ზღვა.

მისამართი: (ბინის) თევდორე მღვდლის 5/13, თბილისი 0112. ტელ: 34 03 85, 893 283153;
ელ-ფოსტა: gogilaz@hotmail.com. www.artel.ge/History muzeum Artists.

**მოქალაქეობრივი შეგრძნება — აზროვნება, გულწრფელობა, ერთგულება, ჯანსაღი პატივმოყვარეობა, ღმერთი, სიყვარული, შემოქმედებითი წვა. სამყარო და მე, მე და სამყარო, ფერწერა, სული, უსასრულობა, მარადისობა..**

## ლალი ლაზარაშვილი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

დაიბადა ბორჯომში 1970 წ. 15 აგვისტოს. მშობლები: ჟუჟუნა ფერაძე, ზაურ ლაზარაშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994); საქ. მეცნ. აკად-ის სახელმწ. და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1997); სტოკჰოლმის სამეფო ტექნიკური ინ-ტის მაგისტრატურა (1999), მიიღო მაგისტრის ხარისხი (2002). იყო საქ. იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის დეპ-ტის კონსულტანტი, სამართლებრივი რეფორმის სახელმწ. კომისიის წევრი, კერძო სამართლის სამმართველოს საუწყებო ნორმატიული აქტების სახელმწ. რეგისტრაციის განყ-ბის უფროსი; კერძო სამართლის დეპ-ტის მრჩეველი; სამართალშემოქმედების

მეთოდიკის განყ-ბის უფროსი; კანონმდებლობის დეპ-ტის უფროსის მოადგილე (1996-2000); საქ. სახელმწ. ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული დეპ-ტის დირექტორის მოადგილე (2000); საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე (2000-03); თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლე (2003-05). არის საქ. უზენაესი სასამართლოს წევრი (2005 წლიდან); სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის მეცნ. თანამშრომლი (1998 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მოწესრიგება". გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები (სტატიები და ერთი მონოგრაფია). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა, ბუნების წიაღში ყოფნა.
მისარათი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების ქ. 32, თბილისი. ტელ: 93 29 37. (ბინის) გლდანის I მ/რ, კორპ. 21, ბ. 176. თბილისი. ელ-ფოსტა: lali_laz@yahoo.com

## ნიკოლოზ ლალიაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფილოლოგი. პოლკოვნიკი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 17 დეკემბერს. მშობლები: ნაზი სიმონიშვილი, ალექსანდრე ლალიაშვილი; მეუღლე — მაკა ლალიაშვილი (1975); შვილები: ალექსანდრე (2005), ეკატერინე (2008). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1997). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1997-2000). იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის საკითხთა სამმართველოს თანამშრომელი(2000-02); სახელმწ. უშიშროების სამინისტროს საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (2002-04); საქ. თავდაცვის სამინისტროს საერთაშ. ურთიერთობების დეპ-ტის უფროსი (2004-05); "PA Consalting" ჯგუფის კონსულტანტი (2005-07). არის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკური მდივანი (2007 წლიდან); 2008 წლიდან — საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" თავ-რის მოადგილე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რის მოადგილე, აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საკრალური და პროფანული კატეგორიები ქართულ ფოლკლორში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ელ-ფოსტა: laliashvili@parliament.ge
„ესეც გაივლის!"

## დავით ლანჩავა



ადვოკატი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 2 თებერვალს. მშობლები: თეო სამებია, კონსტანტინე ლანჩავა; მეუღლე — ნინო ლანჩავა (1973); შვილები: თეონა (1989), კონსტანტინე (1990), ლაშა-გიორგი (1992), ლუკა (1998), საბა (1999), მარინე (2001), ნიკოლოზი (2003), სპირიდონი (2005), ანასტასია (2008). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). არის ადვოკატი; ადვოკატთა ასოც-ის გამგეობის წევრი (2005 წლიდან); შპს „ქართული ჩოგბურთის პრეზიდენტი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: შენება, ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ალ.ყაზბეგის 24, თბილისი; ტელ: 31 83 18; 31 80 00. (ბინის) ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ, კორპ. 18, ბ. 43. თბილისი. ელ-ფოსტა: lanchava@mymail.ge ვებ-გვ.: www.lanchavalawoffice.ge
ცხოვრება სახარების მიხედვით.

## ტატო ლასხიშვილი



გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი. ჟურნალისტი.

დაიბადა ქუთაისში 1960 წ. 14 აპრილს. მშობლები: თამილა და გიორგი ლასხიშვილები; მეუღლე — მარინე ჯაში (1969); შვილები: თამარი (1990), ნუცა (1999). დაამთავრა სპი (1982), თსუ (1990). იყო საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციის კომენტატორი (1982-91); გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთ. რედაქტორის პირველი მოადგილე (1991-98). 1998 წლიდან არის ამავე გაზეთის მთ. რედაქტორი. არის ღირსების ორდენის კავალერი; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1985 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის 61. თბილისი 0102. ტელ: (+995 32) 55 01 51; ფაქსი: (+995 32) 55 01 61.
ელ-ფოსტა: tatlas@caucasus.net
**ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელშიც „ულირსს პატივი მიეგება დაგმობის ნაცვლად", ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც ჰგავს ხავსით გაჭედილ ღვთიურ წყაროს და... ველოდებით გმირს, ვინც გაწმინდავს მას, წყალს მისცემს გზას და გადაგვარჩენს. გმირს კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ვეძიოთ იგი ჩვენში.**

## ლევან ლაღიძე



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 19 მაისს. მშობლები: მარგარიტა სხირტლაძე, მიხეილ ლაღიძე; მეუღლე — მანანა გორდელი (1955); შვილი — ნანა (1977). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1981). იყო თბილისის მხატვრის სახლის ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვ. (1985-88); მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი და ახალგაზრდა მხატვართა კავშირის თავ-რე (1986-89). არის სეგ დირექტორთა საბჭოს წევრი (1990 წლიდან). მონაწილეობდა გამოფენებში: „ქართული სკოლა", დრუოს აუქციონი (პარიზი, 1990); „ქართული ხელოვნება", Steiner Haus (ბონი, 1994); „The Binging aa Global Ac" (ვენა, 1994); "Galerie Seidel am Domhof" (კიოლნი, 1996); "ABT Salon 98" (მოსკოვი, 1998), საქველმოქმედო აუქციონი (ნიუ-იორკი, 2004). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: მხატვართა სახლში (თბილისი, 1983); ხელოვნების მუზეუმში (1993), გალ. TMS (თბილისი, 1995, 1998, 2000, 2004, 2005), გალ. „ორიენტი" (თბილისი, 1999); ЦДХ (მოსკოვი, 1994). მისი ნამუშევრები დაცულია: მოსკოვში — ტრეტიაკოვის გალერეაში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, გერცევის გალერეაში; თბილისში — ეროვნული გალერეის ფონდებში, TMS -ის კოლექციასა და კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას 49, კორპ.15, თბილისი 0177. ტელ: 39 50 27.
**წარმატების რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი ცხოვრება იდეალებით და დიდი მიზნებით იყო სავსე. რაც თავი მახსოვს, სულ გზის ძიებაში ვარ. იმედი მაქვს, როდესმე შევძლებ მსხვერპლად გავიღო ყველაფერი, რასაც რუდუნებით და ჯიუტად ვაშენებდი, რათა გაირღვეს ჯადოსნური წრე. კრედო და მიზანი ერთია: მხატვრობის გზით - თავისუფლებისაკენ.**

## გიორგი ლაჭყეპიანი



ავერსის კლინიკის ნევროლოგიური სამსახურის უფროსი.
ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1954 წ. 2 იანვარს. მშობლები: ნანა კვირიკაძე, ავთანდილ ლაჭყეპიანი; მეუღლე — მანანა სულაბერიძე (1954); შვილი — ნიკა (1993). დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1976), თსსუ ნევროლოგიის კათედრის ორდინატურა (1976-78); ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგი) I სამედ. ინ-ტის ასპირანტურა (1982). იყო თსსუ პედიატრიული ფაკ-ტის ნევროლოგიის კათედრის ასისტენტი (1983-94), დოცენტი (1994-98), პროფესორი (1998-99); თსსუ სამკურნალო ფაკ-ტის ნევროლოგიის კათედრის პროფესორი (1999-2006). 2008 წლიდან არის ავერსის კლინიკის ნევროლოგიური სამსახურის უფროსი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჰემოდილუცია იშემიური ინსულტის დროს" (1983); სადოქტორო – „ნერვული სისტემის დაზიანება სეფსისის დროს" (1998). არის 60 სამეცნ. ნაშრომის ავტორი; მონოგრაფიისა (1996) და სახელმძღვანელოს (2001) თანაავტორი. იყო საქ. ექიმთა ასოც-ის პრეზიდენტი (1991-98). არის საქ. ნევროლოგთა საზ-ბის გამგეობის; ევროპის ნევროლოგთა საზ-ბის ფედ-ისა და მსოფლიო ნევროლოგთა საზ-ბის კორპორაციული (1999 წლიდან); საქ. ბავშვთა, ნევროლოგთა ასოც-ის გამგეობის (2000 წლიდან); საქ. ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს (2005 წლიდან) წევრი; ატლანტის საპატიო მოქალაქე (1990). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); საქ. სამედიცინო კალენდარში (2004).
ჰობი: ავტომობილები. მუსიკა — როკენროლი. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ, თბილისი. 8 99 550053. (ბინის) შროშის 14. ტელ: 23 31 86.
**ენა, მამული, სარწმუნოება.**

## ავთანდილ ლეკაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა წითელწყაროს რ-ნის სოფ. ჯაფარიძეში 1955 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ეთერ გავაშელიძე, ვანო ლეკაშვილი; მეუღლე — ცისანა ლეკაშვილი (1959); შვილი — ვანო (1986). დაამთავრა ს/ს ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1980). იყო წითელწყაროს კოლმეურნეობის კოლმეურნე (1972-81); საქ. ალკკ წითელწყაროს რაიკომის კომკავშირული ორგანიზაციების განყ-ბის გამგე (1981-85); წითელწყაროს ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი (1985-88); საქ. კპ წითელწყაროს რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1988-90); წითელწყაროს ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის თავ-რე (1990); საქ. სტატისტიკის დეპ-ტის დედოფლისწყაროს რ-ნული განყ-ბის უფროსი (1999-2003); დედოფლისწყაროს რ-ნის გამგებელი (2003-04). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 877 79 96 97. (ბინის) ევდოშვილის 10, დედოფლისწყარო.
**პატრიოტიზმი.**

## გელა ლეჟავა



ექიმი-ნარკოლოგი. პროფესორი.

დაიბადა ბათუმში 1936 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: მარიამ ბოკერია, გიორგი ლეჟავა. შვილი — ნინო (1958). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1960). იყო კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ს/კ ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1960-73); მუშაობდა საქ. კომპარტიის ცკ სხვადასხვა თანამდებობაზე (1973-78); იყო საქ. ჯანდაცვის მინისტრი (1978-86); ფსიქიატრიის ს/კ ინ-ტის ნარკოლოგიის მედიკო-ბიოლოგიურ პრობლემათა განყ-ბის გამგე (1986-93); ახლად დაარსებული ნარკოლოგიის ს/კ ინ-ტის დირექტორი (1993-2001), სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2001-08). არის ჯანმრთელობის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ინფორმაციისა და ნარკოლოგიური პროგრამების კოორდინატორი (2008 წლიდან); ახლად დაარსებული ნარკოლოგიის კათედრის გამგე (2000 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო (1965) და სადოქტორო (1973) დისერტაციები; არის სრული პროფესორი 2000 წლიდან; 6 მონოგრაფიის და 85-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის: "Электрофизиологическое исследование механизмов привыкания зрительной системы" (1968); „საზოგადოებრივი ჯანდაცვა საბჭოთა საქართველოში" (თანაავტორები: ს.წერეთელი, მ.შენგელია, 1984); „მავნე ჩვევიდან დაავადებამდე" (თანაავტორები: ა.ზურაბაშვილი, ა.გაბიანი, ბ.ნანეიშვილი, 1986); „ნარკომანიის მედიკო-ბიოლოგიური და ფილოსოფიურ-ზნეობრივი ასპექტები" (თანაავტორი: დ.გეგეშიძე, 1995); „ნარკოლოგია" — სახელმძღვ. სტუდენტებისა და ექიმებისათვის (რედაქტორი, 2001); „ნარკომანია, ფენომენის ანალიზი" (2003); თანაავტორი გამოგონებებისა: "Способ диагностики опиатной наркомании" (Соавторы: Полевая, Мягкова, Губерписва, Лушникова, Гамалея, Анохина, Стрелец, Зефиров, Аверина, Козмин, Гачечиладзе), „თავის ტვინის დაავადებათა ელექტრომაგნიტური თერაპიის მოწყობილობა" (თანაავტორები: დ.დარასელია, ნ.პაპუაშვილი, მ.ზაქარაია, ხ.თოდაძე, რ.შაქარიშვილი). არის საპატიო ნიშნის ორდენის მფლობელი (1995). ჟურნალების: „Вопросы Наркологии" და „ქართველოლოგი" სარედაქციო საბჭოს წევრი (2007 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002); აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის მიერ დასახელებულია „წლის ადამიანად" (2001): Outstanding Intellectuals of the 21th Century (2003), ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (ბინის) საბურთალოს 40, ბ.12, თბილისი 0194. ტელ: 36 06 24; ელ-ფოსტა: gelalezhava@mail.ru
**ჩემი ცხოვრების კრედოა, ვემსახურო სამშობლოსა და ერს, აქტიურად ვიბრძოლო სიკეთის დასაფუძნებლად, ვიყო ჭეშმარიტი პროფესიონალი.**

## ნანა ლეჟავა



სტუდია GNS-ის დირექტორი. ჟურნალისტი.

დაიბადა 1970 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: გულიკო და ომარ ლეჟავები; მეუღლე — ზაალ კახიანი (1963); შვილი — ნინო (2000). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1994). იყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი (1994-2006). 2008 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაცია GNS-ის დირექტორი; გადაცემა „კვირის რეპორტაჟის" ავტორი და წამყვანი. დაჯილდოებულია პრიზით „ოქროს კალამი" უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის გაშუქებისათვის (2005). იყო პოლიტიკური პარტიის — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წევრი (2007-08).
ჰობი: მუსიკა, კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 20, თბილისი. ტელ: 99 06 46. (ბინის) მე-8 მ/რ 2-21. რუსთავი. ტელ: (824) 15 18 54.
**ვცდილობ, ჩემი საქმე გავაკეთო ხარისხიანად და არასოდეს ვუღალატო ჩემს საკუთარ პრინციპებს, პირველ რიგში, ყოველთვის ვცდილობ, ვიყო სამართლიანი.**

## პაატა ლეჟავა



საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 15 ოქტომბერს. მშობლები: მადონა თოდუა, გურამ ლეჟავა; მეუღლე — ნინო ლასხიშვილი (1974); შვილი — ელიზაბეტი (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994). იყო საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე (1996-2000); სს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" იურისტი (2001-03). 2002 წლიდან არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; საქ. პარლამენტის წევრი — 2004 წლიდან. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის I მოადგილე (2008 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა, თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 40. (ბინის) ფანასკერტელ-ციციშვილის მე-6 კორპ. ბ. 133, თბილისი. ტელ: 899 78 01 01.

## კობა ლიკლიკაძე



ჟურნალისტი. ექსპერტი სამხედრო საკითხებში.

დაიბადა თბილისში 1966 წლის 10 ივნისს. მშობლები: მედეა მასხულია, პეტრე ლიკლიკაძე; მეუღლე — ლელა ჟორჟოლიანი (1968); შვილები: ნანო (1993), დავითი (1994), ლიზი (2001). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1991). იყო გაზ. „საქართველოს" ჟურნალისტი (1990-93); თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის უფროსი (1993-98), პრეს-მდივანი (1998-2000). 2000 წლიდან არის რადიო „თავისუფლების" თანამშრომელი; 2008 წლიდან — თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტის მიწვეული პედაგოგი (კითხულობს ლექციებს თემაზე „ომი და ჟურნალისტიკა)". გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან გამოცემებში სამხედრო მშენებლობის პრობლემებზე, საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე, იარაღის უკანონო ვაჭრობაზე და სხვ.; აშუქებდა საომარ მოქმედებებს აფხაზეთის, სამაჩაბლოს, კოსოვოსა და ერაყის კონფლიქტების დროს. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კალათბურთი. ცურვა. ბუნებაში სიარული და კითხვა.
მისამართი: ( სამსახურის) ძმები კაკაბაძეების 2, თბილისი. ტელ: 92 23 68/22 67. (ბინის) თემქის X კვარტალი, კ. 37, თბილისი. ელ-ფოსტა: Lliklikadzek@bureaumail.rferl.org
**ჩემი კრედოა ბ.პასტერნაკის სიტყვები „ადამიანი იბადება, რათა იცხოვროს და არა იმისათვის, რომ ემზადოს ცხოვრებისათვის".**

## ბესიკ ლიპარტელიანი



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.
მწვრთნელი-პედაგოგი. ეკონომისტი.

დაიბადა ლენტეხში 1960 წ. 6 ივლისს. მშობლები: შუშანა გავაშელი, ბიტუ ლიპარტელიანი; მეუღლე — მანანა ზაგაიძე (1965); შვილები: ნინო (1993), ლუკა (1997). დაამთავრა საქ. ფიზკულტურის ინ-ტი (1982); თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1988). იყო საკალათბურთო კლუბ „დინამო თბილისის" წევრი (1978-86); საქ. ფიზკულტურის ინ-ტის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი, სპორტთამაშების კათედრის პედაგოგი (1986-89); თბილისის საკალათბურთო გუნდ „ვითას" მთ. მწვრთნელი (1992-97); საქ. ეროვნული საკალათბურთო ნაკრების მთ. მწვრთ-

ნელი (1994-97); ბავშვთა კალათბურთის აკად-ის დირექტორი (1999-2001). საქ. კალათბურთის ფედ-ის პრეზიდენტია 2001 წლიდან. არის სპორტის ოსტატი (1983); საქ. დამს. მწვრთნელი (1995); ღირსების ორდენის კავალერი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის)ჭავჭავაძის გამზ. 49ა, თბილისი 0162. ტელ: 23 53 84. (ბინის) ფალიაშვილის 75, თბილისი. ელ-ფოსტა: basket@gol.ge

## გოგი ლიპარტელიანი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარები"-ს თავმჯდომარე. ეკონომისტი.

დაიბადა ლენტეხში 1952 წ. 27 მარტს. მშობლები: ჟუჟუნა და ასლან ლიპარტელიანები. მეუღლე — ნაზი ლიპარტელიანი (1975); შვილები: ხათუნა (1977), გურამი (1979), პაატა (1993), მათე (2001), მარიამი (2002). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაგეგმვის სპეციალობით (1979). იყო ქარხანა „ელექტროავტომატის" სატვირთო-მექანიკური საამქროს მონაფე (1975-76), ზეინკალი (1976-77), ეკონომისტი, ინჟინერ-ტექნოლოგი (1977-80), კადრების განყ-ბის გამგე (1980-89), დირექტორის მოადგილე (1989-96), სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (1996-99); შპს „არტკომპანის" დირექტორი (1997-99). არის საქ. პარლამენტის წევრი 1999 წლიდან; 2008 წლიდან — ფრაქცია „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარები"-ს თავ-რე; საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა, ცხენოსნობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 17 41. (ბინის) კრწანისის 16, თბილისი.

## ზაზა ლოდია



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 15 მარტს. მშობლები: რენა მეგრელაძე, რუბენ ლოდია; მეუღლე — ეთერ კობაიძე (1960); შვილები: ალექსი (1996), ია (1998). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1984). იყო ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს მეცნ. თანამშრომელი (1985-89). გამოფენებში მონაწილეობს 1990 წლიდან. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: ჰაიდელბერგში (1990), სან მარტინის ხელოვნების საერთაშ. ფესტივალზე (პარიზი, 1993) და მინიატურების საერთაშ. ფესტივალზე (მონტელმარი, 1993); გალერეებში „WPF" (თბილისი, 1994); „ორიენტი" (თბილისი, 1994); გალ. „TMS" (თბილისი, 1997); ფესტივალი „East-West" (საფრანგეთი, 1998). მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, საქართველოს, რუსეთის, აშშ, შვეიცარიის კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: ტაშკენტის 50, თბილისი. ტელ: 38 43 18; 37 04 16.
**ჩემთვის მისაღებია ქრისტიანული მორალი. ამ გზაზე ჯერ-ჯერობით წარმატებები არ მაქვს. ფარხმალს არ ვყრი.**

## ჟანრი ლოლაშვილი



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 22 აპრილს. მშობლები: ევდოკია სანიკიძე, გიორგი ლოლაშვილი; მეუღლე — თათული დოლიძე (1952); შვილები: ეკა (1972), სალომე (1973), გიორგი (1983). დაამთავრა კინემატოგრაფისტთა უმაღლესი კურსები მხატვარ-მულტიპლიკატორის სპეციალობით (მოსკოვი, 1963). იყო კ/ს „ქართული ფილმის" მხატვარი-მულტიპლიკატორი (1958-61); კინემატოგრაფიის ინ-ტის მხატვარი (1961-63); ზუგდიდის სახელმწ. თეატრის მსახიობი (1963-64). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი 1965 წლიდან. მონაწილეობდა ფილმებში: „მიახლოება", „ნუცა", „ქალაქი ანარა", „მწვანე მდელო", „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „საფეხური", „გზა შინისაკენ", „ჩემი უნაზესად საყვარელი დეტექტივი", „ერთაწმინდა", „მზიანი ღამე", „მოხეტიალე რაინდი", „მინისქვეშა სასახლეები", „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"; სერიალში — „ცხელი ძაღლი"; სპექტაკლებში: „გვადი ბიგვა", „მზიანი ღამე", „ხანუმა", „ქალის ტვირთი", „ყვარყვარე", „კავკასიური ცარცის წრე", „გუშინდელნი", „სიბრძნე-სიცრუისა", „თუთარჩელა", „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი", „მეფე ლირი", „დასაწყისი", „დემბურგის ზარები", „ასერგასის დღე", „კაცია ადამიანი?!", „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე", „ვარიაციები თანამედროვე თემაზე", „სალამურა". არის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977); რესპ. სახალხო არტისტი; მიღებული აქვს პრემია მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „კაცია-ადამიანი?!". მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მელომანი. ადამიანებთან ურთიერთობა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, თბილისი 0108. (ბინის) ატენის 14, თბილისი. ტელ: 23 55 55.

**განსაკუთრებული პრინციპები, მიზნები და იდეალები ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მქონია. ხელოვნებაში, ისევე როგორც სხვა საქმიანობაში, თავისუფალი აზროვნებაა საჭირო და, ალბათ, რამდენადმე უნდა უსწრებდე დროს. ნიჭიერება სხვისით აღტაცებაა. რაც მთავარია, უნდა იყო დიდი პროფესიონალი. დღესასწაული — ადამიანებთან ურთიერთობაა! დამღუპველია ამბიციურობა და საკუთარი თავით ტკბობა.**

## ბესიკ ლოლაძე



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

დაიბადა ზესტაფონში 1975 წ. 10 მარტს. მშობლები: ნათელა და გიორგი ლოლაძეები; მეუღლე — ნინო ნულუკიძე (1983); შვილი — ნიკოლოზი (2008). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1997). იყო იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი (1998), დეპ-ტის უფროსის მოადგილე (1998-99), უფროსი (1999-2001); საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რის თანაშემწე (2001-02), აპარატის უფროსი (2003-04); პოტსდამის უნ-ტის კომუნალურ მეცნიერებათა ინ-ტის მიწვეული მეცნ. თანამშრომელი (2002-03); საქ. იუსტიციის მინისტრის მოადგილე (2004-05). 2005 წლიდან არის საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. ფეხბურთი. მოგზაურობა. კინო. თეატრი.

მისამართი: (სამსახურის) კ. გამსახურდიას გამზ. 8/10, ბათუმი 6010. ტელ: (88222) 7 42 01. ელ-ფოსტა: bloladze@constcourt.ge

**სიკეთე, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა.**

## ზურაბ ლოლაძე

მომღერალი. ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1949 წ. 2 მაისს. მშობლები: ნინო მოისწრაფიშვილი, ვლადიმერ (ბიჭიკო) ლოლაძე. მეუღლე — ციცინო გვანცელაძე (1953); შვილები: მარიამი (1979), გიორგი (1980), თორნიკე (1991). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1976). იყო საქ. სახელმწ. ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქციის განყ-ბის გამგე, მუსიკალურ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი, გადაცემა „მოამბის" კულტურისა და მეცნ. განყ-ბის გამგე (1978-91); ანსამბლების — „ჟურნალისტი", „ქართული ხმები" (1984-2004), „სიმი" (2004-08) სოლისტი. 2008 წლიდან არის ანსამბლ „ქართული ხმების" სოლისტი. ჩაწერილი აქვს: ორი ალბომი ანსამბლ „ჟურნალისტთან" ერთად; კომპაქტ და დივიდი დისკები ანსამბლ „სიმთან" ერთად; კომპაქტდისკები — „ქართული ხმები", „წლები" და „ხსოვნა" (საფრანგეთი); „ქალაქური სიმღერების" კომპაქტდისკი. არის თანაავტორი შეიდნაწილიანი ვიდეო სერიალისა „ქართული ხმები სცენაზე და სცენის მიღმა". არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი. იყო სსრკ (1981-87) და საქ. (1987-91) ჟურნალისტთა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოლხენა ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად და ფეხბურთი.
**მოყვასის სიყვარული, ერთგულება. პრინციპები — რა საქმეც არ უნდა იყოს, შესაძლებლობების მაქსიმუმების გაცემა და დაუღლელობა. არგადადება იმისა, რაც შეიძლება დღეს გააკეთო. მიზნები — ვემსახურო ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს და ჩემს მეგობრებს, ქართულ სიმღერას, სანამ შემიძლია. იდეალები: ჩემი იდეალია მამაჩემი ბიჭიკო ლოლაძე.**

## ლალი ლომთაძე

მხატვარი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1955 წ. 3 იანვარს. მშობლები: მოლინა უგულავა, რევაზ ლომთაძე; მეუღლე — ლევან აზმაიფარაშვილი (1955); შვილი — გიორგი (1988). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1979). იყო თსსა დოცენტი (1984 -2007). არის თსუ პროფესორი (1983 წლიდან). მონაწილეობდა 150-ზე მეტ გამოფენაში საქართველოში და საზღვარგარეთ. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისის მხატვრის სახლი (1984), Filmhauz გალ. (ზააბრუკენი, 1992); თბილისის ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი (1995); შერატონ მეტეხი პალასი (თბილისი, 1993,1995); გალ. TMS (თბილისი, 2000); კულტ. ცენტრი „პრაღა" (ვარშავა, 2003); გაეროს სახლი, „ბაია გალერეა" (თბილისი, 2004); კავკასიის სახლი (პარიზი, 2004, 2007); „N გალერეა" (თბილისი, 2007). მისი ძირითადი ნამუშევრებია: „ნატვრის ხე", სერიები „ბავშვობის გახსენება", „ქართული მოტივები", „შადრევანი"; „ჩემი მეგობრები", „ფანჯარა". მიღებული აქვს ექსლიბრისის საერთაშ. კონკურსის I პრემია (1988); მხატვრთა კავშირის პრიზი — ექსლიბრისის საკავშ. კონკურსზე (თბილისი, 1988, 1989); პრიზი გამოფენაზე „მხატვარი ხატავს პარიზს" (პარიზი, 2005). არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1981 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია სსრკ მხატვართა კავშირის ცნობარში და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინაა ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში" (2000); „ასი ქართველი ქალი" (2004), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კინო, ბალეტი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1, თბილისი. (ბინის) ვაჟა-ფშაველას VI კვ. III კ. ტელ: 30 04 70.
**ვეძებ სილამაზეს ყველაფერში.**

## ჯუმბერ ლომინაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიკოსი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 20 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან კალანდაძე, გიორგი ლომინაძე; მეუღლე — ლია ლომინაძე (1931); შვილი — გიორგი (1954); შვილიშვილები: ნოდარი (1978), ჯუმბერი (1980); შვილთაშვილები: გიორგი (2000), მარიამი (2003), ქეთევანი (2007). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი (1955). მუშაობდა ბირთვული იარაღის დამუშავების დახურულ ცენტრში (ჩელიაბინსკი, 1956-58); იყო საქ. მეცნ. აკად-ის ფიზიკის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, სწ. მდივანი (1958-74); მეცნ. აკად-ის პრეზიდიუმის მთ. სწავლული მდივნის მოადგილე (1974-82); აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი (1971-2000). 1982 წლიდან არის საქ. მეცნ. აკად-ის მათემატიკისა და ფიზიკის განყბის აკადემიკოს-მდივანი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დამუხტული ნაწილაკების ნაკადების ურთიერთქმედება პლაზმის დაბალსიხშირულ რხევებთან" (1964); სადოქტორო — „პლაზმის არამდგრადობისა და ტურბულენტობის თეორია ციკლოტრონული ჰარმონიკების არეში" (1974). მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი სამეცნ. მიმართულება საქართველოში — პლაზმური ასტროფიზიკა. არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის, მონოგრაფიისა „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში" (გამომც. „ერგამონ რესს", 1981). არის ამერიკის ფიზიკური და საერთაშ. ასტრონომიული საზბების წევრი. მისი ინიციატივით დაარსდა საერთაშ. სკოლა პლაზმურ ასტროფიზიკაში (იტალია, საქართველო, იაპონია). არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2000). იყო საქ. ცსკ-ს თავ-რე (1997-2003). არის ამერიკის ფიზიკური საზ-ბის (1993 წლიდან) და საერთაშ. ასტრონომიული კავშირის (1997 წლიდან) წევრი; მ. ნოდიას გეოფიზიკის ინ-ტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელია 2007 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა. ფოტოგრაფია. ცურვა. წიგნების კოლექციონირება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 0108. ტელ: 99 61 25; 36 51 61. (ბინის) ნაფარეულის 14, ბ. 22, თბილისი. ტელ: 25 36 34. ელ-ფოსტა: j.lominadze@astro-ge.org
ცხოვრების პრინციპებად ყოველთვის მიმაჩნდა სიმართლე, მეგობრებისა და საზოგადოებისადმი ერთგულება. კიდევ ერთი პრინციპი კარგად არის გამოხატული პოეტის სიტყვებში: „... მხოლოდ შრომის სიყვარული" .. ვცდილობ, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოვეპყრო ახალგაზრდებს. მეცნიერებაში ჩემი იდეალი გახლავთ ეპოქის უნიჭიერესი ფიზიკოსი ენრიკო ფერმი, ხელოვნებაში - განუმეორებელი გენია მიქელანჯელო. ჩემი მიზანი მუდამ იყო და იქნება ცხოვრებაში სიმართლის, მეცნიერებაში - ჭეშმარიტების ძიება.

## მაია ლომინეიშვილი



მოჭადრაკე. საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონი. ჟურნალისტი.

დაიბადა 1978 წ. 11 ნოემბერს. მშობლები: ვარვარა იშხანიშვილი, ვახტანგ ლომინეიშვილი. დაამთავრა თსუ საერთაშ. ჟურნალისტიკის ფაკ-ტი, მაგისტრატურა (2003). არის ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის გამარჯვებული (1990-91); ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული (2003, 2004); 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი; საერთაშ. დიდოსტატი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2008).
მისამართი: (ბინის) მუხიანის I მ/რ მე-13 კ. ბ. 20.

## გელა ლონდარიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა დაბა ასპინძაში 1962 წ. 19 ივლისს. მშობლები: ჟუჟუნა ნითლანაძე, ამბერკი ლონდარიძე; მეუღლე — მაია ბედუკაძე (1963); შვილები: გიორგი (1986), ნინო (1987), ბექა (1990). დაამთავრა თბილისის ს/ს ინ-ტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1985); გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1986-87). იყო ასპინძის რ-ნის სოფ. ხიზაბავრის კოლმეურნეობის ეკონომისტი (1986); ასპინძის რ-ნის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს ალმასკომის მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროს სექტორის უფროსი (1988); ასპინძის რ-ნის სოფ. საროს კოლმეურნეობის გამგეობის თავ-რე (1988-95); ასპინძის სამშენებლო მასალების სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ეკონომისტი (1995-98); ასპინძის რ-ნის საკრებულოს თავ-რე (1998-2001); საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონ. ცენ-ტრის უფროსი (2001-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი.
ჰობი: სპორტი და მეგობრების გარემოცვაში ყოფნა და მოგზაურობა. თავგადასავლები.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 27. (ბინის) თამარაშვილის 8, ახალციხე.
**ჩემი ცხოვრებისეული კრედო ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმეში თუნდაც მცირე წვლილის შეტანაა, მომავალი თაობებისათვის განათლების, დასაქმებაში, წინსვლაში ხელის შეწყობაა. გაჭირვებული ადამიანის გვერდში დგომაა. ხალხისათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესებაა. მეგობრებისათვის საუკეთესო მეგობრობის გაწევაა.**

## გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე



საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე. ნ.დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. რეჟისორი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1927 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ნინო მიქელაძე, დავით ლორთქიფანიძე; მეუღლე — ქეთევან კიკნაძე (1939); შვილები: ნინო (1960), ნანა (1962), მაია (1973). დაამთავრა მოსკოვის თეატრალური აკადემიის სარეჟისორო ფაკ-ტი (1950). იყო ქუთაისის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის თეატრების მთ. რეჟისორი; რუსთავის, ვ.აბაშიძის სახ. მუსიკალური და კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრების სამხ. ხელმძღვანელი; თსთი-ს რექტორი (1999-2005); საქართველოს პარლამენტის წევრი. არის რუსთავის სახელწ. თეატრის დამაარსებელი (1967); 1985 წლიდან — თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავ-რე, 2005 წლიდან — თსთი დრამის ფაკ-ტის სამხ. ხელმძღვანელი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა 1951 წლიდან, არის პროფესორი. 2009 წლიდან არის ნ. დუმბაძის სახ. ცენტრ. საბავშვო თეატრის სამხ. ხელმძღვანელი. არის 150 დრამატული და საოპერო წარმოდგენის, 4 მხატვრული და 3 მრავალსერიანი ფილმის დამდგმელი რეჟისორი. მათ შორის, სპექტაკლები: ნ.დუმბაძის ყველა ნაწარმოები; „სასტუმროს დიასახლისი", „უფსკრულთან", „კახაბერის ხმალი", „სირანო დე ბერჟერაკი", „ასის წლის შემდეგ", „ფიროსმანი", „ოიდიპოს მეფე", „შთამომავლობა", „მეფიოლინე სახურავზე", „ლამანჩელი", „მეტეხის ჩრდილში", „ნათეს ნითელი ნალები"; ფილმები: „დათა თუთაშხია" (7 სერია), „წიგნი ფიცისა" (5 სერია), „თეთრი ბაირაღები" (3 სერია) და სხვ. არის თბილისის საპატიო მოქალაქე; საქ. და სსრკ სახალხო არტისტი; საქ. და სსრკ სახელმწ. პრემიების; რუსთაველისა და კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). 2009 წელს აშშ ბიოგრაფიების ცენტრმა დაასახელა „წლის საუკეთესო ადამიანად".
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ლეონიძის 11 ა. თბილისი. ტელ: 99 80 85. (ბინის) პ.იაშვილის 7. თბილისი. ტელ: 99 75 95.
**„თუ ჩემი სპექტაკლის ან ფილმის ნახვის შემდეგ ადამიანი ოდნავ მაინც უკეთესი გახდება ან დაფიქრდება იმ საკითხებზე, რასაც მე დავუსვამ, ბედნიერი ვიქნები.**

## გურამ ლორთქიფანიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. არქეოლოგი. კულტუროლოგი. პროფესორი.

დაიბადა ბათუმში 1938 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: ოლღა ვახტანგიშვილი, ამბროსი ლორთქიფანიძე; მეუღლე — ნინო კილურაძე (1936); შვილი — ქეთევანი (1962). დაამთავრა მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1961). იყო ისტორიის ინ-ტის უმც. (1961-67) და უფრ. (1968-77) მეცნ. თანამშრომელი; თსუ საქ. ისტორიის კათედრის პროფესორი (1977-79); არქეოლოგიის კათედრის პროფესორი (1980-84); კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე, პროფესორი (1985-2005). 2006 წლიდან არის თსუ ჰუმანიტარული ფაკ-ტის სრული პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ძველი კოლხეთი VI-VII სს" (1974). არის ავტორი ნაშრომებისა: "Колхида в вв VI-II до н. э." (1977), „ქართული კულტურის ისტორია" (1997), „კულტუროლოგია" (თანაავტორობით, თსუ, 2003), „ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან" (2007). არის თსუ საპატიო პროფესორი; საქ. აკად-ის მ.ბერძენიშვილის კულტურის საერთაშ. ცენტრის (ფონდის) პრეზიდიუმის წევრი (2005 წლიდან).
ჰობი: მებაღეობა. ძველი საფოსტო ბარათების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1, თბილისი. ტელ: 29 03 86. (ბინის) ატენის 3, ბ. 21. თბილისი. ტელ: 23 09 52; ელ-ფოსტა: tsuculturologia@yahoo.com
**კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, მისი წარსულის ობიექტური წარმოჩენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, შრომა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ზრუნვა შვილიშვილების ღირსეულ მომავალზე, მათი აღზრდა ჭეშმარიტ მამულიშვილებად, ოჯახისშვილებად.**

## დავით ლორთქიფანიძე



საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი. პალეოანთროპოლოგი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: რუსუდან და ოთარ ლორთქიფანიძეები; მეუღლე — ანა მელიავა (1964); შვილი — ელისაბედი (1994). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი; საკავშირო მეცნ. აკადემიის ასპირანტურა (1991). იყო საქ. მეცნ. აკად-ის გეოგრაფიის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1985-86), უფრ. მეცნ. მუშაკი (1992-97); ს.ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ბის გამგე (1997-2002), დირექტორის მოადგილე (2000-04), დირექტორი (2004-05). 2005 წლიდან არის საქ. ეროვნ. მუზეუმის გენ. დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პირველყოფილი ადამიანებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთკავშირების თავისებურებანი მთიან რეგიონებში" (1991); სადოქტორო — „ბუნებრივი გარემოს ევოლუცია სამხრეთ კავკასიაში და ადრეული ჰომინიდების განსახლების ძირითადი ეტაპები" (2001). არის 80-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი, გამოქვეყნებული ჟურნალებში: Nature, Science Magazine, PNAS და სხვ. იყო მიწვეული პროფესორი პარიზის ბუნების ისტორიის მუზეუმში (1997-99). არის ევროპული დოქტორანტურის (2001 წლიდან) და ჰარვარდის უნ-ტის (2002 წლიდან) პროფესორი. მიღებული აქვს ჯილდოები: საქ. ღირსების ორდენი (2001), მონაკოს მონარქის პრემია (2001), საფრანგეთის აკადემიური პალმის ორდენი (2004), საქ. სახელმწ. პრემია (2004), როლექსის პრემია ინიციატივებისათვის (2004), საფრანგეთის ღირსების ეროვნ. ორდენი (2006), იტალიის სამეცნ. აკად-ის პრემია ანთროპოლოგიაში (2008). არის კულტურის ევროპული პარლამენტის წევრი (2002 წლიდან), სორიას ჰერცოგთა ფონდის (ესპანეთი) სამეცნ. კომიტეტის წევრი (2005 წლიდან), ამერიკის ნაც. აკად-ის უცხოელი წევრი (2007 წლიდან), გერმანიის არქეოლოგიის ინ-ტის წევრ-კორესპონდენტი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Current Biography" (W. Wilson, New York, 2005), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: დეტექტივების კითხვა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 3, თბილისი 0105. ტელ: 99 80 22; ფაქსი: 98 21 33.
**ყოველთვის ყველაფერზე მაღლა დააყენო ქვეყნის ინტერესები, არასდროს დაკმაყოფილდე მიღწეულით და განაგრძო ახლის ძიება.**

## დიმიტრი ლორთქიფანიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: ლამარა ლორთქიფანიძე-უთურგაიძე, გიორგი ლორთქიფანიძე; მეუღლე — ხათუნა კეკელია (1970); შვილები: ნიკო (1990), ლაშა (1991), თათია (1993), ელენე (1994), გიორგი (1999), მარიამი (2002), ლუკა (2006). დაამთავრა სტუ ჰიდროტექნიკური მშენებლობის ფაკ-ტი (1992), თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინ-ტი (1998). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1985-87). იყო საინფორმაციო-სადაზღვევო სამსახურის კადრების ინსპექტორი (1992-94); სახელმწ. დაცვის სპეცსამსახურის კადრების ინსპექტორი (1994-95); აფხაზეთის ა/რ შს სამინისტროს შტაბის უფრ. ინსპექტორი (1995-98); სმკ საბურთალოს ორგანიზაციის თავ-რე (1999); სს „საქგაზის" პროფკავშირის თავ-რის მოადგილე (2000-01); საქ. ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი (2002-08); თსუ ეროვნ. სტრატეგიის კვლევითი ცენტრის მეცნ. თანამშრომელი (2004-06). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" მდივანი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის მოადგილე; პოლიტიკური გაერთიანების — „ჩვენ თვითონ" და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშ. ორგანიზაციის „Vital voices" (აშშ, ვაშინგტონი) წევრი. იყო საქ. მწვანეთა მოძრაობის (1989), სმკ-ს (1999), პ/გ „საქართველოს გზის" (2006-08) წევრი.

ჰობი: მუსიკა. მაგიდის ჩოგბურთი. ლიტერატურა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 56, 877 28 80 55 (ბინის) თევდორე მღვდლის I ჩიხი 6. თბილისი. ტელ: 99 77 53.

**კრძალვა ღვთის მცნებების წინაშე, მუშაობა საკუთარ თავზე, სამშობლოსადმი ერთგულება.**

## მარიამ ლორთქიფანიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ისტორიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ბათუმში 1922 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: ნინო მიქელაძე-ლორთქიფანიძისა, დავით ლორთქიფანიძე; შვილები: თამარი (1946), დავითი (1953), გიორგი (1954). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1943). იყო თსუ დოცენტი, პროფესორი (1948-72); არის თსუ-სა (1964 წლიდან) და თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი (1987 წლიდან); იყო თსუ საქ. ისტორიის კათედრის გამგე (1972-97); საქ. მეცნ. აკად-ის ისტორიის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1948-98). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თბილისის საამირო" (1948), სადოქტორო — „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება" (1963). გამოქვეყნებული აქვს 120 სამეცნ. ნაშრომი, მონოგრაფიები, წიგნები, მათ შორის: საშ. სკოლის VIII და IX კლ. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები; მონოგრაფიები: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება" (1963), „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა" (1966), „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან" (თანაავტ.: აკოფაშვილი, მეგრელაძე, სოსელია, 1967), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", რვატომეულის II (1973) და III (1979) ტომების თანაავტორი; „რა არის ქართლის ცხოვრება" (1989), „ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში" (1979), „აფხაზები და აფხაზეთი" (1990), „Тбилиси, исторический очерк" (IV- нач. XII в); „Essays on Georgian History" (1994); 2008 წელს გამოიცა საქ. ისტორიის სახელმძღვ. ორ ტომად (I ტ.-ის თანაავტორი, I და II ტ-ების მთ. რედაქტორი); ქართულიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი აქვს XI ს-ის ორი ქართველი ისტორიკოსის თხზულებები: „Матиане Картлиса. Русский перевод, вступительная статья, примечания» (1976); „Сумбат Давитис-дзе, История царского рода Багратиони» (1979). მისი თაოსნობით თსუ საქ. ისტორიის კათედრასთან ჩამოყალიბდა საქ. სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია (1988), წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ს/კ ლაბორატორია (1996); იყო თსუ ისტორიის ფაკ-ტის ყოველწლიური სამეცნ. „შრომების" „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა" — მთ. რედაქტორი (1977-2005). არის ქართულ-გერმანული ერთობლივი ყოველწლიური გერმანულენოვანი სამეცნ. ჟურნალის "Georgika" — რედაქტორი საქართველოს მხრიდან (1985 წლიდან). არის საქ.

მეცნ. დამს. მოღვაწე (1975); ივ.ჯავახიშვილის (1976) და ნ.ბერძენიშვილის (1980) სახელბისა და საქ. სახელმწ. (1982) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1997, 2000); სხვადასხვა სამეცნ. კრებულის რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიების წევრი. მონაწილეობდა ისტორიკოსთა და ბიზანტინოლოგთა საერთაშ. კონგრესების მუშაობაში. არის თბილისის საპატიო მოქალაქე. ABI-ის მიერ დასახელდა 1997 წლის ადამიანად; კემბრიჯის ინტერნაციონალური ცენტრის მიერ — XX ს-ის ქალად. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, საერთაშ. ცნობარში „ვინ ვინ არის — პროფესიონალი და ბიზნეს ქალბატონი", IX (აშშ, ბიოგრაფიის ინ-ტი.); „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); დასახელებულია აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის (ABI) დიდების დარბაზის წევრად.
ჰობი: ფიქრი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი 0128. ტელ: 29 08 30. (ბინის) ჭავჭავაძის 52, თბილისი. ტელ: 22 27 35.

**თუ ცხოვრებაში რაიმე წარმატებას მივაღწიე, ეს ჩემი მშობლების და მასწავლებლების დამსახურებაა, რომელთაც ჩამინერგეს სამშობლოს სიყვარული, საქმის ერთგულება, შემაჩვიეს შრომას, განმივითარეს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. პროფესიის არჩევის შემდეგ მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა საყვარელი საქმე, ცხოვრების სტიმულის მომცემი იყო და არის. ვცდილობ ობიექტური ვიყო წარსულის თუ თანამედროვეობის შეფასებაში. არასდროს მიზრუნია მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მედლებსა და ორდენებზე.**

## რუსუდან ლორთქიფანიძე



არქიტექტორი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: ელენე ლორთქიფანიძე (კაჩაროვსკაია), რევაზ ლორთქიფანიძე; მეუღლე — გიორგი ბერიძე (1946); შვილები: ეკატერინე (1970), ალექსანდრე (1974). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1970). იყო საქ. მეცნ. აკად-ის და მოსკოვის საზ-ბრივ ნაგებობათა კვლევის ინ-ტის ასპირანტი (1971-75); საქ. მეცნ. აკად-ის მეცნ. თანამშრომელი (1975--97); სტუ არქიტექტურის ფაკ-ტის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1977-98); გაიარა მოსკოვის არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის კვლევითი ინ-ტის დოქტორანტურა (1989-91). იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში (1998-2004); თსუ რექტორი (2004). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბავშვთა დასვენების კომპლექსის გეგმარებით-სივრცითი ორგანიზაცია" (1974), სადოქტორო — „ისტორიული მემკვიდრეობის როლი თანამედროვე იტალიურ არქიტექტურაში" (1993). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: „ბავშვთა დასვენების ცენტრების პროექტირების პრინციპები" (1978), „იტალიის არქიტექტურა 1970-80 წლებში" (1988), „თანამედროვე იტალიური არქიტექტურა 1970-90 წწ." (1995), რომი „ანგემი ედიტორე" (1996). მიღებული აქვს საკავშირო I პრემია (1965); I პრემია (პროექტი „მზიური", 1978); იტალიის ქალთა მოძრაობის მიერ დაჯილდოებულია მედლებით (სან-მარინო, 1987; რომი, 1995). არის საქ. არქიტექტორთა კავშირის წევრი (1971 წლიდან); იტალიის „კონსტანტინეს და ანგელოზების" ხელოვნების, კულტურისა და მეცნ. აკად-ის და ფლორენციის „დიდგვაროვანთა" აკად-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა. ტურიზმი. კინო.
მისამართი: (ბინის) შანიძის 11, თბილისი. ტელ: 22 06 97; 877 53 75 57.

**მაქვს უნარი გამოვყო მთავარი მეორეხარისხოვნისაგან. ვიყო კონცენტრირებული კონკრეტულ საქმეზე, რეზულტატზე, მის პოზიციურ შედეგზე. ყველაფერში ჩემთვის საყრდენი არის სიკეთე. გაურბივარ ინტრიგებს და უპატიოსნო ხალხს. ძირითადად ვეყრდნობი საკუთარ თავს, შესაძლებლობებს და ინტელექტს. ვარ ინდივიდუალისტი, თუმცა დიდი ვალდებულების გრძნობით — როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე საზოგადოების წინაშე. დიდად ვაფასებ ცოდნას, პროფესიონალიზმსა და განათლებას. მივისწრაფი საკუთარი თავის სრულყოფისაკენ. ძირითადი მასაზრდოებელია კულტურა და შემოქმედებითი იმპულსი. ხელოვნება განუყოფელია აზროვნებისაგან. პირადი იდეალები და ღირებულებები ძირითადად განვითარებული, დასავლური ტიპის დემოკრატიული საზოგადოების შესატყვისია.**

## ლუკა (ლომიძე)

საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსი.



დაიბადა 1966 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: ელენე და ფარნაოზ ლომიძეები. დაამთავრა სპი (1992). 1997 წლის დიდმარხვის პირველ კვირას ალიკვეცა ბერად; აკურთხეს დიაკვნად (1998); მღვდლად (1998); იყო წმ. დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი (1998-2003); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1999); მიანიჭეს არქიმანდრიტის ხარისხი (2000); აკურთხეს ეპისკოპოსად (2003). საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსია 2003 წლიდან. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

მისამართი: (რეზიდენციის) საგარეჯოს საკათედრო ტაძარი, საგარეჯო 3800. ტელ: (995) 206 2144. (995) 99 223461.

## ზაზა მადურაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა 1970 წ. 16 მაისს; მშობლები: მაყვალა აბრამიშვილი, შოთა მადურაშვილი; მეუღლე — ლელა ბერიკიშვილი (1981); შვილი — გიორგი (2007). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1996). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1988-90). იყო თიანეთის რ-ნის ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა (1987-88), თიანეთის საქკოლმშენის ორგანიზაციის მძღოლი (1991), თიანეთის რ-ნის გამგეობის უფრ. სპეციალისტი (1996-98); საქ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონ. სამმართველოს უფრ. ოპერატიული თანამშრომელი (1998-2005); თიანეთის შს რაიგანყ-ბის უფროსის მოადგილე (2005), თიანეთის რ-ნის გამგებლის მ/შ (2005-06), თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 29. (ბინის) სანზონის დასახ. კ. 5, ბ. 33, თბილისი. ტელ: 61 61 09.
**სამშობლოს სიყვარული, ღირსება, პატიოსნება.**

## ეკა მაზმიშვილი



კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი. სსიპ-თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის დირექტორი. ხელოვნებათმცოდნე.

დაიბადა თბილისში. მშობლები: ალექსანდრა ცურინოვა, იოსებ მაზმიშვილი. დაამთავრა თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტი; პრაღის ცენტრალური ევროპის უნ-ტის ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის ფაკ-ტი. იყო ფონდის — „ღია საზოგადოება – საქართველო" პროგრამების კოორდინატორი (1995-2000); თეატრალური სარდაფის მენეჯერი (1998-2005). 2006 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მმართველი მენეჯერი; 2009 წლიდან — სსიპ-თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის დირექტორი.
ჰობი: მოგზაურობა. სპორტი. რკინის კოლოფებისა და განსაკუთრებული ფოტოების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი 0102. ტელ: (99532) 95 40 01. (ბინის) აბაშიძის 50, თბილისი 0179.
**„მითხარი, რას აპირებ შენს ველურ და ტკბილ ცხოვრებაში?" – მერი ოლივერი**

## ფერანდო მაისაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ინჟინერ-გეოლოგი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 14 აპრილს. მშობლები: თამარ ამაშუკელი, დავით მაისაძე. დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო ალ.ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინ-ტის რეგიონული გეოლოგიის, ტექტონიკის და სეისმოტექტონიკის განყ-ბის უფრ. ლაბორანტი (1964), უმც. (1965-77), უფრ. (1977-92) მეცნ. თანამშრომელი, რეგიონული გეოლოგიის სექტორის გამგე (1992-2001), წამყვ. (2002-05), მთ. (2005-06), უფრ. (2006-09) მეცნ. თანამშრომელი. 2009 წლიდან არის ალ.ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Палеогеография и геологическое развитие Грузии в палеогеновое время" (1995). არის ავტორი ნაშრომებისა და 3 მონოგრაფიისა,

მათ შორის: „О новопирсенейской складчатости на Кавказе" (1984). "Палеогеография Абхазии в палеогеновое время" (მონოგრაფია, 1987). "О верхнеэоценовых олистостромах Южного склона Большого Кавказа" (1994). "Геологические и биотические события позднего эоцена - раннего олигоцена на территории бывшего СССР" (მონოგრაფია. 1996); "Principal Stages in the Geologic History of Georgia in the Paleogene" (1998). "Палеогеография и геологическое развитие Грузии в палеогеновое время" (მონოგრაფია. 1999); "Event Deposits in Chaotically Built Formations" (2008). არის საქ. სახალხო განათლების ნარჩინებული (1976); საქ. მეცნ. აკად-ის ალ.ჯანელიძის სახ. პრემიის ლაურეატი (2001). არის საქ. გეოლოგიური საზ-ბის წევრი (1970 წლიდან).
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1|9, თბილისი 0193. ტელ: 33 10 39; ფაქსი: 995 32 33 06 47. (ბინის) ბეჟანიშვილის 14, თბილისი 0192. ტელ: 69 73 86. ელ. ფოსტა: fmaisadze@yahoo.com
**საქმისადმი სიყვარული, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ახლობლებისადმი ერთგულება.**

## მანანა მაისურაძე

მომღერალი. ანსამბლ „ფორტეს" წევრი.



დაიბადა თბილისში 1970 წ. 13 ივლისს. მშობლები: ლაურა ახვლედიანი, დემურ მაისურაძე; მეუღლე — დათო ნიკურაძე (1968); შვილები: ელენე (2007), ნიკოლოზი (2009). დაამთავრა თბილისის ს/ს ინ-ტი. 1993 წლიდან არის ანსამბლ „ფორტეს" წევრი. ანსამბლ „ფორტეს" გამართული აქვს კონცერტები ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, თბილისსა და მოსკოვში. ანსამბლი გამოდიოდა ა.გომიაშვილის კლუბში „ოქროს ოსტაპი" (მოსკოვი, 1996-99); მონაწილეობდა „ქართული კულტურის კვირეულში" (შვეცია, ავსტრია, ესპანეთი, 2000-06); კულტურის დღეებში (სტამბოლი, 2006). გამოსულია ანსამბლის ორი ალბომი: „ალიონზე გამიღიმა თბილისმა" (2000), „თბილისის მზე" (2005). არის ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცეკვა (ქართული და ევროპული).
მისამართი: (ბინის) ალმაშენებლის ხეივანი, კ. 10, თბილისი. ტელ. 59 56 62.
**მიყვარდეს ჩემი ქვეყანა, ჩემი ოჯახი, ჩემი საქმე.**

## რატი მაისურაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ისტორიკოსი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 15 აგვისტოს. მშობლები: თამარ აგიაშვილი, ვიქტორ მაისურაძე; მეუღლე — თამარ გურგენიძე (1981); შვილი — ანანო (2007). დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტის საქ. ისტორიის ფაკ-ტი (1999). იყო არასამთავრობო ორგ-ის პროექტების კოორდინატორი (1994-98); შპს „თბილისის წყლის" მენეჯერი (2002-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე; საქ. I პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი.
ჰობი: კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. (ბინის) ნუცუბიძის პლატო მე-2 მ/რ, მე-3 კვ, კ. 6, ბ. 23, თბილისი. ტელ: 31 56 82.
**„არ განიკითხო და არ განგიკითხავენო".**

## ელგუჯა მაკარაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფილოლოგი.

დაიბადა შუახევის რ-ნის სოფ. ოლადაურში 1963 წ. 30 იანვარს. მშობლები: ნათელა ქარცივაძე, ოთარ მაკარაძე; მეუღლე — როზმარი დეკანაძე (1966); შვილები: ირმა (1985), ნათია (1995). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1986). 1990 წლიდან არის ბსუ თანამშრომელი, ქართული ლიტ-ის კათედრის დოცენტი (1992 წლიდან), კათედრის გამგე (1999-2005), სრული პროფესორი (2005 წლიდან). 2005 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", განათლების, მეცნიერების და კულტურის და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ხალხური საგმირო პოეზიის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები" (1991). არის ავტორი ნაშრომებისა: „ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველება" (1999), „სიტყვის პოეტიკა ხალხურ ლექსში: „პოეტიკა და ტრადიცია" (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 28 36. (ბინის) გიორგი ბრწყინვალეს 9, ბ.90, თბილისი. ტელ: 53 59 40.
**სიმართლის სამსახური, საყვარელი საქმის კეთება, თავდაუზოგავი შრომა.**

## ბაჩა მალაზონია



დიზაინერი-გრაფიკოსი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: ნანა და ნოდარ მალაზონიები; მეუღლე — ნინო ხოშტარია (1968); შვილები: ლადო (1991), ანა (1996). დაამთავრა ტალინის სამხატვრო უნ-ტი ფოტო-გრაფიკის სპეციალობით (1990). მონაწილეობდა გამოფენებში: "Gastatates" (ვენა, 1998), გალ. TMS (თბილისი, 1999). 1990 წლიდან არის ქართული ლარისა და პასპორტის დიზაინის თანაავტორი (ნ.მალაზონიასთან ერთად); ახალი ქართული პასპორტის დიზაინის ავტორი (2005). არის სარეკლამო-საგამომცემლო ფირმა „ბენეფისის" დამფუძნებელი (1990). იყო საქართველოში შვედური კომპანიის პიარისა და მარკეტინგის განყ-ბის ხელმძღვანელი (2002-05). რუსთაველის თეატრის ექვსი სპექტაკლის სადიპლომო პლაკატებისათვის („რიჩარდი", „მეფე ლირი", „სეჩუანელი კეთილი კაცი", „ანა ფრანკი", „სამანიშვილის დედინაცვალი" და „კავკასიური ცარცის წრე") სამხ. აკად. აკადემიკოსთა საბჭომ დააჯილდოვა ვერცხლის მედლით (ლენინგრადი, 1990). არის საქ. ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული „ორასლარიანი" ბანკნოტის (ჯერ „ნ. ნიკოლაძის", შემდეგ, „ქ. ჩოლოყაშვილის") დიზაინის საერთაშ. კონკურსის გამარჯვებული (ნ.მალაზონიასთან ერთად); ავტორი ალბომებისა: „პეტრე ოცხელი" (2007), „დავით გარეჯის მონასტრები" (2008), „მზიანი ღამე" — პატრიარქის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა (2008), „ილიკო სუხიშვილის მემუარები" (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნის კითხვა. ბანქოს თამაში.
მისამართი: (სამსახურის) გამრეკელის 55, თბილისი. ტელ: 98 23 12. (ბინის) ტელ: 98 23 72.
**ხარისხის ხარჯზე არწასვლა კომპრომისებზე.**

## მამია მალაზონია

საქართველოს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.



დაიბადა ოზურგეთში 1936 წ. 19 მარტს. მშობლები: მარგარიტა არობელიძე, ვლადიმერ მალაზონია; მეუღლე — ლიორა ურუშაძე (1943); შვილი — ნინო (1966). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბის თეატრალური სახელოსნო (1962). არის რუსთავის დრამატული (1967 წლიდან), მარჯანიშვილის (1969 წლიდან) და ოპერისა და ბალეტის (1976 წლიდან) თეატრების მთ. მხატვარი; კ/ს „ქართული ფილმის" მხ. და მულტ. ფილმების დამდგმელი მხატვრი. არის თსსა პროფესორი (1983 წლიდან). იყო თსსა სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე (2001-06). საქართველოში და საზღვარგარეთ მხატვრულად გაფორმებული აქვს 150-მდე დრამატული, საოპერო და მუსიკალური სპექტაკლი; 20-მდე მხატვრული და ანიმაციური ფილმი. თანამშრომლობდა ქართული კინოსა და თეატრის დიდოსტატებთან: მ.ჭიაურელთან, ვ.ჭაბუკიანთან, ვ.ტაბლიაშვილთან, დ.ალექსიძესთან, მ.თუმანიშვილთან, გ.ლორთქიფანიძესთან, რ.სტურუასთან და სხვ. თანამშრომლობს გამომცემლობებთან: „მერანი", „საბჭოთა საქართველო", "кинга" (მოსკოვი); "The octagon press" (ლონდონი); "Adolf M Hakken-pablisher" (ამსტერდამი); "Salmanajans" (სტამბოლი). მიღებული აქვს მონაწილეობა სან-პაულოს, ბელგრადის, პრაღის სცენოგრაფთა კვადრენალეებში; საერთაშ. ბიენალეებში ბერლინში, ლაიფციგსა და ვილნიუსში. დასახელებულია წლის საუკეთესო მხატვრად საქ-ში, 1973, 1990,1991, 1992, 1996). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: მხატვრის სახლი (თბილისი, 1981); თეატრ. მოღვ. კავშირი (რიგა, 1983; ლენინგრადი, 1984 ); მხატვართა კავშირი (ვილნიუსი, 1987; მოსკოვი, 1988); ბიზნეს-ცენტრი (თბილისი, 1994); გალ. "TMS" (თბილისი, 1996; 1998); საერთაშ. კულტურის ცენტრი (ამსტერდამი, 2000); სეგ (თბილისი, 2003); მხატვრის ცენტრალური სახლი (მოსკოვი, 2003). არის საქ. დამს. (1980) და სახალხო (1983) მხატვარი; რუსთაველის პრემიის (2003) და ლიტ. პრემია „გალას" (2008) ლაურეატი. მისი ნამუშევრები ინახება: მოსკოვში — პუშკინის სახ. ხელოვნების, ალმ. ხალხთა კულტურის და ბახრუშინის თეატრის მუზეუმებში; ტრეტიაკოვის გალ-სა და მხატ. კავშირის ფონდებში; თბილისში — ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში, სეგ-ში, გ.ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმსა და თეატრისა და კინოს მუზეუმებში; სხვადასხვა კერძო კოლექციაში. მის შემოქმედებაზე შესრულებულია სადიპლომო ნამუშევრები (თსსა) და დაცულია საკანდიდატო დისერტაცია (თსთუ). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთველის თეატრი. თბილისი 0108. (ბინის) ბაზალეთის 9, თბილისი 0179. ტელ: 29 32 18.

**ვცდილობ, ვიყო გულწრფელი, მართალი და გასაგები ხალხისათვის, არ ვიყო ყალბი ხელოვნებაში.**

## ნოდარ მალაზონია

საქართველოს სახალხო მხატვარი.



დაიბადა ოზურგეთში 1929 წ. 27 აპრილს. მშობლები: მარგარიტა არობელიძე, ვლადიმერ მალაზონია; მეუღლე – ნანა მალაზონია (1935); შვილები: მანანა (1956), ბაჩა (1965). დაამთავრა თსსა (1955). იყო ჟურ. „ნიანგის" მთ. მხატვ. რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი (1948-89). 1989 წელს ჩამოაყალიბა სარეკლამო-საგამომცემლო ფირმა „ბენეფისი", რომელსაც ხელმძღვანელობდა 2008 წლამდე. 2004 წელს გამართა პერსონალური გამოფენა „ქარვასლაში" (ფერწერა-გრაფიკა, ფოტო, პლაკატი). არის საქ. დამს. (1965) და სახალხო (1982) მხატვარი. მიღებული აქვს კატანიის ტურისტული პლაკატების საერთაშ. გამოფენის ორი უმაღლესი ჯილდო: „ოქროს სპილო" და „პრიმა ვერა" — ვერცხლის მედალი (იტალია, 1979). არის ქართული ლარის და პასპორტის (ბ.მალაზონიასთან ერთად) დიზაინის ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (ბინის) გამრეკელის 55, თბილისი. ტელ: 33 77 28.

**ოჯახი, შვილები, შვილიშვილები.**

## შოთა მალაშხია



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ვარდო ყიფიანი, ამირან მალაშხია; მეუღლე — ფატი ანთაძე (1959); შვილები: ლუკა (1997), მარიამი (1998), მათე (1999). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1989). იყო რესპ. ცენტრალური კლ. საავადმყოფოს ნერვული განყ-ბის ექიმი-ინტერნი (1989-90); საქ. ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს მე-2 პოლიკლინიკის იმუნოლოგიური ლაბორატორიის ექიმი-ლაბორანტი, ექიმი-ნევროპათოლოგი (1991-2003). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი (2008). 2005 წლიდან არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის თავ-რე. ავტორია წიგნისა „კონფლიქტები, პროგნოზირება" (2007). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 92 20 81.
**ჩემი ცხოვრების უმთავრეს მიზანს ამ ეტაპზე წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.**

## ეკატერინე მამალაძე



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 27 მარტს. მშობლები: ნანი ბრეგვაძე, მერაბ მამალაძე. მეუღლე — მერაბ ქუთათელაძე (1950). შვილები: ლევან და გიორგი საყვარელიძეები, ნატალია ქუთათელაძე. დაამთავრა თსკ ფორტეპიანოს კლასი (1983). არის პირველი სამუსიკო ტექნიკუმის პედაგოგი (1983 წლიდან). ჩაწერილი აქვს ალბომები: „პოპულარული სიმღერების კრებული" (2000), „ჩუბინიშვილის რომანსების ციკლი „ხმა გულისა", „19 სიმღერა" (2002), „მოგზაურობა დროში" (2008). არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002); ღირსების ორდენის კავალერი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სიმღერა.
მისამართი: (ბინის) ი. აბაშიძის 18 ა, თბილისი. ტელ: 22 37 22.
**მადლიერება, მოთმინება და ჩემი პროფესიის სიყვარული. ადამიანებთან ურთიერთობა.**

## ნოდარ მამისაშვილი



კომპოზიტორი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ნადეჟდა კვიჟინაძე, ლევან მამისაშვილი; მეუღლე — ნინო ბახუტაშვილი (1937); შვილი — გია (1962). დაამთავრა თსკ თეორიულ-საკომპოზიციო ფაკ-ტი (1956). იყო თბილისის IV (1955-63) და I (1963-72) სამუს. სასწავლებლების მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პედაგოგი; კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, საკოორდინაციო საბჭოს თავ-რე (1973-91). არის თსკ მუსიკის თეორიის და კომპოზიციის პედაგოგი, დოცენტი (1963 წლიდან), პროფესორი; სასულიერო აკად. ლექტორი (1989 წლიდან); პოლო-სტუდია „თეთრი კვადრატის" პრეზიდენტი (1995 წლიდან); ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის მთ. კოორდინატორი (1996 წლიდან); თსსა მიწვეული პროფესორი (ვირტუალური დიზაინი, ბგერა-ფერი-სტრუქტურიზმი); ასოც. „ტუ"-ს კონსულტანტი აკუსტიკის

საკითხებში; საქ. საპატრიარქოსთან არსებული სამგალობლო კოლეჯის მრჩეველი-კონსულტანტი. არის ავტორი მუსიკალური ნაწარმოებებისა: „ბაქია ბაქია" (საბავშვო ოპერა), „შვიდი სიმფონია", 4 საფორტეპიანო კონცერტი, საგუნდო ორატორიები და ციკლები, პიესები ორკესტრისათვის, ორღანისათვის, ფორტეპიანოსათვის და სხვ., ტრიო-„ტრიპტიქი", „ჟამი გულისთქმისა" (2005), „სურათი-განწყობა" (2005), „კივილი ცეცხლში" და „სევდის პოეზია" (2005-06), საკონცერტო პიესა (2006); მუსიკისა სპექტაკლებისა და კინოფილმებისთვის. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა" (1978), „ასისტრია — ანუ სიცოცხლის ჰარმონია", „პოლიფონია", „ბგერითი ველის თეორია" და სხვ.; ავტორი საინჟინრო გამოგონებებისა: რომოფონიკური აპარატი; რეგულირებადი წყლის გამაცხელებელი; თერმოსტიმულატორი, ანოდურ-კათოდური დამუხტვის აპარატი; პროფილიზებული კომპიუტერი „ნონა" და სხვ. სამების საკათედრო ტაძრისათვის შექმნა ზარების მელოდიური წყობა და 9 ზარი ქართული გალობის ჰარმონიაზე. არის გელათის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1997 წლიდან), საინჟინრო აკად-ის საპატიო აკადემიკოსი (1997 წლიდან), საქ. ეროვნ. აკად-ის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი; აკად. „ნოოსფეროს" აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია მუსიკის დიდ ენციკლოპედიაში (გერმანია); ენციკლოპედიაში მუსიკისა და მუსიკოსების შესახებ (ინგლისი); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ინჟინერია.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 20ა. ბ. 5, თბილისი. ტელ: 39 18 95; 893 97 55 32.
**ჩემი ცხოვრების მიზანია ჩემი შემოქმედებითი სიახლეებითა და საინჟინრო გამოგონებებით, ქართული აზროვნების უნიკალობით გლობალიზაციის პროცესში მოვიპოვო ჩემი „დინება". წმინდა სამების სამრეკლოში ჩემი გამოთვლით ჩამოსხმული 9 ზარის „მელოდია" და ტონთა ჰარმონია ჩემთვის საქართველოს მომავალ სიახლეთა სიმბოლოცაა.**

## პეტრე მამრაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფიზიკოსი. პოლიტოლოგი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 8 სექტემბერს. მშობლები: ირაიდა და გრიგოლ მამრაძეები; მეუღლე — ლალი იაშვილი (1953); შვილი — ელისაბედი (1995). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1974). იყო საქსახწყალპროექტის პროგრამისტი (1975); საქ. მეცნ. აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თბილისის ლაბორატორიის მეცნ. თანამშრომელი (1975-92); საქ. ვიცე-პრემიერის თანაშემწე (1992); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95); საქ. სახელმწ. მეთაურის აპარატის ხელმძღვ. (1995); სახელმწ. მინისტრის პირველი მოადგილე — სახელმწ. კანცელარიის უფროსი (1995-2003); სმკ-ს წევრი (1993-2003); საქ. მთავრობის კანცელარიის უფროსი (2003-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქციის — „ფრაქციის გარეშე" წევრი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ანიჰილაციის ფუნდამენტური პროცესები ზეძლიერ მაგნიტურ ველებში" (1992). არის მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი და 14 სამეცნ. ნაშრომის თანაავტორი; საფრანგეთის ეროვნული ღირსების ორდენის კავალერი (2006); ი. გოგებაშვილის სახ. საქ. პედაგოგთა კავშირისა (2007) და საქ. ათლეტიზმის ფედერაციის (2008 წლიდან) თავ-რე; მოძრაობის — „სამართლიანი საქართველოსათვის" წევრი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: პოეზია, მხატვრული ლიტერატურა. უცხო ენები. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 28 77 47. (ბინის) ი.ჭავჭავაძის პრ. 48, ბ. 10, თბილისი 0179. ტელ: 22 53 93.
**1. არასოდეს მოექცე სხვას ისე, შენ რომ არ გინდა, რომ მოგექცნენ (ოქროს წესი).**
**2. „მხოლოდ ის იმსახურებს თავისუფლებას და სიცოცხლეს, ვინც ყოველდღიურად იბრძვის მათ მოსაპოვებლად". (გოეთე „ფაუსტი")**

## ზურაბ მამუკელაშვილი

„ატენი ტვ"-ს დირექტორი. ინჟინერი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 30 აპრილს. მშობლები: ირინა გაბაშვილი, ვალერიან მამუკელაშვილი; მეუღლე — მარიანნა ოკლეი (1963); შვილები: გიორგი (1988), დავითი (1995), ალექსანდრე (1999). დაამთავრა სპი კავშირგაბმულობის ფაკ-ტი (1981), ასპირანტურა (1985). იყო კავშირგაბმულობის სამინისტროს ლაბორატორიის უფრ. ინჟინერი (1981-83); სოფლმშენის სამინისტროს სამმართველოს უფროსი (1985-92); შპს „ზარის" დირექტორი (1992-99); კავშირ „კაბელის" დირექტორი (1999-2005). „ატენი ტვ"-ს დირექტორია 2005 წლიდან. არის ა/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დამფუძნებელი (2001).
ჰობი: წიგნები, თხილამურები, მთასვლელობა, პრეფერანსი, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ატენის 20, თბილისი 0179. ტელ: 29 41 13, 29 45 67.
(ბინის) ატენის 20, ბ. 60, თბილისი 0179. ტელ: 22 10 27; ელ-ფოსტა: atenitv@rambler.ru
**ოჯახის ერთიანობა, სიმართლე ნებისმიერ პიროვნებასთან, სიკეთის შეცნობიერება კაცობრიობისთვის, საქართველოში კულტურული ძეგლებისა და ეკლესიების აღდგენა, საქართველოს მზიანი მომავალი.**

## არჩილ მამულაძე



აჭარის ბავშვთა ფონდის განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე. ადვოკატი.

დაიბადა შუახევის რ-ნის სოფ. ნენიაში 1958 წ. 16 მარტს. მშობლები: ვარდო ბერიძე, ბესარიონ მამულაძე;მეუღლე — გულნარა მამულაძე (1961); შვილები: ეკა (1980), ბესიკი (1982). დაამთავრა ბათუმის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი (1977); საქ. შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სახელმწ. სამეცნ. ინ-ტის სამეურნეო სამართლის ფაკ-ტი. იყო შუახევის რ-ნის კულტურის სახლის სამხ. ხელმძღვანელი (1977); აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სოლისტი (1977-87); ხელვაჩაურის რ-ნის კულტურის ცენტრის დირექტორი (1987-97); ბათუმის და ხელვაჩაურის საშ. სკოლებისა და ორგანიზაციადაწესებულებების პედაგოგი; სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, დრამატული და საკონცერტო კოლექტივების ხელმძღვანელი ბათუმის თოჯინების თეატრის დირექტორი (1997-2006). არის აჭარის ბავშვთა ფონდის პრეზიდიუმის წევრი; ამავე ფონდის განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავ-რე (1999); იურიდიული კომპანია „პ.კოპალეიშვილი, ო.ნაკაშიძე და პარტნიორების" ადვოკატი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (2006 წლიდან). არის ავტორი სიმღერისა „ჩემი მხარე" (1982); საკავშირო და საერთაშ. ფესტივალებისა და კონკურსების ლაურეატი. მისი ინიციატივით ქ. ორდუში (თურქეთი) ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტთან არსებული თოჯინების სახელმწ. თეატრი; არის აჭარის დამს. არტისტი (2000); ხელვაჩაურის რ-ნის დეპუტატი, რ-ნული საკრებულოს წევრი; საკრებულოს განათლების, კულტურისა და მეცნ.კომისიის თავ-რის მოადგილე. დაჯილდოებულია აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) მ.აბაშიძის გამზ. 18/20, ბათუმი. (ბინის) თამარის დასახლება 24, ბ. 55. ბათუმი. ტელ: 5 06 55; (899)94 46 89.
**პირველ რიგში მამოძრავებს სამშობლოს და ოჯახის სიყვარული, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება, რომელიც მიმართულია ქვეყნის საკეთილდღეოდ. სამსახურში თავდადება. ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახზე წინ ვაყენებ ჩემს სამსახურს. არასოდეს და არც ერთ მომენტში მიღალატია ჩემი საქმისთვის, ამიტომაც ვაღწევ ყოველთვის წარმატებას.**

## ლავრენტი მანაგაძე



ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: თამარ სულაძე, გრიგოლ მანაგაძე; მეუღლე — ნათელა გაფრინდაშვილი (1945); შვილი — გიორგი (1969). დაამთავრა მოსკოვის ივ.სეჩენოვის სახ. I სამედიცინო ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი (1967), ასპირანტურა (1970). იყო ამავე ინ-ტის ლაბორატორიის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1970-72); კლ. და ექსპ. ქირურგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1972-74), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1984-85); ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ინ-ტის დირექტორი (1985-2000); თსსი რექტორი (1991-92). არის თსუ მედიცინის ფაკ-ტის უროლოგიის კათედრის ხელმძღვანელი (1997 წლიდან). იყო სს ალ.წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნ. ცენტრის სამეცნ. ხელმძღვანელი (2000-04), ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2004-07); გენ. დირექტორია 2008 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თირკმლის კონსერვაცია ჰიპოთერმიისა და ჰიპერბარიული ოქსიგენაციის მეთოდების გამოყენებით" (1971); სადოქტორო — „ბავშვთა თირკმლების გადანერგვა ზრდასრულ რეციპიენტებში" (1981). არის ერთი სახელმძღვანელოსა და 300-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. იყო საქ. პარლამენტის წევრი (1999-2003). არის ღირსების ორდენის კავალერი (1997), საქ. მეცნ. და ტექნიკის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004); სომხეთის ქირურგიულ მეცნ. აკად-ის ნამდვილი წევრი (1998); სადისერტაციო საბჭო „უროლოგიის" თავ-რე (1993); ნიუ-იორკის მეცნ. აკად-ის ნამდვილი წევრი (1994); უროლოგთა საერთაშ. საზ-ბის (1997), ქირურგთა საერთაშ. კოლეჯისა (1998) და ამერიკის უროლოგთა ასოც-ის (2003) წევრი; საქ. უროლოგთა ასოც-ის პრეზიდენტი (2000); საქ. ტრანსპლანტოლოგთა ასოც-ის ნამდვილი წევრი (2001); ევროპის უროლოგთა ასოც-ის (2002) და საქ. ბავშვთა უროლოგიის ასოციაციის (2004) საპატიო წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) წინანდლის 9, თბილისი 0144. ტელ: 97 35 31, 77 44 95. (ბინის) ფალიაშვილის 43, ბ. 24. თბილისი; ელ-ფოსტა: lmanagadze@gua.org.ge

**პროფესიული პრინციპებისადმი პატივისცემა და ერთგულება, თავდადებული შრომა, უროლოგიის განვითარების დონისა და სპეციალური ცოდნის თანადროულობა, შესატყვისი კლინიკური აზროვნება, სიახლის გრძნობა, კეთილსინდისიერება, პრინციპულობა, გულისხმიერება, თავმდაბლობა. სამეცნიერო პროფესიული ინტერესებია: რეკონსტრუქციული უროლოგია, ონკოლოუროლოგია, ენდოსკოპიური უროლოგია, შარდკენჭოვანი დაავადება, ბავშვთა უროლოგია, თირკმლის ტრანსპლანტაცია. ქართული უროლოგიის ფართო ინტეგრაცია ევროპულთან, ცნობილი ევროპელი ექსპერტების (უროლოგების) მოწვევა. ერთობლივი კოოპერირებული სამეცნიერო კვლევები.**

## გოჩა მანველიძე

მწერალი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: მერი მანველიძე, თენგიზ ბულაცაშვილი; მეუღლე — ლელა ჭიკაძე (1970); შვილი — თორნიკე (1994). დაამთავრა ქ. ხარკოვის შსს სპეციალიზირებული სასწავლებელი (1990). იყო საქ. შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკის ასმეთაური (1991); თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის ასმეთაური (1992). თანამშრომლობს ჟურნალებთან „თბილისელები" და „გზა" (2006 წლიდან). არის ავტორი რომანებისა: „სარანგი", „მორიელი", „მგლები" (2005 წლის ბესტსელერი), „საკონტროლო გასროლა", „ჯოჯოხეთის სამი საფეხური", „თეთრი სიკვდილი", „დიდგორის ცაზე ფრენდა ეს ჯვარი", „ძმები".

ჰობი: თევზაობა.

მისამართი: (სამსახური) იოსებიძის 49. გაერთიანება „კვირის პალიტრა". თბილისი. ტელ: 38 33 63. (ბინა) ვარკეთილი 3, მე-4 მ/რ, კორპ. 416, ბ. 73, თბილისი. ტელ: 79 37 13.

**შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, სამართლიანობა, ტრადიციულობა.**

## ზურაბ მანჯავიძე

მომღერალი. ანსამბლ „ფორტეს" წევრი.



დაიბადა თბილისში 1971 წ. 31 ოქტომბერს. მშობლები: აზა და გრიგოლ მანჯავიძეები; მეუღლე — თეა ჩხარტიშვილი (1972); შვილები: გიორგი (1992), ანა (1997), სანდრო და ლუკა (2003). დაამთავრა თსუ; საესტრადო სასწავლებელი (2000). მუშაობდა მოსკოვის კლუბ-რესტორანში „ოქროს ოსტაპი" (1996-2000); იყო ტ/კ „იმედი"-ს გადაცემების — „იმედის დილა" და „იმედის ტალღა" (2005-08) წამყვანი. არის ანსამბლ „ფორტეს" წევრი 1993 წლიდან; ღვინის მაღაზიის — „ქინძმარაულის მარანი" დირექტორი (2008 წლიდან); სხვადასხვა ფესტივალების მონაწილე, მათ შორის: ყაზახეთში, ავსტრიაში, თურქეთში, შვედეთში, ესპანეთში. არის ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. ცეკვა. მეგობრებთან ურთიერთობა.
მისამართი: (სამსახურის) ლესელიძის 25. ტელ: 25 03 20. (ბინის) ვაჟა-ფშაველას IIIკვ. IVაკორპ. თბილისი. ტელ: 32 07 55.
**ენა, მამული, სარწმუნოება, სიყვარული და მეგობრობა.**

## ნუგზარ მანჯაფარაშვილი

მოქანდაკე.



დაიბადა სიღნაღის რ-ნის სოფ. ნუკრიანში 1951 წ. 6 მაისს. მშობლები: ნადია ნადირაშვილი, დიმიტრი მანჯაფარაშვილი; მეუღლე — მაია სეთურიძე (1963); შვილები: გიორგი (1978), მარიამი (1984), ქეთევანი (1997). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1975). იყო თსუ მეორადი ფაკ-ტისა (1978-80) და ი.ნიკოლაძის სახ. სამხატ. სასწავლებლის (1990-95) პედაგოგი. მისი ძირითადი ნამუშევრებია: ქალის ტორსი, „გაზაფხული", „შემოდგომა", „დემეტრე თბილელი", „მაღლივი მემონტაჟე", „დედა-შვილი", კომპოზიცია (1986), „მჯდომარე ქალი" (ქვა, 1988); „თავი", „ილიას პორტრეტი", „ძახილი", „მყვინთავი", „9 აპრილი" (1989); „მთიბავის ტორსი" (ქვა, 1991), „პაპის პორტრეტი" (თემბი, ქვა, ლითონი, 1995), „აფროდიტე" (მარმარილო, 1997); „ფრთამოტეხილი ანგელოზი" (1993); სამედალო ხელოვნების ნიმუშები. მონაწილეობს გამოფენებში 1976 წლიდან — ჯგუფური გამოფენები: „მხატვრის სახლი", სეგ (1979-95), „ქართული ხელოვნება"(ვარშავა, 1985); საქ. სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987); ქართული დაზგური ქანდაკება (სეგ, თბილისი, 1991), ქართული ხელოვნება (მოსკოვი, პრაღა, 1991); „ივერთბანკი" და გალ. „ორიენტი" (თბილისი, 1996), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (1998); ЦДХ (მოსკოვი, 2003, 2004, 2005); პერსონალური — გალ. „თბილისი" (1996), პარიზი (1979). არის სეგ-ისა (2002-03) და თანამედროვე ხელოვნების გალ-ის (2005) I პრემიების და „9 აპრილის" II პრემიის ლაურეატი. მისი ნამუშევრები დაცულია კულტურის სამინისტროს საცავში, სეგ-ში, სამხატვრო ფონდში, გალ. TMS-ში, კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია სსრკ მხატვართა კავშირის წევრთა ბიბლიოგრაფიულ ცნობარში (მოსკოვი, 1982); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხელოვნება.
მისამართი: (სახელოსნო) ყიფშიძის ქ. 7, თბილისი. ტელ. 25 08 22. (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, II კ., ბ. 29, თბილისი. ტელ. 899 95 69 46
**მართალი უნდა იყოს კაცი.**

## პარმენ მარგველაშვილი



საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი. ფიზიკოსი.

დაიბადა ქუთაისში 1943 წ. 30 აპრილს. მშობლები: ნეოლინა წერეთელი, იორამ მარგველაშვილი; მეუღლე — ლია შერვაშიძე (1953); შვილები: ანა (1980), ირაკლი (1981), ნინო (1985), მარიამი (1992). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1965); თსუ თეორიული ფიზიკის კათედრის ასპირანტურა (1970). იყო ამავე კათედრის ასისტენტი (1971-75). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნეიტრალურ" — მეზონთა ფენომენოლოგიის ზოგიერთი პრობლემა" (1973). იყო თბილისის 55-ე საშ. სკოლის დირექტორი (1993-2005); თსუ პრორექტორი (1997-2005); თბილისის დამოუკიდებელი უნ-ტის რექტორი (1991-2007). 2007 წლიდან უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნტ-ის რექტორად. გამოქვეყნებული აქვს 60 სამეცნ. ნაშრომი და პუბლიკაცია, მათ შორის: „დავით კაკაბაძის არქივიდან" (1988, 2001, 2009); „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია" (1992); „ტაძარი, The Templ" (2000); "Shotha Rusthaveli, მ.უორდროპის თარგმანის გამოცემა XVII ს. უცნობი მინიატურებით" (2005); „შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი" (2005); „რუსთაველის მსოფლმხედველობა" (2008). მის მიერ არის გამოცემული (მისივე წინასიტყვაობით) დავით კაკაბაძის ნაშრომი „ქართული ჩუქურთმის გენეზისი". იყო სკკპ წევრი (1977-89), თსუ ახალგაზრდა მეცნ. საბჭოს თავ-რე (1975-82), სსრკ დეპუტატი (1989-91). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 53ა. თბილისი 0128. ტელ: 25 82 46; ფაქსი: 25 82 45. (ბინის) ატენის 20. ბ.57. თბილისი. ტელ: 29 02 49. ელ-ფოსტა: nekeripub@yahoo.com

**პატიოსნება, შრომა, ღმერთის, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული.**

## გიორგი მარსაგიშვილი



არქიტექტორი. ხელოვნებათმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1946 წ. 25 სექტემბერს. მშობლები: იულია მარსაგიშვილი-გომერი, ვახტანგ მარსაგიშვილი; მეუღლე — ირინე აბაშიძე (1946); შვილი — ვახტანგი (1971). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1969). იყო საქქალაქმშენსახპროექტის მე-9 არქ. სახელოსნოს არქიტექტორი (1967-71); გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი და სწავლული მდივანი (1971-2006); საქ. ხელოვნების მუზეუმის განყ-ბის გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1995-2003); შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის დირექტორი (2003-09). არის ამავე მუზეუმის კონსერვატი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ურაველის აგარის სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურა" (1997). არის ავტორი ნაშრომებისა: „ურაველის აგარის სამონასტრო კომპლექსი", „ზარზმის სამონასტრო კომპლექსი" (არქიტექტურა, 2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) ლადო გუდიაშვილის 1, თბილისი 0105. ტელ: 99 99 09. ფაქსი: 99 66 35. (ბინის) ბარნოვის 71, თბილისი 0109. ტელ: 22 26 04. ელ-ფოსტა: marsagishviligia@posta.ge

## რომან (გოდერძი) მარსაგიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი. პოლკოვნიკი.



დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. კარკუჩაში 1949 წ. 4 აპრილს. მშობლები: ბაბალე გელაშვილი, ვანო მარსაგიშვილი; მეუღლე — მარინე შადური (1953); შვილები: მაია (1978), ირაკლი (1982), მანანა (1984). დაამთავრა სპი ავტო-მექანიკის ფაკ-ტი (1976); პოლიციის აკადემია (1985). მუშაობდა საქ. შს სამინისტროში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე (1978-92); იყო საქ. საბაჟო დეპ-ტის სახელმწ. მრჩეველი (1992-98); ყაზბეგის რ-ნის გამგებელი (2002-03). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" და აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავ-რის მოადგილე; საქ. I პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი და საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია საქ. სპორტულ ენციკლოპედიაში (2005).
ჰობი: მოგზაურობა. ნადირობა, თევზაობა.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 49; 899 25 00 99. (ბინის) დიდი დიღომი, პეტრინის 4/8. თბილისი. ტელ: 53 48 77.
**ხევის (ყაზბეგის) სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება. ერთიანი საქართველო.**

## თამარ მარტიაშვილი

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე. ექიმი.



დაიბადა თბილისში 1965 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თინათინ ქავთარაძე, ბეჟან მარტიაშვილი; მეუღლე — თეიმურაზ მელქაძე (1964); შვილი — მატა (2007). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1986); რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური აკად-ის მაგისტრატურა საერთაშ. ურთიერთობების სპეციალობით (2001); რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული ეროვნ. ეკონომიკის აკადემიის მაგისტრატურა (პოლიტიკური მეცნ., პოლიტ. განვითარება, პოლიტ. კონსულტირება, 2001); დიდი ბრიტანეთის მანჩესტერის უნ-ტის სოციოლოგიისა და ეკონომიკის მეცნ. სკოლის მაგისტრატურა (მოსკოვი, 2001). იყო საქ. ჯანდაცვის სამინისტროს თერაპიის კვლევითი ინ-ტის ღამის ექთანი, ინტერნი, ექიმი (1984-90); კომპანია „Eurasia Trading Centre Company LTD" რეგიონ. დირექტორი (იაპონია, 1990-91); იტალიური კომპანიის — „Norika Export-Import Engineering LTD" რეგიონ. განვითარების მენეჯერი (აღმ. ევროპა,1991-92); კომპანია „ПКФ GVK" სავაჭრო დეპ-ტის უფროსი (რიგა, ლატვია, 1992-93); შვეიცარიული კომპანია „Foodline S.A. Group" (inch Chemoil Products LTD) პროექტებისა და პროგრამების ხელმძღვ. (მოსკოვის წარმომადგენლობა,1993-96); ავსტრიული კომპანიის — „Zomaco Engineering Handelsges. m. b. H." პროექტების მართვის დეპ-ტის უფროსი (მოსკოვის წარმომადგენლობა, 1996-2002); თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტი, უფროსის მოადგილე (2005), კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე (2005-07); საქ. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის I მოადგილე (2007-08); საქ. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი (2008). 2008 წლიდან არის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე.
ტელ: 31 15 76; 899 40 89 10. ელ-ფოსტა: martiashvili@gmail.com

## ვახტანგ მარტოლეკი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფინანსისტ-ეკონომისტი.

დაიბადა მცხეთაში 1971 წ. 8 მარტს. მშობლები: მარინა და თამაზ მარტოლეკები; მეუღლე — ბელა აბაშიძე (1973); შვილები: თამაზი (1992), გეგი (2005). დაამთავრა თსუ ფინანსისტ-ეკონომისტის სპეციალობით (1993). მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი. იყო მცხეთის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის მთ. ინსპექტორი, სამმართველოს უფროსი (1993-2006); მცხეთის გამგებლის მოადგილე, გამგებლის მ/შ (2005-06); მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ-რის მოადგილე (2006-08). არის საქართველოს პარლამენტის წევრი 2008 წლიდან; ფრაქციის „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარები" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი. არის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ნიჩბოსნობაში.
ჰობი: სპორტი, წიგნები, მეგობრები, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 97.
ელ-ფოსტა: v.martolcki@parliament.ge

## ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილი



საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი.
პედაგოგი. აგრონომი.

დაიბადა სოფ. ზემო მაჩხაანში 1940 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ კამარიძე, არსენ მარტყოფლიშვილი; მეუღლე — დეზდემონა ბატიაშვილი (1940); შვილები: დათო (1965), მაია (1966), ირმა (1972), ცისმარი (1977). დაამთავრა ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწ. ინ-ტი (1965); ს/ს ინ-ტი (1970). იყო საქ. ძიუდოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების უფრ. მწვრთნელი (1973-80); სსრკ ნაკრების უფროსი (1980-86); საქ. „დინამოს" უფრ. მწვრთნელი (1987-91); საქ. ძიუდოს ეროვნ. ფედ-ის ვიცე-პრეზიდენტი (1991-2004); საკავშირო კატეგორიის მსაჯი (თბილისის, იაპონიისა და პანამერიკული თამაშების სხვადასხვა რანგის საერთაშ. შეჯიბრებების მსაჯი, 1979-95). 2005 წლიდან არის ძიუდოს ფედ-ის გენ. მდივანი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: „ქართველი ფალავნები კიმონოთი" (1972), „ძიუდოს სამსაჯო წესები და ტერმინოლოგია" (1979), „ჭიდაობა „სუმოს" წესები და ტერმინოლოგია" (2006). დაჯილდოებულია სსრკ საპატიო ნიშნის ორდენით (1984); არის ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია მრავალ სპორტულ ენციკლოპედიაში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ბელიაშვილის 5, თბილისი. ტელ: 52 83 70; 877 99 44 06. (ბინის) დოლიძის 26, ბ.132, თბილისი. ტელ: 36 41 92.
**ჩემი ცხოვრების კრედო იყო ქართულ სპორტში კეთილსინდისიერად მუშაობა, როგორც სპორტსმენობის დროს, ისე მწვრთნელად მუშაობის დროს. ახალგაზრდა თაობის სწორი აღზრდა. 1998 წელს საქართველოში დავამკვიდრე ჭიდაობა „სუმო", გვყავს ევროპისა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები; ევროპის მრავალგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები.**

## გიორგი მარღანია

ქორეოგრაფი.

დაიბადა თბილისში 1961 წ. 1 აპრილს. მშობლები: თინა და გიეი მარღანიები; დაამთავრა მოსკოვის "ГИТИС"-ი ბალეტის რეჟისურის სპეციალობით (1992). იყო რუსთაველის თეატრის მთ. ქორეოგრაფი (1992-

98); სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის თითქმის ყველა თეატრში. ამჟამად თანამშრომლობს მარჯანიშვილის თეატრთან. მუშაობს სამეცნ. თემაზე – „ფიროსმანის შემოქმედება". არის დიაგილევის სახ. I საერთაშ. საბალეტო კონკურსის დიპლომანტი. არის ქორეოგრაფი სპექტაკლებისა: რუსთაველის თეატრში — „იაკობის სახარება", „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „საშობაო სიზმარი", „მაკბეტი" და სხვ. მარჯანიშვილის თეატრში — „ზაფხულის ღამის სიზმარი", „სამგროშიანი ოპერა", „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", „ძალიად ექიმი", „პიგმალიონი" და სხვ. თეატრალურ სარდაფში მისი რეჟისორობით დაიდგა ქორეოგრაფიული წარმოდგენები „ჩემი შექსპირი" და „ბოლერო". თითების თეატრში — "Pas d action".
ჰობი: ძველი წიგნების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი. ტელ: 95 35 82; ფაქსი: 95 40 01. (ბინის) ბ.ხმელნიკის კორპუსი 11. ბ.49, თბილისი.
**ვაკეთო სიკეთე.**

## ირაკლი მასხარაშვილი



არქიტექტორი.

დაიბადა ბორჯომში 1938 წ. 28 ივნისს. მშობლები: დუშა ჭითავა, სიმონ მასხარაშვილი; მეუღლე — ლეილა ბაკურიძე (1941); შვილები: ანა (1974), ლევანი (1974). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1963). იყო ამავე ფაკ-ტის პედაგოგი (1970-80); საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-92); თბილისის მთ. არქიტექტორი (1991-95). არის ავტორი ნამუშევრებისა: ნევროლოგიის ინ-ტის შენობა თბილისში (1975), ბავშვთა ქალაქი „მზიური" (1982); პროექტებისა: სასცენო ხელოვნების სკოლა თბილისში (1965), საგზაო ნაგებობების კომპლექსი „სალანგი" (ავღანეთი, 1964), საკურორტო კომპლექსი „ოქროს საწმისი" კოდორის შესართავთან (1970), ბათუმის ცენტრისა და ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია (1976), საქ. საზღვაოსნო ადმინისტრაციის შენობა ბათუმში (1985); თბილისის საცხოვრებელი სახლები. არის საქ. არქიტექტორთა კავშირის წევრი (1965 წლიდან), კოლეგიისა და მთ. არქიტექტურული საბჭოს წევრი.
ჰობი: არქიტექტურა. შვილიშვილებთან ყოფნა.
მისამართი: (ბინის) ჩიქოვანის 20. ბ.76. თბილისი 0171. ტელ: 33 34 84; (სახელოსნოს) ტელ: 33 45 81.
**ვცდილობ, ვიყო გულწრფელი ყველაფერში, საქმეში, ჩემს პროფესიაში, ყველას მიმართ.**

## ქეთევან მატაბელი



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1953 წ. 28 თებერვალს. მშობლები: მარინე და გული მატაბელები; მეუღლე — გია გუგუშვილი (1952); შვილები: გიორგი (1980), მარიამი (1990), ლუკა (1996). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1978). იყო თსსა და თბილისის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ფერწერის პედაგოგი, თბილისის მხატვრის სახლის რესტავრატორი (1981-95). არის ავტორი ფერწერული სერიისა „ძველი თბილისი" (1984). გაფორმებული აქვს ქუთაისის დრამ. თეატრის სპექტაკლი „დე კასტელის ალბომი" (1994); რამდენიმე ტელესპექტაკლი; წიგნი — „ეროვნული ღირსებისათვის" (2001). მონაწილეობდა გამოფენებში: „არტ მანეჟი" (მოსკოვი, 1997,; „არტ მესე" (გერმანია, 1999), თბილკრედიტბანკი (თბილისი, 2001), არტ სალონი (ლონდონი, 2002), პარიზი (2003), გერმანია (2003, 2004), ვენა (2005) ვილნიუსი (2008), ჰამბურგი (2008), მინდენი (გერმანია, 2009). გააფორმა პროექტის — „ჩვენ და ვეფხისტყაოსანი" ხუთტომეულის მეოთხე ტომი — „ვეფხისტყაოსანს" წარმოგიდგენთ ქეთევან მატაბელი" (გამომც. „სეზანი" 2009). არის „ვეფხისტყაოსნის" მეასე საიუბილეო გამოცემის ხელნაკეთი ყდების ავტორი (ხელოვნების განვითარების ფონდის ინიციატივითა და „თიბისი ბანკის" დაკვეთით, 2009). არის საქ. მხატვ. კავშირის წევრი (1980 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მცენარეების მოვლა. მანქანის ტარება.
მისამართი: (ბინის) გაბაშვილის 4, თბილისი. ტელ: 91 29 24.
**თავისუფლება, შემოქმედება, სიყვარული, რელიგია.**

## შალვა მატუაშვილი

მხატვარი.



დაიბადა წინანდალში 1958 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: ანეტა მარგალიტაშვილი, გიორგი მატუაშვილი; მეუღლე — ლელა საბანაძე (1958); შვილები: გიორგი (1977), ანა (1981). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1980). იყო თბილისის სახელმწ. პედ. უნ-ტის ხატვის, ფერწერისა და კომპოზიციის პედაგოგი (1988-95); თბილისის ცენტრალური მხატვრის სახლის ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვ. (1988 წლიდან). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: თბილისში, მოსკოვში, პარიზში, მილანში, ბერლინში, ვენაში, კუვეიტში, ანკარაში, მიუნჰენში, ბარსელონაში, ერევანში და სხვ.; გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: პარიზში (1999) , გალ. „TMS" (თბილისი, 2005), გალ. „ვერნისაჟი" (თბილისი, 2006). მიღებული აქვს პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1988); თბილისის საშობაო ფესტივალის გრან-პრი და დამთვალიერებელთა პრიზი (1996); საშობაო ფესტივალის I პრემია (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ისტორიული ძეგლების, სიძველეების მონახულება.
მისამართი: (ბინის) რაზიკაშვილის 10. ტელ: 77 36 08, 96 63 65.
**შრომა, შენება, გაცემა სიკეთისა, რაც სიამოვნებითა და ღირსებით აგავსებს.**

## გიორგი მაღალაშვილი

ქალაქის მე-4 კლინიკურ საავადმყოფოსთან არსებული ო.სიგუას სახელობის ნეიროქირურგიული ცენტრის ხელმძღვანელი. ნეიროქირურგი.



დაიბადა თბილისში 1952 წ. 21 თებერვალს. მშობლები: ნატა ყაერიშვილი, ედიშერ მაღალაშვილი; მეუღლე — რუსუდან ნიკოლაიშვილი (1952); შვილები: ედიშერი (1979), გივი (1989). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974), ინტერნატურა (1976). იყო ქალაქის I კლ. საავადმყოფოს ნეიროქირურგი-ორდინატორი (1976-78); ნევროლოგიის ინ-ტის უმც. (1979-85) და უფრ. (1986-95) მეცნ. თანამშრომელი; ფუნქციური ნეიროქირურგიის განყ-ბის გამგე (1995-98); ნამყვ. მეცნ. თანამშრომელი (1998-2002). 2003 წლიდან არის მე-4 კლ. საავადმყოფოსთან არსებული ქალაქის ნეიროქირურგიული ცენტრის ხელმძღვანელი. არის 25 სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის 11 გამოქვეყნებულია უცხოურ სამედ. ჟურნალებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფოტოგრაფია.
მისამართი: (სამსახურის) გუდამაყრის 2, თბილისი. ტელ: 61 84 52. (ბინის) ვაჟა- ფშაველას 9, ბ.172, თბილისი. ტელ: 37 28 31. ელ-ფოსტა: neirosurgeryg@hotmail.com
**პატიოსანი ურთიერთობები, შრომა, განვითარება.**

## ჯაბა მაღლაკელიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტ-მენეჯერი.



დაიბადა ზესტაფონში 1972 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ნანი ჩარკვიანი, ჯემალ მაღლაკელიძე; მეუღლე — ნინო გვაჟაია (1975); შვილები: მარიამი (1994), ქრისტინე (1995). დაამთავრა სოხუმის სახელმწ. უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1998). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების წევრი.

ჰობი: სპორტი. ხელოვნება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. (ბინის) სანაპიროს 2 ა, თბილისი.
**საქართველო უპირველეს ყოვლისა.**

## დავით მაღრაძე

პოეტი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 28 ივნისს. მშობლები: ლია და ელგუჯა მაღრაძეები; მეუღლე – ნესტან ციციშვილი (1966); შვილები: ნატა (1985), ელენე (1990). დაამთავრა თსუ ქართული ფილოლოგიის ფაკ-ტი (1984). იყო ჟურ. „ცისკრის" მთ. რედაქტორი (1992); საქ. კულტურის მინისტრი (1992-95); გაზ. „ქომაგის", შემდგომში — ჟურ. „ქომაგის", რედაქტორ-გამომცემელი (1998-2000); საქ. პარლამენტის წევრი (1999); გაზ. „24 საათის" დამატება „დედაქალაქის" რედაქტორი (2002-03). არის ქართული პენ-კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 1997 წლიდან — პრეზიდენტი. არის ავტორი ლექსების კრებულებისა: „მარულა", „შანდლის ასული", „ლექსები", „გახუნებული აფიშა", „მეფური ნაკლი", „ნიკალა", „პოეტს +", „SALVE", „ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს", „შენთვის". პუბლიცისტურ-ესეისტური კრებულისა – „კულტურა – მეფური ნაკლი". არის საქ. სახელმწ. ჰიმნის ტექსტის ავტორი. მიღებული აქვს გაზ. „კავკასიონის" პრემია (1997), თბილისის წიგნის IV საერთაშ. ფესტივალის პრემია — „საუკეთესო პოეტური კრებული" (2002); კემბრიჯის ბიოგრაფიული ლექსიკონის ოქროს მედალი — „წლის საერთაშორისო მწერალი" (2003); აშშ საბჭოს „ოქროს არწივი" (2004) და „თავისუფლების მსოფლიო მედალი" (2005); საქ. ჟურნალისტთა საერთაშ. ფედ-ის ჯილდო „ოქროს ფრთა" (2005); ი.ჭავჭავაძის სახ. ფონდის პრემია „საგურამო" (2005); საქ. სახელმწ. პრემია (2005); არის ლიტ. კონკურსის — „რომის პაპის მედალი" გამარჯვებული ლექსების კრებულისათვის „savle" (შვეიცარია, ლუგანოს უნ-ტი, 2008); ბურბონების სამეფო დინასტიის წმ. გიორგის ორდენმა მიანიჭა „რაინდის I ხარისხის ტიტული" (ბრიუსელი, 2009). არის ღირსების ორდენის კავალერი; ა/ო „ძველი თბილისის" თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიულ ლექსიკონსა (1998) და აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის ცნობარში (2003); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. განსაკუთრებით, საქართველოში.
მისამართი: (ბინის) ლარსის 1, ბ.14, თბილისი.
**ღირსება.**

## გუგული მაღრაძე

„საქართველოს ქალთა პარტია თანასწორობის
და სამართლიანობისათვის" თავმჯდომარე. ფსიქოლოგი. პროფესორი.



დაიბადა 1945 წ. 9 აპრილს. მშობლები: ოლღა არველაძე, ამბერკი მაღრაძე; შვილი — მაგდა (1977). დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის (1968), ინგლისური ენის და ლიტერატურის (1974) და სამართალმცოდნეობის (1997) ფაკ-ტები. იყო დ.უზნაძის სახ. სტიპენდიანტი (1964-68); საქ. მეცნ. აკად-ის დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1969-78); საქ. მეცნ. აკად-ის სამართლის ინ-ტის არასრულწლოვანი დამნაშავეების ფსიქოლოგიის განყ-ბის გამგე (1978-81); თსუ პროფესორი (1981-2001); თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწ. ინ-ტის საზ-ბრივ მეცნ. კათედრის გამგე (1994-97); საქ. დავით აღმაშენებლის უნ-ტის პრორექტორი (1995-98); აშშ ჯორჯ მეისონის უნ-ტის მიწვეული პროფესორი, ფულბრაიტის სტიპენდიანტი (2000-01); თსუ სოც. ფსიქოლოგიის კათედრის გამგე (2001-06); საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). არის თსუ სრული პროფესორი, კონფლიქტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2006 წლიდან); კონფლიქტის ანალიზის და მართვის ინ-ტის დირექტორი (2008 წლიდან); „საქართველოს ქალთა პარტია თანასწორობის და სამართლიანობისათვის" თავ-რე (2008 წლიდან). არის ფსიქოლოგიის მეცნ. კანდიდატი (1975), დოქტორი (1993). არის ავტორი: 2 მონოგრაფიისა — „სოციალური ჯგუფისადმი განწყობა და კონფორმულობა" (1980), „სოციალური გავლენების ფსიქოლოგია" (2007) და სახელმძღვანელოსი — „კონ-

ფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა"(2005). იყო საქველმოქმედო ასოც-ის — „მეგზური -პრომ-ეთე" ვიცე-პრეზიდენტი (1990-98); ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პრესსამსახურის უფროსი (1992-98). მიღებული აქვს საქ. მეცნ. აკად-ის სამართლის ინ-ტის წლის საუკეთესო თანამშრომლის პრემია (1978). არის აშშ სამეცნ. და სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ასოც-ისა (1998 წლიდან) და საერთაშ. ცენტრის — „განათლება მშვიდობისათვის" (2002 წლიდან) პრეზიდენტი; ფსიქოლოგიურ მეცნ. და გამოყ-ენებითი ფსიქოლოგიის მსოფლიო ასოც-ების წევრი; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკუ-რი საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტის ქალები" (2005), „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ.1, თბილისი. ტელ/ფაქსი: 25 20 95.
ელ-ფოსტა: gugulimagradze@yahoo.com
**შემეცნებითი ინტერესების მრავალფეროვნება, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცე-სებში აქტიური მონაწილეობის სურვილი, ცოდნისმოყვარეობა და ცნობისმოყვარეობა, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ცხოვრების ყოველ მონაკვეთში ასაკისადმი ადექვატურ საქმიანობაში წარ-მატების მიღწევის მოტივაცია. საჭირო შემთხვევაში დიდი ძალისხმევის განხორციელების უნარი, გარ-შემო მყოფი ადამიანების ბედით დაინტერესება. უსამართლოდ ვინმეს დაჩაგვრისადმი შეურიგებლობა, სამართლიანობის პრინციპებით ცხოვრება. ვცდილობ უპირველესად ჩემს თავთან ვიყო მართალი.**

## ოთარ მაღრაძე

მუსიკოსი. პიანისტი.



დაიბადა თბილისში 1954 წ. 4 მარტს. მშობლები: მედეა გიგინეიშვილი, კონსტანტინე მაღრაძე; მეუღლე — მარინა რთველაძე (1962); შვილი — ირაკლი (1989). დაამთავრა თსკ საფორტეპიანო ფაკ-ტი (1977). იყო ანსამბლების — „ბერმუხა" (1972), „ოროველა" (1978-79) და ჯაზ-კვარტეტის (1980-89) წევრი; სახელმწ. ფილარმონიისა (1978-89) და საქ. ტელერადიოკომიტეტის (1989-2004) თანამშრომელი; თბილისის დიქსი-ლენდის (2002), ჯაზ-კვინტეტ „ნოსტალგიის" (2003) წევრი. 2000 წლიდან არის თბილისის მუნიციპალიტე-ტის საესტრადო ორკესტრის წევრი. ჩაწერილი აქვს დისკები: „წვიმის შემდეგ" (1997) და „თათრის მეიდა-ნი" (2000). არის დონეცკის (1982, 1983), თბილისის (1978, 1986, 1999), სანკტ-პეტერბურგის (1985), კრივოი როგის (1986, 1987), მოსკოვის, ტალინის (1987), ზაარბრუკენის (1988, 1989), სოხუმის, ვარშავის (1989), ნანტის, ჰანოვერის, თბილისის IV (2000) და VI (2002) საერთაშ. და ერევნის (2005), ვილნიუსის (2007), რი-გის (2008) ჯაზ-ფესტივალების მონაწილე. მიღებული აქვს მონაწილეობა კონცერტებში ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან: ჩაკა ჰანი, როლანდ ჰანა, ჟან-ლუკ პონტი, უილიამ ლეკომტი და სხვ. არის თბილისის (1978) და ზაარბრიუკენის (1989) ჯაზ-ფესტივალების ლაურეატი; ფესტივალის — „ეროვნული მადლი 2003" ოქროს მედლის მფლობელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 37ა, თბილისი 0108. ტელ: 98 37 67. (ბინის) მელიქიშვილის გამზ. 45, თბილისი. ტელ: 22 16 20; 899 15 49 87.
**წარსულის პატივისცემა.**

## გოჩა მაცაბერიძე

სს ბანკის „რესპუბლიკა" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კონსულტანტი).



დაიბადა ასურეთში 1955 წ. 5 ივნისს. მშობლები: ლეილა წულუკიძე, ნოდარ მაცაბერიძე; მეუღლე — ლია ჭელიძე (1955); შვილი — დავითი (1978). დაამთავრა მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტრონული ინ-ტის ავტომატური ელექტრო კავშირის ფაკ-ტი (1982). იყო კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე

(1988-91); სს ბანკის „რესპუბლიკა" გენ. დირექტორი (1991-92), სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (1991-2004). 2004 წლიდან არის სს ბანკის „რესპუბლიკა" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რის მოადგილე (კონსულტანტი). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გრ. აბაშიძის 2, თბილისი. ტელ: 92 55 55. (ბინის) ამბროლაურის 166, IIკ. ბ. 38, თბილისი. ტელ: 38 04 02.

## მიხეილ მაჭავარიანი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ნიადაგმცოდნე-აგროქიმიკოსი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 9 იანვარს. მშობლები: მარინე მდინარაძე, ვარდენ მაჭავარიანი; მეუღლე — სოფიო ჟღენტი (1976); შვილები: ვარდენი (2001), ბარბარე (2006). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1991). იყო მ.საბაშვილის სახ. ნიადაგმცოდნეობის კათედრის ლაბორანტი (1991-95); საქ. პარლამენტის წევრი (1995-99); საქ. საგადასახადო-შემოსავლების მინისტრი (1999-2001); საქ. პარლამენტის თავ-რის კაბინეტის უფროსი (2001-02); სამგორის რ-ნის მაჟორიტარი დეპუტატი (2002-03); საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილე (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის თავ-რის პირველი მოადგილე; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი. არის 20-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი; გამოქვეყნებული აქვს წიგნი „თრიალეთის ქედის ყომრალი ნიადაგები". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბუნება, მუსიკა, ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 25; 99 62 00. (ბინის) რუსთაველის გამზ. 20. თბილისი 0108. ტელ: 99 91 91; ელ-ფოსტა: mmachav@parliament.ge

## მუხრან მაჭავარიანი



პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა საჩხერის რ-ნის სოფ. არგვეთში 1929 წ. 12 აპრილს. მშობლები: თამარ იაკობაშვილი, ივანე მაჭავარიანი; მეუღლე — ლამარა ბოკერია (1928); შვილები: ნანა (1956), ივანე (1965). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1952). იყო ჟურ. „ცისკრის" პოეზიის განყ-ბის გამგე (1957-63); ჟურ. „პიონერის" მთ. რედაქტორი (1963-64); კინოსტუდიის სასცენარო კოლეგიის წევრი (1964-67); ჟურ. „დილას" მთ. რედაქტორი (1967-82); ალმანახ „საუნჯის" მთ. რედაქტორი (1982-88); საქ. მწერალთა კავშირის თავ-რე (1988-92). არის ავტორი პოეტური კრებულებისა: „ლექსები" (1955), „გზადაგზა" (1965), „იარონ" (1970), „გიკვირს?! — ნუ გიკვირს!" (1995) და სხვ. თარგმნილი აქვს პაბლო ნერუდას ლექსები (გ.ძნელაძესთან ერთად, 1957), „კალევალა" (გ.ძნელაძესთან და შ.ჩანტლაძესთან ერთად, 1967), თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია (1989, 1974). არის ახალგაზრდობის მე-7 მსოფლიო ფესტივალის (1958) და რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1966), წითელი დროშის (1979), კირილესა და მეთოდეს სახ. (1989) ორდენებით. იყო საქ. მწერალთა კავშირის წევრი (1954-92). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა, მებურნეობა (მებურნე — წვრიმალთ მთლელი (საბა).
მისამართი: (ბინის) ირ.აბაშიძის 48. თბილისი 0179. ტელ: 23 41 18.

**სხვისი, - რას ფიქრობს, - არ ვიცი! -**
**მე კი - იმ ქართველს რა ვუთხრა! -**
**ვისაც სამშობლო თავისი**
**სუნთქვას არ უჯობს საკუთარს!**

## მარიამ (მაკა) მახარაძე



ბავშვთა საბალეტო სტუდიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ბალერინა. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1950 წ. 19 მაისს. მშობლები: მედეა ჩახავა, კოტე მახარაძე; მეუღლე — თეიმურაზ მურვანიძე (1939). შვილები: ნატა (1970), ანუკა (1973). დაამთავრა თბილისის სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (ვ.ჭაბუკიანისა და ვ.ნიგნაძის კლასი,1968). იყო ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1968-88); თბილისის ვ.ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხ. ხელმძღვანელის მოადგილე (1994-96). 1997 წლიდან არის ბავშვთა საბალეტო სტუდიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მონაწილეობდა ბალეტებში: „რუსლან და ლიუდმილა", „ჟიზელი", „დონ კიხოტი", „გედის ტბა", „ბაიადერა", „მავრის პავანა", „ჰამლეტი" და სხვ. ოპერაში: „და არს მუსიკა". მთავარ პარტიას ცეკვავდა ბალეტში „კარმენ სუიტა". მონაწილეობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სპექტაკლებში: „ფილოსოფიის დოქტორი", „ბედი მდევარი"; მხ. ფილმებში: „საბუდარელი ჭაბუკი" (1957); „იყო შაშვი მგალობელი" (1970); „ქალაქი ანარა" (1975), „მოცურავე" (1978), „მაცივარში ვიღაც იჯდა" (1983), „ჯადოსნური ღამე" (1984), „აქედანა და შენამდე" (1984), „ექსპრეს-ინფორმაცია" (1991). არის რესპუბლიკის დამს. არტისტი; საქ. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ყვავილები, მუსიკა (კლასიკური).

მისამართი: (ბინის) ვ.ბერიძის ქ. 11/4, თბილისი. ტელ: 99 55 08.

**ის დიდი სიყვარული, რომელიც ჩემმა მშობლებმა დაიმსახურეს, ის სიკეთე, რომელიც მათ დათესეს, მე დღესაც გზას მინათებს. ჩემი მიზანი იყო და არის არ შევარცხვინო მათი სახელი. იმედი მაქვს, ჩემი შვილები და შვილიშვილებიც ასე იცხოვრებენ.**

## მიხეილ მახარაძე

საქართველოს კარატეს ეროვნული კავშირის პრეზიდენტი. არქიტექტორი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 13 მაისს. მშობლები: ზინაიდა და გივი მახარაძეები; მეუღლე — ლელა კერესელიძე (1965); შვილი — თამარი (1991). დაამთავრა თსსა (1985). იყო თსსა-ს საპროექტო ბიუროს (1987-90), საქქალაქმშენსახპროექტის (1990-2005) არქიტექტორი. 2005 წლიდან არის შპს „ფენიქსის" არქიტექტორი. არის საქართველოს კარატეს ეროვნ. კავშირის პრეზიდენტი; 2004 წლიდან — ამიერკავკასიის ქვეყნების ვადო-რიუ კარატე-დოს მთ. ინსტრუქტორი, შავი ქამრის (მე-5 დანი) მფლობელი WKF და ვადო-რიუ კარატეში. არის საქ. ჩემპიონი (1982, 1995, 1996); ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი (ვადო-რიუ კარატე, 1994). არის კონკურსების მონაწილე და ლაურეატი არქიტექტურის სფეროში; 2008 წლის 2 კონკურსის გამარჯვებული — საქართველო (ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის მემორიალი) და ყაზახეთი (ჩინგიზ აიტმატოვის მემორიალი).

ჰობი: ცურვა. ტენისი. მუსიკა. ფერწერა.

მისამართი: (სამსახურის) უნივერსიტეტის 6, თბილისი. ტელ: 39 34 27. (ბინის) ალ.ყაზბეგის გამზ. 17, ბ.30, თბილისი. ტელ: 37 22 87; ელ-ფოსტა: gnku@yahoo.com

**ცხოვრება ხშირად რთულ გამოცდებს გვთავაზობს, მაგრამ ყველაფერი უნდა აიტანო, მოითმინო და რაც მთავარია სიყვარულით უპასუხო და იცხოვრო. ყოველთვის უნდა ეცადო სიკეთე დათესო და არც კი უნდა დაფიქრდე, რადგან ცუდიც და კარგიც წინ დაგხვდება.**

## მიხეილ მახარაძე



აჭარის ა/რ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ფილოსოფოსი. პროფესორი.

დაიბადა ხულოს რ-ნში 1946 წ. 13 ნოემბერს. მშობლები: შადიე შაინიძე, ქაზიმ მახარაძე; მეუღლე — ციალა დავითაძე (1948); შვილები: ბექა (1975), თამარი (1977), ლევანი (1980), ილია (1985). დაამთავრა თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1970). იყო საქ. მეცნიერებათა აკად-ის ინ-ტის (ამჟამად — ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინ-ტი) უფრ. ლაბორანტი, უმც., უფრ., წამყვ., მთავარი მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის ხელმძღვ. (1970-2006). 2007 წლიდან არის ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. 2004 წლიდან — აჭარის ა/რ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავ-რე, 2008 წელს არჩეულია მეორე ვადით. არის ავტორი 100-მდე სამეცნ. ნაშრომის, 500-ზე მეტი წერილის, პუბლიცისტური კრებულების და თარგმანებისა, მათ შორის: „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები" (1983), „წერილები ქართულ ფილოსოფიაზე" (1988), „Философское содержание ареопагитики" (1991), „ძიებანი ქართული ფილოსოფიის ისტორიაში" (1999), „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები" (2009). არის ღირსების (2004), ვახტანგ გორგასლის I ხარისხის (2007) ორდენების კავალერი; დაჯილდოებულია საქ. სახელმწ. პრემიით ლიტერატურის დარგში (2004) და შ. ნუცუბიძის პრემიით (2005). არის საქ. მწერალთა კავშირის წევრი (1993); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ქართველი ფილოსოფოსები"(ბათუმი, 2005), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კითხვა. სპორტი.

მისამართი: (სამსახურის) კ.გამსახურდიას 8. ბათუმი. ტელ: 7 00 01. (ბინის) ნუცუბიძის პლატო II მ/რ, II კვ., კ. 7. თბილისი. ტელ: 21 52 04.

**ემსახურე საკუთარ ხალხს, ქვეყანას, მაგრამ ამით არ დააზარალო სხვები. შენი მიზნის მისაღწევად სხვას ნუ გამოიყენებ საშუალებად. დაისახე ისეთი მიზანი, რომლის შესრულება შენს უნარებს შეესაბამება.**

## ალექსი (ალეკო) მახარობლიშვილი



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 15 აპრილს. მშობლები: ლეილა შაველაძე, ზაქარია მახარობლიშვილი; მეუღლე — თამარ ადამია (1961); შვილები: მახარე (1978), კახაბერი (1980), ეკატერინე (1985). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1976). მუშაობდა კინომსახიობთა (1976-77), რუსთაველის დრამატულ (1977-78), თბილისის მოზარდ მაყურებელთა (1978-96) თეატრებში. არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი 1999 წლიდან; თსთი-ს პედაგოგი — 1998 წლიდან. არის სახელმწიფო (1997) და უ. ჩხეიძის (2001) პრემიების ლაურეატი; რუსთავის თეატრალური ფესტივალის გრან-პრის მფლობელი (2000); თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1978 წლიდან).

ჰობი: თეატრი. კინო.

მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 40 01. (ბინის) ნუცუბიძის II პლატო, IV კვ. II კორპუსი, ბ. 70, თბილისი. ტელ: 21 77 09.

**საქმის დიდი სიყვარული, შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, წესიერება...**

## დავით მახნიაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი ვეტერინარი. სამართალმცოდნე.

დაიბადა გარდაბანში 1973 წ. 8 მარტს. მშობლები: გულვარდი და შენგელი მახნიაშვილები. მეუღლე — ლალი ჭინჭარაშვილი (1978); შვილები: გვანცა (1995), მარიამი (1997), გიორგი (2003). დაამთავრა საქ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნ. ინ-ტის ვეტერინარული მედიცინის (1998) და თსუ იურიდიული (2005) ფაკ-ტები. იყო თელეთის საკრებულოს გამგებელი (1999-2006); გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარების" წევრი; ევროპასთან ინტეგრაციისა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტების წევრი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 63; (ბინის) გარდაბნის რ-ნი სოფ. წალასყური.

**ყველა კეთილი საქმის დროულად და წარმატებით შესრულება.**

## გრიგოლ მგალობლიშვილი



ნატოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი. დიპლომატი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: მანანა ფხაკაძე, ზურაბ მგალობლიშვილი; მეუღლე — თამარ მახალდიანი (1977); შვილები: ანასტასია (1997), ლუკა (2001). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1995), სტამბოლის უნ-ტის უცხო ენათა ფაკ-ტი (1993); NATO-ს თავდაცვის კოლეჯი (რომი, 1998); იყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტიპენდიანტი (2002). დაამთავრა ოქსფორდის უნ-ტის დიპლომატიურ სწავლებათა ფაკ-ტი (2003); გაიარა ჰარვარდის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამის კურსი (2008). იყო თურქეთში სახელმწ. უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლობის თარჯიმანი (1995); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დას. ევროპის სამმართველოს ატაშე, მეორე მდივანი, პირველი მდივანი (1996-98); თურქეთში საქ. საელჩოს პირველი მდივანი (1998-2000) და მრჩეველი (2000-02); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დეპ-ტის დირექტორის მოადგილე (2003-04), ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპ-ტის დირექტორი (2004); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში (2004-08); საქართველოს პრემიერ-მინისტრი (2008-09). 2009 წლიდან არის ნატოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი. მონაწილეობდა ჰარვარდის უნ-ტის ეროვნ. და საერთაშ. უსაფრთხოების პროგრამაში. 2006 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდება. არის ქ. ყარაის საპატიო მოქალაქე (2004); ოქსფორდის უნ-ტის საერთაშ. ურთიერთობების კლუბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მოგზაურობა. თხილამურები.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 21/14, თბილისი. ტელ: 22 34 14.

ელ-ფოსტა: geomission.nato@mfa.gov.ge

**FESTINA LENTE — იჩქარე ნელა.**

## ლევან (ჰანჩო) მგალობლიშვილი



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 8 მაისს. მშობლები: ნანა ბენდიაშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი; შვილები: ნოდარი (ბაჩო, 1989), გიორგი (1995). დაამთავრა სპი მეტალურგიული ფაკ-ტი (1990). მუშაობდა არქიტექტურის დეპ-ტის დიზაინის სამმართველოში (1999). გამოცემული აქვს სიმღერების ალბომები: „ხვალ" (1998), „რომ მქონდეს ფრთები", „ჰანჩური" (2005), „სიყვარული გვაკლია" (2009). გადაღებული აქვს მუსიკალური კლიპები: „უბერავს ქარი", „ცაში ახედე", „ახალი წელი მოვიდა", „ადექი, ნახვედი", „მზე", „მომხვიე ხელი", „ფერები, ფერები". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
ტელ: 38 48 36
**„სიყვარული, სიყვარული და სიყვარული". სიყვარულისთვის ვცხოვრობ. ღმერთმა ქნას, რომ სიყვარულით მოვკვდე. სიყვარულს ვუმღერი და სიყვარული მამღერებს. ჩემი აზრით, ხელოვნება არის სიყვარულის გადმოცემის საშუალება. „მაგრამ სიყვარული ვერ ვიპოვე".**

## ნოდარ მგალობლიშვილი



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა სოფელ გომბორში 1931 წ. 15 ივლისს. მშობლები: მარგალიტა თევდორაძე, ალექსანდრე მგალობლიშვილი; მეუღლე — ნინო ჩხიკვიშვილი (1965); შვილი — ალექსანდრე (1957). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1954). იყო სანკულტურის (1959-63), მარჯანიშვილის (1954-59; 1963-67) და რუსთაველის (1967-75) თეატრების მსახიობი; რუსთაველის თეატრის დირექტორი (1970-72). 1975 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ფსკერზე", „დედა", „ასი წლის შემდეგ", „საბრალდებო დასკვნა", „ჩრდილი", „ლამანჩელი", „მოჩვენებანი", „ჰაკი აძბა", „ოტელო", „ჯაყოს ხიზნები", „პრემიერა", „სეილემის პროცესი", „პილატე", „შთამომავლობა", „ბედი მდევარი", „ანა კარენინა", „მარადი ქმარი" და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „სიყვარულის ფორმულა" (მოსფილმი), „ზღვის შვილები", „15 წლის კაპიტანი", „ივანკო და მეფე" (უკრაინა), „ზღვის მაშვრალნი" (საფრანგეთი-საქართველო), „ლამაზმანები", „გრაფი კალიოსტრო", „სპეცნაზი", „ბარონის სახელით" და მრავალი სხვ. მონაწილეობდა სატელევიზიო სპექტაკლში „ჯაყოს ხიზნები". არის საქ. სახალხო არტისტი (1978); კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (2009); საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ყველაფერი, რაც ჩემს პროფესიონალიზმს წაადგება.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი. ტელ: 95 24 25. (ბინის) ც.დადიანის 34, კორპ.13. თბილისი. ტელ: 69 29 81
**დავკმაყოფილდე იმით, რაც მაქვს, მთავარია იყო მზად, როცა კი დადგება დრო. ამიტომ ყოველწუთიერი შრომაა საჭირო. ვიყო, ყოველ შემთხვევაში ვესწრაფვი, შემნდობი, პატივების უნარი მქონდეს. 10 მცნების დამცველი. თუ არა მაქვს, ე.ი. ის ჩემი არაა. მოთმინება და მოთმინება. მაშინ მოგება შეიძლება.**

## გიორგი (გიო) მგელაძე

კინორეჟისორი.



დაიბადა თბილისში 1968 წ. 30 დეკემბერს. მშობლები: ლეილა ინგოროყვა, გუგული მგელაძე; მეუღლე – თეონა მამფორია (1970); შვილი – ლუკა (1990). დაამთავრა თსთი კინოსაოპერატორო ფაკ-ტი (1993). გადაღებული აქვს ფილმები სს „ქართულ ფილმში" (1993-2006), ეროვნ. კინოცენტრში; კინოკომპანიებში: „გიო მგელაძე 2001", „კამარა", „რემკა", „სანგუკო". არის რეჟისორი ფილმებისა: „არა, მეგობარო" (1993); „ატუალაბა — (Hotel California)" (1996); „შვიდი დღე ტიბეტში" (1999); „ქეთევან დედოფალი" (2001); „დაიკიდე, მოგეშვება" (2002); „მინის მუშები სარებში" (2002); „ნანასი" (2005); „ჩემი თვითმფრინავი" (2005-06); სცენარის ავტორი კინონოველისა „თბილისური ლავ სთორი" (2009)); პიესის ავტორი და რეჟისორი სპექტაკლისა „გაილიმე, ჩიტი გამოფრინდება" (რუსთაველის თეატრი, 2009). მიღებული აქვს: პრიზი „ოქროს არწივი" (1993;1997); კიევის საერთაშ. კ/ფ „Молодист"-ის პრიზი (1993); ობერჰაუზენის საერთაშ. კ/ფ-ის გრან-პრი (1993); ვილა-დე-კონდეს საერთაშ. კ/ფ-ის ჟიურის სპეც. პრიზი, (1993); „ნატო", ქართული კინოაკადემიის პრიზი (1997); რივერანის საერთაშ. კ/ფ-ის გრან-პრი (1998); გამართული აქვს ფოტოექსპოზიცია „TIBET 2054" (1999). გამოცემული აქვს ნოველები და პიესა „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება". შესრულებული აქვს მთ. როლები ფილმებში: „ძახილი" (რეჟ. გ.მგელაძე 1979), „კვირა დღე" (რეჟ. გ.რევიშვილი 1989), „ძვირფასო" (რეჟ. ო.შამათავა, 1999). მიღებული აქვს მშვიდობის ეროვნ. ფონდის (აშშ) და ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინ-ტის (AMTD) დიპლომი ტიბეტის შესნაველაში შეტანილი წვლილისათვის (2000); დასახელებულია კინოს 100 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის მიერ გამოცემულ წიგნში „10 საუკეთესო კინომოელენა". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: წერა.

ტელ: 22 53 35.

**„გადაფასებული ფასეულობები, გადასაფასებელია".**

## ზაზა მეიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.
იურისტი.



დაიბადა თელავში 1972 წ. 5 დეკემბერს. მშობლები: ნანა და ჯემალ მეიშვილები; მეუღლე — ნინო მირზიკაშვილი (1978). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1995). იყო გენ. პროკურორის საგამოძიებო ნაწილის სპეცჯგუფის უფრ. პროკურორის თანაშემწე (1996-97); საქ. იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწე, სასამართლო პერსონალის სექტორის უფროსი (1997-2001); ეროვნ. უშიშროების საბჭოს რეფერენტი (2001-02); საქ. იუსტიციის სამინისტროს დეპ-ტის უფროსი (2002-03); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, სასამართლოს თავ-რის მოადგილე (2003-05); თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავ-რე (2005-06). 2006 წლიდან არის საქ. უზენაესი სასამართლოს თავ-რის მოადგილე. მიღებული აქვს მადლობა საქართველოში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ორგანიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32, თბილისი. ტელ: 98 20 97.

## ირაკლი მელაშვილი



პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის" პოლიტიკური საბჭოს წევრი. ისტორიკოსი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 3 სექტემბერს. მშობლები: დიანა მდინარაძე, თენგიზ მელაშვილი; მეუღლე — მაგდა პოპიაშვილი (1975); შვილი — ნია (1998). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1990); თბილისის იურიდიული ინ-ტი (1999). იყო თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრის თანამშრომელი (1990-2000); საქ. უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95); საქ. პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს აღმას. დირექტორი (1997-99); საქ. ატლანტიკური თანამშრომლობის ასოც-ის პრეზიდენტი (1996-97); შპს „პირველი ლობის" ლობისტი (1999-2003); „ქარტია 91"-ის (1991-93), გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის (1993-95) და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის (1996-2005) წევრი. 2006 წლიდან არის პ/გ „ეროვნული ფორუმის" პოლიტიკური საბჭოს წევრი.
ჰობი: კითხვა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 30, ბ. 18, თბილისი. (ბინის) ორთაჭალის 77, ბ. 10. თბილისი.
ელ-ფოსტა: imelashvili@yahoo.com
**თავისუფლება, ღირსება და ერთგულება.**

## გიორგი მელაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე. ქიმიკოსი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 1 იანვარს. მშობლები: ციცინო გურგენიძე, სერგო მელაძე; მეუღლე — მაკა ლაჩაშვილი (1972); შვილები: სერგი (1992), ნიკოლოზი (1999), ანა (2004). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1994); დამოუკიდებელი უნ-ტის „აჭარა" იურიდიული ფაკ-ტი. იყო სახელმწ. ანტიმონოპოლიური სამსახურის მთ. სპეციალისტი (1997), განყ-ბის უფროსი (1998), სამმართველოს უფროსის მოადგილე (1999) და უფროსი (2000); ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე (2002-04); სახელმწ. შესყიდვების სააგენტოს თავ-რე (2004-05); თბილისის ვიცე-პრემიერი (2005); პრემიერის პირველი მოადგილე (2005-06); თბილისის მერის მოადგილე (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავ-რე; საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. არის ღირსების ორდენის კავალერი; საქ. კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (2006 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კალათბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 17 13. (ბინის) ლერმონტოვის 11/11, თბილისი.
**პრინციპულობა, სამართლიანობა, საქმისადმი ერთგულება. მიზანი — ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ღირსეული წვლილის შეტანა.**

## ნიკო მელიქაძე



სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანადირექტორი.
მართვის ორგანიზაციისა და პოლიტიკის სპეციალისტი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 9 თებერვალს. მშობლები: დაგმარა წვერავა, ლეონიდე მელიქაძე; მეუღლე — მანანა ჭირაქაძე (1939); შვილები: არჩილი (1965), ქეთევანი (1968). დაამთავრა სპი გამოთვლითი ტექნიკის

და ავტომატიკის ფაკ-ტი (1961). იყო საქ. მეცნ. აკადემიის კიბერნეტიკის ინ-ტის თანამშრომელი (1961-91). 1990 წლიდან მუშაობს მართვის სტრატეგიის სფეროში. არის სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანადირექტორი (1991 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კლასიფიკაციის მათემატიკური თეორიის საკითხები" (1971). არის 24 სამეცნ. ნაშრომის ავტორი კიბერნეტიკის თეორიის საკითხებში (1963-89).
ჰობი: ევროპული ღვინო.
მისამართი: (სამსახურის) ვ.ბერიძის 6, თბილისი 0118. ტელ/ფაქსი: 99 94 93. (ბინის) არაყიშვილის 8ა, თბილისი 0179. ტელ: (+995 32) 22 01 85. ელ-ფოსტა: nikomelikadze@src.ge
**საჯარო სფეროში მხოლოდ პროფესიულად კომპეტენტური საქმიანობაა დასაშვები.**

## დამანა მელიქიშვილი



გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ენათმეცნიერი. ფილოლოგი. პროფესორი.

დაიბადა მცხეთაში 1939 წ. 17 ივნისს. მშობლები: ნინო (გუგული) მჭედლიძე, ნიკოლოზ მელიქიშვილი; მეუღლე — ბესიკ ხარანაული (1939); შვილები: ანა (1962), ლევანი (1963); შვილიშვილები: მარიამი, ქიტო, ბესიკი, გიორგი, ელენე, ანა-ეფემია, მართა. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962). იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის მასწავლებელი (1966-67), უფრ. მასწავლებელი (1968-69), დოცენტი (1969-89); საქ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი (1986-93). 1989 წლიდან არის პროფესორი; 2006 წლიდან — თსუ ჰუმანიტარული ფაკ-ტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი; თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი (1988 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი" (1967), სადოქტორო — „გელათის სალიტერატურო სკოლა და ქართული ფილოსოფიური ენის (ტერმინოლოგიის) ჩამოყალიბების გზები" (1988). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მათ შორის: „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი" (1975), „ახალმონამენი. მღვდელი სიმონ მჭედლიძე" (1995), „ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან" (1999), „იოანე პეტრიწი. განმარტება პროკლე დიადოხოსის ღვთისმეტყველების საფუძვლებისა" (1999), „ქართული ზმნის უღლების სისტემა" (2001). !!!! (წიგნის სათაური) დაჯილდოებულია წმ. დავით აღმაშენებლის სახ. პრემიით (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური, საოპერო მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის 1, თბილისი. ტელ: 25 31 78. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 29ა, ბ. 31, თბილისი. ტელ: 39 69 93.
**სიყვარული, მოვალეობის პასუხისმგებლობის გრძნობა, კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი.**

## ირინე მელიქიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ფილოლოგი, ენათმეცნიერი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 29 მაისსს. მშობლები: ელენე დოჩანაშვილი, გიორგი მელიქიშვილი; მეუღლე — ზურაბ სარჯველაძე (1939); შვილები: ალექსანდრე (1964), სოფიო (1966). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი, კავკასიურ ენათა განყ-ბა (1965). იყო საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინ-ტის ზოგადი ენათმეცნიერების განყ-ბის უფრ. ლაბორანტი (1965-68); უმც., უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1968-86); გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყ-ბის წამყვ. მეცნ. თანამშრომელი (1986-2006); ამავე ინტ-ის უფრ. მეცნ. თანამშრომელია 2006 წლიდან. იყო ს.ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნ-ტის ქართველურ ენათა კვლევის ლაბორატორიის მეცნ. თანამშრომელი (1995-2005); თსუ ჰუმანიტარული ფაკ-ტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინ-ტის პროფესორი (2000 წლიდან), კათედრის გამგის მ/შ (2005-06); ამავე ინ-

ტის სრული პროფესორია 2006 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში" (1972), სადოქტორო — „საერთო ქართველური ძირი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით" (1997). არის ავტორი 65 სტატიისა და 2 მონოგრაფიის: „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში", (თბილისი, 1976); „ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი" (თბილისი, 2009). არის საქ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009 წლიდან); ტიპოლოგთა საერთაშ. ასოც-ის წევრი.
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. მუსიკა. მხატვრობა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1, თბილისი 0128. ტელ: 22 74 09. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V-IV-202, თბილისი 0186. ტელ: 32 82 81; ელ-ფოსტა: imelikishvili@yahoo.com
**სიყვარული საქმისადმი, რომელსაც აკეთებ; ზოგად კანონზომიერებათა ძიება; ყოველი ამოცანის ფარგლებში მოვლენათა არსის წვდომის მისწრაფება.**

## ლია მელიქიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ეთნოლოგი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 17 მარტს. მშობლები: ბარბარე კევლიშვილი, შალვა მელიქიშვილი; მეუღლე — ჯუანშერ ამირანაშვილი (1938); შვილები: ხათუნა (1963), გიორგი (1971). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1965). იყო საქ. მეცნ. აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი, მთ. სპეციალისტი, კავკასიის ეთნოლოგიის განყ-ბის გამგე, ეთნოკონფლიქტების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი (1967-2006). 2003 წლიდან არის კავკასიის ხალხთა საერთაშ. ს/კ ინ-ტის სამეცნ. ხელმძღვანელი, სამეცნ. საბჭოს თავ-რე და ერთ-ერთი დამფუძნებელი; ისტორიის მეცნ. დოქტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქორწინო წეს-ჩვეულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (1984), სადოქტორო — „ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში (კონფლიქტი და სოციალური განწყობა ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, 2001)". არის ავტორი ნაშრომებისა: „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში" (1998), „საველე მუშაობის მეთოდი კონფლიქტურ საზოგადოებაში" (2000), „ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია" (2000), „პანკისის კრიზისი" (2002), „კონფლიქტის ანთროპოლოგია" (2006). გამართული აქვს სამი თემატური ფოტოგამოფენა: „გახსოვდეთ ესეც საქართველოა (ჯავახეთი)" (1999)", „პანკისის ხეობა დღეს" (2000), „ქვემო ქართლი (წალკა, თეთრიწყარო) ისტორია და თანამედროვეობა" (2008). არის ავტორი დოკუმენტური ფილმისა „წალკა ათი წლის შემდეგ სულ სხვა იქნება?" (2008). არის „ღირსების ორდენი" კავალერი (2001); ევროპის სოციალური ანთროპოლოგიის ასოც-ის (EASA) წევრი (1990 წლიდან); ჟურ. "Today and Tomorrow"-ს ბორდის წევრი (2004 წლიდან); ფონდ „ქალთა საკრებულო თბილისელი"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი.
ჰობი: ფოტოხელოვნება. მოგზაურობა. სპორტი (თხილამურები, ცურვა).
ელ-ფოსტა: lmelikishvili@hotmail.com, baxolia@caucasus.nc;
**სწავლა, შრომა, გულისხმიერება, პატიოსნება და ქველმოქმედება სიცოცხლის ბოლომდე.**

## მელქისედეკი (არკადი ხაჩიძე)



დედოფლისწყაროსა და პერეთის ეპისკოპოსი.

დაიბადა ხაშურში 1975 წ. 25 აპრილს. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1995), სწავლობდა გელათის სასულიერო აკადემიაში (1995-96), თბილისის სასულიერო აკადემიაში (1996-98), სწავლა განაგრძო ათენის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკ-ტზე, დაამთავრა (2003) და ჩაირიცხა ამავე უნ-ტის ასპირანტურაში. 2004 წელს აკურთხეს დიაკვნად, ეწოდა სახელი მელქისედეკი, აკურთხეს მღვდლად; ორივე

ხელდასხმა საბერძნეთში მოხდა; ალიკვეცა ბერად; აღყვანილ იქნა ილუმენის ხარისხში (2005). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ღვთისმეტყველებაში; ჩაირიცხა დოქტორანტურაში (ათენი, 2007); მოღვაწეობდა ესპანეთში არნედოს წმ. გიორგის სახ. ქართულ ტაძარში, გადმოიყვანეს თბილისში ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (2008), ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა დედოფლისწყაროსა და პერეთის ეპისკოპოსად (2009).

## ნიკოლოზ მემანიშვილი

საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი. თბილისის ვ.აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკისა და დრამის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი. დირიჟორი. კომპოზიტორი.



დაიბადა თბილისში 1979 წ. 15 მაისს. მშობლები: ლამარა ისაკაძე, შოთა მემანიშვილი. დაამთავრა თსკ საკომპოზიციო ფაკ-ტი (2005); ვენის სამუსიკო უნ-ტი. არის თბილისის ვ.აბაშიძის სახ. სახელმწ. მუსიკისა და დრამის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი (2004 წლიდან); საქ. ეროვნ. მუსიკალური ცენტრის სამხ. ხელმძღვ. და გენ. დირექტორი (2005 წლიდან). არის ავტორი ნაწარმოებებისა: „შელოცვა რადიოთი", „დაგვიანებული რექვიემი" (2000), „როტარი-კვარტეტი" (1999), „გზა შინისაკენ და უკან" (2000) „მითუმეტეს" (2000), საკონცერტო ციკლისა „მოდერნი და ავანგარდი მუსიკაში" და სხვა. თბილისის საოპერო სტუდიაში დადგმული აქვს ჯ.პერის ოპერა „ევრიდიკე" (1999); გამართული აქვს საავტორო კონცერტები ვენაში (1999), მოსკოვში (2000), მიუნხენსა და რეგენსბურგში (2001), ბათუმში (2002). არის საქ. პრეზიდენტის 6-გზის სტიპენდიანტი (1997-2001); სახელმწ. პრემიისა (2001) და ზ.ფვანიას სახ. წინანდლის პრემიის ლაურეატი; მისი ბიოგრაფია შესულია იუნესკოს ოქროს წიგნში „პლანეტის ახალი სახელები" (1995); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში (2006).
ჰობი: დისკების, წიგნების, დოკუმენტების, ფაილების და ფოლდერების, აგრეთვე ავეჯის და სხვა ნივთების მწყობრში მოყვანა.
მისამართი: (სამსახურის) დ. აღმაშენებლის 127, თბილისი, ტელ/ფაქსი: 91 55 05;
ელ-ფოსტა: office@musiccenter.ge
**მახსენდება ფრაზა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე": ყველა სიკეთე რაც არსებობს დედამიწაზე უკლებლივ უნდა ეკუთვნოდეს ყველას ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს. ეს არ არის ჩემი კრედო, მე არ მაქვს კრედო, მაქვს სურვილი რომ ყოველთვის შემეძლოს სიკეთის უანგაროდ გაცემა.**

## ირაკლი მენაღარიშვილი

სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 18 მაისს. მშობლები: ეკატერინე ჯორბენაძე, ათინოგენ მენაღარიშვილი; მეუღლე — მანანა მიქაბერიძე (1951); შვილები: ლევანი (1976), ალექსანდრე (1990). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). მუშაობდა სხვადასხვა კომკავშირულ თანამდებობაზე (1976-80). იყო თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსი (1980-82); ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1982-86); საქ. ჯანდაცვის მინისტრი (1986-91; 1992-93); სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორი (1991-92); საქ. პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1993-95); საქ. საგარეო საქმეთა მინისტრი (1995-2003). არის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორი და საქ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი (2003 წლიდან); საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თავ-რე, საგარეო ურთიერთობათა საბჭოს გამგეობის წევრი (2006 წლიდან); რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის საბჭოს წევრი (2009 წლიდან). აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდება. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში (2006).
მისამართი: (სამსახურის) ვ.ბერიძის 6, თბილისი. ტელ: 98 79 62. (ბინის) ი.ქუთათელაძის 3, თბილისი.
**სწრაფვა თავისუფლებისაკენ; ერთგულება საქმისა, რომელსაც ემსახურები; რწმენა იმისა, რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს.**

## მერაბ მერაბიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. მოქანდაკე. საქართველოს სახალხო მხატვარი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1931 წ. 6 ივლისს. მშობლები: სოფიო ნიკოლაიშვილი, კონსტანტინე მერაბიშვილი; მეუღლე — მანანა მუშკუდიანი (1938-81); შვილები: ნინო (1953), სოფიო (1978), მარიკა (1980). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1955), ასპირანტურა (1959). არის ხატვის კათედრის პედაგოგი (1961 წლიდან). იყო ხატვის კათედრის გამგე, პროფესორი (1992-2006). 2006 წლიდან არის სამხატვრო აკადემიის მრჩეველი. იყო სსრკ სამხ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1971-1989), 1989 წლიდან არის რუსეთის სამხ. აკად. აკადემიკოსი; 1996 წლიდან — საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი. ავტორია ნამუშევრებისა: გრიბოედოვის ძეგლი თბილისში (1961), ერეკლე II-ის ძეგლი თელავში (1972), დიმიტროვის ძეგლი მოსკოვში (კ.მერაბიშვილთან ერთად, 1973), შოთა რუსთაველის ძეგლი კეჩკემეტში (კ.მერაბიშვილთან ერთად, უნგრეთი), პეტრე ბაგრატიონის ძეგლი თბილისში (1984) და მოსკოვში (1999), ნ.ბოგოლიუბოვის ძეგლი დუბნაში (2000) და სხვა. არის მხატ. კავშირის წევრი; საქ. სახალხო მხატვარი (1980); თბილისის საპატიო მოქალაქე (2002); დაჯილდოებულია დიმიტროვის (1973), სსრკ (1961) და რუსეთის (2000) სამხატვრო აკადემიების ოქროს მედლებით. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1983); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ავტომობილი.
მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის 147, ბ. 20, თბილისი 0112. ტელ: 95 43 11; 22 80 70 (წყნეთი).
**შრომა და პატიოსნება.**

## ნატო მეტონიძე



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 2 ივლისს. მშობლები: ლარისა კალმახელიძე, ანზორ მეტონიძე; მეუღლე — დათო ოძელაშვილი (1961). დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1995). იყო გოგონათა ანსამბლ „მზიურის" წევრი (მე-3 თაობა); სპი-ის თეატრთან არსებული გოგონათა ტრიო „ნატალი"-სა და ჯაზ-კვარტეტის „3+1" წევრი; „არტ-იმედის" თანამშრომელი. გალობდა ქაშუეთის ეკლესიაში. არის მოსკოვის საერთაშ. მუსიკალური ფესტივალის „საფეხური პარნასისაკენ" — I პრემიის ლაურეატი (1994); ვიტებსკის საერთაშ. მუსიკალური ფესტივალის „სლავური ბაზარი"— ლაურეატი და III პრემიის მფლობელი (2001); „წინანდლის" პრემიის ლაურეატი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
**ღირებულებები, რომლითაც სარგებლობს ნამდვილი ქართული საზოგადოების წევრი. პროფესიის მიმართ სიყვარული.**

## როინ მეტრეველი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ისტორიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ახალციხეში 1939 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: ნინო ტატუნაშვილი-მეტრეველი, ვიქტორ მეტრეველი; მეუღლე — ლუიზა ნიკოლაიშვილი-მეტრეველი (1940); შვილები: ნინო (1963), ვიქტორი (1965). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1962). მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ მაღალ თანამდებობებზე

(1960-72); იყო თსუ დოცენტი (1965-76). არის პროფესორი 1976 წლიდან. იყო ქართული ენციკლოპედიის მთ. რედაქტორის მოადგილე (1972-85); თბილისის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის რექტორი (1986-88); მეცნ. აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1988-93); თსუ რექტორი (1991-2004); კათედრის გამგე (1997 წლიდან). 2008 წლიდან არის საქ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი რეფორმები" (1965), სადოქტორო — „შინაკლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში"(1974). არის 150-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა და 10 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში" (1973), „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში" (1979), „დავით IV აღმაშენებელი" (1988), „Der Byzantinisch-Bulgarische Krieg 1014-18 und Georgien" (Georgica 11, 1988), „მეფე თამარი" (1990), „ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში" (1999), „საქართველოს საგარეო პოლიტიკა XII ს-ში" (1997), „გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები" (2006), „კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში" (2007). არის საქ. სახელმწ. (1988) და ივ. ჯავახიშვილის (1996) პრემიების ლაურეატი, აფხაზეთის მეცნ. დამს. მოღვაწე (1996); დაჯილდოებულია ფრიტიოფნანსენის მედლით (2000); ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს ჯვრით (2001); საერთაშ. სარეიტინგო აკადემიის სპეციალური — წმ. გიორგის მედლით (2003). მიღებული აქვს საპატიო მასწავლებლის წოდება (1998). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2000); კალიფორნიის (აშშ) ხელოვნების, მეცნ. და განათლების საერთაშ. აკადემიისა (1996) და უმაღლესი სკოლის საერთაშ. აკადემიის (მოსკოვი, 2001) წევრი; საქ. ისტორიკოსთა ეროვნ. კომიტეტის პრეზიდენტი (1997 წლიდან); პირველი ქართული ეროვნ. ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი; მეცნ. აკადემიასთან არსებული საქ. ისტორიის წყაროების კომისიის თავ-რე; ქართული სახელმწ. და სახალხო დიპლომატიის ისტორიის ს/კ ცენტრის ხელმძღვანელი (1992 წლიდან); ჟურ. „The Caucasus Globalization" სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიურ ლექსიკონში „თბილისი" (2004); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი. ტელ: 99 87 03. (ბინის) გალის ქ. 1. თბილისი. ტელ: 25 18 29
**ვფიქრობ, ვარ მორალისტი; მაქსიმალისტი. ადამიანის უდიდეს ნაკლად მიმაჩნია უზრდელობა და უმადურობა. კრიტიკულ მომენტში ვარ მაქსიმალურად ორგანიზებული.**

## ლეილა მესხი



ჩოგბურთელი. „ლეილა მესხის" ჩოგბურთის აკადემიისა და ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 5 იანვარს. მშობლები: გალინა და გიორგი მესხები; მეუღლე — პავლე ნადიბაიძე (1963); შვილი — ლიზა (1996). დაამთავრა თბილისის სახელმწ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი ფრანგული ენის სპეციალობით (1990). არის სსრკ მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშ. ტურნირების პრიზიორი; ხუთგზის გამარჯვებული პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა შორის; ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი წყვილთა თანრიგში ნატალია ზვერევასთან ერთად (1992). დააარსა თბილისისა და ბათუმის ღია პირველობები ჩოგბურთში პროფესიონალ ქალთა შორის (1997). არის სეოკის ალმასკომის წევრი; საქ. ჩოგბურთის ფედ-ის პრეზიდენტი (1999 წლიდან); საქ. სპორტის დამს. ოსტატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998). 2000 წელს დასახელდა XX ს. ქართველ სპორტსმენ ქალთა ათეულში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. ლიტერატურა. ქარგვა.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 29. თბილისი 0102. ტელ: 95 38 00. ფაქსი: 95 37 04. (ბინის) სალიას 9. თბილისი. ტელ: 95 53 26.
**ბავშვობიდან ვოცნებობდი გავმხდარიყავი პროფესიონალი ჩოგბურთელი. ამიტომ თავდაუზოგავად ვშრომობდი და ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, რადგან ვიცოდი, რომ დიდი შრომის გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. კარიერის დამთავრებისთანავე ჩემი ოცნება იყო შემექმნა ჩოგბურთის სკოლა, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება მომეხმარებინა ქართული ჩოგბურთის მომავლისათვის.**

## ოთარ მეღვინეთუხუცესი



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 16 იანვარს. მშობლები: ელენე და ვახტანგ მეღვინეთუხუცესები; მეუღლე — გურანდა გაბუნია; შვილი — მარიამი (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1954). იყო სანკულტურის, მარჯანიშვილის (1954-67), რუსთავის დრამატული (1967-75) თეატრების მსახიობი. 1975 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. იყო თეატრის სამხ. ხელმძღვ. (1995-2005). მონაწილეობდა სპექტაკლებში: „მოკვეთილი", „ფსკერზე", „აურზაური არაფრის გამო", „სირანო დე ბერჟერაკი", „ასი წლის შემდეგ", „საბრალდებო დასკვნა", „ჰამლეტი", „ოტელო", „მეფე ლირი", „ანტონიუსი და კლეოპატრა", „ფიროსმანი", „ლამანჩელი", „პაკი აძბა", „ოიდიპოს მეფე", „შიში", „რომულუს დიდი", „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი", „გრაალის მცველნი", „მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია", „ანტიგონე" და სხვ.; ფილმებში: „ფატიმა", „კეთილი ადამიანები", „ერთი ცის ქვეშ", „დიდოსტატის მარჯვენა", „ვედრება", „ნატვრის ხე", „დათა თუთაშხია", „ცოტნე დადიანი", „ძმა", „მზე შემოდგომისა", „ხარება და გოგია" და სხვა. არის სსრკ სახალხო არტისტი; სსრკ სახელმწ. პრემიის, მარჯანიშვილის, სტანისლავსკის და პუშკინის სახ. პრემიების, ტოკიოს საერთაშ. კინოფესტივალის I პრემიის (საუკეთესო როლის შესრულებისათვის ფილმში „განვედ ჩემგან", ლენფილმი, 1991) ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); რუსთაველის საზ-ბისა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობების წევრი. 2006 წელს მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახ. ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ენციკლოპედიაში „თბილისი"; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"(ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. ჩხენოსნობა. ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 0102. ტელ: 95 40 01. (ბინის) ალმაშენებლის 86/90, ბ. 27, თბილისი. ტელ: 95 57 51.
**საქმისა და კაცის ერთგულება, ვალდებულების გრძნობა და პატივისცემა, უკეთესობისაკენ სწრაფვა. სამშობლო, სამსახური, ოჯახი, მეგობარი, მოყვასი. ჩემი ნაკლი ყველაზე მეტად მე მტანჯავს. განათლებას, რაც მაკლდა, გზადაგზა შეძლებისდაგვარად ვავსებ, მწამს, რომ ჭკუა ისევეა საჭირო, როგორც ნიჭი და შრომის უნარი. მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ საქმეს უფრო წინ ვაყენებ.**

## იური მეჩითოვი



ფოტოხელოვანი.

დაიბადა თბილისში 1950 წ. 10 მაისს. მშობლები: ემა მეჩითოვი, მიხეილ მეჩითიშვილი; მეუღლე — თამილა ანგლიკოვსკაია (1950); შვილები: ლადა (1971), იანა (1972). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1972). იყო „საქგიპრომახტის" ინჟინერი (1972-75); პროფსაბჭოს კინომოყვარულთა სტუდიის მეთოდისტი (1975-80); ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის ფოტოგრაფი (1980-90). არის რამდენიმე მხ. ფილმის მხატვარ-ფოტოგრაფი (1983). კითხულობს ლექციების კურსს ფოტოხელობის და ფოტოხელოვნების შესახებ. გადაღებული აქვს დოკ. ფილმები „ნინა იოსების ასული", „ვიცი, ახლოა წამი". არის ავტორი წიგნისა "Абхазия: мифы на крови" (თანაავტორებთან ერთად). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები საქართველოში და საზღვარგარეთ. იყო საზ-ბრივი ორგანიზაცია „საქართველოს ხალხის კონგრესის" ერთ-ერთი დამაარსებელი. 2009 წელს დაჯილდოვდა პრემიით „საუკეთესო ფოტოხელოვანი". 2009 წელს გამოიცა მისი ფოტოალბომი „დიალოგის ქრონიკა", რომელიც სერგო ფარაჯანოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ველოსიპედი. მუსიკა. კინო. ეთნოფსიქოლოგია.
მისამართი: (ბინის) გიორგი ბრწყინვალეს 21, ბ. 91. თბილისი 0131. ტელ: 53 58 01, (899) 56 89 90.
ელ-ფოსტა: yuri_mechitov@yahoo.com.
**რადგანაც მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოება განიცდის სიყვარულის დეფიციტს, ჩემს მოწოდებად ვთვლი, ვამრავლო სიყვარული.**

## ელგუჯა მეძმარიაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გენერალ-მაიორი. პროფესორი.

დაიბადა ბათუმში 1946 წ. 17 აგვისტოს. მშობლები: ალექსანდრა და ვიქტორ მეძმარიაშვილები; მეუღლე — მანანა ტყეშელაშვილი (1949); შვილები: მარინა (1966), ვიქტორი (1968), გიორგი (1985), ნიკოლოზი (1988). დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (1969), ასპირანტურა (1972). იყო სტუ დოცენტი, პროფესორი; სხვადასხვა კათედრის გამგე; სახელმწ. სამხედრო-კოსმოსური პროგრამისა და თავდაცვის სამინისტროს სპეც. დავალების მთ. კონსტრუქტორი და მიმართულების ხელმძღვანელი (1981-90); სპეც. სახელმწ. საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი; საქ. კოსმოსურ ნაგებობათა ინ-ტის გენ. დირექტორი და გენ. კონსტრუქტორი; საქ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკად-ის რექტორი (1979-2005); საქ. თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში (1999-2003). არის სტუ ნაგებობების, სპეც. სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინ-ტის მეცნ. ხელმძღვ. და სამეცნ. საბჭოს თავ-რე (2006 წლიდან). არის ტექნიკურ მეცნ. დოქტორი, თემა: „კოსმოსური მსხვილგაბარიტიანი რადიოტელესკოპებისა და პერსპექტიული საინჟინრო ნაგებობების ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიული საფუძვლები, კონსტრუქციები და გამოცდის მინისზედა კომპლექსი"(1993); სამხედრო მეცნ. დოქტორი (2005). არის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენ. კონსტრუქტორი, კოსმოსური და მინისზედა, რაკეტასაწინააღმდეგო კომპლექსის მთ. კონსტრუქტორი (1981-90); სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის გენ. კონსტრუქტორი (1975 წლიდან); ევროპის კოსმოსური სააგენტოს პროგრამის შესაბამისი ახალი თაობის თანამგზავრების კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების შექმნის თეორიული საფუძვლების ავტორი (2002-06). შექმნილი აქვს ტრანსფორმირებადი სისტემების თეორია (1975-95). დაარსებული აქვს საქ. კოსმოსურ ნაგებობათა ინ-ტი და მისი უნიკალური სასტენდო კომპლექსი (1985); საქ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია (2000). არის 270-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და გამოგონების ავტორი (1969 წლიდან); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1995); ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის (1980); საქ. პატრიარქის სიგელის — თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობისათვის (2005) მფლობელი. არის მცხეთის საპატიო მოქალაქე (1999); იყო საქ. პარლამენტის წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ფრაქციის თავ-რე, სამხედრო-სამრეწველო ქვეკომიტეტის თავ-რე (1999-2004). არის საქ. მეცნ. აკადემიისა (2000) და ევრაზიის მეცნ. აკადემიის (1992) წევრ-კორესპონდენტი; საქ. საინჟინრო აკად. (1994) და საქ. სამხედრო-საინჟინრო აკად. (1999) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006), Who`s who in the World (2008, USA); Who`s who in Science and Engineering (2007, 2008 USA); IBC Foremosr Engineers of the World (2008); TOP 100 Scientists (2008, Cambridge, England); Internacional Engineers of the year for 2008 (Cambridge, England).

ჰობი: კონოფილმების გადაღება. ღვინის დაყენება.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას ქ. 68-ბ, თბილისი 0171. ტელ: 33 09 36; ფაქსი: 99 87 63. (ბინის) ბურძგლას 108, თბილისი 0194. ტელ: 92 23 58. ელ-ფოსტა: medzmariashvili@ggsmea

**საკუთარი გეგმების განხორციელება სხვისი ინტერესების, მიზნების და უფლებების შელახვისა და დაპირისპირების გარეშე.**

## ირაკლი მეძმარიაშვილი



ინჟინერი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 29 იანვარს. მშობლები: ხათუნა შარაშიძე, გერმანე მეძმარიაშვილი; მეუღლე — ნინო მეტრეველი (1963); შვილები: ნიკოლოზი (1984), სანდრო (1994). დაამთავრა სპი თბომომარაგების (1983), თსუ იურიდიული (1998) ფაკ-ტები. იყო საპროექტო ინ-ტ „კავგიპროტრანს"-ის ინჟინერი (1983-85); ასრულებდა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოს (1985-89); იყო კონცერნ „საქკურორტი"-ს გაერთიანების საქკურორტ მომარაგება-გასაღების გენ. დირექტორი (1989-1991); დაკავებული იყო კომერცი-

ული საქმიანობით (1991-95); იყო თბილისის კრწანისის რ-ნის გამგებელი (1995-98); თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერი (1998-2000); საქ. სპორტის სახელმწ. დეპ-ტის თავ-რე (2000-04); შპს „გეოსპორტის" გენ. დირექტორი (2004-05); ფსკ „დინამოს" აღმას. დირექტორი (2005-06). ეროვნული სტადიონის გენ. დირექტორი (2006-09).
ჰობი: თხილამურები.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 41ა, თბილისი. ტელ: 23 34 21.

## როინ მიგრიაული



საადვოკატო ბიუროს „მიგრიაული და პარტნიორები" ხელმძღვანელი პარტნიორი. ადვოკატი.

დაიბადა 1964 წ. 26 ივლისს. მშობლები: ანა და გიორგი მიგრიაულები; მეუღლე — ლელა ღვინიაშვილი (1966); შვილები: ბაქარი (1992), ცოტნე (1996), ანა (2001), ილია (2005). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი — კონსულტანტი, განყ-ბის უფროსი, მინისტრის მრჩეველი (1990-95); მუშაობდა საადვოკატო ბიუროებში: „როინ მიგრიაული" (1997-99) და „მიგრიაული და პატარაია" (1999-2000); იყო თსუ იურიდიული ფაკ-ტის ლექტორი, ასოც. პროფესორი (1997-2007). 2000 წლიდან არის საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების" ხელმძღ. პარტნიორი. არის კავკასიისა და საქ. უნ-ტების სამართლის სკოლის პროფესორი (2008 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, შედარებითი ანალიზი სამართალთან" (2004). ავტორია დამხმარე სახელმძღვანელოსი „შესავალი გაკოტრების სამართალში" (I გამოცემა, 1999). (II გამოცემა, 2006). არის საქ. ადვოკატთა ასოც-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრი (2006 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); ჟურნალში „არაგველები" (2005 წ. 2006 წ.)
ჰობი: უცხო ენები. ფეხბურთი. ჭადრაკი. ხალხური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ალ.ყაზბეგის 24; ტელ: 31 25 31; 31 25 30. (ბინის) იყალთოს მთა, კ. 1, თბილისი. ელ-ფოსტა: roin@migr-law.ge
**პროფესიონალიზმი, პუნქტუალობა, დიდი ოჯახი.**

## ლილიანა მითაიშვილი



ბალერინა. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 17 სექტემბერს. დაამთავრა ვ.ჭაბუკიანის სახ. თბილისის სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (პედაგოგები: თ.ვიხოდცევა, მ.გრიშკევიჩი, ვ.ჭაბუკიანი, 1954 წ). იყო თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი; მუშაობდა ულან-ბატორის (მონღოლეთი) ოპერისა და ბალეტის თეატრის პედაგოგ-რეპეტიტორად (1983-84). 1979 წლიდან არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორი. შესრულებული აქვს პარტიები სპექტაკლებში: ოდეტა-ოდილია („გედების ტბა"), ჟიზელი („ჟიზელი"), კიტრი („დონ კიხოტი"), ნიკია („ბაიადერა"), მანიჟე („მთების გული"), ჯავარა („გორდა"), მარი („მაკნატუნა"), მზეთუნახავი („სინათლე"), ჩინდერელლა („ჩინდერელლა"), ავრორა („მძინარე მზეთუნახავი"), ლაურენსია („ლაურენსია"), დეზდემონა, ემილია („ოტელო"), გალია, ნატაშა („მშვიდობისათვის"), ქალიშვილი („პოემა"). დაჯილდოებულია კლასიკური ბალეტის საკავშირო (სსრკ) კონკურსზე ლაურეატის პირველი ხარისხის დიპლომით და ოქროს მედლით (1956). არის ღირსების ორდენის კავალერი (1997); საქ. დამ. არტისტი (1961), საქ. სახალხო არტისტი (1972).

## აკაკი მინაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. სამართალმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1980 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ნინო კვარაცხელია, მალხაზ მინაშვილი; მეუღლე — ქეთევან კობიაშვილი (1980); შვილი — ნინია (2007). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2003); ცენტრალური ევროპის უნ-ტი (2004), მიიღო მაგისტრის ხოდება ადამიანის უფლებების სამართალში. იყო ფონდ „თავისუფლების ინსტიტუტის" აღმას. დირექტორი (2004-07); ი.ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტისა (2004) და თსუ-ს (2005-07) მიწვეული ლექტორი; საქ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს ანალიზისა და კომუნიკაციების დეპ-ტის დირექტორი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი. იყო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე (2008); 2009 წლიდან არის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რე. იყო ბრიტანეთის საბჭოს პროექტის „ტრენინგები ადამიანის უფლებათა სამართალში" კოორდინატორი (2002); ცენტრალური უნ-ტის არასამთავრობო ორგანიზაციის „მუხლი 19" ინტერნი (2004).
ჰობი: რაგბი, ცურვა.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 55; (ბინის) ტელ: 98 50 11.
**ქვეყნის სიყვარული და საქმისადმი ერთგულება. გაერთიანებული საქართველო.**

## გურამ მინაშვილი



კალათბურთელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დაიბადა თბილისში 1936 წ. 25 ნოემბერს. მშობლები: ლუბა ნაცვლიშვილი, ვარლამ მინაშვილი; მეუღლე — თამარ გამსახურდია (1938-1972); შვილი — ნინო ფოჩხუა (1960). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1966); საქ. ფიზკულტურის ინ-ტი (1989); ენერგეტიკის ინ-ტის ასპირანტურა (1973). იყო ენერგეტიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1966-71), უფრ. ინჟინერი (1973-81), ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ს/კ ინ-ტის უფრ. ინჟინერი (1981-84); სტუ ფიზკულტურის კათედრის გამგე (1984-2007). იყო თბილისის „დინამოს" კალათბურთელი (1953-67), გუნდის კაპიტანი (1958 წლიდან); თბილისის „სინათლის" (1968-71), სსრკ ნაკრების (1957-63) წევრი. არის საერთაშ. ახალგაზრდული თამაშების მეორე პრიზიორი (1957); ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 1959, 1963), მსოფლიო ჩემპიონატის პირველი (არაოფიციალური, 1959), მესამე (1963) ადგილის მფლობელი; ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (1960); ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962); სსრკ პირველობის და სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959, 1960, 1961) და ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1965); 1958 წელს მაირანოს თასის გათამაშებაში მიიღო საუკეთესო მოთამაშის პრიზი. არის სპორტის დამს. ოსტატი (1965 წლიდან). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" (1960) და ღირსების (1996) ორდენებით. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1975); კრებულში „Звезды спорта" (1975); ოლიმპიურ ენციკლოპედიაში (1997); ენციკლოპედიაში „თბილისი", „სპორტის ენციკლოპედიაში" (2006); ენციკლოპედიურ ცნობარში „ქართული კალათბურთი" (2006).
მისამართი: (ბინის) უზნაძის 2, ბ. 30, თბილისი. ტელ: 95 59 90; 893 36 55 65.
**ღმერთო, მამული მიცოცხლე, სიზმარშიც ამას ვდუდუნებ (ვაჟა ფშაველა).**

## ლაშა მინდელი

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ენერგეტიკოსი. ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 9 ოქტომბერს. მამა — მამუკა მინდელი; მეუღლე — ხათუნა ხომასურიძე; შვილი — მამუკა. დაამთავრა სტუ ენერგეტიკის და თსუ ეკონომიკის ფაკ-ტები. იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ოსტატის თანაშემწე, ოსტატი, უფრ. ინჟინერი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1984-89); მცირე სანარმო „ბულატის" ტექნიკური დირექტორი (1989-94); საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებულის მოადგილე ქვემო ქართლის მხარეში (1995); საქ. პარლამენტის ნევრი, ადამიანის უფლებათა და ეროვნ. უმცირესობათა საკითხების კომიტეტის ეროვნ. უმცირესობათა საქმეების ქვეკომიტეტის თავ-რე (1995-99); ქ. რუსთავის მერი (1999-2001); რუსთავის საკრებულოს თავ-რე (2001-02); საქ. პარლამენტის ნევრი (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ნევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ნევრი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი 0118. ტელ: 28 15 54.

## გიორგი მირზაშვილი

მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1961 წ. 20 მაისს. მშობლები: მანანა თავაძე, თენგიზ მირზაშვილი. შვილი — ირაკლი (1982). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1984) და თსსა ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნო (1990). იყო მანავის საშ. სკოლის ხატვის პედაგოგი (1986-87). მუშაობს ე.ახვლედიანის სახ. ბავშვთა შემოქმედებით მუზეუმში. გამოფენებში მონაწილეობს 1975 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „დირიჟაბლები" (1974), „ელენე გედევანიშვილი" (1985), „კახა თოლორდავა" (1985), „ნატურმორტი ყავის საფქვავით" (1986), „თათია პაჭკორია" (1989), „ლურჯი ნატურმორტი" (1990), „ჩემი კარდიოგრამა" (1992), „ქარი" (1994), „თეთრი ცხენი" (1996), „ზვიგენი" (1996); კოლაჟი „ნიკალა" (1998), „მოღალატე" (1998), „გედი" (1998), „მარქსი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი" (1998). მონაწილეობდა: შემოქმედებითი სახელოსნოების საკავშირო (1990), ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ, სეგ (1985, 1997), საკავშირო, რესპ. საგაზაფხულო და საშემოდგომო (1984 წლიდან), „ადამიანი, ოჯახი, გარემო" (აშშ, 1994) გამოფენებში. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: მხატვრის სახლი (თბილისი, 1987), გალ. „ვერნისაჟი" (თბილისი,1998, 1999); გალ. „შარდენი" (თბილისი, 2007, 2009 — გამოფენა და ლექსების 2 კრებულის პრეზენტაცია). არის ავტორი ლექსების კრებულების: „სახანძრო დაფა" (2008), „წარმტაცი ქალაქი" (2009). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, ისრაელის და აშშ კერძო კოლექციებში. არის საქ. მხატვართა კავშირის ნევრი (1984 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ლექსების ნერა. დასარტყამი ინსტრუმენტები.

მისამართი: (ბინის) ლეო ქიაჩელის 20, თბილისი 0108. ტელ: 93 18 32.

**„სიარულს ზემელზე ვინღა დამიშლის?"**

## ცოტნე მირცხულავა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი.

დაიბადა ფოთში 1920 წ. 25 ივლისს. მშობლები: მარიამ კვირკველია, ევგენი მირცხულავა; მეუღლე – ნანა მგალობლიშვილი (1929); შვილები: დავითი (1955), ზაზა (1957). დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი (1942). იყო საქ. ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე (1964-68), დირექტორი (1968-2006); სპი (1950-63) და სტუ (1963 წლიდან) დოცენტი და პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დრეკადობის თეორიაში ფილების ანგარიში" (1960), სადოქტორო — „წყლის ნაკადის დასაშვები სიჩქარეები". არის 400-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა და 20 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: "Размыв русел и методика оценки их устойчивости" (1967), "Надежность гидромелиоративных сооружений" (1974), "Guidelines for Flood Loss Prevetion and Management in Developing Countries" (New York, 1976): "Reliability of Hydro reclamation installation" (Rotterdam, 1987), "Основы физики и механики эрозии русел" (1988), "Basic Physics and Machanics of Channel Erosion" (Netherland, 1990). არის ჰიდრონაგებობების საიმედოობისა და ეროზიული პროცესების თეორიების ფუძემდებელი; საქ. მეცნიერებათა ეროვნ. და რუსეთის სოფლის მეურნეობის აკადემიების აკადემიკოსი; ფაზისის მეცნ. აკად. პრეზიდენტი; საქ. მეცნ. აკად. წყლის რესურსების კომისიის თავ-რე; კოსტიაკოვის სახ. ოქროს მედლის მფლობელი (1970); საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2000); მეცნ. დამს. მოღვაწე (1970); ლენინის (1977), ხალხთა მეგობრობის (1980), სსრკ ღირსების (1948, 1966), საქ. ღირსების (1999) ორდენების კავალერი; გაეროს ექსპერტი წყლის რესურსების დარგში; ადამიანის და ბიოსფეროს ეროვნ. კომიტეტის ხელმძღვანელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: გერონტოლოგიის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის გზების ძიება საიმედოობის თეორიის მეშვეობით.

მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის გამზ. 60, თბილისი 0162. ტელ/ფაქსი: 22 70 07. (ბინის) შიო მღვიმელის 6. ბ. 2, თბილისი. ტელ: 22 55 66. ელ-ფოსტა: tsoinem@rambler.ru

**შრომა, შრომა და კიდევ შრომა.**

## გურამ მისაბიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფილოლოგი. აგრონომი.

დაიბადა ცხაკაიაში 1954 წ. 28 მაისს. მშობლები: ეთერ ხოფერია, გივი მისაბიშვილი; მეუღლე — მანანა გუგუნავა (1954); შვილები: ეკა (1972), გურანდა (1974), გივიკო (1976). დაამთავრა სოხუმის პედ. ინ-ტი (1976), სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტი (1985); არის ჩაის მრეწველობის ტიტესტერი. იყო სენაკის ადგილობრივი თვითმმართველობის რ-ნული გამგეობის თავ-რის I მოადგილე (1992); სენაკის ჩაის ფაბრიკის დირექტორი (1992); სენაკის შპს სამრეწველო კომერციული ფირმა „ხანდას" პრეზიდენტი (1994-96), გენ. დირექტორი (1996-2002); სენაკის საკრებულოს თავ-რე (2002); სენაკის რ-ნის გამგებელი (2002-06); სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავ-რის I მოადგილე. დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის" (1984).

ჰობი: მუსიკა. ლიტერატურა.

მისამართი: (სამსახურის.) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 09.(ბინის) უნივერსიტეტის 1, სენაკი.

**ვარ პირდაპირი, ადამიანს თუ შევპირდები აუცილებლად ვუსრულებ, ვუფრთხილდები ადამიანებთან ურთიერთობებს, არ მიყვარს მოღალატე ადამიანები. მიყვარს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. მიყვარს შრომისუნარიანი ადამიანები. დიდ სიამოვნებას მანიჭებს გაჭირვებული ადამიანების დახმარება. ვაფასებ ერთგულებას. ვუფრთხილდები ოჯახის ღირსებას.**

## გიორგი (გოგი) მიქელაძე

მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1946 წ. 18 დეკემბერს. მშობლები: ეთერ კორძახია, არტემ მიქელაძე; მეუღლე — თამარ შუბლაძე (1960); შვილები: ზურაბი (1980), ნინო (1985). დაამთავრა ი.ნიკოლაძის სახ. სამხ. სასწავლებელი (1965) და თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1971). არის კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი მხატვარი (1970 წლიდან); თსსა პროფესორი (1998 წლიდან); არის მხატვარი კინოფილმებისა: „ქალაქი ანარა" (1975), „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (1980), „დღეს ღამე უთენებია" (1982), „მონანიება" (1984), „ეი, მაესტრო" (2002), „გზა მაცხოვრისა"(2002), „დედაო ღვთისა" (2003), „მშრალი ხიდის სიზმრები" (2003), „ოტელო"(2003), „საშობაო საჩუქარი" (2004); სპექტაკლებისა — „ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში" (1986) და „საჩუქარი" (2005). მისი ფერწერული ნამუშევრებია: „მგზავრები", „თეთრი კედელი", „ცარიელი ოთახი", „სარკე", „დილა", „ავტოპორტრეტი", „სადარბაზო", „რიყე", „თბილისური ფანჯრები", „მსახიობის პორტრეტი", „თამრიკო", „მატარებელი". მონაწილეობდა გამოფენებში: ლოზანა (1987), გრაცი (1988), მიუნჰენი (1995). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: „პოპ-არტი" (თბილისი,1986); საქ. სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი,1987), ბერლინი (1996), აშშ (პიცბურგი, 1999), თბილისში (2004). მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის რევოლუციის მუზეუმში, აშშ-ს ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის, იაპონიის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის კერძო კოლექციებში. მიღებული აქვს ჯილდო კინოფესტივალზე „ნიკა" (1987); საქ. სახელმწ. პრემია (2004); მართლმადიდებლური ფილმების I საერთაშ. ფესტივალის ჯილდო — წმ. ანდრიას ჯვარი. არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი (1982 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს 21, თბილისი. ტელ: 53 55 52.
**მთავარია, ყველა საქმეში, რასაც აკეთებ — მართალი იყო.**

## რევაზ მიშველაძე

მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა ქუთაისში 1940 წ. 1 იანვარს. მშობლები: თინა გველესიანი, ავქსენტი მიშველაძე; მეუღლე — ნათელა გოგორიშვილი (1942); შვილი — არჩილი (1973-93). შვილიშვილი შიო (1989). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო თსუ უახლესი ქართული ლიტ. კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე (1967 წლიდან). არის თსუ პროფესორი (1975 წლიდან); საქ. მწერალთა კავშირის მდივანი (2004 წლიდან); ჟურ-ების: „პირველი სხივი" (1970 წლიდან), „კრიტიკა" (1984-88), „ნუგეში" (1990 წლიდან) რედაქტორი; „მწერლის გაზეთის" გამომცემელი (2001 წლიდან). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1999-2004). არის გალაკტიონის კაბინეტის დამაარსებელი და მეცნ. ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული სატირული ჟურნალისტიკა" (1966); სადოქტორო — „თანამედროვე ქართული პოემა" (1974). არის 65 წიგნისა და 207 სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „მწუხრი" (1983), „ელდა" (1987), „განაჩენი" (1990), „სამოცდარვა ახალი ნოველა" (1991-97), „ასი ახალი ნოველა" (1997), „აი, ქვეყანა" (1999), „რჩეული ნოველები" (2001), „არ უნდა მეთქვა" (2003), დოკუმენტური ნოველები (2007), „წარღვნა" (2009); პიესები: „უფანდუროდ ნამღერი" (1990), „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის" (1996); არის ავტორი პანტომიმური სპექტაკლების სცენარებისა: „ტერენტი გრანელი" (2005), „წმინდა გიორგი" (2007), „ქრისტე" (2009). არის ვიეტნამის (1988), იყალთოს (1990), საჩხერისა (1991) და ქუთაისის (2000) საპატიო მოქალაქე. მიღებული აქვს ნ.ლორთქიფანიძის (1978), ა.წერეთლის (1993), დ.კლდიაშვილის (1995), მ.აბაშიძის (1999), ი.ჭავჭავაძის (2008) სახ. პრემიები; არის ისრაელის ლიტ. პრემიის (1997), რუსთაველის პრემიისა და მინისტრთა საბჭოს სახელმწ. პრემიის (1981) ლაურეატი; ივ. ჯავახიშვილის მედლის (2000) და თეატრის მიღვაწეთა კავშირის პრემიის (წლის საუკეთესო დრამატურგიული ნაწარმოებისათვის, 2009) მფლობელი; ღირსების ორდენის კავალერი (1999). არის ჟურნალისტთა

(1970) და მწერალთა (1975) კავშირების წევრი; ქართული ფენომენის აკად-ის (1996), ეროვ. ცნობიერების გადარჩენის საზ-ბისა (2000 წლიდან) და საზ-ბა „თეისტომის" (1992 წლიდან) პრეზიდენტი; მწერალთა დარბაზის წევრი (2001 წლიდან). საქ. ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავ-რე (1994). დაარსებული აქვს თბილისის „ქართული ნოველის თეატრი" (2003) და „მონოლოგის თეატრი" (მ.მაჩაბელთან ერთად, 2005). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჩოგბურთი. ცურვა. სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) მაჩაბლის 13, თბილისი. ტელ: 30 78 24; (ბინის) გაზაფხულის 5, თბილისი. ტელ: 32 70 00; 877 42 54 72.
**ყოველთვის ვცდილობდი საქართველო გამომეგლიჯა მისი გადაგვარების მოსურნე ეროვნულ მტერთაგან. საქართველოში მხოლოდ ქართველი ერი მიმაჩნია ძირითადად, ავტოქტონურ ერად. ბუნების მიერ ბოძებულ მწერლისა და მეცნიერის მცირეოდენ ნიჭს ჩემი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ვხარჯავდი და ვხარჯავ.**

## ენზელ მკოიანი

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტ-ორგანიზატორი.



დაიბადა ბოგდანოვკის რ-ნის სოფ. სათხაში 1959 წ. 3 მაისს. მშობლები: შოღიკ და კარაპეტ მკოიანები; მეუღლე — კარინე ნახატაკიანი (1966); შვილები: ანაიდა (1986), კარაპეტი (1988), დავითი (1998). დაამთავრა სომხეთის ს/ს ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1987). იყო ბოგდანოვკის მოძრავ-მექანიზებული 21-ე კოლონის II თანრიგის მუშა (1976-77), ს/მ პროდუქტების დამზადების გაერთიანების ტყავ-ნედლეულის სანყობის მუშა (1977), სარემონტო სამშენებლო უბნის წყალგაყვანილობის მუშა (1978-81); ახალქალაქის მოძრავ-მექანიზებული 21-ე კოლონის III თანრიგის მუშა (1983-86), ალკკ რ-ნული კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი (1984-90); სამშენებლო მასალების დამამზადებელი კოოპერატივის „სტროიტელი" თავ-რის მოადგილე (1990-95); მრავალდარგოვანი შპს „ენერგიის" დირექტორის მოადგილე (1996-98). არის საქ. პარლამენტის წევრი 1999 წლიდან; ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2008 წლიდან); ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. ფეხბურთი. ბილიარდი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 59. (ბინის) საბურთალოს 55, თბილისი; კლ. ცეტკინის 70/1, ახალქალაქი. ტელ: 2 32 89. ელ-ფოსტა: mkoiani_enzel@parliament.ge
**უნდა ეცადო, რომ ცხოვრებაში იყო პრინციპული, უკონფლიქტო ადამიანი, იდგე ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე, გიყვარდეს შენი ოჯახი, რადგან თუ არ გიყვარს ოჯახი, ვერ გეყვარება შენი ქვეყანა. მაქსიმალურად უნდა ეცადო შენი შესაძლებლობების ფარგლებში უანგაროდ დაეხმარო სხვებს.**

## ვლადიმერ მოგელაძე

გიტარისტი. მომღერალი.



დაიბადა თბილისში 1952 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნადეჟდა ლეკბორაშვილი, გრიგოლ მოგელაძე; მეუღლე – ზოია მოგელაძე (1950). შვილები: მაია (1972), მარინა (1976). დაამთავრა კავშირგაბმულობის ინ-ტის მოსკოვის ფილიალი (1976). იყო ანსამბლ „კონტრასტის" გიტარისტი და ხელმძღვანელი (1975-83). არის ანსამბლ „ბლუზ მობილ ბენდის" ხელმძღვ. (1986 წლიდან). ჩაწერილი აქვს კომპაქტ დისკები: "Blues mobile band", "Out in the Blue" (1995), "A new day Yesterday" (1995), "Where blues meets rock" (3 დისკი, 1996, 1997, 1998), "Visit Woodstock again" (2004), "BMB Live From Georgia" (2008), "Best of Blues Mobile Band" (2009). მონაწილეობდა საერთაშ. ფესტივალებში: ბლუზის ფესტივალი (დანია,1994), როკის ფესტივალი "Midt-

fyns Festival " (დანია, 1996), Harboore musikfestival (დანია,1997), Jazz and Blues Festel. AARHUS (დანია,1995), Aalborg Jazz and Blues Fest (დანია, 1996), Nord-Als musikfestival (დანია, 1996-97), Waldheim festival (გერმანია, 1995), The Beatles Week festival – Liverpool (2004), Jazz festival (ლონდონი, 2001), Nothoden Blues festival (ნორვეგია,1997), ბლუზის ფესტივალი (მანჩესტერი, 2002), ბლუზის ფორუმი (მემფისი, 2004-05). 2009 წლიდან იმყოფება ლოს-ანჯელესში პროფესიული საქმიანობით. მისი ბიოგრაფია შესულია 1997 წლის მსოფლიო მუსიკალურ კატალოგში და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი —კერძოდ, ფეხბურთი. მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) გლდანის მას. III მ/რ, კ.VI, ბ. 83, თბილისი. ტელ: 67 03 84; (893)132939. ელ-ფოსტა: bluesmobile@events.ge blues-mobile-band@yahoo.com.
**პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიონალიზმი, რწმენა, გიყვარდეს საქმე, რომელსაც ემსახურები.**

## აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი)

მწერალი.



დაიბადა თბილისში 1966 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ლეილა გუგუშვილი, ზურაბ ახვლედიანი; მეუღლე — ნატო ზაქარიაძე (1965); შვილები: ზურა (1988), ანასტასია (1996). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1988). იყო თსუ ლაბორანტი (1988-91); მასწავლებელი (1991 წლიდან), გაზ. „რეზონანსის" ჟურნალისტი და გაზ. „სარბიელის" სპორტული ჟურნალისტი. არის ავტორი რომანებისა: „მოგზაურობა ყარაბაღში", „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", „გადაფრენა მადათოვზე და უკან", „ასჯერ დაწყევლილი ქალაქის მოკლე ისტორია", „აგეისტოს პასიანსი", „გაქრები მადათოვზე", „ვეშაპი მადათოვზე", „სხვა", „წიგნი", „შობა ლამის ალქაჯები", „მელიქსედბაშის თბილისი", „შენი თავგადასავალი", „უდაბნოს გლახები", „ძირს სიმინდის რესპუბლიკა", „ვენერას სიზმარი", „სანტა ესპერანსა", „მ. დიქსლის მდუმარე ყუთი", „მეიდ ინ ტიფლისი", „მესაიდუმლის ქამარი", „ძველი გულებისა და ხმლისა", „მამლუქი"; მოთხრობების, საგაზეთო სტატიების, მსუბუქი პუბლიცისტიკისა და ფელეტონების ავტორი. მისი რომანის მიხედვით გადაღებულია მხ. ფილმი „გასეირნება ყარაბაღში"; „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" დაიდგა სანდრო ახმეტელის თეატრის სცენაზე. არის ლიტ. პრემია „საბას" ოთხგზის ლაურეატი (2003, 2005,2006, 2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი 0128. (ბინის) მცხეთის 8, ბ.3. თბილისი 0179. ტელ: 29 22 67.
**ჩემი წარმატება მაინცდამაინც დიდ წარმატებად არ მიმაჩნია და საერთოდ ნაკლებად მიყვარს ასეთ რამეებზე ფიქრი. თუ წარმატება დაერქმევა, ალბათ იმიტომ, რომ გასაგებ ენაზე დავწერე ორი წიგნი და თანაც გასაგებ რაღაცეებზე. რაც შეეხება კრედოს — მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ მწერალი (ჩვენი ტრადიციის თანახმად) საზოგადოების მესაჭე უნდა იყოს. მწერალი უნდა წერდეს და მორჩა. მისი მიზანია თავისუფლებისაკენ, სრულქმნილებისაკენ სწრაფვა და დაოსტატება. ჰო, კიდევ — არ მიყვარს ადამიანების გაწბილება, სიცივე, მედიდურობა და მსგავსი რამე-რუმეები. კრედო კი, აბა რა გითხრათ? მაინც ძალიან ძნელი მგონია ამაზე ლაპარაკი.**

## ლევან მოსეშვილი

კალათბურთელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 23 მაისს. მშობლები: რუსუდან ბარამიძე, ვახტანგ მოსეშვილი; მეუღლე — ნაილი ქებულაძე (1941); შვილები: ხათუნა (1963), ვახტანგი (1964). დაამთავრა ს/ს ინ-ტის მელვინეობა-მევენახეობის ფაკ-ტი (1972); ფიზკულტურისა და სპორტის ინ-ტი (1980). 1953 წლიდან 2003 წლამდე იყო თბილისის საკალათბურთო გუნდის „დინამო" ჯერ ნევრი, შემდეგ — მწვრთნელი. 2004 წლიდან არის თბილავიამშენის

ქარხნის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი. არის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962); ოლიმპიური თამაშების პრიზიორი (ვერცხლის მედალი, 1964). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია. არის სსრკ ჯილდოების, ორდენების, პრემიების და სხვადასხვა საპატიო წოდებების მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი; საქ. კალათბურთის ფედერაციის წევრი (1980 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია სხვადასხვა სპორტულ ენციკლოპედიაში; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ბოგდან ხმელნიცკის 181, თბილისი. ტელ: 70 00 57. (ბინის) ი.ჭავჭავაძის 75, ბ.15, თბილისი. ტელ: 22 46 64, (899) 73 33 03.
**წესიერება, შრომა.**

## ბაადურ მოსიძე



ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა სოხუმში 1947 წ. 18 აგვისტოს. მშობლები: ნათელა ბანძავა, ავთანდილ მოსიძე; მეუღლე — ცისანა კობახიძე-მოსიძისა (1947); შვილები: თენგიზი (1974), ნათელა (1978). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1971). იყო სოხუმის რესპ. საავადმყოფოს ქირურგი (1971-75); ლენინგრადის ონკოლოგიის ს/კ ინ-ტის თანამშრომელი (1975-88); ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ონკოლოგიის კათედრის გამგე (1988-96); ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის დირექტორი (1996-2002); თსუ სამედ. ფაკ-ტის ქირურგიის კათედრის გამგე (1996-2006). არის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნ. ცენტრის ხელმძღვანელი და სდასუ-ს ქირურგიის კათედრის გამგე (2002 წლიდან); 2009 წლიდან — თსსუ ქირურგიის კათედრის გამგე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მსხვილი ნაწლავის პირველად-მრავლობითი ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა" (1978), სადოქტორო —„სწორი ნაწლავის კიბოს კომბინირებული მკურნალობის შედეგების გაუმჯობესების გზები" (1988). არის 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, 4 პატენტისა და 2 მონოგრაფიის ავტორი; საქ. მედიკო-ბიოლოგიურ მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი. დაჯილდოებულია აშშ ქირურგთა კოლეგიის ფულადი სტიპენდიითა და სერტიფიკატით (1990); გ. მუხაძის (1991) და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახ. მედლებით; არის ვ.გორგასლისა (1994) და ღირსების (1996) მედლების კავალერი; მიღებული აქვს უკრაინის სახელმწ. ორდენი შრომითი მიღწევებისათვის (2000). არის საქ. ექიმთა ასოც-ის გამგეობის წევრი; საქ. ქირურგთა ასოც-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.
ჰობი: თევზაობა, ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) ჩაჩავას 5, თბილისი. ტელ: 52 20 79; ელ-ფოსტა: bmosidze@usa.com
**პროფესიონალიზმი ყველაფერში.**

## გიორგი მოსიძე



ტელეგადაცემის „რა? სად? როდის?" ავტორი და წამყვანი.
ექიმი. პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" საერთაშორისო მდივანი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 5 მაისს. მშობლები: თამარ რჩეულიშვილი, შალვა მოსიძე; მეუღლე — ემილია ხალილოვა (1972); შვილები: გიორგი (2003), ელენე (2004). დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1995). იყო ინფექციური პათოლოგიის რესპუბლიკური ცენტრის ექიმი-ინტერნი (1995-96); ტელეგადაცემის „ინტელექტ-კლუბი" ავტორი და წამყვანი (I და მე-9 არხზე, 1996-2002); პ/გ „ახალი მემარჯვენეების" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავ-რე (2002-04); თბილისის საკრებულოს წევრი; ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" თავ-რე (2004-06); არის პ/გ „ახალი მემარჯვენეების" საერთაშ. მდივანი (2006 წლიდან); „პროდიუსერული ცენტრ „Game TV"-ს გენ. დირექტორი (2007 წლიდან); საქ. კლუბის „რა? სად? როდის?" პრეზიდენტი (1994 წლიდან). არის პ/გ „ახალი მემარჯვენეების" წევრი (2001 წლიდან); ბორის აკუნინის ქართული ფან-კლუბის პრეზიდენტი (2005 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ინტელექტუალური თამაშები. სპორტი. კინო. სტატისტიკა.

მისამართი: (სამსახურის) ბეერეთის 3. თბილისი 0114. ტელ/ფაქსი: 72 38 58. (ბინის) ქიქოძის 3. თბილისი 0105. ტელ: 99 85 51; ელ-ფოსტა: gmosidze@yahoo.com.
"To strive, to seek, to find, and not to yield". Alfred Tennyson
**„იბრძოდე, ეძიებდე, ჰპოვებდე და არ თმობდე". ალფრედ ტენისონი**

## შალვა მოსიძე



დირიჟორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ჭიათურაში 1936 წ. 28 დეკემბერს. მშობლები: ნინო მახარაძე, ილარიონ მოსიძე; მეუღლე — თამარ რჩეულიშვილი (1943); შვილები: გიორგი (1972), ოთარი (1974). დაამთავრა თსკ საგუნდო-სადირიჟორო განყ-ბა (1967). იყო გორის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (1967-70). არის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვ. და დირიჟორი (1970 წლიდან); თსკ პედაგოგი (1976 წლიდან), პროფესორი. არის ღირსების ორდენის კავალერი; ზ.ფალიაშვილის პრემიისა და სხვადასხვა საერთაშ. კონკურსების ლაურეატი; მიღებული აქვს I პრიზი საუკეთესო დირიჟორობისათვის (გერმანია). იმყოფებოდა გასტროლებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში — საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, იაპონიაში, ესპანეთში, პოლონეთსა და ბულგარეთში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი.
მისამართი: (ბინის) ბარნოვის 9, ბ. 7. ტელ: 99 59 24.

## ალექსანდრე (სანდრო) მრევლიშვილი



რეჟისორი. დრამატურგი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 10 თებერვალს. მშობლები: ფაინა კილაძე, მიხეილ მრევლიშვილი; მეუღლე — მანანა ჭელიძე (1949); შვილები: მიხეილი (1968), ცისია (1970), მარიამი (1981). დაამთავრა ლენინგრადის თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1963). იყო რუსთაველის (1963), სოხუმის დრამატული (1963-66) და მარჯანიშვილის (1966-73) თეატრების რეჟისორი. არის თბილისის „მეტეხის თეატრი" – „გლობუსის" დამაარსებელი; თსთი პედაგოგი (1966 წლიდან); კულტურის სახელმწ. ინ-ტის თეატრალური სახელოსნოს ხელმძღვანელი (1996 წლიდან); საქართველოში პირველი კერძო თეატრის — „ძველი სახლის" დამაარსებელი (1995). არის პროფესორი; 100-ზე მეტი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და 15 პიესის ავტორი; ხელოვნების დამს. მოღვაწე (1978), საქ. სახალხო არტისტი (1988); კ.მარჯანიშვილის სახ. (1995) და საქ. სახელმწ. (2000) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); თეატრის მოღვაწეთა კავშირისა (1963 წლიდან) და თეატრალური საზ-ბის (1958 წლიდან) წევრი. ავტორი სახელმძღვანელოსი — „მსახიობის ოსტატობა" (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და წიგნში – „გერმანული თეატრი" (1985, 1989); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხელოსნობა. სპორტი – წყლის თხილამურები, წყლის მოტორიანი სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ, 19, თბილისი 0108. ტელ: 93 22 52 .
(ბინის) ჭავჭავაძის I ჩიხი 3. თბილისი. ტელ: 91 30 37; ელ-ფოსტა: sandromrev@gmail.com
**პატრიოტიზმი, ტოლერანტობა, მოქალაქეობა, ჯენტლმენობა, კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი.**

## თეიმურაზ მურვანიძე

საქართველოს სახალხო მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1939 წ. 10 მაისს. მშობლები: ნატალია გიორგობიანი, დავით მურვანიძე; მეუღლე — მაკა მახარაძე (1950); შვილები: თეა (1965), ნატა (1970), ანუკა (1973). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტის თეატრალურ-დეკორაციული სახელოსნო (1965). იყო პეტერბურგის მარიინის თეატრის მთ. მხატვარი (1988-92). არის საერთაშ. ასოც-ის „აბრეშუმის გზის" მთ. მხატვარი (1998 წლიდან); პეტერბურგის კონსერვატორიის დოცენტი (1998 წლიდან). გაფორმებული აქვს 180-მდე სპექტაკლი, მათ შორის: თბილისის გრიბოედოვის სახ. რუსულ დრამატულ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, პეტერბურგის მარიინის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ვარშავის დიდ თეატრში, რომის ოპერის თეატრში, ლასკალასა და კარაკალაში, სან-ფრანცისკოს ოპერის თეატრში, მეტროპოლიტენ ოპერასა და კოვენტგარდენში. არის ავტორი ქანდაკებებისა: „გედების ტბა" (1999), „ჯორჯ ბალანჩინი" (გ.ჯაფარიძესთან ერთად, 1997), „პეტრე I" (1998), „აფროდიტე" (1998) და სხვ.; გააფორმა მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დეკადა (1998), ნიცის ავტოშოუ (1992), ჯ.პრეტრის, პ.დომინგოს, შოლტის კონცერტები (მონტე-კარლო, 1989-92). მონაწილეობდა გამოფენებში: საქ. თეატრისა და კინოს მხატვართა გამოფენა, (სეგ, 1978), საქ. სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (სეგ, 1998) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, მოსკოვის ბახრუშინის თეატრ. მუზეუმში, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში, სანკტ-პეტერბურგის მარიინის თეატრში და თეატრ. მუზეუმში, მ.ბეჟარის, რ.რეიგანის, ე.კენედის, პ.ტრიუდოს, ნ. მაკაროვას, ო.ვინოგრადოვის და სხვათა კერძო კოლექციებში. არის ხმელთაშუა ზღვის საერთაშ. თეატრ. საზ-ბის გამგეობის წევრი (1971). საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1987), საქ. სახალხო მხატვარი. მიღებული აქვს ოქროს მედალი ვანკუვერის საერთაშ. გამოფენაზე (1986), ნიუ-იორკის და ჩიკაგოს პრემიები ფილმ-ბალეტისათვის „მწირი" (1983), პრესის პრიზი სეზონის საუკეთესო სპექტაკლის გაფორმებისათვის (პოლონეთი, 1977), საფრანგეთში (1987), აშშ-ში (1989). არის საქართველოს (1963), პოლონეთის (1973), რუსეთის (1997) მხატვართა, საქ. თეატრალურ მოღვაწეთა (1987) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში "Who's Who" (IBC, 1997), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006), ენციკლოპედიაში „რუსული ბალეტი".

მისამართი: (ბინის) ს.ვირსალაძის 2. ბ.4. თბილისი. ტელ: 98 64 62. ლიგოვის პროსპ. 126. სანკტ-პეტერბურგი. ტელ: 164 82 59.

## ნატა მურვანიძე

მსახიობი.



დაიბადა თბილისში 1970 წ. 18 თებერვალს. მშობლები: მაკა მახარაძე, თეიმურაზ მურვანიძე; მეუღლე — ნიკა თავაძე (1970); შვილები: დათა (1989), მარიამი (2002). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1991). იყო რუსთაველის (1992) და კინომსახიობთა (1993) თეატრების მსახიობი. არის მარჯანიშვილის (1994 წლიდან) და სამეფო უბნის (1998 წლიდან) თეატრების მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ცხოვრება სიზმარია", „ცხოვრება იდიოტისა", „ძე ცდომილი", „სეილემის პროცესი", „მეფე ლირი", „სალომეა", „ოცდამეთვრამეტე", „სამი და", „დოქტორი ფრანკენშტაინი", „მამა", „ანტიგონე", „ურიელ აკოსტა", „პიგმალიონი", „აქ, ამ სავანეში", „ჩემი მეგობარი ჰიტლერი" და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „იავნანა", „ერთხელ მხოლოდ", „ვან გოგის ყური", „1001 ღამე", „სიზმარი", „მისტერიები", „მარტოობის ორდენის კავალერი", „ODEON", „მაგონია'', „რეისებს შორის" და სხვ. 1993 წელს კ/ფ „იავნანაში" მონაწილეობისათვის მიენიჭა ი.გოგებაშვილის პრემია; 2001 წელს — სახელმწ. პრემია („ანტიგონე"). ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის სამჯერ მიღებული აქვს საქ. თეატრალური საზ-ბის ყოველწლიური პრემია (სპექტაკლები — „„სეილემის პროცესი", „სამი და", „სალომეა"). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი 0108. ტელ: 95 24 25. (ბინის) ვ.ბერიძის 11/4 . თბილისი. თვითირონია.

## დავით მუსხელიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ისტორიკოსი.



დაიბადა თბილისში 1928 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ელენე და ლევან მუსხელიშვილები; მეუღლე — ნანა მუსხელიშვილი (1930); შვილები: გიორგი (1954), ვახტანგი (1957). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1952). იყო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1956-96). 1999 წლიდან არის ამავე ინ-ტის დირექტორი და ამ ინ-ტისა და საქ. საპატრიარქოს ინიციატივით დაარსებული „ქრისტიანული კვლევის საერთაშ. ცენტრის" გამგეობის თავ-რე. (2001). იყო ქსე უფრ. სამეცნ. რედაქტორი (1972-82). არის ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნ. ცენტრის გამგეობის თავ-რე (2007 წლიდან), მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის თავ-რე (2008 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1956), სადოქტორო — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები" (1973). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1966), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები" (I,1977, II,1980), „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა" (1978), „ქიზიყის ძველი ისტორია" (1997), „საქართველო IV-VIII საუკუნეებში" (2003) და „საქართველოს ისტორიის ატლასის" მთ. რედაქტორი (2003). არის ღირსების ორდენის კავალერი (1999); მეცნიერების ისტორიის საქ. საზ-ბის მედლის მფლობელი (2005); მეცნ. ეროვნ. აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჯაზური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 0108. ტელ: 99 93 29; ფაქსი: 99 88 23. ელ-ფოსტა: kancelaria@gw.acnet.ge
**სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული.**

## დავით მუქერია

დირიჟორი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თბილისში 1954 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: რუქაია ცინცაძე, ბორის მუქერია; მეუღლე — ლია ნიქაბაძე (1958); შვილები: თეა (1977), თამარი (1979). დაამთავრა თსკ სადირიჟორო ფაკ-ტი (1985). არის ბათუმის სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი (1987 წლიდან); ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მთ. დირიჟორი (1993 წლიდან). 2007 წლიდან თანამშრომლობს ზ.ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასთან. ბათუმის საოპერო თეატრში დადგმული აქვს სპექტაკლები: „აბესალომ და ეთერი", „ლელა", „აიდა", „ოტელო"; ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონია" (2000); 2002 წ. უდირიჟორა კონცერტს მსტისლავ როსტროპოვიჩის მონაწილეობით; 2007 წელს — ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს – სოლისტი ლ.ისაკაძე. არის მ.აბაშიძისა (1994) და რუსთაველის (1995) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) პ.მელიქიშვილის 23. თბილისი 0179. ტელ: 29 33 50.
**სიყვარული ღმერთის, ადამიანის და მუსიკის. თავდადებული შრომა და უსაზღვრო სიყვარული პროფესიისადმი. ძიება სილამაზისა ყველგან და ყოველში. თვითკრიტიკა, სამართლიანობა, პრინციპულობა, პატივისცემა კოლეგებისადმი. მოვუტანო ადამიანებს სიხარული და ბედნიერება ჩემი საქმიანობით.**

## თენგიზ მუშკუდიანი



საოპერო მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1927 წ. 12 ივნისს. მშობლები: მეგი ჭიჭინაძე, ვარლამ მუშკუდიანი; მეუღლე — ტატიანა მუშკუდიანი (1945); შვილები: ლევანი (1964), ნინო (1966), ირაკლი (1974). დაამთავრა თსი (1951) და თსკ (1955). იყო თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი (1954-85). არის ამავე თეატრის კონსულტანტი (2007 წლიდან), თსკ პედაგოგი (1978 წლიდან); თსკ ვოკალის კათედრის სრული პროფესორი. შესრულებული აქვს მრავალი წამყვანი პარტია ბანის რეპერტუარიდან: ორატორიები, სასიმღერო ციკლები, რომანსები. გადაღებულია ფილმებში: „აბეზარა", „დიდოსტატის მარჯვენა". არის საქ. სახალხო არტისტი (1964); ზ.ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი. მის შესახებ გამოცემულია წიგნი „თენგიზ მუშკუდიანი" (ავტორი ნ. ქავთარაძე, 2007).
მისამართი: (სამსახურის) თსკ, ტელ: 99 91 47. (ბინის) უ. ჩხეიძის 33, თბილისი ტელ: 95 29 32; 99 78 88.
**ჩემი ცხოვრების კრედო – სიმღერა და პედაგოგიური მოღვაწეობაა.**

## ლევან მუშკუდიანი



არქიტექტორი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: ტატიანა და თენგიზ მუშკუდიანები; მეუღლე — ეკა ჩხეიძე; შვილები: ინანო (ირინა, 1990), დათა (2002). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1986). არქიტექტორებთან ერთად დააარსა სტუდია „არსი" (1989) — არქიტექტურა და პროექტის მენეჯმენტი; კომპანია „ორრი" — არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი (1996); გ.კიკნაძესთან ერთად შექმნა სტუდია „არქიტექტორები.ჯი." (2005), რომელიც ამჟამად ახორციელებს საქ. ქალაქგეგმარებაში მოცულობით ყველაზე დიდ პროექტს — „ქალაქ ქუთაისის ცენტრის რეაბილიტაცია — რეკონსტრუქცია". არის სერჟ პონტუაზის უნტ-ის საერთაშ. კონკურსის გამარჯვებული (1985); პირველი პრემიის ლაურეატი საუკეთესო სადიპლომო პროექტისათვის სსრკ მასშტაბით (1986); დაჯილდოებულია დიპლომებითა და სიგელებით საუკეთესო არქიტექტურული ნამუშევრებისათვის: საზ-ბრივ ინტერიერში (2006), საუკეთესო არქიტექტურული შენობა — რესტორანი „მეიდანი" (2007), საუკეთესო არქიტექტურული პროექტი (2008).
ჰობი: ალპინიზმი. დალაშქრა მწვერვალები: აკონკაგუა (ანდებში), ამადაბლამი – ჰიმალაები.
მისამართი:(სამსახურისს.) უზნაძის 18, თბილისი. ტელ: 910702. ელ-ფოსტა: levan@arch.ge

## გელა მუხაშავრია



რესპუბლიკის პროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი.
ქირურგი-პროქტოლოგი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 10 დეკემბერს. მშობლები: თამარ კახიძე, აკაკი მუხაშავრია; მეუღლე — ნელი სხირტლაძე (1940); შვილები: გია (1961), კახა (1968). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1964). იყო ქარელის რ-ნული საავადმყოფოს ზოგადი ქირურგი (1964-70); მოსკოვის კოლოპროქტოლოგიის ინ-ტის თანამშრომელი (1967-83); თბილისის მე-9 საავადმყოფოს ზოგადქირურგიული კლინიკის ექიმი-ორდინატორი (1970-71); ჩირქოვანი ქირურგიისა და პროქტოლოგიის განყ-ბის გამგე (1972-83); 1983 წლიდან არის რესპუბლიკის პროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ანალური ნაპრალის პათოგენეზი და ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდი" (1992), სადოქტორო — „ჰემოროიდული დაავადებების ქირურგიული მკურნალობა" (2002). არის ავტორი სახელმძღვანელოსი

„პროქტოლოგია" (1998), მონოგრაფიისა — „ჰემოროიდული დაავადებების ქირურგიული მკურნალობა", (2002), კოლოპროქტოლოგიაში ექიმთა სასერტიფიკაციო ტექსტ-კითხვარისა (2001) და 35 სამეცნ. სტატიისა, მათ შორის — Surgical Technique Tailored to Advanced Haemorrhoids. Techniques in Coloproctology. (ინგლ. ენაზე, ukhashavria GA, Qarabaki , 2009). არის საქართველოს და თბილისის ქირურგთა ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჩოგბურთი და ყოველდღიური ფიზიკური კულტურა.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 29ა, თბილისი. ტელ: 39 55 38. (ბინის) გურჯაანის 14. თბილისი. ტელ: 74 72 39. ელ-ფოსტა: proctological_centre@gol.ge
**ვცხოვრობ პრინციპით — „ყოველ დღე რომ შენს თავს ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე"; ასევე საკუთარი მონოდებებით: მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე გვაახლოებს ღმერთთან და გვასწავლის სწორად ცხოვრებას.**
**ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრე — ღირსება, დრო და მეხსიერებაა. თავს ვთვლი თავმდაბალ ადამიანად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ჩემს დიდ თავმოყვარეობას. წარსულის არ მეშინია და არცა მრცხვენია!!!**

## ლია მუხაშავრია



ადვოკატი. არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებების პრიორიტეტები" თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ნელი შარია, სოსო მუხაშავრია; შვილი — მარიამი (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989); აშშ, ტემპლის სამართლის სკოლა (არის სამართლის მაგისტრი, თემა — „გაეროს პროცედურა ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში", 1995), ფრანკფურტის საბანკო აკადემია (1999); გაიარა სტაჟირება ლონდონის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციაში „ინტერაითსი" (2001). იყო საქ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი (1990-2001); არასამთავრობო ორგანიზაციის — „კონსტიტუციის 42-ე მუხლი"— დამფუძნებელი და აღმას. დირექტორი (1997-2003); საქ. კომუნიკაციების ეროვნ. მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზ-ბრივი დამცველი (2003-05); სხვადასხვა დროს იყო საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის მრჩეველი; USAID-ის მიწისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების პროექტების იურისტი; ქართულ-ამერიკული უნ-ტის სამართლის სკოლის დეკანის მოადგილე (2005-07); 2007 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის — „ადამიანის უფლებების პრიორიტეტები" — თავმჯდომარე. მოგებული აქვს 2 საქმე — საქართველო რუსეთის წინააღმდეგ: ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ (დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2003), შამაევი და 12 სხვ. საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (სასამართლოს გადაწყვეტილება, 2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კინო. ალპინიზმი.
მისამართი: (სამსახურის) ლადო ასათიანის 10. თბილისი. ტელ: 98 86 95; ელ-ფოსტა: mukha_98@yahoo.com
**იურისტი გავხდი არა იმიტომ, რომ დეტექტივები მიყვარდა. მაინტერესებდა, როგორ არის მოწყობილი საზოგადოება და სახელმწიფო, რას ეყრდნობა და რაზე დგას. სამწუხაროდ, ჩემი პროფესიის წყალობით ბევრი ისეთი რამ გავიგე, რასაც სხვაგვარად ვერ ვისწავლიდი და ადამიანურად უფრო ბედნიერი და ხალასი ვიქნებოდი. ვფიქრობ, არაფერი მოდის შრომის გარეშე. უბრალოდ, ისე უნდა იშრომო, რომ შენც გსიამოვნებდეს და არც სხვებისთვის იყოს მძიმე. მწამს სიკეთის უძლეველობის, მაგრამ ვფიქრობ, რომ სიკეთისა და ბოროტების ბალანსის დასაცავად საჭიროა თითოეულისგან გამოკვეთილი გარჯა.**

## სტეფანე მღებრიშვილი



მომღერალი. პროდიუსერი.

დაიბადა თბილისში 1979 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: ჟანა და ჯუმბერ მღებრიშვილები. მეუღლე — მაია დარსმელიძე. სწავლობდა ილ. ჭავჭავაძის სახემწ. უნ-ტის ისტორიის ფაკ-ტზე (3 კურსი). გამოცემული

აქვს ალბომები: „სტეფანე" (1999), უსახელო (2002), „საუკეთესო სიმღერების კრებული" (2004), „სტეფანე და სამი G" (2009). გამართული აქვს სოლო-კონცერტი სპორტის სასახლეში (2002). არის ავტორი ვარდების რევოლუციის ჰიმნისა „ახალი დღე"; ლაურეატი კონკურსებისა: „მეგა", „ოვაცია", „სულიკო" და სხვ. არის „არტფორუმის" დამაარსებელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში".
მისამართი: (სამსახურის) შანიძის 12, თბილისი. ტელ: 29 97 81.
**ვცდილობ, რომ ძალიან ხარისხიანად ვაკეთო ჩემი საქმე.**

## გურამ მჭედლიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ბიოლოგი.

დაიბადა თბილისში 1931 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: ლუბა ნევერავა, ანდრო მჭედლიძე. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო პალეობიოლოგიის ინ-ტის უმც. (1958-66) და უფრ. (1966-78) მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის ხელმძღვანელი (1978-79), დირექტორის მოადგილე (1979-89); 1989 წლიდან არის დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კავკასიის ნამარხი ვეშაპისმაგვარები" (1962); სადოქტორო — „ვეშაპისმაგვართა პალეობიოლოგიური ისტორიის ძირითადი თავისებურებები" (1973). არის 70-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: "Китообразные Кавказа" (1964), "Некоторые общие черты истории китообразных" (1970), "General Features of the Paleobiological Evolution of Cetacea" (1984), "Fossil Cetacea of Caucasus" (1988). არის აშშ ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზ-ბის წევრი (1974 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ნიაღვრის 4. თბილისი 0108. ტელ: 93 12 82. (ბინის) კერესელიძის 1, თბილისი 0108. ტელ: 93 53 97, 30 29 09; ელ-ფოსტა: Guram_paleoby@yahoo.com
**ერთგულება, შემწყნარებლობა, კეთილსინდისიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი.**

## ნანა მჭედლიძე



კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ხონში 1926 წ. 20 მარტს. მშობლები: ბარბარე ფარცხალაძე, ბიძინა მჭედლიძე; გამზრდელი — ვერა დანგაძე; შვილი — მაგდანა (1961). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1956) და სარეჟისორო (1960) ფაკ-ტები. არის რეჟისორი ფილმებისა: „მოდის მატარებელი", „აეროპორტი", „გზაში", „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", „დიდედები და შვილიშვილები", „პირველი მერცხალი", „ნამდვილი თბილისელი", „იმერული ესკიზები", „უკვდავების თეთრი ვარდი" და სხვა. არის ავტორი წიგნისა „მხიარული მოთხრობები"; არის საქ. სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი; მინსკის საკავშირო კინოფესტივალის, ობერჰაუზენის მსოფლიო, ფლორენციის საერთაშ., ბათუმის და სოხუმის კინოფესტივალების გრან-პრის მფლობელი; თეირანის IV მსოფლიო კინოფესტივალის 2 „ოქროს ვერძისა" და ფრუნზეს საკავშირო კინოფესტივალის მთ. პრიზის მფლობელი; ვერიკო ანჯაფარიძის სახ. ერთი მსახიობის თეატრში დადგა რ.კლდიაშვილის „მარტოობის ბინადარი". მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, საბჭოთა ენციკლოპედიაში და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ანტონოვსკაიას 9ბ. ტელ: 39 40 71.
**არაფერი პრინციპები ჩამოყალიბებული არ მაქვს. ყოველთვის ვაკეთებ იმას, რაც მიმაჩნია საჭიროდ. ყველაზე მნიშვნელოვანია ხალხის სიყვარული, რომელსაც ყველგან ვგრძნობ, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი. განსაკუთრებით „იმერული ესკიზები".**

## ელიზბარ ნადარაია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მათემატიკოსი. პროფესორი.



დაიბადა ხობის რ-ნის სოფ. ახალ ხიბულაში 1936 წ. 17 აპრილს. მშობლები: არეთა ბაგრატია, აკაკი ნადარაია; მეუღლე —ზაირა გაგუა (1940); შვილები: ლევანი (1965), მაია (1966). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1959). იყო საქ. მეცნ. აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მეცნ. თანამშრომელი (1964-66); თსუ ი.ვეკუას სახ. ინ-ტის განყ-ბის გამგე (1966-73); საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1973-78); თსუ პროფესორი (1978-86), კათედრის გამგე (1986 -2006). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დაკვირვების განაწილების კანონის ფუნქციონალური მახასიათებლების სტატისტიკური შეფასება“ (1981). გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნ. ნაშრომი (1964-2009), სახელმძღვანელოები ალბათობის თეორიაში და მონოგრაფიები: "Nonparametric estimation of probability densities and regression curves", (Kluwer Academic Publishers, 1989); "Некоторые задачи теории непараметрического оценивания функциональных характеристик закона распределения наблюдений" (თბილისის უნ-ტის გამ., 2008). არის ხობის რ-ნის საპატიო მოქალაქე (2001); ი.ვეკუას სახ. პრემიის ლაურეატი (1990); ღირსების ორდენის კავალერი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).

ჰობი: მუსიკა. სპორტი.

მისამართი: (ბინის) ი.ჭავჭავაძის გამზ. 75, კორპ.3, ბ. 38, თბილისი 0162. ტელ: 23 02 22, 899 57 05 55.

**ვხელმძღვანელობდი გეგმიანი შრომის პრინციპით. მიზანი — პროფესიონალად ჩამოყალიბება, რამაც განაპირობა, გარკვეული წარმატებებისათვის მიმეღწია მათემატიკური სტატისტიკის არაპარამეტრული შეფასებათა თეორიის განვითარებაში.**

## ზურაბ ნადარეიშვილი

კომპოზიტორი.



დაიბადა ფოთში 1957 წ. 4 იანვარს. მშობლები: ლეილა აბუევა, ზურაბ ნადარეიშვილი; მეუღლე — ნინო შავდია (1963); შვილები: ნუცა (1986), გიორგი (1987). დაამთავრა სპი ენერგეტიკის (1978), თსკ კომპოზიციის (1987) ფაკ-ტები. იყო კ/ს „ქართული ფილმის“ მუსიკალური განყ-ბის ხმის ოპერატორი (1987-89); თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებლის (1989-93) და თსკ (1993 წლიდან) პედაგოგი. 1996 წლიდან არის კ/ს „კვალის“ მუსიკალური რედაქტორი; თსკ კომპოზიციის მიმართულების ხელმძღვანელი (2009 წლიდან). არის ავტორი მუსიკალური ნაწარმოებებისა: საფორტეპიანო და ინსტრუმენტული პიესები, ვარიაციები ფორტეპიანოსათვის (1986), ოთხი პიესა სიმებიანი კვარტეტისათვის (1986), სიმებიანი კვარტეტი (1987), სიმფონიური პოემა (1989), „საგალობლები“ ინსტრუმენტული ანსამბლისათვის (1990); მუსიკის ავტორი კინოსა და ანიმაციური ფილმებისათვის, სპექტაკლებისათვის. არის სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსის I პრემიის (1987); საქ. კომპოზიტორთა კავშირის პრემიის — საფორტეპიანო ტრიოსთვის (წლის საუკეთესო ნაწარმოები, 1993); მოსკოვის პროკოფიევის სახ. საერთაშ. კონკურსის III პრემიის (1997) ლაურეატი; კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1987 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „International Who's Who in Music and Musicians Directory“ (კემბრიჯი, მე-17 გამოცემა).

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 18, თბილისი. (ბინის) ჩიქოვანის 20, ბ.41, თბილისი. ტელ: 33 03 75.

**„არასოდეს არ გადასდო ხვალისათვის ის, რისი გაკეთებაც შეგიძლია.. ზეგ!“.**

## კიაზო ნადარეიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიოლოგი. რადიობიოლოგი.

დაიბადა სენაკში 1930 წ. 14 იანვარს. მშობლები: ლუბა გოთოშია, შალვა ნადარეიშვილი; მეუღლე — ლატავრა ფოჩიანი (1939). დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემია (1953). იმყოფებოდა გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარში მედ. სამსახურის ოფიცრის სხვადასხვა თანამდებობაზე (1953-57). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1957-60), ლაბორატორიის, სექტორისა და განყ-ბის გამგე (1960-76), ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1976-90); რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ს/კ ცენტრის დირექტორი (1990-2005). 2005 წლიდან არის ამავე ინ-ტის ს/კ ცენტრის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რადიაციის გულსისხლძარღვთა სისტემაზე გაელენის საკითხები" (1966). არის 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი (12 მონოგრაფია, 5 გამოგონება); ქართული რადიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი; რადიობიოლოგიის (1968), ბიოსამედიცინო ტექნიკური (1968) და ეკოლოგიის (1989) საზ-ბების დამაარსებელი და თავ-რე; პერიოდული გამოცემების — „რადიაციული გამოკვლევები", „ბიომედტექნიკა", „ეკოლოგიური პრობლემები" — დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი. არის ეკოლოგიური საზ-ბების ბაზაზე შექმნილი ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი (1995). არის ღირსების ორდენის კავალერი (1999). ABI-ის მიერ დასახელებულია „წლის ადამიანად" (აშშ, 1997); დაჯილდოებულია „ოქროს ჩანაწერით" საერთაშ. საზ-ბისათვის გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის (1997) და „ათასწლეულის ღირსების ოქროს მედლით" (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006.).
ჰობი: ელექტრონული ტექნიკა.
მისამართი: (სამსახურის) თელავის 51, თბილისი. ტელ: 77 54 42, 77 12 70. (ბინის) გ.მუხაძის 6, თბილისი. ტელ: 22 32 44.
**სიკეთე. სამეცნიერო და არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვება და სამეცნიერო პრაქტიკაში გამოყენება.**

## დავით ნადაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა რუსთავში 1963 წ. 10 იანვარს. მშობლები: თამარ დარჩიაშვილი, მიხეილ ნადაშვილი; მეუღლე — ციური გარსიძე (1962); შვილები: თამარი (1986), სალომე (1996). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1989). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1983-85). იყო მეტალურგთა კულტურის სასახლის მუშა (1979-83), ტექნიკოსი (1985-88); საფეხბურთო კლუბ „გორდას" მთ. ბუღალტერი (1988-1990); მეტალურგთა კულტურულ-კომერციული ცენტრის მთ. ბუღალტერი (1990); რუსთავის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამმართველოს მთ. სპეციალისტი (1990-95); რუსთავის მერიის მცირე ბიზნესის და კომერციის დეპ-ტის მთ. ბუღალტერი (1995); სს „ხალიბი"-ს საბუღალტრო-ეკონომიური სამსახურის უფროსი, ფინანსური მენეჯერი (1995-2003); გარდაბნის რ-ნის გამგებლის პირველი მოადგილე (2003-04); საქ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის რ-ნები და ქ. რუსთავი) საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებულის პირველი მოადგილე (2004); გარდაბნის რ-ნის გამგებლის პირველი მოადგილე, გამგებლის მ/შ (2004-05); რუსთავის მერის პირველი მოადგილე, მერის მ/შ (2005-06), რუსთავის მერი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი; საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი.
ჰობი: კალათბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 20; 877 53 00 27. (ბინის) გურამიშვილის 9, ბ. 13, რუსთავი. ტელ: 824 15 40 70.
**შრომისმოყვარეობა.**

## შოთა ნადირაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ფსიქოლოგი.

დაიბადა თბილისში 1926 წ. 26 ივნისს. მშობლები: თამარ ბერიშვილი, ალექსანდრე ნადირაშვილი; მეუღლე — ქეთევან ცინცაძე (1932); შვილები: დიმიტრი (1961), ალექსანდრე (1964). დაამთავრა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1944). იყო თსუ ასისტენტი, უფრ. ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1952-84); ფსიქოლოგიის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1956-2006). ფსიქოლოგიის ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელია 2006 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა" (1956), სადოქტორო — „განზოგადების ოპერაციის განვითარება სასკოლო ასაკში" (1964). არის 150 სამეცნ. სტატიის, ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს და 16 მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის: „განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკში", „აღქმის ფსიქოლოგიური პრობლემები", „Понятие установки в общей и социальной психологии", „განწყობის ფსიქოლოგია" (2 ტომი), "Деятельность и установка", „შეჯიბრების ფსიქოლოგია", „გავლენის ფსიქოლოგია", „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია", „განწყობის ანთროპული თეორია" და სხვ. არის დ.უზნაძის სახ. პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) იაშვილის 22. თბილისი 0105. (ბინის) სარაჯიშვილის III ჩიხი, 5. ტელ: 98 22 68.
**ჩემი ცხოვრების ძირითადი საქმიანობა მეცნიერების სამსახური და ახალგაზრდობის ეროვნული ორიენტაციით აღზრდა იყო. ამ ამოცანების სამსახური ცხოვრების მრავალ სიკეთეზე უარის თქმას მოითხოვდა. ბევრი სიძნელე, რომლებიც ამის გამო მქონდა ცხოვრებაში, ადვილად გადავიტანე, რადგან ასე ცხოვრობდნენ ჩემი მასწავლებლები და მშობლები. მე მეამაყებოდა, რომ მათ გზას მივყვებოდი. ამ მიმართულებით მალე ბევრი მიმდევარი და თანამშრომელი შევიძინე. მაგრამ ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო იმის აღმოჩენა, რომ საზოგადოება თურმე აფასებს ადამიანებს, რომლებიც ასეთი ორიენტაციით ცხოვრობენ. ბოლო ხანებში საზოგადოებისგან დიდი სითბო და პატივისცემა ვიგრძენი.**

## როზა ნადირიანი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: ქნარი და ბორის ნადირიანები. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1980). იყო საქ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი (1985-99); ნაძალადევის რ-ნული სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). 2000 წლიდან არის საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32, თბილისი 0110. ტელ: 99 90 87.
**სიკეთე, სამართლიანობა.**

## ირაკლი ნადირაძე

სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი. ექიმი-ონკოლოგი.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1951 წ. 3 აპრილს. მშობლები: ნელი ოდიშარია, შალვა ნადირაძე; მეუღლე — რუსუდან ჭირაქაძე (1952); შვილები: ნინო (1978), შალვა (1983). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). არის

ონკოლოგიური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი; მედიცინის მეცნ. დოქტორი (1990); 145 სამეცნ. ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოს, 11 რაციონალური წინადადებისა და 10 მეთოდური რეკომენდაციის ავტორი. ჩატარებული აქვს 5000-ზე მეტი ოპერაცია. არის სახელმწ. (1990) და ივ.ბერიტაშვილის სახ. (1999) პრემიების ლაურეატი.
ჰობი: ფეხბურთი, ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) ონკოცენტრი, ლისის ტბა; გულუას 3ა, ნაც. გვარდიის დეპ-ტი, თბილისი. (ბინის) ბაქოს 12, თბილისი. ტელ: 95 23 11; 877 415487.

## მაია ნათაძე

ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1929 წ. 27 მაისს. მშობლები: ტატიანა და რევაზ ნათაძეები; შვილები: გიორგი (1953-2009), დავითი (1958). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1952). 1953 წლიდან მუშაობდა თსუ–ში; 2006 წელს რეფორმებთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად დატოვა უნ-ტი; იყო პარლამენტის წევრი (1989-90). არის სამეცნ. ნაშრომების და თარგმანების ავტორი, მათ შორის: ო'ჰენრი, ნოველები (თარგმანი, 1955); „მე-20 საუკუნის ევროპული პოეზია" (ინგლისური, გერმანული ფრანგული, ესპანური და რუსული პოეზიის თარგმანების ანთოლოგია); მონოგრაფიები: „შექსპირის ოსტატობა" (1968); „ქართულ-ინგლისური თარგმანის ლინგვისტური პრობლემები" (1973); „გერმანულ-ინგლისური და ქართულ-ინგლისური სტილისტური პრობლემები" (1974); „Проблемы теории стилистики" (1985). არის არასამთავრობო საზ-ბრივი ორგანიზაციის „სოლიდარობა კულტურისა და განათლებისთვის" დამფუძნებელი და ორგანიზაცია „ქართული აკადემიის" წევრი (2007 წლიდან); ივ.ჯავახიშვილის სახ. მედლის მფლობელი (2003). მისი ბიოგრაფია შესულია ლიტერატურის ენციკლოპედიაში, ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბუნება, პოეზია.
მისამართი: (ბინის) ქუჩიშვილის ქ. 20, თბილისი. ტელ: 22 84 67, 899 74 17 95.
**სიყვარული და პასუხისმგებლობა ღვთის, ერისა და ადამიანების მიმართ.**

## ნოდარ ნათაძე

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე. ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1929 წ. 27 მაისს. მშობლები: ტატიანა და რევაზ ნათაძეები; მეუღლე — ნანა ნათაძე (1939). შვილები: ერეკლე და ლევანი (1971). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1952); საქ. მეცნ. აკად-ის ენათმეცნიერების ინ-ტის ასპირანტურა (1955). მუშაობდა ენათმეცნიერებისა (1957-63) და ლიტერატურის (1963-69) ინ-ტებში. არის ფილოსოფიის ინ-ტის თანამშრომელი 1969 წლიდან და კლასიკური მემკვიდრეობის განყ-ბის გამგე. იყო საქ. უზენაესი საბჭოსა (1989-91) და საქ. პარლამენტის (1992-95) წევრი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რენესანსის პრობლემა ქართულ მწერლობაში" (1965). არის 50 სამეცნ. ნაშრომისა და 22 წიგნის ავტორი. მათ შორის: „რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი" (1965), „შოთა რუსთაველი და მისი პოემა" ( ს. ცაიშვილთან ერთად, 1966 — ითარგმნა 6 ენაზე), „დროთა მიჯნაზე" (1967), „თომა აქვინელის ფილოსოფია" (1972), „ვეფხისტყაოსნის" სასკოლო გამოცემა განმარტებით, ბოლოსიტყვითა და კომენტარით" (1974), „შენ და სხვები" (1976), „მითი და სინამდვილე" (1976), „ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური მოტივები" (1978), „ლიტერატურული წერილები" (1968), „სიტყვა და სახე" (1982), „მიზეზობრიობა და თავისუფლება" (1982), „ადამიანი ადამიანთა შორის" (1986), „ერი და ეროვნული კულტურა" (1986), „სისხლიანი პარასკევი" (1989), „რაც ვიცი" (2002). 1989 წლიდან არის საქ. სახალხო ფრონტის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Who is Who" (ლონდონის გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ალპინიზმი, ცხენოსნობა, ტურიზმი.
მისამართი: (სამსახურის) პუშკინის ქ. 5/7, თბილისი. ტელ: 93 17 10 (ბინის) ფანასკერტელის ქ. კ.16, ბ. 57. თბილისი. ტელ: 36 16 32.
**პატიოსნება, ჰუმანიზმი, მოვალეობა — ეროვნული და პირადი.**

## შალვა ნათელაშვილი

საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარე. იურისტი.



დაიბადა დუშეთის რ-ნის დაბა ფასანაურში 1958 წ. 17 თებერვალს. მშობლები: დარეჯან ნიკლაური, ამბროსი ნათელაშვილი; მეუღლე — ბელა ალანია (1963); შვილები: ბექა (1993), დარეჯანი (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981); სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა (მოსკოვი, 1989); გაიარა აშშ სახელმწ. დეპ-ტის ლიდერთა პროგრამა (2004). იყო საქ. პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, განყ-ბის პროკურორი, უფრ. პროკურორი, პარტკომის მდივანი, საერთაშ. ურთიერთობათა განყ-ბის უფროსი (1981-92); საქ. პარლამენტის წევრი და იურიდიული კომიტეტის თავ-რე (1992-95); საქ. პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავ-რე, საქ. კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის ხელმძღ., ფრაქცია „ლეიბორისტის" თავ-რე, საპარლამენტო კოალიციის „ერთიანი საქართველო" თავ-რე, პარლამენტის ბიუროსა და კოლეგიის წევრი (1992-99). 1995 წლიდან არის საქ. ლეიბორისტული პარტიის დამფუძნებელი და თავ-რე. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, პროექტისა და ინიციატივის ავტორი, მათ შორის: „კანონი მოქალაქეობის შესახებ", „კანონი მიგრაციისა და ემიგრაციის შესახებ", „საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების შესახებ, „კანონი იარაღის შესახებ", „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" და სხვ. არის ამერიკის ლუიზიანას შტატის საპატიო ელჩი; საერთაშ. სამართლის ასოც-ის (1984) და იურისტთა მსოფლიო ასოც-ის (1992) წევრი; საქ. ეროვნულ და სოც. ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ასტრონომია. შინაური და გარეული ცხოველები. დეკორატიული მებაღეობა.
მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 88. თბილისი. ტელ: 94 39 22; ფაქსი: (+995)32 94 29 22; ელ-ფოსტა: mailto:laibor_info@ caucasus.net
**მივცეთ ხალხს ადამიანური ცხოვრების საშუალება.**

## დავით ნამგალაური

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 11 იანვარს. მშობლები: ნატო ოტიაშვილი, აბესალომ ნამგალაური; მეუღლე — ნანა რუხაძე (1982). დაამთავრა სტუ ავტომობილებისა და საავტომობილო მეურნეობის (1999), თსუ იურიდიული (2005) ფაკ-ტები. იყო თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ვაკე-საბურთალოს განყ-ბის მთ. სპეციალისტი (2000-04); მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებულის მოადგილე (2004); საქ. პარლამენტის წევრი (2004 -05). 2005 წლიდან არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპ-ტის თავ-რე.
ჰობი: ბეისბოლი. ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა, თბილისი 0162. ტელ: 23 02 03 ფაქსი: 29 20 49. (ბინის) დელისის მე-3 ქუჩა, 12. ტელ: 39 17 29. ელ-ფოსტა: namgalauri_daio@mail.ru
**მაღალი პროფესიონალიზმი, უდიდესი შრომისმოყვარეობა და ცოდნის მუდმივი გაღრმავება. საქართველოს სპორტის აღორძინება და მსოფლიო არენაზე გაყვანა ერისა და ქვეყნის სასახელოდ.**

## პეტრე ნასყიდაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. აგრონომი. პროფესორი.

დაიბადა ახალციხის რ-ნის სოფ. ვალეში 1928 წ. 27 ნოემბერს. მშობლები: სალომე მერაბიშვილი, პავლე ნასყიდაშვილი; მეუღლე — დალი აბულაძე (1939); შვილები: ია (1958), მაკა (1961). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1952), აგრარული უნ-ტის გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრის ასპირანტურა (1956). იყო აგრარული უნ-ტის გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრის ლაბორანტი, უფრ. ლაბორანტი (1956-59), ასისტენტი (1959-61), დოცენტი (1961-77), აგრონომიული ფაკ-ტის დეკანი (1974-79), პრორექტორი (1983-95), კათედრის გამგე (1973-2007); არის პროფესორი — 1977 წლიდან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის უფროსი (1995-2006). არის აგრარული ფაკ-ტის აგროტექნოლოგიის დეპ-ტის მთ. კონსულტანტი (2007 წლიდან); სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის უფროსი (2008 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ხორბლის სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციით სასელექციო საწყისი მასალის შექმნა" (1974). არის 590-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის 10 მონოგრაფიისა, 6 სახელმძღვანელოსი და 12 დამხმარე სახელმძღვანელოსი; ავტორი და თანაავტორი სოფლის მეურნეობაში გასავრცელებლად დაშვებული ხორბლის, ქერის, სიმინდის და სხვა კულტურათა 19 ჯიშისა და ჰიბრიდისა; არის მეცნიერების დამს. მოღვაწე (1983); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1990); საპატიო ნიშნის (1980) და ღირსების (1997) ორდენების კავალერი; სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი; სელექციონერთა და გენეტიკოსთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი; საერთაშ. აგრარული განათლების საერთაშ. აკადემიის (1998) და ფაზისის აკადემიის (2000) აკადემიკოსი; არის მეცნიერების ისტორიის საქ. საზ-ბის მედლისა და ფულადი პრემიის მფლობელი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კინო. მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ილ.ჭავჭავაძის 17. თბილისი 0179. ტელ: 22 11 84, 29 46 91. (ბინის) ვაჟა- ფშაველას პრ. მე-6 მ/რ, კორპ. 20, ბ. 3. ტელ: 30 26 28; 899 26 83 51.
**ჩემი მეცნიერებაში სწრაფვა განაპირობა პროფესორ ნიკოლოზ ლაჟყეპიანის და პროფესორ ლეონიდე დეკაპრელევიჩის პირადმა მაგალითმა.**

## თამაზ ნატრიაშვილი



რ.დვალის სახელობის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი. მანქანათმშენებელი. პროფესორი.

დაიბადა 1950 წ. 9 მაისს. მშობლები: ქეთევან მიქაძე, მამია ნატრიაშვილი; მეუღლე — თამილა აბულაძე (1950); შვილები: ქეთევანი (1978), ავთანდილი (1985). დაამთავრა სპი ავტომექანიკის ფაკ-ტი (1972). იყო საქ. მეცნ. აკადემიის მანქანათა მექანიკის ინ-ტის უფრ. ტექნიკოსი (1972-73), უმც. (1973-83), უფრ. (1983-89) მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის ხელმძღვანელი (1989-95), დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში (1995-2006). 2006 წლიდან არის რ. დვალის სახ. მანქანათა მექანიკის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სატრანსპორტო დიზელების კვლევა მაღალმთიან რეგიონებში მუშაობის დროს". გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნ. ნაშრომი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. არის საერთაშ. სამეცნ. ჟურნალების რედკოლეგიის, სადისერტაციო საბჭოსა და საექსპერტო კომისიების წევრი; სტანდარტიზაციის დარგობრივი კომიტეტის — „ავტომობილები და საავტომობილო მრეწველობის პროდუქცია" თავმჯდომარე.
მისამართი: (სამსახურის) მინდელის 10, თბილისი 0186. ტელ: 32 11 65; ფაქსი: 32 39 56. (ბინის) ფანასკერტელის ქ. 17, ბ. 45, თბილისი 0194. ტელ: 36 29 17, 899 22 24 20; ელ-ფაქსი: t-natriashvili@yahoo.com
**პატიოსნება და გონიერება. პროფესიონალიზმი. თავდადებული შრომა ოჯახისა და ქვეყნისათვის.**

## კობა ნაყოფია

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი. ბიზნეს-იურისტი.



დაიბადა გალში 1969 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ლიანა ქარდავა, იროდიონ ნაყოფია; მეუღლე — ელგა სოფია (1969); შვილები: ნიკოლოზი (1989), ნატალია (1996). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1993); რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია (1998). იყო ფირმა „ზოლოტოე რუნო"-ს გენ. დირექტორი (მოსკოვი, 1994-96); დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის მრჩეველი (1996-99); ფირმა „შტორმი"-ს გენ. დირექტორი (ქ. ორიოლი, ქ. მოსკოვი, 2000-04); კომპანია „ინვესტმენტ მენეჯმენტი"-ს გენ. დირექტორი (ქ. ორიოლი, 2001-04); კომპანია „ორლოვსკაია პრომიშლენნაია კომპანიის" დირექტორთა საბჭოს წევრი (2001-04); კომპანია „პრომიშლენნი ინვესტორი"-ს ვიცე-პრეზიდენტი (მოსკოვი, 2004); სს „მადნეული"-ს გენ. დირექტორი (2004-08); შპს „კვარციტი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2006-08); შპს „ზარაფხანა დეველოპმენტი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი. არის ეკონომიკურ მეცნ. კანდიდატი (1997); რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 14 41. (ბინის) გამსახურდიას 23, ბ. 42, თბილისი.
**„საქმე ლაპარაკის ნაცვლად".**

## პაატა ნაცვლიშვილი

ჟურნალისტი. პოეტი. დიზაინერი.



დაიბადა თბილისში 1952 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ მეხაშიშვილი, თეიმურაზ ნაცვლიშვილი; მეუღლე – ნინო სხირტლაძე (1967); შვილი – თეონა (1986). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკისა (1974) და ხელოვნების (1976) ფაკ-ტები. იყო გაზ. „თბილისის უნივერსიტეტისა" (1974-76) და ჟურ. „მართვეს" (1978-1980) ლიტმუშაკი; გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტი (1976-78); საქ. საზღვაო სანაოსნოს შორეული ნაოსნობის მატროსი (1980-84); საქ. რადიოს ახალგაზრდული პროგრამების მთ. რედაქციის მთ. რედაქტორი (1984-85); გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტი" (1985-88), „სამშობლო" (1988-2008), „ნატვრისთვალი" (1989-95), „ასპარეზი" (1989-96) და „ქართული გაზეთი" (1997) რედაქტორი, გაზ. „ასპარეზის" სარედაქციო საბჭოს თავ-რე (1989-98); საქ. ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „სხივისა" (1994) და „ახალი ქართული გაზეთის" (1998) მთ. რედაქტორი; მედიაოჯახ „განათლებული საქართველოს" უფროსი (2003-05); ჟურ. „ოლიმპიელისა" (2005-08) და ინტერნეტსაიტ „ბორჯომი-2014"-ის რედაქტორი. ავტორია წიგნებისა: „ქაღალდის წერო" (1983), „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!" (1983), „მოგზაურობა არგოთი" (1985), „ბედნიერი ჭირისუფალი" (1986), „ქაღალდის წერო-6" (1986), „საქართველოს მინა" (1994), „პაატა ნაცვლიშვილი დილის გაზეთში" (2002) და სხვ.; ლექსების კრებულებისა: „სიყვარულის დასაწყისი" (1993), „სიყვარულის გაგრძელება" (1986), „სიყვარულის დასასრული" (2001); ფოტოალბომებისა: „ვენეცია" (2000), „სანფრანცისკო" (2000). არის არაერთი წიგნის თანაავტორი, შემდგენელი და დიზაინერი; ახალ საქართველოში ერთ- ერთი პირველი კერძო გამომცემლობის — „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობის" (1993) დამფუძნებელი და ხელმძღვ. არის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, დისერტაციის თემა — „ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის". კითხულობდა ლექციებს თსა-ში (1978-79), თსუსა (1999-2005) და კულტურის სახელმწიფო უნ-ტში (2001-03). არის საქ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროგრამა „სამშობლოს" ხელმძღვანელი (2008 წლიდან); სამეცნ. და ლიტ.-პუბლიცისტურ ალმანახ „სამშობლოს" რედაქტორი (2009 წლიდან); სეოკის დამფუძნებელი წევრი, იყო მისი ვიცე-პრეზიდენტი (1988-

96). არის ჟურნალისტთა საერთაშ. ფედ-ის და სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშ. ასოც-ის წევრი; სამარკო საქმის ერთ-ერთი პიონერი საქართველოში, მას ეკუთვნის 50-ზე მეტი საფოსტო მარკის დიზაინი. იყო საქ. კავშირგაბმულობის სამინისტროს სახელმწ. საგადასახადო ნიშნების გამოშვების მუდმივმოქმედი კომისიის წევრი (1993-2001). არის საქ. ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოც-ის პრეზიდენტი; ღირსების ორდენისა (1999) და ოლიმპიური ორდენის (2008) კავალერი; ახალი ქართული კომპიუტერული შრიფტის კონკურსის (2000) გამარჯვებული; „ოქროს კალმისა" (2001) და კავკასიის რეკლამის საერთაშ. ფესტივალის გრან-პრის (2001) მფლობელი. მის ბიბლიოთეკასა და არქივში, რომელსაც „ბიბლიომუზეუმი" უწოდა, არაერთი უნიკუმი და რარიტეტია დაცული. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ფილატელია.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1/3, თბილისი. ტელ: 36 41 85. (ბინის) მარჯანიშვილის 2, ბ. 18. თბილისი. ტელ: 96 30 03. ელ-ფოსტა: paatapress@yahoo.com

## მანანა ნაჭყებია



პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" აღმასრულებელი მდივანი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 25 ოქტომბერს. მშობლები: დიანა და პეტრე ნაჭყებიები; მეუღლე — თემურ დუშუაშვილი (1952); შვილები: ანა (1990), რუსუდანი (1992). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1978). მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებში (1980-90); თბილისის მერიასა და სახელმწიფო კანცელარიაში (1995-99); იყო სს „თბილკრედიტბანკის" დეპ-ტის დირექტორი (1999-2001). იყო საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნების კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ჟ.კალანდაძის 3, თბილისი 0114. ტელ: 72 03 18, 72 38 58. (ბინის) ყაზბეგის 34, თბილისი. ტელ: 46 58 65; ელ-ფოსტა: manananachkebia@gmail.com
**ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ ადამიანებს დავეხმარო, თუნდაც სრულიად უცნობებს. ვცდილობ არასოდეს ვუღალატო საქმეს და მეგობრებს. ყოველთვის ვიბრძოლებ მიზნის მისაღწევად, სანამ თუნდაც სულ მცირე შანსი არსებობდეს ამისთვის.**

## გაგა ნახუცრიშვილი



პოეტი.

დაიბადა მოსკოვში 1971 წ. მშობლები: ციალა ძოწენიძე, გიორგი ნახუცრიშვილი. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1993). იყო ისტორიის მასწავლებელი (1995-97); ჟურნალისტი (1996-2000). გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „უაზრო მგზავრი" (1996), „სიმარტოვე" (2000); „გამგზავრება და მოლოდინი" (2002); „უცაბედად" (2006); „სხვანაირი დრო" (2007). არის ლიტ. პრემია „საბას" ლაურეატი (2003). კითხულობს ლექციებს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ სტუ-ში. თანამშრომლობს ჟურ. „ანაბეჭდთან". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. სპორტი.
მისამართი: (ბინის) ი.აბაშიძის 20, თბილისი. ტელ. 22 67 67.
**გიყვარდეს ადამიანები და გულწრფელად აკეთე შენი საქმე.**

## გიორგი (გია) ნახუცრიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი. ბოტანიკოსი — ფიტოსოციოლოგი, ეკოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 1 ივნისს. მშობლები: მარიამ აბაშიძე, შალვა ნახუცრიშვილი. მეუღლე — ციალა ძონენიძე (1933); შვილები: მაია (1964), გაგა (1971). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1956), საქ. მეცნ. აკად-ის ბოტანიკის ინ-ტის ასპირანტურა (1961). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ბოტანიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1959-61), სწავლული მდივანი (1961-66), უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1966-73), ექსპერიმენტული ეკოლოგიის ლაბორატორიის, შემდეგ ეკოლოგიის გან-ბის გამგე (1973-2003), დირექტორის მოადგილე (1977-82), დირექტორი (1982-2005); თსუ დოცენტი (1967-80), პროფესორი (1982-2005). არის ი. ჭავჭავაძის უნ-ტის სრული პროფესორი და აკადემიური საბჭოს წევრი (2005 წლიდან); თბილისის ბოტანიკური ბაღის და ბოტანიკის ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე და მთ. მეცნ. თანამშრომელი (2006 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლაგოდეხის ნაკრძალის სუბალპური მდელოების სეზონური დინამიკა ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით" (1961); სადოქტორო — „ცენტრალური კავკასიონის მაღალმთის მცენარეთა და ფიტოცენოზების ეკოლოგია" (1972). არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომის და 5 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „ცენტრალური კავკასიონის მაღალმთის მცენარეთა და ფიტოცენოზების ეკოლოგია" (I ტ., 1971, II ტ., 1974), „მცენარის სიცოცხლე მაღალმთის ექსტრემალურ პირობებში" (ზ.გამცემლიძესთან ერთად, ლენინგრადი, 1984,), "The Vegetation of Georgia (Caucasus)" Braun-Blanquetia" (Camerino, Itali, 1999). არის ევროპის მცენარეულობის რუკის —"Karte der Naturlichen Vegetation Europas" და მისი ტექსტის ერთ-ერთი ავტორი (ბონი, 2003). მსოფლიოს და ევროპის ალპური მცენარეულობისადმი მიძღვნილ კრებულებში:"Alpine Biodiversity in Europe," (Berlin Heidelberg. 2003), "Gebirge der Erde" (Stuttgart, 2004) გამოქვეყნებულია მისი სტატიები კავკასიის ალპური მცენარეულობის შესახებ. არის ავსტრიის მეცნ. აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი; საქ. მეცნ. აკადემიის „ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიურ პრობლემათა კომისიის" თავ-რე; საქ. ბოტანიკური საზ-ბის პრეზიდენტი; გერმანიის ბოტანიკური საზ-ბის წევრი. მიღებული აქვს თსუ პრემია სახელმძღვანელოსათვის „ეკოლოგიის საფუძვლები" (თანაავტორებთან ერთად, 1992). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში " (2006).
ჰობი: მემუარების კითხვა.
მისამართი: (ბინის) ი.აბაშიძის 20, თბილისი 0179; ტელ:22 67 67.

## ქეთევან ნემსაძე



მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი. პედიატრი.

დაიბადა ქუთაისში 1949 წ. 1 აპრილს. მშობლები: ნინო ლანჩავა, პეტრე ნემსაძე; მეუღლე — გურამ კიკნაძე, (1940); შვილები: ნინო (1972), ეკა (1976). დაამთავრა თსსი პედიატრიის ფაკ-ტი (1973). არის საზ-ბრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის სპეციალისტი. იყო საქ. ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი პედიატრი (1994-99); 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა მკურნალობის სახელმწ. პროგრამის კოორდინატორი (1995-99); მსოფლიო ბანკის ჯანმრთელობის პროექტის —„ჯანმრთელი ბავშვი და უსაფრთხო დედობა" ხელმძღვ. (1996-2001); გაეროს ბავშვთა ფონდის — რეგიონული ქსელი ბავშვებისათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში — ორი ვადით არჩეული პრეზიდენტი (2002-05); მ.გურამიშვილის სახ. პედიატრიული კლინიკის გენ. დირექტორი (1997-2007). 2007 წლიდან არის მ.იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მდგომარეობა ახალშობილთა სტაფილოკოკური სეფსისის დროს" (1982), სადოქტორო — „ახალშობილი და ჩვილი ასაკის სეფსისით შეპყრობილ ბავშვთა საცნაურ-საყოფი კრიტერიუმები და მკურნალობის ინტენსიფიკაცია" (1993). არის ავტორი ნაშრომებისა: „ადრეული ნეონატალური პერიოდის მართვა" (მონოგრაფია, 2009); Эффективная перинатальная помощь и уход (ЭПУ). Руководство для преподователя, (WHO/USAID/JSI, 2006); Эффективная перинатальная помощь и уход (ЭПУ). Неонатология. (WHO/USAID/JSI, 2006); Эффективная перинатальная помощь и уход (ЭПУ). Акушерство.(WHO/USAID/JSI, 2006); „ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების შე-

ფასება და რეფერალის კრიტერიუმები", სასწავლო მოდული პედაგოგებისა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმებისათვის (UNICEF/თსსუ, თბილისი, 2009); არის რეცენზენტი (beta-reviewer) სასწავლო მოდულისა: Lactation Management Self-Study Modules. (Wellstart International. USA., 2009); მფლობელი პატენტებისა: "Способ лечения сепсиса у детей грудного возраста"; "Средство для лечения сепсиса у новорожденных". დაჯილდოებულია საპატენტო სიგელით. მიღებული აქვს წლის საუკეთესო ექიმის წოდება, ჯილდო – ესკულაპი (2006); ევროპის რესპირაციული საზ-ბის პრეზიდენტის მადლობის სერტიფიკატი ევროპის რესპირაციული საზ-ბის კონგრესის სექციის „ბავშვთა ასთმის" წარმართვისათვის (კოპენჰაგენი, დანია, 2005); აღიარების სერტიფიკატი წარმატებული მონაწილეობისათვის გენ. ასამბლეაში „რეგიონული ქსელი ბავშვებისათვის" და კამპანიის — „არცერთი ბავშვი უყურადღებოდ" გახსნაში (თურქეთი — სტამბოლი, 2003); საქ. პრეზიდენტის მადლობა (2002); წარმატების სერტიფიკატი აშშ მთავრობის განვითარების სააგენტოს პროგრამის ფარგლებში (ვაშინგტონი, 1994). არის ძუძუთი კვების მედიცინის აკადემიის საპატიო წევრი (2006); ნობელის ალტერნატიული პრემიის ლაურეატი (1998); ბავშვთა კვების საერთაშ. კოალიციის (IBFAN) წევრი (1996) და საქ. ჯგუფის, პედიატრთა და ოჯახის ექიმთა ასოც. „კლარიტასი XXI" -ის გამგეობის წევრი (1997); ლაქტაციის მართვისა და კვლევის ცენტრის — Wellstart International წევრი (1995); ბავშვებზე ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციის საერთაშ. საზ-ბის (ISPCAN) წევრი (2005); საქ. პედიატრთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2008). მისი ბიოგარფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბალეტი. შოპინგი.
მისამართი: (სამსახურის) ლუბლიანას 2/6, თბილისი 0159. ტელ: 53 00 33; ფაქსი: 52 90 34; (ბინის) ნ. ნიკოლაძის ქ. 3. თბილისი. ელ-ფოსტა: nemsadze@yahoo.com
**ღირსება და ერთგულება.**

## გელა ნიკოლაიშვილი



ადვოკატი. უფლებადამცველი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 27 მარტს. მშობლები: თამარ ცაბუტაშვილი, ანტონ ნიკოლაიშვილი; მეუღლე — ქეთევან პერანიძე (1963). შვილები: ბექა (1989), თამარი (1990). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1981); იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინ-ტი (1999). იყო მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის ექსკურსიამძღოლი, მეცნ. თანამშრომელი, სწავლული მდივანი, სამეცნ. განყ-ბის გამგე (1981-92); საქ. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყ. სპეციალისტი (1992); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95); საქ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების ექსპერტ-კონსულტანტი (1996-99). არის ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და პასუხისმგებელი მდივანი (1996 წლიდან). არის ავტორი წიგნებისა „ადამიანის უფლებები საქართველოში: კრიტიკული ანალიზი" (1998) „როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები" (1999), „საქართველოს ციხეები" (2001), „შევაჩეროთ წამება", „პოლიცია და საზოგადოება" (2003), „ადამიანის უფლებები საქართველოში 2005-2006" (ქართ. და ინგლ. ენებზე, 2006), „ფასადური დემოკრატია საქართველოში" (2008), „დემოკრატიის შუქურა (მითი და რეალობა)" (2009). ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით იყო პოლიტპატიმარი (1983-85). იყო ი.ჭავჭავაძის საზ-ბის წევრი (1988-95). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქრთველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 14. თბილისი. ტელ: 93 14 28. (ბინის) ტელ: 22 08 20.
ელ-ფოსტა:gelaniko@yahoo.com
**აკეთე სიკეთე და იყავი სამართლიანი.**

## ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი.



დაიბადა 1961 წ. 10 თებერვალს. მშობლები: მზია კობახიძე, გივი ფაჩუაშვილი; სწავლობდა თსუ ფიზიკის ფაკ-ტზე (1978-79), თსთი-ში (1987-88). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი (1985); თბილისის სასულიერო აკადემია (1992). მუშაობდა კ/ს „ქართული ფილმის" მულტგაერთიანებაში (1986); იყო 150-ე საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი (1987); თბილისის სახელმწ. პედაგოგიური უნ-ტის პედაგოგი (1992 წლიდან). აკურთხეს დიაკვნად (1990), მღვდლად (1991). დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მოძღვრად (1991); ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძრის მოძღვრად (1992); მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვრად (1996); დაინიშნა საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყ-ბის თავ-რის მოადგილედ (1991), საპატრიარქოსთან არსებული წმ. ნინოს სახელობის მისიონერული სასწავლებლის დირექტორად (1995); აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1993); აღიკვეცა ბერად, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1996). იყო ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი (1996-97); ახალციხის ეპისკოპოსი (1997-98); ბოდბელი ეპისკოპოსი (1999); აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (2002) და დაინიშნა ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მთავარეპისკოპოსად. 2006 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში და გახდა ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი. წმ. ნინოს გზაზე ფეხით სამჯერ მოგზაურობისთვის მიენიჭა წმ. ნინოს მორჩილის საპატიო წოდება. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

მისამართი: (რეზიდენციის) დარბინიანის 13. ახალქალაქი. ტელ: (995) 26 22 23 06; ფაქსი: (995) 32 98 27 10.

## ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთისა და სლოვენიის რესპუბლიკებში. ფილოლოგი. ისტორიკოსი.



დაიბადა თბილისში 1965 წ. 9 მაისს. მშობლები: ნატალია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზიშვილი; მეუღლე — ანდრეა ადამოვიჩოვა (1963); შვილები: მარიამი (1990), ალექსი (1991), გიორგი (1997), ანა (2000). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის (1988), თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ხელოვნების (1994) ფაკ-ტები. იყო თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის სტაჟიორი, მეცნ. თანამშრომელი (1988-2000); ყოველდღიური გაზ. — „ივერია ექსპრესის" მთ. რედაქტორი (1993-95); საქ. ახალგაზრდობის საქმეთა სახლმწ. დეპ-ტის თავ-რე (1995-98); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში (1998-2004); საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში (2004-05). 2006 წლიდან არის საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთისა და სლოვენიის რესპუბლიკებში. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაჲ ქართლისაჲს" და „ქართველ მეფეთა ცხოვრების" მიხედვით" (2006). აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდება. არის თსუ სტუდენტური პრეს-კლუბის (1987), საქ. პოლიტიკური კლუბის (1993) დამფუძნებელი და წევრი; ათონის მთის მეგობართა ასოც-ის წევრი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); ქართულ დიპლომატიურ ლექსიკონში (თსუ გამომცემლობა, 1999).

მისამართი: (ბინის) გოგებაშვილის 43, თბილისი. ტელ: 22 63 03.

**სამშობლო, ოჯახი, მართლმადიდებლობა.**

## კოტე ნინიკაშვილი



საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. თეატრმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 20 სექტემბერს. მშობლები: ანა ნახუცრიშვილი, გიორგი ნინიკაშვილი. დაამთავრა თსთი თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1966). იყო საქ. თეატრალური საზ-ბის უფრ. კონსულტანტი (1966-80), პასუხისმგებელი მდივანი (1980-2002). საქ. თეატრალური საზ-ბის თავ-რის მოადგილეა 2002 წლიდან. არის ავტორი წიგნი-ალბომებისა და კრებულებისა: „ვერიკო ანჯაფარიძე" (1968), „კოტე მარჯანიშვილი" (1972), „არჩილ ჩხარტიშვილი" (1975), „ქართული თეატრი" (1977), „მარჯანიშვილის თეატრი" (1978), „რუსთაველის თეატრი" (1981), „დიმიტრი ალექსიძე" (1983), „ზურაბ ანჯაფარიძე" (1989), „გოგი ქავთარაძე" (2000), „რაც მარჯანიშვილელებზე მითქვამს" (2006), „სოფიკო ჭიაურელი" (2008). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1965 წლიდან); საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1987); კ.მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1997); ღირსების ორდენის კავალერი (1997).
ჰობი: მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში.
მისამართი: (სამსახურის) გ.ლეონიძის 11 ა. თბილისი. ტელ: 93 67 55. (ბინის) ხეთაგუროვის 4. ბინა 120. თბილისი. ტელ: 96 00 59.
**ქართული თეატრის ისტორიის კვლევა, თეატრის განვითარებაზე ზრუნვა. თეატრის მოღვაწეთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდური ფორმით.**

## მერაბ ნინიძე



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 3 ნოემბერს. მშობლები: მანანა ახალაძე, ნუგზარ ნინიძე; დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი (1986-91). შესრულებული აქვს როლები ქართულ მხ. ფილმებში: „მონანიება" (1984), „ერთ პატარა ქალაქში" (1985), „ნეილონის ნაძვის ხე" (1985), „საფეხური" (1986), „არომატრიალი" (1986), „თემო" (1987), „ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა" (1991), „მიახლოება" (1989), „გზა ჩალაურისაკენ" (1994). 1990-იანი წლებიდან ცხოვრობს და მუშაობს ავსტრიაში. 2003 წელს ითამაშა თბილისის თეატრალური სარდაფის სპექტაკლში „ვენეციელი ვაჭარი". შესრულებული აქვს როლები უცხოურ ფილმებში: "Luna Papa" (გერმანია, ავსტრია, ტაჯიკეთი, შვეიცარია, იაპონია, რუსეთი, 1999), "England"(გერმანია, 2000), "Bride of the Wind"(დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ავსტრია, 2001), "Nowhere in Afrika" (გერმანია, 2001), "Verlorenes Land" (გერმანია, 2002), „ფოსტალიონი" (გერმანია, საქართველო, 2003), „ქალღმერთის ჯარისკაცი" (რუსეთი, 2008), „მეტეოიდიოტი" (რუსეთი, გერმანია, ფინეთი, ნიდერლანდები, 2008), „შუამავალი" (გერმანია, საქართველო, 2009); სატელევიზიო ფილმებსა და სერიალებში. 1988 წლიდან არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: აბაკელიას 1/46, 0108, თბილისი.

## თემურ ნინუა



მხატვარი.

დაიბადა სოხუმში 1949 წ. 25 სექტემბერს. მშობლები: ვენერა შაველაძე, ალექსანდრე ნინუა; მეუღლე — ირინა შარაშიძე (1950); შვილები: თინა (1978), ანა (1979). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (სცენოგრა-

ფია,1972). იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრისა (1975-80) და სოხუმის კ.გამსახურდიას სახ. სახელმწ. თეატრის მთ. მხატვარი (1994-2005). არის რუსთაველის თეატრის დამდგმელი მხატვარი (1983 წლიდან). გაფორმებული აქვს სპექტაკლები: რუსთაველის თეატრში — „დაკრძალვა კალიფორნიაში" (1982), „ასერგასის დღე" (1985), „ჰამლეტი" (1986-87), „სტიქსი" (2005), „პრეზიდენტი, ჯარისკაცი და დაცვის ბიჭი" (2005), „თორმეტი განრისხებული მამაკაცი" (2006), „ქალას ჩიტი მომკვდარიყო" (2007), „ყველაფერი არაფერზე" (2007); ოპერისა და ბალეტის თეატრში — „იყო მერვესა წელსა" (1983); მარჯანიშვილის თეატრში — „ლამბალო და ყაშა" (1988); ბრატისლავის დრამატულ თეატრში — „ფსკერზე" (1985); რუსთავის თეატრში — „კომბლე" (1976); მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრში — „ბურატინოს თავგადასავალი" (1978), „ყველაფერი ყირამალა" (1976), „მზის ჩასვლის წინ" (1980), „ლილეო" (1988), „ორი ბატონის მსახური" (1982); მეტეხის თეატრ-სტუდიაში — „12 განშორება" (1978); ბათუმის ი.ჭავჭავაძის სახ. თეატრში — „ორი ბატონის მსახური". მონაწილეობდა გამოფენებში: „ქვეყნის სიჭაბუკე" (მოსკოვი, 1976); „საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება", (მოსკოვი, 1987). მიღებული აქვს პრაღის საერთაშ. სცენოგრაფიის კვადრიენალეს ოქროს მედალი (1979), გ.შერვაშიძის სახ. პრემია (2000); დასახელდა წლის საუკეთესო მხატვარ-სცენოგრაფად (2007). არის აფხაზეთის დამს.მხატვარი (1996); საქ. მხატ. კავშირის წევრი (1977 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ჯაზი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0118. (ბინის) ირ. აბაშიძის 46, ტელ: 22 22 69.

**ესთეტიზმი, ინფორმაცია, პროფესიონალიზმი.**

## ირმა ნიორაძე



სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის პრიმა-ბალერინა.
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 15 ივნისს. მშობლები: ჟონა მაჭარაშვილი, ამირან ნიორაძე; შვილი — ილია (2000). დაამთავრა თბილისის სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (1987). იყო ლენინგრადის სახელმწ. ქორეოგრაფიული აკად. თეატრის სტაჟიორი (1987-88); თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1989-90); კოპენჰაგენის სამეფო თეატრის სტაჟიორი (1991). 1992 წლიდან არის სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის სოლისტი და პრიმა ბალერინა. ცეკვავდა მთ. პარტიებს სპექტაკლებში: „ჟიზელი", „კორსარი", „დონ კიხოტი", „ბახჩისარაის შადრევანი", „ფასკუნჯი", „სერენადა", „შეჰერეზადა", „გედის ტბა", „ამორძალები", „ლაურენსია", „დემონი", „ლეგენდა სიყვარულზე", „მძინარე მზეთუნახავი", „რაიმონდა", „ბაიადერა", „გოია" (ხოსე ანტონიონი), „დო მაჟორი" (ბალანჩინი), „ბროლის სასახლე", „ფერიას კოცნა", „ექსტაზის პოემა", „კარმენი" (რ.ბეტი), „მანონ ლესკო", „აპოლონ მუსაგეტი" და სხვ. 1998 წელს შეასრულა მთავარი საბალეტო პარტია კ.სიმონოვის მიერ მორიკონეს მუსიკაზე სპეციალურად მისთვის დადგმულ მინიატურაში „მონოლოგი ქალზე". არის აშშ მსოფლიო საერთაშ. საბალეტო კონკურსის ლაურეატი (ჯექსონი, 1990); ღირსების ორდენის კავალერი (1996); საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1997); სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის წლის საუკეთესო ბალერინა (2000); რუსეთის დამსახურებული არტისტი, რუსეთის ქალთა პრემიის —„ოლიმპია"-ს ლაურეატი (2002); ყოველწლიური პრემიის „პოზიტანო 2003 — ცეკვის ხელოვნებისათვის" ლაურეატი (იტალია, 2003). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ვიოლინო. ჰერბარიუმი.

მისამართი: (ბინის) Санкт-Петербург. Крюков канал д. 5. кв. 32. ტელ: 272 69 53 თბილისი. ვაჟა-ფშაველას 73ა, IVკ. ბ. 82.

**მივაღწიო სრულყოფას საბალეტო ხელოვნებაში**

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ



საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: მედეა იაშვილი, ჯუმბერ ნიჟარაძე; მეუღლე — ქეთევან ფანცხავა (1958); შვილი — თამარი (1984). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით (1978); ასპირანტურა (მოსკოვი); უმაღლესი მენეჯმენტის საერთაშ. სკოლა (ქ. ბრდო, სლოვენია). იყო თსუ, საქ. მეცნ. აკადემიის გეოგრაფიის ინ-ტის, ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის, საგარეო ეკონ. ასოც-ის — „იყალთო XXI", 46-ე საშ. სკოლის, ავიაკომპანია „ორბის", მსოფლიო ბანკის, საქ. საავიაციო ტრანსპორტის დეპ-ტის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს თანამშრომელი. არის საქ. რაგბის კავშირის პრეზიდენტი.
ჰობი: კულინარია.
მისამართი: (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა, თბილისი. ტელ: 20 45 35; ფაქსი: 20 45 95;
ელ-ფოსტა: office@rugby.ge
**ღმერთი, სამშობლო, ოჯახი და მეგობრები.**

## ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ



საქართველოს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1928 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: მართა თარხნიშვილი, არჩილ ნიჟარაძე; მეუღლე — ციცინო ციციშვილი (1936); შვილები: ნინო (1959), ანა (1969). დაამთავრა თსსა დაზგური ფერწერის ფაკ-ტი (1955). იყო თსსა ხატვის კათედრის პედაგოგი (1965-72); თსსა რექტორი (1982-87). მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, თეატრალურ, კინო და კედლის მხატვრობაში. მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „მოხუცი მამლით" (1976), „ანა ნიჟარაძის პორტრეტი" (1980), „აფროდიტა და არესი" (1995), პანო თბილისის ქორწინების სასახლეში (1982) და მრავალი სხვა; თეატრალური ნამუშევრები: რიჰარდ შტრაუსის „სალომე" (1985), ვივალდის „წელიწადის დროჲ" (1990). არის საქ. სახალხო მხატვარი (1979); ფერწერის საერთაშ. ბიენალესა (1978) და რუსთაველის პრემიის (1985) ლაურეატი; რუსეთის სამხ. აკად-ის საპატიო წევრი (2004); ღირსების ორდენის კავალერი (2005). მხატვ. კავშირის წევრია 1958 წლიდან. 2009 წელს მიენიჭა ეროვნული პრემია. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჩოგბურთი.
მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37ბ, თბილისი 0038. ტელ: 33 72 33.
**იმ მიზნების და ამოცანების განხორციელება, ხორცშესხმა, რომლებიც ადამიანის ცნობიერში თუ ქვეცნობიერში არსებობს, როგორც მისწრაფება. ზედმეტის მოცილება, დახვეწა, ხარისხი.**

## ᲙᲐᲮᲐ ᲜᲣᲠᲐᲚᲘᲫᲔ



ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა 1973 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: გულიკო გიორგაძე, იური ნურალიძე; მეუღლე — სოფიო ჭედია (1974); დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1996). არის ექიმი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი; ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქ. ეროვნ. სამედიცინო ცენტრის გენ. დირექტორი; მედიცინის მეცნ. დოქ-

ტორი, პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: — „ზოგადი ანესთეზიის მეთოდების ოპტიმიზაცია აბდომინურ ქირურგიაში კარდიოლოგიური პათოლოგიის დროს" (2008). არის 10 სამეცნ. ნაშრომის და ერთი მონოგრაფიის ავტორი. არის იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი; ქუთაისის საკრებულოს წევრი, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველო, დრო, ადამიანები" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). „საქართველოს ცნობილი ოჯახები" (2007), „სახელები" (2008).
ჰობი: ფეხბურთი, ბილიარდი.
მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 83ა, ქუთაისი 4600. ტელ: (+995) 2315 16 16; ფაქსი: (+995) 23 15 16 19. (ბინის) ნინოშვილის 10, ქუთაისი. ტელ: 7 21 50. ელ-ფოსტა: kaxabery@mail.ru
**პატიოსნება, გარშემომყოფთა პატივისცემა, ღვთის სიყვარული, მშობლებისა და მეუღლის სიყვარული, სამშობლოს დაცვა, თავგანწირულებამდე მიყვანილი პროფესიონალიზმი.**

## ნოდარ ნუცუბიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ბიოტექნოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1928 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: მარიამ იშხნელი, ნიკოლოზ ნუცუბიძე; მეუღლე — ლეილა დევიძე (1928); შვილები: ნუგზარი (1950), ნინო (1958). დაამთავრა ს/ს ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1952), ასპირანტურა (1955). იყო ბოტანიკის ინ-ტის უმც. (1956-58) და უფრ. (1958-65) მეცნ. თანამშრომელი; არის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის ლაბორატორიის გამგე და დირექტორის მოადგილე (1965 წლიდან). კითხულობს ლექციებს (ბიოქიმია, ორგან. ქიმია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბიოტექნოლოგია) აგრარულ უნ-ტსა და ზოოვეტერინარულ ინ-ტში (1963 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აზოტის ასიმილაცია ვაზში" (1970). გამოქვეყნებული აქვს 270 სამეცნ. ნაშრომი; 2 მონოგრაფია: „აზოტის ასიმილაცია ვაზში" და „მცენარის აზოტური კვება და ცვლა". არის ავტორი სახელმძღვანელოსი „ბიოტექნოლოგია"; წიგნისა „ჩემი გადასახედიდან დანახული ცხოვრება და ქვეყანა" (2008). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999). იყო საზ-ბა „ცოდნის" აკადემიის განყ-ბის თავ-რის მოადგილე (1967-94). არის ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი; საქ. ბიოქიმიკოსთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1971 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ. თბილისი, 0159. ტელ: 52 40 27. (ბინის) ნუცუბიძის III მ/რ. კვ. 2. კორპ. 2. ბ. 14. თბილისი. ტელ: 32 15 57.
**ჩემთვის დამახასიათებელია სამშობლოს სიყვარული, ოჯახის სიმტკიცე და სიყვარული, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, სახელმწიფოს მიერ არჩეული მმართველობისადმი და სამსახურისადმი ერთგულება და უღალატობა.**

## გიორგი ოვაშვილი



რეჟისორი. სცენარისტი. ოპერატორი. პროდიუსერი.

დაიბადა მცხეთაში 1963 წ. 14 ნოემბერს. მშობლები: ლილი როსტიაშვილი, აივენპო ოვაშვილი; მეუღლე — ნინო დევდარიანი; შვილები: ბაჩანა, ელისაბედი, ალექსანდრე. დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1996), ნიუ-იორკის კინოაკადემიის სარეჟისორო ფაკ-ტი (2006). არის სცენარის ავტორი, რეჟისორი და პროდიუსერი მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა: „ყველაზე მოკლე ამბავი (1993), „ვაგონეტი" (1996), „მდინარე" (დოკ/ფ., 2003), „ზღვის დონიდან" (2004), „კავშირი" (2005); რეჟისორი ფილმებისა: „გაუგებრობა" (1998), „მირაჟი" (დოკ/ფ., 2000); რეჟისორი და პროდიუსერი მხ. ფილმისა „გაღმა ნაპირი" (2009). მიღებული აქვს ჯილდოები ფილმისათვის „ვაგონეტი": „ოქროს არწივი" (თბილისი, 1996), პრიზი „ოქროს ლამე" (მოსკოვი, 1997), საერთაშ. ჟიურის სპეც. პრიზი (კ/ფესტ. „მოლოდისტ", უკრაინა, 1997); ფილმისათვის „ზღვის დონიდან": გრან-პრი (საერთაშ კ/ფესტ. „სამხრეთი-სამხრეთი", მაროკო, 2004), პრიზი „ოქროს დიდორი" (ტაჯიკეთის საერთაშ. კ/ფესტ. „ოქროს დიდორი", 2004), ნიუ-იორკის კინოაკადემიის ჯილდო (ბერლინალე, 2005), საერთაშ. ჟურის პრიზი (დანიის საერთაშ. კ/ფესტ., 2005). ფილმს „გაღმა ნაპირი" 2009 წელს მიღებული აქვს: ევროპის კინოაკადემიის, საბერძნეთის, ინდოეთის, საფრანგეთის, რუსეთის ბელორუსიის, იტალიის, ნიდერლანდების, უკრაინის, თურქეთის, რუმინეთის, დანიის, სომხეთის, აშშ, გერმანიის, ბელგრადის კინოფესტივალების ჯილდოები და ჟიურის სპეც. პრიზები, მათ შორის: ფიპრესცის პრიზი (ვისბადენი), პრიზი „მეტრობუსი" (პარიზი) — საუკეთესო დებიუტისა და საუკეთესო რეჟისურისათვის.

ჰობი: ცხოვრება.

მისამართი: გორგასლის 39, ბ. 54, თბილისი 0114. ტელ: (+995) 32 &2 37 88; 899 53 02 82.
ელ-ფოსტა: thunder_finder@yahoo.com; www.theotherbank.info

**მიზანდასახულობა, შრომა.**

## დევი ოვაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი-ეპიდემიოლოგი.

დაიბადა ახალგორში 1968 წ. 6 დეკემბერს. მშობლები: ციალა ზანგურაშვილი, როლანდ ოვაშვილი; მეუღლე — ნინო ჩანტლაძე (1968); შვილები: დავითი (1989), სოფიო (1991), მარიამი (1994), დემეტრე და თინათინი (2005). დაამთავრა თსსუ (1991). იყო დაბა ახალგორის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მთ. ექიმი (1992-93); ახალგორის საკრებულოს წევრი (2002-06); სს „ლომისის" დამფუძნებელი (1993-2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე.

ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 38. (ბინის) ბახტრიონის 7, ბ. 7, თბილისი.

**„არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს".**

## ვაჟა ოთარაშვილი



საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.
ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

დაიბადა კასპში 1955 წ 7 ნოემბერს. მშობლები: ნინო კიტრიაშვილი, გიორგი ოთარაშვილი; მეუღლე — რუსუდან ხუციშვილი (1957); შვილები: ნინო (1980), მაია (1981), გიორგი (1985), ლექსო (1990). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1976), ასპირანტურა (1985). იყო საქკვებმრეწვის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის უფრ. ინჟინერი (1977-80); მწერალთა ასოც. „გულანის“ ვიცე-პრეზიდენტი და გამომცემლობა „გულანის“ დირექტორი (1989-92); საქ. პარლამენტის წევრი და იურიდიული კომისიის მდივანი (1992-95); პარლამენტის ფრაქცია „ლეიბორისტის“ აპარატის უფროსი (1996-98). არის სტუ პედაგოგი (1981 წლიდან); საქ. მწერალთა კავშირის თავ-რის მოადგილე (2004 წლიდან); გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი (2005 წლიდან). არის ავტორი ლექსების კრებულებისა: „ხილვადობა“ (1986), „თოვლისფერი ღამეები“ (1989), „გველის წელინადი“ (1990), „ჩემი გულუბრყვილო ლანდი“ (1991), „ცრემლები ქარში“ (1999), „ხეკორძულელის აღსარება“ (2001), „ცის სარკმელები“ (2003), „მწუხარე ბედნიერება“ (2006), „XXI“ (2008). არის ალმა-ატის პოეზიის ფესტივალის (1987), ასოც. „გულანის“ (1991), საქ. მწერალთა კავშირისა (2000) და გ. ტაბიძის სახ. (2004) პრემიების ლაურეატი; საქ. მწერალთა კავშირის წევრი (1992 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია უცხოურ ცნობარებში (გერმანია, ბულგარეთი, რუსეთი და სხვ.); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა.
მისამართი: (სამსახურის) მხატვრის ქუჩა 4, თბილისი. ტელ: 31 70 47; 32 73 62; 899 25 60 14. (ბინის) დიღმის მასივი მე-5 კვ. მე-14 კორპ. ბ. 80, თბილისი. ტელ: 52 60 14.
**ჩემი ლექსიდან:**
**„ქარი სანთელს ხატთან გიქრობს,**
**მაგრამ ანთებ, რწმენას -მწეს**
**წერე ისე, როგორც ფიქრობ**
**და იცხოვრე, როგორც წერ.“**

## ვაჟა ოკუჯავა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ნეიროფიზიოლოგი, ნევროლოგი, ნეიროფარმაკოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 25 თებერვალს. მშობლები: ნინო მოდებაძე, მიხეილ ოკუჯავა; მეუღლე — ზეინაბ ანთაძე (1936); შვილები: ნათელა (1967), მაია (1969), მიხეილი (1971). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1956); ფიზიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1959). იყო კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1961-2000); მიწვეული მეცნიერი ნევროლოგიურ დაავადებათა და ინსულტის ეროვნულ (აშშ, 1967-68) და მაქს პლანკის სახ. ტვინის კვლევის (გერმ., 1970) ინ-ტებში; თსსი პრორექტორი სამეცნ. დარგში (1973-75); საქ. მეცნ. აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1975-80); თსუ რექტორი (1980-85); ფიზიოლოგიის ინ-ტის უჯრედის ფიზიოლოგიის, პათოლოგიის და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1978-90); რადიოლოგიისა და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინ-ტის ნევროლოგიური ელექტროდიაგნოსტიკის განყ-ბის გამგე (1993-97). არის თსუ პროფესორი (1967 წლიდან); ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1985 წლიდან); ექსპ. ნევროლოგიის ს/კ ცენტრის დირექტორი (2000 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქში დენდრიტთა აქტივობის ელექტროფიზიოლოგიური და ფარმაკოლოგიური ანალიზი“ (1960), სადოქტორო — „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“ (1966). არის 250 სამეცნ. პუბლიკაციის, მათ შორის 5 მონოგრაფიის, ავტორი. არის ტვინის შემსწავლელი საერთაშ. ორგანიზაციის (IBRO, 1962 წლიდან), დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგთა საზ-ბების კავშირის გამგეობის (2003 წლიდან), ეპილეფსიის ევროპული აკადემიის (EUREPA, 1998), ეპილეფსიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშ. ლიგის (ILAE) და ეპილეფსიის საერთაშ. ბიუროს (IBE) წევრი; მეცნიერების დამს. მოღვაწე. არის საქ. ფიზიოლოგთა საზ-ბის პრეზიდენტი (1975 წლიდან). იყო საერთაშ. ჟურნალების: „Electroencepha-

lography and Clinical Neurophysiology" კონსულტანტ-რედაქტორი (1978-88); „Neurophysiology" — სარედაქციო საბჭოს წევრი (1975-90); არის ჟურ. „Epilepsy Research" კონსულტანტ-რედაქტორი (1997 წლიდან); ივ. ბერიტაშვილისა (1981) და ხორეზმის (1999) სახ. საერთაშ. სამეცნ. პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „2000 Outstanding People of the 20th Centuary", „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა. მხატვრული ლიტერატურა. ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) გუდამაყრის 2ა, თბილისი 0192. ტელ: 66 20 54. ფაქსი: 22 19 65. (ბინის) ი.ნიკოლაძის 6, ბ.22. თბილისი 0179. ტელ: 23 35 51. ელ-ფოსტა: okujava@geo.net.ge
**ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი უნდა იცავდეს კარგი ქცევის უპირველეს წესს: შეეცადეთ, რომ მოძრაობისას ხელი არავის ჰკრათ; მუშაობის სფეროში კი ძირითადია მაღალი პროფესიონალიზმისა და პრინციპულობის მკაცრი მოთხოვნა, თუმცა განსხვავებული აზრისადმი გულისყურით მოპყრობა, ანგარიშის გაწევაა აუცილებელი, და ბოლოს, აუცილებელი პირობაა დამწყებ და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერა და წახალისება.**

## გიორგი ონიანი



აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1973 წ. 30 აგვისტოს. მშობლები: ჟუჟუნა ძონენიძე, გიგლა ონიანი; მეუღლე — ეკატერინე ონიანი (1974); შვილები: თამარი (1996), მარიამი (2000), ალექსანდრე (2003). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1995), ასპირანტურა (1998). იყო ქუთაისის სახელმწ. უნ-ტის მათემატიკის კათედრის დოცენტი (1997- 2000); პროფესორია 2000 წლიდან. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია (1996 წელს), სადოქტორო — 1998 წელს. იყო საქ. მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელი მსოფლიოს მათემატიკურ ოლიმპიადაზე (გლაზგო, 2002). არის ახალგაზრდა მეცნიერთა ასოც-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი; რეფერენტი ჟურნალებისა: „Georgian Mathematical Journal", „Proseedings of A. Razmadze Mathematical Institute", „Zentralblatt MATH". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) თამარ მეფის 59, ქუთაისი 4600. ტელ: (+995 231) 4 35 32; (ბინის) მ.კოსტავას 34, ქუთაისი 4600. ტელ: (+995 231) 4 25 15. ელ-ფოსტა: oniani@atsu.edu.ge

## თენგიზ ონიანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. პროფესორი.

დაიბადა ლენტეხის რ-ნის სოფ. სასაშში 1928 წ. 25 ივნისს. მშობლები: აგრაფინა ფოჩიანი, ნესტორ ონიანი; მეუღლე — ელისო კეცხოველი (1930); შვილები: ნიკოლოზი (1956), ლელა (1958). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო თსუ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი (1954-58); ფიზიოლოგის ინ-ტის უმც. (1958-62), უფრ. (1962-67) მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1968 წლიდან), დირექტორი (1975-80); საქ. პარლამენტის წევრი (1996-99). არის მეცნ. აკადემიის ბიომედიცინის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი 1980 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგიის საკითხები" (1958), სადოქტორო — „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოებში" (1964). გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის წიგნები: „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგია" (1965), „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოში" (1970), „ლიმბური სისტემის ინტეგრაციული ფუნქცია" (1976), „მეხსიერების და ძილ-ღვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგია" (ოთხი კრებული) და სხვა. არის ავტორი მოთხრობების კრებულებისა: „ბეთქილის ბილიკებზე" (1962), „ბასრა და ბუნჩა" (1967), „ლაშხეთიდან ზეკარამდე" (1972), „ჯარაში და აშდარი" (1975). არის მეცნ. დამს. მოღვაწე; ივ.თარხნიშვილისა (1965) და ივ.ბერიტაშვილის (1983) სახ. პრემიების

ლაურეატი; უნგრეთის ფიზიოლოგთა საზ-ბის საპატიო წევრი; IBRO-ს, „ინტერმოზგ"-ის, ძილის შემსწავლელი მსოფლიო და ევროპული ასოც-ების, საქ. ფიზიოლოგთა საზ-ბებისა და აგრესიის შემსწავლელი საერთაშ. ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „The International Directory of Distinguished Leadership"; „Биологи" (Киев 1984, 2000); „Millennium Medal of Honour" (USA, 1998); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მოვლა.
მისამართი: (სამსახურის) გოთუას 14. თბილისი 0160. ტელ: 37 11 54. (ბინის) გოთუას 16. ბ.114. თბილისი 0160 . ტელ: 37 43 13.
**„ზურგზე მკიდია განკითხვის გუდა**
**და სულში რეკენ ლოცვის ზარები,**
**ცოტა მარგუნე უფალო მუდამ,**
**ვალს ნუ დამადებ, გემუდარები".**

## ლაშა ონიანი



მიმოდრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მსახიობი.

დაიბადა ქუთაისში 1966 წ. 2 თებერვალს. მშობლები: მზია მეშველიანი, ბიჭიკო ონიანი; მეუღლე — თინათინ ებიაშვილი (1968); შვილი — ლუკასი (2002). დაამთავრა თსთი კინოსა და დრამის ფაკ-ტი — პანტომიმის სრული კურსი (1989). არის კომპანია „მიმოდრამის" სამხ. ხელმძღვანელი (1994 წლიდან). 1999 წლიდან დგამს დიდ წარმოდგენებს სტადიონებზე. 2006 წელს დააარსა შემოქმედებითი გაერთიანება ART-TRANSFERI. 2002 წლიდან დგამს თანამედროვე შოუებს. არის ავტორი ფილმებისა: „ისეი" (1995), „მიმოდრამა 200?" (2001), „უსასრულობა" (2002), „მანდილი" (2002) და დოკუმენტური ფილმისა „ჩანახატი საკუთარ შემოქმედებაზე" (1994); სპექტაკლებისა: „ფაუსტი", „ჰამლეტი„, „ლაბირინთი", „კარმენი"; შოუებისა: „Cenesis", „Georgian Energi", „საქართველო სამოთხის ნაწილია". დადგმული აქვს „ალიანს არენის" გახსნის ცერემონიალი მიუნხენში; ჩემპიონთა ლიგის ფინალები — 2003, 2006, 2009 წლებში (გელზენკირხე, პარიზი, რომი). მიღებული აქვს პრემია „ქართული ცეკვის საუკეთესო შემსრულებელი" (1972); ა/კ პრემია (1981-82). არის მონაწილე ფესტივალებისა: ხარკოვი-კიევი (1976), ბერლინი-79, მოსკოვი-81. დაჯილდოებულია მედლებით ცეკვის ფესტივალებზე საქართველოში (1971-82); მიღებული აქვს გრან-პრი ტაშკენტის, კიოლნის, კიევის, პეტერბურგის ფესტივალებზე. მისი შემოქმედება აღნიშნულია საუკეთესო სპექტაკლების კრებულში „Tet-ATet" (1998) და კრებულში „საპარტნიორო ურთიერთობა თბილისსა და საარბრიუკენს შორის" (2000). არის შექსპირის ფესტივალის ლაურეატი (გერმანია „ნოისი"); გოეთეს ნაწარმოებების ფესტივალის დიპლომანტი (გერმანია). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი, კრივი, ჭიდაობა.
მისამართი: (ბინის) ზაარბრუკენი 66115, ობერე ჰოლგასეს 11. გერმანია. ტელ: +49 681 89 4718
**შემოქმედებითი ცხოვრების მიმართ დაუზარელი შრომა.**

## დავით ონოფრიშვილი



პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. ეკონომისტი. პროფესორი.

დაიბადა 1961 წ. 8 იანვარს. მშობლები: ლიანა თაბაგარი, თენგიზ ონოფრიშვილი; მეუღლე — ნატო ფანჩულიძე (1968); შვილები: ელისაბედი (2001), ანასტასია (2006). დაამთავრა თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით (1984); რუსეთის სახალხო მეურნეობის პროგნოზირების ინ-ტის ასპირანტურა (1991); აშშ კოლუმბიის უნ-ტის მაგისტრატურა ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სპეციალობით (ნიუ-

იორკი, 1994). იყო სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1984-87); საქ. ფინანსთა სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის დეპ-ტის უფროსის მოადგილე (1993); მსოფლიო ბანკის ექსპერტი-კონსტულტანტი (ვაშინგტონი, თბილისი 1994-95); საქ. პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავ-რე (1995-98); საქ. ფინანსთა მინისტრი (1998-2000); საქ. რკინიგზის დირექტორთა საბჭოს თავ-რე (2004-05); შპს "დჯ ინვესტმენტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2006-09). ქართველ მასკელთა კავშირის გამგეობის თავ-რეა 2009 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ტურიზმისა და დასვენების სფეროს ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნა საქართველოს მაგალითზე" (1991). არის ეკონომიკურ მეცნ. დოქტორი; არის 20-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. კითხულობდა ლექციებს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის შესახებ აშშ-ს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. იყო ვანდერბილთის უნ-ტის (ნეშვილი, ტენესისი შტატი, აშშ) ასოც. პროფესორი (2003-04). პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარეა 2009 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".

ჰობი: ფეხბურთი, მუსიკა კინო.

მისამართი: (სამსახურის) ჩერქეზიშვილის 4, თბილისი 0108. ტელ: 10 48 83; ელ-ფოსტა: donopri@yahoo.com

**სამართლიანობა, პატიოსნება, პროფესიონალიზმი.**

## ვაჟა ორბელაძე



საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 3 თებერვალს. მშობლები: ფლორა დუმბაძე, ალექსანდრე ორბელაძე; მეუღლე — ლალი შავდია (1946); შვილი — ზაზა (1972). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1965). 1965 წლიდან ეწევა არქიტექტურულ საქმიანობას. არის ავტორი ნამუშევრებისა: რიტუალების სასახლე (ვ.ჯორბენაძესთან ერთად, 1984), „მაკდონალდსის" შენობა (რუსთაველის მოედანზე, 1999). ხელმძღვანელობდა სარებილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს თბილისში (1975-2009), სიღნაღში (2006-08), მცხეთასა და ბათუმში (2008 წლიდან). არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2009); თბილისის საპატიო მოქალაქე (2008); საქ. დამს. არქიტექტორი; ღირსების ორდენის კავალერი (2008). საქ. არქიტექტორთა კავშირის წევრი.

ჰობი: მხატვრობა.

მისამართი: შიო მღვიმელის 6ა, თბილისი. ტელ: 22 52 60.

**შრომა.**

## ნიკო ორველაშვილი



ეკონომისტი. სამართალმცოდნე.

დაიბადა გურჯაანში 1963 წ. 19 აპრილს. მშობლები: ქეთევან კუტიბაშვილი, რევაზ ორველაშვილი; მეუღლე — მარი კოლიანსკაია; შვილები: რუსუდანი (1992), ანანო (1997). დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი (1985); საქ. მეცნ. აკად-ის ეკონომიკის და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1998); თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინ-ტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით (2001). იყო საქ. ბუნების დაცვის საზ-ბის რესპ. პრეზიდიუმის განყ-ბის უფროსი (1989-91); სამეცნ. ჟურნალ „ეკონომისტის" საერთო-ეკონომიკური განყ-ბის რედაქტორი (1990-92); ეკონომიკის სამინისტროს განყ-ბის უფროსი (1992); პარლამენტის ექსპერტი (1992-93); მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკური რეფორმის შტაბის პასუხისმგებელი მდივანი (1993); საქ. ეკონომიკის რეფორმირებისა და განვითარების საერთაშ. ცენტრის საბჭოს თავ-რე (1994-98); ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდის „Junior Achievement – Georgia"-ს პრეზიდენტი (1995-2000); საქ. ეკონომიკური განვითარების ინ-ტის გამგეობის თავ-რე (1998-2002) და მთ. ექსპერტი (2002 წლიდან); ევროკავშირის პროექტის – „საქართველოს საგადასახადო სისტე-

მის რეფორმის მხარდაჭერა" – ექსპერტი, ექსპერტთა გუნდის ლიდერის მოადგილე (2003-04); გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზ-ბის (GTZ) რამდენიმე პროექტის (2003-05) და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის – „საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ეროვნული პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა"— ექსპერტი (2005); თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკად-ის ასოც. პროფესორი (2006 წლიდან). არის თანაავტორი შრომებისა: „საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმის კონცეფცია" (2002), „საქართველოს საგადასახადო კოდექსის პროექტი" (2003). იყო საქ. მწვანეთა (1990-93) და ლიბერალური (2002-05) პარტიების წევრი. 2006 წლიდან არის პოლიტიკური პარტია „ეროვნული ფორუმის" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კლასიკური მუსიკა (განსაკუთრებით, კლასიკური გიტარა) და ფოლკლორი. პოეზია. ფოტოხელოვნება. მოგზაურობა და ლაშქრობები.

მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 30, თბილისი. ტელ: 99 65 77. (ბინის) ნუცუბიძის მე-3 მ/რ., მე-2 კვ., მე-9 კორპ., ბ. 45. თბილისი 0183. ტელ: 53 60 07. ელ-ფოსტა: n.orvel@orvel.ge

**ვიყო მართალი ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე; არ ვემსახურო ავსა და ბოროტს; არ ვაკეთო ის, რისიც არ მჯერა; შეძლებისდაგვარად ვებრძოლო სიყალბეს ყველგან და ყველაფერში; არასდროს მივეცე თვითკმაყოფილებას და მუდამ ვეძიო სრულყოფილება; ვიყო ბედის მადლიერი ბოძებულისთვის და ბოლომდე დავიხარჯო სიკეთის, მშვენიერების და სიყვარულის სამსახურში.**

## იზა ორჯონიკიძე



პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 21 ნოემბერს. მშობლები: თამარ სრესელი, არჩილ ორჯონიკიძე; შვილი — მაია (1959). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი და მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნ-ტის სლავური განყ-ბა (1965). იყო გამომცემლობების: „საბჭოთა საქართველო" (1967-68), „მერანი" (1968-76), „ნაკადული" რედაქტორი; ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმის დირექტორი (1976-82); გამომც. „მერანის" მთ. რედაქტორის მოადგილე (1982-89). ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმის დირექტორია 1989 წლიდან. არის 15-ზე მეტი ორიგინალური და თარგმნილი წიგნის ავტორი, მათ შორის: კრებულებისა „ჩემი ოდისეა" (1968), „ქვის სასთუმალი", „ნათელი", „ავტოპორტრეტი", „აქ სამუდამოდ", „ჩემი საბრალო შეშლილი დედა", სრული კრებულის — „ოდესღაც და ... სულ ახლახან" (1999), „მოდი სიყვარული დავიწყოთ" — პროზა (ესკიზები, ესე და სხვა. 2000) „რომაული არდადეგები" (2005), „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა"(2006); თარგმანებისა: „ახალბერძნული პოეზია", კ.კავაფისის „სულის სახლში", „გიჟმაჟი ბრონეული", „ანა ახმატოვას 50 ლექსი" (2000); „ქარში ნამღერი" (იან პოლახის ლექსების კრებული, 2006). 2009 წელს გამოვიდა მისი ლექსების სრული კრებული „ორი დღეკეთილი", პროზა — „გამოძახილი", მოგონებების წიგნი „თავნყარო", თარგმანების სრული კრებული. იყო საქ. მწერალთა კავშირის წევრი (1968-90). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1999), ღირსების ორდენის კავალერი; ნ.ნიკოლაძის (2000), ი. ჭავჭავაძის (2008) და შ.რუსთაველის (2009) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: თეატრი, ოპერა, კლასიკური მუსიკა. სახვითი ხელოვნება. ყვავილები. ძაღლები. ფეხბურთი!

მისამართი: (სამსახურის) ჭანტურიას 8, თბილისი 0104. ტელ: 99 86 67, 93 28 90. (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ. 15, თბილისი. ტელ: 39 80 33.

**მიყვარს ადამიანი და ვცდილობ გავუადვილო ცხოვრება ყველას, ვისაც ეს სჭირდება, განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდობას. ჩემი სამშობლოსათვის მოღვაწე უანგარო ადამიანების ხსოვნას ვუვლი და ვუფრთხილდები! მძულს სიცრუე და ორპირობა! რასაც მივაღწიე ყველაფერი შრომის, სწავლის და უფრო მეტი ღვთის წყალობაა.**

## დავით ოქიტაშვილი



საქართველოს ხელოვნების პროფესიული კავშირების პრეზიდენტი.
ინჟინერ-ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 9 დეკემბერს. მშობლები: კლარა გოშაძე, მურმან ოქიტაშვილი; მეუღლე — ირინე დოლიძე (1971); შვილები: თამარი (1995), ელისაბედი (2000). დაამთავრა სტუ მეტალურგიული (1991) და თსუ ეკონომიკის (1996) ფაკ-ტები. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1984-86). ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას (1986-99). იყო საქ. სახელმწ. კანცელარიის კულტურის, მეცნიერების, განათლების ახალგაზრდულ საქმეთა განყ-ბის რეფერენტი (1996); თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი (2000-04); თბილისის მერიის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი (2004-06); კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ღონისძიებების დეპ-ტის უფროსი (2006-09). არის საქ. თეატრალური უნ-ტის პედაგოგი; საქ. ხელოვნების პროფესიული კავშირების პრეზიდენტია 2004 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თხილამურებით სრიალი.
**რასაც იტყვი, ის უნდა გააკეთო და არასოდეს არ უნდა მოიტყუო. ადამიანს რასაც შეპირდები, ის უნდა აუცილებლად შეუსრულო.**

## კახა ოქრიაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 21 მარტს. მშობლები: გიული ციხელაშვილი, გიორგი ოქრიაშვილი; მეუღლე — ლინა თოფურია (1967); შვილი — გიორგი (1989). დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1989). იყო დმანისის რ-ნული საავადმყოფოს სანიტარი (1982-83); სოფ. განთიადის საექიმო ამბულატორიის მთ. ექიმი (1989-90); დმანისის რ-ნული საავადმყოფოს მეან-გინეკოლოგი (1990-95); შპს „პსპ"-ს გენ. დირექტორი (1995-2003). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. ბიზნესი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 80. (ბინის) სოფ. ნავკისი. ტელ: 899 43 55 00.
**სამშობლო, თავისუფლება, პასუხისმგებლობა.**

## მაია ოშხარელი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.
იურისტი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 17 ივლისს. მშობლები: ქეთევან ყურაშვილი, ელგუჯა ოშხარელი; მეუღლე – ბადრი გოგლიძე (1958); შვილები: ნოდარი (1989), მარიამი (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო თბილისის ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯის მასწავლებელი (1987-99); საქ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ნაძალადევის რ-ნის ადვოკატურის ადვოკატი (1991-99); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე; თბილისის დამოუკიდებელ უნ-ტ „იბერიას" იურიდიული ფაკ-ტის პედაგოგი (1994-2000); თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე (1999-2006). საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 2006 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი.
**შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, პასუხისმგებლობა.**

## ხათუნა ოჩიაური



საქართველოს პარლამენტის წევრი. არქიტექტორი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 9 ივნისს. მშობლები: გული ლორთქიფანიძე, გოგი ოჩიაური; მეუღლე — ირაკლი ზაუტაშვილი (1957); შვილები: გიორგი (1984), მარიამი (1994). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1982), ასპირანტურა (1988). იყო „საქგიპროსოფლმშენის", დიზაინერთა კავშირის არქიტექტორი. იყო თსსა-ს პედაგოგი (1982-2005); საკრებულოს წევრი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე. ავტორია ნამუშევრებისა: „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი" (თბილისი, 2005); „ნობელის მუზეუმი" (ბათუმი, 2006); „სიღნაღის ისტორიული მუზეუმი" (2007). არის საქ. დიზაინერთა კავშირის წევრი.
ჰობი: ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 877 15 05 10. (ბინის) ხვიჩიას 4, თბილისი. ტელ: 33 25 35; ელ-ფოსტა: khatuna_arch@yahoo.com
**ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.**

## გიორგი ოჩიაური



მოქანდაკე. საქართველოს სახალხო მხატვარი.
პროფესორი.

დაიბადა სოფ. შუაფხოში (ფშავი) 1927 წ. 10 იანვარს. მშობლები: ნათელა ბალიაური, ალექსი ოჩიაური; მეუღლე — გულნაზი ლორთქიფანიძე (1928); შვილები: ნანა (1955), ხათუნა (1960). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1953), ასპირანტურა (1957). იყო საქ. მხატვართა კავშირის მდივანი; უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991-92); თსსა-ს პროფესორი, ქანდაკების ფაკ-ტის სამხ. კლასის ხელმძღვანელი; მხატვართა კავშირის თავ-რე. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ვაჟა-ფშაველა" (1972), „ზღვა", „შენ ხარ ვენახი" (1964), „ქალის ტორსი" (ადლერი, 1969); „სიცოცხლის ხე" (ტექსელი, 1977); „რექვიემი" (1981-85); ალეგორიული ქანდაკებისა „მუსიკა", „რესტავრაცია" (მოსკოვი); პორტრეტებისა და სხვა; არის დამდგმელი მხატვარი ფილმისა „ალავერდობა"; ავტორი სამენოვანი წიგნისა — „ევროპული ქანდაკების ბუნებისათვის" (2002). 1953 წლიდან მონაწილეობს რესპ., საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. მიღებული აქვს პრემიები ნამუშევრებისათვის: „ვაჟა-ფშაველა" — I პრემია, „ვახტანგ გორგასალი" — III პრემია, ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსი — I პრემია. არის საქ. მხატ. კავშირის წევრი (1956 წლიდან); საქ. სახალხო მხატვარი (1980); სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988); ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი (1986); მიღებული აქვს წოდება „წლის საუკეთესო ადამიანი" (აშშ, 1998); არის ჩარგლის საპატიო მოქალაქე (2001); რუსეთის სამხ. აკად-ის საპატიო წევრი (2005); ღირსების ორდენის კავალერი (2005). არის თსსა საპატიო დოქტორი (2006). მისი ბიოგრაფია შესულია „БСЭ"-სა და ქსე-ში; ბიოგრაფიულ ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „მსოფლიოს 50000 გამოჩენილი ადამიანი", „მსოფლიოს ნამყვანი ინტელექტუალები" (IBC, 1999-2000), „XX საუკუნის გამოჩენილი ადამიანები" (ABABI). „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცხოვრება.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი. ტელ: 93 69 59; 93 68 93. (ბინის) ნუცუბიძის 151, თბილისი. ტელ: 32 21 95.
**სახარების ათი მცნება.**

## მირიან პაპლიაშვილი



მოჭიდავე. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი სამბოში.

დაიბადა მცხეთის რ-ნის სოფ. ძალისში 1979 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: ნინო გატენაშვილი, თამაზ პავლიაშვილი; მეუღლე — ქეთი აღდგომელაშვილი (1986); შვილები: ირაკლი (2005), ნინი (2006). სწავლობს საქ. სახელმწ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მწვრთნელთა ფაკტ-ზე. არის ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის (1999-2000); საქართველოს 11-გზის ჩემპიონი; მსოფლიოს მე-3 ადგილისა (2002), ევროპის მე-2 ადგილის (2003) და ევროპის მე-3 ადგილის (2007) მფლობელი; მსოფლიო (2007) და ევროპის (2008) ჩემპიონი;
ჰობი: ჭიდაობა.
მისამართი: (ბინის) მცხეთის რ-ნი, სოფ. ძალისი. ტელ: 898 36 16 38.
**ჩემი წარმატება განაპირობა დაუღალავმა შრომამ, რა თქმა უნდა ნიჭმა და ჩემი მწვრთნელების გვერდით დგომამ.**

## ვლადიმერ (ლადო) პაპავა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მეცნიერ-ეკონომისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 25 მარტს. მშობლები: რუსუდან ჩხეიძე, გიორგი პაპავა; მეუღლე — მარიანა პაპავა (კუბლაშვილი, 1973); შვილები: ლანა (1982), არჩილი (1984), გიორგი (2003). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1977), სსრკ მეცნ. აკად-ის მოსკოვის ცენტრ. ეკონომიკურ-მათემატიკური ინ-ტის ასპირანტურა (1982). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმც., უფრ., წამყ., მთავარი მეცნ. თანამშრომელი (1977-92); საქ. მეცნ. აკად-ის პ.გუგუშვილის სახ. ეკონომიკური ინ-ტის დირექტორი (1992-96); საქ. ეკონომიკის მინისტრი (1994-2000); საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). 2001 წლიდან არის საქ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფრ. მეცნ. თანამშრომელი; პ.გუგუშვილის სახ. ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი; ჯონ ჰოპკინსის უნ-ტის (აშშ), ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინ-ტების უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ასოც. პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტიულობა და მისი დარგთაშორისი ანალიზი" (1989). არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომის: მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და სტატიების ავტორი, მათ შორის: „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე" (1995), „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები" (2000), „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა" (2002), „ნეკროეკონომიკა: პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია" (2005) და სხვა. არის საქ. განათლების სამინისტროს რესპუბლიკური (1987), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქ. სახელმწ. (2004), საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის ფ.გოგიჩაიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი; „ეკონომიკური თეორიის მიღწევების საზ-ბის (აშშ, 1990), დანახარჯები-გამოშვების საერთაშ. ასოც-ის (ავსტრია, 1992), ინფორმატიზაციის საერთაშ. აკად-ის (გაერო, 1994), საქ. ეკონომიკურ მეცნ. აკად-ის (1994), ნიუ-იორკის მეცნ. აკად-ის (აშშ, 1995), დასავლეთის საერთაშ. ეკონომიკური ასოც-ის (აშშ, 1996), სამეფო ეკონომიკური საზ-ბის (დიდი ბრიტანეთი, 1997); მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშ. აკად-ის (1997), საერთაშ. ატლანტიკური ეკონომიკური საზ-ბის (აშშ, 1998), ლუდვიგ ფონ მიზესის ინ-ტის (აშშ, 2006), ამერიკის ეკონომიკური ასოც-ის (აშშ, 2006); ცენტრ. ევრაზიის შემსწავლელი საზ-ბის (აშშ, 2006), შედარებითი ეკონომიკური კვლევების ევროპული ასოც-ის (იტალია, 2006); ამერიკის პოლიტიკურ მეცნ. ასოც-ის (აშშ, 2006); პოლიტ. და სოც. მეცნ. ამერიკის აკად-ის (2006) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საერთაშორისო ბიოგრაფიების ლექსიკონი" (ინგლისი, 1998); „საერთაშორისო ვინ ვინაა ინტელექტუალებს შორის" (ინგლისი, 1999); "XX საუკუნის გამორჩეული ადამიანები" (ინგლისი, 1999), „ლირსების საერთაშორისო წიგნი" (1999); „XX საუკუნის გამორჩეული სწავლული" (ინგლისი, 2000), „XXI საუკუნის გამორჩეული ადამიანები" (ინგლისი, 2003); საერთაშორისო წლიური წიგნი — „ვინ ვინაა სახელმწიფო მოღვაწეებს შორის" (დიდი ბრიტანეთი, 2001), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჩოგბურთი.

მისამართი: (სამსახურის) შიო ჩიტაძის 3ა. თბილისი 0108. ტელ: 47 35 55, 98 52 65.
ელ-ფოსტა: papavavladimer@gfsis.org
**„არიან ხალხი რამდენი გიცნობს, არიან — რამდენს იცნობ, აღფრთოვანებას აღემატება მარტო არა ხარ იგრძნო" (მუხრან მაჭავარიანი). თანაც ისე უნდა იცხოვრო, რომ შენ შვილებს ეამაყებოდეს, რომ მათი მამა ხარ.**

## ლაშა პაპაშვილი



სს ბანკის — „რესპუბლიკა" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. იურისტი.

დაიბადა ზუგდიდში 1968 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: ლუარა ალშიბაია, ანზორ პაპაშვილი; მეუღლე — ხათუნა ფარჯანაძე (1974); შვილები: ელენე (2002), გიორგი (2004), ანასტასია (2006). დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1993); მანჩესტერის უნ-ტის ასპირანტურა, მოკლევადიანი კურსი (1999). იყო კომერციული ბანკის „ენგური" იურისტი, საკრედიტო განყ-ბის უფროსი (1993-96); კომერციული ბანკის „რესპუბლიკა" ვაკის ფილიალის საკრედიტო განყ-ბის უფროსი (1996-97); ბანკის — „რესპუბლიკა" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რის მოადგილე (1997-98), გამგეობის თავ-რე (1998-2004). 2004 წლიდან არის სს ბანკის — „რესპუბლიკა" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეღვინეობა.
მისამართი: (სამსახურის) გრ.აბაშიძის 2, თბილისი 0179. ტელ: 92 55 55; ფაქსი: 92 55 44.
ელ-ფოსტა: info@republic.ge

## ზაზა პაპუაშვილი



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: ლალი ადამია, გურამ პაპუაშვილი; მეუღლე — თინა ალექსიშვილი (1976); შვილები: ჯაბა (1991), ტასო (1999), ნინო (2005). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). 1986 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: ი.სამსონაძის „ბედნიერი ბილეთი", დ.კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება", „დარისპანის გასაჭირი", შექსპირის „მაკბეტი", „ჰამლეტი", „მეფე ლირი", „მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ", გრ. რობაქიძის „ლამარა", კალდერონის „ცხოვრება სიზმარია", გოცის „ქალი-გველი", ლ.თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", ბეკეტის „გოდოს მოლოდინში"; მხ. ფილმებში: „ნუცას სკოლა" (რეჟ. მ.კოკოჩაშვილი), „ჭერი" (რეჟ. რ.ესაძე), „მიდიოდა მატარებელი"( რეჟ. გ.შენგელაია), „სკამი". არის საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996); რუსთავის საერთაშ. ფესტივალის გრან-პრის მფლობელი („მაკბეტი", 1998) და პრემიის „წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობი" 5-გზის მფლობელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: როცა თავს კარგად და ბედნიერად ვგრძნობ.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. ტელ: 99 63 73.
**მე მინდა, რომ ჩემი ხელობა, ჩემი ნაკეთობა მე მგავდეს. იყოს ჩემსავით ფიცხი, მოუსვენარი, დაუდეგარი, მხიარული, დარდიანი... მსახიობისთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, მის ქვეყანაში რა ხდება. ადამიანს, მით უფრო მსახიობს, მართებს ელემენტარული ნესიერება. უნდა შეძლოს ავზე ავი თქვას და კარგზე კარგი. მე მგონი, ეს არის ვაჟკაცობა. ჰოდა, ვაჟკაცობაა მსახიობის პროფესია. მაშ გაუმარჯოს ლოცვას, ბრძოლას და სიყვარულს.**

## ჯუმბერ პატიაშვილი



მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტის კონსულტანტი.
სნავლული აგრონომი.

დაიბადა ლაგოდეხში 1940 წ. 5 იანვარს. მშობლები: ვერა შანიძე, ილია პატიაშვილი; მეუღლე — თინა ჭიჭინაძე (1942); შვილები: გიორგი (1973), პაატა (1979). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიის ფაკ-ტი (1961), ასპირანტურა (1964). იყო სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1965-67); მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე (1966-89); იყო სამეცნ. სანარმოო გაერთიანება „თავთავის" გენ. დირექტორი და მიწათმოქმედების ს/კ ინ-ტის დირექტორი (1990-2000); საქ. პარლამენტის წევრი (1999-2008). არის მიწათმოქმედების ს/კ ინ-ტის კონსულტანტი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სანანვერალო კულტურების შერჩევა აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ პირობებში" (1966). არის რამდენიმე სამეცნ. ნაშრომის ავტორი; მოძრაობა "ერთიანი საქართველოს" დამფუძნებელი და ლიდერი 2000 წლიდან; პ/გ/ „ერთობის" თავ-რე (2002 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (2006). „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი, ჩოგბურთი.
მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 31, თბილისი 0179. ტელ: 29 21 24.
**სამართლიანობა, სიმართლე, პატიოსნება და ჯანსაღი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნა.**

## პეტრე (პაატა ცაავა)



ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი.

დაიბადა სენაკში 1970 წ. 7 აპრილს. დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1993); თბილისის სასულიერო სემინარია (2000). ალიკვეცა ბერად (2000); აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (2000). იყო ყაზბეგის რ-ნის სოფ. სნოს შ. ღუდუშაურის სახ. სულიერებისა და კულტურის ცენტრის დირექტორი (2000); 2002 წელს აკურთხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა ახლად დაარსებული სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსად (2002). 2006 წელს წმ. სინოდის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად; 2007 წელს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 2008 წლიდან არის საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის —„ერთსულოვნება" — დირექტორი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) მარტვილის 28, მარტვილი 3100. ტელ: 47 60 61; 890 75 70 01.

## თამაზ პეტრიაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.

დაიბადა ახალციხეში 1969 წ. 18 ივნისს. მშობლები: დარეჯან ხარაშვილი, იოსებ პეტრიაშვილი; მეუღლე — ხათუნა ქურდაძე (1969); შვილი — გიორგი (1990). დაამთავრა სტუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1995). იყო საქ. თავდაცვის სამინისტროს (1992-94), საქ. უშიშროების სამინისტროს (1994-96) უფრ. ოპერ. თანამშრომელი; შპს. ტ/კ „ლომსია"-ს გენ. დირექტორი (1996-2002); ახალციხის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავ-რე (1998), ახალციხის გამგებელი (2002-06); ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"

ნევრი; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავ-რის მოადგილე. იყო ევროსაბჭოს კონგრესის წევრი (2005).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 00; (ბინის) ახვლედიანის ქ. 2, ქ. ახალციხე. ელ-ფოსტა: ipetriashvili@parliament.ge
**რწმენა, სიყვარული.**

## გიორგი პიპინაშვილი



მსახიობი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დიაბეტიან ბავშვთა რეაბილიტაციის საზოგადოებრივი გაერთიანება „ართ-პოლის" გენერალური დირექტორი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: იზა ცუცქირიძე, ნოდარ პიპინაშვილი; მეუღლე — თამუნა კობერიძე (1969); შვილი — ანო (1995). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1980). არის მ.თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „დრაკონი", „წუთისოფელი ასეა", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ბაკულას ღორები", „ამფიტრიონი", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „ანა კარენინა", „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", „ემიგრანტები", „დონ ჟუანი" და სხვა; მხატვრულ ფილმებში: „გარიგება", „მიზერერე", „დონ ჟუანის დაბადება", „მიდიოდა მატარებელი"; ტელესერიალში: „ნვრილვარსკვლავთა ღამე". არის საზ-ბრივი გაერთიანება „ართ-პოლის" გენ. დირექტორი, ფონდ „ართ-პოლი+"-ის გამგეობის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრობა, ჭედურობა, ხის დამუშავება, გობელენი. ტელერეჟისურა.
მისამართი: დგებუაძის 2, თბილისი. ტელ: 95 09 11.
**პროფესიული დახელოვნება. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტის გაკეთება შევძლო მოზარდებისათვის, გადავცე ის გამოცდილება, რაც წლების მანძილზე დამიგროვდა.**

## რუსუდან პიტავა



ადვოკატი.

დაიბადა აბაშის რ-ნის სოფ. მარანაში 1942 წ. 14 ივლისს. მშობლები: მარიამ შალამბერიძე, ვასილ პიტავა. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1966). იყო საქ. სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ინსპექტორი, უფრ. ინსპექტორი, განყ-ბის გამგე, სამმართველოს უფროსის მოადგილე (1966-75); საქ. რესპუბლიკის პროკურატურის განყ-ბის პროკურორი (1975-77); საქ. უზენაესი სასამართლოს წევრი (1977-85); არის ადვოკატი 1985 წლიდან. იყო საქ. ადვოკატთა ასოც-ის აღმას. საბჭოს წევრი. აქვს დამოუკიდებელი საადვოკატო ბიურო 2005 წლიდან. არის საქ. ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრი (2003); დასახელებულია წლის ადვოკატად (1998, 1999, 2000, 2002.); არის კონკურსის „ყველაზე პოპულარული იურისტი" მე-6 ადგილის მფლობელი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ერეკლე II-ს ქ. 6. თბილისი. ტელ: 92 34 92. (ბინის) ტელ: 34 04 82; 877 46 00 01.
**კაცთმოყვარეობა, კეთილსინდისიერება; მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა; საქმისადმი (და ბუნებრივია კლიენტისადმი) ერთგულება; საკუთარ ინტერესებზე მაღლა კლიენტის ინტერესების დაყენება; შრომისმოყვარეობა, სამართლიანობის გრძნობა; სიკეთის კეთების სურვილი; ყველა კანონიერი საშუალებების გამოყენება კლიენტის ინტერესების დასაცავად; კლიენტის ნდობის პატივისცემა, გაფრთხილება და მისი გამართლება; კლიენტის სასამართლო შემადგენლობის, მოწინააღმდეგე მხარის და მისი წარმომადგენლების პატივისა და ღირსებისადმი პატივისცემა; სისტემატიური მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.**

## ზურაბ პოლოლიკაშვილი



საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.
ეკონომისტი.

დაიბადა 1977 წ. 12 იანვარს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა სტუ ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკ-ტი საბანკო საქმის სპეციალობით (1998); გლობალური მართვის პროგრამა (Instituto de Empresa, მადრიდი, ესპანეთის სამეფო,2009). იყო სს „თიბისი" ბანკის საერთაშორისო ოპერაციების მენეჯერი, საკორესპონდენტო ანგარიშების მართვის მენეჯერი, დოკუმენტალური აკრედიტების მენეჯერი, საკრედიტო მენეჯერი(1997-2001); სს „თიბისი" ბანკის მთაწმინდის ფილიალის დირექტორი (2001-05); სს „თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალის დირექტორი(2005); საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2005-06); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთის სამეფოში (2006-09). 2009 წლიდან არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.
მისამართი: ჭანტურიას 12; თბილისი. ტელ: 99 77 77.

## ავთანდილ პოპიაშვილი



მხატვარი.

დაიბადა დედოფლისწყაროში 1944 წ. 10 მარტს. მშობლები: მანო ტოკლიკიშვილი, ვახტანგ პოპიაშვილი; მეუღლე — რუსუდან მირიანაშვილი (1960); შვილები: დავითი (1969), ნინო (1973). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1976). იყო ი.ნიკოლაძის სახ. სამხ. სასწავლებლის პედაგოგი (1976-92). არის თსსა ფერწერის კათედრის თანამშრომელი (1989 წლიდან); საქ. მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავ-რე (1996 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ბერიკების ქორწილი" (1985), „ლაშარობის დღესასწაული თუშეთში"(1985),ფერწერულიდაგრაფიკულისერია:„ნატურმორტებიყვავილებით"(1985-98),„გაცილება" (1985), „პასტორალი" (1986), „იერუსალიმში შესვლა" (1995), „იმერეთი" (1995), „მედეა და იაზონი" (1998) და სხვა; ილუსტრატორი წიგნებისა: აკ.წერეთელი — „ბაში-აჩუკი", ვ.ცირეკიძე — „მთვარეული". გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: „არტ გალერეა" (ტალინი, 1991); კულტურის ცენტრი „მზიური" (მოსკოვი, 1991). მონაწილეობს საქ. და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში 1967 წლიდან, მათ შორის: საქ. სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987); „იმპულსები: დრიურერი, გოეთე, ფიროსმანი" (თსსა მუზეუმი, 1995); პარიზი, (იუნესკო,1996), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (სეგ, თბილისი, 1998) და სხვა. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის სახელმწ. ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის აღმ. ქვეყნების ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, „ტრეტიაკოვის გალერეაში", საფრანგეთის, საბერძნეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. მონაწილეობდა ა/კ რესპუბლიკების მხატვარი I ბიენალეში (ვერცხლის მედალი, თბილისი, 1986); კიევის (1990), ქუთაისის (1995), ბულგარეთის (1996) ფერმწერთა პლენერებში. არის თოჯინური ფილმის — „დაჩის ზღაპრები" მთ. მხატვარი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ჩიქოვანის 24ა, ბ. 30, თბილისი 0171. ტელ: 33 74 43.
**პატიოსნება.**

## ნოდარ ჟვანია



მუსიკოს-შემსრულებელი — ალტისტი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1945 წ. 26 მარტს. მშობლები: თინათინ მაჭავარიანი, არჩილ ჟვანია; მეუღლე — სალომე გაბუნია (1951); შვილები: არჩილი (1978), ელენე (1983); შვილიშვილი — მიხო (2006). დაამთავრა თსკ (1968). იყო სახელმწ. კამერული ორკესტრის წევრი (1964-66); თსკ ვიოლინოსა და ალტის კათედრის გამგე (1991-93). არის სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის ალტისტი 1966 წლიდან, გერმანიის სახელმწ. კამერული ორკესტრის ალტისტი (ქ.ინგოლშტადტი, 1993 წლიდან); ზ.ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი; ა/კ და ლ. ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსების (კვარტეტთან ერთად) ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა, წყლის თხილამურები. ტურიზმი.
მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის ó. თბილისი 0179. ტელ: 23 58 67.
**დაუზოგავი, თანმიმდევრული შრომა. საქმისა და ახლობლების ერთგულება და სიყვარული. ოჯახი, მეგობრები. გულწრფელობა და პატიოსნება ყოველგვარ საქმიან თუ პირად ურთიერთობაში. კონფლიქტებსა და ინტრიგებში ჩაურევლობა.**

## ნინო ჟიჟილაშვილი



დამოუკიდებელი ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 27 აპრილს. მშობლები: ნანა ჩიკვაიძე, ალექსი ჟიჟილაშვილი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1995); არის გლობალური ჟურნალისტიკის მაგისტრი (შვედეთი, ორებროს უნ-ტი, 2006). იყო ტელე-რადიო კომპანიის — „საქართველოს ხმა" რეპორტიორი (1996–98); ტ/კ „იბერიის" საინფორმაციო სამსახურის მთ. რედაქტორი (1998-99); საქ. სახელმწ. ტელე-რადიო მაუწყებლობის საინფორმაციო პროგრამის — „მოამბე" რეპორტიორი, რედაქტორი; პროდიუსერი (1999-2002); ტ/კ „მზის" საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტი, საღამოს ყოველდღიური თოქ-შოუს — „არჩევანის ზღვარზე" ალმას. პროდიუსერი, საღამოს საინფორმაციო პროგრამის — „მზერა დღის ბოლოს" წამყვანი (2002-05); ტ/კ „მზის" საინფორმაციო სამსახურის მთ. პროდიუსერი (2006-07); საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ორი სატელევიზიო პროექტის: ყოველთვიური თოქ-შოუ — „ევროპა+" და ყოველკვირეული ვიქტორინის — სკოლის მოსწავლეებისათვის „ევროკლასი" (ტ/კ „მზე" 2006-08) პროდიუსერი, ექსპერტი. არის თსუ პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკ-ტის, საქ. საზ-ბრივ საქმეთა ინ-ტის, კავკასიის უნ-ტის მედია სკოლის (ჟურნალისტიკის სკოლა) ლექტორი (2007 წლიდან); ტელე-დისკუსიების ციკლის — „ევროინტეგრაცია" წამყვანი (სტუდია „რე", 2009 წლიდან). 2007 წლიდან არის ჟურ. „პროფილის" ჟურნალისტი (უკრაინა), ტელეკომპანია „ინტერ +" –ის რეპორტიორი (უკრაინა), რადიო „უცნობისა" (FM 98.0) და ტ/კ „მაესტროს" პროექტის — „უცნობი-კავკასია" წამყვანი. არის ავტორი დოკ. ფილმებისა: „ამერიკა 11 სექტემბრის შემდეგ" (დამკვეთი აშშ-ს სახელმწ. დეპ-ტი, 2001), „60 წლის ერთი დეკადა" (დამკვეთი ევროპის საბჭო, 2009), მედია-კვლევისა: „ჟურნალისტური ეთიკა და ნაციონალური ტელევიზიების როლი პოლიტიკურ პროცესებში ვარდების რევოლუციის გაშუქებისას" (2006). სხვადასხვა დროს იყო ბრიტანეთის საბჭოს ჩივნინგის პროგრამის, შვედური ინ-ტის და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს" აკად. პროგრამის სტიპენდიანტი; საერთაშ. სატელევიზიო პრემიის — „ემი" ნომინანტი უკრაინული ტ/კ „ინტერ+"-ის საინფორმაციო სამსახურის 3 ჟურნალისტთან ერთად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქებისთვის (ნომინაცია „აქტუალური რეპორტაჟი", 2009); არის ევროპის ჟურნალისტური ქსელისა და ორგანიზაციის — „ჟურნალისტები სიტყვის თავისუფლებისათვის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
ჰობი: თხილამური. მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) რადიო „უცნობი", კოსტავას 68. თბილისი. ტელ: 38 08 00, ფაქსი: 21 24 73; ელ-ფოსტა: nino.zh@gmail.com
**პროფესიული სტანდარტების, ეთიკის და მორალური ვალდებულებების დაცვა. პრინციპულობა. მხოლოდ აუდიტორიის ინტერესით მოქმედება. საქმეზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა. გუნდურობა.**

## გაიოზ (გიზო) ჟორდანია



რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა ლანჩხუთში 1934 წ. 25 სექტემბერს. მშობლები: ვანდა ნიკოლაიშვილი, ვუკოლ (კოკი) ჟორდანია; მეუღლე — ნათელა ვაჩნაძე (1941); შვილები: ერეკლე (1964), ირინე (1974). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1958). იყო ბათუმის ი.ჭავჭავაძის სახ. თეატრის მთ. რეჟისორი (1961-65), რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1965-70), ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის (1970-79) და გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული(1979-1986) თეატრების მთ. რეჟისორი; თსთი-ს რექტორი (1991-99); ბათუმის საოპერო (1991-2004) და ბათუმის ბავშვთა ოპერის (2000-04) თეატრების მთ. რეჟისორი. 2005 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის დამდგმელი რეჟისორი. არის ავტორი სამეცნ. ნაშრომებისა დრამატული თეატრის, ოპერისა და სათეატრო პედაგოგიკის პრობლემებზე. არის თსთი-ს სრული პროფესორი; 150 დრამატული და საოპერო წარმოდგენის დამდგმელი რეჟისორი, მათ შორის: ნ.დუმბაძის ყველა ნაწარმოები, „ხოგაის მინდია", „გააზნაურებული მდაბიო", „სამოთხის ჩიტი", „ანა ფრანკის დღიური", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ამაღამ მგონი იქნება ქარი", „სამგროშიანი ოპერა", „აიდა", „აბესალომ და ეთერი", „ძალად ექიმი" და სხვა. არის საქ. სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1995); მიღებული აქვს საქ. სახელმწიფო (1982), კ.მარჯანიშვილის (1989), ს.ახმეტელის (1992) და მ.აბაშიძის პრემიები; არის ღირსების ორდენის კავალერი; დაჯილდოებულია ალბერტ შვაიცერისა (1983) და ალ.პოპოვის (1988) მედლებით. თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრია 1958 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნის კითხვა, მუსიკის მოსმენა, სამხატვრო გალერეათა დათვალიერება.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 24 25. (ბინის) ფალიაშვილის 82. ბ.15, თბილისი. ტელ: 22 59 48 ფაქსი: (995 32) 22 47 86.
**ვცდილობ, ჩემი არსებობით ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს სიხარული და ბედნიერება მოვუტანო. ვეძებ ხერხებსა და საშუალებებს, რომ ახალგაზრდა პიროვნებად იქცეს და არა თოჯინად, რომ მან ინამოს თავისი შემოქმედებითი პოტენციისა იმ დოზით, რამდენიც ღმერთმა უბოძა. შეიმეცნოს, ამოიცნოს თავისი თავი, დათრგუნოს შური, ღვარძლი, ამპარტავნება, განდევნოს ეჭვი და ბოროტება თავისი არსებიდან. კეთილი ნებით წარმართოს თავისი, სხვისი ცხოვრება და შემოქმედება.**

## გიორგი ჟორდანია



დირიჟორი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: ნანა ასკურავა, ვახტანგ ჟორდანია; მეუღლე — ნინო ქაჯაია (1964); შვილები: თედო (1992), სალომე (1996). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედ. ინ-ტი (1986); თსკ (1989); ტენესის უნ-ტის (ჩატანუგა, 1991) ასპირანტურა. იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის დირიჟორი (1991); საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის მთ. დირიჟორი (1999-2003); ხარკოვის ფილარმონიული ორკესტრისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის მიწვეული მთ. დირიჟორი (1993 წლიდან); რუსეთის ფედერალური ორკესტრის მიწვეული მთ. დირიჟორი (მოსკოვი, 1995 წლიდან). 2005 წლიდან არის ვ.ჟორდანიას სახ. დირიჟორთა საერთაშ. კონკურსის — „ახალი მილენიუმი" ჟიურის ხელმძღვანელი. აქვს „Master of Music Performance"-ის წოდება (1991); არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2001); დირიჟორთა საერთაშ. კონკურსის — „ახალი მილენიუმის" გრან-პრის მფლობელი (2001). არის ხელოვნების სააღდგომო ფესტივალის — „ჯეოფესტი" — დამფუძნებელი და სამხ. ხელმძღვანელი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მთაში სიარული. ფეხბურთი, ბრიჯის თამაში.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 25, თბილისი 0108. ტელ: 99 73 64. (ბინის) ვაჟა-ფშაველას I შეს. 3; თბილისი 0177. ტელ: 31 18 00 ელ-ფოსტა: giorgi@jordania. ge; ვებსაიტი: www.jordania.ge
**პროფესიონალიზმი ყველგან და ყველაფერში! არასოდეს გავაკეთო ის, რაც ეწინააღმდეგება ჩემს სინდისს, თუნდაც იმ წუთს რაიმე სიკეთის მოტანა შეეძლოს. ყოველი კონცერტი თუ სპექტაკლი ისე უნდა იდირიჟორო, თითქოს ეს ბოლო კონცერტია.**

## ირაკლი ჟორდანია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
მეტალურგი.



დაიბადა თბილისში 1931 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ნინო მინდელი, სერგი ჟორდანია; მეუღლე — ლალი ყუფარაძე (1954); შვილი — თამარი (1990). დაამთავრა სპი მეტალურგიული ფაკ-ტი. იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, ოსტატი, ცვლის უფროსი, საამქროს უფროსი, ცენტრ. ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1955-76); საქ. საგეგმო კომიტეტის მეცნიერების განყ-ბის უფროსი და თავ-რის მოადგილე (1976-84); მეცნ. და ტექნიკის სახელმწ. კომიტეტის თავ-რე, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1984-89); ცსკ თავ-რე (1989-90); საქ. მეცნ. და ტექნიკის მინისტრი (1990-93); სახელმწ. კონცერნ „საქსამთომეტალურგის" პრეზიდენტი (1996-99); რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენ. დირექტორი (1999-2003). 2003 წლიდან არის საქ. მეცნ. აკად-ის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავ-რე; საერთაშ. და საინჟინრო აკად-ბის ნამდვილი წევრი; საქ. საინჟინრო აკად-ის ვიცე-პრეზიდენტი. დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები უახლესი მეტალურგიული პროცესების თაობაზე (1969,1984). არის 105 სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის 9 მონოგრაფიის და 10 გამოგონების ავტორი; საქ. დამს. ინჟინერი; ლენინური პრემიის ლაურეატი (1965); დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით; საერთაშ. საინჟინრო აკად-ის ოქროს მედლით (2001). იყო საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა (1984) და ცნობარებში: ABI, „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის ქ. 87, თბილისი 0162. ტელ: 22 32 16, ფაქსი: (+995 32) 22 20 46. (ბინის) ი.ნიკოლაძის შეს. 2/4, ბ. 11, თბილისი. ელ-ფოსტა: KEPS@gw.acnet.ge
**ვემსახურო საქართველოს მეცნიერებისა და ეკონომიკის განვითარებას. გავაღრმავო და ავამაღლო მეცნიერულ კვლევათა დონე, აღვზარდო ახალი თაობის წარმომადგენლები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. პატიოსანი ცხოვრება და მოღვაწეობა, ეროვნული ინტერესების უპირატესობა.**

## რამაზ ჟღენტი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.
იურისტი.



დაიბადა ბათუმში 1950 წ. 17 მარტს. მშობლები: გალინა ლორია, სერგო ჟღენტი; მეუღლე — ნონა ჟღენტი (1953); შვილები: ხათუნა (1970), ირაკლი (1973), სოფიო (1976). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1971). იყო ბათუმის პროკურორი (1980-87); აჭარის ა/რ პროკურორი (1988-92); საქ. გენ. პროკურატურის სამმართველოს უფროსი (1993-2002); საქ. გენ. პროკურატურის დეპ-ტის უფროსი (2002-09). 2009 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. არის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მასპინძლობა.
მისამართი: (სამსახურის) გორგასლის 24, თბილისი. ტელ: 99 82 77. (ბინის) ზ. ბენდელიანის 1, ბ. 42, თბილისი. ტელ: 54 55 55.
**კეთილსინდისიერება.**

## მარინა რამაზაშვილი



ესთეტიკურ-რეკონსტრუქციული კლინიკა „კარაპს მედლაინის"
ოფთალმოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი. ექიმი-ოფთალმოლოგი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 27 მარტს. მშობლები: ანასტასია მჭედლიშვილი, ილია რამაზაშვილი; მეუღლე — ალექსანდრე ბაჩიაშვილი; შვილები: ნინო, გიორგი. დაამთავრა მოსკოვის I სამედ. ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი (1984); მოსკოვის თვალის დაავადებათა ჰელმჰოლცის სახ. ს/კ ინ-ტის ორდინატურა (1986) და ასპირან-ტურა (1988); იყო ამავე ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1993); მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ოფის-მენეჯერი; ჯანდაცვის სამინისტროს ჰუმანიტარული სააგენტოს საზღვარგარეთის განყ-ბის გამგე; კლინი-კა „ოფთალმიჯის" დირექტორის მოადგილე და ლაზეროქირურგი. 2000 წლიდან არის კლინიკა „კარაპს მედლაინის" ოფთალმოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მხედველობის ნერვის დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხები" (1991). მიღებული აქვს აშშ თე-თრი სახლის და გაეროს სამედიცინო განყ-ბის სერტიფიკატები (2005, 2009). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. სტატიები. არის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების რეტინოლოგთა საზ-ბისა და ევროპის დიაბეტის სნავლების საზ-ბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია წიგნებში: „100 ქართველი ქალი" (2004), „სახეები" (2004, 2006); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ვარ ნამყოფი 35 ქვეყანაში.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 5, თბილისი. ტელ: 22 44 17; 22 53 69. 8(99) 53 50 30.
**„მე მინდა რომ: ჩემი პაციენტი იყოს კმაყოფილი, სწორად ორიენტირებული და დაკვალიანებული, მინდა ვიყო ლაღი და თავისუფალი, ჩემი ყველა საყვარელი ადამიანი — ჯანმრთელი."**

## დავით რაქვიაშვილი



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 16 ივლისს. მშობლები: თამარ ჭავჭანიძე, კიაზო რაქვიაშვილი; მეუღლე — სო-ფიო მამარდაშვილი (1971); შვილები: თამარი (1990), თორნიკე (1992), ნატალია (2004). დაამთავრა საქ. საზ-ბრივ საქმეთა ინ-ტის, საერთაშ. ურთიერთობებისა და ეროვნული უსაფრთხოების ფაკ-ტი. იყო საქ. საზ-ბრივ საქმეთა ინ-ტის დამფუძნებელი, გამგეობის თავ-რე; კერძო მეწარმე (1990-2008); საქ. სამთო გამყოლების სახელმწ. სკოლის დამაარსებელი, დირექტორი (1993-97); ალპინიზმის და მეკლდეურთა ასოც-ის პრეზიდენტი (1993-96). 2008 წლიდან არის რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწ. მინისტრის მოადგილე.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 0134.

## ემილ რაში



საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: ზინა ამოევა-რაში, მიხეილ რაში; მეუღლე — ელა ბადი-როვა-რაში (1967); შვილები: მიხეილი (1984), დიანა (1985); შვილიშვილი — ემილ რაში (2008). დაამთავრა საქ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტი (1985). იყო საქ. ნაკრების მწვრთნელი (1986); არმიის სპორტული კლუბის უფრ. მწვრთნელი (1986-91); საქ. ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდის უფრ. მწვრთნელი (1991-2005). არის საერთაშ. კატეგორიის ექსტრა კლასის არბიტრი (2003); საქ. დამს. მწვრთნელი (1996); ღირსების მედლისა (2000) და ღირსების ორდენის (2003) კავალერი. დასახელებულია მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად სამბოში (2004). არის სპორტის დამს. მუშაკი (2001). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში:

„საქართველო", „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა, თბილისი. ტელ: 22 72 43. (ბინის) ვარკეთილი 3, IV მ/რ. კორპ. 423. ბ.25, თბილისი. ტელ: 79 42 68.
**უპირველეს ყოვლისა ადამიანს უნდა ჰქონდეს დასახული მიზნები, რომლის ერთგულიც უნდა დარჩეს ბოლომდე. რამაც განაპირობა ჩემი წარმატებები. შრომისმოყვარეობა, ერთგულება, თანადგომა — უღალატობა, პატიოსნება, გამარჯვებისადმი სწრაფვა და ბოლომდე ნებისყოფის შენარჩუნება.**

## ბაადურ რაჭველიშვილი



საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი. ექიმი-თერაპევტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1922 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები: ნინო და ქრისტეფორე რაჭველიშვილები; მეუღლე — ლამარა კანდელაკი (1927); შვილები: ნათია (1956), ნინო (1958). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1946), ასპირანტურა (1951). იყო ხულოს რ-ნის საექიმო უბნის გამგე (1946-47); რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ორდინატორი და ენდოსკოპიური კაბინეტის გამგე (1951-60); თსსი სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1960-85); თსსი შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე და პროფესორი (1986-2008). არის რესპუბლიკის მთ. თერაპევტი 1971 წლიდან; საქ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. გასტროენტეროლოგი 1980 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მასალები შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკისა და კლინიკის შესახებ ძველ ქართულ წყაროებში" (1958), სადოქტორო — „Хронический гастрит у сельских жителей" (1984). არის 160 სამეცნ. ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „საქართველოს მედიცინის ისტორია" (1956), „Гастробиопсия в клинической практике" (1969), „პესტიციდების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე" (1981) და სხვა. არის უმაღლესი სკოლის დამს. მასწავლებელი (1982); ღირსების ორდენის კავალერი (1982, 1985); დაჯილდოებულია საპატრიარქოს სიგელით (1999); არის ინტერნისტთა მსოფლიო გაერთიანებისა (1995) და თერაპევტთა რესპ. საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი; საქ. გასტროენტეროლოგთა ასოც-ის პრეზიდენტი (1964 წლიდან); რეპრესირებულთა საზოგადოება „მემორიალის" სამედიცინო კომისიის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საინტერესო ბელეტრისტიკის კითხვა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.
მისამართი: (ბინის) პეტრიაშვილის 24, თბილისი. ტელ: 22 13 50.
**საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, ახალგაზრდების ჩამოყალიბება კარგ სპეციალისტებად და ღირსეულ მამულიშვილებად.**

## ზაზა რევიშვილი



ენერგეტიკის სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. იურისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 28 ივლისს. მშობლები: თამარ მენთეშაშვილი, გენრი რევიშვილი; მეუღლე — ირმა შარვაძე (1968); შვილები: გიორგი (1991), ლიზი (2003). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო სახელმწ. ტელევიზიისა და ტელეფილმების სტუდიის თანამშრომელი (1985-86); შსს-ს თანამშრომელი (1986-91); თბილისის მეტროპოლიტენის მარკეტინგის უფროსი (2005-06); პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (2002 წლიდან); საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატების" წევრი (2004-08). არის ენერგეტიკის სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რის მოადგილე; საქ. დემოკრატიული პარტიისა და პოლიტსაბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ავტოსპორტი, ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) გამსახურდიას გამზ. 31, ბ 20. თბილისი. ტელ: 37 76 38.
**სიმართლე, ტრადიციულობა, მიმტევებლობა, თავისუფლება.**

## პაატა რეკვავა



კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი. მშენებელი-ინჟინერი.

დაიბადა ხობში 1948 წ. 1 იანვარს. მშობლები: მერი ქიტიაშვილი-რეკვავა, აბესალომ რეკვავა; მეუღლე — როზა ნანავა-რეკვავა (1957); შვილი — მერი (1983). დაამთავრა მოსკოვის ვ.კუიბიშევის სახ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტი (1971); საქ. მეცნ. აკად-ის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინ-ტის ასპირანტურა (1978). იყო საქ. მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების სისტემის საპროექტო ინ-ტებისა და №1 სამშენებლო ტრესტის ინჟინერი (1971-75); საქ. მეცნ. აკად-ის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1979-95); ხობის რ-ნის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავ-რის მოადგილე, ლტოლვილთა რ-ნული კომიტეტის თავ-რე (1995-96); საქ. პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის აპარატის უფროსი (1996-2002); საქ. პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მინვეული სპეციალისტი (2002-03), ამავე კომიტეტის აპარატის უფროსი (2003-04); კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე სამეცნ-საორგ. საკითხებში (2004-06), დირექტორის მ/შ (2006-07). 2007 წლიდან არის კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მსხვილპანელური შენობების სეისმომედეგობა კონსტრუქციისა და ფუძის ლოკალური არაწრფივი დეფორმირების გათვალისწინებით" (2006). არის ავტორი წიგნებისა: „მსხვილპანელური შენობების გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე სასრული ელემენტების მეთოდით" (1986), „ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების ფორმები საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში" (2002), „თანამედროვე სეისმომედეგი მშენებლობა" (2009). არის დსთ-ს სამშენებლო საქმიანობაში თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო საბჭოს სეისმომედეგი მშენებლობის კომისიაში საქ. ეროვნული დელეგატი (2005 წლიდან); შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპ-ტის სამეცნ-საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2006 წლიდან); ევროპის სეისმომედეგი მშენებლობის ასოც-ის ინდივიდუალური წევრი და საქ. საინჟინრო აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2007 წლიდან); სეისმომედეგი მშენებლობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის საქ. ეროვნ. ასოც-ის პრეზიდენტი (2009 წლიდან).

ჰობი: ხატვა. კლასიკური მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 8, თბილისი 0193. ტელ/ფაქსი: (+995 32) 33 59 28.
ელ-ფოსტა: paata_rekvava@yahoo.com

**ცხოვრების კრედოა პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, პატიოსნება, პრინციპულობა და პრაგმატიზმი. შრომისმოყვარეობამ, ორგანიზებულობამ და მიზანმიმართულებამ განაპირობა გარკვეული წარმატებები ჩემს საქმიანობაში; სიკეთის კეთება, გარშემომყოფი ადამიანების თანადგომა, მეგობრული ურთიერთობა კოლეგებთან არის ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპი.**

## ალექსანდრე რეხვიაშვილი



კინორეჟისორი.

დაიბადა მოსკოვში 1938 წ. 17 იანვარს. მშობლები: ცუცა და პავლე რეხვიაშვილები; მეუღლე — ლალი ლობჟანიძე (1949); შვილები: რატი (1979), ნინო (1981). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტი (1971). იყო დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ნუცა", „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა", „გზა შინისაკენ", „საფეხური", „სამკუთხა წრეში", „Земля Обетованная. Возвращение" (НТВ — მოსკოვი, 1999), „Еврейское Счастье" (2000), „Собиратель" (2001), „Маска Наполеона" (2003), „გამჭვირვალე მთა" (2006). არის საერთაშ. კინოფესტივალების ლაურეატი; მიღებული აქვს პრიზები: „ოქროს დუკატი", „კათოლიკური ეკლესიის პრიზი", „ევანგელისტური ეკლესიის პრიზი", „კინოკრიტიკისა და კინოპრესის პრიზი", კემპერეს საერთაშ. ფესტივალის მთ. პრიზი (საფრანგეთი), „იპრესკი" (შვეიცარია), ქართული ფილმების ფესტივალის „მთავარი პრიზი" (1983) და სხვა. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) ახმეტელის 10ა, თბილისი 0159. ტელ: 52 13 16. (ბინის) გამსახურდიას 39, ბ.87, თბილისი. ტელ: 37 06 21.

**Принципиально не придерживаюсь никакого кредо.**

## გიორგი როინიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. მსახიობი.

დაიბადა სამტრედიაში 1964 წ. 22 ოქტომბერს. მშობლები: ტასო ქარციევაძე, კონსტანტინე როინიშვილი; მეუღლე — თამარ ჭოხონელიძე (1964); შვილები: მარიამი (1989), კონსტანტინე (1990). დაამთავრა თსთი კინოსა და დრამის ფაკ-ტი. 1985 წლიდან არის თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. იყო საქ. ტელევიზიის (1986-88), ტ/კ მე-9 არხის (2003-04), საზოგადოებრივი არხის (2004-05), ტ/კ „მზის" (2007-08) თანამშრომელი. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი; მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავ-რის მოადგილე. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: გალაქტიონი („ბაკულას ღორები"), სერგო („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"), კარენინი („ანა კარენინა"), ლოპახინი („ალუბლის ბაღი") და სხვა. არის რუსთავის თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღაბი" (1996) და ჟურნალისტთა პრიზის „ოქროს ფრთა" (2004) მფლობელი; „თეატრალური ხელოვნების შემოქმედთა კავშირის" დამფუძნებელი (2002).
ჰობი: ფეხბურთი, კალათბურთი. კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 94. (ბინის) ალ. ყაზბეგის 2.ა. ტელ: 38 86 11.
**სამართლიანობა, სიკეთე, მოთმინება, მიტევება. ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მისი გაძლიერება. ქართული თვითმყოფადობის ჩამოყალიბება, მისი გაცნობა სამყაროსთვის.**

## სანდრა ელისაბედ რულოვსი



საქართველოს პირველი ლედი.

დაიბადა ტერნეუზენში (ჰოლანდია) 1968 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: მაგდალენა ვან დერ პული, ედუარდ რულოვსი; მეუღლე — მიხეილ სააკაშვილი; შვილები: ედუარდი (1995), ნიკოლოზი (2005). 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა ბრიუსელის თარჯიმანთა და მთარგმნელთა სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი ფრანგული და გერმანული ენების სპეციალობით. მშობლიური ენის გარდა, ფლობს ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ქართულ ენებს და სწავლობს მეგრულს. 1996 წლიდან მუშაობს საქართველოში — იყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი და ნიდერლანდების სამეფოს საპატიო კონსულის თანაშემწე; იყო ჰოლანდიური რადიოს კორესპონდენტი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს აშუქებდა (1997-2004); კითხულობდა ლექციების კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანული ენების კათედრაზე (1999-2003); ასწავლიდა ფრანგულ ენას კავკასიის ბიზნეს სკოლაში (2003-07). 1998 წელს დააფუძნა საქველმოქმედო ფონდი „SOCO", რომელიც საზოგადოების დაუცველი ფენების დასახმარებლად დასავლეთ ევროპული და ქართული კომპანიებისა თუ კერძო პირების მიერ დაფინანსებული პროექტებს ანხორციელებს. 2005 წელს ამსტერდამში ჰოლანდიურ ენაზე გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი „საქართველოს პირველი ლედი — იდეალისტის ნაამბობი"; წიგნის ქართული თარგმანის პრეზენტაცია 2005 წლის ოქტომბერში გაიმართა. 2004 წლიდან არის საქართველოში შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე; არის აღმოსავლეთ ევროპაში გლობალური თანამშრომლობის — „შევაჩეროთ ტუბერკულოზი" — ელჩი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. 2008 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისში ექთნობის შემსწავლელი სამწლიანი კურსი. 2004 წლიდან მან თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელება დაიწყო და ჰოლანდიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოში 24-საათიანი კლასიკური მუსიკის პირველი რადიოსადგური „მუზა" დააფუძნა (2007). 2007 წლიდან არის რადიოსადგურ „მუზას" ოთხსაათიანი საავტორო გადაცემის წამყვანი; ხელმძღვანელობს კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციას, რომლის პირველი და ყველაზე დიდი პროექტია რადიო „მუზა"; ასოციაცია დახმარებას უწევს გუნდების და ორკესტრების საქმიანობას; აქვს სტიპენდიების

პროგრამა ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსებისათვის, ხელს უწყობს ჩასაბერი ინსტრუმენტების პოპულარიზაციას, ორგანიზებას უწევს საზაფხულო ბანაკების, ფესტივალებისა და მასტერ კლასების ჩატარებას. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფორტეპიანოზე და ფლეიტაზე დაკვრა. ქართული ხალხური სიმღერების შესრულება. ცურვა, ტენისი, თხილამურები.

## ნიკოლოზ რურუა



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.
იურისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 17 მარტს. მშობლები: ქეთევან ძაძამია, ვახტანგ რურუა; შვილები: ელისაბედი და მარიამი (1999), გიორგი (2008). დაამთავრა თსთი ტელესარეჟისორო ფაკ-ტი; ჯორჯიის სახელმწ. სამართალმცოდნეობის სკოლა (ატლანტა, აშშ). აქვს სამეცნიერო ხარისხი — Juris Doctor (Atlanta, Georgia, USA, 2001). იყო ატლანტის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე (2000); ჯორჯიის ნატურალური რესურსების დაცვის დეპ-ტის იურისტი (აშშ, 2000-01); გაზეთ „24 საათის" იურიდიული ექსპერტი (2002-04). არის იურისპრუდენციის დოქტორი. იყო საქ. პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2004-08). 2009 წლიდან არის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი. არის ავტორი სტატიების კრებულისა „თავისუფლების კანონი". დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, კალათბურთი, კრივი.
მისამართი: (სამსახურის) სანაპიროს 4. თბილისი 0105. ტელ: 899 11 05 08. (ბინის) ზანდუკელის 21. თბილისი. ტელ: 98 32 87; ელ-ფოსტა: nrurua17@hotmail.com
**"Young men, never, never, never give up!" Winston Churchill.**

## თენგიზ რუხაძე

საქართველოს სუმოს ეროვნული კავშირის პრეზიდენტი.
ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 22 აპრილს. მშობლები: ზინა და სერგო რუხაძეები; მეუღლე — რუსუდან ქავთარაძე (1950); შვილი — ნინო (1976). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1972). იყო საპროექტო ინ-ტის პროექტის ხელმძღვანელი (1972-76); №1 სახლმშენებელი კომბინატის მმართველი (1976-82); №2 სახლმშენებელი კომბინატის მთ. ინჟინერ-მმართველი (1982-86). 1986 წლიდან არის სპორტისა და მშენებლობის ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი; შპს „სპორტმშენსერვისის" დირექტორი. არის დამს. ინჟინერ-მშენებელი (1981); საქ. მინისტრთა საბჭოს I პრემიის ლაურეატი (1984); სპორტის დამს. მუშაკი (1997); ღირსების მედლის მფლობელი (1999); სსრკ ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი; იყო საქ. ვეტერან მორაგბეთა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი (1989); რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი (1999).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ილია ჭავჭავაძის 49ა, თბილისი 0612. ტელ: 25 01 15. (ბინის) ირ.აბაშიძის 19, თბილისი. ელ-ფოსტა: sumo-georgia@yahoo.com
**როცა მოვხუცდები და თუ ყველა შემხვედური მომესალმება, მაშინ ჩემი ცხოვრება სწორედ გამივლია.**

## მიხეილ სააკაშვილი



საქართველოს პრეზიდენტი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: გიული ალასანია, ნიკოლოზ სააკაშვილი; მეუღლე — სანდრა ელისაბედ რულოვსი (1968); შვილები: ედუარდი (1995), ნიკოლოზი (2005). დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი (1992); ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა, იყო ამერიკის კონგრესის სტიპენდიანტი (1994); იყო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული ცენტრის დოქტორანტი (1995-96); მიღებული აქვს საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის დიპლომი ადამიანის უფლებათა შედარებით სამართალში. მუშაობდა ნორვეგიის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და ნიუ-იორკის უდიდეს საადვოკატო ფირმაში. 1995 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის წევრი; საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი. 2000 წელს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად. 2001 წელს პრეზიდენტის კურსისა და მთავრობაში არსებული კორუფციისადმი პროტესტის ნიშნად გადადგა მინისტრის თანამდებობიდან. 2001 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა ვაკის მაჟორიტარ დეპუტატად. იყო პოლიტიკური პარტიის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" — თავმჯდომარე (2001-02); თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე (2002-04). ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სტატია. 2004 წლის 4 იანვარს საქართველოს მოსახლეობამ ხმათა 97%-ით აირჩია საქართველოს პრეზიდენტად. აღიარებულია საქართველოს „წლის ადამიანად" (1997); 2004 წელს დასახელდა „ევროპული ხმის" ყოველწლიური კონკურსის — „წლის ევროპელის" — „ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქედ"; 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე; იმავე წელს დასახელდა „წლის ადამიანად" უკრაინაში. 2008 წლის 5 იანვარს საქართველოს მოსახლეობამ ხმათა 53,47%-ით აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად მეორე ვადით.

## საბა (ზაზა გიგიბერია)



ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი.

დაიბადა სენაკში 1966 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ლარისა შალამბერიძე-გიგიბერია, როინ გიგიბერია. დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1991), ახალციხის სასულიერო სემინარია (1992). აკურთხეს მორჩილად (1990); ალიკვეცა ბერად (1991); აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (1992); აღყვანილ იქნა ილუმენის ხარისხში, გახდა ტიმოთესუბნის მონასტრის წინამძღვარი (1994); აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1994), აკურთხეს ეპისკოპოსად (1996); იყო საქ. საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიური განყ-ბის თავ-რე (1997); ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი (2003-08); საქ. საპატრიარქოს გამწვანებისა და ეკოლოგიის დეპ-ტის თავ-რე (2004-06). 2008 წლიდან არის ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი. არის მომლოცველთა სამსახურის (ტურიზმი) დეპ-ტის ხელმძღვანელი — 2006 წლიდან. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
ანგელოზის დღე — 18 დეკემბერი.
მისამართი: (რეზიდენცია) ხონის საკათედრო ტაძარი, სოლომონ II-ის ქუჩა 1, ხონი 5900. ტელ: (მაგთი ფიქსი): 890 58 06 05; (995) 99 58 06 05.

## დავით საგანელიძე



პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" გენერალური მდივანი. ექიმი. ეკონომისტი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 17 ივნისს. მშობლები: ლილი ბოჭორიშვილი, ნოდარ საგანელიძე; მეუღლე – სოფო ფარცხალაძე (1989). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1983); თბილისის საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტის ეკონომიური (1998) და იურიდიული (2001) ფაკ-ტები; ლონდონისა და ბრაიტონის ბიზნეს-სკოლები მენეჯმენტისა და ფინანსების სპეციალობით; ათენის ბიზნეს-სკოლის სრული კურსი. იყო მოსკოვის ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის (1983-85), ლენინგრადის სამხედრო სამედ. აკად-ის (1985-86), თბილისის ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის (1986-94) ქირურგი. სს „საქართველოს ბანკის"(1996-99) და სს „თიბისი" ბანკის (1997-99) სამეთვალყურეო საბჭოების წევრი. არის სამედიცინო ფირმა „პულსის", სს „ტრანსკავკასიური კლუბისა" და „ოფის სუიტის" დამფუძნებელი (1988). იყო ქართულ-ინგლისური კორპორაცია GHF-ის პრეზიდენტი (1994-99); საზოგადოებრივი გაერთიანება „ახალი მოძრაობის" დამფუძნებელი (2000); საქ. პარლამენტის წევრი (1999-08); 2003 წლიდან ონის რ-ნის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავ-რის მოადგილე. 2004 წელს აირჩიეს ონის განვითარების ფონდის თავ-რედ. 2001 წლიდან არის პ/გ „ახალი მემარჯვენეების" დამფუძნებელი და პარტიის გენ. მდივანი. არის 14 სამეცნ. ნაშრომისა და 2 წიგნის ავტორი; ეკოლოგიურ მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი; სპორტის ოსტატობის კანდიდატი კალათბურთში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა. სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეგროვება და მათზე დაკვრა. სამთო-სათხილამურო სპორტი. ჭადრაკი.

მისამართი: (სამსახურის) ჟ. კალანდაძის 3 (ყოფ. ბევრეთის), თბილისი 0114.

ელ-ფოსტა: david saganelidze@parliament.ge

**კაცი პირველ რიგში პატივს უნდა სცემდე საკუთარ ოჯახს, ტრადიციებს, სარწმუნოებას, ქვეყანას და მათ დასაცავად არაფერზე არ უნდა დაიხიო უკან. უნდა იყო პრინციპული და არ დაუშვა ტყუილი და ღალატი.**

## თინათინ სადუნიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბიოქიმიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 22 დეკემბერს. მშობლები: ნუნუ გირკელიძე, აკაკი სადუნიშვილი. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1975); თბილისის ი.ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტის სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები (1987); გაიარა სტაჟირება სსრკ მეცნ. აკად-ის ა.ბახის სახ. ბიოქიმიის ინ-ტში (1982); იერუსალიმის უნ-ტში (1996). იყო საქ. მეცნ. აკად-ის მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1974-77), უმც. მეცნ. თანამშრომელი (1977-85); სსრკ მეცნ. აკად-ის ა.ბახის სახ. ბიოქიმიის ინ-ტის თანამშრომელი (1982, 1984); ბუდაპეშტის ეტვაშ ლორანდის სახ. სახელმწ. უნ-ტის მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომელი (1987); უნგრეთის მეცნ. აკად-ის სეგედის ბიოლოგიური ცენტრის ენზიმოლოგიის ინ-ტის თანამშრომელი (1988); საქ. მეცნ. აკად-ის მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1986-94); საქ. მეცნ. აკად-ის ს.დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი (1994-96); სტუ ბიოტექნოლოგიის კათედრის პროფესორი (1994-2004); ს.დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი (1996-2005); საქ. სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (2003-06), მიწვეული პროფესორი (2007 წლიდან); ს.დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის აზოტის ასიმილაციისა და ფიქსაციის ფერმენტების ლაბორატორიის ხელმძღვანელია 2005 წლიდან. მიღებული აქვს მონაწილეობა სემინარებში: INR, ქსენობიოქიმიის ლაბორატორია (საფრანგეთი, 2001); მიუნჰენის ტექნიკური უნ-ტი (გერმანია, 2001); მურსიას უნ-ტი (ესპანეთი, 2002); ლოურენს ბერკლის ეროვნ. ლაბორატორიის მიკრობთა ფიზიოლოგია. ბიოქიმიის ლაბორატორია (ბერკლი, აშშ); ბიოტექნოლოგიური კომპანია Diversa (აშშ, 2005). დაცუ-

ლი აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლიმონის გლუტამატ და მალატდეჰიდროგენაზების თვისებები" (1980), სადოქტორო — „ამონიუმის ასიმილაციის ძირითადი მეტაბოლური გზები უმაღლეს მცენარეებში" (1995). არის ავტორი სამეცნ. ნაშრომებისა: „Метаболизм Антропогенных Токсикантов в Высших Растениях". (თანაავტ. ერთად. Наука, 2005): „Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis of Phytoremediation" (თანაავტ. ერთად. Springer, 2006); „მცენარე ჯანმრთელი გარემოსათვის" (თანაავტ. ერთად. ბათუმი, 2005). არის ევროპის (2002 წლიდან) და საქ. ბიოქიმიკოსთა (1975 წლიდან) საზ-ბების წევრი; ს.დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი (1978 წლიდან). იყო ს.დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტთან არსებული ბიოქიმიასა და ბიოტექნოლოგიაში სადისერტაციო საბჭოს წევრი (1981-2007); INTAS-ის ექსპერტი (2001-04). AEHS (The Association for Environmental Health and Sciences) წევრი (2005-06). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „2010 Edition of Who's Who in the World".
ჰობი: მუსიკა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ს.დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი 0159. ტელ: 52 06 18. ელ-ფოსტა: sadunishvili@hotmail.com
**სიკეთე, კეთილსინდისიერება, ობიექტურობა. წარმატება მიზანსწრაფულობასთან ერთად განაპირობა პასუხისმგებლობის გრძნობამ.**

## კარლო საკანდელიძე



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ვანის რ-ნის სოფ. ზედა ბზვანში 1928 წ. 1 აპრილს. მშობლები: აგრაფინა და ილია საკანდელიძეები; მეუღლე — ლამარა საკანდელიძე (1937); შვილები: ია (1955), კახაბერი (1956). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1949). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი 1949 წლიდან. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ჭინჭრაქა", „ადამიანი იბადება ერთხელ", „საბრალდებო დასკვნა", „სამიდან ექვსამდე", „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ III", „საშობაო სიზმარი" და სხვა; ფილმებში: „მაგდანას ლურჯა" (1955), „ზაფხულის მოთხრობები" (1964), „პიერი მილიციის თანამშრომელი" (1965), „მალე გაზაფხული მოვა" (1967), „ჩემი მეგობარი ნოდარი" (1967), „არ დაიდარდო" (1970), „გათენების წინ" (1971), „დათა თუთაშხია" (1977), „დაუპატიჟებელი სტუმარი" (1974) და სხვა. არის საქ. სსრ დამსახურებული (1961) და საქ. სსრ სახალხო (1974) არტისტი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); საქ. თეატრალური საზ-ბისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. 2008 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი, ფეხბურთი. ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. ტელ: 99 63 73. (ბინის) ვ.ბაგრატიონის ქ. V კ. ბ. 53, თბილისი. ტელ: 35 10 22.
**შრომისმოყვარეობა.**

## ნელი სალაძე



საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი. ტანმოვარჯიშე.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 12 დეკემბერს. მშობლები: ანტონინა გოგიბერიძე-სალაძე, ილია სალაძე; მეუღლე — თეიმურაზ ლეჟავა (1939); შვილები: ალექსანდრე (1965), ნინო (1978). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის (1963), ინგლისური ენისა და ლიტერატურის (1970) ფაკ-ტები; ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინ-ტის ტანვარჯიშის სახეობათა (1983) ფაკ-ტი. არის საქ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინ-ტის პედაგოგი, პროფესორ-ასისტენტი (1997 წლიდან); მხატვრული ტანვარჯიშის სპორტ. კლუბის — „გრაცია" ხელმძღვანელი (1997 წლიდან); საქ. მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი (2003 წლიდან). 2009 წლიდან არის შპს

„ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის" პრეზიდენტი. გადაღებულია მხ. ფილმში „ზღვის ბილიკი"; სატელევიზიო ფილმებში: „გოგონა და ბურთი", „ქალიშვილი და მზე", „ნელი სალაძე". გამოცემული აქვს ლექსების კრებული „სამშობლო-დედა" და ცნობილი ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები რუსულ ენაზე. არის სსრკ და საქ. დამს. მწვრთნელი, სპორტის დამს. მუშაკი, სახალხო განათლების წარჩინებული; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1981, 1987); მინიჭებული აქვს საქართველოს საუკუნის მწვრთნელის საპატიო სახელი (1999). აღზრდილი ჰყავს 5 მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი. მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „100 ქართველი ქალი" (2004).
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49, თბილისი. ტელ: 899 11 90 02. (ბინის) ჭავჭავაძის 75, ბ.19, თბილისი. ტელ: 23 03 51.
**თუ ღმერთმა მოგცა ნიჭი, მადლიერების გამოხატულება ამისათვის არის შენი თავდადება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი და მხოლოდ ასეთი მიდგომა გაძლევს შესაძლებლობას, რომ დააფასო ეს ბუნების მიერ მოცემული საჩუქარი. სპორტმა მომცა საშუალება ჩემი ქვეყნის ღირსება წარმომედგინა მსოფლიოში, რითაც ვთელი, რომ მოვიხადე ვალი ჩემი სამშობლოს წინაშე.**

## მინდია სალუქვაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ფიზიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 3 მაისს. მშობლები: მანონა ცინცაძე-სალუქვაძე, ევგენი (უჩა) სალუქვაძე; მეუღლე — თამარ ჯაში (1937); შვილები: მანანა (1962), მარინე (1969). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1955). იყო მართვის სისტემების ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში და დირექტორი (1981-2006). არის მეცნ. აკად-ის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი. 2006 წლიდან არის სსიპ ა.ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირება შეშფოთებების პირობებში" (1963); სადოქტორო — „ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანები მართვის თეორიაში" (1973). არის 150-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, 10 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი; მის სახელს უკავშირდება სამეცნ. ტერმინები — „სალუქვაძის მეთოდი", „სალუქვაძის ამოხსნა", „სალუქვაძის პრინციპი". წლების განმავლობაში იყო საზ-ბა „მემორიალის" თავ-რე; საქ. ჩოხოსანთა საზ-ბის თავ-რე. არის საქ. სახელმწ. პრემიის ორგზის ლაურეატი (1979, 2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი. ფეხბურთი. ფიქრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 0108. ტელ: 93 10 34. (ბინის) საბურთალოს 61. ბ. 6. თბილისი. ტელ: 39 55 77. ელ-ფოსტა: msaluk@gw.acnet.ge
**1. ვთესო სიკეთე, დავეხმარო ყველას, სადაც ხელი მიმინვდება. 2. არასდროს ვყოფილვარ კმაყოფილი მიღწეულით. 3. წარმატებამ და თანამდებობამ არ უნდა გაგადიდგულოს. 4. გიყვარდეს მოყვასი. 5. ნუთისოფელს კაცად უნდა შერჩე ბოლომდე!**

## ნინო სალუქვაძე



საქართველოს სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.
მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ნინუ და ვახტანგ სალუქვაძეები; მეუღლე — გოჩა მაჭავარიანი (1964); შვილები: ნინო (1994), ცოტნე (1997). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტის მწვრთნელთა ფაკ-ტი (1990). არის სეულის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი (1988); მსოფლიო 6-გზის და ევროპის 17-გზის ჩემპიონი; მსოფლიოს სუპერ-თასის 7-გზის მფლობელი; 20-გზის მსოფლიოს რეკორდსმენი; 6 ოლიმპიადის მონაწილე, მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელი; პეკინის ზაფხულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი (2008). დაცული აქვს საკანდიდატო

დისერტაცია თემაზე: „სპორტული ფსიქოლოგია". არის სპორტის დამს. ოსტატი ტყვიის სროლაში (პისტოლეტი). არის ვ.გორგასლის II და III ხარისხის და ღირსების (1993) ორდენების კავალერი. დასახელებულია XX საუკუნის ქართველ უძლიერეს სპორტსმენ ქალთა ათეულში (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა. ქარგვა. მუსიკა. მინის პატარა ფიგურების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 0162. ტელ: 23 55 80. (ბინის) ფასანაურის 9, ბ.9, თბილისი. ტელ: 44 19 39.
**შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიმართლე, ჩემი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, რწმენა და იღბალი, ოჯახის პატივისცემა.**

## ზაალ სამადაშვილი



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე. მწერალი.

დაიბადა თბილისში 1954 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: თამარ მიქაძე, შოთა სამადაშვილი; მეუღლე — ნანა იაშვილი (1954); შვილი — გიორგი (1981). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1976). იყო ჰიდროენერგეტიკის ს/კ ინ-ტის ლაბორანტი (1976-80); კ/ს „ქართული ფილმის" მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების სტაჟიორ-ლიტერატორი (1981-89); გაზეთ „მამულის" რედაქტორის მოადგილე; ალმანახ „XX საუკუნის" მთ. რედაქტორი (1989-94); სტუ ჰუმანიტარული ფაკ-ტის ლექტორი; თბილისის 53-ე საჯარო სკოლის დირექტორი (2005-07). 2006 წლიდან არის თბილისის საკრებულოს წევრი; თბილისის საკრებულოს თავ-რეა 2008 წლიდან. გამოცემული აქვს მოთხრობების ხუთი კრებული: „როგორც ძველ იტალიურ ფილმებში", „ალი გამურულ შუშაში", „ბოშები", „პლეხანოვური ამბები", „სანდრო კანდელაკის ჩექმა", „დუეტი". არის სცენარის ავტორი ფილმებისა „თემო" და „გარსევანი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხეტიალი.
მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 2, თბილისი 0117. ტელ: 92 04 85. (ბინის) სართიჭალის 16, თბილისი. ტელ: 77 26 93.
**როცა არ მოგწონს სხვის მიერ გაკეთებული საქმე, შეეცადე თავად გააკეთო უკეთესად.**

## მერაბ სამადაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 11 ოქტომბერს. მშობლები: ციალა გიგაური, ბორის სამადაშვილი; მეუღლე — ხათუნა მიქანაძე (1971); შვილები: დაჩი (1996), ბაჩანა (1998). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობისა (1987) და საერთაშ. ურთიერთობების (1986) ფაკ-ტები. იყო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სალიანდაგო სამსახურის ბრიგადირი, გზის ოსტატი, ელექტროტრანსპორტის განყ-ბის ინჟინერი, I კატეგორიის ინჟინერი (1981-88); თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ინჟინერი (1988-91); ფირმა „მადონას" გენ. დირექტორი (1991-93); კომერციული ბანკის — „ელიტბანკი" გამგეობის თავ-რის მოადგილე (1993); კომერციული ბანკის — „სტიმული" გამგეობის თავ-რე (1993-95); „ცეკავშირის" გამგეობის თავ-რის მოადგილე (1995-99); საქ. პარლამენტის წევრი (1999 წლიდან); საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილე (2002-04), ფრაქცია „საქართველოს რეგიონებისა" და დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი (2008 წლამდე). 2008 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" თავ-რის მოადგილე, დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე. არის 3 სამეცნ. გამოგონების ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 11. (ბინის) სანავარდოს 76, თბილისი. ელ-ფოსტა: m.samadashvili@parliament.ge
**სიმართლე.**

## ირაკლი სამსონაძე

მწერალი. დრამატურგი.



დაიბადა თბილისში 1961 წ. 31 მაისს. მშობლები: ლილი და გივი სამსონაძეები; მეუღლე — ირინე ადამაშვილი (1961); შვილები: თამთა (1984), გივი (1990). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1983). იყო გამომცემლობა „მერანის" თანამშრომელი (1989-96); ალმანახ „დრამატურგის" მთ. რედაქტორის მოადგილე და მთ. რედაქტორი. არის 17 პიესის ავტორი. გამოცემული აქვს პიესების კრებული „ტრიპტიქი" (2000); მოთხრობების წიგნი „გარეუბანი" (2001); მცირე რომანი „ყურთბალიში" (2002); მისი მოთხრობები შესულია კრებულში: „15 საუკეთესო მოთხრობა". არის სახელმწ. პრემიის (2000), ლიტ. კონკურსების — „კვალი" და „საბა" (2004) ლაურეატი. მიღებული აქვს მწერალთა და თეატრის მოღვაწეთა კავშირების ჯილდოები. არის საქ. მწერალთა (1980 წლიდან) და თეატრის მოღვაწეთა (1985 წლიდან) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეგობრებთან დროსტარება.
მისამართი: (ბინის) დიდი დიღომი, III მ/რ, კორპ. 16, ბ.13, თბილისი. ტელ: 53 55 80.
**საქმის ერთგულება და ნებისყოფა.**

## შოთა სამსონია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ქიმიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1941 წ. 24 იანვარს. მშობლები: ელენე ცქიტიშვილი, ავთანდილ სამსონია; მეუღლე — მედეა გიგოლაშვილი (1940); შვილები: ნინო (1966), ავთანდილი (1973). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1963), მოსკოვის დ.ი. მენდელეევის სახ. ქიმიურ-ტექნოლოგიური ინ-ტის ასპირანტურა (1967) და დოქტორანტურა (1976). იყო პ.მელიქიშვილის სახ. სტიპენდიანტი (1961). იყო თსუ ორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტი (1967-69), დოცენტი (1970-77), პროფესორი და კათედრის გამგე (1978-90); თსუ ორგანული სინთეზის ს/კ ლაბორატორიის სამეცნ. ხელმძღვ. (1987-2006); ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის გამგე (1990-2006). არის საქ. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნ. ცენტრის „საქპატენტის" მეცნ.-კონსულტანტი (1995 წლიდან); თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის ქიმიის მიმართულების სრული პროფესორი და ორგანული ქიმიის ქვემიმართულების ხელმძღვ. (2006 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პოლიესტერკარბონატების სინთეზი და კვლევა" (მოსკოვი, 1967); სადოქტორო — „ბენზოლის ბირთვით შეუღლებული პიროლოინდოლებისა და ბისინდოლების სინთეზი და კვლევა" (მოსკოვი, 1984). არის 460-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, 27 წიგნის, სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის, 18 პატენტის ავტორი. მათ შორის: სახელმძღ.: „ორგანული ქიმიის საწყისები" (2000); მიმოხილვითი სტატიები: „The chemistry of pyrroloindoles" (1994), „ The chemistry of indoloindoles" (2007) და სხვა. მინიჭებული აქვს სსრკ გამომგონებლის წოდება (1986); მიღებული აქვს პ.მელიქიშვილის სახ. სამეცნ. პრემია (1980); არის სსრკ დ.ი. მენდელეევის საზ-ბის დიპლომანტი (1967); ღირსებისა (1998) და ივ.ჯავახიშვილის სახ. (1991) მედლების მფლობელი; საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (1981 წლიდან); საქ. ქიმიური საზ-ბის (1967), საქ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის (1994 წლიდან), ნიუ -იორკის მეცნ. აკად-ის (1995) წევრი; სოროსის ფონდის პროფესორი (1995) და სტიპენდიანტი (1995-99); საქ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად-ის ქიმიის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (2008 წლიდან); იყო ქიმიაში სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავ-რე (2004-06). არის თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი (2006 წლიდან); თსუ ქიმიის მიმართულების დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თა-რე (2007 წლიდან.); თსუ შრომების სამეთვალყურეო კოლეგიის წევრი (2006 წლიდან). გავლილი აქვს სამეცნ. სტაჟირება გუტენბერგის (1971-72), იენის (1987-1990), ზაარბრიუკენის (1987, 1992, 1996, 1998, 1999, 2003, 2005, 2007.) უნ-ტებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Polymernews" (1991), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი 0179. ტელ: 22 68 10; ფაქსი: 22 51 07 (ბინის) ალ. ყაზბეგის 29ა, ბ. 43, თბილისი 0177. ტელ: 39 66 89, 890 396689; ელ-ფოსტა: shotasamsonia@yahoo.com; www.acnet.ge.www.tsu.ge
**ყურადღება, სიკეთე.**

## რატი სამყურაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ისტორიკოსი. პოლიტოლოგი.

დაიბადა ჭიათურაში 1977 წ. 19 დეკემბერს. მშობლები: თამარ დეკანოიძე, რევაზ სამყურაშვილი; მეუღლე — ეკატერინე ტოგონიძე (1981). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტის ბაკალავრიატი (1998), მაგისტრატურა (2000), ასპირანტურა (2003); ოქსფორდის St. Clare-ისა და CIE-ის კოლეჯები (2007). იყო სმაკ-ის ცენტრალური სათათბიროს ვიცე-სპიკერი (1998-99), საკადრო რესურსების სამსახურისა (1999-2000) და საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის (2000-01) უფროსი; საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს რეფორმების საორგ. სამდივნოს უფროსი (2001); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გლდანის ორგანიზაციის თავ-რე (2002-03), რეგიონული მდივნის მოადგილე (2003). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავ-რის მოადგილე (2004-08); 2008 წლიდან — ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავ-რის მოადგილე, საქ. I პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი. კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 28 26 17. (ბინის) გლდანის III მ/რ, კორპ.9, ბ. 35. ელ-ფოსტა: ratisam@parliament.ge
**გულწრფელობა ცხოვრებასა და პოლიტიკაში.**

## მედეა სანაია



ჟურნალ „სარკის" მთავარი რედაქტორი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 3 იანვარს. მშობლები: ნინო ტალახაძე, კონსტანტინე სანაია; მეუღლე — ირაკლი წულაძე (1973). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1985). იყო თსსი ქართული ენის კათედრის პედაგოგი (1986-95); გაზ. „ახალი თაობის" მთ. რედაქტორის მოადგილე (1996-99). 1998 წლიდან არის ჟურ. „სარკის" დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი. ჟურ. „სარკეს", როგორც ყველაზე პოპულარულ ჟურნალს, მიღებული აქვს ჯილდო „ოვაცია" (2002, 2003), არის გამარჯვებული ნომინაციაში „ლიდერი", როგორც „ქართული ბრენდი" (2006, 2007). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ადამიანებთან ურთიერთობა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ჩუბინაშვილის 50, თბილისი. ტელ/ფაქსი: 96 75 43. ელ-ფოსტა: sarke@mail.ru
**სიცოცხლის სიყვარული.**

## გივი სანაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ბიოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ივლისს. მშობლები: მარიამ შანიძე, ალექსანდრე სანაძე; მეუღლე — ანა კალანდაძე (1938); შვილები: დავითი (1958), ნიკოლოზი (1968), ალექსანდრე (1973). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1952). იყო ბოტანიკის ინ-ტის ფიზიოლოგიის განყ-ბის ლაბორანტი, უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1953-68); თსუ მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1982-99); თსუ ფოტოსინთეზის ლაბორატორიის გამგე (1968-2006); საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის ვიცე-პრეზიდენტი (1988-2003).

არის საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის აკადემიკოსი (1983 წლიდან); დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მცენარეთა მიერ აქროლადი ნივთიერებების გამოყოფა" (1959); სადოქტორო — „იზოპრემის ბიოსინთეზი"; მის მიერ დადგენილ იქნა ახალი ფოტობიოლოგიური მოვლენა, რომელსაც სამეცნ. ლიტ-რაში „იზოპრემის ეფექტს" (სანაძის ეფექტს) უწოდებენ (1968); ამ აღმოჩენის გამო იყო ნობელის პრემიის ნომინანტი (1978). არის 2 მონოგრაფიის, 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა და რამდენიმე აღმოჩენის ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 0108. ტელ: 99 94 22. ფაქსი: 99 88 23. (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ.80. თბილისი. ტელ: 42 11 24.
**უნდა ემსახურო შენს საქმეს, დააფასო პროფესიონალიზმი და მაქსიმალურად ხელი შეუწყო ახალგაზრდა თაობის განათლებას. უნდა გიყვარდეს ადამიანები, ფიქრობდე მათ სოციალურ დაცულობაზე, რაც სახელმწიფომ უნდა აჩვენოს თავის კანონმდებლობაში, ქვეყნის მომავალზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ოჯახზე. გნამდეს ღმერთი.**

## თენგიზ სანაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ფიზიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 30 იანვარს. მშობლები: ნატალია ეფრემიძე, ივანე სანაძე; მეუღლე — აველინა დავითულიანი; შვილები: გიორგი (1957), დიმიტრი (1963), ნატალია (1978), ეკატერინე (1980). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1953). იყო თსუ უფრ. მეცნ. თანამშრომლის მ/შ (1956-59); დაბალი ტემპერატურების ს/კ ლაბორატორიის გამგე (1959-61); თსუ რადიოფიზიკის კათედრის გამგე (1961-2005); არის პროფესორი 1971 წლიდან; საქ. მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (1974 წლიდან), საქ. მეცნ. აკად-ის წევრი (2002 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო (1958) და სადოქტორო (1971) დისერტაციები ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის დარგში. არის 100-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი; თსუ პირველი (1968) და პ.მელიქიშვილის სახ. (1970) პრემიების ლაურეატი დისკრეტული გაჯერების მოვლენის აღმოჩენისა და ახსნისათვის; საერთაშ. „ეპრ" საზ-ბის ფელოუ (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Marquis Who`s Who (1995-2000), Intrenational Book of Honour (ABI, 1996), 2000 Outstanding People of the 20th Century, (IBC, Cambridge, 1998), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
ჰობი: სამთო თხილამურები. კლასიკური მუსიკა (ფორტეპიანო).
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 3. თბილისი 0108. ტელ: 29 08 56. ფაქსი: 22 11 03. (ბინის) ატენის 20, ბ.52. თბილისი 0179. ტელ: 23 42 70. ელ-ფოსტა: avelina@hepi.edu.ge
**უანგაროდ ვემსახურებოდი მეცნიერებას.**

## მამუკა სანებლიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ეკონომისტი.

დაიბადა წყალტუბოს რ-ნში 1967 წ. 24 მაისს. მშობლები: ლუიზა სამსონია, თამაზ სანებლიძე; მეუღლე — ნინო ხვისტანი (1966); შვილი — თამაზი (1999). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიური ფაკ-ტი (1990). იყო სოფ. გეგუთის საბჭოთა მეურნეობის მუშა (1984-87); წყალტუბოს საექსპერტო-ეკოლოგიური ცენტრის უფრ. ეკონომისტი (1991-96); წყალტუბოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე (1996-98); სოც. უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწ. ფონდის წყალტუბოს საქალაქო განყ-ბის გამგე (1998-2002). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. თავისუფალი დროის მეგობრებთან გატარება. პარტიული მოღვაწეობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118.ტელ: 28 15 68. (ბინის) ნუცუბიძის IIIპლ. ყლენტის 1.
**სამშობლოს სიყვარული. უღალატობა მეგობრების და ყველას მიმართ. საკუთარი პრინციპების ერთგულება.**

## გიორგი სანიკიძე



გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი. ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: მზია მგალობლიშვილი, თამაზ სანიკიძე. მეუღლე — ნინო კილურაძე (1963); შვილი— ანა (1986). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1984). იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1985-2002); თბილისის აზიისა და აფრიკის ინ-ტის აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტის დეკანი (1997-2002); „პარიზი-სორბონა IV" უნ-ტის არაბული და ისლამური კვლევების დეპ-ტის (1996-97), „პარიზი-სორბონა III" უნ-ტის ირანული კვლევების ინ-ტის (2002), ბერკლის უნ-ტის აღმ. ევროპის, სლავური და ევრაზიული კვლევების ინ-ტის (2003-04), ჰოკაიდოს უნ-ტის სლავური კვლევების ცენტრის (2005) მიწვეული პროფესორი. არის თბილისის აზიისა და აფრიკის ინ-ტისა (1993 წლიდან) და თსუ სრული პროფესორი (2006 წლიდან); აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის დირექტორი (2002 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ისმაილიანთა სახელმწიფოს შექმნა ირანში" (1990), სადოქტორო — „შიიზმი და სახელმწიფო ირანში" (2001). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „შიიზმი და სახელმწიფო ირანში" (2005); „ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში" (1999); თანაავტორი ენციკლოპედიური ცნობარისა „ისლამი" და კატალოგისა Union Catalogue of Persian, Arabic, Ottoman Turkish, Kurdish and Azerbaijan Serials and Newspapers in the Libraries of the Republic of Azerbaijan and the Republic of Georgia (თეირანი, 2006). არის 70 სამეცნ. პოპულარული ნარკვევისა და 50 სამეცნ. პუბლიკაციის ავტორი; მათ შორის: „Islam and Islamic Practices in Georgia" (2004). „Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region:" „Global" and „Local Islam in the Pankisi Gorge" და სხვა. მიღებული აქვს აშშ მთავრობის ფულბრაიტის (2003-04), საფრანგეთის „ადამიანის მეცნიერებათა სახლის", დიდროს (1995-96 და 2002) და ჰოკაიდოს უნ-ტის (2005) სტიპენდიები; არის საფრანგეთის ინტერსაუნივერსიტეტო კვლევითი ჯგუფის — „ისლამური ცივილიზაცია" (1995-96), „ირანული სამყარო" (2002), აშშ სლავური კვლევების ასოც-ის (2005 წლიდან), აშშ სპარსული საზ-ბების კვლევის ასოც-ის (2005 წლიდან), საქართველო-ირანის სამეცნ. და კულტურული თანამშრომლობის საზ-ბის გამგეობის (2000 წლიდან) და საქ. „ბიბლიოთეკების განვითარების ფონდის" გამგეობის (1995-2000) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კითხვა. მოგზაურობა. ფეხბურთი. ძველებური გემების მოდელების შეგროვება.

მისამართი: (სამსახურის) წერეთლის 3, თბილისი 0162. ტელ/ფაქსი: 23 31 14; (ბინის) ი.აბაშიძის 59, თბილისი 0162. ტელ: 22 32 19. ელ-ფოსტა: gsany@yahoo.com

## გუბაზ სანიკიძე



პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის" პოლიტიკური საბჭოს წევრი. აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი.

დაიბადა ქუთაისში 1967 წ. 2 თებერვალს. მშობლები: ლილი გოგია-სანიკიძისა, ლევან სანიკიძე; მეუღლე — ირმა შუბლაძე-სანიკიძისა (1980); შვილები: ლევანი (1999), ნინო (2001). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1989). იყო თსუ აზია-აფრიკის ხალხთა ისტორიის (1992-95), ძველი მსოფლიოს ისტორიის (1995-2006) კათედრების თანამშრომელი; საქ. უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91); საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ტრადიციონალისტის" თავ-რის მოადგილე, თავ-რე (1999-2003). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რომი და ელინურ-ელინისტური აღმოსავლეთი ", სადოქტორო — „რომაული რესპუბლიკის კრიზისი ძვ.წ. II-I საუკუნეებში". ავტორია 20-მდე სამეცნ. კვლევისა. იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი, თავ-რის მოადგილე (1990-2006). 2006 წლიდან არის პ/გ „ეროვნული ფორუმის" პოლიტიკური საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ბიბლიოთეკა, გეოგრაფიული ატლასები.

მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 30, ბ.18, თბილისი. ტელ: 93 17 44, 99 65 77. (ბინის) ი. აბაშიძის 53, II სად. ბ. 16. თბილისი. ტელ: 23 40 43.

**ღირსება, ერთგულება, პროფესიონალიზმი.**

## გივი სარჩიმელიძე

რეჟისორი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1929 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: ნინო და გიორგი სარჩიმელიძეები; მეუღლე — ნანი კარიჭაშვილი (1928); შვილები: თამარი (1957), ნინო (1963). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1953). იყო თოჯინების სახელმწ. თეატრის დამდგმელი რეჟისორი, მთ. რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვ. (1969-99), თსთი პედაგოგი (1953), პროფესორი (1994). დადგმული აქვს სპექტაკლები: ა.პოპესკუს „მზის სხივი" (პირველი ხარისხის დიპლომი რუმინული დრამატურგიის ფესტივალზე, 1979) და „ცისფერი ზღარბი" (უნგრეთის თეატრალური ფესტივალის ლაურეატი, 1977); მ.ხეთაგურის „ხეტიალა" (თოჯინების თეატრების აზიის საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი, 1979; პოლონეთის საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი 1980; წლის საუკეთესო საბავშვო სპექტაკლი, 1979), მ.აბრამიშვილის „ბარბალუკა, ნიშხა, ნიშხა" (საკავშირო პრემია, 1982) და სხვა. მონაწილეობდა 12 მხ. ფილმში. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1983); ღირსების ორდენის კავალერი (2001); აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის კავალერი (2000); საქ. თეატრის და თოჯინების თეატრის საერთაშ. მოღვანეთა (უნიმა) კავშირების წევრი; საქ. უნიმას პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია საკავშირო ენციკლოპედიაში „Куклы" ( მოსკოვი, 2004), კემბრიჯის ენციკლოპედიურ ცნობარში (1998).

პობი: სოფლის მეურნეობა. თევზაობა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ, 19. თბილისი 0108. ტელ: 93 22 52 .
(ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 49, I კვ. კ.3, ბ.62, თბილისი. ტელ: 39 52 46.

**დაუღალავი შრომა, მაქსიმალური მოთხოვნა საკუთარი თავის მიმართ. მოვალეობის გრძნობა, პროფესიაში ახალი იდეებისა და გზების ძიება.**

## გურამ საღარაძე

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1929 წ. 12 იანვარს. მშობლები: ნადეჟდა ჯეირანიშვილი, გიორგი საღარაძე; მეუღლე — ტატიანა ბუხბინდერი (1940-95); შვილი — მარინე (1956). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1951). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1951 წლიდან; არის თსთი პროფესორი და კათედრის გამგე (1958 წლიდან). შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „როცა ასეთი სიყვარულია", „ამბავი სიყვარულისა", „ანტიგონე", „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „სეილემის პროცესი", „საბრალდებო დასკვნა", „კავკასიური ცარცის წრე", „ჩემო კალამო", „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის", „დაკრძალვა კალიფორნიაში", „ასერგასის დღე", „მაკბეტი", „შობის მეთორმეტე ღამე", „მოხუცი ჯამბაზები", „სხვა საქართველო" და სხვა. გადაღებულია კინოფილმებში: „ბაში-აჩუკი", „დათა თუთაშხია" და სხვა. არის რუსთაველის (1977), სსრკ და საქ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; იყალთოს საპატიო მოქალაქე; ლვოვის საერთაშ. თეატრალური ფესტივალის „ოქროს ლომის" I პრემიის ლაურეატი. 2007 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

პობი: თავისუფალ დროს მეგობრებთან დროსტარება. ნარდის და პოკერის თამაში.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.17, თბილისი. ტელ: 99 63 73. (ბინის) ალმაშენებლის 147. ტელ: 95 29 73.

**ღვთისმოსაობა, სამშობლოს სიყვარული, მეგობრის არ ღალატი, ისე უნდა იცხოვრო, რომ უკან მოხედვის არ შეგრცხვეს, არ შეგეშინდეს. პროფესიის დაუფლება ბოლომდე და საერთოდ მაღალი პროფესიონალიზმი, სხვა ერების პატივისცემა, ცხოვრების სიყვარული, პოეზიით და მუსიკით გატაცება.**

## გურამ საღარაძე



მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის — „დინამო" აღმასრულებელი დირექტორი. ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 21 მარტს. მშობლები: მარიამ მამუჩარაშვილი, რევაზ საღარაძე; მეუღლე — მანანა საბაშვილი (1947); შვილები: ეკა (1970), გიორგი (1972). დაამთავრა სპი ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის" ინჟინერ-ტექნოლოგი (1972-76); რესტორან „ბეთანიის" დირექტორი (1976-78); საქ. ნაკრები გუნდის უფრ. მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში (1980-81); სხვადასხვა პურის ქარხნის დირექტორი (1995 წლამდე); თბილისის საკრებულოს წევრი (2000-02); თბილისის მერიის კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის უფროსი (2002-03); სპორტული კლუბის — „დინამო" საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი (2003-06). ფსკ „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორია 2006 წლიდან. არის ორგზის მსოფლიო ჩემპიონი (1963, 1965); 1967 წლის ოლიმპური თამაშების პრიზიორი; ევროპის (1965) და სსრკ (1964, 1965, 1966) ჩემპიონი; მრავალ საერთაშ. ტურნირში გამარჯვებული. არის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსების ორდენების, ფილა-ს საპატიო ორდენის ორგზის (2005, 2009) კავალერი; თბილისის საპატიო მოქალაქე; ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და საქ. სპორტის ენციკლოპედიაში.
ჰობი: მეგობრობა. ქართული სუფრა და ქართული სიმღერა, თამადობა.
მისამართი: (სამსახურის) წერეთლის 2, თბილისი. ტელ: 95 14 36. (ბინის) ფალიაშვილის 80ბ, ბ. 9. თბილისი. ტელ: 22 42 51.
**ენა, მამული, სარწმუნოება. მენახოს ბედნიერი, მშვიდობიანი, სიკეთით და სიყვარულით სავსე საქართველო ცოტა ხანში. და, რა თქმა უნდა, ჩემი პატრიარქის ჯანმრთელი, ხანგრძლივი სიცოცხლე.**

## რამაზ საყვარელიძე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი და კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი. ფსიქოლოგი.

დაიბადა თბილისში 1950 წ. 18 თებერვალს. მშობლები: მარიამ თაბორიძე, ტარიელ საყვარელიძე; მეუღლე — რუსუდან მშვიდობაძე (1950); შვილი — სოფო (1975). დაამთავრა თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1973). იყო განათლების სამინისტროსთან არსებული გამოყენებითი ფსიქოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი (1990-96); სახელმწ. მეთაურის საინფორმაციო პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელი, პრეს-მდივანი (1993-95); ფსიქოთერაპიისა და ფსოქოსომატური მედიცინის ფაკ-ტის დეკანი (2005-06); საქ. პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი (2004-05); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95; 1995-99); თსუ ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი (1980-2006); თსსუ ზოგადი და კლ. ფსიქოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სემანტიკური ინტერფერენციის ფსიქოლოგიური მექანიზმის საკითხისათვის" (1979). არის 40-მდე სამეცნ. სტატიისა და მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი. საქ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგთა საზ-ბის (1980 წლიდან) და პრაქტიკოს ფსიქოლოგთა ასოც-ის წევრი (2000 წლიდან). 2008 წლიდან არის დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ს/კ ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა. პოლიტიკური მოვლენების კომენტირება.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 33ა, თბილისი. ტელ: 39 38 01. (ბინის) ყიფშიძის 7, თბილისი. ტელ: 22 32 97. ელ-ფოსტა: sakramaz@yahoo.com
**ვაკეთო ის, რაც მაინტერესებს და საინტერესოდ ვაქციო ის, რასაც ვაკეთებ.**

## ნათელა სახოკია



სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი.
სისტემოტექნიკოსი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 26 დეკემბერს. მშობლები: ელენე გვათუა, გრიგოლ სახოკია; მეუღლე — ოთარ რუხაძე (1943); შვილი — ირაკლი (1966). დაამთავრა საპი ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1965). იყო თბილისის ავტომატიზაციისა და ხელსაწყოთმშენებლობის ს/კ ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1966-82); მართვის პრობლემათა ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1982-91). არის სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი (1991 წლიდან); ევროკავშირის პროექტის — „საქართველოს პარლამენტის რეფორმის მხარდაჭერისათვის" — დირექტორი (2005 წლიდან). არის ავტორი წიგნებისა: „ერის სიმდიდრე" (2003), „განათლების ხელმისაწვდომობა" (2004), „საქართველო და ევროკავშირი. საზოგადოებრივი განწყობა" (2005), „Вопросы женского предпринимательства" (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: აივანზე ყვავილების გაშენება.
მისამართი: (სამსახურის) ვ.ბერიძის 6, თბილისი. ტელ: 99 94 93. (ბინის) გამსახურდიას 2, თბილისი.
ტელ: 33 54 89. ელ-ფოსტა: natelas@src.ge
„არ იყიალო".

## რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძე



კომპოზიტორი.

დაიბადა ზესტაფონში 1946 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: ნინო სამყურაშვილი, შოთა სებისკვერაძე; მეუღლე — ედუარდ გერსამია (1936); შვილები: დავითი (1975), მარიამი (1976). დაამთავრა თსკ საფორტეპიანო განყ-ბა (1970). არის ი. ჭავჭავაძის სახელმწ. უნ-ტის, თსუ-სა და მე-2 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი 1966 წლიდან. იყო საზ-ბრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი (2005-07). არის 350 სიმღერის ავტორი. გამოცემული აქვს სიმღერების 6 კრებული (1995 წლიდან), აუდიო-ვიდეო კასეტები და კომპაქტ-დისკები; გამართული აქვს 50-ზე მეტი საავტორო კონცერტი (1983 წლიდან). არის ი.გოგებაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1993); ღირსების ორდენის კავალერი (1996); „წლის საუკეთესო ადამიანი" (2005); დასახელებულია 20 საუკეთესო კომპოზიტორთა შორის საქართველოში (1999). არის კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1996). 2006 წელს თბილისის სახელმწ. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მანქანის მართვა. კულინარია.
მისამართი: (ბინის) გუდაურის 8, ბ. 26, თბილისი. ტელ: 91 52 50; 877 74 41 41.
**ჩემი ცხოვრების კრედოა ვიცხოვრო სიყვარულით, სიყვარულით აღვზარდე შვილები, ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ მიმეცა პროფესიული განათლება და ყოფილიყვნენ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები. ჩემი შემოქმედების პოპულარობა განსაზღვრა იმან, რომ ვაგრძელებ ქართული სასიმღერო ჟანრის ტრადიციებს. ჩემი სიმღერების ძირითადი თემაა: პატრიოტული სიმღერა, სატრფიალო სიმღერა, საბავშვო სიმღერა. ვოცნებობ დავწერო მუსიკა კინოსთვის.**

## სერაფიმე (თამაზ ჯოჯუა)



ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი.

დაიბადა სოხუმში 1961 წ. 15 თებერვალს. მშობლები: ანგელინა მარგველაშვილი, ილია ჯოჯუა. დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1990). იმყოფებოდა მარტყოფის მამათა მონასტერში (1991-92); ჩააცვეს მორჩილის კაბა, ალიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად, მღვდელმონოზვნად (1992); იყო ფოკის მამათა მონასტრის წინამძღვარი (1992); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1994); აკურთხეს ეპისკოპოსად (1995); აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (2002). იყო ბორჯომისა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსი (2002). 2002 წლიდან არის ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

მისამართი: (რეზიდენციის) სააკაძის 40, ბორჯომი 0120. ტელ: 8 267 2 33 33; 891 30 04 87

## სერგი (ზურაბ ჩეკურიშვილი)



ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტი.

დაიბადა რუსთავში 1959 წ. 13 აპრილს. მშობლები: მარგალიტა ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჩეკურიშვილი. გაიარა ხარკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის სამი კურსი; დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია (1990). აღიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (1988); აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1990); ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1992). იყო ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი (1992-97); ახალციხის სასულიერო სემინარიის რექტორი (1992-97); აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (1995). იყო საქართველოს საპატრიარქოს სატელევიზიო გადაცემათა შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი (1995-2002). არის ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიის მიტროპოლიტი 1997 წლიდან. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.

ანგელოზის დღე — 18 ივლისი.

მისამართი: (რეზიდენციის) ზაქათალის 33, ლაგოდეხი 2500, ფაქსი: (890) 55 89 50; (899) 55 89 50.

## ირაკლი სესიაშვილი



ასოციაციის — „სამართალი და თავისუფლება" დირექტორი.
უფლებადამცველი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 11 იანვარს. მშობლები: ნუნუ დოლიძე, კარლო სესიაშვილი; მეუღლე — თინათინ კიკილაშვილი (1977); შვილები: დავითი (1997), ლაშა (2007). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის (1995), ჰაიდელბერგის უნ-ტის გერმანისტიკის (1996), ბამბერგის უნ-ტის ჟურნალისტიკის (1997) ფაკ-ტები. იყო გერმანული ჟურ. "Kaukasische Post"-ისა (1995-96) და საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის (1998-2003) რედაქტორი; თსუ გერმანული ენის ლექტორი (1995-2003); საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დამცველი (2004); ასოციაციის — „სამართალი და თავისუფლება" გამგეობის წევრი (2000-05), დირექტორია 2007 წლიდან. არის დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის გამგეობის წევრი (2008). მიღებული აქვს ჰამბურგის მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის „მასტერის" ხარისხი, თემა — „ბუნდესთაგის სამხედრო რწმუნებული და საქართველოს შეიარაღებული ძალების დემოკრატიზაცია". არის ავტორი წიგნებისა: „ქართული ჯარი კანონსა და სინამდვილეს შორის" (2001), „წვევამდელთა უფლებები" (1998), „ჯარისკაცთა უფლებები" (1999), „ოფიცერთა უფლებები

(2000), „ჯარი და დემოკრატია" (2006), „სამხედრო მოსამსახურეთა უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებანი ეუთოს ქვეყნებში" (2008).
ჰობი: თევზაობა, ნადირობა, ბუნებაში სიარული.
მისამართი: ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება"; ტელ: 95 89 80. ელ-ფოსტა: info@ajl.ge
**ჩემი ცხოვრება არაფრით განსხვავდება სხვისგან, ყოველთვის ვცდილობდი დამეცვა სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპები. რაც შეეხება ადამიანის წარმატებას, ის ჩემი აზრით ემყარება ადამინის ნიჭს, განათლებას და შრომისმოყვარეობას.**

## მერაბ სეფაშვილი

მომღერალი.



დაიბადა თბილისში 1961 წ. 15 ოქტომბერს. მშობლები: ჯულიეტა მურადელი, ედუარდ სეფაშვილი; მეუღლე — ნინო ჯურხაძე (1962); შვილები: ნიკუშა (1986), სანდრო (1993). დაამთავრა თსთი (1988). იყო სახელმწ. ორკესტრ „რეროს" (1977-79), ანსამბლ „75"-ის (1979-80), ტელერადიო კომიტეტის „როკ ანსამბლის"(1980-84), მარჯანიშვილის თეატრის ანსამბლ „თეატრონის" (2002-04) წევრი. არტ-იმედის დირექტორი; ტელეკომპანია „1 სტერეოს" შემოქმედებითი დირექტორი. ჩაწერილი აქვს ალბომები: „Sex mashin", „ქარი ქრის", „ნისლისფერი განშორება", „მე მოვედი". არის ღირსების ორდენის კავალერი (1997); ფესტივალ „იურმალას" გამარჯვებული (1987); საერთაშ. ფესტივალ „როკ-მარშის" გრან-პრის მფლობელი; ბორჯომისა და რუსთავის საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) არსენას 11, თბილისი. ტელ: 99 96 90.
**შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება და უღალატობა.**

## კოკა სეფერთელაძე

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე. იურისტი. არქიტექტორი.



დაიბადა თბილისში 1977 წ. 15 ივნისს. მშობლები: რუსუდან ვადაჭკორია, თამაზ სეფერთელაძე. დაამთავრა სტუ არქიტექტურის ფაკ-ტი (1999); თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (2005); იყო სმაკ-ის ახალგაზრდობასთან ურთიერთობის განყ-ბის უფროსი, პოლიტ. სამდივნოს უფროსის მ/შ, საერთაშ. სამსახურის უფროსი, საერთაშ. მდივანი (1996-2000); საქ. ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის დირექტორის მოადგილე (1997-2000); საქ. პარლამენტის საზ-ბასთან ურთიერთობის დეპ-ტის მიწვეული კონსულტანტი (1997-99); „სტრატეგიული კვლევისა და პოლიტიკური განვითარების ცენტრის" ალმას. დირექტორი (1998-2001); „სილქ როუდ ალიანსის" პრეზიდენტის მრჩეველი (2003); ავიაკომპანია „აირზენა ჯორჯიან ეარვეისის" საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (2004-06); ავიაკომპანია „ეარ ჯ"-ის საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (2006); „პრაგმა ჯგუფის" დამფუძნებელი (2004-06); თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის აპარატის უფროსი, მერის წარმომადგენელი საკრებულოში, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციის უფროსის I მოადგილე (2006-09). 2009 წლიდან არის სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა მინისტრის I მოადგილე.
ჰობი: წიგნები. პრესა. ფეხბურთი. ბოულინგი. ცურვა.
მისამართი: : (სამსახურის) ალ. ყაზბეგის გამზ. 42. თბილისი 0177.
**საკუთარ წარმატებაზე საუბარი არ მიყვარს. სჯობს, მეგობრებმა და კოლეგებმა შეაფასოთ, ხოლო რაც შეეხება იდეალებს, უპირველესი არის სამშობლო, ოჯახი, მეგობრები. ეს ის სამი ფასეულობაა ჩემს ცხოვრებაში, რისთვისაც ღირს თავის განირვა.**

## ჯემალ სეფიაშვილი



კომპოზიტორი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 19 თებერვალს. მშობლები: სედა ლაპიაშვილი, მიხეილ სეფიაშვილი; მეუღლე — მანანა სეფიაშვილი (1953); შვილი — ცისანა (1973); შვილიშვილები: გიორგი (1995), კატო (2003), ლევანი (2004). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1975), ასპირანტურა (1978); თსკ კომპოზიციის განყ-ბა (1985). იყო თბილისის ქიმიურ- ფარმაცევტული ქარხნის ზეინკალი, ინჟინერი (1968-70); საქ. ტელერადიოკომიტეტის კორესპონდენტი და მუს. რედაქტორი (1970-86); რადიოპროგრამის — „შეხვედრები მიკროფონთან" — ავტორი და წამყვანი (1972-86); თბილისის სადღესასწაულო სასახლის (1986-87) და მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის (1987-90) სამხ. ხელმძღვანელი; თეატრ-სტუდია „ჯორჯიას" მუსიკალური ხელმძღვანელი (1990-91); საქ. თავისუფალი პროფკავშირების რესპ. ცენტრის კულტურის საკითხთა კომისიის თავ-რე (1991-95); რუსეთის ფედერაციაში საქ. საელჩოს მრჩეველი, უფრ. მრჩეველი კულტურის საკითხებში (1995-2001). არის მრავალი სიმღერის ავტორი, მათ შორის: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" (1989), „გიხაროდენ" (1999), „გაზაფხული შემოსულა, ლენ" (2000) და სხვა. წლის საუკეთესო სიმღერებად აღიარებულია: „სიყვარულის სანთლები" (1969), „დაშვებული ფარდები" (1970). ჩაწერილი აქვს ალბომები: „ჩვენ, საქართველოს ახაგაზრდობა", „ოჰ, ეს სტუდენტობა!" (1979), „ბრავო, მაესტრო" (1997), „ჯემალ სეფიაშვილი. ახალი ალბომი" (2000), „მეც გავხდი ჭაღარა"(2007). არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის წევრი (1992); საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1989); საქ. კომკავშირის (1980), სახელმწ. (1989, 1998) და აკ. წერეთლის სახ. (1993) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37, ბ.152. თბილისი. ტელ: 99 07 07; 33 36 24; 899 150215.
ელ-ფოსტა: maestro@jemalsepiashvili.ge; www.jemalsepiashvili.ge
**წესიერება, პროფესიონალიზმი, სიყვარული, ერთგულება. და კიდევ ერთხელ პროფესიონალიზმი.**

## გოჩა სვანიძე



საადვოკატო ბიუროს — „სვანიძე და პარტნიორები"
ხელმძღვანელი პარტნიორი. ადვოკატი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 30 მარტს. მშობლები: ელიკო ჩხარტიშვილი, მინდია სვანიძე; მეუღლე — მაია სვანიძე (1970); შვილები: გიორგი (1997), ანა (2001). დაამთავრა სპი საავტომობილო-საგზაო ფაკ-ტი (1984); თსუ საზ-ბრივ პროფესიათა ფაკ-ტის სამართალმცოდნეობის განყ-ბა (1994); თბილისის იურიდიული ინ-ტი (2000). იყო საქ. კომპარტიის ცკ საქმეთა მმართველობის ავტობაზის მორიგე ინჟინერ-ტექნიკოსი (1984-87); საქ. საგზაო სამინისტროს მე-11 საგზაო-სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, ექსპლუატაციის უფროსის მ/შ (1987-90); ეწეოდა ბიზნეს-საქმიანობას (1990-92); იყო საქ. შსს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ლაბორატორიის თანამშრომელი (1993-95); მუშაობდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზ-ბაში — „კორძაძე, სვანიძე, ოქრუაშვილი" (შემდგომში შპს „კორძაძე, სვანიძე და ადვოკატები", 1996-2002); ამხანაგობაში „კორძაძე, სვანიძე და ადვოკატები" (2002-03). საადვოკატო ბიუროს — „სვანიძე და პარტნიორები" ხელმძღ. პარტნიორი (2003 წლიდან). არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ალმას. საბჭოს წევრი, თავ-რის მ/შ (2008 წლიდან); შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატის" დამფუძნებელი პარტნიორი და არბიტრი, კავშირის — „სამოქალაქო ინიციატივა" დამფუძნებელი და გამგეობის თავ-რე (2007 წლიდან); ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის დამფუძნებელი. იყო საქ. წითელი ჯვრის საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (2003-07); საქ. რაგბის კავშირის გამგეობის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი, რაგბი, კალათბურთი.
მისამართი: (სამსახურის) დარიალის შესახვევი 12, თბილისი. ტელ: 22 22 86, 91 25 46. ფაქსი: 29 33 47.
ელ-ფოსტა: gochasvanidze@internet.ge, gsvanidze@gba.ge
**ყველა ადამიანს გააჩნია თავისი ერთადერთი და შეუცვლელი დანიშნულება. მას ამის პოვნაში მთელი სამყარო ეხმარება სხვადასხვა ნიშნებით, რომელთაგან უმთავრესი მცდარი ნაბიჯის გადადგმისას სინდისის ხმაა.**

## ავთანდილ სილაგაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ეკონომისტი. პროფესორი.

დაიბადა ცაგერში 1954 წ. 5 თებერვალს. მშობლები: ეთერ ახვლედიანი, ნოდარ სილაგაძე; მეუღლე — თამარ ათანელიშვილი (1965); შვილები: ნოდარი (1988), ლევანი (1991). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1977). იყო თსუ მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1981-2006), ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანი (1986-92); საქ. კონტროლის პალატის თავ-რე (1992); საქ. სახელმწ. ქონების მართვის მინისტრი (1992-98); თსუ პრორექტორი, კათედრის გამგე (1998-2006); საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების" წევრი (2004-08). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სამრეწველო ციკლის განვითარება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში" (1989). არის საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2001 წლიდან); 200 სამეცნ. ნაშრომის, წიგნების ავტორი და თანაავტორი, მათ შორის: „ეკონომიკური ცოდნის საწყისები" (1991), „ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი" (1996), „გვარ-სახელები საქართველოში" (1996), „ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები" (2001) „ეკონომიკური ლექსიკონი" (2001), „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქ. ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე" (2001), „მაკროეკონომიკური მეთოდები და მოდელები" (2003), „სწავლული ეკონომისტები — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები საქართველოში" (2004), „ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი", „მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე" (2005), „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი" (2005), „ეკონომიკური დოქტრინების სათავეებთან" (2006), „მიკროეკონომიკსი" (2006), „ეკონომიკური დოქტრინები შუა საუკუნეებში" (2007), „ფინანსური პოლიტიკის ევოლუცია საქართველოში" (გერმანია, 2007), „პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა" (2008), „პოსტკომუნისტური ფინანსურ-საკრედიტო წინააღმდეგობანი"(აშშ, 2008), „ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა" (2008) და სხვა. დაჯილდოებულია ადამ სმითის მედლით (1996); არის ღირსების ორდენის კავალერი (2001); საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004); კალიფორნიის მეცნიერების აკად-ის, განათლებისა და ინდუსტრიის საერთაშ. აკად-ის, საქ. და რუსეთის ეკონომიკურ მეცნ. საერთაშ. აკად-ის და საქ. საინჟინრო საერთაშ. აკად-ის წევრი; ნიუ-იორკის მეცნ. აკად-ის წევრი; საქ. ეკონომისტთა ასოც-ის თანათავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია „ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში" (2005); ცნობარებში: „თბილისი" (2005), „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 0118. ტელ: 99 87 03. (ბინის) ჭავჭავაძის 39, ბ.104. თბილისი. ტელ: 22 17 99.

**ინტენსიური შრომა და მიზანსწრაფულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა.**

## პაატა სილაგაძე



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

დაიბადა თბილისში 1976 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ჟუჟუნა მაჩაბლიშვილი, გრიგოლ სილაგაძე; მეუღლე — ნათია მიქაძე (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). იყო საქ. უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპ-ტის სპეციალისტი (1998-99); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე (1999-2004); საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსულტანტი, უფრ. კონსულტანტი (2004-06); მცხეთის რ-ნული სასამართლოს თავ-რე (2006-08). საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 2008 წლიდან.

ჰობი: საქართველოს მთების დალაშქვრა.

მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 0110. ტელ: 99 98 12.

ელ-ფოსტა: paatasilagadze@yahoo.com

**შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება და სამართლიანობა.**

## რევაზ სირაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა 1936 წ. 3 აპრილს. მშობლები: ასმათ ხომერიკი, გიორგი სირაძე; მეუღლე — თამილა გოგეშვილი (1942); შვილები: გიორგი (1967), ქეთევანი (1971). დაამთავრა თსუ (1959). იყო თსუ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტი (1962-66), დოცენტი (1968-78), პროფესორი (1978 წლიდან). არის წმ. ანდრია მოციქულის სახ. „ქართული უნივერსიტეტის" პროფესორი (2008 წლიდან); რუსთაველის ქართული ლიტერატურის რუსთველოლოგიური კვლევის ცენტრის მთ. მეცნ. თანამშრომელი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ძველი ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის განვითარება" (V-XVIII სს. , 1976). არის ავტორი ნაშრომებისა: „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან" (ხელოვნება, 1978); „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები" (განათლება, 1987); „ ქართული აგიოგრაფია " (ნაკადული, 1987); „სახისმეტყველება" (განათლება, 2000); „კულტურა და სახისმეტყველება" (ინტელექტი, 2008). არის საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2008 წლიდან). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998).
ჰობი: ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) ილ.ჭავჭავაძის 1; კოსტავას 5. ტელ: 99 53 00. (ბინის) თამარაშვილის 11-156. თბილისი 0162. ტელ: 22 66 29.
**იმედი, როგორც ვალდებულება.**

## ზვიად (დომენტი) სიჭინავა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.



დაიბადა რუსეთში 1966 წ. 25 აპრილს. მშობლები: მარია პოპულიდი, ამირან სიჭინავა. დაამთავრა ხარკოვის რადიო-ელექტრონიკის ინ-ტი. იყო კომპანიის — „დიდი მიზანი" დირექტორის მოადგილე (1991-94); მოსკოვის ტერეზა დუროვის სახ. სახელმწ. თეატრის — „კლოუნადა" დირექტორი (1995-2005); კომპანიის — „რუსული რესტავრაცია" ფინანსური დირექტორი (2005-06); რუსეთის სახელმწ. ფედერალური უნიტარული საწარმოს ფინანსური დირექტორი (2006-09); ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიას" პრეზიდენტი (2006-09). 2009 წლის 1 ოქტომბრიდან არის სფფ პრეზიდენტი.
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 76ა, თბილისი 0162. ტელ: +995 329180. (ბინის) მარცხენა სანაპიროს 17, ზუგდიდი. ელ-ფოსტა: zviad@gff.ge
**მიზანდასახულობა.**

## თეა სიჭინავა

ჟურნალისტი. ფილოლოგი.



დაიბადა სოხუმში 1977 წ. 22 დეკემბერს. მშობლები: ნონა ყოლბაია, ნუგზარ სიჭინავა. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (2000), ასპირანტურა (2003). იყო საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის (2000-03) და ტ/კ „იმედის" (2003-09) თანამშრომელი. 2009 წლიდან არის ტ/კ „მაესტროს" გადაცემის — „პროფესია ჟურნალისტი" წამყვანი. არის მრავალი რეპორტაჟისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორი (2003 წლიდან).
ჰობი: — ძალიან მიყვარს ცეკვა.
მისამართი: ტ/კ „მაესტრო.

შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და სამართლიანობის განცდა რწმენასთან ერთად. ამ პრინციპებით ვმოძრაობ და მჯერა, რომ წინ კიდევ ბევრი რამ მექნება გადასალახი, იმედს და რეალობის შეგრძნებას არასოდეს ვკარგავ. ზოგადად მიზანდასახული ადამიანი ვარ. ვისურვებდი, რომ ჩემი საქმიანობით სამართლიანი და პატიოსანი ადამიანის სახელი დავიმსახურო, არ დავიღალო ბრძოლით, არასოდეს დავკარგო რწმენა და ჩემი საქმით თუნდაც საზოგადოების ნაწილს მაინც გამოვადგე. თუ ამას მოვახერხებ ჩავთვლი, რომ ჩემი მიზნის ნახევარი მიღწეულია...

## გიზო სიხარულიძე



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ოზურგეთში 1929 წ. 23 მარტს. მშობლები: ნინო მესხი, დიმიტრი სიხარულიძე; მეუღლე — ეთერ გაგლოშვილი-სიხარულიძე (1929-2001); შვილი — ნონა (1953). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1952). იყო ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახ. (1952-53), თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული (1953-57), თბილისის სანკულტურის (1961-62), რუსთავის (1967-75), მარჯანიშვილის (1957-67) თეატრების მსახიობი. 1975 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები 100-მდე სპექტაკლში, მათ შორის: „შავთვალა გოგონა", „ბანკბანი", „პაკი აძბა", „მე ვხედავ მზეს", „მირანგულა", „მარადისობის კანონი", „კრაზანა", „ჩვენი ერთი სალამო", „თეთრი ბაირაღები", „შიში", „ევრიდიკე", „პროვინციული ამბავი", „მეფე ლირი", „კალიგულა", „ლილეო", „ოიდიპოს მეფე", „საპოვნელა" და სხვა. რუსთავის სახელმწ. თეატრის სცენაზე დადგა თ.ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან". ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თსთი-სა და ს.ზაქარიაძის სახ. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში. გადაღებულია რამდენიმე მხ. ფილმში, მათ შორის: „წუთისოფელი". წლების მანძილზე საქ. ტელევიზიის I არხზე მიჰყავდა გადაცემა „ზღაპრის გუდა". არის საქ. სახალხო არტისტი (1985); ი.გოგებაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1952 წლიდან).

ჰობი: პოეზია.

მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 24 25. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 35, თბილისი. ტელ: 39 84 87.

ვერ ვიტან „სიცრუეს და ორპირობას".

## ზაზა სიხარულიძე



ღვთისშვილთა კავშირის პრეზიდენტი.
აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი. იურისტი.

დაიბადა ბათუმში 1960 წ. 18 აპრილს. მშობლები: ლაურა გიორგაძე, იური სიხარულიძე; მეუღლე — ნონა კენჭუაშვილი (1968); შვილი — გიორგი (2003). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის (1982) და თბსსუ იურიდიული (2003) ფაკ-ტები. იყო საქ. ეროვნული ფორუმისა და კონგრესის წევრი, საქ. ეროვნული კონგრესის სოც. საქმეთა კომისიის თავ-რე, საქ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი (1990); საქ. პარლამენტის წევრი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავ-რე, პარლამენტის კოლეგიის წევრი (1992-95), სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-95); თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშ. უნ-ტის რექტორი (1992); საქ. ა/ო კონგრესის აღმას. მდივანი და საქ. ა/ო განვითარების ფონდ „კონგრესის" გამგეობის თავ-რე (1999 წლიდან); სრულიად საქ. ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა ა/ო სათათბიროს თავ-რე (2000); საქ. ეროვნული ფორუმის სპიკერი (2001); საქ. ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა ა/ო ასამბლეის აღმას. კოორდინატორი (2002); იყო საქ. პრეზიდენტობის კანდიდატი (2003; 2004); საქ. ხსნის ეროვნ. ფრონტის საორგ. კომიტეტის დამფუძნებელი წევრი და თანათავ-რე (2004); თბსსუ პროფესორი (1991). არის ღვთისშვილთა კავშირის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1989 წლიდან); გაზ. „ღვთისშვილის" დამფუძნებელი და რედაქტორი (1991 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „არაბულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობებიდან" (1989). არის საქ. სამედიცინო-სოციალურ (1998), საქ. ტექნოლოგიურ (2007) და ფაზისის მეცნ. აკად-ების (2007) წევრი (აკადემიკოსი). არის პუბ-

ლიკაციებისა და 4 წიგნის ავტორი, მათ შორის: „სიცოცხლე სიყვარულისათვის“ (1992), „სიყვარულის დღესასწაული“ (ლექსებისა და თარგმანების კრებული,1995) და სხვა. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი“ (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: იშვიათი გამოცემების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) ილ. ჭავჭავაძის 49ა, თბილისი 0162. ტელ: 25 01 45.
ელ-ფოსტა: iunona@yahoo.com
**ეროვნებით ქართველი ვარ, სარწმუნოებით — მართლმადიდებელი ქრისტიანი და, ცხადია, ჩემთვის უმთავრესია: ღვთის რწმენა, მამულისათვის თავდადება, მოყვასისადმი სიყვარული და პირადი მტრის მიტევება, სიტყვებისა და საქმის ერთიანობა, ღირსების გრძნობა და პატიოსნება.**

## მალხაზ სონღულაშვილი

მთავარეპისკოპოსი. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარი. ისტორიკოსი. თეოლოგი. ბიბლეისტი. მთარგმნელი.



დაიბადა თბილისში 1963 წ. 21 თებერვალს. მშობლები: ნათელა და ლადო სონღულაშვილები; მეუღლე — ალა; შვილები: ბენიამინი და სანდრო. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1987), ოქსფორდის მისიოლოგიური კვლევის ცენტრის დოქტორანტურა (2003). იყო ისტორიის ინ-ტის არქეოლოგიური რაზმის ხელმძღვანელი (1980-85); „ბიბლიოთეკა კრისტიანას“ დამფუძნებელი და დირექტორი (1992-96); თსუ თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ძველ ებრაულის ლექტორი (1987-2006); ევანგელურ-ბაპტისტური თეოლოგიური სემინარიის რექტორი (1992-1999). არის გაერთიანებული ბიბლიური საზ-ბის საქ. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი (1996 წლიდან); საქ. ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტი (1994 წლიდან), მთავარეპისკოპოსი (2005 წლიდან). ახორციელებს საეკლესიო და ლიტურგიულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს სახარების კონტექსტუალიზაციას (1996). არის III ფრანცისკანული ორდენის წევრი (2004 წლიდან). შესრულებული აქვს ძველი აღთქმის წიგნების თარგმანი (თანაავტორებთან ერთად, 1986-89); ახალი აღთქმის გადამუშავებული გამოცემა (ზ.კიკნაძესთან ერთად, 1988-93); ბიბლიის ახალი რედაქცია (ზ.კიკნაძესთან და ბ.ბრეგვაძესთან ერთად, 2001); ახალი აღთქმის განახლებული თარგმანი (ზ. კიკნაძესთან ერთად). გამოქვეყნებული აქვს თარგმანები: ბიბლიური მოთხრობები (I ტ.,1992, IIტ., 1999) და კ.ს.ლუისის „ნარნიის ქრონიკები“ (2000). არის საერთაშ. საქველმოქმედო ასოც-ის — „ბეთელის“ დამფუძნებელი (1999); საერთაშ. სამეცნ. და საეკლესიო კონფერენციების მონაწილე და სპიკერი. კითხულობს ლექციებს ევროპასა და აშშ-ში. დაჯილდოებულია მოოქრული ჯვრით მსოფლიო პატრიარქის მიერ (1996), კენტერბერიის მთავარეპისკოპოსისა და ინგლისის პრიმასის მიერ — ლამბეთის ჯვრით (2005). მინიჭებული აქვს ეკუმენური კანონიკოსის წოდება ნორვიჩისა (2005) და ვეიკფილდის (2006) ეპისკოპოსების მიერ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
**ჩემი ცხოვრებისეული კრედო ეს არის: მიყვარს ღმერთი, მიყვარს მოყვასი, მიყვარს თავისუფლება.**

## ზურაბ სოტკილავა

საოპერო მომღერალი. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.



დაიბადა სოხუმში 1937 წ. 12 მარტს. მშობლები: ქსენია ქარჩავა, ლავრენტი სოტკილავა; მეუღლე — ელისო თურმანიძე (1940); შვილები: თეა (1968), ქეთევანი (1971). დაამთავრა სპი (1961), თსკ (1965). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1965-74). არის მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი 1974 წლიდან, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი — 1987 წლიდან. არის ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი (1980). შესრულებული აქვს საოპერო პარტიები: აბესალომი, კავარადოსი, რადამესი, მანრიკო, რიჩარდი, ტურიდე, ხოზე, ვოდემონი, ცრუ დიმიტრი, დონ-კარლოსი და სხვ. მ.ქასრაშვილთან ერთად დააარსა ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები“ (1984, 1985, 1987). არის ბულგარეთის ფესტივალის (I პრემის, „ოქროს ორფეოსი“, 1968), ჩაიკოვსკის საერთაშ. (II პრემია, 1970) ბარსელონა (გრან-პრი, I პრემია, 1970) და ფრანცისკო ვინიასის (I პრემია და გრან-პრი) კონკურსების ლაურეატი; საქართველოსა

(1970) და სსრკ (1983) სახალხო არტისტი; საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998); რუსეთის ფედ-ის ორდენის — „За заслуги перед отечеством" (2001) კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ცნობარებში: „Кто есть Кто" (Москва, 1997), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) Театральная Площадь 1. Большой Театр. Москва.

## ირმა სოხაძე

მომღერალი. კომპოზიტორი.
საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა თბილისში 1955 წ. 28 ნოემბერს. მშობლები: ცისანა ცირეკიძე, აგული სოხაძე; მეუღლე — რევაზ ასათიანი (1951); შვილები: სალომე (1976), ნატა (1985); შვილიშვილი — მაქსიმილიანე. დაამთავრა თსკ საფორტეპიანო და მუსიკისმცოდნეობის ფაკ-ტები (1979). იყო საქ. ტელევიზიისა და რადიოს სახელმწ. კომიტეტის თანამშრომელი (მუს. რედაქციის უმც. რედაქტორიდან — გენ. დირექტორის მოადგილემდე, 1980-2004); იყო სახელმწ. ორკესტრ „რეროს" (1964-67), ვოკალურ კვარტეტ „თბილისის" (1972-80) სოლისტი. დააარსა საბავშვო მუსიკალური თეატრი ბავშვთა ქალაქ „მზიურში". არის 3 საბავშვო მიუზიკლისა და 1 მონო ოპერის ავტორი; გამოცემული აქვს დივიდი, რომელშიც შესულია „ირმა სოხაძის შეხვედრა არტ კაფეში„ და „და... რჩება მუსიკა" (2009); რუსთაველის თეატრის მც. დარბაზში გაიმართა მისი სოლო კონცერტი და დისკის პრეზენტაცია (2009). არის საქ. დამს. არტისტი (1989); ჯაზ-ფესტივალების პრემიების (თბილისი, 1979, ტალინი, 1981) და ი.გოგებაშვილის სახ. პრემიის (1990) ლაურეატი; დაჯილდოებულია სიგელით გრაფ შერემეტიევის მიერ „ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის" (2009); არის ღირსების ორდენის კავალერი (1999); საქ. ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1981 წლიდან); ევრაზიის ტელეაკადემიის ნამდვილი წევრი (2006 წლიდან). თანამშრომლობს მოსკოვის „ვივალდი-ორკესტრთან". მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მთავარი საქმე — შვილიშვილი მაქსიმილიანე.
ტელ: 23 42 60.
**კარგად ვსწავლობდი — ოთხიანი არ მიმიღია. ვთვლი, რომ კარგი საფუძველი კარგი ხედნაშენის წინაპირობაა. თუმცა არა გარანტია. ასევე ვთვლი: მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება არ გამოდგება, კარგი ადამიანი პროფესია არ არის — ბევრად მეტია. უსიყვარულოდ გაკეთებული არაფერი ვარგა — არც გართობა, არც საქმე. ნურავის ნუ მოვატყუებთ, პირველ რიგში, საკუთარ თავს.**

## სპირიდონი

სხალთის ეპისკოპოსი.



დაიბადა ზესტაფონში 1950 წ. 14 ივნისს. დაამთავრა თსუ კიბერნეტიკის ფაკ-ტი (1972), ასპირანტურა (1976). იყო თბილისის სახელმწ. უნ-ტის, საქ. პოლიტექნიკური ინ-ტისა და ქირურგიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1976-83); საქ. საპატრიარქოს ბიბლიოთეკის თანამშრომელი (1987). 1990 წელს ეკურთხა დიაკვნად, აკურთხეს მღვდლად და დაადგინეს სხალთის მონასტრის წინამძღვრად. 1991 წელს დააჯილდოვეს გამშვენებული ჯვრით, დეკანოზის წოდებით და გადაიყვანეს ბოდბის ეპარქიაში ხირსის მონასტრის წინამძღვრად; 1994 წელს გადაიყვანეს მარგვეთის ეპარქიის მღვდელმსახურად; დააჯილდოვეს მიტრის ტარების უფლებით; 2004 წელს შეთავსებით დაინიშნა ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მღვდელმსახურად. 2007 წელს აღიკვეცა ბერად; დაინიშნა სხალთის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) დავით აღმაშენებლის 9, ხულო.

## სტეფანე (კალაიჯიშვილი)

ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი.



დაიბადა ახალციხეში 1959 წ. 9 თებერვალს. დაამთავრა სტუ ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1981); ახალციხის სასულიერო სემინარია (1994); თსუ (ახალციხის ფილიალი) ისტორიის ფაკ-ტი (1995). აკურთხეს დიაკვნად (1994); ალიკვეცა ბერად (1996); აკურთხეს მღვდლად (1996); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1997); აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (2002). არის ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის ეპისკოპოსი 2002 წლიდან. 2005 წლიდან არის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი: (რეზიდენციის) ცაგერის საკათედრო ტაძარი, რუსთაველის შეს. 1, ცაგერი 5100.
ტელ: (995) 206 2144. (995) 99517747.

## ავთანდილ სტურუა

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.



დაიბადა სამტრედიაში 1967 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: ნაზი ხუჭუა, ვასილ სტურუა; მეუღლე — ხათუნა გოგიშვილი (1974); შვილი — ნიკოლოზი (2006). დაამთავრა ქპი მექანიკა-ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1990). იყო სამტრედიის რ-ნის პრეფექტურასთან არსებული სამხედრო სექტორის მრჩეველი (1991); სამტრედიის რ-ნის საკრებულოს სპიკერი, მდივანი (1991); სამტრედიის რ-ნის საკრებულოს თავ-რე (1991-92); სამტრედიის რ-ნის ნაბაკევის თემის საკრებულოს გამგებელი (1998-99); სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2003-04); საქ. გაერთიანებული ენერგოსადისტრიბუციო კომპანიის აბაშის მომსახურების ცენტრის მენეჯერი (2005-06); სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრია 2002 წლიდან. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 68. (ბინის) ქავთარაძის 24/69, თბილისი.
**გიყვარდეს მოყვასი და პატივს სცემდე მოწინააღმდეგეს.**

## ლია სტურუა

პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თბილისში 1939 წ.15 მაისს. მშობლები: ელისაბედ ფანიაშვილი, შალვა სტურუა; მეუღლე — ელგუჯა ამაშუკელი (1928-2002); შვილი — ეკა (1968). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962). იყო თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის უახლესი ქართული ლიტერატურის ლექტორი (1964-84); საქ. პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის თავ-რის მოადგილე; ლიტერატურის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1984-2005). არის გ.ტაბიძის სახლ-მუზეუმის ლიტ. კონსულტანტი (1999 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფერის მხატვრული ფუნქცია გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში" (1974). გამოცემული აქვს ლექსების 13 კრებული, მათ შორის: „ხეები ქალაქში" (1965), „ასი სონეტი და სხვ." (1999); ესეს ტიპის პროზა —

„ბედნიერი სიჩუმე" (1996). არის პოეზიის საერთაშ. ფესტივალის (იერუსალიმი, 1993), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტ. კოლოქვიუმის (ბერლინი, 1995), ქართული პოეზიის საღამოების (ესპანეთი, 1999), ტურინი (2009) მონაწილე. არის გ.ტაბიძის სახ. (1988), საქ. სახელმწ. (1995) და რუსთაველის (2000) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ბაზალეთის 7, თბილისი. ტელ: 25 29 83.
**ჩემი ცხოვრებისეული კრედოს ფორმულად ჩამოყალიბებას, მირჩევნია ერთი ეპიზოდით განვმარტო იგი: ერთხელ ავად ვიყავი, მაგრამ რაღაც მქონდა დასამთავრებელი და ტკივილებისგან მოკრუნჩხული ვწერდი. ოჯახის ყველა წევრი მეჩხუბებოდა, მე კი ვპასუხობდი, უნდა მოვასწრო, რომ მოვკვდე და ვერ დავამთავრო... ალბათ ეს არის ჩემი რწმენისეული დამოკიდებულება სიცოცხლესთან, სიკვდილთან და შემოქმედებასთან.**

## რობერტ სტურუა



რეჟისორი. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 31 ივლისს. მშობლები: მაყვალა ბოლქვაძე, რობერტ სტურუა; მეუღლე — დუდანა კვესელავა (1939); შვილები: გიორგი (1968), მიხეილი (1973). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1961). არის რუსთაველის თეატრის რეჟისორი 1962 წლიდან, სამხატვრო ხელმძღვანელი — 1980 წლიდან. არის 100-ზე მეტი სპექტაკლის რეჟისორი, მათ შორის: „კავკასიური ცარცის წრე"(1975), „რიჩარდ III" (1979), „მეფე ლირი" (1987), „ჰამლეტი" (2001), „გოდოს მოლოდინში" (2002), „სტიქსი" (2004), „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი" (2006) „დარისპანის გასაჭირი" (ზ.პაპუაშვილთან ერთად, 2006); „12 განრისხებული მამაკაცი" (რ.ჩხეიძესთან ერთად, 2006); „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი" (ა.ენუქიძესთან ერთად, 2006). დადგმული აქვს სპექტაკლები გერმანიაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, რუსეთში, უკრაინაში, არგენტინაში, ისრაელში, ინგლისში, იტალიაში, ფინეთსა და თურქეთში. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1976); საქ. სახალხო (1980) და სსრკ სახალხო (1982) არტისტი; სსრკ (1979), საქ. სახელმწ. (1996), რუსეთის ფედერაციის სახელმწ. (2000), რუსთაველის (1981), კ.მარჯანიშვილის (1976), ა.შვეიცერის (1975), მ.თუმანიშვილის (1997), კ.სტანისლავსკის (2002), ალ. ყაზბეგის (1999), პ. კაკაბაძის (2002) პრემიების ლაურეატი; არგენტინის სახელმწ. უნ-ტის (1988), ინგლისისა (1980) და იტალიის (1981) კრიტიკოსთა პრემიებისა და პრემია „თოლიას" (მოსკოვი, 1998) მფლობელი; მიღებული აქვს „ჩაპლინ კლუბისა" (რუსეთი, 1998) და პეტერბურგის ფესტივალის — „Балтийский дом" (1998) გრან-პრი. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998); მინიჭებული აქვს „პატრიარქის" საპატიო წოდება; მიღებული აქვს „ოქროს ნიღაბი" სპექტაკლისათვის „სენიორ ტოდერო" (მოსკოვი, 2003); ლონდონის „რივერსაიდ-სტუდიოში" დადგმული სპექტაკლი „ჰამლეტი" (1992) შესულია „ჰამლეტის" XX ს. ბოლო 50 წლის საუკეთესო დადგმათა ათეულში. დაჯილდოებულია რუსთავის საერთაშ. თეატრალურ ფესტივალზე პრეზიდენტის სპეც. პრიზით — „ოქროს მედალი" (1998; 2000), სპექტაკლებს „მაკბეტი" (1996) და „ჰამლეტი" (2003) მიღებული აქვს გრან-პრი. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ოქსფორდისა და გერმანიის თეატრალურ ენციკლოპედიებში, ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა, მხატვრობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. ტელ: 99 85 87; ფაქსი: 99 63 73. (ბინის) შავთელის 18, თბილისი. ტელ: 93 33 49. ელ-ფოსტა: rustaveli_theatre@caucasus.net

## სოზარ სუბარი



პოლიტიკური გაერთიანების — „ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარე.

დაიბადა მესტიაში 1964 წ. 4 ნოემბერს. მშობლები: ნორა ჩხვიმიანი, ავთანდილ სუბარი; მეუღლე — თამარ ყუბანეიშვილი (1982); შვილები: ნინო (2004), ლუკა (2005), მათე (2008). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი

(1987). იყო საქ. სახელმწ. მუზეუმის უმც. მეცნ. თანამშრომელი; ძვირფასი ლითონების ფონდის თანამშრომელი (1987); ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1988-92); დმანისის რ-ნის სოფ. ბოსლების სკოლის დირექტორი (1989-92); დავით გარეჯის, დმანისის სიონის, თბილისის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის მედავითნე (1989-95); გაზ. „კავკასიონის" კორესპონდენტი და მთ. რედაქტორი (1995-2000); „რადიო თავისუფლება — რადიო თავისუფალი ევროპის" კორესპონდენტი (1993-2002); „War and Peace Reporting Institute"-ის კორესპონდენტი (ლონდონი, 1998); იყო ჟურნალების — „არილისა" (2000) და „თავისუფლების" (2001-04) რედკოლეგიების წევრი; თავისუფლების ინ-ტის პროექტის — „კანონის უზენაესობა" — დირექტორი (2002-04); საქ. სახალხო დამცველი (2004-09). 2009 წლიდან არის პ/გ „ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარე. იყო ფონდ „სამართლიანი არჩევნების" დამფუძნებელი (2003). გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები რელიგიის თავისუფლების საკითხებზე. მიღებული აქვს მოციქულთსწორი წმინდა თავად ვლადიმერ დიდის III ხარისხის ორდენი (უკრაინა, 2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. მხატვრული ლიტერატურის კითხვა. სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (ბინის) ბოგდან ხმელნიცკის 6, თბილისი 0105. ტელ: 71 52 42.
სამართლიანობა.

## კობა სუბელიანი

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი. თეოლოგი.



დაიბადა 1978 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: ნინო ღუღუნიშვილი, თენგიზ სუბელიანი; მეუღლე — თამარ სულაბერიძე (1985); შვილები: ნიკოლოზი (2007), ნინო (2009). დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სღვთისმეტყველო ფაკ-ტი (1999), თბილისის სასულიერო აკადემიის სღვთისმეტყველო ფაკ-ტი (2004). მუშაობდა საქ. საპატრიარქოს სხვადასხვა განყ-ბებში (1989-2004). იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სტიქაროსანი (1994 წლიდან); საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყ-ბის უფროსის თანაშემწე (1998-2003); საქ. უშიშროების მინისტრის I მოადგილის თანაშემწე (2004); სამეგრელო ზემო-სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის აღმას. დირექტორი (2004-05); საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (2005); თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი (2005-07); საქ. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი (2007); საქ. პარლამენტის წევრი (2008). 2008 წლიდან არის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი.

## ირაკლი სუთიძე

მხატვარი.



დაიბადა ზესტაფონში 1954 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: სარა მეიფარიანი, კარლო სუთიძე; მეუღლე — ქეთევან კორძახია (1961); შვილი — გურამი (1981). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის გრაფიკის განყ-ბა (1981); სსრკ სამხ. აკადემიის თბილისის შემოქმედებითი სახელოსნო (1985). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: „მხატვრის სახლი" (თბილისი, 1991); გალერეებში: „ორიენტი" (1994); TMS (1996, 1999, 2001); „უნივერსი" (2003); სელმერშეიმი (პარიზი, 1997). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: „თაობათა გამოფენა", (თბილისი, 1987); „ქართული ხელოვნება" (ბელგია, 1991); ქართული სახლი (პარიზი, 1991); ქართული მუსიკის ცენტრი (ინგოლშტადტი, 1994); „15 წლის შემდეგ" და „გამოფენა I" (თბილისი, 1995); არტ-ფორუმი „სალონი ЦДХ 98" (მოსკოვი, 1998); თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა (ბაქო, 1998); ქართული კულტურის დღეები (ბაქო, 1998); თანამედროვე ქართველ და სომეხ მხატვართა გამოფენა (მონპელიე, 1999); პროექტებში: „CURRICULUM VITAE - XX საუკუნე: ქართული მხატვრობის ამბავი" (2003, 2005) და „Painting Jazz" (ბაქო, 2003). მისი ნამუშევრები ინახება: თბილისში —

სეგ, თანამედროვე ხელოვნების გალ., გალ. „TMS", გალ. „ელექტრა"; მოსკოვის გერცევის გალერეაში; აშშ; საქ., რუსეთის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, ჰაიტის, ნიდერლანდების, ინგლისის, თურქეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, ავსტრიის, იაპონიის, კორეის, კანადის, დიდი ბრიტანეთისა და აზერბაიჯანის კერძო კოლექციებში. არის საქ. მხატ. კავშირის წევრი (1986 წლიდან); მიღებული აქვს: სსრკ სამხატვრო აკად-ის I პრიზი (1981); საქ. მხატ. კავშირის პრიზი (1986); თბილისის საშობაო საერთაშ. ფესტივალის I პრიზი (1995,1996). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში " (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცხენოსნობა და კალმახზე თევზაობა. მაგრამ ყველაზე მეტად ტყუილად ყოფნა მიყვარს.
მისამართი: (ბინის) ციმაკურიძის ქ. 6, თბილისი 0102. ტელ: 96 37 62.
**არავითარი კრედო არა მაქვს.**

## თამაზ სულაბერიძე

სსიპ კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი.
მათემატიკოს-კიბერნეტიკოსი.



დაიბადა თბილისში 1950 წ. 11 იანვარს. მშობლები: თინათინ და გრიგოლ სულაბერიძეები. დაამთავრა თსუ კიბერნეტიკის ფაკ-ტი (1971); კიბერნეტიკის ინ-ტის ასპირანტურა (1975). იყო კიბერნეტიკის ინ-ტის უმც. მეცნ. (1971-72, 1975-86), მეცნ. (1986-90) უფრ. მეცნ. (1990-93) თანამშრომელი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი მდივანი (1993-2006), დირექტორის მ/შ (2006-07). 2007 წლიდან არის კიბერნეტიკის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შემთხვევით პროცესთა პროგნოზისა და ფილტრაციის ზოგიერთი კონსტრუქციული მეთოდი" (კიევის უნ-ტი, 1986). არის ავტორი ნაშრომებისა: „Об устойчивости в одной задаче нелинейного прогноза и фильтрации" (1983), „Об эффективности в одной задаче нелинейного прогноза и фильтрации" (1984), „О прогнозе и фильтрации нелинейного преобразованных гауссовских процессов. Теория вероятностей и ее применения" (1986), „Segmentation method of 3D segments extraction on the sceen image, Image Processings III: Mathematical methods algorithms and applications" (2001), „Extremely Low-Frequence Magnetic Fields Effects on the Snail Single Neurons, Electromagnetic Biology and Medicine" (თანაავტორობით, 2008).
ჰობი: ნადირობა, ცურვა, სამთო ტურიზმი.
მისამართი: (სამსახურის) სანდრო ეულის 5, თბილისი 0186. ტელ: 18 76 33, ფაქსი: (+995 32) 54 59 31. (ბინის) დავით გამრეკელის 20, თბილისი 0160. ტელ: 38 30 68; ელ-ფოსტა: sulaberidze@cybernet.ge
**სამართლიანობა და ჰუმანურობა.**

## არჩილ (დათო) სულაკაური

მოქანდაკე. მხატვარი. სცენარისტი.



დაიბადა თელავში 1952 წ. 22 აპრილს. მშობლები: მარიამ და კარლო სულაკაურები; მეუღლე – ნინო ყიფშიძე (1958); შვილები: ელისო (1982), დარო (1985). დაამთავრა თსსა ფერწერის რესტავრაციის (1973), ფერწერისა (1974) და ქანდაკების (1978) ფაკ-ტები; მოსკოვის სსრკ სარესტავრაციო სახელოსნოს ასპირანტურა (1989). იყო ომალოს საშ. სკოლის პედაგოგი (1978-79); საქ. კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის რეფერენტი კულტურის დარგში (1978-82); თბილისის ი.ნიკოლაძის სახ. სამხ. სასწავლებლის, სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტისა და თსსა პედაგოგი (1983-95); ეროვნ. გვარდიის წევრი (1991-94). მონაწილეობს გამოფენებში 1974 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ბიბლიური მოტივები" (1978-99); „შემოდგომა", „თბილისის ძველი უბანი", „წვიმის შემდეგ", „აკვარიუმი" (I და II), „სიმარტოვე", „სახურავები" (1997-98); „ტახი", „ბუ" (1997); „საიდუმლო სერობა" (1997); „მოსეს გასვლა წითელ ზღვაში" (ჩიკაგო, 1997); „ქორწილი გალილეის კანაში" (მილუოკის ლუთერის ეკლესია, აშშ 1997); გრაფიკული სერიისა: ბიბლიური მოტივები" (1975-99); ნამუშევრებისა ქვაში; სამეცნ. ნაშრომისა „მხატვრისა და მასალის ურთიერთდამოკიდებულება" (1986). არის სცენარის ავტორი და მხატვარი 5 თოჯინური ფილმისა; ავტორი კინოსცენარისა „ანემია"; შესრულებული აქვს მთ. როლი ფილმში „ცეროდენა რაინდები". გამართული აქვს

პერსონალური გამოფენები: ლონდონში (1990), თბილისში (1996, 1998-99); მილუოკში (აშშ, 1996); მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: თბილისი (1990), მოსკოვი (1990), ბელგია (1991), ბარსელონა (1993), რასინი (აშშ, 1995). არის სსრკ მხატ. კავშირის წევრი (1988). დაჯილდოებულია ვისკონსინის კონკურსის პრემიით (აშშ, 1995). მისი ნამუშევრები დაცულია დ.ჯონსონის კოლექციაში (აშშ). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (ბინის) ამაღლების 23, თბილისი. ტელ: 99 57 88; 99 99 84.
**ვაკეთო რაც შეიძლება მეტი.**

## ბაკურ სულაკაური

გამომცემელი.



დაიბადა თბილისში 1964 წ. 30 ივნისს. მშობლები: იზოლდა და ვალერიან სულაკაურები; მეუღლე — თინათინ მამულაშვილი (1974); შვილები: ელენე (1990), ნიკა (1995), ანა (1997). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1986). იყო მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი (1986-93); საქ. წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოც-ის გამგეობის თავ-რე (1996-2000). შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" დამფუძნებელი-პარტნიორია 1999 წლიდან. 2008 წლიდან არის შვედეთის კონსული. არის ავტორი თარგმანებისა: ავგუსტ სტრინდბერგის „ზმანება" (1995), ტუვე იანსონის „უჩინარი ბავშვი" და „ჯადოქრის ქუდი" (2003); რამდენიმე სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნების კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) გაფრინდაულის 6. თბილისი.

## გიგი სულაკაური

მწერალი. პოეტი.



დაიბადა თბილისში 1953 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: მერი და არჩილ სულაკაურები; მეუღლე — რუსუდან სულაკაური (1954); შვილები: გიორგი (1978), ლუკა (1982); შვილიშვილები: ოთო და ნიკოლოზი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1977). იყო ალმანახ „საუნჯის" (1978), მთარგმნელობითი კოლეგიის განყ-ბისა (1979) და ჟურ. „მნათობის" პოეზიის განყ-ბის რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „საგნები თოვლში" (1982), „ზოდიაქოს ბორბალი" (1985), „ხეები, ბიჭი და სხვ..." (1995), „ქუჩის ბიჭების გასაგონად" (2000); მოთხრობების კრებულები: „მე და ჩემი ლიზა" (2004), „თამაში რევოლვერით" (2009). მიღებული აქვს ლიტ. პრემია „საბა" (2009). იყო მწერალთა კავშირის წევრი (1983-98); არის საქ. პენ-კლუბის ვიცე-პრეზიდენტი 1997 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მიყვარს ცხოველები, განსაკუთრებით ძაღლები და თევზები.
მისამართი: (ბინის) კოსტავას 75, ბ.10. ტელ: 38 25 77.
**მეგობრობა, სიყვარული და ფიქრი.**

## დავით სულაქველიძე



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

დაიბადა ზესტაფონის რ-ნის სოფ. პირველ სვირში 1955 წ. 5 იანვარს. მშობლები: ელენე თურქაძე, დავით სულაქველიძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1979). იყო საქ. პროკურატურის გამომძიებელი და რ-ნის პროკურორის თანაშემწე (1979-80); საქ. მეცნ. აკად-ის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1981-96); საქ. პარლამენტის საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყ. სპეციალისტი (1996-99); თბილისის საოლქო სასამართლოს თავ-რე (1999-2002). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე" (1993). არის 17 სამეცნ. ნაშრომის ავტორი (1980-2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კითხვა და ილუსტრირებული ალბომების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი. ტელ: 99 84 03.
**ვხელმძღვანელობ ყველა იმ პრინციპით, რომელიც ზნეობრივად და სულიერად ამაღლებს ადამიანს და რომლებსაც ყველა კეთილი საქმე მიჰყავს წარმატებისაკენ. ჩემი მიზანია: ჩემი პროფესიული საქმიანობით წვლილი შევიტანო სასამართლოს დამოუკიდებლობის დამკვიდრებაში და ამ გზით სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში. ჩემი იდეალია ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სინთეზზე დაფუძნებული საქართველო.**

## თენგიზ სულაქველიძე



თ.სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო ფეხბურთის აკადემიის პრეზიდენტი. ფეხბურთელი. იურისტი.

დაიბადა ქუთაისში 1956 წ. 23 ივლისს. მშობლები: ნადია ჩაკვეტაძე, გრიგოლ სულაქველიძე; მეუღლე — მადონა ზიფერტი (1960); შვილი — თენგო (1982). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1980). იყო თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს" და სსრკ ფეხბურთის სხვადასხვა გუნდების წევრი; საქ. ფეხბურთის ფედ-ის სადისციპლინო კომისიის თავ-რე; თბილისის „დინამოს" ბავშვთა სკოლის პედაგოგი (1999-2000). თ.სულაქველიძის სახ. ბავშვთა საერთაშ. ფეხბურთის აკადემიის პრეზიდენტია 2000 წლიდან. არის სსრკ ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების თასების თასის მფლობელი, სსრკ ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი; ღირსების ორდენის კავალერი (2003). არის საქ. ფეხბურთის ფედ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი 2008 წლიდან. რ. სანთელაძეს დაწერილი აქვს წიგნი „თენგიზ სულაქველიძე" (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ლიუბლიანას 19. თბილისი. ტელ: 52 60 01. (ბინის) ბათუმის 5, თბილისი. ტელ: 35 75 57.
**პატიოსნება და სიმართლე.**

## აზერ სულეიმანოვი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა მარნეულში 1967 წ. 23 ივლისს. მშობლები: ხალიდა და მირზა სულეიმანოვები; მეუღლე — რამილა გულიევა (1971); შვილები: აიგუნი (1995), მირზა (1996), აიხანი (2000). დაამთავრა აზერბაიჯანის ეკონომიკური ინ-ტი (1991). იყო ცეკავშირის მარნეულის განყ-ბის გასტრონომის გამყიდველი (1984-91);

აგროფირმა „სამგორის" N3 მაღაზიის გამგე (1992-93); შპს „სამგორი-93"-ის საბითუმო-საცალო ვაჭრობის ქვესანარმო უნივერსალის N3 მაღაზიის გამგე (1993-94); მარნეულის სამომხმარებლო საზ-ბის ეკონომისტი (1995-97); მარნეულის რ-ნის გამგეობის ეკონომიკური განყ-ბის უფროსის მოადგილე, უფროსი (1997-99); საქ. პარლამენტის წევრი (1999-2004); საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებულის მოადგილე ქვემო ქართლში (2004-07); საქ. თვითმმართველ ერთეულებში (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული, წალკა) სახელმწ. რწმუნებულის — გუბერნატორის მოადგილე (2007-08). არის საქ. პარლამენტის წევრი 2008 წლიდან, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი.
ჰობი: სპორტი — მოტოციკლი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. (ბინის), რუსთაველის 96, მარნეული. ტელ: 899 22 82 75.
**სამშობლოს სიყვარული.**

## ნაზო (ლია) სულუაშვილი



მსახიობი. რეჟისორი. მესხეთის სახელმწიფო თეატრის მმართველი.
საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა კასპის რ-ნის სოფ. ერთაწმინდაში 1948 წ. 19 ივლისს. მშობლები: ქეთევან აფციაური, იოსებ სულუაშვილი; მეუღლე — ელგუჯა გოგიძე (1940); შვილები: კობა (1969), კახა (1970). დაამთავრა ს.ზაქარიაძის სახ. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სამსახიობო ფაკ-ტი (1967); თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (2004). იყო მესხეთის სახელმწ. თეატრის მსახიობი (1967-94), დირექტორი (1994-2004). მესხეთის სახელმწ. თეატრის მმართველია 2005 წლიდან. შესრულებული აქვს როლები 100-ზე მეტ სპექტაკლში, მათ შორის: „ათვინიერებენ მიმინოს", „ბერნარდა ალბას სახლი", „მარიამ ტიუდორი", „დარისპანის გასაჭირი", „ენერგიული ადამიანები", „ჭირვეულის მორჯულება", „იადონას თეატრი", „ბამბაზიის სამოთხე" და სხვა. მესხეთის სახელმწ. თეატრის სცენაზე დადგმული აქვს სპექტაკლები: ლ.თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს", ფ.გ.ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი" და სხვა. გადაღებულია ფილმებში: „ორი შვილი", „მოძღვარი", „ზოგი ჭირი მარგებელია" და სხვა. არის საქ. დამსახურებული არტისტი (1977); ვ.ანჯაფარიძის სახ. (2009) და I თეატრალური ფესტივალის (ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის,1985) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (2000). თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრია 1968 წლიდან.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) თამარ მეფის 6, ახალციხე. ტელ: 2 05 68. (ბინის) თამარ მეფის 8, ახალციხე. ტელ: 2 01 42 , 893 27 93 63
**ერთგულება.**

## მაია სულხანიშვილი



თბილისის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. იურისტი.

დაიბადა ხაშურში 1964 წ. მშობლები: მაყვალა და ტერენტი სულხანიშვილები; მეუღლე – სიმონ (ნუკრი) ცისკაძე (1956); შვილი – ნუკრი (1994). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1997). იყო საქ. იუსტიციის სამინისტროს სტაჟიორი (1997-98), ნოტარიუსი (1998 წლიდან), სამმართველოს უფროსი, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დირექტორი; საქ. პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი სამსახურის სახელმწ. მრჩეველი; თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999-2002). 2002 წლიდან არის თბილისის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფიქრი, საკუთარი თავის ძიება.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32.
**ვიყო ჭეშმარიტი ქრისტიანი.**

## კახაბერ სუხიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტ-მენეჯერი.

დაიბადა თბილისში 1973 წ. 31 მაისს. მშობლები: ლატავრა აბრამიშვილი, ნოდარ სუხიშვილი; მეუღლე — ნინო კაპანაძე (1978); შვილი — ანდრია (2008). დაამთავრა თბილისის ბიზნესის სახელმწ. ინ-ტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მართვის ფაკ-ტი (1996). იყო N2 სამკურნალო პროფ. ცენტრის სანიტარი (1989-91); სმაკ-ის მართლწესრიგისა და სამხედრო ალმშენებლობის განყ-ბის უფროსი (1994), საორგანიზაციო მდივანი (1995), საზ-ბასთან ურთიერთობის მდივანი (1997), თავ-რის თანაშემწე (1999); თბილისის სახელმწ. ქონების მართვის სამმართველოს იურიდიული განყ-ბის სპეციალისტი (2000); სმკ-ის გენ. მდივნის მრჩეველი (2001); პ/გ „გაერთიანებული დემოკრატების" თავ-რის თანაშემწე (2003); საქ. სახელმწ. უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (2003). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების წევრი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა და იარაღების კოლექცია.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი 0118. (ბინის) მარჯანიშვილის 41, თბილისი. ტელ: 95 45 72; 877 55 06 77.

## დემეტრე (დუტა) სხირტლაძე



მსახიობი.

დაიბადა თელავში 1973 წ. 6 ივლისს. მშობლები: მაია სხირტლაძე, ვიქტორ ვალიცკი; მეუღლე — მარინა ნაცვლიშვილი (1970); შვილები: მარიამი (1992), ნინო (1999), ლუკა (2004). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1994). არის თეატრალური სარდაფის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: თ.მანი, „მარიო და ჯადოქარი"; გოეთე, „ფაუსტი"; ვ.ნაბოკოვი, „ემიგრანტები"; ბ.ბრეხტი, „სამგროშიანი ოპერა"; ა.კამიუ, „გაუგებრობა"; შექსპირი, „ჰამლეტი", „მეთორმეტე ღამე" და „ვენეციელი ვაჭარი"; ა.ჩეხოვი, „ძია ვანია", „თოლია"; ავ.ცაგარელი, „ხანუმა"; ვაჟა-ფშაველა, „გველისმჭამელი"; ბულგაკოვი, „მორფი" და სხვა; თეატრალურ სარდაფში დადგა ბ.ჯანიკაშვილის „სულიკო" (2008). მონაწილეობდა ფილმებში: „გარიგება", „ქართული სიმღერა სიყვარულზე" (გერმანია), „რაც ოთარი წავიდა" (საფრანგეთი), „მისი ცოლი" (რუსეთი); ტელესერიალში — „ცხელი ძაღლი". იყო წამყვანი ტელე-შოუებისა: „ვის უნდა 50 000" და „ფორტ ბოიარდი". არის ტ/კ „რუსთავი 2"-ის ტელეშოუს „ვა-ბანკის" წამყვანი; კომპანია „ჯეოსელის" სარეკლამო სახე; ფაზისის აკად-ის საპატიო წევრი; ღირსების ორდენის კავალერი (2006). 2008 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო სტუდიამ „დუტა პროდაქშენი" და ტელეკომპანია „იმედზე" განხორციელდა პროექტი — ტელეშოუ „ქალები თუ კაცები". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: დურგლობა, ძერწვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 42, თბილისი. ტელ: 99 95 00.
**ოჯახის სიყვარული.**

## თამარ სხირტლაძე



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ლაგოდეხში 1929 წ. 2 მაისს. მშობლები: ევა მაჭარაშვილი, ერმილე სხირტლაძე; მეუღლე — კოტე თოლორაია (1925); შვილი — თამაზი (1950-2004). დაამთავრა მარჯანიშვილის თეატრთან არსებული

თეატრალური სტუდია (1947). იყო მარჯანიშვილის (1947-67) და რუსთავის (1967-75) თეატრების მსახიობი. 1975 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს როლები 100-ზე მეტ სპექტაკლში, მათ შორის: ფოსინე, „მკაცრი ქალიშვილები"; გონერილა, „მეფე ლირი"; მაგდა, „შთამომავლობა"; ეკა, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"; „ოთარაანთ ქვრივი"; „ასის წლის წინათ"; შოუპარი, „ჰაკი აძბა"; ჩიო, „აქ, ამ სავანეში" და სხვა. გადაღებულია ფილმებში: „წინაპართა მიწა", „ერთი ნახვით შეყვარება", „გზის დასაწყისი", „დღეს ღამე უთენებია", „ზოგი ჭირი მარგებელია", „სკაპენის ოინები", „ველდი", „ორშაბათი მძიმე დღეა", „ადამიანთა სევდა", „განვედ", „ლუკას სახარება", „სიყვარულის ცეცხლი" და სხვა. არის საქ. დამს. არტისტი (1976), საქ. სახალხო არტისტი (1990); თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი; სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1984, 2005); საპატიო მედლის (1958), საპატიო სიგელების (1960,1984), ღირსების ორდენის (2000) კავალერი. მიღებული აქვს თავისუფალ კრიტიკოსთა პრემია (2005).
ჰობი: ცხოველები
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 24 25. (ბინის) ქავთარაძის 17, თბილისი. ტელ: 18 60 75.
**იცხოვრო სიცრუის გარეშე.**

## თენგიზ სხირტლაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.
პოლიციის მაიორი.

დაიბადა ადიგენის რ-ნის სოფ. ბოლაჯურში 1949 წ. 21 სექტემბერს. მშობლები: გოგოლია ნამგლაძე, სერგო სხირტლაძე. დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1977). იყო ადიგენის რ-ნის სოფ. ენთელის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი (1977-79); საქ. შსს საპატრულო პოლიციის დეპ-ტის სამცხე-ჯავახეთის მთ. სამმართველოს უფრ. ინსპექტორი (1979-2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარების" წევრი; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების წევრი. დაჯილდოებულია შსს-ს მედლებით.
ჰობი: მოგზაურობა. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 22 15 50. (ბინის) მუხიანის დასახლება 3 მ/რ კორპ. 5, ბინა 39, თბილისი. ტელ: 899 17 30 03. ელ-ფოსტა: t.skhirtladze@parliament.ge

## ნუგზარ სხირტლაძე



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: სვეტლანა და უშანგი სხირტლაძეები; მეუღლე — გიული კალანდარიშვილი (1969); შვილი — სანდრო (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი. იყო საქ. კანონთა წიგნის რედაქტორი (1986); იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი, მთ. მრჩეველი, კანონმდებლობის სისტემატიზაციის განყ-ბის უფროსი; საქ. პრეზიდენტის საპარლამენტო სამსახურის რეფერენტი (1997); თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის თავ-რე (1999). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. არის სახელმძღვანელოების — „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი" (2005) და „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი" (2008) — თანაავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი. (ბინის) წერეთლის 55, კ. 2, ბ. 57, თბილისი.
**ქმნა მართლისა სამართლისა.**

## რევაზ ტაკიძე



დირიჟორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი.

დაიბადა ბათუმში 1942 წ. 29 აპრილს. მშობლები: ანა კალანდარიშვილი, არონ ტაკიძე; მეუღლე — ლალი გურგენიძე (1941); შვილები: ზურაბი (1970), ანი (1973). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საფორტეპიანო (1966) და საოპერო-სიმფონიური სადირიჟორო (1973) ფაკ-ტები. იყო თსკ საფორტეპიანო ფაკ-ტის ასისტენტი (1968-70), კამერული ანსამბლის პედაგოგი (1969-78). არის თსკ საოპერო მომზადების კათედრის პროფესორი (1973 წლიდან), კათედრის გამგე (2000 წლიდან). უდირიჟორა 45-ზე მეტი დასახელების 1700-ზე მეტ საოპერო და საბალეტო სპექტაკლს (აქედან 1500 — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე), 600-ზე მეტ სიმფონიურ კონცერტს, მათ შორის — ერევნის საოპერო თეატრის სცენაზე ზ.ფალიაშვილის ოპერას „დაისი“ (1989). არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1989), სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992). მისი ბიოგრაფია შესულია მუსიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (2005), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ჭადრაკი. პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8. ტელ: 93 52 30; რუსთაველის 25. ტელ: 99 65 66.
**ჩემი კრედოა: “სჯობს იყო მსხვერპლი, ვიდრე ჯალათი” (ანტონ ჩეხოვი) და „ბილწთ არ შაეეკვრი ზა-ვითა“ (ვაჟა).**

## გიორგი ტალახაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.

დაიბადა ბორჯომში 1958 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: ჟუჟუნა ლომჟაშვილი, სიმონ ტალახაძე; მეუღლე — თინათინ ფანჩვიძე (1968); შვილები: ლუკა (1997), ანასტასია (2008). დაამთავრა ბაუმანის სახ. მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის საკონსტრუქტორო-მექანიკური ფაკ-ტი (1982), ლენინგრადის პოლიტექნიკური ინ-ტის ასპირანტურა (1885-88). იყო სკსსი „ტრანსავტომატიკის“ ინჟინერი (1982-85), წამყვანი ინჟინერი (1988-89); სკსსი „ტრანსავტომატიკის“ ბორჯომის საბაზო ლაბორატორიის გამგე (1989-90); მცირე საწარმო „ინსპექტრანსაგროს“ დირექტორი (1990-99); სს „ბაგრატიონი-1882“-ის ტექნ განვითარების მენეჯერი, წარმოების დირექტორი (1999-2005); ბორჯომის საკრებულოს თავ-რე (2005); ბორჯომის რ-ნის გამგებელი (2005-06); ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ-რე (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წევრი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხიდური ტიპის ამწე მანქანების სივრცითი დაკიდებების დინამიკა“ (1988). არის 7 სამეცნ. ნაშრომის ავტორი და 1 საავტორო მოწმობის მფლობელი.
ჰობი: პრეფერანსის თამაში.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ: 28 12 65. (ბინის) ახალშენის 51. თბილისი.
ტელ: 899 25 51 58.
**ქვეყნის, ოჯახის და მეგობრების განსაკუთრებული სიყვარული და ერთგულება; პასუხისმგებლობის მოჭარბებული გრძნობა; ინტელექტი; თანდაყოლილი ნიჭი, ინტუიცია და ერუდიცია; ახალგაზრდების წინ წამოწევის სურვილი და მათი ნდობა; შეცდომებზე სწავლა; უკომპლექსობა ნებისმიერი ადამიანისგან რაიმეს სწავლის საკითხში.**

## ზურაბ ტატაშიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა საჩხერეში 1928 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ევგენია და კონსტანტინე ტატაშიძეები; მეუღლე — ლონდა დარსანია (1932); შვილები: ლალი (1956), ლელა (1962). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1951). იყო თსუ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის გამგე; გეოგრაფიის ინ-ტის კარსტოლოგია-გეოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი (1984-2006), დირექტორი (1993-2006). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მდინარე ყვირილას ხეობის გეომორფოლოგიისათვის" (1954), სადოქტორო — „საქართველოს კარსტული მღვიმეების მორფოლოგიური ანალიზი" (1977). არის 300-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის 15 მონოგრაფიის, ავტორი; მისი ხელმძღვანელობით აღდგენილია ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი (2005). იყო სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977); მიღებული აქვს საქ. და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო და საქართველოს პატრიარქის ილია II-ის სიგელები; არის ღირსების ორდენის კავალერი (1999). იყო საქ. ეროვნული სპელეოლოგიური საზ-ბის პრეზიდენტი; თსუ დიდი სამეცნ. საბჭოს წევრი (1980-2006); საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თსუ აკად-ის აკადემიკოს-მდივანი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Who's Who" (ABI, 1998, 2006), ქსე (1986), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლექსიკონების შეგროვება.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას 50, ბ.13, თბილისი. ტელ: 39 25 03.
**შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, მიზანსწრაფვა, პრინციპულობა, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, კეთილსინდისიერება, კეთილმოსურნეობა ადამიანებთან ურთიერთობაში, სამშობლოსათვის თავდადება — აი პრინციპები და იდეალები, რითაც ვიცხოვრე. პროფესიონალიზმი ყველგან და ყველაფერში, სამშობლოსადმი ერთგულება — აი რა გადაგვარჩენს, გაგვამთლიანებს, აგვამაღლებს და აგვაშენებს ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში.**

## გიორგი ტატიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი

დაიბადა თბილისში 1976 წ. 9 აგვისტოს. მშობლები: მარინა თვაური, თამაზ ტატიშვილი. დაამთავრა საქ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს აკადემია (2001). იყო საქ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი (1996-2007); ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპ-ტის გამომძიებელი, უფრ. გამომძიებელი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქციის — „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარები" წევრი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი.
ჰობი: ნადირობა. თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 54. ელ-ფოსტა: g.tatishvili@parliament.ge
**ერთიანი საქართველო!**

## ვახტანგ ტატიშვილი



მომღერალი. მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა ბათუმში 1941 წ. 24 ნოემბერს. მშობლები: ვალენტინა ცენტერაძე, გრიგოლ ტატიშვილი; მეუღლე — ნინო ბოლქვაძე (1948); შვილები: სოფიკო (1973), გიგა (1974). დაამთავრა პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის

ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1963). იყო ფიზიკის მასწავლებელი (1963-65); ანსამბლ „ტრიოს" წევრი (მ. გოძიაშვილთან და ჯ. ბაღაშვილთან ერთად, 1965-68); არის სახელმწ. ფილარმონიის ანსამბლ „ივერიის" სოლისტი (1968 წლიდან). მონაწილეობდა კინოფილმებში: „ივერია, სიყვარული და..." (1973); „უმცროსი და" (1977); „ჩხიკვთა ქორწილი" (1984); „არგონავტები" (1986). არის სსრკ „საკავშირო კონკურსის" ლაურეატი (1977); საქ. დამს. არტისტი (1979); ღირსების ორდენის კავალერი (1994). უკანასკნელი წლების მანძილზე რეგულარულად მონაწილეობს „იუმორინას" საკონცერტო პროგრამაში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: რადიოტექნიკის სიყვარული. სპორტი, ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 1, თბილისი. ტელ: 98 78 44. (ბინის) ალ. ყაზბეგის გამზ. 1, თბილისი. ტელ: 37 03 37.
**ბავშვობიდან მიყვარდა სცენა და სიმღერა. სულ ვმღეროდი და გამოვდიოდი სცენაზე როგორც არტისტი. მოვიარე მთელი საბჭოთა კავშირი და მთელი მსოფლიო, 52 ქვეყანა. მიყვარს მაყურებელი და ამიტომაც მივაღწიე წარმატებას, რომ მაყურებელი გრძნობდა ჩემს სიყვარულს.**

## ნანა ტატიშვილი



მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ექიმი ნევროლოგი. პროფესორი.

დაიბადა 1951 წ. 23 მარტს. მშობლები: ლია ლუხუტაშვილი, ალექსანდრე ტატიშვილი; მეუღლე — მამული იაშვილი (1942); შვილები: დავითი (1974), ალექსანდრე (1977). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). იყო პ.სარაჯიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1977-99). 1999 წლიდან არის მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის დეპ-ტის ხელმძღვანელი; უმაღლესი სამედიცინო სკოლის — „აიეტი" ნევროლოგიის კათედრის გამგე, სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სხვადასხვა სახის აბსანსების დიფერენციული დიაგნოსტიკა" (1986), სადოქტორო — „ზოგიერთი იდიოპათური გენერალიზებული ეპილეფსიური სინდრომები, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მართვა" (1998). არის 42 სამეცნ. ნაშრომის ავტორი; ევროპის პედიატრ ნევროლოგთა საზ-ბის მრჩეველთა საბჭოს წევრი; ა.ლაჭყეპიანის სახ. საქ. პედიატრ ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოც-ის პრეზიდენტი; ეპილეფსიასთან ბრძოლის საერთაშ. ლიგის საქართველოს საზ-ბის გენერალური მდივანი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა. ფერწერა.
მისამართი: (სამსახურის) ლუბლიანას 2/6, თბილისი 0159.
**შრომა ხმაურის გარეშე, პრინციპულობა.**

## სერგო ტეფნაძე



საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი. მფრინავი-ინჟინერი. პროფესორი.

დაიბადა ადიგენში 1956 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: მარგალიტა ხარაიშვილი, ამბროსი ტეფნაძე; მეუღლე — ქეთევან თავაძე (1969); შვილები: დავითი (1992), მარიამი (1993), სალომე (1997), თორნიკე (2000). დაამთავრა კიევის სამოქალაქო ავიაციის ინ-ტის საფრენოსნო ფაკ-ტი (1984). იყო თბილისის გაერთიანებული საავიაციო რაზმის ტუ-154 ტიპის საჰაერო ხომალდის მფრინავი-ინჟინერი (1984-92); სტუ საავიაციო ინ-ტის დირექტორი (1992-2005). 2005 წლიდან არის საქ. საავიაციო უნ-ტის რექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საჰაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგია აფრენა-დაფრენის ეტაპებზე საექსპლუატაციო ფაქტორების გათვალისწინებით და მათემატიკური მოდელირების გამოყენებით" (სანკტ-პეტერბურგი, 1999). არის ავტორი ნაშრომებისა: „საჰაერო ხომალდების საავიაციო სისტემების ფუნქციური საიმედოობა და ფრენის უსაფრთხოება" (1997), „თვითმფრინავის ფრენის თეორია" (1998), „საჰაერო ხომალდების ფუნქციური სისტემები" (2005). დაჯილდოებულია მედლით — „უავარიო ფრენა საათებისათვის" (1992) და ღირსების ორდენით (1998).

ჰობი: ფრენა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ქ. ნამებულის გამზ. 16, თბილისი 0103. ტელ: 77 65 71; ფაქსი: 77 65 72.
ელ-ფოსტა: mail@ssu.edu.ge
**გამბედაობა, მიზანდასახულობა, პრინციპულობა, სამართლიანობა, თანადგომა, შრომისმოყვარეობა, ერისა და ქვეყნისადმი სიყვარული.**

## დავით ტვილდიანი



უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის" რექტორი.
სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა ლენტეხის რ-ნის სოფ. რცხმელურში 1930 წ. 14 თებერვალს. მშობლები: აგრაფინა და დიმიტრი ტვილდიანები; მეუღლე — იულიანა ზუბიაშვილი (1929); შვილები: თამარი (1955), დიმიტრი (1956), ლევანი (1963). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1955); საქ. მეცნ. აკად-ის კარდიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1958). იყო საქ. მეცნ. აკად-ის კარდიოლოგიის ინ-ტის უმც. (1958-61) და უფრ. (1963) მეცნ. თანამშრომელი; ჯანდაცვის სამინისტროს თერაპიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, კლინიკური ელექტროფიზიოლოგიის განყ-ბის გამგე (1961-69); თსსი სამკურნალო (1969-73), პედიატრიული (1973-75) ფაკ-ტებისა და საფაკულტეტო თერაპიის კათედრის პროფესორი; პედიატრიული ფაკ-ტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე (1975-89); სამკურნალო ფაკ-ტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე (1989-2000); თსსი სამკურნალო ფაკ-ტის დეკანი (1972-75), პრორექტორი სასწავლო დარგში (1989-95); მსოფლიო ჯანდაცვის ორგ-ის სტიპენდიანტი კარდიოლოგიაში (სტოკჰოლმი, 1965-66). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის მექანიკური გაღიზიანების გავლენა გულზე" (1958), სადოქტორო — „გეირგეინოვანი სისხლის მიმოქცევის მოშლის მოდელირება და მისი პათოგენეზის საკითხები" (1965). არის 200-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის — 3 გამოგონების, 12 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოების. იყო ხარისხის მიმნიჭებელი კარდიოლოგიური სამეცნ. საბჭოს თავ-რე (1995-2000); ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა სასერტიფიკაციო კომისიის თავ-რე (1998-2003). არის მეცნ. დამს. მოღვაწე (1982); საქ. სახელმწ. პრემიისა (1988) და საქ. განათლების სამინისტროს I პრემიის (1990) ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (2000); სტოკჰოლმის მედიკო-ქირურგიული აკადემიისა (1966) და მილანის უნ-ტის (1989) მედლების მფლობელი; ჰელიომაგნიტოკარდიოლოგიური ცენტრის დამაარსებელი (1995). სამედ. აკად-ის აკადემიკოსი (1995 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია სამედ. კალენდარში (თსსუ, 2000); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ალმაშენებლის გამზ. 147, თბილისი 0112. ტელ: 95 45 53.

## ოლეგ ტიმჩენკო



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ვალენტინა ბოლოტოვა, ივან ტიმჩენკო; შვილი — ლიზა (1993). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1977-82). 1982 წლიდან არის საქ. მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრი. მისი ძირითადი ნამუშევრებია: „პორტრეტი" (1997), „უსასრულო ფრენა", „ორი მონიტორი" (1999); ბარსელონაში ჩაატარა აქცია — ნამუშევარი „ოფელია" ხიდიდან იქნა გაშვებული (1997). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: „წინააღმდეგობა" (თბილისი, 1991), „მკვდარი ზღვების რიტმები" (შეფილდი, 1992); გალ. „Art space" (ბრისტოლი, 1992); პერფორმანსი (1994), „მე მიყვარს ეს მინა" (1996), „რეგისტრი" (1996), „ვარდი კუბში" (1997), „ტყის სულები" (1998); საერთაშ. ფოტობიენალე (ბრატისლავა, 1998); ჯგუფური: „მეათე სართული" („ქარვასლა", თბილისი, 1986), „კედლის მოხატვა და ინსტალაცია" (ბერლინი, 1987), „თანამედროვე ხელოვნება" (პარიზი, 1988), გალ. „ბლექ ენდ უაით" (ბუდაპეშტი, 1989); „ფიროსმანიდან ავანგარდამდე" (ბარსელონა, 1991); გალ. „არტ სპეის" (ბრისტოლი, 1992); „გრძნობების სამყარო" (მოსკოვი,1992); ნიუ-იორკი (1998), გალ. „ფრიდრიხ" (კიოლნი, 1998); „ფიროსმანის I საერთაშორისო ბიენალე" (სეგ, თბილისი, 1996); „ტრანს-ფორმატიონ" (იუნესკო,

პარიზი, 1998); „იფა გალერეა" (ბერლინი, 2005); გალ. „ვიენა" (ფოტო გამოფენა, 2005). მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის, აშშ, გერმანიის, რუსეთისა და საქართველოს კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) მამარდაშვილის 12, თბილისი. ტელ: 96 31 14.
**„შეიძლება არ იცოდე რა უნდა გააკეთო, მაგრამ ზუსტად უნდა იცოდე რა არ უნდა გააკეთო"**

## გულბათ ტორაძე

მუსიკისმცოდნე. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1928 წ.14 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ ჭავჭავაძე, გრიგოლ ტორაძე; მეუღლე — თამარ მაჭავარიანი (1946); შვილები: მარიამი (მერი, 1959), ნინო (1972). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1950); თსკ მუსიკისმცოდნეობის ფაკ-ტი (1952). იყო თსკ მუსიკის ისტორიის კათედრის გამგე (1976-86, 1997-2001) და დეკანი (კონსერვატორიის — 1962-66, თეორიულ-საკომპოზიციო ფაკ-ტის — 1966-68); საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1968-73, 1992-96). არის მუსიკის ისტორიის პედაგოგი 1953 წლიდან; პროფესორი — 1981 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული სიმფონიური პოემები" (1969). არის 40-მდე ნაშრომის ავტორი. მათ შორის: „Симфонические произведения Ш. Мшвелидзе" „Звиадаури" и „Миндия" (1958), „იონა ტუსკია"(1962), „Композиторы Грузии" (I-1968; II-1973), „მუსიკალურ გზაჯვარედინებზე" (1979), „ანასტასია ვირსალაძე" (1981), „ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან" (1998), „Мой друг Леван Хаиндрава" (2002), „ოთარ თაქთაქიშვილი" (2006), „Д. Шостакович и Грузия" (2006), „ქართული ფეხბურთი" (1997) და სხვა. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1967); ღირსების ორდენის კავალერი (1999). იყო საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რის მ/მ (1995-96). მისი ბიოგრაფია შესულია თბილისსა და მოსკოვში გამოცემულ სხვადასხვა ცნობარში, ლექსიკონებსა და მუსიკალურ ენციკლოპედიებში; ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი. ფეხბურთი. ჟურნალისტიკა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 20ა, ბ. 19, თბილისი. ტელ: 39 30 95.
**სიკეთის ქმნა — ცხოვრებაში, პროფესიულ საქმიანობაში; საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე ყოფნა.**

## მერაბ ტურავა



იურისტი. სამართალმცოდნე. პროფესორი.

დაიბადა ზუგდიდში 1964 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ზაირა ხასაია, აკაკი ტურავა; მეუღლე – ცირა გრიგოლია (1967); შვილები: მარიკა (1991), ანა (1994), ლაშა-გიორგი (2001). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990). სწავლობდა იენის შილერის სახ. უნ-ტში (1989-90); თსუ ასპირანტურაში (1990-91). იყო ბერლინის ჰუმბოლდტის სახ. უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტის დოქტორანტი (1992-97); თსუ იურიდიული ფაკ-ტის დოცენტი და იუსტიციის სასწავლო (შემდგომში, სამოსამართლო სწავლების) ცენტრის ლექტორი (1998-2005); უზენაესი სასამართლოს თავ-რის მოადგილე და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავ-რე (2000-06); სისხლის სამართლის (1998-2000) და სისხლის საპროცესო სამართლის (2001-04) სარეფორმო კომისიის წევრი; საქ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (1999-2006) და იურიდიული ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი (2005-08). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დანაშაულის სისტემების შედარებითი ანალიზი" (ბერლინი, 1997). არის ავტორი სამეცნ. ნაშრომებისა: „დანაშაულის სისტემების შედარებითი ანალიზი" (გერმანულ ენაზე, ბერლინი, 1998); „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო" (2005), „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა" (2006, მე-7 გამოცემა — 2008). არის საქართველოს უნ-ტის სამართლის სკოლის პროფესორი; თსუ იურიდიული ფაკ-ტის პროფესორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 77ა; ჭავჭავაძის 3. თბილისი. (ბინის) ფანასკერტელის 6, თბილისი 0194. ტელ: 36 22 31. ელ-ფოსტა: merab_turava@yahoo.de
**ვემსახურო მართალ საქმეს, ვიყო სამართლიანი, კეთილსინდისიერი, კაცთმოყვარე, ჩემი ყოველდღიური საქმიანობით ხალხს მივცე იმის რწმენა, რომ სიმართლისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.**

## დავით ტურაშვილი



მწერალი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 10 მაისს. მშობლები: ზაირა მასხულია, შოთა ტურაშვილი; მეუღლე — მაკა კეკელიძე; შვილები: ანა-მარიამი (1993), ლიზარაზუ (2001), სოფიო (2003). სწავლობდა: თბილისის, ლონდონისა და მადრიდის უნ-ტებში ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას. არასოდეს ჰქონია: თანამდებობები, სამეცნიერო ხარისხები და სახელმწიფო ჯილდოები. წერს რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს. გამოცემული აქვს თორმეტი წიგნი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

## გიორგი ტუღუში



საქართველოს სახალხო დამცველი.

დაიბადა თბილისში 1977 წ. 26 მარტს. მშობლები: მანანა ფაცია, დავით ტუღუში. დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლისა და ურთიერთობების ფაკ-ტი (1999). აქვს ქართულ-ამერიკული საზ-ბრივ საქმეთა ინ-ტის მაგისტრის ხარისხი სახელმწ. მართვის დარგში (2001); ლუნდის უნ-ტის (შვედეთი) მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებათა საერთაშ. სამართლის დარგში (2003). იყო თბილისის მერიის იურიდიული განყ-ბის თანამშრომელი; თბილისის მთავრობის პრემიერის მოადგილის თანაშემწე; თბილისის საკრებულოს თავ-რის აპარატის უფროსი (1996-2000); „ტასისი"-ს ეროვნ. ექსპერტი; საქ. პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის აპარატის წამყვ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წამყ. სპეციალისტი, საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილის თანაშემწე (2000); ურბანული ინ-ტისა და აშშ საერთაშ. განვითარების სააგენტოს ადგილობრივი მმართველობის რეფორმის პროექტის იურიდიული ექსპერტი (2000-02); „გოპა კონსალტინგის" (გფრ) ადგილობრივი ექსპერტი და ზ.ჟვანიას სახ. საზ-ბრივ საქმეთა ინ-ტის (GIPA) საერთაშ. საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშ. სამართლის ლექტორი (2002-04); საქ. სახალხო დამცველის აპარატის საერთაშ. ურთიერთობათა განყ-ბის უფროსი (2004 წლიდან); გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნ. პროექტის იურიდიული მრჩეველი; ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოში ეუთოს მისიის მრჩეველი; ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის — „ომბუდსმენის აპარატის ხელშეწყობა" მენეჯერი (2008); სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობათა კვლევის ფონდის უმც. მკვლევარი; საქ. იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიწვეული ექსპერტ-ტრენერი; კავკასიის უნ-ტის სამართლის სკოლის ლექტორი საერთაშ. ორგანიზაციების სამართალში; 2009 წლიდან არის საქართველოს სახალხო დამცველი. არის ევროპის საბჭოს, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის კომიტეტის (CPT) წევრი (2005 წლიდან). იყო შვედეთის „ლუნდის " უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტის სტუდენტთა საერთაშ. კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი; ფონდის — „ღია საზოგადოება საქართველო" თვითმმართველობის კომისიის წევრი; საქ. თვითმმართველობის დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოც-ის დირექტორთა საბჭოს თავ-რე.
მისამართი: (სამსახურის) მაჩაბლის 11, თბილისი 0105. ტელ: 922479/80.

## ზურაბ ტყემალაძე



პოლიტიკური მოძრაობის — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარე. ინჟინერ-ტექნოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 18 იანვარს. მშობლები: ელისო გელაშვილი, შალვა ტყემალაძე; მეუღლე — ირა გელანტია (1948); შვილები: ირაკლი (1970), გიორგი (1975). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1965). მუშაობდა სამტრესტის ღვინის სხვადასხვა ქარხანაში (1965-1992); იყო შპს „სამების" გენ.

დირექტორის მოადგილე (1992-95), პრეზიდენტი (1995-99); პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დამფუძნებელი, თავ-რის მოადგილე (1999), თავ-რე (2005 წლიდან); საქ. პარლამენტის (1999-2004, 2004-08) წევრი, ფრაქცია „მრეწველების" თავ-რის მოადგილე (1999-2004), ფრაქცია „მრეწველების" თავ-რე, ევროპარლამენტის საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობისა და პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტების წევრი (2004-08); იყო მრეწველთა კავშირის თავ-რის მოადგილე (1994 წლიდან); თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს თანათავ-რე (1998-99); საქ. პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი (1995-99). 1998 წლიდან არის მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშ. ასოც-ის ექსპერტი. არის 20-მდე სამეცნ. ნაშრომის,15-მდე ქართული ღვინის მარკის ავტორი. არის საინჟინრო აკად-ის წევრ-კორესპონდენტი; საქ. ბიზნესის მეცნ. აკად-ის წევრი; საქ. ეროვნული აკად-ის საპატიო წევრი; საზ-ბა „თბილისელის" საპატიო წევრი; შპს „სამებას" საპატიო პრეზიდენტი. სათნოების სახლის — „კათარზისი " საპატიო ლეგიონერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ოჯახი.
**იყო პატიოსანი, ერთგული, შრომისმოყვარე. გიყვარდეს შენი ქვეყანა და შენი საქმე.**

## დავით ტყეშელაშვილი



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.
პირველი ვიცე-პრემიერი.

დაიბადა 1969 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ ჯამბაზიშვილი, რომან ტყეშელაშვილი; მეუღლე — ნინო ლორთქიფანიძე (1976); შვილი— სანდრო (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1996); ემორის უნ-ტი (2000). არის ედმუნდ მასკის სტიპენდიანტი (2005); სამართლის მაგისტრი (2006). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1987-89). იყო საქ. მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის პოლიტიკური მდივანი; თავ-რის მოადგილე (1993-95); საქ. პარლამენტის სამი მოწვევის წევრი (1995,1999,2004), იყო უმრავლესობის ლიდერის მოადგილე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავ-რე (1999-2003); საქ. მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავ-რე (1998-2002); საქ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი (2006-07); საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (2007-08); სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში (2008). 2009 წლიდან არის საქ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი.
ჰობი: კითხვა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 0105. ტელ: 28 24 11.

## იური ტყეშელაშვილი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. იურისტი.

დაიბადა ვანში 1950 წ. 25 იანვარს. მშობლები: ეთერ კორძაძე, ილია ტყეშელაშვილი; მეუღლე — მერი ცერცვაძე (1954); შვილები: ირინე (1981), დავითი (1984). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1971); მოსკოვის საკავშირო პროკურატურის ინ-ტის ასპირანტურა (1979). იყო თბილისის 26 კომისრის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1971-72); ქ. ტყიბულის პროკურატურის უფრ. გამომძიებელი (1972-76); თბილისის პირველი მაისის რ-ნის სასამართლოს თავ-რე (1982-85). უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 1985 წლიდან. იყო უზენაესი სასამართლოს თავ-რის მოადგილე; სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავ-რე (1999-2005). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „არასრულწლოვანთა დამნაშავეობა საქართველოში და მისი პროფილაქტიკის საკითხები" (1980). არის 14 სამეცნ. ნაშრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 0110. ტელ: 93 32 80.
**მაღალი ზნეობა, რომელიც აუცილებელია არა მხოლოდ მოსამართლისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის; პროფესიონალიზმი, რომლის გარეშე არანაირი საქმე არ გაკეთდება; ზომიერების გრძნობა — ასევე აუცილებელი ყველასათვის.**

## გიგი უგულავა

თბილისის მერი.



დაიბადა თბილისში 1975 წელს. მშობლები: მანანა ქართველიშვილი, არჩილ უგულავა; შვილები: ტასო (2000), თინათინი (2004). დაამთავრა თსუ ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკ-ტი (1998); სწავლობდა სასულიერო სემინარიაში (1992-94), ზაარბრუკენის უნ-ტში (1995-97); საქ. მეცნ. აკად-ის ს.წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინ-ტის ასპირანტურაში (1998). იყო ი.სუხიშვილის სახ. ქორეოგრაფიული კოლეჯის, თ. ყანჩაველის საავტორო კოლეჯის — „ნობილე" და 58-ე საშ. სკოლის რელიგიის ისტორიის მასწავლებლი (1993); ტ/კ „იბერია TV"-ს ჟურნალისტი (1997-98); ფონდ „ინტერნიუსის" ჟურნალისტი (1999-2000); ამავე პერიოდში იყო "Transparency international-georgia"-ს პროგრამების მენეჯერი; ფონდ „ევრაზიის" კონსულტანტი (2000); სამართლებრივი განათლების ასოც-ის — „ALPE"-ს დირექტორი (2001-03); საქ. იუსტიციის მინისტრის მოადგილე (2003); საქ. სახელმწ. უშიშროების მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე (2004); საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში (2004-05); საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი (2005). 2005 წლიდან არის თბილისის მერი. 2006 წლის ოქტომბერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად თბილისის საკრებულომ ხელმეორედ აირჩია თბილისის მერად. არის ჯონ სმიტის სტიპენდიანტი (გაერთიანებული სამეფო, თემა – „დემოკრატია, პრესისა და მაუწყებლობის რეგულაცია გაერთიანებულ სამეფოში", 2002). სხვადასხვა დროს იყო ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" სამარლებრივი განათლების ქვესაბჭოს წევრი; საქ. იუსტიციის სამინისტროს საზ-ბრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი; არასამთავრობო მონიტორინგის განათლების სექტორის ჯგუფის კოორდინატორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: სამსახურის: (მისამართი) შარტავას 7. თბილისი 0160. ტელ: 37 81 30; 37 82 00. (ბინის) ცხემის 6. თბილისი. ელ-ფოსტა: gigiugulava@tbilisi.gov.ge

## ვლადიმერ (კახა) უგულავა

„ტაოპრივატბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.
ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1972 წ. 24 თებერვალს. მშობლები: ლალი მანკეპლაძე, დიმიტრი უგულავა; მეუღლე — ნინო მასხულია-უგულავა (1972); შვილები: დიმიტრი (1991), ელენე (1999), გიორგი (2004). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1994); მაგისტრატურა (კოლუმბიის უნ-ტი, 1999). არის საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი; სს „ტაოპრივატბანკის" დირექტორთა საბჭოს თავ-რე.

ჰობი: ჩოგბურთი.

მისამართი: (სამსახურის) აკ.წერეთლის გამზ. 114. თბილისი. ტელ: 55 55 55. (ბინის) მოსაშვილის 2, ბ.76. თბილისი 0179.

## თედორე უთურგაიძე

გელათის აკადემიის აკადემიკოსი. ენათმეცნიერი. პროფესორი.



დაიბადა თელავის რ-ნის სოფ. ქვემო ალვანში 1927 წ. 17 ივნისს. მშობლები: ანა ედიშერიძე, გიგო უთურგაიძე; მეუღლე — ჯენეტ ბაჯელიძე (1929); შვილები: მაია (1959), მანანა (1961). დაამთავრა თსუ (1950), ასპირანტურა (1953). მუშაობდა გორის პედ. ინ-ტში (1953-61); არის საქ. მეცნ. აკად-ის ენათმეცნიერების

ინ-ტისა (1961 წლიდან) და თსუ (1989 წლიდან) თანამშრომელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თუშური კილო" (1954); სადოქტორო — „ქართული ენის მთის დიალექტების ფონემატური სტრუქტურა სალიტერატურო ენასთან მიმართებით" (1969). არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომისა და 8 მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის: „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა" (1976), „ქართული ენის შესწავლის ისტორია" (1999), „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში" (2002), „ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლებისა და მათი ურთიერთზემოქმედების შედეგთათვის გლობალურ სისტემაში" (2009). არის არნ. ჩიქობავას სახ. პრემიის ლაურეატი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბადით თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) პ. ინგოროყვას ქ. 29, თბილისი. (ბინის) დოლიძის ქ. 25. ტელ: 33 34 44.
**ჩავწვდე მშობლიური ენის ბუნებას. გარკვეულ ჯგუფთან ერთად ვქმნი ქართული ენის კომპიუტერულ სისტემებს დონეთა (ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური . . . ) მიხედვით, რათა შესაძლებელი გახდეს კავშირი სხვა ენებთან.**

## თენგიზ (გიზო) ურუშაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ნიადაგმცოდნე. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 14 იანვარს. მშობლები: ნინო მშვენიერაძე, თედორე ურუშაძე; მეუღლე — მედეა ჩახვაძე (1941); შვილები: თეო (1969), ალექსანდრე (1974-2007). დაამთავრა ს/ს ინ-ტის სატყეო მეურნეობის (1963) და უცხო ენების ინ-ტის ინგლისური ენის (1980) ფაკ-ტები. იყო სატყეო ინ-ტის უმც. (1967-69) და უფრ. (1969-73) მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1973-82); ს/ს უნ-ტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე (1982-2000), პრორექტორი (1995-2005), რექტორი (2005-06); თსუ პროფესორი (1991-2006), ნიადაგმცოდნეობის და ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის გამგე (2004-06), კონტრაქტორი (2006-07). 2006 წლიდან არის თსუ ნიადაგმცოდნეობის და ნიადაგების გეოგრაფიის ლაბორატორიის გამგე. არის საქ. პრეზიდენტის მრჩეველი ეკოლოგიის საკითხებში (1992 წლიდან). არის სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ტყის ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქვეტიპების გენეტიკური დახასიათება" (1967); სადოქტორო — „საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები" (1980). არის 300-მდე სამეცნ. ნაშრომის, 30-ზე მეტი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „ბუნების დაცვის საფუძვლები" (თანაავტ. ვ. გულისაშვილი, 1983), „საქართველოს მთის ტყეების ნიადაგები" (1987) და სხვ. არის საერთაშ. ჟურ. — "Annals of Agrarian Science" მთ. რედაქტორი (2003); ჟურ-ების: „Кавказский географический журнал" (საერთაშ., 2002), „Chemical & Environmental Research" (ინდოეთი, 2006), „Известия Армянского аграрного университета" (სომხეთი, 2006), "География Сибири и Дальнего Востока" (რუსეთი, 2006), „მოამბის" (საქ. მეცნ. აკად., 1995), „მეცნიერება და ტექნოლოგიები" რედკოლეგიების წევრი. არის საქ. კომკავშირის (1974), ვილიამსის (1989), საქ. სახელმწ. (2002) პრემიების ლაურეატი; სომხეთის სახელმწ. აგრარული უნ-ტის საპატიო პროფესორი და საპატიო დოქტორი, აზერბაიჯანის ს/ს აკადემიის საპატიო დოქტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1999); აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის მფლობელი (2000); საქ. ნიადაგმცოდნეთა საზ-ბის პრეზიდენტი; იუნესკოს პროგრამის — „ადამიანი და ბიოსფერო" ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი; საერთაშ. ეკოლოგიური აკად-ის წევრი (1993); საერთაშ. ნიადაგმცოდნეთა საზ-ბის V კომისიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1998-2002); ესპანეთის (ბარსელონა) მეცნიერებისა და ხელოვნების ეროვნ. (სამეფო) აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2005), ესპანეთის (კატალონიის) ვეტერინარულ მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (2007). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Библиографический справочник Российской академии наук" (1999), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი. მემუარული ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი 0128. ტელ: 29 08 18, ფაქსი: 99 88 23. (ბინის) მ.ალექსიძის 1, ბ. 23, თბილისი 0193. ტელ: 21 24 44, 10 20 05. ელ-ფოსტა: t_urushadze@yahoo.com; tengizurushadze@mailcity.com
**ვემსახურებოდე მომავალ თაობას.**

## დავით უსუფაშვილი

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე. იურისტი.



დაიბადა სიღნაღის რ-ნის სოფ. მაღაროში 1968 წ. 5 მარტს. მშობლები: ლიანა და ჯოველ უსუფაშვილები; მეუღლე — თინათინ ხიდაშელი (1973); შვილები: ალექსანდრე (2000), გრიგოლი (2006). დაამთავრა თსუ იურიდიული (1992), თსუ საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობათა (1995) ფაკ-ტები; საჯარო პოლიტიკის ინ-ტის ასპირანტურა (დუკის უნ-ტი, აშშ, 1999). იყო ცსკ იურიდიული განყ-ბის გამგე (1990-92); სახელმწ. საბჭოს იურიდიული განყ-ბის მრჩეველი (1992); სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი (1992-94); სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-95); ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" საბჭოს წევრი (1995-97, 2000-01); ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის დამფუძნებელი, თავ-რე (1994-97); თსუ ლექტორი (1994-97); AMEX International-ის საქ. ფილიალის დირექტორი (1999-2000); ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის მდივანი (2000-01). უძღვებოდა USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებს იურიდიული რეფორმების სფეროში (2001-05). 2005 წლიდან არის საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავ-რე. არის იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი. მისი ბიგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში". „ვინ ვინა არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 13, თბილისი 0108. ტელ: 92 00 58; ფაქსი: 98 34 76. (ბინის) ფანასკერტელის 20, თბილისი 0194. ტელ: 33 55 94. ელ-ფოსტა: usupashvili@republicans.ge

**ირწმუნე მხოლოდ ის, რასაც თავად დაასკვნი. იფიქრე მუდამ, თუნდაც უკვე მრავალჯერ ნაფიქრზე. თვალი გაუსწორე საკუთარ სინდისს, მაშინაც, როცა მასთან პირნათელი არა ხარ. საზოგადო საქმეში აკეთე მხოლოდ ის, რასაც საკუთარი გონება გკარნახობს. ცხოვრების გზას ნუ აირჩევ, მინდორზე ინავარდე. თავად არასდროს გაუსვა ხაზი საკუთარ ღირსებას, ან უპირატესობას. ძალთა შორის აღიარე მხოლოდ გონების ძალა, სილამაზეთა შორის — სულის სიმშვენიერე. აკეთე მხოლოდ სიკეთე. ოღონდ სიკეთედ აღიარე ის, რასაც თავად მიიჩნევ ასეთად. არც ერთი იდეა და პრინციპი არ ღირს იმად, რომ მას ანაცვალო აზროვნების თავისუფლება.**

## გიორგი უშიკიშვილი

ანსამბლ „ლაშარის" ხელმძღვანელი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი. ლოტბარი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 31 მარტს. მშობლები: ელიზავეტა გაუარაშვილი, რომან უშიკიშვილი. დაამთავრა თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნ-ტი. იყო მოსწავლეთა სასახლის ქართული ფოლკლორის ხალხური სიმღერის პედაგოგი (1993-97); საქ. ტელე-რადიო მაუწყებლობის ბავშვთა გუნდის ლოტბარი (1995-97). 1997 წლიდან არის ანსამბლ „ლაშარის" ლოტბარი; საქ. ფოლკლორის სახელმწ. ცენტრის დირექტორი (2004 წლიდან); ფოლკლორ-რადიოს დამფუძნებელი (2008 წლიდან); ფოლკლორის ეროვნ. ფონდის დამფუძნებელი — 2009 წლიდან. საუკუნის წინანდელი ჩანაწერებით აღადგინა უნიკალური ქართული ხალხური სიმღერები ანსამბლ „ლაშართან" ერთად და გამოსცა კომპაქტ-ალბომის სახით. არის საერთაშ. ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი; „წინანდლის" პრემიის მფლობელი; ღირსების ორდენის კავალერი (2006); საქ. იუნესკოს ეროვნ.საქმეთა კომისიის წევრი (2006); ნაციონალური ფოლკლორის განვითარების საპრეზიდენტო პროგრამის კომისიის თავ-რე (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თანამედროვე ტექნოლოგიები. მოგზაურობა-ექსპედიციები.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის 68, თბილისი. ტელ: 43 77 77. (ბინის) ზ.ვეშაპურის I შეს. 8 თბილისი, 0101. ტელ: 96 12 25.

**ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია. ეროვნული ტრადიციებისა და სულიერების შენარჩუნება თანამედროვე საშუალებებით, საკუთარი ძირებისგან მოუწყვეტლად, ქართული ფოლკლორის მსოფლიოსათვის გაცნობა.**

# თეიმურაზ ფალავანდიშვილი



კინორეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 26 მაისს. მშობლები: თამარ ბირკაძე, მიხეილ ფალავანდიშვილი; მეუღლე — დალი მთიულიშვილი (1945); შვილები: გიორგი (1972), ნინო (1976). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1964). იყო სახ. ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთ. რედაქციის რეჟისორი (1978-89 ). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1964 წლიდან). იყო სს „ქართული ფილმის" დირექტორატის წევრი (1995-2007); თსუ-ს პედაგოგი (1994-98). არის ყოველთა ქართველთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი (1992 წლიდან); თეატრისა და კინოს უნ-ტის პედაგოგი (1998 წლიდან); 2007 წლიდან — თსუ, ჭავჭავაძის უნ-ტისა და მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციის ინ-ტის პედაგოგი; სს „ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2008 წლიდან). გადაღებული აქვს ფილმები: „გოგონა და ჯარისკაცი", „ჩამავალი მზე" (1970), „თეთრი ქვები" (1972), „მზე შემოდგომისა" (1973), „წყარო გზის პირას" (1974), „მოხეტიალე რაინდები" (1975), „რაჭა, ჩემი სიყვარული" (მაყურებლის პრიზი, პრაღა, 1977); „ჯადოსნური ღამე" (მთავარი პრიზი, ვილნიუსი, 1989); „ახალი არკადია" (1986), „ოხ, ეს საშინელი ტელევიზორი" (1990), „სამანი" („ოქროს სანმისის" ჟიურის პრიზი, 1990); „მორიელის სინდრომი" (1993). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000); კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1965 წლიდან).
ჰობი: მოგზაურობა. ცურვა. მანქანის მართვა. ჯაზი.
მისამართი: (სამსახურის) ახმეტელის 10; რუსთაველის 19, თბილისი. (ბინის) იოსელიანის 37, ბ.180. თბილისი. ტელ: 33 77 02 .
**პიროვნების თავისუფლება, მიმტევებლობა, კერპისა და მესიის მიუღებლობა პიროვნულად და ქვეყნისათვის. პროფესიისა და მეგობრობის ერთგულება, მზადყოფნა ცვლილებებისთვის...**

# აკაკი ფანჩულიძე



საქართველოს დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი.
ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი.

დაიბადა ქუთაისში 1962 წ. 18 ივნისს. მშობლები: ჯული ასათიანი, ზურაბ ფანჩულიძე; მეუღლე — მარინა ჩიკვილაძე (1962); შვილები: ნინო (1991), ზურაბი (1996). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტის ჰიდრომელიორაციის ფაკ-ტი (1985). იყო „საქწყალკანალის" სანარმოო წყლებზე ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი (ინჟინრიდან — უფროსამდე, 1986-93); საქ. „ეკოცენტრის" დირექტორი (1993-97); საქ. გარემოს დაცვის ინ-ტის დირექტორი (1997-2002); საქ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე (2002-04). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გარემოს უსაფრთხოება ქვემო ქართლის რეგიონისათვის" (1999). არის ავტორი საქ. ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის (1997), ორი მონოგრაფიისა და 20 სტატიის. იყო „ხალხის პარტიის" წევრი (2007-08). საქ. დემოკრატიული პარტიის წევრია 2008 წლიდან. არის საქ. ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 12 04.
**მიზანმიმართულობა, პრინციპულობა, დაუღალავი შრომა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დაუშურებლად გადაცემა, ბრძოლა ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.**

## დალი ფანჯიკიძე



მთარგმნელი. გერმანისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 23 მარტს. მშობლები: ლულუ მოსეშვილი, ალექსანდრე კოკაია; მეუღლე — გურამ ფანჯიკიძე (1933); შვილები: მაია (1960), ლაშა (1963) ნათია (1971). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1959). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ბიბლიოთეკის თანამშრომელი (1959-61); თსუ გერმანული ენის კათედრის მასწავლებელი (1961-72), დოცენტი (1973-93), პროფესორი (1993-95), კათედრის გამგე (1995-2005). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკის საკითხები და მხატვრული თარგმანის პრობლემა" (1970), სადოქტორო — „სტილის ეკვივალენტობის პრობლემა მხატვრულ თარგმანში" (1992). თარგმნილი აქვს თ.მანის „ბუდენბროკები" (1970), „ჯადოსნური მთა" (1978,1984), „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება" (1995); მაქს ფრიშის "Homo Faber" (1986), „ვიქნები თუნდაც განტენბაინი" (1988); უ.პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი" (1982); გოეთეს „პოეზია და სინამდვილე" (2002); ჰ. ჰესეს „ფიქრი და განსჯა" (1996); გრ. რობაქიძის ესე „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით" (2007); ჰელმუტ ნიდერლეს მოთხრობები (2007); ფელიქს ბრაუნის ფილოსოფიური ლირიკა (2007); სიბილე ბერგის რომანი „ნორას შია" (2008); რ. მ.რილკეს, ი.ბახმანის, ჰ.ბიოლის, ი.ჰასლინგერის და სხვათა მოთხრობები; ავსტრიული პოეზიის ნიმუშები. არის წერილების და სამეცნ. ნაშრომების ავტორი, მათ შორის: „წერილები" (1981); „თარგმანის თეორია და პრაქტიკა" (1988); „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა" (1995); „ენა, თარგმანი, მკითხველი" (2002); „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები" (2004). არის ივ. მაჩაბლისა (1983) და საუნივერსიტეტო (2003) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1997); მწერალთა კავშირის (1986 წლიდან) და გოეთეს საერთაშ. საზ-ბის (1985 წლიდან) წევრი. მონაწილეა მრავალი საერთაშ. კონფერენციისა. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1986); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). ჰობი: კულინარია. კლასიკური მუსიკა. ოპერა. თეატრი.

მისამართი: (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი 0128. ტელ: 22 04 03. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 4ა, ბ. 35, თბილისი 0160. ტელ: 38 66 59.

**პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა; სხვისგან არ მოვითხოვ იმას, რასაც არ მოვთხოვ საკუთარ თავს; ვთარგმნი მხოლოდ პირველხარისხოვან ლიტერატურას; თარგმანში უკიდურესი სიზუსტის მომხრე ვარ; მაქვს მთარგმნელის სპეციფიკური ნიჭი. ჩემი წარმატება განაპირობა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ, ჩემი ქვეყნისა და საქმის უანგარო სიყვარულმა.**

## მაია ფანჯიკიძე



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში. გერმანისტი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: დალი და გურამ ფანჯიკიძეები; მეუღლე — პაატა თუშურაშვილი (1959); შვილები: გიორგი (1986), არჩილი (1987). დაამთავრა იენის (გერმანია) ფრიდრიჰ შილერის სახ. უნ-ტის ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტი (1983). იყო თბილისის მე-6 სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი (1983-94); თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტის ლექტორი; მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქ. საგრეო საქმეთა სამინისტროში (1994-2004). იყო საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (2004-07). 2007 წლიდან არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში. იყო გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირის თავ-რე (1992-94). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „იმპრესიონიზმი საუკუნეების გასაყარის ავსტრიულ ლიტერატურაში" (1989). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) Embassy of Georgia, Groot Hertoginnelaan 28, 2517 EG The Hague Netherlands, ტელ: +31 70 302 90 80; faqsi: +31 70 302 90 81. ელ-ფოსტა: mpanjikidze@mfa.gov.ge

## ალექსანდრე ფარულავა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოდგილე.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მედეა როგავა, ალექსანდრე ფარულავა; მეუღლე — ნინო შუბლაძე (1976); შვილები: ეკატერინე (2000), გიორგი (2006). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1996). იყო პირველი არხის ჟურნალისტი — გადაცემების — „ალიონი" და „მოამბე" წამყვანი, პროდიუსერი (1993-2004); ტ/კ „ალანიას" დირექტორი (2005-08); ტ/კ „მზის" გენ. დირექტორი (2006-08); ტ/კ „იმედის" გენ. დირექტორის მოადგილე (2008-09). 2009 წლიდან არის საზოგადოებრივი მაუწყებლის გენ. დირექტორის მოადგილე.
ჰობი: ლიტერატურა — წიგნების კითხვა. ფილმების ყურება.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი. ტელ: 40 91 80; ელ-ფოსტა: parulava@imedi.ge
**სამართლიანობა, პრინციპულობა. საკუთარი ქვეყნის — სამშობლოს სიყვარული. მოექცე ადამიანს ისე, როგორც გინდა რომ შენ მოგექცნენ.**

## ნინო ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.
მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: ნანული და ლერი ფარცვანიები; მეუღლე — გიორგი ჩახავა (1966). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1993). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის სწავლული მდივანი (1996-2006); თსუ ფიზიკის ფაკ-ტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტი (2000-05); საქ. მეცნ. აკად-ის ა.რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (2001-06), დირექტორის მ/შ (2006-08). 2008 წლიდან არის ინტ-ის უფრ. მეცნ. თანამშრომელი და დირექტორი. არის შავი ზღვის უნ-ტის ბიზნესის მართვისა და სოციალურ მეცნ. ფაკ-ტის პროფესორი (2006 წლიდან); ქართულ-ამერიკული უნ-ტის მიწვეული პროფესორი (2006 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დაგვიანებულარგუმენტებიანი ორგანზომილებიანი დიფერენციალური სისტემების რხევადი და მონოტონური ამონახსნების შესახებ" (1999). არის 30-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი; საერთაშ. სამეცნ. ჟურ-ის — „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physis" ასოცირებული რედაქტორი (2008 წლიდან); საქ. პრეზიდენტთან არსებული სამეცნ. კვლევებისა და განვითარების საბჭოს წევრი (2008 წლიდან ).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) მ. ალექსიძის 1, თბილისი 0193. ტელ: 33 45 95, ფაქსი: 36 40 86. (ბინის) შანიძის 4, თბილისი 0179. ტელ: 23 15 88. ელ-ფოსტა: ninopa@rmi.acnet.ge
**„კაცად ხარ მაშინ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, — აბა დღეს მე ვის რა ვარგე".**

## ლალი ფაფიაშვილი



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 22 იანვარს. მშობლები: თინა ახვლედიანი, შოთა ფაფიაშვილი; შვილი — სალომე ვარდოშვილი (2002). დაამთავრა თსუ ჰუმანიტარული (ინგლისური ენა, 1993) და იურიდიული (1994) ფაკ-ტები; ასპირანტურა (1997). გაიარა პრაქტიკა საადვოკატო ფირმა "GEFFENS"-ში (ინგლისი). იყო საქ.

პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის უფრ. სპეციალისტი, ნამყვ. სპეციალისტი (1996-2000); საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი (2000-01), პარლამენტის თავ-რის I თანაშემწე (2001-03); პროტოკოლის განყ-ბის გამგე (2003-04); საქ. პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის მოადგილე; იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2004-07); რუსეთის ხელისუფლების მიერ საქ. მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი (2006-07); TACIS-ის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2006-07). 2005 წლიდან არის ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი. იყო ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი (2006-07); არის ამავე ჯგუფის წევრი (2008 წლიდან); შრომის საერთაშ. ორგ-ის ანტიტრეფიკინგული რეგიონული პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2007 წლიდან); ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს თავ-რე (2008 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში" (1997). 2005 წლიდან არის თსუ იურიდიული ფაკ-ტის სისხლის სამართლის მიმართულების ასოც. პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნ. ნაშრომი და 1 მონოგრაფია; არის ორი სახელმძღვანელოს თანაავტორი. მონაწილეობდა UNICEF-ის (1997), TACIS-ის, (1998-99), TracCC-ის (2002) პროექტებსა და საერთაშ. კონფერენციებში. იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის (1996-2005), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტის (2004-07) წევრი; ორგანიზაცია — „პარლამენტარები გლობალური ქმედებებისათვის" (აშშ) გამგეობის წევრი და „მშვიდობის და დემოკრატიის" პროგრამის ხელმძღვ-ის მოადგილე (2005-07). არის ახალი ორლეანის საპატიო მოქალაქე (1999 წლიდან); ვილტონ პარკის საერთაშ. ასოც-ის წევრი (2005 წლიდან). მიღებული აქვს შვეიცარიის მთავრობისა და შვეიცარიის საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტის ერთობლივი ყოველწლიური ჯილდო „შვეიცარიის პრიზი საერთაშ. ურთიერთობებში ლიდერობისათვის" (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას 8-10, ბათუმი 6010. ელ-ფოსტა: l.papiashvili@constcourt.ge
**პროფესიონალიზმი და პატიოსნება.**

## მამუკა ფაჩუაშვილი



გაზეთ „24 საათის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.
ჟურნალისტი.

დაიბადა ქუთაისში 1962 წ. 31 მაისს. მშობლები: ლამარა ქურციკიძე, ბონდო ფაჩუაშვილი; მეუღლე — მაია ჭალაგანიძე (1965); შვილები: სანდრო (1995), კესო (1997). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1985). იყო გაზ. „ნორჩი ლენინელის" განყ-ბის გამგე (1985-87); გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" განყ-ბის გამგე, პასუხისმგებელი მდივანი და რედაქტორის მ/შ (1987-89); გაზ-ების: „საქართველო" (1989), „თავისუფალი საქართველო" (1989-90), „საქართველოს რესპუბლიკა" (1990-91), „ივერია ექსპრესი" (1992-94) და „პარლამენტის უწყებანი" (1992-2002) მთ. რედაქტორი; გაზ. „კავკასიონის" რედაქტორ-გამომცემელი (1994-96); საქ. პარლამენტის საზ-ბასთან ურთიერთობის დეპ-ტის უფროსი (1996-2002). 2002 წლიდან არის გაზეთ „24 საათის" გამომცემელი და მთ. რედაქტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ახალი გაზეთების კეთება. კოსმოსი და თვითმფრინავები.
მისამართი: (სამსახურის) ი. გამრეკელის 51, თბილისი 0186. ტელ: 20 24 24; ფაქსი: 31 93 86. (ბინის) გუდიაშვილის მოედ. 7. თბილისი. ტელ: 93 20 95 ელ-ფოსტა: Mpachuashvili@24hours.ge
**პროფესიონალიზმი, ნებისყოფა, პატიოსნება, ეროვნული და პიროვნული თავისუფლება.**

## ნანა ფაჩუაშვილი



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 2 იანვარს. მშობლები: ჯენი ბაქრაძე, ლევან ფაჩუაშვილი; მეუღლე — ტრისტან ყველაიძე (1942); შვილები: თამაზ აფხაიძე (1964), ხათუნა ყველაიძე (1966). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1964); არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ღვთაებრივი კომედია", „ხანუმა" , „გუშინდელნი", „ბერნარდა ალბას სახლი", „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი", „ბედნიერი ბილეთი", „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე", „მაცდური", „ნახვის დღე", „იქ, სადაც ღვარად მოედინება", „თავადის ქალი მაია", „ტიტუს ანდრონიკუსი", „ჯაყოს ხიზნები", „პეპლები", „სიტუაცია", „სიკვდილის როკვა", „დაკრძალვა კალიფორნიაში", „საბრალდებო დასკვნა", „წყვდიადის მეუფება", „რიჩარდ III", „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი" და სხვა; ფილმებში, ტელე-სპექტაკლებსა და ტელე-სერიალებში: „სუფთა დაფა", „ჯაყოს ხიზნები", „წვრილვარსკვლავთა ღამე", „ცხელი ძაღლი". არის საქ. სახალხო არტისტი; ღირსების ორდენის კავალერი (1998). მიღებული აქვს პრემია ყოველწლიურ კონკურსში „თანამედროვეობა და თეატრი"(1980-81) და საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის ჯილდო (2000-01); დასახელებულია წლის საუკეთესო მსახიობ ქალად (1990). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1966 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჩემი პროფესია.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 37. ტელ: 99 63 73. (ბინის) დოლიძის 6/6, თბილისი. ტელ: 33 74 84; 899 50 98 80.
**თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის ფანატიკურად მიყვარდა ჩემი პროფესია. ამ სიყვარულმა გადამალახინა ის სირთულეები, რასაც ითხოვს თეატრი: შრომის დიდი უნარიანობა, ერთგულება, მოთმინება, გამძლეობა. ყოველთვის ვიყავი თვითკრიტიკული და მიზანდასახული, მუდამ ძიების პროცესში.**

## ჯეირან ფაჩუაშვილი



მხატვარი. საქართველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე.

დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ ხურციძე, ნიკოლოზ ფაჩუაშვილი; მეუღლე — ნათელა გეგუჩაძე (1950); შვილები: ნიკოლოზი (1982), თამარი (1984), ნინო (1986). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტის თეატრალური განყ-ბა (1968). იყო ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მთ. მხატვარი (1968-97); საქ. მხატვართა კავშირის მდივანი (1986-90); საქ. უზენაესი საბჭოს წევრი (1990-92); ქუთაისის ხელოვნების ცენტრის ხელმძღვ. (1990-97); ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახ. სახელმწ. აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და გენ. დირექტორი (1997-2006). არის საქ. მხატვართა კავშირის თანათავ-რე (2003 წლიდან); ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის თავ-რე (1976 წლიდან), თეატრის მხატვარი. გამოფენებში მონაწილეობს 1968 წლიდან. გაფორმებული აქვს 100-მდე სპექტაკლი ქუთაისის, თბილისის მოზარდ მაყურებელთა და ფოთის თეატრებში; სამარის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მათ შორის: „სასამართლო ქრონიკა" (1967), „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", „მთვარის მოტაცება" (1969), „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „ნუ გეშინია, დედა", „წმინდანები ჯოჯოხეთში" (1971), „გაბრიყვებული ქმარი" (1972), „ბერნარდა ალბას სახლი" (1980)," „ფიზიკოსები" (1981), „ძველმოდური კომედია" (1983), „სიყვარულსა და სიკვდილში არარსებული"(1987), „ფილუმენა მარტურანო" (1998), „სამეფოო ძველთაძველო" (1999), „აქ ოდესღაც ადამიანს უცხოვრია"(2002), „თეატრი" (2005), „ბებო მარიამი" (2006), „გუშინწინ, გუშინ, დღეს" (2008), „ვარსკვლავბიჭუნა" (2009) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალ-ში, ქუთაისის სახელმწ. დრამ. თეატრის ფონდში; რუსეთის, საქართველოს, გერმანიის, ინგლისის კერძო კოლექციებში. არის საქ. დამს. მხატვარი (1980); წლის საუკეთესო სცენოგრაფიისათვის თეატრალური საზ-ბის პრემიის (1983, 1986, 2001), საქ. მინისტრთა საბჭოს პრემიის — „ხუთწლედის მატიანე" (1984) მფლობელი; საპატიო ნიშნის (1985) და ღირსების (1997) ორდენების კავალერი; აკ.წერეთლისა (2000) და სახელმწიფო (2004) პრემიების ლაურეატი; იმ-

ერეთის თეატრალური ფესტივალის გრან-პრის მფლობელი (2003); საქ. თეატრის მოღვაწეთა (1970 წლიდან) და საქ. მხატვართა (1976) კავშირების წევრი; სსრკ მხატვართა კავშირის წევრი (1976). მისი ბიოგრაფია შესულია სსრკ მხატვართა კავშირის ცნობარში (მოსკოვი,1982); ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ფელიქს ვარლამიშვილის 16, ქუთაისი. ტელ. (8231) 5 24 71. (ბინის) ბუხაიძის 4, IIIსად. ბ.55, ქუთაისი 360000. ტელ: 4 29 69, (8231) 893 97 01 97.
**სიყვარული, ერთგულება, პასუხისმგებლობა, კანონმორჩილება.**

## კარლო ფაჩულია



მხატვარი. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მხატვრული რედაქტორი.

დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 29 აპრილს. მშობლები: მარიამ ქუთათელაძე, კარლო ფაჩულია; მეუღლე — ნინო ზაალიშვილი (1945); შვილი — ირაკლი (1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1970); სსრკ სამხატვრო აკად-ის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო (1975). იყო საქ. ტელევიზიის მხატვარი (1969-73); გამომცემლობების — „საბჭოთა საქართველო" (1975-78) და „მერანი" (1979-85); გაზეთების — „ლიტერატურული საქართველო" (1981-2001), „ქომაგი" (1998-2000) და „ახალი ეპოქის" დამატება „ჩვენი მწერლობის" (1999-2004), ჟურნალ „ომეგას" (1999-2004) მხატვრული რედაქტორი. არის ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მხატვრული რედაქტორი. გააფორმა და დაასურათა 300-ზე მეტი წიგნი, მათ შორის: უ.შექსპირის, იაკობ ცურტაველის, გოეთეს, ვაჟა-ფშაველას, ა.ყაზბეგის, ი.ჭავჭავაძის, ნ. ლორთქიფანიძის, გ.ლეონიძის, ა.სულაკაურის, ჭ.ამირეჯიბის, ო.ჩხეიძის, რ. ჩხეიძის, თ.ბიბილურის, ნ.დუმბაძის და სხვათა ნაწარმოებები. გამოფენებში მონაწილეობს 1970 წლიდან, მათ შორისაა: „9 ქართველი გრაფიკოსი" (მოსკოვი,1985); საქ. სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987); „ქართული გრაფიკა" (ბერლინი, 1990); ქართული მხატვრობა (პარიზი — იუნესკო, 1995); თბილისის სახვითი ხელოვნების საერთაშ. საშობაო ფესტივალი (1998); ქართული სახვითი შექსპირიანა (თბილისი, 2003); ილუსტრაციის საერთაშ. ბიენალეები: ბოლონია (1987); თეირანი (1995); ქუთაისის ფერმწერთა საერთაშ. პლენერები (1988, 1990, 1995) და სხვ. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები — ნოიე ბრანდერბურგი (1974); თბილისი (1999, 2006). არის ავტორი დაზგური სერიებისა: „სახელოსნო" (1980), „ჩემი ებრაელი მეზობლები" (1998), „თბილისი" (1988-2009), „სიმშვიდე" (1985-2009). დაჯილდოებულია საქ. მხატ. კავშირის მედლით (წლის საუკეთ. ნამუშევარი, 1985); არის თბილისის სახვითი ხელოვნების საშობაო ფესტივალის გრან-პრის (1998) და წიგნის გაფორმების რესპ. კონკურსების: „ლომისი" (1996) და საგურამო (2008) პრემიების მფლობელი; ღირსების ორდენის კავალერი (2002). იყო პალანგის ილუსტრაციის ჯგუფის წევრი (1976); სსრკ მხატვართა კავშირის (1974-91), საქ. მხატვართა (1974 ) და ჟურნალისტთა კავშირის (1984), ხელოვნების განვითარების ცენტრ „არტ არსის" წევრი; ალ. ორბელიანის საზ-ბის დამფუძნებელი და წევრი (1996). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალ-ში, რუსეთის კულტურის სამინისტროს ფონდებში, ნოიე ბრანდერბურგის კულტურის ფონდში; საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, ისრაელის კერძო კოლექციებში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნოველა (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში"(2000); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი.
მისამართი: (სამსახურის) გ.ჩუბინაშვილის 41. თბილისი. ტელ: 96 20 62. (ბინის) ს.ჩიქოვანის 24 ა, ბ.33. თბილისი 0171. ტელ: 33 17 91.
**სიყვარული აგვამაღლებს.**

## რუსუდან ფეტვიაშვილი



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 25 იანვარს. მშობლები: მანანა აბრამიშვილი, ვახტანგ ფეტვიაშვილი; მეუღლე — თეიმურაზ ბადრიაშვილი (1964). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1991). გამართული აქვს პერსო-

ნალური გამოფენები საქართველოში, რუსეთში, ევროპასა და აშშ-ში (1974-2006). ილუსტრირებული აქვს „ქართული ხალხური ზღაპრები", „ვეფხისტყაოსანი" (პარიზი, გამომც. „პოფი" 1989, გამომც. „პერმანი" 2006); წმინდა ოთხთავის მინიატურები სამების საკათედრო ტაძრისათვის. არის ღირსების ორდენის კავალერი (2005); საერთაშ. პრემია „მშვიდობის ელჩის" ლაურეატი (2005); საქ. ეროვნული აკად-ის საპატიო აკადემიკოსი. 1994 წლიდან არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარებში: "XX საუკუნის მსოფლიოს 2000 გამოჩენილი ადამიანი"და „Who is who"; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის ) ალმაშენებლის გამზ. 103. თბილისი 0164. ტელ/ფაქსი: 95 17 13.
www. petviashvili.com
**გულწრფელობა, სიყვარული და მუყაითობა.**

## გურამ (გივი) ფირცხალავა

მსახიობი.



დაიბადა ფოთში 1940 წ. 18 თებერვალს. მშობლები: თამარ ჭიჭინაძე; ნიკოლოზ ფირცხალავა; მეუღლე — თანგული სიხარულიძე (1945); შვილი — ხათუნა (1983). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1966). იყო გორის დრამატული და თბილისის მარჯანიშვილის სახ. თეატრების მსახიობი. 1966 წლიდან არის კ/ს „ქართული ფილმის" მსახიობი; მონაწილეობდა ფილმებში: „განთიადის წინ", „სინემა", „ჯვარცმული კუნძული", „მოლოდინი", „გზა შინისაკენ", „დათა თუთაშხია", „დღეს ღამე უთენებია", „მიზანი", „მოცურავე", „ვალსი პეჩორაზე", „წარსულის აჩრდილები", „ჩემი ძვირფასი ბაბუა", „თეთრი ბაირაღები", „მიდიოდა მატარებელი" და სხვა. არის საქ. მინისტრთა საბჭოს პრემიის — „ხუთწლედის მატიანე" ლაურეატი (1984); ფოთის საპატიო მოქალაქე (2000); საქ. დამს. არტისტი (1979); ღირსების ორდენის კავალერი (2000). არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1975 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. ცურვა. მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, II კვ. 9, ბ. 9. ტელ: 32 13 13.
**პატიოსნება, ერთგულება, პროფესიონალიზმი. წარმატება განაპირობა კარგი მასწავლებლების შეხვედრამ. შემდეგში უკვე რეჟისორებმა.**

## როლანდ ფიფია

საქართველოს პარლამენტის წევრი. საქონელმცოდნე.



დაიბადა გაგრის რ-ნის სოფ. სალმეში 1972 წ. 18 იანვარს. მშობლები: დიანა და ერნსტო ფიფიები; მეუღლე — ინგა ახალაია (1975); შვილები: დავითი (1997), ირაკლი (1999), მარიამი (2000). დაამთავრა მოსკოვის სამომხმარებლო კოოპერაციის უნ-ტის კომერციული საქმიანობის ორგანიზაციისა და საქონელმცოდნეობის ფაკ-ტი (1996). იყო ფირმა „Золотой Петушок"-ის კომერციული დირექტორი (სარატოვი, 1992-95); სახელმწ. საწარმო „ლიქსარ"-ის კომერციული დირექტორი (სარატოვი, 1996-2004); შპს „არგონათსი"-ს გენ. დირექტორის მოადგილე (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონებისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის მდივანი.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 73.
**ჩემი მიზანია ყოველთვის ვიყო სიახლის ძიებაში. მთავარია ამ ცხოვრებაში მიზანდასახულობა და მონდომება, მუხლჩაუხრელი შრომა. ჩემთვის არ არსებობს პატარა და დიდი საქმე. ყველა საქმე თანაბრად საჭირო და აუცილებელია. საქმე იწყება იქ, სადაც სიყვარულია.**

## კონსტანტინე ფიცხელაური



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ისტორიკოსი-არქეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: ნინო და ნიკოლოზ ფიცხელაურები; მეუღლე — ნანა მამაიაშვილი (1933); შვილი — კონსტანტინე (1974). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1954), ისტორიის ინ-ტის ასპირანტურა. იყო ისტორიის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1957 წლიდან); არქეოლოგიური კვლევის ცენტრის განყ-ბის გამგე (1972). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები" (1972). არის 170-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი; საერთაშ. საზ-ბის — „ტროას მეგობრები საქართველოში" პრეზიდენტი; გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქეოლოგიის ინ-ტის უცხოელი წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში".
ჰობი: კლასიკური მუსიკა (პოლიფონია).
მისამართი: (სამსახურის) უზნაძის 19, თბილისი 0108. ტელ: 95 29 20. (ბინის) მცხეთის 2, ბ. 5. თბილისი 0179. ტელ: 22 01 03.
**ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია - 1. სამშობლოს, ქართველი ერის წარსულის წარმოჩენა და მისი ობიექტური გაანალიზება შეძლებისდაგვარად ფართო ფონზე, ღრმა ერუდიციის საფუძველზე. 2. დღეს, როდესაც ჩვენი საზოგადოება გახრწნის ზღვარზეა უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ყოველნაირად ვეცადო ახალგაზრდობას შევუნარჩუნო მაღალი მორალური თვისებები და რწმენა მომავლისადმი, გადავარჩინო ის ფიზიკურად და მორალურად.**

## ბასა ფოცხიშვილი



კინორეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 1 დეკემბერს. მშობლები: როზიტა ვერბი, მორის ფოცხიშვილი. დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (ლ. ღოღობერიძისა და ო. გვასალიას სახელოსნო,1988). მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში" (1989). მუშაობს რეკლამისა და მუსიკალური ვიდეოს რეჟისურაში (1997 წლიდან); თანამშრომლობს სხვადსხვა ტელეარხებთან (1999 წლიდან); არის თსთი რეჟისურის პედაგოგი, სარეჟისორო სახელოსნოს ხელმძღვანელი; სტუდიის — „სტუდია 123" მფლობელი. გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმები: „გულივერი" (1987), „დასასრული" (1988). არის ავტორი ტელევიზიის I არხის საახალწლო პროექტებისა: „სადგური 2000" (2000), „გზავნილი XXI საუკუნეში" (2001); მუსიკალური ვიდეო კლიპებისა: „ვაგონი მიქრის", "Just Try", „რომანსერო", „სიყვარული დაფრინავს", `Passangers", „ზამთარი ერთად გადავაგოროთ"; სარეკლამო რგოლებისა: მოქალაქეთა კავშირისთვის („გიხაროდენ"), ახალი მემარჯვენეებისთვის (დოუ-ნანა, „38", „მომე მამული") საარჩევნო კამპანიებისათვისა და ორგანიზაციებისათვის — ალდაგი, მაგთი და სხვა. მონაწილეობდა ფესტივალებში: Casino Film Festival (1989). Edinbourg Film Festival. Cotbuss Film Festival. Trieste Film Festival. Berlinale. Berlin Interfilm Festival. Real Venus Film Festival. Московский к/ф "Кино без барьеров". Superfest XXVI. UCTRA EPICA და სხვა. მიღებული აქვს პრიზები საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის, სოციალური რეკლამისთვის, მუსიკალური ვიდეო კლიპისთვის. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ზღვა, მზე.
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის 39ა, თბილისი. ტელ/ფაქსი: 832 22 38 49. (ბინის) ლარსის 1, თბილისი 0179. ტელ: 23 37 23; ელ-ფოსტა: studio123@gol.ge
**მინდა ვიცხოვრო ღირსეულად! ჩემი წარმატება განაპირობა განათლებამ, რომელიც მივიღე კარგი პედაგოგებისგან და მშობლებისგან.**

## არჩილ ფრანგიშვილი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1961 წ. 13 აპრილს. მშობლები: ციალა ღულუნიშვილი, ივერი ფრანგიშვილი; მეუღლე — დარეჯან ვერულავა (1965); შვილები: ივერი (1993), ვერა (1999). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1983). იყო სპი-ს ასპირანტი (1983-87), უმც. მეცნ. თანამშრომელი (1987-88), სექტორის და ლაბორატორიის გამგე (1988-90); ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1990-2001), კომპიუტერული სისტემების და ქსელების კათედრის პროფესორი (1993 წლიდან); სტუ რექტორის მოადგილე (2005-08); საქ. პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული ენერგეტიკის სფეროში (2002-05). 2009 წლიდან არის სტუ-ს რექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „უჯრედოვან ავტომატებზე ინფორმაციის წარმოდგენის და პარალელური დამუშავების პრინციპების შემუშავება" (1992). არის 120 სამეცნ. ნაშრომის, 9 მონოგრაფიისა და 7 სახელმძღვანელოს ავტორი; საერთაშ. ინფორმატიზაციის (1994), საერთაშ. საინჟინრო (1995), საქ. საინჟინრო (1996) და საქ. ენერგეტიკის (2002) აკადემიების ნამდვილი წევრი; საქ. მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (1997). არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1990); ღირსების მედლისა (1996) და ღირსების ორდენის (2003) კავალერი; დაჯილდოებულია „XX საუკუნის გამოჩენილი ინჟინრის" საპატიო ნოდებით (2000). არის ამერიკული ბიოგრაფიული ინ-ტის მრჩეველთა საბჭოს წევრი (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 77. თბილისი. ტელ: 36 51 52, ფაქსი: 36 51 55. (ბინის) პასტერის 1, ბ. 2. ტელ: 95 36 92. ელ-ფოსტა: a_prangi@gtu.ge

## გიორგი (გოგი) ქავთარაძე



რეჟისორი. მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 2 აპრილს. მშობლები: ქეთევან ბარბაქაძე, გიორგი ქავთარაძე; მეუღლე — ნუნუ ლომიძე (1955); შვილები: ბიძინა (1962), ბექა (1967). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1967). იყო მარჯანიშვილის თეატრის სცენის თანამშრომელი, რეჟისორის თანაშემწე და მსახიობი (1958-65); რუსთაველის თეატრის მსახიობი, რეჟისორი (1963-69, 1972-76); ბათუმის თეატრის მთ. რეჟისორი (1969-72); თეატრალური ინ-ტის პედაგოგი (1974-76); ქუთაისისა (1976-82) და სოხუმის (1982-92) თეატრების დირექტორი და სამხ. ხელმძღვანელი; ა.გრიბოედოვის სახ. რუსული დრამ. თეატრისა (1992-99) და რუსთავის დრამ. თეატრის სამხ. ხელმძღვანელი. არის გოგი ქავთარაძის ახალი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული აქვს 120-მდე სპექტაკლი, მათ შორის: შექსპირის „მეთორმეტე ღამე", „რომეო და ჯულიეტა", „მეფე ლირი", „რიჩარდ მესამე"; იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის", „ხალხის მტერი"; გოგოლის „რევიზორი"; ჩეხოვის „თოლია", „ალუბლის ბაღი", „სამი და"; ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი"; კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა" და სხვ. შესრულებული აქვს 25-ზე მეტი როლი სპექტაკლებში: „მე ვხედავ მზეს",„თეთრი ბაირაღები", „ვენეციელი ვაჭარი", „ჰამლეტი" და სხვ.; 34 როლი ფილმებში: „ქორწილი", „მაცი ხვიტია", „არ დაიდარდო", „ჩარი-რამა" და სხვა. არის ავტორი პიესისა „ბრალდება" (რ.სტურუასთან ერთად), მრავალსერიანი ფილმისა „ოქროს ობობა" (დ.კვირცხალიასთან და მ.ანთაძესთან ერთად), კინოსცენარისა „ტკბილი სევდა". არის ხელოვნების დამს. მოღვაწე; საქ. და აფხაზეთის სახალხო არტისტი; სახელმწ. და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1958); კინოკავშირის წევრი (1965). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (ბინის) შევჩენკოს 5. თბილისი. ტელ: 92 38 88; 899 24 52 13.

**ეროვნული იქნება ეს თუ საზღვარგარეთული კლასიკა, ჩემი შემოქმედება ძირითადად ასახავს ჩემი ქვეყნის იმ მტკივნეულ საკითხებს, რაც სხვადასხვა ეტაპზე იდგა ჩემი ქვეყნის წინაშე და ყველაფერთან ერთად ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ფსიქოლოგია და ქართველი კაცის ეთნოხასიათი სამყაროში, უბრალოება, სისადავე, სიმართლე, იუმორი, პლასტიკა, მუსიკალობა და რიტმული ცვალებადობა.**

## ირაკლი ქავთარაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. გეოგრაფი.

დაიბადა ოზურგეთში 1973 წ. 22 ნოემბერს. მშობლები: ქეთევან და ვასილ ქავთარაძეები; მეუღლე — მაკა როყვა (1976); შვილები: ლადო (2006), ლიზა (2008). დაამთავრა თსუ საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის ფაკ-ტი (1996), სახელმწ. მართვის ინ-ტი (2001), მიღებული აქვს სახელმწ. მართვის მაგისტრის ხარისხი. 2002 წლიდან არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საერთაშ. მდივანი; 2004 წლიდან — საქ. პარლამენტის წევრი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე; ფრაქციის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი; ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: სპორტი — ფეხბურთი, ცურვა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 92 30 85. (ბინის) დიღმის მასივი მე-4 კვ. კ. 22, ბ. 44. თბილისი 0159. ტელ: 52 30 90.

**აღსდგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. საქართველო ვიხილო ძლიერ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის საქართველოს მოქალაქეებთან ერთად. დაუღალავი შრომით მივაღწიო წარმატებას.**

## კონსტანტინე ქავთარაძე



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში. დიპლომატი.

დაიბადა თბილისში 1966 წ. 19 მაისს. მშობლები: ლალი გუჯაბიძე, ნუგზარ ქავთარაძე. დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1990); ვენის დიპლომატიური აკადემია (1994). იყო საქ. ტელერადიო დეპ-ტის რეჟისორის ასისტენტი (1983-85); გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური (1985-87). იყო საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი, კულტურულ-ჰუმანიტარულ ურთიერთობათა განყ-ბის უფროსი და სამმართველოს უფროსი (1990-93); ვიცე-კონსული (ათენი, 1995-2000); საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშ. ორგანიზაციების დეპ-ტის ეუთოს სამმართველოს უფროსი (2000-02); საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის დეპ-ტის დირექტორის მოადგილე და დირექტორი (2002-04); საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2004-06). 2006 წლიდან არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი (2004). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. კითხვა. სიკეთის კეთება.
მისამართი: (სამსახური) საქართველოს საელჩო პოლონეთის რესპუბლიკაში. ბერნენსკას ქ. 6. პოლონეთი. ტელ: (4822) 616 62 21 ფაქსი: (4822) 616 62 26. ელ-ფოსტა: warshaw.emb@mfa.gov.ge
**ღირსების გრძნობა, ქვეყნის და ოჯახის სიყვარული, ღმერთის რწმენა, დაჩაგრულისა და უპოვარის დახმარება, საქმის გულითა და ცოდნით კეთება.**

## ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია



რეჟისორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. პროფესორი.

დაიბადა თელავში 1959 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: მერი პეტრიაშვილი, გიორგი (გოგი) ქანთარია; მეუღლე — მარიკა წულაძე (1959); შვილი — გიორგი (1983). დაამთავრა თსთი დრამის სარეჟისორო ფაკ-ტი (1981). იყო დრამის კათედრის ასისტენტი (1981-82); თელავის სახელმწ. თეატრის მთ. რეჟისორი (1982-88); ახმეტელის სახ. თეატრის სამხ. ხელმძღვ. (1988-96); თელავის სახელმწ. თეატრის სამხ. ხელმძღვ. (1997-2001). 2000 წლიდან არის თეატრისა და კინოს უნ-ტის პროფესორი; დადგმული აქვს სპექტაკლები: „თავფარავნელი ჭაბუკი" (გ.დოჩანაშვილის მიხედვით, 1981), რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები" (1982), „ალალე" (1985); ლ.თაბუკაშვილის „ტაძარი" (1990); პ.კაკაბაძის „დემეტრე II" (1989); ზ.სამადაშვილის „კარს იქით" (1988); ო.ჭილაძის „ლაბირინთი" (1994); ნ.საიმონის „მე თქვენ ყველას სახეზე გცნობთ" (1997); „პატარა ხანს მოითმინეთ ბატონო" (დ.კლდიაშვილის მიხედვით, 1988); ცაგარელის „ხანუმა" (2000) და სხვ. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე; ს. ახმეტელის (1992), კ. მარჯანიშვილის (2007), სახელმწ. (1983,1995) პრემიების ლაურეატი; 1983, 1985, 1990, 1994 წლებში მიენიჭა პრემია საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის. არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1982); საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული აკადემიის" თანათავმჯდომარე (2007). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა. კინო. სახვითი ხელოვნება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი. ფაქსი: 98 30 79 (ბინის) იოსებიძის 72, თბილისი.
**ენა, მამული სარწმუნოება, პროფესიონალიზმი.**

## გივი ქართველიშვილი



საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. მშენებელი-ინჟინერი.

დაიბადა თბილისში 1936 წ. 28 ივლისს. მშობლები: ელენე ჯავახიშვილი, ირაკლი ქართველიშვილი; მეუღლე — ლამარა ბუაჩიძე; შვილები: ირაკლი (1961), გიორგი (1963). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1963). იყო კონსტრუქტორი, სამშენებლო სამმართველოს მთ. ინჟინერი, უფროსი, ტრესტის მთ. ინჟინერი; საქწყალმშენკომპლექსის უფროსი; ტურიზმის და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავ-რის მოადგილე. არის სს „წყალმშენის" დამფუძნებელი. 2000 წლიდან არის საქ. მთამსვლელთა ეროვნ. ფედრაციის პრეზიდენტი. ავტორია კრებულებისა: „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება და რეგიონალური პოლიტიკის პრობლემები", „გლობალიზაციის პირობებში ეთნოკულტურული მრავალფეროვნებისა და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხები", „საქართველოს მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები და ადგილობრივი თვითმართველობა". აქვს საოჯახო ტურისტული ბიზნესი და არის გამყოლი სამთო ტურიზმში. არის საქ. დამს. მწვრთნელი. იყო. საქ. მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი (1965-99), არის მოადგილე 2001 წლიდან. არის საქ. მთის მოყვარულთა კავშირის თავ-რის მოადგილე.

ჰობი: ბავშვებთან მუშაობა. კულინარია.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 37, თბილისი 0179. ტელ: 99 06 66, 98 91 33; ფაქსი: 98 91 33. (ბინის) კოსტავას 60, თბილისი 0179. ტელ: 23 28 25; ვებ-გვერდი: www.alpinizm.org.ge

**პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი.**

## ბაჩუკი ქარდავა



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. იურისტი.

დაიბადა ზუგდიდში 1969 წ. 28 დეკემბერს. მშობლები: დოდო დადიანი, ანზორ ქარდავა; მეუღლე — ირმა ბჟინავა (1969); შვილები: გიორგი (1994), ელენე (2005). დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სახელმწ. უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1989). 1988 წლიდან არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი; იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგ-ის თავ-რე (1993-96); ედპ-ს მთ. კომიტეტის წევრი (1996), გენ. მდივანი (2001-05); არის თავ-რე 2005 წლიდან. არის საქ. ანტიკრიზისული საბჭოს წევრი (2008). ავტორია ნაშრომისა „ეროვნული დემოკრატია — ჩვენი გზა" (2002). იყო ევროპის ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოლიტიკური საბჭოსა (1993) და საქ. ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაც. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „საქართველო — ნატო" (2006); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 21, თბილისი. ტელ: 48 44 08, 93 12 44. ელ-ფოსტა: ndp@ndp.ge

## გია ქარჩხაძე

გამომცემელი. შპს „ქარჩხაძის გამომცემლობის" დამფუძნებელი და დირექტორი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: ლეილა ბერიაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე; მეუღლე — მაკა ბაქრაძე (1983); შვილი — ლუკა (2005). განათლება — არასრული უმაღლესი. არის შპს „ქარჩხაძის გამომცემლობის" დამფუძნებელი და დირექტორი.

ჰობი: ფოტოგრაფია.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 46/50, თბილისი. ტელ: 51 45 27.

## მაყვალა ქასრაშვილი



საოპერო მომღერალი. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 13 მარტს. მშობლები: ნანა ნინიკაშვილი, ფილიმონ ქასრაშვილი. დაამთავრა თსკ ვოკალური ფაკ-ტი (1966). 1966 წლიდან არის მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი. 2000 წლიდან — „დიდი თეატრის" საოპერო დასის სამხ. ხელმძღვანელი. გამოდიოდა ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენოპერას", ლონდონის „კოვენტგარდენის", „არენა დი ვერონას", მოსკოვის „დიდი თეატრის", მიუნჰენის, სავონლინის, ვენის, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, ტოკიოსა და მსოფლიოს სხვა საოპერო თეატრების სცენებზე. შესრულებული აქვს მთ. პარტიები ოპერებში: ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", „იოლანტა", „პიკის ქალი", „ორლეანელი ქალწული"; რიმსკი კორსაკოვის „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟზე და ქალწულ თებრონიაზე", „მლადა"; პროკოფიევის „სიმიონ კოტკო", „ომი და მშვიდობა", „მოთამაშე"; ბიზეს „კარმენი"; პუჩინის „ტოსკა"; ვერდის „ტრუბადური", „ოტელო", „ბალ-მასკარადი"; მასკანის „სოფლის პატიოსნება"; თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება" და სხვ. ზ.სოტკილავასთან ერთად ქუთაისში დააარსა ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები" (ჩატარდა 1984, 1985, 1987 წლებში). არის ა/კ მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის I პრემიის (1964), ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა და სტუდენტთა საერთაშ. ფესტივალის II პრემიის (სოფია, 1968) ლაურეატი; მონრეალის ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსის II პრემიისა და სპეც. პრიზის მფლობელი (1973); ზ. ფალიაშვილის სახ. (1983) და რუსეთის ფედ. სახელმწ. (1998) პრემიების ლაურეატი; რუსეთის ფედ. IV ხარისხის ორდენის "За заслуги перед отечеством" (2001) და „მეგობრობის ორდენის" (2006) კავალერი. არის სსრკ სახალხო არტისტი (1986). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Сегодня на сцене Большого Театра - 1976", "Молодые солисты Большого Театра" (А.. Орфенев), მუსიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (მოსკოვი, 1991), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) Театральная Площадь 1. Большой Театр. Москва (ბინის) Малый Козихинский пер. 4, кв.21. Москва. ტელ: 200 58 00.

**სწრაფვა სრულყოფისაკენ.**

## ნინო ქაჯაია



ჟურნალისტი. გადაცემის — „ცხოვრება მშვენიერია" ავტორი და წამყვანი.

დაიბადა 1975 წ. 23 ივნისს. მშობლები: თამარ გამსახურდია, გიორგი ქაჯაია; შვილი — ნათია ქაჯაია. დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკისა და სამართალმცოდნეობის ფაკ-ტები. იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო გადაცემების — „კურიერის" ჟურნალისტი, „ღამის კურიერის" წამყვანი (1995-2005); საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპ-ტის დირექტორი (2005-08); ტელეკომპანია „თიბისი TV"-ის გადაცემის — „ცხოვრება მშვენიერია" წამყვანი (2008-09). 2009 წლიდან არის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემის — „ცხოვრება მშვენიერია" წამყვანი. არის ავტორი დოკ. ფილმებისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შესახებ (ირანი, ისრაელი, ჩინეთი, მაროკო, იამაიკა, სამხრეთ აფრიკა, 2003-04).

ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 0172. ელ-ფოსტა:ninokajaia@gmail.com

**ნებისმიერ პროფესიასა თუ საქმიანობაში ყველაზე მთავარია მიზანი და რწმენა იმისა, რომ აუცილებლად მიაღწევ ამ მიზანს და რაც მთავარია, შრომისმოყვარეობა. არ არსებობს შრომა და ძალისხმევა, რომელიც არ ფასდება მომავალში. ასევე ვერასდროს მიაღწევ წარმატებას, თუ არ გიყვარს შენი პროფესია და სამსახურში მხოლოდ მოვალეობისა და ხელფასის გამო დადიხარ. საბედნიეროდ, ძალიან გამიმართლა ცხოვრებაში, რომ ბოლო 14 წელიწადია ვაკეთებ საქმეს, რომელიც საოცრად მიყვარს, მსიამოვნებს და თან ამაში ხელფასს მიხდიან.**

## ზურაბ ქევანიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტრაციის ცენტრის დირექტორი.
ექიმი. პროფესორი.



დაიბადა 1941 წ. 15 მარტს. მშობლები: ნატალია ლობჟანიძე, შამშე ქევანიშვილი; მეუღლე — ბუციკო ჩხარტიშვილი (1945); შვილები: ივანე (1971), ლაშა (1975). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1965)), საქ. მეცნ. აკად-ის ფიზიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1968). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ფიზიოლოგიის ინ-ტის პირობითი რეფლექსების ლაბორატორიის მეცნ. მუშაკი (1968-69); ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ექსპ. და კლინ. აუდიოლოგიის ს/კ ლაბორატორიის მეცნ. მუშაკი (1969-75), ელექტროფიზიოლოგიური განყ-ბის ხელმძღვ. (1975-90). აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორია 1990 წლიდან. იყო თსსუ ოტორინოლარინგოლოგიის კათედრის დოცენტი (1979-83); პროფესორია 1983 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აუდიომეტრია მოკლე და გრძელი ლატენტობის სმენის გამოწვეული პოტენციალების გამოყენებით" (პეტერბურგი, 1982). არის თანაავტორი ორი მონოგრაფიისა – "Расщепленный Мозг" (თბილისი, 1972) და "Слуховые Вызванные Потенциалы Человека" (თბილისი, 1985); 306 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი ინგლისურ, რუსულ, ქართულ, გერმანულ, ბულგარულ ენებზე. გამოქვეყნებული აქვს სტატიები საერთაშ. ჟურ-ებში: არის თანაავტორი და რედაქტორი ჰელბრიუგეს წიგნისა „ბავშვის ცხოვრების პირველი 365 დღე" და რედაქტორი სიმონ ხეჩინაშვილის მონოგრაფიისა "Вопросы Аудиологии" (თბილისი, 1978). არის საპატიო ნიშნისა (1986), ღირსების (2001) ორდენების კავალერი; ივ. ბერიტაშვილის (1987) და ჯ.სოროსის ფონდის (1993) პრემიების ლაურეატი. არის საქ. ფიზიოლოგთა საზ-ბის წევრი; საქ. ოტორინოლარინგოლოგიის ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ოტოლოგიაში (2004); International Brain Research Organization-ის (*IBRO*) საქართველოს ფილიალის მმართველი საბჭოს წევრი (1996); Die Physikalisch-Medicinische Societät zu Erlangen-ის წევრ-კორესპონდენტი (1988), Collegium Oto-Rhino-Laryngologicum Amicitiae Sacrum-ის წევრი (1994), ამერიკის აკუსტიკური საზ-ბის ასოცირებული წევრი (1995), Die Deutscher Gesellschaft für Hals-Nasen-Ohren-Heilkunde, Kopf- und Hals-Chirurgie-ის წევრ-კორესპონდენტი (1998). არის საერთაშ. ჟურ. — The Open Otorhinolaryngology Journal-ის სარედაქციო და მრჩეველთა საბჭოს წევრი. ზ. ქევანიშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩატარდა აუდიოლოგიის პროფილის ორი სიმპოზიუმი გერმანიაში (მაგდებურგი, დრეზდენი, 2006).

ჰობი: კლასიკური მუსიკა. აკადემიური მსუბუქი მუსიკა. პოეზია. პროზა. ფერწერა.

მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის გამზირი 33, თბილისი 0179, ტელ: 23 13 16; ფაქსი: 25 20 91; (ბინის) იპოლიტე ხვიჩიას ქუჩა 31, ბინა 8, თბილისი 0160; ტელ: 37 12 36. ელ-ფოსტა: zuriko_k@hotmail.com

**მიესალმება სლოგანს იღბალი არაფერ შუაშია, შრომა და ნიჭია მთავარი. მიესალმება ევროპული ცხოვრების წესს. არა — პროვინციონალიზმს, არა — პათეტიკას, არა — ორთოდოქსულ აზროვნებას, არა — ამბიციებს, არა — პრეტენზიებს სხვების და არა საკუთარი თავის მიმართ. მუდმივი ავტოკონტროლი, მუდმივი შრომა, სიახლეები და ნოვაციები. წესიერება პირად ცხოვრებაშიც და საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაშიც.**

## ეთერ ქემერტელიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ფარმაკოლოგი. პროფესორი.



დაიბადა საჩხერეში 1926 წ. 23 მარტს. მშობლები: ნინო და პეტრე ქემერტელიძეები. დაამთავრა თბილისის სახელმწ. ფარმაცევტული ინ-ტი (1946), ფარმაკოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1951). იყო საქ. ი.ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1953-60), დირექტორის მ/შ (1958-63), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1964-72), დირექტორი (1972-2006). არის საქ. ი.ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტის დირექციის მრჩეველი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს მცენარეთა ფიტოქიმიური შესწავლა და სამკურნალო პრეპარატები" (1973). არის 9 მონოგრაფიის, 530 სამეცნ. ნაშრომის, 75 საავტორო მოწმობისა და პატენტის, 35 ახალი სამკურნალო პრეპარატის ავტორი; მეცნ. დამს. მოღვაწე (1982); პ.მელიქიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1995);

საპატიო ნიშნის (1975), შრომის წითელი დროშის (1980), ღირსების (1996) ორდენების კავალერი; დაჯილდოებულია ოქროს ფირფიტით — „1997 წლის გამორჩეული პიროვნება"; საპატიო მედლით — „საქართველოს 1998 წლის საუკეთესო მედიცინის მუშაკი"; მედლით — „1900-2000, საუკუნის პიროვნება"; კემბრიჯის საერთაშ. ცენტრის ჯილდოთი მე-20 საუკუნეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის; სახელმწ. პრემიით (2004). არის საჩხერის საპატიო მოქალაქე (1983). იყო სსრკ მეცნ. აკად-ის და სსრკ მეცნ. და ტექნიკის სახელმწ. კომიტეტის 7 სამეცნ.-საპრობლემო საბჭოს, სსრკ ფარმაცევტთა სამეცნ. საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი; 4 საერთაშ. სამეცნ. ჟურ-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი. იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1984-89); სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის კომისიის თავ-რის მოადგილე; სსრკ-საფრანგეთის საპარლამენტო კომისიის წევრი; სამეცნ. ხარისხების სადისერტაციო საბჭოს თავ-რე ფარმაცევტულ მეცნ. დარგში (1993-2006); საქ. სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი (1992-2006). არის საქ. სნავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი; რუსეთის ფედ-ის მედიკო-ტექნიკური აკად-ის ნამდვილი წევრი (2004 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) სარაჯიშვილის 36, თბილისი. ტელ: 51 76 86; ფაქსი: 37 92 55. (ბინის) პეკინის 33-ა, ბ. 40. თბილისი. ტელ: 37 27 45. ელ-ფოსტა: elerqemertelidze@yahoo.com
**შრომა, ცოდნის სრულყოფა, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდა, ფარმაკოქიმიური მეცნიერების განვითარებისთვის მთელი ჩემი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის მოხმარება, ქვეყნისა და არჩეული საქმისადმი ერთგული სამსახური; თანამშრომელთა, მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, ჩემს გარემომცველ საზოგადოებაში ზნეობრიობის დამკვიდრება.**

## სერგო (ბაჩო) ქიტიაშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ექიმი.

დაიბადა ხაშურში 1975 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: დარეჯან ჩოჩია, ავთანდილ ქიტიაშვილი. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინ-ტის — „საქართველო" სამკურნალო ფაკ-ტი. იყო საქ. სტუდენტ-მედიკოსთა ასოც-ის (IFMSA-Georgia) სტუდენტთა საერთაშ. გაცვლითი პროგრამების დირექტორი (1997-99); საქ. სტუდენტ მედიკოსთა ასოც-ის პრეზიდენტი (1999-2000); ხაშურის რ-ნის გამგებლის მოადგილე (2000-01); საქ. ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის პრეზიდენტი (2001-03); საქ. სოციალური სამართლიანობის ინ-ტის დირექტორი (2003-06); შპს BI&BI დირექტორი (ვილნიუსი, ლიტვა, 2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის მოადგილე; საქ. პარლამენტის ევროკავშირში მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი. საქ. ახალგაზრდა მედიკოსთა ასოც-ის წევრი.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 82, ფაქსი: 28 17 58. (ბინის) გაბაშვილის 5, თბილისი. ელ-ფოსტა: bacho@parliament.ge
**ჩემი ცხოვრების პრინციპია მიზანდასახულობა, ჰუმანურობა და თავისუფლება, რაც განაპირობებს ჩემს წარმატებას.**

## ზურაბ ქომეთიანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბიოქიმიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1934 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: თამარ წულაძე, პეტრე ქომეთიანი; მეუღლე — გიული ალასანია — (1945); შვილები: ლელა (1963), პეტრე (1972). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1958); ივ.ბე-

რიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1963). იყო ივ.ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ლაბორანტი (1958-59), მეცნ. მუშაკი (1963-67), უფრ. მეცნ. მუშაკი (1967-73), ჯგუფის ხელმძღვანელი (1973-76). არის ივ.ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის თანამშრომელი (1958 წლიდან) და ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1975 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „NaK-ATP აზური სისტემის რეგულატ. მექანიზმები" (კიევის ბიოქიმიის ინ-ტი, 1979). არის ავტორი ნაშრომებისა: „Kinetic analysis of the multisited enzyme systems" (2007); „მემბრანოლოგია" (2008). არის თარხნიშვილის (1989), ბერიტაშვილის (2003) და პ.ქომეთიანის (2008) სახ. პრემიების ლაურეატი; IBRO-ს (საერთაშ. ტვინის შემსწავლელი ორგანიზაცია) წევრი.
მისამართი: (სამსახურის) გოთუას 14. თბილისი 0160. ტელ: 38 94 65. ელ-ფოსტა: zk – mem@yahoo.com
**1. მეცნიერებაში უფრო საინტერესოა ახლის ძიება, ვიდრე ცნობილის დაზუსტება. 2. ყველა ადამიანი წარმოადგენს დადებითი და უარყოფითი თვისებების ჯამს. 3. სწავლას დასასრული არა აქვს.**

## შამილ ქორთოშიძე



სპეციალური დანიშნულების ავიაციის სამმართველოს უფროსი.
მფრინავი. პოლკოვნიკი.

დაიბადა ახმეტის რ-ნის სოფ. დიკლოში 1963 წ. 2 მაისს. მშობლები: ლილი და აზბულა ქორთოშიძეები; მეუღლე — ნანა ბობოხიძე (1967); შვილები: საბა (1993), სალომე (1996). დაამთავრა საშუალო ტექნიკური სამოქალაქო საავიაციო სასწავლებელი (1989). 1991 წლიდან არის სამოქალაქო ავიაციაში; იყო ეკიპაჟის მეთაური (1992-94); ავიოკომპანია „აისის" შვეულმფრენების ესკადრილიის მეთაური (1994-99); საქ. სასაზღვრო ავიაციის დაარსებიდან (1999) არის მისი მეთაური. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, მედლით საბრძოლო მამაცობისათვის, სამახსოვრო მედლით „საქ. სასაზღვრო ძალები — 10 წელი", მედლით — „საქ. სასაზღვრო ძალები 1992-2002"; სამკერდე ნიშნით — „დსთ-ს წევრობისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის წარჩინებისათვის". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ავიაციის განვითარება საქართველოში.
მისამართი: (სამსახურის) დაბა ალექსეევკა. ტელ: 40 0 608, 40 02 04. (ბინის) აეროპორტის დასახლება. ტელ: 899 240055
**ვცდილობ, ყოველთვის ვიცხოვრო პატიოსნად და უფლისაგან ბოძებული სიცოცხლე მოვახმარო ჩემს ულამაზეს სამშობლოს, გაჭირვებულ ადამიანებს და ვიცხოვრო მათი ცხოვრებით. ვოცნებობ, საქართველო გახდეს მთლიანი და ეკონომიკურად ძლიერი და, თუ ამას მოვახერხებთ, მეც უზომოდ ბედნიერი ვიქნები.**

## ზვიად ქორიძე



ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: ზაირა ბოლქვაძე, ვალერიან ქორიძე; მეუღლე— მაია ცირამუა (1967); შვილები: ელენე (1995), ელისაბედი და ანამარია (2000), ლუკა (2008). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1992). იყო გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტი (1986-87); რადიოპროგრამა „პიკის საათის" რედაქტორი (1989-90); გაზ. „7 დღის" კორესპონდენტი (1990-91), დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი (1991-96), მთ. რედაქტორი (1996-97); ტ/კ „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი (1997-98); გაზ. „საქართველოს გაზეთის" მთ. რედაქტორი (1998); ტ/კ „მეცხრე არხის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი (1999-2000); „მედია-ცენტრის" დირექტორი (2000); ტ/კ „მზის"„საინფორმაციო პროგრამების პროდიუსერი; ჟურ. „დიალოგის" რედაქტორი; ტ/კ „იმედის" საინფორმაციო სამსახურის დირექტორი (2002-03). ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქ. საზ-ბრივ საქმიანობათა ინ-ტში, კავკასიურ და ი.ჭავჭავაძის უნ-ტებში (2005 წლიდან). არის მრავალი სტატიის ავტორი; რადიო „უცნობის" და ტ/კ „მაესტროს" გადაცემების წამყვანი. იყო ქართველ ჟურნალისტთა საზ-ბის თანათავმჯდომარე (1994) და ასოციაცია „თავისუფალი პრესის" გამგეობის წევრი (1995). მისი

ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა. ჯაზი. მოგზაურობა. კონიაკი.
მისამართი: (ბინის) პეტრიაშვილის 14. თბილისი 0108. ტელ: 22 55 07.
**„ის, ვინც თავისუფლების პრინციპად სოციალურ თანასწორობას ირჩევს, აშენებს საზოგადოებას, რომლისთვისაც უცხოა თავისუფლებაც და თანასწორობაც". კერძო საკუთრების პრიმატი, სამოქალაქო მშვიდობა და ადამიანის ელემენტარულ უფლებათა დაცვა - ამ კომპონენტების გარეშე ვერ აშენდება საზოგადოება, სადაც ნებისმიერი ურთიერთობა გამჭვირვალე იქნება.**

## ვახტანგ ქოქიაშვილი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1930 წ. 17 აპრილს. მშობლები: ვერა შარაშიძე, იოსებ ქოქიაშვილი; მეუღლე — ირინა კვიტაშვილი (1934); შვილი – ნინო (1971). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1956). იყო საქ. მხატვართა კავშირის საწარმოო კომბინატის მთ. მხატვარი (1962-69, 1974-79), მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი (1963-79); მონუმენტურ-საგამფორმებლო სამხატვრო საბჭოს თავ-რე (1972-76). არის მონუმენტური ხელოვნების სექციის თავ-რე 1982 წლიდან. მონაწილეობდა მოსკოვისა და მონუმენტური ხელოვნების I საკავშირო გამოფენაში (1961), მონუმენტური მხატვრობისა და არქიტექტურის სინთეზისადმი მიძღვნილ საერთაშ. სიმპოზიუმებში, სამინანქრო ხელოვნების საერთაშ. სიმპოზიუმებში (უნგრეთი, მოსკოვი, 1985, 1988, 1990). არის სსრკ მხატ. კავშირის წევრი (1958 წლიდან); საქ. დამს. მხატვარი (1967). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების კოლექციონირება.
მისამართი: (ბინის) მარჯიანის 28, თბილისი. ტელ: 32 11 86.
**საქმისადმი სიყვარული, პატიოსნება, პატრიოტიზმი.**

## სამსონ ქუთათელაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.



დაიბადა საჩხერეში 1964 წ. 4 მაისს. მშობლები: ცისანა და თენგიზ ქუთათელაძეები; მეუღლე — მეგი სირბილაძე (1962); შვილები: ცისანა (1989), ბესო (1991). დაამთავრა ეკონომიკისა და სამართლის ინფრასტრუქტურების საერთაშ. ინ-ტის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1983-85). იყო საჩხერის სპორტული კომპლექსის რადიოკვანძის უფროსი (1985-89); საჩხერის ბატალიონის ოცეულის მეთაური (1991-92), დაზვერვის უფროსი (1992), ბატალიონის მეთაური (1992-95), სპეცდანიშნულების სამთო მსროლელი ბატალიონის მეთაური (1995-97); მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის — „საჩხერე" მეთაური (1997-2001); ეროვნული გვარდიის დეპ-ტის საგანგებო სიტუაციისა და სამაშველო ძალების შტაბის უფროსი (2001-03); ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე (2003-04); ეროვნული გვარდიის სარდალი (2004-06); საქ. შეიარაღებული ძალების გენშტაბის განათლების დეპ-ტის უფროსი (2006-07). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავრის მოადგილე. არის ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენის მფლობელი; საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი (2008); მიღებული აქვს მედლები — საბრძოლო დამსახურებისთვის; საბრძოლო მიღწევებისათვის (აშშ არმიის დეპ-ტი); აშშ ჯორჯიის შტატის მედალი და ჯორჯიის შტატის მედალი განსაკუთრებული ღვაწლისათვის. აქვს ბრიგადის გენერლისა და აშშ არმიის გენერალ-მაიორის საპატიო წოდება; არის საჩხერის საპატიო მოქალაქე.
ჰობი: ალპინიზმი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 61. (ბინის) ბ.ქუთათელაძის 55, საჩხერე. ტელ: 899 53 76 76.
**წესიერება.**

## ირინე ქურდაძე



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ლეილა ქაჯაია, მიხეილ ქურდაძე; მეუღლე — ირაკლი კობალაძე (1967); შვილები: მიხეილი (1993), ავთანდილი (1994). დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი (1992), ასპირანტურა (1992-95). იყო საქ. სსრ სახელმწ. აგროსამრეწველო კომიტეტის მე-15 სამონტაჟო ტრესტის სანარმოო ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოს კადრების განყ-ბის ინსპექტორი (1984-88); თსუ საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობის ფაკ-ტის კადრების გამგის ასისტენტი (1996-97). არის თსუ საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობის ფაკ-ტის საერთაშ. სამართლის კათედრის მასნავლებელი (1997 წლიდან). იყო გაეროს განვითარების პროგრამის პროექტების: „დახმარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს" (1998-2001) და „კონსტიტუციური მართლმსაჯულების ხელშენყობა საქართველოში" (2003-04) — ეროვნული ექსპერტი; საქ. პარლამენტის ნევრი და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა დემოკრატების" ნევრი, საქ. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და ნესების კომიტეტისა და იურიდიული კომიტეტის ნევრი, პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის უფროსი (2004-08); იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნევრი (2006-08). 2008 წლიდან არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საერთაშორისო სამართლისა და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის პრობლემები" (2005). არის 15-მდე სამეცნ. სტატიის ავტორი და 2 წიგნის თანაავტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კითხვა.

მისამართი: (სამსახურის) უზნაძის 4. ტელ: 43 88 25. (ბინის) ფანასკერტელ-ციციშვილის VI კორპ. ბ. 107. ტელ: 36 10 09.

**ყოველთვის ვაკეთებდე იმას, რისი კეთებაც ძალმიძს.**

## თეიმურაზ ქურხული



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
ინჟინერ-ეკონომისტი.

დაიბადა საგარეჯოში 1956 წ. 21 აპრილს. მშობლები: ნინო და ფირუზ ქურხულები; მეუღლე — ნინო კინტრაია (1968); შვილები: ნიკა (1996), ნუცა (2000). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1973); თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1991). იყო „საქქალაქმშენსახპროექტის" უფრ. ინჟინერი (1978-81); „თბილქალაქმშენის" №4 სახლმშენებელი კომბინატის მთ. ინჟინრის მოადგილე (1988); №4 სახელმწ. კომბინატის ბაზაზე ჩამოყალიბებული ქართულ-ამერიკული სანარმოს — „ოლიმპოკომპკონსტრაქმშენის" გენ. დირექტორი (1992); სმკ „ლილოს" მშენკომბინატის დირექტორი (1994); სს „სასტუმრო ვაკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (1996); თბილისის კრწანისის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1997-98); თბილისის სამგორის რ-ნის გამგეობის თავ-რე (1998-2000); თბილისის ისან-სამგორის რ-ნის გამგებელი (2000-02); თბილისის პრემიერის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში (2002-04); ვიცე-პრემიერი (2004), პრემიერი (2004-06). არის საკრებულოს თავ-რის მოადგილე 2006 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სიერცითი დახურვები". გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნ. სტატია. არის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (2006 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ცურვა, ჩოგბურთი.

მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 2, თბილისი 0105. ტელ: 995761;
ელ-ფოსტა: geottf@yahoo.com

**ზნეობა, ღირსება.**

## ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.
ინჟინერ-ფიზიკოსი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 19 მაისს. მშობლები: ვერა და დევი ღარიბაშვილები; მეუღლე — თინათინ გელეყვა (1961); შვილები: ირაკლი (1984), ზურაბი (1989), ნიკა (1995). დაამთავრა მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკური უნ-ტის ფიზიკისა და ენერგეტიკის ფაკ-ტი (1983), ასპირანტურა (1989). იყო მოსკოვის ოლქის კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის ინ-ტის ფილიალის ინჟინერი (1983-86); საქ. მეცნ. აკად-ის ფიზიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1990-93); საქ. მეცნ. აკად-ის ცენტრ. სამეცნ. ბიბლიოთეკის განყ-ბის გამგე (1993-2000); საქ. სახელმწ. წიგნის პალატის დირექტორის მოადგილე (2000-06). 2006 წლიდან არის ეროვნ. სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. არის საქ. ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოც-ის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი (1995 წლიდან); საქ. საბიბლიოთეკო ასოც-ის დამფუძნებელი და დირექტორი; ინტერნეტის განვითარების ჯგუფის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი (2000 წლიდან). იყო „საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემის კონსორციუმის" ალმას. დირექტორი (2000-05). არის საქ. სკოლის ბიბლიოთეკების ასოც-ის დამფუძნებელი (2003); საქ. ზრდასრულთა განათლების ასოც-ის გამგეობის წევრი (2004). არის მრავალი პროექტის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის: „ქართულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზები ინტერნეტში საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ტერმინოლოგიის ინგლისურ-რუსულ-ქართული ინტერაქტიული ლექსიკონი" (2001-04); საქ. ბიბლიოთეკების სტატისტიკა — ინტერნეტ გამოცემა (2001); ჟურ. „საქართველოს ბიბლიოთეკის" დაარსება (2001), ჟურ. „საქართველოს ბიბლიოთეკის" ელექტრონული ვერსია (www.library.ge. 2003); საქართველოს ეროვნული სტანდარტი „ქართულ ასო-ნიშანთა კლავიატურაზე განლაგების ოპტიმიზაცია" (2003-04) და სხვ. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშ. კონფერენციებში, მათ შორის: იფლა-ს გენ. კონფერენცია (სტამბოლი, 1995; გლაზგო, 2002; ბერლინი, 2003); „ევროპის ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ჯგუფის" წლიური კონფერენცია (საფრანგეთი, 2000) და სხვ.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, კორპ. 4, თბილისი. ტელ: 36 34 13. (ბინის) ქიაჩელის 5/7, თბილისი. ტელ: 22 13 72. ელ-ფოსტა: igar@hotmail.com

## ჯემალ ღაღანიძე



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 21 აპრილს. მშობლები: სოფიო დავითაშვილი, ერმილე ღაღანიძე; მეუღლე — ელენე ღაღანიძე (1940); შვილი— ნათია (1968). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი. არის რუსთაველის თეატრის მსახიობი 1956 წლიდან. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ქუთათურები", „ბახტრიონი", „ზღვის შვილები", „ვარსკვლავი ინათებს", „მეტეხის ჩრდილში", „მზიანი ღამე", „დრაკონი", „კოლმეურნის ქორწინება", „ხანუმა", „კავკასიური ცარცის წრე", „კეთილი ადამიანი", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მაკბეტი" და სხვ.; ფილმებში: „კარდაკარ" (1960), „ჩემი მეგობარი ნოდარი" (1967), „ბურთი, ხელთათმანი და .. კაპიტანი" (1970), „მოიტაცეს თამარ ქალი" (1972), „თეთრი ქვები" (1972), „ნერგები" (1972), „ბიჭები იასამნის ქუჩიდან" (1974), „ჩირიკი და ჩიკოტელა" (1975), „აურზაური სალხინეთში" (1975), „გაქცევა გათენებისას" (1975), „ნატვრის ხე", „ქართველები ცაში"; სერიალებში: „ცხელი ძაღლი" და „ყავა და ლუდი". არის საქ. სახალხო არტისტი; საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1979); ღირსების ორდენის კავალერი (1999); თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006) .
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი. ტელ: 99 63 73. (ბინის) ბოლქვაძის 2, თბილისი. ტელ: 33 22 45.
გვიყვარდეს! გვიყვარდეს! გვიყვარდეს ერთმანეთი.

## პაატა ღაძაძე



„თიბისი" ბანკის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ღვინიაშვილი, ანზორ ღაძაძე; მეუღლე — სალომე ასათიანი (1981); შვილი — ელისაბედი (2008). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1992); საქ. მეცნ. აკად-ის ეკონომიკის ინ-ტი (1994); მსოფლიო ბანკის და კიევის ეროვნ. ეკონომიკური უნ-ტი (1998). იყო საქართველოს ქონების მართვის მინისტრის თანაშემწე (1992-94); „თიბისი" ბანკის საკრედიტო განყ-ბის უფროსი (1994); საქ. საერთაშ. სავაჭრო პალატის აღმასრულებელი საბჭოს წევრი (2000-02); საპენსიო-სადაზღვევო ჰოლდინგის — „GPI ჰოლდინგი" გენ. დირექტორი (2001-04). 1995 წლიდან არის „თიბისი" ბანკის გენ. დირექტორის პირველი მოადგილე; ESM თბილისის (თავისუფალი უნივერსიტეტი) და კავკასიის ბიზნეს-სკოლის ლექტორი.
ჰობი: მოგზაურობა ისტორიულ ადგილებში. ჭადრაკი.
მისამართი: მარჯანიშვილის 7, თბილისი. ტელ: 27 27 27; ფაქსი: 77 27 74.

## თამარ ღვინიანიძე



შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონის" გენერალური დირექტორი.
ფილოლოგი. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1952 წ. 15 აპრილს. მშობლები: ნინო კეპულაძე, შოთა ღვინიანიძე; მეუღლე — ბადრი კაპეტივაძე (1952); შვილი — გრიგოლი (1975); შვილიშვილი — ბადრი. დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტის ფილოლოგიური ფაკ-ტი (1974). არის აკ. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის თანამშრომელი 1975 წლიდან; იყო აკ.წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის პედაგოგიური ფაკ-ტის დეკანი (1988-2005). არის პედაგოგიკის დეპ-ტის პროფესორი. 2002 წლიდან არის ტელე-რადიო კომპანია „რიონის" გენ. დირექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დავით კლდიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება სკოლაში" (1981). გამოქვეყნებული აქვს 25 სამეცნ. ნაშრომი და სახელმძღვანელო — „მეტყველების კულტურა" (1999). იყო ავტორი გადაცემებისა: „ავტოგრაფი" (2002-06), „საუბრები ლიტერატურაზე" (2007-09). არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე; საქ. პედაგოგიკის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (2002 წლიდან); საქ. ჟურნალისტთა ფედ-ის წევრი (2001 წლიდან); საზ-ბების „ქუთაისელი" და „ბაღის კიდე" პრეზიდიუმის წევრი (2002 წლიდან); ასოც-ის „ასი ქართველი ქალი" წევრი (2007 წლიდან); ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის პატივების კომისიის წევრი (2008 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006), „ჩვენ — საქართველოს ქალები" (2008); ენციკლოპედიურ ალბომში (ქუთაისი, 2008). აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის მიერ დასახელებულია 2009 წლის ადამიანად.
ჰობი: ლიტერატურა. მუსიკა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის 2, ქუთაისი. ტელ/ფაქსი: (8231) 1 1141; 877 442224, 899 260905. (ბინის) ბადრი კაპეტივაძის 1. ქუთაისი. ტელ. (8231) 4 32 39.ელ-ფოსტა: rionitv@rionitv.ge; t.gvinianidze@gmail.com
**არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია, არსებობენ უუნარო ადამიანები; გონიერი ხარ, როცა შენი პრობლემებით სხვას არ აწუხებ. წიგნიერება, ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, საკუთარი და სხვისი ღირსების პატივისცემა, სიყვარულის უნარი.**

## მამუკა ღლონტი



ტელეკომპანია „მაესტროს" მთავარი პროდიუსერი. ტელმენეჯერი. არქიტექტორი.

დაიბადა რუსთავში 1964 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: ციალა და ზაურ ღლონტები; მეუღლე — ნატო ჭელიძე-ღლონტი (1965); შვილები: თამარი (1988), ეკატერინე (1989), სოფო (1993). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1987). იყო თბილისის ისტორიული უბნების ინსპექციის (1988-92); საქ. ტელევიზიის პირველი არხის (1991-94) თანამშრომელი; 1994 წლიდან მუშაობს სტუდია „მაესტროში". არის ავტორი ნოველებისა (დაიბეჭდა გაზეთებში „Georgian Times" და „ასავალ-დასავალი"); ტელეფილმის — „ჯადოსნური ღამე„ და პროგრამა „პა-სეანსის" სცენარების ავტორი. მიღებული აქვს სატელევიზიო ფესტივალ „მანას" ორი პრიზი — მაყურებელთა სიმპათიისთვის და საუკეთესო იუმორისტული გადაცემის ავტორისთვის. არის არასამთავრობო ორგ-ის — „ჟურნალისტები სიტყვის თავისუფლებისათვის" თავ-რე (2008 წლიდან).
ჰობი: მოგზაურობა. მუშაობა.
მისამართი: (სამსახურის) ნუცუბიძის 93, თბილისი. ელ-ფოსტა: mg@maestro.ge
**შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა, თავისუფლება.**

## ნუგზარ ღლონტი



სსიპ მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. ინჟინერ-ელექტრიკოსი.

დაიბადა ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ნინოშვილში 1946 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: ბუჟუ გვილავა, იაკობ ღლონტი; მეუღლე — დარეჯან მიქანაძე (1952); შვილები: იაკობი (1979, 23.01), ირაკლი (1979, 16.11). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1970). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1970-71). იყო სტაბილური იზოტოპების ინ-ტის მეაპარატე (1964-68); საქ. მეცნ. აკად-ის გეოფიზიკის ინ-ტის უფრ. ინჟინერი, უმც. მეცნ. თანამშრომელი (1972-88); თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1988-91); საქ. მეცნ. აკად-ის გეოფიზიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1991-92), დირექტორის მოადგილე (1992-2006). 2006 წლიდან არის გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კოსმოსური სხივების ნეიტრონული კომპონენტის ბარომეტრული ეფექტი და მონაცემების დამუშავების ავტომატიზირებული სისტემა ეგმ-ის ხაზზე" (1984). ავტორია გამოგონების — „მაიონიზებელი გამოსხივების პროპორციული მთვლელის ელექტრონული ინტერფეისი" (2003) და შემეცნებით-პოპულარული ბროშურისა „როგორ მოვიქცეთ მიწისძვრის შემთხვევაში" (2005). არის საქ. მეცნ. აკად-ის პრეზიდიუმის (1980) და აკად. მ.ალექსიძის სახ. (2007) პრემიების ლაურეატი; კავშირის — „საქართველოს გეოფიზიკური ასოციაცია" დამფუძნებელი.
ჰობი: დეტექტიური და ისტორიული ჟანრის მხატვრული ლიტერატურა. სპორტი — ფეხბურთი, ჩოგბურთი და სხვ.
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1, თბილისი 0193. ტელ: 33 30 71; ფაქსი: 33 59 34. (ბინის) ნუცუბიძის 77ბ, ბ. 71. თბილისი 0177. ტელ: 39 54 45; ელ-ფოსტა: ghlonti60@yahoo.com
**როგორც ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ჩემთვის მთავარი ადამიანური ღირებულებებია: თავმდაბლობა, გულწრფელობა, სათნოება, თანადგომა, პატრიოტიზმი, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება, ოჯახის სიყვარული. ჩემი ღრმა რწმენით, ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომა, პროფესიონალიზმი და კომუნიკაბელურობა.**

## ფელიქს ღლონტი



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ბათუმში 1927 წ. 8 ნოემბერს. მშობლები: ნინო და პეტრე ღლონტები; მეუღლე — ეთერ ახვლედიანი (1932); შვილი — გიორგი (1961). დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ-ტი (1953); თსკ (1959). არის თსკ პროფესორი. დაწერილი აქვს 13 სიმფონია; ბალეტი „განთიადი" (1967); ოპერები: „იბერიელები" (კავკასიური პარსიფალი, 1970, 1995-97), „კლეოპატრა" (1976); სიმფონიური პოემა — „ბედი ქართლისა" (დაჯილდოებულია I პრემიით, 1957); კონცერტი-სიმფონია — „მედიტაციები პეტრარკას თემაზე" (1977); „ჰეროიკული ორატორია" (1980); „კონჩერტო გროსიო" (1985); საკონცერტო სიმფონია როიალისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის (1998, 2006); სიმფონია „სიცოცხლის მეტამორფოზები" ვიოლინოსა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (1999); „რექვიემი" — დიდი სიმფონიური ორკესტრის, გუნდისა და სოლისტებისათვის (2006); მუსიკა ფილმებისა და სპექტაკლებისთვის და სხვ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი; საქ. მინისტრთა საბჭოს (1970), თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილესა და პროკოფიევის სახ. კომპოზიტორთა I საერთაშ. დახურული კონკურსის (1999) პირველი პრემიების ლაურეატი; საქ. სახელმწ. (1992) და აშშ ფირმა Power Station-ს პრემიების მფლობელი. არის საქ. სახალხო არტისტი (1963), ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979); საქ. ფილოსოფიურ მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია თანამედროვეობის „გამორჩეული ლიდერის" ნოდებით (აშშ, 2001). აღიარებულია წლის ადამიანად (აშშ, 2001, 2003); არის აშშ დიდების დარბაზის წევრი (2003) და აშშ ღირსების ოქროს მედლის მფლობელი (2004); საქ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1986), ცნობარებში: Who's Who (IBC, 1999-2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006) და დიდი ბრიტანეთის მუსიკალურ ენციკლოპედიაში.
ჰობი: ფუნდამენტური მეცნიერებები — ფილოსოფია, ფიზიკა, მეტაფიზიკა.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 20ა, I სად. ბ. 9, თბილისი 0177. ტელ: 39 31 43.
**მე ყოველთვის ვხელმძღვანელობდი უკმარისობის პრინციპით, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს მარადჟამს ეზიარო ახალს შემეცნებაში.**

## ლანა ღოღობერიძე



კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა თბილისში 1928 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: ნინო ხუციშვილი, ლევან ღოღობერიძე; მეუღლე — ლადო ალექსი-მესხიშვილი (1918); შვილები: ქეთევანი (1964), სალომე (1966). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (1953); კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1958). იყო ბათუმის პედ. ინ-ტის უფრ. მასწავლებელი (1953-54); კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1958 წლიდან); კ/ს „დროს" სამხ. ხელმძღვ. (1982 წლიდან); თსთი კინო-სარეჟისორო სახელოსნოს პედაგოგი (1983-88); საქ. პარლამენტის წევრი (1992-99), ფრაქცია „ლიბერალების" თავ-რე (1992-95), საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი (1995-99), ევროსაბჭოში პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის თავ-რე (1996-99); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საქ. მუდმივი წარმომადგენელი ევროსაბჭოში (1999-2005); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საქ. საელჩოში საფრანგეთში (2007-09). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „უოლტ უიტმენი" (1954). არის რეჟისორი ფილმებისა: „გელათი", „თბილისი 1500 წელი", „ერთი ცის ქვეშ", „მე ვხედავ მზეს", „ფერისცვალება", „როცა აყვავდა ნუში", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „აურზაური სალხინეთში", „დღეს ღამე უთენებია", „წერილი შვილებს", „ორომტრიალი", „ვალსი პეჩორაზე"; ავტორი მონოგრაფიისა — „უოლტ უიტმენი"; მემუარული ჟანრის წიგნისა — „რაც მახსენდება და როგორც მახსენდება" (2003); თარგმანებისა: „უოლტ უიტმენი" (1956), „რაბინდარათ თაგორი" (1956), „უცხოური პოეზია ქართულად" (1997). არის საქ. ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში — სლალომსა და სწრაფდაშვებაში (1952-53). გამართული აქვს 3 პერსონალური გამოფენა: თბილისში (გალ. TMS, 1997), სტრასბურგში (2001), ევროსაბჭოში (2005). გამოცემულია მისი ტი-

ლოების კატალოგი „განვლილი გზა". მისი ფერნერული ნამუშევრები დაბეჭდილია პოლონურ კალენდარში (2000). არის სან-რემოს, ტოკიოს, ვენეციის, ბერლინის, პარიზის, ჟენევის საერთაშ. კინოფესტივალების ლაურეატი; სსრკ და საქ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი. იყო მსოფლიოს კინემატოგრაფისტ ქალთა საერთაშ. ასოც-ის (KIWI) თავ-რე (1988-95). არის ევროპის კულტურის ასოც-ის (SEC) პრეზიდიუმის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who's Who of Women", "Who's Who of Intellectuals, „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). ამერიკის ბიოგრაფიულმა ინ-ტმა (ABI) მიანიჭა კულტურის დიპლომი (1995).
ჰობი: ჩოგბურთი.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 17, ბ.7, თბილისი. ტელ: 22 76 79.
**„ცხოვრებამ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შავირგე" - ჯერ შეუგნებლად, მერე გააზრებულად ვცდილობდი მეცხოვრა ამ პრინციპით. ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი იყო ინტერესი და თანაგრძნობა ადამიანის მიმართ, პიროვნების პატივისცემა.**

## ირაკლი ღუდუშაური



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მშენებელი-ინჟინერი. პროფესორი.

დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. სნოში 1925 წ. 15 მაისს. მშობლები: ოლღა სამქანაშვილი, იოსებ (ბაძიგო) ღუდუშაური; მეუღლე — თინა კერესელიძე (1933); შვილები: ირინე (1958), თამაზი და ნუკრი (1965). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (მოსკოვი, 1953). მუშაობდა კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ს/კ ინ-ტში (1950 წლიდან); საქ. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ენერგეტიკის ს/კ ინ-ტში (1954 წლიდან). იყო ამავე ინ-ტის ენერგეტიკულ ნაგებობათა თეორიული კვლევების განყ-ბის გამგე; სტუ ლექტორი, პროფესორი (1957-2006); საქ პარლამენტის წევრი (1999-2004). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თაღოვანი და გუმბათოვანი კაშხლების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევისთვის ფიქტიურ ორთოტროპიულ სისტემათა შერწყმის მეთოდი" (1967). არის 4 მონოგრაფიის, 7 გამოგონებისა და 200 სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: "Теория упругости в обыкновенных дифференциальных уравнениях" (თბილისი, 1990). არის საინჟინრო და მრავალი სხვა აკად-ის აკადემიკოსი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Математики. Механики" (А Боголюбов, 1998), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006)
ჰობი: ჩოგბურთი. ჭადრაკი. ხატვა.
მისამართი: (ბინის) ყიფშიძის 6, ბ. 19, თბილისი. ტელ: 23 31 04.
**პატრიოსნება, ერთგულება, თავისი ერის უსაზღვრო სიყვარული - ვისაც საკუთარი ერი არ სწამს, ის სხვა ერსაც ვერ ინამებს. საქმიანობაში სწრაფვა ისეთი მეცნიერული მიზნისაკენ, რომლის მიღწევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამშობლოს დიდების საქმეში.**

## ზაზა ყანჩაველი



ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 26 იანვარს. მშობლები: ნათელა ცაგურია, შოთა ყანჩაველი. მეუღლე — მაია მიმინოშვილი (1959); შვილები: სანდრო (1981), ლაშა (1988). დაამთავრა თსსი პედიატრიის ფაკ-ტი (1980), ნეიროქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატურა (1982); გაიარა სტაჟირება მოსკოვის ე.შმიდტის სახ. ნევროლოგიის, ნ.ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის და კიევის ა.რომოდანოვის სახ. ნეიროქირურგიის ინ-ტებში. იყო დ.ერისთავის სახ. ქირურგიის ინ-ტის ნეიროქირურგიული განყ-ბის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1982-88); პ.სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1988-2006). 2006 წლიდან არის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. საავადმყოფოს ნეიროქირურგიის კლინიკის სრული პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პროლაქტინ-მასეკრეტირებელი ადენომების კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი" (1988). არის ავტორი 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის და მონოგრაფიის „პროლაქტინ-მასეკრეტირებელი ადენომების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა" (1988). არის საქ. სამხედრო-სამედიცინო აკად-ის აკადემიკოსი (1997 წლიდან); ამერიკის ნეიროქირურგთა ასოც-ის წევრი (1999 წლიდან); საქ. ნეიროქირურგთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1996 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „საქართველოს ექიმები" (2000).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) წინანდლის 9, თბილისი 0144. ტელ: 899 55 70 59; ფაქსი: 77 37 29. (ბინის) ქავთარაძის 25, კ. 3, ბ. 36, თბილისი 0186; ელ-ფოსტა: zkanchaveli@mail.ru
**მე და ჩემი ოჯახი ვართ ეკლესიური მსოფლმხედველობის. 20 წელზე მეტია ემოლვაწეობ ქაშუეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში. ვფიქრობ ამან განაპირობა ჩემი წარმატება ყველა სფეროში.**

## გია ყანჩელი



კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1935 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: აგნესა და ალექსანდრე ყანჩელები; მეუღლე — ვალენტინა ჯიქია (1946); შვილები: ალექსანდრე (1968), ნატო (1971). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია, იონა ტუსკიას კლასი (1963). 1991 წლიდან ცხოვრობს ევროპაში — ბერლინსა და ანტვერპენში. იყო რუსთაველის თეატრის მუსიკალური ნაწილის ხელმძღ. (1972-90); საქ. კომპოზიტორთა კავშირის I მდივანი (1984-89); ანტვერპენის სიმფონიური ორკესტრის მიწვეული კომპოზიტორი (1995-96). არის მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, მათ შორის: ოპერისა „და არს მუსიკა", 7 სიმფონიისა, რამდენიმე ათეული სიმფონიური და კამერული თხზულებისა სხვადასხვა სამუსიკო ჯგუფისათვის, ნაწარმოებისა „სევდა ნათელი"— ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის; მუსიკისა 50-ზე მეტი კინოფილმისათვის, მათ შორის: გ.დანელიას „არ დაიდარდო", „ქინძაძა" და „მიმინო"; ე.შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა" და „ცისფერი მთები". 40 წელზე მეტია, რაც თანამშრომლობს რეჟ. რ.სტურუასთან. მათი ერთობლივი ნამუშევრებია: ბ.ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე"; შექსპირის „რიჩარდ III", „ჰამლეტი" და „მეფე ლირი"; სოფოკლეს „ოიდიპოსი"; ბეკეტის „გოდოს მოლოდინში". მისი ნაწარმოებების ძირითადი გამომცემლები არიან: H.Sikorski (ჰამბურგი), G.Shirmer (ნიუ-იორკი), EditionPeters, M.P.Belaieff (ფრანკფურტი), Ricordi (მილანი) და სხვ. ძირითადი ხმის ჩამწერი კომპანიები: ECM, CPO (გერმანია), Olimpia, EMI (ლონდონი), NOnsuch (აშშ) Sony Classical (იაპონია), Undina (ფინეთი) და სხვ; არის საქ. (1980) და სსრკ (1988) სახალხო არტისტი; სსრკ სახელმწ. (1976) და რუსთაველის (1981) პრემიების ლაურეატი; „ნიკას" პრიზის მფლობელი კინომუსიკისათვის (1987); მიღებული აქვს ვოლფის პრემია ხელოვნებაში (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: The International Who's Who (Europa Publications LTD. London), „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ტოვსტონოგოვის 6, თბილისი. ტელ: 95 03 39.
**„ხოლო იმაში, რასაც ვწერ, ღმერთია მოწმე, არ ვტყუი". (წმინდა პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ: 1, 20).**

## თინათინ ყაუხჩიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფილოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1919 წ. 10 მაისს. მშობლები: თამარ იმხნელი-ყაუხჩიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი; მეუღლე — ოთარ ჯინორია; შვილები: გია გელაშვილი (1937), ლია ჯინორია (1941). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1941). იყო ისტორიის ინ-ტის წყაროთმცოდნეობის განყ-ბის უმც., უფრ. და მთ. მეცნ. თანამშრომელი (1944 წლიდან); თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დოცენტი (1945-68) და პროფესორი (1968 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მასალები ￼-ს ისტორიისათვის" (V-X სს ძეგლების მიხედვით), სადოქტორო — „ბერძნული წარწერები საქართველოში" (1953). არის ავტორი 23 წიგნისა და 200-მდე სტატიის, მონოგრაფიებისა: „ბერძნული წარწერები საქართველოში", „სტრაბონის გეოგრაფია", „აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია", „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ"; წიგნისა — „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი" (3 ტომად, 1999-2000; მეორე — შესწორებული და შევსებული გამოცემა, 2004) და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი (1999); ს.ყაუხჩიშვილის პრემიის ლაურეატი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Who's Who (IBC, Cambridge), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) მელიქიშვილის 10, თბილისი. (ბინის) ყაზბეგის 29, II კორპ. სად. IV. თბილისი. ტელ: 39 08 68.

**წიგნის სიყვარული ბავშვობიდან; შრომისმოყვარეობა; თავმოყვარეობა; პრინციპულობა; პუნქტუალობა; მოვალეობის გრძნობა.**

## გაიოზ ყაყიჩაშვილი



საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი-კონსულტანტი ჭიდაობაში.

დაიბადა თიანეთის რ-ნის სოფ. ახალსოფელში 1940 წ. 10 მარტს. მშობლები: ნინო ნიკლაური, ლადო ყაყიჩაშვილი; მეუღლე — მზია ღანიშაშვილი (1956); შვილები: ზურაბი და ნინო (1978). დაამთავრა საქ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტი (1969). იყო მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ფიზკულტურის პედაგოგი (1969-71); საქ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტის ჭიდაობის კათედრის პედაგოგი (სამბო, ძიუდო, ქართ. ჭიდაობა, 1971-92); შსს პოლიციის აკადემიის ფიზმომზადების კათედრის დოცენტი (1992-2004). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჭიდაობა ძიუდოში შებოჭვების შესრულების ეფექტიანობის ამაღლების საშუალებები და მეთოდები" (1990). გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის თარგმანი „სამბისტის ფიზიკური მომზადება"; სტატიები ჟურ-ებში: „სპორტული ჭიდაობა" (მოსკოვი, 1983), „თეორია და პრაქტიკა" (მოსკოვი, 1985). არის სპორტის ოსტატი ჭიდაობის სახეობებში: სამბო, ძიუდო, ქართული ჭიდაობა; სსრკ ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი სამბოში (1970-71).

ჰობი: ახალგაზრდების აღზრდა სულიერად და ფიზიკურად.

მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის 49ა, თბილისი. ტელ: 22 72 43. (ბინის) თემქის დას. მე-11 მ/რ, Iკვ. კორპ. ა, თბილისი. ტელ: 60 79 69; 899 225885.

**ჩემი ცხოვრების კრედო არის ის, რომ ადამიანი რა საქმესაც ემსახურება, უნდა უყვარდეს და იყოს თავისი საქმის პროფესიონალი, შრომისმოყვარე, მაღალი ზნეობით, თავშეკავებული, მომთხოვნი და სისტემატურად უნდა იმაღლებდეს პროფესიულ ცოდნა-ჩვევებს.**

## თამაზ ყაჭეიშვილი



პოლიტიკური მოძრაობის — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მთავარი კომიტეტის წევრი. ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 25 დეკემბერს. მეუღლე — ნანა ჟორჟოლაძე (1949); შვილი — ირინა (1970). დაამთავრა ს/ს ინ-ტის მეღვინეობისა და ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1964); მოსკოვის კვების მრეწველობის ინ-ტის ასპირანტურა (1976). იყო წითელწყაროს ღვინის ქარხნის მეღვინე-ოსტატი (1965-69); საქ. დამზადების სამინისტროს უფრ. სახელმწ. ინსპექტორი (1970-73); საქ. კვების მრეწველობის სამინისტროს ტექნ. სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი (1978-80); ალკოჰოლიანი სასმელების საკავშირო სახელმწ. ინსპექციის რესპ. სამმართველოს უფროსი (1980-86); „საქაგრომრეწვის" სტანდარტებისა და მეტროლოგიის მთ. სამმართველოს უფროსის I მოადგილე (1986-88); რესპ. გაერთიანება „საქკონსერვის" უფროსი, კოლეგიის წევრი (1988-91); სახკონცერნ „ქართული კონსერვის" პრეზიდენტი (1991-92); საკონსერვო მრეწველობის რესპ. გაერთიანების უფროსი (1992-96); საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა ასოციაცია „კონსერვის" პრეზიდენტი (1996-99); შპს „ყაზბეგის" გენ. დირექტორის მოადგილე (1999-2004); საქ. პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი (2004-08), ფრაქციის — „მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველები, ახლები" (2004-06) და 2006 წლიდან ფრაქცია „მრეწველების" წევრი. არის ტექნ. მეცნ. კანდიდატი; ღირსების ორდენის კავალერი; პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (2004); ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006) და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი, ჩოგბურთი, ცურვა.

## თემურ ყვითელაშვილი



გიტარისტი. კომპოზიტორი. არანჟირების ავტორი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 4 ივლისს. მშობლები: ციალა პალტაგაშვილი, პავლე ყვითელაშვილი; მეუღლე — ლანა ყვითელაშვილი (1968); შვილები: მაია (1991), თემური (1998). იყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მუსიკალური ანსამბლების წევრი (1977-87). იყო საქ. ტელერადიო კომიტეტის საესტრადო სიმფონიური ორკესტრის სოლისტი (1985-86). სოლო კარიერის პარალელურად უკრავდა ანსამბლებში: „დიელო" (1982-83), „ორერა" (1984-85); „თეატრონი" (1986-87), „ნატვრის ხე" (1987-88), „ივერია" (1988-94), ვახტანგ კიკაბიძის ანსამბლი (1994-98); ჯგუფში „არსენალი", ალექსეი კოზლოვთან ერთად (2000). თანამშრომლობდა მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტებთან — მაიკლ ანჯელოსთან (1995) და სკოტ ჰენდერსონთან (2004). ტელეპროგრამაში „დრონი" იყო ავტორი და წამყვანი ციკლისა „თანამედროვე მსოფლიო საგიტარო ხელოვნება" (1994); საქართველოში პირველმა დაამუშავა გიტარისთვის ქართული კლასიკური ნაწარმოებები და ეწევა ამ საქმიანობას 1977 წლიდან; პირველმა გამართა საგიტარო სოლო-კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში (1998). არის მრავალი კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი და გამარჯვებული. აღიარებულია აშშ-ში — წლის საუკეთესო გიტარისტად (1994); საქართველოში — საუკეთესო ინსტრუმენტალისტად (1996); 2002 წლიდან, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გიტარისტს, იწვევენ ლოს-ანჯელესში გამოფენაზე "Namm show". ჩაატარა სოლო კონცერტები დარბაზებში: "LAVELEE" (ლოს-ანჯელესი, 2004), «Дом музыки» (მოსკოვი, 2005), "Iridium"— ლეგენდარულ ლეს პოლთან ერთად (ნიუ-იორკი, 2006), Birdland (ნიუ-იორკი, 2006); მასტერ-კლასი ჰოლივუდის გიტარის ცნობილ ინ-ტში — MI (2004) და სოლო კონცერტი "The baked paicto" (აშშ, 2009). გამართული აქვს 6 სოლო კონცერტი თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში (1998-2009). გამოცემულია მისი 6 სოლო ალბომი. ბრიტანული კომპანიის Laqvid Records-ის მიერ გამოცემულ ალბომში „მსოფლიოს ვირტუოზები" შესულია მისი კომპოზიცია „ხორუმი" (2006). დამყარებული აქვს 30 საათიანი მსოფლიო რეკორდი გიტარაზე დაკვრის ხანგრძლივობაში (ქ. ანგარსკი, 2004). არის გიტარების, სიმების, გამაძლიერებლების კომპანიების ყველაზე პრესტიჟული სარეკლამო სახე; ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); გინესის რეკორდების წიგნში (2004).

ჰობი: სპორტი.
ელ-ფოსტა: temur@kvitvelashvili.com; www.temurkvitelashvili.com
**სამშობლოს სიყვარული, პროფესიონალიზმი, დისციპლინა, პუნქტუალობა, პირდაპირობა, პატიოსნება, ერთგულება, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა — ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრე, ვცხოვრობ, ვიცხოვრებ. ამან განაპირობა ჩემი წარმატება.**

## კოტე ყიფიანი

ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორი.
სისხლძარღვთა ქირურგი. პროფესორი.

დაიბადა სოხუმში 1945 წ. 19 სექტემბერს. მშობლები: თინა ჯანჯღავა, ბოგუნი ყიფიანი; მეუღლე — რუსუდან სირაძე (1954); შვილები: ვახტანგი (1978), გიორგი (1980). დაამთავრა ორენბურგის სახელმწ. სამედ. ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი (1969); გაიარა კლინიკური ორდინატურა სისხლძარღვთა ქირურგიაში (მოსკოვი,1975). იყო ქირურგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1975-91). არის ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორი (1991 წლიდან); 2006 წლიდან — თსსუ სისხლძარღვთა ქირურგიის კათედრის სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფეოქრომოციტომის დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა" (1975), სადოქტორო — „ვაზორენალური ჰიპერტენზია ავადმყოფებში ერთადერთი მოფუნქციონირე თირკმლით" (1989). არის 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. იყო საქ. ანგიოლოგების და სისხლძარღვთა ქირურგების ასოციაციის პრეზიდენტი (2002-06). არის ევროპის სისხლძარღვთა ქირურგების ასოც-ის წევრი (1998 წლიდან). დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" (1995).
ჰობი: დასვენება.
მისამართი : (სამსახურის) ჩაჩავას 1, თბილისი. ტელ: 94 05 25; 52 83 98.
**პროფესიისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.**

## ზურაბ ყიფშიძე



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1953 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ელენე ყიფშიძე, ავთანდილ ვერულეიშვილი; მეუღლე — ლელა გოცირიძე (1959); შვილები: გიორგი (1977), ელენე (1982). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1976). არის კინომსახიობთა თეატრის და კ/ს „ქართული ფილმის" მსახიობი (1976 წლიდან). მონაწილეობს 50-ზე მეტ ფილმში, მათ შორის: „სურამის ციხე", „ბრავო, ალბერ ლოლიშ", „ნეილონის ნაძვის ხე", „დონ კიხოტი", „მარტოხელა მონადირე", „ცოდვის შვილები", „ექსპრეს-ინფორმაცია", „ორფეოსის სიკვდილი", „მისტერიები", „წუთისოფელი", „მაცი ხვიტია", „როცა აყვავდა ნუში" „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", „სახიფათო მოგზაურობის მხიარული ქრონიკა", „ვასილევსკის კუნძული"; რამდენიმე რუსულ და ქართულ ტელე-სერიალში; ითამაშა სპექტაკლებში: „შუშანიკის წამება", „საქმე", „დონ ჟუანი", „ჩვენი პატარა ქალაქი", „მამა", „ART ბელოვნება", „ცხოვრება სიზმარია", „ემიგრანტები". მიწვეული იყო რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრებში, რ.სტურუას სპექტაკლით „ცხოვრება სიზმარია" მონაწილეობდა ფესტივალში „ექსპო-92" (სევილია, 1992). არის კომკავშირისა და უ.ჩხეიძის სახ. პრემიების ლაურეატი; საქ. დამს. არტისტი; რუსეთის კინოაკადემიის მთ. პრიზის "Ника"-ს (1997) და რუსთავის თეატრალური ფესტივალის ორი გრან-პრის („მამა", „ART ხელოვნება") მფლობელი ; საქ. და სსრკ (1982) კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. კინოაკადემია "Ника"-ს აკადემიკოსი (2002). მისი ბიოგრაფია შესულია რუსეთის კინოენციკლოპედიაში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტის ქომაგი. ცხოველები.
მისამართი: (სამსახურის) ახმეტელის 10ა. ტელ: 51 13 16. აღმაშენებლის 164, ტელ: 34 07 88. (ბინის)

ჩიქოვანის 20. ტელ: 33 41 07.
**იმის გარდა, რაც ბუნებამ მოგცა: შრომა, მოგზაურობა, გაუთავებელი ქექვა შენს საქმეში, მეც ის ვიცი, რომ თითქმის არაფერი არ ვიცი. ყოველთვის — ვითომ პირველად. დაოსტატება და გულწრფელობა.**

## ნიკოლოზ ყიფშიძე



ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: ბუბა ჭეიშვილი, ნოდარ ყიფშიძე; მეუღლე — ელენე (1967); შვილი— ნოდარი (1992). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1975), ასპირანტურა (მოსკოვი, 1992). იყო მოსკოვის ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. მუშაკი (1975-92); აშშ ვისკონსინის უნ-ტის პროფესორი (1992-99); ნიუ-იორკის ლენოკს ჰილის გულისა და სისხლძარღვთა ინ-ტისა და გულის ფონდის მოლეკულური კარდიოლოგიის დირექტორი (1999-2006); არის შპს აკად. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი 2006 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია 1982 წელს, სადოქტორო — 1989 წელს. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, 20-მდე პატენტის, 3 წიგნისა და 300-ზე მეტი თეზისის ავტორი. არის საქ. მეცნ. ეროვნული აკად-ის წევრ-კორესპონდენტი; ჯანმრთელობის ნაციონალური ცენტრის (NIH) ექსპერტი ქირურგიაში, რადიოლოგიასა და მედიცინაში; რამდენიმე ამერიკული სამედ. ჟურ-ის რედკოლეგიის წევრი.
ჰობი: თევზაობა. სპორტი — ნაოსნობა, ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 29, თბილისი.
**სამართლიანობა.**

## ნოდარ ყიფშიძე



ნ. ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1923 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: დარია გაბაშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, მეუღლე — ლელი ჭეიშვილი (1926); შვილები: ნიკოლოზი (1952), ნინო (1958). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1946), ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1951), სსრკ მედიცინის მეცნ. აკად-ის თერაპიის ინ-ტის დოქტორანტურა (1957). იყო თსსი თერაპიის კათედრის ექიმი-ორდინატორი (1946-48); ექიმთა დახელოვნების ინ-ტის I თერაპიული კათედრის ასისტენტი (1951-53), დოცენტი (1953-54); გაეროს ექიმი (აშშ, 1957-59); ექიმთა დახელოვნების ინ-ტის დოცენტი (1959-60). თერაპიის ინ-ტის (თერაპიის ცენტრის) დირექტორია 1960 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მასალები ენდოკარდიტის კლინიკური დიაგნოსტიკის შესწავლისათვის" (1953), სადოქტორო — „ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი და ზოგიერთი ფაქტორის გავლენა მის განვითარებაზე" (1963). არის 730 სამეცნ. ნაშრომის (200 გამოქვეყნ. უცხოეთში), 20 მონოგრაფიისა და 26 გამოგონების ავტორი; 10-მდე სამეცნ. ჟურ-ის რედკოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი; რუსეთის სამედ. მეცნ. აკად-ის ნამდვილი წევრი; ვაშინგტონის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1997); 17 სამეცნ. და საზ-ბრივი ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: საქართველოს, შვედეთის, ნიუ-იორკის, გერმანიის აკად-ების წევრი; საქ. თერაპიული საზ-ბისა და საზ-ბის „ექიმები ბირთვული ომის წინააღმდეგ" თავ-რე; აშშ თერაპევტთა საზ-ბის და ექიმთა კოლეგიის საპატიო წევრი (1997); მეცნ. დამს. მოღვაწე. მიღებული აქვს საქ. (1981), სსრკ (1986, 1989) და სახელმწ. პრემიები მეცნ. და ტექნიკის დარგში; სსრკ სამედ. აკად-ის ა.მიასნიკოვის სახ. პრემია (1989); არის „შრომის წითელი დროშის" 2 ორდენის (1966, 1971), ხალხთა მეგობრობისა (1983) და ღირსების (1998) ორდენების კავალერი; კარდიოლოგიაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ე.ჩაზოვის სახ. „ოქროს მედლით" (2003); არის თბილისის და ატლანტის (აშშ) საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში "500 Great Minds of the Early 21-st Century.", ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"(ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კლასიკური მუსიკა. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) ჩაჩავას 3, თბილისი. ტელ: 52 42 28; 899 55 16 69. (ბინის.) ვ.ანჯაფარიძის 9, ბ. 3. თბილისი 0179. ტელ: 22 76 30. ელ-ფოსტა: nodarkip2008@hotmail.com
**დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანა, წინსვლა, რისკი, მუდმივი მოძრაობა.**

## თამაზ ყურაშვილი



მუსიკოს-შემსრულებელი — კონტრაბასი, ბას-გიტარა.
საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: მერი მაჩაბელი, ბორის ყურაშვილი; მეუღლე — თამარ ყურაშვილი (1956); შვილი — ბორისი (1976). დაამთავრა თსუ (1970) და თბილისის სახელმწ. კონსერვატორია. იყო ფილარმონიის ანსამბლების „დიელოსა" (1968-69) და „ჩანგის" (1970), რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის საესტრადო ორკესტრის (1968-82) სოლისტი; ჯაზ-ანსამბლის ხელმძღვ. (1979). 1982 წელს მის მიერ შექმნილ სექსტეტთან ერთად გამოდიოდა კონცერტებით საქართველოს და უცხოეთის ფესტივალებზე. მისი ყველაზე ცნობილი კომპოზიციებია: „ყველაზე ცხელი დღე ბაქოში", „თეთრი სიმი", „მიძღვნა მუსტაფაზადესადმი", „კვალდაკვალ" და „ჩქარი მატარებელი". იყო საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი და სამხ. ხელმძღვ. (1983-85); ტ/კ „იმედის" მთ. მუსიკალური მენეჯერი (2004). მისი მნიშვნელოვანი მუსიკალური ალბომებია: „ჯაზი-84", „თბილისი-86", ჯაზური კომპოზიციები (მუსტაფაზადესთან ერთად, 1979), მიხეილ ოკუნის ტრიო (1988), „კლასიკური ჯაზური ბალადები" (1990), მიხეილ ოკუნი, თამაზ ყურაშვილი, ვიქტორ ეპანეშნიკოვი (1990). არის კომპოზიტორი მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმისა — „სუფთა დაფა" (1982), მხ. ფილმისა — „ისინი" (1993); თელავის დრამ. თეატრის სპექტაკლის — „ათვინიერებენ მიმინოს" (1985) და ს.ახმეტელის თეატრის სპექტაკლისა — „შავი კატა". ჩაწერილი აქვს 7 ფირფიტა (მოსკოვში, სოფიაში, ბრატისლავაში, სანკტ-პეტერბურგში, აშშ-ში). არის საქართველოს დამს. არტისტი; ბიოლოგიურ მეცნ. კანდიდატი (1984). მისი ბიოგრაფია შესულია „ჯაზის ენციკლოპედიაში" (აშშ, 1984), „ჯაზის ანთოლოგიაში" (აშშ, 1995), „ჯაზის ახალ ენციკლოპედიაში" (1999), „ჯაზის მსოფლიო ენციკლოპედიაში" (აშშ, 2001), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კალათბურთი, კრივი.
მისამართი: (ბინის) ნ.ნიკოლაძის 7. ტელ: 99 93 51.

## რამაზ ყურაშვილი



საქართველოს დიაბეტის ცენტრის დირექტორი. ექიმი-ენდოკრინოლოგი.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 17 იანვარს. მშობლები: მერი მაჩაბელი, ბორის ყურაშვილი; მეუღლე — ლალი ჯავახიშვილი (1939); შვილები: ლელა (1964), გივი (1965), ირაკლი (1972). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1965). იყო თერაპიის ს/კ ინ-ტის ლაბორატორიისა და განყ-ბის გამგე (1965-77); კარდიოლოგიის ს/კ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1977-87). 1987 წლიდან არის რესპუბლიკური სამედ. სადიაგნოსტიკო ცენტრის დირექტორი; საქ. დიაბეტის ცენტრის დირექტორი (1992 წლიდან). კითხულობს ლექციებს უნ-ტებში „აიეტი" და „თბილისი". არის 300 სამეცნ. ნაშრომის, წიგნებისა და საგანმანათლებლო ალბომების ავტორი, მათ შორის: „ჩემი წიგნი დიაბეტზე" (1996), „როგორ ვმკურნალობ ჩემს დიაბეტს" (1997), „დიაბეტური ნეიროპათია" (2001), „12 კონსენსუსი — ტიპი 1 და ტიპი 2 დიაბეტის და მათი გართულებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მართვა და განათლება" (2000-03), „ტიპი 1 დიაბეტიანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის" (1998-2009). არის ღირსების ორდენის კავალერი (2002); დიაბეტის საერთაშ. ფედერაციის (1993), ევროპის დიაბეტის შემსწავლელი ასოც-ის (1996), ამერიკის დიაბეტის ასოც-ის პროფესიონალური სექციის (1997), შავი ზღვის ქვეყნების დიაბეტის საბჭოს (1997), საქ. სამხედრო სამედ. აკადემიის (2000), თიროიდული ფუნქციების შემსწავლელი საერთაშ. ორგანიზაციის (2001), ევროპის ნეირო-დიაბის სამუშაო ჯგუფის (1993), დიაბეტის ჟურნალების საერთაშ. კომიტეტის (1997), ევროპის ათეროსკლეროზის საზ-ბის (2004), ამერიკის კლინიკური ენდოკრინოლოგიის ასოც-ის (2004) წევრი. არის დიაბეტის ევროპის (1986 წლიდან)

და მსოფლიო დიაბეტის (1988 წლიდან) კონგრესების, 6 გენერალური ასამბლეის (1994 წლიდან) მონაწილე. ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის მიერ დასახელებულია წლის ადამიანად (2003, 2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ხელოვნება. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ჩაჩავას 1, თბილისი. ტელ: 52 79 16; ფაქსი: 51 58 20. (ბინის) ფალიაშვილის 31, თბილისი 0179. ტელ: 29 23 89, 899 58 68 78. ელ-ფოსტა: diabet@access.sanet.ge
**დავაფასო ადამიანის ღირსება ყოველთვის და ყველგან. დავიცვა საზოგადოებაში ავადმყოფობისაგან დაჩაგრული პიროვნება, რომელიც მოითხოვს ჩემს მორალურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერას. დავეხმარო ჩემს თანამემამულეებს იცხოვრონ ღირსეულად და ხანგრძლივად ცხოვრების ჯანსაღი წესების დაცვის გზით. იდეალები: ვემსახურო, მთელი შეგნებით, სამართლიან საქმეს და ამ სფეროში მუდმივად მყავდეს თანამოაზრენი, მათთან ერთად ვებრძოლო უგუნურებას, უცოდინრობას და გულგრილობას. დღეს თუ არა როდის?! ჩვენ თუ არა ვინ?!**

## ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ



საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი სამბოში. ბიზნესმენი.

დაიბადა კასპის რ-ნის სოფ. ხოვლეში 1953 წ. 11 ოქტომბერს. მშობლები: ევგენია ადუაშვილი, ვალერიან ყურაშვილი; მეუღლე — მედეა კიკნაძე (1959); შვილები: ლაშა (1983), მაია (1986). დაამთავრა იურიდიული ფაკ-ტი (1982). არის მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი სამბოში. არის საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ბიზნესმენი.
ტელ: 34 82 41; ფაქსი: 34 19 79.
**ჩემი მიზანია გავხადო საერთაშორისო — ქართული ჭიდაობა (ჭიდაობა, რომელსაც ქართველების მეტი ყველა აფასებს, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ).**

## თამაზ შაბურიშვილი



გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის ხელმძღვანელი.
ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ცირა და შოთა შაბურიშვილები; მეუღლე — მაია აბდუშელიშვილი (1964); შვილები: ნიკი (1991), გიგი (1994). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1987), დახელოვნების ინ-ტის ორდინატურა (1991). იყო II საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების განყ-ბის გამგე (1991-94). არის დახელოვნების ინ-ტის შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორი 1994 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გულის დიასტოლური ფუნქცია გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს" (1994). არის 94 სამეცნ. ნაშრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი; ევროპისა და საქ. კარდიოლოგიის ასოც-ების გამგეობის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ილ.ჭავჭავაძის 33, თბილისი. ტელ: 25 10 00; ფაქსი: 25 17 12. (ბინის) საბურთალოს 57ა, ბ. 52. ტელ: 50 22 44; ელ-ფოსტა: cardvasc@access.sanet.ge
**პროფესიონალიზმი.**

## პაატა შავაძე



კ.ს.ი.პ. საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარე.
სამართლის ექსპერტი. იურისტი.

დაიბადა ქუთაისში 1971 წ. 21 აგვისტოს. მშობლები: ნანა ჭანჭალეიშვილი, ალექსანდრე შავაძე; შვილი — ნიკა (1997). დაამთავრა ბათუმის შ.რუსთველის სახ. სახელმწ. უნ-ტის გეოგრაფიის ფაკ-ტი (1994); თბილისის მართვის ინ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1997). იყო ბათუმის ბავშვთა რესპ. საავადმყოფოს მე-2 თერაპიული განყ-ბის სანიტარი (1988-89); ბსუ ახალგაზრდული სანარმოო გაერთიანება „ჯორჯიას" გენ. დირექტორი (1991-92); ბათუმის ბაგრატ კურაპალატის სახ. სამართლის ინ-ტის პრორექტორი (1992-94), რექტორი, ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგე, კონსტიტუციის სამართლისა და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის გამგე და დოცენტი (1995-2003); აჭარის ა/რ იურიდიული განათლების ფონდის გამგეობის თავ-რე და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ხელმძღ. (1996-98); საქ. ეროვნ. აკად-ის საპატიო აკადემიკოსი და სამართლებრივი კვლევის განყ-ბის ხელმძღ. (1996); შპს „აკადემიკოს ივ.ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის იურიდიული აკადემიის" ადმინისტრაციული სამართლისა და პროცესის კათედრის გამგე და დოცენტი (2002-04), რექტორი (2003-05); გენ. დირექტორია 2005 წლიდან; არის ამავე აკადემიის იურიდიული მომსახურების ცენტრის — „იურეერსის" სისხლის სამართლის საქმეთა განყ-ბის ხელმძღ. და ადვოკატი (2005-06); შპს „იუპიტერისა" და შპს „ევრომშენის" იურიდიული სამსახურის უფროსი (2005-06). არის იურიდიული კომპანიის შპს „პაატა შავაძე და პარტნიორები"-ს დამფუძნებელი, ადვოკატი და დირექტორი (2006 წლიდან). იყო დამოუკიდებელი გაზეთის „აჭარა PS" იურიდიული სამსახურის უფროსი (2006-08). არის კ.ს.ი.პ. საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავ-რე და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთ. ანტიკორუფციონერი (2006 წლიდან); სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ბათუმის რეგიონალური კოორდინატორი (2007); შპს „ბათფარმას" გენ. დირექტორის ადმინისტრაციის იურიდიული დეპ-ტის უფროსი (2008). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის კოდიფიკაციის პრობლემები" (1997). არის 14 სამეცნ. ნაშრომის, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და დამხ. სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. დაჯილდოებულია აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს განათლების აღორძინების ფონდის საპატიო სიგელით (1996); ბათუმის სამართლის ინ-ტის უმაღლესი ჯილდოთი — სამართლის ქალღმერთის „თემიდას" მედლით და ბათუმის სამართლის ინ-ტის საპატიო სიგელით (1997). არის ბათუმის სამართლის ინ-ტის დამს. მუშაკი (2002); საქ. ადვოკატთა ასოც-ისა და საქ. ანტიკორუფციული პალატის გამგეობის წევრი (2006 წლიდან).
ჰობი: სამეცნიერო მუშაობა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) გოგებაშვილის 60. ბათუმი 6000. ტელ: 7 29 25. (ბინის) ჭავჭავაძის 113, ბ.21. ბა-

თუმი. ტელ: 3 14 14; 832 45 49 25; 899 11 41 41; ელ-ფოსტა: paatasamartali@mail.ru
**ღირსება, სინდისი, პატიოსნება, პრინციპულობა, პროფესიონალიზმი, სიახლის ძიება. პირდაპირობა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შინაურისა და გარეულის განურჩევლობა. თავმდაბლობა, სიკეთის კეთება უანგაროდ, ადამიანის უფლებების დაცვა, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვის სადარაჯოზე ყოფნა — მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვხელმძღვანელობ ამ პრინციპებით და არც გადავუხვევ ერთხელ არჩეულ გზას. თავდაუზოგავი შრომით, სამშობლოს, პროფესიის ფანატიკური სიყვარულით, უფლის ნებით არის განპირობებული ჩემი წარმატება.**

## შალვა შავგულიძე

ადვოკატი.



დაიბადა 1957 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ნანა გოცირიძე, თამაზ შავგულიძე; მეუღლე — ლუბა ელიაშვილი (1959); შვილები: გიორგი (1987), ელენე (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1980); მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტურა (1983-85). 2002-03 წლებში გავლილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების: „ინტერაიტსის" (ლონდონი), „ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის" (ჰააგა), „ღია საზოგადოება სამართლის ინიციატივის" (ბუდაპეშტი) და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" (თბილისი) მიერ ორგანიზებული ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქმეთა წარმოების სწავლების სემინარ-ტრენინგების სრული კურსი და მინიჭებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი. იყო თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ს/კ ლაბორატორიის ლაბორანტი, უმც. მეცნ. თანამშრომელი (1980-82); საქ. ჯანდაცვის ეკონომიკისა და მართვის ს/კ განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1988-91); მოხალისე მებრძოლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში, აფხაზეთის სახელმწ. მინისტრის თანაშემწე სამართლებრივ საკითხებში (1992-93); საქ. გენ. პროკურატურის სისხლის სამართლის სამმართველოს პროკურორი (1992-94). საქ. გენ. პროკურატურის სახელმწ. ბრალდების სამმართველოს პროკურორი (1993). 1996 წლიდან არის საქ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი, მთაწმინდის რ-ნის ადვოკატურის ადვოკატი. არის საქ. ადვოკატთა ასოც-ის წევრი და 2002 წლიდან ასოც-ის ადვოკატი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მოსკოვის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის სამეცნ. ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები: „საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის მატერიალური ნიშანი", „საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის ურთიერთმიმართება დანაშაულებრივ ქმედებაში". არის იურისტთა და ადვოკატთა კავშირის — „პროცესი"-ს დამფუძნებელი და წევრი (2000 წლიდან); პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები"-ს გამგეობის წევრი (2009 წლიდან). 2001 წ. გაზ. „ივერია-ექსპრესი"-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვით გაიმარჯვა ნომინაციაში „წლის უხმაურო ადვოკატი"; მიღებული აქვს „შალვა რჩეულიშვილის სახელობის პრიზი" იურიდიული კომპანია „ადვოკატი-მეოხი"-ს მიერ ჩატარებულ კონკურსში (2002); ჟურ. „ბუმერანგი"-ს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად არის მე-3 ადგილის მფლობელი ნომინაციაში „საქართველოს ყველაზე პროფესიონალი და პატიოსანი იურისტი" (2002). მისი ბიოგრაფია შესულია ჟურ-ში „სახეები" (2004), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა, თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 4, თბილისი, 0108. ტელ: 99 02 35. (ბინის) ყიფიანის 35. ტელ: 98 76 60. ელ-ფოსტა: shavgulidze_process@yahoo.com
**უღალატობა, პასუხისმგებლობა, სიყვარული.**

## გიორგი შავერზაშვილი

მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი. კომპოზიტორი.



დაიბადა თბილისში 1950 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: აზა ქავთარაძე, ალექსანდრე შავერზაშვილი; მეუღლე — ნინო მესხი (1959); შვილი — ელენე (2000). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საფორტ-

ეპიანო (1973) და საკომპოზიციო (1984) ფაკ-ტები. იყო თსკ პედაგოგი (1975-80). 1990 წლიდან არის საკომპოზიციო კათედრის ასოც. პროფესორი. მართავს კონცერტებს 1972 წლიდან (სსრკ, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია). გამოცემული აქვს ნაწარმოებები: „თემა ვარიაციებით" — ფორტეპიანოსათვის (მოსკოვი, 1985); სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (მოსკოვი, 1987); ოთხი რომანსი (თბილისი, 1988); სამი პიესა ფორტეპიანოსათვის (თბილისი, 1991). არის ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა (1972) და საფორტეპიანო (1985) კონკურსების ლაურეატი; სსრკ კომპოზიტორთა კონკურსის ლაურეატი (1985). არის საქ. კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1986 წლიდან), კავშირის გამგეობის წევრი და მიმღები კომისიის თავ-რე (1996 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი. (ბინის) მოსაშვილის 8, თბილისი. ტელ: 22 41 57; 899 50 47 59.
**სიყვარული და ურთიერთგაგება, შრომა და პროფესიონალიზმი.**

## რევაზ შავიშვილი

პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის" გენერალური მდივანი. ფიზიკოსი.



დაიბადა თბილისში 1955 წ. 29 მაისს. მშობლები: ალექსანდრა ასათიანი, ლეონიდე შავიშვილი; მეუღლე — მარიამ თამაზაშვილი (1955); შვილი — გიორგი (1992). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1978). იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1978-92); საქ. სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქ. პარლამენტის წევრი (1992-95); საქ. კონტროლის პალატის თავ-რე (1992-2000); საქ. ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი (1997-2000); თბილისის საკრებულოს წევრი (2002). არის თბილისის საარბიტრაჟო პალატის თავ-რე (2000 წლიდან); პ/გ „ეროვნული ფორუმის" გენერალური მდივანი (2006 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ კავკასიის ბლოკური აგებულება და სეისმოკინემატიკა" (1986). იყო ორგანიზაცია „დასის" თავ-რე (1989-92); საქ. რესპუბლიკური პარტიის წევრი (1992-96); საქ. ნაციონალური მოძრაობის თანათავ-რე (2001-02). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000).
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 30, თბილისი. ტელ: 99 65 77. (ბინის) ვაჟა-ფშაველას ჩიხი 3, ბ. 35, თბილისი 0177.

## ამირან შალიკაშვილი

პანტომიმის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. რეჟისორი. მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესორი.



დაიბადა კოკანდში (უზბეკეთი) 1939 წ. 22 მარტს. მშობლები: ელენე ზარიძე, ვალერიან შალიკაშვილი; მეუღლე — კირა მებუკე (1952); შვილები: ვალერი (1960), გოჩა (1965), დათო (1978), ამირანი (1983). დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკ-ტი (1960), თსთი დრამის მსახიობის სპეციალობით (1964). არის ქართული პროფესიონალური პანტომიმის სკოლის ფუძემდებელი (1967). იყო მუსკომედიისა (1965-69) და მარჯანიშვილის სახ. (1969-73) თეატრების მსახიობი; ფილარმონიის პანტომიმის დასის ხელმძღვ. (1973-75). არის პანტომიმის სახელმწ. თეატრის დირექტორი და სამხატ. ხელმძღვ. (1975 წლიდან); თსთი პანტომიმის განხრის დამაარსებელი (1978); ბათუმის სახელმწ. ხელოვნების ინ-ტის პანტომიმის სარეჟისორო და სამსახიობო სახელოსნოს ხელმძღვ. (1999 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს სტატიები პანტომიმის ხელოვნების შესახებ; არის ავტორი წიგნებისა: „პანტომიმა დუმილის პოეზიაა" (1999), „დუმილის შემდეგ" (2004), „ხილვები ფიროსმანზე" (2004), „ცრემლიანი შემოდგომა" (I, 2005 ; II, 2006). არის კომკავშირის (1978) და კ.მარჯანიშვილის (1981) პრემიების და პრემიის — „საუკეთესო რეჟისორი პლასტიკაში" (1990-91) — ლაურეატი, „ღირსების ორდენის" კავალერი (1999). არის თეატრალური კავშირების გამგეობის წევრი (1965 წლიდან) ; „ევროპის მიმების ფედერაციის" თავ-რის მოადგილე (1990). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და „საერთაშორისო თეატრალურ

ენციკლოპედიაში" (IBC, 1990); ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 37. თბილისი 0108. ტელ: 99 63 14. (ბინის) ე.ახვლედიანის აღმართი, 9. თბილისი 0102. ტელ: 96 14 17.
**მსოფლიოს თეატრის სიყვარული, განსაკუთრებით ქართული თეატრისა.**

## გიორგი შალუტაშვილი



ს.ახმეტელის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი.
პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ელისო კოტეტიშვილი, ალექსანდრე შალუტაშვილი; მეუღლე — ნინო ალავიძე; შვილი — ელენე (2000). დაამთავრა თსთი დრამის რეჟისურის ფაკ-ტი (1987). იყო მესხეთის სახელმწ. თეატრის მთ. რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღ. (1989-92); სტუდია „აუდიენციის" რეჟისორი (2000-01). არის თსთი-ს პედაგოგი (1992 წლიდან), დოცენტი (2004), სრული პროფესორი (2005 წლიდან). 2009 წლიდან არის ს.ახმეტელის სახ. თეატრის მთ. რეჟისორი. დადგმული აქვს სპექტაკლები: მ.მეტერლინკი „წმინდა ანტონიუსის სასწაული" (მესხეთის თეატრი, 1990); ა.ჩეხოვის „ივანოვი", ა.ვამპილოვის „მონადირე" (თავისუფალი თეატრი, 2003); ი.სამსონაძის „მეხუთე პერსონაჟი" (ახმეტელის თეატრი, 2008); გ.ქართველიშვილის „ცერკოვნი ბუნტ – 1819 წელი" (ახმეტელის თეატრი, 2008) და სხვ. გადაღებული აქვს ფილმები: „მოციქულთა გზაზე" (საქ. საპატრიარქოს სიგელი, 2000) „მისაღები გამოცდები" (ევრაზიული ტელეფორუმის გრან-პრი, 2001), „პარლამენტი – ეს ჩვენ ვართ", „დიდი ანდრიას ნაკვალევზე" (ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების საერთაშ. ფესტივალის „წმ.ანდრიას ჯვარი", 2008), „სტუმრად პატრიარქთან" (ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების საერთაშ. ფესტივალის „წმ.ანდრიას ჯვარი", 2009) და სხვ. ქართული თეატრის გილდიის წევრია 2003 წლიდან.
ჰობი: ცურვა. თხილამურები. მთაში მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 29/20 ბ.6 თბილისი. ტელ: 39 90 27. ელ-ფოსტა: shalutashvili@yahoo.com
**ჩვენ ყველანი ვალში ვართ დამბადებლის, ერის და წინაპართა წინაშე და ერთი სიცოცხლე არასოდეს იქნება საკმარისი ამ ვალის გადასახდელად.**

## შადიმან შამანაძე



მწერალი. დრამატურგი.

დაიბადა ლანჩხუთში 1958 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: ცისანა წილოსანი, ნოდარ შამანაძე. დაამთავრა რიგის სახელმწ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო მწერალთა კავშირის თარგმანის მთ. სარედაქციო კოლეგიის თანამშრომელი (1981-91). არის მწერალთა კავშირის მხატ. თარგმანის საგამომცემლო ცენტრ „ხომლი"-ს დირექტორი; ლიტერატურულ ჟურ. „არილის" მთ. რედაქტორი. გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული; პიესები — „ღია შუშაბანდი" და „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში". არის ავტორი სცენარისა ფილმისთვის „მხოლოდ ერთხელ". არის მწერალთა კავშირის წევრი (1986 წლიდან) და ლიტ. საზ-ბა — „გაერთიანება არილი"-ს წევრი (1996 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი : ნადირობა. ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) ლესელიძის 4, თბილისი. ტელ: 99 83 00. (ბინის) თემქა, XIმ/რ, IIკვ. კ. 22ა, ბ. 69. ტელ: 60 23 77; 899 40 43 87.
**უანგარობა.**

## ვახტანგ შამილაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ისტორიკოსი. ეთნოლოგი. პროფესორი.

დაიბადა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ახალშენში 1935 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ფადიმე მიქელაძე, მამია შამილაძე; მეუღლე — ლამა აბაშიძე (1939); შვილი — ნანა (1969). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1958). იყო ბათუმის ს/კ ინ-ტის სწავლული მდივანი (1969-79), დირექტორის მოადგილე (1980-84); საქ. პარლამენტის წევრი (1995-2004); თსუ ეთნოლოგიის კათედრის გამგე (1984-2006); ფრაქცია „მამულის" თავ-რე (1997); ბათუმის ს/კ ინ-ტის დირექტორი (2004-06). 2006 წლიდან არის ამავე ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი და სამეცნ. საბჭოს თავ-რე. არის შ.რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. უნ-ტის წარმომადგენლობათა საბჭოს სპიკერი, სრული პროფესორი; ნიკო ბერძენიშვილის ბათუმის ს/კ ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი და სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები" (1979). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები: „ალპური მესაქონლეობა საქართველოში" (1969), „Хозяйственно-культурные и социально-экологические проблемы скотоводства в Грузии" (თბილისი, 1979), „ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში" (1994), „ეს საოცარი ამერიკა" (1995), „სიმართლეს თვალი გაეუსწორეთ" (1995), „ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ" (2001), „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია" (I ტ., თბილისი, 2009). დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" (1978); საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1978); ღირსების ორდენით (1998). იყო სკკპ წევრი (1963-90); სსრკ სახალხო დეპუტატი (1989-91); სსრკ უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91); აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1992-95); საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნ. თანამშრომლობის კომისიის თავ-რე 1996 წლიდან და ხელახლა — 2008 წლიდან. არის აშშ კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საერთაშ. ასოც-ის წევრი (1993); აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის მრჩეველი სათანადო სერტიფიკატით. იყო აშშ ბიოგრაფიული ლექსიკონის ნომინანტი (2001). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: კლასიკური, საოპერო მუსიკა.

მისამართი: (სამსახურის) ფანასკერტელის 20. ბ. 7ა, თბილისი 0194. ტელ: 36 57 88. გრიბოედოვის 38, ბ. 20, ბათუმი. ტელ: 7 9095, 33 03 73; 899 15 37 23.

**პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე ქართველი ხალხის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ცხოვრების ქართული წესისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ჰუმანისტური, ტოლერანტული პრინციპებისადმი ერთგულება.**

## ისვახან შამილოვი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაიბადა ბოლნისში 1952 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: აიაზ და შამილ შამილოვები; მეუღლე — დარიკო (1954); შვილები: ელმირ (1973), ელჩინ (1974), ლეილა (1975). დაამთავრა ბაქოს სახალხო სამეურნეო ინ-ტის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1974). იყო მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მომარაგების განყ-ბის ინჟინერ-ტექნოლოგი, ექსპედიტორი (1975-79); სოფ. ქვეშის საბჭოთა მეურნეობის უბნის უფროსი (1979-89); სოფ. ჯავშანიანის საარენდო ორგანიზაციის მმართველი (1989-98); ქვემო თემის საკრებულოს თავ-რის მოადგილე (1999-2003); ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქვეშის თემის ტერიტორიული ორგანოს მთ. სპეციალისტი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრია 2004 წლიდან.

ჰობი: წიგნების კითხვა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 62; 899 73 41 93.

**სამშობლოს სიყვარული.**

## მზექალა შანიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი. ენათმეცნიერი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1926 წ. 16 იანვარს. მშობლები: თამარ ცქიტიშვილი, აკაკი შანიძე; მეუღლე: რიჩარდ (სეიჯი) ამირეჯიბი; შვილები: ქეთევანი (1954), თამარი (1958). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1948). 1953 წლიდან არის თსუ უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1981 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფრანგული ბგერები ძველ ებრაულ ენაში" (1951); სადოქტორო — „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები" (1974). არის 100 სამეცნ. ნაშრომის, თარგმანებისა და მონოგრაფიების ავტორი. მათ შორის: „ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი" (1990), „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფე დავითისი" (1992), „ახლადაღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" (სამენოვანი წიგნის ინგლისური ნაწილის თარგმანი, ათენი, 2005); თანაავტორი წიგნისა „სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში" (1975). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996); ა.შანიძის სახ. პრემიით (1990). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კლასიკური მუსიკა. ყვავილების არანჟირება.
მისამართი: (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის 1. თბილისი. (ბინის) ბარნოვის 74, თბილისი 0179.
**საქმის პატიოსნად კეთება, ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობა, გაჭირვებაში იუმორის მოშველიება დამხმარეა.**

## დავით შარაშენიძე



დეკანოზი. საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი. მართლმადიდებლური გაზეთის — „საპატრიარქოს უწყებანი" და საბავშვო გაზეთის — „ალილუია" რედაქტორი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 28 იანვარს. მშობლები: იზაბელა გოგორიშვილი, ალექსანდრე შარაშენიძე; მეუღლე — ეკატერინე ჯიქია (1968); შვილები: თამარი (1990), მარიამი (1992), ალექსანდრე (1997), სიდონია (2001). დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია (1995). იყო სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი (1997-2002); წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ტაძრის (ლურჯი მონასტრის) წინამძღვარი (2002 წლიდან); თბილისის სასულიერო აკადემიის ძველი აღთქმის პედაგოგი (1997-2004); არის საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიის წევრი 1997 წლიდან. დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით (1997) და გამშვენებული ჯვრით (2000). 2003 წელს მიიღო მიტრის ტარების უფლება.
მისამართი: (სამსახურის) ერეკლე II-ის მოედანი 1, საქ. საპატრიარქო, თბილისი. ტელ: 98 95 41. (ბინის) ილ. ჭავჭავაძის 75, კორპ. 9, ბ. 42, თბილისი.

## თენგიზ შარმანაშვილი



გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი. იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: ნანა და დავით შარმანაშვილები; მეუღლე — მაია უგულავა (1963); შვილები: მარიამი (1995), ნინო (1997). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის (1986) და იურიდიული (1996) ფაკ-ტები. იყო პოლიტიკური პარტიის — ედპ-ს მდივანი (1991-94); მთავრობის კანცელარიის განყ-ბის უფროსი (1992-95); პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1995-99); უზენაესი სასამართლოს თავ-რის ბიუროს უფროსი (1999-2000); იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (2000-04). არის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ექსპერტი (გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2006 წლიდან). პოლიტიკური პარტიის — ედპ-ს

ნევრია 1990 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" და „საქართველოს გენერლები".
ჰობი: ალპინიზმი.
მისამართი: (სამსახურის) თარხნიშვილის 15, თბილისი 0179. ტელ: 25 00 41. ფაქსი: 91 28 83.
ელ-ფოსტა: tsharmanashvili@hotmail.com
**პატრიოტიზმი, პატიოსნება და პროფესიონალიზმი, ღვთის რწმენა.**

## კახაბერ შარტავა



პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარე. მათემატიკოსი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 2 ნოემბერს. მშობლები: ლიანა და ჟიული შარტავები; მეუღლე — მარინა გოგია (1973); შვილები: გიორგი (1995), ქეთევანი (1999), თარაში (2003), მედეა (2005), ირმა (2007). დაამთავრა თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკ-ტი (1991); დიპლომატიური აკადემია, ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის განხრით (მოსკოვი, 1996). იყო მცირე საწარმო „ელვას" მთ. სპეციალისტი (1991-92); სადაზღვევო კომპანია „არგანის" ექსპერტულ შეფასებათა ცენტრის დირექტორი (1992); საბრძოლო ხელოვნებათა კლუბ „ჯიქის" მთ. მწვრთნელი, ვიცე-პრეზიდენტი (1991-93); საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწ. კომიტეტის (1993-94), რუსეთის ფედერაციაში საქ. საელჩოს კონფლიქტურ სიტუაციათა განყ-ბის (1996-2000) და საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს (2001) თანამშრომელი. 2006 წლიდან არის პ/გ „ეროვნული ფორუმის" თავ-რე; საზ-ბრივი მოძრაობა „ფესვების" თანათავ-რე (2002). არის I რანგის დიპლომატი.
ჰობი: საბრძოლო ხელოვნება, ორთაბრძოლები.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 30, თბილისი. ტელ: 93 17 44, 99 65 77.
**თანმიმდევრულობა.**

## ნუგზარ შატაიძე (1944-2009)



მწერალი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 9 მარტს. მშობლები: ელენე ხიზამბარელი, ვახტანგ შატაიძე; მეუღლე — ელისაბედ ყვავილაშვილი (1952); შვილები: ლალი (1965), თამუნა (1979), ვახტანგი (1985), ნინო (1977). დაამთავრა სპი თბოტექნიკის ფაკ-ტი (1967). იყო ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ინჟინერ-მშენებელი; გაზ. „ლელოს" კორესპონდენტი; ჟურ. „სკოლა და ცხოვრების" განყ-ბის გამგე; კ/ს „ქართულ ფილმთან" არსებული მწერალთა გაერთიანების წევრი (1979-85); გამომცემლობა „მერანის" პროზის განყ-ბის გამგე (1989-95). არის ავტორი მოთხრობების კრებულებისა: „მოთხრობები" (1979), „მოლხინო" (1986), „სოფლის ძველი სახლი" (1990), „ელიქარი" (1996), „ხელეური" (1998), „მოთხრობები" (2002), „ნოემბრის ნვიმა" (2004), „ევროპაში რა მინდოდა", „პურის მოთხრობა" (2005), „ტრამვაი 7" (2005); სცენარებისა ფილმებისთვის: „მევლუდი", „ლომა", „პეიტარი", „თედო", „მიახლოება", „ქართული ანბანი", „ცხელი ძაღლი" (კ.ჯანდიერთან ერთად). 2009 წელს დაასრულა კინოსცენარი „გაღმა ნაპირი". არის მწერალთა კავშირის რამდენიმე ყოველწლიური პრემიის, სახელმწ. პრემიის (1996), „ილიას ფონდისა" და „საბას" (2004) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998), იყო მწერალთა კავშირისა (1978-1998) და მწერალთა გაერთიანება „ოტარიდის" (1996-1998) წევრი; ქართული „პენ-კლუბის" ვიცე-პრეზიდენტი (1998-2009). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (2001-2002), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნის კითხვა.
**სიმართლე, მხოლოდ სიმართლე.**

## იოსებ შატბერაშვილი



ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი. საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მექანიკოსი.

დაიბადა თბილისში 1954 წ. 10 იანვარს. მშობლები: ნინო რამაზაშვილი, გიორგი შატბერაშვილი; მეუღლე — მანანა შატბერაშვილი (1960); შვილები: გიორგი (1986), ნინო (1987). დაამთავრა ს/ს ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1978), ასპირანტურა (1983).იყო მცენარეთა დაცვის ს/კ ინ-ტის (1978 -83), ს/მ მანქანათმშენებლობის ინ-ტის (1983-88), საავტომობილო გზების სახელმწ. დეპ-ტის (1989-93), რადიოეკოლოგიის ს/კ ცენტრის (1993-2001) თანამშრომელი. 2001 წლიდან არის ლეიბორისტული პარტიის წევრი, 2002 წლიდან — გენ. მდივანი. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აეროზოლური ტექნოლოგიები" (1988). არის 2 წიგნის — „აეროზოლური ტექნოლოგიები", „აეროზოლების მექანიკა და ატმოსფეროს დაცვა" (2005); 10 გამოგონებისა და 70 სამეცნ. ნაშრომის ავტორი. ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: სპორტი და ავტომობილი.

მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 88, თბილისი. ტელ: 91 16 77, 899 91 10 03; ფაქსი: 94 24 22, 91 04 05. (ბინის) ალ. ყაზბეგის 53, ბ. 1, თბილისი. ტელ: 39 05 44. ელ-ფოსტა: labour-party@caucasus.ne; www.labour.org.ge

**სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. იშვიათად უწყინარი ტყუილი. საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, პიროვნული დამოუკიდებლობა. ჰუმანურობა. მართლმადიდებლობა. 10 მცნება. ვთვლი, რომ წარმატებული ვარ.**

## რომან შაქარიშვილი



ნეირომედიცინის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 18 აპრილს. მშობლები: თამარ ნიკურაძე, რომან შაქარიშვილი; მეუღლე — მანანა სარიშვილი (1946); შვილები: ლელა (1967), გიორგი (1970). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1968). იყო რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მედ. სან. ნაწილის ნევროპათოლოგი (1968); ნევროლოგიის ინ-ტის უმც. (1968-73) და უფრ. (1973-83) მეცნ. თანამშრომელი, კლინიკური ნევროლოგიის განყ-ბის ხელმძღვ. (1984-89), ამავე ინ-ტის დირექტორი (1989-2002) და სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2002 წლიდან); სახელმწ. სამედ. აკად-ის რექტორი და ნეირომედიცინის ცენტრის ხელმძღვ. (1999-2004). არის ნეირომედიცინის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი; თსუ ნევროლოგიის კათედრის გამგე (1996 წლიდან); საქ. ნევროლოგთა სამეცნ. საზ-ბის პრეზიდენტი — 2007 წლიდან; საქ. მეცნ. ეროვნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სისხლძარღვოვანი ეტიოლოგიის ეპილეფსიის კლინიკო-დიაგნოსტიკური და პათოფიზიოლოგიური ასპექტები" (1973); სადოქტორო — „ნერვული სისტემის ზეჟანგ ლიპიდურ დაზიანებათა კლინიკო-დიაგნოსტიკური და თერაპიული ასპექტები" (მოსკოვი,1988). არის 460-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მათ შორის: "Свободорадикальная патология нервной системы" (1988), "Эпилептические припадки при сосудистых заболеваниях головного мозга" (1989), "Lipid Metabolis in Markers in Multi-imfarct Dementici" (1997), „ხერხემლისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია"(2001), „მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში" (2003), „ვასკულური ნეიროპათიები ანგიოლოგიურ პრაქტიკაში" (2005), „ცერებროვასკულური პათოლოგიის არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა" (2007), „მწვავე ცერებრალური იშემია. კლინიკური ნეიროქიმიის ნარკვევები" (2008), „ელექტრო კლინიკური ნეირომიოლოგია", „პაროქსიზმული თავბრუსხვევა" (2009). არის საქ. ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოც-ის პრეზიდენტი (1991 წლიდან); საქ. მედიკო-ბიოლოგიურ მეცნ. აკად-ის ვიცე-პრეზიდენტი; საქ. სამედ. სოციალურ მეცნიერებათა., ამერიკის ნევროლოგიური, ნიუ-იორკის მეცნიერებათა, ბიო-სამედიცინო ტექნოლოგიების საერთაშ. (პარიზი) და საქ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკად-ების წევრი; აშშ ინსულტის კვლევის სამეცნ. საბჭოს წევრი (2001 წლიდან). იყო საკავშირო (შემდგომში რუსეთის) სამედიცინო მეცნ. აკად-ის საპრობ-

ლემო კომისიის — „ეპილეფსიის" თავ-რე (1989-92). დაჯილდოებულია პ.სარაჯიშვილის სახ. მედლითა და პრემიით (1995); ღირსების ორდენით (1996); საერთაშ. ორდენით „დამსახურებისათვის" (დიდი ბრიტანეთი, 1999); ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პრემიით (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საუკუნის 500 წარჩინებული პიროვნება" (აშშ,1999); „1997 წლის ადამიანი" (აშშ, 1997); "International Order of Merit" (კემბრიჯი, 2003); ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ირ. აბაშიძის 14, თბილისი. ტელ: 22 05 60; 75 22 36 (სამსახურის).
ელ-ფოსტა: geomedacademy@yahoo.com
**მართლმადიდებლური პოსტულატები.**

## დიმიტრი შაშკინი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. იურისტი.



დაიბადა თბილისში 1975 წ. 8 აგვისტოს. მშობლები: ტატიანა პოსოხოვა-შაშკინა, ნიკოლოზ შაშკინი; მეუღლე — ანნა შაშკინა; შვილი — ნიკოლოზი. სწავლობდა არისტოტელეს სახ. ქართულ-ბერძნულ უნ-ტში საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტზე (1992-93); დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). მუშაობდა საქ. შსს შეიარაღების სამსახურში (1992-93); აშშ იურისტთა ასოციაციაში (ABA) დირექტორის თანაშემწედ (1997-98). იყო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საქართველოს პროგრამის კოორდინატორი (1998-2001), პოლიტიკური პროგრამების დირექტორი (2001); საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი (2009). 2009 წლის დეკემბრიდან არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ალ. ყაზბეგის გამზ. 42. თბილისი 0177. ტელ: 31 27 37.

## ალექსანდრე შახოვი

ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის გენერალური დირექტორი. ეკონომისტი.



დაიბადა 1976 წ. 7 მარტს. მშობლები: ნანული შარიქაძე, იური შახოვი; მეუღლე — მანანა ტატიშვილი; შვილები: ნიკოლოზი (2005), მერი (2009). დაამთავრა თსუ საერთაშ. ეკონომიკური ურთიერთობების ფაკ-ტი (1998). იყო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზ-ბის (GTZ) პროექტის — „მიწის მენეჯმენტი" — ადგილობრივი ხელმძღვანელი (1998-2007); შპს „ართისითის" დირექტორი (2007-09). 2009 წლიდან არის საქართველოს ეროვნული სტადიონის გენ. დირექტორი.
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) წერეთლის გამზ. 2, თბილისი 0112. ტელ: 27 22 00, 27 22 20; ფაქსი: (+995 32) 27 22 42; ელ-ფოსტა: info@stadiumnational.com

## ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლებში.



დაიბადა ლანჩხუთის რ-ნის სოფ. მამათში 1928 წ. 25 იანვარს. მშობლები: სოფიო პატეიშვილი, ამბროსი შევარდნაძე; მეუღლე — ნანული ცაგარეიშვილი (1929-2004); შვილები: მანანა (1952), პაატა (1958). დაამთავრა ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1960). იყო სკკპ წევრი (1948-91). იყო

თბილისის ორჯონიკიძის რ-ნის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ-ბის გამგე (1946-49); საქ. კომპარტიის ცკ-ს კომკავშირული ორგანოების განყ-ბის ინსტრუქტორი (1951-52); კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის კადრების მდივანი, მეორე მდივანი (1952); საქ. კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ინსტრუქტორი, I მდივანი (1953); საქ. კომკავშირის ცკ-ს II მდივანი (1956), I მდივანი (1957); კომკავშირის ცკ-ს მცხეთის რაიკომის I მდივანი (1961-62); თბილისის პირველი მაისის რ-ნის რაიკომის I მდივანი (1963-64); საქ. საზ-ბრივი წესრიგის დაცვის მინისტრის I მოადგილე (1964-65); საქ. შინაგან საქმეთა მინისტრი (1965-72); თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტის I მდივანი (1972); საქ. კომპარტიის ცკ-ს I მდივანი (1972-85); სსრკ პოლიტბიუროს წევრი (1985); სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-90, 1991); საგარეო პოლიტიკური ასოც-ის ხელმძღვანელი (1990-91); საქ. სახელმწ. საბჭოსა და საქ. პარლამენტის თავ-რე, სახელმწიფოს მეთაური (1992-95); სმკ-ს თავ-რე (1993); საქართველოს პრეზიდენტი (1995-2003). არის ავტორი წიგნებისა: „ჩემი არჩევანი" (მოსკოვი, 1991 — გამოიცა 20 ქვეყანაში); „დიდი აბრეშუმის გზა TRACECA. PETRA. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი" ევრაზიის საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები" (თბილისი, 1999 — ითარგმნა ინგლ., გერმ., სპარსულ ენებზე); „დიდი მაგალითები" (თბილისი, 2003); „ფიქრი წარსულსა და მომავალზე" (თბილისი, 2006 — ითარგმნა გერმ., რუსულ, ესტონურ, აზერ., სპარსულ ენებზე) და გამოიცა გერმანიაში სათაურით „როცა გაირღვა რკინის ფარდა" 2007); არის რედაქტორ-გამომცემელი გ. ბერძენიშვილის წიგნისა „სტალინი" (გორი, 2007). არის გელათის (1996) და საქ. ბიზნესის (1997) მეცნ. აკად-ების საპატიო აკადემიკოსი; თსუ (1998), აგრარული (1998), ტექნ. (1999) უნ-ტების საპატიო დოქტორი; ქუთაისისა (1998) და სულხან-საბა ორბელიანის (2000) უნ-ტების, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკად-ის (2002) საპატიო პროფესორი; საქ. ბიზნესის (1997) და მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშ. (2001) აკად-ების საპატიო წევრი; ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ემორის, ლოს-ანჯელესის, პროვიდენსის (აშშ), ტრიესტის (იტალია), ინდიანაპოლისის, ათენის, ბაქოს, ალმა-ატის, თაფთის, სტამბოლის, იენის, ერევნის საერთაშ. უნ-ტების საპატიო დოქტორი; კალიფორნიის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიისა და ხელოვნების საერთაშ. აკად-ისა (აშშ, 1996) და საინფორმაციო ტექნოლოგიების (ბელორუსია, 2001) საერთაშ. აკად-ის ნამდვილი წევრი; რუსეთის ტურიზმის საერთაშ. აკად-ის საპატიო დოქტორი (2001). დაჯილდოებულია სოც. შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით, ლენინის — 5, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით; მ.აბაშიძის (1997), გ.ნიკოლაძის (1999), ილარიონ ქართველის (2000), ო.ლუდუშაურის (2002), ი.გოგებაშვილის (2003) სახ. მედლებით; 2003 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა წმ. გიორგის I ხარისხის ორდენით. მინიჭებული აქვს: ნიქსონის სახ. საგანგებო (1997), ონასისის ფონდის (1997), ისრაელის დემოკრატიული ინ-ტის სპეც. (1998) პრემიები; ა.აინშტაინის სახ. დიდი ოქროს მედალი (1998), ოლიმპიური ოქროს (1998) და მაცხოვრის მხედრობის დიდი ჯვრის (საბერძნეთი, 1999) ორდენები; გფრ უმაღლესი ჯილდო — „უმაღლესი ხარისხის დიდი ფედერალური ჯვარი" (1999), ლ.ვიუნშეს სახ. (1999), ვ.ავარელ ჰარიმანის დემოკრატიის (1999) პრემიები; „წმ. აკლდამის რაინდთა წმ. ჯვრის ორდენი" (იერუსალიმი, 2000); ორდენი „ბეთლემი—2000" (2000); „წმ. მიხეილისა და წმ. გიორგის დიდი ჯვრის ორდენი" (დიდი ბრიტანეთი, 2000); „კონფუცის დიდი მედალი" (2000); მალტის რაინდთა დიდი ორდენის უმაღლესი ჯილდო „დიდი ჯვარი" (2000), „ისთიგლალი"-ს (აზერ., 2000), მესროპ მაშტოცის (სომხ., 2000) და იაროსლავ ბრძენის I ხარისხის (2000) ორდენები; „დიდი მხედრის ორდენი" და ფიდეს მედალი (2001); მედალი — „პეტერბურგი 300 წლისაა" (პეტერბურგი, 2003) და სხვა. მისი ბიოგრაფია შესულია მრავალ ენციკლოპედიასა და ცნობარში.

ჰობი: მწერლობა, განსაკუთრებით ქართული მწერლობა.

მისამართი: (ბინის) კრწანისის 49, თბილისი 0114. ტელ: 92 07 08.

**ჩემი ცხოვრების კრედო მნიშვნელოვნად ოჯახურმა აღზრდამ განაპირობა, რაშიც ვგულისხმობ დედაჩემის საოცარ შრომისმოყვარეობას და მამაჩემის განსწავლულობას, საგულისხმოა, რომ მამაჩემი საშუალი სკოლაში ჩემი მასწავლებელი იყო. სახალხო საქმისა და სამშობლოსადმი ერთგულება, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა სწორედ ბავშვობის წლებიდან ჩამომიყალიბდა.**

## ლეილა შელია



მხატვარი.

დაიბადა სოხუმში 1953 წ. 20 ივლისს. მშობლები: თამარ ხუბუტია, გიორგი შელია. დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1978). მონაწილეობდა გამოფენებში: თბილისი (1982); ბელგია (1990); გალ. „Drouot" (პარიზი, 1990); გალ. „Bbrok" (ბარსელონა, 1990); გალ. "Арт Миф" (მოსკოვი, 1991); გალ. „Roswitha Benkert" და „Villa

Delle Isola di Brissago" (შვეიცარია, 1993); გალ. „Art of Georgia" (1993), გალ. „Franche Comte" (ბრიუსელი, 1993); თბილისის სახელმწ. მუზეუმი (1994); „გამოფენა მესე" (გერმანია, 1996), ხელოვნების ცენტრი (ბაქო, 1995); გალ. „TMS"(თბილისი, 1996); ამავე წელს გერმანიაში; ნაციონალური გალ. და გალ. „TMS" (თბილისი, 1997); გალ. „TMS" (თბილისი, 1999); „ქართული ხელოვნება" (UNESCO, პარიზი , 2001), „კავკასიური სახლი" (პარიზი, 2007). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: გალ. „ქარვასლა" (1998); გალ. „TMS" (2000); გალ. „უნივერსი" (2003); გალ. „TMS" (2006). მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის სახელმწ. მუზეუმსა და პარიზის გალერეაში — "Drouot Richelieu-Salle 9"; დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, შვეციისა და ნორვეგიის კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სახელოსნო) ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, I კვ. კ. 13. ტელ: 31 78 35.

## გიორგი შენგელაია



კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 11 მაისს. მშობლები: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია; შვილები: ნიკოლოზი (1958), ალექსანდრე (1963), გიორგი (1986). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი,1959). იყო კ/ს „ქართული ფილმის" მსახიობი (1955-59), რეჟისორი (1959 წლიდან). არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ალავერდობა" (1963), „მაცი ხვიტია" (1965), „ფიროსმანი" (1969), „ვერის უბნის მელოდიები" (1973), „ქეიმანი დარჩებიან" (1975), „სიყვარული ყველას უნდა" (1980), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" (1984), „ხარება და გოგია" (1987), „ორფეოსის სიკვდილი" (1996), „სიყვარული ვენახში" (1999), „მიდიოდა მატარებელი" (2005) და სხვ. არის საკავშირო და საერთაშ. კინოფესტივალების პრიზიორი; მიღებული აქვს ბერლინის საერთაშ. კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი" (პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", 1986); ჩიკაგოს საერთაშ. კინოფესტივალის გრან-პრი „ოქროს პიუგო" („ფიროსმანი", 1975). არის მინისტრთა საბჭოს (1980) და რუსთაველის პრემიების ლაურეატი; საქ. სახალხო არტისტი (1985); „საპატიო ნიშნის" და ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ახმეტელის 10 ა. თბილისი. ტელ: 95 03 02. (ბინის) კეკელიძის 16, ბ.12. ტელ: 22 64 11.
**ჩემი იდეალებია: განათლება, კულტურა, სათნოება. ხელოვნებაში — ნაციონალურ სუბსტანციაზე დაყრდნობით ზოგადსაკაცობრიო იდეალებისკენ სწრაფვა, საზოგადოებაში — თანასწორობისაკენ სწრაფვა.**

## ელდარ შენგელაია



ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. კინორეჟისორი.
საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 26 იანვარს. მშობლები: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია; მეუღლე — ნელი შენგელაია (1950); შვილები: ნატალია (1957), ეკატერინე (1968), ელენე (1983-2006); შვილიშვილები: ანდრო, ნატო, ლუკა, ნატო. დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი,1958). იყო კ/ს „მოსფილმისა" (1957-59) და არის კ/ს „ქართული ფილმის" (1960 წლიდან) დამდგმელი რეჟისორი; საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის I მდივანი (1976-91), თავ-რე (1991-2001). არის რეჟისორი ფილმებისა: „ლეგენდა გაყინულ გულზე" (მოსფილმი, 1957); „ზამთრის ზღაპარი" (მოსფილმი, 1959); „თეთრი ქარავანი" (1964), „მიქელა" (1965), „არაჩვეულებრივი გამოფენა" (1969), „შერეკილები" (1973), „სამანიშვილის დედინაცვალი" (1977), „ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი" (1983), „ექსპრეს-ინფორმაცია" (1993); ვიდეოფილმისა „9 აპრილის ტრაგედია". იყო საქ. სსრ (1981-86; 1986-90) და სსრკ (1989-90) უმაღლესი საბჭოების დეპუტატი; პოლიტიკური ორგანიზაცია „სახალხო ფრონტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (1989); საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-92); სახელმწ. საბჭოს წევრი (1992); საქ. პარლამენტის წევრი,

კულტურის კომისიის თავ-რე (1992-95), პოლიტიკური პარტია „სმკ"-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავ-რის მოადგილე (1993-2002); საქ. პარლამენტის წევრი (1995-99, 1999-2003), პარლამენტის თავ-რის მოადგილე, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავ-რე, ეროვნული თანხმობის დროებითი კომისიის წევრი; პარტია „გაერთიანებული დემოკრატების" და ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების" წევრი (2002); საქ. პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წევრი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატები"-ს წევრი (2004-08); 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწ. საბჭოს თავ-რე. არის საკავშირო და საერთაშ. კინოფესტივალების პრიზიორი; საქ. ლენ. კომკავშირის (1967), სსრკ სახელმწიფო (1985) და რუსთაველის პრემიების ლაურეატი; შრომის წითელი დროშის (1976) და ლენინის (1986) ორდენების კავალერი; საქ. სახალხო არტისტი (1988). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8. თბილისი 0118. ტელ: 93 14 05; 28 11 29.

## დავით შენგელია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
გეოლოგი-პეტროლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 4 მაისს. მშობლები: ნატა სვანიძე, მიხეილ შენგელია; მეუღლე — დალი კეცხოველი (1934); შვილი — მიხეილი (1959). დაამთავრა სპი სამთო-გეოლოგიის ფაკ-ტი (1956), ასპირანტურა (1961). იყო გეოლოგიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1956-96), განყ-ბის გამგე (1996 წლიდან ); სტუ მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის კათედრის გამგე (1978-98) და პროფესორი (1998 წლიდან); არის საქ. საინჟინრო აკად-ის აკადემიკოსი (1996 წლიდან) და ამავე აკად-ის გეოლოგიისა და სამთო საქმის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1998 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დარიალის მასივის პეტროლოგია" (1962), სადოქტორო — „ჩრდილო კავკასიის პალეოზოური გრანიტების პეტროლოგია" (1973). არის 200-მდე სამეცნ. ნაშრომისა და 8 მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის: „Петрология палеозойских гранитоидов Северного Кавказа" (Тбилиси, Мецниереба, 1972); „Метаморфические фации Большого Кавказа" (М. Наука, 1991); თანაავტორი ნაშრომებისა: „The Map of Metamorphic facies of the Crystalline Basement the Greater Caucasus" (1997), „Докембрийско-палеозойский региональный метаморфизм, гранитоидный магматизм и геодинамика Кавказа" (М. Научный мир, 2005) და სხვა. მიღებული აქვს ა.ჯანელიძის (1992). და ა.თვალჭრელიძის (2008) სახ. პრემიები. იყო საქ. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სექციის თავ-რე, დედამიწის ქერქის სიღრმული ზონების გეოლოგიის შემსწავლელი საერთაშ. ასოც-ის, რუსეთის მეცნ. აკად-ის პეტროლოგიური კომიტეტისა და ამავე კომიტეტის მეტამორფიზმისა და მეტამორფული მადანწარმოშობის კომისიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ჭადრაკი. თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 9, თბილისი 0193. ტელ: 33 25 44; ფაქსი: (+995 32) 33 06 47. (ბინის) ნინოშვილის 36, თბილისი 0164. ტელ: 95 21 52, 895 38 84 29; ელ-ფოსტა: d_shenge@yahoo.com
**საქართველოს ერთიანობა. ჩემი ხალხის ბედნიერება. სამართლიანობა და ერთგულება. ქვეყნისა და არჩეული საქმისადმი ერთგული სამსახური. ყველასთან კეთილმოსურნე ურთიერთობის დამყარება. ოჯახისა და მეგობრების სიყვარული. ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდა.**

## ვაჟა შენგელია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
ენათმეცნიერი. პროფესორი.

დაიბადა 1940 წ. 4 ოქტომბერს. მშობლები: ვენერა კიტია-შენგელია, გრიგოლ შენგელია. დაამთავრა თსუ კავკასიურ ენათა განყ-ბა (1958). იყო არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრო-

მელი (1968-72), სწავლული მდივანი (1972-75), უფრ. (1972-86) და ნამყვ. (1986-87) მეცნ. თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1987-2006). არის ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა მკვლევარი; 2006 წლიდან — მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყ-ბის ხელმძღვანელი, მთ. მეცნ. თანამშრომელი; თსუ ლექტორი (1980 წლიდან), დოცენტი (1987 წლიდან), პროფესორი (2002 წლიდან), მიწვეული პროფესორი (2006 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიისათვის" (1999). არის 140 ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიისა „ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი" (2006); სამეცნ. სტატიებისა: „პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები აფხაზურ-ადიღურ ენებში" (1968), „ადიღურ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის" (1983), „ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური დისტრიბუციისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში" (2001), „მრავლობითი რიცხვის ორი მაწარმოებლის შესახებ აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში" (2008), „ქართველურ და ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები" (I-II, 2009). არის არნ. ჩიქობავას სახ. პრემიის ლაურეატი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „Адыгская (черкесская) энциклопедия" (Москва, 2006).
ჰობი: ჭადრაკი. მაგიდის ჩოგბურთი. როგორც გულშემატკივარს: ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, რაგბი.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 8, თბილისი 0102. ტელ: 99 75 49; ფაქსი: 93 45 30; (ბინის) საბურთალოს ქ., III კორპ., ბ. 34, თბილისი 0194. ტელ: 36 24 09; ელ-ფოსტა: vazha_shen@posta.ge
**ქართული საქმის ინტერესებისათვის კეთილსინდისიერი მუშაობა, პროფესიული პატიოსნება; იდეალი: ჭეშმარიტად დამოუკიდებელი დემოკრატიული, ძლიერი და ამაყი საქართველო, ეკონომიკური განვითარების დონით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიღწევებით გამორჩეული, ეკოლოგიური თვალსაზრისით სანიმუშო, ყველა აღნიშნული თვალსაზრისით კავკასიის ნამდვილი ლიდერი ქვეყანა.**

## ირაკლი შენგელია

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე. იურისტი.



დაიბადა სამტრედიაში 1976 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: რუსუდან და დურმიშხან შენგელიები; მეუღლე — ლანა თევზაძე (1980); შვილები: ნინაკა (2001), ნიკოლოზი (2007). დაამთავრა თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1998). გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (2000-01). იყო სამტრედიის რ-ნული სასამართლოს აღმასრულებელი (1994-99), მოსამართლის თანაშემწე (1999-2000); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე (2002-03); საქ. სატრანსპორტო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფრ. გამომძიებელი (2003-04); საქ. შსს გენ. ინსპექციის ინსპექტორი (2004-05); გორის რ-ნული პროკურატურის პროკურორი (2005); თბილისის ისანი-სამგორის რ-ნული პროკურატურის პროკურორი (2005-06); შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყ-ბის უფროსი (2006-07). 2007 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე.
ჰობი: მოგზაურობა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი.
**ღვთის შიში და სიყვარული, საქმისა და კაცის ერთგულება, შრომისმოყვარეობა და სამართლიანობა, პატრიოტიზმი და პრინციპულობა, მიზანდასახულობა და პასუხისმგებლობა, წმინდა ოჯახი და მეგობრები. ყოველივე ეს განაპირობებს წარმატებებს ცხოვრებაში.**

## კახა შენგელია



კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ისტორიკოსი. ეკონომისტი.

დაიბადა სამტრედიაში 1970 წ. 21 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან კიკნაძე, კარლო შენგელია; მეუღლე — ხატია გოგლიძე (1978); შვილები: ლევანი (1996), თორნიკე (1999), მარიამი (2003). დაამთავრა სარატოვის სახელმწ. უნ-ტი მსოფლიოს ისტორიის სპეციალობით (1988); თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1993); თბილისის ბიზნესის უმაღლესი სკოლა (1993); თსუ მაგისტრატურა (1993); ჰართფორდის უნ-ტი — მიიღო მაგისტრის ხარისხი (1998); 2005 წლიდან არის წმ. მერის უნ-ტის დოქტორანტი (ჰალიფაქსი, კანადა). იყო საქ. შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ს/კ ინ-ტის დირექტორის ასისტენტი (1992-93); გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორის მოადგილე, საერთაშ. ამბების განყ-ბის რედაქტორი (1992-93); ჰართფორდის უნ-ტის აშშ მარკეტინგისა და მენეჯმენტის დეპ-ტის ასისტენტი (1993-97); ამერიკული კომპანია „ორბიტელის" პროექტის მენეჯერი (აშშ,1998-99), ამავე კომპანიის კავკასიის წარმომადგენელობის დირექტორი (1999-2000); „კავკასიის ბიზნეს სკოლის" დეკანი (2000-02); თბილისის ვიცე-პრემიერი (2002-04); საქ. პარლამენტის წევრი (2004-08). 2008 წლიდან არის კავკასიის უნ-ტის პრეზიდენტი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში — „ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლის ისტორია" (2005), ეკონომიკაში — „საგადასახდო მექანიზმის სრულყოფის საკითხები საბაზრო მეურნეობაზე გარდამავალ პერიოდში" (2008). არის ავტორი წიგნებისა, სტატიებისა და მრავალი სალექციო კურსისა, მათ შორის წიგნების: „ტაო-კლარჯეთის წერილობითი ძეგლების შესწავლა" (2005), „ტაო-კლარჯეთის ეპიგრაფიკის შესწავლა" (2005), Shengelia K. Machavariani Sh. – "Organizational culture as fundamental phase for qualitative reorganization of governing system" – (კაუნასი, ლიტვა, 2006), K. Shengelia, Albert J. Mills - "The other side of the Mirror Management theory, the Cold War and the USSR" (თბილისი, 2008); სტატიებისა: „საგადასახადო მოვალეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში" (2009), „საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება – განვითარების კანონზომიერებანი და წინააღმდეგობები" (2009), „გადასახადების არსის, საქართველოში საგადასახადო სისტემის წარმოშობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ" (2009). არის საქ. ფრენბურთის ფედ-ის ვიცე-პრეზიდენტი.
ჰობი: ფოტოხელოვნება. ბუკინისტური წიგნებისა და რუკების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 77, თბილისი 0175, ტელ: 31 32 25, ფაქსი: (+995 32) 31 32 26.
ელ-ფოსტა: info@cu.edu.ge
**პატრიოტიზმი და პროფესიონალიზმი.**

## იაშა შერვაშიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა ქედის რ-ნის სოფ. პირველ მაისში 1957 წ. 8 იანვარს. მშობლები: ფატმა ქოქოლაძე, ქაზიმ შერვაშიძე; მეუღლე — ზინა ტურაშვილი (1957); შვილები: ლევანი (1979), გიორგი (1981). დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (1980). იყო საქ. მშენებლობის სამინისტროს ბათუმის სახლსაშენი კომბინატის ინჟინერი (1980-90); გონიოს ციტრუსების მეურნეობასთან არსებული სამშენებლო-საშემკეთებლო საიჯარო უბნის თავ-რე (1990-91); გონიოს მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „გუმბათი"-ს დირექტორი (1991-2008); ბათუმის შპს „ხახუტა"-ს დირექტორი (2006-08); ხელვაჩაურის შპს 'STAB ABJ GE–-ს დირექტორი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი.
ჰობი: ქვეყნის მშენებლობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 57. (ბინის) რუსთაველის 41, ბ. 33, თბილისი.
**მშვიდობიანი ოჯახი და ბევრი შვილიშვილი.**

## მირიან შველიძე



საქართველოს სახალხო მხატვარი.
შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი

დაიბადა თბილისში 1947 წ. 1 იანვარს. დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1971). 1975 წლიდან მუშაობს რუსთაველის თეატრში. გაფორმებული აქვს სპექტაკლები: პ.კაკაბაძის „ყვარყვარე"; უ.შექსპირის „რიჩარდ III", „მეფე ლირი", „მაკბეტი", „ჰამლეტი", „ტიტუს ანდრონიკუსი"; კალდერონის „ცხოვრება სიზმარია"; გოგებაშვილის „იაკობის სახარება"; ბ. ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „კავკასიური ცარცის წრე"; ი.ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?"; გრ.რობაქიძის „ლამარა"; დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"; მ.ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა"; ი.სამსონაძის „ყოფილების სარეცელი" და სხვ. წარმატებით თანამშრომლობს უცხოეთისა და საქ. სხვა თეატრებთან. არის საქ. სახალხო მხატვარი; რუსთაველის პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი.

## შავლეგ შილაკაძე



კომპოზიტორი. დირიჟორი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1940 წ. 21 თებერვალს. მშობლები: დომნა მალულარია-შილაკაძე, ივანე შილაკაძე; მეუღლე — ლიანა ცომაია-შილაკაძე; შვილები: ივანე (1964), გიორგი (1967), სოფიო (1975); შვილიშვილები: ნიკოლოზი (1996), ცოტნე (2005). დაამთავრა თსკ საშემსრულებლო (ალტი, 1963) და საკომპოზიციო (1968) ფაკ-ტები; ლენინგრადის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკ-ტი (1974). იყო საქ. სახელმწ. სიმფონიური და კამერული ორკესტრების წევრი (1959-69); თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (1969-84); ანსამბლ „თბილისის კამერატას" დამაარსებელი და მთ. დირიჟორი (1976-85). არის თსკ პროფესორი 1984 წლიდან; „თბილისის კონცერტინოს" დამაარსებელი და მთ. დირიჟორი (1988 წლიდან). შექმნილი აქვს სიმფონიური, კამერული და საგუნდო ნაწარმოებები. ჩატარებული აქვს 800-მდე კონცერტი (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ტალინი, ვილნიუსი, მინსკი, გერმანია — 1990-1997, ესპანეთი — 1993, შვეიცარია — 1996-97, ინგლისი — 1998 ). არის საქ. ღირსების ორდენის კავალერი (2000); კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1973 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: International Who's Who in Music and Musicians Directory (IBC). „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. ხელოვნება. ბუნება.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8, თბილისი 0108. ტელ: 899 245387;
ელ-ფოსტა: shavleg.shilakadze@yahoo.de
ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი გარკვეული მისიით ევლინება ამ ქვეყანას. დაკისრებული მისიის ამოცნობა უდიდესი ბედნიერებაა. ამ შემთხვევაში პროფესიის არჩევა, მისადმი ერთგულება და სიყვარული არსებობის ფორმად იქცევა, რაც განსაზღვრავს კიდეც ცხოვრების მიზანს. სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული, ზნეობრიობა, კაცთმოყვარეობა და კეთილმოსურნეობა შერწყმული პრინციპულობასთან საფუძველია საზოგადოებასთან ურთიერთობისა. იდეალის მიღწევა და განხორციელება.

## შიო (ელიზბარ მუჯირი)



სენაკისა და ჩხოროწყუს მთავარეპისკოპოსი.

დაიბადა თბილისში 1969 წელს. მშობლები: ნანა ქურდიანი, თეიმურაზ მუჯირი. დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (1991); ბათუმის სასულიერო სემინარია (1999); მოსკოვის სასულიერო აკადემია; მოსკოვის წმ.

ტიხონის სახ. მართლმადიდებლურ-ჰუმანიტარული უნ-ტი (2005). ალიკვეცა ბერად (1993); ხელდასხმულ იქნა დიაკვნად (1995); აკურთხეს მღვდლად (1996); აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1998); აკურთხეს ეპისკოპოსად (2003). იყო სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის ეპისკოპოსი (2003-09). 2009 წლიდან არის სენაკისა და ჩხოროწყუს მთავარეპისკოპოსი. 2009 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში; ამავე წელს დაინიშნა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ქართული სამრევლოების ხელმძღვანელად. 2008 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინოდის სხვა წევრებთან ერთად დააჯილდოვა წმ. გიორგის ორდენით.
მისამართი (რეზიდენციის) ზემო თეკლათის დედათა მონასტერი, სენაკი 4100. ტელ: (8.213) 50004; (899) 99 151589.

## ვალერიან შიუკაშვილი



მუსიკოს-შემსრულებელი — პიანისტი.

დაიბადა თბილისში 1975 წ. 11 ნოემბერს. მშობლები: ლიანა ჟღენტი, სოსლან შიუკაშვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკ-ტი (2006); ბარსელონის სამეფო კონსერვატორიის ასპირანტურა (ესპანეთი, 2008). იყო ჯ.კახიძის სახ. თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრის სოლისტი (1997-2004); არტ-იმედის წევრი (2002-04). 2001 წლიდან არის ნ.გაბუნიას სახ. პიანისტთა ეროვნ. კონკურსის დამაარსებელი და გენ. დირექტორი; კომპანია „ხელოვნების აკადემიის" დამფუძნებელი და გენ. დირექტორი — 2009 წლიდან. ჩაწერილი აქვს დისკები მოსკოვში (1999), ჰოლანდიასა (2000) და იაპონიაში (2003); მონაწილეობს კლიპში: „როიალის ანატომია" (2006) და სხვ. არის მრავალი საერთაშ. კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი, მათ შორის: პიანისტთა საკავშირო (რუსეთი, 1992) და თბილისის პიანისტთა I საერთაშ. (1997) კონკურსების ლაურეატი; მინსკის, ბულგარეთის, ისრაელის, ჰოლანდიის (პეტრე დიდის), რუსეთის (მარია იუდინას სახ.) და პორტუგალიის („მსოფლიოს დიადი პიანისტები", 2004) საერთაშ. კონკურსების გრან-პრის მფლობელი; სახელმწ. პრემია „ნინანდლის" მფლობელი (2001); კულტურული ინტეგრაციის — „ეუტერპე 2008" პრემიის ლაურეატი. არის ევროპის პიანისტ პედაგოგთა ასოც-ის ვიცე-პრეზიდენტი საქ-ში (1997 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია სხვადასხვა ცნობარში; მისი სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი წიგნში „XXI საუკუნის ვარსკვლავები".
ჰობი: თეატრი. ფოტოხელოვნება. კონკურსების, ფესტივალების და მოსმენების ორგანიზება.
ელ-ფოსტა: volerianpiano@yahoo.com; volerianpiano@mail.ru; www.valerian-piano.com
**კეთილშობილება, გულწრფელობა, შრომისმოყვარეობა და საქმის ბოლომდე მიყვანა.**

## თამაზ შოშიაშვილი



თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: მაყვალა ბუკია, ჯემალ შოშიაშვილი; მეუღლე — თამარ გეიტიძე (1977); შვილები: ვანიკო (2000), ზურაბი (2002), გიორგი (2004), ანდრია (2008). დაამთავრა აგრარული უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1992). იყო საქ. დაზღვევის სახელმწ. კომპანიის წამყვანი ეკონომისტი (1997-2001); საქ. სოც. უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწ. ფონდის საფინანსო ეკონომიკური დეპ-ტის მთ. სპეციალისტი (2001), ამავე ფონდის ისანი-სამგორის რ-ნული განყ-ბის (2002) და ვაკე-საბურთალოს ფილიალის (2004-06) უფროსი. 2006 წლიდან არის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავ-რე. არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (2003 წლიდან).
ჰობი: სპორტი. კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 2, თბილისი 0117. ტელ: 98 22 69.
**ჩემი ცხოვრების კრედოა სამშობლოს სიყვარული. პატიოსნება და შრომისმოყვარეობა. ვილვაწოთ იმისთვის, რომ ავაშენოთ დემოკრატიული, სამართლიანი და წარმატებული სახელმწიფო, რათა ჩვენმა მომავალმა თაობებმა იცხოვრონ ბედნიერ, მშვიდობიან და წარმატებულ საქართველოში.**

## ბონდო შოშიტაიშვილი



ანიმაციური ფილმების სტუდია „ორბის" დირექტორი. კინორეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: ნინო და შალვა შოშიტაიშვილები; მეუღლე — მანანა გულუა (1949); შვილები: ნათია (1973), თამარი (1980). დაამთავრა მოსკოვის ანიმატორთა სკოლა-სტუდია (1961) და თსუ კინომცოდნეობის ფაკ-ტი (1978). იყო ანიმაციური ფილმების სტუდია „ორბის" მხატვარი (1961-76); არის ამავე სტუდიის რეჟისორი (1976 წლიდან), დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვ. (1996 წლიდან). იყო თსსა პედაგოგი, მხატვარ-ანიმატორთა სახელოსნოს ხელმძღვანელი (1984-93). 2006 წლიდან არის თსთი რეჟისორთა და მხატვარ-ანიმატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი. გადაღებული აქვს ანიმაციური ფილმები: „ქვასანაყი" (1976), „კაცუნები" (1977), „მამლაყინწა" (1979), „ტალანტი" (1981), „შლაპა" (1983), „ტუსაღი" (1984), „ყოფნა თუ სმა" (1985), „მაცდური" (1986), „პროფილი და ანფასი" (1988), „ალიყური" (1989), „მონმე" (1991), „ოქროს ხელები" (1992), „პარადოქსი" (1999), „განხეთქილების ვაშლი" (2002). არის საკავშირო და საერთაშ. ფესტივალების პრიზიორი, კანის საერთაშ. ფესტივალის საპატიო პრიზის მფლობელი („ტუსაღი", 1985); ფილმისათვის „ალიყური" მიენიჭა რუსეთის კინემატოგრაფიის უმაღლესი პრემია „ნიკა" (1991) და თბილისის საერთაშ. ფესტივალის — „ოქროს არწივის" პრემია (1992). არის ღირსების ორდენის კავალერი (1999); საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1976 წლიდან); რუსეთის კინოაკადემიის საპატიო წევრი (2002 წლიდან).

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის 164, თბილისი 0112. ტელ: 34 14 43. (ბინის) ცაბაძის 4, თბილისი 0112. ტელ: 8 93 543238.

**ფილმის საშუალებით ვთქვა ჩემი სათქმელი და თითოეული ჩემი ფილმი ისე შეიყვაროს მაყურებელმა, როგორც მიყვარს მე. წარმატება კი განაპირობა საქმის უზომო სიყვარულმა.**

## ომარ შოშიტაშვილი



საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

დაიბადა მცხეთის რ-ნის სოფ. ლისში 1941 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ქეთევან და არტემ შოშიტაშვილები; მეუღლე — ნარგიზა ისაკაძე (1950); შვილები: ქეთევანი (1972), კახაბერი (1974). დაამთავრა ს/ს (1969) და ფიზკულტურის (1979) ინ-ტები. იყო ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი (1969-73); სპორტსაზოგადოება „განთიადის" უფრ. მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში (1974-89); სპორტკომიტეტის სახელმწ. მწვრთნელი (1983-86). არის საკავშირო და საერთაშ. კატეგორიის მსაჯი (1984 წლიდან). იყო ჭიდაობის სამმართველოს უფროსი (1987-89); ჭიდაობის რესპ. გაერთიანების გენ. დირექტორი (1989-91). არის ჭიდაობის ფედერაციის გენ. მდივანი (1992 წლიდან). არის საქ. დამს. მწვრთნელი (1982); ღირსების (1999) და ჭიდაობის საერთაშ. ფედ-ის „ფილას" (2005) ორდენების კავალერი; სპორტის დამს. მუშაკი (2005); 1973 წლიდან აქვეყნებს წერილებს ჭიდაობის განვითარების საკითხების შესახებ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში.

მისამართი: (სამსახურის) ი.ჭავჭავაძის 49. თბილისი 0162. (ბინის) ფიზკულტურის 22. ტელ: 38 89 46.

**სიტყვის შესრულება, უტყუარობა, უღალატობა, დაუღალავი შრომისუნარიანობა, ყოველგვარი სიძნელეების გადალახვა, თუკი საქმისთვის აუცილებელია. ნებისმიერ სიტუაციაში სწრაფი გარკვევა და ამ სიტუაციიდან სწორი გზის გამონახვა.**

## ნინო შუბლაძე

ჟურნალისტი. თოქ-შოუ „პოზიციის" წამყვანი.



დაიბადა თბილისში 1976 წ. 27 იანვარს. მშობლები: ანინე ჯვარშეიშვილი, ვაჟა შუბლაძე; მეუღლე — ალექსანდრე ფარულავა (1974); შვილი — გიორგი (2006). დაამთავრა თეატრისა და კინოს უნ-ტი ტელე-რადიო ჟურნალისტის სპეციალობით (1997); ასპირანტურა (1999). იყო პირველი არხის ყოველთვიური თოქ-შოუს — „ვინ ვინ არის?" წამყვანი (1996); TBC TV Studio-ს „ფესტივალის დღიურის" ავტორი და წამყვანი (1997-99); პირველი არხის პროგრამების — „ალიონის" და „ნაშუადღევის" წამყვანი ჟურნალისტი (1999-2003); ტ/კ „რუსთავი-2"-ს საინფიორმაციო გადაცემა „კურიერის" ჟურნალისტი და წამყვანი (2004-07), საინფორმაციო სამსახურის უფროსი (2007-09). 2009 წლიდან არის ტ/კ „რუსთავი-2"-ს თოქ-შოუ „პოზიციის" ავტორი და წამყვანი. არის ლინკოლნის საპატიო მოქალაქე.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, თბილისი. ტელ: 20 11 11, 20 00 12.
ელ-ფოსტა: courier@rustavi2.com
**გულწრფელობა, შრომისუნარიანობა, პასუხისმგებლობა, თავმდაბლობა, ზომიერი ამბიცია. შრომის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია, რაც უნდა ნიჭიერი იყო. მოექეცი ადამიანებს ისე, როგორც გინდა რომ ისინი მოგექცნენ შენ.**

## გიორგი შხვაცაბაია

მოქანდაკე.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 15 აპრილს. მშობლები: ლილი ტორონჯაძე, გიორგი შხვაცაბაია; მეუღლე — ნათელა შანიძე; შვილები: მაია (1967), ლიკა (1972). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1964); სსრკ სამხატვრო აკად-ის შემოქმედებითი სახელოსნო (1975). მისი ძირითადი ნამუშევრებია: გალაქტიონის ძეგლი (ქუთაისი, 1990); „მშვიდობის ჩირაღდანი" (საბერძნეთი, 1992); ე.მიქელაძის ძეგლი (2000), გივი კარტოზიას ძეგლი სპორტის სასახლის კედელთან, საქ. ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ბრინჯაოს ქანდაკება „ამაღლება" (2004), ჟიული შარტავას ძეგლი სენაკში (1997) და საფლავი (1994), ნიკო ცხვედაძის საფლავი. დაჯილდოებულია სსრკ სამხ. აკად-ის მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1976). არის საქ. კომკავშირის პრემიის (1976) და სახელმწ. პრემიის ორგზის (1990, 2001) ლაურეატი; თბილისის საპატიო მოქალაქე (2001); ღირსების ორდენის კავალერი (1999); საქ. მხატვართა კავშირი წევრი (1966 წლიდან). მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის გალ-ში, საქ. ხელოვნების, ტაშკენტის ლიტერატურისა და ამსტერდამის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში. ამჟამად მუშაობს ლადო ასათიანის ძეგლზე და მონაწილეობს კონკურსში „უსაფლავო მთაწმინდელები". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში:„ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ყველაფერი მიყვარს, როგორც ლეონარდო დავინჩის უყვარდა.
მისამართი: (ბინის) შავგულიძის 3, თბილისი. ტელ: 53 77 04.
**ღმერთთან მიახლოება.**

## გოგი ჩაგელიშვილი



საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1945 წ. 2 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა ქემოკლიძე, ტარას ჩაგელიშვილი; მეუღლე — ლეილა კიკნაძე (1957); შვილები: ოტია (1978), ლუკა (1984). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1971). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები თბილისში: თსუ (1985), მხატვრის სახლი (1989), თანამედროვე ხელ. გალ. (1995), გალ. "TMS" (1997,1998, 2003, 2004); გალ. „შარდენი" (2001), გალ. „უნივერსიტეტი" (2002), გალ. „ჩაგელა" (2005); მოსკოვში — ცენტრალური მხატვრის სახლი (1989), გალ. „გერცევი" (1997); თურქეთი — ანკარა (1990), სტამბოლი (2000, 2006); გალ. „ნიმი" (საფრანგეთი, 1993); გალ. „კორა" (კანადა, 1998); გალ. „ვილკელმანი" (გერმანია, 1998); გალ. "Qrais Church" (ახალი ზელანდია, 1999); „გრანდ გალერეა" (ნიუ-იორკი, 2007); გალ. „ფიროსმანი" (სტამბოლი, 2009). გამოცემული აქვს მოთხრობების კრებულები: „მხატვარი" (ითარგმნა რუსულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე, 2003) და „კოლექციონერი" (2008); ნამუშევრების ალბომი (2006). არის საქ. დამსახურებული მხატვარი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ნადირობა.

მისამართი: (ბინის) გოგებაშვილის II შესახვევი ბ. 22. თბილისი 0179. ტელ: 29 48 82.

**სიყვარულით ვაკეთებ იმას, რაც ვიცი, მაგრამ არაფრის მონა არ მინდა გავხდე. წარმატება მეტ ვალდებულებას მაკისრებს, წარუმატებლობა მალიზიანებს. ძალების მობილიზაცია ხდება უკეთესობისაკენ. ვცდილობ ცხოვრების რიტმის, შემოქმედებისა და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიულ შერწყმას. მინდა ვისწავლო ხედვა და არა ყურება. მახასიათებს მოძრაობა, ახლის ძიება, პასუხისმგებლობა, ექვიანობა, დაფიქრება, განმარტოება. შემოქმედებით პროცესში არასოდეს არაფერი მაკმაყოფილებს.**

## თომა ჩაგელიშვილი



ისტორიკოსი. ჟურნალისტი.

დაიბადა თელავში 1972 წ. 9 მაისს. მშობლები: დარიკო ჩოხელი, იაკობ ჩაგელიშვილი; მეუღლე — ვიკა ქავჟარაძე; შვილები: ერეკლე (1999), ვახტანგი (2001), ალექსანდრე (2008). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკტი (1994). 1994 წლიდან ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას. 2001 წლიდან მუშაობს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ში. არის დოკუმენტური ფილმების ციკლის — „საქართველო – უახლესი ისტორია" ავტორი და წამყვანი. გადაღებული აქვს 30-ზე მეტი ფილმი. მისი ბიოგრაფია შესულია კრებულში „სახელები" (2002).

მისამართი: (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45. თბილისი. ტელ: 201111 ელ-ფოსტა: toma@rustavi2.com

## გიორგი ჩაკვეტაძე



სპორტსმენი. მსოფლიო ჩემპიონი (ტაილანდური კრივი და კიკბოქსინგი).

დაიბადა თბილისში 1982 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: ლია შარიქაძე, ზურაბ ჩაკვეტაძე. დაამთავრა სტუ საერთაშ. და რეგიონული კონფლიქტოლოგიის ფაკ-ტი (2004). არის საქართველოს 6-გზის ჩემპიონი კიკბოქსინგში (1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999); მსოფლიო ჩემპიონატებში აღებული აქვს: კიკბოქსინგში

— III ადგილი (იტალია, 1999); I ადგილი — (საბერძნეთი, 2000); ტაილანდურ კრივში — I ადგილი (ტაილანდი, 1999). არის I ადგილის მფლობელი კიკბოქსინგში: საბრძოლო ხელოვნების მსოფლიო ფესტივალი (სანკტ-პეტერბურგი, 1993); ბათუმის (1995) და მოსკოვის (1996) საერთაშ. ტურნირები; ევროპის თასის გათამაშება (კრასნოდარი, 1998); მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები (1998); შვეიცარიის საერთაშ. ტურნირი პოსტტენებრაისის თასზე (2000). არის მექსიკის საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული ტაილანდურ კრივში (2001). არის კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილისა და ოქროს სარტყლის მფლობელი პროფესიონალთა შორის (დიდი ბრიტანეთი, 2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ჩიტაძის 3. თბილისი. ტელ: 99 93 30.
**შრომისმოყვარეობა.**

## გელა ჩარკვიანი



საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

დაიბადა თბილისში 1939 წ. 1 მარტს. მშობლები: თამარ ჯაოშვილი, კანდიდ ჩარკვიანი; მეუღლე — ნანა თოიძე (1939); შვილები: ირაკლი (1961-2006), თეონა (1966). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (არასრული კურსი), უცხო ენათა ინ-ტი (1963). იყო მიჩიგანის უნ-ტის სტაჟიორი (1970); თბილისის უცხო ენათა ინ-ტის მასწავლებელი 1967 წლიდან, თსუ ლექტორი — 1979 წლიდან; I არხის სატელევიზიო გადაცემა „გლობუსის" წამყვანი (1976-94); საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე (1984-92); საქ. სახელმწიფო მეთაურის, შემდგომში — საქართველოს პრეზიდენტის მთ. სახელმწ. მრჩეველი საერთაშ. ურთიერთობების დარგში, სახელმწ. კანცელარიის საერთაშ. ურთიერთობათა განყ-ბის გამგე (1992-2003); საქ. პრეზიდენტის პრეს-მდივანი (2005-06); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში (2006-09). 2009 წლიდან არის საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში (გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება). აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდება. ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიკაცია. არის ავტორი ხუთნაწილიანი დოკ. ფილმისა „ქართველები კრემლში და მის გარეთ" (2004). გამოცემული აქვს მსოფლიოს სხვადასხვა უნ-ტებსა და კვლევით ცენტრებში წაკითხული ლექციებისა და ბრიტანეთში წარმოთქმული სიტყვების კრებული — Gela Charkviani. Lectures. Speeches and a Toast (თბილისი, 2008), The Three Postwar Speeches (2009). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). იყო სსრკ (80-იან წლებში) და საქართველოს (90-იან წლებში) ჟურნალისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "The International Who's Who" (London, 1997 წლიდან ყველა გამოცემაში), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საფორტეპიანო კომპოზიციებისა და მიუზიკლების წერა (გამოვუშვი ორი კომპაქტ დისკი — საფორტეპიანო მინიატურები, 2004 და მიუზიკლი „Nargiza & the Nonstop Luxury Express", 2005), მიყვარს აგრეთვე ეგზოტიკური სოუსების კეთება.
მისამართი: (სამსახურის) 4 Russell Gardens, London W 148EZ, ტელ: 02074603216; (ბინის) პეკინის 14, თბილისი. ელ-ფოსტა: imo@mfa.gov.ge
**მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტად ბედნიერი მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი შეიძლება იყოს, რადგან მხოლოდ ამგვარ საზოგადოებებში შეუძლია ინდივიდს საკუთარი პოტენციალის სრული აქტუალიზაცია. ამის გარეშე ნამდვილი ბედნიერება ვერ მიიღწევა. დღეისათვის ჭეშმარიტად თავისუფალი, ტოლერანტული და კანონის წინაშე ეგალიტარული საზოგადოებები მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებში შეიქმნა. სწორედ ამან განაპირობა მათი ძლიერება და წარმატება ყველა სფეროში. ცხოვრების მანძილზე ჩემი მიზანი იყო, დასავლური იდეები ქართველი ადამიანისათვის გამხდარიყო უშუალოდ ხელმისაწვდომი, ყოველგვარი შუამავლების გარეშე. ამიტომ ვასწავლიდი ენას და დასავლურ კულტურას.**

## თეიმურაზ ჩარკვიანი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 5 თებერვალს. მშობლები: მერი ჯაფარიძე, ოთარ ჩარკვიანი; მეუღლე — ნინო ქორქაშვილი (1958); შვილები: ნათია (1978), რუსუდანი (1980). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1974). იყო ტრესტ „საქკოოპმშენის" სამშენებლო სამმართველო №6-ის მუშა (1967-69); საქ. მშენებლობის სამინისტროს თანამშრომელი, ტრესტ №5-ის რკინა-ბეტონის ქარხნის ოსტატი, მთ. ტექნოლოგი, საამქროს უფროსი (1974-77); საქ. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, ტრესტ №1-ის რკინა-ბეტონის ქარხნის მთ. ინჟინერი, დირექტორი (1978-82); საქ. მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ქარხნის დირექტორი (1982-83); საქ. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ №1-ის რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორი, №1 ტრესტის მმართველი (1983-2003); საქ. ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი (2004); სს სამშენებლო კომპანია „თბილისის" გენ. დირექტორი (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი. არის პროფესორი, საინჟინრო აკად-ის წევრ-კორესპონდენტი; ღირსების ორდენის კავალერი (2007).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 50.
ელ-ფოსტა: charkviani@parliament.ge
**პატიოსნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, საქმისადმი ერთგულება. ოჯახისა და მშობლების მიმართ ერთგულება და სიყვარული.**

## ჯანსუღ ჩარკვიანი



პოეტი.

დაიბადა ცაგერის რ-ნის სოფ. სურმუშში 1931 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: პისტი გელოვანი, ავდიდ ჩარკვიანი; მეუღლე — ირმა ჩხეიძე (1935); შვილები: მამუკა (1955), თამარი (1964); შვილიშვილები: ირინოლა, ირმა და ჯანსული; შვილთაშვილი — სალომე. დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1956). იყო ჟურ. „ცისკრის" ლიტმუშაკი (1957-62) და პასუხისმგებელი მდივანი (1962-63); ჟურ. „დილის" მთ. რედაქტორი (1963-67); ჟურ. „ცისკრის" მთ. რედაქტორი (1967-77); მწერალთა კავშირის პირველი მდივანი (1977-89); გამომც. „საქართველოს" დირექტორი (1989-90); ჟურ. „დროშის" მთ. რედაქტორი (1990-2004). არის ავტორი წიგნებისა: „ერთი ღამის სიჩუმეში" (1959), „ერთტომეული" (1961), "რწმენის კედელი" (1970), „მზე თიხაში" (1986), „არცა ვმსახურებდე სხვას" (1989), „თავისუფლება ლომთა ხვედრია"— პროზა, პუბლიცისტიკა (1991), „ორტომეული" (1992), "რჩეული" — ოთხტომეული (2002) და სხვა. თარგმნილი აქვს ტარას შევჩენკოს „რჩეული ლირიკა", კოროტიჩის, დრაჩის, ევტუშენკოს, ოკუჯავას, ვოზნესენსკის, ახმადულინას ლექსები. მისი პოეზია თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ესპანურ, პოლონურ და სხვა ენებზე. არის კომკავშირის (1967), გ.ტაბიძის (1978), რუსთაველის (1985) პრემიების ლაურეატი; თბილისის საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის 2 ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით და მედლებით. არის საქ. მწერალთა კავშირისა (1959 წლიდან) და მსოფლიო მწერალთა გაერთიანების „პენ-კლუბის" (1991) წევრი. იყო ამავე გაერთიანების საქ. განყ-ბის პირველი პრეზიდენტი (1991-98); საზ-ება „თბილისელის" პრეზიდენტი, საქ. პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1987), ცნობარებში: „Who's Who" (ინგლისი, 1999), "ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სიმღერა, ფეხბურთი.
მისამართი (ბინის) გამსახურდიას 2. I სად., თბილისი. ტელ: 93-50-56.
**მთელი ჩემი ცხოვრება ერთგულებით განვვლე, ვერ ვიტანდი ორგულსა და მოღალატეს, ვებრძოდი სიტყვით, დიდი ძალა აქვს სიტყვას. ყოველთვის მჯეროდა, რომ თავისუფლება მხოლოდ ჭეშმარიტებით მოიპოვება. ჭეშმარიტება კი ღმერთია. მარადის მესმოდა ციდან: ნუ იქნები ცოდვილი**

და კერპთაყვანისმცემელი. მე მითქვამს: ვისაც ვუყვარვარ, მიყვარს და ვისაც ვძულვარ არ მძულს. სულ სხვა ძალა აქვს უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვებს: „ღმერთმა დალოცოს და შეჰკრას საქართველო". მე კი ასე ვფიქრობ — არ მოვტყუვდე, ხალხს მეცხრე ცამდე მხოლოდ იმიტომ აჰყავხარ, რომ იქ ხელი გაგიშვას. ისიც უნდა ვთქვა, სანამ არ გავერთიანდებით, ჩვენი საშველი არ იქნება.

## მურმან ჩაჩუა (1951-2009)

ფოტოჟურნალისტი.



დაიბადა ვანის რ-ში 1951 წ. 5 თებერვალს. მშობლები: ვენერა ხელაძე, ვლადიმერ ჩაჩუა; მეუღლე — ნელი კობახიძე (1957); შვილები: ვლადიმერი (1980), ანა (1983). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1978). იყო გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" კორესპონდენტი (1974); 1980 წლიდან იყო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფოტოკორესპონდენტი, ილუსტრაციების განყ-ბის გამგე, დირექტორი. აქტიურად თანამშრომლობდა რესპუბლიკის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებთან. არის ილუსტრატორი ჯ.ჯანელიძის წიგნისა „ჩემი აფხაზეთი" (1997); გ.ნიკოლეიშვილის ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნისა საქართველოს შესახებ (აშშ, 2004) და წიგნის „ქართული მწერლობა" (2009). იყო საქ. ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1984 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006)
ჰობი: ჩოგბურთი.
**მიყვარს ყველა ვისაც ვუყვარვარ, ვისაც არ ვუყვარვარ, ისინიც მიყვარს.**

## მედეა ჩახავა (1921-2009)

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა გეგეჭკორის (მარტვილის) რ-ნის სოფ. სერგიეთში 1921 წ. 15 მაისს. მშობლები: მარიამ გაწერელია, ვასილ ჩახავა; შვილები: თემურ ჩხეიძე (1943); მაკა მახარაძე (1950), ივანე მახარაძე (1956). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1944). იყო თეატრისა და კინოს მსახიობი 1943 წლიდან. იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ღრმა ფესვები", „მტრედები", „ჩაძირული ქვები", „ადამიანებო, იყავით ფხიზლად", „ესპანელი მღვდელი", „როცა ასეთი სიყვარულია", „ამბავი სიყვარულისა", „ფილოსოფიის დოქტორი", „გვადი ბიგვა", „ეზოში ავი ძაღლია", „პეპო", „ჭინჭრაქა", „ჰამლეტი", „რიჩარდ III", „ბერნარდა ალბას სახლი", „შორაპნელი ქალბატონები", „აქ, ამ სავანეში", „მოხუცი ჯამბაზები" და სხვ; ფილმებში: „ჭრიჭინა", „ბაში-აჩუკი", „მანანა", „ნინო", „გლახის ნაამბობი", „მხიარული რომანი" და სხვ.; ტელე-სერიალში „ძილის წინ". მიღებული აქვს სამი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის; იყო სახელმწ. პრემიის 2-გზის ლაურეატი (1951, 2006); თბილისის საპატიო მოქალაქე; მრავალი საპატიო სიგელის მფლობელი. 2006 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. 2009 წლის 14 იანვარს მიენიჭა ვ.ანჯაფარიძის სახ. პრემია.
მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
**ვთესო სიკეთე.**

## იოსებ ჩახვაშვილი

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. დიპლომატი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 26 თებერვალს. მშობლები: მაყვალა ებრალიძე, რომან ჩახვაშვილი; მეუღლე — ნანა ზიბზიბაძე (1960); შვილი — გიორგი (1983). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობით; თსუ ასპირანტურა (1979). იყო თსუ უცხოეთთან ურთიერთობის განყ-ბის რეფერენტი (1972-73); ისპაჰანის მეტალურგიული კომბინატი — საბჭოთა სპეციალისტების წარმომადგენელი ქ. არიაშაჰრის მუნიციპალიტეტში (ირანი, 1973-76); თსუ უცხოელ მოქალაქეთა მოსამზადებელი ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1979-86); თსუ სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის უფრ. მასწავლებელი (1986-98); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის დეპ-ტის სამმართველოს უფროსი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1998-2000); საქ. სახელმწ. კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამსახურის უფროსი, პრეზიდენტის თანაშემწე (2000-03); თსუ საზ-ბრივი გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი (2004-07); რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწ. მინისტრის აპარატის პოლიტიკური ანალიზის დეპ-ტის უფროსი (2008-09). 2009 წლიდან არის საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდება.
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. კლასიკური და პოპ მუსიკა. სპორტი — განსაკუთრებით ფეხბურთი. ტურიზმი. დროსტარება მეგობრებთან ერთად.
**მართლმადიდებლური ფასეულობები, რომელთაც ჩემი ცხოვრებისეული პრინციპები ჩამოაყალიბეს. სამშობლოს სამსახური, დემოკრატიული ღირებულებები და პიროვნების მოვალეობებისა და თავისუფლების პატივისცემა. ღრმა რწმენა მომავალში საყოველთაო მშვიდობის მიღწევისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა.**

## გურამ ჩახვაძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 2 იანვარს. მეუღლე — ია ბურდული (1962); შვილები: მარიამი (1988), ანა (1997). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი. იყო ს/გ „ორიონის" უფრ. ეკონომისტი (1991-92); საქ. პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1992-99); საქ. კონტროლის პალატის ბიუჯეტისა და პრივატიზაციის კონტროლის დეპ-ტის მთ. მრჩეველი, საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს უფროსი (2000-01); საქ. შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის აპარატის უფროსი (2001-04). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" წევრი; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავ-რის მოადგილე; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის და საქ. კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. არის ედპ-ს წევრი (1981წლიდან); ედპ-ს პრეზიდიუმის წევრი (1988 წლიდან). არის ქ. ატლანტის საპატიო მოქალაქე (აშშ). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 93 12 44, 48 44 08. ელ-ფოსტა: ndp@ndp.ge

## მაია ჩიბურდანიძე



მოჭადრაკე. ოლიმპიური ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონი.
საერთაშორისო დიდოსტატი. ექიმი.

დაიბადა ქუთაისში 1961 წ. 17 იანვარს. მშობლები: როზა ხურციძე, გრიგოლ ჩიბურდანიძე. დაამთავრა თსსუ (1991). იყო გაზეთ „მერანის" რედაქტორი (1984-90). არის 9-გზის ოლიმპიური (1978,1980, 1982, 1984, 1986, 1992, 1994, 1996, 2008) და 5-გზის მსოფლიო (1978, 1981, 1984, 1986, 1988) ჩემპიონი; 4 საჭადრაკო ოსკარის მფლობელი; მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული, როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა შორის; საერთაშორისო დიდოსტატი; საქართველოს ოლიმიური ნაკრების წევრი. მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში აღიარებულია, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი (17 წლის) — შყვანილია გინესის რეკორდების წიგნში. არის ორგზის ღირსების ორდენის და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენის (2000) კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჰომეოპათია. შინაური ცხოველები.

## გიორგი ჩიტაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი სამბოში.
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დაიბადა 1956 წ. 13 აპრილს. მშობლები: მაყვალა პაპიაშვილი-ჩიტაშვილი, ალექსანდრე ჩიტაშვილი; მეუღლე — ცირა ხუტაშვილი (1959); შვილები: მადონა (1980), შორენა (1983), გიორგი (1990). დაამთავრა საქ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინ-ტი (1979). იყო თბილისის სპორტკომიტეტის ჭიდაობა-სამბო-ძიუდოს მწვრთნელი (1980-83). 1983 წლიდან არის საქ. სამბოს ეროვნ. ნაკრების მწვრთნელი. არის საერთაშ. კატეგორიის მსაჯი (1996 წლიდან); საქ. დამსახურებული მწვრთნელი (1999); სსრკ სპორტის ოსტატი; ოსტატებსა და ვეტერანებს შორის მსოფლიო ჩემპიონატებში მოპოვებული აქვს III და II ადგილი (კაპმარტინი, საფრანგეთი, 2002, 2003) და I ადგილი (პრაღა, ჩეხეთი, 2005).
ჰობი: სპორტში მუშაობა და მომავალი ჩემპიონების აღზრდა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 49ა, თბილისი. ტელ: 22 72 43. (ბინის) აღმაშენებლის გამზ. 82, თბილისი. ტელ: 94 06 01.
**1980 წლიდან ვმუშაობ თბილისის და საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელად. სხვა სამსახურში არ მიმუშავია. ჩემი მიზანია მომავალი თაობის აღზრდა. ჩემს ხელში აღზრდილია მრავალი სპორტსმენი, მათ შორის არის ჩემი საკუთარი შვილი 2007 წლის ევროპის პრიზიორი.**

## ლეო ჩიქავა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
ეკონომისტი. პროფესორი.

დაიბადა ზუგდიდის რ-ნის სოფ. კოკში 1928 წ. 20 თებერვალს. მშობლები: ანეტა ნარმანია-ჩიქავასი, ლეონტი ჩიქავა; მეუღლე — თამარ კვეკვესკირი (1934); შვილები: გიორგი (1959), მედეა (1963). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1950). იყო სპი უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1955-69), პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1974-83); უცხო ენათა სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1969-74); ეკონომიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1983-90); დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტის დირექტორი (1990-2006). არის პ.გუგუშვილის სახ. უნ-ტის რექტორი (1997 წლიდან); სახელმწ. სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი (1999 წლიდან). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია

თემაზე: „საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები" (1968). არის 170-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, აქედან — 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი, მათ შორის: „საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში" (1965), „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი" (სახელმძღვ., 1997); „ინოვაციური ეკონომიკა" (2006), „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა" (2008) და სხვ. არის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მეცნ. აკად-ის ნამდვილი წევრი; ნიუ-იორკის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი; მოსკოვისა და თბილისის ეკონომიკური ჟურ-ების სარედაქციო კოლეგიის წევრი, მათ შორის: „Общество и экономика" (მოსკოვი), „ეკონომიკა და ბიზნესი", „საქართველოს ეკონომიკა" და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი; ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავ-რე (1993). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. შვილიშვილები.
მისამართი: (სამსახურის) აგლაძის 37, თბილისი 0107. ტელ: 34 23 91. (ბინის) მოსაშვილის 1. ბ. 68. თბილისი, 0162. ტელ: 22 67 16. ელ-ფოსტა: tamuna@yahoo.com
**იმთავითვე დავისახე მიზნად, დავუფლებოდი ეკონომიკურ მეცნიერებას, ღირსეულად გამეგრძელებინა ჩემი სახელოვანი მასწავლებლების მიერ წამოწყებული (და ბოლომდე მიყვანილი) ეროვნული საქმეები, რომელსაც ამჟამადაც დიდი ენთუზიაზმით ვაგრძელებ.**

## ნანი ჩიქვინიძე



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1949 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ და ლეონიდე ჩიქვინიძეები; მეუღლე — თემურ ჩხეიძე (1943); შვილი: მედეა (1976). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1971). არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი 1971 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „პრემიერა", „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე", „პროვინციული ამბავი", „ჯაყოს ხიზნები", „მგზნებარე შეყვარებული", „ანა კარენინა", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „სეილემის პროცესი", „მეფე ლირი", „სასიყვარულო ბარათები", „ანტიგონე", „ნატაძრალი" და სხვ. კინოფილმებში: „მაგდანას ლურჯა", „სხვისი შვილები", „ნუ გეშინია დედა", „თამუნია", „ძნელი დასაწყისი"; სატელევიზიო სპექტაკლებში: „კუკარაჩა", „მარადისობის კანონი", „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს", „ჩვენებურები", „ირინეს ბედნიერება". არის საქართველოს დამს. არტისტი (1985), თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი 0102. ტელ: 95 24 25. (ბინის) ზაქარიაძის 8, თბილისი. ტელ: 39 59 05.
**პროფესიონალიზმი. განათლება. ვცდილობდი სულიერება მეძებნა ყველაფერში. ადამიანებთან წრფელი, მაგრამ არა უხეში დამოკიდებულება. საქმისა და ოჯახის ერთგულება. საკუთარ თავში მეტად ჩაღრმავება და ნაკლებად სხვისი გაკიცხვა. პატიება და შენდობა.**

## ზაალ ჩიქობავა



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მმართველი.
მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 18 აპრილს. მშობლები: ზანდა იოსელიანი, ვალერიან ჩიქობავა; მეუღლე — თამარ სვანიძე (1977); შვილები: ერეკლე (1995), ნიცა (2003). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1992). იყო კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის, თეატრალური სარდაფის, თავისუფალი თეატრის და სამეფო უბნის თეატრის მსახიობი (1992-2005); თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომელი (2004-06); რუსთაველის თეატრის მმართველის მოადგილე და მსახიობი (2006-07), 2007 წლიდან არის მმართველი და თეატრის დასის წევრი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ქამუშაძის გაჭირვება", „მარადი

ქმარი", „დოქტორი ფრანკენშტაინი", „ნუგზარი და მეფისტოფელი", „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი", „ჰამლეტი" და სხვ. 2005 წელს საქ. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ დასახელდა წლის საუკეთესო მსახიობ მამაკაცად.
ჰობი: მცენარეების გამრავლება.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17. ტელ: 99 98 64; 899 54 61 69. ელ-ფოსტა: zaalchik@posta.ge
**ჩემი მთავარი მიზანი არის, ჩემს შვილებს გადავცე ისეთივე სულიერი მემკვიდრეობა, რაც მერგო ჩემი მშობლებისაგან, რათა შეეინარჩუნო ის მთავარი პრინციპი, რასაც ქართველი ადამიანის ბუნება ჰქვია.**

## გიორგი ჩიქოვანი

პოლიტიკური პარტიის — „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები" გამგეობის წევრი. ისტორიკოსი.

დაიბადა სოხუმში 1960 წ. 24 დეკემბერს. მშობლები: ანეტა პაპავა, იპოლიტე ჩიქოვანი. დაამთავრა აფხაზეთის სახელმწ. უნ-ტის ისტორია-სამართლის ფაკ-ტი (1982). იყო კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი; ოჩამჩირის რაიკომის II მდივანი; სოხუმის ქალაქკომის I მდივანი (1984-90); აფხაზეთის სახელმწ. ქონების მართვის კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1991-92); ქ. სოხუმის მერის მოადგილე (1992-97); ქ. სოხუმის მერი (1997-2004); აფხაზეთის მთავრობის თავ-რის მოადგილე (2004-06); პოლიტიკური მოძრაობის - „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის"— გენ. მდივანი (1998-2004).
ჰობი: თევზაობა, კულინარია.
მისამართი: (სამსახურის) ჩერქეზიშვილის 4. თბილისი. (ბინის) დიღმის მასივი, IV კვ., პაიჭაძის 1. თბილისი. ტელ: 51 60 86; ელ-ფოსტა: grg-chikovani@mail.ru
**ჩემი მთავარი პრინციპებია — სამართლიანობა, პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და სიპატიოსნე. მიზანი — ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი საქართველოს აშენება.**

## თამარ ჩიქოვანი



ტელეკომპანია „მაესტროს" გადაცემის — „პროფესია ჟურნალისტი" წამყვანი. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის დამფუძნებელი და წევრი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 12 მარტს. მშობლები: ლია მიქაძე, ფელიქს ჩიქოვანი; შვილი — ნინო ცინცაძე (1985). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი ირანის ისტორიის სპეციალობით (1984). იყო თბილისის I მედსანწაწილის მედდა (1984-86); გაზ. „თბილისის" კორესპონდენტი (1987-91); გაზ. „დრონის" კორესპონდენტი, მთ. რედაქტორის მოადგილე და მთ. რედაქტორი (1991-94); რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი (1994-98), თბილისის ბიუროს ხელმძღვანელი (1998-2008); რადიო „თავისუფლების" და ტელეკომპანია „იმედის" ერთობლივი გადაცემის — „ჩაი და თავისუფლება" — ავტორი და წამყვანი (2006-07). არის ტელეკომპანია „მაესტროს" გადაცემის — „პროფესია ჟურნალისტი" — წამყვანი. 1996 წლიდან არის თბილისის Public Relations Centre-ის გენ. დირექტორი; ფონდის — „ღია საზოგადოება — საქართველო" — აღმასრულებელი საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თეატრი.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. კაკაბაძეების 2, თბილსი 0108. ტელ/ფაქსი: 92 23 68. (ბინის) ზანდუკელის 27, თბილისი. ტელ: 99 92 29. ელ-ფოსტა: t_chikovani@yahoo.com
**მთავარი პრინციპი: ოცნება კარგია ძილის წინ, გაღვიძების შემდეგ კი რაიმე კონკრეტული პატარა ნაბიჯი მაინც უნდა გადადგა მიზნის მისაღწევად. ძალიან გამიმართლა - ჯერჯერობით ყოველთვის ისეთ ადგილზე ვმუშაობდი, სადაც ინიციატივა არ ისჯებოდა. მეორე მხრივ, როგორც კი ვიგრძნობ, რომ რაღაც ახლის სწავლის შესაძლებლობა იწურება, ვიწყებ საქმიანობის ახალი სფეროს ძებნას. გამიმართლა, რომ განათლებით ისტორიკოსი ვარ, ანუ მეტნაკლებად ვერკვევი მოვლენათა განვითარების ლოგიკაში. ამდენი გამართლების მიუხედავად, თავს ბედის ნებიერად არ ვთვლი - ჟურნალისტობა კატორღული შრომაა.**

## ფიქრია ჩიხრაძე

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკური მდივანი.



დაიბადა ონში 1966 წ. 27 აპრილს. მშობლები: კლარა და ვალერიან ჩიხრაძეები. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო თბილისის II ექსპერიმენტული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1990-94); თსუ ქართული ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორიის მეცნ. თანამშრომელი (1990); გაზ. „ივერია-ექსპრესის" მთ. რედაქტორი (1995); აქვეყნებდა პუბლიცისტურ და პოლიტიკურ სტატიებს, ამზადებდა სატელევიზიო გადაცემებს. იყო თსუ „პრეს-კლუბისა" და „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" წევრი; საქ. პარლამენტისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი (1995-2008), ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" თავ-რე. არის პ/გ „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და პოლიტიკური მდივანი 2005 წლიდან. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა მანდატზე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა, ფოლკლორული და არქეოლოგიური ექსპედიციები.
მისამართი: (სამსახურის) ჟ. კალანდაძის 3 (ყოფ. ბევრეთის), თბილისი 0114. (ბინის) გამსახურდიას 39.
ტელ: 37 13 40.
**ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა; მართლმადიდებლური პრინციპები.**

## ელისო ჩოგოვაძე

დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორი. ხელოვნებათმცოდნე.



დაიბადა ქუთაისში 1967 წ. 12 იანვარს. მშობლები: ქეთევან მოსიძე, მიხეილ (სოსო) ჩოგოვაძე; შვილები: მარი და ლაშა ბექაიები. დაამთავრა თსსა (1995); გაიარა კურსები და მიღებული აქვს საერთაშ. სერტიფიკატები: კულტურის პოლიტიკისა და მენეჯმენტის, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის საკითხებში. იყო ხელოვნების ლიცეუმის პედაგოგი (1995-97); გრ.ხანძთელის სახ. პედაგოგიკისა და ხელოვნების ინ-ტის ხელოვნების ისტორიის პედაგოგი (1995-2000); დ.კაკაბაძის სახ. სახვითი ხელოვნების გალერეის მეცნ. მუშაკი (1995-2005); ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის სამსახურში — მიწვეული კონსულტანტი (2002-04). 2005 წლიდან არის დავით კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორი. არის ავტორი პუბლიკაციებისა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების შესახებ; რეტროსპექტული გამოფენების ციკლისა: „ქართული მხატვრობა კლასიკიდან თანამედროვეობამდე"; პროექტების: „ფელიქს ვარლამიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პროექტის პრეზენტაცია" (2003); ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ამსახველი გამოფენა — „ქართველი და გერმანელი მხატვრების გამოფენა ქუთაისში" (განხორციელდა გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით, 2004); „ქართველი მხატვრები კლასიკიდან თანამედროვეობამდე" (2006); მხატვართა მარათონი „თეთრ ქვებზე როცა კოჭლობს მოლბერტი" (2006); „გოჩა ჩხაიძის და ელკე პოლაკის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა" (2008). გამოცემული აქვს გალერეის ფონდებში დაცული საგანძურის რეპროდუქციების მინიატურული ალბომები ქართულ-ინგლისურ ენებზე. გამართული აქვს დავით კაკაბაძის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა „იმერეთი-დედაჩემი" — იმერეთის რეგიონის მხატვრების გალერეის ფონდებში დაცული 1960-2000 წლების ნამუშევრები (ბათუმი, 2009).
მისამართი: (ბინის) ცხინვალის 1/10. ქუთაისი. ტელ: 71 92 25; 4 23 29; 899 253575.

## კოტე ჩოლოყაშვილი



საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი. ეთნოგრაფი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1922 წ.18 აგვისტოს. მშობლები: ეკატერინე ჩერქეზიშვილი, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი; მეუღლე — ქეთევან ქავთარაძე (1923); შვილები: რუსუდანი და ბიძინა (1950). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1945). სხვადასხვა დროს მუშაობდა საქ. სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ ინ-ტში, თეატრალურ და უცხო ენათა ინ-ტებში; თსუ-სა და უნ-ტში — „ალმა მატერი". არის საქ. თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი (1990 წლიდან); საქ. სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული საბრძოლო (საომარი) იარაღი" (1955). აქვს დოცენტისა და პროფესორის წოდება. გადაღებულია თ. ჩხეიძის ფილმში „რაიკომის მდივანი"; ქართველიშვილის მუსიკალურ კლიპში. იყო თბილისის საკრებულოს უხუცესი წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თამადობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 3. თბილისი. ტელ: 92 33 16 (ბინის) ი.ჭავჭავაძის 2/2, ბ. 7. თბილისი. ტელ: 22 66 92.
**სამშობლოს სიყვარული და ერთგული სამსახური.**

## ოთარ ჩუბინიშვილი



მუსიკოს-შემსრულებელი — ვიოლონჩელო. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1941წ. 16 ივნისს. მშობლები: ანა ზედგინიძე, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი; შვილები: გიორგი (1965), ალექსი (1973). დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ჩელო, 1965), ასპირანტურა (1967). არის თსკ პროფესორი (1967 წლიდან); საქ. სახელმწ. კვარტეტის წევრი (1972 წლიდან); კამერული ანსამბლის კათედრის გამგე (2001 წლიდან); არის ლ.ვეინერის სახ. კონკურსის ლაურეატი (ბუდაპეშტი, 1973); ზ.ფალიაშვილისა (1975) და შოთა რუსთაველის (1992) სახ. პრემიების ლაურეატი; საქ. სახალხო არტისტი (1980); ღირსების ორდენის კავალერი (2001); საქ. თეატრალური საზ-ბის წევრი (1979 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნები. კინო. თეატრი. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 8, თბილისი. ტელ: 99 91 47. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 49, კორპ.15. თბილისი. ტელ: 39 41 95.
**წესიერება, საქმის პროფესიონალიზმი, ჩემი ერის სიყვარული. პედაგოგიურ საქმიანობაში — ყველა ნიჭიერი ადამიანის მიმართ პატივისცემა და მაქსიმალური ყურადღება.**

## გივი ჩუგუაშვილი



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა სოფ. მუხრანში 1948 წ. 7 სექტემბერს. მშობლები: სოფიო და ზაქარია ჩუგუაშვილები; მეუღლე — მანანა გოდერძიშვილი (1950). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1971). იყო რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობი (1971-79). 1979 წლიდან არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „პაკი აძბა", „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე", „ანა კარენინა",

„ჯაყოს ხიზნები", „ურიელ აკოსტა", „სეილემის პროცესი", „პორტპოლის ტუსაღები", „სტუმარი", „ცილინდრი", „პიგმალიონი", „გიორგი მაზნიაშვილი" და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „კავკასიელი ტყვე", „ძმა", „დემეტრე თავდადებული", „დრონგო", „მოკვეთილი", „მევლუდი", „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა", „კედელი", „მიზერერე", „იქ ჩვენთან", „ნეილონის ნაძვის ხე", „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი", „ცხელი ძაღლი", „მგლების ხორუმი", „ყავა და ლუდი", „27 დრაკონი", „ფოლადის ბიჭები" (მოსკოვი) და სხვ.; არის საქ. დამსახურებული არტისტი (1987); თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1972 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ტექნიკა. მოტოციკლი. ცხენი.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, თბილისი. ტელ: 95 40 01. (ბინის) ტელ: 51 48 00; 8 99 55 01 38.
**როგორც ყველა ქართველისათვის, ჩემთვისაც პირველ რიგში მთავარია საქართველოს გამთლიანება, არა მარტო ტერიტორიულად, არამედ სულიერადაც. დარწმუნებული ვარ, საქართველო იდეალური ქვეყანა იქნება მთელი მსოფლიოსათვის... თუკი ერი და ბერი გაერთიანდება და რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება. ყველას გვეკეთებინოს ჩვენ ჩვენი საქმე. თუ რამე წარმატებისთვის მიმიღწევია მხოლოდ ნებისყოფით, შრომით და რაც მთავარია ღმერთის წყალობით. ფარავდეს ღმერთი ჩემს ქვეყანას.**

## მერაბ ჩუხუა

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. ლინგვისტი. კავკასიოლოგი. პროფესორი.



დაიბადა ზუგდიდში 1964 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ნანა მალანია, ჯუმბერ ჩუხუა; მეუღლე — ნათია ლაკირბაია (1982); შვილები: მარიამი (2002), ჯოპარი (2003). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1986). იყო საქ. მეცნ. აკად-ის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლაბორატორიის გამგე (1986-93); საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს I მდივანი (1990-91); საქ. რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის — ზ.გამსახურდიას საგანგებო პოლიტიკური რწმუნებული საქართველოში (1992-93); ინგუშეთის რესპ. ქ.ნაზრანის სკოლის პედაგოგი (1994-95); საქ. მეცნ. აკად-ის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყ-ბის მეცნ. თანამშრ. (2003-06); ქართველურ ენათა განყ-ბის გამგე და თსუ პედაგოგი (2006 წლიდან). 2008 წლიდან არის დიასპორის საკითხებში საქ. სახელმწ. მინისტრის მოადგილე. არის ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (2006); ავტორი 3 მონოგრაფიის, 100-მდე სტატიის და წიგნების: „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი" (2003), „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა" (2008), „ინგუშური ენის გრამატიკა" (2009).
ჰობი: თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 15ა. თბილისი. ტელ: 39 17 26. (ბინის) ვაშლიჯვარი მე-4ა კ. ბ.35. თბილისი. ტელ: 53 19 06.
**პატიოსნება, პირდაპირობა და უკომპრომისობა. ძალიან დიდ პატივს ვცემ ადამიანებს, რომლებიც არიან იდეალისტები და რომანტიკოსები, მაგრამ ამავდროულად დიდი პრაქტიკოსებიც.**

## ჯუანშერ ჩქარეული

ფიზიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 13 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა მახარობლიშვილი, ლევან ჩქარეული; შვილები: გიორგი (1968), ნინო (1982). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1965). არის ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინ-ტის ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განყ-ბის ხელმძღვანელი; თსუ თეორიული ფიზიკის პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლაგრანჟის მოდელები განივი ვექტორული და აქსიალურ-ვექტორული ველებით" (1970); სადოქტორო — „ჰორიზონტალური სიმეტრია და კვარკებისა და ლეპტონების თაობები" (1985). გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი. იყო რამდენიმე საერთაშ. სამეცნ. პროექტის ხელმძღვანელი; მიწვეული პროფესორი ევროპისა და ამერი-

კის წამყვან სამეცნ. ცენტრებში: სასექსის უნ-ტი, ევროპის გაერთიანებული ბირთვული კვლევების ცენტრი, ლონდონის სამეფო უნ-ტი, თეორიული ფიზიკის საერთაშ. ცენტრი, მაქს პლანკის სახ. ინ-ტი, მერილენდის უნ-ტი და სხვ. (1993-2005). არის აშშ ფიზიკოსთა საზ-ბის (1994) და დიდი ბრიტანეთის ფიზიკის ინ-ტის (2000) ნამდვილი წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006), „Marquis Who's Who in Science and Engineering" (USA, 2008).
ჰობი: სამეცნიერო ფანტასტიკა, ფუტუროლოგია, ინგლისური პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 6. თბილისი. ტელ. 39 56 26, 36 30 90; ფაქსი: 39 14 94.
ელ-ფოსტა: j.chkareuli@gmail.com

## ეკა ჩხეიძე



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 19 დეკემბერს. მშობლები: ლალი გურგენიძე, თემურ ჩხეიძე; მეუღლე — ლევან მუშკუდიანი (1964); შვილები: ინანო (ირინა, 1990), დათა (2002). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1988). არის მ.თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1994 წლიდან); მარჯანიშვილისა და სამეფო უბნის თეატრების, თეატრალური სარდაფის მიწვეული მსახიობი. 1998 წლიდან ახმოვანებს სერიალებს (სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"). შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „სეილემის პროცესი" (1994), „დახურულ კარს მიღმა" (1995), „ზაფხულის ღამის სიზმარი" (1996), „სამი და" (1997), „გაუგებრობა" (1998), „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი" (2000), „ნორა, ანუ თოჯინების სახლი" (2003), „კატა, თუნუქის გახურებულ სახურავზე" (2005), „პეიზაჟს აკლია სითბო" (2008), „სულიკო" (2008) და სხვ. მონაწილეობდა რეჟისორ მ.მარმარინოსის პროექტში — ჰაინერ მიულერის „მედეა მასალა" (2001) და დანიელ ლარიოს პროექტში "Montpellier Danse-99". გადაღებულია რამდენიმე მხატვრულ და სატელევიზიო ფილმში. მიღებული აქვს ჟურ. „სახელების" პრიზი – წლის საუკეთესო როლი („ნორა").
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164, თბილისი 0112. ტელ: 35 01 94. (ბინის) ფურცელაძის 8, თბილისი 0105. ელ-ფოსტა: m.tumanishvili@mail.ru
**მაქსიმალურად ნაკლები შეცდომის დაშვება ცხოვრებაში.**

## თამარ ჩხეიძე



„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრი. ისტორიკოსი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 11 თებერვალს. მშობლები: თინათინ ღამბაშიძე, რეზო ჩხეიძე; მეუღლე — კახაბერ კახაძე (1951). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1981). იყო დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნ. თანამშრომელი (1981-83); პოლიტპატიმარი (1983-85); საისტორიო არქივის თანამშრომელი (1985-95); საქ. პარლამენტის წევრი (1993-95). არის მრავალი საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრია 1987 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ბუნებასთან ურთიერთობა. ისტორიულ ძეგლებზე სიარული.
მისამართი: (სამსახურის) ყაზბეგის 24, თბილისი (ბინის) ლარსის 5, თბილისი. ტელ: 23 38 84.
ელ-ფოსტა: tamarchkheidze200@yahoo.com
**„მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". (სოკრატე)**

## თემურ ჩხეიძე



რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1943 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მედეა ჩახავა, ნოდარ ჩხეიძე; მეუღლე — ნანი ჩიქვინიძე (1949); შვილები: ეკა (1965), თეონა (1972), მედეა (1976). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1965). იყო ზუგდიდის დრამატული (1965-67), მოზარდ მაყურებელთა ქართული (1967-70) და რუსთაველის (1970-80) თეატრების რეჟისორი. მარჯანიშვილის თეატრის სამხ. ხელმძღ. (1980-90); საქ. სატელევიზიო თეატრის სამხ. ხელმძღ. (1981-88). არის თსთი მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის პედაგოგი (1969 წლიდან). 2003 წლიდან არის სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამ. თეატრის მთ. რეჟისორი, 2007 წლიდან — ამავე თეატრის სამხ. ხელმძღვანელი. დადგმული აქვს 100-მდე დრამატული, საოპერო და სატელევიზიო სპექტაკლი, მათ შორის: მოზარდ მაყურებელთა თეატრში — დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი" და „უბედურება", ე.დარასელის „დივიზია 16"; რუსთაველის თეატრში: შ.დადიანის „გუშინდელნი", დ.კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (რ.სტურუასთან ერთად), ფ.ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი", ლ.ტოლსტოის „მეუფება ნყვდიადისა", ი.ქავჭავაძის „ჩემო კალამო"; მარჯანიშვილის თეატრში: მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", ლ.ქიაჩელის „პაკი აძბა", უ.შექსპირის „ოტელო", ფ.დოსტოევსკის „მარადი ქმარი", ა.სტრინდბერგის „მამა", ჟ.ანუის „ანტიგონე", ი.რეზას „არტი", გარნეის „სასიყვარულო ბარათები" და სხვ. სატელევიზიო თეატრში: მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" და „თეთრი კურდღელი", ნ.დუმბაძის „კუკარაჩა", მ.ბულგაკოვის „მოლიერი". სანკტ-პეტერბურგის დიდ დრამ. თეატრში: ფ.შილერის „ვერაგობა და სიყვარული", უ.შექსპირის „მაკბეტი", ჟ.ანუის „ანტიგონე", ნ.დუმბაძის „მზიანი ღამე", ლ.ტოლსტოის „მეუფება ნყვდიადისა", ა.პუშკინის „ბორის გოდუნოვი", ბ.შოუს „გულგატეხილთა სახლი", მ.ლერმონტოვის „მასკარადი", ფ.შილერის „მარია სტიუარტი" და „დონ კარლოსი" და სხვ. მოსკოვის სამხატვრო თეატრში: მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", ჟ.ანუის „ანტიგონე". საოპერო სპექტაკლები: ლა-სკალაში — პროკოფიევის „მოთამაშე"; გენუის საოპერო და სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრებში ჯ.ვერდის „დონ კარლოსი" და ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი"; მოსკოვის დიდ თეატრში — შოსტაკოვიჩის „მცენის უეზდის ლედი მაკბეტი"; ნიუ-იორკის — „მეტროპოლიტენოპერაში" პროკოფიევის „მოთამაშე". გადაღებულია ფილმებში: „მშობლიურო ჩემო მინავ", „ამაღლება". არის საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი; რუსთაველის, მარჯანიშვილის, ახმეტელის პრემიების ლაურეატი: „ოქროს ნიღბისა" და „ოქროს სოფიტის" ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა. მუსიკა. სპორტი.
მისამართი: (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ. 61 თბილისი 0160. ტელ: 39 59 05.

## ნინო ჩხეიძე



მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ზესტაფონში 1919 წ. 20 იენისს. მშობლები: ქრისტინა ვაშაძე-ჩხეიძისა, ვიქტორ ჩხეიძე; მეუღლე — გიორგი ტატიშვილი (1921); შვილი — თინათინი (მაია, 1952). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი. არის კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამატული თეატრის მსახიობი (1943 წლიდან). შესრულებული აქვს 200-მდე როლი თეატრსა და კინოში; მთავარი როლები გოდერძი ჩოხელის ფილმებში: „ადამიანთა სევდა", „სამოთხის გვრიტები", „მიჯაჭვული რაინდები". არის საქართველოს სახალხო არტისტი (1990); მიღებული აქვს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია — წლის საუკეთესო მსახიობი ქალი (1970). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირისა (1970 წლიდან) და რუსთაველის საზ-ბის წევრი (1988 წლიდან); ხელოვანთა პროფკავშირის წევრი (1943 წლიდან); არტ-ათეულისა და სტუდია 72-ის წევრი (2008 წლიდან). გამოცემული აქვს წიგნი „უშანგი" (1975; 1999). მისი ბიოგრაფია შესულია თეატრალურ ენციკლოპედიაში (თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმის გამოცემა, 2001).
ჰობი: პუბლიცისტური წერილების წერა. მუზეუმების გახსნა.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 0112. ტელ: 95 24 25. (ბინის) უზნაძის 12, თბილისი, 0112. ტელ: 95 07 24.

**ვარ ოპტიმისტი, ქველმოქმედი, პატრიოტი. ვცდილობდი პატიოსანი შრომით მიმეღწია წარმატებისათვის... ვისწრაფვი უკეთესი მომავლისათვის.**

## რეზო ჩხეიძე



კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი.
კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაიბადა ქუთაისში 1926 წ. 8 დეკემბერს. მშობლები: სერაფიმა გოგოძე, დავით ჩხეიძე; მეუღლე — რუსუდან ფარემუზაშვილი (1940); შვილები: ბიძინა (1952), თამარი (1960), ხათუნა (1964). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1954). 1954 წლიდან არის კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი; იყო კ/ს „ქართული ფილმის" დირექტორი (1975-2006), სამხ. ხელმძღვანელია 2006 წლიდან. არის თსთი კინოკათედრის გამგე (1995 წლიდან); მოსკოვის კინემატოგრაფიის ინ-ტის საპატიო დოქტორი, პროფესორი. არის რეჟისორი ფილმებისა: „ბორის პაიჭაძე" (დოკ. ფილმი, სადიპლომო); „მაგდანას ლურჯა" (1956), „ჩვენი ეზო" (1957), „მაია წყნეთელი" (1959), „განძი" (1961), „ზღვის ბილიკი" (1962), „ჯარისკაცის მამა" (1964), „ღიმილის ბიჭები" (1969), „ნერგები" (1973), „მშობლიურო ჩემო მიწავ" (1980), „დონ კიხოტი" (1989), „მაცხოვრის საფლავთან ანთებული სანთელი" (2006), „ქართული ცეკვები", „ჩვენი სასახლე". არის ტელე/კინო სერიალების დამდგმელი რეჟისორი. არის კანის, რომის, ტოკიოს, მოსკოვის, რიგის, ტაშკენტის, კორკის, დელის, „ოქროს არწივი", ანაპის, საბერძნეთის, სალონიკის და სხვ. საერთაშ. კინოფესტივალების ლაურეატი; 2009 წელს — მოსკოვის საერთაშ. ფესტივალზე დაჯილდოვდა მსოფლიო კინოხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის; ფილმი „ჯარისკაცის მამა" დასახელდა ათ საუკეთესო საბჭოთა ფილმს შორის; მიღებული აქვს პრემია „ოქროს ფრთა" (2009). არის სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტი; ლენინური პრემიის ლაურეატი; მსოფლიო ყოველთა ქართველთა კონგრესიის პრეზიდენტი (1995 წლიდან); თბილისის საპატიო მოქალაქე; კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who is Who" (ლონდონი), „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფილმის გადაღება!!!
მისამართი: (სამსახურის) ახმეტელის 10ა, თბილისი. ტელ: 52 06 27; 899 16 72 00. (ბინის) ლარსის 5, თბილისი. ტელ: 23 38 84.
**კინომ ქართველ ერს უნდა შთააგონოს ქრისტიანული იდეალები, სამშობლოს სიყვარული და ერთგულება. ვიაროთ სამშობლოს იდეალების გზით. ვიაროთ მაცხოვრის იდეალებით.**

## თამაზ ჩხენკელი



ლიტერატორი. მთარგმნელი.

დაიბადა თბილისში 1927 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: თამარ ასლანიშვილი, ვასილ ჩხენკელი; მეუღლე — ლილი გოგუა (1934); შვილები: გვანცა (1958), ნათია (1971). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1952). მუშაობს ქართული ლიტერატურის ინ-ტში (1958 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძველი ვაჟა-ფშაველას პოემებში" (1972). გამოცემული აქვს: ბო ძიუ-ი, ლექსები (1956); რაბინდრანათ თაგორი, „გიტანჯალი" (1960); „აღმოსავლური ლირიკა" (1966); „ბენგალია" (1970), „ბჰაგავატგიტა" (1963), დანტე ალიგიერი, „ახალი ცხოვრება" (ბაჩანა ბრეგვაძესთან ერთად, 1966); „ინდური საგალობლები"; „ახალი ინდოეთის მოაზროვნეები" (1978); „აღმოსავლური ლირიკა"; ჰომეროსის „ოდისეა" (ზურაბ კიკნაძესთან ერთად, 1975) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „მზებუდობა" (1980), „სახითა და სარკითა" (2002); ლიტერატურული წერილების სამი წიგნი: „პოეზია სიბრძნის დარგი" (1978), „მშვენიერი მძლევარი" (1989), „მწვანე ბივრიტი" (2002); „ლაზარე გამოვედ გარე" (2009). არის ივანე მაჩაბლისა და სახელმწ. (2003) პრემიების ლაურეატი; თბილისის საპატიო მოქალაქე (2002). გამოქვეყნებული აქვს 17 ნაშრომი ასომთავრული ანბანის შექმნის, მისი გრაფიკული და რიცხვული სტრუქტურის შესახებ. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 5, თბილისი. (ბინის) ე.ბერიძის 4, თბილისი. ტელ: 33 58 33; 93 19 70.
**ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდნელთა" მისალმებას წარმოადგენდა: „ვგუშაგობ ერს — მარად" (ბიძაჩემი — ცნობილი ექიმი, მთამსვლელი და მწიგნობარი — სოსო ასლანიშვილი ჟურნალ „შევარდენის" რედაქტორიც იყო). რაც შეეხება კრედოს, ის გამოხატულია ინდოელი, რუსი, ევროპელი და ამერიკელი მოაზროვნეების (ანთროპოლოგების,**

ფიზიკოსების, თეოლოგების, მწერლების) იმ წერილებში, რომლებსაც მე ვთარგმნიდი და ვაქვეყნებდი ჩვენს ლიტერატურულ და მეცნიერულ პერიოდიკაში 45 წლის მანძილზე.

## რამაზ ჩხიკვაძე

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თბილისში 1928 წ. 28 თებერვალს. მშობლები: ელენე ჩხიკვაძე (გაჩეჩილაძე), გრიგოლ ჩხიკვაძე; მეუღლე — ნატალია ჩხიკვაძე (1938); შვილი — ალექსანდრე (1957.). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1951). 1951 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლსა და კინოფილმში, ტელე-რადიო დადგმაში. შესრულებული აქვს მთ. როლები სპექტაკლებში: „ესპანელი მღვდელი" (1954), „როცა ასეთი სიყვარულია" (1959), „ჭინჭრაქა" (1963), „სამანიშვილის დედინაცვალი" (1972), „ყვარყვარე" (1974), „კავკასიური ცარცის წრე" (1975), „რიჩარდ III" (1979), „მეფე ლირი" (1987) და სხვ.; გადაღებულია 100-მდე ფილმში, მათ შორის ფილმებში: „ჭრიჭინა", „დღე პირველი, დღე უკანასკნელი", „წარსული ზაფხული", „ვედრება", „ლონდრე", „ნუცა", „ნერგები", „მთვარის მოტაცება", „ერთი ნახვით შეყვარება", „სოფლის აშიკი", „ნატვრის ხე", „არევიკი", „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა", „აშუღ ყარიბი", „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში", „შავი პრინცი" და სხვ. იყო სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი. არის საქ. თეატრალური საზ-ბისა და კინოკავშირის წევრი; ფაზისის აკად-ის აკადემიკოსი; სსრკ სახალხო არტისტი; სოციალისტური შრომის გმირი; სსრკ სახელმწ. პრემიის, რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახ. პრემიების ლაურეატი. მოსკოვის მსოფლიო კინოფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1973). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). 2006 წელს ითამაშა „კავკასიური ცარცის წრის" 30 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სპექტაკლში; ამავე წელს რუსთაველის სახელმწ. აკად. თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. ტელ: 99 63 73. (ბინის) ძონენიძის 9. ტელ: 93 35 62.
**ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული, პროფესიონალიზმი, შრომა.**

## რეზო ჩხიკვიშვილი

მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა თბილისში 1957 წ. 9 მარტს. მშობლები: ზინაიდა გორგილაძე, მირიან ჩხიკვიშვილი; მეუღლე — ხათუნა ჩაგელიშვილი (1964); შვილები: ალექსანდრე (1986), ლევანი (1990). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1978). იყო რუსთაველის (1979-80) და კ.მარჯანიშვილის სახ. (1980-94) თეატრების მსახიობი. მიღებული აქვს მონაწილეობა სპექტაკლებში: „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" (1979), „თოლია" (1980), „ოტელლო" (1981), „თავადის ასული მერი" (1983), „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი" (1985), „ვერაგობა და სიყვარული" (1987), „დიდოსტატის მარჯვენა" (1988), „კალიგულა" (1992); კინოფილმებში: „მე დავბრუნდები" (1980), „წიგნი ფიცისა" (1980), „მსურს გავერკვე" (აზერ.ფილმი, 1981) „პერპეტუმ მობილე" (გერმანია, 1981-82); „ანდერძი" (1983), „ღამის ილუზია" (1984), „ქართველები ცაში" (1985), „ცხოვრება ლენინზე" (მოსფილმი, 1986-87), „მერცხლები" (1988), „კედელი" (1989), „ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა" (1991); ტელეფილმებსა და ტელესერიალებში: „თეთრი კურდღელი" (1981), „ვაზის ყვავილობა" (1982), „მომყიდეთ ქმარი" (1999); „27 დრაკონი" (2003), „ყავა და ლუდი" (2006). 1994 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში; არის ქ. ესენის გრილოს სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობი — შესრულებული აქვს 60-ზე მეტი როლი; გადაღებულია 10-ზე მეტ მხ. და სატელევიზიო ფილმში. არის საქ. კომკავშირის (1980), კ.მარჯანიშვილის სახ. (1989) პრემიების ლაურეატი; დაჯილდოებულია პრემიებით მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის (1979,1992); არის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი (1990).
მისამართი: (სამსახურის) Deutschland, II Hagen2. 45127 Essen. ტელ: 0492018122391. (ბინის) Deutschland Rüttterscheider st. 235, 45131 Essen. ტელ: 049201412934. ნუცუბიძის 10, თბილისი.
**ჩემი ცხოვრებისეული კრედო ის არის, რომ ჩემი სცენიური სიტყვის ძალამ ხალხში სიხარულის, რწმენისა და იმედის ჩანერგვის გარდა, ცხოვრებისეული მოვლენების სწორ შეფასებაში ზეგავლენა მოახდინოს.**

## ალეკო ცაბაძე



კინორეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ალექსანდრა და გიორგი ცაბაძეები; მეუღლე — მანანა ნიქაბაძე (1962); შვილები: საბა-გიორგი (1999), მეგი (2005). დაამთავრა თსთი დოკუმენტური კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1982). გაიარა კინოინსტიტუტის კინოდრამატურგიის სრული კურსი (აშშ, 1993); იყო Nipcow Programm-ის სტიპენდიანტი (ბერლინი, 1992-93). არის კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორი (1986 წლიდან); კ/ს სასწავლო სტუდიის სამხ. ხელმძღვანელი. თანამშრომლობს რუსეთის ტელეარხებთან: „НТВ" და „Россия", კ/ს "Открытый театр"-თან. არის რეჟისორი და სცენარის ავტორი ფილმებისა: „ლაქა", „ღამის ცეკვა" (1991), „მარტოობის ორდენის კავალერი" (1999), „თეატრალური ბლუზი" (2002), „ნაზი მხეცი" (2003), „ფილიპეს ყურე" (2004-05); „რუსული სამკუთხედი" (2007). დაჯილდოებულია: კ/ს თბილისის სტუდენტური ფილმების ფესტივალ „ამირანი"-ს I პრიზით (1986); ფილმი „ლაქა" (შეისყიდა BBC-მ); ტელეფილმების მინსკის საკავშირო და კოშალინის (პოლონეთი) საერთაშ. ფესტივალების პრიზებით საუკეთესო რეჟისურისათვის, ლოკარნოს (შვედეთი) საერთაშ. ფესტივალის ვერცხლის პრიზით (1987); ფილმი „ღამის ცეკვა" — სალონიკის საერთაშ. კინოფესტივალის I პრიზით (1991), საქ. კინოაკადემიის 3 მთ. პრიზით (1997); ფილმს „მარტოობის ორდენის კავალერი" მიღებული აქვს რიგის საერთაშ. კინოფესტივალ „არსენალი"-ს გრან-პრი (2000); ფილმს „რუსული სამკუთხედი" — მოსკოვის საერთაშ. კინოფესტივალის სპეც. პრიზი „ვერცხლის გიორგი" (2007), პრიზი საუკეთესო ფილმისათვის მოსკოვის საერთაშ. კინოფესტივალზე „ნიკა" (2008). ამჟამად მუშაობს მხ. ფილმზე „რენე მიდის ჰოლივუდში". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მუსიკა, ლიტერატურა.

მისამართი: (ბინის) ს.ჩიქოვანის 24. ბ. 5 თბილისი. ტელ: 36 40 91.

**ღმერთმა შექმნა ადამიანი, თუ ხელოვნებამ შექმნა ღმერთი — საკითხავია.**

## გიორგი ცაგარეიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 7 მარტს. მშობლები: ლუიზა ჩიქვინიძე, ოთარ ცაგარეიშვილი; მეუღლე — ეკა კვიტაშვილი (1971); შვილები: ზურაბი (1992), ირინა (1997). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1995). იყო შსს განყ-ბის უფროსი (1995-99); შპს „ყაზბეგი-კასტელისა" და სს „ყაზბეგის" იურიდიული სამსახურის უფროსი (2000-04). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ფრაქციის გარეშე"-ს და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2008). იყო პოლიტიკური პარტიის — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" პოლიტიკური მდივანი (2005-07); პ/გ „ერთიანი საქართველოსათვის" პოლიტიკური მდივანი (2007-08). ეროვნული საბჭოს წევრი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. დემოკრატიული პარტიის გენ. მდივანი; გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: წიგნების შეგროვება. რაგბის ყურება.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 99 60 40. (ბინის) ფალიაშვილი 49. თბილისი. ტელ: 22 28 87.

**ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული, უსაზღვრო ოპტიმიზმი, საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი.**

# თამილა ცაგარეიშვილი

საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პრეზიდენტი. ეთნოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 23 მარტს. მშობლები: ნინო ჯიბლაძე, შალვა ცაგარეიშვილი; მეუღლე — მერაბ ძულიაშვილი (1935-1994); შვილები: ნინო (1969), არჩილი (1970). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1964), ასპირანტურა (1968). იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1970-2006), საქ. და კავკასიის ეთნოგრაფიული სექტორის სწავლული მდივანი, თავრის მოადგილე; თსუ ეთნოლოგიის კათედრის დოცენტი (1988-99), პროფესორი (2000 წლიდან); გ.ჩიტაიას სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის ეთნოგრაფიული კაბინეტ-არქივის ხელმძღვანელი (1986-2006); ბააზოვის სახ. საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1995-2008); საქ. ეროვნ. მუზეუმის ეთნოგრაფიული პროექტის მენეჯერი (2006), ეთნ. მიმართ. კურატორი (2008 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მესაქონლეობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)" (1975), სადოქტორო — „ტყეთსარგებლობის ეთნოეკოლოგიური კულტურა საქართველოში" (2000). არის შემდგენელი-რედაქტორი აკად. გ.ჩიტაიას „შრომების" ხუთტომეულისა, რომელიც შესულია ქართული ეროვნ. მეცნიერების ოქროს ფონდში (1997-2004). გამოქვეყნებული აქვს 130 სამეცნ. ნაშრომი, აქედან 8 მონოგრაფია, მათ შორის: „ტრადიციული კულტურა და ეკოსისტემები" (ქართ. და ინგლ. ენებზე, 2000), „საქართველოს ეთნოკულტურული მემკვიდრეობა" (რუს. და ინგლ. ენებზე, 2004, 2009), „ქართველები" (კრებ. „ეთნოსები საქართველოში", 2008); „ძველი მინათმოქმედი ხალხის სამყარო" (კრებ. „საქმიანი საქართველო, გაეაცნოთ საქართველო მსოფლიოს" — ქართ. და ინგლ. ენებზე, 2008); „ეთნოგრაფიული თბილისი", „ძველი თბილისის კოლორიტული სახეები" (კრებ. „დედაქალაქი" — ქართ. და ინგლ. ენებზე, 2008). იყო ხელმძღვანელი: პროექტისა „ბუნება და ადამიანი XX ს-ის ბოლოს და XXI ს-ის დასაწყისში" (1998); ეთნოგრაფიული ექსპედიციებისა — მთიულეთი-გუდამაყარი (1998), ფშავ-ხევსურეთი (1999), რაჭა (2000), ხევსურეთი-კახეთი (2001), აჭარა (2002), თუშეთი (2003), ტაო-კლარჯეთი (2005); სატელევიზიო შემეცნებითი ციკლისა — „რაჭის იტორიული ძეგლები", „მოგზაურობა საქართველოში", „აკადემიკოსი გ.ჩიტაია", „სტუდენტთა საველე პრაქტიკა". არის 7 ფოტო-გამოფენის ავტორი; 9 საერთაშ. კონფერენციის მონაწილე (1996-2009); ეთნოგრაფიული წერილების სერიის კონსულტანტი ინგლისურენოვან გაზეთში "Georgian Journal". 1997 წლიდან არის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ფონდის დამფუძნებელი და მუზეუმ-სახლის ექსპოზიციის ავტორი, პრეზიდენტი (2008 წლიდან). ფონდის ეგიდით გამოიცა გ.ჩიტაიას შრომების ხუთტომეული, ზ. წერეთლის „ეთნოგრაფიული ალბომი" (1997-2001); ქართულ-გერმანული კრებული „მოგზაურობა საქართველოში" (2003). არის საქ. პრეზიდენტთან არსებული მეცნ. და ტექნიკის დარგის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004); კავკასიის საერთაშ. სამეცნ. კვლევითი ინ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი (2003 წლიდან); მსოფლიო ისტორიისა და ლიტერატურის ნარკვევების მთ. მრჩეველი ეთნოლოგიის დარგში (2005 წლიდან); აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის მრჩეველთა საბჭოს წევრი (2003 წლიდან); საქ. ეროვნ. მუზეუმის დიდი სამეცნ. საბჭოს წევრი (2008 წლიდან); საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კომისიის წევრი (2008 წლიდან); კავკასიის ქვეყნებთან სამეცნ. თანამშრომლობის კომისიის წევრი (2009 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია აშშ ბიოგრაფიული ინ-ტის საერთაშ. ცნობარში „ვინ ვინ არის, პროფესიონალი და ბიზნეს ქალბატონი" (2002).

ჰობი: მოგზაურობა, ფოტოგრაფია.

მისამართი: (სამსახურის) გოგებაშვილის 33, თბილისი. ტელ: 25 10 36. (ბინის) ბაქრაძის 16, თბილისი. ტელ: 93 29 14. ელ-ფოსტა: tsagareishvilit@mail.ru, geofund@gmail.com

**შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, პრინციპულობა და პროფესიის სიყვარული. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება არის ნაყოფი ქართულ სამეცნიერო წრეში გატარებული ათწლეულებისა იმ რჩეულ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, რომელნიც სულიერი კეთილშობილებისა და თავმდაბლობის მაგალითს გვაძლევდნენ, გვილვიძებდნენ სამშობლოს, მისი კულტურისა და ისტორიის სიყვარულს. ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის დაცვა-პოპულარიზაცია და განვითარება, რათა გლობალიზაციის ეპოქაში არ ჩაიკარგოს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა.**

## ვალერი ცერცვაძე



თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. იუსტიციის მრჩეველი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 14 დეკემბერს. მშობლები: მარიამ და მურთაზ ცერცვაძეები; მეუღლე — გვანცა მიქუჭაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1999). იყო საქ. იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან მუშაობის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის მრჩეველი (1999-2001); ნორმატიული აქტების ექსპერტიზის დეპ-ტის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის სექტორის უფროსი და დეპ-ტის უფროსი (2001); პარლამენტთან ურთიერთობის და კანონშემოქმედებითი საქმიანობის დეპ-ტის (2001-02) და ნორმატიული აქტების რეგისტრაციის, კოდიფიკაციისა და სამართლებრივი ინფორმატიზაციის დეპ-ტის (2002-04) უფროსი; საქ. უშიშროების სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპ-ტის უფროსის მოადგილე (2004); საქ. გენ. პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (2004), დეპ-ტის უფროსი (2004-05). 2005 წლიდან არის საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და მდივანი; 2007 წლიდან — თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. მინიჭებული აქვს იუსტიციის მრჩევლის სახელმწ. წოდება (2004).
ჰობი: ფოტოსურათების გადაღება, მოგზაურობა, ნადირობა და თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) ბოჭორმის 12, თბილისი. ტელ: 27 31 00; ფაქსი: 27 31 01; გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი. ტელ: 53 09 17; ფაქსი: 53 09 32.
**ვარ ოპტიმისტი, შრომისმოყვარე, მაქვს მტკიცე ნებისყოფა. ვფიქრობ მაქვს უნარი, ღრმად შევისწავლო და კარგად გავერკვე საკითხებში. წარმატების მისაღწევად აუცილებელია გულით მოეკიდო და გიყვარდეს შენი საქმე — ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გამოგივა. საქმე არ უნდა აკეთო მხოლოდ იმისათვის, რომ ეს შენი მოვალეობაა და ამისათვის ხელფასს გიხდიან. ჩემი იდეალია კარგი ოჯახი და განვითარებული ქვეყანა. გულწრფელად მსურს, მეც შევიტანო მოკრძალებული წვლილი ქვეყნის განვითარების საქმეში.**

## მამუკა ცეცხლაძე



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: ლეილა დოლიძე, კარლო ცეცხლაძე; მეუღლე — ლია შველიძე (1959); შვილები: ქეთინო (1985), ლუკა (1989), ელენე (2001). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1986). მონაწილეობდა გამოფენებში: სასტ. „მარიოტში" (თბილისი 2000); "Дуга стабильности" (პეტერბურგი, 2002); „ვენეცია" (ქარვასლა, თბილისი, 2004), ლონდონში (2004), „ოჯახი" (პარიზი); „ვეფხისტყაოსანი" (TBC ბანკის საგ. დარბაზი, გალ. „ვერნისაჟი", გალ. „ბაია" — 2006; პარიზი 2007); მამუკა ცეცხლაძე და ლია შველიძე (2008; ბაქო, პოლონეთი — 2009); გალ. „აფშერონი" (ბაქო, 2009); სიმპოზიუმებში: დრამა (საბერძნეთი, 2000); ქუთაისი (2002). მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო აუქციონზე "Doyle" (ნიუ-იორკი — 2004). არის მხატვარი ფილმებისა — „ახალი წელი" და „როდესაც ჩაიქროლებს, რაც ვერ ჩაივლის"; გაფორმებული აქვს წიგნი „მოგითხრობთ ვეფხისტყაოსანი" (2008); იყო თბილისის I თანამედროვე ხელოვნების საერთაშ. ბიენალეს კურატორი; ავტორი პროექტებისა: „ჩრდილში", გენდერული პროექტი (თბილისი,2006). არის სამხატვრო სტუდიის — „ხელშემწყობთა საზოგადოება" — დამფუძნებელი; მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნახატების შეგროვება. კითხვა. კინოფილმები.
მისამართი: (ბინის) ფანასკერტელის ქ. XX კორპ, ბ.2, თბილისი. ტელ: 33 45 72.
**ოცდაათ წლამდე იქნება, რაც სერიოზულად ვმუშაობ მხატვრობაში. იყო მხატვარი — ეს დიდი პასუხისმგებლობაა და დიდი პატივი. ძალიან ძნელია და ამავე დროს ძალიან ადვილი, ეს ხომ ადამიანის ტრაგედიაც არის და ბედნიერებაც — ეცადო არ მოიტყუო. ეს თვალნათლივ ჩანს. არ უნდა შეგეძლოს მხატვრობის გარეშე ცხოვრება და თუ შეგიძლია, ე. ი. მხატვარი არ ხარ!**

## ნოდარ ცინცაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1930 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ოლღა ჭილაშვილი, ლევან ცინცაძე; მეუღლე — ნელი გულდამაშვილი (1948); შვილები: ია (1968), ლევანი (1969). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1955). იყო ფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1975-88). არის ფიზიკის ინ-ტის პლაზმის ფიზიკის განყ-ბის გამგე 1960 წლიდან. იყო თსუ კათედრის გამგე (1975-2006), პროფესორია 1965 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "Сильноточные электронные пучки" (1958), სადოქტორო — "Нелинейные взаимодействия в неравномерной плазме" (1964). არის 300-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის და 7 მონოგრაფიის ავტორი. არის განათლების დამს. მუშაკი; მეცნ. დამს. მოღვაწე; ხიროსიმის სინთეზის თეორიის ინ-ტის საპატიო წევრი და მსოფლიოს პლაზმის ფიზიკის საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია ხვარაზმის მე-14 საერთაშ. პრემიით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: სსრკ სამეცნ. ცნობარი, "Outstanding People of the 20th Century" (IBC, 1998), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის მიერ აღიარებულია 1998 წლის ადამიანად.
ჰობი: ფერწერა, კლასიკური მუსიკა. სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 6. ტელ: 39 19 68. (ბინის) კოსტავას 63. ტელ: 33 16 33.
**შრომა, პატიოსანი და კეთილმოსურნე ურთიერთობები, ოჯახის ძლიერება და სამაგალითო საქციელი. შვილების კარგ მოქალაქეებად გაზრდა. საქართველოში მეცნიერებისა და განათლების საფუძვლიანი განვითარება, შემოქმედი მეცნიერი ახალგაზრდების აღზრდა.**

## ირაკლი ცირეკიძე



სპორტსმენი. მოჭიდავე. მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დაიბადა ქუთაისში 1982 წ. 3 მაისს. მშობლები: ზეინაბ არაბიძე, ზურაბ ცირეკიძე; მეუღლე — ქეთევან ხეცურიანი (1987); შვილი — ელენე (2007). დაამთავრა სპი ჰიდროენერგეტიკის ფაკ-ტი (2004). 2007 წლიდან მუშაობს ზაჰესში ინჟინრად. არის საქ. და საერთაშ. ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული ძიუდოში; მსოფლიო თასის მფლობელი (2006, 2007, 2008); მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში (2007); ოლიმპიური ჩემპიონი (2008); ევროპის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების პრიზიორი (2007, 2008); ევროპის (2007) და მსოფლიო (2006, 2008) გუნდური ჩემპიონატების გამარჯვებული. არის ღირსების ორდენის კავალერი (2007, 2008); 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენი.
ჰობი: სპორტი და ნადირობა.
მისამართი: (ბინის) სულხან-საბას 77, ქუთაისი. ტელ: 877 994401.
**მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა. რწმენა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.**

## პეტრე ცისკარიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 27 თებერვალს. მშობლები: მედეა კობახიძე, გია ცისკარიშვილი; მეუღლე — ანა სურმავა (1979); შვილი — ნიკუშა (2002). დაამთავრა თსუ საერთაშ. ურთიერთობებისა და სამართლის ფაკ-ტი (1992); ოქსბურგის ინ-ტი (აშშ, 1997); ევროსაბჭოს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა ბაკალავრის ხარისხით (2002). იყო საქ. მრეწველობის სამინისტროს საერთაშ. ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი (1997-98); სს „ქართუ ჯგუფის" ფინანსური მენეჯერი (1998-99); საქ. პარლამენტის წევრი, მაკროეკონომიკური რეგულირებისა და ინვესტიციების ქვეკომიტეტის თავ-რე (1999); სშს მინისტრის მოადგ-

ილე (2003); საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებული კახეთის მხარეში (2004-07); საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავ-რე; საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი. არის საქ. კრივის ფედ-ის პრეზიდენტი (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: სათხილამურო სპორტი, სერფინგი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. თბილისი 0118. (ბინის) ყიფშიძის ქ. 6 ბ/75. თბილისი.
**ჩემი დიდი სურვილი და მიზანი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს, განვითარებული ტურიზმისა და ეკონომიკის მქონე ქვეყნის მშენებლობაში აქტიური როლის შესრულებაა. საქართველომ, როგორც სახელმწიფომ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ევროპის სახელმწიფოთა შორის, რადგან როგორც დიდი სატრანზიტო და სამრეწველო პოტენციალის მქონე ქვეყანას, მას ამის რეალური საშუალება გააჩნია. ჩემი პრინციპები და იდეალები, რომლითაც ვხელმძღვანელობ და ჩემი აზრით, წარმატების მიღწევაში მეხმარება, ამ მიზნის განხორციელების გზაზე მიზნისადმი ერთგულება, მიზანდასახულობა, აქტიურობა და დინამიურობა. ადამიანებთან ურთიერთობაში კი — ობიექტურობა, სამართლიანობა და ჰუმანურობა.**

## მარიამ ცისკაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.



დაიბადა თბილისში 1960 წ. 19 ნოემბერს. მშობლები: ანა გლოველი, ივანე ცისკაძე; მეუღლე — თეიმურაზ კუტივაძე (1955); შვილი — კონსტანტინე (2002). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1982). იყო სახელმწ. და სამართლის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1982-91); თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (1991-98); სააპელაციო (1998-99) და უზენაესი სასამართლოს (1999 წლიდან) მოსამართლე. არის თსუ იურიდიული ფაკ-ტის ასოც. პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საკუთრების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები“ (1989). ქართულ და გერმანულ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“, „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: მოგზაურობა საქართველოში და საზღვარგარეთ. კლასიკური, განსაკუთრებით, საოპერო მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 0110. (ბინის) ყიფშიძის 5. ტელ: 25 10 24
**კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, ზნეობა, მხოლოდ კანონისადმი ერთგულება. ჩემი სამოსამართლეო პრაქტიკის დიდ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ პროცესზე წაგებული მხარე მადლობას მიხდის თავისი უკანონო მოთხოვნის დარწმუნებაში. ხოლო პედაგოგიური საქმიანობის წარმატებაა, როცა სტუდენტი კმაყოფილია წაკითხული ლექციით და ობიექტური შეფასებით. ოპტიმიზმი ქართული სულის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრულყოფისა და განმტკიცების მიმართ. ერისთვის ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა.**

## გიორგი ციციშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ქიმიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1915 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ქსენია და ვლადიმერ ციციშვილები; მეუღლე — ლიდა ფილიპოვა-ციციშვილი (1919-2008); შვილები: ელენე (1941), ვლადიმერი (1947). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1937), ასპირანტურა (1940). იყო თსუ უფრ. მასწავლებელი (1940-42), დოცენტი (1942-49); პროფესორია 1949 წლიდან. იყო ქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1941-47), დირექტორი, ლაბორატორიის გამგე (1947-89); არის საპატიო დირექტორი (1989 წლიდან). იყო მეცნ. აკად-ის პრეზიდიუმის წევრი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1963-88), არის პრეზიდიუმის მრჩეველი (1988 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „წყალბადური ბმის თეორია“ (1940); სადოქტორო — „ფტორწყალბადისა და სხვა ჰალოგენწყალბადების მოლეკულათაშორისი

ურთიერთქმედება და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები" (1947). არის 600-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი; თანაავტორი წიგნებისა: „ბუნებრივი ცეოლითები" (1985, 1990, 1992), „ბუნებრივი ცეოლითები და გარემოს დაცვა" (1995), „კვანტური ქიმია" (1996). არის მელიქიშვილისა (1965) და თვალჭრელიძის (1987) სახ. და სსრკ მინისტრთა საბჭოს (1990) პრემიების ლაურეატი; ჯ.სოროსის საერთაშ. სამეცნ. ფონდის საპატიო პროფესორი (1994); მეცნ. დამს. მოღვაწე და შრომის ვეტერანი (1985); ქიმიური საზ-ბის გამგეობის წევრი; ცეოლითების ასოც-ის დამაარსებელი და თავ-რე; ქართული ენციკლოპედიის მთ. სარედაქციო კოლეგიის წევრი; ქიმიური ტერმინოლოგიის ოთხენოვანი ლექსიკონის რედაქტორი; მეცნ. აკად-ის „მოამბის" ქიმიის სერიის დამარსებელი და პირველი რედაქტორი (1975). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებსა და გამოცემებში: „Химики" (Киев, 1984); "Выдающиеся химики мира" (Москва, 1991); Men of Achievement ; " Who's Who" (IBC), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნები და ჟურნალები ქიმიისა და ფიზიკის დარგში. მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 0108. ტელ: 99 72 32; 99 54 80. ფაქსი: 99 88 23. (ბინის) უზნაძის 2, თბილისი. ტელ: 95 61 26. ელ-ფოსტა: devi@kheta.pasgl.georgia.su

**დავრწმუნდი, რომ ბეჯითი სწავლა და შრომა წარმატების საწინდარია, ცხოვრებისეულ მაგალითად მივიჩნევდი მშობლებს, მასწავლებლებს და უფროს კოლეგებს. არ დამიზოგავს ძალ-ღონე, რომ მოკრძალებული წვლილი შემეტანა მშობლიური ქვეყნის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარებაში. ვცდილობდი, რომ ჩემი ცოდნა-გამოცდილება გადამეცა ახალგაზრდებისათვის და მხარი დამეჭირა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლისათვის.**

## ვლადიმერ ციციშვილი



სსიპ პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ქიმიკოსი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 17 მარტს. მშობლები: ლიდია ფილიპოვა, გიორგი ციციშვილი; მეუღლე — ნინო ციციშვილი (1948); შვილები: ელენე (1972), გიორგი (1976). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1970). იყო სსრკ მეცნ. აკად-ის ელემენტორგანული ნაერთების ინ-ტის ბირთვული მაგნიტური რეზონანსის ლაბორატორიის თანამშრომელი (1971-73); კიბერნეტიკის ინ-ტის ქიმიური კიბერნეტიკის განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი (1970-78); ი.ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტისა და ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიის რესპ. ცენტრის ხელმძღვანელი (1978-90); ბერლინის ფიზიკური ქიმიის ცენტრ. ინ-ტისა და ლაიპციგის უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტის თანამშრომელი (1981, 1983); თსუ ფიზიკური ქიმიის კათედრის პროფესორი (1991-2005); ლონდონის დავი-ფარადეის, მანჩესტერის უნ-ტის ფოროვანი მასალების და ედინბურგის უნ-ტის მასალათმცოდნეობის ლაბორატორიების თანამშრომელი (1993); ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგე, დირექტორის მოადგილე (1990-2006); ამავე ინ-ტის დირექტორია 2006 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბირთვული მაგნიტური რელაქსაცია ჰეტეროდინამიურ სისტემებში" (1988). არის 200-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი; საქ. მეცნ. აკად-ის წევრ-კორესპონდენტი; საქ. ეკოლოგიურ მეცნ. აკად-ის წევრი (1995 წლიდან); შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტის პროფესორი (1996 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წერა და კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ჯიქიას 9, თბილისი. ტელ: 54 15 68. (ბინის) წერეთლის გამზ. 91, ბ. 40. თბილისი. ტელ: 35 31 85. ელ-ფოსტა: v.tsitsishvili@googlemail.com

**ვემსახურები მეცნიერებას.**

## ავთანდილ ცქვიტინიძე



მოდელიორ-დიზაინერი.

დაიბადა ოზურგეთში 1973 წ. 24 ივლისს. მშობლები: ნადეჟდა ცეცხლაძე, ტარიელ ცქვიტინიძე; მეუღლე — ხათუნა თოთლაძე (1980); შვილი — ანასტასია (2005). დაამთავრა თსსა (1995). იყო სამკერვალო ფაბრიკა

„იმერეთის" დიზაინერი. 2000 წლიდან არის მოდის სახლის — „ავთანდილი" — მთ. დიზაინერი და დირექტორი. გამართული აქვს კოლექციების ჩვენება: მოდის ფესტივალზე „ამა" (თბილისი, 1995); კავკასიის დიზაინერთა ფესტივალზე (ბაქო, 1996), "Sheraton Metechi Palace" (თბილისი, 1999); „ესპანური ბაზარი" (თბილისი, 2001); „ქალი წარსულიდან" და „მარლენ დიტრიხი" (თბილისი, 2002); „აზიური ღამე" (თბილისი, 2003); რუსეთის (2003, 2004), რომის (2005), კიევის (2005, 2006, 2007, 2008, 2009), ათენის (2006, 2007,2008), დუბაის (2007), თბილისის და ალმა-ატის (2009) მოდის კვირეულებზე; „May Fashion" (მოსკოვი, 2005); "Night office" (თბილისი. 2006); "TRAIN" (ნიუ-იორკი, 2007); საახალწლო ფესტივალი მეიდანზე (თბილისი, 2008) და სხვ. მიღებული აქვს კავკასიის დიზაინერთა ფესტივალის გრან-პრი (1996); პრიზები — „კვირეულის აღმოჩენა" (რუსეთი, 2003) და „წლის საუკეთესო დიზაინერი" (საქართველო, 2004) არის მოსკოვის მაღალი მოდის ასოც-ის საპატიო წევრი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „სახეები", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კულინარია.
მისამართი: (სამსახურის) ფალიაშვილის 80, თბილისი. ტელ: 91 33 29.

## მიხეილ ცქიტიშვილი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ეკონომისტი.

დაიბადა ზესტაფონში 1973 წ. 30 ივნისს. მშობლები: დარეჯან საყვარელიძე, ბენო ცქიტიშვილი; მეუღლე — ნინო გვაზავა (1976); შვილი — თათია (2009). დაამთავრა თსუ საინჟინრო ეკონომიკის ფაკ-ტი (1996). მუშაობდა ნალკის რ-ნის საგადასახადო ინსპექციაში სხვადასხვა თანამდებობაზე; იყო ნალკის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის უფროსი (2000-04); ნალკის რ-ნის გამგებლის პირველი მოადგილე (2004-06); ნალკის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავ-რის მოადგილე; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 899 18 04 24. (ბინის) სტადიონის 62, ნალკა.
**წესიერება, პროფესიონალიზმი, თავმდაბლობა, პრინციპულობა, სამშობლოს სიყვარული და საქმისადმი ერთგულება. რელიგიურობა.**

## დავით ცხადაძე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე. ხელოვნებათმცოდნე. კინოოპერატორი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 3 აპრილს. მშობლები: ნონა ჩხაიძე, ოთარ ცხადაძე; მეუღლე — ნათია რამიშვილი (1963); შვილები: ლევანი (1983), ელენე (1992). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განყ-ბა (1985); თსთი კინოსაოპერატორო ფაკ-ტი (1993). იყო გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1986-2006); ტ/კ „იბერიის" სახელოვნებო გადაცემის თანაავტორი (1994); გაზ. „რეზონანსის" რეპორტიორი (1995-96); კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინტ-ის ხელნაწერთა ოპტიკური კვლევისა და ფიქსაციის ლაბ-ის გამგე (1996-2005); შპს ფოტოდოკუმენტალისტთა სტუდიის „სეპია"— დამფუძნებელი (1998); ფოტოდოკუმენტალისტთა კავშირის (NGO) დირექტორი (2000 წლიდან); ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ხელოვნებისა და კულტურის ნაც-რეგიონული პროგრამების ექსპერტი, კომისიის წევრი; ეროვნ. გალერეის დირექტორის მოადგილე (2006-07). არის მრავალი პუბლიკაციისა და სამუზეუმო პროექტის ავტორი; ჯგუფური (თბილისი-კლუბი 22, ბაქო) და პერსონალური (ეროვნ.გალ., გოეთეს ინ-ტი, თბილისი) ფოტოგამოფენების ავტორი; გადაღებული აქვს ფილმები: „სიზმარი"(მოკლემეტრ. 1988), „ფოტოგრაფი" (დოკ. 1989), „ქალბატონ მარიამის მოგზაურობა" (მხ-დოკ. 1992), „დიმა" (დოკ. 1994). არის არქიტექტორთა კავშირის წევრი.
მისამართი: (სამსახურის) სანაპიროს ქ. 4. თბილისი 0105. ტელ: 99 99 66; ფაქსი: 99 99 66. (ბინის) ვაშლოვანის ქ. 3.

## კახაბერ ძაგანია



საქართველოს პარლამენტის წევრი. ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი. ინჟინერ-ქიმიკოსი. იურისტი.

დაიბადა თბილისში 1970 წ. 28 ივლისს. მშობლები: ნანი და თამაზ ძაგანიები; მეუღლე — ნინო ძაგანია (1977); შვილი— ბექა (2003). დაამთავრა სტუ ორგანული ქიმიის (1992 ), თსუ იურიდიული (2000) ფაკ-ტები. არის დოქტორანტი (ადმინისტრაციული სამართალი, კანონის იერარქია). იყო სტუ თანამშრომელი (1992-94); სს „TEL EKO"-ს საერთაშ. დეპ-ტის ხელმძღვანელი (პოლონეთი); „იამარ-ჰოლდინგის" მენეჯერი (თურქეთი); საქ. პარლამენტის ფრაქცია „ლეიბორისტების" წევრი; თბილისის ვიცე პრემიერის აპარატის უფროსი; საკრებულოს წევრი. ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანია 1996 წლიდან. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი. არის ნყალბურთის ფედერაციის თავ-რე.
ჰობი: ცურვა, თხილამურები.
მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 88, თბილისი. ტელ: 91 16 17, 91 04 05. (ბინის) თამარაშვილის 1, თბილისი. ტელ: 22 76 71; ელ-ფოსტა: kakha_dzagania@yahoo.com
**ერთიანი, ძლიერი, სუვერენული, თავისუფალი, დამოუკიდებელი, იმპერიის ნიშნების კარგი გაგებით მატარებელი საქართველო. ქვეყანა, სადაც ხელისუფლების ძირითადი გამტარებელი იქნება ხალხი, სადაც ხალხი იქნება ბატონიც და პატრონიც. ჩემი წარმატების საფუძველი ხალხის უანგარო სამსახურია.**

## ნანა ძაგნიძე



მოჭადრაკე. ოლიმპიური ჩემპიონი. საერთაშორისო დიდოსტატი. იურისტი.

დაიბადა ქუთაისში 1987 წ. 1 იანვარს. მშობლები: აზა ჭეიშვილი, ზურაბ ძაგნიძე. დაამთავრა დავით აღმაშენებლის სახელობის უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (2008). არის საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი; 2008 წლის ოლიმიური ჩემპიონი; მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული; ევროპის საკლუბო ჩემპიონატების გამარჯვებული; საერთაშორისო დიდოსტატი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2008).
მისამართი: (ბინის) ყიფშიძის 10, თბილისი. ტელ: 57 22 38.

## ზვიად ძიძიგური



საქართველოს კონსერვატიული პარტიის ლიდერი. ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა აბაშის რ-ნის სოფ. მარანში 1964 წ. 31 ოქტომბერს. მშობლები: ნაზი ბზიავა, ვალიკო ძიძიგური; მეუღლე — ეკატერინე კუტალია (1972); შვილები: გიორგი (2002), დემნა (2003), ალექსანდრე (2004), ვაჩე (2008). დაამთავრა სტუ სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტი. იყო წულუკიძის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია რგ „საქაგრომშენის" II სამშ. ტრესტის მშენებელი ოსტატი (1986); სამტრედიის რგ „საქაგრომშენის" II სამშ. ტრესტის ინჟინერი (1987), ტექნიკური განყ-ბის გეოდეზისტი (1989) და 21-ე მოძრავ მექანიზებული კოლონის უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი (1990); უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-91); სამტრედიის პრეფექტი (1991-92); საქ. პრეზიდენტის საგანგებო პოლიტიკური რწმუნებული იმერეთის მხარეში (1992-93); პოლიტპატიმარი (1995-2000); პოლიტიკური პარტიის „ეროვნულ ძალთა გაერთიანება—კონსერვატორები" — თავ-რე (2001-02); საარჩევნო ბლოკ „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტის" თანათავ-რე (2002-03); თბილისის საკრებულოს წევრი (2002); კონსერვატიული პარტიის თანათავ-რე (2004). იყო საქ. პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი (2004-08). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება.
მისამართი: (ბინის) ჩოლოყაშვილის 54, თბილისი. ტელ: 77 07 01.
**ვიცხოვრო ისე, როგორც ჩემს ქვეყანას გამოადგება.**

## გიორგი (გიგი) წერეთელი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ექიმი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 23 თებერვალს. მშობლები: აზა ანთელავა, ნუგზარ წერეთელი; მეუღლე — ეკა კანდელაკი (1966); შვილები: ნუგზარი (1990), ნიკოლოზი (2002). დაამთავრა თსსუ სამკურნალო ფაკ-ტი (1986), ორდინატურა (1989); თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2000); გაიარა კლ. ორდინატურის სრული კურსი კლინიკური და ექსპერიმენტ. ნევროლოგიის ინ-ტში (1987-89); მიღებული აქვს ბოსტონის უნ-ტის საზ-ბრივი ჯანდაცვის სკოლის საერთაშ. ჯანდაცვის ეკონომიკისა და ფინანსების სერტიფიკატი (2005). იყო ცენტრ. რესპ. საავადმყოფოს ნევროლოგიური განყ-ბის ექიმი-ინტერნი (1986-87); ცენტრ. რესპ. კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინ-ტის ექიმი-ნევროლოგი (1989-93); საერთაშ. კომპანიის ხელმძღვანელი უცხოეთში (1993-95); თბილისის მერიის სოც. საკითხთა დეპ-ტის თავ-რის პირველი მოადგილე (1995); თბილისის ვაკის რ-ნის გამგეობის თავ-რე (1995-96); თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი (1996-98); თბილისის საკრებულოს წევრი და ფრაქცია „თბილისის" თავ-რე (1998-99); საქ. პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. იყო რეგიონ. პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავ-რე (1999-2000); საქ. პარლამენტის თავ-რის მოადგილე (2000-03), პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს თავ-რე, პარლამენტის თავ-რის მოვალეობის შემსრულებელი (2003-04); საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, მთავრობის ვიცე-პრემიერი (2004); საქ. პარლამენტის ჯანდაცვისა და სოც. საკითხთა კომიტეტის თავ-რე (2004-08). 2008 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის თავ-რის მოადგილე; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოსა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; აშშ საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, ევროპის საპარლამენტო ფორუმის (EPF) ალმას. კომიტეტის წევრი; საქ. პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები ნევროლოგიურ დაავადებათა იმონოლოგიურ ასპექტებზე. არის დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიის ასოციაციათა კავშირის საპატიო პრეზიდენტი; ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ეროვნ. ალიანსის თავ-რე. საჭადრაკო კლუბ "NTN"-სა და მაგიდის ჩოგბურთის ფედ-ის საპატიო პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნები. ინტერნეტი. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118.
**ყოველთვის ვიყო საჭირო და სასარგებლო საზოგადოებისათვის, რომელშიც ვცხოვრობ.**

## გიორგი (გოგი) წერეთელი



საქართველოს დამსახურებული მხატვარი. პროფესორი.

დაიბადა ლანჩხუთში 1944 წ. 25 თებერვალს. მშობლები: თამარ და გალაქტიონ წერეთლები; მეუღლე — ნანა ცინცაძე (1947); შვილები: ვახტანგი (1975), ირინე (1979). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის გრაფიკის განყოფილება (1970). მუშაობდა: სსრკ სამხ. აკად-ის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1976-80); იყო გამომც. „საბჭოთა საქართველოს" მხატვარი-რედაქტორი (1972-76); მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი კოლეგიის მთ. მხატვარი (1976-80); საქ. მხატ. კავშირის მდივანი (1987-1995). არის თსსა გრაფიკის კათედრის პროფესორი; მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი (1987 წლიდან); ჟურ. „ცისკრის" მხ. რედაქტორი (1997 წლიდან); თსსა გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი (1994 წლიდან). გაფორმებული აქვს წიგნები: მ.ლებანიძე „ორტომეული" (2003), ექვსტომეული და „მურმან ლებანიძის შედევრები"(სამტომეული); ე.ონიანი, „ფერწერა, პოეზია, ესეები"; გ.თოიძე, „ფერწერა, გრაფიკა"; რ.ჭეიშვილი, „რჩეული, სამტომეული" (I,II ტ.); ტერენტი გრანელი, „Memento Mori"; მ.მაჭავარიანი, „რჩეული"; „ვენახი, ღვინო და ქართველები" (4 ენაზე); „სამთავრო, წმინდა ნინოს დედათა მონასტერი"; „თბილისი — ქუჩები, მოედნები, გამზირები" (ენციკლოპედია) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია ლუდვიგის (გერმანია), რიო დე-ჟანეიროსა და სოფიის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში; აშშ, გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, რუსეთის, საქართველოს კერძო კოლექციებში. არის საქ. სახელმწ.

პრემიის ლაურეატი (1999), საქ. დამს. მხატვარი (1985); განათლების მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია მხატვ. კავშირის პრემიით — „წლის საუკეთესო ნამუშევარი" (1985), ვარნის გრაფიკის საერთაშ. (1985) და ა/კ მხატვართა ბიენალეს (1986) ვერცხლის მედლით. არის ღირსების ორდენის კავალერი (2002). არის მხატვ. კავშირის წევრი (1972). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეგობრებთან ყოფნა.
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი. (ბინის) ზალდასტანიშვილის 9, თბილისი. ტელ. 92 28 16; 895 182816.
**ყოველდღიური შრომა, პროფესიონალიზმი, გულწრფელობა.**

## ზურაბ წერეთელი



მხატვარი. რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი.
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

დაიბადა თბილისში 1934 წ. 4 იანვარს. მშობლები თამარ ნიჟარაძე, კონსტანტინე წერეთელი; მეუღლე — ინესა ანდრონიკაშვილი (1937-1998); შვილი — ელენე (1959). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკულტეტი (1958); იყო საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის ეთნოგრაფიის განყბის მხატვარ-არქიტექტორი (1959-66); მხატვართა კავშირის ფონდის მთ. მხატვარი (1965); თსსა პროფესორი (1982), მონუმენტურ-დეკორატიული კათედრის გამგე (1983); დიზაინერთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი (1987); რუსეთის სამხატვრო აკად-ის ვიცე-პრეზიდენტი (1992-97). არის რუსეთის სამხატვრო აკად-ის პრეზიდენტი (1997 წლიდან); მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი (1999); ზ.წერეთლის ხელოვნების გალერეის დირექტორი (2000). მუშაობს დაზგური და მონუმენტური ხელოვნების ყველა ჟანრში. არის ავტორი 3000-ზე მეტი ფერწერული ნამუშევრისა და მონუმენტური ქანდაკებებისა, რომლებიც დადგმულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (საქართველო, რუსეთი, აშშ, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, თურქეთი, ურუგვაი, იტალია, ისრაელი), მათ შორის: პრომეთე (აშშ, 1979), „ბედნიერება მსოფლიოს ბავშვებს" (აშშ, 1979); „ადამიანი და მზე" (თბილისი, 1981); „უნდობლობის კედლის დანგრევა" (ინგლისი, 1989); „ბოროტსა სძლია კეთილმან" (აშშ, 1990); წმიდა ნინოს ძეგლი (თბილისი, 1984-94); მხატვრულ-არქიტექტურული კომპლექსი „საქართველოს მატიანე" (თბილისი, 1989-2009); „ახალი ადამიანის დაბადება" (საფრანგეთი, 1994; სევილია, 1995); „ახალი ქვეყნის დაბადება" (აშშ, 1995); „ხალხთა ტრაგედია" (რუსეთი, 1996); „პეტრე I" (მოსკოვი, 1996-97); კოლუმბის ძეგლი (ესპანეთი, 1996); ონორე დე ბალზაკის ქანდაკება (საფრანგეთი, 2004); წმ. გიორგის ძეგლი (თბილისი, 2007) და სხვ. ტიხრულ მინანქარში შესრულებული აქვს: „წმ. გიორგი", „ქრისტე", „ლაზარეს აღდგინება", „საიდუმლო სერობა", „ქრისტეს დაბრუნება ისრაელში", საქართველოს სახელმწიფო გერბი და სხვ. შექმნა მოზაიკური კომპოზიციები: საკურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში (1967), თბილისის ავტოსადგური (1972), რესტორანი „არაგვი" (1972), გამარჯვების პარკი (1973); საბავშვო კომპლექსი ადლერში (1970-73), „კოლხიდა" (სოფ. ხობი, 1975); სასტ. „იზმაილოვის" კულტურის ცენტრი (მოსკოვი, 1980); სასტუმრო „სპორტი" (მოსკოვი, 1980); თბილისის განათლების სახლი (1982), ფეოდოროვის თვალის კლინიკა (მოსკოვი, 1983); საქართველოს კულტურის ცენტრი „მზიური" (მოსკოვი, 1987); ზოოპარკი (მოსკოვი, 1996); მანეჟის მოედნის „ოხოტნი რიადის" მხატვრულ-დიზაინერული პროექტი (მოსკოვი, 1997); მაცხოვრის ტაძრის რეკონსტრუქცია (1996-2000). გაფორმებული აქვს რუსეთის ფედერაციის საელჩოები აშშ-ში, იაპონიაში, ბრაზილიაში, პორტუგალიასა და სირიაში. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: საქართველო (თბილისი), რუსეთი (მოსკოვი, პეტერბურგი); აშშ (ნიუ-იორკი), საფრანგეთი (პარიზი), თურქეთი (ანკარა, სტამბოლი); ჩინეთი (ხარბინი), ბულგარეთი (პლოვდივი), ესპანეთი და სხვ. არის რუსეთის სამხატვრო აკად-ის აკადემიკოსი (1989); საქართველოს მეცნ. ეროვნული აკად-ის აკადემიკოსი (1997); რუსეთის შემოქმედებითი აკად-ის ნამდვილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი (1992), მსოფლიო ელიტის აკად-ის აკადემიკოსი (1997), რუსეთის ინფორმატიკის აკად-ის ნამდვილი წევრი (ვიცე-პრეზიდენტი) (1998), სან-ფერდინანდის (მადრიდი) ნატიფი ხელოვნების სამეფო აკად-ის წევრ-კორესპონდენტი (1998), ბროკპორტის (აშშ) ნატიფი ხელოვნების უნ-ტის (1997), ნიუ-იორკისა (1978) და მოსკოვის (2003) სახელმწიფო უნ-ტების საპატიო პროფესორი; იუნესკოს კეთილი ნების ელჩი (1996). არის საქართველოს (1978), სსრკ (1979) და რუსეთის ფედერაციის (1993) სახალხო მხატვარი. არის ხალხთა მეგობრობის (1994), წმ. კონსტანტინეს (1996), ღირსების ორდენის (1996) კავალერი; პაბლო პიკასოს (1994), სსრკ 2-გზის სახელმწიფო (1978, 1983); რუსეთის სახელმწიფო (1996), ლენინური (1976), საქართველოს სახელმწიფო (2004) პრემიების ლაურეატი; თანამე-

დროვე ხელოვნების პრიზის — „ოქროს ხელის“ ლაურეატი (საფრანგეთი, 2000); პარიზის უმაღლესი ხარისხის — „ვერმეერის“ (1997), სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის III (1996) და II (2006) ხარისხის, გაბრიელ მისტრალის (2002), ხელოვნებისა და ლიტერატურის (2005), პიკასოს სახელობის იუნესკოს ოქროს (2007) ორდენების მფლობელი; საპატიო ჯვრის „კომბატან ვოლონტერის“ კავალერი (2000); საპატიო პრემიის — „მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის“ ლაურეატი (2008). მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიუ-იორკში, ტოკიოსა და ლონდონში. პარიზსა და ნიუ-იორკში დააარსა საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი (1992), მოსკოვში — თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, თბილისში — „საქართველოს მატიანის“ ძეგლ-მუზეუმი და ეთნოგრაფიული სახლ-მუზეუმი. 1999 წლიდან მეცენატობს საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს. მისი ბიოგრაფია შესულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (მოსკოვი, 1977); ქსე-ში (თბილისი, 1987); ენციკლოპედიაში „თბილისი“ (2002), ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში“ (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: მოგზაურობა. ჩოგბურთი.
მისამართი: ნ. ნიკოლაძის 7, თბილისი. ტელ: 99 70 30, 23 04 11; მოსკოვი — ტელ: 254 35 68.
**მიყვარს ღმერთი, ჩემი სამშობლო, ჩემი ოჯახი, ჩემი პროფესია. ვცხოვრობ უანგაროდ, სიკეთის კეთებითა და სიმართლით. ოჯახიდან მომყვება შრომისმოყვარეობის, თავმდაბლობისა და პატიოსნების უპირატესობების შეგრძნება. მძულს ამპარტავნობა, სიზარმაცე, შური, ყველაზე მეტად — ორგულობა. გული მწყდება, რომ ადამიანები ხშირად ვერ ხედავენ კარგ საქმეს და დადებითს უარყოფითად აფასებენ. ბავშვობიდან მომყვება ჩემი დიდი ბებიის შეგონება — როცა „მარჯვენა ლოყაზე დაგარტყამენ, მარცხენა მიუშვირეო“. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, ბოროტებას მიმტევებლობითა და გულმოწყალებით ვუპასუხო. წყენა მალე მავიწყდება, სხვისი თანადგომა — არასოდეს. საკუთარი სახელისა და ცხოვრებაში ადგილის მოპოვება მარტო ადამიანის სურვილით როდი ხდება, ეს აღიარება საზოგადოების მიერ, რომლისთვისაც თავდაუზოგავი შრომა და არჩეული სპეციალობის სრულყოფისათვის თავგანწირვაა საჭირო. ადამიანი კეთილშობილდება მაშინ, როცა მისი ცხოვრების კრედო სწორხაზოვნად მიყვება ერთ პრინციპს — „გიყვარდეს ღმერთი შენი და მოყვასი შენი“. ამ იდეალებით ვცხოვრობ და ვმუშაობ დღემდე.**

## ირაკლი წერეთელი



ეროვნულ დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარე.
ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1961 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: ელეონორა ჯიბლაძე, სიდამონ წერეთელი; შვილი — გვანცა (1992). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1983). იყო არქეოლოგიური ექსპედიციის კონსულტანტი (1987); მოსახლეობის ჰიგიენური და სანიტარული განათლების ცენტრის კორექტორი (1987-88); ი.ჭავჭავაძის საზ-ბის (1987-88), ი.ჭავჭავაძის საზ-ბის ეროვნული ფრონტის (1988) და წმ. ილია მართლის საზ-ბის (1988-89) დამფუძნებელი და გამგეობის წევრი; საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთ. კომიტეტის წევრი (1988). არის საქ. ეროვნული დამოუკიდებელი პარტიის დამაარსებელი და თავ-რე (1989 წლიდან); საქ. ეროვნული ხსნის კომიტეტის (1989) და საქ. ეროვნული ფორუმის (1990) წევრი; საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის დამფუძნებელი და წევრი (1990). იყო საქ. ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის (1990-91) და საქ. პარლამენტის (1992-95) წევრი. არის საქ. დეოკუპაციის კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და კოორდინატორი (1997 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს თეოლოგიური წერილების კრებული და ლექსების კრებულები: „აღდგომა“, „სიჭაბუკის ჟამინდელი ლექსები“, „დიდგორი“, „ლაშხეთის იდუმალება“, „არხოტის სამეფო“, „ქრისტეს მხედრობა“. არის მრავალი პოლიტიკური დოკუმენტის, განცხადების, მიმართვის, დეკლარაციისა და პროგრამის ავტორი; გამოცემული აქვს ვ.კოტეტიშვილის ირანული პოეზიის თარგმანები. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი“ (2004), „ვინ ვინაა საქართველოში“ და „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006).
ჰობი: ქეიფი, დროსტარება. მოგზაურობა. ეროვნული მოღვაწეობა. პოეზია. ღვთისმეტყველება. ლიტერატორობა.
მისამართი: (სამსახურის) მაჩაბლის 8. თბილისი. (ბინის) ქავთარაძის 5, ბ. 60. ტელ: 54 55 60. 899 37 43 97.
**ღვთისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა, თავისუფლება, ერი და სამშობლო. მეგობრობა. შემოქმედება.**

## გურამ წიბახაშვილი

თავისუფალი ფოტოგრაფი.



დაიბადა წითელწყაროში 1960 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ლიდა და გიორგი წიბახაშვილები; მეუღლე — მანანა ჯავაშვილი (1960); შვილები: გიორგი (1981), მარიამი (1988), ლადო (1989). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1982). იყო ფიზიკური და ორგ. ქიმიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი; გაზეთ „7 დღის"; ჟურნალების: „კალთა", „მედიატორი" — ფოტოგრაფი; ჟურ. „ამარტას" ფოტორედაქტორი და „ფოტო ამარტას" რედაქტორი; მიწვეული მასწავლებელი თბილისის სამხ. უნ-ტში და კავკასიის მედია სკოლაში. არის „ვიზუალური ბანკის" თანადამაარსებელი (1995); „კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის" (2000) და „თბილისის ფოტოგრაფიის სახლის" თანადამაარსებელი (2008); 70-მდე გამოფენის მონაწილე; ათამდე გამოფენის თანაკურატორი, 15 წიგნის დიზაინერი; გამართული აქვს 30 პერსონალური გამოფენა. მის შემოქმედებაზე გამოქვეყნებულია პუბლიკაციები ჟურნალებში: "National Geographic", "Das Magasin", "Liberation", „ამარტა" და სხვ; გამოცემულია წიგნები: „თბილისური სადარბაზოები" (1998), „გურამ წიბახაშვილი — ფოტოები" (იან ჯეფრი, 2002). არის საქ. ფოტომხატვართა (1989 წლიდან), დამოუკიდებელ ჟურნალისტთა (1994 წლიდან) და მხატვართა კავშირის (1996 წლიდან) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ვიზუალური ხელოვნება.
მისამართი: (სამსახურის) ატენის 18. თბილისი. ტელ: 22 00 95. (ბინის) სალხინოს 14, თბილისი 0101. ტელ. 21 69 62; ელ-ფოსტა: Tsibakha@yahoo.com
**ვცდილობ, ვიყო კარგი მოქალაქე.**

## დოდო წივწივაძე

გამომცემელი. გამომცემლობა „დილა"-ს დირექტორი.
ჟურნალისტი.



დაიბადა ქუთაისის რ-ნის სოფ. კვახჭირში 1950 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: ოლია ფაიქიძე, ვანო წივწივაძე; შვილები: გიორგი (1982), მაია (1984). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1976). მუშაობდა ჟურნალებში: „სკოლა და ცხოვრება" (1977), „დილა" (1984); გაზეთებში: „ბანკი" (1992), „პრიზმა" (1994), „პარლამენტი" (1995). იყო საბავშვო ჟურნალ „დილას" მთ. რედაქტორი 1996 წლიდან. არის გამომცემლობა „დილა"-ს დირექტორი და მთ. რედაქტორი. მისი პროექტითა და რედაქტორობით გამოიცა საყმაწვილო ენციკლოპედიის 13 და საყმაწვილო ბიბლიოთეკის 12 ტომი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ასაკის მიხედვით სხვადასხვა, ახლა წიგნების მომზადებისა და ყვავილების მოვლის პროცესი მიტაცებს.'
მისამართი: (სამსახურის) ზანდუკელის 1, თბილისი. ტელ: 72 51 75. (ბინის) ჭავჭავაძის I შეს. 27ა, თბილისი. ტელ: 91 55 44 . ელ-ფოსტა: dila 1904@yahoo.com
**ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი — სიკეთის კეთება.**

## თეიმურაზ წიკლაური

მომღერალი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა დაბა კოჯორში 1946 წ. 22 იანვარს. მშობლები: ბაბალე და ნესტორ წიკლაურები; მეუღლე — ლილი ზღვაური (1940); შვილები: ქეთევანი (1970), გიორგი. დაამთავრა უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი. იყო ანსამბლ „ციცინათელას" სოლისტი (1967-71); 1972 წლიდან არის ანსამბლ „ივერიის" წევრი. შეს-

რულებული აქვს მთ. როლები მუსიკალურ სპექტაკლებში: „ჩხიკვთა ქორწილი", „თოვლის ბებოს ზღაპარი", „ფიროსმანი", „არგონავტები"; როლები ფილმებში: „სინათლე ჩვენს ფანჯრებში" (1969), „ივერია, სიყვარული და..." (1975), „უმცროსი და" (1977), „არგონავტები" (1985), „დონ კიხოტი" (1986); ბათუმის საოპერო სცენაზე შესრულებული აქვს მურმანის პარტია სპექტაკლში „აბესალომ და ეთერი" (2001). მიღებული აქვს მონაწილეობა 25 საკონცერტო პროგრამაში. არის რესპუბლიკის დამსახურებული (1987) და საქ. სახალხო (1990) არტისტი; ღირსებისა და ეტალონის ორდენების კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა და შვილიშვილთან, ანდრიასთან თამაში.
**არ გაუკეთო სხვას ის, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. ვერ ვიტან უმადურობას.**

## ნუგზარ წიკლაური



საქართველოს პარლამენტის წევრი. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1968 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნანა ფირცხალავა, მამუკა წიკლაური; მეუღლე — ელისო ნიჟარაძე; შვილი — მათე. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1992). იყო გაზ. „თავისუფალი საქართველოს" ჟურნალისტი (1993-98); გამომცემლობა „ლიტერას" დირექტორი (1998-2007); თსუ-ს გამომცემლობის დირექტორი (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავ-რე. არის პროექტის — „ცივილიზაციათა დიალოგი" — ავტორი; წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოც-ის წევრი.
ჰობი: პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 84. (ბინის) დიღმის მასივი, V კვ, 16კ., ბ. 83, თბილისი. ტელ: 52 99 38.
**„ვინც დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად".**

## ნათია წკეპლაძე



საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. იურისტი.

დაიბადა ქუთაისში 1968 წ. 14 ივლისს. მშობლები: ბელა ბახტაძე, სიმონ წკეპლაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990); გაიარა TACIS-ის სახელმწ. მოხელეთა კოლეგიისა და რ.ვალენბერგის ინ-ტის კურსები. იყო იურიდიული გაზ. „ცხოვრება და კანონის" შტატგარეშე კორესპონდენტი (1991-92); საქ. უზენაესი სასამართლოს საერთო განყ-ბის ინსპექტორი, ექსპედიციის გამგე, სამართლებრივი ინფორმატიკისა და სისტემატიზაციის განყ-ბის კონსულტანტი (1992-99); თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999-2005); თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავ-რე (1999-2004); არის საქ. უზენაესი სასამართლოს წევრი 2005 წლიდან. იყო საქ. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის თავ-რე (2005); არის საია-ს ექსპერტი სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალში (2001 წლიდან); სამოსამართლო სწავლების ცენტრის ექსპერტი (2002 წლიდან) და გაეროს ასოც-ის ექსპერტი (2004 წლიდან); იყო თსუ ლექტორი (2005-08). 2006 წლიდან არის კავკასიის უნ-ტის კავკასიის სამართლის სკოლის ლექტორი; UNDP-ის ექსპერტი ადმინისტრაციულ სამართალში (2005 წლიდან). არის ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს (2005) და ადმინისტრაციული საპროცედურო კოდექსის კომენტარის (2004, 2005) თანაავტორი. არის საქ. უზენაესი სასამართლოს წევრი; ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის წევრი დაფუძნების დღიდან და მსოფლიოს მოსამართლეთა ასოც-ის წევრი (2005 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ქართული ჭადრაკის მატიანე" (1997), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მიზანში სროლა.
მისამართი: (სამსახურის) ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი. ტელ: 93 52 68. ელ-ფოსტა: natia-2008@posta.ge
**სამართლიანობა, ობიექტურობა, გულწრფელობა. მთელი შეგრძნებით ვათვითცნობიერებ ჯორჯ ორუელის ფრაზას: „გაყიდული გონება და სული დაღუპული გონება და სულია".**

## ბაადურ წულაძე

რეჟისორი. მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა ბათუმში 1935 წ. 5 მარტს. მშობლები: შუშანა მჟავანაძე, სოკრატ წულაძე. დაამთავრა საკავშირო სახელმწ. კინემატოგრაფიის ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1961). არის კ/ს „ქართულის ფილმის" რეჟისორი და მსახიობი (1961 წლიდან); თსთი (1995 წლიდან) და თსუ (2001 წლიდან) პედაგოგი. გადაღებული აქვს მხ. ფილმები: „ბოდიში თქვენ გელით სიკვდილი", „თბილისი — შაბათი-კვირა" (1965), „ქალაქი ადრე იღვიძებს" (1967), „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის" (1982); კინონოველები: „ფეოლა" (1970), „გლადიატორი" (1972), „ვალსი მთაწმინდაზე" (1975); არის სცენარის ავტორი ფილმისა „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"; შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „მე, გამომძიებელი", „ფეოლა", „პეპელა", „პირველი მერცხალი", „არ დაიდარდო", „ფილატელისტის სიკვდილი", „ორერა — სრული სვლით", „სერენადა", „ყვარყვარე", „მხიარული რომანი", „გასეირნება", „გაზაფხულის საღამო", „კარები", „მთვარის მოტაცება", „У самого синего моря", „კაპიტნები", „Песни над облаками", „Младшая сестра", „მეცამეტე გოჭი", „სიყვარული ყველას უნდა", „Джума на кавказе", „Гениальный штрих", „Поражение", „ფესვები", „ოსკარი", „სამოთხე ჩვენი ქალაქის ქუჩებში", „Берег", „თბილისი — თბილისი" და სხვ.; სერიალში — „ცხელი ძაღლი". მიღებული აქვს ჟიურის 3 სპეციალური პრიზი როლებისათვის ფილმებში: „თბილისი - თბილისი", „ნაპირი" და „ლეილას ლოცვა"; სპორტული ფილმების საკავშირო ფესტივალზე მაყურებლის სპეც. პრიზი როლისთვის ფილმში „ფეოლა". არის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1969 წლიდან).

ჰობი: წიგნების კითხვა. მუსიკა. სპორტი.

მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37, ბ.84, თბილისი. ტელ: 33 76 04.

**თუ ნიანგმა შეჭამა შენი მტერი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის გახდა შენი მეგობარი. „მე არ მაქვს პრინციპები, მე მაქვს მხოლოდ ნერვები" (აკუტაგავა). „არ ასებობს მორალური ან ამორალური წიგნი, არსებობს კარგად დაწერილი ან ცუდად დაწერილი წიგნი" (ოსკარ უაილდი).**

## ლევან წულაძე

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. რეჟისორი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1965წ. 18 მარტს. მშობლები: თინათინ დვალიშვილი, ჭოლა წულაძე; მეუღლე — მანანა კოზაკოვა (1970); შვილი — თინათინი (1995). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1986) და სარეჟისორო (1990) ფაკ-ტები. იყო კინომსახიობთა (1990-92), მოზარდ მაყურებელთა რუსული (1990-97), რუსთაველის (1992-98) თეატრების რეჟისორი. არის თსთი პედაგოგი (1990 წლიდან), პროფესორი (2008 წლიდან); თეატრალური სარდაფის დამფუძნებელი და რეჟისორი (1997 წლიდან); მარჯანიშვილის თეატრის სამხ. ხელმძღვანელია 2006 წლიდან. დადგმული აქვს სპექტაკლები: თეატრალურ სარდაფში (რუსთაველზე): „სამგროშიანი ოპერა", „ბიურგერული ქორწილი"; „ცხვირი"; „მეტამორფოზა"; „ფიგაროს ქორწინება"; „ფაუსტი" და სხვ.; თეატრალურ სარდაფში (ვაკეში) — „ვენეციელი ვაჭარი"; „ხანუმა" და სხვ.; რუსთაველის თეატრში — „სისხლიანი ქორწილი" (1992), „საშობაო სიზმარი" (ო. ეგაძესთან ერთად, 1993), „ვოიცეკი" (1994); კინომსახიობთა თეატრში — „დედა" (1991); მოზარდ მაყურებელთა თეატრში — „უსახელო ვარსკვლავი" (1991); მარჯანიშვილის თეატრში: „დაუსრულებელი სიზმარი" (1998), „ყვარყვარე თუთაბერი" (2001), „ზაფხულის ღამის სიზმარი" (2006), „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (2007), „პიგმალიონი" (2008), „ფერხული" (2008), „ქალი ძაღლით" (2009), „ხანუმა" (2009), „ხეები ზეზეურად კვდებიან" (დ.ხვთისიაშვილთან ერთად, 2009). სოხუმის დრამ. თეატრში: „ემიგრანტები" და „ორი ნოველა"; რუსთავის მუნიციპალურ თეატრში „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ფიგაროს ქორწინება". მონაწილეობდა ფილმებში: „ოტელო" (რეჟ. მ.კოკოჩაშვილი) და „საფეხური" (რეჟ. ა.რეხვიაშვილი). მიღებული აქვს ს.ახმეტელისა და კ.მარჯანიშვილის სახ. და საქ. თეატრალური საზ-ბის ყოველწლიური პრემია. არის ღირსების ორდენის კავალერი (2005); თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი; რეჟისორთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 2009 წელს სპექტაკლისათვის „ქალი ძაღლით" პირველს მიენიჭა თეატრალური პრემია „დურუჯი" საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის.

ჰობი: მუსიკა (კლასიკური და ჯაზი). დურგლობა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 42, თბილისი 0108. ტელ: 99 95 00; მარჯანიშვილის 8. ტელ: 95 02 50.
**"Если очень хочется, то обязательно сбудется, если не сбылось—то не очень хотелось, если сбылось не то, разочарование только кажущееся, сбылось именно то, что хотелось." А.Блок**

## მარინა წულუკიძე

პოლიტიკური გაერთიანების — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" აპარატის უფროსი. პიანისტი.



დაიბადა თბილისში 1951 წ. 17 მაისს. მშობლები: ნათია ასათიანი, ზურაბ წულუკიძე; მეუღლე — თამაზ თოლორაია (1950-2004); შვილი — თაკო (1983). დაამთავრა თსკ (1976). 1978 წლიდან არის მ.თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის კონცერტმეისტერი. მუსიკალურად გაფორმებული აქვს სპექტაკლები: „დონ ჟუანი", „საქმე", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ზაფხულის ღამის სიზმარი" და სხვ. იყო ეუთოს კოორდინატორი. არის პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრი (2003 წლიდან), ქალთა საბჭოს თავ-რის მოვალეობის შემსრულებელი.
ჰობი: პოეზია.
მისამართი: (სამსახურის) ნაფარეულის 1, თბილისი. ტელ: 22 34 95. ელ-ფოსტა: tsulukidze_marina@yahoo.com
**ერთგულება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა.**

## თეიმურაზ წურწუმია

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-მშენებელი. სამართალმცოდნე.



დაიბადა ფოთში 1962 წ. 24 ივლისს. მშობლები: ვენერა ცაგურია, შოთა წურწუმია; მეუღლე — მარიამ მიმინოშვილი (1978); შვილები: ქეთევანი (1994), შოთა-გიორგი (1998), თამარი (2002). დაამთავრა სპი სამშენებლო (1984) და სსუ იურიდიული (2002) ფაკ-ტები. იყო კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი (1984); ფოთის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1984-86); კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი (1986-87); საქ. კპ საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი (1987-1990); ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავ-რის თანაშემწე (1990-91); ფოთის მე-5 საშ. სკოლის მასწავლებელი (1992-93); ფოთის გამგეობის თავ-რის მოადგილე (1992-93); ქ. ფოთის მერის მოადგილე (1993); წ.ნიკოლაძის სახ. ფონდის ვიცე-პრეზიდენტი (1993-98); ფოთის, ხობისა და სენაკის ეპარქიის საქმეთა მმართველი (1998); ფოთის საკრებულოს მდივანი (1998-2002), თავ-რე (2002-05); ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის აღდგენის ფონდის აღმას. დირექტორი (2005-08); ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლის აღმას. დირექტორი (2007-08), ფოთის წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სახ. სასულიერო სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი (2008); ფოთის მერის მოადგილე (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავ-რის მოადგილე. საქ. პირველი პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. დაჯილდოებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატიო სიგელით (2006).
ჰობი: კითხვა. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 10. (ბინის) ძმ.კაკაბაძეების 6, თბილისი. ტელ: 877 40 69 66.
**ვცდილობდი ისე მეცხოვრა, ღმერთისა და საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვყოფილიყავი.**

## ლელა წურწუმია



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 12 თებერვალს. მშობლები: ნინო ლომთათიძე, ლუდვიგ წურწუმია; მეუღლე — კახი მამულაშვილი (1971); შვილი — მარიამი (2002). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1994), ასპირანტურა (1996). ჩაწერილი აქვს მუსიკალური ალბომები: „I ალბომი" (ისრაელი, 1998), „პაემანი" (1999), „ოცნება შენზე" (2000), „სინგლი" (2001-02), „საუკეთესო სიმღერების ნაკრები" (2002-03), „სულელი წვიმა" (I ნაწ., 2004), „სულელი წვიმა" (II ნაწ., 2005), „დუეტები" (2005), „საუკეთესო სიმღერების ნაკრები" (ისრაელი, 2005), „ნამებს შენთვის ვინახავ" (2006), „იამო პელესი" (ლაზური, 2006). იყო კომპანია „არტ-იმედის" წევრი (2002-04). არის კონკურსების „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს" (1986) და „Ялта – Москва-транзит-94" (1994) ლაურეატი; ღირსების მედლის (2006), ღირსების ორდენის (2008) მფლობელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ხატვა.
ვებ-გვერდი: www.Lela.ge
**ნიჭი, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, თავდაუზოგავი შრომა, სწორი დამოკიდებულება შენი საქმისადმი და იმ ადამიანებისადმი, ვისთვისაც ქმნი ამ ყველაფერს.**

## თამარ წუწუნავა



ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.
გეოლოგი-პეტროლოგი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 25 მარტს. მშობლები: ბელა რუხაძე, ნუგზარ წუწუნავა; მეუღლე — შალვა წერეთელი (1952); შვილები: ვახო (1984), თამთა (1989). დაამთავრა სპი გეოლოგიის ფაკ-ტი (1982). იყო გეოლოგიის ინ-ტის პეტროლოგიის, მინერალოგიისა და გეოქიმიის განყ-ბის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1983-88), მეცნ. თანამშრომელი (1989-96), პეტროლოგიის განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1997-2008). 2009 წლიდან არის ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინ-ტის დირექტორი. იყო სტუ მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის კათედრის პედაგოგი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კავკასიონის და ანგარის ტექტონიკური ზღნრის რეგიონული მეტამორფიზმის მწვანე ფიქლების ფაციესის მეტამორფიტების პეტროლოგია" (1989), სადოქტორო — „კავკასიის დაბალტემპერატურული რეგიონული მეტამორფიზმი" (2005). არის ავტორი საერთაშ. ჟურნალებში გამოქვეყნებული 60-მდე სამეცნ. ნაშრომისა, 1 დამხმარე სახელმძღვანელოს და 1 მონოგრაფიის თანაავტორი. მინიჭებული აქვს დოცენტის სამეცნ.-პედაგოგიური წოდება (1997). არის საქ. საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი (2008 წლიდან), საქ. ეროვნ. სამეცნ. ფონდის საბჭოს წევრი (2006 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „ჩვენ საქართველოს ქალები" (2009).
ჰობი: ბუნება, მხატვრობა, ხელსაქმე, დიზაინი.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1, კორპ. 9, თბილისი 0193. ტელ: 36 49 82; ფაქსი: 33 06 47. (ბინის) ალ. ყაზბეგის 8ა, თბილისი. ტელ: 38 37 09; ელ-ფოსტა: tamrits@yahoo.com
**პიროვნების ძირითად ცხოვრებისეულ ფასეულობებად მიმაჩნია: სამშობლოს სიყვარული, ოჯახის ერთგულება, გონიერება, ღირსება, კაცთმოყვარეობა და სამართლიანობა, ხოლო პროფესიულ ფასეულობებად — პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა. და მაინც, ადამიანის უმთავრესი ფასეულობა ბედნიერებაა, რაც სიცოცხლის სიყვარულსა და სულიერ სიმშვიდეშია — ჩემთვის ეს ბავშვებთან და ბუნებასთან ურთიერთობა, სილამაზის აღქმისა და სიყვარულის უნარი, იუმორის შეგრძნება და ნათელი მომავლის რწმენაა.**

## დავით ჭავჭანიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტ-მენეჯერი.

დაიბადა ხონში 1973 წ. 10 სექტემბერს. მშობლები: იზო თხელიშვილი, ალკაზარ ჭავჭანიძე; მეუღლე — ეკა ძონენიძე (1973); შვილები: ალეკო (1995), ანა (1998). დაამთავრა საქ. ეკონომიკური აღორძინების კავშირის თბილისის ბიზნესის ინ-ტი ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობით (1995). იყო დას. საქ. დასაქმების რეგიონალ. სახელმწ. ფონდის უფრ. სპეციალისტი (1996-97); საქ. დასაქმების ერთიანი სახელმწ. ფონდის ხონის რ-ნული განყ-ბის უფროსი (1998-2002); საქ. დასაქმების სახელმწ. სამსახურის ხონის რ-ნული განყ-ბის უფროსი (2002); ხონის რ-ნის გამგებლის მოადგილე, გამგებლის პირველი მოადგილე (2002-06); ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების წევრი.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 84 (ბინის) დიღმის მასივი, მე-2 კვ, კ.6. თბილისი.
**რასაც დაისახავ მიზნად , უნდა მიაღწიო.**

## ვლადიმერ ჭავჭანიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
ფიზიკოს-თეორეტიკოსი. პროფესორი.

დაიბადა სოხუმში 1920 წ. 22 სექტემბერს. მშობლები: ელენე ივანოვა (ტუტუშკინა), ვალერიან ჭავჭანიძე; მეუღლე — ვერა მუმლაძე (1919); შვილები: მარინე (1951), თინათინი (1957). დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1941), ასპირანტურა (1951). იყო საქ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტის თეორიული განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1953-57), განყ-ბის გამგე (1957-60); საქ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტის დირექტორი (1981 წლამდე), დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში (1981-85); მართვის სისტემების ინ-ტის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყ-ბის გამგე და მთ. სპეციალისტია 1985 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მრავალჯერადი გაბნევების და დანაკარგების კვლევა დამუხტული ნაწილაკების ნივთიერებაში სტოქასტური მეთოდებით" (1953), სადოქტორო — „მოდელირების მეთოდები ფიზიკაში და კიბერნეტიკაში" (1964). გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სტატია ფიზიკის, ლოგიკის, კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, რობოტიკისა და სხვა თეორიულ დარგებში. არის 20-ზე მეტი გამოგონებისა და მრავალი მონოგრაფიის ავტორი, მათ შორისა, „Проблемы управления интеллектуальной деятельностью" (1974). არის საერთაშ. ჟურ. „Kybernete"-ს სარედაქციო საბჭოს წევრი (1971 წლიდან); სამეცნ. ჟურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიების" მთ. რედაქტორი (1989 წლიდან); იყო ქსე-ს რედკოლეგიის წევრი. არის ინფორმატიზაციის საერთაშ. და საინჟინრო აკად-ების, საქ. ბუნებისმეტყველთა და ეკოლოგიის აკად-ის ნამდვილი წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას 34. (ბინის) საბურთალოს 40, ბ. 59, III სად. ტელ: 36 27 08.
**„მე მჯერა, რომ მეცნიერება ძირითადი მამოძრავებელი ძალაა ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველგვარი ინოვაციები ბოლოს და ბოლოს მეცნიერულ შედეგებს ეყრდნობა. საზოგადოების წინსვლა ეკონომიკური თვალსაზრისით მხოლოდ და მხოლოდ იმ ინფორმაციას ეყრდნობა, რომელსაც ქმნიან მეცნიერებანი და ტექნოლოგიები, მაშინ, როდესაც საზოგადოება და სახელმწიფო მათ ეხმარება და ინიციატივას, სიახლეებსა და იდეებს მხარს უჭერს. „მეცნიერების გარეშე სამყარო შეუცნობელია, უმართავია საზოგადოება, დაიშლება ყველა მისი სტრუქტურა". ამიტომ ბერძენ-რომაელთა ისტორიული ხაზი უნდა გაგრძელდეს ისე, რომ შეიძლებოდეს მისი ურთულესი მოვლენების მოდელირება და გაგება ცნებებში გამოხატვით. ამისათვის საჭიროა „კომპიუტერულ მეცნიერებათა" გათავისება ისე, რომ ახალგაზრდობამ შეძლოს მათ ლოგიკაში გარკვევა, ათვისება და გამოყენება. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ჩვენი ახალგაზრდობა, სპეციალისტები ჩავაბა იმ „ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ფერხულში", რომლისგანაც ამოვარდნა ადვილია და შესვლა კი მეტად ძნელი.**

## მაია ჭალაგანიძე

გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1965 წ. 15 ოქტომბერს. მშობლები: დალი გულავა, ნოდარ ჭალაგანიძე; მეუღლე — მამუკა ფაჩუაშვილი (1962). შვილები: სანდრო (1995), კესო (1997). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1988). მუშაობდა გაზეთებში: „ახალგაზრდა ივერიელი" (1988), „ივერია ექსპრესი" (1992), „კავკასიონი" (1994). იყო საქტელერადიო კომიტეტის რადიოპროგრამა „პიკის საათის", დილის მუსიკალურ-საინფორმაციო ტელეგადაცემა „ალიონის"; რადიო „უცნობის" გადაცემა „თავისუფალი სიტყვის" წამყვანი. იუსტიციის სამინისტროს ჟურ. „საკანონმდებლო მაცნეს" მთ. რედაქტორი. არის გაზეთ „24 საათის" ჟურნალისტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: საავტომობილო საცობებიდან თავის დაღწევა.
მისამართი: (სამსახურის) ი.გამრეკელის 51, თბილისი 0168. ტელ: 20 24 24; ფაქსი: 31 93 86. (ბინის) გუდიაშვილის მოედ. 7/2. თბილისი. ტელ: 93 20 35 ელ-ფოსტა: mchalaganidze@24hours.ge
**პროფესიონალიზმი, სიმტკიცე. არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია.**

## შოთა ჭალაგანიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1933 წ. 21 მაისს. მშობლები: თინა ნაფეტვარიძე, ივანე ჭალაგანიძე; მეუღლე — ელენე მუშკუდიანი (1947); შვილები: ნინო (1977), ეკატერინე (1979). დაამთავრა საქ. ს/ს ინ-ტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით (1956). იყო ს/ს მანქანათმშენებლობის ს/კ და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინ-ტის გენ. დირექტორი (1991-98); აგრარული და ტექნიკური უნ-ტის პროფესორი (1991-2003); დარგობრივი სახელმწ. კონცერნის უფროსი (1991-92); დეპ-ტის დირექტორი (1997-2002); სახელმწ. კომიტეტის თავ-რე (1988-91); სატყეო მეურნეობისა და ბუნების დაცვის მინისტრი (1976-88). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კლდოვანი და ქვიანი ციცაბო ფერდობების გატყევების ენერგო-რესურსდამზოგი ეკოლოგიურად საიმედო ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები" (1994). არის საერთაშ. (1999) და საქ. საინჟინრო (1996) აკად-ების ნამდვილი წევრი; სოფლის მეურნეობისა (2004) და ეკოლოგიურ (1995) მეცნ. აკად-ების აკადემიკოსი; საქ. დამსახურებული ინჟინერი (1983); სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1987); მინიჭებული აქვს „წლის ინჟინრის" (2006) და საქ. შემდუღებელთა ასოც-ის ლაურეატის (2008) საპატიო წოდებები. იყო საქ. ბუნების დაცვის საზ-ბის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქ. სათხილამურო სპორტის ფედერაციის და საქართველო-პოლონეთის მეგობრობის საზ-ბის თავ-რე. არის საქ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად-ის პრეზიდენტი; საქ. სამეცნ. საინჟინრო საზ-ბათა კავშირის გამგეობის და საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; დარგობრივი საერთაშ. საზ-ბების წევრი და მრავალი საერთაშ. ფორუმის მონაწილე; ჟურ-ების: „საქართველოს საინჟინრო სიახლეები", „კვალი", „საქართველოს ბუნება" რედკოლეგიის წევრი; საქ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. „მოამბის" მთ. რედაქტორი. არის 200-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, წიგნებისა და გამოგონებების ატორი. არჩეული იყო საქ. უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად. არის ხალხთა მეგობრობის (1986) და ღირსების (1998) ორდენების კავალერი.
ჰობი: ბუნებაში ყოფნა. კითხვა, წიგნების „ქექვა". კლასიკური მუსიკა, ოპერა, ქართული ხალხური სიმღერები. ფოტოგრაფია, დიზაინერობა, „ჩხირკედელაობა". ბილიარდი.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12.კმ, თბილისი 0131. ტელ: 59 53 85. (ბინის) საბურთალოს 30, ბ. 37, თბილისი. ტელ: 37 06 07. ელ-ფოსტა: Shota_chalaganidze@yahoo.com
**ნათქვამია „ქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვს" — დიახ, ყოველივეს მაინც დრო ზომავს და აფასებს, ბედნიერია ის, ვინც ამ გამოცდას გაუძლებს. ღმერთს შევთხოვ ცუდსა და უღირსს ნურაფერს გამაფიქრებინებს და გამაკეთებინებს.**

## ბეჟან ჭანკვეტაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ქიმიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თერჯოლის რ-ნის სოფ. რუფოთში 1957 წ. 13 ივნისს. მშობლები: მარგალიტა ღიბრაძე, გრიგოლ ჭანკვეტაძე; მეუღლე — ქეთევან ლომსაძე (965); შვილები: ლაშა (1988), ჯაბა (1995). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1979), ასპირანტურა (1984). იყო თსუ ლაბორანტი (1979-84), დოცენტი (1985-98); პროფესორია 1999 წლიდან. იყო მიუნსტერის (გერმანია) უნ-ტის მეცნ-თანამშრომელი და მიწვეული პროფესორი (1991, 1992, 1993-95, 1997-2002); ნაგოიას (იაპონია) უნ-ტის მიწვეული მკვლევარი (1992, 1996, 1999-2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2005); ლაბორატორია Sepaserve-ის დირექტორი (2002-07). არის ლაბორატორია "Enantiosep"-ის (მიუნსტერი, გერმანია) დირექტორი 2007 წლიდან; ჟურ. Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis რედაქტორი (ამსტერდამი, ჰოლანდია, 2005 წლიდან); ამერიკული კომპანიის Phenomenex Inc. (ტორანსი, კალიფორნია, აშშ) მეცნ-კონსულტანტი — 2007 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კაპილარული ელექტროფორეზის გამოყენება ქირალურ ანალიზში" (1998). არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი, მათ შორის: „Capillary Electrophoresis in Chiral Analysis" (1997), „Chiral Separations. Elsevier" (რედ., ამსტერდამი, 2001). არის საქ. ლენინური კომკავშირისა (1989) და ბელგიის ფარმაცევტული ასოც-ის (2006) პრემიების ლაურეატი; ამერიკის ქიმიური საზ-ბის წევრი (2006-07), საერთაშ. სამეცნ. ჟურნალების Electrophoresis, Chirality, Journal of Separation Science, Current Analytical Chemistry, Current Pharmaceutical Analysis, Open Journal of Analytical Chemistry და Open Journal of Organic Chemistry სარედაქციო კომიტეტების წევრი, Jurnal Nature-ის მკითხველთა პანელის წევრი (2009 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში "Marquis Who is Who in the World" (აშშ).

ჰობი: არქიტექტურა, ხელოვნება. სპორტი.

მისამართი (სამსახურის) თსუ ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი 0179. ტელ: 29 06 48; ფაქსი: 91 33 69. ელ-ფოსტა: bezhan.chankvetadze@tsu.ge, bezhan_chankvetadze@yahoo.com

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო არის ჩემი მშობლების ოჯახიდან გამოყოლილი ქრისტიანული რელიიგიის პრინციპები, ჩემი ოჯახის, ერისა და ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული, პროფესიის სიყვარული, მოქალაქეობრივი და პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა, დასახული მიზნისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, უცხო ერებისა და კულტურების პატივისცემა, ჩემი პედაგოგებისადმი ულრმესი პატივისცემის გრძნობა და უცხო გარემოში ადაპტაციის და წარმატების მიღწევისათვის ბრძოლის უნარი.**

## ნინელი ჭანკვეტაძე



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ინა ჩიქოვანი-მაურერი, ნოდარ ჭანკვეტაძე; მეუღლე — ზაზა მიქაშავიძე (1954); შვილი — ანა (1997). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1979). კინომსახიობთა თეატრის მსახიობია 1979 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „დონ-ჟუანი", „ბაკულას ღორები", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ამფიტრიონ 38", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „ანა კარენინა", „ტარტიუფი, „ალუბლის ბაღი"; ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „კუკარაჩა", „მარტოხელა მონადირე", „საფეხური", „რობინზონიადა", „ორომტრიალი", „რჩეული", „ანას დაბადების დღე" და სხვ. იყო წამყვანი სატელევიზიო შოუსი „ხალხის პირისპირ" (2002-03). მიღებული აქვს თეატრალური საზ-ბის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1979, 1985, 1995); ვ. ანჯაფარიძის სახ. მედალი; რუსთავის თეატრ. ფესტივალის — „ოქროს ნიღბის" დიპლომი (1996); ნ.ვაჩნაძის სახ. ქართული ფესტივალის პრემია; ნ. ჩხეიძის სახ. დიპლომი (2003); დაჯილდოებულია კინოფესტივალზე „ოქროს არწივი", კიევის ახალგაზრდულ კინოფესტივალზე „ოქროს ნიღაბი" (2003). არის საქართველოს დამსახურებული არტისტი; ღირსების ორდენის კავალერი (1999); თეატრალური საზ-ბისა (1983 წლიდან) და კინოკავშირის (1986 წლიდან) წევრი; საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (2006 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who's Who" (ინგლისი, 1999-2000), „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ხატვა, ძერწვა, კერამიკა. სხვადასხვა ხელსაქმე, რაც დაკავშირებულია შემოქმედებასთან.
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის 164. ტელ: 34 07 86 (ბინის) ატენის ქ. 29. ტელ: 29 02 13.
**რწმენა, იმედი და სიყვარული – აი ის რაც წარმართავს ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებას (თუ ეს უკანასკნელი ძალიან ხმამაღლა არ არის ნათქვამი). ჩემს ურთიერთობას ახლობლებთან, მეგობრებთან, ჩემს საქმესთან, ნაცნობებთან თუ უცნობებთან. ალბათ ამიტომ მხვდებიან ცხოვრებაშიც და ჩემს საქმეშიც სწორედ ასეთი სულისკვეთების ადამიანები. ამან შემახვედრა ჩემს მეუღლეს, რომელსაც უნდა ვუმადლოდე ჩემს ბედნიერ ყოფას და ამავე მიზეზით ჩემი კარიერის დასაწყისში შევხვდი ბატონ მიხეილ თუმანიშვილს, ადამიანს რომლის დამსახურებაცაა ჩემი საქმისადმი სიყვარული, პროფესიის ცოდნა და ნებისმიერი წარმატება ჩემს შემოქმედებაში.**

## ტარიელ ჭანტურია

პოეტი. ესეისტი.
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



დაიბადა ბათუმში 1932 წ. 11 ივლისს. მშობლები: ეკატერინე და პროკოფი ჭანტურიები; მეუღლე — ციალა ბერძენიშვილი (1932); შვილები: ნინო (1957), ირაკლი (1960). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). მუშაობდა ჟურ. „ცისკრის" რედაქციაში, გამომცემლობებში: „მერანსა" და „ნაკადულში". იყო პირველი ალტერნატიული გაზ. „მამულის" რედაქტორი (1989-91); საქ. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწ. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1995-2002), ამავე კომიტეტის თავ-რე (2002-08). არის ლექსების, ლიტერატურული წერილებისა და ესეების კრებულების ავტორი, მათ შორის: „დაწყვეტილი სერპანტინი" (1973), „სტრესები და სიტყვები" (1980), „თაფლობის საუკუნე" (1978), „რჩეული" (1982), „ბალიში — უატომო ზონა" (1986), „სიყვარული — რეფრენი" (1987), „უცენზურო ლექსები" (1989), „დინოზავრიდან დიზაინამდე" (1989), „ნეკოდენა" (საყმაწვილო ლექსების კრებული, 1992), „გაყიდე სამოსელი და იყიდე მახვილი" (1993), „გული მარჯვნივ" (1995), პოეტური თხზულებანი ორ ტომად (1992-95), „კოლხური კაპრიჩიო" (1998), „თაფლობის საუკუნე — 2" (2002), „საიდუმლო ბარათი" (2007), „ასი ლექსი" (2009); გ.გეგეჭკორთან ერთად თარგმნა ჰერმან მელვილის „მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი". არის რუსთაველის სახელმწიფო და გ.ტაბიძის სახ. პრემიების, ლიტ. პრემია „საგურამოს" ლაურეატი; გელათის აკადემიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჭადრაკი, ბანქო... საერთოდ თამაშები.
მისამართი: (ბინის) საბურთალოს 40, II სართ. ბ. 40, თბილისი. ტელ: 36 18 14.
**თავი ქართული (მსოფლიო) კულტურის უერთგულეს მსახურად მიმაჩნია და ვთვლი, რომ ჩემი ნაწერი ვიღაც-ვიღაცებს აინტერესებთ. ეს რომ არ მჯეროდეს, სტრიქონი რაა, სტრიქონს არ დავწერდი. ჯერჯერობით ჩემი შემოქმედების უმნიშვნელო რამაა თარგმნილი უცხო ენებზე. არც ჩემი მთავარი წიგნი გამომიქვეყნებია. მომავალში ეს ჩემი მცდელობის გარეშე გასწორდება. არც ამ რწმენის უქონელი დავწერდი რამეს. საერთოდ, ერთი ჭკვიანი მწერალი ქალბატონის არ იყოს, ამქვეყნიური ამბიციები თითქმის არ გამაჩნია, სიკვდილს მერმინდელი — საკმაოდ სერიოზული... (ტატიანა ტოლსტაია).**

## რეზო ჭეიშვილი

მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა ქუთაისში 1933 წ. 24 აპრილს. მშობლები: ვერა დიდბარიძე, ბენედიქტე ჭეიშვილი; მეუღლე — მარინე ვერულაშვილი (1952); შვილები: მამუკა (1958), გუბაზი (1964). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1959). იყო ქუთაისის დრამ. თეატრის სამხატ. ხელმძღვ. და გენ. დირექტორი (1987-88); კ/ს „ქართული ფილმის" კოლეგიის და მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1960-92); ჟურ.-ების „ცისკარი" (1973-78) და „საუნჯე" (1984-87) თანამშრომელი;, ჟურ. „განთიადის" მთ. რედაქტორი (1987-92); ბაგრატის ფონდის დირექტორი (1989-90); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95); საქ. მწერალთა კავშირის მდივანი

(1992-2001); არის საქ. მწერალთა ლიტფონდის თავ-რე; გამოცემული აქვს რომანები „დალი", „ჩემი მეგობარი ნოდარი", „მუსიკა ქარში", „ყაჩაღები", „ცისფერი მთები", „სამი რომანი", რჩეულ პროზაულ ნაწარმოებთა სამტომეული (70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2009). მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმები: „ცისფერი მთები", „ჭიდაობას რა უნდა", „ჩემი მეგობარი ნოდარი", „ექსპრეს-ინფორმაცია", „ყვარყვარე", „ზღვის მგელი", „ბაკულას ღორები" და სხვ. არის ყოფილი სსრკ პრემიის, სახელმწ. და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.
ჰობი: მოძრაობა. კითხვა. გაბმული ფიქრი. ბუნებასთან სიახლოვე. პურის ჭამა ბუხართან, მდინარის პირას, მუხის ჩრდილში.
მისამართი: (სამსახურის) მაჩაბლის 13, თბილისი. ტელ: 99 66 76. (ბინის) ფანასკერტელის 13ა, თბილისი. ტელ: 36 19 93.
**„სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! „მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?" (ნ.ბარათაშვილი).**

## ალექსანდრე ჭელიძე

საქართველოს დამსახურებული მხატვარი. ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი.

დაიბადა ონში 1941 წ. 3 იანვარს. მშობლები: ქეთევან მარმარაშვილი, ალექსანდრე ჭელიძე; მეუღლე — ნინო კალანდაძე (1951); შვილები: ქეთევანი (1981), მედეა (1982). დაამთავრა თსსა დეკორატიულ-გამოყენებითი ფაკ-ტი (1968). იყო რუსთავის დრამატული თეატრის მთ. მხატვარი (1970-99). 1980 წლიდან არის ს.ახმეტელის სახ. თეატრის მთ. მხატვარი. 1995 წლიდან ნ.დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა (ცენტრალური ახალგაზრდული) თეატრის მთ. მხატვარი; არის ამავე თეატრის დამდგმელი მხატვარი. გაფორმებული აქვს სპექტაკლები საქ. თითქმის ყველა თეატრში, ასევე მოსკოვში, ნოვოსიბირსკში, გროზნოში, რუმინეთში. მათ შორის სპექტაკლები: „მარტოობის დღესასწაული", „რევიზორი", „თოლია", „ელექტრა", „რას იტყვის ხალხი", „მგლები", „გუშინდელნი", „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე", „ოპტიმისტური ტრაგედია", „ამიკო", „მთანი მაღალნი", „კარს იქით", „ლაბირინთი", „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", „ღალატი", „მეფე ლირი თავშესაფარში", „ცერკოვენი ბუნტი", „მედეა — გახლეჩილი სამყარო" და სხვ. არის საქ. დამსახურებული მხატვარი (1980), სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992), რუსთავის საერთაშ. თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღბის" მფლობელი (1997). თეატრის მოღვაწეთა და მხატვართა კავშირების წევრი. მონაწილეობდა სარაევოს, ედინბურგის, ვარშავის, კაიროს, ერევნის საერთაშორისო ფესტივალებში.
ჰობი: „რეჟისორების გინება".
მისამართი: (სამსახურის) ვეკუას 6, აღმაშენებლის 99. თბილისი. (ბინის) გლდანი, ა მიკრორაიონი, კორპ. 70, ბ.53. თბილისი. ტელ: 65 25 70.

## გიორგი ჭელიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა სოხუმში 1973 წ. 14 აპრილს. მშობლები: თინა და ჯიმშერ ჭელიძეები; მეუღლე — თია ლობჟანიძე (1975); შვილი— ანდრია (2008). დაამთავრა თსუ ბიზნეს-ინფორმატიკის ფაკ-ტი (2003). იყო შპს აუდიტორული ფირმა „დესი"-ს დირექტორი (1999-2005); რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო ქართლის მხარეში საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებულის აპარატის მთ. სპეციალისტი, სახელმწ. რწმუნებულის მოადგილე (2005-07); ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში — ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწ. რწმუნებულის — გუბერნატორის მოადგილე (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „საქართველოს რეგიონები—მაჟორიტარები"-ს მდივანი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წევრი. არის აფხაზეთის ომის ვეტერანი.
ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 16. (ბინის) გლდანის ა მ/რ, კ. 55, ბ. 59, თბილისი. ტელ: 62 62 53.
**სამართლიანობა, საქმისადმი პედანტობა. მიყვარს საქმის ბოლომდე მიყვანა.**

## ზურაბ ჭელიძე



ჟურნალისტი. ტელეკომპანია „პირველი სტერეოს" ტექნიკური განვითარების პროექტების მენეჯერი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ვენერა თევდორაძე, თამაზ ჭელიძე; მეუღლე — ირინე ჩხეიძე (1965); შვილები: ირაკლი (1988), ლუკა (1993). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1984). იყო გეოფიზიკის ინ-ტის ტექნიკოსი, ინჟინერი, უმც. ინჟინერი, უფრ. ინჟინერი, მეცნ. თანამშრომელი (1982 წლიდან); რადიოკომპანია „პირველი რადიოს" პრეზიდენტი (1993-2007); ტ/კ „პირველი სტერეოს" გენ. დირექტორი (1997-2007); ტ/კ „პირველი სტერეოს" ტექნიკური განვითარების პროექტების მენეჯერია 2007 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნ. სტატია მინისძვრების შესახებ სხვადასხვა გეოფიზიკურ ჟურნალებში. მიღებული აქვს „ВДНХ"-ს მედალი და სიგელი რადიოელექტრონიკის დარგში; სამაუწყებლო ტექნიკის ინჟინერ-ექსპერტის ევროპული სერტიფიკატი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ალექსიძის 1. თბილისი 0193. ტელ: 33 40 11. (ბინის) შარტავას 18ა.
**ჯობს, წინასწარ იფიქრო იმაზე, როგორ წაიყვანო ახალი საქმე (ბიზნესი), ვიდრე შემდეგ ათჯერ მეტი იფიქრო იმაზე, თუ რატომ არ მიდის კარგად ეს ახლადდაწყებული საქმე.**

## თამაზ ჭელიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გეოლოგი. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1934 წ. 24 დეკემბერს. მშობლები: ლუბა დარჩია, ლუკა ჭელიძე; მეუღლე — ვენერა თევდორაძე (1934); შვილები: ლია (1958), ზურაბი (1963). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის გეოლოგიის ფაკ-ტი (1957). იყო გეოფიზიკის ინ-ტის უმც. (1957-66) და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1966-67), განყ-ბის გამგე (1976-85), დირექტორის მოადგილე (1985-92), დირექტორი (1992-2006). იყო თსუ საძიებო გეოფიზიკის კათედრის გამგე (1989-2006). 2006 წლიდან არის მ.ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია ქიმიის დარგში თემაზე: „არაერთგვაროვანი მასალების ელექტრული სპექტროსკოპია" (კიევი, 1975) და ფიზიკა-მათემატიკის დარგში — „რღვევის პროცესის ახალი სტატისტიკური მოდელი" (მოსკოვი, 1985). არის ავტორი წიგნებისა: "Электрическая спектроскопия гетерогенных систем" (1977); "Методы теории перколяции в механике геоматериалов" (1987); „Fractal Damage Mechanics of Geomaterials" (1993); „გეოფიზიკური მეთოდები ბუნების დაცვაში" (2004). არის საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი; სტრასბურგის (1987,1992) და რენის (1994-97) უნ-ტების საპატიო პროფესორი; ევროპის საბჭოსთან არსებული დიდი კატასტროფების შეთანხმების მუდმივი წარმომადგენელი საქართველოდან (1993); ევროპული ცენტრის — „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი"-ს დირექტორი (1995); ამერიკის გეოფიზიკური და სეისმოლოგიური საზ-ბის (1998), ამერიკის გეოფიზიკური კავშირისა (1992) და ნიუ-იორკის აკად-ის წევრი; ღირსების ორდენის კავალერი (2000). იყო საქ. გეოფიზიკური საზ-ბის პრეზიდენტი (1995-2000). მიღებული აქვს ალექსიძის სახ. საქ. გეოფიზიკური საზ-ბის პრემია (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Marquis Who's Who in the World" (ABI); „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ლიტერატურა. მებაღეობა.
მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1, თბილისი. ტელ./ფაქსი: 33 28 67. (ბინის) მ.ალექსიძის 1, კორპ.6, ბ.6, თბილისი 0194. ტელ: 33 22 15, 30 62 46. ელ.ფოსტა: chelidze@gmail.com
**პატიოსნად მიღწეული წარმატება.**

## თამაზ ჭილაძე

მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა სიღნაღში 1931 წ. 5 მარტს. მშობლები: თამარ მათეშვილი, ივანე ჭილაძე; დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო ჟურ. „ცისკრის" განყ-ბის გამგე (1958-64); რუსთაველის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი (1964-72); ჟურნალების — „საბჭოთა ხელოვნება" (1972-81) და „მნათობი" (1997-2009) მთ. რედაქტორი; მწერალთა კავშირის მდივანი (1981-88). არის ავტორი პროზაული ნაწარმოებებისა: „გასეირნება პონის ეტლით" (1960), „შუადღე" (1961), „თეთრი კვამლი" (1967), „მდგმურები" (1971), „კაქტუსის ბაღი" (1991) და სხვ. ლექსების კრებულებისა: „მზის საათი" (1961), „მახსოვრობა" (1978), „ლექსები" (1988). პიესებისა: „მკვლელობა" (1969), „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის" (1979), „ნახვის დღე" (1987), „როცა შუქი ქრება" (1995). ესეისტური პროზის: „აკაკი წერეთლის პოეზია" (1976), „წინასწარმეტყველი" (1987), „ვარდის ფურცლობის ნიშანი" (რუსთაველი, 1983), ი.ცურტაველის „შუშანიკის წამება" (1976), „კენჭი" (კაფკა, 1972), „ტოლსტოის გაკვეთილები" (1978), „თეატრი — ჩვენი სიყვარული" (1977) და სხვ. არის რუსთაველის (1992), სახელმწ. (1997), გ.შერვაშიძის სახ. (1997), ალ.ყაზბეგის სახ. (2000) პრემიების ლაურეატი; დას. გერმანიის რადიომაუწყებლობის I პრემიის მფლობელი (პიესისათვის „სამოთხის კვარტეტი"; 1996). მწერალთა კავშირისა (1957 წლიდან) და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის (1965 წლიდან) წევრი; ღირსების ორდენის კავალერი (1976). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Who's Who" (ლონდონი, 1983); „ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიულ ცნობარში" (ბელგია, 1994); „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); სხვა ქვეყნების ენციკლოპედიებში.

მისამართი: (სამსახურის) თაბუკაშვილის 5. თბილისი (ბინის) ჩიქოვანის 22, ბ.7, თბილისი 0171. ტელ: 33 49 87.

**რადგან სიტყვის გარდა სხვა არაფერი გამაჩნია, რადგან სიტყვაა ჩემი სიმდიდრეც და სიღარიბეც, ამიტომ შელოცვასავით ერთი და იგივე უნდა ვიმეორო, იქნებ ხმა ვინმეს მიაწვდინო: „სიტყვა იგი იყო ღმერთი!" — ეს ხომ იგივეა, ვირწმუნო — სიტყვის ძალისხმევა ინკარნაციის დიდი აქცია. ამდენად, ჩემთვის მწერლობა რელიგიის მსახურებასავითაა. ეს რწმენაა, დღემდე სულიერ წონასწორობას რომ მინარჩუნებს.**

## ოთარ ჭილაძე (1933-2009)

მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა სიღნაღში 1933 წ. 20 მარტს. მშობლები: თამარ მათეშვილი, ივანე ჭილაძე; მეუღლე — ნანა თოფაძე-ჭილაძისა (1933-90); შვილები: ზაზა (1955), თამარი (1961). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი ჟურნალისტიკის განხრით (1956). არის ავტორი წიგნებისა: „მატარებლები და მგზავრები" (1959), „თიხის ფირფიტები" (1963), „რკინის საწოლი" (1965), „სინათლის წელიწადი" (1967), „გულის მეორე მხარე" (1974), „გახსოვდეს სიცოცხლე" (1984), „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" (1973), „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" (1976), „რკინის თეატრი" (1981), „მარტის მამალი" (1987), „აველუმი" (1995), „კიბე" (2002), „გოდორი" (2003), „ბედნიერი ტანჯული" (2003); თარგმნილი აქვს: რასინის „ფედრა", ბაირონის „ბარათი ავგუსტას", „ლონგფელოს „ჰაიავათას სიმღერა", პუშკინის „რუსლანი და ლუდმილა", „ბაღჩისარაის შადრევანი", „პოლტავა" და სხვ. მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფილმი „ლონდრე" (1965). არის საქ. სახელმწ. (1993), ილ. ჭავჭავაძის სახ. (1997) და რუსთაველის (1983) პრემიების ლაურეატი. იყო მწერალთა კავშირის წევრი (1959-2009). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში (1987); ცნობარებში „Who's Who" (ლონდონი 1996), „ვინ ვინაა საქართველოში" (ყველა გამოცემა), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო სამშობლო და სიმართლეა! სხვა იდეალების დევნა, ჯერჯერობით, თუ უნებლიე დანაშაული არ არის, აშკარა ფუფუნებაა ჩვენთვის. ფუფუნება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ჯერ ღირსი უნდა გახდე ფუფუნებისა, ანუ, უნდა დაიმსახურო, ისევ და ისევ, სამშობლოსა და სიმართლის სამსახურით.**

## ალექსი ჭინჭარაული

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა დუშეთის რ-ნის სოფ. შატილში 1925 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: მექია (მზექალა) და ლეკო ჭინჭარაულები; მეუღლე — ნინო ჭინჭარაული (1926); შვილები: მანანა (1949), ნათელა (1955), თორელი (1958), ლელა (1961). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1955). იყო საქ. მეცნ. აკად-ის ენათმეცნიერების ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბის უმც. (1958), უფრ. (1965) და ნამყ. (1985) მეცნ. თანამშრომელი, ლექსიკოლოგიის განყ-ბის გამგე (1999). არის მთ. მეცნ. კონსულტანტი — 2005 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის საკითხები („ვეფხისტყაოსნისა" და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მიხედვით, 1992). არის 114 გამოკვლევის ავტორი. გამოცემული აქვს წიგნები: „ხევსურულის თავისებურებანი" (1960), „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი" (1969), „ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტის დადგენისათვის" (1977), „აკაკი შანიძე — მთის მკვლევარი" (1977), „მთას ვიყავ..."(1980), „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის საკითხები" (წიგნი I, 1982), „ხევსურული ლექსიკონი" (2005). არის გელათის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1995 წლიდან); ღირსების ორდენის კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კარგი წიგნის კითხვა.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. IVკვ., 22კ. ბ. 7, თბილისი 0186. ტელ. 32 35 09.
**საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ენა, კულტურა, („ვეფხისტყაოსანი" დ.გურამიშვილი, ნ.ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე.), მისი მატერიალური ძეგლები, მისი ყოველი კუთხე და დიდი ტკივილი ბედუკუღმართობის გამო დაკარგული კუთხეებისა და მტრებისაგან იავარქმნილი ჩვენი კულტურის ძეგლების გამო. თუ რაიმე კარგი და წარმატებული მაქვს, ეს არის მშობლების, ჩემი კუთხის და იმ ინტელექტუალური გარემოს (მეცნიერი მასწავლებლები, უფროსი თუ უმცროსი მეგობრები) წყალობა, რომელშიაც ვიცხოვრე.**

## გია ჭირაქაძე

საქართველოს დამსახურებული არტისტი. ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1937 წ. 21 სექტემბერს. მშობლები: ლეილა დადიანი, გრიგოლ (გიგლა) ჭირაქაძე; მეუღლე — ნინო ბაბუხადია (1946); შვილები: გიორგი (1959), ირაკლი (1971), ეკატერინე (1975). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1961). იყო სპი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის ლაბორანტი; საქ. სახელმწ. საესტრადო ორკესტრ „რეროს" კონფერანსიე (1959-80); საქტელერადიოს უფრ. რედაქტორი, (1980-2004); კომენტატორი. გადაღებულია ფილმებში: „აპრილი"; „რერო მასპინძლობს"; „შეხვედრა მთაში"; ვიდეო-ფილმში — „ქართული ფილმი სცენაზე და სცენის მიღმა" (7 სერია). იყო ანსაბლ „ქართული ხმების" წევრი. ჩაწერილი აქვს კომპაქტდისკები. არის საქ. დამს. არტისტი (1967); სახელმწ. პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1997); სსრკ და საქ. ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1978). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი"; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ტურიზმი.
მისამართი: (ბინის) ყიფშიძის 10, ბ. 72, თბილისი. ტელ: 23 53 73.
**გიყვარდეს მოყვასი, ყველა ბავშვი, იყავი შეძლებისდაგვარად გულწრფელი, აკეთე სიკეთე. „რეროში" მუშაობის წლები შემოქმედებითად ძალზე დატვირთული და საინტერესო იყო.**

## გივი ჭიჭინაძე



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1959 წ. 2 ივლისს. მშობლები: ეთერ კალაძე, გურამ ჭიჭინაძე; მეუღლე — მაკა სოხაძე (1964); შვილი — თამარი (1997). დაამთავრა ს/ს ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1984). იყო საქსახკომტექნიკის საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინ-ტის კონსტრუქტორი (1977-88); ანსამბლ „თბილისის" სოლისტი (1988-92); ანსამბლ „ქართული ხმების" სოლისტი (1992 წლიდან); ანსამბლ „ფესვების" დირექტორი (2005 წლიდან). გამოშვებული აქვს 5 მუსიკალური ალბომი („ქართული ხმები"). შესრულებული აქვს ეპიზოდური როლები ფილმებში. არის რაგბში საქ. თასის 3 გზის ჩემპიონი სპი გუნდთან ერთად (1979, 1980, 1981); სსრკ ჩემპიონი კლუბ „შევარდენთან" ერთად (1981). არის სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996); ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „ქართული რაგბის ისტორია" (2001); ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნატურალური ღვინის დალევა მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად.
მისამართი: (ბინის) ვ. ფშაველას 47, 19კორპ.ბ. 25, თბილისი. ტელ: 39 46 78.
**ვიცხოვრო ქრისტიანულად.**

## გოგი ჭიჭინაძე



დირიჟორი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე.

დაიბადა თბილისში 1969 წ. 8 თებერვალს. მშობლები: ბარბარე მიქელაძე, რევაზ ჭიჭინაძე; დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკ-ტი, პარალელურად — სიმფონიური დირიჟორობის სრული კურსი (1993), ასპირანტურა (1995), გაიარა სტაჟირება სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში. თანამშრომლობდა საქ. სახელმწ. ტელერადიოკორპორაციის სიმფონიურ ორკესტრთან (1992-2002); სანკტ-პეტერბურგის სახელმწ. უნ-ტის ორკესტრთან (1994-95); ლიტვის სახელმწ. (2009) და ვარშავის (2009) ფილარმონიული ორკესტრებთან. იყო საქ. სახელმწ. სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი (1995-2004); თბილისის საფესტივალო კამერული ორკესტრის მთ. დირიჟორი (1996-97). თანამშრომლობს ქუთაისის (1992 წლიდან) და ბათუმის (1994 წლიდან) სიმფონიურ ორკესტრებთან; სომხეთის ფილარმონიულ ორკესტრთან (1998 წლიდან); სანკტ-პეტერბურგის სახელმწ. ერმიტაჟის ორკესტრთან (2001 წლიდან). არის თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის უფრ. მასწავლებელი (2000 წლიდან), ამავე კათედრის ასოც. პროფესორი (2005 წლიდან). 2004 წლიდან არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე და დირიჟორი. მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ საერთაშ. მუსიკალურ ფესტივალში (თბილისში, ბონში, ვილნიუსში ტოკიოში, ზალცბურგსა და სხვ.). არის დამდგმელი დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი სპექტაკლებისა: „დონ პასკუალე", „ბალ მასკარადი", „რიგოლეტო", „დონ ჟუანი". შესრულებული აქვს მთ. როლები მხ. ფილმებში: „ატრაქციონი", „ბეობახტერი", „კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის". არის საკომპოზიციო კონკურსის „შენ გიმღერი ჩემო თბილის ქალაქო" გამარჯვებული (2000); ტოკიოს დირიჟორთა საერთაშ. კონკურსის დიპლომანტი (2000); 2009 წელს გახდა კლასიკური მუსიკის საერთაშ. სააგენტოს „ინტერარტისტს ამსტერდამ"-ის ექსკლუზიური არტისტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. კინემატოგრაფია.
ელ-ფოსტა: geosymphonyc@yahoo.com; www.tchitchinadze.com
**სულიერება, ჭეშმარიტება, კეთილშობილება.**

## დოდო ჭიჭინაძე (1925-2009)

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა ქუთაისში 1925 წ. 28 თებერვალს. მშობლები: ანა ახვლედიანი, ვასილ ჭიჭინაძე; მეუღლე — ალექსი ბუზოღლი (1914). დაამთავრა საქ. „ქართულ ფილმთან" არსებული უმაღლესი კინოსამსახიობო სკოლა. იყო კინოსა (1946 წლიდან) და თეატრის (1949 წლიდან) მსახიობი. თეატრსა და კინოში შექმნა 100-ზე მეტი სახე. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ურიელ აკოსტა", „მედეა", „ჯარისკაცის ქვრივი", „მოკვეთილი", „რიჩარდ III", „უბედურება", „ლეგენდა სიყვარულზე", „კარტოთეკა" და სხვ. შეასრულა როლები მხ. ფილმებში: „დავით გურამიშვილი" (1946), „ბედნიერი შეხვედრა" (1949), „ჭრიჭინა" (1953), „ცისკარა" (1956), „ბაში-აჩუკი" (1958), „ნინო" (1960), „შეწყვეტილი სიმღერა" (1961), „ორომტრიალი" (1986), „ვალსი პეჩორაზე" (1992) და სხვ. იყო საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის (1950 წლიდან), კინემატოგრაფისტთა კავშირისა (1965 წლიდან) და ქალთა საზ-ბის წევრი; ყვარლის საპატიო მოქალაქე; ღირსების ორდენის კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა (1987) და დ.მდივნიშვილის წიგნში „მშვენიერთა სავანე" (1998). 2009 წელს მიენიჭა ვ.ანჯაფარიძის სახელობის პრემია და კინოთეატრ „რუსთაველის" წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
**სამშობლოს სიყვარული, პატიოსნება, სიკეთე, ქველმოქმედება.**

## ვახტანგ ჭიჭინაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
მართვის სისტემების სპეციალისტი.



დაიბადა ამბროლაურის რ-ნის სოფ. თლუღში 1918 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ალექსანდრა გოცირიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე; მეუღლე — ქეთევან გაჩეჩილაძე (1928); შვილები: ელისო (1952), რევაზი (1958). დაამთავრა სპი ელექტროტექნიკის ფაკ-ტი (1947), სსრკ მეცნ. აკად. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტის ასპირანტურა (1952). იყო ენერგეტიკის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1952-56); მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1956-71); ს/კ ინ-ტ „მიონის" დირექტორი (1971-74); განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (1974-78); გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტის დირექტორი (1978-92). არის მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მრჩეველი — 1992 წლიდან. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია (1968 წელს). არის მრავალი სამეცნ. სტატიისა და წიგნის ავტორი, მათ შორის: „Решение невыпуклых нелинейных задач оптимизации" (1983), „Введение в теорию систем административного управления и организации" (1988). დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავისა (1945) და სამამულო ომის (1945) ორდენებით. არის გ.ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი; უცხოეთის მრავალი საზ-ბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში : „Marquis Who's Who" (აშშ, 1995), ABC (ინგლისი, 1995) და "American International Application" (აშშ, 1996), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი. (ბინის) ჭავჭავაძის 16. ბ. 8, თბილისი 0179. ტელ: 22 23 17.
**სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, სამეცნიერო დონე.**

## თეიმურაზ (თემიკო) ჭიჭინაძე

მსახიობი.



დაიბადა თბილისში 1966 წ. 2 ივლისს. მშობლები: მზია რამიშვილი, გოგი ჭიჭინაძე; მეუღლე — ნინო თარხან-მოურავი (1965); შვილი — ელისაბედი (1992). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1987). 1987 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „სამანიშვილის დედინაცვალი", „ამაღამ მგონი იქნება ქარი", „ჰამლეტი", „საშობაო სიზმარი", „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „მაკბეტი", „ლამარა", „ქალი გველი", „12 განრისხებული მამაკაცი" და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „კვირა დღე", „სტუმრები", „ცივა", „სახლი", „ზღვარზე", „კალმასობა იოანესი", „ქალაქის ქუჩებში", „კაცი საელჩოდან", „ოტელო" და სხვ.
ჰობი: წიგნები. მუსიკა. მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის თეატრი, თბილისი. (ბინის) ჭავჭავაძის 50, თბილისი.
**PEACE AND LOVE!!!**

## ტარიელ ჭიჭინაძე

საოპერო მომღერალი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა კასპში 1951 წ. 30 აპრილს. მშობლები: ოლღა და ევგენი ჭიჭინაძეები; მეუღლე — მარიამ ჭიჭინაძე (1950); შვილები: მაია (1970), ჭიაბერი (1975). დაამთავრა თსკ (1976). მუშაობდა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში (1999-2004). 1975 წლიდან შესრულებული აქვს 55 საოპერო პარტია ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სცენაზე — სპექტაკლებში: ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი"; რ.ლაღიძის „ლელა"; ვ.დოლიძის „ქეთო და კოტე"; მ.დავითაშვილის „ნაცარქექია"; ჯ. ვერდის „აიდა", „რიგოლეტო", „ოტელო", „ტრუბადური"; როსინის „სევილიელი დალაქი"; მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი"; პუჩინის „ჩიო ჩიო სანი"; პროკოფიევის „ცეცხლოვანი ანგელოზი" და სხვ. არის საქ. დამს. არტისტი (1990); რესპუბლიკური კონკურსის I პრემიისა (1975) და ა/კ მუსიკოს-შემსრულებელთა V კონკურსის I პრემიის ლაურეატი (1977); თეატრალური საზ-ბის წევრი — 1978 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი — ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25, თბილისი 0118. ტელ: 99 65 66. (ბინის) გლდანის VI მკრ, კორპ. 20, ბ. 54, თბილისი. ტელ: 68 90 80.
**სიმართლე, სიკეთე და დიდი სიყვარული იყო და არის ჩემი ცხოვრებისეული კრედო უდიდეს შრომისმოყვარეობასთან ერთად, რამაც განაპირობა ჩემი წარმატება.**

## გიორგი ჭკუასელი

ექიმი. ონკოგინეკოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1960 წ. 23 აგვისტოს. მშობლები: ზაირა ჯოხთაბერიძე, თეზიკო ჭკუასელი; მეუღლე — ნინო ჩიქვინიძე (1961); შვილები: გვანცა (1981), ნუცა (1987). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1983). იყო თბილისის ონკოლოგიური სამეცნ. ცენტრის ორდინატორი (1983–85); ლენინგრადის პეტროვის სახ. ონკოლოგიის ინ-ტის ასპირანტი (1987–90) და დოქტორანტი (1991–94); სანკტ–პეტერბურგის მეანობა-გინეკოლოგიის ინ-ტის ნამყ. მეცნ. თანამშრომელი (1994–96); თსუ კათედრის პროფესორი (2000-06). დაცუ-

ლი აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "Адекватный объем операции у больных рака вульвы в свете особенностей метастезирования и рецидивирования" (1989). სადოქტორო — "Патогенические обоснования возможностей своевременного выявления рака яичников" (1993). არის 44 სამეცნ. ნაშრომის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია: "Новые подходы к лечению гинекологического рака" (изд. "Гипократ", Санкт-Петербург, 1993); "Рак вульвы" (1996). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ელ-ფოსტა: gchkuaseli@gmail.com

## თეიმურაზ ჭკუასელი



მომღერალი. ჟურნალისტი. მწერალი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან დარჩია, დავით ჭკუასელი; მეუღლე — ნანა კობიძე (1951); შვილები: დავითი (1977), მამუკა (1978). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1975). იყო საქ. ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის ხალხური შემოქმედების მთ. რედაქციის რედაქტორი (1979-81), განყ-ბის გამგე (1981-85), მთ. რედაქტორი (1985-92); არის ანსამბლ „ქართული ხმების" დამფუძნებელი და წევრი 1985 წლიდან. არის ავტორი წიგნებისა: „წინ წინაპრებისაკენ" (1999), „კვამლის სინდრომი" (2001); „სეიკო" (2002), „ზღვა იყო უფრო მშვიდი, ვიდრე ხმელეთი" (2006); შვიდ-სერიანი სატელევიზიო ფილმისა „ქართული ხმები სცენაზე და სცენის მიღმა"; სცენარის ნანა ჯანელიძის დოკ. ფილმისთვის „ხმა ღვთისა" (2009). არის ღირსების ორდენის კავალერი (1996); სახელმწ. (1999) და ნ. ნიკოლაძის სახ. (2000) პრემიების ლაურეატი; ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1982 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ღვინის საცობების კოლექცია.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 39ა, თბილისი. (ბინის) წერეთლის 97, თბილისი. ტელ: 34 56 52.
**სიმართლე და პროფესიონალიზმი.**

## ჯემალ ჭკუასელი



საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელი, დირექტორი, მთავარი დირიჟორი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა სოფ. შემოქმედში 1935 წ. 18 მაისს. მშობლები: ანა გალოგრე-ჭკუასელისა, შერმადინ ჭკუასელი; მეუღლე — გიული ჭულუხიძე-ჭკუასელისა; შვილები: შერმადინი (1958), კახაბერი (1963), ეკა (1967). დაამთავრა ს/ს ინ-ტის აგრონომიის ფაკ-ტი (1970). იყო გარდაბნის რ-ნის მთ. აგრონომი (1971-73); საქ. ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის მომღერალი (1976-79); ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის დამაარსებელი, დირექტორი, სამხ. ხელმძღ. და მთ. დირიჟორი (1979-86). 1986 წლიდან არის საქ. ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლ „ერისიონის" სამხ. ხელმძღ., დირექტორი და მთ. დირიჟორი. არის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1984); ღირსების ორდენის კავალერი (1995); საქ. სახალხო არტისტი (1990); სახელმწ. (2002) და რუსთაველის (2003) პრემიების ლაურეატი. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის აღორძინებისა და დაცვის საერთაშ. ფონდის დირექტორი (1997 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „თბილისი", ცნობარებში: „საქართველოს საქმიანი და გამოჩენილი ადამიანები", „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მომღერალ, მგალობელ მეგობრებთან დროსტარება. შვილიშვილების გარემოცვაში ტრიალი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 16, თბილისი 0108. ტელ: 93 11 12. (ბინის) წერეთლის 11-ე კორპ. ბ. 5, თბილისი 0119. ტელ: 34 66 22.
**ადამიანებთან კეთილი ურთიერთობა, სიმართლე, პროფესიული სრულყოფა, ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. პატივისცემით ვეკიდები სხვის აზრს, თავს არ ვახვევ სხვას ჩემს აზრებს, ვცდილობ გავახარო მსმენელი, არ ვაგრძნობინო არავის ჩემი უპირატესობა, თუკი ასეთი აღმოჩნდება; გავიზიარო სხვისი ჭირი, აღმაფრთოვანოს სხვისმა წარმატებამ, ვეთაყვანო ჩემი ხალხის ტრადიციებს.**

## ლევან ჭოლაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე. იურისტი.



დაიბადა თბილისში 1978 წ. 9 აპრილს. მშობლები: მარინა ზანდუკელი, ვახტანგ ჭოლაძე; მეუღლე — ელენე ბაზიერაშვილი (1980); შვილები: ვახტანგი (2002), ნიკოლოზი (2008). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი (2000); ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი (რომი, 2003), ლიდსის უნ-ტის ქ. იორკის წმ. ჯონის სახ. კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი, 2003). მუშაობდა საქ. პროკურატურის სისტემაში (1996-98). იყო საქ. თავდაცვის სამინისტროს საერთაშ. სამართლებრივი სამმართველოს უფროსი (1998-2004); საქ. თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსი (2004); საქ. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სახელმწ. და საზ-ბრივი უსაფრთხოების დეპ-ტის დირექტორი (2004 ); საქ. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე (2004); საქ. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე (2005); საქ. პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი (2005); საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2006-07); საქ. კონტროლის პალატის თავ-რე (2007-08). 2008 წლიდან არის საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე; აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი (2006), ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი (2008). დაჯილდოებულია „ღირსების მედლით". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა. ავტომობილი.
მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. 6, თბილისი 0159. ტელ: 37 80 37. ფაქსი: 37 80 38.
ელ-ფოსტა: choladze@moa.gov.ge
**ვიცხოვრო სიმართლით და გამოვადგე ჩემს ქვეყანას.**

## ლევან ჭოლოშვილი

მხატვარი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1953 წ. 22 მაისს. მშობლები: მზია ანდრონიკაშვილი, გიორგი ჭოლოშვილი. დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1976). იყო თსუ ფერწერის მასწავლებელი (1980 წლიდან); არის თსსა პროფესორი (1997 წლიდან); ძველი ქრისტიანული ხელოვნების დაცვის საზ-ის „საძერეების" (1996), თანამედროვე ხელოვნების ფონდისა (1999) და ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ცენტრის დამფუძნებელი(2002); კავკასიური კულტურის განვითარების ცენტრის თანადამფუძნებელი (2001); თბილისი-ბაზელი- ფრაიბურგის მხატვართა გაცვლითი პროგრამის დამაარსებელი (1998). გამართული აქვს გამოფენები: გალ. „ემპედოკლე რესტავო"-ში (პალერმო, 1987), მონა ბისმარკის ფონდში (პარიზი, 1990), გალ. „ლ'ორანჟერი"-ში (სენ პოლ დე ვანსი, 1991), მოსკოვის მხატვრის ცენტრ. სახლში (1993), ხელოვნების საერთაშ. ფესტივალზე (ანკარა, 1995), გალ „+-"-ში (ბაზელი, 1996), ედინბურგის საერთაშ. ფესტივალზე (1996), ინგლისში (1996), ვაშინგტონში (1997). არის თავადაზნაურთა საკრებულოს გამგეობის (1995) და მეცნ. აკად. მეცნიერების ისტორიის საზ-ბის წევრი. არის ედინბურგის საერთაშ. ფესტივალის (1996) და ვენეციის ბიენალეს (2003) მონაწილე. მიღებული აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი საუკეთესო ნაციონალური სელექციისათვის კანის საერთაშ. ხელოვნების ფესტივალზე (1990); მთ. პრიზი ანკარის საერთაშ. ხელოვნების ფესტივალზე (1995). მისი ნამუშევრები დაცულია საქ. საპატრიარქოში, გრემის მონასტერში, სეგ-ში, კავკასიის ნავთობის კორპორაციაში, ვატიკანის მუზეუმში, გალ-ში „ლ'ორანჟერი", საქართველოს, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: IBC (კემბრიჯი), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22.
**უსამართლობასთან შეურიგებლობა.**

## თამრიკო ჭოხონელიძე



მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი. შ.რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის მუსიკალური სახელოსნოს ხელმძღვანელი.

დაიბადა თბილისში 1964 წ. 18 იანვარს. მშობლები: ელისაბედ კალანდაძე, ევსევი (კუკური) ჭოხონელიძე; მეუღლე — გიორგი როინიშვილი (1964); შვილები: მარიამი (1989), კონსტანტინე (1990). დაამთავრა თსკ მუსიკისმცოდნეობა-ფოლკლორისტიკის ფაკ-ტი (1987). გამოქვეყნებული აქვს სტატიები სხვადასხვა საკონფერენციო ნაშრომთა კრებულებში. გამართული აქვს 2 სოლო კონცერტი (1998, 1999). გადაღებულია ფილმებში: „მოედივართ, მოვიმღერით" და „მზიური". არის სიმღერების შემსრულებელი ფილმებში: „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო", „იავნანა"; მულტ. ფილმებში — „გოგონა და ბატი", „ეკა და ბეკეკა". გამოცემული აქვს დისკი (2000); არის დები იშხნელების (სოფიო და თინა ჭოხონელიძეებთან ერთად), ი.გოგებაშვილისა და სახელმწ. პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი.
ჰობი: მცენარეთა მოვლა. ტირში სროლა.
მისამართი: (სამსახურის) ტელ: 95 10 50. (ბინის) წერეთლის გამზ. 87ა, ბ., 48. თბილისი. ტელ: 35 16 75.
**ბავშვობიდან ჩანერგილი მაქვს ჩემი ამქვეყნად მოსვლის დანიშნულება — ვიცხოვრო ადამიანებისთვის, ადამიანურად. გავცე ბევრი სითბო, სიკეთე ვაკეთო, პატივს ვცემდე ყველაფერს, რაც უფალმა გვაჩუქა, ვიყო კარგი პროფესიონალი. რასაც ვაკეთებ, ტრადიციებზე დაყრდნობით ვაკეთებ. მაქვს ღირსეული ოჯახი, არ მღალატობს ზომიერების გრძნობა. ვამაყობ მეგობრებით! მინდა ყოველთვის ქართველი მერქვას. არასოდეს ვღალატობ ქართველობას და ... სიმღერას.**

## გია ჭუბაბრია



კინორეჟისორი. კინოოპერატორი.

დაიბადა თბილისში 1937 წ. 28 მაისს. მშობლები: მარიამ ქავთარაძე, დავით ჭუბაბრია; მეუღლე — ლეილა გაბუნია (1936); შვილები: ერეკლე (კახი), რუსუდანი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი რუსული ჟურნალისტიკის განხრით (1957), მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტი (ВГИК, 1962). იყო კ/ს „ქართული ფილმის" კინორეჟისორი და კინოოპერატორი (1962-66). 1966 წლიდან მუშაობს საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიაში; იყო ამავე სტუდიის დირექტორი (2000-02). არის ავტორ-შემდგენელი წიგნისა „28 წელი გულაგში" (ლ.ქავთარაძე, 2008) და „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონის" შემდგენელი (1985). გადაღებული აქვს 40 დოკუმენტური ფილმი, აქედან 26 საავტორო (რეჟისორი, ოპერატორი, სცენარის ავტორი), მათ შორის: „ომალო" (1968), „თეთრი თორღვაი" (1969), „ქართველები ნიდერლანდებში" (1977), „ორაგულის ბედი" (1979), „იაპონია 74" (მოსკოვის ცენტრ. ტელევიზია), „ჩუქურთმის საგალობელი" (1987), „ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში" (1989), „ჟამი შეკრებად ქვათა" (1990), „თეთრი ზღაპარი" (1991), „გზა თავისუფლებისკენ" (1992), „რწმენის აღორძინება" (1997), „მარო მაყაშვილი" (2004) და სხვ. არის საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979); სახელმწ. პრემიისა (1983,1998) და ალბერტ შვაიცერის პრემიის (გფრ, 1983) ლაურეატი; კინოაკადემია „ნატოს" პრიზის მფლობელი (1997); ღირსების ორდენის კავალერი (1997); ობერჰაუზენის ფესტივალის დიპლომანტი (1969); მინსკის საკავშირო ფესტივალის ლაურეატი (1969); ქართულ-ებრაული საზ-ის პრემიისა და პრიზის მფლობელი (1990); სოხუმის, ბათუმის, თელავის რესპუბლიკური ფესტივალების პრიზიორი. ორგანიზაციების „წინ საქართველო" (2005), „ქართული აკადემიის" (2008), „დემოკრატიული მოძრაობა, ერთიანი საქართველოს" (2009), „თავისუფალი აზრის სახლის" (2009) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია БСЭ-ში, ცნობარებში: "Киноэнциклопедический словарь" (რუსეთი, 1986), „Документальное кино XX века" – Справочник-каталог, (Москва, 2005), The international combat kamera asdc. ins.7715 hollywood, california, 90046.
ჰობი: ურთიერთობა ადამიანთა შორის. მუსიკა, ჰარმონია. სიკეთე.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 19, თბილისი 0108. (ბინის) თბილისი, 0186, ნუცუბიძის ქ. 179, კორპ.2, ბინა 27, თბილისი. ტელ: 31 92 84, 8 99 172173. www.sandu.ge
**ღირსება, პატიოსნება, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა, სიყვარული და სიკეთე ადამიანების**

**(გარემოს) მიმართ. დამოუკიდებელი აზროვნება, სამშობლოს სიყვარული და თავდადება. რასაკ-ვირველია, ყველაფერი იწყება ოჯახიდან, გარემო! მე გახლავართ რეპრესირებული ოჯახიდან, სა-დაც ბავშვობიდან მესმოდა საუბრები პოლიტიკურ თემებზე. არავითარი სიყალბე, საკითხის ცალმხრივი განათება. ჩვენ სახლში ყველას და ყველაფერს ნამდვილ სახელს არქმევენ. სულ სხვაა როცა ადამიანი თავის თავზე გადაატარებს რაღაცეებს, სხვა სიღრმეები ეძლევა სათქმელს.**

## ზურაბ ჭუმბურიძე

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თერჯოლის რ-ნის სოფ. ქვედა სიმონეთში 1926 წ. 6 ივლისს. მშობლები: ვერა ტყავაძე, გალაქ-ტიონ ჭუმბურიძე; მეუღლე — ელენე ნიკოლაიშვილი (1928); შვილები: თამარი (1958), ნინო (1959). დაამ-თავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1949). იყო საქ. სახელმწ. გამომცემლობა „სახელგამის" უფრ. რედაქ-ტორი (1951-52); თსუ ძველი ქართული ენის კათედრის ასისტენტი (1952-57), დოცენტი (1958-70), პროფესორი (1970 წლიდან); რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომ-ელი (1957-59), ტექსტოლოგიის განყ-ბის გამგე (1985-2005); მეცნიერ-კონსულტანტია 2006 წლიდან. დაც-ული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სვანური ენის ლენტეხური კილოს ფონეტიკური თავისე-ბურებანი" (1953), სადოქტორო — „მყოფადი ქართველურ ენებში" (1968). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მონოგრაფიის და 2 სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები" (1956), „სალიტერატურო ენა და მწერლობა" (1962); „რა გქვია შენ?" (1966, 1971, 1982 2003); „ლიტერატურული ნერილები" (1975); „მადლი დედაენისა" (1982); „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ" (1983, 2000); „მყოფადი ქართველურ ენებში" (1986); „ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი" (1994), ხონური მრავალთავი, უდაბნოს მრავალთავი, ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკად. გამოცემები (ტექსტის დადგენა და რედაქტირება); ქა-რთველ თავად-აზნაურთა საოჯახო სიების გამოცემები (ფოტოებით), ქართული ენა — XI კლ. (თანაავ-ტორი გობეჩია, 1997, 1999). არის ღირსების ორდენის კავალერი (2001); შიო მღვიმელის (1996) და ვაჟა-ფშაველას (1997) პრემიების ლაურეატი; საქ. მწერალთა კავშირის წევრი (1957 წლიდან); გელათის მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი (1995 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ჭადრაკი.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 5, თბილისი. ტელ: 99 53 00. (ბინის) საბურთალოს ქ. 61, ბ. 2. თბილისი 0177. ტელ: 39 55 35.

**მთელი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი ვყოფილიყავი პატიოსანი, ბეჯითი და უან-გარო მსახური მშობელი ხალხისა და მისი კულტურისა. მადლობას ვწირავ უფალს, თუ ამ მხრივ ცოტა რამის გაკეთება მაინც შევძელი.**

## ნანა ჭურღულია

მხატვარი.



დაიბადა გუდაუთაში 1950 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ეთერ ფარულავა, ოთარ ჭურღულია; მეუღლე — თეიმურაზ სულხანიშვილი (1947); შვილები: თეა (1974), ნიკოლოზი (1986). დაამთავრა თსსა (1973). გაიარა სტაჟირება საკავშირო სამხატვრო აკად-ის თბილისის დაზგური გრაფიკის შემოქმედებით სა-ხელოსნოში (1978-81). იყო ესთეტიკის ინ-ტის მხატვარი (1974-75), საბავშვო სამხ. სკოლისა (1976-78) და თსსა (1976-78) პედაგოგი; მხატვარ მარკ პოლიაკოვთან ერთად ხელმძღვანელობდა თბილისის მხატვრის სახლის დაზგური გრაფიკის სახელოსნოს (1987-90); თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „მერანი",

„ნაკადული", „დილა" და სხვ. მონაწილეობდა გამოფენებში: ესტამპის საკავშირო გამოფენა (მოსკოვი, 1981), „ქართული ავანგარდი" (ლენინგრადი, 1989); გამოფენა „TOTAL SPACE" (გალ. „MAPC", 1989); ქართველი მხატვრების გამოფენა (გალ. „BROK", ბარსელონა, 1990); „ხატი და შემეცნება" (სეგ, თბილისი, 1996); გამოფენა-აქცია „MEGA-UNIVERSE", (გალ. "TMS", თბილისი,1996); ინტერნაციონალური გამოფენა „ARTSPACE" (ბრისტოლი, 1998); გამოფენა-აქცია „TOTAL SPACE" (სეგ, 2000); 3 მხატვრის გამოფენა (გალ. „ROTTER-PAVILION", „PUR-PUR", ბად-დობერანი, 1991); აკვარელის საერთაშ. გამოფენა „UPSD ART CENTER" (სტამბოლი, 2002); გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თბილისის მხატვრის სახლი (1984), გალ. „ორიენტი" (1998), გალ. „ESPACE GRENAT" (2005), M. GALLERY (თბილისი, 2007), თბილისის ისტორიის მუზეუმი (2008), „SHIRIN ART GALLERY" (სტამბოლი, 2009). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში (თბილისი), მოსკოვის პუშკინის სახ. და ხალხთა ხელოვნების მუზეუმებში, აშშ თბილისის საელჩოს კოლექციაში და სხვ. მუშაობს პროექტზე „ქართული შრიფტი, ისტორია და თანამედროვეობა". არის 50-მდე წიგნის მხატვარი; საქ. მხატვართა კავშირის, გრაფიკული დიზაინისა და საქ. მუზეუმების ასოც-ების, ასოც. „ART-არსის" წევრი; წიგნის მხატვრულ გაფორმებისათვის 2-ჯერ აქვს მიღებული რესპუბლიკური პრემია — „წლის საუკეთესო წიგნი". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მინერალოგია.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 11. თბილისი. ტელ: 251766; ელ-ფოსტა: nana_churgulia@yahoo.com

**შემოქმედი საზღვრებს გარეშე. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს და იმოღვაწეოს მზესა და დედამიწას შორის. შეხვედრა ბუნებასთან — გაკეირვება — იმპულსური ტრანსფორმაცია. განცდის სრულყოფა, ინტუიცია, წარმოსახვა. ვქმნი ჩემთვის — იმავდროულად ყველასათვის.**

## თემურ ჭყონია



კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერი.

დაიბადა 1950 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: მარგალიტა და სიმონ ჭყონიები; მეუღლე — მარინა გუნია (1949); შვილები: სოფიკო ჭყონია, გიორგი ფხაკაძე. დაამთავრა სპი საინჟინრო ფაკ-ტი. მუშაობდა მოსკოვის სხვადასხვა საწარმოში (1970-77); იყო ს/გ „თბილლუდის" ტექნოლოგი (1977-78); კომპანიის — „თბილხილწყალი" უსაფრთხოების ინჟინერი, უფრ. ინჟინერ-მექანიკოსი, წარმოების უფროსი, მთ. ინჟინერი (1978-87); სსფ „კავკასიონის" გენ. დირექტორი (1987-93); შპს „კოკა-კოლა კავკასიონის" პრეზიდენტი (1993-95); „მაკდონალდსის" საქ. სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე — 2007 წლამდე. არის კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" გენ. მენეჯერი; „ფრენჩაიზის" და „მაკდონალდსის" მფლობელი (2008 წლიდან); ჰოლდინგ „ჭყონია და კომპანიის" პრეზიდენტი; „კავკასიონის" გენ. მენეჯერი; სასტუმრო „ჯორჯიან პალას ოტელის" დამფუძნებელი. იყო საქ. პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი. არის სამეცნ. შრომებისა და გამოგონებების ავტორი. 1996 წელს დასახელდა საუკეთესო ბიზნესმენად. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ფეხბურთი, სირბილი, ბოქსი.

მისამართი: (სამსახურის) წერეთლის 14. ტელ: 94 16 99. ფაქსი: 99 79 15. (ბინის) მოსაშვილის 9.

**ყველა საქმის დეტალური შესწავლა, პროფესიონალიზმი. სიმართლე.**

## კობა ხაბაზი



საქართველოს პარლამენტის წევრი.

დაიბადა ქობულეთის რ-ნის სოფ. აჭყვისთავში 1967 წ. 26 ივლისს. მშობლები: მერი არღვლიანი, ზურაბ ხაბაზი; მეუღლე — მანანა რობაქიძე (1970); შვილები: ზურაბი (1994), ნინო (1998). გაიარა სპი სამშენებლო ფაკ-ტის არასრული კურსი. იყო აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, მართლწესრიგისა და კანონიერების კომიტეტის თავ-რე (2004); აჭარის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (2004-05); საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეგიონ. სამსახურისა და შიდა პოლიტიკის სამსახურის უფროსი (2005); 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების წევრი (2008). იყო საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (1990-99); ატლანტიკური თანამშრომლობის საქ. ასოც-ის (1990-99); კონფლიქტების კვლევის ცენტრის (1999-2001) წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეფუტკრეობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. (ბინის) ქობულეთი, აჭყვისთავი.
**„ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში შავსა და კასპიის ზღვებს შორის ქართველმა ხალხმა შექმნა ტერიტორიით მცირე, მაგრამ ნებით ძლიერი ქვეყანა, რომელსაც საქართველო ეწოდება" (ამბროსი ხელაია) და რომელსაც გაფრთხილება და თავგანწირვა სჭირდება. ერთად ვიბრძოლოთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.**

## შოთა ხაბარელი



სპორტსმენი — ძიუდოისტი. ოლიმპიური ჩემპიონი. იურისტი.

დაიბადა ქარელის რ-ნის სოფ. ძლევისჯვარში. მშობლები: მარიამ აბუთიძე, დიმიტრი ხაბარელი; მეუღლე — მანონი სიხარულიძე (1961); შვილები: მამუკა (1983), ანი (1994). დაამთავრა სპორტის აკადემია (1981), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). არის ოლიმპიური ჩემპიონი (1980). იყო საქ. ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მთ. მწვრთნელი (1986-2009). არის სამგზის ღირსების ორდენის კავალერი (2002, 2003, 2007); საპატიო ნიშნისა (2002) და ვ.გორგასლის II ხარისხის (2003) ორდენების მფლობელი; დასახელებულია ევროპის საუკეთესო მწვრთნელად (2002, 2003, 2006, 2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) ბელიაშვილის 5, თბილისი. ტელ: 52 83 70; 899 57 15 74.
**პასუხისმგებლობის უდიდესი მომთხოვნი. დისციპლინა, შრომისმოყვარეობა.**

## გიორგი ხაბეიშვილი



გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის ხელმძღვანელი.
ექიმი კარდიოლოგი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: გიული და სოლიკო ხაბეიშვილები; მეუღლე — ირმა შელია (1967); შვილები: ელენე (1995), ნინა (1997). დაამთავრა მოსკოვის სამედ. ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი (1987) და სუბორდინატურა (1988). იყო რუსთავის სასწრაფო დახმარების ექიმი (1988-89); თბილისის I საავადმყოფოს რეანიმატოლოგი (1989-98). 1998 წლიდან არის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის ხელმძ-

ღვანელი. დაცული აქვს დისერტაცია ინვაზიურ კარდიოლოგიაში. არის საქართველოს, რუსეთისა და აშშ სამეცნ. ჟურნალებში გამოქვეყნებული 21 სამეცნ. ნაშრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი.
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი, ალპინიზმი, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 33, თბილისი. ტელ: 25 10 00; ფაქსი: 25 17 12. (ბინის) ჭავჭავაძის 75, თბილისი 0179. ელ-ფოსტა: cardvasc@access.sanet.ge

## დილარ ხაბულიანი

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი. პოლიციის პოლკოვნიკი.



დაიბადა ლენტეხში 1952 წ. 24 ნოემბერს. მშობლები: ეთერ ნიჟარაძე, მიხეილ ხაბულიანი; მეუღლე — ხათუნა ქაფიძე (1973); შვილები: ანი (1979), გიორგი (2003). დაამთავრა საქ. ფიზიკური კულტურის სახელმწ. ინ-ტი, თსუ იურიდიული ფაკ-ტი. იყო საქ. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი (1974-77); სპორტული გაერთიანება „ქარიშხალას" მწვრთნელი (1977-79); საქ. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მწვრთნელი (1979-81); სპორტული გაერთიანება „ქარიშხალას" მწვრთნელი (1981-82); ჭიდაობის სკოლის დირექტორი (1982-90). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავ-რის მოადგილე; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი. არის საქ. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 42 19; 28 17 03. (ბინის) შევჩენკოს 16. თბილისი. ელ-ფოსტა: khabuliani@parliament.ge

## მამუკა ხაზარაძე

„თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.



დაიბადა თბილისში 1966 წ. 29 დეკემბერს. მშობლები: ზაირა ხუნდაძე, მამია ხაზარაძე; მეუღლე – ირინა ხიდეშელი, შვილები: ანა (1991), ნიკოლოზი (1992), ელენე (1997), სოფო (2004), იოანე (2009). დაამთავრა სტუ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1988); ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა (2000). არის „თიბისი ბანკის" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე 1992 წლიდან; „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1995 წლიდან); GRDC-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2004 წლიდან). არის საქ. ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს წევრი (1995 წლიდან), საქ. პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი (1996 წლიდან); ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (1997); 2008 წლის აგვისტოს ომისგან დაზარალებულთა დახმარების მიზნით შექმნილი „თიბისი ფონდის" ინიციატორი და დამფუძნებელი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წყალქვეშა სპორტი. ფოტოგრაფია. ცხენოსნობა. მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის ქ. 7, თბილისი, ტელ: 27 27 27, ფაქსი: 77 27 74.

## გიორგი ხაინდრავა



კინორეჟისორი. კინოოპერატორი.

დაიბადა თბილისში 1956 წ. 7 ივლისს. მშობლები: ლუდმილა და ლევან ხაინდრავები; მეუღლე — მარიამ ქიქინაძე (1959); შვილები: ლევანი (1983), მარიამი (1994). დაამთავრა სპი (1981); თსთი კინოსაოპერატორო ფაკ-ტი (1986). 1991 წლიდან არის საერთაშ. შემოქმედებითი ასოც. „TMS"-ის გენ. დირექტორი; თსთი დოკუმენტური კინოს სახელოსნოს ხელმძღვანელი (1992 წლიდან); იყო რადიო „ფორტუნას" პროგრამების დირექტორი (1998-2002); საქ. ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი; პოლიტპატიმარი (1991); დროებითი მთავრობის სახელმწ. საბჭოს წევრი და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავ-რე; აფხაზეთის სახელმწ. მინისტრი (1992); საქ. სახელმწ. მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში (2004-06); რეპატრიაციის სახელმწ. კომისიის თავ-რე. გადაღებული აქვს ფილმები: „ქართული მართლმადიდებლური ეკლესია", „საქართველო — ერის გამოღვიძება", „ავტოპორტრეტი", „ოცნებების სასაფლაო". იყო ოპერატორი ფილმებისა: „რობინზონიადა", „ნეილონის ნაძვის ხე", „შავი თვალები", „ურგა", „უძინართა მზე". მიღებული აქვს პრემიები: საუკეთესო გამოსახულებისთვის („ავტოპორტრეტი", კიევის საერთაშ. კ/ფ.), წლის საუკეთესო დოკ. ფილმისთვის („ქართული მართლმადიდებლური ეკლესია"); „გრან-პრი", ჟიურის სპეც. პრიზი (საერთაშ. კინოფორუმი, რუსეთი) და "Fipresci" (კინოტავრი, სოჭი — „ოცნებების სასაფლაო"). არის საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2001); საფრანგეთის სახელმწ. ჯილდოს „მერიტის" და „შევალიეს" ნოდების მფლობელი (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who's Who" (ABI), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ლუბლიანას ქ. ნაკვ. 55. ტელ: 54 07 01.
**სიკეთე, პატიოსნება, სიმართლე.**

## ფრიდონ ხალვაში



მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა ქედის რ-ნის სოფ. გეგელიძეებში 1925წ. 17 მაისს. მშობლები: აიშე გოგიტიძე-ხალვაში, იშილ ხალვაში; მეუღლე — თუნთულ მამუჭაძე-ხალვაში (1925-2004); შვილები: მერი (1945), მზია (1947), ზაზა (1957). დაამთავრა მოსკოვის ლიტერატურის ინ-ტი (1957). იყო საქ. მწერალთა აჭარის ორგ-ის თავ-რე (1957-94); საქ. პარლამენტის წევრი (1995-99). არის 50-მდე წიგნის ავტორი, მათ შორის, ლექსების კრებულებისა: „მზის ქვეყანაში" (1948), „ჭოროხის ხვაშიადი" (1950), „გენაცვალე" (1960), „ასი მზე დედის გულისა" (1978), „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა" (1990); რომანებისა: „საყვედური" (1974), „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი" (1995); მემუარული წიგნისა — „ომრი" (2008). დადგმულია მისი სამი პიესა: „ხიხანის ძახილი", „ვაზის ტირილი", „გადარჩენილი უკვდავება". არის რუსთაველის (1979), გ.ლეონიძის (2008), აბუსერიძე ტბელის (2009) პრემიების ლაურეატი; მწერალთა კავშირის წევრი (1952 წლიდან). მის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა პოეზიის და პროზის სამტომეული და ლექსების რჩეული. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მთის მდინარეზე თევზაობა. ბოსტანში მუშაობა.
მისამართი: (ბინის) ბარათაშვილის 14. ბ. 5. ბათუმი. ტელ: 7 32 31; თამარაშვილის 15, ბ. 125, თბილისი. ტელ: 39 44 15; 893 329626.
**სიცოცხლის სიყვარული. ადამიანებს შორის ურთიერთობის სასიკეთოდ აწყობისათვის ზრუნვა. ქართული ერთად ყოფნა.**

## ალექსანდრე ხარაზიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა მოსკოვში 1949 წ. 18 ნოემბერს. დამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1972). იყო თსუ ი.ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1973-83), დისკრეტული მათემატიკის განყ-ბის გამგე (1983-2005). 2006 წლიდან არის ა.რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი; ი.ჯავახიშვილის სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ევკლიდურ სივრცეთა ქვესიმრავლეების ზოგიერთი კომბინატორული თვისება" (1974), სადოქტორო — „ლებეგის ზომის ინვარიანტული გაგრძელებების შესახებ" (1982). არის ავტორი წიგნებისა: „Избранные вопросы геометрии евклидовых пространств" (თბილისი, 1978), „Инвариантные продолжения меры Лебега" (თბილისი, 1983), „Топологические аспекты теории меры" (კიევი, 1984) "Selected topics of point set theory" (ლოძი, 1996), "Applications of point set theory in real analysis" (დორდრეხტი, 1998), "Transformation groups and invariant measures" (ლონდონი, სინგაპური 1998), "Geometric aspects of probability theory and mathematical statistics" (თანაავტორი, ვ.ბულდიგინი, დორდრეხტი, 2000), Nonmeasurable sets and function (ამსტერდამი, 2004), "Strange functions in real analysis" (ნიუ-იორკი, 2006), "Topics in measure theory and real analysis" (ამსტერდამ-პარიზი, 2009). არის საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009 წლიდან); ლოძის (პოლონეთი) უნ-ტის (1996), მეცნ. ისტორიის საქ. საზოგადოების (2006), საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ნ.მუსხელიშვილის სახ. (2008) პრემიების მფლობელი; „ქართული აკადემიის" წევრი (2007 წლიდან).

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. ქართული ხალხური მუსიკა.

მისამართი: (სამსახურის) მ.ალექსიძის 1, თბილისი 0193. ტელ: 33 49 51; ელ-ფოსტა: kharaz2@yahoo.com

**ვემსახურო მეცნიერებას (კერძოდ, მათემატიკას) და, შეძლებისდაგვარად, მოვახდინო მათემატიკური იდეებისა და მეთოდების პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში.**

## ბესიკ ხარანაული



პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თიანეთში 1939 წ. 11 ნოემბერს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962). იყო გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" უმც. რედაქტორი (1963-67); გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორი (1967-72); ჟურ. „მნათობის" რედაქციის განყ-ბის გამგე, რედაქტორის მოადგილე (1972-98). გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი. გამოქვეყნებულია მისი ლექსების 12 კრებული და ერთი რომანი. მათ შორის: პროზაული კრებული (2005), ლექსების კრებული (2003), „წიგნი ამბა ბესარიონისა" (2003), „ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის" (2005), „ორივ ფურცელი ცის და მიწისა" (2005). არის რუსთაველის (2006) და სახელმწ. პრემიების (1993), ლიტ. პრემია „საბას" (2003) ლაურეატი.

ჰობი: ფეხით სიარული.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 29/ ზედაზნის 4. ტელ: 39 69 93, 66 01 46.

**ჩემი ცხოვრების მიზანი, პრინციპი და კრედო არის, თუ მისხლისოდენად მაინც შევძელი, გულმოწყალება. ესაა, რაც მომწონს ადამიანშიც და სამყაროშიც.**

## ლევან ხარანაული



მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1963 წ. 29 სექტემბერს. მშობლები: დამანა მელიქიშვილი, ბესიკ ხარანაული; მეუღლე — ლელა სულაკაური (1967); შვილები: მარიამი (1989), ქიტო (1991), ბესიკი (1993), გიორგი (1997), ელენე (2002), ანა-ეფემია (2005), მართა (2009). დაამთავრა თსსა ფერწერისა და თეატრის მხატვრობის ფაკ-ტი (1986); ასპირანტურა (1990, მოსკოვის ფილიალი); გამოფენებში მონაწილეობს 1983 წლიდან, მათ შორისაა — ჯგუფური: მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი (1988); პერსონალური: თბილისი (1991, 1995, 1998, 1999, 2000, 2003, 2009), ბოლონია (1996, 1999), საფრანგეთი (1999), კიევი (2002). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, თბილისის მხატვრის სახლში; საქართველოს, გერმანიის, ესპანეთის, იტალიისა და საფრანგეთის კერძო კოლექციებში. არის საქ. მხატვართა კავშირის წევრი.
ჰობი: კლასიკური მუსიკა. მშენებლობა.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 29/2, ბ.31. ტელ: 39 69 93. 8 99 53 43 86

## გურამ ხარატიშვილი (1924-2009)



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი. მათემატიკოსი. პროფესორი.

დაიბადა გორში 1934 წ. 14 იანვარს. მშობლები: ირინე რაზიკაშვილი, ლევან ხარატიშვილი; მეუღლე — ვიქტორია მჟავანაძე (1945); შვილი — გიორგი (1971). დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1956). იყო მეცნ. აკად. გამოთვლითი ცენტრის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1957-66); თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტის დეკანი (1966-72); მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორი (1972-81); თსუ მართვის თეორიის კათედრის პროფესორი (1971-2006), კათედრის გამგე (1991-2006). საქ. ეროვნული მეცნ. აკად. აკადემიკოსია (1988 წლიდან), ვიცე-პრეზიდენტი (2005 წლიდან). იყო კიბერნეტიკის ინ-ტის დირექტორი (1981-2006). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ექსტრემალური ამოცანები წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეებში" (1969). არის ავტორი ან თანაავტორი მონოგრაფიებისა: „Оптимальные процессы с запаздываниями" (1966); „აბსტრაქტული ვარიაციული თეორია და მისი გამოყენება დაგვიანებით ოპტიმალურ ამოცანებში" (1973). „Continuos dependence and differentiability of solution with respect to initial data and right - hand side for differentian equation with deviating argument" (2000, მიიღო რაზმაძის სახ. პრემია 2001 წელს); „Variation Formulas of Solutions and Optimal Control Problems for Differential Equations with Retarted Argument" (2007). დაჯილდოებულია საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1984), ღირსების ორდენით (2003). იყო საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „Who's Who in America" და „Marquis Who's Who" (1997), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფერწერა.
**ვაკეთებდი იმას, რაც უნდა გამეკეთებინა.**

## გიორგი ხარაძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ხარაგაულის რ-ნის სოფელ ბარცხნალში 1931 წ. 15 აგვისტოს. მშობლები: ელისაბედ ვოზდვიჟენსკაია, არჩილ ხარაძე; მეუღლე — ქეთევან ჩხიკვიშვილი (1934); შვილები: არჩილი (1957), თამარი (1967). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1954). იყო ფიზიკის ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1979-88); ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელია 2004 წლიდან; იყო დირექტორი (1988-2006). არის კონდენსირებულ გარემოთა თეორიის ლაბორატორიის გამგე (1979 წლიდან); თსუ თეორიული ფიზიკის კათედრის პროფესორი (1984 წლიდან); ე.ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინ-ტის სამეცნიერო საბჭოს თავ-რე (2006 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნუკლონების ელექტრო-მაგნიტური სტრუქტურა" (1961); სადოქტორო — „ლოკალიზებული სპინების შემცველი ლითონების თეორია" (1973). გამოქვეყნებული აქვს 90-მდე სამეცნ. ნაშრომი თეორიულ ფიზიკაში, რომლებიც ეხება კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002). არის ამერიკის ფიზიკური საზ-ბის წევრი; საქ. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავ-რე (2002 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 6, თბილისი 0177. ტელ: 39 46 19; ფაქსი: 39 14 94. (ბინის) ალმაშენებლის 147, ბ. 37, თბილისი 0112. ტელ: 95 33 95.
ელ-ფოსტა: g_kharadze@yahoo.com

**ვფიქრობ, რომ ჩემი მიზნებისა და იდეალების უმრავლესობა ვერ განვახორციელე.**

## დარეჯან ხარშილაძე



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1952 წ. 7 აპრილს. მშობლები: თინა ნეროძე, ზაქარია ხარშილაძე; მეუღლე — თენგიზ დოდელია (1958); შვილი — ლუკა (1993). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი. არის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. დრამატული თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: ელზა, შვარცის „დრაკონი", რეგანი , შექსპირის „მეფე ლირი", ყამარი, შ.შამანაძის „ღია შუშაბანდი", დარეჯანი, შ.შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში" და სხვ.; ფილმებში: „დღეს ღამე უთენებია" (მიენიჭა სახელმწ. პრემია), „მოკვეთილი", „სვანი" (პრემია ფესტივალზე „ოქროს ბროლი" — ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, 2008 ) და სხვ.

მისამართი: (ბინის) თბილისი, უ.ჩხეიძის 33. ტელ: 95 44 71; 8 77 58 85 50.

**ნებისმიერ საქმეს უნდა მიუდგე დიდი პასუხისმგებლობით და აკეთო სიყვარულით.**

## ზაზა ხატიაშვილი



ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარე. ადვოკატი.

დაიბადა თბილისში 1967 წ. 8 ივნისს. მშობლები: ნაისი და გივი ხატიაშვილები; მეუღლე — ირმა ჩაფიძე (1978); შვილები: ლუკა (1998), მერი (2004). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994). იყო თბილისის ჰუმანიტარული უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტის ლექტორი (1994-97); ადვოკატთა კავშირის — „ვექილი" პრეზიდენტი (1998-2003); არის ადვოკატთა ასოც-ის ალმას. საბჭოს წევრი და ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავ-რე 2006 წლიდან. 2003 წელს ადვოკატ ლია მუხაშავრიასთან ერთად ევროპის ადა-

მიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში მოგებული აქვს სასამართლო პროცესი „ასანიძე — საქართველოს წინააღმდეგ". არის გაზ. „ახალი თაობის" ადვოკატი 1998 წლიდან. გაზ. „ივერია ექსპრესის" გამოკითხვით ოთხჯერ არის დასახელებული წლის ათ საუკეთესო ადვოკატს შორის (1998-2002 ). არის წმინდა სტეფანეს სახ. მონასტრის აღორძინების კავშირის თავ-რე. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფეხბურთი. თეატრი, ოპერა. ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 36, თბილისი 0118. ტელ: 99 73 31, 893 30 16 73, 897 93 88 77. (ბინის) ვაზისუბნის დასახ. II მ/რ, კ. 19, ბ. 49, თბილისი. ტელ: 79 97 77.
ელ-ფოსტა: z.khatiashvili@mail.ru

**უნივერსიტეტში სწავლის დღიდან მინდოდა ვყოფილიყავი ადვოკატი და მემუშავა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, რაც ავისრულე. 10 წელია ვიცავ ადამიანის უფლებებს, რომლებიც გახდნენ წამების არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი. ჩემი ცხოვრების მიზანია საქართველოში დამთავრდეს ადამიანის წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ეპოქა და შეიქმნას ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებების პატივისმცემელი სახელმწიფო, რაშიც ვცდილობ შევიტანო ჩემი წვლილი. არ მინდა საქართველოში კიდევ ერთხელ ვნახო სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ზურაბ ვაზაგაშვილისნაირი მკვლელობები, რომელიც სახალხო დამცველმა შეაფასა, როგორც ზურაბ ვაზაგაშვილის სახალხო დახვრეტა.**

## ბერტა ხაფავა



მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.

დაიბადა თბილისში 1941 წ. 15 მაისს. მშობლები: ტატიანა გაბელაია, პეტრე ხაფავა; დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1967). იყო გორის გ.ერისთავის სახ. თეატრის მსახიობი (1967-68). 1968 წლიდან არის ნ.დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „სიმონა მაშარის სიზმრები", „მერი პოპინსი", „სადა ხარ, სოფიკო", „ქამუშაძის გაჭირვება", „ირინეს ბედნიერება", „აცა-ბაცა", „ციხისხევის საიდუმლოება", „ბანკეტი", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და სხვ. სატელევიზიო სპექტაკლებში: „ხორუმი – ქართული ცეკვაა", „ჩვენებურები", „ვირის ჩრდილი", „ვაზის ყვავილობა" და სხვ. გადაღებულია 40-მდე ფილმში, მათ შორის: „სამანიშვილის დედინაცვალი", „სიყვარული ყველას უნდა", „ნატვრის ხე", „სამოთხის გვრიტები", „ქვევრი", „ქართველები ცაში", „ბოშა აზა", „ბებია", „კიბე ცაში", „დროშები ჩქარა" და სხვ. არის საქ. დამს. არტისტი (1979), ღირსების ორდენის კავალერი (2002). თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის 99. თბილისი. (ბინის) კოსტავას 20. თბილისი. ტელ: 93 34 36.

## გიორგი ხაჩიძე



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი. ბიოლოგი. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 9 თებერვალს. მშობლები: ნუნუ ახალკაცი, მევლუდ ხაჩიძე; მეუღლე — მაკა აბაშმაძე; შვილები: მევლუდი, დაჩი, ლუკა. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის (1997) და ჟურნალისტიკის (1997) ფაკ-ტები. მუშაობდა საქ. ტელევიზიის I და II არხებზე; ტელეკომპანიებში: „იბერვიზია", „რუსთავი — 2", „202"; თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში; რადიოებში: „105", „რეზონანსი"; გაზ. „რეზონანსში" (1994-2002). იყო პოლიტიკური პარტიის — „გაერთიანებული დემოკრატები" ხაშურის ორგ-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (2002); ხაშურის რაიონის გამგებლის მოადგილე (2003-04); საქ. პარლამენტის წევრი (2004); საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში (2004-05); საქ. პრეზიდენტის სახელმწ. რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში (2005-08). 2008 წლიდან არის საქ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.
მისამართი: (სამსახურის) გულუას ქ. 6; თბილისი 0114. ტელ: 72 72 01; ფაქსი: 72 72 37. (ბინის) თემქა-3, V მ/რ, კორპ. 27 ბ. 2. ელ-ფოსტა: goga.khachidze@moe.gov.ge

## გიორგი ხახნელიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ტექნოლოგი.



დაიბადა თერჯოლაში 1971 წ. 17 მაისს. მშობლები: მარინა სოფრომაძე, თამაზ ხახნელიძე; მეუღლე — ანა ნატროშვილი (1983). დაამთავრა საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტი (1995). იყო თერჯოლის სასურსათო კომბინატის მუშა (1988-89); ძევრის კოლმეურნეობის წევრი (1989); აჯამეთის საკედლე მასალათა კომბინატის დამხმარე მეურნეობის უფროსი (1995-96); საქ. ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწ. დეპ-ტის თბილისის სამგორის რ-ნის განყ-ბის მთ. წარმომადგენელი (1997-2000); თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის სამგორის რ-ნის განყ-ბის უფროსი (2001-04); თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რ-ნის გამგებელი (2004-05); თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსი (2005-06); თბილისის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავ-რე (2006-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრია 2003 წლიდან.
ჰობი: თევზაობა, ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი. ტელ: 28 12 89. (ბინის) ვარკეთილის I მ/-რნი, კ. 13, ბ.40. თბილისი. ტელ: 899 299900.
**სიკეთის კეთება! სამართლიანობა!**

## ნესტორ ხერგიანი

სპორტსმენი. ძიუდოისტი. ევროპის ჩემპიონი.



დაიბადა მესტიაში 1975 წ. 20 ივლისს. მშობლები: ლელიკო ხვისტანი, ელიზბარ ხერგიანი; მეუღლე — გვანცა ლომაშვილი (1976); შვილები: ირაკლი (1998), ანი (2000). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1997). არის ორგზის ევროპის ჩემპიონი (1998, 2002); გუნდურ შეჯიბრებებში: ევროპის ჩემპიონატის ოთხგზის I ადგილის, 5-გზის III ადგილის მფლობელი; მსოფლიო ჩემპიონატის III ადგილის პრიზიორი; მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი; ათენის ოლიმპიადის II ადგილის მფლობელი. არის ორგზის ღირსების ორდენის კავალერი; სპორტკლუბ „შევარდენის" წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცხენოსნობა, ჯირითი.
მისამართი: (ბინის) ვარკეთილი-3, III მ/რ. კ. 313, ბ.32. თბილისი. ტელ: 79 67 69.
**წინაპრები მყავდა ჩემპიონები და მეც მსურს გავხდე ოლიმპიური ჩემპიონი. შრომისმოყვარეობა და დისციპლინა.**

## ანზორ ხელაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ფიზიკოსი. პროფესორი.



დაიბადა გურჯაანის რ-ნის სოფ. კარდანახში 1938 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: ზინა მამულაშვილი, ალექსანდრე ხელაშვილი; მეუღლე — ინგა თულიანი (1944-2002); შვილები: გოჩა (1966), ნინო (1969), გიორგი (1977). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1962), დუბნის ბირთვულ კვლევათა ინ-ტის ასპირანტურა (1965). იყო თსუ უმც. (1965-69), უფრ. (1969-73) მეცნ. თანამშრომელი; განყ-ბის გამგე (1969-80), ზოგადი ფიზიკისა (1986-94) და თეორიული ფიზიკის (1994 -2006) კათედრის გამგე; თსუ პრორექტორი სამეცნ. დარგში (1993-2005). არის სრული პროფე-

სორი კონტრაქტით (2007 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პოტენციალური გაფანტვის თეორიის ზოგიერთი საკითხი" (1967); სადოქტორო — „კირალური სიმეტრია და კვაზიპოტენციალური განტოლებები ჰადრონთა დინამიკაში" (1983). არის 4 სახელმძღვანელოს, 2 მონოგრაფიისა და 120-მდე ნაშრომის ავტორი, მათ შორის ძირითადია: „კვანტურ-მექანიკური სამი ნაწილაკის ამოცანის ინტეგრალური განტოლებებისათვის" (დუბნა, 1967), "Об уравнениях для амплитуд рассеяния в квантовомеханической задаче трех частиц" (1967), Квазипотенциальное уравнение для системы двух частиц со спином 1/2 (1969), "On the regularization scheme and gauge choice ambiguities in topologically massive gauge theories" (1997); კლასიკური თეორიული მექანიკა (სახელმძ., 2005), „სპინის ფიზიკა — ღრმად არადრეკადი პროცესები და პოლარიზაციული მოვლენები" (თბილისი, 2007), „კეპლერ-კულონის პრობლემების დინამიკური სიმეტრიები კლასიკურ და კვანტურ მექანიკაში" (ინგ. ენაზე, ნიუ-იორკი, 2008); „სინათლის ფრონტის ფორმალიზმი შედგენილი სისტემებისათვის და მისი ზოგიერთი გამოყენება ნაწილაკთა და ბირთვულ ფიზიკაში" (ინგ. ენაზე, ლონდონი, 2008), „ფეინმანის ფუნქციონალური ინტეგრალი და მისი ზოგიერთი გამოყენება" (თბილისი, 2008). არის პედაგოგიურ მეცნ. აკად-ის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია პ. მელიქიშვილის სახ. პრემიით (1983); არის ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში", ენციკლოპედიაში „თბილისი" (2002).
ჰობი: ჭადრაკი. შვილიშვილები.
მისამართი: (სამსახურის ) ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი 0128. ტელ: 23 51 63; 899 17 27 75. (ბინის) ატენის 20. ბ. 32. თბილისი 0179. ტელ: 23 51 63. ელ-ფოსტა: anzorkhelashvili@hotmail.com
**საკუთარი თავისადმი მაქსიმალური მომთხოვნელობა, სამართლიანობა, გულისხმიერება, პრინციპულობა, მაღალი პროფესიონალიზმი, ცოდნა, შემოქმედებითი ინტუიცია, მოსწავლის (სტუდენტის) პატივისცემა, კორექტულობა, ოჯახის სიყვარული, ერთგულება.**

## ეკატერინე ხერხეულიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფილოლოგი.

დაიბადა თბილისში 1972 წ. 13 ივნისს. მშობლები: ცირა და ავთანდილ ხერხეულიძეები; შვილები: გიორგი (1997), ნიკოლოზ (1998) მჭედლიშვილები. 1990 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია — „ქართველ სტუდენტთა ეროვნული კავშირი"; იყო აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავ-რე (2004-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავ-რის პირველი მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია გაზეთებში: „იბერია სპექტრი", „ალია", „რეზონანსი", „კვირის პალიტრა" (1989-2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: კითხვა.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ. 58. ტელ: 28 40 01. (ბინის) გორგასლის 37, ბ. 158.
**მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, 14 წლის ასაკიდან ვარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციაში და არასდროს არ ამირიდებია თავი ყველაზე სასტიკ რეჟიმთან დაპირისპირებისათვის, რომელსაც წარმოადგენდა ე.შევარდნაძის მმართველობის პერიოდი. ოთხჯერ ვიყავი პოლიტიკური პატიმარი.**

## სიმონ ხეჩინაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში 1919 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: ოლღა და ნიკოლოზ ხეჩინაშვილები; მეუღლე — ლალი მიქელაძე (1932); შვილები: დევი (1958), მაია (1960). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1939). იყო თსსი ექიმი-ორდინატორი (1941-43); ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ასისტენტი (1944-46), დოცენტი (1946-51), ოტორინოლარინგოლოგიის კათედრის გამგე (1952 წლიდან); ფიზიოლოგიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1941-51). ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კათედრის გამგე (1951 წლიდან); თსსი კლინიკური საა-

ვადმყოფოს ოტოლარინგოლოგიური დეპ-ტის გამგე. დაცული აქვს საკანდიდატო (1944) და სადოქტორო (1953) დისერტაციები თემაზე — „ვესტიბულარული ფუნქცია". არის 210 სამეცნ. ნაშრომის და 4 მონოგრაფიის ავტორი; 2 სახელმძღვანელოს თანაავტორი. ლენინური (1960) და ივ. ბერიტაშვილის სახ. (1978) პრემიების ლაურეატი; ბერლინის ჰუმბოლტის სახ. უნ-ტის საპატიო დოქტორი; მრავალი ქვეყნის ოტორინოლარინგოლოგთა სამეცნ. საზ-ბების საპატიო წევრი; საქ. ოტორინოლარინგოლოგთა ასოც-ის პრეზიდენტი; საქ. მეცნ. დამს. მოღვაწე. მიღებული აქვს სსრკ, შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენები, ჯანდაცვის სამინისტროს საპატიო ნიშანი (2001); არის ღირსების ორდენის კავალერი (2002); საქ. მეცნ. დამს. მოღვაწე; საქ., რუსეთის ფედერაციისა და გერმანიის სამედიცინო მეცნ. აკად-ების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who's Who"(IBC, Cambridge, 1995), ქსე-ში, „ვინ ვინაა საქართველოში" და „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. ცურვა.
მისამართი: (სამსახური) ჭავჭავაძის 33, თბილისი. ტელ: 23 14 81. (ბინის) ბარნოვის 73, ბ.21. ტელ: 22 46 33.
**ვარ საქართველოს პატრიოტი და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვეწევი კლინიკურ, პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას.**

## ჯონი ხეცურიანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. იურისტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე.

დაიბადა ცაგერის რ-ნის სოფ. ლაილაშში 1951 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: თინათინ გორგასლიძე, გრიგოლ ხეცურიანი; მეუღლე — როდამ ფაღავა (1955); შვილი — კონსტანტინე (1984). დაამთავრა თსუ იურიდიული (1973) და ეკონომიკის (1988) ფაკ-ტები; ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1976). იყო ეკონომიკის და სამართლის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვ.; სახელმწ. და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე (1976-89); საქ. იუსტიციის მინისტრი (1990-92, 1999-2000); თსუ იურიდიული ფაკ-ტის დოცენტი, პროფესორი (1992-95); საქ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (1995-99, 2000-01); საქ. ეროვნული უშიშროების საბჭოსა და იუსტიციის საბჭოს წევრი (1999-2001); საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რე (2001-06); ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის წევრი (2003-07). 2006 წლიდან არის საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე; საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტია 2001 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში" (1977), სადოქტორო — „სამოქალაქო სამართლის ფუნქციები" (1994). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 7 წიგნის ავტორი; გამოქვეყნებული აქვს წერილები სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ (1979). არის საქ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991), საქ. კონსტიტუციის (1995), სამოქალაქო კოდექსის (1997), კონსტიტუციური შეთანხმების (2002) პროექტების ერთ-ერთი ავტორი. არის საკავშ. ახალგაზრდული პრემიის ლაურეატი მეცნ. დარგში (1982); იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტ. მდივანი (1992-95). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა, თევზაობა.
მისამართი: (ბინის) რაზმაძის 36. თბილისი 0179. ტელ: 91 29 27.
**ჩემი ცხოვრების კრედო ანუ მრწამსია: „ენა, მამული, სარწმუნოება", ოჯახის სიყვარული, მეგობრობა. თუკი რაიმე წარმატებისათვის მიმიღწევია, მისი საწინდარი ყოველთვის იყო ჩემი მრწამსისადმი ერთგულება, მიზანსწრაფულობა და შრომისმოყვარეობა, მიუხედავად ჟამთა სიავისა.**

## მანანა ხვედელიძე



საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო 2, ქართული რადიოს ხელმძღვანელი. მუსიკისმცოდნე. ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში 1960 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: ია უჯმაჯურიძე, შოთა ხვედელიძე. დაამთავრა თსკ მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიციო ფაკ-ტი (1983), მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორიის ასპირანტურა

(1985). იყო საქ. ტელერადიომაუწყებლობის უმც. რედაქტორი და რედაქტორი (1985-95); რადიოკომპანია „ევრიკას" მუსიკალური ხელმძღვ. (1994-97); რადიოს 1 არხის პროგრამების დირექტორი (1995-2004); თანამედროვე ხელოვნების აკად-ის ლექტორი (1995-2001); ცენტრ. სამუსიკო ათწლედის და ფოლკლორის სასახლის პედაგოგი (1993-2002). არის რადიო 2-ის (1995 წლიდან), 2005 წლიდან — საქ. საზ-ბრივი მაუწყებლის რადიო 2, ქართული რადიოს ხელმძღვანელი; ავტორი გადაცემებისა: „კონცერტი 6 საათზე", „მაცნე", „ჯეზ-ბრეიქი", „აუდიო-მედია", „სახლი 100,9", „მანანა ხვედელიძის ცოცხალი სტუდია". არის საქ. ჟურნალისტთა ფედ-ისა და კომპოზიტორთა კავშირის წევრი; ღირსების მედლისა (1998) და „ბროლის მიკროფონის" (1987) მფლობელი; არასამთავრობო ორგ-ების: „იმიჯი პრო" (2005); „გეო ქონექშნ" (2008); ფონდის —„აკაკი რამიშვილის ფონდი — ტრადიცია და ინოვაცია" (2004) დამფუძნებელი; ყოველწლიური საერთაშ. ფესტივალის — „აღდგომიდან ამაღლებამდე" დამფუძნებელი და ორგანიზატორი (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ჯაზური მუსიკა. მანქანის მართვა. ხატვა.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68, თბილისი 0171. ტელ: 40 9120, ტელ/ფაქსი: 40 94 95.
**მინდა დავრჩე მართალი და უკომპრომისო ურთულეს სიტუაციაშიც, პატივი ვცე სხვის აზრს, მაგრამ ამასთან დავიცვა საკუთარი სიმართლე, არ შევიქმნა კერპი და თავად ვიყო თავმდაბალი; მუდმივად მახსოვდეს: მიზანი არ ამართლებს საშუალებებს, მიყვარდეს და დავიმსახურო სიყვარული; მუდამ სრულვყოფდე ცოდნას; მახსოვდეს, რომ შემიძლია გავიღო, რათა დავეხმარო. მოვერიდო იმ ნაცრისფერს თეთრსა და შავს შორის რომ მიმალულა.**

## დიმიტრი ხვთისიაშვილი

რეჟისორი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1968 წ. 22 აპრილს. დედა – ნონა როგავა; მეუღლე — ხათუნა კიკვაძე (1971) შვილები: ზურაბი (2001), ირაკლი (2002), ლევანი (2009). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1989), დრამის სარეჟისორო (2004) ფაკ-ტები. იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1989-96); ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1996-99). არის თეატრისა და კინოს უნ-ტის პედაგოგი (1989 წლიდან), ასოც. პროფესორი (2006 წლიდან). 1999 წლიდან არის სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2-ის" გახმოვანების სტუდიის მთ. პროდიუსერი. მონაწილეობდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში: „გრაალის მცველნი", „კალიგულა", „მშვიდობის დღესასწაული", „ძველი ვოდევილები", „სურვილების ტრამვაი", „ურიელ აკოსტა", „ნაცარქექია", „ბედი მდევარი", „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" და სხვ. დადგმული აქვს სპექტაკლები კ.მარჯანიშვილის, ვ.ანჯაფარიძის, მ.კოსტავას სახელობის თეატრებში, თეატრალურ სარდაფში, მათ შორის: „ქამუშაძის გაჭირვება", „ღამე და თუთიყუში", „ჯვარცმული ბედნიერება", „ამიკო", „ღია შუშაბანდი", „სეილემის პროცესი", „პრემიერა", „ახალგაზრდები", „სტუმარი", „გუშინდელნი", „პეიზაჟს აკლია სითბო", „ხეები ზეზეურად კვდებიან" (ლ.წულაძესთან ერთად), „მილიონერი ნეაპოლი" და სხვ. გადაღებულია კინოფილმებში: „იავნანა", „მიზერერე", „სიბრძნე-სიცრუისა", „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე", „1937 წელი", „ილიას მკვლელობა", „დამოუკიდებლობის ცხრა თვე" და სხვ. არის ავტორი წიგნებისა: „ლილი იოსელიანი" (2002), „სახალხო არტისტი - გივი ბერიკაშვილი" (2008). მინიჭებული აქვს რუსთავის თეატრალური ფესტივალის პრემია (1996), წლის საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის პრემია (2000). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.
ჰობი: ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა.
მისამართი: (სამსახურის) თბილისი, რუსთაველის 19. ტელ: 93 22 52, კოსტავას 68, III კორპუსი. ტელ: 20 69 69. (ბინის) თბილისი, თამარაშვილის 17/58; ტელ: 8 99 10 55 38.
**აღვზარდო ჩემი შვილები ნამდვილ მოქალაქეებად, სტუდენტები კი — პროფესიონალებად.**

## თინათინ ხიდაშელი

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის დედაქალაქის საქმეთა მდივანი. იურისტი.



დაიბადა თბილისში 1973 წ. 8 ივნისს. მშობლები: ზიზილა ურგებაძე, ანზორ ხიდაშელი; მეუღლე — დავით უსუფაშვილი (1968); შვილები: ალექსანდრე (2000), გრიგოლი (2006). დაამთავრა თსუ საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი (1995). იყო საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის თავ-რე (1999-2001, 2003-04); სამართლებრივი სახელმწ. მშენებლობის პროგრამის დირექტორი (1996-99, 2001-03). არის საქ. რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, დედაქალაქის საქმეთა მდივანი. არის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი — თემა: „ფეოდალიზმის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში" (1996). მიღებული აქვს თავისუფლებისათვის მებრძოლის (აშშ პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშისაგან, 2004) და მსოფლიო ლიდერთა პროგრამის (აშშ, იელის უნ-ტი, 2004) ჯილდოები. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოც-ის წევრი 1994 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 13, თბილისი 0108. ტელ: 92 00 58.
ელ-ფოსტა: khidasheli@republicans.ge
**ვიყო გულწრფელი, ვემსახურებოდე მხოლოდ სიმართლეს, ვილაპარაკო მხოლოდ სიმართლე და ვიბრძოლო სამართლიანობისათვის. ვიცხოვრო ისე, რომ ჩემი ბიჭები თავაწეული, ამაყად შეუდგნენ საკუთარი ცხოვრების გზას.**

## ელგუჯა ხინთიბიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ფილოლოგი. პროფესორი.



დაიბადა მახარაძეში 1937 წ. 7 ივნისს. მშობლები: ლიზა და გიორგი ხინთიბიძეები; მეუღლე — მზია მენაბდე (1939); შვილები: ზაზა (1963), ირაკლი (1967). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ მასწავლებელი (1963 წლიდან), დოცენტი (1965 წლიდან), ფილოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1976-85), თსუ პრორექტორი (1986-93). არის პროფესორი 1974 წლიდან; თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ლაბორატორიის გამგე (1987 წლიდან); ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორი (1992 წლიდან), არის ამავე სკოლის ფონდის პრეზიდენტი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სისტემაში" (1971). არის ავტორი წიგნებისა: „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში" (1975), „ვარლაამ და იოსაფის ქართულ და ბერძნულ ვერსიათა მიმართებისათვის" (1976), „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი" (1982), „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ვეფხისტყაოსანში" (1993), „ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია" (1998), „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში" (2001); „ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში" (2008). მიღებული აქვს ივ.ჯავახიშვილის პრემია; ღირსების საერთაშ. ორდენი (კემბრიჯი). არის შუასაუკუნეების ფილოსოფიის მკვლევართა საერთაშ. საზ-ბის წევრი; ბიოგრაფიული საერთაშ. ცენტრისა და ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის მრჩეველთა საბჭოს საპატიო წევრი; ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: International Who's Who of Intellectuals (IBS, Cambridge, 1995-96), The International Directory of Distinguished Leadership (ABI, USA, 1994), 2 thousand outstanding schoolars of the 20th century (2000, კემბრიჯი), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ფიზკულტურა და მუშაობა საკუთარ ბაღში.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1, II სართ, თბილისი. ტელ: 29 08 33. ფაქსი: 25 25 01. (ბინის) ატენის შეს. 18ა, ტელ: 23 18 00.
**მე ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი პროფესიული საქმიანობით ვყოფილიყავი დაკავებული; რასაც ვაკეთებდი, მეკეთებინა ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე. ჩემს ახლობლებში, მეგობრებსა და მოწაფეებში ყველაზე მეტად პატივს ვცემდი გულწრფელობას და შრომისმოყვარეობას.**

## ოთარ ხინიკაძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა ქობულეთში 1956 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: ნაზი მოქია, მამუდ ხინიკაძე; მეუღლე — იზოლდა ბელთაძე (1956); შვილები: თამარი (1984), თეონა (1991). დაამთავრა თსუ. იყო ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის ეკონომისტი (1984-85); საქ. კპ ქობულეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ-ბის ინსტრუქტორი (1985-86); ხუცუბნის კოლმეურნეობის პარტკომის განთავისუფლებული მდივანი (1986-88); საქ. კპ ქობულეთის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1988-1990); საქ. საკაბელო ტელევიზიის ქობულეთის ფილიალის მთ. ბუღალტერი (1990-93); ბათუმის ხორცკომბინატის მთ. ეკონომისტი (1993-98); აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო განყ-ბის მთ. სპეციალისტი (1998-2001); ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის ინჟინერ-ანალიტიკოსი (2001-03); სააქციო საზ-ბა „საქქალაქმშენპროექტის" ადმინისტრაციული დირექტორის მოადგილე, გენ. დირექტორი (2002-07); აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპ-ტის მთ. სპეციალისტი (2008); ქობულეთის გამგებლის პირველი მოადგილე, გამგებელი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავ-რის მოადგილე; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „სახელები" (2004-05).
ჰობი: ცურვა.
მისამართი: (სამსახური) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 17 53.(ბინის) ვაჟა ფშაველას 73, თბილისი. ტელ: 31 68 64; 899 77 77 11.
**წესიერება, პატიოსნება, თანადგომა, სითბო, სიკეთე, სიყვარული.**

## ვახტანგ ხმალაძე



საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.
მრჩეველი იურიდიულ და საგადასახადო საკითხებში. ფიზიკოსი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 იანვარს. მშობლები: თამარ თუმანიშვილი, იულონ ხმალაძე; მეუღლე — მანანა მაჩხანელი (1950); შვილები: ნინო (1981), ირაკლი (1983). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1969), ასპირანტურა (1972). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1975). იყო თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1973-92); ცსკ თავ-რის მოადგილე, თავ-რის მოვალეობის შემსრულებელი (1991-92); საქ. სახელმწ. საბჭოს წევრი (1992); საქ. პარლამენტის წევრი (1992-95, 1999-2004). არის შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატის" პარტნიორი (2000 წლიდან); თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემიის ასოც. პროფესორი (2006 წლიდან); შპს „ფრონტლაინ კონსალტინგის" მრჩეველი (2008). არის ავტორი მრავალი სტატიის, ნაშრომის და მონოგრაფიისა, მათ შორის: „საქ. კონსტიტუციური სამართალი" (2001, 2003), „როგორ იქმნება კანონი" (2000), „კონსტიტუციური სამართალი" (სახელმძღვანელო, 2005), „საქ. საგადასახადო კოდექსის კომენტარები" (2005, 2006 2007); „სტატიები თეორიულ ფიზიკაში" (1971-82); საქ. კონსტიტუციის (1994), არჩევნების (1989-2009), პოლიტიკური პარტიების (1991), სახელმწ. ხელისუფლების (1992), განათლების (1995), საკონსტიტუციო სასამართლოს (1995), ნორმატიული აქტების (1996), საკონსტიტუციო სამართალწარმოების (2002) კანონპროექტების ავტორი. იყო საზ. ორგანიზაცია „დასის" (1989-90), საქ. კონსტიტუციის დაცვის ლიგის (1996 წლიდან), პ/ო „დასის"(1990-99), რესპუბლიკური პარტიის (1992-99), ლიბერალური პარტიის (2002-05) წევრი; რესპუბლიკური პარტიის წევრია 2005 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა. მუსიკა. მოგზაურობა. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) ჩეხოვის 28, თბილისი. ტელ: 74 79 66. (ბინის) გალაკტიონის 3/5. თბილისი. ტელ: 99 05 27.
**თავისუფლება — პიროვნული და ეროვნული, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვასა და საქმეზე, პროფესიონალიზმი; „თქმა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".**

## არჩილ ხომასურიძე



ი.ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი.
ექიმი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1942 წ. 11 თებერვალს. მშობლები: ვანანა ცინცაძე, გიორგი ხომასურიძე. დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1965), კლინიკური და ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიის ს/კ ინ-ტის ასპირანტურა (1968). იყო მოსკოვის №10 სამშობიარო სახლის ორდინატორი (1968-72); საკავშირო სამეანო-გინეკოლოგიის ს/კ ინ-ტის უმც., უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1972-85); ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ბაზაზე დააარსა რეპროდუქტოლოგიის კათედრა და იყო მისი ხელმძღვანელი (1998-2006). არის ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინ-ტის გენ. დირექტორი (1985 წლიდან); თსუ მედიცინის ფაკ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპ-ტის ხელმძღვ. (1994 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჰიპოთირეოზის გავლენა შთამომავლობის ფარისებური ჯირკვლების ფუნქციაზე" (1969), სადოქტორო — „ჰორმონალური კონტრაცეპციის გავლენა ფარისებრ, თირკმელზედა, კუჭუკანა, რეპროდუქციულ, თირკმელებისა და ღვიძლის ფუნქციაზე" (1978). არის 451 სამეცნ. ნაშრომის, 6 სახელმძღვანელოს, 10 მონოგრაფიის, 2 გამოგონების ავტორი, მათ შორის: „კონტრაცეპციის სახელმძღვანელო" (1992), „მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა" (2002), „რეპროდუქციული ჯანმრთელობა" — პრაქტ. სახელმძღ. (2002), ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე მეთოდური რეკომენდაციები (1988, 1989), „ათასწლეულის განვითარების მიზნები" (2003), „ქართულ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი" რეპროდუქტოლოგიაში (2005), „ოჯახის დაგეგმვა" (2007), „რეპროდუქციული ფუნქციის ნეიროენდოკრინული რეგულაცია" (2008). იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი (1988-2002). არის საქ. მედიკო-ბიოლოგიური, სამედიცინო სოციალური, საბუნებისმეტყველო აკად-ის აკადემიკოსი (1996, 1998, 2008); რეპროდუქტოლოგთა საერთაშ. აკად-ის წევრი (1997); ნიუ-იორკისა (1994 წლიდან) და ჩიკაგოს (1996 წლიდან) სამეცნ. აკად-ის წევრი; საერთაშ. გეოგრაფიული საზ-ბის წევრი (1996 წლიდან); თსუ მედიცინის ფაკ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპ-ტის ხელმძღვანელი (1994 წლიდან); საერთაშ. პროგრამების კოორდინატორი და კონსულტანტი რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში (1996 წლიდან); ჟურ. „რეპროდუქტოლოგიის" დამაარსებელი და მთ. რედაქტორი (1998 წლიდან); საქ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოც-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2002 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006); თანამედროვე ქართველ მედიკოსთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში.
ჰობი: სიკეთის კეთება.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 43, თბილისი 0109. ტელ: 99 61 97; 99 81 08. (ბინის) ბაკურიანის 2, ბ. 21, თბილისი 0171.
**სიკეთე და იუმორის გრძნობა.**

## ალექსანდრე ხომერიკი



საოპერო მომღერალი. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი. საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა ბათუმში 1948 წ. 13 აგვისტოს. მშობლები: ლილი ჩაჩლეიშვილი, ავთანდილ ხომერიკი; მეუღლე — მარინე დარჯანია (1956); შვილები: ლილი (1985), ქეთევანი (1986). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (1980), ასპირანტურა (1981); გაიარა სტაჟირება მილანის თეატრ „ლა სკალა"-ში (1981-82). იყო ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სამხ. ხელმძღვანელი (1993). 1977 წლიდან არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის სოლისტი. შესრულებული აქვს საოპერო პარტიები: რადამესი („აიდა"), ჰერცოგი („რიგოლეტო"), დონ კარლოსი („დონ კარლოსი"), ალფრედო („ტრავიატა"), რიკარდო („ბალ-მასკარადი"), მანრიკო („ტრუბადური"), ხოზე („კარმენი"), კავარადოსი („ტოსკა"), ვოდემონი („იოლანტა"), ლენსკი („ევგენი ონეგინი"), აბესალომი („აბესალომ და ეთერი"), მალხაზი („დაისი"), ბერდო („ლელა"). 1978 წლიდან მონაწილეობს მრავალ კონცერტსა და საოპერო სპექტაკლში; საოპერო თეატრების ფესტივალებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი პარტნიორები იყვნენ: მაყ-

ვალა ქასრაშვილი, თამარა მილაშკინა, სვეტლანა დანილუკი, მარია გულეგინა, ელენე ობრაზცოვა, ელენე ჩერნეი, ნიკოლაი ხერლია, სტეპკა მინევა, ელენე დიმუ და სხვები. არის ჩაიკოვსკის სახ. VII საერთაშ. კონკურსის (1982), შ.რუსთველის სახ. სახელმწიფო პრემიების ლაურეატი; საქ. დამსახურებული და საქ. სახალხო არტისტი; ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში; ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25, თბილისი 0118. ტელ: 99 65 66.

## ეკა ხოფერია

რადიო „უცნობის" გადაცემა „დიალოგების" წამყვანი.
ჟურნალისტი.



დაიბადა თბილისში 1972 წ. 9 ივლისს. მშობლები: ნანა ძიძიგური, რამინ ხოფერია; მეუღლე — მიხეილ ხუჯაძე (1972); შვილები: ანა ლევიძე (1999), ნიკოლოზ ხუჯაძე (2009). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1994). იყო გაზ. „დრონის" (1994-96), სააგენტო „კავკასია-არსის" (1995-96) და ტ/კ „იბერიის" (1996-97) კორესპონდენტი; რადიო „ფორტუნას" საინფორმაციო სამსახურის უფროსი (1998-99); ტ/კ „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, წამყვანი და ავტორი გადაცემებისა „ღამის კურიერი", „თავისუფალი თემა" (1999-2006); ტ/კ „იმედის" ჟურნალისტი, გადაცემის — „ღია ეთერი" წამყვანი — (2006-07); საზ-ბრივი მაუწყებლის გადაცემის — „დიდი ათეული" — წამყვანი (2008). 2006 წლიდან არის რადიო „უცნობის" გადაცემა „დიალოგების" წამყვანი.
ჰობი: საინტერესო კოლექციების შეგროვება.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი. ტელ: 38 08 00. (ბინის) ვერის I შეს., I კორპ., ბ. 16. თბილისი. ტელ: 92 21 44. www.ucnobifm.ge
**იყო საკუთარ თავთან მართალი და არ უღალატო შენს პრინციპებს!**

## გიორგი ხუბუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. იურისტი. პროფესორი.



დაიბადა სენაკის რ-ნის სოფ. უშაფათში 1964 წ. 7 იანვარს. მშობლები: ვალია სიჭინავა, ჟორა ხუბუა; მეუღლე — ნატო კაკულია (1966); შვილები: გიორგი (1994), დავითი (1996). დაამთავრა აფხაზეთის სახელმწ. უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1985); თსუ ასპირანტურა (1990). იყო საქართველოს მეცნ. აკად-ის სახელმწ. და სამართლის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1991-98), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1998-99), დირექტორი (1999-2006). თსუ სამართლის თეორიისა და სახელმწ. სამართლის კათედრის დოცენტი (1998), პროფესორია 2005 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კანონის კონცეფცია სამართლებრივ სახელმწიფოში" (1991), სადოქტორო — „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი" (2001). არის 40-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის, 7 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „კონსტიტუციური მართლმსაჯულება" (1999), „სამართლის თეორია"(2004). გავლილი აქვს სტაჟირება: გერმანიში, შპაიერის სახელმწ. მმართველობის ს/კ ინ-ტში; მიუნხენის უნ-ტის სამართლის ფილოსოფიისა და სამართლებრივი ინფორმატიკის ინ-ტში; ჰანოვერის გერმანული ფედერალიზმის ინ-ტში; ჰაიდელბერგის სახელმწ. სამართლისა და საერთაშ. სამართლის მაქს პლანკის ინ-ტში; ბერნის უნ-ტის საჯარო სამართლის ინ-ტში; ათენის უნ-ტის ევროპის კონსტიტუციური სამართლის კვლევის ცენტრში. არის კანონმდებლობის ხელშემწყობი ევროპული საზ-ბის, სამართლის ფილოსოფიის, თეორიისა და სამართლის სოციოლოგიის საერთაშ. გაერთიანებისა და პოლიტიკურ მეცნერებათა საერთაშ. ასოც-ის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: წიგნის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის 1, თბილისი 0128. ტელ: (+995 32) 22 02 41; ფაქსი: (+995 32) 22 51 07. (ბინის) ბახტრიონის 28, ბ.76. ელ-ფოსტა: khubua@tsu.ge; www.tsu.ge/pp/administration/khubua.htm;
**უნდა გააკეთო ის, რაც შინაგანად გწამს რომ სწორია და მართალი. არ უნდა ეძებდე შეღავათს — პირველ რიგში უშეღავათო და მომთხოვნი უნდა იყო საკუთარი თავის მიმართ.**

## თემურ ხუბულური



საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი.

დაიბადა გორის რ-ნის სოფ. სკრაში 1955 წ. 24 აპრილს. მშობლები: მარიამ მამუკაშვილი, ყარამან ხუბულური; მეუღლე — თამარ სიხარულიძე (1954); შვილი — თემური (1980). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). იყო გორის პურპროდუქტების სამქროს უფროსის მოადგილე (1985-90); საქ. ძიუდოისტთა ნაკრების მთ. მწვრთნელი (1990-94); შპს „ფორტეს" გენ. დირექტორის მოადგილე (2003-04). 2004 წლიდან არის საქ. ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. არის ევროპის ჩემპიონი (1975-76, 1977-79); მსოფლიო ჩემპიონი (1979-81); სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი (1979); ოლიმპიური თამაშების II ადგილის მფლობელი (1980). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000); გორის საკრებულოს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) ბელიაშვილის 5, თბილისი. ტელ: 52 82 05, 54 06 71. (ბინის) საბურთალოს 33, თბილისი. ტელ: 38 21 26.
**ჩემი ოჯახი. ქვეყნის და ადამიანების სიყვარული, სიკეთის კეთება, გაჭირვებულის გვერდზე დგომა, შრომისმოყვარეობა დასახული მიზნის მისაღწევად.**

## უშანგი ხუმარაშვილი



მხატვარი.

დაიბადა დედოფლის წყაროს რ-ნის სოფ. ქვ. ქედში 1948 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: ნინო ბექურაიძე, ალექსანდრე ხუმარაშვილი; მეუღლე — ლეილა კერესელიძე (1947); დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1973). გამოფენებში მონაწილეობს 1975 წლიდან. მისი ძირითადი ნამუშევრებია: „გონებასუსტის ამბიციები", „შინაგანი ტვირთი" (1985), „უკანასკნელად", „ავტოგრაფი" (1988), „დიალოგი საკუთარ თავთან" (1989), „ნოსტალგია" (1990), „შინაგანი ტვირთი" (1990), „კატაკლიზმები" (1990). მონაწილეობდა გამოფენებში: თეატრისა და კინოს მხატვართა (თბილისი, მოსკოვი 1979); საერთაშ. გამოფენა-სიმპოზიუმი (სოჭი, 1994); თანამედროვე ხელოვნების ბიენალე (თბილისი 1996); გერმანია (1999); ვორქ- შოპი (აზერბაიჯანი, 2001-06); გალ. „ორიენტი" (თბილისი, 2007); „ქარვასლა" (თბილისი, 2007). გამართული აქვს პერსონალური გამოფენები თბილისში: სეგ (1994), გალ. „ორიენტი" (1998), ძვ. გალ. — გამოფენა-აქცია „აპროფეა" (1999); გალ. TMS (2000); გალ. „ჰობი" (2003); „ორიენტი" (2005). მიღებული აქვს გრან-პრი წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (2001). არის მხატ. კავშირის წევრი (1985 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ჩიქობავას 34. თბილისი. ტელ: 91 19 32.
**ვიყო ხელოვნებაში აბსოლუტურად თავისუფალი.**

## ჯიბსონ ხუნდაძე



მხატვარი. საქართველოს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1927 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: ელისაბედ ვაშაკიძე, ხარიტონ ხუნდაძე; მეუღლე — ცისანა სამუნაშვილი (1939); შვილები: დალი (1951), ჯარჯი (1964). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1952). იყო ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის (1957-60), თსუ ხელოვნების განყ-ბის (1962-64), სპი

არქიტექტურის ფაკ-ტის ხატვა-ფერწერის პედაგოგი (1964-66). გამართული აქვს გამოფენები საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, იაპონიაში, უკრაინაში, ისლანდიასა და შვეიცარიაში; 2002 წელს გალ. „უნივერსში" გაიმართა მისი საიუბილეო პერსონალური გამოფენა. არის VI მსოფლიო ფესტივალისა (1956) და თბილისის I მუს. ფესტივალის (1997) ლაურეატი. მიღებული აქვს ხელოვნების საერთაშ. ფესტივალის 2 გრან-პრი; ფიროსმანის, სახელმწ. (2002) და რუსთაველის პრემიები. არის მხატ. კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი. მისი ნამუშევრები დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში, კულტურის სამინისტროს ფონდში; საფრანგეთის, აშშ, იტალიის, ავსტრიის, გერმანიის კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: IBC (კემბრიჯი), „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა საქართველოს მთა-ბარში (ფეხით).
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის 159, თბილისი. ტელ: 31 61 70.
**უკომპრომისო ბრძოლა თავისუფალი აზრის გადარჩენისთვის. ქართულ ხელოვნებაში ჩვენი ფოლკლორისა და სიმღერების შესატყვისი ექვივალენტური თანამედროვე ფორმით ფერისა და პლასტიკის ენაზე ამეტყველება და დავით კაკაბაძის შეგონება ქართული რენესანსის მე-12 საუკუნიდან ჩატეხილი ხიდის აღდგენა ევროპულ ხელოვნებასთან კავშირში.**

## რამაზ ხუროძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ინჟინერი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1944 წელს. მშობლები: ნაზი ნიშნიანიძე, ადოლფ ხუროძე; მეუღლე — მანანა ჩხარტიშვილი (1947); შვილები: დავითი (1968), ლევანი (1975). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1966), ასპირანტურა. იყო საქ. მეცნ. აკად-ის მართვის სისტემების ინ-ტის უმც. და უფრ. მეცნ. თანამშრომელი; საქ. მეცნ. აკად-ის პრეზიდიუმის გამოთვლითი ტექნიკის კომისიის სწავლული მდივანი; საქ. რესპუბლიკისა და თბილისის მეცნ. და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელი ორგანოების თანამშრომელი; საქ. უმაღლესი და საშუალო სპეც. განათლების მინისტრის I მოადგილე; საქ. განათლების მინისტრის მოადგილე; სტუ პრორექტორი (1991-93), რექტორი (2000-07). არის სტუ სრული პროფესორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია (1975), სადოქტორო — თემაზე: „ანალოგიური ინფორმაციის შეგროვებისა და გარდაქმნის მოწყობილობათა საიმედოობის კომპლექსური შეფასება და მისი ამაღლების მეთოდები" (1997). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, სასწავლო სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი; საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1998). არის გაეროს ინფორმატიზაციის აკად-ის, ევროპის მეცნ. აკად-ისა და საერთაშ. საინჟინრო აკად-ის ნამდვილი წევრი; რუსეთის საბუნებისმეტყველო და საინჟინრო აკად-ის წევრი, საქ. საინჟინრო აკად-ის ნამდვილი წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი, ჩოგბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი. (ბინის) ირ. აბაშიძის 86, IIსად. ბ. 20. თბილისი. ტელ: 23 42 90.
**სამართლიანობა, პატივისცემა და კეთილგანწყობა კოლეგებისა და ადამიანების მიმართ.**

## ბექან ხურციძე



საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 15 აპრილს. მშობლები: კლავდია ტყეშელაშვილი, ვლადიმერ ხურციძე; მეუღლე — დალი დაუშვილი (1950); შვილები: კახა (1974), ლაშა (1975). დაამთავრა თსუ მანქანათმშენებლობის მრეწველობის მართვისა და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1989). იყო კიროვის რ-ნის დასუფთავების ტრესტის მექანიკოსი (1969-74); საქარხნო რ-ნის სარემონტო-სამშენებლო უბნის მე-5 თანრიგის ბრიგადირი (1974-76); თბილისის პურპროდუქტების კომბინატის ელევატორის უფროსის მოადგილე (1979-83); ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის დირექტორის მოადგილე (1983-86); ნავთლუღის დამფასოებელი და სავაჭრო ბაზის დი-

რექტორის მოადგილე წარმოების დარგში (1986-88); თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მომარაგება-გასაღების განყ-ბის უფროსი (1988-92), ფაბრიკის დირექტორი (1991-92). იყო საქ. პარლამენტის წევრი (1992, 1999, 2004); ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავ-რის მოადგილე; სპორტისა და ტურიზმის კომიტეტის თავ-რე (1992-95); თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების წევრი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავ-რის მოადგილე; საქ. პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში:„ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველოს პარლამენტი" (2006), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი. ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 2812 88.
**ეროვნული მოძრაობის მხარეს დგომა.**

## იუზა ხუსკივაძე



ხელოვნების ისტორიკოსი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1932 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: მარიამ ჩაჩავა, დიმიტრი ხუსკივაძე; შვილი — ნანა (1965). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1956); საქ. მეცნ. აკად-ის ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის ასპირანტურა (1960). არის თსსა სრული პროფესორი, გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა კვლევის ეროვნული ცენტრის ნამყვ. მეცნ. თანამშრომელი. კითხულობს ლექციებს თსსა ხელოვნებათმცოდნეობისა და რესტავრაციის ფაკ-ტებზე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გვიანფეოდალური ხანის ქართული საერო მინიატურის მხატვრული პრობლემები" (1965). არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1995); ჟურ. „საქართველოს სიძველეების" რედაქტორ-გამომცემელი (2002 წლიდან). მუშაობს შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო და საერო მხატვრობისა და მახლ. აღმოსავლეთის ქვეყნების სახვითი ხელოვნების საკითხებზე. არის ავტორი შრომებისა: „გვიანფეოდალური ხანის ქართული საერო მინიატურის მხატვრული პრობლემები", „ირანული სამინიატურო შემოქმედების ერთი საკითხი", „ქართული საერო მინიატურა", „ქართული კედლის მხატვრობის ისტორიიდან", „ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება", „ქართულ ეკლესიათა ხალხური მოხატულობანი", „ზარაფი, წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის მოხატულობა", „ხობის ტაძრის 17 ს. მოხატულობა" და სხვ. მონაწილეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II (1977), III (1980), IV (1983) და VI (1989) საერთაშ. სიმპოზიუმებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2000), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი. ტელ: 93 13 38. (ბინის) გ.რჩეულიშვილის 7, ბ.33. ტელ: 23 54 30.

## ნანა ხუსკივაძე



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ბელა მირიანაშვილი, იუზა ხუსკივაძე; შვილი — ერეკლე დუმბაძე (1984). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). 1986 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანა ფრანკის დღიური", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ამაღამ მგონი იქნება ქარი", „ჰამლეტი", „ლეონსი და ლენა", „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „ეს თავისუფალი პეპლები", „შობის მეთორმეტე ღამე", „ბერნარდა ალბას სახლი", „მარიამ სტიუარტი", „ნახევის დღე", „ჯარისკაცი, სიყვარული, პრეზიდენტი და დაცვის ბიჭი", „ქალები ნისლში" და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „ერთხელ მხოლოდ", „კალმასობა იოანესი", „ოტელო", „გარეჯობა" და სხვ. ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი" ჰამლიას როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „კაცია-ადამიანი?!" მიენიჭა პრიზი

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის (2001). არის სტუდია "N&N"-ის დამაარსებელი (ნ.ჯანელიძესთან ერთად, 2000); მონაწილეობდა სტუდიის სპექტაკლებში: „ 90-იანი ადამიანის ხმა", „მინდა გამოსვლა ნამიდან — ანტიგონე" „საჩუქარი დიდებს, როცა პატარები იყვნენ". 2007 წელს მონაწილეობდა ტ/კ „რუსთავი 2"-ის სატელევიზიო პროექტში „დასი". 2008 წელს რუსთაველის თეატრში დადგა სპექტაკლი „ბრალდება". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა.
მისამართი: (სამსახურის) თბილისი რუსთაველის 17. ტელ: 99 63 73. (ბინის) თბილისი, მარჯანიშვილის 2.
ელ-ფოსტა: rustaveli_theatre@caucasus.net
**„ღმერთო, მომეცი მოთმინება ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, ძალა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან" (კურტ ვონეგუტი). რაც შეეხება წარმატებას – ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს.**

## გიორგი ხუციშვილი



კინორეჟისორი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 23 თებერვალს. მშობლები: ცისანა გრიგორაშვილი, ნოდარ ხუციშვილი; მეუღლე — მაია ჯორჯაძე (1967); შვილები: ნოდარი (1983), ელენე (1986), ზურა (1991). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1983), თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1995), საბაჟო აკადემიის მაგისტრატურა (1999). იყო დოკუმენტური ფილმების სტუდიის — „მემატიანე" რეჟისორი (1983-95); თბილისის კრწანისის რ-ნის გამგებლის მოადგილე (1995-99); თბილისის რეგიონალური საბაჟოს უფროსის მოადგილე (1999-2004); ს.ს. „თელიანი ველის" საზ-ბასთან ურთიერთობის მენეჯერი (2005-08). არის ავტორი დოკუმენტური ფილმებისა: „ბებია ფენია", „გურიის ეკლესია-მონასტრები", „დედაშვილობა". შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „სიყვარული ყველას უნდა", „ხარება და გოგია", „სანამ წვიმა ჩაივლიდეს", „ჩვენი ჯერია ბიჭებო"; მთ. როლი ფილმში — „კავკასიური მარყუჟი". მიღებული აქვს მედალი მხედრული მამაცობისათვის (1993); ღირსების ორდენი სიმღერისათვის „გამარჯობა აფხაზეთო შენი" და გრან-პრი — ქალაქური სიმღერების უბადლო შესრულებისათვის. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი:(ბინის) ფალიაშვილის64,თბილისი. ტელ: 22 22 53. ელ-ფოსტა: info@telianivalley.com
**მიზანდასახულობა, კომუნიკაბელურობა, იუმორი, სამშობლოს უზომო სიყვარული, ნამდვილი ქართული სიმღერა, რწმენა. დავიბადე —პლეხანოვზე, გავიზარდე — საბურთალოზე, ვსწავლობდი — ვაკეში, რუსთაველზე, ვმუშაობდი — ორთაჭალაში. მოკლედ თბილისი ჩემი სახლია.**

## გიორგი ხუციშვილი

მხატვარი.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 2 ნოემბერს. მშობლები: ლიანა ბუმბიაშვილი, კახი ხუციშვილი; მეუღლე — ფიქრია გაფრინაშვილი(1966) შვილი — კახი (1991). დაამთავრა თსსა ტელე-კინო ფაკ-ტი (1993). იყო კ/ს „ქართული ფილმის" მხატვარი (1990-2003), რეკლამის დიზაინერი (2003-09). არის მხატვარი მხ. ფილმებისა: „ოქროს ობობა" (1990), „მორევი" (1996), „ანთიმოზ ივერიელი" (2001), „ღმერთო, რისი გულისთვის!" (2003), „კიდევ ერთი ქართული ისტორია" (2003); მხ.-დოკ. ფილმისა „ნაცნობი მგზავრის დღიური" (2008); დოკუმენტური ფილმისა „ომის შვილები"; ტელევიზიის პირველი არხის გადაცემის — „მეტრონომი" სტუდიის გამფორმებელი, გადაცემა და „ქიმერიონის" მხატვარი.
ჰობი: საოჯახო ნივთების შეკეთება-რესტავრირება.
მისამართი: (სამსახურის) სარეკლამო კომპანია „პატიო არტი". ჟ.შარტავას 37. ტელ: 37 63 57. (ბინის) ალ.ყაზბეგის 28, ბ.26. თბილისი. ტელ: 39 81 41.
**მაქსიმალურად გამოვიყენო საკუთარი შესაძლებლობები.**

## თამაზ ხუციშვილი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1943 წ. 10 აპრილს. მშობლები: თამარ ტოგონიძე, გრიგოლ ხუციშვილი; მეუღლე — ელეონორა ხუციშვილი (1947); შვილი — გია (1966). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1966). გაფორმებული აქვს რუსთაველის და მინიატურების თეატრების, თსკ საოპერო სტუდიის სპექტაკლები. იყო საქტელერადიო კორპორაციის I არხის საავტორო გადაცემის — „უჩარჩოოდ" წამყვანი (1994). არის თსუ პროფესორი. წლების განმავლობაში მიღებული აქვს მონაწილეობა საკავშირო და რესპუბლიკურ, ყოველწლიურ საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში; გამართული აქვს 3 პერსონალური გამოფენა. მისი ნამუშევრები დაცულია საქ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში, სამხატვრო ფონდში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალ-ში, ალმ. ხალხთა და ხელოვნების მუზეუმში, კერძო კოლექციებში. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (ბინის) ი.ნიკოლაძის შეს. ლ.შარაშიძის 6, თბილისი 0179. ტელ: 22 77 79.

## კახი ხუციშვილი

საქართველოს სახალხო მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



დაიბადა თელავის რაიონის სოფ. ართანაში 1928 წ. 14 ივლისს. მშობლები: სიდონია სიმაშვილი, იოსებ ხუციშვილი; მეუღლე — ლიანა ბუმბიაშვილი (1935); შვილები: ნინო (1962); გიორგი (1965). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორატიული ფაკ-ტი (1954). იყო კ/ს „ქართული ფილმის" მხატვარი (1954-1991) არის მხატვარი ფილმებისა: „მაგდანას ლურჯა" (1954), „ჩვენი ეზო" (1957), „სხვისი შვილები" (1958), „მაია წყნეთელი" (1959), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (1962), „დიდოსტატის მარჯვენა" (1970), „რეკორდი" (1972), „დათა თუთაშხია" (1977), „კაცია ადამიანი?!" (1979), „ნიგნი ფიცისა" (1984), „თეთრი ბაირაღები" (1989), „ოქროს ობობა", „მორევი", „ანთიმოზ ივერიელი"; ტელეფილმებისა: „ცაბუნია", „რუსთაველის ნაკვალევზე", „ძველი ვალსი", „ფიროსმანი", „ჭა". მონაწილეობდა გამოფენებში: მოსკოვი (1954, 1960); თბილისი (1965, 1967); ლენინგრადი (1977). თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „ნაკადული", „მერანი", „საბჭოთა საქართველო", „ცოდნა". არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1983), „ღირსების ორდენის" კავალერი (1998), რუსთაველისა (1985) და სახელმწიფო (1981) პრემიების ლაურეატი; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1960).
ჰობი: ქართული ხალხური სიმღერა, კლასიკური მუსიკა.
მისამართი: (ბინის) ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ. 74, თბილისი 0186. ტელ: 32 86 99.
**საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე, ოჯახის სითბო, მოყვასის სიყვარული და, რაც ყველაზე მთავარია, შენი დამოუკიდებელი სახის პოვნა, შენს შემოქმედებაში უკომპრომისო და პატიოსანი ღვაწლი.**

## ქეთევან (ქეთი) ხუციშვილი

ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველო" აღმასრულებელი დირექტორი. აღმოსავლეთმცოდნე.



დაიბადა თბილისში 1959 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: გულიკო მესხი, გივი ხუციშვილი. დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი ძველი ინდოეთის კულტურის სპეციალობით (1982); მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა (1986). იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მეცნ. მუშაკი (1986-

94)); ამერიკის საერთაშ. საქმეთა ეროვნ. დემოკრატიული ინ-ტის პროგრამების დირექტორი (1994-2002); ევრაზიის ფონდის დირექტორი (2002-06). 2008 წლიდან არის ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველო" აღმასრულებელი დირექტორი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). ჰობი: უძველესი კულტურები და პოსტმოდერნიზმი.
მისამართი: (სამსახურის) ჭოველიძის 10. თბილისი. ტელ: 25 05 93; ფაქსი: 2910 52; ელ-ფოსტა: keti@osgh.ge

## სოფიკო ხუხაშვილი

მოჭადრაკე. ოლიმპიური ჩემპიონი.



დაიბადა თბილისში 1985 წ 4 იანვარს. მშობლები: სვეტლანა ბერიძე, ნოდარ ხუხაშვილი. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახ. უნ-ტის საერთაშ. ურთიერთობის ფაკ-ტი (2006). არის 2008 წლის ოლიმიური ჩემპიონი; მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი; საერთაშორისო დიდოსტატი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2008).
მისამართი: (ბინის) III მასივი, კალოუბნის ქ. 26, ბ. 42, თბილისი. ტელ: 73 36 47.
„იჩქარე ნელა".

## ვანო ხუხუნაიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე. ბიოლოგი.



დაიბადა თერჯოლაში 1963 წ. 5 სექტემბერს. მშობლები: ნანი ცქიფურიშვილი, რევაზ ხუხუნაიშვილი. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1986). მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს №2 ტრესტში (1980-81); იყო „საქსახაგრომრეწვის" თერჯოლის ღვინის კომბინატის მიკრობიოლოგი (1986-88); საქ. პარლამენტის წევრი (1992, 1995, 1999; 2004); სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992); სახალხო პარტიის გენ. მდივანი (1999-2004). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე. იყო ედპ-ს წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში: „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 0118. ტელ: 28 11 36.

## მაია ჯაბუა

მომღერალი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 8 მაისს. მშობლები: ლილი ჯანელიძე, თორნიკე ჯაბუა; მეუღლე — ვახტანგ ქუთათელაძე (1955); შვილები: თორნიკე (1988), ლიზა (1998), ნიკოლოზი (2005). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1986). იყო გოგონების ანსამბლ „მზიურის" სოლისტი (1971-79); რადიო-ტელევიზიის ორკესტრისა (1981) და სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი. მონაწილეობდა ფილმებში: „მოვდივართ და მოვიმღერით" და „მზიური". მუსიკალურად აქვს გახმოვანებული რამდენიმე მხ. ფილმი; გამოცემული აქვს სამი ალბომი; გამართული აქვს სოლო კონცერტები. არის საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი სიმღერისათვის „გამარჯობა აფხაზეთო შენი"; დაჯილდოებულია საკავშირო „შრომის ორდენით". მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (2001), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მოგზაურობა.
**ისწავლე იყო ბედნიერი.**

## ვახტანგ ჯავახაძე

მწერალი.



დაიბადა ქუთაისში 1932 წ. 29 ივლისს. მშობლები: შუშანა მარგალიტაძე, რომანოზ ჯავახაძე; მეუღლე — ნანა ღრუბელაშვილი (1941); შვილები: ირაკლი (1968), ირინე (1977). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). 1956 წლიდან მუშაობს გამომცემლობა „საქართველოში". იყო გამომცემლობა „საქართველოს" მთ. რედაქტორი (1980-2000); გამომცემლობა „ახალი საქართველოს" დირექტორი (2001-09). გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „საყვარელი ქარები", „ნანვიმარი ქუჩები", „სამხრეთი", „მეშვიდე", „მარტი, აპრილი, მაისი", „შედარება", „და ასე შემდეგ", „მომიკითხე ზღვა", „ვახტანგური", „2002 სტრიქონი", „33 აცაბაცა"; ბიოგრაფიული რომანი „უცნობი" (აპოლოგია გ.ტაბიძისა). არის გ.ტაბიძის სახ. პრემიისა და ლიტ. პრემია „გალას" (2008) ლაურეატი; მწერალთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-ში, ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვართა ალბომების შეგროვება.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 29, ბ.17. თბილისი. ტელ: 39 09 29.
**ღვთისმორწმუნეობა, მოყვასის სიყვარული, სამართლიანობისათვის თავის გამოდება, გულწრფელობა, შემწყნარებლობა, გაჭირვებულისადმი თანაგრძნობა და დახმარება... მოკლედ: „ათი მცნება" — ათივე!**

## ირაკლი ჯავახაძე

მწერალი. „ლიტერატურული გაზეთის" მთავარი რედაქტორი.



დაიბადა თბილისში 1968 წ. 3 მაისს. მშობლები: ნანა და ვახტანგ ჯავახაძეები; შვილი — მარიამი (1988). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1990). იყო გაზეთ „პარნასის" მთ. რედაქტორი (2005-06). 2009 წლიდან არის „ლიტერატურული გაზეთის" მთ. რედაქტორი. არის ავტორი წიგნებისა „პირველი" (1998), „ალაბამა" (1999), „კავალერები" (2002), „ობლიგაცია" (2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ავტომობილის მართვა.

## გელა ჯავახიშვილი



საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორი.
ინჟინერ-ელექტრიკოსი. პროფესორი.

დაიბადა ხაშურში 1963 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: რუსუდან გოგოლაძე, ანზორ ჯავახიშვილი; მეუღლე — მაკა ჩაჩავა (1982); შვილი — მარიამი (2008). დაამთავრა ს/ს ინ-ტის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ფაკ-ტი (1986), ასპირანტურა (1992). იყო საქ. სახელმწ. აგრარული უნ-ტის ელექტროტექნიკის და ელექტრო-ამძრავის კათედრის ასისტენტი (1993-96), ელექტროფიკაციის და ავტომატიზაციის ფაკ-ტის დეკანი, დოცენტი, პროფესორი (1996-2005). სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი (2000-06), რექტორის მოადგილე (2005-06). 2006 წლიდან არის საქ. სახელმწ. აგრარული უნ-ტის რექტორი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია (1995), სადოქტორო — თემაზე: „უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ამძრავების ენერგეტიკული და დინამიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება" (2006). არის ავტორი მონოგრაფიისა „სამფაზა უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ვიბროამძრავი სოფლის მეურნეობაში" (2008); ღირსების ორდენის კავალერი (1999); საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (2007); აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭა „წლის ინჟინრის" საპატიო წოდება (2007).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ., თბილისი 0131. ტელ: 59 52 53; ფაქსი: 53 43 95. (ბინის) ბუხაიძის 18, თბილისი 0102. ტელ: 96 69 17.ელ-ფოსტა: rector@gsau.edu.ge
**შრომისმოყვარეობა, ღირსება, სამართლიანობა.**

## ლელა ჯავახიშვილი



მოჭადრაკე. ოლიმპიური ჩემპიონი. ჟურნალისტი.

დაიბადა ახმეტაში 1984 წ. 23 აპრილს. მშობლები: მარინა და ოლეგ ჯავახიშვილები; მეუღლე — ევგენი სუროვი (1976); შვილი — ალექსანდრე (2009). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (2001). არის მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი; ევროპის საკლუბო ჩემპიონატების გამარჯვებული; საერთაშორისო დიდოსტატი; მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული (2008); ღირსების ორდენის კავალერი (2008).
მისამართი: (ბინის) ვარკეთილის I მ/რ, კ. 32, ბ. 72, თბილისი. ტელ: 79 86 72.

## ნინო ჯავახიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ექიმი. პროფესორი.

დაიბადა მოსკოვში 1914 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ზინაიდა მოსურსკაია, ალექსანდრე ჯავახიშვილი; მეუღლე — მამია კომახიძე (1906). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1935). იყო თსსი ადამიანის ანატომიის კათედრის ასისტენტი (1935-48), დოცენტი (1948-49), ექსპ. მორფოლოგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1946-49), განყ-ბის გამგე (1945-58), დირექტორის მოადგილე (1958-59), დირექტორი (1959-2006). არის ამავე ინ-ტის დირექციის მრჩეველი; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჯვარედინი ხვეულის ანგიოარქიტექტონიკის ცვლილება საძილე არტერიის გადაგვარების შემდეგ" (1941), სადოქტორო — „ზურგის ტვინის ნერვული წნულების და სიმპათიკური ნველის ფორმა და მათი ურთიერთობა" (1948). არის 272 სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის 7

მონოგრაფიის, ავტორი. არის საქ. ქალთა საბჭოს საპატიო თავ-რე; ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის ანატომთა სამეცნ. საზ-ბების საპატიო წევრი. დაჯილდოებულია ლენინის (1960), საპატიო ნიშნის (1964), ხალხთა შორის მეგობრობის (1981), შრომის წითელი დროშის (1984), ღირსების (1994) ორდენებით. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who's Who" (2003 წლის ქალი), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006). არჩეულია ამერიკის ბიოგრაფიის ინ-ტის მრჩევლად და დასახელებულია "XXI საუკუნის დიდ მოაზროვნედ" (2005).
ჰობი: ფოტოგრაფია, კინემატოგრაფი.
მისამართი: (სამსახურის) მ.ჭიაურელის 2, თბილისი. ტელ: 52 09 06. (ბინის) ფასანაურის 19. ბ. 8. თბილისი. ტელ: 22 06 75.

## ელიზბარ ჯაველიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი. პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1938 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ელენე წერეთელი, დიმიტრი ჯაველიძე; მეუღლე — ნინო ჯაველიძე (1954); შვილები: დიმიტრი (1973), ლაშა (1976). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი. იყო ჟურ. „კრიტიკის" (1985) და გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" (1986-90) მთ. რედაქტორი; თსუ პროფესორი (1988 წლიდან); განათლების მინისტრი (1990-91); გაზ. „საქართველოს სამრეკლოს" (1992-93), „კოლხური კოშკის" (1994), „სამრეკლოს" (1994-95), „ახალი ერა"-ს (2000-03) მთ. რედაქტორი და გამომცემელი; აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი; საქ. პარლამენტის წევრი (1999-2004), ფრაქცია „XXI საუკუნის" თავ-რე. არის საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988 წლიდან); პოლიტიკური მოძრაობა „XXI საუკუნის" პრეზიდენტი (2002 წლიდან). იყო პოლიტემიგრანტი გფრ-ში (1996-99). დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჯელალ-ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობის საკითხები" (1975). არის 300-მდე სამეცნ. და პუბლიცისტური წერილის და 14 მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის: „რუპი-ბაღდადი" (1966), „ფიზული" (1972), „ჯელალ-ედ-დინ რუმი" (1979), „იუნუს ემრე" (1985), „შტუდიები" (1985), „თურქული პოეტიკა" (1988), „უკეთუ სულითა" (1989), „უკუნეთი" (2001), „ავაჰმე, ჩემო მამულო!" (2007), „მართალმა რაი ჰყოს?" (2008). არის საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის მფლობელი (1988); აზერბაიჯანის კულტურის დამს. მოღვაწე (1989); პოლიტ. მოძრაობა „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" (1995) და პოლიტ. მოძრაობა „XXI საუკუნის" (2002) პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შესულია ქსე-სა და ცნობარებში: „საქმიანი და გამოჩენილი ადამიანები XX ს-ის ბოლო ათწლეულში" (2001), „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 52, თბილისი 0118. ტელ: 93 83 28. (ბინის) სერგი მესხის 15. ტელ: 93 24 04.

## გიორგი ჯავრიშვილი



შპს „ოფთალმიჯის" ხელმძღვანელი. ექიმი-ოფთალმოლოგი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 23 ივნისს. მშობლები: მერი წერეთელი, ვახტანგ ჯავრიშვილი; მეუღლე — ქეთევან ნაცვლიშვილი (1960); შვილი — ვახტანგი (1986). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1979). იყო ყაზბეგის (1980-82) და კასპის (1982-86) საავადმყოფოების ექიმი-ოფთალმოლოგი. დაამთავრა მოსკოვის ს.ფეოდოროვის სახ. თვალის მიკროქირურგიის კომპლექსის ორდინატურა, ასპირატურა, დოქტორანტურა (1987-95). 1996 წლიდან არის კლინიკა „ოფთალმიჯის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რქოვანის დამწვრობითი ლიბრის ქირურგიული მკურნალობა " (2004). არის ს.ფეოდოროვის ტექნოლოგიის წარმომადგენელი იტალიაში (1990-92); იტალიის და უკრაინის კერძო

ოფთალმოლოგიური კლინიკების დამფუძნებელი (1992-95); გ.ჯავრიშვილის საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი (2009); ღირსების ორდენის კავალერი (2000); ს.ფეოდოროვის საერთაშ. პრემიის ლაურეატი (2005). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: გიტარა. ბილიარდი. თოფი.
მისამართი: (სამსახურის) ქავთარაძის 16, თბილისი 0186. ტელ: 30 10 80, 54 53 53, ფაქსი: 30 53 53.
**„კაცის სურვილებს, როგორც ვაზს, გასხვლა სჭირდება".**

## დიმიტრი ჯაიანი



სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა სენაკში 1950 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: ნორა დგებუაძე, სერგო ჯაიანი; მეუღლე — გულნარა ბენდიაშვილი (1950); შვილი — ჯაბა (1971). დაამთავრა თსთი დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკ-ტი (1973). იყო სოხუმის კ.გამსახურდიას სახ. თეატრის მსახიობი (1973-92). 1992 წლიდან არის ამავე თეატრის დირექტორი და სამხ. ხელმძღვანელი. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „დიდოსტატის მარჯვენა", „ბრძოლა ტახტისათვის", „1832", „მოკვეთილი", „თოლია", „დარისპანის გასაჭირი", „ყვარყვარე თუთაბერი", „ღალატი", „კორიოლანოსი", „ფსკერზე", „ზღვა, რომელიც შორია" და სხვა; მონაწილეობდა ფილმებში: „პირველი მერცხალი" (1975), „ოგარიოვის 6" (1980), „ვინ არის მეოთხე?" (1985), „სტალინის დაკრძალვა" (1989), „ანგელოზების გადაფრენა" (2004). არის საქ. სახალხო არტისტი (1989); საქ. სახელმწ. (1995), გ.შერვაშიძის სახ. (2001) და კ.მარჯანიშვილის (2006) პრემიების ლაურეატი; ღირსებისა (1998) და პრესტიჟის (უკრაინა, 2001) ორდენების კავალერი; თეატრის მოღვაწეთა კავშირის (1973) და ილ.ჭავჭავაძის საზ-ბის (1981) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
ჰობი: მხატვრობა.
მისამართი: (სამსახურის) დადიანის 5, თბილისი 0108. ტელ: 899 57 95 92; ალმაშენებლის 8, სოხუმი. (ბინის) შ.ნიშნიანიძის 17, თბილისი. ტელ: 99 62 09; ბარათაშვილის 2, ბ. 13, სოხუმი. ტელ: 2 13 56.
**ქვეყნის სამსახური. ჯერ სამშობლო, მერე ყველაფერი ის, რაც მე გამაჩნია.**

## ედიშერ ჯალაღონია



საქართველოს პარლამენტის წევრი. ეკონომისტი.

დაიბადა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ხაბუმეში 1968 წ. 6 იანვარს. მშობლები: ლენა შენგელია ჟორჟი ჯალაღონია; მეუღლე — ხათუნა კვარაცხელია (1973); შვილები: ნინო (1992), ანა (1993). დაამთავრა გორის სახელმწ. ეკონომიკური ინ-ტის საბუღალტრო ეკონომიური ფაკ-ტი. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური (1986-88). იყო ჩხოროწყუს რ-ნის გამგებლის მრჩეველი (2000-02), ჩხოროწყუს რ-ნის ხაბუმის თემის თავრე, გამგებელი (2002-06). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრია 2004 წლიდან. 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრი.
ჰობი: ჭადრაკი, ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 83. (ბინის) ჩოლოყაშვილის I, ბ. 74. თბილისი. ტელ: 27 33 57.
**სამართლიანობა, კეთილი საქმის კეთება, პრინციპულობა, ერთგულება, ყველა გაჭირვებული ადამიანის თანადგომა და დახმარება. მიზანდასახულობა და ნაკისრი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.**

## მარი ჯანაშია

მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი.



დაიბადა თბილისში 1949 წ. 28 დეკემბერს. მშობლები: თამარ და ივანე ჯანაშიები; მეუღლე — თემო გოცაძე (1941); შვილები: ბექა (1965), ბექარი (1969), თემიკო (1979). დაამთავრა თსუ (1971). იყო რუსთაველისა (1968-80) და მარჯანიშვილის (1980-87) თეატრების მსახიობი. 1988 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანტიგონე", „გუშინდელნი", „რომეო და ჯულიეტა", „ბერნარდა ალბას სახლი", „ქალის ტვირთი", „ტარტიუფი", „ოტელო", „ევრიდიკე", „კარმენი", „თოლია", „კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე", „კავკასიური ცარცის წრე", „წელიწადში ერთხელ", „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ"; მხატვრულ ფილმებში: „ნუცა", „დოკერი", „დილის ნისლივით", „კუკარაჩა", „მარადისობის კანონი", „ხიდი", „გზის დასაწყისი", „მარტოხელა მონადირე", „ცოდვის შვილები", „დინოზავრის კვერცხი"; სატელევიზიო სპექტაკლში „თეთრი კურდღელი" და სხვა; მიწვეული იყო თეატრებში: „ვერიკო" და სამეფო უბნის თეატრი. არის საქ. დამს. არტისტი (1980); თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის (1976) და კინოკავშირის (1984) წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
ჰობი: ჩემი პროფესია არის ჩემი ჰობი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 0108. (ბინის) ი.აბაშიძის 80. ტელ: 22 31 87.
**ჩემს პროფესიაში უნდა გიყვარდეს შენი მაყურებელი, პატივს სცემდე და მასაც ეყვარები, რადგან ჩვენ მხოლოდ მათთვის ვიღწვით. ჩემი შვილების სიკეთე მინდა, მინდა გონიერ საქართველოში ცხოვრობდნენ და იყვნენ საჭირონი!**

## ნაულ ჯანაშია

საქართველოს პარლამენტის წევრი. ინჟინერ-ეკონომისტი.



დაიბადა მარტვილის რ-ნის სოფ. დიდი ჭყონში 1947 წ. 1 მარტს. მშობლები: ნადია ხურცილავა, იოსებ ჯანაშია; მეუღლე — ინდირა ბეჟვაია (1955); შვილები: ნადეჟდა (1980), მამია (1981). დაამთავრა ლენინგრადის სამთო-სამრეწველო ინ-ტი (1975). იყო ქ. შევჩენკოს სამთო სამრეწველო კომბინატის კავშირგაბმულობის ხელოსანი, სამმართველოს დისპეჩერი (1965-71); ქ. შევჩენკოს სატრანსპორტო სამმართველოს ინჟინერ-ეკონომისტი (1976-77); ქ. შევჩენკოს სამთო სამრეწველო კომბინატის გამოთვლითი ცენტრის განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე (1977-81); სოხუმის ფიზიკო-ტექნიკური ინ-ტის №250 სამეცნ. განყ-ბის დირექტორის მოადგილე (1986-93); მოსკოვის ელექტრო მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის გენ. დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში, კომერციული დირექტორი (1995-2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „საქართველოს რეგიონები - მაჟორიტარების" წევრი; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების წევრი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა და საქ. I პრეზიდენტის, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიების წევრი. აფხაზეთის ომის მონაწილე, მაიორი.
ჰობი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. (ბინის) თარხნიშვილის 9, თბილისი
**ვეწევი საქველმოქმედო საქმიანობას, ვაშენებ ეკლესიებს, კერძოდ ავაშენე მარტვილის რაიონის სოფ. ნაფოსტარში მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და ამჟამად სოფ. დიდი ჭყონში შენდება წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. მწამს მაღალი ღმერთის და ვფიქრობ სწორედ ამან განაპირობა ჩემი წარმატება.**

## გიორგი ჯანბერიძე



საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. არქიტექტორი. დიზაინერი. ხელოვნებათმცოდნე.

დაიბადა თბილისში 1950 წ. 1 ნოემბერს. მშობლები: ლუდმილა და ნოდარ ჯანბერიძეები; მეუღლე — ნინო ოკუჯავა (1957); შვილი — ნატა (1981). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1972), ასპირანტურა (1980); დოქტორანტურა (რომი,1985). იყო „თბილქალაქპროექტის" არქიტექტორი (1972-76); „საქართველოს სამხატვრო ფონდის" მხატვარი-დიზაინერი (1977-83); სტუ პედაგოგი, დოცენტი (1979-91). არის „თბილისის ხელოვნებათმცოდნეობის ინ-ტის" დამფუძნებელი (1991) და რექტორი (1997-2001); თბილისის „თანამედროვე ხელოვნების გალერეის" დამფუძნებელი (1995) და დირექტორი (1995-2004); საქ. მხატვართა კავშირის თავ-რეა 2002 წლიდან; იტალია-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ასოც. დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2006 წლიდან); მ. ბერძენიშვილის სახ. კულტურის საერთაშ. ცენტრის „მუზა" გენ. დირექტორი (2007-08). არის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1984), დოცენტი; ავტორი რეალიზებული არქიტექტურული პროექტების, ინტერიერების, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ნანარმოებების, სამეცნ. შრომებისა და პოლიგრაფიული გამოცემებისა: „XX საუკუნის ქართული ფერნერა" (1999-2001), „დიმიტრი შევარდნაძე" (2001), კომპაქტ-დისკი და კატალოგები „Georgian Modern Painting" (2002), „Curriculum Vitae - XX საუკუნე: „ქართული მხატვრობის ამბავი" (2003), „გიორგობისთვე" (2004), „Iconografia Contemporanea Della GEORGIA" (რომი, 2006), მუშაობს ქართული სახვითი ხელოვნების ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე. განახორციელა ფორე მოსულიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია (არონა,1986). არის 350-მდე გამოფენის ორგანიზატორი საქ-ში და საზღვარგარეთ; საქ. კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1982); საქ. მხატვართა გამგეობის თავ-რე; საქ. მხატვართა კავშირის (1981), არქიტექტორთა კავშირის გამგეობის (1981) და დიზაინერთა (1987) კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა ქართულ არქიტექტურაში" (1999), „მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ენციკლოპედია" (2000), „ვინ ვინაა საქართველოში", „საქართველო, დრო, ადამიანები" (2006), Справочник-Единый Художественный Рейтинг (2003, 2008), „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მოგზაურობა. ფეხბურთი. ჯაზი და პოპ-მუსიკა.

მისამართი: (სამსახურის) ქუთათელაძის 6, თბილისი. ტელ/ფაქსი: 39 29 02.
ელ-ფოსტა: g.janber@yahoo.com

## ნინო ჯანგირაშვილი



ტელეკომპანია „კავკასიის" დირექტორი. ჟურნალისტი. ისტორიკოსი.

დაიბადა თბილისში 1971 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: ნათელა ჯამასპიშვილი, ივანე ჯანგირაშვილი; მეუღლე — დავით აქუბარდია; შვილი — ნიკოლოზი (2003). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1994). იყო გაზ. „ალიას" საინფორმაციო განყ-ბის რედაქტორი (1995). 1995 წლიდან არის ტელეკომპანია „კავკასიის" ჟურნალისტი და დირექტორი.

ჰობი: ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მქონდა სხვადასხვა ჰობი. მარადიული ჰობი არ გამაჩნია.

მისამართი: (სამსახურის) ლეონიძის 11ა. თბილისი 0105. ტელ/ფაქსი: 93 6753; ელ-ფოსტა: cavcasiatv@yahoo.com

**რთული შეკითხვაა. ჩემი ცხოვრების პრინციპების, მიზნების, იდეალების და ზოგადად — კრედოს ჩამოყალიბება 50 სიტყვაში რომ შემეძლოს ძალიან მაგარი ფილოსოფოსი ვიქნებოდი. ჯერჯერობით ასეთი მაგარი არ ვარ. იმედია ოდესმე შევძლებ ეს ყველაფერი რაღაც „ფორმულაში" მოვაქციო.**

## ირინე ჯანდიერი

ბალერინა. საქართველოს სახალხო არტისტი.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ელენე შუბაკოვა, ალექსანდრე ჯანდიერი. დაამთავრა ვ.ჭაბუკიანის სახ. თბილისის სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (პედაგოგი—ა.წერეთელი. 1958). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი (1959-90). 1991 წლიდან არის საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორი. შესრულებული აქვს მთ. პარტიები სპექტაკლებში: ოდეტა-ოდილია („გედების ტბა"), კიტრი, დრიადების მბრძანებელი („დონ კიხოტი"), მირტა („ჟიზელი"), გამზათი („ბაიადერა"), ირემა („გორდა"), მარი („მაკნატუნა"), პრინცესა ფლორინა, ავრორა („მძინარე მზეთუნახავი"), ლაურენსია („ლაურენსია"), სვანილდა („კოპელია"); სოლო პარტიები სპექტაკლებში: „სერენადა", „თემა ვარიაციებით" (ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია), „შოპენიანა", „პახიტა" და სხვა. დაჯილდოებულია კლასიკური ბალეტის მსახიობთა საკავშირო (სსრკ) კონკურსზე ლაურეატის პირველი ხარისხის დიპლომით (1968); არის მოსკოვში გამართული პირველი საერთაშ. საბალეტო კონკურსის III პრემიის ლაურეატი (1969); საქ. სახალხო არტისტი (1976).

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25, თბილისი 0118. ტელ: 99 65 66.

## კონსტანტინე ჯანდიერი

მწერალი. კინოსცენარისტი.



დაიბადა თბილისში 1958 წ. 23 მაისს. მშობლები: რუსუდან გვარამია, ირაკლი ჯანდიერი; მეუღლე — ნინო ფილია (1962); შვილი — სოფიო (1987). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო საშ. სკოლის მასწავლებელი (1978-80); ბოტანიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1979-90); ვალეს ქვის სათლელი საამქროს მუშა-ოპერატორი (1980); ჟ/ს „შემოქმედის" რედაქტორი (1989-94). იყო კინოკონცერნ „ქართული ფილმის" სამხატვრო საბჭოს წევრი; თსუ ჰუმანიტარულ და საზ-ბრივ პროფესიათა ფაკ-ტის პედაგოგი (1995-2005); ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის განათლების პროგრამის კოორდინატორი (1999-2003). არის 3 სამეცნ. სტატიის, მოთხრობებისა და სცენარების ავტორი. მათ შორის: „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან", „ქართული ნაციონალური ბალეტი" (მთ. რედ. და თანაავტორი), „განსხვავებული კალიბრის ვაზნა" (გერმანია, „ქართული პროზის ანთოლოგია"), „გლობალიზაცია" (მოთხრობა, კრებული „15 საუკუნეთესო", 2005). „დაპატიჟება აგორაზე" (ტელესცენარი, 1996), „ცხელი ძაღლი" (ტელესერიალი, თანაავტ.), „პეტრე ოცხელი" (2007) და სხვა. არის მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატი (1992); ქართული პენ კლუბის (1993), საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირის, მწერალთა კლუბ „XX საუკუნის" და საქ. ლუდის მოყვარულთა საზ-ბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: მთაში და უცნობი ქალაქების ქუჩებში ხეტიალი, ახალი ნაცნობობანი.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას 26, ბ.86. ტელ: 39 64 05.

**აუჩქარებლობა და ჰედონიზმი. ძველი აღთქმის პირველსავე გვერდზე აღწერილია აუჩქარებელი მოქმედების შესანიშნავი მაგალითი, როდესაც ყოვლისშემძლე შემოქმედი არა მყისიერად, არამედ თანდათან, მხოლოდ მისთვის ცნობილი დრამატურგიის თანახმად ქმნის სამყაროს. აქ იმალება ნებისმიერი შემოქმედების უნივერსალური პრინციპი. იქვე ვხვდებით საოცარ ცნობას, რომ მეშვიდე დღეს ღმერთმა „დაისვენა ყოველი საქმისაგან"... ეს ღვთაებრივი ჰედონიზმი გვათავისუფლებს წარსულისა და მომავლის ტირანიისაგან, გვიცავს ტემპორალობასთან დაკავშირებული უბედურებებისაგან და გვიმახვილებს ყოველი წამით უსასრულო ტკბობის უნარს.**

## დავით ჯანელიძე



კინორეჟისორი.

დაიბადა თბილისში 1958 წ. 4 აპრილს. მშობლები: ინეზა კიკნაძე, თენგიზ ჯანელიძე; მეუღლე — მარინე ვასაძე (1963); შვილები: ირინე (1982), ბარბარე (1987). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1980). იყო თსთი-ს შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი (1998-2001). არის კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორი (1981 წლიდან); რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის კინო-ტელე ფაკ-ტის დეკანი (2007 წლიდან), თსუ დოცენტი (1995-2000). არის რეჟისორი მხ. ფილმებისა: „ვერსათრიელა", „დედუნა", " დედა ენა", „გზა ფარავნის ტბისაკენ", „მდგმურები", „რამდენიმე სურათი სამონასტრო ცხოვრებიდან", „ციხესიმაგრე", „ანბანი", „ათას ერთი ღამე თბილისში", „მტვრის გემო", „მეიდანი— სამყაროს ჭიპი", „ატაგენუსი", „ჯაყოს ხიზნები". მიღებული აქვს მანჰეიმისა (1987) და მონპელიეს (1992) კინოფესტივალების გრან-პრი; ფარაჯანოვის სახ. პრიზი (2004), პრიზი საუკეთესო სცენარისათვის (2005). მისი ბიოგრაფია შესულია კინოენციკლოპედიაში; ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სამსახურის) ალმაშენებლის 40. თბილისი. ტელ. 96 01 46.
**მიზანსწრაფულობა.**

## ნანა ჯანელიძე



რეჟისორი. დრამატურგი. პროდიუსერი. სტუდია "N&N"-ის დირექტორი.

დაიბადა თბილისში 1955 წ. 7 აგვისტოს. მშობლები: ლამარა ურიდია, თამაზ ჯანელიძე; მეუღლე — გია აბულაძე (1952); შვილები: თორნიკე (1979), ნინო (1987). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1979, თენგიზ აბულაძის სახელოსნო). არის კ/ს „ქართული ფილმის" რეჟისორი 1981 წლიდან. იყო თსუ კინოლაბორატორიის მეცნ. თანამშრომელი (1986-93); თსუ ჰუმანიტარულ მეცნ. კათედრის ლექტორი (1996-2001); არის რეჟისორი და სცენარის ავტორი ფილმებისა: „დიდი ბიჭი და პატარა ბიჭი" (1978), „მონანიება" (II რეჟ., სცენარის ავტ., მუს. გამფორმებელი, 1984), „ოჯახი" (1985), „ივანანა" (1994), „ერთი წვეთი საქართველო" (1998), „თენგიზ აბულაძე" (2001), „მშრალი ხიდის სიზმრები" (2003), „საშობაო საჩუქარი" (2005). არის ავტორი, რეჟისორი და პროდიუსერი თეატრალური სარდაფის სპექტაკლებისა: „FM 90-იანი ადამიანის ხმა", „მინდა გამოსვლა წამიდან — ანტიგონე", „საჩუქარი დიდებს, როცა პატარები იყვნენ". კითხულობდა ლექციებს ქართულ კინოს შესახებ აშშ-ში, ლონდონში, ამსტერდამში. არის სტუდია "N&N"-ის დამაარსებელი (ნ.ხუსკივაძესთან ერთად, 2000); გოგებაშვილისა და საქ. სახელმწ. (1994) პრემიების ლაურეატი; რუსეთის კინოაკადემიის ჯილდო „ნიკას" მფლობელი; მოსკოვის საერთაშ. ფესტივალის, პეზაროსა და ლაგოვის კინოფესტივალების, იალტის ფესტივალის (1995), ქართული ეკლესიისა (1994) და კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის (1997) მთ. პრიზების მფლობელი; მიღებული აქვს რუსეთის სათავადაზნაურო საზ-ბის საპატიო სიგელი (1994); არის საქ. კინემატოგრაფისტთა კავშირისა (1994 წლიდან) და კინოკავშირის გამგეობის წევრი; იყო კინოცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე. საზ-ბრივ მაუწყებელზე მიყავდა საავტორო კინოპროგრამა „Laterna Magica" (2006-08). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ცურვა. ბაღისა და ცხოველების მოვლა.
მისამართი: (ბინის) აბულაძის 4, თბილისი 0102. ტელ: 29 40 64.

## ნუცა ჯანელიძე



ანსამბლ „ფორტეს" მუსიკალური ხელმძღვანელი. მუსიკოსი.

დაიბადა თბილისში 1957 წ. 11 ნოემბერს. მშობლები: ალექსანდრა (შურა) და ვლადიმერ ჯანელიძეები. დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინ-ტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო ანსამბლ „მზიურის" პედაგოგი (1970-85); ტ/კ „იმედის" პროექტ „ნუცას სკოლის", გადაცემების საზოგადოებრივ მაუწყებელზე: „წარმატების ფორმულა ნუცასთან ერთად" (2007-09) და „ევროვიზია — ჯუნიორი" (2008) მუსიკალური ხელმძღვანელი (2004-07); ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსის მუსიკალური პროდიუსერი (2006). არის კონცერტმაისტერი (1980 წლიდან); ანსამბლ „ფორტეს" ხელმძღვანელი (1993 წლიდან); ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას 2000 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მანქანის მართვა. კინოხელოვნება. უცნაური საჭმელების გასინჯვა.
**ვაკეთებ სიკეთეს არა იმიტომ რომ ვინმე მთხოვს, ვაკეთებ სიკეთეს იმიტომ, რომ მიხარია სიკეთის კეთება.**

## ბადრი ჯანიაშვილი



საქართველოს სამბისტთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი. მსოფლიო ჩემპიონი.

დაიბადა კასპის რ-ნის სოფელ ზემო ჩოჩეთში. მშობლები: დალი და გაბრიელ ჯანიაშვილები; მეუღლე — ეკა გოგინაშვილი (1977); შვილები: დალი (1997), ირაკლი (2001). დაამთავრა პოლიციის აკადემია (1998). არის სამბოში მსოფლიო ჩემპიონატის II (1996) და III ადგილის (1993, 2002) პრიზიორი; მსოფლიო ჩემპიონი (1997); ევროპის ჩემპიონატის II (1996) და III (2003) ადგილის მფლობელი; ღირსების ორდენის კავალერი (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მეგობრებთან ტრიალი.
მისამართი: (სამსახურის) ილ. ჭავჭავაძის 49ა, თბილისი. ტელ: 22 72 43, ფაქსი: 38 00 62. (ბინის) კასპის რ-ნი, სოფ. ზემო ჩოჩეთი.
**სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება.**

## ბასა ჯანიკაშვილი



მწერალი. დრამატურგი. რადიო „უცნობის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 24 მაისს. მშობლები: დალი სტურუა, მიხეილ ჯანიკაშვილი; მეუღლე — ნატა ამაღლობელი (1975); შვილი — ნიკოლოზი (2001). დაამთავრა თსთი დრამატურგიის ხელოვნების ფაკ-ტი (1996). იყო ტელეკომპანია „II არხის" რეჟისორი (1991-94), „რადიო 106"-ის მუს. რედაქტორი (1994-96), საქ. ტელევიზიის I არხის (1998-2000), ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისა (2000-03) და ტელეკომპანია „მზის" (2003-05) პროდიუსერი; არის ტელერეჟისორი, პროდიუსერი, რადიოების „უცნობისა" და „ნაცნობის" სამეთვალყურეო საბჭოების წევრი. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობებისა და პიესების კრებულები: „კოლო" (1998) და „სანამ ერთმანეთს გავიცნობდით" (2006); პიესა — „სულიკო" (2007); რომანები — „ოცნებით ქაიროში" (2002) და „აბსურდისტანი" (2009). არის ლიტერატურული პრემია „საბას" ლაურეატი (წლის საუკეთესო პიესისათვის, 2006). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: არ მაქვს.
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი. ტელევიზიის IIIკ. ტელ: 33 07 07. (ბინის) ფალიაშვილის 66/29, თბილისი 0179.

## გიორგი ჯანჯღავა



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

დაიბადა თბილისში 1965 წ. 24 ივლისს. მშობლები: ალა პაპბა, ვაჟა ჯანჯღავა; მეუღლე — თეა მაისურაძე (1976); შვილები: ლევანი (1998), ირაკლი (2002), დავით (2006). დაამთავრა თსუ ეკონომიური და სოციალური გეოგრაფიის ფაკ-ტი (1988); კაიროს უნ-ტი (1987); გრძელვადიანი სამეცნ. მივლინებით იმყოფებოდა ლონდონის უნ-ტში (School of Oriental and African Studies - University of London, 1990). იყო თსუ ეკონომიური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის მეცნ. თანამშრომელი (1989-92); საქ. სახელმწ. საბჭოს სახელმწ. მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა დარგში (1992-93); საქ. სახელმწიფოს მეთაურის დიპლომატიური პროტოკოლის სამსახურის უფროსი (1993-94); საქ. გენერალური. კონსული თურქეთში (ტრაპიზონი, 1994-2004); საქ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობების კვლევის ფონდის მეცნ. თანამშრომელი, ექსპერტი (2004-05); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში (2006-09). 2009 წლიდან არის საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. არის 2 წიგნისა და 30-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია წმ. მარკოზ მახარებლის ორდენით (ალექსანდრიის საპატრიარქო, 2009). არის საგანგებო და სრლუფლებიანი დესპანი (1994 წლიდან); საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (2007 წლიდან). არის ნაციონალური გეოგრაფიული (National Geographic Society, 1997 წლიდან), ახლო აღმოსავლეთის კვლევის ბრიტანული (British Society for Middle Eastern Studies, 1999 წლიდან) და საერთაშ. ორიენტალისტიკური ნუმიზმატიკური (Oriental Numismatic Society, 2004 წლიდან) საზ-ბების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: სპორტი. კითხვა. ნუმიზმატიკა.

მისამართი: (სამსახურის) საქ. საელჩო ირანის ისლამური რესპუბლიკაში, ქ. თეირანი, სადრის გზატკეცილი, შაჰიდ ყალანდარის ქუჩა, მე-8 ჩიხი, 7, ტელ: (+9821) 22604154; ფაქსი: (+9821) 22609765; ელ-ფოსტა: tehran.emb@mfa.gov.ge

**პატრიოტიზმი, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი**

## ბადრი ჯაფარიძე



„თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

დაიბადა 1960 წ. 10 ივლისს. მშობლები: მერი კაციტაძე, გივი ჯაფარიძე; მეუღლე – სოფო ხაზარაძე; შვილები: თამარი, მარიამი, ლუკა. დაამთავრა თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკ-ტი შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობით (1982); მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფსიქოლოგიის ფაკ-ტის ასპირანტურა (1985). 1985-95 წლებში მუშაობდა და ასწავლიდა თსუ-ში. გამოქვეყნებული აქვს 10 სამეცნ. ნაშრომი. 1990 წელს არჩეული იქნა ონის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად საქ. უზენაეს საბჭოში. 1992 წლიდან არის სს „თიბისი ბანკის" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის " დამფუძნებელი და დირექტორატის წევრი (1995 წლიდან); საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს წევრი (2004 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ლიტერატურა. მუსიკა. ნადირობა.

მისამართი: მარჯანიშვილის 7, თბილისი. ტელ: 27 27 27, ფაქსი: 77 27 74

## გიორგი ჯაფარიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ფიზიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1953 წ. 29 ივლისს. მშობლები: ანტონინა და ივანე ჯაფარიძეები; მეუღლე — თამარ ორკოდაშვილი; შვილები: ელენე (1984), ალექსანდრე (1988). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1975), საქ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტის ასპირანტურა (1976-79). იყო საქ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1978-82) და მეცნ. თანამშრომელი (1982-98); საქ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი (2004-05). არის საქ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტის კონდენსირებული გარემოს განყ-ბის გამგე და წამყ. მეცნ. თანამშრომელი (1998 წლიდან); თსუ მიწვეული პროფესორი (1999 წლიდან); საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001 წლიდან). არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. კანდიდატი (1983) და დოქტორი (1998); 50-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი; საქ. ფიზიკოსთა საზ-ბის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში "Word Scientist" (2003, 2004, 2005), „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
მისამართი: (სამსახურის) თამარაშვილის 6, თბილისი 0177. ტელ: 39 46 19. (ბინის) ილ. ჭავჭავაძის 30, თბილისი 0179. ტელ: 22 35 97.
**თავდაუზოგავი შრომა, პატიოსნება, სხვების მიმართ პატივისცემა და კეთილგანწყობა.**

## გიორგი (გია) ჯაფარიძე

მოქანდაკე. საქართველოს დამსახურებული მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1945 წ. 5 მაისს. მშობლები: სოფიო ჯაფარიძე (გეკუსიდი), ზურაბ ჯაფარიძე; მეუღლე — მარინა ერისთავი (1946); შვილები: სოფიო (1971), თინათინი (1972), ნინო (1982). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1968), ასპირანტურა (1972). იყო თსსა პედაგოგი (1990-91). გამოფენებში მონაწილეობს 1970 წლიდან. მათ შორის: ქართული დაზგური ქანდაკება (თბილისი, 1991), გალერეა „45" (ბაზელი, 1992), კრისტიან მერიანის ფონდი (ბაზელი, 1992), ემერიხი, ლევერკუზენი (გერმანია, 1994), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (თბილისი, 1998). არის ავტორი ნამუშევრებისა: „სიცოცხლის ხე" (იტალია, 1978), „რაშები" (მოსკოვი, 1980), ქორწინების სახლის ინტერიერი (1983-84), მშვიდობის ხე (ატლანტა, 1989), სასტუმრო მეტეხის ინტერიერი (1991), მ.თუმანიშვილის ძეგლი (1997), „პოსეიდონი"(ნოვოროსიისკი, 1997), „ცეცხლოვანი რაში" (ბაქო, 1998), აბო თბილელი (2002), მოცეკვავე (2004), დედაშვილობა (2004); შადრევნები — შარდენზე (2005), ავლაბრის მოედანზე (2005), ზუგდიდში (2005), „საიათნოვას მემორიალი" (2009). მისი ნამუშევრები დაცულია გერმანიის, შვეიცარიის, აშშ, საბერძნეთის კერძო კოლექციებში, სეგ-ში. არის საქ. კომკავშირის პრემიისა და პრემიის —„წლის საუკეთესო ნამუშევარი" ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1999); მხატვართა კავშირის წევრი (1970 წლიდან); საქ. დამს. მხატვარი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (ბინის) რიგის 12, თბილისი. ტელ: 22 32 21.
**ოჯახისა და პროფესიის ერთგულება.**

## გოჩა ჯაფარიძე

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში. აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1940 წ. 10 ივლისს. მშობლები: ნორა სანაძე, ირაკლი ჯაფარიძე; მეუღლე — ნუნუ ბეროზაშვილი (1947); შვილები: რატი (973), თამარი (1978). დაამთავრა თსუ (1964). არის საქ. მეცნ.

აკადემიის გ.წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი 1968 წლიდან. იყო დამასკოში (სირიის არაბთა რესპუბლიკა) სსრკ კულტურის ცენტრის დირექტორი (1979-83); თბილისის აზიისა და აფრიკის ინ-ტის პრორექტორი (1991-98); აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის განყ-ბის გამგე (1995-98); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში (1998-2004); თსუ აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარული ფაკ-ტების დეკანი, სრული პროფესორი (2005-07); საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითსა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში (საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, ომანი, არაბთა გაერთ. საემიროები; 2007-09). 2009 წლიდან არის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII სს-ის I მესამედში" (2005). არის ავტორი ნარკვევისა „ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან IX-XIX სს" (თბ. 1973), ნაშრომებისა: „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს. I მესამედში" (თბ.,1995); ისლამი — ენციკლოპედიური ცნობარი (ხელმძღვ. და ერთ-ერთი ძირითადი ავტორი, თბ.1999), „ახალი მასალები XVII ს. ეგვიპტის ეპიგრაფიკიდან" (თანაავტ. ა.სილაგაძე, თბ. 2000); სცენარის ავტორი ფილმებისა: „სირია ქართველების თვალით" (რეჟ. გ. ბარნოვი, 1992) და „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში" (რეჟ. მ. კოკოჩაშვილი). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: Dictionary of International Biography, A Biographical rewards of Contemporary achievements 28th edition, 2000. International Biographical Center, Cambridge, (2000); ქართულ ნუმიზმატიკურ ლექსიკონში (თბ., 2009).

ჰობი: კითხვა. ჭადრაკი. კინო.

მისამართი: (სამსახურის) ტანტას ქ. 11, მუჰანდისინი, კაირო, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა. (+202) 330 44 798/68; ელ/ფოსტა: goembeg@link.com.eg (საელჩო) (ბინის) ვაჟა ფშაველას V კვ., IV კორპ. ბ. 185, თბილისი. ტელ: 30 32 37.

**კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი, სამართლიანობა, შრომა.**

## თემო ჯაფარიძე

მხატვარი. მწერალი.



დაიბადა თბილისში 1937 წ. 27 მარტს. მშობლები: ვალენტინა ტულუში, პროკოფი ჯაფარიძე; მეუღლე — მაგული (მარიამ) ხურცია (1939); შვილი — ლელა (1964). დაამთავრა თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1964). არის ავტორი ნამუშევრებისა: „გასული დროის ლაბირინთი", „სიძველე", „სოლოლაკის ჟანგები", „სახლის სახურავი", „ფეხსაცმელი და ვიოლინო" (1998-99), „პური და ღვინო მაგიდაზე", „მოცულობიანი ფიგურები სიბრტყეზე", „განცალკევება", „ქალზე ფიქრის ვერმოცილება" (1999) და სხვა. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: თსუ, სააქტო დარბაზი (1964), მხატ. კავშირი (1965), მხატვრის სახლი (1968), მსახიობის სახლი (1976), გალ. "TMS" (1996), გამოფენები პარიზსა და ბრეტანში (1991). არის მრავალი სტატიის, ლექსის, ესეს და წიგნის ავტორი, მათ შორის: „ნახატის სიჩუმე" (1979,1991), „ღამისთვევის პოეზია" (1997), „ლოგოს არტი" (1998), „უცხო ქალაქი თბილისში" (2000;), „ფული — შენი, სამყარო კი — ჩემი" (2000); „ნიკო ფიროსმანი" (1999), „შეშლილი ქალის ვნებები" (2000), მოთხრობების კრებული (2003), „დაქირავებული დამტირებლის გულგრილობა" (2005), „აღმოაჩინე ჩემი გამოხედვა" (2005). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, ხელოვნების სახელმწ. და ლიტერატურულ, მოსკოვის აღმოსავლეთ ხალხთა ხელოვნების მუზეუმებში; საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და აშშ კერძო კოლექციებში. მიღებული აქვს თბილისის საკრებულოს სპეც. I პრიზი (2000). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).

ჰობი: ესეების წერა და ლიტერატურულ-ფილოსოფიური მუშაობა.

მისამართი: (ბინის) შ.დადიანის 13. თბილისი. ტელ: 98 48 24.

**ცხოვრების ქრისტიანული ორიენტაციის მიხედვით მარადი ღირებულებების ძიება და საკუთარი ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბების ცდა. ამ ორიენტაციის პირად გამოცდილებაში ვერმიღწევის შემთხვევაში ფილოსოფიური თვითძქევის გზით ობიექტურად ზოგადი სულიერების აღმოჩენის მცდელობა. ხელოვნებაში ინტელექტუალიზმისა და ნაივური ადამიანურობის სინთეზირების ცდა. თანამედროვე ხელოვნების ფორმების გაადამიანურების და სულიერყოფის ცდა. თვითეული ადამიანი სულად ქცეული სამყაროა — აი, ასეთი დევიზით ვეძებდი უფრო ღრმას, ვიდრე სინამდვილეში ჩანს.**

## ირაკლი ჯაფარიძე

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
საციგურაო ცენტრის დირექტორი.



დაიბადა თბილისში 1949 წ. 20 მაისს. მშობლები: ნინო გოლოვინა-ჯაფარიძისა, ოთარ ჯაფარიძე; მეუღლე — მარინა ჯაფარიძე (1959); შვილები: ლაშა (1979), ოთარი (1987). დაამთავრა სპი ქიმიის ფაკ-ტი (1971); საქ. ფიზკულტურის ინ-ტი (1982). იყო საციგურაო სკოლის მწვრთნელი (1968) და უფრ. მწვრთნელი (1973); საქ. სპორტკომიტეტის ზამთრის სახეობების განყ-ბის უფროსი (1984-88); ბულგარეთისა (1988-90) და ავსტრიის (1993-96) ნაკრები გუნდების მწვრთნელი; ხორვატიის ნაკრები გუნდის უფრ. მწვრთნელი (1990-93). არის საციგურაო ცენტრის დირექტორი (1997 წლიდან); საქ. დამს. მწვრთნელი (1975 წლიდან). მისი ბიოგრაფია შესულია საქ. სპორტის ენციკლოპედიაში (2006), ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მუსიკა. სპორტის ყველა სახეობა.
მისამართი: (სამსახურის) მ.კოსტავას 75ა, თბილისი. ტელ: 38 65 00. (ბინის) მ.კოსტავას 75, ბ. 19; 899 56 13 86.
**თავმდაბლობა, თავმოყვარეობა, სიმართლის პრინციპების გატანა.**

## კოხტა ჯაფარიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ფიზიკა-ქიმიკოსი. პროფესორი.



დაიბადა ონში 1929 წ. 4 მაისს. მშობლები: თინათინ ჩიქვაიძე-ჯაფარიძისა, გიორგი ჯაფარიძე; მეუღლე — ნელი საყვარელიძე (1933); შვილები: თამარი (1955), გიორგი (1961). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1952). იყო სსრკ მეცნ. აკად. ფიზიკური ქიმიის ინ-ტის ასპირანტი (1952-55). იყო თსუ დოცენტი (1956-60). არის კიბერნეტიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე 1961 წლიდან; იყო კიბერნეტიკის ინ-ტის დირექტორი (1963-80). გაიარა სამეცნ. სტაჟირება პარიზის ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ინ-ტში (1967). არის თსუ პროფესორი — 1973 წლიდან. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი სილიციუმორგანული ციკლური მოლეკულების ელექტრონოგრაფიული შესწავლა" (1955), სადოქტორო — „სპიროქრომენების ფიზიკურ-ქიმიური შესწავლა" (1972). არის ავტორი მონოგრაფიისა „სპიროქრომენები" (1979) და 100-ზე მეტი სამეცნ. სტატიისა. მიღებული აქვს პ.მელიქიშვილის სახ. (1980) და სახელმწ. (1988) პრემიები; არის ღირსების ორდენის კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში"(2006).
მისამართი: (სამსახურის) ს.ეულის 5, თბილისი 0186. ტელ: 18 77 59. (ბინის) ვ.ანჯაფარიძის 7, თბილისი. ტელ: 23 08 14. ელ-ფოსტა: kocht@cybern.acnet.ge
**პროფესიონალიზმი, შრომა, საქმისადმი ერთგულება, მოთმინება, შემწყნარებლობა.**

## მამუკა ჯაფარიძე

მხატვარი.



დაიბადა თბილისში 1962 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: ნინელი და ჯემალ ჯაფარიძეები. დაამთავრა თბილისის ი.ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი (1980); თსსა ფერწერის განყ-ბა (1986). 1980 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში: პერსონალური — „რა არის რა" („ქარვასლა", 1992), „როლექსი" („ქარვასლა",1993), „სარკეში" (ატლანტა, 2000), „კარი" (ბოტანიკური ბაღი და N-გალ., 2000); „blue and wind" (დიდი გალ. თბილისი, 2005); ჯგუფური —„თანამედროვე ხელოვნების ფორუმი" (ესტონეთი, 1987), „აბსტინენცია" (ახალი გალ.,1994), ბიენალე (სომხეთი, 2001); „ექოტოპია" (თბილისი, 2005); „ორმოცდაერთი გრადუსი" (სტამბოლი, 2007); „მოგზაურობა თბილისში" (ნანტი, 2007); „არტ ისტერიუმი" თანამედროვე ხელოვ-

ნების ფესტივალი (თბილისი, 2008, 2009); ქართული თანამედროვე კინოფესტივალი (ინგლისი, 2008); იყო მონაწილე და ორგანიზატორი პროექტებისა: „De-music Group" (1986-92); „შავი ბაზარი" (1991-92); „აბრეშუმის გზა" (ქართულ-ბრიტანული პროექტი, 1994); „ხელით" (ქართულ- ბრიტანული პროექტი, თბილისი, მირზაანი, 1998); სემინარებისა: „Vita Nova" (მინსკი), „Я здесь шагал" (ბელარუსი 1994), „რამზეს მზერა" (დიდი ბრიტანეთი), გალ. „King Street" (ბრისტოლი, 1995), „წვიმის დღიურები" (სეგ, 1995), „ხატი და შემეცნება" (1996), შანტინაკატანის უნ-ტი (ინდოეთი, 1996), „Shave" (დიდი ბრიტანეთი), ვენეციის ბიენალე, (საქ. პავილიონი, 1999); იყო მხატვართა ჯგუფის „X სართული" წევრი (1985-90). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
მისამართი: (სახელოსნოს) თამარაშვილის 10/14, თბილისი 0177. ელ-ფოსტა: mamuka@excite.com

## ნანი ჯაფარიძე

სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. ქიმიკოსი.



დაიბადა საჩხერეში 1946 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: ნუნუ შერეელაშვილი, შალვა ჯაფარიძე; მეუღლე — გურამ მაისურაძე (1940); შვილები: ანა (1976), ქეთევანი (1978). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1969); ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ასპირანტურა (1975). იყო საქ. მეცნ. აკადემიის ფიზიოლოგიის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი (1969-71), უმც. მეცნ. თანამშრომელი (1971-72, 1976-86); საქ. მეცნ. აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, უფრ. მეცნ თანამშრომელი, მეცნ. თანამშრომელი (1986-2008). 2008 წლიდან არის სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინ-ტის დირექტორი. დაცული აქვს დისერტაცია ბუნებრივი და ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიაში (1977). იყო სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი (2000-06). მიღებული აქვს ჯ. სოროსის საერთაშ. სამეცნიერო ფონდის გრანტი (1994).
ჰობი: მუსიკა. ქარგვა.
მისამართი: (სამსახურის) გოთუას 12, თბილისი. ტელ: 37 42 11; ფაქსი: 93 91 57. (ბინის) უზნაძის 2, ბ. 34. თბილისი. ტელ: 95 61 36; 893 30 61 86; ელ-ფოსტა: ndjaparidze@yahoo.com

**„დედავ, ისმინე ქართლის ვედრება,**
**ისე აღზარდე შენ შვილის სული,**
**რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,**
**უკან რჩეს კვალი განათებული".**

## ოთარ ჯაფარიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. არქეოლოგი. პროფესორი.



დაიბადა თბილისში 1921 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: რიტა კეილიპისი, მიხეილ ჯაფარიძე; მეუღლე — ასმათ ინაშვილი (1922); შვილები: კახაბერი (1942), ნინო (1946), თამარი (1960). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1943), ასპირანტურა (1946). იყო საქ. სახელმწ. მუზეუმის მეცნ. თანამშრომელი (1944-50) და უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1968-82); ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1951-53); თსუ დოცენტი (1952-63), პროფესორი (1963 წლიდან), არქეოლოგიის კათედრის გამგე (1967-98). არის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი (1982 წლიდან); თსუ მრჩეველთა საბჭოს წევრი (2006 წლიდან); საქ. ეროვნული მუზეუმის კონსულტანტი (2007 წლიდან);. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კოლხური ცული" (1948), სადოქტორო — „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე" (1962). არის საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი (1979 წლიდან) და წევრი (1993 წლიდან); 20 მონოგრაფიისა და 120-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მათ შორის: „ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის" (1962); „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში" (1969); „На заре этнической истории Кавказа" (1989); „საქართველოს არქეოლოგია" (1993); „საქართველოს ისტორიის სათავეებთან" (2003); „ქართველი ერის ეთნოგენეზის სა-

თავეებთან" (2006) და სხვა. არის მეცნ. დამს. მოღვაწე; სახელმწ. (1993) და ივ.ჯავახიშვილის სახ. (1970) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1996); თბილისის საპატიო მოქალაქე (1997). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: „ვინ ვინაა საქართველოში", „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი. ტელ: 29 03 86. (ბინის) ჭავჭავაძის 62. ბ.74. თბილისი. ტელ: 22 00 71.
**შეძლებისდაგვარად ვემსახურო ჩემს ქვეყანას.**

## პაატა ჯიბლაძე



თბილისის საკრებულოს წევრი. საქართველოს ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი. ეკონომისტი.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 12 მაისს. მშობლები: ცისანა ნადარეიშვილი, რევაზ ჯიბლაძე; მეუღლე — ნინო იმედაძე-ჯიბლაძე (1968); შვილები: თორნიკე (1994), ცოტნე (2003), გიორგი (2006). დაამთავრა თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკ-ტი (1983). იყო ეკონომისტი, უფრ. ეკონომისტი, საგეგმო განყ-ბის უფროსი, ესსუ „დიზაინგზა"-ს უფროსის მოადგილე (1983-95); შპს „ნეკ"-ის გენ. დირექტორი (მოსკოვი,1995-96); დიზაინის ფონდის კომერციული დირექტორი (1997-2000); თბილისის საკრებულოს საქალაქო მეურნეობის მუდმივმოქმედი კომისიის თავ-რე (2002-04); ლეიბორისტული პარტიის თბილისის კოორდინატორი (2002-06). არის თბილისის საკრებულოს 2 მოწვევის დეპუტატი (2002-06, 2006-10); საქ. ლეიბორისტული პარტიის წევრია 1996 წლიდან.
ჰობი: მოგზაურობა. სპორტი. ლიტერატურა.
მისამართი: (სამსახურის) ჯავახიშვილის 88, თბილისი. ტელ: 94 33 30; ფაქსი: 91 04 05.
**ილია ჭავჭავაძის სიტყვით მოგახსენებთ ენა, მამული, სარწმუნოება!**

## მურმან ჯინორია



მსახიობი.

დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 თებერვალს. მშობლები: ვერა მიქაძე, ვასილ ჯინორია; მეუღლე მაია ჯინორია (1965); შვილი — ნინო (2006). დაამთავრა სპი (1970) და თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1975). იყო კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1975-82). 1983 წლიდან არის რუსთაველის თეატრის, 1996 წლიდან ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოს" მსახიობი. არის თსთი ასოც. პროფესორი 2005 წლიდან. თეატრში, კინოსა და ტელესპექტაკლებში შესრულებული აქვს 80-მდე როლი. არის ხუთი საავტორო სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, მათ შორის: „და სიმღერით ვკვდები", „ზღვა ძალიან ღელავს", „დროთა კავშირი დაირღვა" და სხვა. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: იაკობი, „შუშანიკის წამება"; დონ ჟუანი, „დონ ჟუანი"; კენტი, „მეფე ლირი"; ბახა, „მოკვეთილი"; ვიქტორი, „ირინეს ბედნიერება"; თომა, „ნახევის დღე"; ალფრედო, „დედა დედოფალი" და სხვა; მხ. ფილმებში: სოსიკო, „სინემა"; თამაზ იაშვილი, „თვალი პატიოსანი"; მამა იორამი, „მარადისობის კანონი"; თამაზ ენგური, „ჩაკლული სული"; ტელესპექტაკლებში: სერგო, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"; ლევანი, „დანინაურება"; ნიკო, „ნიკო სულხანიშვილი" და სხვა. არის თეატრალური საზ-ბის (მამაკაცის როლის საუკეთესო შესრ.,1980), თეატრალური საზ-ბის (საუკეთესო საავტორო სპექტაკლისათვის,1996) და კ.მარჯანიშვილის სახ. (1998) პრემიების ლაურეატი. არის თეატრის მოღვაწეთა (1980) და კინემატოგრაფისტთა (1982) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: მხატვრობა. ლიტერატურა. ფეხბურთი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი. (ბინის) ტეხურის ქუჩა 35, თბილისი. ტელ: 33 33 16.
**გულწრფელად გამოვხატო ჩემი პოზიცია ჩემი პროფესიის დახმარებით და ამით მივაღწიო სულიერ თავისუფლებას.**

## ომარ ჯორბენაძე



თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, კოლეგიის თავმჯდომარე. იუსტიციის საბჭოს წევრი. სამართალმცოდნე.

დაიბადა ხულოს რ-ნის სოფ. ძირკვაძეებში 1967 წ. 6 მაისს. მშობლები: ნაზი შანთაძე, ავთანდილ ჯორბენაძე; მეუღლე — გულიზარ გარაშვილი (1966); შვილები: უტა (1993), ავთანდილი (2004). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1995), დოქტორანტურა. იყო საზ-ბრივი ასოც. „ამაღლების" იურისტი (1991-92); საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ასოც. „დიდოსტატის" იურიდიული ჯგუფის უფროსი (1993-94); შპს გამომც. „ლეთას" იურისტი (1994-96); პარლამენტის უფრ. სპეციალისტი (1996-97); სახელმწ. საიდუმლოების დაცვის სახელმწ. ინსპექციის განყ-ბის უფროსი (1997-98); თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რ-ნის სასამართლოს (1998) და საოლქო (1999-2005) სასამართლოს მოსამართლე. 2005 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და საგამოძიებო კოლეგიის თავ-რე; საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი; არის ავტორი სტატიებისა სამეცნ. იურიდიულ ჟურ. „სამართალში" და დეტექტიური ჟანრის წიგნისა „ცოდვილთა ჯალათი" (1996).
ჰობი: მუსიკა. წერა.
მისამართი: (სამსახურის) რობაქიძის 7ა. ტელ: 53 09 14. (ბინის) ვარკეთილი-3, II მ/რ. კორპ. 25ა. ტელ: 79 36 53.
**ყველაზე მეტად ადამიანში ვაფასებ პატიოსნებას და სიმართლეს. ვცდილობ, ყველა ადამიანს, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, ცოტათი მაინც შევუმსუბუქო და გავუადვილო ცხოვრება. ჩემი წარმატება განაპირობა პროფესიის სიყვარულმა და შრომისმოყვარეობამ.**

## ანრი ჯოხაძე



მომღერალი.

დაიბადა თბილისში 1980 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: რუსუდან ჩხაიძე, ომარ ჯოხაძე. დაამთავრა ხელოვნების აკადემიის, ვოკალის ფაკ-ტი (2002). არის ავტორი და შემსრულებელი სიმღერებისა: „უფლება არ მაქვს შენთან მოვიდე" (2004), „ხვალ" — დუეტი ანი სირაძესთან ერთად (2005), „ნოსტალგია" (2004), „იომორესკა" (2003), დუეტი მარინა სუხიშვილთან „წარსული გვენატრება" (2005), „მე მაინც მოვალ" (2005), „მომატყუე" (2006), ს. პავლიაშვილის სიმღერის რემეიქი „თავისუფლება" (2007); „გამარჯვება მშვიდობისათვის" (პროექტი, 2008), საახალწლო კლიპი „ახალი წელი" (ტ/კ „იმედის" მხარდაჭერით, 2008); დიანა ღურწკაიას ბექ ვოკალი (ევროვიზია, 2008); ჩაწერილი აქვს მუს. კლიპები: „ბედნიერი ერი" (2009), „სიმღერა თბილისის უბნებზე" (2009).
ჰობი: რეჟისორობა.
**ოცნებები ვაქციე მიზნებად და ძალიან ბევრი ვიშრომე. ყოველთვის მიყვარდა ადამიანები.**

## მზია ჯუღელი



პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი.
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დაიბადა ქუთაისში 1926 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: თამარ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჯუღელი; მეუღლე — არკადი არხანგელსკი (1917-1986); შვილი — ირინა (1948). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1956). იყო საქ-სა და სსრკ მოსწავლეთა პირველობების (1939-40) და თბილისის სპორტული ალლუმების (1941-45) I ადგილების მფლობელი ტანვარჯიშში და სათხილამურო სპორტში; სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრ. საბჭოს ჩემპიონი (1945); სსრკ ჩემპიონი ბჯენით ხტომაში (1946-47); „მსოფლიოს ახალგაზრდული

სტუდენტური ფესტივალის" (ბერლინი, 1951), XV ოლიმპიური თამაშების (ჰელსინკი, 1952), „მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების" (ბუქარესტი, 1953) 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლის მფლობელი; სსრკ ჩემპიონი და რეკორდსმენი 7-ჯერ ბჯენით ხტომაში და ერთხელ რგოლებით ვარჯიშში (1950-55); 1956 წლიდან საზ-ბა „ცოდნის" წევრი და ლექტორი; იყო ქალთა ნაკრები გუნდის უფრ. მწვრთნელი (1962-65); სსრკ ნაკრები გუნდის უფრ. მწვრთნელი საქართველოში (1965); საქ. უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპ. სკოლის დირექტორი (1972-91); საქ. ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-2002) და საპატიო პრეზიდენტი 2005 წლიდან. იყო თბილისის საქალაქო საბჭოს 5 მოწვევის დეპუტატი (1950-60); სპორტკომიტეტის პრეზიდიუმის, კოლეგიის წევრი (1950-62). მინიჭებული აქვს სსრკ სპორტის დამს. ოსტატის (1952), საქ. დამს. მწვრთნელის (1971), საქ. ფიზ. კულტურისა და სპორტის დამს. მოღვაწის (1974), საერთაშ. კატეგორიის მსაჯის (1974) წოდებები. დაჯილდოებულია სსრკ „საპატიო ნიშნის" (1957), საქ. ღირსების (1996), ვახტანგ გორგასლის III და II ხარისხის (2001, 2002)) ორდენებით, მრავალი სიგელითა და მედლით, მათ შორის სსრკ სპორტკომიტეტის „საპატიო ნიშნით" (1976) და სიგელებით (1985), საერთაშ. ფედერაციის პრეზიდენტის ჟაკ როკის დიდი საპატიო დიპლომით (2006), ოლიმპიური თამაშების ოქროს ნიშნით (1977), საქ. ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტის დიდი ოქროს მედლით (2002) და ოლიმპიური ორდენით (2006); არის 13 ოქროს, 9 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედლის მფლობელი; არის პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, თბილისის საპატიო მოქალაქე (2002). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნებში „ოქროს გოგონები" და „ვერცხლის გოგონები" (1953), სსრკ სპორტკომიტეტისა და სპორტსაზ-ბა „დინამოს" საპატიო წიგნში (1957), ცნობარში „კახეთის გამოჩენილი ადამიანები" (2001). გამოშვებულია მისი სახ. საფოსტო მარკა (1998); სეოკის მიერ თსუ-ში დაწესებულია მ. ჯუღელის სახ. სტიპენდია (1999).
ჰობი: მოგზაურობა. მუსიკა. ბუნება.
მისამართი: (სამსახურის) სანაპიროს 8, თბილისი. ტელ: 99 09 41.(ბინის) უზნაძის 4, მე-4 სად, ბ. 31, თბილისი. ტელ: 95 66 74; 877 41 96 96.

**მინდოდა ვყოფილიყავი ყოველთვის გამარჯვებული, მაგრამ გამოსვლის მომენტში ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, რომ უმაღლეს დონეზე შემესრულებინა ილეთები როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერ ვარჯიშში, რასაც წარმატებამდე მივყავდი.**

# პ

## პარუთიუნ პოვპანესიანი

საქართველოს პარლამენტის წევრი. იურისტი.



დაიბადა ახალქალაქში 1977 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: ასია დანელიანი, ანატოლი პოვპანესიანი; მეუღლე — გოჰარ პოვპანესიანი (1979); შვილები: ანატოლი (1998), კარენი (2001). დაამთავრა ერევნის ეკონომიკურ-იურიდიული უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტი (1999). იყო ახალქალაქის პროკურატურის გამომძიებელი (2000-05); სამცხე-ჯავახეთის საფინანსო პოლიციის გამომძიებელი (2005); ახალქალაქის საგადასახადო ინსპექციის განყ-ბის უფროსი (2006-08); ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2008). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ.8, თბილისი 0118. ტელ: 28 15 60. (ბინის) მალხასიანის 2, ახალქალაქი. ელ-ფოსტა: harut77@mail.ru

# დამატება

## გიორგი ახვლედიანი



საქართველოს პარლამენტის წევრი. ფრაქცია „ქრისტიან დემოკრატების" თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1974 წ. 7 იანვარს. მშობლები: შორენა კახიძე, მურთაზ ახვლედიანი; მეუღლე — შორენა კობერიძე (1975); შვილი— ალექსანდრე. დაამთავრა თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკ-ტი (1997). იყო სახელმწიფო ტელევიზიის I არხის ჟურნალისტი, წამყვანი, რედაქტორი (1994-2003), ტ/კ „იმედი"-ს გადაცემა „დროების" ჟურნალისტი, საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკის" წამყვანი (2003-08). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქრისტიან დემოკრატების" თავ-რე, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრია 2008 წლიდან და არის ამავე მოძრაობის თავ-რის მოადგილე. არის ჟურნალისტური პრემიის — „ოქროს ფრთა" ლაურეატი ნომინაციაში „წლის ჟურნალისტი" (2005).
ჰობი: მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მინდა მოვიარო ყველა სოფელი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ: 2815 27. (ბინის) არსენას ქ. 19. თბილისი. ტელ: 99 70 52.
**მუდმივი მუშაობა საკუთარ თავზე, პრინციპების სწორი განსაზღვრა და მათი ერთგულება, არასდროს ჩავარდე პესიმიზმში, იყავი მუდამ ოპტიმისტური განწყობის მქონე რეალისტი, მთავარი ღირებულება ოჯახია.**

## გენადი გიორგაძე

მოჭიდავე. მსოფლიო ჩემპიონი სამბოში. მწვრთნელი.

დაიბადა 1948 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ნინა ქაშიაშვილი, ვალერიან გიორგაძე; მეუღლე — ნუნუ გაგნიძე (1950); შვილები: მეგი, მაია, ვალერი. სწავლობდა ფიზკულტურის ინ-ტში (1965-66). იყო პროფესიონალი მოჭიდავე (1964-83). 1983 წლიდან არის საქ. სამბისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი. არის მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (თეირანი, 1973); ოთხგზის საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1966, 1967, 1969, 1970); სსრკ ჩემპიონი და 5-გზის "Сельский спортсмен" (1966-71). მისი ბიოგრაფია შესულია სპორტის ენციკლოპედიაში.
ჰობი: ჭიდაობა.
მისამართი: (ბინის) მცხეთის რ-ნის სოფ. წილკანი; ტელ: 52 83 74; 895 470 760.

## ზურაბ კახაბრიშვილი

**საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი.
ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდების მთავარი ექიმი.
საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი.**



დაიბადა თბილისში 1968 წ. 15 მაისს. მშობლები: იზა გუდაძე, გივი კახაბრიშვილი; მეუღლე — თამარ ხახუტაიშვილი (1969); შვილები: ანა (1993), გივი (1995), ლიზა (1998), ირაკლი (2009). დაამთავრა თსსუ პედიატრიის ფაკ-ტი (1993); საქ. აგრარული ინ-ტის იურიდიულ-ეკონომიური ფაკ-ტი (2004). იყო ბატალიონ „ავაზას" ექიმი (1992-93); თავდაცვის სამინისტროს სამედ. სამმართველოს სამკურნალო განყ-ბის უფროსის მოადგილე, თბილისის გარნიზონის მთ. ექიმი (1994-97); ძიუდოს ფედერაციის ექიმი და მწვრთნელი (1995-2000); ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის მთ. ექიმი და მწვრთნელი-კონსულტანტი; საქ. ეროვნული ოლიმპიური დელეგაციის მთ. ექიმი (სიდნეი, 2000; ათენი, 2004; პეკინი, 2008). არის საქ. ოლიმპიური ნაკრები გუნდების მთ. ექიმი (2001 წლიდან); თსსუ სამედ. რეაბილიტაციისა და სპორტული მედ. კათედრის დოცენტი (2003); ე.ფიფიას სახ. თბილისის სამედ. ინ-ტის პროფესორი (2003). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სპორტული ტრავმების რეაბილიტაცია პლაზმური სკალპელითა და ელექტრომაგნიტური ველის გამოყენებით" (1998), სადოქტორო —"მაღალი კვალიფიკაციის მოჭიდავეების საწვრთნო პროცესის მართვა და შრომისუნარიანობის გაუმჯობესება ფუნქციური სინჯების, ფარმაკოლოგიური საშუალებების და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების გამოყენებით" (2003). არის თსსუ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კათედრის პროფესორი. არის ავტორი 61 სამეცნ. ნაშრომის; მონოგრაფიის — „მაღალი კვალიფიკაციის მოჭიდავეების საწვრთნო პროცესის სამედიცინო საფუძვლები" (2004) და წიგნებისა: „სპორტული შრომისუნარიანობის აღდგენის თანამედროვე პრინციპები და საშუალებები" (2006), „სპორტული მედიცინა" (2008). არის სპორტის ოსტატი ძიუდოში; რამდენიმე საერთაშ. სამედიცინო კონგრესის მონაწილე; სახელოვნებო და ჰუმანიტარულ მეცნ.  და რუსეთის მედიკო-ტექნიკური აკად-ების აკადემიკოსი; საქ. ანტიდოპინგური სააგენტოს დამფუძნებელი და წევრი (2003); გერმანიის სპორტული მედიცინის ასოც-ის წევრი (2005). საქ. დამს. მწვრთნელი; ღირსების ორდენისა (2000) და მედლის (2002, 2006) კავალერი; საქ. ოლიმპიური კომიტეტის მედლის (2001), ორდენის (2008) და დიპლომის მფლობელი (2001); ძიუდოს ევროპისა და მსოფლიო გუნდური ასპარეზობების ჩემპიონი და პრიზიორი (2002-08); ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. 2003 წელს დასახელდა წლის საუკეთესო სპორტულ ექიმად; 2009 წელს მიენიჭა „სპორტის რაინდის" წოდება.  მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „ვინ ვინაა საქართველოში"; „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006), საქ. სპორტის ენციკლოპედიაში.

ჰობი: მხატვრობა, კინოხელოვნება.

მისამართი: (სამსახურის) ე. დოლიძის2, თბილისი 0171. ტელ: 36 57 22. ფაქსი: 36 57 21.
ელ-ფოსტა: zurasportmed@yahoo.com

**„ბრძენი უნდა იყო და შლეგად მოაჩვენო ხალხს თავი, გმირი უნდა იყო და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყო და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან იმდენი მტერი არავის ჰყავს ამ ქვეყანაზე, რამდენიც ბრძენს, გმირსა და ოსტატს".**

## როლანდ კემულარია

საქართველოს პარლამენტის წევრი. ისტორიკოსი.



დაიბადა ხობის რ-ნის სოფ. ხიბულაში 1956 წ. 5 აპრილს. მშობლები: მიმი დანელია, შალვა კემულარია; მეუღლე — დიანა გულუა (1961); შვილები: ვიტალი (1988), კონსტანტინე (1991). დაამთავრა საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის ისტორია-პედაგოგიკისა და აგრონომიის ფაკ-ტები. იყო საქ. ალკკ ხობის რაიკომის ინსტრუქტორი (1978-80); საქ. ალკკ ხობის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1984-86); საქ. კ/პ ხობის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1986-89); კომერციული კომპანია „ჩელას" პრეზიდენტი (1990-97); სს „კემულარიების" გენ. დირექტორი (1997-2004). 2004 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი (2008). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი, 0118.
**ვიცხოვრო დამოუკიდებელ, გაერთიანებულ და თავისუფალ საქართველოში.**

## ზურაბ მელიქიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.



დაიბადა თბილისში 1971 წ. 15 თებერვალს. მშობლები: ნანა და დავით მელიქიშვილები; მეუღლე — ნატო ბლუაშვილი (1977); შვილი— დავითი (2008). დაამთავრა თსუ ქიმიისა (1993) და შ. ნუცუბიძის სახ. დამოუკიდებელი ინ-ტის — „რიტორიკა" სამართალმცოდნეობის (1997) ფაკ-ტები. იყო საქ. წითელი ჯვრის საზ-ბის ვაკის ორგანიზაციის თავ-რე; „წითელი ჯვრის" ახალგაზრდული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი (1993-96); ვაკის რ-ნის სოციალურ საკითხთა კოორდინაციის ცენტრის უფროსი (1999); საქ. პარლამენტის მოწვეული სპეციალისტი; ფრაქციის აპარატის უფროსი (1999-2000); საქ. იუსტიციის მინისტრის კაბინეტის უფროსი (2000-01); პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, საორგანიზაციო მდივანი (2000-03); საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში (2003-04); პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე (2004); სახელმწიფო მინისტრი რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში (2004); სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ქვემო ქართლში (2004-07). 2008 წლიდან არის საქ. პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავ-რე. პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანია 2008 წლიდან. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: თევზაობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, თბილისი 0118. ტელ/ფაქსი: 28 12 07.
ელ-ფოსტა: zmelikishvili@unm.ge
**გადაწყვეტილებების მიღების დროს, საკუთარ პოზიციაში მაქსიმალური არგუმენტირება; სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს; მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს, უბრალოდ, ზოგიერთი მათგანის გადაჭრას მეტი დრო და შრომა სჭირდება; მიზანი – ძლიერი საქართველო.**

## ლევან ცინცაძე

მუსიკოსი. კლასიკურ ხემიან საკრავთა დამამზადებელი. რესტავრატორი. ექსპერტი.



დაიბადა თბილისში 1959 წ. 20 თებერვალს. მშობლები: დალი გერსამია, ვლადიმერ (ბიჭიკო) ცინცაძე. მეუღლე — მანანა ტყემალაძე. შვილები: ნინო (1985), ერეკლე (1986). დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის სიმებიან საკრავთა განყ-ბა, ვიოლინო (1982); კრემონას (იტალია) სტრადივარიუსის სახ. ხემიან საკრავთა დამზადების საერთაშ. ინ-ტი (1996). იყო თბილისის კამერული ორკესტრის — „თბილისის კამერატა"— წევრი (1982-88); VIII სამუსიკო სასწავლებელის პედაგოგი (1985-89). გაიარა სტაჟირება მოსკოვში (1990-91); სახელმწ. ტელე-რადიოს ინსტრუმენტების შემოქმედებით სახელოსნოებში (1992-2000); კრემონას სტრადივარიუსის სახ. საერთაშ. ინ-ტში (1992-96); სხვადასხვა კრემონელ ოსტატთა შემოქმედებით სახელოსნოებში (ჯ.ბ. მორასს, მ. ნეგრონი, კ.ამიგეტტი, 1996-2000). შექმნილი აქვს მრავალი კლასიკური ხემიანი ინსტრუმენტი (ვიოლინოები, ალტები და ჩელოები). მათზე უკრავენ მრავალი ქვეყნის მუსიკოსები. მის შესახებ გადაღებულია დოკ. ფილმი "Liutaio" (რეჟ. ჯ. ებრალიძე). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „მეოცე საუკუნის კრემონელი ოსტატები" (1998), მსოფლიო კატალოგში "Strad Directory" და ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში" (2006).
ჰობი: ინტერნეტ-ტექნოლოგიები.
მისამართი: (ბინის) ივ. ჯავახიშვილის 66/4. თბილისი 0102. ტელ/ფაქსი: 95 79 22.
ელ-ფოსტა: ltsintsadze@yahoo.it

# სარჩევი

**ა (7-44)**
ზურაბ აბაშიძე, ლეილა აბაშიძე (7); დავით აბესაძე, ზაზა აბზიანიძე (8); აბრაამი (ამირან გარმელია), ნუგზარ აბულაშვილი, დავით აბულაძე (9); ივანე (ვანო) აბულაძე (10); ემელიანე (რეზო) ადამია, რევაზ ადამია (11); რობერტ ადამია, ზურაბ ადეიშვილი (12); ვაკო ავალიანი, ვაჟა აზარაშვილი (13); ზაზა აზმაიფარაშვილი, ზურაბ აზმაიფარაშვილი (14); ათანასე (ანზორ ჩახვაშვილი) (15); ალექსანდრე ალადაშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, ანდრო ალავიძე (16); ირაკლი ალასანია, ნანა ალექსანდრია (17); გიორგი (გოგი) ალექსი-მესხიშვილი, ზაზა ალექსიძე (18); ლევან ალექსიძე (19); ნუგზარ ალექსიძე, ლელა ალიბეგაშვილი (20); ნუკრი (ნუგზარ) ალხაზაშვილი (21); გივი ალხაზიშვილი, რატი ამაღლობელი (22); ამირან ამირანაშვილი, მედეა ამირანაშვილი (23); თენგიზ ამირეჯიბი, მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი (24); ნათია ამირეჯიბი, ანანია (თენგიზ ჯაფარიძე) (25); ნინო ანანიაშვილი (26); ვადიმ ანასტასიადი, ანდრია (ამირან გვაზავა); თენგიზ ანდრონიკაშვილი, დავით ანდღულაძე (28); ნოდარ ანდღულაძე (29); ია ანთაძე, ლეო ანთაძე, მანანა ანთაძე (30); მიხეილ ანთაძე, მაგდა ანიკაშვილი (31); ანტონი (მარკოზ ბულუხია), კახაბერ ანჯაფარიძე (32); ავთანდილ არაბული, ნინო არაზაშვილი (33); მამუკა არეშიძე, არჩილ არველაძე, ნათელა არველაძე (34); რევაზ არველაძე, შოთა არველაძე (35); გიორგი არსენიშვილი, ია არსენიშვილი (36); ზურაბ არსოშვილი, თენგიზ არჩვაძე (37); აკაკი ასათიანი, დავით ასათიანი, ლიანა ასათიანი (38); მაია ასათიანი, გიორგი ასანიძე (39); ირაკლი ასლანიშვილი, ჯონი აფაქიძე (40); დავით აქუბარდია, ნოდარ ახალკაცი (41); იოსებ ახალბედაშვილი, ერლომ ახვლედიანი, ლევან ახვლედიანი (42); ლომერ ახვლედიანი, ზაზა ახობაძე (43); ნინო ახობაძე, ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილი (44).

**ბ (45-83)**
გელა ბაბლუანი, თემურ ბაბლუანი, ლიზა ბაგრატიონი (45); ჯანსუღ ბაგრატიონი, კობა ბადაგაძე (46); თეიმურაზ ბადრიაშვილი, გიორგი (გიგა) ბათიაშვილი (47); გურამ ბათიაშვილი (48); თამაზ ბათიაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, არმენაკ ბაიანდურიანი (49); ვან ბაიბურთი, კახა ბაინდურაშვილი (50); რამინ ბაირამოვი, იოსებ ბაკურაძე, კახა ბაკურაძე (51); ჯამბულ ბაკურაძე, ბენედიქტე ბალავაძე (52); ვახტანგ ბალავაძე, ვახტანგ ბალავაძე (53); ჯარჯი ბალანჩივაძე, რევაზ ბანცური, ილია ბარათაშვილი (54); იოსებ ბარათაშვილი, მაია ბარათაშვილი (55); გიორგი ბარამიძე, თამარ ბართაია (56); ალექსანდრე ბასილაია, კახა ბასილია (57); ბადრი ბასიშვილი, დავით ბაქრაძე (58); ოთარ ბაღათურია, ჯონდი ბაღათურია (59); გიორგი (გია) ბაღაშვილი, ნანა ბაღაშვილი (60); ჯემალ ბაღაშვილი, ალექსანდრე ბაჩიაშვილი (61); ნიკოლოზ ბაჩილავა, გიორგი ბახტაძე, დავით ბახტაძე (62); თამაზ ბეჟანიშვილი, დავით ბეჟუაშვილი, ლაშა ბერაია (63); ივა ბერაძე, ალექსანდრე ბერდიშევი (64); გივი ბერიკაშვილი, მანანა ბერიკაშვილი (65); ნოდარ ბერიკაშვილი, გიორგი ბერიძე (66); თენგიზ ბერიძე, დავით ბერძენიშვილი (67); ელგუჯა ბერძენიშვილი, ლევან ბერძენიშვილი (68); მერაბ ბერძენიშვილი, ეკა ბესელია (69); ლევან ბექაური, რევაზ ბეშიძე (70); გურამ ბიგანიშვილი, აკაკი ბობოხიძე (71); გიგა ბოკერია, ლევან ბოკერია (72); ნანა ბოლაშვილი, ანზორ ბოლქვაძე (73); ელისო ბოლქვაძე, ზაურ ბოლქვაძე (74); რუსუდან ბოლქვაძე, შოთა ბოსტანაშვილი (75); ლევან ბრეგაძე, ბაჩანა ბრეგვაძე (76); გიორგი ბრეგვაძე, ნანი ბრეგვაძე (77); რომანოზ ბჟალავა, ანდრო ბუაჩიძე (78); ელგუჯა ბუბუტეიშვილი, გოდერძი ბუკია (79); ელგუჯა ბურდული, პაატა ბურჭულაძე (80); თინა ბურჯალიანი, გია ბურჯანაძე (81); ნინო ბურჯანაძე, გიორგი (გია) ბულაძე (82); ვახტანგ ბუცხრიკიძე, დავით ბუხრიკიძე (83).

**გ (84-124)**
თამარ გაბარაშვილი, გიორგი გაბაშვილი (84); კონსტანტინე გაბაშვილი, რევაზ გაბრიაძე (85); გურამ გაბრიჩიძე, გურანდა გაბუნია (86); დიმიტრი გაბუნია, ზაზა გაბუნია (87);

დავით გაგოშიძე, იულონ გაგოშიძე (88); რევაზ გაგუა, გიორგი გალდავა (89); კონსტანტინე გამსახურდია, დავით გამყრელიძე (90); ერეკლე გამყრელიძე (91); თამაზ გამყრელიძე, ზაალ გამცემლიძე (92); ნონა გაფრინდაშვილი, გივი გაჩეჩილაძე (93); გიორგი გაჩეჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი) (94); ლევან გაჩეჩილაძე, რევაზ გაჩეჩილაძე (95); შალვა განერელია, არჩილ გეგენავა (96); ირაკლი გედენიძე, გელა გელაშვილი, ემზარ გელაშვილი (97); ზაზა გელაშვილი, ნატო გელაშვილი, გერასიმე (შარაშენიძე) (98); ელდარ გენაძე, ზურაბ გენაძე (99); კახა გენაძე, ვაჟა გვანცელაძე (100); ვახტანგ გვარამია (101); გიორგი (გოგი) გვახარია, ბერდია გველებიანი, ალექსანდრე გველესიანი (102); სულხან გველესიანი, გურამ გვერდწითელი (103); გიორგი გიგაური, ვაჟა გიგაშვილი (104); ია გიგოშვილი, გიორგი (შალამბერიძე) (105); ნიკა გილაური, გიორგი გიორგაძე (106); ირაკლი გიორგობიანი, გრიგოლ გობეჯიშვილი (107); დავით გობეჯიშვილი, ჯონი გოგაბერიშვილი (108); მამუკა გოგატიშვილი, მიხეილ გოგიაშვილი, აკაკი გოგიჩაიშვილი (109); გიორგი გოგიჩაიშვილი, დავით გოგიჩაიშვილი (110); გიორგი გოგნიაშვილი, ნანა გოგოლაშვილი (111); რობერტ გოგოლაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი (112); გია გოგუაძე, გიორგი გოგუაძე (113); გიორგი გოდაბრელიძე, თამაზ გოდერძიშვილი (114); მაყვალა გონაშვილი, მარლენ გორდეზიანი (115); რისმაგ გორდეზიანი, თემო გოცაძე (116); გრიგოლი (გურამ ბერბიჭაშვილი), თამარ გრიგოლია (117); ინგა გრიგოლია, ბერდია გუგავა, გიორგი გუგავა (118); გიორგი (გია) გუგუშვილი, თეიმურაზ გუგუშვილი (119); მალხაზ გულაშვილი, აჩიკო გულედანი (120); ზაზა გულიკაშვილი, კონსტანტინე (კოკა) გუნცაძე, ნოდარ გურაბანიძე (121); დავით გურგენიძე, კუკური (კობა) გურული (122); ერეკლე გურჩიანი, ბიძინა გუჯაბიძე (123).

**დ (125-138)**
ვახტანგ დავითაია, მირზა დავითაია (125); პაატა დავითაია, კობა დავითაშვილი (126); მერი (მარიამ) დავითაშვილი, შალვა დავითაშვილი (127); დავითი (ირაკლი მახარაძე); დავითი (ტიკარაძე) (128); ლაშა დამენია, დანიელი (დავით დათუაშვილი) (129); დავით დარჩია, დავით დარჩიაშვილი (130); დავით დვალიშვილი, თამაზ დიასამიძე (131); ალექსანდრე დიდებულიძე, თინათინ დიდებულიძე (132); დიმიტრი (შიოლაშვილი), დავით დოიაშვილი, მანანა დოიჯაშვილი (133); იამზე დოლაბერიძე, გიორგი (გოგი) დოლიძე (134); ვიქტორ დოლიძე, ზვიად დოლიძე (135); თამარ (თათული) დოლიძე, ქეთევან (ქეთი) დოლიძე (136); გურამ დოჩანაშვილი (137); ბესარიონ დოჭვირი, დავით დუმბაძე (138).

**ე (139-147)**
თამარ ებრალიძე, ოთარ ეგაძე, სოსო ეგუტია (139); მარლენ ეგუტია, დათო ევგენიძე (140); ლალი ეზუგბაია, გიორგი ეკიზაშვილი (141); ირაკლი ელიავა, ალექსანდრე ელისაშვილი (142); ელისე (ელდარ ჯოხაძე), გოჩა ენუქიძე, ნუგზარ ერგემლიძე (143); ქეთევან ერემაძე, დიმიტრი ერისთავი (144); ზურაბ ერისთავი (145); ანზორ ერქომაიშვილი, რეზო ესაძე (146); ექვთიმე (ლეჟავა) 147.

**ვ (148-155)**
ზურაბ ვადაჭკორია, კონსტანტინე ვარდელი (148); თამაზ ვარვარიძე, ავთანდილ ვარსიმაშვილი (149); ლევან ვარშალომიძე, აკაკი (კაკო) ვაშალომიძე (150); გრიგოლ ვაშაძე, მაია ვაჩაძე (151); ნიკოლოზ ვაჩეშვილი, ნიკოლოზ ვახანია (152); აბესალომ ვეკუა, მარიკა ვერულაშვილი (153); ლევან ვეფხვაძე, ოთარ ვეფხვაძე (154); პაატა ვეშაპიძე, ელისო ვირსალაძე (155).

**ზ (156-164)**
ნინო ზაალიშვილი, თენგიზ ზაალიშვილი (156); მალხაზ ზაალიშვილი, ნინო ზაბუკიძე (157); დავით ზალკალიანი, ზაზა ზარქუა (158); გენადი (გენო) ზაქარაია, პაატა ზაქარეიშვილი (159); ზენონი (იმედა იარაჯული), ზურაბ ზვიადაური (160); დავით ზილფიმიანი, მურთაზ ზოდელავა (161); ბესარიონ ზოიძე, ზოსიმე (შოთა შიოშვილი) (162); ოთარ ზუმბურიძე, დავით ზურაბაშვილი (163); დავით ზურაბიშვილი, სალომე ზურაბიშვილი (164).

**თ (165-186)**

ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თაბუკაშვილი, თადეოზი (მირიან იორამაშვილი) (165); ირაკლი თავართქილაძე, გიორგი თავაძე (166); გიორგი თავაძე, მერაბ თავაძე (167); ნიკოლოზ (ნიკა) თავაძე, ასლან თავდგირიძე (168); დავით თავხელიძე, მალხაზ თალაკვაძე (169); იაშა თანდილავა, გიორგი თარგამაძე (170); გიორგი (გივი) თარგამაძე, ნინო თარხან-მოურავი (171); ჩიორა თაქთაქიშვილი, გენადი თებიძე, ლევან თედიაშვილი (172); დავით თედორაძე (173); რამაზ თედორაძე, გოჩა თევდორაძე (174); ელენე თევდორაძე, გურამ თევზაძე (175); გიგი თევზაძე, თეოდორე (დიმიტრი ჭუაძე) (176); ლევან თითმერია, გიორგი (გოგი) თოდაძე, დავით თოდრაძე (177); თეიმურაზ თოდრია, მაგალი თოდუა (178); ფრიდონ თოდუა (179); გიორგი თოთიბაძე, გრიგოლ (გივი) თოიძე (180); ოთარ თოიძე, კოტე თოლორაია (181); გია თომაძე, პანტიკო თორდია (182); ვახტანგ თორდია, ლაშა თორდია (183); რადიშ თორდია, გია თორთლაძე (184); გოგი თოფაძე, ნოდარ თოფურია (185); მირიან თოფჩიშვილი, ლევან თუთბერიძე (186).

**ი (187-202)**

შოთა იათაშვილი, თემურ იაკობაშვილი (187); თამაზ იამანიძე, ალექსანდრე იაშვილი (188); ბესიკ იაშვილი, გიორგი (გია) იაშვილი (189); ნინო (ნანა) იაშვილი, ომარ (ოლეგ) იაძე (190); იეგუდიელი(ტაბატაძე),მარინაივანიშვილი(191);თინათინიზორია,ილარიონი(ქიტიაშვილი), ილია II (ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი) (192); ლაშა იმედაშვილი, ირაკლი იმედაძე (193); უშანგი იმერლიშვილი, გიორგი იმნაძე (194); პაატა იმნაძე, შოთა ინანეიშვილი (195); ხვედრი ინასარიძე, თამუნა ინგოროყვა (196); იოანე (გურამ გამრეკელი), იობი (ელგუჯა აქიაშვილი), კოკი იონათამიშვილი (197); იოსები (გივი, გიორგი კიკვაძე), ელენე (ლილი) იოსელიანი (198); თეიმურაზ იოსელიანი, ოთარ იოსელიანი (199); ოტია იოსელიანი, ისაია (ზურაბ ჭანტურია) (200); გიორგი ისაკაძე, ლიანა ისაკაძე (201); შალვა ისაკაძე (202).

**კ (203-246)**

კახი კავსაძე, ალდე კაკაბაძე (203); ამირ კაკაბაძე, ნანა კაკაბაძე (204); მიხეილ კაკაბაძე (205); გურამ კაკალაშვილი, ალექსანდრე (გიზო) კაკაურიძე, ეთერ კაკულია (206); ნელი კაკულია, ბესარიონ კალანდაძე (207); გიორგი კალანდია, ლაშა კალანდაძე (208); ანა კალატოზიშვილი, კალისტრატე (შოთა მარგალიტაშვილი) (209); ზაზა კალმახელიძე, ლიანა კალმახელიძე (210); გელა კანდელაკი, ზურაბ კანდელაკი (211); გიორგი (გივი) კასრაძე, გოჩა კაპანაძე (212); ნუკრი კაპანაძე, მამუკა კაციტაძე, მერაბ კაჭახიძე (213); კობა (ჯანრი) კაშია, ეკა კახიანი (214); იმედა კახიანი, მარინა კახიანი (215); ვახტანგ კახიძე, ირინე კახნიაშვილი (216); დავით კეზელი, ირაკლი კენჭოშვილი, დავით კერესელიძე (217); რუსუდან კერვალიშვილი, იოსებ კეჭაყმაძე (218); ეკა კვალიაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, გუჩა კვარაცხელია (219); ვახტანგ კვარაცხელია, თამაზ კვაჭანტირაძე (220); ბაკურ კვეზერელი, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე (221); ბიძინა კვერნაძე, ელდარ კვერნაძე (222); გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, ალექსანდრე კვინიხიძე (223); ბაჩო კვირტია, ალექსანდრე კვიტაშვილი (224); კანდიდ კვიციანი, ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე (225); ზურაბ კიკალეიშვილი, დავით კიკალიშვილი, თენგიზ კიკალიშვილი (226); ვაჟა კიკნაძე, ვასილ კიკნაძე (227); ზურაბ კიკნაძე, ქეთევან კიკნაძე (228); ლაშა კილაძე, როლან კილაძე (229); გურამ კინწურაშვილი (230); სოფიო კინწურაშვილი, ქეთევან კინწურაშვილი (231); ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, ივანე კიღურაძე (232); ეროსი კიწმარიშვილი, ანა კლდიაშვილი (233); ოთარ კობერიძე, ვახტანგ კოკილაშვილი (234); მერაბ კოკოჩაშვილი, ვახტანგ კომახიძე (235); თეიმურაზ კოპალეიშვილი (236); ავთანდილ კორახაშვილი, დავით კორკოტაშვილი (237); ალექსანდრე კორსანტია, გიორგი (გუგა) კოტეტიშვილი (238); ანა კორძაია-სამადაშვილი, ზვიად კორძაძე (239); კარლო კოპალიანი, თემურ კოხოძე, კონსტანტინე კუბლაშვილი (240); პავლე კუბლაშვილი, ბუბა კუდავა (241); უშანგი კუზანაშვილი, ივანე (ივა) კუზანოვი (242); კახა კუკავა, კორნელი კუკულავა, კობა კურდღელაშვილი (243); ლუკა კურტანიძე, გოჩა კუპრავა (244); დავით კუპრეიშვილი, ირინა კუჭუხიძე (245); მედეა კუჭუხიძე, ჯემალ კუხალაშვილი (246).

ლ (247-261)
გოგი ლაზარაშვილი, ლალი ლაზარაშვილი (247); ნიკოლოზ ლალიაშვილი, დავით ლანჩავა (248); ტატო ლასხიშვილი, ლევან ლაღიძე (249); გიორგი ლაჭყეპიანი, ავთანდილ ლეკაშვილი (250); გელა ლეჟავა, ნანა ლეჟავა (251); პაატა ლეჟავა, კობა ლიკლიკაძე, ბესიკ ლიპარტელიანი (252); გოგი ლიპარტელიანი, ზაზა ლოდია (253); ჟანრი ლოლაშვილი, ბესიკ ლოლაძე (254); ზურაბ ლოლაძე, ლალი ლომთაძე (255); ჯუმბერ ლომინაძე, მაია ლომინეიშვილი (256); გელა ლონდარიძე, გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე (257); გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე (258); დიმიტრი ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე (259); რუსუდან ლორთქიფანიძე (260); ლუკა (ლომიძე) (261).

მ (262-305)
ზაზა მადურაშვილი, ეკა მაზმიშვილი, ფერანდო მაისაძე (262); მანანა მაისურაძე, რატი მაისურაძე (263); ელგუჯა მაკარაძე, ბაჩა მალაზონია (264); მამია მალაზონია, ნოდარ მალაზონია (265); შოთა მალაშხია, ეკატერინე მამალაძე, ნოდარ მამისაშვილი (266); პეტრე მამრაძე (267); ზურაბ მამუკელაშვილი, არჩილ მამულაძე (268); ლავრენტი მანაგაძე, გოჩა მანველიძე (269); ზურაბ მანჯავიძე, ნუგზარ მანჯაფარაშვილი (270); პარმენ მარგველაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი (271); რომან (გოდერძი) მარსაგიშვილი, თამარ მარტიაშვილი (272); ვახტანგ მარტოლეკი, ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილი, გიორგი მარღანია (273); ირაკლი მასხარაშვილი, ქეთევან მატაბელი (274); შალვა მატუაშვილი, გიორგი მაღალაშვილი, ჯაბა მაღლაკელიძე (275); დავით მაღრაძე, გუგული მაღრაძე (276); ოთარ მაღრაძე, გოჩა მაცაბერიძე (277); მიხეილ მაჭავარიანი, მუხრან მაჭავარიანი (278); მარიამ (მაკა) მახარაძე, მიხეილ მახარაძე (279); მიხეილ მახარაძე, ალექსი (ალეკო) მახარობლიშვილი (280); დავით მახნიაშვილი, გრიგოლ მგალობლიშვილი (281); ლევან (პანჩო) მგალობლიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი (282); გიორგი (გიო) მგელაძე, ზაზა მეიშვილი (283); ირაკლი მელაშვილი, გიორგი მელაძე, ნიკო მელიქაძე (284); დამანა მელიქიშვილი, ირინე მელიქიშვილი (285); ლია მელიქიშვილი, მელქისედეკი (არკადი ხაჩიძე) (286); ნიკოლოზ მემანიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი (287); მერაბ მერაბიშვილი, ნატო მეტონიძე, როინ მეტრეველი (288); ლეილა მესხი (289); ოთარ მეღვინეთუხუცესი, იური მეჩითოვი (290); ელგუჯა მეძმარიაშვილი, ირაკლი მეძმარიაშვილი (291); როინ მიგრიაული, ლილიანა მითაიშვილი (292); აკაკი მინაშვილი, გურამ მინაშვილი (293); ლაშა მინდელი, გიორგი მირზაშვილი (294); ცოტნე მირცხულავა, გურამ მისაბიშვილი (295); გიორგი (გოგი) მიქელაძე, რევაზ მიშველაძე (296); ენზელ მკოიანი, ვლადიმერ მოგელაძე (297); აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი), ლევან მოსეშვილი (298); ბაადურ მოსიძე, გიორგი მოსიძე (299); შალვა მოსიძე, ალექსანდრე (სანდრო) მრევლიშვილი (300); თეიმურაზ მურვანიძე, ნატა მურვანიძე (301); დავით მუსხელიშვილი, დავით მუქერია (302); თენგიზ მუშკუდიანი, ლევან მუშკუდიანი, გელა მუხაშავრია (303); ლია მუხაშავრია, სტეფანე მღებრიშვილი (304); გურამ მჭედლიძე, ნანა მჭედლიძე (305).

ნ (306-320)
ელიზბარ ნადარაია, ზურაბ ნადარეიშვილი (306); კიაზო ნადარეიშვილი, დავით ნადაშვილი (307); შოთა ნადირაშვილი, როზა ნადირიანი, ირაკლი ნადირაძე (308); მაია ნათაძე, ნოდარ ნათაძე (309); შალვა ნათელაშვილი, დავით ნამგალაური (310); პეტრე ნასყიდაშვილი, თამაზ ნატრიაშვილი (311); კობა ნაყოფია, პაატა ნაცვლიშვილი (312); მანანა ნაჭყებია, გაგა ნახუცრიშვილი (313); გიორგი (გია) ნახუცრიშვილი, ქეთევან ნემსაძე (314); გელა ნიკოლაიშვილი (315); ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი (316); კოტე ნინიკაშვილი, მერაბ ნინიძე, თემურ ნინუა (317); ირმა ნიორაძე (318); გიორგი ნიჟარაძე, ზურაბ ნიჟარაძე, კახა ნურალიძე (319); ნოდარ ნუცუბიძე (320).

**ო (322-328)**

ვაჟა ოთარაშვილი, ვაჟა ოკუჯავა (322); გიორგი ონიანი, თენგიზ ონიანი (323); ლაშა ონიანი, დავით ონოფრიშვილი (324); ვაჟა ორბელაძე, ნიკო ორველაშვილი (325); იზა ორჯონიკიძე (326); დავით ოქიტაშვილი, კახა ოქრიაშვილი, მაია ოშხარელი (327); ხათუნა ოჩიაური, გიორგი ოჩიაური (328).

**პ (329-333)**

მირიან პავლიაშვილი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა (329); ლაშა პაპაშვილი, ზაზა პაპუაშვილი (330); ჯუმბერ პატიაშვილი, პეტრე (პაატა ცაავა), თამაზ პეტრიაშვილი (331); გიორგი პიპინაშვილი, რუსუდან პიტავა (332); ზურაბ პოლოლიკაშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი (333).

**ჟ (334-336)**

ნოდარ ჟვანია, ნინო ჟიჟილაშვილი (334); გაიოზ (გიზო) ჟორდანია, გიორგი ჟორდანია (335); ირაკლი ჟორდანია, რამაზ ჟღენტი (336).

**რ (337-341)**

მარინა რამაზაშვილი, დავით რაქვიაშვილი, ემილ რაში (337); ბაადურ რაჭველიშვილი, ზაზა რევიშვილი (338); პაატა რეკვავა, ალექსანდრე რეხვიაშვილი (339); გიორგი როინიშვილი, სანდრა ელისაბედ რულოვსი (340); ნიკოლოზ რურუა, თენგიზ რუხაძე (341).

**ს (342-370)**

მიხეილ სააკაშვილი, საბა (ზაზა გიგიბერია) (342); დავით საგანელიძე, თინათინ სადუნიშვილი (343); კარლო საკანდელიძე, ნელი სალაძე (344); მინდია სალუქვაძე, ნინო სალუქვაძე (345); ზაალ სამადაშვილი, მერაბ სამადაშვილი (346); ირაკლი სამსონაძე, შოთა სამსონია (347); რატი სამყურაშვილი, მედეა სანაია, გივი სანაძე (348); თენგიზ სანაძე, მამუკა სანებლიძე (349); გიორგი სანიკიძე, გუბაზ სანიკიძე (350); გივი სარჩიმელიძე, გურამ საღარაძე (351); გურამ საღარაძე, რამაზ საყვარელიძე (352); ნათელა სახოკია, რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძე (353); სერაფიმე (თამაზ ჯოჯუა), სერგი (ზურაბ ჩეკურიშვილი), ირაკლი სესიაშვილი (354); მერაბ სეფაშვილი, კოკა სეფერთელაძე (355); ჯემალ სეფიაშვილი, გოჩა სვანიძე (356); ავთანდილ სილაგაძე, პაატა სილაგაძე (357); რევაზ სირაძე, ზვიად (დომენტი) სიჭინავა, თეა სიჭინავა (358); გიზო სიხარულიძე, ზაზა სიხარულიძე (359); მალხაზ სონღულაშვილი, ზურაბ სოტკილავა (360); ირმა სოხაძე, სპირიდონი (361); სტეფანე (კალაიჯიშვილი), ავთანდილ სტურუა, ლია სტურუა (362); რობერტ სტურუა, სოზარ სუბარი (363); კობა სუბელიანი, ირაკლი სუთიძე (364); თამაზ სულაბერიძე, არჩილ (დათო) სულაკაური (365); ბაკურ სულაკაური, გიგი სულაკაური (366); დავით სულაქველიძე, თენგიზ სულაქველიძე, აზერ სულეიმანოვი (367); ნაზო (ლია) სულუაშვილი, მაია სულხანიშვილი (368); კახაბერ სუხიშვილი, დემეტრე (დუტა) სხირტლაძე, თამარ სხირტლაძე (369); თენგიზ სხირტლაძე, ნუგზარ სხირტლაძე (370).

**ტ (371-377)**

რევაზ ტაკიძე, გიორგი ტალახაძე (371); ზურაბ ტატაშიძე, გიორგი ტატიშვილი, ვახტანგ ტატიშვილი (372); ნანა ტატიშვილი, სერგო ტეფნაძე (373); დავით ტვილდიანი, ოლეგ ტიმჩენკო (374); გულბათ ტორაძე, მერაბ ტურავა (375); დავით ტურაშვილი, გიორგი ტუღუში, ზურაბ ტყემალაძე (376); დავით ტყეშელაშვილი, იური ტყეშელაშვილი (377).

**უ (378-380)**

გიგი უგულავა, ვლადიმერ (კახა) უგულავა, თედორე უთურგაიძე (378); თენგიზ (გიზო) ურუშაძე (379); დავით უსუფაშვილი, გიორგი უშიკიშვილი (380).

ფ (382-389)
დალი ფანჯიკიძე, მაია ფანჯიკიძე (382); ალექსანდრე ფარულავა, ნინო ფარცვანია, ლალი ფაფიაშვილი (383); მამუკა ფაჩუაშვილი (384); ნანა ფაჩუაშვილი, ჯეირან ფაჩუაშვილი (385); კარლო ფაჩულია, რუსუდან ფეტვიაშვილი (386); გურამ (გივი) ფირცხალავა, როლანდ ფიფია (387); კონსტანტინე ფიცხელაური, ბასა ფოცხიშვილი (388); არჩილ ფრანგიშვილი (389).

ქ (390-398)
გიორგი (გოგი) ქავთარაძე, ირაკლი ქავთარაძე (390); კონსტანტინე ქავთარაძე, ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია (391); გივი ქართველიშვილი, ბაჩუკი ქარდავა, გია ქარჩხაძე (392); მაყვალა ქასრაშვილი, ნინო ქაჯაია (393); ზურაბ ქევანიშვილი, ეთერ ქემერტელიძე (394); სერგო (ბაჩო) ქიტიაშვილი, ზურაბ ქომეთიანი (395); შამილ ქორთოშიძე, ზვიად ქორიძე (396); ვახტანგ ქოქიაშვილი, სამსონ ქუთათელაძე (397); ირინე ქურდაძე, თეიმურაზ ქურხული (398).

ღ (399-403)
ირაკლი ღარიბაშვილი, ჯემალ ღაღანიძე (399); პაატა ღაძაძე, თამარ ღვინიანიძე (400); მამუკა ღლონტი, ნუგზარ ღლონტი (401); ფელიქს ღლონტი, ლანა ღოღობერიძე (402); ირაკლი ღუდუშაური (402).

ყ (404-410)
ზაზა ყანჩაველი, გია ყანჩელი (404); თინათინ ყაუხჩიშვილი, გაიოზ ყაყიჩაშვილი (405); თამაზ ყაჭეიშვილი, თემურ ყვითელაშვილი (406); კოტე ყიფიანი, ზურაბ ყიფშიძე (407); ნიკოლოზ ყიფშიძე, ნოდარ ყიფშიძე (408); თამაზ ყურაშვილი, რამაზ ყურაშვილი (409); უშანგი ყურაშვილი (410).

შ (411-428)
თამაზ შაბურიშვილი, პაატა შავაძე (411); შალვა შავგულიძე, გიორგი შავერზაშვილი (412); რევაზ შავიშვილი, ამირან შალიკაშვილი (413); გიორგი შალუტაშვილი, შადიმან შამანაძე (414); ვახტანგ შამილაძე, ისვახან შამილოვი (415); მზექალა შანიძე, დავით შარაშენიძე, თენგიზ შარმანაშვილი (416); კახაბერ შარტავა, ნუგზარ შატაიძე (417); იოსებ შატბერაშვილი, რომან შაქარიშვილი (418); დიმიტრი შაშკინი, ალექსანდრე შახოვი, ედუარდ შევარდნაძე (419); ლეილა შელია (420); გიორგი შენგელაია, ელდარ შენგელაია (421); დავით შენგელია, ვაჟა შენგელია (422); ირაკლი შენგელია (423); კახა შენგელია, იაშა შერვაშიძე (424); მირიან შველიძე, შავლეგ შილაკაძე, შიო (ელიზბარ მუჯირი) (425); ვალერიან შიუკაშვილი, თამაზ შოშიაშვილი (426); ბონდო შოშიტაიშვილი, ომზარ შოშიტაშვილი (427); ნინო შუბლაძე, გიორგი შხვაცაბაია (428).

ჩ (429-443)
გოგი ჩაგელიშვილი, თომა ჩაგელიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე (429); გელა ჩარკვიანი (430); თეიმურაზ ჩარკვიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი (431); მურმან ჩაჩუა, მედეა ჩახავა (432); იოსებ ჩახვაშვილი, გურამ ჩახვაძე (433); მაია ჩიბურდანიძე, გიორგი ჩიტაშვილი, ლეო ჩიქავა (434); ნანი ჩიქვინიძე, ზაალ ჩიქობავა (435); გიორგი ჩიქოვანი, თამარ ჩიქოვანი (436); ფიქრია ჩიხრაძე, ელისო ჩოგოვაძე (437); კოტე ჩოლოყაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი, გივი ჩუგუაშვილი (438); მერაბ ჩუხუა, ჯუანშერ ჩქარეული (439); ეკა ჩხეიძე, თამარ ჩხეიძე (440); თემო ჩხეიძე, ნინო ჩხეიძე (441); რეზო ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი (442); რამაზ ჩხიკვაძე, რეზო ჩხიკვიშვილი (443).

ც (444-450)
ალეკო ცაბაძე, გიორგი ცაგარეიშვილი (444); თამილა ცაგარეიშვილი (445); ვალერი ცერცვაძე, მამუკა ცეცხლაძე (446); ნოდარ ცინცაძე, ირაკლი ცირეკიძე, პეტრე ცისკარიშვილი (447); მარიამ ცისკაძე, გიორგი ციციშვილი (448); ვლადიმერ ციციშვილი, ავთანდილ ცქვიტინიძე (449); მიხეილ ცქიტიშვილი, დავით ცხადაძე (450).

**ძ (451)**
კახაბერ ძაგანია, ნანა ძაგნიძე, ზვიად ძიძიგური (451).

**წ (452-459)**
გიორგი (გიგი) წერეთელი, გიორგი (გოგი) წერეთელი (452); ზურაბ წერეთელი (453); ირაკლი წერეთელი(454); გურამ წიბახაშვილი, დოდო წივწივაძე, თეიმურაზ წიკლაური (455); ნუგზაურ წიკლაური, ნათია წკეპლაძე (456); ბაადურ წულაძე, ლევან წულაძე (457); მარინა წულუკიძე, თეიმურაზ წურწუმია (458); ლელა წურწუმია, თამარ წუწუნავა (459).

**ჭ (460-475)**
დავით ჭავჭანიძე, ვლადიმერ ჭავჭანიძე (460); მაია ჭალაგანიძე, შოთა ჭალაგანიძე (461); ბეჟან ჭანკვეტაძე, ნინელი ჭანკვეტაძე (462); ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი (463); აივენგო ჭელიძე, გიორგი ჭელიძე (464); ზურაბ ჭელიძე, თამაზ ჭელიძე (465); თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე (466); ალექსი ჭინჭარაული, გია ჭირაქაძე (467); გივი ჭიჭინაძე, გოგი ჭიჭინაძე (468); დოდო ჭიჭინაძე, ვახტანგ ჭიჭინაძე (469); თეიმურაზ (თემიკო) ჭიჭინაძე, ტარიელ ჭიჭინაძე, გიორგი ჭკუასელი (470); თეიმურაზ ჭკუასელი, ჯემალ ჭკუასელი (471); ლევან ჭოლაძე, ლევან ჭოლოშვილი (472); თამრიკო ჭოხონელიძე, გია ჭუბაბრია (473); ზურაბ ჭუმბურიძე, ნანა ჭურღულია (474); თემურ ჭყონია (475).

**ხ (476-496)**
კობა ხაბაზი, შოთა ხაბარელი, გიორგი ხაბეიშვილი (476); დილარ ხაბულიანი, მამუკა ხაზარაძე (477); გიორგი ხაინდრავა, ფრიდონ ხალვაში (478); ალექსანდრე ხარაზიშვილი, ბესიკ ხარანაული (479); ლევან ხარანაული, გურამ ხარატიშვილი (480); გიორგი ხარაძე, დარეჯან ხარშილაძე, ზაზა ხატიაშვილი (481); ბერტა ხაფავა, გიორგი ხაჩიძე (482); გიორგი ხახნელიძე, ნესტორ ხერგიანი, ანზორ ხელაშვილი (483); ეკატერინე ხერხეულიძე, სიმონ ხეჩინაშვილი (484); ჯონი ხეცურიანი, მანანა ხვედელიძე (485); დიმიტრი ხვთისიაშვილი (486); თინათინ ხიდაშელი, ელგუჯა ხინთიბიძე (487); ოთარ ხინიკაძე, ვახტანგ ხმალაძე (488); არჩილ ხომასურიძე, ალექსანდრე ხომერიკი (489); ეკა ხოფერია, გიორგი ხუბუა (490); თემურ ხუბულური, უშანგი ხუმარაშვილი, ჯიბსონ ხუნდაძე (491); რამაზ ხუროძე, ბეჟან ხურციძე(492); იუზა ხუსკივაძე, ნანა ხუსკივაძე (493); გიორგი ხუციშვილი, გიორგი ხუციშვილი (494); თამაზ ხუციშვილი, კახი ხუციშვილი, ქეთევან (ქეთი) ხუციშვილი (495); სოფიკო ხუხაშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი (496).

**ჯ (497-512)**
მაია ჯაბუა, ვახყანგ ჯავახაძე, ირაკლი ჯავახაძე (497); გელა ჯავახიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ჯავახიშვილი (498); ელიზბარ ჯაველიძე, გიორგი ჯავრიშვილი (499); დიმიტრი ჯაიანი, ედიშერ ჯალაღონია (500); მარი ჯანაშია, ნაულ ჯანაშია (501); გიორგი ჯანბერიძე, ნინო ჯანგირაშვილი (502); ირინე ჯანდიერი, კონსტანტინე ჯანდიერი (503); დავით ჯანელიძე, ნანა ჯანელიძე (504); ნუცა ჯანელიძე, ბადრი ჯანიაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი (505); გიორგი ჯანჯღავა, ბადრი ჯაფარიძე (506); გიორგი ჯაფარიძე, გიორგი (გია) ჯაფარიძე, გოჩა ჯაფარიძე (507); თემო ჯაფარიძე (508); ირაკლი ჯაფარიძე, კოხტა ჯაფარიძე, მამუკა ჯაფარიძე (509); ნანი ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე (510); პაატა ჯიბლაძე, მურმან ჯინორია (511); ომარ ჯორბენაძე, ანრი ჯოხაძე, მზია ჯულელი (512).

**ჰ (513)**
ჰარუთიუნ ჰოვჰანესიანი (513).